საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ავთანდილ სილაგაძე

ეკონომიკური დოქტრინები

თბილისი 2010

ავთანდილ სილაგაძე. ეკონომიკური დოქტრინები. გვ. 612.
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი, 2010.

ნაშრომში, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, არსებული ფართო ლიტერატურის გათვალისწინებით კომპლექსურადაა გამოკვლეული მსოფლიოში აღიარებული ყველა ის ძირითადი ეკონომიკური დოქტრინა, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს, როგორც ეკონომიკური მეცნიერების, ასევე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში. მასში გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყანაში (მათ შორის საქართველოში) ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობისა და განვითარების ევოლუციური პროცესები. იგი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტების, სტუდენტების, პრაქტიკოსებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

ყველა საქმიანი შენიშვნა და წინადადება ავტორის მიერ გათვალისწინებული იქნება მომავალ მუშაობაში.

სარედაქციო კოლეგია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ვლადიმერ **პაპავა**; პროფესორები: რამაზ **აბესაძე**, როზეტა **ასათიანი**, თეიმურაზ **ბერიძე**, პაატა **კოლუაშვილი**, იაშა **მესხია**, ელგუჯა **მექვაბიშვილი**, კარლო **ღურწკაია**, ჯემალ **სარიტონაშვილი**, მერაბ **ხურცილავა**, მიხეილ **ჯიბუტი**.

მთავარი რედაქტორი: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**

რეცენზენტები: პროფესორები - რევაზ **გოგოხია**, ჯემალ **კახნიაშვილი**, პარმენ **ლემონჯავა**, ზინაიდა **სოხაძე**

თანაავტორები: თსუ ასისტენტ-პროფესორი, ე.მ.კ. თამარ **ათანელიშვილი** (თავები II-III), თსუ-ის დოქტორანტი ნოდარ **სილაგაძე** (III, XXIX). მათთან ერთად უცხოური წყაროების ქართულ ენაზე თარგმნაში დახმარება გაგვიწია თსუ სტუდენტმა ლევან **სილაგაძემ**.

© ავთანდილ სილაგაძე, 2010

ISBN 978-9941-9139-5-2

ვუძღვნი ჩემი ძვირფასი
მშობლების
ეთერ ახვლედიანის და
ნოდარ სილაგაძის
ნათელ ხსოვნას

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
НАЦИОНАЛЬНАЯ АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ავთანდილ სილაგაძე
AVTANDIL SILAGADZE
АВТАНДИЛ СИЛАГАДЗЕ

ეკონომიკური დოქტრინები
ECONOMIC DOCTRINES
ЭКОНОМИЧЕСКИЕ ДОКТРИНЫ

თბილისი Tbilisi Тбилиси
2010

შინაარსი

შესავალი ——— 18

ნაწილი პირველი. სათავეები – პირველი მეცნიერული სკოლები

თავი I. ეკონომიკა კაპიტალიზმამდელი ეპოქის ცნობიერებაში ——— 27

1. ძველი აღმოსავლეთი ——— 27
   - 1.1. ბაბილონი: „ჰამურაბის კანონთა კრებული“ ——— 28
   - 1.2. ჩინეთი ——— 29
     - 1.2.1. **კონფუცი** ——— 30
     - 1.2.2. **მენ-ძი** ——— 30
     - 1.2.3. **გუან-ძი** ——— 31
     - 1.2.4. დაოსიზმი ——— 32
   - 1.3. ინდოეთი ——— 32
     - 1.3.1. **მანუს** კანონები ——— 32
     - 1.3.2. **არტჰაშასტრა** ——— 33
2. ძველი საბერძნეთი ——— 34
   - 2.1. **ქსენოფონტი** (დაახლ. ძვ. წ-ით 431-354 წწ.) ——— 34
     - 2.1.1. ეკონომიკა ——— 35
     - 2.1.2. შემოსავლების წყარო ——— 35
     - 2.1.3. შრომის დანაწილება ——— 35
     - 2.1.4. ფასეულობა და ფული ——— 36
   - 2.2. **პლატონი** (ძვ. წ-ით 427-347 წწ.) ——— 36
     - 2.2.1. „იდეალური სახელმწიფო“ ——— 37
     - 2.2.2. მთავარია მიწათმოქმედება – „მიწა დედაა...“ ——— 38
     - 2.2.3. მონობა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ——— 38
     - 2.2.4. ხელოსნობა, ვაჭრობა-გაცვლა ——— 38
   - 2.3. **არისტოტელე** (ძვ. წ-ით 384-322 წწ.) ——— 39
     - 2.3.1. „აკადემიის ჭკუა“, მაკედონელის აღმზრდელი, „ლიკეონი“ ——— 39
     - 2.3.2. „პირველი ეკონომისტი“ ——— 39
     - 2.3.3. თავისებური უტოპია ——— 40
     - 2.3.4. ეკონომიკა და ქრემატისტიკა ——— 40
     - 2.3.5. გაცვლაში საქონელთა გატოლების საკითხი ——— 41
3. ეპიკურიზმი და სტოიციზმი ——— 42
   - 3.1. **ეპიკურე** ——— 42
   - 3.2. **ზენონი** ——— 43
   - 3.3. „ბუნებრივი უფლებების თეორია“ ——— 43
4. ძველი რომი ——— 44
   - 4.1. **კატონი** მიწათმოქმედების შესახებ ——— 45
   - 4.2. **ვარონი** და **კოლუმელა** ——— 46
     - 4.2.1. სოფლის მეურნეობის შესახებ ——— 46
     - 4.2.2. თორმეტტომეული ——— 46
   - 4.3. **ციცერონი** და **სენეკა** ——— 47
   - 4.4. ძმები **გრაკქუსების** აგრარული პროექტები ——— 48
   - 4.5. მონათა აჯანყებებისა და ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური იდეები ——— 49
5. ფეოდალური ეპოქა ——— 50
   - 5.1. ახალი ხედვები ——— 50
   - 5.2. ზოგადი მახასიათებლები ——— 52
   - 5.3. აღრეული ფეოდალიზმი ——— 54
     - 5.3.1. ავრელიუს **ავგუსტინე** (354-430) ——— 55
     - 5.3.2. „სალიკური სამართალი“ ——— 55
     - 5.3.3. „კაპიტულარები ვილების შესახებ“ ——— 56

5.4. ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განახლება (მე-12-13 სს.) — 57
5.5. კანონისტები და თომა **აქვინელი** (1225-1274) — 58
5.6. ალბერტ ფონ **ბოლშტედტი**, ნიკოლა **ორეზმი** და **იბნ-ჰალდუნი** — 62
5.6.1. ალბერტ ფონ **ბოლშტედტი** (1193-1280) — 62
5.6.2. ნიკოლა **ორეზმი** (1323-1382) — 62
5.6.3. **იბნ-ჰალდუნი** (1332-1406) — 63
5.7. ფეოდალური რუსეთი — 64
5.7.1. „რუსსკაია პრავდა" — 65
5.7.2. **ერმოლაი-ერაზმის** „პრაეიტელნიცა" — 65
5.8. შუასაუკუნეობრივი ერესის ანუ გლეხთა აჯანყებების ეკონომიკური მოთხოვნები — 66
5.9. ეკონომიკური დოქტრინების საკითხები ფეოდალურ საქართველოში — 67
5.9.1. **შოთა რუსთაველის** (XII-XIII სს.) „ეფუხისტყაოსანი" — 67
5.9.2. **ბექასა** და **აღბუღას** „სამართლის წიგნი" — 68
5.9.3. **გიორგი ბრწყინვალეს** „ხელმწიფის კარის გარიგება" — 70
5.9.4. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" — 71
5.9.5. **ვახტანგ VI-ის** „სამართალი" — 72
5.9.5.1. ვასტანგის კანონები — 72
5.9.5.2. „დასტურლამალი" — 72
5.9.6. **იოანე ბაგრატიონის** „ხუმარსწაელა" („კალმასობა") — 73
5.9.7. **სულხან-საბა ორბელიანის** (1658-1725) ფიზიოკრატული შეხედულებები — 75
5.9.8. **ალექსანდრე ამილახვარი** (1750-1802) — 76
ლიტერატურა — 77
თავი II. საზოგადოების განვითარების პირველი დოქტრინა: მერკანტილიზმი — 80
1. გარდამავალი პერიოდი — 80
1.1. ეროვნული რეგულირება — 81
1.2. ვაჭრობის ფუნქციები — 82
2. კაპიტალიზმის განვითარება და საზოგადოებრივი ცვლილებები — 82
3. მერკანტილიზმის განვითარების ეტაპები — 84
3.1. აღრინდელი მერკანტილიზმი — 85
3.1.1. ნიკოლო **მაკიაველი** (1469-1527) — 85
3.1.2. უილიამ **სტაფორდი** (1554-1612) — 86
3.1.3. ჟან **ბოდენი** (1530-1596) — 86
3.2. განვითარებული მერკანტილიზმი — 87
3.2.1. ანტონიო **სერა** (1580-1650) — 87
3.2.2. ჯონ **ჰეილსი** (1584-1656) — 88
3.2.3. თომას **მენი** (1571-1641) — 89
3.2.4. ანტუან დე **მონკრეტიენი** (დაახლ. 1575-1621) — 91
3.2.5. ჟან-ბაპტისტ **კოლბერი** (1619-1683) — 92
3.2.5.1. სახელმწიფო ფინანსების გენერალური კონტროლიორი — 93
3.2.5.2. დაუცხრომელი რეფორმატორი — 95
3.2.5.2.1. ფინანსური პოლიტიკა — 96
3.2.5.2.2. სამრეწველო პოლიტიკა — 97
3.2.5.2.3. საგარეო ვაჭრობა — 98
3.2.5.3. კოლბერიზმი — 99
3.2.6. ჯონ **ლო** (1671-1729) — 101
3.2.6.1. ქაღალდის ფულის გამოყენების ინიციატორი — 101
3.2.6.2. დიდი კრახი — 101
3.2.6.3. ინფლაცია - აეანგარდისტული პოლიტიკის შედეგი — 102
3.2.7. ჯეიმზ **სტიუარტი** (1712-1780) — 103
4. კამერალიზმი — 104
4.1. ფილიპ ვილჰელმ ფონ **ჰორნიგკი** (1638-1712) — 105
4.1.1. „ჰორნიგკის წესები". — 105
4.2. იოჰან ჰენრიხ ფონ **იუსტი** (1717-1771) — 105

5. კეთილდღეობის ამაღლება და დემოგრაფიული პოლიტიკა ---- 107
6. მონეტარული პრობლემები ---- 108
7. მერკანტილიზმი და აღამიანთა გაუცხოება ---- 111
ლიტერატურა ---- 112
თავი III. ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა ---- 114
1. კლასიკური დოქტრინების შესახებ ---- 114
2. ახალი მოვლენები ეკონომიკაში ---- 115
2.1. სამრეწველო კაპიტალიზმი ---- 115
2.2. ახალი ეკონომიკური იდეები ---- 117
3. უილიამ **პეტი** (1623-1687) ---- 120
3.1. სამედიცინო განათლებით ეკონომიკაში ---- 120
3.2. „პოლიტეკონომიის კოლუმბი" ---- 121
3.2.1. კვლევის მეთოდი ---- 121
3.2.2. სტატისტიკური მეცნიერების ფუძემდებელი ---- 121
3.2.3. სახელმწიფო ფინანსები ---- 122
3.2.4. „შრომა – სიმდიდრის მამა" ---- 122
3.2.5. ხელფასი ---- 123
3.2.6. რენტა ---- 124
3.2.7. მიწის ფასი ---- 124
3.2.8. ფული და ფულის მიმოქცევის სიჩქარე ---- 124
4. პიერ ბუაგილბერი (1646-1714) ---- 125
4.1. ფიზიოკრატთა წინამორბედი ---- 125
4.2. სოფლის მეურნეობის პროდუქტები – ნამდვილი სიმდიდრე ---- 126
4.3. რეკომენდაციები ---- 126
4.4. საფრანგეთში შრომითი ღირებულების დოქტრინის ფუძემდებელი ---- 126
5. **ჯონ ლოკი** (1632-1704) და დედლი ნორთი (1641-1691) ---- 127
6. დეივიდ **იუმი** (1711-1776) ---- 130
6.1. „დიდი ბრიტანეთის უდიდესი მწერალი" ---- 130
6.2. მერკანტილიზმიდან ლიბერალიზმისაკენ ---- 131
7. რიჩარდ **კანტილიონი** (1680-1734) ---- 132
7.1. ჯონ ლოს პარტნიორის იდუმალი სიკვდილი ---- 132
7.2. „ნარკვევები" ---- 134
7.2.1. ღირებულება და ფასი ---- 135
7.2.2. ფული ---- 136
7.2.3. სამუშაო ძალისა და შრომის ღირებულება ---- 136
7.2.4. მოსახლეობის თეორია ---- 136
7.2.5. ხელფასი ---- 137
7.2.6. წარმოების ორი სექტორი ---- 137
7.2.7. სოციალური კლასები ---- 137
7.3. მონეტარული დოქტრინა ---- 138
7.4. „ბრწყინვალე ქმნილება" ---- 139
8. აღრეული ამერიკული ეკონომიკური შეხედულებები: ბენჯამინ **ფრანკლინი** (1706-1790) ---- 140
8.1. აზროვნებისათვის ნოყიერი ნიადაგი ---- 140
8.2. აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანაავტორი ---- 140
8.3. „ესეისტი" ეკონომიკაში. ---- 142
8.3.1. მოსახლეობის შესახებ ---- 142
8.3.2. ხელფასი ---- 143
8.4. შეფასება ---- 145
9. შეედი პერ ნიკლას **ქრისტიერნინი** (1725-1799) ---- 145
ლიტერატურა ---- 146
თავი IV. ფიზიოკრატების კლასიკური დოქტრინა ---- 148
1. მგზნებარე რეფორმატორები ---- 148
2. ფრანსუა **კენე** (1694-1774) ---- 149

2.1. მედიცინიდან ეკონომიკამდე — 149
2.2. ნაშრომები და ძირითადი იდეები — 151
2.2.1. „წმინდა პროდუქტი" — 152
2.2.2. „ნაყოფიერი" და „უნაყოფო" შრომა — 152
2.2.3. კაპიტალი — 153
2.2.4. ფული — 153
2.2.5. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა — 153
2.2.6. გადასახადები — 153
2.3. ეკონომიკური ცხრილი — 154
3. „ბუნებრივი უფლებები" — 155
4. ანრი რობერტ ჟაკ **ტიურგო** (1727-1781) — 159
4.1. ფინანსების გენერალური კონტროლიორი — 159
4.2. ანალიზის გაღრმავება — 159
5. ღვაწლი — 160
ლიტერატურა — 162
თავი V. ბრიტანული კლასიკური სკოლა: ღირებულებისა და განაწილების დოქტრინები — 163
1. ადამ **სმითი** (1723-1790): „ხალხთა სიმდიდრე" — 163
1.1. შოტლანდიელი ბრძენი — 163
1.2. ადამიანები მხოლოდ პირადი ინტერესებით არ მოქმედებენ — 164
1.3. პირველი დაკვირვებები ეკონომიკაზე — 167
1.4. საქონლის ღირებულება იქმნება შრომით... — 168
1.5. შემოსავლების სტრუქტურა — 171
1.5.1. ხელფასი — 171
1.5.2. მოგება — 172
1.5.3. მიწის რენტა — 172
1.5.4. პროდუქტიული შრომითი ხელფასები — 173
1.6. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებისა და ეკონომიკური აღმავლობის შესახებ — 174
1.6.1. საგარეო ვაჭრობა — 176
1.6.2. ეკონომიკური აღმავლობა — 177
1.7. ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი — 179
2. დეივიდ **რიკარდო** (1772-1823): „დაბეგვრის საფუძვლები" — 179
2.1. მთავარი ნაშრომი - მეწარმეთა დამცველი — 179
2.2. შრომითი ღირებულება — 182
2.3. შემოსავლების განაწილება — 184
2.4. თავისუფალი ვაჭრობა და ეკონომიკური განვითარება — 186
2.5. „კლასიკური მოდელის დასრულება" — 188
ლიტერატურა — 189
თავი VI. სახეცვლილი კლასიკური ლიბერალური დოქტრინები — 191
1. თომას რობერტ **მალთუსი** (1766-1834) განსხვავებული ხედვებით — 191
1.1. მოსახლეობის პრინციპები — 191
1.2. სოციალური უსამართლობა — 192
1.2.1. გამოსავლის გზები — 193
1.2.2. რეალობა — 194
1.2.3. მდიდრები და ღარიბები — 195
1.3. წარმოების ხარჯები — 195
1.4. ჭარბწარმოების კრიზისები — 196
2. ფული - კლასიკური ტრადიციის დასრულება: ჰენრი **თორნტონი** (1760-1815) — 197
2.1. ბანკირი და პოლიტიკური მოღვაწე — 197
2.2. ქაღალდის ფული — 197
3. მწარმოებლური ფაქტორები: ჟან ბაპტისტ **სეი** (1767-1832) — 200
3.1. წარმოების სამი ფაქტორი — 200
3.2. მწარმოებლური შრომა — 201
3.3. გასაღების ანალიზი — 201

4. ნასაუ **სენიორის** (1790-1864) „თაეშეკაეებისა“ და თაეისუფალი ვაჭრობის დოქტრინები —202
4.1. რიკარდოს მომხრე და კრიტიკოსი —202
4.2. პოლიტეკონომიის შესახებ —203
4.3. „თაეშეკაეების“ დოქტრინა —204
4.4. თაეისუფალი ვაჭრობის დოქტრინის კრიტიკა —205
5. მაკ-კულოხის (1789-1864) შრომითი დოქტრინა —206
5.1. პოლიტეკონომიის პრინციპები —206
5.2. შრომა და ბუნების ძალები —207
6. უტილიტარიზმი: ჯერემ **ბენთამი** (1748-1832) —207
6.1. საშუალო ბურჟუაზიის იდეოლოგი —207
6.2. ა.სმითის მიმდეეარი უტილიტარული მიმართულებით —208
6.3. სარგებლიანობის საზომი —209
6.4. როგორ მივაღწიოთ მაქსიმალურ კეთილდღეობას —210
6.5. ეკონომიკა როგორც მეცნიერება და ხელოენება —211
6.6. მთავრობის როლი —212
6.7. ლიდერობა ფილოსოფოს-რადიკალებში —212
7. ინტერესთა ჰარმონიის და ჰარმონიული საზოგადოების დოქტრინები —213
7.1. პერრი ჩარლზ **კერი** (1793-1879) —213
7.1.1. „რეაქცია პესიმისტებისადმი“ —213
7.1.2. პირეელი ამერიკელი ეკონომისტი —214
7.1.3. ინტერესთა ჰარმონია —214
7.1.4. რენტის, ბუნების, მოსახლეობის, მმართველობის, ღირებულების, მიწისა და კაპიტალის შესახებ —216
7.1.5. მალთუსის წინააღმდეგ —216
7.1.6. ღირებულება, მიწა და კაპიტალი —218
7.2. ფრედერიკ **ბასტია** (1801-1850) —218
7.2.1. ეკონომიკური ორაზროენება —218
7.2.2. ჰარმონიული საზოგადოება —219
8. ჯონ სტიუარტ **მილის** (1806-1873) ლიბერალურ-რეფორმისტული დოქტრინა —220
8.1. მამა-შვილი —220
8.2. პოლიტეკონომიის პრინციპები —221
8.3. სოციალური რეფორმები —222
8.4. ვაჭრობის თეორია —223
ლიტერატურა —223
თავი VII. კაპიტალიზმის პირველი სოციალ-კრიტიკოსები —225
1. დოქტრინების არსი —225
2. უტოპიური სოციალიზმის დოქტრინების წარმოშობა —226
2.1. თომას **მორის** (1478-1535) კომუნისტური საზოგადოების პროექტი —226
2.2. კომუნიზმის ქრისტიანული საფუძვლები თომაზო **კამპანელასთან** (1568-1639) —230
3. სენ-სიმონი და სენ-სიმონისტები —232
3.1. **სენ-სიმონის** (1760-1825) მოღვაწეობა და ძირითადი ნაშრომები —232
3.2. სენ-სიმონის ინდუსტრიული საზოგადოების პროექტი —233
3.3. სენ-სიმონისტები —234
3.3.1. ზოგადი მიდგომები —234
3.3.2. სენ-სიმონის დოქტრინის შემდგომი განვითარება სენ ამან **ბაზარდისა** (1791-1832) და პროსფერ **ანფანტინის** (1798-1864) მიერ —235
3.4. ჩარლზ კონსტანტინ **პეკქეურის** (1801-1887) მეხედულებები —236
3.5. სენ-სიმონისა და მისი მიმდევრების წელილი —237
4. კოოპერაციული სოციალიზმი —238
4.1. შარლ **ფურიეს** (1772-1837) „ფალანგები“ —238
4.2. რობერტ **ოუენი** (1771-1858) —240
4.2.1. ცხოვრება და მოღვაწეობა —240
4.2.2. კოოპერაციების შესახებ —242

4.3. ლუი **ბლანის** (1811-1882) მწარმოებლური კოოპერაციები ---- 243
4.4. დასკვნითი მიმოხილვა ---- 244
5. „სოციალისტ-რიკარდოელები". მედმეტი ღირებულების დოქტრინის წარმოშობა ---- 245
5.1. უილიამ **თომპსონი** (1785-1833) ---- 245
5.2. თომას **ჰოდსკინი** (1787-1869), ჯონ **გრეი** (1798-1850), ჯონ **ბრეი** (1809-1895) ---- 246
6. სიმონდ დე **სისმონდის** (1773-1842) სოციალურ-რეფორმატორული იდეები ---- 247
6.1. ზოგადი ფონი ---- 247
6.2. „ახალი პრინციპები" ---- 248
6.3. თეორიული კრედო ---- 249
6.3. სიმდიდრე და კეთილდღეობა ---- 250
6.4. კაპიტალისტური შრეწველობა და მომავალი კლასობრივი სტრუქტურა ---- 252
6.5. ჭარბწარმოების კრიზისების მიზეზები ---- 253
7. პიერ ჟოზეფ **პრუდონის** (1809-1865) ანარქისტული დოქტრინა ---- 255
7.1. „სიღატაკის ფილოსოფია" ---- 255
7.2. პრუდონის ეკონომიკური დოქტრინა ---- 256
7.3. სამუალებათა ძიება ---- 259
8. კარლ იოჰან **როდბერტუსი** (1805-1875) და ფერდინანდ **ლასალი** (1825-1864) ---- 261
8.1. როდბერტუსის მეცნიერული სოციალიზმი ---- 261
8.1.1. შემოქმედებითი თეზა ---- 261
8.1.2. ეკონომიკური დოქტრინა ---- 261
8.2. ფერდინანდ ლასალი მუშათა როლისა და ხელფასების შესახებ ---- 264
ლიტერატურა ---- 264
თავი VIII. კარლ მარქსის (1818-1883) რევოლუციური დოქტრინა ---- 266
1. ცხოვრება და შემოქმედება (1818-1845). გზა მატერიალიზმისა და კომუნიზმისაკენ ---- 266
1.1. „მემარცხენე ჰეგელიანელებიდან" ათეისტობამდე ---- 266
1.2. დოქტრინის ჩამოყალიბება (1844 წლიდან) ---- 268
2. ცხოვრება და მოღვაწეობა (1845-1848). ისტორიზმის პრინციპი ---- 271
3. კლასიკური დოქტრინის მიმხრე და კრიტიკოსი ---- 276
3.1. „კაპიტალის" წარმოშობა ---- 276
3.2. კაპიტალიზმის არსი ---- 278
3.3. საქონლის ფეტიშიზმი ---- 279
4. ეკონომიკურ სისტემაში არსებული წინააღმდეგობების განეითარება ---- 280
4.1. მუშათა კლასის გაღატაკება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ---- 280
4.2. კაპიტალისტური ეკონომიკის ორ დიდ სექტორს შორის წონასწორობის შენარჩუნების შეუძლებლობა ---- 282
5. მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია ---- 284
6. დაუსრულებელი თეორია ---- 287
7. მოღვაწეობის ბოლო წლები და თეზისები ---- 289
ლიტერატურა ---- 290
თავი IX. ეროვნული ეკონომიკის დოქტრინები ---- 292
1. გერმანული ისტორიული სკოლა ---- 292
1.1. წინამორბედები ---- 292
1.1.1. იუსტუს **მიოზერი** (1720-1794) ---- 292
1.1.2. ადამ **მიულერი** (1779-1829) ---- 292
1.1.3. ფრანც **ბაადერი** (1761-1841) ---- 293
1.1.4. ფრიდრიხ **ლისტი** (1789-1846) ---- 294
1.1.4.1. სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა ---- 294
1.1.4.2. დოქტრინის არსი ---- 298
1.2. „ძველი" ისტორიული სკოლა ---- 302
1.2.1. ისტორიული ფაქტების ანალიზი ---- 302
1.2.2. ეილჰელმ **როშერი** (1817-1894) ---- 302
1.2.3. ბრუნო **ჰილდებრანდი** (1812-1878) ---- 303
1.2.4. კარლ **კნისი** (1821-1898) ---- 304

1.2.5. შეფასება — 305
1.3. „ახალგაზრდა" ისტორიული სკოლა — 306
1.3.1. სკოლის მიზნები — 306
1.3.2. სკოლის ლიდერი - გუსტავ **შმოლერი** (1838-1917) — 307
1.3.2.1. მოღვაწეობა და ნაშრომები — 307
1.3.2.2. წელილი — 312
1.3.2.3. ლუი **ბრენტანო** (1851-1926) და კარლ **ბიუხერი** (1847-1930) — 313
1.4. გერმანული ისტორიული სკოლის მემკვიდრეობა — 314
2. ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის ცალკეული ასპექტები საქართველოში — 316
2.1. **ილია ჭავჭავაძე** (1834-1907) — 317
2.2. **ნიკო ნიკოლაძე** (1843-1928) — 324
ლიტერატურა — 330

ნაწილი მეორე. მარჟინალიზმის ერა – ნეოკლასიციზმი

თავი X. ბერმანულ-ჟრანგული დოქტრინები — 333
1. „იზოლირებული სახელმწიფო": იოპან ფონ **თიუნენი** (1783-1850) — 336
1.1. ეკონომიკის „მასწავლებელი" - ა.სმითი — 336
1.2. „იზოლირებული სახელმწიფო" — 337
1.3. მიწის რენტა — 337
1.4. რესურსების განლაგება-განაწილება — 338
1.5. განაწილების ზღვრული სარგებლიანობა — 339
1.6. ეკონომეტრიკის წინამორბედი — 339
2. „სიმდიდრის თეორია": ანტუან აუგუსტინ **კურნო** (1801-1877) — 341
2.1. გრენობლის აკადემიისა და დიჟონის უნივერსიტეტის რექტორი — 341
2.2. სიმდიდრის შესახებ — 342
2.3. მოთხოვნის კანონი — 342
2.4. კონკურენცია და მონოპოლია — 343
2.5. არც გენიოსი, არც რევოლუციონერი — 344
3. პერმან პაინრიხ **გოსენის** (1810-1858) კანონები — 344
3.1. ზღვრული სარგებლიანობის მათემატიკური ინტერპრეტაცია — 344
3.2. ნაკვეთების განლაგება და მიწის რენტა — 346
3.3. კაპიტალი და სარგებელი — 346
3.4. სოციალური საკითხები — 346
3.5. წინამორბედი — 347
თავი XI. ინგლისელი მარჟინალისტები: უილიამ სტენლი ჯევონსი და ფრენსის ისიდრო ეჯუორთი — 348
1. „კლებადი ზღვრული სარგებლიანობა": უილიამ სტენლი **ჯევონსი** (1835-1882) — 348
1.1. პოლიტეკონომიის ახალგაზრდა პროფესორი — 348
1.2. ძირითადი ნაშრომები — 349
1.3. კლებადი სარგებლიანობა — 350
1.4. შრომა — 351
1.5. გაცვლა — 351
1.6. კაპიტალი — 352
1.7. მოკრძალებული წვლილი — 352
2. „გაცვლის დოქტრინა": ფრენსის ისიდრო **ეჯუორთი** (1845-1926) — 353
2.1. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი — 353
2.2. სამი წიგნი — 354
2.3. შეფასება — 356
თავი XII. ლოზანის სკოლა — 357
1. ზოგადი წონასწორობის დოქტრინა: ლეონ **ვალრასი** (1834-1910) — 357
1.1. ლოზანის სკოლის დამაარსებლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე წარდგენა — 357
1.2. ნაშრომები — 358

1.3. ზოგადი წონასწორობის შესახებ ---- 359
1.4. „უდიდესი ეკონომისტ-თეორეტიკოსი“ ---- 360
2. ეკონომიკური ოპტიმუმი: ვილფრედო **პარეტო** (1848-1923) ---- 360
2.1. ვალრასის მემცულელი, მგზნებარე ლიბერალი ---- 360
2.2. პოლიტეკონომიის კურსი ---- 362
2.3. ეკონომიკური ოპტიმუმის ახლებური გააზრება ---- 363
2.4. პარეტოს „გაუმჯობესება“ ---- 364
თავი XIII. ავსტრიული სკოლა ---- 365
1. ვენის სკოლა: „ზღვრული სარგებლიანობა“ ---- 365
1.1. კარლ **მენგერი** (1840-1921) ---- 365
1.1.1. სკოლის ფუძემდებელი ---- 365
1.1.2. „ფასეულობის“ ზოგადი საფუძვლები ---- 366
1.1.3. ზღვრული მოთხოვნილება, კაპიტალი და გაცვლა ---- 366
1.1.4. ისტორიული სკოლისადმი დამოკიდებულება ---- 367
1.1.6. „ახალი ეკონომიკის მანათობელი“ ---- 368
1.2. ეჯენ ფონ **ბემ-ბავერკი** (1851-1914) ---- 369
1.2.1. ვიზერის სიძე, მინისტრი და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ---- 369
1.2.2. „ფასეულობის“ საბაზრო ასპექტები ---- 369
1.2.3. კაპიტალი და მოგება ---- 370
1.2.4. წამყვანი ავტორიტეტი ---- 371
1.3. ფრიდრიხ ფონ **ვიზერი** (1851-1926) ---- 372
1.3.1. ბემ-ბავერკის ცოლის ძმა, მენგერის შემცვლელი, შუმპეტერის მასწავლებელი და მინისტრი ---- 372
1.3.2. დანახარჯები, ფასი, ალტერნატიული პროდუქტი ---- 372
1.4. ვენის სკოლის დიდების პიკი ---- 374
2. რუდოლფ **აუმპიტცისა** (1837-1906) და რიჩარდ **ლიბენის** (1842-1919) ნაწილობრივი წონასწორობა ---- 374
2.1. ბიძამეილები ---- 374
2.2. ფასების თეორია ---- 375
ლიტერატურა (თავები X-XIII) ---- 377
თავი XIV. ამერიკული სკოლა ---- 379
1. დოქტრინის სათავეებთან: ჯონ ბეითს **კლარკი** (1847-1938) ---- 379
1.1. მარჟინალიზმის გამოჩენა ---- 379
1.2. სიმდიდრის ფილოსოფია ---- 379
1.3. სიმდიდრის განაწილება ---- 380
2. ამერიკული სკოლის ტრადიციის გაგრძელება: ირვინგ **ფიშერი** (1867-1947) ---- 383
2.1. ცხოვრება და ნაშრომები ---- 383
2.2. ნაყოფიერი მკვლევარი ---- 385
2.3. ფული და სარგებელი ---- 385
2.4. „აშშ-ის უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი“ ---- 387
ლიტერატურა ---- 388
თავი XV. კემბრიჯის სკოლა: ალფრედ მარშალი (1842-1924) - „ეკონომიკის პრინციპები“ ---- 390
1. აღიარებული პროფესორი ---- 390
2. ძირითადი შრომები ---- 391
3. ზოგადიდან ნაწილობრივ წონასწორობამდე ---- 392
4. ურთიერთმოთხოვნის მრუდები ---- 392
5. „მარშალის ჯვარი“ ---- 394
6. მოთხოვნის ელასტიკურობა ---- 394
7. მიწოდების პერიოდული ანალიზი ---- 394
8. დამკვიდრებული ადგილი ---- 395
ლიტერატურა ---- 396
თავი XVI. „შვედური (სტოკჰოლმის) სკოლის“ სათავეებთან ---- 397
1. კნუტ **ვიკსელი** (1851-1926) ---- 397

1.1. ნეოკლასიკოსი: მათემატიკიდან ეკონომიკაში — 397
1.2. ძირითადი ნაშრომების ზოგადი მიმოხილვა — 398
1.3. კაპიტალის დაგროვების და ეკონომიკური ციკლის შესახებ — 399
1.4. აღიარება — 401
2. ნეოკლასიკური დოქტრინა: გუსტავ კასელი (1866-1945) — 401
2.1. სოციალური ეკონომიკის თეორია — 401
2.2. ფასწარმოქმნის საკითხები — 401
2.3. ფასების განსაზღვრის მიზეზები — 404
ლიტერატურა — 405
თავი XVII. არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის დოქტრინები — 406
1. დოქტრინის ჩამოყალიბება — 406
2. ედუარდ **ჩემბერლინის** (1899-1967) მონოპოლისტური კონკურენცია — 408
3. ჯოან ვიოლეტ **რობინსონის** (1903-1983) არასრულყოფილი კონკურენცია — 410
4. პენრიხ ფონ **შტაკელბერგი** (1895-1946) — 412
4.1. არასრულყოფილი ბაზარი — 412
4.2. საბაზრო ფორმების სისტემა — 414
4.3. ბაზრებს შორის ურთიერთობები — 416
5. უმბერტო **რიჩის** (1879-1946) დოქტრინა სამეურნეო წრისა და განლაგების აღგილის დინამიკა — 418
6. საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის მოძრაობა: ბერთილ გოტჰარდ **ოლინი** (1899-1979) — 419
6.1. მოღვაწეობა — 419
6.2. დოქტრინა განლაგების აღგილისა და რეგიონთშორისი ვაჭრობის შესახებ — 420
6.3. **ჰეკშერ-ოლინის** მოდელი — 421
6.4. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია — 422
ლიტერატურა — 422

ნაწილი მესამე. ნეოკლასიციზმიდან დღევანდელობამდე

თავი XVIII. არტურ სესილ პიგუ (1877-1959) — 424
1. ა.მარშალის მემკვიდრე — 424
2. კეინზელობისკენ — 424
3. საყოველთაო კეთილდღეობის ეკონომიკა — 425
4. კემბრიჯული განგოლება — 428
5. სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ — 428
თავი XIX. მაკროეკონომიკური რევოლუცია: ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) — 429
1. აღიარებული მკვლევარი-პრაქტიკოსი — 429
2. ფულის რაოდენობრივი თეორიიდან „ზოგად თეორიამდე" — 431
3. „ზოგადი თეორია" — 433
4. კეინზური რევოლუცია — 435
თავი XX. ჯონ რი არდ ჰიკსი (1904-1989) — 437
1. მათემატიკიდან - გამოყენებითი ეკონომიკისკენ — 437
2. ნაშრომები: მთავარი - „ღირებულება და კაპიტალი" — 438
3. დროებითი წონასწორობა და მოლოდინის თეორიის საფუძვლები — 439
4. საუკუნის დიდი ბრიტანელი თეორეტიკოსი — 442
ლიტერატურა (თავები XVIII-XX) — 442
თავი XXI. ინსტიტუციონალური ეკონომიკური დოქტრინები — 445
1. ინსტიტუციონალიზმი და ნეოინსტიტუციონალიზმი — 445
2. სოციალურ-ფსიქოლოგიური დოქტრინა: ტორსტეინ ბუნდე **ვებლენი** (1857-1924) — 445
2.1. ნორვეგიელი ემიგრანტი და მისი ნაშრომები — 445
2.2. ფსიქოლოგიური ფაქტორები — 446
2.3. კაპიტალიზმის კრიტიკა — 447
2.3.1. „თავისუფალი კლასი" — 448

2.3.2. ეკონომიკური ციკლები და ტექნოლოგიები ---448
2.4. შეჯასება---450
3. სტატისტიკური ინსტიტუციონალიზმი: უესლი კლეარ მიტჩელი (1874-1948)---450
3.1. ვებლენის სტუდენტი და ჰარვარდის ბარომეტრი---450
3.2. განსხვავებული ინსტიტუციონალური მიდგომები---452
3.3. ეკონომიკური ციკლი---453
4. სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი: ჯონ როჯერს კომონსი (1862-1944)---454
4.1. წინააღმდეგობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა---454
4.2. კოლექტიური მოქმედება---455
4.3. ინტერესთა კონფლიქტი---457
5. ახალი ინდუსტრიული საზოგადოება: ჯონ კენეთ გელბრეითი (1908-2006)---457
6. პოსტინდუსტრიული საზოგადოების მომავალი: დენიელ ბელი---458
7. ნეოინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური დოქტრინა: გუნარ მიურდალი (1898-1987)---459
7.1. ნობელიანტი „სტოკჰოლმის სკოლიდან"---459
7.2. უასწარმოქმნიდან მაკროეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ პრობლემამდე---459
8. ტრანსაქციული დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების დოქტრინა: რონალდ კოუზი --- 461
9. საზოგადოებრივი არჩევანის დოქტრინა: ჯეიმზ ბიუკენენი---463
ლიტერატურა---464
თავი XXII. თავისუფალი მეწარმეობის ნეოლიბერალური დოქტრინები---467
1. გერმანული ნეოლიბერალიზმი და ორდოლიბერალიზმი---467
1.1. ნეოლიბერალიზმი---467
1.2. ორდოლიბერალიზმი და კლასიკური ლიბერალიზმი---468
1.2.1. ორდოლიბერალური იდეები - „მესამე გზა"---469
1.3. ორდოლიბერალური ეგემის ჩამოყალიბება---471
1.3.1. ძლიერი სახელმწიფო - კონკურენციის გარანტი---471
1.3.2. სტატიკურიდან ევოლუციური კონკურენციის პოზიციამდე---472
1.3.3. სტაბილურობის მონეტარული ჩარჩოები მოლოდინის გასამყარებლად---472
1.3.4. „საბაზრო კონფორმიზმი"---473
1.4. ორდოლიბერალიზმი და სოციალური საბაზრო ეკონომიკა---474
1.5. მთავარი თეორეტიკოსი: ვალტერ ოიკენი (1891-1950)---475
1.5.1. ფრაიბურგის სკოლის ლიდერი---475
1.5.2. ფულადი პრობლემებიდან ეკონომიკურ თეორიამდე---475
1.5.3. ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები---477
1.5.3.1. ეკონომიკური საფეხურები---477
1.5.3.2. ეკონომიკური სისტემები---478
1.5.4. ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები---479
1.5.4.1. ძალდაუტანლობის პოლიტიკა---480
1.5.4.2. ექსპერიმენტული პოლიტიკა---480
1.5.4.3. შუალედური პოლიტიკა---481
1.5.4.4. მართვის პრობლემა---481
1.5.5. წელილი---482
2. გზა თავისუფლებისკენ: ფრიდრიხ ჰაიეკი (1899-1992)---483
2.1. ავსტრო-ინგლისელი ნობელიანტი---483
2.2. გზა თავისუფლებისკენ---483
3. ნეოლიბერალური მონეტარული მაკროეკონომიკა: მილტონ ფრიდმანი (1912-2006)---485
3.1. „თვითმარეგულირებელი ფულადი სისტემის" მომხრე---485
3.2. ა.სმითის სულიერი მემკვიდრე - ნობელიანტი---486
3.3. მონეტარული ბერკეტები---487
3.4. წელილი---489
დანართი 1. ფილიპსის მრუდი---490
ლიტერატურა---491
თავი XXIII. ეკონომიკური ზრდის დოქტრინები---494
1. იოზეფ ალოიზ შუმპეტერი (1883-1950)---494

1.1. აესტრიის ფინანსთა მინისტრობიდან ბონისა და პარეარდის უნიეერსიტეტებში ——— 494
1.2. სახელმწიფო რეგულირებით კერძო კაპიტალიზმისკენ ——— 495
1.2.1. ხანგრძლივი დეპრესია ——— 495
1.2.2. ბურჟუაზიის ჩამოყალიბება ——— 496
1.2.3. კრედიტი – სამრეწველო განვითარების ძრავა ——— 496
1.2.4. ზეგავლენა ——— 496
1.2.5. ეკონომიკური ანალიზის ისტორიის წანამძღვრები ——— 497
1.2.6. ფინანსთა მინისტრი სრული სოციალიზაციის მოწინააღმდეგე – სანაციის პროგრამა ——— 498
1.2.7. კომერციული ბანკის პრეზიდენტი და ამ ბანკის საეჭვო გაკოტრება ——— 498
1.3. ეკონომიკური განვითარების თეორია: შემოქმედი მეწარმე ——— 499
1.4. ეკონომიკური ციკლი ——— 500
1.5. განვითარების პროგნოზირება ——— 501
1.7. ისევ მნიშვნელოვანი ფიგურა ——— 501
2. დინამიკური ეკონომიკისკენ: როი **ჰაროდი** (1900-1978) ——— 502
2.1. კეინზური მაკროეკონომიკისა და კლასიკური ტრადიციების მეხამება ——— 502
2.2. ნაშრომები ——— 503
2.3. ეკონომიკური განვითარების მოდელი ——— 503
3. ევსეი **დომარი** (1914-1997) ——— 505
3.1. დოქტრინის ერთ-ერთი ფუძემდებელი ——— 505
3.2. ჰაროდ-დომარის მოდელი ——— 505
4. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური დოქტრინა: რობერტ **სოლოუ** ——— 506
4.1. ვ.ლეონტიევის სტუდენტი, ნობელიანტი ——— 506
4.2. სოლოუს ნეოკლასიკური მოდელი ——— 506
5. „ოქროს წესი“ ——— 508
ლიტერატურა ——— 509
თავი XXIV. კეთილდღეობის ეკონომიკური დოქტრინები ——— 512
1. პრობლემისადმი აქცენტირება: **ჯონ ჰობსონი** (1858-1940) ——— 512
1.1. სამუალო ფენის იდეოლოგი ——— 512
1.2. კლასიკოსთა კრიტიკოსი ——— 513
1.3. წარმოება და მატერიალური კეთილდღეობა ——— 514
1.4. სახელმწიფო სოციალური რეფორმა ——— 514
1.5. საარსებო ღირებულება ——— 515
1.6. კეთილდღეობის კრიტერიუმები ——— 515
2. დანაზოგები და ფასები: ფრენკ **რამსეი** (1903-1930) ——— 516
2.1. ხანმოკლე სიცოცხლე ——— 516
2.2. დანაზოგების წესი ——— 516
3. კეთილდღეობის ამაღლების გზები: აბა **ლერნერი** (1905-1982) ——— 517
3.1. რუსეთიდან ინგლისსა და აშშ-ში ——— 517
3.2. პრაგმატული კოლექტივიზმი ——— 518
4. ფასწარმოქმნის პრობლემები: ჰაროლდ **ჰოტელინგი** (1895-1973) ——— 520
4.1. ჟურნალისტობიდან ეკონომეტრიკოსობამდე ——— 520
4.2. კონკურენციისა და კლებადი რესურსების შესახებ ——— 521
5. კეთილდღეობის კრიტერიუმები: ჯეიმზ **მიდი** (1907-1995) ——— 523
5.1. კეინზელი – ნობელიანტი ——— 523
5.2. გამოყენებითი ეკონომიკის ტრადიციების მიმდეარი ——— 524
5.3. კეთილდღეობის ზოგადი საფუძვლები ——— 525
ლიტერატურა ——— 526
თავი XXV. „მგეგმავების“ დოქტრინები ——— 528
1. „მგეგმავების ხილული ხელი“ ——— 528
2. მაკროეკონომიკა: რაგნარ **ფრიში** (1895-1973) ——— 528
2.1. ეკონომეტრიკის „ნათლია“ ——— 528
2.2. მიკრო-მაკრო დინამიკა და დაგეგმვა ——— 529

3. მაკროდინამიკური ანალიზი: იან **ტინბერგენი** (1903-1994) ---- 532
3.1. ეკონომეტრიკის კიდევ ერთი ნობელიანტი „ნათლია" ---- 532
3.2. მაკროეკონომიკური მოღვაწეობის შესახებ ---- 532
3.3. ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა ---- 533
4. ვასილი **ლეონტიევი** (1906-1999): „დანახარჯები-გამოშვება" ---- 535
4.1. პეტერბურგი – პარვარდი – ნობელიანტი ---- 535
4.2. დარგთაშორისი მოდელი „დანახარჯები-გამოშვება" ---- 536
ლიტერატურა ---- 538
თავი XXVI. ეკონომიკურ-მათემატიკური დოქტრინები ---- 541
1. კელვინის პერეორიენტაცია ---- 541
2. თამაშთა თეორია: ჯონ ფონ **ნეიმანი** (1903-1957) ---- 541
2.1. იანოში და ატომური ბომბი ---- 541
2.2. ნაშრომები, მ.შ. ოსკარ მორგენშტერნთან (1902-1977) ერთად ---- 542
2.3. თამაშთა თეორია ---- 543
2.4. წონასწორობისა და სარგებლიანობის შესახებ - „ნეიმანის მოდელი" ---- 545
3. „წრფივი პროგრამირება": ტიალინგ **კუპმანსი** (1910-1985) ---- 549
3.1. უტრესტიდან ჩიკაგოსა და იელის უნივერსიტეტებში - ნობელიანტი ---- 549
3.2. სამი ნარკვევი ---- 550
3.3. ეკონომეტრიკა ---- 551
3.4. წრფივი პროგრამირება ---- 552
3.5. წარმოების ეფექტიანობა ---- 553
3.6. რეზიუმე ---- 554
4. რესურსების ოპტიმალური განაწილება: ლეონიდ **კანტოროვიჩი** (1912-1986) ---- 555
4.1. ნობელიანტი საბჭოთა კავშირიდან ---- 555
4.2. ოპტიმალური დაგეგმვის მოდელები ---- 555
5. ეროუ-დებრეს წონასწორობა ---- 556
5.1. კენეთ ჯოზეფ **ეროუ** ---- 557
5.1.1. ჰ.პოტელინგის სტუდენტი ---- 557
5.1.2. ძირითადად სამი წიგნი ---- 558
5.1.3. სოციალური არჩევანი ---- 559
5.1.4. კეთილდღეობის დოქტრინა ---- 560
5.2. **ეროუ-დებრეს** წონასწორობა და ჯანდაცვის ეკონომიკა ---- 560
5.3. ჟერარდ **დებრე** (1921-2004) ---- 561
5.3.1. ნობელიანტი: საფრანგეთიდან აშშ-მი ---- 561
5.3.2. კონკურენტული წონასწორობა ---- 562
5.3.3. წელილი ---- 564
ლიტერატურა ---- 564
თავი XXVII. რაციონალური მოლოდინის დოქტრინები (ჯონ მათი, რობერტ ლუკასი) ---- 566
1. ჯონ **მათი** (1930-2005) ---- 566
1.1. ნობელიანტთა სტუდენტი ---- 566
1.2. სამი ნარკვევი ---- 566
2. რობერტ **ლუკასი** ---- 568
2.1. ისტორიიდან ეკონომიკაში ---- 568
2.2. ეკონომიკური ციკლის ანალიზი და მისი კომპონენტები (შემადგენელი ნაწილები) ---- 568
2.2.1. **ლუკას-რაპინგის** მიწოდების ფუნქცია ---- 569
2.2.2. არასრულყოფილი ინფორმაცია ---- 569
2.2.3. რაციონალური მოლოდინი ---- 570
2.3. წელილი ---- 572
ლიტერატურა ---- 572
თავი XXVIII. „ნეოკლასიკური სინთეზი" ---- 574
1. ლოიდ **მეტცლერი** (1913-1980) ---- 574
1.1. პირველი ნაბიჯები ნეოკლასიკური სინთეზისკენ ---- 574
1.2. სიმდიდრე და დანაზოგები ---- 575

2. „დიდი ნეოკლასიკური სინთეზი“: პოლ **სამუელსონი** (1915-2009) ——— 576
2.1. ყველაზე იმედისმომცემი ეკონომისტი ——— 576
2.2.1. ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები ——— 577
2.2. ეკონომიკსი და წრფივი პროგრამირება ——— 578
2.3. სტატიების კრებული ——— 578
2.3.1. ფასის გათანაბრების ფაქტორი ——— 579
2.3.2. **ჰეკშერ-ოლინის** საერთაშორისო ვაჭრობის დოქტრინის განვითარება ——— 580
2.4. თაობათა ცელა ——— 580
2.5. მოსალოდნელი ფასები ——— 581
2.6. წელილი ——— 581
ლიტერატურა ——— 582
თავი XXIX. ფინანსური ბაზრების ანალიზის დოქტრინები ——— 584
1. **ჯეიმს ტობინი** (1918-2002) ——— 584
1.1. ჯ.ლეონტიევის სტუდენტი, პ.სამუელსონის თანაკურსელი ——— 584
1.2. ფინანსური სისტემის ანალიზი ——— 585
2. ფრანკო **მოდილიანი** და მერტონ **მილერი** ——— 588
2.1. ფრანკო მოდილიანი (1918-2003) - იტალიიდან აშშ-მი ——— 588
2.1.1. ნეოკლასიკური და კეინზური დოქტრინების ინტეგრირების მცდელობა ——— 589
2.1.2. „ცხოვრების ციკლი“ ——— 589
2.2. მერტონ **მილერი** (1923-2003) ——— 590
2.3. **მოდილიან-მილერის** (MM) თეორემა ——— 591
3. პორტფელური ინვესტირების მოდელი: გარი **მარკოვიცი** ——— 591
4. ფინანსური აქტივების ფასების ჩამოყალიბება: უილიამ **შარპი** ——— 592
5. მეორეული ფასიანი ქაღალდების შეფასება და ოფციონების ფასწარმოქმნის საკითხები ——— 593
5.1. მაირონ **სკოულზი** ——— 593
5.2. რობერტ **მერტონი** ——— 595
ლიტერატურა ——— 597

დასკვნა ——— 600

შესავალი

არსი და სტრუქტურა. ტერმინი **ეკონომიკა** (ბერძნ. oikonomikē – oikos – სახლი, მეურნეობა და nomos – წესი, კანონი) საოჯახო მეურნეობის გაძღოლის (მართვის) ხელოვნებას ნიშნავს. ეს ტერმინი ანტიკურ ეპოქაში პირველად გამოიყენა ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ქსენოფონტმა, რომელიც მასში მონურ შრომაზე დამყარებული ოჯახური მეურნეობის გაძღოლას გულისხმობდა.

თანამედროვე გაგებით, „ეკონომიკას" სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ეკონომიკა როგორც მეცნიერება სწავლობს, თუ როგორ იყენებენ ადამიანები მათ განკარგულბაში არსებულ შეზღუდულ (ბუნებრივ, შრომით, კაპიტალურ, ინფორმაციულ...) ეკონომიკურ რესურსებს თავიანთი უსაზღვრო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ტერმინი **დოქტრინა** (ლათ. doctrina) ზოგადად, სახელმძღვანელო თეორიული ან პოლიტიკური პრინციპია. **ეკონომიკური დოქტრინა** კი მტკიცებების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური მექანიზმების ანალიზს, ასახავს ფუძემდებლური პრინციპების არჩევის შესაძლებლობას, რომელთა საფუძველზეც ეკონომიკური მეცნიერება უნდა განვითარდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ეკონომიკური დოქტრინების, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ახალ ეკონომიკურ შეხედულებათა მეცნიერული სისტემების წარმოშობისა და განვითარების პროცესები.**

ეკონომიკური დოქტრინების შესწავლისათვის მთავარი საფუძველია მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ძეგლები, მოღვაწეების პირველადი წერილობითი წყაროები, აგრეთვე ის რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც განვითარდა ეკონომიკური მეცნიერება, მსოფლიო თუ ცალკეული ქვეყნის ეკონომიკა.

ეკონომიკური მეცნიერება, ტერმინის ფართო გაგებით, მოიცავს ინტელექტუალური საქმიანობის ერცელ არეალს. მისი საკვლევი ობიექტია ადამიანთა ცხოვრება და ისტორია, კერძოდ, ეკონომიკური ცხოვრება და ისტორია მთელი მათი თავისებურებებითა და სირთულით. მის შინაარსს შეადგენს ყველა ის განსხვავებული იდეა, თვალსაზრისი, შეხედულება თუ დოქტრინა, რაც გამოთქმულია ამ მეცნიერების ირგვლივ. იგი მოიცავს აგრეთვე გონებრივ მოდელებს, რომლებსაც ეკონომიკურ დოქტრინებს უწოდებენ. ამასთან, ეკონომიკის დანიშნულებაა აღნიშნული დოქტრინების შერჩევა იმდაგვარად, რომ ისინი გამოსადეგარი იყოს ეკონომიკური ცხოვრების ახსნისა და რეალური ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ამ ურთიერთგანსხვავებული და თანაბრად მნიშვნელოვანი ელემენტებიდან წინამდებარე წიგნი ირჩევს მხოლოდ ერთს, სახელდობრ ეკონომიკურ დოქტრინებს. მასში განხილული ეკონომისტების აქ მოყვანილი სოციალური, ეკონომიკური, ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებები და დოქტრინები ყველა ამგვარ საგნებზე მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ უპირველესი შუქი მოჰფინეს ეკონომიკური მეცნიერების და პრაქტიკის განვითარებას.

წინამდებარე ნაშრომის შინაარსი **სტრუქტურულად** სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი, „სათავეები – პირველი მეცნიერული სკოლები" (I-IX თავი); მეორე, „მარჟინალიზმის ერა – ნეოკლასიციზმი" (X-XVII თავი); მესამე, „ნეოკლასიციზმიდან დღემდე" (XVIII-XXIX თავი).

პერსპექტივა. ეკონომიკური დოქტრინები კვლევის ანალიტიკური საშუალებების უწყვეტ ანალიზად შეიძლება ჩაითვალოს. განახლებული კვლევის წყალობით, ახალი საშუალებები განუწყვეტლივ ემატება არსებულ „ინვენტარს". იმავდროულად ქრება ძველი საშუალებანი – უმეტეს შემთხვევაში ქრება და დავიწყებას მიეცემა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ხანგრძლივ დროზე არ იყო გათვალისწინებული, ან კიდეც - მცდარი იყო.

ყველაფერი ის, რაც გარკვეული დროისათვის არის აღწერილი, შეიძლება ჩაითვალოს იმ პერიოდის მაგისტრალურ (ძირითად) ეკონომიკად. მაგისტრალური[1] ეკონომიკის შინაარსის

1 მაგისტრალური მთავარს, ძირითადს ნიშნავს.

შესახებ გამოთქმული აზრები გარდაუვალად განსხვავებული იქნება. არ არსებობენ კატეგორიული ავტორიტეტები, რომლებიც შეხედულებათა მხოლოდ ერთადერთობის იდეას იცავენ.

მაგისტრალური ეკონომიკის ძირითადი საზომია ის, თუ პრაქტიკული გამოყენების ან მომავალი კვლევისათვის გამოსადეგარი ანალიზის რა ნაწილია ნაპოვნი. ყოველი დროისათვის მაგისტრალური ეკონომიკა მოიცავს დოქტრინებს, რომლებიც მას დაემატა შედარებით ადრეულ სხვადასხვა პერიოდში. ზოგი მათგანი უფრო ახალი წარმოშობის შეიძლება იყოს, ზოგი კი სათავეს საუკუნეების მიღმა იღებდეს.

წინამდებარე ნაშრომი თავს არიდებს იმის სრულყოფილ გამოკვლევას, თუ რას წარმოადგენდა მაგისტრალური ეკონომიკა წარსულის სხვადასხვა პერიოდში. მასში ვერ ნახავთ მხოლოდ „კლასიკური“, „მარშალის“, „კეინზის“ ან მსგავსი დოქტრინების სინთეზურ ინტერპრეტაციას. მკითხველისათვის იგი ვერ იქნება ვერც მხოლოდ სახელმძღვანელო, რომელიც შეაჯამებდა ყველაფერს, რაც მათ მიუღიათ ადამ სმითის, კარლ მარქსის, ალფრედ მარშალის და პოლ სამუელსონისაგან. ეს ასპექტები ვრცლადაა განხილული ლიტერატურაში და წინამდებარე წიგნის ავტორი არ თვლის, რომ იგი უკეთესად შეუძლია გააკეთოს. ის, რასაც მკითხველი წინამდებარე წიგნიდან შეიტყობს, არის არა ყოველივე ზემოთქმულის სანაცვლო, არამედ გარკვეულწილად მის შემდგომ წასაკითხი მასალა.

წიგნის ჰორიზონტი შედარებით ზომიერია. თანამედროვე მაგისტრალური ეკონომიკა, მთელი თავისი განუსაზღვრელობითა და ნაკლოვანებებით, განხილულია არსებული სტანდარტების შესაბამისად. წარსული სამი საუკუნის ეკონომიკური ლიტერატურა შემდგომში ნაწილ-ნაწილ იქნა შესწავლილი ხელახალი ანალიზით და იგი თანამედროვე მაგისტრალური მეცნიერების შემადგენილი ნაწილი გახდა. ესაა კლასიკოსების მიერ შეტანილი წვლილი.

წარსულის ყველა ლიტერატურა, ზოგჯერ რაოდენ ბრწყინვალე და ცნობილიც არ უნდა ყოფილიყო იგი მაშინ, თანამედროვე მაგისტრალური მეცნიერების ნაწილი არ გახდა.

წარუმატებელი ცდები ხანდახან თუ გამოჩნდება მეცნიერების განვითარებაში. თანამედროვე მაგისტრალური ეკონომიკა, მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, შეიძლება შევადაროთ ნაგებობას. ძველ ქალაქებში ხშირად ვხვდებით შენობებს, რომელთა ნაწილები სხვადასხვა ეპოქით თარიღდება. ასე მაგალითად, ზოგ მათგანს ფოლადისა და მინის ნაკეთობანი დამატებული აქვთ შემდგომ, ზოგს მიშენებული აქვს ფლიგელი, ზოგს – ფასადი ვიქტორიანული სტილით, ზოგს კორპუსი რენესანსის სტილით და მხოლოდ საძირკველი აქვს შუასაუკუნეობრივი. ასეთ შენობებს ნაკლებად ახასიათებს გოთური კათედრალებისა და ბერძნული ტაძრების სიმეტრია, სიფაქიზე და დახვეწილობა. ისინი უწვეულო გეგმით აგებულ უწესრიგო სტრუქტურებს გვანან. იგივე შეიძლება ითქვას დღევანდელი მაგისტრალური ეკონომიკის შესახებაც. წიგნის მიზანია წარმოაჩინოს ის მშენებლები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შენობის აგებაში და ის სამშენებლო აგურები, რომლებიც მათ მოიტანეს.

ამგვარი გაგებით, ისტორია თავიდან უნდა გადაიწეროს ყოველი თაობის მიერ. ყოველ თაობას აქვს თავისი საკუთარი მაგისტრალური ეკონომიკა, რომლის წარმოშობაც, სასურველია აიხსნას. წარსულის ხელნაწერები, რომლებიც დღეს უადგილოდ გამოიყურება, ხვალ შეიძლება მნიშვნელოვან მასალად გადაიქცეს, სხვა ხელნაწერები კი, რომლებიც დღეს მნიშვნელოვანი ჩანს, ხვალ შეიძლება უშინაარსო გახდეს.

ამ მიმართულებით უნდა ითქვას, რომ ის არ აერთიანებს წარსული იდეების მრავალ ზუსტ კრიტიკას. კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიზნად ისახავს გაარკვიოს, ეთვისება თუ არა ანალიზის ნაწილი ცოტა ხნის წინ განხილულ მაგისტრალურ ხაზს. თუ ეს შეთავსება მიღწეულია, მომავალი კრიტიკა მოითხოვს მეცნიერულ სტანდარტს, რომელიც უსწრებს მის დროს. თუ ცდა არაა შეთავსებული, მაშინ ანალიზის ნაწილი არ იმსახურებს პირველ ადგილზე წარმოჩენას. მნიშვნელოვანი კრიტიკა ამგვარად ყალიბდება არა ისტორიოგრაფიის, არამედ თვით ეკონომიკის ისტორიის მიერ.

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური მეცნიერების ისტორია წარმოაჩენს დაგროვილი პროგრესის აღწერის საჭიროებასაც. ყველაფერი ის, რაც დღეს მაგისტრალურ (მთავარ, წამყვან) მეცნიერებად მიიჩნევა, რაღაც დროის შემდეგ აუცილებლად ერთად შეგროვდება. ისტორიკოსმა

უნდა ჩაწეროს ყოველივე, რომ არ მიეცეს დავიწყებას ფასეული ცოდნა. ზოგიერთის შენიშვნით, თანამედროვე მაგისტრალური ეკონომიკა უფრო დაბლა მდგომია, ვიდრე, ვთქვათ, საუკუნის წინა და რომ თანამედროვე მაგისტრალური მეცნიერების სტანდარტები არასრულყოფილია. ამ წიგნის ავტორს ამ მხრივ სრულყოფილობის პრეტენზია არა აქვს. თანამედროვე მაგისტრალური მეცნიერება, მთელი თავისი ხარვეზებით, საუკეთესოა მათ შორის, რაც კი მან იცის და მან ერთნაირად არ იცის ყველაფერი მის შესახებ.

პანთეონის დაკავება. მეცნიერების ისტორია შეიძლება აიგოს ან პიროვნებების ირგვლივ ან პრობლემის ირგვლივ. ორივე პრინციპი თანაბრად კანონიერია. წინამდებარე ნაშრომი აგებულია მეტ-ნაკლებად ორივე პრინციპის გარშემო.

ის, რასაც წინამდებარე წიგნი ესწრაფვის, ეკონომიკური დოქტრინების პანთეონსაც შეიძლება შევადაროთ. ჩვენს წინაშეა ამოცანა, როგორ შევავსოთ პანთეონი. შინაარსი გვეუბნება შემდეგს: მეცნიერების არადოგმატურ და პოლითეისტურ[1] კულტურაში აზრები თითოეული არჩევანის შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება. შესაბამისად, პანთეონში მოთავსდება მთავარი და ნაკლებად მთავარი განსხვავებული ძეგლები. ეს კრიტერიუმი მჭიდროდ უკავშირდება წარმატების პოპულარობას. ისინი, ვისი შრომებიც ფართო წარმატებით სარგებლობდნენ, სახელდებულნი არიან, როგორც გმირები და ალმომჩენნი, ისინი კი, ვინც ყურადღებას არ იპყრობენ, მათ წინამორბედებად რჩებიან. და მაინც, ავტორებს სხვა კრიტერიუმით ერთმანეთისგან განასხვავებდნენ მათ გარშემო ამტყდარი აჟიოტაჟის ხასიათის მიხედვით, ამით ცდილობდნენ გაელვიძებინათ მსოფლიოს ინტერესი მათდამი. წინამდებარე წიგნი ცდილობს დააჯაბოს ზემოთქმული. რეზულტატური მსჯელობის დიდი ნაწილი შეიძლება უკეთესად გამოიყურება, ნაწილი კი შეიძლება ნაკლებდამჯერებელი ჩანდეს. იმედია, ყოველი შემთხვევისათვის, მთლიანობაში, მსჯელობა იქნება გაწონასწორებული და დასაბუთებული.

პერიოდიზაცია. წინაკლასიკური პერიოდის წვლილი იყო სქოლასტიკური (განყენებული) და მერკანტილური ტრადიციების ბუნებრივი თვითგანვითარება. ეს წანამძღვრები მოკლედ მიმოხილულია I-II-ე თავებში. ამ პერიოდის ბოლოდან მოხდა ნაშრომში გადმოცემული განვითარების ბუნებრივი გაგრძელება. ის, საბოლოოდ, იქცევა ისტორიად, მაგრამ მიმდინარე პერიოდში ძნელად და, ალბათ, შეუძლებლადაც ჩანს მისი განხილვა იგივე პერსპექტივით, როგორც ეს რიჩარდ კანტილიონმა და ადამ სმითმა გააკეთეს.

წარმოდგენა, ჩვეულებრივ, იყოფა ეტაპებად, რომელთაც ფარდა განაცალკევებს. ისტორია არ არის წარმოდგენა, იგი უწყვეტ დინებად ვითარდება ფარდებისა და ანტრაქტების (შესვენებების) გარეშე. ნათქვამი ჭეშმარიტებაა აგრეთვე ეკონომიკის ისტორიისათვის. იგი შედგება შეუმჩნეველად ერთიმეორეში გარდამავალი შერეული წვლილის თვალსაჩინო ქაოსური დინებისაგან.

ისტორიკოსებმა ჩვეულებრივ მიიჩნიეს, რომ აუცილებელია ქაოსური დინების წარმოდგენა სპექტაკლად, რომელიც აქტებად და სცენებადაა დაყოფილი. ფაქტობრივად, ისინი უბრალოდ იძულებულნი გახდნენ გაეკეთებინათ ეს, თუ უნდოდათ, რომ ისტორია, გამხდარიყო გასაგები მათი მკითხველებისა და მსმენელებისათვის. ზოგიერთი ეტიკეტი, მით უმეტეს, შეთანხმებული, გამოსადეგია კავშირისათვის. ამგვარად, წინამდებარე წიგნი აგებული იქნება ასეთი ეტიკეტების ირგვლივ. ასე მაგალითად, ეკონომიკური დოქტრინების ისტორია, დაახლოებით 1680 წლიდან მოყოლებული, იყოფა კლასიკურ ერად, მარჟინალისტურ ერად და მოდელური მშენებლობის ერად[2].

თუ რა თავისუფალი მნიშვნელობისაა და რა აზრს ატარებს ეს ეტიკეტები, შეიძლება აიხსნას მათემატიკური მეტაფორის დახმარებით. ისტორია შეიძლება შევადაროთ რიცხვში ციფრების თანამიმდევრობას. ზოგი მტკიცებით, ეს მიმდევრობა სრულიად შემთხვევითია. აინშტაინი შენიშნავდა: „ღმერთი კამათელს აგორებსო“. თუმცა, ნათქვამი შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, იგი ვერ იქნებოდა ნაყოფიერი ჰიპოთეზა, რადგან თავს არიდებს ზოგიერთ ჩხრეკას დე-

1 პოლითეიზმი: ბერძნ. poly – ბევრი და theos – ღმერთი.

2 ვინაიდან „კლასიკური“ ნახმარია „სანიმუშოს“ მნიშვნელობით, ამიტომ ტერმინი „კლასიკური“ აქ მიუთითებს ისტორიულ პერიოდზე.

ტერმინისტური ელემენტებისათვის, რა ფრაგმენტულიც არ უნდა იყვნენ ისინი.

სხვები მეტაფორული გამოთქმით ამტკიცებენ, რომ ისტორია არის რაციონალური რიცხვი, რომლის ციფრები უჩვენებს პერიოდულ რხევებს. ამგვარად, ჰეგელიანელებს სჯერათ, რომ ისტორია ვითარდება აღმავლობის, სტაგნაციისა და კრიზისისაგან შემდგარი ციკლის მიხედვით. ეს იყო კარლ მარქსის შენიშვნა, რომელიც იოზეფ შუმპეტერმა გადაიტანა ეკონომიკის ისტორიაში. თუმცა იგი შეიძლება ნაყოფიერი ჰიპოთეზა იყოს, იგი მოფიქრებულია უფრო მეტად ესთეტიკური საჭიროებისათვის ინტელექტუალური არქიტექტორის მიერ, ვიდრე მეცნიერების დინამიკის ჭეშმარიტების დასადგენად...

ზოგი ცდილობს ისტორია ირაციონალურ[1] რიცხვს შეადაროს, რომელშიც ციფრები ერთმანეთს მისდევს. ისინი ნათლად არიან განსაზღვრული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკლიათ პერიოდულობა და არ შეიძლება სტატისტიკურად გარჩეულ იქნენ შემთხვევითი მიმდევრობისაგან. მტკიცდება, რომ ესაა ყველაზე მეტი საშუალება ისტორიის დასანახად. „ღმერთი აგორებს კამათელს", მაგრამ ძნელებს ჩვენთვის იმის აღმოჩენას, რასაც თვითონ ქმნის. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ეკონომიკის თეორიაში ცალკეული ეტაპები ავტომატურად არ გამოიყოფა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჭეშმარიტებაა ის, რომ მეცნიერული პროგრესის თითოეული იმპულსი, თუნდაც შემთხვევითი, არის შედარებით მცირე ნაწილი ეკონომიკის თეორიის დიდ ფონდში. ეს „ფონდი", ამის გამო, ხშირად უთმობს ყურადღებას ცალკეული პერიოდების დახასიათებებს. გამოუცდელი თვალით დანახული ცოდნის გარკვეული მარაგი აჩვენებს, რომ ეკონომიკა წინ მიიწევდა იმავე ციკლების მიხედვით. ისინი, თუმცა მოუწესრიგებელნი არიან, შეიძლება გამოდგნენ მეცნიერების ისტორიის ფართო ანალიზისათვის. თუმცა, ურთიერთმომდევნო ეპოქებს შორის გამყოფი ხაზების არსებობას დამკვირვებლის თვალი განაპირობებს.

რეალობის და ისტორიის შეგრძნება საბოლოოდ კარგ ეკონომისტს ქმნის. აქ შეკრებილი ნარკვევების ამოცანაა ამ საქმეში თავისი წვლილის შეტანა. გამომდინარე კვლევის თანამედროვე მდგომარეობიდან, მათი საშუალებით მკითხველი თითქმის ყოველგვარი ფორმალური დამატებითი შრომის გარეშე გაეცნობა ეკონომიკის „კლასიკოსთა" ცხოვრებას და ეკონომიკური კვლევების მნიშვნელოვან მიმართულებებს.

ეს ნარკვევები აგრეთვე კარს გაუხსნის ეკონომიკით დაინტერესებულ არასპეციალისტს კარგ საქმეში გასარკვევად და უბიძგებს მას შემდგომი ნაბიჯებისათვის ეკონომიკის მიმზიდველ სამყაროში; სპეციალისტისათვის საინტერესო იქნება შეხედოს თავის გმირებს ადამიანური ცხოვრების მხრიდან. ნაშრომი შედგენილია ისეთნაირად, რომ მასში მოცემულია გარემომცველ გარემოს და თეორიას შორის კავშირები. ეს ისტორიული პორტრეტები მძებნელს კოორდინატული ბადის მაგივრობას გაუწევს, ხოლო გამოცდილს - მიაწვდის იდეებს და შემდგომი კვლევებისათვის წააქეზებს.

კვლევის მასალები კლასიკოსთა შესახებ არის საკამათოც. ზოგიერთი საგნის მცოდნე გაკვირვებას გამოთქვამს იმის თაობაზე, თუ რატომ დაეთმო ადგილი ერთს და უარი ეთქვა მეორეს. კლასიკოსის ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ იმათ, რომლებმაც ისე გაამდიდრეს ჩვენი აზროვნება, რომ მათ გარეშე სამყაროს და მისი წყობის აღქმა იქნებოდა სულ სხვა, რომლებმაც სწორი პასუხები გასცეს ძირითად საკითხებს და ჩვენი ყურადღება მიმართეს მნიშვნელოვან პრობლემებზე ან მისცეს ეკონომისტებს მნიშვნელოვანი ანალიტიკური ინსტრუმენტი მეთოდური იდეოლოგიური იარაღისათვის.

ქვემოთ ჩვენ უფრო მეტ ყურადღებას დავუთმობთ ზოგიერთ იმ კლასიკოსს, რომელთა გათვალისწინება ნაშრომში შეიძლება ნაკლებად გასაგებია.

ქსენოფონტით, პლატონით და არისტოტელეთი იწყება ეკონომიკა როგორც მეცნიერება.

პლატონისა და არისტოტელეს სისტემებმა ისეთი ზეგავლენა მოახდინეს შემდგომი პერიოდის დასავლურ აზროვნებაზე, რომ მათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია გაიგო დღეს არსებული სადისკუსიო საკითხების არსი. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ის ფაქტი, რომ,

1 რიცხვები, რომლებიც არც მთელით და არც რაციონალური წილადებით არ გამოიხატებიან; რაციონალური რიცხვები – მთელი ან წილადი (ან დადებითი, ან უარყოფითი) რიცხვები და ნული.

მაგალითად, ჟან-ჟაკ რუსომ, რომლისაგან სოციალიზმმა ისესხა ზოგიერთი რამ, ბევრი თავისი თეზისი პლატონის „კანონებიდან“ აიღო.

ამას გარდა, ანტიკურმა ფილოსოფოსებმა (რადგან ამ დროს ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა ლაპარაკი დამოუკიდებელ ეკონომიკურ მეცნიერებაზე) მათ წინაშე მომხდარი ეკონომიკური მოვლენები აღწერეს და ისინი ბუნებაზე და საზოგადოების დანიშნულებაზე საკუთარ თვალსაზრისს დაუპირისპირეს. ავტორი ამასთან დაკავშირებით საჭიროდ თვლის განიხილოს თეორიული ეკონომიკური აზროვნების პირველი სტადია, რომელიც შეიძლება აღინიშნოს როგორც მეცნიერების წინამავალი პერიოდი.

პლატონმა როგორც ფილოსოფოსმა მის დიალოგში - „სახელმწიფო“, მოგვცა „იდეალური საზოგადოების“ მონახაზი, ისე, ვითომ მას შეეძლო ხელახლა შეექმნა სამყარო.

არისტოტელე, პლატონის მოწაფე და ოპონენტი, აგრეთვე იდეალურ სახელმწიფოზე ოცნებობდა, მაგრამ, ამაე დროს, აქ ადამიანზე ძალადობას ადგილი არ უნდა ჰქონოდა; ამიტომაც კანონით და კონსტიტუციით დამყარებული წესრიგი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებს. მაგრამ, აგრეთვე არისტოტელესთან რჩება დაძაბულობა მოქალაქის პოლიტიკურ ამოცანებსა და მის კერძო ეკონომიკურ ინტერესებს შორის. თუმცა, არისტოტელე ამიტომაც უარყოფს ისეთ ეკონომიკურ მოვლენებს, როგორიცაა სარგებელი და ფულის კაპიტალად გადაქცევა, მან მაინც შექმნა ეკონომიკური მეცნიერებების ჩამოყალიბების საფუძველი.

არისტოტელემ თავისი ღრმა კვალი დაამჩნია შუა საუკუნეების სქოლასტიკურ აზროვნებას იმ დროის უდიდესი მოაზროვნის, თომა აქვინელის (1225-1274) მეშვეობით. თუ არისტოტელესთან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას პოლისში, თომასთან ლაპარაკია წინააღმდეგობაზე ღვთისნიერ ცხოვრებასა და პირად პასუხისმგებლობაში მყოფ მეურნეობას შორის. თომა მსჯელობს იმაზე, რომ ეკონომისტებს მას შემდეგ აინტერესებთ დღემდე: რა ფასები უნდა მოქმედებდეს საზოგადოებაში წარმოებული პროდუქტებისათვის და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავალი. ამით დასმული კითხვა ეთიკისა და ეკონომიკის თანაფარდობაზე, ამჟამად ისევ მეცნიერული დისკუსიის ცენტრშია, თუმცა თომა – საბოლოოდ, ეთიკური მოტივებიდან გამომდინარე – უარყოფდა სარგებლის აღებას.

არისტოტელეს შედავება პლატონისეული კომუნისტური საკუთრების წინააღმდეგ „ნიკომაქეს ეთიკაში“ ჟღერს შემდეგნაირად: როდესაც ყველასათვის ყველაფერი საერთოა და თუ კოლექტივი პასუხისმგებელია გარკვეული საქმისათვის, მაშინ სინამდვილეში არავინ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას და აუცილებელი საქმე არ კეთდება.

ეს შუა საუკუნეებში იყო ტრადიციული პასუხი კოლექტიური საკუთრების მოთხოვნაზე, როგორც ზოგადად პრინციპზე. თომას **მორის** (1478-1535) როგორც ეკონომისტ- მოაზროვნის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ იმ კუთხით, რომ იგი თავის „უტოპიაში“ იძლევა ისეთი ჩაკეტილი წყობილების მონახაზს, რომელიც აგებულია კოლექტიურ საკუთრებასა და საქონლის უფასო განაწილებაზე. ეს მონახაზი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უტოპიური სოციალიზმისათვის სამაგალითო; მისი უპირატესობაა აგრეთვე ის, რომ სწორედ სოციალისტური მოაზროვნეები იხილავენ მას როგორც თავისუფლების ტენდენციაში მიმართულს. ამ მონახაზის შესწავლიდან მიიღება უფრო მეტი ინფორმაცია შემდგომში რეალურად არსებული სოციალიზმის სტილზე, ვიდრე მეცნიერული სოციალიზმის თხზულებებიდან.

როდესაც ევროპაში ეროვნული სახელმწიფოები შეიქმნა და ხელისუფლების ცენტრალიზება მოხდა, პასუხი ძირითად კითხვებზე უკანა პლანზე გადავიდა. მის მაგივრად ინტერესს იჩენდნენ იმის მიმართ, თუ რა გზით შეიძლება ერის კეთილდღეობის და მისი გადახდისუნარიანობის ამაღლება და ხელმწიფის ხაზინის შევსება. ამიტომაც სასურველი იყო რჩევის მიღება იმის თაობაზე, თუ როგორ და სად შეიძლება ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ მიზნების განსახორციელებლად. ამ შეხედულებების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია ჟან კოლბერი (1619-1683), რომელიც როგორც პასუხისმგებელი მინისტრი, თვითონ აძლევდა რჩევას საკუთარ თავს. იგი არის მერკანტილიზმის წარმომადგენელი. რადგან კოლბერი და მისი თანამედროვენი ფულში სასიცოცხლო ეკონომიკურ ელექსირს ხედავდნენ, ისინი ცდილობდნენ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მანიპულირებით

საქონლის ექსპორტის გაზრდას; მათ სჯეროდათ, რომ ამით შეძლებდნენ მოეხდინათ მსოფლიოში არსებული ფულის თავის ქვეყანაში დაგროვება.

ამ ფონზე ყურადღებას იპყრობს ფეოდალურ საქართველოში გამოთქმული მერკანტილისტური და ფიზიოკრატული შეხედულებები. კერძოდ, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი“, გიორგი ბრწყინვალეს „ხელმწიფის კარის გარიგება“, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ვახტანგ VI-ის „სამართალი“, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“, სულხან-საბა ორბელიანისა და ალ. ამილახვარის შეხედულებები.

ფრანსუა კენემ (1694-1774) მისი ანალიტიკური აღმოჩენის საშუალებით - „ეკონომიკური ცხრილში“ ეკონომიკური ციკლის ციფრული მოდელის და მერკანტილისტური „ჩარევების“ ანტიპროდუქტიულობის ჩვენება შესძლო.

ადამ სმითმა (1723-1790) მერკანტილისტურ სისტემას და ფიზიოკრატიას „ბუნებრივი თავისუფლების სისტემა“ დაუპირისპირა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა როგორც შემდგომი პოლიტიკა, ასევე ეკონომიკური თეორია დღევანდელ დღემდე ჩათვლით. უკვე კ.მარქსმა უწოდა „კლასიკური“ სმითის მიერ შექმნილ და მის მიმდევართა რობერტ მალთუსის (1766-1834), დეივიდ რიკარდოს (1772-1823) და ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873) მიერ ბრიტანეთში და ჟან ბაპტისტ სეის (1767-1834) მიერ კონტინენტზე გადმოღებულ და ძლიერ მოდიფიცირებულ „სისტემას“.

ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად, ამ ეკონომისტებს აერთიანებდათ იმის რწმენა, რომ მათ მიერ დამუშავებული ეკონომიკური თეორიის მეთოდების გამოყენებას დიდი წვლილის შეტანა შეეძლო კაცობრიობის კეთილდღეობაში. მაგალითად, რიკარდო გვაჯადოებს იმით, რომ იგი აბსტრაქტული მოდელებიდან კონკრეტული დასკვნების გამოტანას ახერხებს ეკონომიკისა და ზოგადად საზოგადოებისათვის. რიკარდოს რჩევებს ძირითადად ითვალისწინებდნენ მომავალი მთავრობები, რამაც დიდი ბრიტანეთი შეძლებულ ქვეყნად აქცია.

„ინგლისურ კლასიკას“ ეხმიანებოდა ყველა შემდგომი ეკონომისტი, ანდა ისინი შთაგონებულნი იყვნენ მის მიერ. კარლ მარქსმა (1818-1883), როგორც ეკონომისტმა, „კლასიკოსების“ მოწაფემ შექმნა ზედმეტი ღირებულების დოქტრინა. იგი მას იყენებდა როგორც ანალიტიკურ ხელსაწყოს იმისათვის, რათა აეხსნა კლასობრივი კონფლიქტი კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის და გაეკეთებინა დასკვნა - კრიზისებით მომკულ კაპიტალიზმის გზაზე პროლეტარული რევოლუციისაკენ, რომელშიც იგი უკლასო საზოგადოების ნათებას ხედავდა.

ფრიდრიხ ლისტი (1789-1846) იზრდებოდა ინგლისელ კლასიკოსთა დოქტრინებზე, თავისუფალ ვაჭრობას ყველა ერის კეთილდღეობის მისაღწევ საუკეთესო გზად განიხილავდა. იგი ამავე დროს ნაკლებად ითვალისწინებდა ახალგაზრდა ერის განვითარების შესაძლებლობებს, თუ მას მიეცემოდა დრო მომწიფებისათვის და დროებით დაიცავდნენ საზღვარგარეთული კონკურენციისაგან. ის, რასაც ლისტი გვთავაზობდა, იყო არა ზოგადი ანალიტიკური განმარტებანი, არამედ მისი ზრუნვა გერმანელ ერზე, რომელსაც იგი უძლურს და დანაწევრიანებულს ხედავდა და რომელიც იმის გამო, რომ მას საზღვაო ტრანსპორტი აკლდა, მრავალი საბაჟო ზღუდეების გამო კონკურენტული სატრანსპორტო საშუალებას – რკინიგზის განვითარებას მოითხოვდა. ამის შემდეგ იგი მის მიერ დასახული გეგმის გულმოდგინედ განხორციელებას შეუდგა, წარმოადგინა პროექტები და ხელი შეუწყო მათ ხორცშესხმას. გერმანული საბაჟო კავშირი და გერმანიის სწრაფი ათვისება სატრანსპორტო საშუალებებით რკინიგზების მშენებლობის საფუძველზე – წინაპირობა ინდუსტრიალიზაციისათვის – ძირითადად მის დამსახურებას წარმოადგენდა. მაგრამ მას იშვიათად თუ დაუფასებდნენ დამსახურებას.

გერმანელ იოჰან ჰაინრიხ ფონ ტიუნენში (1783-1850) ჩვენ ამის საპირისპიროს ვხედავთ. ტიუნენმა დაამუშავა ინსტრუმენტი, რომელსაც ინგლისელი კლასიკოსები მხოლოდ საკამათოდ იყენებდნენ. მას „მარჟინალური ანალიზის ღსტატი“ უწოდეს. „იზოლირებული სახელმწიფოს“ სახით მან მოგვცა მოდელი, რომლის წარმატება დამტკიცდა მრავალ მიმართულებაში – განსაკუთრებით რეგიონების კვლევასა და დემოგრაფიაში.

ფრიად საყურადღებოა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

საქართველოში ილია ჭავჭავაძისა (1834-1907) და ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) მოსაზრებები „ეროვნული ეკონომიკის“ დოქტრინის ცალკეული ასპექტების შესახებ.

ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში აღმოჩენას წარმოადგენდა ანტუან აუგუსტინ კურნო (1801-1877), რომელმაც იმდენად გაამდიდრა კვლევის ანალიტიკური აპარატი, რომ ეკონომისტებს თითქმის ორმოცდაათი წელი დასჭირდათ იმის დასადგენად, თუ რა შექმნა კურნომ ფასების თეორიაში.

ვიდრე ჯერ კიდევ დაიწყებოდა დავა ლეონ ვალრასს (1834-1910), უილიამ სტენლი ჯევონსს (1835-1882) და კარლ მენგერს (1940-1921) შორის პირველი აღმომჩენის უფლების თაობაზე „სუბიექტური ღირებულების დოქტრინის“ დამუშავების საკითხში, აღმოაჩინეს ჰერმან ჰაინრიხ გოსენის (1810-1858) წიგნი, რომელშიც ნაწილობრივად მაინც ასახული იყო ის, რასაც ასახავდა ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინა. მაგრამ ეს დოქტრინა მაინც უფრო ნაკლებად რევოლუციური იყო, ვიდრე ამას მისი შემქმნელები თვლიდნენ. იგი იყო ნაწილობრივად უფრო ადრე ასახული კურნოს, ტიუნენის და სხვა ეკონომისტების მიერ.

ჩვენც დღესდღეობით ვაფასებთ ამ „კლასიკოსებს“ სხვა გარემოებების გამო; ასე მაგალითად, ვალრასის „ზოგადი წონასწორობის მოდელი“ თანამედროვე წონასწორობის თეორიის ბაზისს წარმოადგენს. ამ მიმზიდველი დოქტრინის განვითარება-გამოყენებისათვის მინიჭებულია ეკონომიკაში რამდენიმე ნობელის პრემია; კლასიკურ-ლიბერალური დერეგულირების მოძრაობა ინგლისში და აშშ-ში ეყრდნობა „ავსტრიელ ეკონომისტებს“, პირველ რიგში ლუდვიგ ფონ მიზესს (1881-1973). მარშალი ამბობდა ჯევონსზე, რომ იგი ჯევონსის ნაშრომებში უფრო მეტ კონსტრუქციულს პოულობდა, ვიდრე ნებისმიერ სხვაში, რაც კი შექმნილი იყო ბოლო ასი წლის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით დ.რიკარდოს.

გუსტავ ფონ შმოლერი (1838-1917) და კარლ მენგერი მეთოდურ საკითხებში ერთმანეთის გვერდით დგანან. ურთიერთპოლემიკით მათ ერთმანეთს ვერაფერი შემატეს. გუსტავ ფ.შმოლერს და გერმანულ ისტორიულ სკოლას თეორიის იგნორირებას აბრალებდნენ. ზოგიერთი მოსაზრებით, სწორედ შმოლერი იყო პასუხისმგებელი იმისათვისაც კი, რომ გერმანულმა მეცნიერებამ საერთაშორისო განვითარებასთან კავშირი დაკარგა. მან ლუი ბრენტანოსა და სხვებთან ერთად ჩამოაყალიბა „სოციალპოლიტიკის კავშირი“ (1872), რომელმაც მრავალმხრივი პუბლიცისტური მოღვაწეობა გააჩაღა და სოციალურ კანონმდებლობაზე დიდი ზეგავლენა იქონია.

ალფრედ მარშალიც (1842-1924) კი აფასებდა ისტორიული სკოლის კვლევების შედეგებს. მისი მთავარი შრომა არის ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, მან ისრები „ზუსტი მეცნიერებისაკენ“ მიმართა. თუ დიდი პოლიტეკონომიური ნაშრომების ტრადიციული სათაური მანამდე ყოველთვის ჟღერდა როგორც „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, მარშალის შემდეგ იგი ჟღერს როგორც „ეკონომიკის პრინციპები“ ან „ეკონომიკსი“. ტერმინი „ნეოკლასიკა“ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ენაზე, მიანიშნებს სმითისა და რიკარდოს თეორიის თავისებურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, მარშალის მიერ ძირითადად ჩამოყალიბებული ანალიტიკური კვლევა ეყრდნობა ტ.ვებლენს, რომელმაც ამით აღნიშნა მარშალი როგორც ინგლისელ კლასიკოსთა პოზიციებზე მდგომი მეცნიერი (ჯევონსისაგან განსხვავებით), რომელიც ამ სკოლასთან კავშირის გაწყვეტას ცდილობდა.

ვილფრედო პარეტო (1848-1921), ვალრასის მიმდევარი ლოზანის უნივერსიტეტის კათედრაზე, ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ციტირებული ეკონომისტია. ცნება „პარეტოს ოპტიმუმი“ გვხვდება მრავალ მეცნიერულ ნაშრომში იმისათვის, რათა მოცემულ კონტექსტში ეკონომიკური მდგომარეობების ურთიერთშედარება მოვახდინოთ. პარეტომ დაწერა ფუძემდებლური შრომები სოციალური სისტემის ფუნქციონირების შესახებ, მაგრამ იგი სოციალისტი არ იყო.

ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, რომ დამკვიდრებული კლასიკური დოქტრინა ვერ იძლეოდა ბაზისს დამაკმაყოფილებელი პასუხებისათვის ფასთა სტრუქტურის, ხელფასის დონისა და კაპიტალის შემოსავლის შესახებ. ეს იყო მნიშვნელოვანი იმპულსი ახალი თეორიული მიდგომების დამუშავებისათვის მე-19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში. ბემ-ბავერკის (1851-1914) დამსახურებაა ის, რომ მან მოგვცა ხელფასის დონის, მეწარმის მოგების დონის და კაპიტალის

შემოსავლის განსაზღვრა. მის მიერ ეკონომიკური ფენომენების დანახვა არის დღეს საზოგადოდ მიღებული სარგებლის და კაპიტალის თეორიის ბაზისი.

ბემ-ბავერკის კაპიტალის თეორიამ მოაჯადოვა კნუტ ვიკსელი (1851-1926). ვიკსელი მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში იყო დასაქმებული ამ თეორიის გარჩევით და საფუძვლად დაუდო კონიუნქტურის საკუთარ თეორიას. მან დაამუშავა „ბუნებრივ სარგებელსა" და „ფულად სარგებელს" შორის ურთიერთობანი. კეინზის მიერ კონიუნქტურის განმარტება შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ვიკსელის პროცესის სპეციალური შემთხვევა: კეინზთან „ბუნებრივი სარგებელი" მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი შეგუების პროცესების საფუძველზე უკვე ვეღარ აღემატება „ფულად სარგებელს" და ძლიერ აღმავლობას ამიტომაც აღარ აქვს ადგილი. ვიკსელმა აგრეთვე თანამედროვე ფინანსურ მეცნიერებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა; ამიტომაა, რომ ამერიკელმა ეკონომისტმა ჯეიმზ ბიუკენენმა (1987) ნობელის პრემიის მიღების დროს წარმოთქმული თავისი მოხსენების ნაწილი ვიკსელს დაუთმო.

აგრეთვე ირვინგ ფიშერიც (1867-1947) ეყრდნობა ბემ-ბავერკს; ფიშერმა ნათლად წარმოგვიდგინა ის, რითაც დასაქმებული იყო ბემ-ბავერკი. თავისი ფუნდამენტური შრომებით ირვინგ ფიშერმა ღრმა კვალი დატოვა ფულის თეორიაში.

არტურ სესილ პიგუ (1877-1954) როგორც მარშალის მიმდევარი მის კათედრაზე, ინგლისური ნეოკლასიკისა და მარშალის მიერ დაარსებული „კემბრიჯის ისტორიული სკოლის" წამყვანი ფიგურა გახდა. პიგუ ითვლება ტრადიციის საყრდენად, რომელიც სიმბოლიზებულია გამოთქმით: „ყველაფერი მარშალშია".

პიგუ იხილავდა კეინზის „ზოგად თეორიას" არა მხოლოდ როგორც მეცნიერულ გამოწვევას; იგი თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდა კეინზს. მოგვიანებით პიგუ შეურიგდა კეინზს და მის „ზოგად თეორიას". დღეს უმუშევრობის „კლასიკური" თეორია, რომელსაც პიგუ წარმოადგენდა, ისევე წინა პლანზე წამოიწია.

გასული საუკუნის ეკონომიკური დისკუსია იმყოფებოდა განუყრელი წყვილის დომინირების გავლენაში. ესენი არიან იოზეფ შუმპეტერი (1883-1950) და მასზე ოთხი თვით უმცროსი ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1945). ორივემ მსგავსი ცხოვრების გზა გაიარა, მაგრამ იმ დროს, როცა ერთი, კერძოდ, კეინზი, მუდამ ბრწყინავდა, მეორემ - შუმპეტერმა, მწარე მარცხები განიცადა, მათ შორის მეცნიერებაშიც, რადგან სწორედ შუმპეტერის უნიჭიერეს მოწაფეებს იზიდავდა კეინზი. დროთა განმავლობაში გვეჩვენებოდა, რომ კეინზის შუქში შუმპეტერი იჩრდილებოდა, მაგრამ შუმპეტერი მაღალი ალბათობით წამყვან ეკონომისტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ი.შუმპეტერმა, რომელიც პრაქტიკულად არ შეიძლება განვიხილოთ რომელიმე მეცნიერის მოწაფედ, გააერთიანა და ჩართო მარქსის, ბემ-ბავერკის, ვიზერის – ვენის სკოლის სხვა დიდი წარმომადგენლის და აგრეთვე პარეტოს უმნიშვნელოვანესი დასკვნები თავის „ეკონომიკური განვითარების თეორიაში" (1911). ეს ნაშრომი განიხილავს საკითხს, თუ რა ამოძრავებს კაპიტალისტურ სისტემას და რა აკანონებს მას: „შემოქმედი მეწარმე" და „კრედიტი", აგრეთვე „ახალი პოლიტიკური ეკონომია", რომელიც აანალიზებს პოლიტიკას ეკონომიკური პერსპექტივის პოზიციიდან, მას უნდა უმადლოდეს გადამწყვეტი იმპულსისათვის შუმპეტერი საკუთარი საგნის ისტორიის მემატიანე არის არაუკანასკნელ რიგში.

მისმა მეწყვილე ჯ.მ.კეინზმა, დიდი ზეგავლენა მოახდინა პოლიტიკურ პრაქტიკაზე და იმეფა მეცნიერებაში ისე, როგორც ამას ახერხებდნენ მხოლოდ რჩეულნი, სმითის და მარქსის, შეიძლება კიდევ რიკარდოს მსგავსად. მისი „ზოგადი თეორია" (1936) შეიძლება შევადაროთ, როგორც მეცნიერული რევოლუცია, რაც ნათლად სჩანს, თუ ჩვენ განვიხილავთ ტექსტებს წიგნებში, რომლებიც გამოცემულია კეინზამდე და მის შემდეგ. კეინზის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართვა ასე ჟღერს: რადგან საწყისი პირობები ეკონომიკური საქმიანობისათვის ძირფესვიანად შეიცვალა (ინვესტიციებისადმი მიდრეკილება, მზადყოფნა მოხმარებისათვის, პროფკავშირული ურთიერთობები...), სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსახიერება უშუალოდ პასუხისმგებელია ერის დასაქმების მიღწევაზე.

ნეოლიბერალი ვალტერ ოიკენი (1891-1950), საერთაშორისო თვალსაზრისით ყველაზე

ნაკლებად ცნობილი კლასიკოსია; იგი, ალბათ, დარჩება ასეთად, რადგან ის, რითაც მან მიაღწია დაფასებას, კერძოდ, ეკონომიკური წესრიგის თეორიისა და პოლიტიკის დამუშავება, რომელიც არის სპეციფიკურად გერმანული და თვით ცნება „წესრიგის პოლიტიკა“ ზუსტად არ ითარგმნება. ამიტომაც ოიკენის ნაშრომების მიმზიდველობა თარგმანებში იკარგება. მაგრამ თუ ჩვენ ვართ იმ აზრისა, რომ ეკონომიკის და საზოგადოების წესრიგი ისე, როგორც ის კრისტალიზებულია დროთა განმავლობაში, წარმოადგენს არა ყველა შესაძლებელი სამყაროთაგან საუკეთესოს, არამედ, რომ ის აუცილებლად სახელმწიფო ფორმისათვის მისაწვდომია და აქვს ამ ფორმის მოთხოვნილება, მაშინ ეკონომიკამ უნდა მიგვანიშნოს, თუ რა ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას. ოიკენის აზრები მიმართულია სახელმწიფო, კერძო-სამეურნეო და პროფკავშირული ძალაუფლებისათვის მიზანშეწონილი ზღურბლის აგების საკითხების გარშემო. მისი ცნობილი „პრინციპები“ — თავისუფალი მეწარმეობის გარანტიები, ერთი მხრივ და „მარეგულირებელი პრინციპები“ მეორე მხრივ, ბაზრისადმი კონფორმული სახელმწიფო ჩარევების საშუალებით ამგვარ წესრიგს ქმედითად აქცევენ.

ამჯერად, ნაშრომის გარკვეული ნაწილის მიმოხილვას ძირითადად ვამთავრებთ. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში საკმაოდ ერცელ ანალიზს იხილავთ სხვა, საყოველთაოდ ცნობილი ისეთი ეკონომიკური დოქტრინებისას, როგორიცაა: ნეოლიბერალიზმი (ფრიდმანი, ჰაიეკი), ინსტიტუციონალიზმი (ვებლენი, კომონსი, მიტჩელი, ჯ.გელბრეითი, დ.ბელი, გ.მიურდალი, რ.კოუზი, ჯ.ბიუკენენი...), ეკონომეტრიკა (რ.ფრიში, ი.ტინბერგენი, ვ.ლეონტიევი, ჯ.ნეიმანი, ტ.კუპმანსი, ეროუ, დებრე, ჰ.ჰოტელინგი...), „ნეოკლასიკური სინთეზი“ (ჯ.ჰიკსი, ლ.მეტცლერი, პ.სამუელსონი...), ფინანსური ბაზრების ანალიზის დოქტრინები (ფ.მოდილიანი, ჯ.ტობინი, მ.მილერი, გ.მარკოვიცი, უ.შარპი, მ.სკოულზი, რ.მერტონი...)...

ნაწილი პირველი.
სათავეები — პირველი მეცნიერული სკოლები

თავი I.
ეკონომიკა კაპიტალიზმამდელი ეპოქის ცნობიერებაში

კაცობრიობის ისტორიაში მონობაზე დამყარებული საზოგადოებრივი სისტემა ძვ. წ-ით IV-III ათასწლეულების მიჯნაზე აღმოცენდა და არსებობდა ახ. წელთაღრიცხვის მე-3-5 საუკუნეებამდე. იგი წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას ემყარებოდა.

მონობა პირველად აზიისა და აფრიკის ქვეყნებში პირველყოფილი თემური ცხოვრების წესის დაშლის შედეგად წარმოიშვა და განვითარების უმაღლეს დონეს ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში მიაღწია.

მონობა ექსპლუატაციის უძველესი ფორმაა. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე შესაძლებელი გახდა ადამიანთა ერთ ნაწილს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა სხვისი სამუშაო ძალა.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში მონა მოკლებული იყო ადამიანურ უფლებებს, მონათმფლობელის უფლება მონაზე კი შეუზღუდავი იყო. მონების შეძენის მნიშვნელოვანი წყარო ომები იყო.

მონათმფლობელური წარმოების წესის აღმოცენებით დამკვიდრდა ახალი ეკონომიკური ურთიერთობანი და მწარმოებლურმა ძალებმა განვითარების უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია. ამით შესაძლებელი გახდა შრომის დანაწილების ფართო მასშტაბებით გამოყენება და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობისათვის ნიადაგი მომზადდა.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები აისახა ეკონომიკურ შეხედულებებში. მონურ შრომაზე დამყარებული საზოგადოების აღმოცენებამ დღის წესრიგში ამ საზოგადოების დაცვის ამოცანები დააყენა.

ამ პერიოდის ეკონომიკური აზრის <u>ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა მონათმფლობელური ნატურალური მეურნეობის დაცვა</u> და ამ პოზიციებიდან საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განხილვა.

1. ძველი აღმოსავლეთი

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში პირველყოფილი თემური წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური წარმოების წესის აღმოცენების პერიოდში ეკონომიკური შეხედულებანი მწვავე წინააღმდეგობათა პროცესში ყალიბდებოდა.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში მონათმფლობელური წარმოების წესი მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა მონების ექსპლუატაციას. ამასთან, <u>აქ ხანგრძლივად იარსება გლეხურმა თემმა</u>, რომელმაც დიდხანს შეინარჩუნა წამყვანი პოზიციები სოფლად. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს როლს ეკონომიკურ ცხოვრებაში: სახელმწიფოს ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა საირიგაციო მშენებლობები, ხორციელდებოდა ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლი, ფართოდ განვითარდა სახელმწიფო მიწათმფლობელობა.

ძველი აღმოსავლური საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება ძირითადად ნატურალური ხასიათისა იყო, თუმცა, საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი მაინც განვითარდა, რომელმაც, საბოლოო

ანგარიშით, ნატურალური მეურნეობის მსხვრევა განაპირობა. განვითარების ასეთი პროცესები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური აზროვნების ისტორიაშიც თავისებურად აისახა.

ეკონომიკური აზრის ჩამოყალიბება ადრეული პერიოდიდან – ტიგროსისა და ევფრატის აუზის ტერიტორიებზე წარმოშობილ სახელმწიფოებსა (დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ) და ეგვიპტეში (3 ათასი წლის წინათ) იწყება. მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულ ეკონომიკურ ძეგლებს შორის ერთ-ერთი უძველესია ეგვიპტეში ძვ. წ-ით 22-ე საუკუნეში შექმნილი **„გერაკლეოპოლის მეფის დარიგებანი თავისი ვაჟის მერიკარისადმი“**[1]. მასში გადმოცემულია რჩევა-დარიგებანი მართვის აპარატის ეფექტიანად ფუნქციონირების საკითხებზე. ეშნუნის სამეფოს (ტიგროსისა და ევფრატის აუზში) კანონთა კრებულში (ძვ. წ-ით მე-20 ს.) დაცულია მონათმფლობელური საკუთრება და მონობის აუცილებლობა. ეშნუნის კანონები იწონებს მაღალ ფასებს ძირითად პროდუქტებზე: ზეთზე, პურზე, მარილზე, თაფლზე და სხვ. კანონთა შემდგენლების მიერ გაცვლის საყოველთაო ეკვივალენტად ვერცხლია გამოყენებული და სარგებლის განაკვეთი განსაზღვრულია 20%-ით. აღნიშნული ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი სასაქონლურ-ფულადი ურთიერთობების შესახებ[2].

1.1. ბაბილონი: „ჰამურაბის კანონთა კრებული“

ბაბილონის მეფის **ჰამურაბის** (ძვ. წ-ით 1792-1750 წწ.) **„კანონთა კრებული“** (აღმოჩენილია 1901 წელს, სუზაში, საფრანგეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ) ძველი აღმოსავლეთის ეკონომიკური აზროვნების მწვერვალია.

„კანონთა კრებული“ თავისებური რეაქციაა მონათმფლობელური რეჟიმის წინააღმდეგობებზე. იგი შედგება: შესავლის, ძირითადი ნაწილისა (282 მუხლი) და დასკვნისაგან.

„კრებული“ იცავს კერძო საკუთრების მარადიულობას, ამართლებს მონობას და მონებს მონათმფლობელთა ქონებასთან ათანაბრებს. „კრებულის“ მე-16 მუხლით, გათვალისწინებულია გაქცეული მონისა და მისი დამმალავის სიკვდილით დასჯა: „თუ ვინმე დამალავს თავის სახლში სასახლის ან მუშკენუს კუთვნილ გაქცეულ მონას და არ გადასცემს მას ნაგირუს[3] მოთხოვნისთანავე, უნდა დაისაჯოს სიკვდილით“[4].

გაქცეული მონის მონახვის, დაჭერისა და დაბრუნებისათვის გათვალისწინებული იყო 2 სიკილა[5] ვერცხლი: „თუ ვინმე დაიჭერს მინდორში გაქცეულ მონას ან მძევალს, – აღნიშნულია კანონთა კრებულის მე-17 მუხლში, – მიუყვანს მას მის პატრონს, პატრონმა უნდა მისცეს მას ორი სიკილა ვერცხლი“[6].

ჰამურაბის კანონების მიხედვით, მონობის ერთ-ერთი წყარო სავალო ვალდებულება იყო. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება ჰქონდა მონად ემუშავებინა მოვალე ან მისი ოჯახის წევრი. ყურადღებას იპყრობს ჰამურაბის კანონების ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მოვალის სავალო კაბალისაგან დაცვას სავალო მონობის სამწლიან ვადამდე შემცირებით: „თუ ვინმე, ვისაც ვალი აქვს, გაყიდის ფულში ან მისცემს სავალო კაბალაში თავის ცოლს, თავის შვილს, ან თავის ქალს, ისინი ვალდებული არიან იმსახურონ მათი მყიდველისა თუ კრედიტორის ოჯახში მხოლოდ სამი წელი და მეოთხე წელს მათ თავისუფლება უნდა მიენიჭოთ“[7].

კანონთა კრებული იცავს მსხვილ მიწათმფლობელებს. როგორც ირკვევა, იმ დროისათვის მიწები იყოფოდა: **მეფის, გარეეკონომიკურ იძულებით მომუშავე მიწათმოქმედებზე გადაცემულ** და **მეფის სამსახურში მყოფ მეომრებზე გადაცემულ მიწებად**. კანონთა კრებულში განსაკუთრებული აქცენტირება ამ უკანასკნელებზეა გამახვილებული. კრედიტორი ვერ მიითვისებდა მეომრებზე 6-დან 15 ჰა-მდე გადაცემულ მიწებს. იგი ვერც ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდებოდა. კანონთა კრებულის 29-ე

1 Хрестоматия по истории Древнего Востока, ч.I, М., 1980, გვ.90.

2 Древнекитайская философия, ტ. I, М., 1972, გვ.57-58.

3 პირი, რომელიც დაახლოებით იგივე ფუნქციებს ასრულებდა, რასაც სოფლის მამასახლისი.

4 ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, თბ., 1934, გვ. 28.

5 ბაბილონური ვერცხლის ფულის ერთეული, რომელიც იწონიდა 8 გ 416 მგ.

6 ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, თბ., 193, გვ. 28.

7 იქვე. გვ. 44.

მუხლის მიხედვით, თუკი ტყვედჩავარდნილ მეომარს მიწის ნაკვეთის გამოსასყიდი სახსრები არ ექნებოდა, მაშინ ამ თანხას გაიღებდა თემი ან სასახლე. ასეთი ნაკვეთები მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიცემოდა, თუ მეომრის ვაჟიშვილი სამხედრო სამსახურს შეძლებდა, ხოლო თუ მეომრის ვაჟი მცირეწლოვანი იყო, მაშინ დედას უნდა შეესრულებინა მეუღლის ვალდებულებანი.

კანონით, მეფის მოსამსახურეებს შეეძლოთ მიწების შესყიდვა: „ნუთუ შეიძლება მუდმივი მინდვრის წართმევა? გაარჩიე ეს საქმე!“ — იტყობინება მოხელისადმი გაგზავნილი ჰამურაბის ერთ-ერთი წერილი. როგორც კანონთა კრებულიდან ირკვევა, ძველ ბაბილონურ ხანაში, გარდა სახელმწიფო მიწებისა, ყოფილა **სატაძრო** და **სათემო** მიწები, რომელთა შესახებაც მასში, სამწუხაროდ, ძალზე მკრთალადაა მინიშნებული.

ჰამურაბის კანონები იწონებს მიწის იჯარით დამუშავების წესს და განსაზღვრავს **იჯარის ქირის** რაოდენობას — ბაღების დამუშავებისას მოსავლის 2/3-ით, ხოლო სახნავ-სათესისა და ყამირის გატეხვისას — 1/3-ით (65-ე მუხლი). ამასთან, თუკი მებაღის მიზეზით შემცირდებოდა მოსავლიანობა, იგი, მესაკუთრისათვის სტაბილური შემოსავლის უზრუნველყოფის მიზნით, მაინც ვალდებული იყო გადაეხადა დაწესებული იჯარის ქირა. კანონთა კრებულის 48-ე მუხლის თანახმად კი, მოვალე გადასახადისაგან თავისუფლდებოდა, თუკი ნაკვეთის მოუსავლიანობას სტიქიური უბედურება განაპირობებდა: „თუ ვინმეს ექნება პროცენტიანი ვალი, ხოლო რამანი წალეკავს მის მინდორს, ან წყალდიდობა წაიღებს მოსავალს, ანდა გვალვის გამო მინდორში პური არ გაიზრდება, მაშინ იგი ვალდებული არ არის დაუბრუნოს ამ წელს პური მევალეს და ჩარეცხს თავის საბუთებს, იგი ვალდებული არაა მისცეს ამ წლის პროცენტი“[1].

შუამდინარეთში არსებული ბუნებრივი გარემოს პირობებში, მორწყვის გარეშე, მიწა შემოსავალს ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფდა. წყლისა და სარწყავი სისტემის მსხვილ მესაკუთრეს მეფე წარმოადგენდა, თემი კი ვალდებული იყო მისთვის გადაეხადა **გადასახადი წყლის სარგებლობისათვის.** გარდა ამისა, თემის წევრს მონაწილეობა უნდა მიეღო სარწყავი სისტემისა და საირიგაციო ნაგებობების მშენებლობაში, ე.ი. მას ორმხრივი ვალდებულება ეკისრებოდა თემისა და მეფის წინაშე. ეს კი ძველი ბაბილონური ეპოქის დამახასიათებელი თავისებურება იყო, რომელიც აისახა ჰამურაბის კანონთა კრებულში.

ჰამურაბის კანონებით **ნებადართულია დაქირავებული შრომის გამოყენება, დაწესებულია მუშახელის ფულადი ანაზღაურების ნორმა.** იმ პერიოდში დაქირავებულ მუშაკს წელიწადში (სამუშაო დღეების რაოდენობა თვეში დაახლოებით 20 დღეს შეადგენდა) 6-7 სიკილა ვერცხლს უხდიდნენ, კანონების მიხედვით კი იგი 10-11-მდე უნდა გადიდებულიყო.

კანონთა კრებულის მიხედვით, **ვაჭრობა** (მათ შორის მონებით) **ნორმალურ მოვლენადაა აღიარებული.** ბაბილონის ბაზარი იმ პერიოდში ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, სადაც **ღირებულების საზომად ძირითადად ვერცხლი გამოიყენებოდა.** კანონებით **სესხის 20%-იანი განაკვეთია დადგენილი,** რაც ბრუნვაში მყოფი ვერცხლის დიდი რაოდენობით არსებობაზე მიუთითებს.

ამრიგად, ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონთა კრებული ადასტურებს მონათმფლობელური ურთიერთობების ფართოდ განვითარებას და იმასაც, რომ ფეხს იკიდებდა საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი, რომელიც მონათმფლობელური ნატურალური მეურნეობის რღვევას განაპირობებდა. ამ პროცესის შეჩერება კი ჰამურაბის რეფორმებს აღარ შეეძლო.

12. ჩინეთი

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ეკონომიკურმა აზროვნებამ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს ჩინეთში მიაღწია. აქ ძვ. წ-ით I ათასწლეულში, უკვე მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება მაღალ დონეზე იყო: აწარმოებდნენ ფაიფურს, დენთს, იყენებდნენ ქაღალდს, რკინის იარაღს, განვითარდა მებრეშეობა, საქონლურ-ფულადი ურთიერთობანი... ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა ჩინური ეკონომიკური აზრის განვითარებაზე. შემთხვევითი როდია, რომ ჩინეთი ბევრი ეკონომიკური იდეის სამშობლოდაც მოიხსენიება.

1 ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, გვ. 35.

1.2.1. კონფუცი

ძვ. წ-ით IV-III საუკუნეებში ძველ ჩინეთში ჩამოყალიბებული ეკონომიკური აზრის ცალკეულ სკოლებს შორის გამოირჩეოდა **კონფუციანელობა**. მისი იდეოლოგიური ფუძემდებელია **კონფუცი** ანუ **კუნცზი** (დაახლ. ძვ. წ-ით 551-479 წწ.). კონფუციმ, რომელიც დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა, თავისი დოქტრინა გადმოსცა საუბრების სახით, რაც მისი მოწაფეების მიერ ჩაწერილი და გადმოცემულ იქნა კრებულის „ლუნ-იუის" („საუბრები და მსჯელობანი") სახით.

კონფუცი, ერთი მხრივ, იცავდა საზოგადოების პრივილეგირებული ფენების ინტერესებს, მეორე მხრივ, პროპაგანდას უწევდა ძველი, პატრიარქალურ-თემური ურთიერთობების აღდგენას. იგი წინააღმდეგი არ იყო მონობის და მოითხოვდა ყოველ ადამიანს საზოგადოებაში თავისი ფუნქციები ჰქონოდა: „ხელმწიფე ხელმწიფედ უნდა იყოს, ქვეშევრდომი – ქვეშევრდომად, მამა – მამად, შვილი – შვილად".

კონფუცი იცავდა მონათმფლობელურ სისტემას და პირველად განავითარა ჩინეთში **„ბუნებრივი უფლებების" დოქტრინა**, რომლის თანახმადაც ღმერთი სამყაროს მხოლოდ შემქმნელია, მაგრამ იგი არ ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში, რომლებიც სამოქალაქო კანონებითაა დაცული. იგი სრულიად ბუნებრივად თვლიდა საზოგადოებაში **ადამიანთა დაყოფას გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებად** და ამას იგი ღმერთისა და ბუნების დაწესებულად აცხადებდა.

კონფუცი **მოითხოვდა ზომიერების დაცვას მოხმარებაში და წინააღმდეგი იყო სიმდიდრის იმ რაოდენობით დაგროვებისა**, რომელსაც ხალხისათვის ზიანი მოაქვს. იგი **მოითხოვდა სიმდიდრის თანაბრად განაწილებას და განასხვავებდა კოლექტიურსა და კერძო საკუთრებებს**. მართალია, **მან კერძო საკუთრებასთან დაკავშირა ქვეყნის წინააღმდეგობანი**, მაგრამ საბოლოოდ მაინც მას მიანიჭა უპირატესობა.

კონფუცი იყო ძველი ჩინეთის გარდამავალი პერიოდის თვალსაჩინო ფიგურა, რომლის წინააღმდეგობრივ შეხედულებებზე ღრმა კვალი დაამჩნია აქ მიმდინარე თემური ცხოვრების დაშლამ და მონათმფლობელური სისტემის აღმოცენებამ.

1.2.2. მენ-ძი

კონფუცის შეხედულებებმა შემდგომში თავისებური გავლენა მოახდინა ძველი ჩინური ეკონომიკური აზრის კიდევ ერთი წარმომადგენლის **მენ-ძის** (ძვ. წ-ით 372-289 წწ.) იდეებზე. მენ-ძიმ განავითარა კონფუცის შეხედულებანი და რიგი ახალი იდეა წამოაყენა. იგი **მიიჩნევდა იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და ამართლებდა საზოგადოების კლასებად დაყოფას გონებრივი და ფიზიკური შრომის მიხედვით** და ამაში ხედავდა **„თანასწორუფლებიანობის საყოველთაო კანონს"**. მენ-ძი ითვალისწინებდა ხალხის მძიმე მდგომარეობას და **მოითხოვდა მათზე დაკისრებული მძიმე გადასახადების შემცირებას**[1]. მენ-ძი აღწერს ადამიანთა ერთი ნაწილის გამდიდრების პროცესს და მას მძიმე ხვედრის მქონე ხალხის ფართო მასებს უპირისპირებს. მისი აზრით, მდიდრებსა და წარჩინებულებს „სამზარეულო ავსებული აქვთ მსუქანი ხორცით, ხოლო თავლაში მსუქანი ცხენები უბიათ, ხალხი კი წელშია გაწყვეტილი და მინდვრებში შიმშილით დახოცილთა გვამები ყრია"[2].

უნდა აღინიშნოს, რომ მენ-ძის ჩინეთის საზოგადოების სტრუქტურის შესახებ ჯერ კიდევ სრულყოფილი წარმოდგენა არ ჰქონდა. მაგალითად, მან **უარყო მეწარმეთა ფენის არსებობა**, ამასთან ვაჭართა ფენა გაყო ორად – შიგა და საგარეო ვაჭრობის წარმმართველებად. მისი აზრით, განგებამ უბრალო ადამიანებს გაბატონებული ფენების რჩენა არგუნა და ამ ამოცანის შესრულებისათვის ძველი სათემო წარმოების აღორძინება მოითხოვა. აქედან გამომდინარე, **მისი აგრარული პროექტით მიწის ერთი ნაწილი გლეხობას ერთობლივად უნდა დაემუშავებინა და მისგან მიღებული მოსავალი სახელმწიფო მოხელეებისათვის უნდა გადაეცათ**. იგი კანონზომიერად თვლიდა ხალხთა განსაკუთრებული ფენების არსებობას, რომელნიც მხოლოდ სახელმწიფოს მართვით იქნებოდნენ დაკავებულნი. მენ-ძის შეხედულებებში გარკვეული წინააღმდეგობაა. მაგალითად, იგი შრომის ფართო დანაწილების

1 Древнекитайская философия, ტ. I, М., 1972, გვ. 297.

2 **Ян Хин-Шун**, Древнекитайская философия Лао-Цзы и его учение, М.-Л., 1950, გვ.27.

მომხრეა, მაგრამ, ერთი მხრივ, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის არსებობას შეუთავსებლად აცხადებს, მეორე მხრივ კი მიწათმოქმედებსა და ხელოსნებს შორის საქონელგაცვლის განვითარებისათვის იბრძვის.

მენ-ძის ეკონომიკური შეხედულებებისათვის დამახასიათებელია თემური ილუზიები. იგი, ერთი მხრივ, იცავდა თემსა და მონათმფლობელობისაგან დაზარალებული გლეხობის ეკონომიკურ ინტერესებს და, მეორე მხრივ, მისთვის უცხოა სახელმწიფოს ძალადობის კულტი. აქედან გამომდინარე, იგი გლეხობის ექსპლუატაციის შემცირებაში განსაკუთრებულ როლს მონათმფლობელურ სახელმწიფოს ანიჭებდა. მისი აზრით, სახელმწიფომ გადასახადების ამოღებისას ზომიერება უნდა გამოავლინოს, რათა მიწათმოქმედს საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავებაში ხელი არ შეუშალოს.

ამრიგად, ადრეული პერიოდის კონფუციანელთათვის მეტად დამახასიათებელია კონსერვატიული წინააღმდეგობრივი შეხედულებანი, რაც ამ სკოლის მიმდევრებისა და, კერძოდ, მენ-ძის თეორიულ მსჯელობებშიც მკაფიოდ გამოვლინდა.

1.2.3. გუან-ძი

ძველი ჩინური საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია უცნობ ავტორთა მიერ დაწერილ ტრაქტატს „გუან-ძი“ (ძვ. წ-ით IV-III სს.), რომელშიც განხილულია იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, განსაკუთრებით კი — **სახელმწიფოს მიერ სავაჭრო პროცესების მართვის საკითხები**. „ბაზარი, — ხაზგასმულია „გუან-ძი“-ში, — ეს ისაა, რომლის მიხედვითაც იგებენ წესრიგსა და უწესრიგობას (მეურნეობის მდგომარეობას)“. ამასთან, „ტრაქტატის“ მიხედვით, თუკი მმართველი თავის ხელში აიღებს პურის, ფულისა და ლითონის საკითხების რეგულირებას, მაშინ მთელი ქვეყანა სტაბილურ მდგომარეობაში იქნება“[1].

„გუან-ძი“ საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ძვ. წ-ით I საუკუნეში მოექცა, როდესაც ჩინეთი აგრარულად განვითარებული ქვეყანა იყო. ტრაქტატში **უხვადაა გამოყენებული სტატისტიკური მასალები**. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ **„გუან-ძი“ ერთ-ერთი პირველი სტატისტიკური ძეგლია** მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში.

სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზით ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენის მეცნიერულად გადაწყვეტაა შესაძლებელი, **ფასი ისეთი სავაჭრო რეგულატორია**, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მიწათმოქმედებასა და სარეწებზე[2] ზემოქმედება, ხოლო **ფასების სიმყარე** — ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წყაროა[3].

ტრაქტატის მიხედვით, ქვეყანაში პურის შემოტანა ოქროს არასასურველ გაზიდვას განაპირობებს და **საჭიროა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, სტაბილური ფასების დაწესება, მარცვლეულის მარაგის შექმნა, გადასახადების განაკვეთების შემცირება** და სხვ.

ტრაქტატიდან ირკვევა, რომ იმ პერიოდის ჩინეთში ფართოდ ყოფილა გავრცელებული **პირდაპირი გადასახადები**[4], რომელსაც „გუან-ძის“ ავტორები გმობენ და მოითხოვენ მისი **არაპირდაპირი გადასახადებით**[5] **შეცვლას**. ისინი ხაზინის შემოსავლის ზრდის კარგ საშუალებად თვლიან **გადასახადების გადიდებას**: მარილზე, რკინის ნაწარმის გამოყენებაზე და სხვ.

ტრაქტატში გაანალიზებულია მარტივი საქონლური წარმოების პირობებში ფულადი მეურნეობის ფუნქციონირების ზოგიერთი კანონზომიერებანი. მაგალითად, დადგენილია, რომ **საქონელთა ფასების ზრდა განაპირობებს ფულის გაუფასურებას**.

ტრაქტატში დახასიათებულია მეცნიერთა, გლეხთა, ვაჭართა და მეწარმეთა ფენები. გარკვეული სიმპათიითაა მოხსენიებული **გლეხობა** — აღწერილია მათი მძიმე და ნაყოფიერი შრომითი საქმიანობა. **მეწარმეებს** აკისრიათ სამუშაოთა განმანაწილებლის ფუნქცია. მართალია, „გუან-ძი“

1 **Штейн** В. М., Гуань-цзы. М., 1959, გვ.10.

2 მოპოვებითი (თევზის, ნავთობის,...) ხასიათის საწარმო.

3 **Штейн** В. М., Гуань-цзы, გვ. 184-185.

4 პირდაპირი გადასახადი, რომელთა გადახდევინება დამოკიდებულია მოცემული პირის დასაბეგრ შემოსავალზე, ქონებაზე (საშემოსავლო, მოგების, ქონების, სულადობრივი გადასახადები).

5 გადასახადები საქონლის ფასსა ან მომსახურების ტარიფებზე დანამატების სახით (დღგ, აქციზები).

ვაჭართა და მევახშეთა წინააღმდეგი არაა, მაგრამ მათ ნაკლები სიმპათიით მოიხსენიებს, მოითხოვს მათი უფლებების შეზღუდვას და მათი ექსპლუატაციისაგან გლეხობის დაცვას.

„გუან-ძის" ავტორები **ქვეყნის წინსვლის უპირველეს პირობად მიწათმოქმედების,** როგორც ეკონომიკის ძირითადი საფუძვლის, **განვითარებას თვლიან,** რომლის წახალისებაზეც დამოკიდებულიაო ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის ზრდა. მართალია, ტრაქტატის ავტორები **მრეწველობას მეორეხარისხოვან როლს ანიჭებენ,** მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ მისი განვითარებას კატეგორიულად არ ეწინააღმდეგებიან.

ტრაქტატის ავტორების **აგრარული პროექტი** ითვალისწინებს მიწების თანაბარი რაოდენობით დაბეგვრას მათი სარგებლიანობის მიხედვით. განასხვავებენ **მიწების სხვადასხვა კატეგორიას:** ერთი ნაწილი იძლევა ფართობის 1%-ის ნაყოფიერად გამოყენების შესაძლებლობას, მეორე — 1/10-ის, მესამე კი — 1/5 ნაწილისას[1]. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი თანაბარი მოცულობის ფართობი თანაბარზომიერ ნაყოფიერებას ვერ უზრუნველყოფდა, „გუან-ძის" ავტორებმა **შემოიღეს დასაბეგრი ნორმის კოეფიციენტის მაჩვენებელი, რომელშიც გათვალისწინებული იყო მიწის ნაკვეთების ბუნებრივი პირობების ერთობლიობა.**

ამრიგად, უცნობ ავტორთა მიერ შედგენილმა ტრაქტატმა — „გუან-ძიმ", მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი ჩინეთის (და არა მარტო მისი) ეკონომიკური აზრის ჩამოყალიბებაში, რომელშიც ჩინური საზოგადოების ეკონომიკური წინააღმდეგობების მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები აისახა.

1.2.4. დაოსიზმი

ძველი ჩინეთის ეპოქაში განსაკუთრებული ადგილი უკავია **დაოსიზმს,** რომლის დამაარსებლად თბზულება „დაო დე-ძინის" (ანუ „წიგნი გზისა და სათნოებისა")[2] ავტორი ლაო-ძი (ძვ. წ-ით IV-III სს.) ითვლება.

ლაო-ძი მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურადაა მიჩნეული. იგი **გმობს სიმდიდრეს, ფუფუნებას, დიდგვაროვნებას და ილაშქრებს მმართველთა სისასტიკის, ძალადობისა და ომების წინააღმდეგ.**

ლაო-ძი, რომლის სოციალური იდეალი პირველყოფილი თემია, ქადაგებდა, რომ მიუხედავად დამკვიდრებული უსამართლობისა, ადამიანი ბედს უნდა დაემორჩილოს, ცხოვრების დინებას მორჩილად უნდა გაჰყვეს.

1.3. ინდოეთი

1.3.1. მანუს კანონები

ინდოეთის სახელმწიფოს I ათასწლეულის დასაწყისის საზოგადოება გარკვეულწილად დახასიათებულია კანონთა კოდექსში **„მანუს კანონები".** მასში ჩამოყალიბებულია ძველი ინდოეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის თავისებურებანი.

„კანონებში" საზოგადოების კასტებად დაყოფა ჩვეულებრივ მოვლენადაა აღიარებული. კანონების მიხედვით, უზენაესმა ღმერთმა ბრაჰმამ თავისი სხეულის ნაწილებისაგან სხვადასხვა კასტა გააჩინა. მასში დასახელებულია **ოთხი კატეგორიის კასტა — ბრაჰმანი, ქშატრი, ვაიში, შუდრა** და განსაზღვრულია საზოგადოებაში თითოეულის ფუნქცია.

ბრაჰმანებს მინიჭებული აქვთ უზენაესი ხელისუფლება და შემთხვევით როდია, რომ მათ, ძველ ინდურ ლიტერატურაში ხშირად ღმერთებსაც უწოდებენ; შემდეგ საფეხურზეა ქშატრიების კასტა, რომელთაც ქვეყნის დაცვა ევალებოდათ; ვაიშების კასტა თავისუფალი კლასის მშრომელი მოსახლეობაა, რომლებიც მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. მეოთხე კასტის —

1 **Штейн** В. М., Гуань-цзы, გვ. 27.

2 ლაო-ძი, დაო დე-ძინი, თბ., 1990.

შუდრას ფუნქციები გატოლებულია საკუთრებასმოკლებულ მონებთან.

„კანონებით“ ყველაზე მაღლა დგანან ბრაჰმანები, ქშატრიები და ვაიშები. ისინი ერთიანი ფრონტით უპირისპირდებიან შუდრების კასტას, რომელთა მთავარი მოვალეობაა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკური შრომა და წინა სამი კასტის სამსახურია.

1.3.2. არტჰაშასტრა

ძველი ინდოეთის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ძეგლს მიეკუთვნება ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის კაუტილიას ნაწარმოები „არტჰაშასტრა“[1] (ტრაქტატი სახელმწიფოს პოლიტიკისა და მართვის შესახებ – მე-4-3 სს. ძვ. წ-ით).

„ტრაქტატი“ 15 თავისაგან შედგება: პირველში განხილულია მეფის ცხოვრების წესი, მეორე - სხვადასხვა დონის სახელმწიფო მოღვაწეთა საქმიანობას ეძღვნება, III და IV თავებში მოცემულია სასამართლოს, შემდეგ თავებში კი – საგარეო პოლიტიკის, ჯარის ორგანიზაციისა და სხვა საკითხები.

ტრაქტატში ნაჩვენებია სახელმწიფოს როლი ძველი ინდოეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მასში დაცულია საზოგადოების კასტებად დაყოფის სისტემა, მაგრამ მოსალოდნელი სახალხო აჯანყების შიშით ავტორი მონებისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას მოითხოვს. კერძოდ, კაუტილიას აზრით, მონებს მცირე ქონებისა და ოჯახის შექმნის უფლება უნდა ჰქონოდათ.

ტრაქტატში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროზე.

კაუტილიას მიწის ნაკვეთების გლეხობაზე პირად საკუთრებაში გადაცემა შესაძლებლად მიაჩნია, თუკი ისინი გადასახადებს გადაიხდიდნენ, ხოლო ის, ვინც არ დაამუშავებდა მიწის ნაკვეთს, მასზე უფლებას კარგავდა. მანამდე კი მიწათმფლობელი მიწის ნაკვეთის დაუმუშავებლობისათვის 12 მონეტა (პანა) ჯარიმას იხდიდა.

„არტჰაშასტრას“ ავტორი ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის მომხრეა. კაუტილიას აზრით, მეფეს უნდა ეხელმძღვანელა: მეზობელი ტერიტორიების დაპყრობისათვის, საირიგაციო სისტემის მშენებლობისათვის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მებაღეობის განვითარების წახალისებისათვის...

„არტჰაშასტრაში“ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფინანსურ პრობლემებს. კაუტილიას აზრით, ფინანსური უწყების ხელმძღვანელი უნდა იყოს შემოსავალთა მთავარი შემგროვებელიც[2]. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში დასახელებულია: სახელმწიფო მეურნეობიდან შემოსავლები, ფულადი გადასახადები და სხვ. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის სქემაში კი ჩამოთვლილია მრეწველობაზე, ვაჭრობასა და სხვ. განვითარებაზე გაწეული ხარჯები. კაუტილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო ხაზინაში განძის დაგროვებას და საერთოდ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ალრიცხვიანობაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას მოითხოვდა.

ტრაქტატში საუბარია ვაჭრობის მნიშვნელოვანი როლისა და მასში მეფის მონაწილეობის შესახებ. მანამდე კი მეფეს ბაზარზე არსებული კონიუნქტურა უნდა შეესწავლა. მოგების მიღების მიზნით გათვალისწინებულია მეფის საქონელთა ექსპორტი. კაუტილია ურჩევდა მეფეს მიეღო სათანადო ღონისძიებები ბაზარზე მტკიცე ფასების დასაწესებლად.

ნაშრომში საქონელთა ფასების განსაზღვრის საფუძველია ნამუშევარი დღეების რაოდენობა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ძველ ინდურ ლიტერატურაში სულ უფრო სუსტდებოდა ნატურალური მეურნეობის ურთიერთობათა კვლევა და ფეხს იკიდებდა საქონლურ-ფულადი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პრობლემების ანალიზი.

---

1 Артхашастра, М., 1959.

2 იქვე, გვ. 64.

2. ძველი საბერძნეთი

ანტიკური[1] სამყაროს ეკონომიკური აზრის შესწავლას უდიდესი შემეცნებითი ფასეულობა გააჩნია, რამდენადაც მასში საკმაოდ ღრმადაა გაანალიზებული იმდროინდელი საზოგადოების განვითარების გარკვეული კანონზომიერებანი.

ეკონომიკურმა აზრმა განვითარების განსაკუთრებულ დონეს მიაღწია ძველი საბერძნეთისა და რომის მოაზროვნეთა შრომებში, რაც ამ ქვეყნებში მონათმფლობელური წარმოების წესის განვითარების მაღალმა დონემ განაპირობა. ამ პერიოდის ეკონომიკური აზრი, უპირველეს ყოვლისა, მონათმფლობელური საზოგადოების ჩარჩოებითაა შემოსაზღვრული. ცნობილია ისიც, რომ მონათმფლობელური წარმოება ნატურალური ხასიათისა იყო, მაგრამ როდესაც აქ საქონლურ-ფულადმა ურთიერთობებმა საგრძნობ განვითარებას მიაღწია, შეუძლებელი იყო მას იმდროინდელი ეკონომიკური აზრის ჩამოყალიბებაზე თავისებური ზეგავლენა არ მოეხდინა.

ბერძენი მოაზროვნეები ეკონომიკას განიხილავდნენ, როგორც ცხოვრების გარკვეულ ასპექტს ოჯახურ მეურნეობასა და ქალაქ-სახელმწიფოში. ამიტომ **მათ არ შეუქმნიათ სპეციალური ეკონომიკური დოქტრინა,** მაგრამ ადამიანის ქმედებასთან დაკავშირებული მოვლენების კვლევა დაედო წანამძღვრად ეკონომიკის შესახებ დოქტრინის შექმნას. ამ მოძღვრების (პოლისის ფარგლებში) რეალიზაციის პირობებში განიხილებოდა საკუთრების, ფულის, ვაჭრობისა და სხვა საკითხები. ისინი მოიცავდნენ სფეროს, რომელსაც დღეს ჩვენ გარკვეულწილად ვუწოდებთ ეკონომიკის ორგანიზაციას. შესაბამისად იმისა, რომ დღეს დასავლეთის ქვეყნებში გაბატონებული შეხედულებანი წარმოიშვა ძველ საბერძნეთში არსებულ შეხედულებათა მიმართ გარკვეული დაპირისპირების საფუძველზე, თანამედროვე შეხედულებათა უკეთ გაგების მიზნით, საჭირო ხდება ძველი საბერძნეთის აზროვნების ევოლუციის განხილვა ამ მიმართულებით.

ძველ საბერძნეთში ეკონომიკური აზრის განვითარების მაღალი დონე ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში მჭიდრო კავშირშია მონათმფლობელური წარმოების წესის განვითარებასა და კრიზისთან. ძველი ბერძნული ეკონომიკური აზრი თავისებური და საკმაოდ მომწიფებული იყო ეკონომიკური პოლიტიკისა და სოციალური რეფორმების პროექტებზე მსჯელობისას. თუმცა, აღნიშნული პროექტები მონათმფლობელობის კრიზისის პერიოდში სათანადოდ ვერ პასუხობდა დღის წესრიგში დასმულ საკითხებს, რამდენადაც ისინი ძირითადად მონათმფლობელური ურთიერთობების ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი.

ბერძენი მოაზროვნეების შეხედულებებში საქონლურ-ფულადი ურთიერთობების კვლევას მეორეხარისხოვანი როლი მიენიჭა და ისინი ნატურალური მეურნეობის პოზიციებიდან განიხილებოდნენ. თუმცა, არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ბერძენმა მოაზროვნეებმა შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის ისეთ საკითხთა კვლევაში, როგორიცაა: შრომის დანაწილების უპირატესობანი, ფულის წარმოშობა და ფუნქციები, საქონელთა სამომხმარებლო და საცვლელი ღირებულებების განსხვავება და სხვ.

ძველმა ბერძნულმა ეკონომიკურმა აზრმა განვითარების უმაღლეს საფეხურს ძვ. წ-ით V-IV საუკუნეებში ქსენოფონტის, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებებში მიაღწია.

2.1. ქსენოფონტი (დაახლ. ძვ. წ-ით 431-354 წწ.)

ქსენოფონტი (Xenophōn) ძველი ბერძნული ეკონომიკური აზრის წარმომადგენელი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, მონათმფლობელთა იდეოლოგი და ცნობილი სოკრატეს მოწაფე იყო. იგი, როგორც მხედართმთავარი, მრავალ ომში (მაგალითად, პელოპონესის ომში – ძვ. წ-ით 431-404 წწ.) მონაწილეობდა და მსხვილი მიწათმფლობელიც გახდა. იგი წარმოშობით არისტოკრატთა წრეს მიეკუთვნებოდა და პოლიტიკური შეხედულებებით მონათმფლობელური დემოკრატიის მოწინააღმდეგეა.

---

1 ანტიკურ საზოგადოებაში, ჩვეულებრივ, ნაგულისხმევია ბერძენთა და რომაელთა საზოგადოება. „ანტიკური" (ლათ. **antique**, გერმ. **antik**, ფრანგ. **antique**) ნიშნავს ძველს, ძველთაძველს.

მისი ნაწარმოებებია: „სპერმნეთის ისტორია“, „კიროპედია“, „მოგონებანი სოკრატეს შესახებ“, „ოიკონომიკოსი“ („დომოსტროი“[1]), „ქათენის შემოსავალი“ და სხვ.

2.1.1. ეკონომიკა

ქსენოფონტი, როგორც მონათმფლობელური მეურნეობის იდეოლოგი, მეურნეობის ეფექტიანად მართვის საკითხებშიც რჩევებს იძლევა. კერძოდ, იგი თავის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ ნაშრომში „ოიკონომიკოსი“ მიუთითებს, რომ ეკონომიკის მოგებიანად წარმართვისათვის აუცილებელია მისი სწორად მართვა, სხვა შემთხვევაში ეკონომიკა წაგებიანი იქნება. იგი, როგორც ნატურალური მეურნეობის დამცველი, უპირატესობას სოფლის მეურნეობას ანიჭებს – **მიწათმოქმედება არის ყველა პროფესიის დედა და მკვებავი**[2].

ქსენოფონტის **დამოკიდებულება ხელოსნებისადმი უარყოფითია** (მას ანტიკური დაღი აზის, სადაც ფიზიკური შრომა მხოლოდ მონათა წილხვედრია). ხელოსნობა, მისი აზრით, თავისუფალი ადამიანისათვის შეუფერებელი საქმიანობის სფეროა. იგი თელის, რომ ხელოსნობით დასაქმებულებს მეგობრებისა და მშობლიურ ქალაქზე ზრუნვისთვის ცოტა დრო რჩებათ, რის გამოც ისინი მეგობრებისა და მამულისათვის ვერ გამოდგებიან[3].

მონობას ქსენოფონტი **ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა** და მიუთითებდა, რომ მიწათმოქმედებაში თავისუფალმა მოქალაქემ უნდა შეასრულოს ზედამხედველის, მმართველის როლი, ხოლო მონამ – ფიზიკურად იშრომოს. თუმცა, იგი ამჩნევდა მონათა შრომის დაბალ მწარმოებლურობას და მოითხოვდა შრომისმყვარე მონების მატერიალურ წახალისებას ჩასაცმელ-დასახურავით, საკვებით და სხვ. შემთხვევით როდი წერდა „ოიკონომიკაში“, რომ ხელით შრომა სამართლიანად არ სარგებლობს პატივისცემით, რადგან იგი ფიტავს მშრომელის სხეულს, ხოლო სხეულის დასუსტებას სულის დაკნინება მოჰყვებაო[4]. ამავე ნაშრომში **მან პირველმა გამოიყენა ტერმინი „ეკონომიკა“**, რომელშიც მონურ შრომაზე დამყარებული ოჯახური მეურნეობის გაძღოლის ხელოვნებას გულისხმობდა[5].

2.1.2. შემოსავლების წყარო

ქსენოფონტის აზრით, თავისუფალ მოქალაქეთა ბუნებრივი უფლებაა სახელმწიფო მონების ექსპლუატაციის ხარჯზე ცხოვრება, მაშინ, როდესაც **მონები მხოლოდ მოლაპარაკე იარაღად უნდა დარჩენილიყვნენ**. თხზულებაში „ქალაქ ათენის შემოსავალი“, იგი რჩევას იძლეოდა, რომ სახელმწიფოს შეესყიდა 1200 მონა, რომელთა გაქირავებაც 5-6 წელში მოუტანდა 6 ათასამდე მონის შესასყიდ თანხას, ისინი კი წლიურად 60 ტალანტ[6] შემოსავალს მისცემდა, რომლის ხარჯზედაც მოქალაქეები მუქთად ცხოვრებას შესძლებენ, ხოლო პროცესი კი უნდა გაგრძელდესო. ის დარწმუნებული იყო, რომ თუ ქალაქი მის რჩევას გაითვალისწინებდა ყველა ათენელის გამოკვებას შეძლებდა.

2.1.3. შრომის დანაწილება

ქსენოფონტმა ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა **დასვა საკითხი შრომის დანაწილების შესახებ**. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადსაღებია მისი „კიროპედია“. იგი არ შემოიფარგლა მხოლოდ ადამიანთა ფიზიკური და გონებრივი შრომის დაყოფის პრობლემებით

1 ამ ტერმინის რუსული თარგმანი.

2 **Ксенофонт Афинский**, Сократические сочинения. М.-Л., 1935.

3 იქვე, გვ. 260.

4 იქვე, გვ. 255, 258, ...

5 Oikos – სახლი, მეურნეობა და nomos – წესი, კანონი, ორგანიზება.

6 **ტალანტი** (ბერძნ. talantum) ძე. საბერძნეთის, ეგვიპტის, მცირე აზიის ყველაზე მსხვილი ანგარიშსწორების ფულადი ერთეული. შემოიღეს ძვ.წ.აღ. 594 წელს და იწონიდა 26,2 კგ ვერცხლს.

და სრულიად შეუძლებლად მიიჩნია ადამიანის მიერ სხვადასხვა სამუშაოს მაღალხარისხიანად შესრულება. ქსენოფონტი ამ თხზულებაში მიუთითებდა, რომ დიდ ქალაქებში ნივთები უკეთ მზადდება მცირესთან შედარებით, რამდენადაც აქ ნივთებზე მოთხოვნა მეტია და, შესაძლებელია შრომის იმდაგვარი დანაწილება, რომ ოსტატს შეეძლება თავი ირჩინოს ერთი რომელიმე სახის ხელოსნობით: „ის, ვინც ასრულებს მეტად მარტივ სამუშაოს, მას საუკეთესოდ ასრულებს".

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ქსენოფონტის აზრით, შრომის დანაწილება გამომდინარეობს არა საცვლელი, არამედ სამომხმარებლო ღირებულებიდან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად სწრაფადმზარდი საქონლურ-ფულადი ურთიერთობების პრობლემების ანალიზსაც გვერდს ვერ უვლის. ე.ი. მან ღირებულება არსებითად დაიყვანა სამომხმარებლო ღირებულებაზე, ხოლო საცვლელი ღირებულებით ნაკლებად დაინტერესდა.

2.1.4. ფასეულობა და ფული

როგორია ქსენოფონტის შეხედულება საქონლურ-ფულადი ურთიერთობების საკითხებზე?

ქსენოფონტის დამსახურება ისაა, რომ მან ფაქტობრივად პირველმა საქონლის „ღირებულებაზე" მსჯელობისას **საქონელი განიხილა როგორც სამომხმარებლო ღირებულების, ასევე საცვლელი ღირებულების თვალსაზრისითაც.** ამით მან ფაქტობრივად პირველმა დააყენა საკითხი საქონლის სამომხმარებლო და საცვლელი ღირებულების შესახებ. მისი აზრით, მიწა, ცხოველები და ა.შ. არაა ფასეული[1] მათთვის, ვისაც მათი გამოყენება არ შეუძლია[2]. **იგი განიხილავს აგრეთვე ნივთის სარგებლიანობას მისი მფლობელისათვის, როგორც სხვა ნივთზე გაცვლის უნარს. ვისაც ფლეიტაზე დაკვრა შეუძლია, მისთვის იგი ფასეულია, ხოლო ვისაც არა – მაშინ მხოლოდ მისი გაყიდვით გახდება იგი ფასეული[3].**

ქსენოფონტი სპეციფიკური ფორმით ქადაგებდა ფულის როლზე. ერთი მხრივ, იგი, როგორც ფულადი მეურნეობის უგულებელმყოფელი, **უარყოფს ფულის სასესხო კაპიტალად გამოყენებას, მეორე მხრივ კი, აღიარებს ფულის მიმოქცევისა და განად დაგროვების ფუნქციას.** ამასთან, ქსენოფონტი, იწონებდა ვერცხლის განუზომლად დაგროვებას და თხზულებაში **„ქათინის შემოსავალი"** მოუწოდებდა ათენის სახელმწიფოს, რაც შეიძლება მეტი ხალხი გაეგზავნათ საბადოებში ძვირფასი ლითონების მოსაპოვებლად[4].

ამრიგად, ქსენოფონტი რიგი მნიშვნელოვანი დასკვნებით შრომის დანაწილების, საქონლის, ფულისა და სხვათა შესახებ ძველი ბერძნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში საუსებით მართებულად იჭერს მნიშვნელოვან ადგილს.

2.2. პლატონი (ძვ. წ-ით 427-347 წწ.)

პლატონი (Platōn) ბერძენი ფილოსოფოსი, არისტოტელეს მასწავლებელი, მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი, დაიბადა ათენში, არისტოკრატულ ოჯახში.

პლატონის ნაშრომები – „პოლოგია", „კრიტონი", „ევთიდემე", „ნადიმი", „ფილიპე", „სახელმწიფო", „კანონები" და სხვ. უმეტესად დიალოგის ფორმითაა დაწერილი, სადაც წამყვან როლს სოკრატე ასრულებს. პლატონი სპეციალურად ეკონომიკურ საკითხებზე არ მუშაობდა.

მას, უპირველეს ყოვლისა, **სახელმწიფო მოწყობის საკითხები აინტერესებდა. ეკონომიკური საკითხების განხილვის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომები: „პოლიტეა" ანუ „სახელმწიფო", „კანონები"** და სხვ.

---

1 ფასეულობაში იგი გულისხმობს იმას, რისგანაც სარგებლის მიღება შეიძლება.

2 **Ксенофонт Афинский**, Сократические сочинения, გვ. 253.

3 იქვე, გვ. 258.

4 **Ксенофонт Афинский**, Сократические сочинения, გვ. 258.

2.2.1. „იდეალური სახელმწიფო“

პლატონის ეპოქა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ახალ ფორმათა ძიების პერიოდი იყო, რომლის ნიადაგზედაც „იდეალურ სახელმწიფოთა“ პროექტები იქმნებოდა. პლატონს, უპირველეს ყოვლისა, **შრომის დანაწილების პრობლემები აინტერესებდა, რამდენადაც მათში „იდეალური სახელმწიფოს“ საფუძველს ხედავდა.** მისი აზრით, ადამიანები დაბადებიდანვე განსხვავებული ბუნების არიან და ისინი წინასწარვე გათვალისწინებულნი არიან განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად. მათი ერთი ნაწილი „დაბადებულნი არიან მმართველობისათვის, მეორენი დახმარებისათვის, ხოლო სხვები მიწათმოქმედებისა და ხელოსნობისათვის“[1].

იმ პოზიციებიდან გამომდინარე, რომ ადამიანების ბუნებრივი უნარი ერთგვარია (იგი შეიძლება იყოს დურგალი, მჭედელი ...), მაგრამ მისი მოთხოვნილება მრავალგვარი (ბინაზე, საკვებზე, ჩასაცვამ-დასახურავზე ...), პლატონი ამტკიცებს ინდივიდთა მოთხოვნილებასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას შორის წინააღმდეგობათა არსებობას, რომლებიც ქალაქის[2] მეშვეობით დაიძლევა.

პლატონი თავის თხზულებაში „სახელმწიფო“ ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქალაქი ადამიანების ცალმხრივი შესაძლებლობებისა და ნივთებზე მრავალმხრივი მოთხოვნილების გამო წარმოიშობა. ადამიანთა მრავალმხრივ მოთხოვნილებას იგი შემდეგი თანმიმდევრობით ჩამოთვლის: საკვებზე, საცხოვრებელ ბინაზე, ტანსაცმელზე და ა.შ. მისი შეხედულებით, ქალაქი აკმაყოფილებს ადამიანთა ყოველგვარ მოთხოვნილებას, რამდენადაც აქ მცხოვრებნი დასპეციალებულნი არიან რომელიმე ერთ ხელობაში. ამასთან, იგი მოითხოვდა ქალაქში გაცვლის მოედნის არსებობას, სადაც შეკრებილებს თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა ექნებოდათ[3].

ამრიგად, გამოდის, რომ **ადამიანთა უნარის სხვადასხვაობა წინ უსწრებს შრომის დანაწილებას, ხოლო ყოველი ნივთი მაშინ იწარმოება მეტი რაოდენობით, როდესაც ადამიანი რომელიმე ერთი სახეობის საქმითაა დაკავებული.**

პლატონის აზრით, ადამიანის მიერ სხვადასხვა პროფესიის შეთავსება სახელმწიფოს დააზიანებს და უმალვლეს დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს[4]. ამასთან, იგი მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელოსანს, რომელიც დამკვეთთან სათანადო მოლაპარაკების პირობებს დაარღვევს. ასეთ შემთხვევაში ხელოსანი ვალდებული იყო დამკვეთისათვის ნაწარმის სრული ღირებულება გადაეხადა[5].

პლატონმა საზოგადოების ფენებად დაყოფასა და სახელმწიფოს აგების ძირითად პრინციპებს საფუძვლად შრომის დანაწილება დაუდო. მან მიზნად დაისახა გაერკვია, თუ რა პირობებში შეუძლია იარსებოს იდეალურად მოწყობილმა საზოგადოებამ და ჩამოაყალიბა **„იდეალური სახელმწიფოს“** სქემა.

„იდეალური სახელმწიფოს“ პირველი პროექტი პლატონმა ჩამოაყალიბა თხზულებაში **„სახელმწიფო“**, მეორე ვარიანტი კი — **„კანონებში“**.

„იდეალურ სახელმწიფოში“ პლატონმა თავისუფალი მოქალაქეები შრომის დანაწილების მიხედვით **სამ ფენად** დაყო:

I — **ფილოსოფოსები** — სამართლიანი და გონიერი ადამიანები, რომელთაც სახელმწიფო უნდა ემართათ. ისინი ერთად ცხოვრობენ და **არ გააჩნიათ არც კერძო საკუთრება** და არც ოჯახი, რომლებიც საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა წყაროდ ჩაითვალა;

II — **მეომრები**, რომელთაც **არ გააჩნიათ კერძო საკუთრება** და სახელმწიფოს ტერიტორიების დაცვა და მათი გაფართოებისათვის ზრუნვა ევალებათ;

III — **მიწათმოქმედები, ხელოსნები, ვაჭრები**, რომელთაც **გააჩნიათ საკუთრება**. მათ მეურნეობა უნდა წარემართათ და დაეკმაყოფილებინათ ფილოსოფოსებისა და მეომრების მოთხოვნილება.

„იდეალურ სახელმწიფოში“ მას **მონები არც ერთ ფენაში არ შეუყვანია**, ხოლო საზოგადოების მაღალი ფენებისათვის კერძო საკუთრება დასაშვებად არ მიაჩნია.

---

1 **Платон**, Государство, Соч., т. 3, ч. 1., გვ. 143.
2 ქალაქში მას ნაგულისხმევი აქვს სახელმწიფოც, საზოგადოებაც.
3 **Платон**, Государство, Соч., т. 3, ч. 1, გვ. 148-149.
4 **Платон**, Государство, Соч., т. 3, ч. 1, გვ. 226.
5 **Платон**, Законы, Соч., т.3, ч. 2, М., 1972, გვ. 331, 332, 420, 421.

2.2.2. მთავარია მიწათმოქმედება — „მიწა დედაა..."

პლატონის აზრით, მეურნეობა **ნატურალური ხასიათისა** უნდა იყოს და აქ ყველაფერი მოთხოვნის შესაბამისად უნდა ეწარმოებინათ, ე.ი. მომაჯალი სახელმწიფო ეკონომიკურ ურთიერთობაში სამეურნეო განცალკევებულობასა და დამოუკიდებლობას უნდა დამყარებოდა.

პლატონი **ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან დარგად მიწათმოქმედებას თვლის. მიწა „იდეალური სახელმწიფოს" საკუთრებაა**, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს ფასად დასამუშავებლად გადაეცემა მიწათმოქმედებს. ნატურალურ მეურნეობაზე საუბრისას იგი ლამის აღმერთებდა **მიწას** და წერდა, რომ იგი „ჩვენი დედაა", რომელიც ხალხს ასაზრდოებს[1].

2.2.3. მონობა და ქალისა და მამაკაცის თანასწორობა

მონა პლატონისათვის წარმოების მოლაპარაკე იარაღი, საკუთრება, ნივთია, ხოლო **მონობა — ექსპლუატაციის ბუნებრივი, მუდმივი ფორმა**, რომლის ბიოლოგიური გამართლება თავად ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. პლატონი მიიჩნევდა, რომ მონის სული მოკლებულია ყოველგვარ სიჯანსაღეს და „იდეალურ სახელმწიფოში" საკუთარი მონის მოკვლას „განწმენდას" უწოდებდა[2].

პლატონი ამჩნევდა მონათმფლობელობის პრობლემებს და კერძოდ იმას, რომ მონათმფლობელური რეჟიმი სიძულვილსა და მონათა განთავისუფლებისათვის ბრძოლას აღვივებდა. საშიშროებათა თავიდან აცილების მიზნით, იგი რჩევას იძლეოდა, რომ მონებთან დამოკიდებულებაში გამოეჩინათ მეტი ჰუმანურობა და სიფრთხილე, რათა მონებს ერთმანეთთან ნაკლები საერთო ჰქონოდათ.

პლატონის შეხედულებები მონობის შესახებ მისი სოციალურ-ეკონომიკური კონცეფციების მხოლოდ ერთი ნაწილია, რომლებიც იმდროინდელი ეპოქის ობიექტურ მოთხოვნილებას, მონათმფლობელური სისტემის თეორიულ დასაბუთებას ემსახურებოდა. ამასთან, ყურადღებას იპყრობს პლატონის მოსაზრებები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თაობაზე. მისი აზრით, **სახელმწიფოს მშენებლებს საფუძველი არა აქვთ „რაიმე საქმე დაავალოს ქალს მხოლოდ იმისათვის, რომ იგი ქალია, ანდა მამაკაცს — მხოლოდ იმისათვის, რომ იგი მამაკაცია". სინამდვილეში, ამა თუ იმ სქესის ცოცხალ არსებებში ერთნაირი ბუნებრივი თვისებებია**[3].

2.2.4. ხელოსნობა, ვაჭრობა-გაცვლა

პლატონი მიწათმოქმედებასთან შედარებით **ნაკლებ როლს ანიჭებს ხელოსნობასა და ვაჭრობას**. ამ სფეროებში უნდა დასაქმდნენო მხოლოდ უცხოელები, რომელთა საქმიანობაზე მკაცრი კონტროლი უნდა დამყარდესო. სახელმწიფომ არ უნდა აწარმოოს არც შიგა და არც საგარეო ვაჭრობა[4].

პლატონმა თავისი დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დასვა იმის შესახებ, რომ **გაცვლის პროცესში მიმდინარეობს საქონელთა მასის გათანაბრება და ისინი ვაჭრობის მეშვეობით თანაზომადი ხდებიან**. მიუხედავად საქონელთა გათანაბრებისა და თანაზომადობის საკითხის დასმისა, პლატონმა მას სწორი პასუხი ვერ მოუძებნა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მას სწორად არ ესმოდა ღირებულების კანონი და თვლიდა, რომ სხვადასხვა საქონელი თანაზომადი ფულის მეშვეობით ხდება. აქედან გამომდინარე, მას საჭიროდ მიაჩნდა ფულის არსებობა.

პლატონისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო ფულის ფუნქციები, მაგრამ იგი **ფულის, როგორც დაზოგვისა და გადახდის საშუალების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ხოლო ფულის, როგორც ღირებულების საშუალებაზე კი მას სრულყოფილი წარმოდგენა არ ჰქონდა**. იგი წინააღმდეგი იყო კრედიტით სავაჭრო გარიგებებისა და **სავაჭრო გარიგებაში ნაღდ ანგარიშსწორებას მოითხოვდა**. პლატონის უარყოფითი დამოკიდებულება ფულის, როგორც განძად დაგროვებისა და გადახდისადმი

1 **Платон**, Законы, Соч., т.3, ч. 2, М., 1972, გვ. 464.
2 **Платон**, Законы, Соч., т.3, ч. 2, გვ. 253-256, 353, 356.
3 **Платон**, Государство, Соч., т. 3, ч. 1, 1971, გვ. 251.
4 **Платон**, Законы, Соч., т.3, ч. 2, გვ. 413-414.

იმით აიხსნება, რომ მისი იდეალი ნატურალური ხასიათის მქონე აგრარულ-მონათმფლობელური სახელმწიფოა.

პლატონის ეკონომიკური შეხედულებანი, მართალია, შეიცავს რიგ პოზიტიურ მომენტებს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ის მიმართულია დემოკრატიის წინააღმდეგ და მიწათმფლობელური სახელმწიფოს არისტოკრატიული ფენების თეორიულ დაცვასა და გამართლებას ემსახურება.

2.3. არისტოტელე (ძვ. წ-ით 384-322 წწ.)

2.3.1. „აკადემიის ჭკუა", მაკედონელის აღმზრდელი, „ლიკეონი"

ძველ საბერძნეთში ეკონომიკურმა აზროვნებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნის, პლატონის მოწაფის არისტოტელეს (Aristotēle) ნაშრომებში მიაღწია. არისტოტელემ ღრმა კვალი დაამჩნია ეკონომიკური აზროვნების შემდგომდროინდელ განვითარებას.

იგი დაიბადა ქ.სტაგირაში (მისი მამა – ნიკომაქე მაკედონიის მეფის ამინტა II-ის კარის ექიმი იყო). 17 წლისა იგი გაემგზავრა ქათენში და სწავლა დაიწყო პლატონის აკადემიაში, სადაც ფართო ფილოსოფიური განათლება მიიღო. მან თავიდანვე მიიპყრო პლატონის ყურადღება აზროვნების ღრმა უნარის გამო და შემთხვევითი როდია, რომ მას პლატონი „აკადემიის ჭკუას" უწოდებდა. მოწაფე დიდ თაყვანს სცემდა მასწავლებელს, მაგრამ მათ შორის იყო აზრთა სხვადასხვაობაც, რომლის ერთ-ერთი დადასტურებაა „ნიკომაქეს ეთიკაში" გადმოცემული არისტოტელეს სიტყვები: „ჩვენთვის ძვირფასია პლატონიცა და ჭეშმარიტებაც, მაგრამ წმინდა მოვალეობა მკარნახობს, უპირატესობა ჭეშმარიტებას მივანიჭო".

ძვ. წ-ით 343 წელს არისტოტელე მაკედონიის მეფემ ფილიპემ თავისი ვაჟის ალექსანდრეს აღმზრდელად მიიწვია და წერილით მიმართა: „მაკედონიის მეფე სალამს უძღვნის არისტოტელეს! გაცნობებთ, რომ მეყოლა ვაჟი. ღმერთებს მადლობას ვწირავ არა იმდენად იმიტომ, რომ მათ მე ვაჟი მაჩუქეს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ის არისტოტელეს დროში შემეძინა. ვიმედოვნებ, რომ შენი დარიგებანი მას ჩემი მემკვიდრეობისა და მაკედონიის მბრძანებლობის ღირსად გახდის"[1]. არისტოტელემ მიიღო მიწვევა და დაახლოებით 2 წლის განმავლობაში დიდი როლიც შეასრულა მისი მოწაფის – ალექსანდრე მაკედონელის აღზრდაში. შემდეგ იგი დაბრუნდა ათენში და გახსნა დამოუკიდებელი სკოლა – ლიკეონი (აპოლონ ლიკეონელის სახელზე აგებული ტაძრის სახელწოდების მიხედვით). ამ სკოლას უწოდებენ აგრეთვე „პერიპატეტიკურს"[2], სადაც არისტოტელე ლექციებს კითხულობდა და თანაც სეირნობდა სკოლის ეზოს ხეივანში. იმის გამო, რომ იგი თითქოსდა ათეისტურ იდეებს ქადაგებდა, ქალაქიდან გააძევეს, ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

2.3.2. „პირველი ეკონომისტი"

ანტიკურობის ეკონომიკური აზრი ასახავდა თავისი დროის მონათმფლობელური საზოგადოების მწვავე პრობლემებს და, თუკი მათში ზუსტად არაა ჩამოყალიბებული ამ პერიოდში მოქმედი ეკონომიკური კანონები, მათში, განსაკუთრებით არისტოტელეს შრომებში, მაინც ბევრი ეკონომიკური მოვლენის მეცნიერული ახსნის მცდელობა შეიმჩნევა.

არისტოტელე პირველი იყო, რომელმაც ყველაზე სრულყოფილად გააანალიზა იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ეპოქის პრობლემები და ამით არსებითად ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში პირველი ეკონომისტის სახელი დაიმკვიდრა. შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელეთი იწყება ეკონომიკური მეცნიერების ისტორია, რამდენადაც მის ნაწარმოებებში (წინამორბედთაგან განსხვავებით) ცალკეული ეკონომიკური კატეგორიის ღრმა ანალიზის ელემენტები უხვად მოიპოვება. რა თქმა უნდა, არისტოტელე წინამორბედთა ეკონომიკურ ნააზრევს ეყრდნობოდა, მაგრამ მათმა მოუმწიფებლობამ მისი მოძღვრების სისტემატიზაციასაც დაღი დაასვა.

---

1 არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 8.

2 „პერიპატოს" ნიშნავს გასეირნებას.

არისტოტელეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი ყველაზე ვრცლადაა ჩამოყალიბებული მის ნაშრომებში: „პოლიტიკა“, „რიტორიკა“, „ათენელთა სახელმწიფო წყობილება“, „ნიკომაქეს ეთიკა“.

2.3.3. თავისებური უტოპია

არისტოტელე, როგორც მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგი, მონათმფლობელობის პრინციპული მომხრე იყო. მონა, მისი აზრით, „ცოცხალ იარაღს“ წარმოადგენს და მთლიანად მონათმფლობელს ეკუთვნის[1]. **მონობა მან ბუნებრივ მოვლენად გამოაცხადა** და მიაჩნდა, რომ მონათა წილხვედრია ფიზიკური შრომა. ხელით შრომა, — წერდა იგი „პოლიტიკაში“, — გონების თავისუფალ განვითარებასა და სრულყოფას აფერხებს, რის გამოც, ვინც ფიზიკურად შრომობს, ის გონებრივად ბეჩავდება და ამიტომაც იგი მოქალაქის უფლებით არ უნდა სარგებლობდესო. ე.ი. არისტოტელემ ადამიანთა ერთი ნაწილი თავისი ბუნებით თავისუფლად გამოაცხადა, მეორენი კი — მონებად. ძნელი როდია შევამჩნიოთ, რომ „აზროვნების ბუმბერაზი“ ცდებოდა მონური შრომის შეფასებაში.

კაცობრიობის ამ უდიდესი მოაზროვნის თეორიულ დოქტრინაში ნათლად მოჩანს მთელი მისი იდეოლოგიური კრედოს ხასიათი. იგი თავისი ენციკლოპედიური ცოდნით შეეცადა მონათმფლობელური საზოგადოების ძირითადი პრობლემების გადაწყვეტასა და დასაბუთებას თვით მონათმფლობელთა ფენის ინტერესების შესაბამისად.

მართალია, არისტოტელე მონობას ამართლებდა, მაგრამ ამ საკითხში **მას თავისებური უტოპია ჰქონდა და იმ დროზე ოცნებობდა, როდესაც მონობა გაქრებოდა.** „თვითეულ იარაღს, — წერდა იგი, — რომ შეეძლოს სათანადო სამუშაო შეასრულოს სხვისი ნებით, ანდა თავისი ნებით... საფეიქრო მაქო რომ თავისთავად ქსოვდეს, მაშინ არც ოსტატს დასჭირდებოდა თანაშემწეები და არც ბატონს — მონები“[2].

ამგვარად, არისტოტელეს აზრით, ბატონს მხოლოდ მაშინ აღარ დასჭირდებოდა მონები (ე.ი. მხოლოდ მაშინ მოისპობოდა მონობა), თუკი სამუშაო იარაღები თავისი ნებით, ანდაც ადამიანის ბრძანებით, სათანადო სამუშაოს შეასრულებს.

არისტოტელემ **მონათა განთავისუფლება წარმოების იარაღებში მომხდარ ცვლილებებთან დააკავშირა,** მაგრამ აღნიშვნის ღირსია მისი ჰუმანურობის დამადასტურებელი ფაქტიც: მან თავისივე **სიცოცხლეში გადადგა ნაბიჯი მონათა განთავისუფლების გზაზე.** მაგალითად, ნაშრომში „ნიკომაქეს ეთიკა“, რომელიც არისტოტელემ თავის ვაჟს ნიკომაქეს უანდერძა, აღნიშნა, რომ თანახმა იყო მისი გარდაცვალების შემდეგ ბავშვების სრულწლოვანებამდე რამდენიმე მონის განთავისუფლებისა, ხოლო მათი სრულწლოვანებისას კი თითქმის ყველა მონის განთავისუფლებისა[3].

2.3.4. ეკონომიკა და ქრემატისტიკა

არისტოტელემ ერთმანეთისაგან განასხვავა სიმდიდრის ორი სახე: **„ჭეშმარიტი სიმდიდრე“,** როგორც სამომხმარებლო ღირებულებათა ერთობლიობა და **ფულის დაგროვება,** როგორც ღირებულებათა ერთობლიობა[4]. აქედან გამომდინარე, მან ერთმანეთს დაუპირისპირა ეკონომიკა და ქრემატისტიკა[5]. არისტოტელეს აზრით, **ეკონომიკა** სწავლობს სიმდიდრის პირველ სახეს, ხოლო **ქრემატისტიკა** იკვლევს სიმდიდრის მოპოვებას ფულადი ფორმით.

---

1 **Аристотель,** Политика. Соч., т. 4, М., 1984, გვ. 382.

2 **Аристотель,** Политика. Соч., т. 4, გვ. 381.

3 **არისტოტელე,** რიტორიკა, გვ. 19.

4 **Аристотель,** Политика. Соч., т. 4, გვ. 390.

5 „განსხვავებით“ ეკონომიკისაგან, მის მიერ გამოგონილ ტერმინს — **„ქრემატისტიკა“** არისტოტელე აწარმოებდა სიტყვიდან: **„ქრემა“** — ქონება, სამფლობელო (ა.ანჯონი, მეცნიერების სიჭაბუკე, მარქსამდელ მეცნიერ-ეკონომისტთა ცხოვრება და იდეები, თბ., 1989, გვ. 24).

2.3.5. გაცვლაში საქონელთა გატოლების საკითხი

არისტოტელემ როგორც ეკონომისტმა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკური კატეგორიების გამოვლენასა და გამოკვლევაში. ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ ჩატარებული თეორიული ანალიზი საქონლის, შრომის დანაწილების, გაცვლის, ღირებულების, ფულისა და სხვ. შესახებ. **არისტოტელეს ნაშრომები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ეკონომიკური მეცნიერების თეორიული საფუძველი ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს**, რომელიც შემდგომი ათასწლეულების განმავლობაში განვითარდა.

არისტოტელე საქონლის ბუნების ანალიზისას მიუთითებდა, რომ ყოველი **ნივთი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოხმარებისა და სხვა მიზნისათვის:** სანდალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფეხზე ჩასაცმელად, ასევე სხვა რამეზე გასაცვლელად[1]. ორივე შემთხვევაში საფუძველს იგი მის სამომხმარებლო ღირებულებაში ეძებდა. თუკი ერთი სახის პროდუქტი მეორის არათანაზომადი აღმოჩნდა, მაშინ მათი გათანაბრება გაცვლაში მოხდება[2].

გაცვლაში საქონელთა გატოლების საკითხის დასმა მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ არისტოტელე აქ **შეჩერდა!** მას მიაჩნდა, რომ სხვადასხვა სახის საქონელს თანაზომადს ხდის ფული. არისტოტელემ თანაფარდობაში „5 საწოლი = 1 სახლს“ სწორად ვერ ახსნა, თუ ლოგინისა და სახლის გაცვლაში რა იყო ამ გაცვლის „თანასწორობისა და თანაზომადობის“ საფუძველი. ეს ბუნებრივიც იყო, რამდენადაც იმდროინდელი ბერძნული საზოგადოება დამყარებული იყო მონათა შრომაზე, რომელთა როლი მხოლოდ „მოლაპარაკე იარაღის“ დონემდე იყო დაკნინებული.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ **არისტოტელე ღირებულების ცნებას ამა თუ იმ საგნის სარგებლიანობასთან აკავშირებს და თვლის, რომ გასაცვლელ საგანთა შორის საზომი ადამიანთა მოთხოვნაა.** აქედან გამომდინარეობს უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნა, კერძოდ, თუკი მეტყავის შრომის პროდუქტს, მიწათმოქმედების შრომით პროდუქტთან შედარებით, ადამიანები უფრო საჭიროებენ, მაშინ ფეხსაცმელი უნდა გაიცვალოს მეტ მარცვალზე.

არისტოტელეს მნიშვნელოვანი დამსახურება ისიცაა, რომ მან გააანალიზა საქონლის **სამომხმარებლო** და **საცვლელი** ღირებულებები. სამომხმარებლო ხასიათის მეურნეობაში, როდესაც ყველა ეკონომიკური კატეგორია სამომხმარებლო ღირებულების პოზიციებიდან ფასდებოდა, საქონლის საცვლელი ღირებულების აღმოჩენა მართლაცდა გენიალურ მოაზროვნეს შეეძლო.

გაცვლის წარმოშობის ისტორიული პროცესის შესწავლისას არისტოტელემ შეამჩნია **მისი საფუძველი — შრომის დანაწილება** და აღნიშნა, რომ თუკი ორთაგან ერთი ადამიანი მეორეს არ საჭიროებს, მაშინ გაცვლას ადგილი არ ექნება და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შედგეს, როდესაც ერთი მეორის ხელთ არსებულს საჭიროებს — მაგალითად, ღვინოს, რომლის სანაცვლოდ პურს იღებს[3].

ამრიგად, შრომის დანაწილება ადამიანებს ერთმანეთთან გაცვლის მეშვეობით აკავშირებს და იგი, არისტოტელეს აზრით, ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებითაა განპირობებული, ადამიანთა მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში არც გაცვლას ექნებოდა ადგილი.

მიუხედავად მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგთა უარყოფითი დამოკიდებულებისა ფულადი მეურნეობის მიმართ, არისტოტელემ ამ მოვლენების კვლევას გვერდი ვერ აუარა. მან სცადა აეხსნა ფულის წარმოშობის განმაპირობებელი მიზეზები. მისი აზრით, **ფული წარმოშვა დიდ მანძილზე საქონელთა გადაზიდვების მოუხერხებლობამ და იგი გაცვლის პროცესში ღირებულების საზომისა და მიმოქცევის საშუალების როლს ასრულებს.** მან მეტად გააზვიადა ფულის როლი, როდესაც სცადა დაემტკიცებინა, თითქოს, ფული გაცვლის პროცესში საქონელებს თანაზომადს ხდის.

არისტოტელეს დამსახურებაა **ვაჭრობის ფორმათა განვითარების ანალიზიც.** მისი შეხედულებით, საზოგადოების განვითარების დაწყებით სტადიაზე გაცვლის აუცილებლობა არ არსებობდა, ვინაიდან პირველდაწყებით ოჯახში ყველაფერი საერთო იყო, მაგრამ ასეთ ოჯახთა დაქუცმაცება-დაშლამ სხვადასხვაგვარი მოთხოვნილება წარმოშვა, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ ურთიერთგაცვლით

1 Аристотель, Политика. Соч., т. 4, გვ. 390.

2 Античный способ производства в источниках, М.-Л., №1, 1933, გვ. 353-359.

3 Античный способ производства в источниках, გვ. 92-93.

შეიძლებოდა. არისტოტელეს აზრით, ცალკეულ თემებს შორის წარმოიშობა მოთხოვნა ღირებულების მქონე სპეციფიკურ საქონელზე, რომელიც ფულის როლს ასრულებს. საქონლის ვაჭრობის პირველდაწყებით ფორმასთან — საცვლელ ვაჭრობასთან დააკავშირა მან ფულის წარმოშობა, ამასთან, მიანიშნა, თუ როგორ ხდება საქონელთა გასაცვლელი ვაჭრობიდან (ს-ს) საქონლურ მიმოქცევაზე (ს-ფ-ს) და შემდეგ კი ფულის, როგორც კაპიტალის მიმოქცევაზე (ფ-ს-ფ) გადასვლა.

მევახშეობისა და სარგებლისადმი არისტოტელეს უარყოფითი დამოკიდებულება იმდროინდელი საზოგადოების იდეოლოგიიდან გამომდინარეობდა. იგი მას ანტიკური საზოგადოების მსხვრევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავდა.

მთლიანობაში, არისტოტელეს შეხედულებები ეკონომიკის, ეკონომიკური კატეგორიების (საქონლის, გაცვლის, ფულის), მონათა განთავისუფლების და სხვ. შესახებ, მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური აზრის განვითარების მწვერვალს წარმოადგენდა.

3. ეპიკურიზმი და სტოიციზმი

ფილოსოფიურ მოძღვრებათა შორის, რომლებიც წარმოიშვა ელინისტური[1] კულტურის ბაზაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია ეპიკურიზმი[2] და სტოიციზმი[3].

3.1. ეპიკური

ქ.ათენში მოღვაწე ძველი ბერძენი ფილოსოფოსი **ეპიკური** (341-270 წწ. ძვ. წ-ით) ეწინააღმდეგებოდა პლატონსა და არისტოტელეს. მისი მტკიცებით, **თითოეულ პიროვნებას შესწევს უნარი, სახელმწიფოს დახმარების გარეშე იპოვოს სიბრძნის გასაღები.** ეპიკურეს ამგვარ შეხედულებას საკმაოდ ფართო გამოხმაურება ჰქონდა იმ პერიოდში, როდესაც ბერძენთა ადრეული პოლიტიკური იდეალები თანდათანობით დაეცემოდა.

ეპიკური[4] თავისებურად აფასებდა პოლიტიკურ ფილოსოფიას. ამის მიზეზი მის მატერიალისტურ და ათეისტურ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მისი გაგებით, სამყარო მატერიალური ატომებისგან შედგება, რომელთა სხვადასხვაგვარი შეერთების საფუძველზე წარმოიშობა ჭეშმარიტად არსებული, თვალნათლივი სხეული, მხოლოდ ეს სხეულები ითვლებიან ჭეშმარიტად არსებულად (ღმერთები კი, რომლებიც მატერიალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებში არ მონაწილეობენ, შეიძლება საერთოდ არ მივიღოთ მხედველობაშიო).

ადამიანი, ისევე, როგორც ყოველი მგრძნობიარე არსება, სიხარულში ხედავს ბედნიერებას. მაგრამ იმ ადამიანმა, რომელსაც ბედნიერება სწადია, პირველივე არსებული შესაძლებლობა სასიხარულოდ არ უნდა ჩათვალოს. მან ცხოვრებისეული ყოფის ისეთი გზა უნდა ეძიოს, რომელიც მუდმივად ბედნიერების მომტანი იქნება. მაგალითად, იგი განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოეკიდოს სიყვარულს, გაერიდოს მჩქეფარე პოლიტიკურ ცხოვრებას, უარი თქვას ღვთისმორწმუნეობაზე, რომელიც ადამიანის სულში მხოლოდ და მხოლოდ შიშს ბადებს. ამის ნაცვლად, მან უნდა იგემოს მეგობრის სიხარული და სიკეთე, და, საერთოდ კი თავშეკავება გამოიჩინოს.

---

1 **ელინიზმი** — პირობითი ცნებაა, რომელიც მოიცავს პერიოდს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის წარმოშობიდან (ძვ. წ. 334-324) რომაელთა მიერ ალმ. ხმელთაშუაზღვისპირეთის უკანასკნელი დიდი სახელმწიფოს — ეგვიპტის დაპყრობამდე (ძვ. წ. 30) –ქსე, ტ.4, თბ., 1979, გვ. 127.

2 **ეპიკურიზმი** — მსოფლმხედველობა, რომელიც შეიქმნა ამ მოძღვრების არასწორი გაგებით — თითქოს იგი სიცოცხლის აზრს ხედავს ხორციელი ინსტინქტების დაკმაყოფილებასა და განცხრომით ცხოვრებაში.

3 **სტოიციზმი** — საბერძნეთში ერთ-ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობა (მე-4 ს-ის ბოლოს). stoa — ათენში არსებული პორტიკი (სვეტებისაგან წარმოქმნილი დახურული გალერეა, რომელიც შენობის შესასვლელს არის მიშენებული), სადაც ასწავლიდა ფილოსოფოსი ზენონი.

4 ს.წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, ტ.3, თბ., 1968, გვ. 414, 416.

3.2. ზენონი

მატერიალიზმზე დაყრდნობით ეპიკურეს ფილოსოფიური კვლევის საგანს მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა ქცევა წარმოადგენს. მატერიალიზმი და ინდივიდუალიზმი ასევე ნიშანდობლივია სტოიციზმისათვის[1], რომელიც ყველაზე მეტად აღიარებულ ფილოსოფიას წარმოადგენდა რომში ქრისტიანობის გავრცელებამდე.

სტოიციზმის ფუძემდებელია კვიპროსელი **ზენონი** (ძვ. წ-ით 336-264 წწ.). მან (დაახლოებით 300 წელს) დააარსა სტოიკოსთა სკოლა. მის თხზულებებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია, მაგრამ ზენონს მრავალი მოწაფე და თანამოაზრე ჰყავდა, რომელთაც მისი მოძღვრება შემდგომში კიდევ უფრო განაერცეს და განავითარეს.

სტოიციზმი მატერიალისტური მოძღვრებაა, რომლის მიხედვითაც ადამიანის სხეული ორი ნაწილისაგან შედგება. სული სხეულის წმინდა ნაწილია, მსუბუქი ქროლაა. იგი ცეცხლისა და ჰაერის ნაერთია. უცხო სტოიციზმისათვის არც ინდივიდუალური აზროვნებაა.

მიუხედავად იმისა, რომ სტოიკოსთა მოძღვრების საფუძვლები ეპიკურესას ემთხვევა, მათ შორის მაინც განსხვავება არსებობს. სტოიკოსებს ზნეობის სხვაგვარი გაგება გააჩნიათ.

ეპიკურეს მოძღვრების მიმდევრები სამყაროს მიზეზობრივ ახსნას ცდილობენ, ხოლო სტოიკოსები კი არისტოტელესეულ კონცეფციაზე დაყრდნობით მას მიზნობრივად ხსნიდნენ. მათი გაგებით, სამყაროში არსებული ყველა საგანი გარკვეულ წესრიგს ემორჩილება. ეს ღვთაებრივი წესრიგია — ღვთაებრიობა ჩვენი მეუფეა, რომელიც ღმერთების სახით წარმოგვიდგება. ადამიანს შესწევს უნარი და იგი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს ამ წესრიგს საკუთარი სურვილები შეუსაბამოს. ადამიანი საკუთარ ბედნიერებას ჰპოვებს მაშინ, როდესაც საკუთარ გონს უფრო მაღალ გონიერებას საყოველთაო წესრიგის პრინციპს შეუსაბამებს.

უძველესი სტოიკური მოძღვრების თანახმად, სიბრძნე — ეს არის საყოველთაო წესრიგის დასამყარებლად ადამიანთა სწრაფვა. სტოიკოსთა მოძღვრება, ეპიკურიზმისაგან განსხვავებით, პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავშეკავებისაკენ, უმოქმედობისაკენ არ მოუწოდებს. ზენონი თავის თხზულებაში „რესპუბლიკა“ წარმოგვიდგენს და აღწერს ისეთ სამყაროს, რომელიც ცალკეულ სახელმწიფოებად არ იყოფა და მასში ადამიანებს მხოლოდ ურთიერთსიყვარული აკავშირებთ. ძვ. ბერძენ **სტოიკოს იამბულეს** (Iambulos, დაახლ. ძვ. წ. III ს.) **ესახება ისეთი განცხრომის კუნძული, სადაც არც კერძო საკუთრებაა და არც საზოგადოების კლასებად დაყოფა.** როგორც ვხედავთ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III-II საუკუნეებში ბერძენი სტოიკოსები უბრუნდებიან პლატონის დოქტრინას, რომლის მიხედვითაც თითოეული ადამიანის მოვალეობაა, გამოიყენოს თავისი უნარი, შესაძლებლობა და ძალა, რომ ამით სიკეთე მოუტანოს სხვა ადამიანებს.

3.3. „ბუნებრივი უფლებების თეორია“

მცდელობას იმის შესახებ, რომ განესაზღვრათ, თუ რა უნდა ყოფილიყო ობიექტურად, ე.ი. საზოგადოებასთან მიმართებით მისაღები და კარგი, მივყავართ თეორიამდე ადამიანის „ბუნებრივი უფლებების თეორიამდე“, რომელიც მეტადრე **ციცერონმა**[2] ძვ. წ-ით I საუკუნეში განავითარა. ფაქტობრივად, ეს იყო პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ურთიერთშერიგების მცდელობა.

ერთი მხრივ, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ნორმები, რომლებიც მის ყოველ წევრს თანაბრად ეხება, ვინაიდან მათ ბუნებრივი საფუძველი აქვთ. მეორე მხრივ კი, აღნიშნავენ, რომ ეს ნორმები გამოხატულებას ადამიანის „ცნობიერებაში“ პოულობს, მაგრამ თუ რა იგულისხმება „ცნობიერებაში“ — ეს ბუნდოვანია. მათი განმარტება განსხვავდება „ცნობიერების“ არისტოტელესეული გაგებისაგან, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოების რეალური ფორმიდან და მოიცავს საზოგადოების არსს. ისინი თვლიან, რომ ცნობიერება არის თითოეული ადამიანის ბუნებაში არსებული უნარი და შესაძლებლობა. ამ გაგებით ისინი პლატონს უახლოვდებიან. ციცერონი აღნიშნავდა, რომ კანონი — ეს არის ბუნებაში არსებული და

1 მჭედლიშვილი, ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბ., 1941, გვ. 11.

2 მის შეხედულებებზე ქვემოთაც გვექნება საუბარი.

დაკანონებული ცნობიერება, რომელიც მიგვითითებს, თუ როგორ მოვიქცეთ — რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა.

ციცერონის აზრით, კარგი კანონი ცუდისაგან რომ განვასხვაოთ, ამის საფუძველი თვით ბუნებაში ძევს. იგი გვანიჭებს ძალას, განვასხვაოთ სამართალი უსამართლობისაგან; საყოველთაოდ მისაღები სილამაზე — სიმახინჯისაგან და სიკეთე — ბოროტებისაგან.

ამრიგად, ციცერონი ცდილობს, დაუბრუნდეს ფილოსოფიის ტრადიციებს და დაადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების აბსოლუტური ნორმები. შემდგომში მისმა ნაშრომებმა დაგვანახა, თუ რა გაუმართლებელი იყო მისი ასეთი მცდელობა. ერთი მხრივ, იგი ამტკიცებს ყველა ადამიანისათვის მისაღები ბუნებრივი სამართლის არსებობას, მეორე მხრივ კი, მან ვერ შეძლო ამ დებულების დასაბუთება.

სტოიკოსთა შეხედულებების თანახმად, ციცერონიც ადამიანთა თანასწორობის მომხრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი ერთგან აღნიშნავს, რომ არიან „მონური ბუნების" მქონე ადამიანები. ის, ვინც ხელით შრომას ეწევა, ციცერონის აზრით, დაბალ ფენას მიეკუთვნება. ამაღე დროს, იგი **მოგების მილების მიზნით გაწეული შრომის წინააღმდეგია**, თუმცა, ამ შემთხვევაში მსხვილ ვაჭრებსა და ბანკირებს არ გულისხმობს.

ამრიგად, ციცერონი უარს ამბობდა საყოველთაოდ მისაღები პრინციპების შემუშავებაზე, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრებოდა, თუ რა უნდა ყოფილიყო კარგი და მისაღები საზოგადოებისათვის. იგი, პირველ რიგში, კეთილგონიერებას აძლევდა უპირატესობას. მხოლოდ მას შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ როგორ გადაჭრას ადამიანმა საზოგადოებრივი პრობლემები. ამ დასკვნებს აკეთებს ფილოსოფია, რომელიც ინდივიდუალური გონების უპირატესობას ეყრდნობა.

იმის გამო, რომ საბერძნეთში გავრცელებული შეხედულება პოლისის[1] უპირატესობის შესახებ თითქმის მთლიანად დავიწყებას მიეცა, რომაულ კულტურაში ბუნებრივი სამართლის ცნება ცარიელ ფორმულად დარჩა.

ძვ. წ-ით 48 წელს რომის რესპუბლიკა დაემხო. იულიუს კეისრის[2] ერთმმართველობას კაიზერის[3] დესპოტიზმი მოჰყვა. რომის იმპერია კი წარმოადგენდა ხალხთა კონგლომერატს, რომელთაც ძალისმიერად იმპერატორი მართავდა. მისთვის უცხო იყო პოლიტიკური ერთობლიობა. ბერძნების გაგებით, რომი ადამიანთა ერთობლიობას წარმოადგენდა, რომელიც არსებულ კანონებს ემორჩილებოდა და მას წმინდად და სამართლიანად თვლიდნენ.

4. ძველი რომი

ძველი რომის მონათმფლობელური სისტემა, აყვავების კულმინაციას ძვ. წ-ით II-I საუკუნეებში აღწევს. ეს ის პერიოდია, როდესაც რომმა, ძლევამოსილი ომების წყალობით, უამრავი მონით უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკა. სამუშაო ძალის მეტისმეტმა გაუფასურებამ საფუძველი დაუდო შეხედულებას იმის შესახებ, რომ მონა მხოლოდ და მხოლოდ მეტყველი სამუშაო იარაღია.

რომის მონათმფლობელურ ლატიფუნდიებში (მსხვილ კერძო ადგილ-მამულში), როდესაც მონათა ექსპლუატაციამ განვითარების კულმინაციას მიაღწია, მონებსა და მონათმფლობელებს შორის ურთიერთობამ მწვავე ხასიათი მიიღო. მონათა შრომა თანდათანობით არარენტაბელური გახდა. მონა, როგორც მატერიალური დოლათის ძირითადი მწარმოებელი, საბოლოო შედეგებით დაინტერესებული აღარ იყო. დღის წესრიგში დადგა მონისადმი („მოლაპარაკე იარაღისადმი") დამოკიდებულების შეცვლისა და ჩიხში მოქცეული რომაული მეურნეობის გამოსავალი გზების ძიების საკითხი. ასეთ ფორმად **კოლონატი**[4] მოგვევლინა. თავდაპირველად იგი გულისხმობდა მიწის ნაკვეთის მქონე ადამიანს, რომელიც ნაკვეთს თავადვე ამუშავებდა.

მსხვილმა მიწათმფლობელებმა თავიანთი ლატიფუნდიების დანაწევრება და მათი იჯარით

---

1 პოლისი (ბერძნ. Polis) — ძველ საბერძნეთში ქალაქი-სახელმწიფო.

2 ცეზარი გაიუს იულიუს (102 ან 100-44 ძვ. წ.) რომის დიქტატორი 48-44 წწ.

3 კაიზერი (გერმ. Kaiser) საღვთო რომის იმპერიისა (862-1806) და გერმანიის იმპერიის (1871-1918) იმპერატორთა სახელწოდება.

4 კოლონატი (ძვ. ლათ. colonatus) — მსხვილ მიწათმფლობელებსა და უშუალო მწარმოებლებს შორის წარმოებრივი ურთიერთობის ფორმა.

გაცემა დაიწყეს. მოიჯარეებს კოლონებს უწოდებდნენ, ხოლო თავად იჯარა ძირითადად ფულადი ფორმისა იყო, თუმცა, ნაწილობრივ ნატურალური ბეგარაც იყო შენარჩუნებული. ცხადი გახდა, რომ ძველ რომში მეურნეობის მართვის ასეთი სტრუქტურის შემოღება წარმოების რენტაბელობას მკვეთრად გაზრდიდა. თავის მხრივ კი, მეურნეობის მართვის სტრუქტურულმა ცვლილებებმა და მონისადმი დამოკიდებულების შეცვლამ თავისებური ასახვა ჰპოვა ძველი რომის ეკონომიკური აზრის განვითარებაზე, რომლის ძირითად წარმომადგენელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

4.1. კატონი მიწათმოქმედების შესახებ

ძველი რომის მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგი **კატონი უფროსი** (ძვ. წ-ით 234-149 წწ.) დაიბადა ღარიბი პლებეის[1] ოჯახში. იგი იყო ძველი რომის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და სოფლის მეურნეობის საკითხებზე დაწერილი ტრაქტატის – **„მიწათმოქმედების შესახებ"** ავტორი.

ეს ტრაქტატი ერთ-ერთი უძველესია ჩვენამდე მოღწეულ ნაშრომთა შორის, რომელიც რომის აგრონომიული განვითარების საკითხებს ეძღვნება. მასში შეჯამებულია წინა თაობის გამოცდილება სოფლის მეურნეობის საკითხებზე და განზოგადებულია კატონისდროინდელი იტალიის სოფლის მეურნეობის ზოგადი გამოცდილებანი. ამ წიგნის შინაარსი საშუალებას იძლევა, უფრო ღრმად ჩავიხედოთ იმდროინდელი ეპოქის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კატონი თავის თხზულებაში „მიწათმოქმედების შესახებ" ცდილობდა, დაესაბუთებინა **სოფლის მეურნეობის უპირატესობა ეკონომიკის სხვა სექტორთა შორის** და თვლიდა, რომ მიწათმოქმედებიდან მიღებული შემოსავალი არის ყველაზე წმინდა, ყველაზე ნაღდი და არ იწვევს ეჭვს[2]. იგი სოფლის მეურნეობის ცალკეულ სექტორებს განიხილავს როგორც ცოცხალი სხეულის ცალკეულ ორგანიზმებს[3].

კატონი, მართალია, გულმოდგინედ იცავს მონათმფლობელურ ნატურალურ მეურნეობას და **გმობს ვაჭრობასა და მევახშეობას**, მაგრამ საქონლურ-ფულად ურთიერთობათა კვლევის საკითხებს გვერდს ვერ უვლის. იგი, შემოსავლის მიღების მიზნით, ამართლებდა სავაჭრო საქმიანობას (ირკვევა, რომ იგი თავად ყოფილა ვაჭრობა-მევახშეობით დაინტერესებული და თვითონ აძლევდა მსურველებს ფულად სესხს სარგებლის მიღების მიზნით) და წინადადებას იძლეოდა, გაეყიდათ ზედმეტი პროდუქტი; სამაგიეროდ, ეყიდათ ის, რისი დამზადებაც საკუთარ მამულში შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად, მას **მიზანშეწონილად მიაჩნდა მიწათმოქმედების გასაღების ბაზრებთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე წარმართვა**, ანუ იქ, სადაც იყო „მდიდარი ქალაქი, ზღვა ან მდინარე... გაცხოველებული ვაჭრობა"[4].

მართალია, კატონის ზემოაღნიშნულ მსჯელობაში ჯერ კიდევ **არაა აღმოჩენილი** ეკონომიკური კატეგორია, **დიფერენციული რენტა პირველის სახით**, მაგრამ ეფიქრობთ, რომ კატონმა, ნებსით თუ უნებლიეთ, მის აღმოჩენას უდავოდ ხელი შეუწყო.

კატონი, როგორც მონათმფლობელთა იდეოლოგი და მონათმფლობელი, ლატიფუნდიური მეურნეობის მართვის რაციონალური პრინციპების ძიებისას მონათა ექსპლუატაციის ეფექტიან საშუალებებსაც ეძიებდა. მისი რჩევით, მონას ცუდად მოქცევის და პატრონის დადანაშაულების უფლება არ ჰქონდა, წვიმიან ამინდში მონებისათვის სამუშაო უნდა გამონახულიყო, თუ ცუდი ღვინო დადგებოდა, მონებს უნდა დაელიათ, ავადმყოფი და მოხუცი მონები უნდა გაეყიდათ ...[5].

ეკონომიკური აზრის ისტორიისათვის კატონის ტრაქტატი „მიწათმოქმედების შესახებ" საინტერესოა იმითაც, რომ **მასში განხილულია საიჯარო ურთიერთობანი და მოიჯარის ვალდებულება**, მართოს მეურნეობა და მიწის მესაკუთრეს შემოსავლის გარკვეული ნაწილი გადაუხადოს.

ამრიგად, კატონის ტრაქტატი „მიწათმოქმედების შესახებ" ძველი რომის აგრარული ურთი-

---

1 პლებეი (ლათ. plebeius) – ძველ რომში დაბალი ფენის წარმომადგენელი, პირადად თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო ადამიანი.

2 **Катон, Варрон, Калумела, Плиний**, О сельском хозяйстве, М., 1957, გვ. 101.

3 **Катон Марк Порций**, Земледелие. М.-Л., 1956, გვ. 104.

4 იქვე, გვ. 8, 10.

5 **Катон, Варрон, Калумела, Плиний**, О сельском хозяйстве, გვ. 104, 110, 114.

ერთობების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა, რომელშიაც, ერთი მხრივ, დაცულია ანტიკური ეპოქის ნატურალური მეურნეობრივი ურთიერთობანი და, მეორე მხრივ, გარკვეულწილად მოწონებულია მეურნეობის საეჭვრო-გაცვლით ურთიერთობათა ხასიათი.

4.2. ვარონი და კოლუმელა

მონათმფლობელური მეურნეობის განვითარების პრობლემები თავისებურად აისახა ძველი რომის მოაზროვნეთა – **ვარონისა** (ძვ. წ-ით 116-27 წწ.) და **კოლუმელას** (ახ. წ-ით I ს.) აგრონომიული ხასიათის ნაშრომებში.

4.2.1. სოფლის მეურნეობის შესახებ

ეკონომისტ-აგრარიკოსი მარკ ტერენცი ვარონი ავტორია ტრაქტატისა **„სოფლის მეურნეობის შესახებ"**.

წიგნის I ნაწილში განხილულია მიწათმოქმედების, II-ში – მეცხოველეობისა და III-ში – საკარმიდამო მეურნეობის (მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა) საკითხები.

როგორც ტრაქტატიდან ირკვევა, ვარონი არ ყოფილა მეურნეობის პრაქტიკულ საკითხებში ისე ღრმად გარკვეული, როგორც კატონი და **იგი ძირითადად წერილობით წყაროებს ეყრდნობოდა.**

ვარონის ტრაქტატი ადასტურებს იტალიის სოფლის მეურნეობაში მომხდარ ცვლილებებს რაციონალიზაციის, ინტენსიფიკაციისა და საქონლურ-ფულად ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **მეცხოველეობის ანალიზს.** მიაჩნია, რომ იგი მეტად მგრძნობიარე უნდა იყოს ბაზრის ფასების მერყეობის მიმართ. მისი აზრით, **მეცნიერება მიწათმოქმედების შესახებ განსაზღვრავს საქონლის შეძენასა და შემდეგ მის იმდაგვარად გამოყენებას, რომ მისგან რაც შეიძლება მეტი შემოსავალი უზრუნველყონ.**

ვარონი მოითხოვდა მონათა ექსპლუატაციის გაძლიერებას და მათ „მოლაპარაკე იარაღებთან" აიგივებდა; შიგა უწესრიგობის თავიდან აცილება შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ ეყოლებოდათ ერთნაირი ეროვნების მონები; მონათა შრომის მწარმოებლურობის ზრდას ხელს შეუწყობდა მათთვის ზედამხედველების დანიშვნა, რომლებსაც ისინი აუცილებლად უნდა წაეხალისებინათ.

. ვარონის ტრაქტატი სპარტაკის ხელმძღვანელობით მოწყობილი აჯანყების შემდეგ დაიწერა და მისი ზეგავლენა იგრძნობოდა ავტორისეულ მოთხოვნებში: **მატერიალურად წაეხალისებინათ** მუყაითი მუშები, ეზრუნათ მათი გამრავლებისათვის – ამ მიზნით **მიეცათ მონებისათვის ცოლის შერთვის უფლება.**

ვარონმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლატიფუნდიური მეურნეობის დამკვიდრებასა და ძველი რომის ეკონომიკური აზრის განვითარებაში.

4.2.2. თორმეტტომეული

რომის ეკონომიკური აზრის ისტორიაში თვალსაჩინო ფიგურაა ეკონომიკური ლიტერატურის ღრმა მცოდნე და პრაქტიკოსი ლუციუს იუნიუს მოდერატუს **კოლუმელა.** იგი **„სოფლის მეურნეობის შესახებ"** 12 ტომისაგან შემდგარი ნაწარმოების ავტორია, რომელშიაც ასახულია მონათმფლობელური ლატიფუნდიური მეურნეობის კრიზისი. მისი I ტომი ეძღვნება სოფლის მეურნეობის ზოგად საკითხებს, II – ნიადაგის დამუშავებასა და განაყოფიერებას, III-V – მევენახეობასა და მებაღეობას, VI – რქოსან პირუტყვს, VII-VIII – მეფრინველეობასა და მეთევზეობას, IX – მეფუტკრეობასა და ნადირთმოშენებას, X-XI – მებაღეობას და XII კი ზედამხედველის უფლება-მოვალეობებს ეძღვნება.

კოლუმელას კარგად ესმოდა იტალიის სოფლის მეურნეობაზე ლატიფუნდიური წარმოების დამამუხრუჭებელი ზეგავლენისა და მონათა შრომის არაეფექტიანობის საკითხები. იგი საეჭვარ

და საქონლურ-ფულადი ურთიერთობის გამოყენების მომხრეა. კოლონატს იგი წარმოების დამხმარე ფორმად თელიდა, რომელსაც ლატიფუნდიურ მეურნეობაში გარკვეული კორექტივების შეტანა შეეძლო. კოლუმელას ასეთი პოზიცია იმით აიხსნებოდა, რომ ამ დროს ლატიფუნდიები რომის მეურნეობრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ხოლო კოლონატები თანდათანობით ფეხს იდგამდა და ძლიერდებოდა.

კოლუმელა ამჩნევდა, თუ როგორ მწვავდებოდა წინააღმდეგობანი მონებსა და მონათმფლობელებს შორის, თუ როგორ აბუჩად ეპყრობოდნენ მონები შრომის იარაღებსა და მიწის დამუშავებას. ამ წინააღმდეგობათა დასაძლევად მან სცადა, შეემუშავებინა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც შედარებით მშვიდ ვითარებაში შესაძლებელს გახდიდა მონის მაქსიმალურად გამოყენებას. ამ მიზნით მან დასვა საკითხები: **მონათა შრომის დანაწილების აუცილებლობის, სამი და მეტშვილიანი მონა ქალის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ (ხანდახან კი მონობისაგანაც) და სხვ.**

კოლუმელა, მისი წინამორბედების მსგავსად, რაციონალური მეურნეობის ორგანიზატორია და **ბაზრებთან ნაკვეთების ხელსაყრელ განლაგებას მოითხოვს.** თუმცა, იგი, წინამორბედებთან შედარებით, წარმოებული პროდუქტის საკუთარ მეურნეობაში მოხმარებით არ კმაყოფილდება და უფრო მეტად საქონლის წარმოების გაზრდისათვის ისწრაფვის.

კოლუმელა კოლონების ფართოდ გამოყენების მომხრეა და ურჩევს მესაკუთრეებს მიწა დასამუშავებლად თავისუფალ კოლონებს გადაცენ, რადგანაც „ყოველგვარი მიწის დამუშავება, — მისი აზრით, — უმჯობესია თავისუფალ კოლონს დაევალოს".

კოლუმელას შეხედულებანი ასახავს იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წინააღმდეგობებს, რომელთა დაძლევის ერთგვაროვან გზად მიჩნეულია კოლონატების ფართოდ დამკვიდრება, მაგრამ არსებულ წარმოებრივ ურთიერთობათა ფარგლებში ეს ჯერ კიდევ გამოსაყალი არ იყო.

* * *

მონათმფლობელური წარმოების წესი სულ უფრო კარგავდა პროგრესულ ხასიათს: მომწიფდა გადამწყვეტი კონფლიქტი მწარმოებლურ ძალებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის, თავისუფალ ადამიანთათვის შრომა უღირს საქმედ იქცა, სამხედრო ოპერაციების შედეგად მოპოვებული მონების რაოდენობა კი შეიკვეცა, სამუშაო ძალის კვლავწარმოების პრობლემები გამწვავდა და ა.შ. აქედან გამოსაყალი კი გამოჩნდა, მაგრამ იგი იმავდროულად მონათმფლობელური წარმოების წესიდან ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფაზაში გადასვლის გზა იყო.

4.3. ციცერონი და სენეკა

მარკუს ტულიუს **ციცერონი** (ძვ. წ-ით 106-44 წწ.) მსოფლიო ისტორიის კოლორიტული ფიგურა, ბრწყინვალე ორატორი, მწერალი, შესანიშნავი ადვოკატი, ცნობილი ფილოსოფოსი, გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწე, მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგია. მან უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო თავისი ეპოქის რომაული საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არამედ მომდევნო პერიოდის მსოფლიო კულტურის განვითარებაზეც.

ციცერონი **იცავდა** ლატიფუნდისტებისა და მევახშეების კერძო საკუთრებასა და მსხვილ მიწათმფლობელობას. მეურნეობის სექტორებიდან **უპირატესობას მიწათმოქმედებას ანიჭებდა.** მევახშეობისადმი მისი დამოკიდებულება ორმაგი ხასიათისაა: **ერთი მხრივ,** ფულის სესხად გაცემას, მატების მიზნით, ადამიანისათვის საზიანო მოვლენად თვლის, **მეორე მხრივ** კი, მევახშეობის საწინააღმდეგო მოძრაობის წინაალმდეგ ილაშქრებს[1]. ციცერონის ასეთი პოზიცია განპირობებული იყო ძველი რომის ეკონომიკის ნატურალურ და საქონლურ მეურნეობას შორის არსებული წინააღმდეგობებით.

მონათმფლობელური წარმოების წესის კრიზისისა და მასში კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პერიოდი კარგად აისახა რომაელი მწერლისა და ფილოსოფოსის **ლუკიუს ანეუს სენეკას**

1 **Цицерон**, О старости. О дружбе. Об обязанностях, М., 1974, გვ. 123.

(დაბ. დაახლ. ძვ. წ-ით 6-3 წწ. – ახ. წ-ით 65 წ.) შეხედულებებში. მას კარგად ესმოდა მონობის არსებობის საშიშროების და რომაელთაგან **მონებისადმი უფრო რბილ დამოკიდებულებას მოითხოვდა.** სენეკას აზრით, მონებს ცხოველებივით არ უნდა მოპყრობოდნენ, ვინაიდან ისინი სულით თავისუფალი მოქალაქეები იყვნენ და არა „მოლაპარაკე იარაღები"[1]. ამასთან, იგი მონათმფლობელებს შეახსენებდა, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა თავიანთი მოსამსახურეებისაგან.

ფულს სენეკა უარყოფითად აფასებს და ალიარებს მის მხოლოდ განძად დაგროვების ფუნქციას. იგი თვლის, რომ ფული არაფის არ ამდიდრებს, პირიქით, მხოლოდ აღვივებს მისი შეძენისაკენ ლტოლვას – ვინაიდან ვისაც მეტი ფული აქვს, მეტი შესაძლებლობაც გააჩნია, კიდევ შეიძინოს ფული[2].

ამრიგად, სენეკა არსებითად მონათმფლობელური წარმოების წესის ურყევობის პოზიციებზეა, თუმცა იგი გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას და მის შეჩერებას ცდილობს. სენეკას, როგორც სტოიციზმის წარმომადგენლის, შეხედულებებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ქრისტიანულ რელიგიაზე.

მთლიანობაში, ძველი რომის ანტიკური ეკონომიკური აზრი ღრმად ემპირიულია და ითვალისწინებს საუკუნეობრივ გამოცდილებას. მიუხედავად რიგი მნიშვნელოვანი დებულებების ჩამოყალიბებისა, რომის აგრონომია სათანადო დონემდე ისე ვერ ამაღლდა, როგორც ეს შემდგომ პერიოდში მოხდა. ის მოკრძალებული რეკომენდაციებიც კი, რომლებიც ანტიკურმა აგრონომიულმა მეცნიერებამ დააყენა, პრაქტიკაში ვერ დაინერგა მთელი რიგი მიზეზების გამო.

4.4. ძმები გრაკჭუსების აგრარული პროექტები

ძვ. წ-ით მე-2 საუკუნეში რომის სასიცოცხლო ინტერესების მრავალი პრობლემა იყო გადასაჭრელი. ამ პერიოდში აქ მონობის განვითარება მჭიდროდ უკავშირდებოდა მიწის მსხვილ საკუთრებას, ლატიფუნდიების ზრდას, მშრომელთა გაღატაკებასა და გამრავლებას. ძლიერდებოდა ბრძოლა მიწისათვის და მონობის წინააღმდეგ, რაც ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის მრავალი კრიზისული მოვლენების დაძლევას მოითხოვდა.

რომში დაიწყო აგრარულ-დემოკრატიული მოძრაობა დაბალი ფენის წარმომადგენლების, ძმები **გრაკჭუსების** მეთაურობით. ძმებმა ახალგაზრდობის წლებშივე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ტიბერიუს გრაკჭუსი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც რომში მონობა აღარ იქნებოდა.

. ძვ. წ-ით 133 წელს **ტიბერიუსი** (ძვ. წ. 162-133) **აირჩიეს სახალხო ტრიბუნად**[3], რომელმაც სახალხო კრებას **წარუდგინა აგრარული რეფორმის კანონპროექტი,** რომელიც მიწათმფლობელებს 1000 იუგერზე (300 ჰა) მეტი მიწის ფართობის ფლობას უკრძალავდა. დანარჩენი მიწის ფართობი უნდა ჩამორთმეოდათ მათ და გადასცემოდა სახელმწიფოს, რომელიც თითოეულ ღარიბს – არაუმეტეს 30 (9 ჰა) იუგერის მიწის ნაკვეთს დაურიგებდა. ამ **მიწის სარგებლობისათვის ღარიბებს სახელმწიფოსათვის მცირე გადასახადი უნდა გადაეხადათ.** გარდა ამისა, იგი მოითხოვდა გლეხობისათვის გარკვეული თანხის მიცემას, რომლითაც შეიძენდნენ სათესლე მასალას, ინვენტარსა და სხვ., რაც მიწებზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი იქნებოდა.

ასეთი კანონპროექტი იმდროინდელ სიტუაციაში შედარებით სამართლიანი იყო, მაგრამ სენატში მისი მიღება მეტად გაძნელდა. მას მდიდრებმა (რომელნიც ორასი წლის განმავლობაში ყოველგვარი გადასახადის გარეშე სარგებლობდნენ საზოგადოებრივი მიწებით) სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს.

ტიბერიუსი სახალხო კრებაზე იტალიის მშრომელთა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასაბუთებდა და აღნიშნავდა, რომ იტალიაში „ნადირებსაც კი თავიანთი სოროები და ბუნაგი აქვთ თავშესაფრად; მაგრამ იმ ხალხს, ვინც იტალიისათვის იბრძვის და სიცოცხლეს სწირავს, საკუთარ

---

1 Всемирная история экономической мысли, т. I, М., "Мысль", 1987, გვ. 151-152.

2 Сенека Л.А., Избр. письма ..., СПБ, 1893, გვ. 250.

3 **ტრიბუნი** (ლათ. tribunus) – უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირი პლებეებიდან [პლებეი (ლათ. plebeius) დაბალი ფენის წარმომადგენელი, პირადად თავისუფალი, მაგრამ პირველ ხანებში პოლიტიკურად უუფლებო ადამიანი]. ტრიბუნს ხელისუფლებისა და სენატის საქმეებში ჩარევისა და ვეტოს უფლება ჰქონდა.

ქვეყანაში ჰაერისა და სინათლის მეტი არაფერი გააჩნია"[1].

სახალხო კრებამ ტიბერიუს გრაკქუსის აგრარული კანონპროექტი მიიღო, მაგრამ მისი განხორციელება შემდგომში შეუძლებელი გახდა. ძვ. წ-ით 133 წელს ტიბერიუსი და მისი 300-მდე მომხრე მოკლეს. ტიბერიუს გრაკქუსის აგრარულ რეფორმას მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია რომაელი ხალხის ისტორიაში. ასე მაგალითად, დაახლოებით 2 მლნ-მდე იუგერი მიწა განაწილდა მისი კანონპროექტის შესაბამისად.

ტიბერიუს გრაკქუსის სიკვდილის შემდეგ მღელვარება არ მიწყნარებულა. ტიბერიუსის გზა განაგრძო მისმა ძმამ **გაიუს გრაკქუსმა** (ძვ. წ-ით 153-121 წწ.), რომელიც ძვ. წ-ით 123 წელს <u>სახალხო ტრიბუნად აირჩიეს</u>. მან მიზნად დაისახა ძმის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა და ღარიბთა სასარგებლოდ რიგი ახალი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით რომში გაიყვანეს ქუჩები და ააშენეს პურის საწყობები; ყველა რომაელ მოქალაქეს პური თვეში ერთხელ ნახევარ ფასში ეძლეოდა. მან მოითხოვა სამხედრო სამსახურის ვადის შემცირება და ჯარისკაცების ჩაცმა ხაზინის ხარჯზე.

გაიუს გრაკქუსის კანონთაგან[2], **ერთი** ითვალისწინებდა **საზოგადოებრივი მიწის დარიგებას; მეორე** (სამხედრო კანონი) - **ჯარისკაცთა მომარაგებას ტანსაცმლით და მხოლოდ** 17 წელს გადაცილებული ახალგაზრდების ჯარში გაწვევას; **მესამე — იტალიის ყველა მცხოვრებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას; მეოთხე** (პურის შესახებ) — **პურზე დაბალი ფასების დაწესებას და მეხუთე** (კანონი სასამართლო წარმოების შესახებ) — სენატორთა უფლებების შეკვეცას.

გაიუს გრაკქუსს დასახული ღონისძიებების განხორციელების გზაზე დიდი წინააღმდეგობანი შეხვდა. მდიდრებმა (მიუხედავად გაიუსის მიერ მათდამი გარკვეული თანაგრძნობისა) მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაუმართეს. გაიუსმა, მათ ცოცხლად რომ არ დანებებოდა, თავისსავე მონას მოაკვლევინა თავი.

ასე დაასრულეს თავიანთი სიცოცხლე მშრომელი ხალხის მოსარჩლე ძმებმა გრაკქუსებმა. ხალხმა მათი მოღვაწეობის ადგილზე ძეგლები ააგო, სადაც შესაწირი მიჰქონდათ და მათ სახელებს წმინდანად იხსენიებდნენ.

გავიდა წლები და არაერთხელ შეიცვალა რომში მმართველობა, რომლის დროსაც მდიდრები გრაკქუსების კანონების მაქსიმალურად დაკნინებას ცდილობდნენ, მაგრამ რომაელებმა ძმები გრაკქუსები ვერ დაივიწყეს. იმდროინდელ ეპოქაში ერთ ან ორ ადამიანს ცხოვრების წესის არსებითი შეცვლა არ ძალუძდა, მაგრამ ძმები გრაკქუსებისმაგვარი ადამიანების მოღვაწეობა ხალხში სამართლიანობისათვის ბრძოლას აძლიერებდა.

4.5. მონათა აჯანყებებისა და ანტიკური ქრისტიანობის ეკონომიკური იდეები

ძვ. წ-ით I საუკუნეში რომის ლატიფუნდიურმა მეურნეობებმა განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. შემდგომში ლატიფუნდიური მეურნეობების მართვის პრობლემები მეტად გამწვავდა და დაიწყო მისი კრიზისი. ეს ბუნებრივიც იყო, რამდენადაც მონათმფლობელობის აღმავლობის უმაღლესი საფეხური იმავდროულად მისი სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების ფესვებამდე გაშიშვლებასაც მოასწავებდა.

იტალიაში მონათა ექსპლუატაციის შემდგომმა გაძლიერებამ **ძვ. წ-ით 74-71 წწ. სპარტაკის** ხელმძღვანელობით ანტიკური ქვეყნების ისტორიაში მონათა ყველაზე დიდი აჯანყება განაპირობა. მონათმფლობელთა წინააღმდეგ ბრძოლის გრძელსა და უწყვეტ ჯაჭვში ეს აჯანყება ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელმაც მონათმფლობელური საზოგადოების ისტორიულ ბედზე რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა.

სპარტაკმა — კაპუელმა მონამ და გლადიატორმა — რამდენიმე სხვა მონასთან ერთად გაქცევის შემდეგ, საკმაო რაოდენობის მონათა შეკრება შეძლო. აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელთ იარაღი და არაერთი გამარჯვების მოპოვება შესძლეს, მაგრამ, როგორც ჩანს, **მოქმედების ზუსტი გეგმა არ**

1 პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975, გვ. 550.
2 იქვე. გვ. 528-529.

გაჩნდათ. თავდაპირველად ისინი იტალიის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ იწევდნენ, შემდეგ კი ისევ სამხრეთში დაბრუნდნენ, ისე, რომ რომში არ შესულან. ბოლოს მათ სიცილიაში შესვლა განიზრახეს, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან ვერ მიაღწიეს მეკობრეებთან შეთანხმებას, რომელთა განკარგულებაშიც გემების დიდი რაოდენობა იყო. რომაელთა ლაშქარმა ისინი დაამარცხა. სპარტაკი ბრძოლაში დაიღუპა, 6000 მონა კი ბოძებზე გააკრეს კაპუადან რომისკენ მიმავალი გზის გაყოლებაზე.

სპარტაკის ხელმძღვანელობით მონათა აჯანყების **მთავარი მოთხოვნა მონათა განთავისუფლება და მათთვის მიწების დარიგება იყო**. ოქროს, ვაჭრობასა და სპეკულაციას სპარტაკი შეუსაბამოდ თვლიდა იმ ხელისუფლებასთან, რომლისთვისაც ადამიანები იბრძოდნენ.

აჯანყება, მართალია, დამარცხდა, მაგრამ მას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა რომის მონათმფლობელობას, რომ ამ უკანასკნელმა ფეხზე დადგომა ვეღარ შეძლო. დაიწყო ლატიფუნდიური მეურნეობის ღრმა კრიზისი, რომელმაც განაპირობა კოლონატებისა და ფეოდალური სისტემის წარმოშობა.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანობას. **ადრეული ქრისტიანობა** (ახ. წ-ით I-II სს.) მონათმფლობელობის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა მასების მოძრაობას წარმოადგენდა, რომლის დამსახურებაც ისაა, რომ მან დასვა საკითხი **ხალხთა შორის თანასწორუფლებიანობის შესახებ**. ადრეული ქრისტიანობა ქადაგებდა: ერთმანეთისადმი სამართლიან მოპყრობას და შრომის საყოველთაო აუცილებლობას. იგი **კიცხავდა მუქახშობასა და სავაჭრო სარგებელს**.

მეოთხე საუკუნის დამდეგისათვის ქრისტიანობა რომის იმპერიაში გაბატონებულ რელიგიად იქცა. რომის იმპერატორი (306 წლიდან) კონსტანტინე-I დიდი (დაახლ. 285-337 წწ.) ქრისტიანობის აშკარა დამცველი გახდა. კვირა დღე, როგორც ქრისტეს აღდგომის დღე, უქმედ გამოცხადდა, დაიწყო ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა პალესტინაში, 324-30 წწ. დაარსა კონსტანტინოპოლი (ქ.ბიზანტიის ნაცვლად) და სხვ.

იმპერატორ კონსტანტინეს ინიციატივით (დაახლოებით 325-327 წწ.) ბითინიის[1] ქალაქ ნიკეაში[2] მოწვეულ იქნა მსოფლიო საეკლესიო კრება[3], რომელმაც მიიღო ერთიანი ქრისტიანული რწმენის კანონი, ე.ი., ქრისტიანობა გაბატონებულმა კლასებმაც მიიღეს და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

მონათმფლობელური საზოგადოების ეკონომიკური აზრის ისტორია მთავრდება ძველი რომის ისტორიით. რომის იმპერიის დაცემამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მონათმფლობელური ექსპლუატაციის სისტემის კრიზისი, რამაც ეკონომიკური აზრის შემდგომ განვითარებაზე თავისებური ზეგავლენა მოახდინა.

5. ფეოდალური ეპოქა

5.1. ახალი ხედვები

დროის ფართო მონაკვეთს (დაახლოებით ათასი წელი), რომელიც მოიცავს პერიოდს ანტიკური ხანიდან თანამედროვე სამყარომდე, უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენ ოდესღაც გვეგონა. ახ. წ-ით 476 წლიდან (რომის იმპერიის დაცემიდან) 1453 წლამდე (კონსტანტინოპოლის დაცემამდე) პერიოდი წარმოადგენს ეპოქას, როდესაც ეკონომიკის სფეროში გარკვეული იდეოლოგია დომინირებდა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები შენელებული და ეტაპობრივი მოდიფიკაციის საგანს წარმოადგენდა.

შუა საუკუნეებში იკვეთებოდა ახალი ხედვები, როგორც საერო, ასევე რელიგიური თვალსაზრისით. ადამიანთა ცხოვრება მოწყობილი იყო „ბუნებრივი ეკონომიკის" მიხედვით და მათ ურთიერთობებს უმეტესად ეკლესია აკონტროლებდა. საერო თვალსაზრისით, ფეოდალიზმი ერ-

1 **ბითინია** (Bithynia) – ისტ. ოლქი მცირე აზიის ჩრდ.-დას. ნაწილში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე – ქსე, ტ.2.

2 **ნიკეა** (ბერძნ. Nikaia) ძველი ქალაქი მცირე აზიაში (ახლანდელი იზნიქი, თურქეთი) – ქსე, ტ.7.

3 მას ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილეც ესწრებოდა.

წყმოდა საერო სისტემას, მაშინ როცა რელიგიური მხარე სასულიერო წესით ვითარდებოდა და უნივერსალურ ძალას იძენდა.

შუა საუკუნეების სოციალური სტრუქტურა ქონების (ძირითადად მიწის) გადანაწილებისა და მისი რეგულაციის პრობლემებს ასახავდა. მიწის საკუთრების ინსტიტუტები სათავეს რომის იმპერიის განვითარების ბოლო პერიოდიდან იღებს. სოფლის მეურნეობაში მონათა უკმარისობამ, ცვლილებები გამოიწვია დიდი ფართობის მიწების ადმინისტრირებაში. მცირე ფართობის მიწების მფლობელების მდგომარეობაც იცვლებოდა – ბევრი მათგანი მასზე მეტი ძალაუფლების მქონე მეზობლის პატრონაჟის არეალში მოექცა, რათა თავიდან აეცილებინა გადასახადების სიმძიმე, სხვები კი ძალდატანებით მათ მორჩილებაში მოექცნენ.

ამრიგად, მიწები გადადიოდა „კეთილშობილთა“ ხელში და ის, თავის მხრივ, სულ უფრო მეტად აკმაყოფილებდა ღარიბთა მოთხოვნას დასაქმებაზე, ვინაიდან თავად მონების ნაკლებობას განიცდიდნენ.

ბოლო პერიოდის რომში მონების მიერ დამუშავებული დიდი მიწები, მათი მართვის მეთოდების ცვლილებებს საჭიროებდა, რადგან მონათა შრომის უკმარისობა შეინიშნებოდა. ამის შედეგად, მიწები დაიყო მცირე ნაწილებად და გადაეცათ იჯარით თავისუფალ ადამიანებს ან მონებს სარგებლობაში. ასევე პოპულარული გახდა კოლონატის დაარსება მიწების გაფართოებით; სადაც ომის ვეტერანებს ასახლებდნენ დასახლებით თავდაცვის მიზნით. აღნიშნული კოლონატური სისტემა განაპირობებდა მის მოსახლეთა შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რომელიც იმპერიის სხვა ნაწილებში არსებული ურთიერთობების მსგავსი იყო. პატრიციატი[1] და პრეკარიუმი[2] რომაელთა იმპერიის მონურ წარმოშობაზე მეტყველებდა.

გერმანიაშიც წარმოიშვა და განვითარდა ფეოდალური მიწის ნაკვეთების მართვის შუასაუკუნოვანი ინსტიტუტები. მიწა აქაც გაიცემოდა, რომაელი მიწათმფლობელების მსგავსად, პრეკარიუმის პირობით, და ეს შეთანხმება მფლობელის სურვილისთანავე წყდებოდა.

კერძო იურისდიქციის ფართოდ გავრცელებამ, რომელიც რომაული თუ გერმანული წესების ნაყოფი იყო, ადამიანებს შორის ლეგალური ურთიერთვალდებულებები წარმოშვა. აქ არ იყო არავითარი დეგრადაციის ელემენტი, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო მისი საფუძველი, მან საზოგადოების ლორდებად[3] და მოსამსახურეებად დაყოფა განაპირობა, რაც შუა საუკუნეების მთავარი მახასიათებელი იყო.

რომაული მუნიციპალური ცენტრების მოსახლენი, რომლებიც გათელილნი იყვნენ გადასახადებით და წართმეული ჰქონდათ ყოველგვარი პრივილეგია, ისეთი დაჩაგრულები იყვნენ, რომ ურბანული[4] ცხოვრებისაგან თავის დაღწევას ლამობდნენ. შემდგომ, ბარბაროსების მიგრაციას მათი გაფანტვა მოყვა. ამან ურთიერთობები გაურკვეველი გახადა და კომერცია შეამცირა. ახალი მმართველი ჯგუფების გამო, რომლებიც უფრო დაბალი განვითარებისანი იყვნენ და რომელთაც რომაელთა მსგავსად დახვეწილი გემოვნება არ გააჩნდათ, ფუფუნების საგნებზე მოთხოვნილებამ და, შესაბამისად მათმა წარმოებამ იკლო. მეტიც, მრავალ ქალაქში ბაზრებმა არსებობა შეწყვიტა, რადგან „თვითკმაყოფილებადი ეკონომიკა“ დამკვიდრდა, ამას შედეგად ურბანული წყობის დასუსტება და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის უნივერსალიზაცია მოჰყვა.

ფეოდალიზმი, გარკვეული გაგებით, მონათმფლობელობის, მიწათმფლობელობისა და კერძო იურისდიქციის ნარევია. ფეოდალური მიწა, რომელიც შთამომავლობით გადაეცემა, ჩვეულებრივ მეტყველებს მხოლოდ მიწის ფლობაზე, თუმცა, შესაძლებელია, მან ნებისმიერი სხვა სახეობის შემოსავალი მოიტანოს. მეფეს, ფაქტობრივად, აღარ ჰქონდა ძალაუფლება მის ხალხზე, გარდა მიწაზე ძალაუფლებისა. მოქალაქეთა ყველა უფლება და მოვალეობა მონათმფლობელური ურთიერთობებიდან წარმოიშვა. ურთიერთობებში საბოლოო სანქცია ძალისმიერ მეთოდებს ენიჭებოდა. ფეოდალური წყობილება წესრიგის დასამყარებლად და საზოგადოების დასაცავად აუცილებელი

1 პატრიციატი - შუა საუკუნეებში ქალაქის საზოგადოების უმაღლესი, ყველაზე მდიდარი ფენა, ქალაქის მმართველები.

2 პრეკარიუმი (ლათ. precarium - თხოვნა) – რომაულ სამართალში მესაკუთრისაგან წერილობითი თხოვნის საფუძველზე მიწის გრძელვადიანი სარგებლობა.

3 ლორდი (ინგლ. lord) – ინგლისის უმაღლეს თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული.

4 ურბანიზაცია (ფრანგ. urbanisation<ლათ. urbs ქალაქი) მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი.

იყო. შუა საუკუნეების საწყის პერიოდში საზოგადოების წამყვანი ძალები ახალი სამთავრობო სისტემის დაარსებისათვის ბრძოლაში და საკმარისი ძალის კონსოლიდაციის პროცესში ჩაერთო, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ გაღატაკებული მოსახლეობის აჯანყებისათვის.

ასეთ ხელშემშლელ პირობებში, სოფლის მეურნეობა მხოლოდ უახლოესი მეზობლის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. ჯვაროსნულ ლაშქრობამდე რეგიონთაშორისი ბაზრების ნაკლებობა აღინიშნებოდა, ხოლო ვაჭრობა და მრეწველობა აღარ ვითარდებოდა.

ჯვაროსნებმა ძლიერი ზეგავლენა მოახდინეს ადგილობრივი მოსახლეობის ჰორიზონტების გაფართოებაზე. კომერციული წარმოება კვლავ გაფართოვდა. ქალაქები და თვით გაღატაკებულები მოძლიერდნენ არისტოკრატი მიწათმფლობელების წინააღმდეგ. ტრანსპორტირება და კომუნიკაცია გაუმჯობესდა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე გაჩნდა ფართო მოთხოვნილება, „თვითკმაყოფადი ეკონომიკა“ შეიცვალა უფრო მოგებიანი გაცვლითი ეკონომიკით. სავაჭრო ქალაქებმა კორპორაციული ხასიათი შეიძინეს; ისინი ინდუსტრიულ წარმოებებს აკონტროლებდნენ და აქ პიროვნების ქმედებები მათი სტატუსის შესაბამისად რეგულირდებოდა.

კათოლიკურმა ეკლესიამ ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკურ ცხოვრებაზე. იგი ინდუსტრიის, ეკონომიურობის, ერთგულებისა და მორჩილების იდეებს ქადაგებდა. მისი მოწოდებები შრომის ღირსებას ამაღლებდა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დოქტრინას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეკლესიის ზეგავლენა მხოლოდ ზნეობრივი ჩარჩოებით არ შემოისაზღვრებოდა, ეკლესია დიდი მიწების მფლობელიც იყო, ამიტომ იგი ფეოდალურ მბრძანებლებს შორის ყველაზე ძლიერი გახდა და ამ პოზიციიდან ფეოდალური საზოგადოების გაუმჯობესების წაქეზება შეეძლო. იგი ცდილობდა დაერეგულირებინა ადამიანთა შორის ურთიერთობები იმის საფუძველზე, რომ მიწიერი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა სამუდამო გადარჩენისათვის მომზადება. ამქვეყნიური ყველაფერი უმნიშვნელოდ მიიჩნეოდა, გარდა იმ საშუალებებისა, რომლებიც ადამიანებს სამუდამო სასუფეველში მოხვედრაში ეხმარებოდნენ.

შუა საუკუნეებში ეკონომიკური საკითხები ზნეობრიობასთან დამოკიდებულების ასპექტით განიხილებოდა. ეკონომიკურ სპეკულაციას უკავშირებდნენ ეთიკურ და პოლიტიკურ აზროვნებას ისევე, როგორც ეს იყო საბერძნეთში; მაგრამ ბერძნული შეხედულებები შეიცვალა ღირსეული შრომის სასარგებლოდ და მონობაზე დამყარებული საზოგადოებრივი შრომის საწინააღმდეგოდ. შრომა ღვთის მიერ ბოძებული იყო და ღირსეულ და აუცილებელ საქმიანობად ითვლებოდა.

შუა საუკუნეების <u>ეკონომიკური განათლების ცენტრალური თემა სამართლიანობის იდეაა</u>. ადამიანთა შორის ყოველგვარი ურთიერთობა უნდა წარიმართოს სამართლიანობაზე დაყრდნობით და ეკლესია ამ იდეოლოგიას ქცევის სამართავ დაუწერელ კანონად მიიჩნევდა. სულიერად კარგადყოფნა ქცევის მთავარი მიზანი იყო; შედეგად, ეკლესიამ თავისი დოქტრინები ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობას მიუსადაგა. <u>სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა კანონიერი</u> საშუალებები გახდა საარსებო საშუალებათა გამოსამუშაებლად, მაგრამ <u>ვაჭრობა იზღუდებოდა</u>, რადგან იგი თაღლითობას უკავშირდებოდა. ამ პროცესების შედეგად დარეგულირდა ვაჭრობის წესები და ფასებიც რეალურ ღირებულებას დაეყრდნო. <u>პროდუქტის რეალური ფასი გამყიდველსა და მყიდველს შორის სამართლიანობის დამყარების საშუალება გახდა</u>. <u>მევახშეობას</u> პრაქტიკულად <u>კრძალავდა</u> ეკლესია. საბაღუტო და სხვა საქმიანობის სამართლიანობის განსაზღვრაც ეკლესიის იურისდიქციას დაექვემდებარა. შუა საუკუნეების ეკონომიკური დოქტრინის ავტორიტარული დეკლარაცია სხვადასხვა ავტორის ნაშრომებშია განხილული.

5.2. ზოგადი მახასიათებლები

მონათა აჯანყებებმა, ექსპლუატირებული გლეხობის ფართო მასების გამოსვლებმა, გამოფიტა მონათმფლობელური საზოგადოება, მისი კვდომა რომის იმპერიაზე დამპყრობი ტომების შემოსევებმა დაასრულა.

რომის ეკონომიკის რღვევის პროცესი, რომელიც მეტად გაღრმავდა მეოთხე საუკუნის ბოლოს მთელ დასავლეთში, დაჩქარდა გერმანელთა შეჭრით. ისინი ამ პერიოდში ავსებენ იმპერიის ტერი-

ტორიებს და მოკლე დროში რაინიდან აფრიკაში და იტალიის უკიდურეს სამხრეთში აღწევენ[1].

რომის იმპერიაში დასავლეთიდან შეჭრილი ხალხი თავისი საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური მდგომარეობით განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. იულიუს კეისარის მმართველობის პერიოდში რაინის სანაპიროზე დასახლებული გერმანელი ტომებისათვის უცხო იყო მიწაზე კერძო საკუთრება, თითოეული ტომი ფლობდა მიწის ნაკვეთს. მიწის განაწილება ხდებოდა ასევე ცალკეულ გვარებს შორის. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდაქმნების მიუხედავად, მიწის განაწილების ამგვარი სისტემა ხანგრძლივად შემორჩა ევროპის სხვადასხვა ნაწილში.

რომის იმპერიის დამპყრობი ტომების განვითარებაში სასოფლო თემი ასრულებდა წამყვან როლს. აქ მიწები გარკვეული დროით ნაწილდებოდა თემის წევრებს შორის. შემთხვევითი როდია, რომ ასეთი ქვეყნებიდან სხვადასვა ტერიტორიებზე შეჭრილი ტომების უმრავლესობა სწორედ სასოფლო თემებს ქმნიდნენ, სადაც სათემო მიწებით თემის წევრები ერთობლივად სარგებლობდნენ. ამასთან ერთად, ტომის ბელადები თანდათანობით ისაკუთრებდნენ მიწის ნაკვეთებს, გაჩნდა სათემო არისტოკრატია მიწათმფლობელების სახით.

რომის იმპერიის განაპირა მხარეებში, სადაც ამჟამად ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ტერიტორიაა, მკვიდრდებოდნენ დამპყრობი ტომები, რომელთა ბაზაზე თავისუფალი გლეხობის ფართო ფენა წარმოიშვა. რომის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოების გამგებლები დაპყრობილ მიწებს, მათზე დასახლებულ პირებთან ერთად (ფეოდების სახით), ჩუქნიდნენ მათთან დაახლოებულ პირებსა და ბრძოლაში თავგამოჩენილ მეომრებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ მდგარიყვნენ მეფის სამსახურში. გადაცემულ „ფეოდებზე" გლეხობა, მიწის დამუშავებასთან ერთად, ახალი მებატონეების წინაშე სხვადასხვა ვალდებულებებს ასრულებდა.

მე-5-9 სს-ში თემის თავისუფალი გლეხები, თავიანთი მერყეული პოზიციების განმტკიცების მიზნით, იძულებულნი ხდებიან მოექცნენ ბატონის მფარველობაში.

ამრიგად, გლეხი კარგავს თავისუფლებას და იქცევა ყმად, რომელიც იძულებულით შრომას ეწევა ბატონის მამულში.

გერმანელთა სამეფოს დამხობის შემდეგ მიწათმფლობელებმა პოლიტიკური ძალაუფლებაც მოიპოვეს. მიწათსარგებლობის ეს პრინციპი, როდესაც მეურნეობას მოიჯარე და მონა უძღვებოდა, სხვა ტერიტორიებზეც გავრცელდა და თანდათან ბატონყმობაში გადაიზარდა.

გერმანელთა ტომობრივი გაერთიანებებისა და რომაელთა საზოგადოებრივი წყობის ნაცვლად უპირატესობა ბატონყმურ ურთიერთობებს ენიჭება. გერმანელებმა ანტიკური ეპოქის ტექნიკური განვითარების დონე შემოინახეს. ისინი რომაელთა ცოდნასა და გამოცდილებას თანდათანობით ითვისებდნენ, რაც განსაკუთრებით მიწათმოქმედებაში შეიმჩნეოდა.

მეხუთე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს გერმანელმა ლიდერებმა, რომლებიც მათ სამეფოში შემავალ ტერიტორიას საკუთრებად მიიჩნევდნენ. დიდად არ შეცვლილა მმართველობის სისტემა მაშინაც კი, როდესაც კარლოს დიდი (742-814) მეფედ (768 წ.) აკურთხეს. მეცხრე საუკუნეში ჩრდილოეთიდან ნორმანთა (სკანდინავიელთა-ვიკინგების) შემოსევისას მოსახლეობა იძულებული გახდა როგორმე დაეცვა თავი მტრისაგან. თავდაცვის მიზნით მეფის მთავრობამ ე.წ. ბურგები[2] ააშენებინა. სამეფო კარის წევრები გახდნენ რა ბურგების მეპატრონეები, ფაქტობრივად გამოეყვნენ მეფეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ისინი თავს ვასალებად მიიჩნევდნენ, რომელთაც მეფე პირადი სარგებლის მიზნით ურიგებდა მიწის ნაწილს „ლერნების"[3] და „ბენეფიციუმების"[4] სახით. მეფე, ფაქტობრივად, კარგავს თავის ძალაუფლებას, სამეფოს მხოლოდ სახელიღა შემორჩა.

ამრიგად, ფეოდალიზმის წარმოშობას ხელი შეუწყო დამპყრობი ტომების სამხედრო ორგანიზაციის ურთიერთქმედებამ დაპყრობილ ქვეყნებში არსებული მწარმოებლური ძალების განვითარების შედეგად.

---

1 იხ.: Луццато Дж., Экономическая история Италии, М., 1954.

2 ბურგი (გერმ. Burg) — შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში: გამაგრებული კოშკი; ციხესიმაგრე.

3 Lern (გერმ.) — მემკვიდრეობითი ადგილმამული, რომელსაც ვასალს მიღებული ჰქონდა სენიორისაგან სამხედრო სამსახურისა თუ სხვა ვალდებულების სანაცვლოდ.

4 ბენეფიციუმი (ლათ. beneficium) — წყალობა.

ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის საფუძველი იყო ფეოდალის საკუთრება მიწაზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე – საბატონო გლეხზე. ეს უკანასკნელი შეიძლებოდა გაეყიდათ, ეყიდათ, მაგრამ მათ მონასავით ვერ მოკლავდნენ. გლეხი, მონისაგან განსხვავებით, ფლობდა წარმოების იარაღებს და თავის კერძო მეურნეობას პირადი შრომით წარმართავდა.

ფეოდალიზმის ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო. ასე მაგალითად, დას. ევროპაში (საფრანგეთი, იტალია, ...) იგი განვითარდა მე-5 საუკუნიდან და გრძელდებოდა მე-17 (ინგლისში) – მე-18 (საფრანგეთში) საუკუნეებამდე, რუსეთში – მე-9-დან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, საქართველოში (ქართლი, მესხეთი...) – მე-6-დან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

ფეოდალიზმმა ძირითადად განვითარების სამი ეტაპი განვლო: პირველი, ადრეული შუასაუკუნეები – ფეოდალიზმის წარმოშობისა და ჩამოყალიბების პერიოდი (მე-5-11 სს.); მეორე, გვიანდელი შუასაუკუნეები – ფეოდალიზმის აყვავება (მე-11-15 სს.) და მესამე, ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის წარმოშობის პერიოდი (მე-16-17 სს.).

53. ადრეული ფეოდალიზმი

ანტიკური ეპოქის ბოლო საუკუნეებში პოლიტიკური აზროვნების დონე დაეცა. თითქოსდა დაივიწყეს ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელნიც ძველი ბერძენი მოაზროვნეების შემოქმედებით წყაროს წარმოადგენდა. მაშინ, როდესაც რომის იმპერია „სულს ღაფავდა“, სულიერი ცხოვრების დაკნინებამ კიდევ უფრო დააჩქარა პოლიტიკური აზროვნების დაცემის პროცესი. რომაელების მიერ დასავლეთში დაარსებული ქალაქები მიტოვებული და აოხრებული იყო. დავიწყებას მიეცა ქალაქის სულიერი ცხოვრება. ბიბლიოთეკები საშინელ მდგომარეობაში იყო. დაიკარგა ანტიკური ეპოქისდროინდელი არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ასე მაგალითად, შუა საუკუნეებში პლატონის მხოლოდ ერთი დიალოგი („ტიმაოსი“) იყო ცნობილი, ხოლო მე-13 საუკუნის შუა პერიოდამდე არისტოტელეს წერილების მხოლოდ მცირე ნაწილზე და მხოლოდ რამდენიმე ნაშრომზე ჰქონდათ წარმოდგენა. ფაქტობრივად, სულიერ ცხოვრებას კლერიკალები[1] წარმართავდნენ, რომელთა შესწავლის საგანს ძირითადად რელიგიური ნაშრომები წარმოადგენდა.

ქრისტიანობა თანდათანობით ფეხს იკიდებდა გერმანელ ხალხში, რომელზედაც დადებითი ზეგავლენა მოახდინა რომაულმა კულტურამ. რომის იმპერატორის, გაიუს ოქტავიანე **ავგუსტუსის** (ძვ. წ. 63-ახ. წ. 14)[2] თანახმად, ვითარდება დოქტრინა, რომელიც მეფის ძალაუფლებას ეკლესიის გავლენის ჩარჩოებში აქცევს. მრავალი საუკუნის განმავლობაში საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ სახელმწიფოს მოვალეობაში ძირითადად ეკლესიის მხარდაჭერა შედიოდა, რომელიც მორწმუნეთა სულიერ სამყაროს წარმოადგენდა: არისტოტელესეული გაგებით, იქ, სადაც სახელმწიფოს არა აქვს საკუთარი ფუნქცია, არ არსებობს მეცნიერება სახელმწიფოსა და პოლიტიკის შესახებ. ერთადერთ არსებულ პოლიტიკურ პრობლემად მიჩნეულ იქნა იმ საკითხთა განხილვა, რომლებიც ხელს შეუწყობდა სასულიერო პირთა და თავდაზნაურთა უფლებამოსილების დადგენას. გათვალისწინებული იყო ე.წ. საქრისტიანოს შექმნა. ადამიანები რელიგიური დაჯგუფებების საზით უნდა გაერთიანებულიყვნენ საზოგადოებაში, რომელშიც ისინი დაიცავდნენ თავიანთ ზნე-ჩვეულებებს და თავიანთი ბატონის მორჩილნი იქნებოდნენ.

„საქრისტიანოს“ შექმნის იდეას რიგი წინააღმდეგობის გამო განხორციელება არ ეწერა. მოუწოდებდა რა ქრისტიანული სარწმუნოება თითოეულ ადამიანს, რომ მას შეეცნო და დაენახა ადამიანის უკიდეგანო პირადი ღირსებანი, შეუძლებელი იყო ასეთი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ შემობრუნება, რომელშიც ადამიანები სპონტანურად[3] და უცვლელად იქნებოდა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ მცდელობის რესტავრაციული ხასიათით აიხსნება ის გარემოება, რომ შემდგომში პოლიტიკური ცხოვრება გარკვეულწილად ეკლესიის წინააღმდეგ, ქრისტიანობის წინააღმდეგ წარიმართა, მაშინ როდესაც ცალკეული პიროვნების თავისუფლებაზე იყო საუბარი. სინამდვილეში კი

1 კლერიკალიზმი (ლათ. klerikalis – საეკლესიო) საეკლესიო პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის მიზანი იყო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეკლესიის გავლენის გაძლიერება.

2 იულიუს კეისრის შვილობილი და მემკვიდრე, მისი დის შვილიშვილი.

3 **Spontaneus** (ლათ.) – თვითნებური.

მეფეებს პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. ისინი თავიანთი შემოსავლის გადიდებისაკენ მიისწრაფოდნენ და, როგორც კი საბაბი მიეცემოდათ, სასულიერო პირებზე ზეწოლას და მათი თავიანთი ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდნენ. ოფიციალურად კი აცხადებდნენ, რომ საერო ძალაუფლება საეკლესიო ინტერესებს და მიზნებს უნდა ემსახურებოდესო. ნათელია, რომ პოლიტიკური აზროვნება შუა საუკუნეებში დაცემისა და დაკნინების გზას დაადგა.

5.3.1. ავრელიუს ავგუსტინე (354-430)

ადრეული შუასაუკუნეების ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ჩრდილო აფრიკელი (აღმოსავლეთი ალჟირი, ქ.გიპონი) ეპისკოპოსი ავრელიუს **ავგუსტინე**[1], ქრისტიანობის თეოლოგი და საეკლესიო მოღვაწე.

ავგუსტინე თავის მთავარ ნაშრომში **„ღვთაებრივი სახელმწიფო“** (410 წ.) აკრიტიკებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეებს და მოითხოვდა შრომას ყველასაგან და ხშირად ქადაგებდა გამონათქვამს: „ვინც არ მუშაობს – იგი დიახ არც ჭამს“. მან შუა საუკუნეებში პირველმა გამოიყენა ტერმინი **„სამართლიანი ფასი“**: „მე ვიცი კაცი, – წერდა იგი, – რომელმაც, როდესაც მას შესთავაზეს მანუსკრიპტი[2] და მან დაინახა, რომ გამყიდველმა არ იცის მისი ღირებულება, მისცა ამ უკანასკნელს სამართლიანი ფასი, რომელსაც იგი არც კი მოელოდა“. სავაჭრო ოპერაციებზე მსჯელობისას იგი მსხვილი ვაჭრობისა და მევახშეობის წინააღმდეგია. ავგუსტინი მონობის შესახებ შემდეგი აზრისაა: მონობით სამართლიანად ისჯება ადამიანი მისი ცოდვების გამო; მონები ომში დამარცხებული ხალხია და ყოველი, თუნდაც სამართლიან ომში მოპოვებული გამარჯვება არის ღმერთის განაჩენი, რომელიც ცდილობს მორჩილებაში მყოფი ადამიანის დასჯას ან გამოსწორებას, იგი გარკვეულ კანონებს ემორჩილება და, ვინც მას არღვევს, დასჯის ღირსია.

გამოდის, რომ მონობა ღვთიური სასჯელია, რომლის საშუალებითაც ბუნებრივი წესრიგი მყარდება.

5.3.2. „სალიკური სამართალი“

დასაწყისში ფრანკების[3] საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა **„სალიკური სამართალი“** („hex Salica“), რომელიც შედგენილია მე-6 ს-ის დასაწყისში მეფე ხლოდვიგ I-ის დროს და რომელმაც დაახლოებით ოთხი საუკუნე (მე6-9) იარსება. ამ პერიოდში იგი ბევრჯერ შესწორდა და შეივსო. ეს იყო პერიოდი, როდესაც გერმანელი ტომების გვაროვნული წყობა უკვე მთლიანად დაიშალა და მიწაზე კერძო საკუთრება, კასტები და სახელმწიფო წარმოიშვა. ამ პერიოდში კერძო საკუთრების დასაცავად აუცილებელი იყო შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები, რომელსაც ამ საკუთრების ხელმყოფთა მიმართ გამოიყენებდნენ.

„სამართლის“ ძეგლიდან ირკვევა, რომ ფრანკების მეურნეობას, გერმანულთან შედარებით, განვითარების უფრო მაღალი დონისთვის მიუღწევია. ფრანკთა მეურნეობაში წამყვან როლს ორმოსავლიანი მიწათმოქმედება ასრულებდა. მნიშვნელოვანი როლი ადრეთვე მეცხოველეობის განვითარებასაც ენიჭებოდა.

„სალიკური სამართალი“ იცავდა მეურნეობის ცალკეულ სექტორებს. ასე მაგალითად[4], ხარის, ხბოიანი ძროხის ქურდს ჯარიმის სახით უნდა გადაეხადა 25 სოლიდი[5], ხოლო 25 სული საქონლის ქურდს, გარდა მოპარული საქონლის ღირებულებისა, ჯარიმის სახით 63 სოლიდი უნდა გადაეხადა[6].

---

1 იხ.: Творения Блаженного Августина Епископа Иппонискаго, Часть I-7, Киев, 1901-1912.

2 **Manuscriptum** (ლათ.) – უპირატესად ძველი ხელნაწერი.

3 ფრანკები თავის შემადგენლობაში აერთიანებდა რიგ გადასახლებულ გერმანელ ტომს. ფრანკები იყოფოდა ორ დიდ განშტოებად: სალიკური ანუ რაინის შესართავში მცხოვრებ ზღვისპირა ფრანკებად და რიპუარული – რაინისა და მაასის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ფრანკებად.

4 Салическая правда, Пер. Н.П. Грацианского, М., 1950, გვ.15.

5 სოლიდი – იმდროინდელი რომის ფულადი ერთეული. 3 სოლიდი დაახლოებით 1 ძროხის ღირებულებას უდრიდა.

6 История средных веков. Хрестоматия, ч. I, М., 1988, გვ. 24.

„სამართალის“ მიხედვით, საკარმიდამო მიწები ყოველი ფრანკის ინდივიდუალური საკუთრებაა, ხოლო სათიბები და ტყეები თემის კოლექტიური საკუთრება ყოფილა. რაც შეეხება სახნავ მიწებს, ისინი ჯერ კიდევ არ ყოფილა პირად საკუთრებაში, თუმცა, მათი გადანაწილება აღარ ხდებოდა და ცალკეული პიროვნების სამემკვიდრეო სარგებლობაში რჩებოდა. თემის უმაღლესი სამართალი სახნავი მიწის გაყიდვას კრძალავდა. თუკი გლეხი უმემკვიდრეოდ გარდაიცვლებოდა, მაშინ მისი ქონება ახლობლებს რჩებოდა, მაგრამ ეს არ ეხებოდა მიწის ნაკვეთს, რომელიც თემს უნდა ჩაბარებოდა (მიწის ნაკვეთის ქალებზე გადაცემა იკრძალებოდა)[1].

„სალიკურ სამართალს“ ფრანკთა სათემო ურთიერთობების თანმიმდევრული დაცვა უკვე აღარ შეეძლო, რამდენადაც გვაროვნული თემი უკვე ე.წ. სამეზობლო თემმა შეცვალა, რომელიც ცალკეული გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობას დასაშვებად თვლიდა. სათემო კავშირიდან გამოსვლა, უპირველეს ყოვლისა, მეფის მფარველობის ქვეშ მყოფი მდიდარი ხალხისათვის იყო ხელსაყრელი.

მე-6 საუკუნეში ფრანკების მდიდარ და ღარიბ ფენებად დაყოფის პროცესი მიმდინარეობს. სათემო კავშირები ფრანკთა საზოგადოებაში გაქრა და მათ ადგილი დაუთმეს ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარებას. „სამართალიც“ თანდათან ფეოდალურ ურთიერთობათა გარსში ეხვევა.

5.3.3. „კაპიტულარები ვილების შესახებ“

ადრეული შუასაუკუნეების ფეოდალური ურთიერთობების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი ძეგლია **„კაპიტულარები ვილების შესახებ“** („Capitulare de villis“), რომელიც მე-9 საუკუნის დასაწყისშია შედგენილი ფრანკთა იმპერატორის (800 წლიდან, მეფე 768 წლიდან) **კარლოს დიდის** (742-814) ბრძანებით, როგორც თავისი მამულების მართვის ინსტრუქცია.

„კაპიტულარები“[2] მეფის მამულებში მეურნეობის ნატურალურ ხასიათს ადასტურებს. აქ ხელოსნობაც საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. კანონების მიხედვით, ყოველ მმართველს უნდა ჰყოლოდა კეთილი მჭედლები, პურის მცხობლები, მეწაღეები, იარაღის მკეთებლები ... მამულებში ქალებით დასაქმებული სპეციალური სახელოსნოები არსებობდა, სადაც ჩეჩავდნენ და რთავდნენ მატყლს, სელს, ქსოვდნენ და ღებავდნენ ტილოს[3].

„კაპიტულარებში“ ნახსენებია ბაზარი და საბაზრო შემოსავლები; მმართველებს ღვინის ყიდვისა და იმ პროდუქტების გაყიდვის შესაძლებლობა ეძლეოდათ, რომელნიც მეფის სამზარეულოს აღარ ესაჭიროებოდა, თუმცა, იმდროინდელი ვაჭრობის მნიშვნელობა არ უნდა გავაზვიადოთ, რამდენადაც იგი ფეოდალურ ჩარჩოებში იყო მოქცეული.

„კაპიტულარები ვილების შესახებ“ მოწმობს იმას, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისში ფრანკული სოფლის ფეოდალიზაცია სრულად არ დამთავრებულა, რამდენადაც მეფის მამულებში კვლავ არსებობდა თავისუფალი მოსახლეობა. გამოდის, რომ მათი დამორჩილების პროცესი კვლავ გრძელდებოდა, „კაპიტულარების“ შემდგენელიც ხომ სწორედ იმით ხელმძღვანელობდა, რომ მამულების მეპატრონე მიწის მონოპოლურ მესაკუთრედ გეევლინება, ხოლო საადგილმამულო მეურნეობა მის პირად საჭიროებას უნდა მოემსახუროს[4]. მეფისთვისაც შემოსავლის ძირითადი წყარო მისი მამული ყოფილა და, ბუნებრივია, მისი თავისი მეურნეობის სანიმუშოდ წარმართვით დაინტერესება.

„კაპიტულარების“ მიხედვით, მეფის მამულებში აგროკულტურა მაღალ დონეზეა განვითარებული, მამულები მარცვლეულის, საქონლის და საბაღე-საბოსტნე ნაკვეთებისაგან შედგებოდა.

„კანონების“ მე-5 და 32-ე პუნქტები მამულების მმართველებს ნაკვეთის დროულად დამუშავებას, მოსავლის უდანაკარგოდ აღებას და მაღალი ხარისხის სათესლე მასალით უზრუნველყოფას ავალდებულებდა[5]. ამ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოიყენებოდა რკინის გუთანი, ცელი, ნამგალი, ფოცხი..., ტექნიკური კულტურებიდან თესავდნენ სელსა და კანაფს, ხოლო მარცვლეულიდან — შვრიას, ქერს, ჭვავს და ხორბალს.

---

1 История средных веков. Хрестоматия, ч. I, М., 1988 გვ. 39.
2 კანონები, განკარგულებები.
3 История средных веков. Хрестоматия, ч. I, გვ. 64.
4 იქვე, გვ. 62.
5 იქვე, გვ. 61-64.

„კაპიტულარებში“ არაერთხელაა ნახსენები ვენახები და ღვინის წარმოება, იკრძალებოდა ყურძნის ფეხით დაწნება[1]. ყურძნის დამუშავებისათვის არსებობდა სპეციალური საწნეხები. მეფის მამულებში მოჰყავდათ: ცერცვი, ბოლოკი, თალგამი, აგრეთვე ამზადებდნენ ასამდე სამკურნალო ბალახს და სვიას, რომელიც აუცილებელი იყო ლუდის წარმოებისათვის.

ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა მესაქონლეობას და მეფრინველეობას. ასე, მაგალითად, „კაპიტულარები“ მოითხოვდა ყოლოდათ მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ღორების, თხებისა და ცხვრების ჯოგები და აგრეთვე მუშა საქონელი. გარდა ამისა, აუცილებელი იყო არანაკლებ 100 სული ქათმისა და 30 ბატის ყოლა[2], მეფე აგრეთვე მეფუტკრეობისადმი ხელშეწყობას მოითხოვდა.

მთლიანობაში, „კაპიტულარები ვილების შესახებ“, ანუ „კანონები მამულების შესახებ“, იმდროინდელი მეურნეობის მართვის საკითხების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა.

5.4. ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების განახლება (მე-12-13 სს.)

როგორც უკვე ცნობილია, მე-7-10 სს-ში, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეხს იკიდებდა ფეოდალური წყობილება, ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებს შორის ვაჭრობა მოექცა: ბაღდადის სამფოს, კორდოვას ხალიფატის (ესპანეთი, 929-1031 წწ.) და სხვა ძლიერ სახელმწიფოთა კონტროლის ქვეშ. მათ სათავეში ედგათ **მუჰამედის** (570-632 წწ.) შთამომავალი მუსულმანი მმართველები. ეს სახელმწიფოები ანტიკური ეპოქის სულიერ მემკვიდრეობას ეზიარნენ და საკმაოდ კარგადაც შემოინახეს იგი. მე-11 ს-ში მცირე აზიაში თურქების შეჭრამ აღმოსავლური კულტურის აყვავების პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა.

მოგვიანებით, ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები კვლავაც იქმნება, როგორც იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოებში – ვენეციასა და გენუაში, ასევე დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყანაში (განსაკუთრებით გზებისა და მდინარეების გაყოლებაზე). ქალაქებმა დაკარგული ფუნქციები კვლავ აღიდგინეს. საქმის უკეთესად წარმართვისა და საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, ქალაქში მოსულეები ჯგუფებად ერთიანდებიან. გაჩნდნენ სამრეწველო საწარმოები (მაგალითად, საფეიქრო საწარმო ფლანდრიაში).

სავაჭრო ოპერაციები თანდათანობით ფულის ერთეულით ხორციელდება. მე-9-10 სს-ში ძვირფასი მეტალებით მხოლოდ ებრაელები ვაჭრობდნენ. მოგვიანებით, უპირატესად დიდ ქალაქებში, ჩნდება ზარაფები, რომლებსაც შემდგომში ბანკირები ცვლიან. მიუხედავად ეკლესიის აკრძალვებისა, მაინც ასესხებდნენ ფულს სარგებლის მიღების მიზნით. ამ საქმეში უკვე, არც თუ იშვიათად, საეკლესიო პირებიც მონაწილეობდნენ.

ვაჭრობისა და ქალაქური ცხოვრების აღორძინებამ ზეგავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობაზეც, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი გასაღების ბაზარს ქალაქად პოულობს. ფეოდალები დამატებითი პროდუქციის მიღების მიზნით დამატებითი მიწების დამუშავებითა თუ შრომის მწარმოებლურობის ზრდით დაინტერესდნენ. თვლის რა ასეთ საქმიანობას უფრო მოგებიან.ად, ფეოდალი გლეხს თავისებურად ათავისუფლებს და გლეხი უკვე იძულებითი შრომის მაგივრად ბატონს გარკვეულ თანხას აბარებს.

მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში პაპმა გრიგოლ VII-მ ახალი რეფორმა გაატარა, რომელიც სასულიერო პირებს შეეხებოდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ეკლესია, რისი დასტურიცაა ამ პერიოდიდან აშენებული რომაული ეკლესიები, სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გარკვეული ზეგავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოახდინა. თუმცა, ამ პოლიტიკური პრობლემების განხილვა ეკლესიის მიერ მითითებულ თეოლოგიურ საზღვრებს არ სცილდებოდა.

არაბთა მიერ **არისტოტელეს**, განსაკუთრებით კი მისი „პოლიტიკის“ აღმოჩენამ მე-13 ს-ის პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების განვითარებაზე დიდი ზეგავლენა იქონია. არისტო-

1 История средных веков. Хрестоматия, ч. I, М., 1988. გვ. 65.

2 იქვე, გვ. 63.

ტელეს პოლიტიკურმა თხზულებებმა ქრისტიანთა სულიერი სამყარო შეძრა.

არისტოტელე და მისი არაბი მიმდევრები — **იბნ-სინა**[1] და **იბნ-რუშდი**[2] პოლიტიკურ პრობლემებს რაციონალურ და მეცნიერულ დონეზე იხილავდა. ისინი ცდილობდნენ განესაზღვრათ თვით სახელმწიფოს ბუნება, მისი არსი და აქედან გამომდინარე აკეთებდნენ სათანადო დასკვნებს.

ეკლესია კი, თუკი იგი საერთოდ განიხილავდა პოლიტიკურ საკითხებს, მაშინაც სულიერი ხსნის პოზიციიდან გამოდიოდა. ყოველივე ეს გახდა კონფლიქტის საფუძველი. მალე არისტოტელე მეტად საშიშ და მავნებელ ავტორთა რიცხვს მიაკუთვნეს. ის მნიშვნელოვანი დასკვნები, რომლებიც საერო და სამეცნიერო ფაკულტეტების პედაგოგებმა გამოიტანეს ამ დოქტრინიდან, მაშინვე უარყვეს. ასე მაგალითად, პარიზის უნივერსიტეტის მასწავლებლებმა **ზიგერ ბრაბანტელმა და ბუციუს დაკიელმა უარყვეს სულის უკვდავება.** პოლიტიკური თვალსაზრისით, სანტერესოა ბუციუს დაკიელის თეზა: **„უდიდესი ბედნიერება ადამიანისათვის, ეს არის ბედნიერება საზოგადოებაში. მას ადამიანი ზნეობრივი ქცევის დახმარებით მიაღწევს“.**

მე-13 ს-ში კულტურული ცხოვრების დაცემის პროცესი როგორც იქნა დასრულდა. ეკლესიას უკვე აღარ ჰქონდა საქმე ისეთ საზოგადოებასთან, რომელიც ან იშლებოდა, ან კი ის-ის იყო იქმნებოდა. მიწიერი ცხოვრების შერისხვა და ღვთიურის განდიდება აღარავის აკმაყოფილებდა. მიწიერ, არსებულ სახელმწიფოს შესწევდა ძალა და უნარი, რომ ეკლესიისაგან დამოუკიდებლად შეექმნა ისეთი აპარატი, ისეთი წყობა, რომელიც დააკმაყოფილებდა ადამიანის მიწიერ მოთხოვნას, რომლებიც ამჯერად უკვე სათანადოდ შეფასდა. ეს მოვლენები აიძულებდა ეკლესიას თავისი დოქტრინა სამყაროს, მეტადრე კი საზოგადოების შესახებ ხელახლა გადაესინჯა და შეეცვალა.

5.5. კანონისტები და თომა აქვინელი (1225-1274)

საეკლესიო და საერო ფეოდალების იდეოლოგებად აღნიშნულ პერიოდში გამოვიდნენ **კანონისტები**, რომლებიც იცავდნენ საეკლესიო ტაძრების მიერ დაწესებულ ქცევის წესებს (კანონიკური სამართალი). მათი ქადაგებით, ფეოდალური საზოგადოების ფენები ესაა ღმერთის სურვილის გამოვლინება და ამ საზოგადოების მარადიულობა. მათი შეხედულებით „ყველამ თავისი მდგომარეობისა და ცოდნის შესაბამისად უნდა იშრომოს“. ამ თეზისზე დაყრდნობით კანონისტები ამართლებდნენ კერძო საკუთრებას, რომლის გარეშეც დედამიწაზე მშვიდობის დამყარება შეუძლებელიაო.

კანონისტების დოქტრინაში **„სამართლიანი ფასის“** შესახებ, ჯერ ერთი, იგულისხმება საქონელზე შრომითი დანახარჯები, მეორე მხრივ კი, მასში გამოსახულია საზოგადოების ერთი ნაწილის უპირატესი ინტერესები.

გამოდის, რომ ერთ და იმავე საქონელზე შესაძლებელია სხვადასხვა ფასის დაწესება. ე.ი. „სამართლიანი ფასი“ ფაქტობრივად არაეკვივალენტურ გაცვლას ნიშნავს.

კანონისტების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია **თომა აქვინელი**[3]. იგი იყო: შუა საუკუნეების ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, ორთოდოქსალური სქოლასტიკის[4] იდეოლოგი, იტალიელი გრაფის შვილი. იგი სწავლობდა ჯერ ნეაპოლის უნივერსიტეტში (6 წელი), შემდეგ კიოლნში (1248-1252 წწ.) გერმანელ თეოლოგ **ალბერტ დიდთან** (1193-1280).

თ.აქვინელი 1256 წელს პარიზის უნივერსიტეტის მაგისტრი გახდა, 1257 წელს კი „დოქტორის“ წოდება მიიღო სორბონის უნივერსიტეტში. ასწავლიდა პარიზში, რომში, ბოლონიაში, ნეაპოლში.

---

1 **ავიცენა** (980-1037 წწ.) — ფილოსოფოსი, ცხოვრობდა შუა აზიასა და ირანში, მსახურობდა ექიმად და იყო ვეზირი.

2 **ავერროსი** (1126-1198 წწ.) — არაბი ფილოსოფოსი და ექიმი, ცხოვრობდა ანდალუსიასა (ესპანეთი) და მაროკოში.

3 იხ.: **Ф.Аквинский**, Сумма теологии - წიგნში «Мировая экономическая мысл», т.1, М., 2004, გვ. 114-133; **Юзеф Боргош**, Фома Аквинский, Изд. 2-ое, Пер. с польского, М., «Мисль», 1975.

4 **სქოლასტიკა** (ბერძნ. scholastikos - სწავლული) — შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ფორმალურ-ლოგიკური თეორიული არგუმენტებით ამართლებდა ეკლესიის მტკიცებულებებს.

ცხოვრების უკანასკნელი წლები იტალიაში გაატარა (გარდაიცვალა 1274 წ. 7 მარტს).

იგი 1323 წელს წმინდანად შერაცხეს. 1879 წ. პაპის ლეო XIII სპეციალური ენციკლიკის[1] საფუძველზე თ.აქვინელის დოქტრინა აღიარეს როგორც „კათოლიციზმის ერთადერთი ჭეშმარიტი ფილოსოფია".

თ.აქვინელმა შექმნა 60 ნაშრომი, მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თეოლოგიის ჯამი" ("Summa Theological"), რომელიც რომის პაპის დავალებით ლათინურ ენაზე დაწერა. იგი თეოლოგიისა და ფილოსოფიის ნარევს, რეალურად კი იმდროინდელი ცოდნის სისტემურ შეფასებას წარმოადგენს.

მის მიერ შექმნილ შეხედულებათა სისტემას და კათოლიკურ ფილოსოფიაში დაფუძნებულ მიმდინარეობას **თომიზმი** ეწოდება.

თომა აქვინელი ხელმძღვანელობდა ნეტარი ავრელიუს ავგუსტინემდე მოღვაწე წმინდა მამების პრინციპით, რათა ახლებურად შეეფასებინა მიწიერი ცოდვის საკითხი. მისი აზრით, ადამის მიერ ჩადენილ ცოდვას ადამიანის ბუნებაზე ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა. ადამმა მხოლოდ ზებუნებრივი თვისებები დაკარგა, რომლითაც იგი ღმერთმა დააჯილდოვა. ამით მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ავგუსტინეს დოქტრინა ზნეობრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით.

არისტოტელეს მსგავსად ისიც თვლის, რომ ადამიანმა მისი ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს, პირად ცხოვრებაში მან გონების კარნახით კეთილსინდისიერად უნდა იცხოვროს. ხოლო იმის გამო, რომ საზოგადოება ბუნებამ შექმნა, ადამიანმა ბუნების საკეთილდღეოდ უნდა იღვაწოს.

აქვე გავიხსენოთ არისტოტელეს აზრიც: თვითეული ადამიანი საზოგადოებას უნდა დაექვემდებაროს, ვინაიდან იგი ერთი მთლიანის ნაწილს წარმოადგენსო.

ამ შეხედულებაზე დაყრდნობით თ.აქვინელმა შეიმუშავა თეორია ე.წ. „საერთო კეთილდღეობის" შესახებ, რომლის მიხედვითაც ცალკეულ პიროვნებებთან შედარებით, ადამიანთა საერთო კეთილდღეობას ენიჭება უპირატესობა, რის გამოც ცალკეული ადამიანი თავს ცუდად იგრძნობს, თუკი იგი სხვა ადამიანთა სამსახურში არ ჩადგება. მას მიაჩნია, რომ ადამიანთა ცხოვრების მიზანი ჩვენი სამყაროს ფარგლებს სცილდება, ამიტომ საზოგადოებას ბედნიერების მისაღწევად ადამიანის დახმარება არ ეყალება. მისთვის წარმოუდგენელია, რომ საზოგადოებას პლატონისეული გაგებით ადამიანის სულიერ ნეტარებამდე მიყვანის ძალა და უნარი შესწევდეს, ვინაიდან ეს მხოლოდ ღმერთის საქმეაო.

თ.აქვინელი პოლიტიკურ ცხოვრებაში <u>ეკლესიის პრიმატს აღიარებს</u>, ეკონომიკურ ცხოვრებაში კი იგი არისტოტელეს თეზისების ჩამოთვლით დაკმაყოფილდა. იგი ცდილობდა მოენახა ზნეობრივი საფუძველი ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების ასახსნელად. მმართველობის ფორმებს შორის უპირატესობას მონარქიას ანიჭებს, მეფე კი ეკლესიას უნდა დაემორჩილოსო.

საერთოდ, თომა აქვინელის შეხედულებები მიმართულია კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, იგი იყო მტკიცე მონარქისტი, სოციალურ უთანასწორობათა დამცველი, პაპის უმაღლეს ხელისუფლებას კი ღვთაებრივ ძალას ანიჭებდა.

განვიხილოთ თ.აქვინელის ეკონომიკური შეხედულებები უფრო ვრცლად.

თ.აქვინელის ნაშრომში „თეოლოგიის ჯამი" განხილულია მართლმსაჯულების, კერძო საკუთრების, ვაჭრობის, სესხებზე სარგებლის განაკვეთისა და სხვ. საკითხები.

იგი განასხვავებს ე.წ. **დისტრიბუციულ**[2] და **კომუტაციურ**[3] სამართალს.

პირველი, აქვინელის აზრით, დამოკიდებულია მმართველი ფენების ზნეობაზე, რომელთაც თავიანთი ქვეშევრდომებისათვის ქონების გადანაწილება ევალებათ, **მეორე** კი ადამიანების მიერ გაცვლითი ოპერაციების წარმოების გულისხმობს.

<u>კომუტაციურ ანუ ჭეშმარიტ სამართალში</u> ნაგულისხმევია თანასწორი უფლებების საფუძველზე გაცვლითი ოპერაციების წარმართვა, <u>დისტრიბუციულ სამართალში</u> კი — ქონების მოთხოვნილების მიხედვით განაწილება.

---

1 **Encyclica** (ლათ.) — რომის პაპის წერილი, მიმართვა კათოლიკეებისადმი პოლიტიკის, რელიგიის, ზნეობისა და სხვა მსგავს საკითხებზე.

2 **Distribution** (ინგლ.) — განაწილება, განლაგება.

3 **Commutazio** (ლათ.) — ცვლა, გაცვლითი.

ამასთან, იგი გვერდს უვლის საკითხს, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაბუთება და მიიჩნევს, რომ დისტრიბუციული სამართლის მიხედვით, საერთო ქონებიდან მას შეხვდება მეტი წილი, ვინც საზოგადოებაში წინა პლანზეა. გამოდის, რომ თავადაზნაურებს უპირატესობა ენიჭებათ თავიანთი ძალაუფლების მიხედვით, დიდგვაროვნებს — ქონების მიხედვით, ხალხის მასას — თავისუფლების მიხედვით და ა.შ.

თ.აქვინელის ასეთ შეხედულებებში გამოვლენილია ავტორისათვის დამახასიათებელი რელატივიზმი[1], რამაც მას, ქონების გადანაწილების საკითხებზე პოლიტიკური თვალსაზრისით, არასწორი არჩევანი გააკეთებინა.

კერძო საკუთრების საკითხის განხილვისას კითხვაზე — „შეიძლება, რომ ადამიანს ჰქონდეს საკუთრების უფლება?“ პასუხობს შემდეგნაირად: ასეთ შემთხვევაში ადამიანს უფრო მეტი საზრუნავი და საფიქრალი უჩნდება, ვინაიდან მან თავისი საკუთარი ქონება უნდა მართოს. მისი დასკვნით, ადამიანთა შორის მშვიდობა მაშინ დამყარდება, როდესაც ყოველი მათგანი საკუთარი ქონების მეპატრონე იქნება.

მთლიანობაში, კერძო საკუთრებასთან მიმართებით თ.აქვინელი ძირითადად ეთანხმება არისტოტელეს და მიიჩნევს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს. უფრო მეტიც, იგი დარწმუნებულია, რომ კერძო საკუთრების პირობებში წარმოება უფრო შედეგიანია, ვიდრე კომუნიზმის პირობებში, თუმცა, კერძო მესაკუთრემ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. გარდა ამისა, თ.აქვინელის აზრით, სიმდიდრე ზნეობრივ ცხოვრებას უნდა განაპირობებდეს, ხოლო მიწიერ კეთილდღეობას კი იმქვეყნიურ კურთხევამდე უნდა მივყავდეთო.

კათოლიკე ავტორებში არსებობს შეხედულება, რომ თ.აქვინელის მოსაზრება საკუთრების შესახებ უარყოფს ქონებით საერთო სარგებლობას ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრების გზით. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური ეკლესია მძაფრად აკრიტიკებს „კაპიტალიზმის ბოროტად გამოყენებას“, იგი იმავდროულად უარყოფს სოციალიზმის ძირითად პრინციპსაც — წარმოების საშუალებებზე საერთო-სახალხო საკუთრებას.

პაპის ლეო XIII-ს პერიოდში გამოცემულ მასალებში ნათქვამია, რომ მხოლოდ მოყვასის სიყვარული და უთანასწორობის პრინციპი აიძულებს ქონების პატრონს საკუთარი შემოსავლების სხვაზე გადანაწილებას. ლეო XIII-ს შეხედულებით, როდესაც შეძლებული ადამიანი, თავისი წარმოშობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაბამისად, დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას, მაშინ მან დარჩენილი ზედმეტი ქონება გაჭირვებულ კაცს უნდა უწილადოს[2]. ეს არა სამართლებრივი პრინციპებიდან, არამედ — მხოლოდ და მხოლოდ მოყვასის სიყვარულით გამომდინარეობსო.

პაპის ლეო XIII-ის აზრით, კერძო საკუთრება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ძირითადი საფუძველია და რომ ამ ურთიერთობებში სახელმწიფო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში უნდა ჩაერთოს. კათოლიციზმის სოციალური დოქტრინა სახელმწიფოს ძირითად მოვალეობას კერძო საკუთრების დაცვაში ხედავს.

მოგვიანებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევის საწინააღმდეგო შეხედულებები შეიმჩნევა. 1961 წელს გაერცელებული ენციკლიკის მიხედვით, პაპი იოანე XXIII ამ შეხედულებებს იზიარებს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკის განმტკიცებისათვის ზრუნვისას ისე უნდა ჩაერიოს საზოგადოების ცხოვრებაში, რომ ამით არათუ შეიზღუდება, არამედ გაფართოვდება ცალკეული მოქალაქის უფლება კერძო საკუთრებაზე; კერძო საკუთრების თუ წარმოებრივ საშუალებებზე საკუთრების უფლება ყველას უნდა ჰქონდეს, ეს თვით ბუნებისაგანაა დაკანონებული.

აქ განსაკუთრებით გამოიკვეთა თომა აქვინელისეული მოძღვრების ზეგავლენა. ამავე დროს ისიც ჩანს, რომ დოქტრინა საკუთრების უფლების შესახებ, რომელსაც თ.აქვინელი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კუთხით განიხილავს, დღესდღეობით პოლიტიკურ იერს იძენს. თუ „კერძო საკუთრების უფლება თვით ბუნების მიერ არის დაკანონებული“, მაშინ ეს ენციკლიკა ეწინააღმდეგება იმ პარტიებსა და დაჯგუფებებს, რომელნიც წარმოებრივ საშუალებებზე საერთო-სახალხო საკუთრებას ემხრობიან.

---

1 **Relativis** (ლათ.) — შეფარდება. შემეცნების თეორიაში: იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჩვენს ცოდნას მხოლოდ შეფარდებითად მიიჩნევს და ობიექტურ ჭეშმარიტებას უარყოფს.

2 „რაც ზედმეტი გაქვს — მიეცი ღატაკს“ (ლუკას სახარება).

ვაჭრობისა და სარგებლიანი სესხების საკითხთა განხილვისას თ.აქვინელი იშველიებს არისტოტელეს, თუმცა, მათი დასკვნები ყოველთვის იდენტური როდია. მან თავის ცნობილ თეორიაში „სამართლიანი ფასის“ (პირველად იგი არისტოტელემ წამოაყენა) შესახებ აღნიშნა, რომ არცერთ შემთხვევაში არაა გამართლებული საქონლის ზედმეტ ფასში გაყიდვა, ვინაიდან ამით სხვა ადამიანები ზარალდებიან და ეს ცოდვააო, ხოლო თუკი ორივე მხარე — მყიდველი და გამყიდველი — წინასწარ შეთანხმდება საქონლის ფასზე, ისე რომ არცერთი მხარე მეორეს არ მოატყუებს, მაშინ შესაძლებელია „სამართლიანი ფასიდან“ გადახვეაო, ანუ სამართლიანობა გაიმარჯვებს მაშინ, როდესაც გაცვლილი ნივთები თანაბარი ღირებულებისაა.

თ.აქვინელის დასკვნა ასეთია: საქონლის უფრო ძვირად და უფრო იაფად გაყიდვა, ვიდრე მისი ნამდვილი ღირებულებაა — ყოველგვარ სამართალს მოკლებულია და ამიტომ იკრძალება.

ავტორის შემდგომი მსჯელობიდან გამომდინარე, საქონელზე ზედმეტი ფასის დაწესება იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი მისი ნაკლები ფასით გაყიდვა გამყიდველს დააზარალებს, ან მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მყიდველის განსაკუთრებულ დაინტერესებას. ასე თუ ისე, ავტორი მაინც მოითხოვს, რომ გამყიდველმა პირადი სარგებლის მიზნით არ უნდა გამოიყენოს მყიდველის მოთხოვნილება ამ გასაყიდ საქონელზე. ამასთან, იგი ასახელებს იმ ფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც უნდა დადგინდეს საქონლის „სამართლიანი ფასი“.

თ.აქვინელი, როგორც ჩანს, სპეციალური სახელმწიფო უწყებების მიერ საქონელზე ფასების დაწესებას ეწინააღმდეგება.

ვაჭრობის საკითხში თ.აქვინელი არ ეთანხმება ცნობილ ფილოსოფოს არისტოტელეს. მისი აზრით: ვაჭრობის განვითარების გარეშე საზოგადოების პროგრესული განვითარება შეუძლებელია; ვაჭარია მხოლოდ ის, ვინც ყიდულობს იმ განზრახვით, რომ შემდგომში უფრო ძვირად გაყიდოს.

თ.აქვინელს ვაჭრობა დასაშვებად მიაჩნია, თუკი მას მაღალი ზნეობრივი, მაგალითად, ოჯახის შენახვის, ქვეყნის კეთილდღეობის და სხვ. ფუნქცია ენიჭება. იგი თვლის, რომ ვაჭრობის მიზანი — მოგება, თავისთავად არაფერ უზნეოს და უწესოს არ წარმოადგენს, საჭიროა მხოლოდ მისი კეთილი მიზნით გამოყენება. ამ შემთხვევაში ვაჭრობა დასაშვებია. ასე მაგალითად, ვაჭრობა მაშინაა გამართლებული, თუკი მისგან მიღებული მოგება გაჭირვებულ ადამიანს წელში გამართავს, ანდა საერთოდ საზოგადოებას სარგებელს მოუტანს.

თ.აქვინელის ეს მოსაზრება ეწინააღმდეგება არისტოტელეს პოლიტიკურ თეორიას. იგი ანგრევს ერთს, მაგრამ მის შესაცვლელად არაფერს გვთავაზობს. ავტორი მხოლოდ იმ განმარტებით კმაყოფილდება, რომ ვაჭრობა დასაშვებია, თუკი იგი ზნეობრივად კეთილ მიზნებს ემსახურება. ასეთი განმარტება კი პოლიტიკური მეცნიერებისათვის არადამაკმაყოფილებელია.

სარგებლიანი სესხის პრობლემის განხილვისას თ.აქვინელი ზნეობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობს. ვაჭრობის განვითარებას თავისთავად მოყვება საკრედიტო ოპერაციები, რაც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს.

მევახშეობა დაგმობილია ბიბლიაში, აგრეთვე არისტოტელეს მიერ, ახ. წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში კი ეკლესია ერისკაცთა მევახშეობის წინააღმდეგი იყო. მევახშეობა განსაკუთრებით კლერიკალებს (საეკლესიო პირებს) ეკრძალებოდათ. შუა საუკუნეებში კი ეს აკრძალვა ყველას თანაბრად შეეხო. მე-12 საუკუნის ბოლოს პაპმა ალექსანდრე II და ურბან III, ასევე ლატერანის (1179 წ.) და ლიონის (1274 წ.) სამღვდელოებამ ეს აკრძალვები შემოიღო. მევახშეებს ძირითადად ეკლესია სჯიდა. თუმცა, ასეთი სახის ბრალდებათა რიცხვი არ მცირდებოდა.

ერთი შეხედვით, თ.აქვინელის შეხედულება მარტივია და გასაგები. პროცენტიანი სესხის კრიტიკის მიზნით ამ საკითხის განხილვას იგი რომაულ სამართალს უკავშირებს. მისი აზრით, გამართლებულია ფულის გადახდა რაიმე ნივთის შესაძენად, ხოლო ფულის გაცემა ფულის მოგების მიზნით დაუშვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მყარად იდგა ტრადიციულ შეხედულებებზე, იგი იძულებული გახდა დასაშვებად მიეჩნია ისეთი ფინანსური ოპერაციების ჩატარება, რომლებიც სარგებლის სახით მოგებას იძლეოდნენ. თანამედროვე თეოლოგებსაც მიაჩნიათ, რომ ფულადი ოპერაციების შედეგად „სარგებლიანი მოგების“ მიღება სავსებით ნორმალური და კანონიერია.

ამრიგად, თ.აქვინელი, მართალია, სარგებლიანი სესხის გაცემის წინააღმდეგია, მაგრამ მაინც

გაგებით ეკიდება ამგვარი ფინანსური ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას.

თაქვინელმა გარკვეულწილად მოახერხა ეკონომიკური საკითხებით სამღვდელოების დაინტერესება, თუმცა; მისი მცდელობა – შეექმნა ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური დოქტრინა ცნობიერებისა და რწმენის კომპრომისის გზით – თავიდანვე წინააღმდეგობას წააწყდა. რენესანსის ხანაში კი ეკონომიკის პრობლემებს უკვე არა თუ ქრისტიანული ზნეობის საფუძვლებზე დაყრდნობით იხილავდნენ, არამედ, ზოგ შემთხვევაში, ქრისტიანობის წინააღმდეგაც კი მიმართავდნენ.

5.6. ალბერტ ფონ ბოლშტედტი, ნიკოლა ორეზმი და იბნ-ჰალდუნი

5.6.1. ალბერგ ფონ ბოლშტედტი (1193-1280)

გრაფ ა.ფ. ბოლშდედტმა თავის თხზულებაში „ეთიკა" ჩამოაყალიბა შეხედულებები **„სამართლიანი ფასის"** შესახებ, რომელშიაც ნაგულისხმევია შრომითი დანახარჯები.

მისი აზრით, საზოგადოების კეთილდღეობას უზრუნველყოფს სამართლიანი გაცვლა, რომელიც დაემყარება შესაბამის შრომის ეკვივალენტს: რამდენადაც შრომა და დანახარჯები (ნედლეულსა და დამხმარე მასალებზე) სამართლიანად თუ არ ანაზღაურდება, მაშინ არსებული საზოგადოება დაიშლება.

აქ მნიშვნელოვანი აზრია გამოთქმული, რამდენადაც საქონლის ფასმა, ერთი მხრივ, უნდა ანაზღაუროს მის წარმოებაზე გაწეული ფულადი დანახარჯები და, მეორე მხრივ კი მწარმოებლის საკუთარი შრომით შექმნილი ღირებულების კომპენსირება უნდა მოახდინოს.

5.6.2. ნიკოლა ორეზმი (1323-1382)

ნიკოლა ორეზმი (Oresme) იყო ფრანგი მეცნიერი, რომელმაც განათლება პარიზში მიიღო. იგი თეოლოგიურ და მათემატიკურ თემებზე წერდა. ამასთან, მან არისტოტელეს რამდენიმე ნაშრომი ლათინურიდან ფრანგულ ენაზე გადათარგმნა.

მისი ცნობილი ნაშრომი **„ტრაქტატი ფულის წარმოშობის, ბუნების, იურიდიული საფუძვლებისა და ცვლილებების შესახებ"** (Tractatus de originale et jure nec noret de Mutationibus) დაიწერა დაახლოებით 1360 წელს[1]. ამ ნაშრომში ორეზმმა წარმოადგინა ფულის თეორია, რომელიც განსხვავდება ტიპური შუასაუკუნოვანი აზროვნებისაგან. იგი იწყება ფულის წარმოშობის დეტალური განხილვით და აგრძელებს იმ მნიშვნელოვანი თვისებების დისკუსიით, რაც მოხმარების საგნებს ფულად აქცევს.

„ტრაქტატში" ოქრო და ვერცხლი განხილულია ყველაზე შესაფერის ლითონებად, რომლებიც მცირე და ფართომასშტაბიან გაცვლებში (ფულის ერთეულის აუცილებლობის გამო) ბიმეტალურ[2] საფუძველზე უნდა გამოიყენებოდეს; ლითონებს შორის მონეტური ფარდობითობა საბაზრო ურთიერთობებით განისაზღვრება.

ამას მოსდევს ფულის წარმოშობისა და იმ ძვირფასი ლითონების აუტორისეული საინტერესო აღწერა, რომლებისგანაც ის მოიჭრება: გარემოების გამო, ერთ ადამიანს რაიმე სახის დოვლათი უფრო მეტი რაოდენობით ჰქონდა, ვიდრე მას სჭირდებოდა, მაშინ, როდესაც, სხვას ეს დოვლათი უფრო ცოტა ან საერთოდ არ ჰქონდა, სამაგიეროდ, მას გააჩნდა დიდი რაოდენობით ისეთი რამ, რაც პირველს სჭირდებოდა. მაგალითად, თუ ერთ ადამიანს ჰყავდა ურიცხვი ცხვარი და დეკეული, მაგრამ სჭირდებოდა ხორბალი და პური, მეორეს იმავე დროს, საკმარისი რაოდენობით პური ჰქონდა, მაგრამ ნახირის უკმარისობას განიცდიდა. ამის მსგავსად, ერთ რეგიონში საკმარისი რაოდენობით იყო ერთი რამ, მაგრამ აკლდა სხვა რამ. ამის გამო, ადამიანმა დაიწყო პროდუქტის ერთმანეთში ტრანსპორტირება და გაცვლა; თავდაპირველად, ეს ყველაფერი ფულის გარეშე ხორციელდება –

1 Meisnier F., Essai sur la vie et les ouyrages de Nocola Oresme, 1897.

2 **ბიმეტალიზმი** – ფულის სიატემა, რომლის დროსაც გადასახდელ საშუალებად იყენებენ ორ – ოქროსა და ვერცხლის ლითონებს.

ერთი მეორეს ცხვარს ხორბალში უცვლის, მეორე თავის შრომაში ანაზღაურებად პურს ან მატყლს იღებს და ა.შ. ასეთი ურთიერთობები დიდი ხნის განმავლობაში წეს-ჩვეულებად იქცა მრავალ ქალაქსა თუ ქვეყანაში. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი გაცვლის პროცესებში სირთულეები წარმოიშვა, ჭკვიანმა ადამიანმა უფრო ადვილი გზა შეიმუშავა – ფული, გასაცვლელი პროდუქტების საზომი საშუალება; ფულს ხელოვნურ სიმდიდრედ მიიჩნევენ, რაც მართლაც ასეა, რადგან ადამიანს შეიძლება ძალიან დიდი რაოდენობით ფული შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მაინც შიმშილით მოკვდეს, რადგან ფული ადამიანის მოთხოვნილებას უშუალოდ არ აკმაყოფილებს, ის არის ხელოვნური საშუალება შექმნილი ბუნებრივი სიმდიდრეების გაცვლის გასაადვილებლად.

ამრიგად, ნ.ორეზმის აზრით, ფული საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო მოხმარების საგანია. იგი ბუნებრივი სიმდიდრეების ურთიერთგაცვლის საუკეთესო საშუალებაა. ამის გამო სასურველია, რომ ფული იშვიათი ნივთიერებისაგან (მაგალითად, ოქროსაგან) დამზადდეს; მაგრამ ქვეყანაში ასეთი ნივთიერების ადექვატური მარაგიც უნდა არსებობდეს. როდესაც ოქრო არასაკმარისია, მაშინ ფული ვერცხლისაგან კეთდება. როდესაც ქვეყანაში ორთავე ლითონი არასაკმარისია და არ არსებობს მათი ადექვატური მომარაგება, მაშინ ფული მზადდება სხვა ისეთი შენადნობისაგან, როგორიცაა ბრინჯაო ან სპილენძი.

ნ.ორეზმი მონეტების მოჭრის უფლებამოსილებას სახელმწიფოს იურისდიქციას მიაკუთვნებს, მაგრამ მონეტის ფალსიფიცირების წინააღმდეგია, რამდენადაც ასეთი ქმედება ანგრევს ვაჭრობას და აღარიბებს ქვეყანას. ყალბი ფულის მიმოქცევა მან შემოსავლის მიღების არაკეთილსინდისიერ, არაბუნებრივ მეთოდად ჩათვალა, რომელიც ფულის გაუფასურებას, საგარეო ვაჭრობის შეკვეცას და ცხოვრების დეზორგანიზაციას განაპირობებს. თუმცა, ორეზმი საუბრობს ისეთ გამონაკლისებზეც, როდესაც ადამიანს, მოცემული პირობებიდან გამომდინარე, ფულის მის სასარგებლოდ შეცვლა შეუძლია.

გამოდის, რომ რადგან ფული საზოგადოების საკუთრებაა, მას შეუძლია მისი სურვილისამებრ მართვა და ამ ცვლილებებით სასურველი შედეგის მიღება. და თუ საზოგადოებას ესაჭიროება ბევრი ფული ომისათვის ან სხვა რაიმე გადაუდებელი საქმისათვის, მაშინ მას შეუძლია ფული შეაგროვოს მისი გაუფასურებითაც, და ეს იქნება არა მხოლოდ მისი მმართველი ძალის გადაწყვეტილებით, არამედ იმ საზოგადოების სურვილით, რომელსაც ეს ფული ეკუთვნის.

მთლიანობაში, ნ.ორეზმის შეხედულებებში გამოკვეთილია ფულის მეტალისტური თეორიის დასაბუთების ერთ-ერთი პირველი მცდელობა, ამასთან, მან აღიარა ფულადი მიმოქცევის ობიექტური კანონზომიერება, მაგრამ მისი ახსნა ვერ შეძლო. თუმცა, ყურადღებას იმსახურებს ნ.ორეზმის შემდეგი დასკვნა: კეთილშობილი ლითონები ფულის ფუნქციების მატარებელი ჩვეულებრივი საქონელია და მონეტების გაფუჭება ფიქსირებული შემოსავლებს ამცირებს.

5.6.3. იბნ-ჰალდუნი (1332-1406)

ცნობილი არაბი მოაზროვნე **იბნ-ჰალდუნი** დაიბადა ტუნისში, შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეგვიპტეში მოღვაწეობდა – გარდაიცვალა კაიროში.

იბნ-ჰალდუნს როგორც ისტორიკოსსა და მეცნიერს, საინტერესო ეკონომიკური შეხედულებები აქვს გამოთქმული მთავარ ნაშრომში **„წიგნი სანიმუშო მაგალითებისა არაბების, სპარსელების, ბერბერებისა და სხვა მათი თანამედროვე ხალხების ისტორიიდან“** (შემოკლებული სახელწოდება **„დიდი ისტორია“**)[1].

წიგნის შესავალში სახელწოდებით – **„მუკადიმა“**, ჩამოყალიბებულია ავტორის ფილოსოფიური შეხედულებები საზოგადოებასა და სახელმწიფოს წარმოშობაზე, სადაც წამყვან როლს ეკონომიკური ფაქტორები ასრულებს.

იბნ-ჰალდუნმა ჩამოაყალიბა კაცობრიობის მიერ განვლილი ისტორიის თავისებური პერიოდიზაცია[2]: 1) **ველურობა** – როდესაც ადამიანები მისდევდნენ მონადირეობას და მცენარეთა ნაყოფის

1 იხ.: **Игнатенко А.А.**, Ибн-Хальдун, М., «Мысль»1980; Мировая экономическая мысль сквозь призму веков, в 5 томах, Т. 1, «Мысль», 2004, გვ. 130-132.

2 Мировая экономическая мысль ..., Т. 1, გვ. 135-136.

შეგროვებას; 2) **პრიმიტიულობა, სოფლად ცხოვრება** – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოშობა და 3) **ცივილიზაცია** – სახელმწიფოსა და ქალაქების წარმოშობით დაწყებული სტადია.

ქალაქების წარმოშობა, მისი აზრით, პირდაპირ კავშირშია წარმოების განვითარებასთან. ძირითად კრიტერიუმად იგი მასში სხვადასხვაგვარი სახელოსნოს არსებობას თვლიდა, რომლებიც ხალხთა მზარდ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. გარდა ამისა, ქალაქის მოსახლეობის ნაწილი ვაჭრობას მისდევდა[1].

იბნ-ჰალდუნი ცდილობს გამოყოს საქონლის წარმოების პირობებში საზოგადოებრივი პროდუქტის ორგვარი ხასიათი. იგი ყოველ წარმოებულ პროდუქტში გამოყოფს განსაკუთრებულ თვისებას: უშუალო მწარმოებლის მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობასა და შეუძლებლობას[2].

მისი აზრით, ხელოსნური შრომის პროდუქტები იცვლება მასზე დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით და ყოველივე ის, რასაც ადამიანი გამოიყენებს და შეიძენს სიმდიდრის სახით, მასში განივთებული შრომის ღირებულების ტოლფასია [3].

ამასთან ერთად, იგი აღნიშნავდა, რომ ღირებულების სიდიდე დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე, მაგრამ მასზე ზემოქმედებს ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა მოთხოვნა და მიწოდება[4].

მართალია, იბნ-ჰალდუნი მსჯელობს ნაწარმის ყიდვაზე, რაც მასზე დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით ხორციელდება, მაგრამ პროდუქტების ამდაგვარი გაცვლის პროცესი მან მხოლოდ ხელოსნური ნაწარმით შემოფარგლა.

იბნ-ჰალდუნი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მოგებას მრეწველობასა და ვაჭრობაში დაბანდებული შრომა ქმნის, ხოლო სოფლის მეურნეობაში იგი არ იქმნება.

იგი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ფულს (ოქროსა და ვერცხლის სახით), რომელიც, მისი აზრით, სიმდიდრის შეძენის და დაგროვების საფუძველია და გამოდის, როგორც ღირებულების საზომი[5].

იბნ-ჰალდუნის მიერ გამოთქმული საყურადღებო დასკვნებით სამართლიანად იჭერს საპატიო ადგილს ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

5.7. ფეოდალური რუსეთი

ეკონომიკური აზრი რუსეთში განვითარებას იწყებს მე-9 საუკუნიდან – ძველი რუსული სახელმწიფოს წარმოშობიდან, რაც უკავშირდება ფეოდალიზმის წარმოშობას, მანამდე კი (მე-6-7 სს-ში) აღმოსავლეთ სლავებში მიმდინარეობდა გვაროვნული თემების თანდათანობით შეცვლა სამეზობლო თემებით. სამეზობლო თემებში უკვე არაერთგვაროვანი ოჯახები ცხოვრობენ და დასამუშავებელ მიწაზე კერძო საკუთრებაა. ეს პროცესი იმის დამადასტურებელია, რომ აღმოსავლეთ სლავებში პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში ფეხს იკიდებდა ქონებრივი უთანასწორობა, ჩნდებოდა კასტობრივი საზოგადოება.

უკვე მე-9 საუკუნიდან აღმოსავლეთ სლავებში პირველყოფილი თემური ურთიერთობები ფეოდალურმა ურთიერთობებმა შეცვალა, ჩამოყალიბდა ფეოდალური წყობილება მისი ძირითადი კასტებით: **ფეოდალები** (ანუ ბოიარები) და **ყმა გლეხები**.

ფეოდალები ანუ მსხვილი მიწათმფლობელები წარმოიშვა თანდათანობით, გვარის უხუცესების, ტომის ბელადებისა და რაზმელებისაგან, რომლებმაც ხელთ იგდეს თავისუფალი მეთემე გლეხების მიწები, ომის დროს შემოერთებული ახალი მიწები და სიმდიდრე, საზოგადოებაში მათი როლი თანდათანობით გაიზარდა.

მე-9-10 სს-ში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა მსხვილ მიწათმფლობელებსა და თავისუფალ მეთემე გლეხებს (**სმერდებს**) შორის. საბოლოოდ ეს ბრძოლა ფეოდალების გამარჯვებით დამთავრდა. მათ შესძლეს სმერდების დაყმევება – ისინი ან „**რიადოვიჩებად**“ ან „**ზაკუპებად**“ გადაიქცნენ.

---

1 Мировая экономическая мысль ..., Т. 1, გვ. 156.

2 **Бациева С.М.**, Историко-социологический трактат Ибн-Хальдуна «Мукаддима», М., 1965, გვ. 172.

3 იქვე, გვ. 173.

4 იქვე, გვ. 175.

5 Мировая экономическая мысль ..., Т. 1, გვ. 137.

„რიადოვიჩი“ ეწოდებოდა მიწათმფლობელზე დამოკიდებულ იმ ადამიანს, რომლის მდგომარეობა მემამულესთან სათანადო ხელშეკრულებითაა („რიად“ ძველ სლავურ ენაზე ნიშნავს „ხელშეკრულებას“) განსაზღვრული.

ზაკუპები“ ფეოდალზე დამოკიდებული ყოფილი თავისუფალი მეთემე გლეხია, რომელიც იძულებულია მიწათმფლობელისაგან აიღოს ვალი და მის გადახდამდე მასთან იმუშაოს („კუპა“ ძველ სლავურ ენაზე ნიშნავს „ვალს“).

გარდა ამისა, ძველ რუსეთში არსებობდნენ აგრეთვე „**ხოლოპები**“, ანუ მონები. მათი შრომა მეურნეობაში მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა, გადამწყვეტი მნიშვნელობა კი ყმა-გლეხს ენიჭებოდა.

ყმა-გლეხებს ეკისრებოდა ფეოდალური ბეგარის ორი სახე: ღალა და საბატონო. გლეხის მიერ ფეოდალისათვის მიცემულ პროდუქტებს **ღალა** ეწოდება, ხოლო ფეოდალის მამულში გასაწევ მთელ სამუშაოს — **საბატონო ბეგარა**.

ამრიგად, აღმოსავლეთ სლავებში პირველყოფილი თემური ურთიერთობები შეცვალა ფეოდალურმა ურთიერთობებმა შემდეგი დამახასიათებელი ნიშნებით: ორი ძირითადი ფენის არსებობა; მიწა ფეოდალის საკუთრებაა; ნატურალური მეურნეობის ბატონობა და ტექნიკის დაბალი დონე. წარმოიშვა კიევის რუსეთის ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გაძლიერდა.

5.7.1. „რუსსკაია პრავდა“

კიევის მთავრის **იაროსლავ „ბრძენის“** დროს შეიქმნა რუსული სამართლის ძეგლი **„რუსკაია პრავდა“**[1], რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კიევის რუსეთის ეკონომიკური აზრის შესწავლისათვის.

იგი იცავს ფეოდალების ინტერესებსა და მათ საკუთრებას. მაგალითად, მსხვილი მიწათმფლობელის მოკვლისათვის დაწესებული იყო 16-ჯერ მეტი ვირა (ჯარიმა), ვიდრე ხოლოპის მოკვლისათვის. თუ „ზაკუპი“ გაიქცეოდა ფეოდალისაგან ისე, რომ ვალს არ გადაიხდიდა, მას დაჭერის შემდეგ მონად აქცევდნენ. მონად იქცეოდა ისიც, ვინც სხვის სახლ-კარს ან კალოს გადაწვავდა.

„რუსკაია პრავდაში“ გათვალისწინებულია ვაჭრების დაცვა მევახშეთა მეტად გავრცელებული თვითნებობისაგან. როგორც ირკვევა, იმ პერიოდში მევახშეობა და სარგებლის დიდი განაკვეთი აჩანაგებდა ხელოსნობას და ამწვავებდა სოციალურ წინააღმდეგობებს. ეს ყოფილა **კიევის აჯანყების** (1113 წ.) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. მართალია, მთავარმა ვლადიმერ მონომახმა ეს აჯანყება ჩააქრო, მაგრამ აუცილებელი გახდა ზოგიერთი ეკონომიკური ღონისძიების გატარება. ასე მაგალითად, „რუსკაია პრავდას“ მიხედვით სავახშო სარგებლის მაქსიმალურ დონედ 20% დაუდგენიათ.

5.7.2. ერმოლაი-ერაზმის „პრაეიტელნიცა“

ერმოლაი-ერაზმი (XVI ს.) მოსკოვის სასახლის ეკლესიის მღვდელი, იცავდა მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს და სასულიერო ხელისუფლებას მეფის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა. მისი მთავარი ნაშრომი „პრავიტელნიცა“[2] პირველი ეკონომიკურ-პოლიტიკური ტრაქტატია რუსეთში და იცავს ფეოდალურ ნატურალურ მეურნეობას, თავადაზნაურთა ინტერესებს, ხოლო მსხვილი ვაჭრობისა და მევახშეობის წინააღმდეგია.

ერმოლაი-ერაზმი სიმდიდრეს განიხილავს, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის **სამომხმარებლო ღირებულებათა მასას**. მისი ეკონომიკური შეხედულებების საფუძველია თეზისი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების სიმდიდრის წყაროდ გლეხის შრომაა გამოცხადებული. იგი სიმდიდრის ფულად ფორმაში დაგროვების წინააღმდეგია, ამასთან, დაუშვებლად მიიჩნევს ვაჭრის მიერ დაბალი ფასით ნაყიდი პროდუქციის მაღალი ფასით გაყიდვას.

---

1 «Правда Русская», т. 1-3, М-Л., 1940-1963.

2 იხ.: **Зимин А.А., И.С. Пересветов и его современники**, М., 1958; **Ржига В.Ф.**, Литературная деятельность Ермолая-Еразма - «Летопись занятий Археологической компании за 1923-1925 гг.», Вып. 33, Л., 1926.

ავტორი აკრიტიკებდა ბოიარებს, რომლებიც სხვისი შრომის ხარჯზე ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. მისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებდა გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი მოითხოვდა გლეხობისათვის ერთიანი გადასახადის შემოღებას და იმ მიზნით, რომ გლეხის ყოველგვარი გადასახადი უნდა დაყვანილიყო მოსაკლის 1/5-ზე და სახელმწიფოს, თუკი ფული დასჭირდებოდა, მოსაკლის ამ ნაწილის რეალიზაცია თავადვე უნდა მოეხდინა.

5.8. შუასაუკუნეობრივი ერესის ანუ გლეხთა აჯანყებების ეკონომიკური მოთხოვნები

ფეოდალიზმი აღსავსეა წინააღმდეგობებით, რაც, უპირველეს ყოვლისა, ფეოდალთა და ყმა-გლეხთა შორის წინააღმდეგობებში გამოიხატა. თუკი ფეოდალიზმის არსებობის დასაწყის პერიოდში ყმა-გლეხთა გამოსვლები ადგილობრივი მასშტაბებისა იყო, მისი რღვევის პერიოდში გლეხთა გამოსვლებმა მეტად მწვავე ხასიათი შეიძინა. ამას ისიც დაემატა, რომ გლეხთა გამოსვლებს ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული ფენები შეუერთდა, რამაც ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ კიდევ მეტად გააღრმავა.

შუა საუკუნეების ხალხთა მასების ეკონომიკური შეხედულებანი ძირითადად **ერესში**[1] იყო ასახული.

ქალაქელების ერესი უმთავრესად საეკლესიო ფეოდალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული და მოითხოვდა საეკლესიო იერარქიის პრივილეგიების მოსპობას და საეკლესიო სამსახურის გაიაფებას.

გლეხებისა და პლებეების ერესი, ერთი მხრივ, იზიარებდა ქალაქების ერესების მოთხოვნებს და, მეორე მხრივ, საერთოდ ბატონყმობის გაუქმებას მოითხოვდა.

მე-14 საუკუნე, გარკვეული გაგებით, გლეხთა გამოსვლების საუკუნე იყო[2], რომელმაც საზოგადოება მისი არსებობის იმ პერიოდში შეარყია, როდესაც ქალაქებისა და საქალაქო მეურნეობის განვითარებას თან მოჰყვა საქონლურ-ფულადი ურთიერთობების განვითარება. მათგან პირველი იყო გლეხთა მოძრაობა იტალიაში დოლჩინოს მეთაურობით (1304-1307), შემდეგი – ცნობილი **ფლანდიური მოძრაობა** (1322-1329)[3], საფრანგეთში – **ჟაკერიის გლეხთა აჯანყება** (1358), ინგლისში – გლეხთა აჯანყება **უოტ ტაილერის** ხელმძღვანელობით (1381), მე-15 საუკუნეში – გლეხთა აჯანყებანი ჩეხეთში – **ჰუსისტური** ომები, გერმანიაში თომას მიუნცერის ხელმძღვანელობით, რუსეთში - **სტეფანე რაზინისა** (1667-1671) და ემელიანე პუგაჩოვის ხელმძღვანელობით (1773-1775) და სხვ.

გლეხთა აჯანყებების ასეთი თანმიმდევრობა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას ძირითადად შეესაბამებოდა. ევროპაში ქალაქებისა და საქონლურ-ფულადი ურთიერთობების ყველაზე ადრეული განვითარების კერები იტალიასა და ფლანდრიაშია, სადაც უკვე მე-14-15 საუკუნეებში მანუფაქტურულ ფორმებში გაფანტული კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტები შეიმჩნევა.

გლეხთა აჯანყებების **ეკონომიკური მოთხოვნები** იყო: ბრძოლა კერძო საკუთრებისა და ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ; სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება; ბატონყმობის მოსპობა და გლეხური მეურნეობების დაარსება; ფეოდალური მიწების ერთი ნაწილის, კერძოდ, საეკლესიო მიწების ჩამორთმევა; წოდებათა გათანაბრება და სხვ.

მართალია, გლეხთა აჯანყებები დამარცხდა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფეოდალური საზოგადოების რღვევაში.

---

1 ერესი (ბერძნ. – hairesis) – გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმების წინააღმდეგ მიმართული რელიგიური დოქტრინა.

2 იხ.: **В.Майер**, Крестянство Германии в эпоху поздного феодализма, М., 1985; **С.Сказкин**, Исторические условии восстания Дольчино, М., 1955.

3 ფლანდრია (ფრ. Flandre) შუა საუკუნეების საგრაფო, შემდეგ ნიდერლანდების ერთ-ერთი პროვინცია. ამჟამად მისი ნაწილები შედის ნიდერლანდების, ბელგიის (ქ.ბრიუგე) და საფრანგეთის შემადგენლობაში.

5.9. ეკონომიკური დოქტრინების საკითხები ფეოდალურ საქართველოში

ფეოდალურ საქართველოში მრავალი საყურადღებო ეკონომიკური მოსაზრება ჩამოყალიბდა[1], რომელთა მსგავსი იდეები მომავალში საფუძვლად დაედო მერკანტილისტური, ფიზიოკრატული და სხვ. ეკონომიკური დოქტრინების შექმნა-განვითარებას. აქედან გამომდინარე, განვიხილავთ ფეოდალური ეპოქის ქართულ პერიოდულ წყაროებში არსებული ეკონომიკური დოქტრინების ცალკეულ ასპექტს.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი", გიორგი ბრწყინვალეს „ხელმწიფის კარის გარიგება", ეახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ვახტანგ VI-ის „სამართალი", იოანე ბატონიშვილის „კალმასობა" ანუ „ხუმარსწავლა", სულხან-საბა ორბელიანის და ალექსანდრე ამილახვარის შეხედულებები და სხვ.

5.9.1. შოთა რუსთაველის (XII-XIII სს.) „ვეფხისტყაოსანი"

თამარ მეფისა და დავით სოსლანის მეფობის ხანაში (1189-1207) დიდი ქართველი პოეტის, მეჭურჭლეთუხუცესის (ფინანსთა მინისტრი) შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი"[2] ეკონომიკური აზროვნების მაღალი დონითაც იქცევს სპეციალისტთა ყურადღებას. ამ მიმართულებით კვლევებში გამორჩეულია აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ნაშრომი „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები" (1992)[3].

ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკური დოქტრინების ასპექტებზე. ამ მხრივ, „ვეფხისტყაოსანში" უფრო მეტად იკვეთება მერკანტილიზმის ეკონომიკური დოქტრინის იდეები და ეს ხდება საუკუნეებით ადრე მერკანტილიზმის ჩამოყალიბებამდე.

„ვეფხისტყაოსნის" ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიმდიდრის (ძვირფასი ლითონები, ფული, ძვირფასი ტანსაცმელი...) მოპოვებას; ვაჭრობას (განსაკუთრებით საგარეოს), როგორც სიმდიდრის, ასევე მოგება-წაგების მთავარ წყაროს:

1076 „დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ:
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ;
გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოლგნით ჰკრებენ;
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ".

რუსთაველი არ ივიწყებს სიმდიდრის შექმნის სხვა წყაროებსაც – სოფლის მეურნეობას, ხელოსნობას..., თუმცა, მათ შედარებით ნაკლებ როლს განაკუთვნებს.

„ვეფხისტყაოსანი" იწონებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს – საქონელთა თავისუფალ გადაადგილებას და მოითხოვს განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობაში დასაქმებული მსხვილი ვაჭრების დაცვას. მათ ფუნქციად განესაზღვრა მხოლოდ ვაჭრობა და არა მეკობრეებთან ბრძოლა. შემთხვევითი არაა გზაში ავთანდილის უანგარო დახმარება ბაღდადელი ვაჭრებისადმი. ავთანდილმა მეკობრეებთან ბრძოლის წინ მექარავნეებს მოუწოდა:

1049 „თქვენ, ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცენ, ჩაიხშენით თანა კარნი;
მარტო მწადს, ვით შევება, ვით ვიხმარნე ლომნი მხარნი!
მეკობრისა ნავისანი სისხლნი ჰნახეთ მონადარნი".

---

1 ქართული სამართლის ძეგლები: ტ.1, თბ., 1963; ტ.2, თბ., 1965; ტ.3, თბ., 1970; ტ.4, თბ., 1972; ტ.5, თბ., 1974; ტ.6, თბ., 1974; ტ.7, თბ., 1981; ტ.8, თბ., 1985.

2 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", თბ., 1996.

3 ვ.ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.

რუსთაველის აზრით, ნიჭი (საქონელი, ქონება) ისეთი სიმდიდრეა, რომელმაც სარგებლის მიღება უნდა უზრუნველყოს. გამოყენების გარეშე იგი უსარგებლოა, ანუ მისი „დება რა საჯარგულია?! რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია!“ (51); სიმდიდრის მოპოვებისას მნიშვნელოვანია ზნეობრივი ნორმების დაცვა, რამეთუ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (807); საჩუქრად უნდა გაიცეს მხოლოდ საკუთარი და არა სახელმწიფო ქონება, ისე როგორც ეს გააკეთა თინათინმა:

53 „მოიხმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი“,
მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო ულევი“.

დიდი მეჭურჭლეთუხუცესი მეფის პირადი ქონების განმკარგველს „მოლარედ“ მოიხსენიებს, ქვეყნის „სახელმწიფო ბიუჯეტს“ ზღვის შენაკადებსა და გადინებებს („ზღვათაცა შესდის და გაედინების“) ადარებს.

კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი. რუსთაველის იდეები ეხმიანება არისტოტელეს ანდერძში ჩამოყალიბებულ მოწოდებას მონათა განთავისუფლების შესახებ. მაგრამ, თუ არისტოტელე „მონათა განთავისუფლებას“ წარმოების იარაღებში მომხდარ ცვლილებებთან აკავშირებდა, რუსთაველი მშრომელთა დაბალი ფენის უპირობო განთავისუფლების მომხრეა – ისე, რომ მათ ქონებას კერძო საკუთრებაში უნდა გადასცემოდათ. ამას ადასტურებს ავთანდილის ანდერძი:

811 „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველნი ობოლი, არას მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

ამრიგად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ვაჭრობასთან მიმართებით სახეზეა აშკარად გამოკვეთილი მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინის იდეები.

5.9.2. ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი“

სამცხის გამგებელი – ათაბაგი **ბექა** II (1361-1391) თემურ-ლენგის შემოსევის დროს მოღვაწეობდა, ხოლო ბექას შვილიშვილი **აღბუღა** მე-15 საუკუნის I ნახევარში (1444-1451) ათაბაგობდა. აღბუღამ ბაბუის მიერ შექმნილი „სამართალი“ შეავსო და დაასრულა. იგი დღეს ცნობილია, როგორც ბექასა და აღბუღას „**სამართლის წიგნი**“[1]. წიგნი შედგენილია სამცხე-საათაბაგოში მესხეთისათვის, რომელიც მაშინ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 1/3-ს შეადგენდა (ახალციხის, ახალქალაქის, არტაანის და ჭოროხის ხეობის ტერიტორიები). 1334 წ. მეფე გიორგი ბრწყინვალემ შემოიერთა სამცხე – ამ დროიდან – ათაბაგის ტიტულის მფლობელ მმართველებს საქართველოს მეფეები ნიშნავდნენ. იმავდროულად, ათაბაგს „სამართლის კანონების“ დადგენა შეეძლო.

ბექასა და აღბუღას „კანონებში“, მერკანტილისტური დოქტრინის მსგავსად, ყურადღება გამახვილებულია ვაჭრობის განვითარებაზე – ვაჭრის გაძარცვის, მოკვლის ან დაჭრისათვის: „ბრალდებულს „ორკაცად“ უნდა დაეურვა წანართმევი და სისხლი კიდევ სხვა იყო“[2]; დიდი ვაჭრის სისხლი შეფასებული იყო 12.0 ათ. თეთრად, ხოლო მცირე ვაჭრისა კი 6.0 ათ. თეთრად (მუხლი 96)[3], მაშინ როდესაც გლეხის სისხლი მხოლოდ 400 თეთრად იყო შეფასებული[4].

აკადემიკოს რ.მეტრეველის მიხედვით, მე-12 ს-ში ხელოსნობის განვითარებასთან მჭიდრო

1 სამართალი ბექასი და აღბუღასი - ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, თბ., 1963, გვ. 423-463.
2 სამართალი ბექასი და აღბუღასი - ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 463.
3 იქვე, ტ.1, გვ. 463.
4 რ.მეტრეველი, შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973, გვ.299.

კავშირშია ვაჭრობა, რომლის განვითარებასაც ახალისებდა სამეფო ხელისუფლება, ვაჭრობის ცენტრს თბილისი წარმოადგენდა, ვაჭრები კი წამყვან სოციალურ ფენას მიეკუთვნებოდნენ: „ყმა-ვაჭრები“ ქვეყნის შიგნით ვაჭრობდნენ და თავიანთ ბატონებს ემსახურებოდნენ, მსხვილი ვაჭრები კი საქარავანო-საგარეო ვაჭრობას მისდევდნენ და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ; საქარავნო ვაჭრობას აკონტროლებდა სავაჭრო ორგანიზაცია ე.წ. „ორთაღები“[1-2].

სამართლის წიგნიდან ირკვევა, რომ გლეხობას თავისუფალი და დროებითი დამოკიდებულება ჰქონია მიწის პატრონთან, იგი „მოსახლე მდაბიოა“ და საკუთარი მიწაწყალი (მაგ. „ნაყიდი მიწა“) აქვს; გლეხი ბატონთან ხელშეკრულებით დამოკიდებულებაში ყოფილა, ხოლო ყმების ერთ-ერთ წყაროდ დასახელებულია ტყვეები: „ომსა შიგან ხელთა დარჩენილსა კაცსა“, ვისი „ნაკრაი“ გამოჩნდეს, ტყვეც იმისიაო[3].

საათაბაგოში დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობების მიხედვით, „ფეოდი“ პატრონს ეკუთვნოდა და მამულის ჩუქება და ფლობა მორჩილებასა და ერთგულ სამსახურს მოითხოვდა. „ფეოდში“ ბატონი ყველაფერს მართავდა: თუ საათაბაგოში დიდებული ან სხვა ვინმე აზნაურს „გააუპატიოებდა“, პატრონს პასუხი უნდა მოეთხოვა დამნაშავისათვის.

„წიგნში“ საკმაოდ ვრცლადაა გადმოცემული ფეოდალური მამულის მართვის საკითხები. მამულის პატრონს ვალში რომ მამული გაეყიდოს, გაყიდვისას ფასს „ჩამოუშვებენ“, რათა იქნებ ისევ პატრონს დარჩეს და ამას იმიტომ აკეთებენ, რომ „ქვეყანაცა არა ამოსწყდების“[4].

„სამართლის წიგნის“ მიხედვით, საკალო ურთიერთობებში უმეტესწილად აწონილი ვერცხლი და პური გამოიყენებოდა „თუ კაცს ვერცხლი აწონითი ვკალოსო...; „თუ კაცმა კაცისაგან პურის იკალოს და დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმაა“; აუწონლად შეიძლებოდა თეთრის, ფულის გაკალება[5]; განისაზღვრა ვალის გადახდის ვადა, შეღავათები, ხოლო ვალში მოყვანილი სარგებლის მიღება: „თუ დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმაო“. მაგრამ თუ „სამზედ მეტს შეუკვეთდნენ“, მაშინ მსესხებელს შეეძლო „სამზე მეტი“ არ გადაეხადა და თუ გადაიხდიდა, „ბჭობით“ უკანვე უნდა დაბრუნებოდა, რამეთუ „ანგარება ცოდვა არის“[6]. აქედან გამომდინარე, პროდუქტის გასესხებისათვის სარგებლის მაქსიმალურ ზღვრად 50%-ია დაწესებული, ფულის (თეთრის) გასესხებისათვისაც კი 20%-იანი სარგებელია განსაზღვრული - „ათასისათვის ათას ორასს დასჯერდეს წელიწადსა შიგა“[7].

„კანონებში“ გამოყენებულია ტერმინები ქირა და საქირავნო ხელშეკრულება არა მხოლოდ უსულო საგნების (რომაული სამართლის მსგავსად), არამედ საქონლისა და ადამიანის მიმართ: „თუ კაცმა კაცი დაიქირაოს რა გინდა რა საქმისათვის“, მაშინ ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრულიყო კონკრეტული ფასი ამ „რაგინდარა საქმისათვის“ (მ.შ. სახელოსნო საქმეშიც), „მისითა გულითა ექირაოს და მას შიგან მოკვდეს, არავინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა“[8].

„სამართლის წიგნში“ განხილული კიდევ ერთი საკითხი ეხება მკვლელობას, რომელიც წარმოდგენილია ორი სახით: 1) დიდებულთა და აზნაურთათვის და 2) საგლეხო. მათგან პირველებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ თავდები დადგომა: „თუ დიდებული გინა აზნაური დაუდგეს თავდებად, ანუ [მოგუაროს], რასაცა ზედა უდგეს, [და ანუ] უზღოს, სათავდებო რაცა ეწეროს“[9].

ამრიგად, ბექასა და აღბუღას „სამართლის წიგნი“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ქართული წყაროა მერკანტილიზმის მკვლევარებისათვის, რომელიც, აგრეთვე შეიცავს თანამედროვეობისათვის აქტუალურ საკითხებს ზოგადად მეურნეობის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ფინანსური ურთიერთობების მართვის საკითხებზე.

---

1 რ.მეტრეველი, შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), თბ., 1973, გვ. 300.

2 ორთაღი (თურქ. ortak, - ამხანაგობა, ასოციაცია), XII-XIII სს. საქართველოში საკრედიტო-სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც უბრალო ქონების გირაოს ქვეშ სესხად გასცემდა ფულს და საქონელს სარგებლის მიღების მიზნით (ქართული ენციკლოპედია, თბ., 1984, ტ.7).

3 სამართალი ბექასი და აღბუღასი - ქართული სამართლის ძეგლები, ტ.1, გვ. 463.

4 იქვე, გვ. 462.

5 იქვე, გვ.463.

6 იქვე, გვ.462.

7 იქვე.

8 იქვე გვ.456.

9 იქვე, გვ.452.

5.9.3. გიორგი ბრწყინვალეს „ხელმწიფის კარის გარიგება“

დემეტრე თავდადებულის შვილის გიორგი V ბრწყინვალეს – საქართველოს მეფის (1314-46), რომელმაც ბოლო მოუღო მონღოლთა ბატონობას, ხელმძღვანელობით შეიქმნა საკანონმდებლო ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება“. „კარის გარიგება“[1], იურიდიული შინაარსის მქონე ტრაქტატი, აღმოაჩინა აკად. ე.თაყაიშვილმა და 1920 წ. გამოსცა. „ტრაქტატში“ „კარი“ მეფის სასახლეს და „ოთახის შესასვლელის დასახურავს“, ხოლო „გარიგება“ – დაწესებას, წესრიგს ნიშნავს.

„კარის გარიგებაში“ წარმოდგენილია ფეოდალური მონარქია მეფის მეთაურობით. როგორც ჩანს, მეფე სახელმწიფოს მსხვილ ფეოდალებთან ერთად „დარბაზის“ მეშვეობით მართავდა. „დარბაზი“ იგივე საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტია. იგი მოიწვეოდა „მცირე წესით“ (ესწრებოდნენ მხოლოდ დარბაზის წევრები) და „დიდი წესით“ (დარბაზის წევრთა გარდა სხვებიც ესწრებოდნენ). დარბაზის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვაზირები, ერისთავები, ეპისკოპოსები. თუ ვაზირობას (ვეზირობას) მეფე ესწრებოდა, მაშინ იგი წარმართავდა სხდომას, ისე კი მწიგნობართუხუცესი (ვაზირთუპირატესი) იყო სხდომის ხელმძღვანელი. ვაზირების შემადგენლობაში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია მეჭურჭლეთუხუცესს ეკავა. იგი „საჭურჭლეს“ ანუ სახელმწიფო ხაზინას – მის შემოსავალსა და გასავალს განაგებდა. მის გამგებლობაში იყო აგრეთვე „ძველნი ვაჭარნი, სავაჭრო, რაც მეფისაა“, მას ჰყავდა ნაცვალი ანუ მოადგილე „დიდი არის მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგობის დაწყებამდი მეოთხე ვეზირი არის ძველნი ქალაქნი, სავაჭრო, რაც მეფისა, სადაც წავა ანუ მოვა; და რაც სალაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა, სახმარებლად სანიადაგოდ არ უნდა და შეკრული სალაროსა ძეს, - ლარი და ჭურჭელი, ოქროსა და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური[2] უსაღვინო, - ყოველი საჭურჭლესა ძეს და დგას, საჭურჭლის ნაცვალი, მუქბი (ძღვენთ გამგე – ა.ს.), მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მასისა ხელისა არიან“[3].

მეჭურჭლეთუხუცესის ფუნქციებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „გარიგებაში“ მოწონებულია მერკანტილისტური იდეა ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ვაჭრობის განვითარების შესახებ და ამ საქმეში მეფის მონაწილეობა. ამასთან, „გარიგებაში“ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ფინანსების (ბიუჯეტის, ხაზინის) შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირებას, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი) განაგებდა.

ყურადღებას იპყრობს „კარის გარიგებაში“ გამოყენებული ეკონომიკური შინაარსის მქონე ტერმინები: თეთრი (ვერცხლის ფული), ლარი (ძვირფასეული – განძი, აბრეშუმის ქსოვილი – ფარჩა...), თვალთვა (თვლა, აღრიცხვა), იაფება (იაფი, ადვილი), საანგარიშო გოდორი (საანგარიშო საბუთების შესანახი), მოლარე (სალაროს მოლარე), მოლარეთუხუცესი (მოლარეთა უფროსი), მუშა („მუშათ მოასხითო“ - შეიძლება დაქირავებული მუშაც იულისხმებოდეს), საკრეფელი (გადასახდელი), საჭურჭლე (სახლი, სადაც ძვირფასი ჭურჭელი და ხაზინა ინახებოდა), ჭურჭელი (ოქროსი, ვერცხლის, ჩინური, ქაშანური, ...), მუშრიბი (ქალაქთა ბაჟის და სავაჭრო გადასახადის ამკრეფი – შემნახავი) და სხვ. ბევრი მათგანი დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას.

მთლიანობაში, „ტრაქტატი“, ეკონომიკური დოქტრინის პოზიციიდან გამომდინარე, ყურადღებას იპყრობს ორი მიმართულებით: პირველი, სავაჭრო საქმიანობა მოექცა „ფინანსთა მინისტრის“ გამგებლობაში, რაც „მერკანტილიზმის“ მსგავსად ნიშნავდა ფეოდალური მონარქიის მხრიდან ვაჭრობისადმი მხარდაჭერას; მეორე, იკვეთებოდა სახელმწიფო-ფინანსური საქმიანობის სამართლებრივი რეგულირებისაკენ სწრაფვა.

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, თბ., 1970, გვ. 32-50.

2 ქაშანი – ქალაქი ირანის ცენტრალურ ნაწილში, ცნობილი ქაშანურისა (თეთრი წვრილფორიანი კერამიკული მასალა), ხალიჩებისა და ქსოვილების წარმოებით.

3 ქართული სამართლის ძეგლები, ტ.3, თბ., 1970, გვ. 39.

5.9.4. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“

ვახტანგ VI-ის შვილის **ვახუშტი ბატონიშვილის** (ბაგრატიონის – 1696-1757) დედა ყმა-გლეხი ყოფილა. ვახუშტი რუსეთში გაჰყვა ვახტანგ მეფეს ემიგრაციაში. გარდაიცვალა მოსკოვში და დასაფლავებულია დონის მონასტერში.

ვახუშტი ბაგრატიონმა **„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“**[1] (ძირითადი ნაწილი) დაწერა დაახლოებით 1742-45 წლებში. იგი უძვირფასესი მასალაა უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის I ნახევრამდე საქართველოს (მისი თითოეული კუთხის) ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკური პოტენციალის შესასწავლად. ნაშრომში განსაკუთრებით გამოკვეთილია საქართველოს ერთიანობის იდეა. იგი ახასიათებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, სადაც იყვნენ: „პირველნი ერისთავნი, ბ.მთავარნი, გ.აზნაურნი, დ.ვაჭარნი, ე.მსახურნი, ვ.მუშაკნი-გლეხნი“. აქვე განსაზღვრულია თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობანი: „ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვითთამე სწორი. და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათა, და შემდგომად ამათთა – მუშაკთა-გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდან ქვით ნახევრად ანუ ქვეიდან ზეით ერთორად“[2].

<u>საჭურჭლეში</u> ვახუშტიც ხაზინას, ძვირფასეულის საწყობს გულისხმობდა, რომელსაც მეჭურჭლეთუხუცესი განაგებდა: „მეჭურჭლეთუხუცესი, ამისი ხელისა იყო ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი (განძეული, საგანძური – ა.ს.) მეფისა, და შინა დაწესებულნი“[3].

„აღწერაში“ გამოყენებულ ტერმინში „წარსარგებელი“ ნაგულისხმებია შემოსავალ-გასავალი (ხარჯი): „მწერალნი იყვნენ, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსარგებელსა ყოველთავე, და ტომართა (გრძლად გადაბმული წერილი – ა.ს.), და სხვათა“[4].

ვახუშტი ბაგრატიონი ხელოვნებაში აგრეთვე <u>ხელოსნობას</u> (მრეწველობას, მშენებლობას...) გულისხმობდა და ფართოდ აშუქებს ამ საქმიანობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის: ოვსნი, დვალნი „უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბდისა, კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა, მუშაკობა, სახლთ შენება, არამედ არღარა ხმარობენ ქვიტკირსა...“.[5]

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ხელოსნობის განვითარების თვალსაზრისით აგრეთვე გამოირჩეოდნენ <u>ლაზებიც</u>, რომლებიც „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა“[6]. როგორც ჩანს, აჭარლებიც გამოირჩეოდნენ ხის მასალის დამუშავებაში, ისინი არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“[7].

ვახუშტი ბაგრატიონს მხედველობიდან არ გამორჩენია წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის საკითხიც, რომელიც ვაჭრობას განავითარებდა საქართველოში.

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონი, რომელმაც თავის კაპიტალურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ღრმად გამოიკვლია საქართველოს ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური პოტენციალი, „კლასიკოსების“ მსგავსად, პირველ რიგში, მოითხოვდა წარმოების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა...), შემდეგ კი ვაჭრობის განვითარებას, რომელსაც წარმოებული პროდუქტის რეალიზაცია უნდა უზრუნველეყო.

---

1 **ვახუშტი ბაგრატიონი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თლომოურის და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის უნ-ტის გამომც., თბ., 1941.

2 იქვე, გვ.14.

3 იქვე, გვ.16.

4 იქვე, გვ.17.

5 იქვე, გვ. 111.

6 **ვახუშტი ბაგრატიონი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ.142.

7 იქვე, გვ.134.

5.9.5. ვახტანგ VI-ის „სამართალი“

5.9.5.1. ვახტანგის კანონები

ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის (1675-1737) თაოსნობით შექმნილი „ვახტანგის კანონები“[1] შედგება 270 მუხლისაგან, აქედან 116-159-ე მუხლები ეძღვნება სპეციალურ თავს „ყარი ვალისა, თუ როგორ აიღების“. იგი საინტერესო ეკონომიკურ მოსაზრებებს შეიცავს ვალის, სარგებლის განაკვეთისა და სხვათა შესახებ.

„კანონები“ აღიარებს სარგებლის არსებობას ფულის ან პროდუქტების (ღვინო, პური, ...) ვალად აღების შემთხვევაში, მაგრამ ზომიერებს ფარგლებში. ასე მაგალითად, 125-ე მუხლის მიხედვით: „თეთრი რომ გასცეს კაცმან, თუ ძალა ქნა და სული სძულს, თუმანი – თვეში ხუთ-შაურად; თუ სული ცოტა უყვარს - აბაზად; თუ უკეთ უყვარს სამშაურად; და თუ მართლა უყვარს – ორშაურად. სულ უკეთესი ეს არის, რომ სარგებელი სულ არ აიღონ“[2].

თუმცა, კანონმდებელმა იცის, რომ ღვთის შიშით სარგებელს არავინ დათმობს და იძულებუ-ლია სამართლიანი სარგებელი დაწესოს. როგორც ჩანს, იმ პერიოდში პროდუქტებზე 100%-მდე აღწევდა სარგებლის განაკვეთის დონე, რაც გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა, ვინაიდან ხშირად მათ ვალის გადახდა აღარ შეეძლოთ. აქედან გამომდინარე, „კანონების“ 126-ე მუხლი აწესებს, რომ „პური სამართლიანად ათი – თორმეტად, მაგრამე, თუ ულრმთოობა ქნას კაცმან, ათი თხუთმეტად კარგია. ამას ზევით არ უნდა მიაცემინონ“[3]. აქედან გამომდინარე, პურზე სარგებლის განაკვეთი (მუხლი 127) უნდა მერყეობდეს 16%-სა და 34%-ს შორის, რაც დიდი შეღა-ვათი იყო. თუმცა, ღვინის გასესხების შემთხვევაში სარგებელი 100%-ით განისაზღვრებოდა: „ღვინო თუ ძველი ევალოს, ახალში ერთი ორად მისცეს“[4].

„კანონების“ 131-ე მუხლით დადგენილია სესხის ამღების ვალდებულებაც: „მოვალე მევალეს რომ უჩიოდეს, თუ სამართლით ადავებდეს, თუ აქვს და ან ღონე დაედების და შოვნის გზა ჰქონდეს, როგორც სარგებელი დაგვიწერია, იმრიგად უნდა მისცეს“[5].

5.9.5.2. „დასტურლამალი“

ვახტანგ VI-ის (ბატონიშვილის) 1707-1709 წწ. შექმნილი „დასტურლამალი“[6] მე-18 საუკუ-ნეში რუსეთთან შეერთებამდე მოქმედი კანონია. იგი, პირველ რიგში, სასახლის განაწესია, რომელიც ახასიათებს ფეოდალური ქართლის სამეფოს ეკონომიკურ მდგომარეობას, კერძოდ – საგადასახადო სისტემას და ფინანსებს.

ტერმინი „დასტურლამალი“ სპარსულ-არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს სახელმძღვანელოს, ინსტრუქციას, გარიგებას. ეს ტერმინი გავრცელებულია ირანში, თურქეთში, სამხრეთ კავკასიაში და ნიშნავს სახელმწიფო სამართლის ძეგლს. „დასტურლამალი“ პირველად 1886 წელს პეტრე უმიკაშვილმა გამოსცა (1821 წელს გადაწერილი დედნის მიხედვით).

„დასტურლამალში“ გამოყენებულია ეკონომიკური ტერმინები: გამოსაღები (ნიშნავს გა-დასახდელს), ზარაფი (ფულის დამხურდავებელი, ბანკირი), თავის გასამტეხლო (დამნაშავის გამ-ოსაღები), ფეხრი (ვერცხლის ფული ან ფული საერთოდ), იჯარა (გარკვეული დროით და ფა-სით რაიმეს აღება), იჯარადარი (მეიჯარე-ამღები), ბაჟი (სავაჭრო გადასახადი), მებაჟე (ბაჟის ამკრეფი მოხელე), ბეგარა (გლეხის ვალდებულება იმუშაოს ბატონის სასარგებლოდ), მოსაცალი (შემოსავალი), მოუმაგირე (დაქირავებული მსახური), მუშა [იგულისხმება მიწის მუშა: „თუ

---

1 „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ – წიგნში სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა და საძიებელი დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1981.

2 იქვე, გვ.218.

3 იქვე, გვ.219.

4 იქვე.

5 იქვე, გვ.220.

6 „დასტურლამალი“ - ქართული სამართლის ძეგლები, ტ.2, თბ., 1965, გვ.475-728.

უცხო მუშა მომკის თერთმეტ თაეს ძნას აიღებს მუშა და ერთ აბაზ ტარუღას (მოურავს – ა.ს.) მისცემს"; „მუშას ხენაში, მკაში, ლეწვაში პური კოდი (მარცელეულის საწყაო – ა.ს.)]"; საახლდგომო გადასახადი (გლეხი უხდიდა ბატონს ძღვენის სახით), საბაქი (დაუმუშავებელი ოქროსა და ვერცხლის სახელოსნო; ზარაფხანის ხელოსანი), საბაქა (ფულის ჩამოსასხმელი), საკომლო გადასახადი („საკომლოზედ ბზის თეთრი – ორი შაური"), სამასპინძლო (ბატონის გამასპინძლებისათვის), სარგო (მოხელის კუთვნილი), სატარუღო – მოურავისათვის გადასახდელი (მ.შ. ტიკის სახით), საური (გადასახადი, ხარკი), საქვრიო გადასახადი (ქალის გათხოვებისათვის უდრიდა 1 ხარს), საყორულო გადასახდელი (საძოვრის გამოყენებისათვის), ჯამაგირი (სარჩო)... ბევრი მათგანი დღესაც აქტუალურია.

ვახტანგ VI-ის „სამართალი" საინტერესო ისტორიული წყაროა მონეტარული და ფისკალური დოქტრინებისათვის, რომელთა ცალკეული ელემენტები გამოყენებულია მერკანტილისტურ, კლასიკურ (მ.შ. ფიზიოკრატულ)... ეკონომიკურ დოქტრინებში.

5.9.6. იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლა" („კალმასობა")

იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი – 1768-1830) თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძე, დაიბადა თბილისში, გარდაიცვალა პეტერბურგში. ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციის შემდეგ რუსეთში გადასახლდა, მოღვაწეობდა პეტერბურგში, 1795 წელს იბრძოდა კრწანისის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ.

1799 წელს იოანემ მამას წარუდგინა საინტერესო პროექტი („სჯულდება") სახელმწიფოში აუცილებლად გასატარებელი რეფორმების (მათ შორის საგანმანათლებლო სფეროში) შესახებ[1]. მაგრამ მისი შემოქმედებითი შრომის საუკეთესო ნაყოფია „კალმასობა" ანუ „ხუმარსწავლა". იგი შეიცავს ენციკლოპედიურ მეცნიერულ ცნებებს საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგიდან.

იოანე ბატონიშვილი ორი სახის ხელოვნებას ასახელებს: პირველი, „ხედვითი" ღვთისმეტყველება, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხველობა... მეორე, „საქმითი" - ოქრომჭედლობა, მესაათობა, გამოქანდაკება, მქსოველობა ფარჩათა და სხვ[2]. ამასთან, იგი მოითხოვდა ვაჭრობის განვითარებას მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ: „ვაჭრობასა და საკუთარსა მუშაკობასა შინა თუსთა ნუ დაამცონარებ, რათა მის ძლით მოიპოონ მცირე რამ სიმდიდრე..."[3].

იოანე ბატონიშვილის აზრით, ვაჭრობის განვითარება უზრუნველყოფს როგორც ქალაქების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ასევე ქვეყნის გამდიდრებას: „ქალაქში ყოველიე საესებით უნდა იყოს, რომ ერთი – ქალაქის დიდება არის და მეორე – ქვეყანა გამდიდრდება ვაჭრობით. ვისაც არ ექნება სახლში და ფული ექნება, იყიდის ყოველს და თავის სახლს გაიწყობს"[4]. იგი იწუნებს ბაჟების დაწესებას, როგორც ნატურალური, ასევე ფულადი ფორმით: „ძველად, ოდეს ქალაქი იყო მცხეთა, ბაჟიც, იჯარებიც, ზეერიც და სხვა შემოსაელები აქ იყო განწესებული ასაღებად. და ოდეს გარდაიტანეს ტფილისს, ახლა იქ არის... მეფემან ურემზედ შაური დაუწესა და ფქვილი ერთი ჩანახი... ქარაჟანსა და ვაჭართა ზედან იღებენ ორ შაურს"[5].

იგი ახასიათებს სხვადასხვა ქვეყანაში მეტალისაგან დამზადებული ფულის სახეობებს, გაყალბებულ და გაუყალბებელ ფულს: „აზიელნი ხმარობენ, ანუ სპარსნი შავ ფულსა, რომელ არს სპილენძის ფული, უფრო მსუბუქსა ვერცხლის ფულს, გარნა მცირედ და აგრეთვე ოქროსა, გარნა ამ დროში ბაჯაღლუს და მისირის ოქროს უფრო ხმარობენ, ვიდრე თავისა საკუთარსა. განყოფენ შავ ფულსა მანყულად (რომელ არს მეოთხედი ფულისა), ცალ ფულად, ორ ფულად და ოთხ ფულად, ანუ ბისტად... ინდოელნი ხმარობენ რუფიას...

---

1 იოანე ბაგრატიონი, „სჯულდება", თბ., 1957.
2 იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა" („კალმასობა"), წიგნი I. თბ., 1990, გვ. 83.
3 იქვე გვ. 93.
4 იქვე, გვ. 432.
5 იქვე. გვ. 104.

ქართველნის ამსახედ ჰსჭრიან თეთრსა, გარდა რუფიისა და ოქროსა, გარნა წმინდა თეთრსა და უფალბოსა"[1].

„ხუმარსწავლა" ეხება სიმდიდრის გონიერად გამოყენების აუცილებლობასაც: „ხოლო სიმდიდრეთა შინა ესთა სათანადო არს ქცევად, ვინაიდგან ღმერთმან ნიჭებულ გყო გონიერებითა და უხვითა თუისთა მოწყალებისათა გიბოძა სიმდიდრე. იგი სჭვრეტს თუ ვითარცა სახით იხმეე მას, ესე იგი უჭეშმარიტესითა კმაყოფილებითა და საშუალებითა მისითა შეუძლებ ქმნად კეთილსა მოყუასთა თუისთა და შეეწევი გლახაკთა და მყოფთა შინა და არ დაითმენ ძლიერისაგან შეწუხებასა და უსამართლოდ უღონოსათა"[2].

იოანე ბატონიშვილი „ხუმარსწავლაში" სპეციალურად გამოყოფს საკითხს „კომერციისა და ვაჭრობის" შესახებ. აქ იგი ავლენს მერკანტილისტურ პოზიციებს. მისი აზრით, კომერცია საქონელთა ყიდვა-გაყიდვით ითვალისწინებს მოგების მიღებას: „კომერცია, ანუ მოფარდულობა, გინა ვაჭრობა, არს ხელოვნება საწარმოებლად ვაჭრობისა და ვაჭრობასა შინა სახმართა უკუმ ნივთებთა განცულად ერთიმეორესა ზედა, ჰსყიდვად და განსყიდვად საქონელთა განზრახვითა მით, რათა მით მოიგოს, ანუ უმეტესი ფასი"[3].

უძველეს პერიოდში ვაჭრობა მან სწორად დააკავშირა სამომხმარებლო ნივთების ნატურალურ გაცვლასთან (ფულის გარეშე), ანუ „ურთიერთობისადმი გაცვლათა ნივთთა სახმართა"[4]. მისი შეხედულებით, ფული მოგვიანებით წარმოიშვა: „პირველ ხმარობდნენ სხვადასხვაგუართა თეთრთა, ესე იგი, უწინარესად ტყაისაგან ქმნილსა, მერმეთ – ნაჭერნაჭერსა ოქროსასა წონით და ესსახედვე, ვერცხლსა და სპილენძსა და თითბერთაცა, მსახურებად ნაცვლად თეთრისა. ხოლო უკანასკნელ იწყეს სიქისა, ანუ ბეჭდისა, დაკურა მანათსა ზედა, ანუ თეთრსა ზედა, მიმცემელნი მისნი ჰსდებენ ფასსა და წონასა ამა თეთრსა ზედა"[5].

იოანე ბატონიშვილი ახასიათებს ვაჭრობაში განათლებულ ერებს, უპირველეს ყოლისა, „პირველ ფინიკიელნი, და მერეთ ეგვიპტელნი, კართაგენელნი, ათინელნი..., რომალნი... და მერეთ ფრანცუცნი და ფლამანდცნი. ხოლო ახალთა ჩუმნთა დროთა შინა ინგლიზელნი, ღოლანდიელნი, ვენეციანნი, ღენუეზნი და სხუანი უკუმ ესეგუარნი ერნი"[6].

კომერციის დასარეგულირებლად იგი არითმეტიკისა და გეოგრაფიის შესწავლას მოითხოვს, რათა ვაჭარმა კარგად იცოდეს „რომელ ქუეყანაში რომელი ნივთი გუარობს, და რომელ ქუყანაში იგი ნივთნი უფრორე განისყიდებიან. ესრეთვე თანააძს, რათა ჰყუანდეთ ყოველგან კაცნი და სცნობდნენ მუნებურთა მდგომარეობათა, ანუ დაძვირდა რამე მას ქუყანაში ნივთი, ანუ იაფად არის, ანუ აშლილობა არს"[7].

„ხუმარსწავლაში" ვაჭრობისათვის ხელსაყრელ დროდ დასახელებულია ზაფხული, ხოლო „ცხენის საკიდრით" ვაჭრობასთან შედარებით, უპირატესობა „ხომალდით" ვაჭრობას ენიჭება: „ვსთქვათ, ერთმან ცხენმან აღიკიდოს ორმოცი ლიტრა, გინა უმეტესი, გარნა სავაჭრო ხომალდი ორმოცი ათას ლიტრსაც წაიღებს, და თქუმნ იფიქრეთ, რომელი უფრო მეტს გაავაჭრებს"[8].

იოანე ბატონიშვილი საქციელს უწუნებს მათ, ვისაც ვაჭრობა ეთაკილება „კიდეც ამისთჳს არიან ჩუმნნი ხალხნი მდიდარნი, რომ ამგუარებს თაკილობენ"[9]. მისი აზრით, საქონელთა ექსპორტ-იმპორტისას („შემოტანისა-გატანისასა") აუცილებელია ქვეყნისათვის ხელსაყრელი საბაჟო გადასახადის დაწესება. იგი მოითხოვს ვაჭრობაში და ფულის გასესხებისას ზომიერი მოგების მიღებას: „უკეთუ იხმეეს ესგუარსა ვაჭრობასა, რომელიც განვაჭრებისა ანუ მოვაჭრებისა დროსა მოიგებდეს ათი თორმეტად; უკეთუ დასჯერდა ამას, უფრორე შეირაცხების ის პატიოსნად. გასესხებასა შინა თეთრისასა არა მისცეს სარგებელსა ძვირად, არამედ ჩვეულებითისა სახითა"[10].

---

1 იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა" („კალმასობა "), წიგნი I, თბ., 1990, გვ. 476.
2 იქვე, გვ. 492.
3 იქვე, გვ. 509.
4 იქვე.
5 იქვე, გვ. 510.
6 იქვე, გვ. 510.
7 იქვე.
8 იქვე, გვ. 511.
9 იქვე.
10 იქვე, გვ. 513.

ამრიგად, „ხუმარსწაულაში“ გაანალიზებული ვაჭრობა-კომერციის საკითხები ძვირფასი წყაროა მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინების ისტორიული ანალიზისათვის.

5.9.7. სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) ფიზიოკრატული შეხედულებები

ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI-ის ალმზრდელი, გარდაიცვალა მოსკოვში. მის კალამს ეკუთვნის „ქართული ლექსიკონი“ („სიტყვის კონა“)[1], რომელშიც ბევრი მერკანტილისტური და ფიზიოკრატული ეკონომიკური ტერმინია განმარტებული, ასე მაგალითად: ვაჭარი („მსყიდველი“), მოგება („საქონლის შოვნა...“), ნაყოფიერი („ნაყოფის მომცემი“) და ა.შ.

სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები ღრმად გამოიკვლია აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ[2], რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მის ფიზიოკრატიულ იდეებს. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესია იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა“ (1686-1695)[3], სადაც ერთ-ერთ არაკში „ორი მდიდარი“ ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა ძვირფასი განძეულობის – ხელოსნურ-სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვად მფლობელი ორი მდიდარი ადამიანი:

„ერთი დიდად მდიდარი კაცი იყო და ერთი სხვა კაცი იყო. მისი უცხო სიმდიდრის ხმა გასულიყო. თქვა მან, მრაველის მქონებელმან: - ჩემი სალაროსა რიცხვი არ ვიცი, მეფეთაც არა აქვთ ჩემოდენი და მის კაცისა სიმდიდრე უფრო იქება ჩემგან. წავიდე და ვნახო მისი უნჯი, რის უფალია? – მივიდა, მას კაცს ევედრა მისის სალაროს ჩვენებისათვის. წაიყვანა მან კაცმან მდიდარი იგი, ურიცხვი ბეღლები უჩვენა ხვარბლითა და ქერით სავსე და მხიარულად უთხრა: - ღმერთს ჩემთვის ესოდენი წყალობა მოუნიჭებიაო! – მდიდარმან მასცა აგინა და, რომელიც მის დიდებას აქებდა. მასცა და ეგრე უთხრა: - რაც შენ პური გაქვს, იმდენი მარგალიტი მაქვს და სიმდიდრედ არ მიმაჩნიაო, - და წავიდა. მომავალსა წელსა ესეთი სიყმილი მოვიდა, რომე პურის ხსენება არსად იყო, დაიმშა ყოველი კაცი. მან მდიდარმან მოუგზავნა კაცი პურით მდიდარსა. თვალ-მარგალიტი მოუძღვნა და პურს ევაჭრა. მან პასუხი არა გასცა. მერმე აქლემთ აჰკიდა მრაველი თვალ-მარგალიტი, რა სხვაგან სყიდვის ღონე ვერსად ექმნა, მოუძღვნა, პურს ევაჭრა და შემოუთვალა: - წონით გამომიგზავნე პურიო. – მან ფასი აგრევე შეაქცია და ესრეთ შეუთვალა: - ნუ ჰგონებ, რითაცა ფასითა მე შენ პური მოგყიდო, და თუ ცოლი გამომიგზავნო, რაოდენი გინდეს, წაიღევ! – რა ეს ესმა, კაცი იგი დიდად დაჭმუნდა და თქვა: - თუ მიეცე ცოლი, ამხანაგთ რა ვუთხრა, ანუ ვისთვისღა ვიყიდო პური; თუ არა და პურს არ მომცემს და შვილნი დამეხოცებიანო. – ღონე გაუწყდა. შესვა ცხენს ცოლი და გამოუგზავნა. რა მან კაცმან მისის ცოლის მისელა სცნა, მიეგება, ჩამოახდინა დიდის პატივით და ეგრე უთხრა: - შენ ჩემი დედა ხარ, რადგან შენი ქმარი ესრეთ ენახე, ამპარტავნად მაგინებელი დია დამბალა. აწ რაოდენი გენებოს, წაიღევ და წადიო! – მრაველი მისცა და გაისტუმრა“[4].

ორი მდიდარის დაპირისპირებაში გამოიკვეთა „ბეღლების მფლობელის“ უპირატესობა, რაც მომავალში ჩამოყალიბებული ფიზიოკრატული სკოლის იდეებთან თავსებადია: „მიუხედავად ყოველივე ამისა, შეუძლებელია ვილაპარაკოთ სულხან-საბა ორბელიანზე როგორც ფიზიოკრატზე. ფიზიოკრატული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში მე-18 საუკუნის 50-იან წლებში, ე.ი. 25 წლის შემდეგ“[5].

მართალია, სულხან-საბა ორბელიანი „ფიზიოკრატი“ არ ყოფილა, მაგრამ ფიზიოკრატთა მსგავსად, არც მრეწველობა გამოუცხადებია „უნაყოფო“ სფეროდ. ამ თვალსაზრისით, მისი მოსაზრებები, ერთი მხრივ, შესაბამისობაშია ფიზიოკრატულ იდეებთან, მეორე მხრივ კი ახლოა კლასიკური ეკონომიკური სკოლის შეხედულებებთან.

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნაწ. I, თბ., 1991; ნაწ.II, თბ., 1993.
2 ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1959.
3 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1957.
4 სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, გვ. 71-72.
5 ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, გვ. 42.

5.9.8. ალექსანდრე ამილახვარი (1750-1802)

ქართველი პოლიტიკური მოღვაწე **ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი** მამასთან ერთად ერეკლე II წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. პატიმრობიდან გამოპარული რუსეთში გადაიხვეწა (1771). 1783 წელს ერეკლე II-ის თხოვნით რუსეთში ციხეში ჩასვეს. საიდანაც 1801 წელს ამნისტიით განთავისუფლდა და სამშობლოში გზად მომავალი ასტრახანში გარდაიცვალა (1802).

ალ.ამილახვრის კალამს ეკუთვნის პოლიტიკური პამფლეტი **„გეორგიანული ისტორია"** (პეტერბურგი, 1779) და ტრაქტატი **„ბრძენი აღმოსავლეთისა"**[1]. მათგან პირველში გაკრიტიკებულია ერეკლე II-ის მოღვაწეობა და დახასიათებულია მე-18 ს-ის მეორე ნახევრის ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა და სახელმწიფოებრივი წყობილება. მეორე ნაშრომში, რომელიც მიეძღვნა იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, ავტორი ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერების ნაცვლად, თავადების უფლებათა გაზრდას მოითხოვს. ამავე ნაშრომში გამოთქმულია საინტერესო ეკონომიკური მოსაზრებები ვაჭრობის, გლეხობის, ხელოსნობის და სხვ. შესახებ, რომლებიც მერკანტილისტურ და ფიზიოკრატიულ ეკონომიკურ დოქტრინებთან გვაახლოებს.

მერკანტილისტური იდეები. ნაშრომში „ბრძენი აღმოსავლეთისა" მე-5 თავის სახელწოდებაა „ვაჭართა შესახებ". ალ.ამილახვარი გმობს იმ მოღვაწეთა შეხედულებებს, რომლებსაც ვაჭრობა ქართველი კაცისათვის სათაკილო საქმიანობად მიაჩნდათ. მას ვერ წარმოუდგენია ქვეყნის განვითარება ვაჭრობის განვითარების გარეშე. „ისე არაფერი ამდიდრებს და აძლიერებს სახელმწიფოს, როგორც ვაჭართა სიმრავლე და მათი საქმიანობა"[2] - წერდა იგი.

ავტორის ხაზგასმით, ვაჭრობა ქვეყანაში სიმდიდრის დაგროვებას უზრუნველყოფს, ისინი „არიან ჯარის სიმაგრე, ერის შემმოსველნი და მეფის დიდება"[3]. აქედან გამომდინარე, აუცილებელიაო ვაჭრობის თავისუფლება და წახალისება.

ალ.ამილახვარმა ვაჭრები ფუტკარს შეადარა, რომლებიც „ყველა სიტკბოებას, რაც მზის ქვეშეთში მოიპოვება თავის ბუდეში აგროვებს და სიტკბოთი ავსებს თავის თავსაც და პატრონსაც"[4].

ამრიგად, სახეზეა მერკანტილისტური დოქტრინის ელემენტები: ქვეყანა ვერ განვითარდება ვაჭრობის გარეშე; ვაჭრობა სიმდიდრის მოპოვებისა და სახელმწიფოს ძლიერების წყაროა; ქვეყანამ უნდა წაახალისოს თავისუფალი ვაჭრობა.

ალ. ამილახვარის შეხედულებები, მართალია, შეიცავს მერკანტილისტურ იდეებს, მაგრამ მისი მსჯელობები ცალმხრივი არ ყოფილა, რამდენადაც მან დიდი ყურადღება დაუთმო ქვეყანაში მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, მისი მოსაზრებები თავსებადია კლასიკურ, მათ შორის ფიზიოკრატიულ ეკონომიკურ დოქტრინებთან.

ნაშრომის მე-6 თავში – „გლეხების ანუ მიწათმოქმედთა შესახებ" გლეხების (მიუხედავად დაბალ იერარქიულ საფეხურზე დგომისა), შრომა პირველ ადგილზეა დაყენებული: „ისინი კეკეზაუენ ერთიანად ყველას. ყველაფრის უკმარისობას მოითმენს ადამიანი და მხოლოდ არა საკვების უქონლობას"[5]. აქედან გამომდინარე, ავტორმა გლეხობის დაცვა და მათი საქმიანობის წახალისება მოითხოვა: არავინ არ უნდა დავამციროთო, ყველას ერთმანეთი სჭირდება, ამ ქვეყანაზე ყველანი თანასწორად ვშობილვართო[6]. თუმცა, კლასებს შორის თანასწორობის, ბატონყმობის უღლიდან გლეხთა განთავისუფლების იდეა ალ.ამილახვარს არ განუვითარებია, რამდენადაც მისი შეხედულებები მთლიანობაში ფეოდალური ურთიერთობების გარსში იყო გახვეული.

მე-18 თავში ხელობის დაუფლების მნიშვნელობაზეა მსჯელობა, რომლის შედეგადაც „ყველა საჭირო ნივთი შეიძლება შენივე ქვეყანაში იშოო და არ იქნება საჭირო მათი სხვა ქვეყნებში

---

1 ალ.ამილახვარი: ბრძენი აღმოსავლეთისა "მოამბე", №2, 1902; გეორგიანული ისტორია, თარგმ. გ.ქიქოძისა, „მნათობი", №8, 1939.

2 ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., 1997, გვ. 18.

3 იქვე, გვ. 19.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 19-20.

6 იქვე, გვ. 20

ძიება"[1]. აქვე კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული სამამულო პროდუქტის წარმოების თვალსაზრისით. კერძოდ, რომ იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით ადამიანთა დასაქმებას, მათი და მთლიანად ქვეყნის შემოსავლების ზრდას. ავტორის აზრით, „სასიამოვნო და სასარგებლოც არის, რომ (მოიხმარო) ის ნაკეთობა, რაც შენივე ქვეყანაშია დამზადებული, გინდა ცოტა ძვირიც დაგიჯდეს, ვიდრე უცხოეთში გაკეთებული (უფრო იაფი ნივთი), რადგან ეს თანხა, შენივე ქვეყანაში დარჩება და შენი ერივე ისარგებლებს. ამიტომ, შენთვის არ ჩაითვლება წაგებად, რადგან ყველაფერი მათი (შენი ერის), შენია, და შენი კი, მათია"[2]. ასეთი მიდგომები პროტექციონისტულ პოლიტიკას ნიშნავს, რომელიც გარკვეულ დროში შეიძლება გამოიყენოს ქვეყანამ სამამულო წარმოების ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ მისი ხანგრძლივ დროში გათვლა შეაფერხებს ადგილობრივი წარმოების განვითარებას და მას არაკონკურენტულს გახდის.

ალ.ამილახვარი ქვეყნის მილიტარიზაციას ეწინააღმდეგება, რამდენადაც მას მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი, ეკონომიკის ნგრევა, საბოლოო ანგარიშით, სახელმწიფოს დასუსტებაც; უმჯობესია რესურსები ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობას მოხმარდესო. შეკითხვაზე „მეფისათვის შეიარაღება უფრო სასარგებლოა თუ მშვიდობა?" (თავი 9) ავტორი პასუხობს: „თუკი ადამიანი ჭეშმარიტ სახელს ესწრაფვის, რა არის მშვიდობაზე უძვირფასესი? თუ (ვინმე) შესძლებს და თავის მეფობაში გააუქმებს ყოველ იარაღს და მის ნაცვლად სიბრძნესა და გულისხმიერებას დაამკვიდრებს... მისი სახელის შესადარი არავინ იქნება". ქართველი პოლიტიკური მოღვაწის მოწოდება განიარაღებისა და მშვიდობისაკენ დღესაც უაღრესად აქტუალურად ჟღერს.

მთლიანობაში, ალ.ამილახვარის ეკონომიკური შეხედულებები, უპირველეს ყოვლისა, მერკანტილისტურ ეკონომიკურ იდეებს შეიცავს, მაგრამ ნაწილობრივ კლასიკურ, მათ შორის ფიზიოკრატულ იდეებსაც ესადაგება.

ლიტერატურა

ალ.ამილახვარი, ბრძენი ალმოსავლეთისა, „მოამბე", №2, 1902; გეორგიანული ისტორია, თარგმ. გ.ქიქოძისა, „მნათობი", №8, 1939.

ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, თავი II.

არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981.

ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონები, თბ., 1934.

ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურის და ნ.ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისის უნ-ტის გამომც., თბ., 1941.

იოანე ბატონიშვილი, „სჯულდება", თბ., 1957; „ხუმარსწავლა" („კალმასობა"), წიგნი I, თბ., 1990.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, სახელმძღვანელო, ნაწ. I, თბ., 1973.

აგელაშვილი, თანამედროვე რელიგია და ღმერთის არსებობის „დასაბუთების" საკითხი, თბ., 1970.

მ.გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ.1, თბ., 1941.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა.სილაგაძე), თბ., 2005.

გ.თევზაძე, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები, ნაწ. I, თბ., 1981, ნაწ. II, თბ., 1982.

გ.თოლუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I (რედ. პროფ. ა.სილაგაძე), თბ., 2004.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

ლაო-ძი, დაო დე-ძინი, თბ., 1990.

რ.მეტრეველი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972; შიდაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XIII საუკუნე), თბ., 1973; მეფე თამარი: ეპოქის პოლიტიკური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური მიმოხილვა, თბ., 1991.

ნ.ნათაძე, თომა აქვინელის ფილოსოფია, თბ., 1973.

1 ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი ალმოსაულეთისა, თბ., 1997, გვ. 23-24.

2 იქვე, გვ. 24.

პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975.
დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომის ისტორია, ქართ. თარგმნ., ნაწ. I, თბ., 1938.
შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1992.
სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბ., 1981.
ლ.სანიკიძე, რომის იმპერია, ნაწ. I, თბ., 1969.
ა.სილაგაძე: ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996; ეკონომიკური დოქტრინების სათავეებთან, თბ., 2006; ეკონომიკური დოქტრინები შუა საუკუნეებში, თბ., 2007.
სულხან-საბა ორბელიანი: „სიბრძნე სიცრუისა“, თბ., 1957; ლექსიკონი ქართული, ნაწ. I, თბ., 1991; ნაწ.II, თბ., 1993.
ქართული სამართლის ძეგლები: ტ.I, თბ., 1963; ტ.2, თბ., 1965; ტ.3, თბ., 1970; ტ.4, თბ., 1972; ტ.5, თბ., 1974; ტ.6, თბ., 1974; ტ.7, თბ., 1981; ტ.8, თბ., 1985.
ვ.ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1959; შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.
ს.წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, ტ.3, თბ., 1968.
მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.
ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვეობა, წიგნი I, თბ., „საქპროფგამი“, 1997.
ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან, ნაწ. I, ტფ., 1930.
Авдеева К.Д., Внутренная колонизация и развитие феодализма в Англии в XI-XIII вв. Л., 1973.
Античный способ производства в источниках, М.-Л., №1, 1933.
Аристотель, Политика. Соч., т. 4, М.,1984.
Артхашастра, М., 1959.
Басовская Н.И., Период развитого феодализма в странах Западной Европы (XI-XV вв.), М., 1974.
Барг М.А., Исследования по истории английского феодализма в XI-XII вв., М., 1962.
Бациева С.М., Историко-социологический трактат Ибн-Хальдуна «Мукаддима», М., 1965.
Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.
Боргош Ю., Фома Аквинский, Пер. с польского, 2-ое изд., М., 1975.
Борисов Г.В., **Шишкин** М.В., **Сутырин** С.Ф., История экономических учений, Уч. пос., Санкт-Петербург, 2003.
Варрон, Сельское хозяйство, М., 1963.
Всемирная история экономической мысли, т. 1, М., "Мысль", 1987.
Виноградов П., Экономические теории средневековия – В кн.: «История экономической мысли», ч. I., 1916.
Горье В., Блаженный Августин, М., 1910.
Данилова Г.М., Проблемы генезиса феодализма у славян и германцев, Петрозаводск, 1974.
Древнекитайская философия, ч. I, М., 1972.
Замятин В.Н., Русская экономическая мысль IX-XVI веках, М., 1958.
Зимин А.А., И.С. Пересветов и его современники, М., 1958.
Игнатенко А.А., Ибн-Хальдун, М.: «Мысль», 1980.
Избранные произведения мыслителей стран Ближнего и Среднего Востока IX-XIV вв., М., 1961.
История средних веков (V- XV века), Хрестоматия, ч. I, М., 1988.
История экономических учений. Под ред. В. **Автономова**, М., 2003.
История экономических учений, Учебник, М., 1983.
История экономических учений, Уч. пос., М., 2003.
Каменский Б.А., Борьба народных масс в странах Европы против феодального гнета, М., 1965.
Катон Марк Порций, Земледелие. М.-Л., 1956.
Катон, Варрон, Калумела, Плиний, О сельском хозяйстве, М., 1957.

Котельникова Л.А., Феодализм и город в Италии в VIII-XV вв., М., 1954.

Ксенофонт: Киропедия. М., 1976; Сократические сочинения. М.-Л., 1935, Домострой... М., 1993.

Луциатто Дж., Экономическая история Италии. Античность и средние веки, Пер. с итал., М., 1954.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Машкин Н.А., Принципат Августа, М., 1949.

Майер В.Е., Крестянство Германии в эпоху позднего феодализма, М., 1985.

Мировая экономическая мысль, т. 1, М., 2004.

Ойкен А., История политической экономики до Адама Смита, Пер. с нем., СПБ, 1908.

Паламарчук Г.Е., Общая характеристика феодального хозяйства. Экономическое развитие Франкского государства, Львов, 1959.

Петрушевский Д., Восстание Уота Тайлера. Очерки по истории разложения феодального строя в Англии, М., 1937.

Петрушевский Д., Очерки из экономической истории средневековой Европы. М.-Л., 1928.

Платон: Государство, Соч., т. 3, ч. 1. М., 1971; Законы, Соч., т.3, ч. 2, М., 1972.

«Правда Русская», Т. 1-3, М.-Л., 1940-1963.

Ржига В.Ф., Литературная деятельность Ермолая-Еразма - «Летопись занятий Археологической компании за 1923-1925 гг.», Вып. 33, Л., 1926.

«Салическая Правда», Пер. Н.П. Грацианского, М., 1950.

Сенека Л.А., Избр. письма ..., СПБ, 1893.

Сказкин С.Д., Исторические условия восстания Дольчино, М., 1955.

Страны средиземноморя в эпоху феодализма, Горький, 1983.

Творения Блаженного Августина Епископа Иппониского, ნაწ. 1-7, მე-2 გამოც., Киев, 1901-12.

Титова Н.Е., История экономических учений, М., 1997.

Труды Института истории естествознания и техники, т. 1, М.-Л., 1947; т. 34, М., 1960.

Удальцова З.В., **Гунтова** Е.В., Генезис феодализма в странах Европы, М., 1970.

Хрестоматия по истории Древнего Востока, в 2 ч-ях, М.: «Высшая школа», 1980.

Цицерон: О страсти. О дружбе. Об обязанностях, М., 1974; Диалоги, О государстве. О законах. М., 1965.

Штейн В. М., Гуань-цзы. М., 1959.

Штерн Э. Ф., К оценке деятельности Тиберя Гракха. Сб. статей, Харьков, 1914.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 1, Санкт-Петербург, «Экономическая школа», 2004.

Юшков С.В., Русская правда, М., 1950.

Ядгаров Я.С., История экономических учений, 3-е изд. М., 1999.

Ян Хин-Шун, Древнекитайская философия Лао-Цзы и его учение. М.-Л., 1950.

Aquinas T., Summa Theological, N.Y., Cincinati, Cicago, 1911.

Aquinatis T., Summa Theologiae, Roma, 1984.

Meisnier F., Essai sur la vie et les ouyrages de Nocola Oresme, 1897.

Pedersen O., Nikole Oresme, og hans naturfilosofiske sistem – "Le livre du ciel et du monde", Kobenhavn, 1956.

თავი II.
საზოგადოების განვითარების პირველი დოქტრინა: მერკანტილიზმი

1. გარდამავალი პერიოდი

შუასაუკუნოვანი შედარებით სტატიკური პერიოდი, მე-14-15-სს-ში სწრაფი ცვლილებებისაკენ მოძრაობით შეიცვალა. ამ ორი პერიოდის თანდათანობითი და ნელი შერწყმის გამო, სპეციალისტები სხვადასხვა აზრს გამოხატავენ ახალი პერიოდის დაწყებასთან დაკავშირებით. ზოგიერთი შუა საუკუნეების ეპოქის დასრულებას მე-13 ს-ის დასასრულს უკავშირებს და არა მე-14-ს, როგორც ამას მკვლევართა უმრავლესობა აკეთებს. „მეცამეტეს" მოიხსენიებენ როგორც ორ ეპოქას შორის გარდამავალ პერიოდს, რადგან ორი საუკუნე იყო შუა საუკუნეების ხანის დეკომპოზიციისა[1] და ახალი ეპოქის მნიშვნელოვანი ელემენტების ინკუბაციის[2] შერწყმა.

გარდამავალ პერიოდში წმ. თომა აქვინელის შეხედულებები, რომლებიც საინტერესო ზნეობით და არარაციონალური თვისებებით გამოირჩეოდა, საპირისპირო იდეებით შეიცვალა. კოსმოპოლიტიზმის[3] იდეამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა; ფეოდალური სისტემის პარტიკულარიზმი[4] ცენტრალიზებული სახელმწიფოს ეფექტიანი ხელმძღვანელობით შეიცვალა. სასულიერო ძალამ თავისი ზნეობრივი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობები დაკარგა და გამდიდრების სურვილი გაიზარდა. პროვინციონალიზმი ეკონომიკურ საკითხებში აღარ დომინირებდა.

შუასაუკუნოვანი ინსტიტუტების განვითარების პიკზე მამულები და მუნიციპალიტეტები ეკონომიკურ ცხოვრებას აკონტროლებდნენ. ქალაქებში ორგანიზაციები დომინირებდნენ; ინდუსტრიის[5] სფეროს თითოეული ხელმძღვანელი და მუშა საკონტროლოდ ერთ მაორგანიზებელ სტრუქტურაში მოექცა. საქმეთა მართვა შესაძლებელი იყო საქონლის, ფასების, ხელფასების, სამუშაო საათების და სხვა დეტალების უკვე შემუშავებული მარეგულირებელი სისტემით.

კერძო მამულები ძირითადად თვითმმართველობას დაემორჩილა და მანორიალურმა[6] ორგანიზაციამ ქალაქის ცხოვრების სტილი განაპირობა. მათი დასაქმების ძირითადი სფერო სოფლის მეურნეობა იყო, მაგრამ ადამიანები პარალელურად სხვა საქმიანობასაც მისდევდნენ. ქალაქის თუ ქვეყნის თვითკმაყოფილების მახასიათებლები ლოკალიზმის გამოვლინების არეალს განსაზღვრავდა. ქალაქების გარემომცველი ტერიტორიები მოქალაქეთა შრომით-საორგანიზაციო სტრუქტურების მეთვალყურეობის ქვეშ ათვისებული იყო. ქალაქებისა და მამულების ვიწრო წარმოებებში ისეთი ტექნიკა ჩაერთო, რომელიც სულ მალე ცვლილებების შედეგად უფრო ეფექტიანი ევოლუციური მოწყობილობებით შეიცვალა.

შუა საუკუნეებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სოფელში მცხოვრები გლეხი იყო, მაგრამ შედარებით მცირერიცხოვანი ქალაქების მოსახლეობის რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა და სიმდიდრისა და პოლიტიკური გავლენის წყალობით მნიშვნელოვან ძალაუფლებას იძენდა. სიმდიდრისა და კონტროლის ძალა მემამულე-აზნაურთა ხელში მოექცა, რადგან მიწა შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენდა; მაგრამ ქალაქების სიმდიდრე უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ქვეყნის. სიმდიდრე უმაღლეს მატერიალურ კეთილდღეობაზე მეტყველებდა. ქალაქები პროგრესის ცენტრებად

---

1 **ინკუბაცია** (ლათ. incubatio) – გამოჩეკა

2 კოსმოპოლიტიზმი უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას, სუვერენიტეტს და „მსოფლიო სახელმწიფოს, მოქალაქეობის" შექმნის იდეას აყენებს.

3 **პარტიკულარიზმი** (ლათ. partikularis – ნაწილობრივი, ცალკეული) – სახელმწიფოს ზოგიერთი ნაწილის განცალკევებისაკენ მისწრაფება.

4 **ინდუსტრია** (ლათ. industria – საქმიანობა) – მანქანური ტექნიკით აღჭურვილი მრეწველობა.

5 **მანორი** (ლათ. manor) – შუა საუკუნეების ინგლისში – ფეოდალური მამული.

6 **ფერმენტი** (ლათ. fermentum) – ორგანული ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება ცოცხალ უჯრედში და ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიური რეაქციების აჩქარებას.

იქცნენ, რითაც მოვლენათა განვითარებას აკონტროლებდნენ. შემდგომში ხელოვნება განვითარდა და თავი იჩინა ახალმა გამოგონებებმა. მჭიდრო ურთიერთობებმა, მშვიდობამ და თავისუფლებამ გონების განვითარება დააჩქარა, უფრო ლიბერალური აზროვნება შექმნა და ეკონომიკური საკითხების მეთოდიკის ძიებისა და გაუმჯობესების პროცესები წააქეზა. მაშასადამე, საქმე გვაქვს პრაქტიკულ ფერმენტთან[1], რომელიც გაფართოებას და განვითარებას იწვევს.

1.1. ეროვნული რეგულირება

რადგან ნ.მაკიაველისა და ჟ.ბოდენის ძლიერი სახელმწიფოს შექმნის ინტერესები ემთხვეოდა, მერკანტილიზმი, რომელსაც ეკონომიკური ძალებით შეეძლო ქვეყანა გაეძლიერებინა, მათ მიზანთან ჰარმონიულობაში იყო. მერკანტილიზმი შედგებოდა დოქტრინებისაგან, რომლებიც ერთდროულად არ განვითარდა; არც ვინმეს განუმარტავს მისი განშტოების ფაზები 1767 წლამდე. ამ წელს, როდესაც მერკანტილისტური დოქტრინის აღორძინების პერიოდმა ჩაიარა, შოტლანდიელმა მერკანტილისტმა ჯეიმზ სტიუარტმა (1712-1780) გამოაქვეყნა სრულყოფილი და სისტემატური მიმოხილვა „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების გამოკვლევა“[2].

მერკანტილიზმი წესებით რეგულირდებოდა. მის მრავალ შემადგენელ დოქტრინას შორის ჩართული იყო ეროვნული დოქტრინა, დოქტრინა დაბალი ანაზღაურებისა და იაფი საკვების შესახებ მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მრავალრიცხოვანი მოსახლეობის თეორიით და დოქტრინა ინდუსტრიულ უპირატესობებზე. საგარეო ვაჭრობა ეკონომიკურ საქმიანობათა სათავეში მოექცა, ხოლო სოფლის მეურნეობა — ბოლოში. ამ თეორიის მიხედვით, ძვირფასი ლითონები ქონების ყველაზე მნიშვნელოვან და სასურველ ნაწილს შეადგენს, და რომ ქვეყანაში ვაჭრობის დადებითი ბალანსი განსაზღვრავდა ოქროსა და ვერცხლის მომარაგებას. სახელმწიფო პოლიტიკად იქცა მწარმოებელთა დაცვა და დოქტრინა იმის შესახებ, რომ სუვერენიტეტი სახელმწიფოს მთხოვნებს ეროვნული წყაროების განვითარებით უზრუნველყოფს. მერკანტილიზმი პრაქტიკაში დამკვიდრდა; მის დოქტრინებს ფილოსოფოსები არ განმარტავდნენ. ისინი სახელმწიფო მოღვაწეებისა და ბიზნესხელმძღვანელების ქმედებების შედეგად დამკვიდრდა.

მერკანტილისტური დოქტრინის მიხედვით, ძლიერი სახელმწიფო აუცილებელია კომერციული შეზღუდვების გადასალახავად და ვაჭრობის ინტერესების დასაცავად. სახელმწიფოზე დამოკიდებულება იმდენად რეალურია, რომ ჩნდება არგუმენტი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური გაერთიანებაა ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობებში იძებნებოდა. მაგრამ არ უნდა დაეშვათ მისდამი სრული დაქვემდებარება, რადგან პოლიტიკური ინსტიტუტების ცენტრალიზაციაში კაუზალური გავლენა შუასაუკუნოვან ეკონომიკურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შედეგი იყო. განსხვავებული ინდივიდუალური სავაჭრო ინტერესები უპირატესობას ძლიერ სახელმწიფოში ხედავდნენ, თუ ეს სახელმწიფო ეფექტურად კონტროლდებოდა გარკვეული ჯგუფის მიერ; შედეგად, მათ ყველას ვაჭრის სიმდიდრისა და ეროვნული ეკონომიკის აღორძინების იდენტურობის საკითხი შეეძლოთ საეჭვოდ მიეჩნიათ. ეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის, აგრეთვე პოლიტიკურ და ეკონომიკურ იდეებს შორის ურთიერთქმედების ერთ-ერთი მაგალითია.

ქვეყნის ეროვნული სიძლიერე უშუალოდ დაკავშირებულია მის სიმდიდრესთან და მოსახლეობასთან. ერის გასაძლიერებლადაც ორი რამ ითელებოდა აუცილებლად — სიმდიდრე და მოსახლეობა. მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ომისა და დოვლათის შექმნის მიზნებს მოემსახურებოდა. ეს კი გამოგონებების, წარმოების აუცილებლობას შექმნიდა და ერს სიმდიდრეს მოუტანდა. ამის გამო, იმიგრაცია მისასალმებელი იყო და იმიგრანტებისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება ამართლებდა, ვინაიდან გაუმჯობესებული ინდუსტრია ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ იმოქმედებდა.

ამ მიდგომებში ანაზღაურების სპეციფიკაციას დიდი მნიშვნელობა არ დაეთმო, მაგრამ ყველგან, სადაც ნაგულისხმევი იყო მერკანტილისტური არგუმენტი, ნათელი იყო, რომ ანაზღაურება დაბალი, საკვები კი იაფი უნდა ყოფილიყო. დაბალი ხელფასები პროდუქტზე დაბალ ფასს შეინარ-

1 **Steuart** J., An inquiry into the principles of political economy, v.1-2, L., 1767.

2 **კაუზალური** (ლათ. causalis) — მიზეზობრივი.

ჩუნებდა და უცხოელ კონკურენტებზე მათი უფრო იაფად გაყიდვის საშუალებას მისცემდათ. საკვები აუცილებლად იაფი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ხელფასიც დაბალი შენარჩუნებულიყო. იაფი ნედლეულიც აგრეთვე წარმოებული საქონლის დაბალი ფასების შენარჩუნების წინაპირობად ითვლებოდა.

ვაჭრობაში საგარეო ვაჭრობას პრიორიტეტი ენიჭებოდა და საქმიანობის იერარქიას შორის ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა სოფლის მეურნეობას ეთმობოდა. თავად მრეწველობა შუალედურ პოზიციას იკავებდა, როგორც საცალო ვაჭრობის აუცილებელი პარტნიორი და ამ საფუძველზე იყო გამართლებული. შუა საუკუნეებში თავისი საეჭვო პოზიციიდან ვაჭარმა მერკანტილიზმის ეპოქაში ღირსეული პროფესიონალური ადგილი დაიკავა.

ძვირფასი ლითონები საყოველთაოდ დაფასდა, რადგან ითვლებოდა, რომ ისინი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე კეთილსაიმედო გაელენას ახდენდა. ფული და ოქროს ზოდები სიმდიდრისა და უპირატესი ძალაუფლების მაჩვენებელს წარმოადგენდა, რადგან საყოველთაოდ მიღებული იყო. ზოგიერთი დაუფიქრებელი, მეტად თავაზიანი განცხადებით ფული და სიმდიდრე მათი აზროვნების წესსაც ცვლიდა. ყოველ შემთხვევაში, ძვირფასი ლითონის ზოდი სიმდიდრის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა და მათ მოსაპოვებლად მრავალი გამოგონება და ახალი მეთოდი შემუშავდა.

12. ვაჭრობის ფუნქციები

ქვეყანას, რომელსაც არ გააჩნია საბადოები, ისღა დარჩენია, რომ ოქრო და ვერცხლი ვაჭრობის შედეგად შეისყიდოს. ექსპორტის იმპორტზე უპირატესობის დამკვიდრებული წესი იყო მათი „ვაჭრობის საუკეთესო ბალანსი“ და ოქროს „შემოდენის“ საშუალება. იმდროინდელ საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, სწრაფვა მიზნის მისაღწევად მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ვაჭრებს სწამდათ, რომ რასაც ერთი ქვეყანა იძენდა, მეორე მას კარგავდა. ვაჭრობის სურვილის შესანარჩუნებლად, სახელმწიფო იცავდა მის მიერ წარმოებულ პროდუქტს, რომელიც შიგა ბაზრისთვის იყო განკუთვნილი და რომლის მწარმოებელსაც უცხოელი კონკურენტი ჰყავდა. მთავრობის მთავარ მიზანს აგრეთვე საექსპორტო წარმოებების სტიმულირება წარმოადგენდა. მოწინავე ქვეყნებში მთავრობის მიზნები მნიშვნელოვნად სრულდებოდა.

ვაჭრობასა და წარმოებაში კონკურენცია ბევრ სახელმწიფოს შორის უმთავრეს მიზნად იქცა და ამ უპირატესობის მისაღწევად მთელი პოლიტიკური და ფინანსური რესურსები ჩაერთო. ამ მიზნით მრავალი წარმოება მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა; ზოგიერთი დაიხურა, ზოგს კი დახმარება გაეწია. კერძო წარმოებრივ საქმიანობაში მთავრობის ჩარევა გამართლებულად ითვლებოდა. სახელმწიფო კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაფერის ინსტრუმენტად განიხილებოდა. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ შესაძლოა სახელმწიფო საწარმოები შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ნ.მაკიაველი და ჟ.ბოდენი მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს აყვავებას მთავრობის ძალებითა და დახმარებით და ეს მეთოდი უკვე აშკარად გამოიკვეთა. პირველი მწერალი, რომელმაც სისტემური დოქტრინა შეიმუშავა იყო იტალიელი ა.სერა, თომას მენი კი მისი თანამედროვე ყველაზე ცნობილი ინგლისელი ადვოკატი იყო.

2. კაპიტალიზმის განვითარება და საზოგადოებრივი ცვლილებები

ვაჭრობამ თავისი შემდგომი განვითარება მე-15-16 საუკუნეებში ჰპოვა. მოთხოვნის ზრდის შესაბამისად ფართოვდებოდა მრეწველობა (სამთომოპოვებითი, ფოლადდამმუშავებელი, საფეიქრო). ფაბრიკანტებმა, მსხვილმა ვაჭრებმა, ბანკირებმა და სხვ. კაპიტალისტთა ფენა წარმოშვა, რომელთა კონტროლის არეალი თემის, საამქროების და ქალაქების ფარგლებს გასცდა. ამ კლასისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მოგების მიღებამ შეიძინა. ამ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა ის ქალაქები (მაგ. ანტვერპენი), სადაც უცხოელ ვაჭრებს ლიბერალურად ეპყრობოდნენ.

მე-15 საუკუნე საზღვაო ნაოსნობაში ნოვატორული პროგრესით აღინიშნა, რამაც ასტრონომიის სფეროში ახალი აღმოჩენები მნიშვნელოვნად განაპირობა. **ვასკო და გამამ** აფრიკის კონტინენტის შემოვლის შემდეგ გეზი ინდოეთზე აიღო, რითაც აღმოსავლეთთან ახალი სავაჭრო გზა გაიხსნა. 1492 წელს ქრისტეფორე **კოლუმბმა** ამერიკა აღმოაჩინა. ესპანეთმა მოკლე დროში მექსიკა და პერუ დაიპყრო. იქ განძეულის აღმოჩენამ და შახტებში კეთილშობილი ლითონების მოპოვებამ ოქროსა და ვერცხლის დიდი მარაგები წარმოაჩინეს, რამაც ევროპაში ესპანეთის წამყვანი მდგომარეობა დიდხანს უზრუნველყო. ძვირფასი მეტალები უხვ ნაკადად მიედინებოდა მექსიკიდან და პერუდან ესპანეთში, იქიდან კი ვაჭრობის მეშვეობით სხვა ევროპულ ქვეყნებში.

ესპანელები ამერიკაში პირველნი დასახლდნენ. ამას მოჰყვა ამერიკის ჩრდილოეთში ინგლისელების, ჰოლანდიელებისა და ფრანგების დასახლებანი, რომლებმაც შექმნეს იქ პლანტაციები, უპირველეს ყოვლისა — თამბაქოს, აგრეთვე, თევზჭერის საწარმოები და შემკრები პუნქტები ბეწვეულით ვაჭრობისათვის.

ევროპაში დაიწყო: ჩაის (1606 წ. ჩაიტანეს ჰოლანდიელებმა), ყავის, კაკაოს, თამბაქოს (1558 წ. ჩატანილია ესპანეთში), პომიდორის, სიმინდის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლისა და სხვა პროდუქციის შეტანა. ვაჭრობა სხვა საქონლითაც გაფართოვდა. ამავე დროს — 1510 წლიდან შავკანიანი მონებით ვაჭრობა სწრაფად გაფართოვდა.

ევროპის ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებას შედეგად ახალი სოციალური კრიზისი მოჰყვა. ამერიკიდან დიდი რაოდენობით ოქროსა და ვერცხლის იმპორტმა ბევრად გაზარდა მიმოქცევაში არსებული საქონლის მოცულობა, ფასები კი კეთილშობილ მეტალებზე დაეცა.

ვაჭრობის განვითარებამ და საერთო ეკონომიკურმა აღმავლობამ ევროპის სულიერ ცხოვრებაში გარდატეხა განაპირობა. გადამწყვეტი როლი შეასრულა დიდი იტალიელი მწერლების მიერ მე-14 საუკუნეში ანტიკური პერიოდის ავტორების „ხელმეორედ აღმოჩენამ". მათ მსხვილი ვაჭრები ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ.

იტალიელმა ფრანჩესკო **პეტრარკამ** (1304-1374) ქალაქ ვერონას საკათედრო ტაძრის ბიბლიოთეკაში ციცერონის ხელნაწერები და „გამოსვლები" აღმოაჩინა. მან ბერძნული ენა სპეციალურად შეისწავლა, რათა ჰომეროსის ნაწარმოებთა ორიგინალში წაკითხვა შეძლებოდა, რომელნიც მას ბიზანტიელმა აზნაურმა ავიგრონემ გადასცა. ასევე, იტალიელმა ჯოვანო **ბოკაჩომ** (1313-1375), ვაჭრის შვილმა, რომელიც ბერძნულ ენას სახლში მასწავლებლის მეშვეობით სწავლობდა, მალე ჰომეროსის ორიგინალში წაკითხვა შესძლო.

იტალიასა და საბერძნეთს შორის რეგულარული კონტაქტები დამყარდა, რის შედეგადაც იტალიაში მრავალი ძველი ბერძნული ხელნაწერი შეიტანეს. ასე, მაგალითად, მხოლოდ 1423 წელს ვენეციაში ხელნაწერთა 238 ტომი ჩაიტანეს. ეს ბერძნული ხელნაწერები ძალზედ დროულად გაიტანეს და უსაფრთხო ადგილას შეინახეს, რამდენადაც სულ მალე თურქებმა საბერძნეთში დარჩენილი მრავალი ძველი ხელნაწერი გაანადგურეს. ასევე, მე-15 საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში პლატონის ნაწარმოებები აღმოაჩინეს. არანაკლებ ენთუზიაზმით შეისწავლებოდა ეპიკურეს თხზულებებიც.

1453 წელს თურქებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს. ამან აღმოსავლეთ რომის იმპერიის ბედი განსაზღვრა. ბევრი ბერძენი მეცნიერი იტალიაში გადასახლდა, რომლებმაც ანტიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით სულიერი ცხოვრების აღორძინებას — ე.ი. რენესანსულ მოძრაობას ახალი ბიძგი მისცა. იმავდროულად საბუნებისმეტყველო გამოკვლევებისადმი ინტერესი გაიზარდა. მაგალითად, **ლეონარდო და ვინჩი** (1452-1519) არა მარტო გენიალური მხატვარი, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბევრი სფეროს ნოვატორი იყო.

იტალიის შემდეგ აღორძინებამ ნიდერლანდები მოიცვა, სადაც ვაჭრობა დიდად განვითარდა. ახალი შეხედულებების გავრცელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორ გამოგონებას, სახელდობრ, წიგნის ბეჭდვასა (1450) და ქაღალდს, რომელმაც პერგამენტი[1] შეცვალა.

საფრანგეთში აღორძინების პერიოდი ცოტა მოგვიანებით დადგა: ეს გარდატეხის პერიოდი

---

1 პერგამენტი — მცირე აზიის ქ.პერგამონის (Pergamon) სახელიდან; განსაკუთრებული წესით დამუშავებული ხბოს, ბატკნის ან თიკნის ტყავი, რომელსაც ქაღალდის გამოგონებამდე საწერ მასალად იყენებდნენ.

აქ ფრანსუა **რაბლესა** (1495-1553) და მიშელ დე **მონტენის** (1533-1592) ნაწარმოებებით აღინიშნა. ინგლისში თომას **მორმა** (1479-1535) გამოაქვეყნა წიგნი „**უტოპია**", რომელიც პლატონის წიგნის „სახელმწიფოს" გავლენით დაიწერა და რომელიც ფართოდ გავრცელდა.

3. მერკანტილიზმის განვითარების ეტაპები

შუა საუკუნეების ბოლოს დასავლეთის ქვეყნებში გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებშიც ხაზგასმულია ეკლესიისაგან სახელმწიფოს ავტონომიის იდეები. **დანტე ალეგიერმა** (1266-1321) სტატიაში „**მონარქია**" მოითხოვა, რომ პაპი არ უნდა აღიჭურვოს ისეთი ხელისუფლებით, რომელიც ხელს შეუწყობს მთელი ძალაუფლების თავმოყრას მეფის ხელში. მსგავსი შეხედულებები გამოთქმული აქვთ ინგლისელ ვილჰელმ ფონ **ა.ჯგამს** (დაახლ. 1300-1349), ნიკოლო **მაკიაველის** (1469-1527) და ბიბლიის გერმანულ ენაზე მთარგმნელს **მარტინ ლუთერს** (1483-1546).

იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლების საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა, სპეციფიკურმა ეკონომიკურმა თეორიამ - მერკანტილიზმმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა[1], რომელიც საზოგადოების მიზნის სრულიად ახლებური კონცეფციით გამოდიოდა.

თუკი ფლორენციელი ნ.მაკიაველი მიიჩნევდა, რომ კარგად ორგანიზებული სახელმწიფო მდიდარი, ხოლო მისი მოქალაქეები ღარიბები უნდა იყოს, ამის საწინააღმდეგოდ მერკანტილიზმი თითქოსდა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო თავისი მოქალაქეების გამდიდრების ხელშეწყობით, თავის სიძლიერესაც აფართოებსო.

მერკანტილისტური იდეები უმთავრესად ვაჭრების, ბანკირებისა და მანუფაქტურების მფლობელთა მიერ იყო ჩამოყალიბებული, რომელნიც სახელმწიფოს სიძლიერის განმტკიცებას ითვალისწინებდნენ. ბევრი სახელმწიფოსათვის მერკანტილიზმი მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა, რამდენადაც ისინი მიიჩნევდნენ, რომ ვაჭრობაში ქვეყნების წარმატებანი მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერებას. ივი სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა და ძირითადად მიმოქცევის სფეროს კვლევით იფარგლებოდა.

მერკანტილისტები **სიმდიდრეს ფულში** ხედავდნენ, ხოლო მისი შეძენის ძირითად **წყაროს – საგარეო ვაჭრობაში.**

მერკანტილიზმის განვითარებაში გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი: I – **ადრინდელი მერკანტილიზმი** (მე-15-16 სს.) - „ფულადი ბალანსის" თეორიით და II – **გვიანდელი მერკანტილიზმი** (მე-16-17 სს.) – „სავაჭრო ბალანსის" თეორიით.

ადრინდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლები (ნ.მაკიაველი, უ.სტაფორდი, ჟ.ბოდენი) ფულადი სიმდიდრის გაზრდას წმინდა საკანონმდებლო წესებით მოითხოვდნენ. კერძოდ, ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყანაში ფულის დაგროვებისათვის აუცილებელი იყო მისი საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა. გარდა ამისა, ამ მიმართულების ავტორთა აზრით, აუცილებელი იყო საქონელთა ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება, უცხოეთში ოქროსა და ვერცხლის გაზიდვის აკრძალვა და სხვ.

გვიანდელი ანუ განვითარებული მერკანტილიზმის წარმომადგენლების (ა.სერა, ჯ.ჰეილსი, თ.მენი, ა.მონკრეტიენი, ჟ.ბ.კოლბერი და სხვ.) აზრით, ქვეყანა მით უფრო მდიდარია, რაც მეტად აქტიური სავაჭრო ბალანსი აქვს. ისინიც სიმდიდრეს ფულში ხედავდნენ, მაგრამ ფულის მიმოქცევა ქვეყანაში მეტი ფულის შემოტანის მიზნით უნდა დაჩქარებულიყო.

ამ მიმართულების მერკანტილისტები მოითხოვდნენ ექსპორტისა და იმპორტის ტემპების ზრდას პირველის სასარგებლოდ, რაც ქვეყნის სავაჭრო ბალანსის აქტიურ სალდოს უზრუნველყოფდა. ისინი იცავდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც უცხოური საქონლის შემოტანაზე ბაჟები იზრდებოდა, ხოლო სამამულო საქონელთა ექსპორტი კი უნდა წახალისებულიყო.

მერკანტილისტები, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრების ინტერესებს გამოხატავდნენ, ამასთან, მათ **პირველად დაამუშავეს საზოგადოების განვითარების დოქტრინა ეკონომიკური ფაქტორების ანალიზზე დაყრდნობით.**

---

1 ფრანგ. Mercantilisme, იტალ. mercante – ვაჭარი.

3.1. ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲙᲐᲜᲢᲘᲚᲘᲖᲛᲘ

ინდუსტრიული ძალების მზარდმა სიძლიერემ და კომერციის გაფართოებამ არეალმა ცენტრალიზებული სტრუქტურის უპირატესობები უფრო მეტად გამოკვეთა. იდეოლოგიური ცვლილებები სიმდიდრის წარმოდგენაზე არა მარტო ეთანხმებოდა ასეთ პროცესებს, არამედ მათ აუცილებლობად მიიჩნევდა, კერძოდ, იმ ნაწილში, სადაც ისინი სახელმწიფოს ინტერესებში მოქმედებენ. სიმდიდრის წარმოების და მისი მოხმარების საკითხებით დაინტერესებულნი იყვნენ როგორც სამთავრობო მოხელეები, ისე მწერლები. ნ.ორეზმის „ტრაქტატი ფულის შესახებ“ ძალიან პოპულარული იყო და დიდ ნდობას იმსახურებდა.

პოლიტიკური საკითხების გამშუქებელი მწერლები სუვერენული ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეის პოპულარიზაციას მხარს უჭერდნენ. ნ.მაკიაველი ცენტრალიზებული მთავრობის მხარდასაჭერად ნებისმიერ მეთოდს იწონებდა და ღირსეული შედეგის მისაღწევად ნებისმიერი ასეთი მეთოდის გამოყენებას ამართლებდა. ჟან ბოდენი თავის „რესპუბლიკის ექვს წიგნში“ (1576), მართვის მონარქიულ სისტემას ანიჭებს უპირატესობას დემოკრატიულთან შედარებით. მისი აზრით, ერთად საჭის ბევრი მმართავი ერთმანეთს ხელს უშლიან.

3.1.1. ნიკოლო მაკიაველი (1469-1527)

ცნობილი იტალიელი მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი ნიკოლო **მაკიაველი** (Machiavelli) დაიბადა ფლორენციაში.

მის ბავშვობაზე მცირე ინფორმაცია მოიპოვება, მაგრამ ცნობილია, რომ ოცდაათი წლის ასაკში მან თავისი საზოგადოებრივი კარიერა დაიწყო, როგორც „ფლორენციის ათეულის“ მდივანმა. ამის შემდეგ, თოთხმეტი წლის განმავლობაში იგი უძღვებოდა ფლორენციის რესპუბლიკის საქმეებს, რომელიც რენესანსის პერიოდში იტალიის კულტურის ცენტრად ითვლებოდა. მაკიაველი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო იმ გარემოში, სადაც ხელოვნება და ლიტერატურა უარყოფდა შუა საუკუნეებს და სტიმულს ანტიკური ხანის მოდელიდან იღებდა.

მაკიაველი ძველ რომაულ ნაწარმოებებს და ძველ ბერძნულ აზროვნებას ღრმად იცნობდა. იგი სქოლასტიკურ (ნასწავლ) პროცედურებს უარყოფდა და ეყრდნობოდა ბერძნებისა და რომაელების ისტორიას, როგორც პოლიტიკური სიმართლის წყაროს.

ამგვარად, მან გეზი აიღო შუა საუკუნეების საწინააღმდეგო მიმართულებით, რადგან ეს ეპოქა გმობდა ყველაფერ წარმართულს, როგორც უღირსს მასში ღვთაებრივის არარსებობის გამო.

მაკიაველის აზრით, პოლიტიკური ფილოსოფია დამოუკიდებლად, ეთიკური და თეოლოგიური ზეგავლენის გარეშე უნდა შექმნილიყო. იგი მკაცრად აკრიტიკებდა „პაპობას“, ფეოდალურ დიდგვაროვნობას და მისი სიმპატიები იტალიის ქალაქების საშუალო და მსხვილი ვაჭარ-ხელოსანთა ფენებისაკენ იყო მიმართული. სახელმწიფოს მოწყობის საუკეთესო ფორმად იგი რესპუბლიკას, იტალიისათვის კი ერთპიროვნულ მონარქიულ მმართველობას მიიჩნევდა.

1512 წელს, ფლორენციაში მედიჩების[1] ტირანული ძალაუფლების აღდგენის შემდეგ, მაკიაველი ციხეში ჩასვეს იმის საფუძველზე, რომ იგი ახალი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე იყო და როდესაც გამოუშვეს, სახელმწიფო მოღვაწეობას თავი დაანება და ლიტერატურით დაკავდა.

მის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა შორისაა „ფლორენციის ისტორია“ (1532), „ხელმწიფე“ (1532) და სხვ.

თავის ნაშრომებში მაკიაველმა განავითარა აზრი იმის შესახებ, რომ ზნეობა მართვის წანამძღვარია, მაგრამ ქველმოქმედი დესპოტის ქცევაში სახელმწიფოს გასაძლიერებლად, ღირსეული შედეგის მისაღწევად, გამართლებულია ნებისმიერი ქმედება – ძალადობა, მკვლელობა, სიცრუე, ღალატი. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს მისი პერიოდის იტალიური მთავრობების მუშაობას და აქებდა მათ საქმიანობასა და დიპლომატიურობას. მისი რწმენით, სახელმწიფო ან უნდა გაფართოვდეს, ან დაეცეს და ძველი რომის პოლიტიკის იმიტაციას აქეზებდა.

---

1 მედიჩები (Medici) ფლორენციული საგვარეულო, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების იტალიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში; დიდხანს განაგებდნენ ფლორენციას.

წმ. თომა აქვინელისა და ნ.მაკიაველის ურთიერთსწინააღმდეგო თეორიები. მე-15 საუკუნის დასასრულისათვის დამკვიდრებულმა იდეამ გაერთიანებული ევროპის იმპერიალისტური მართვის შესახებ თავისი აქტუალურობა დაკარგა. მიუხედავად იმისა, რომ წმ. თომა აქვინელმა ისტორიული სულისკვეთება გამოამჟღავნა და მისმა აზრებმა მრავალი ასპექტით წარმატება მოიპოვა, იგი რაციონალიზაციის სქოლასტიკურ[1] ტიპს მხარს უჭერდა და მისი თეოკრატული (ღმერთი და ხელისუფლება) არგუმენტები პოლიტიკურ ხელმძღვანელს ეკლესიის საღვთო კანონს უქვემდებარებდა.

აღნიშნულ დოქტრინასთან დიდ კონტრასტში იყო მაკიაველის მეთოდი პოლიტიკისა და ზნეობის განშორების შესახებ; ეს მეთოდი იყო თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. მას ახასიათებდა ემპირიზმი – გადახრა დაკვირვებისა და გამოცდილებისაკენ. მაკიაველის გავლენა პოლიტიკური თეორიის ისტორიაზე დიდი იყო და მისმა რეპუტაციამ მას იმდროინდელ ფილოსოფოსებს შორის საპატიო ადგილი დაუმკვიდრა.

ნ.მაკიაველი მერკანტილისტურ სახელმწიფოში ძალის გაფართოებას უზადო მთავრობის მთავარ ამოცანად თვლიდა. მისი აზრით, ყველა მთავრობამ უნდა გააძლიეროს თავისი ძალაუფლება ან დაიღუპოს. მისი იდეა ძლიერი, პროგრესული სახელმწიფოა. ჟან ბოდენი მას ეთანხმებოდა მთავრობაში აბსოლუტიზმის მხარდაჭერაში, მაგრამ მაკიაველისამებრ ზნეობისადმი ინდიფერენტულობას თავს არიდებდა. 1559 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ მაკიაველის ნაშრომები აკრძალული წიგნების ნუსხაში შეიტანა.

3.1.2. უილიამ სტაფორდი (1554-1612)

ადრინდელი მონეტარული მერკანტილიზმის წარმომადგენელი ინგლისში იყო **უ.სტაფორდი** (Stafford), რომელიც დაიბადა დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ესექსში.

ფულადი მიმოქცევის აქტიურად რეგულირების საკითხებს ეძღვნება მისი მთავარი ნაშრომი: **„ჩვენი სხვადასხვა თანამემამულის ზოგიერთი ჩვეულებრივი სარჩის მოკლედ გადმოცემა“** (1581). ავტორი ქვეყნის მთავარ სიმდიდრედ ფულს და აქტიურ ფულად ბალანსს ასახელებს. ფულის ფასსიფიცირების და საზღვარგარეთ მისი გადინების წინააღმდეგი იყო, რაც ფასების ზრდას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევსო.

უ.სტაფორდი ქვეყნიდან კეთილშობილი ლითონების გატანის აკრძალვას და იმპორტის – განსაკუთრებით მანუფაქტურული ნაწარმისა და ფუფუნების საგნების, შეზღუდვას მოითხოვდა. იგი სოფლის მეურნეობასთან შედარებით, მრეწველობის უპირატესი წახალისების მომხრეა.

ამრიგად, უ.სტაფორდი ვაჭრობის რეგლამენტირებას, იმპორტისა და მონეტების გატანის შეზღუდვას, ინგლისური მატყლის გადამუშავებისა და სხვა ნაწარმის წარმოების გაფართოებას მოითხოვდა.

3.1.3. ჟან ბოდენი (1530-1596)

ჟან ბოდენი (Bodin), ფრანგი მეცნიერი, მწერალი, დაიბადა ანჟეში, სადაც, მოგვიანებით, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. თორმეტი წელი ტულუზაში იურისპრუდენციაში ლექციებს კითხულობდა, შემდეგ კი მუშაობა პარიზში პრაქტიკოს-იურისტად დაიწყო.

ბოდენი წარმოშობის პროცესში მყოფი ბურჟუაზიის იდეოლოგია, წვრილი რეფორმების გატარებას ემხრობოდა.

ცელილებებისადმი შეუწყნარებელმა, მაგრამ კარგი გამოცდილების მქონემ, თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საფრანგეთის მეფის (1574 წლიდან) **ჰენრი III-ის** (1551-1589) სასამართლოზე დაქვემდებარებულ სამსახურში გაატარა. რელიგიური მოტივებით გამოწვეული ურთიერთშეტაკებების მოწინააღმდეგე, მხარს უჭერდა მონარქს ასეთი დაპირისპირებების დაძლევაში და ჰენრი ნავარელს გვირგვინის დაცვაში ეხმარებოდა.

---

1 სქოლასტიკა (ძვ. ბერძნ.) – შუასაუკუნოვანი რელიგიური ფილოსოფია დას. ევროპაში, რომელიც ხასიათდება თეოლოგიური-დოგმატური წინაპირობებისა და რაციონალური მეთოდიკის შერწყმით და ფორმალურ-ლოგიკური პირობებისადმი ინტერესით; ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, უნაყოფო განსჯა.

იგი, როგორც აქტიური ფილოსოფოსი ისტორიისა და თეოლოგიური ძალაუფლების არასწორ გამოყენებას ეწინააღმდეგებოდა. მას რელიგიური ამბიციები არ გააჩნდა, ამიტომ პრაქტიკოსი პოლიტიკოსის საქმიანობას შესანიშნავად მიესადაგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაშრომებში აღსანიშნავია ღვთისადმი მოწიწება, დღემდე მისი კრედო ზუსტად განსაზღვრული არ არის. თანამედროვეების მიერ იგი სხვადასხვა დროს მონათლული იყო, როგორც კათოლიკე, კალვინისტი[1], ათეისტი და ებრაელი.

ჟ.ბოდენის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომებია[2]: **„ისტორიის ადვილად შესწავლის მეთოდი"** (1566), **„რესპუბლიკა"** (1576, ექვსი წიგნი) და **„პასუხი ბ-ნ მალესტრუას ყველა საჭონლისა და ფულის შედარებითი გაძვირების პარადოქსზე"** (1568, გაგრძ. 1578).

მისი თეორია სუვერენიტეტის შესახებ პოლიტიკურ აზროვნებაში დიდხანს დომინირებდა. მისი კონცეფციით, სუვერენიტეტი კანონით შეუზღუდველი უმაღლესი ძალაა მოქალაქეებზე და ობიექტებზე.

ბოდენი თავისუფალი ვაჭრობის იდეების მომხრეა. საქონელთა ფასების გაძვირებას ევროპაში ძვირფასი ლითონების დიდი რაოდენობით შეტანასთან აკავშირებდა. მან ფულის რაოდენობრივი თეორიის წარმომადგენლებზე გარკვეული გავლენა მოახდინა. „რესპუბლიკის" მეექვსე წიგნი ეკონომიკური ანალიზისადმია მიძღვნილი, სადაც განვრცობილია მეხუთე წიგნში „ხალხთა სიმდიდრე" გაანალიზებული დაბეგვრის საკითხები ი.შუმპეტერის აზრით, ამ საკითხებთან გარკვეულად დაკავშირებულია ა.სმითის იდეები[3].

აღსანიშნავია, რომ ბოდენს მერკანტილიზმის თავისებურებები არ დაუხასიათებია. მას ნაკლებად აინტერესებდა ფულადი სიმდიდრის დაგროვება, ფულადი და სავაჭრო ბალანსების იდეები.

3.2. განვითარებული მერკანტილიზმი

3.2.1. ანტონიო სერა (1580-1650)

ანტონიო **სერა** (Serra) კალაბრიიდან იტალიაში ერთ-ერთი პირველი ყველაზე ცნობილი მერკანტილისტი იყო.

მისი წიგნი **„მოკლე ტრაქტატი იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც სამყაროში ოქროსა და ვერცხლის სიუხვეს უზრუნველყოფენ"** (1613)[4], მსგავს საკითხებზე მისი პირველი ნაშრომი იყო. ნაშრომი მისი ავტორის ციხეში ჯდომის პერიოდში დაიწერა, რაც ნეაპოლის ესპანეთისაგან განთავისუფლებისათვის შეთქმულებაში მონაწილეობასთან და რესპუბლიკური მთავრობის დაფუძნებასთან იყო დაკავშირებული.

არავითარი წყარო არ არსებობს იმის დამადასტურებელი, რომ ამ წიგნმა თანამედროვეების ყურადღება მიიპყრო და, სავარაუდოდ, მან სხვა მწერლებზე ნაკლები გავლენა მოახდინა. მას ყურადღება მიაქციეს მხოლოდ შემდეგ საუკუნეში. წიგნი მართლაც რომ საყურადღებოა სიმდიდრის მოპოვებასთან დაკავშირებული რამდენიმე ელემენტის განხილვისას. იგი მიუთითებს ისეთ მნიშვნელოვან მომენტებზე, როგორიცაა: ხელსაყრელი ექსტერნალური[5] პირობები, ენერგიული და ინდუსტრიული მოსახლეობა, სტაბილური მთავრობა და კარგი ადმინისტრაცია.

ა.სერა სოფლის მეურნეობასთან შედარებით უპირატესობას მრეწველობას ანიჭებს, ვაჭრობას

---

1 კალვინიზმი – პროტესტანტული სარწმუნოების განშტოება შექმნილი XVI ს-ში შეიცარიაში და ფართოდ გავრცელებული საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ინგლისში (შემქმნელის ჟაკ კალვინის (Calvin) სახელის მიხედვით).

2 **Bodin** J.: Methodus ad facilem historiarum cognitionem, 1566; Les six livres de la republique, 1576; Reporte aux paradoxes de M. de Malestroit..., 1568.

3 **Шумпетер** И., История экономического анализа, т. 1, Санкт-Петербург, 2004, გვ. 209.

4 «Краткий трактат о средствах снабдить в изолации золотом и серебром королевство, лишенные рудников и дрогоценных металлов» – წიგნში: «Мировая экономическая мысль», т. 1, Москва, 2004.

5 ექსტერნატი – დამოუკიდებლად სწავლა.

ჟი სიმდიდრის მოხვეჭის უპირველეს მიზეზად ასახელებს. თავის არგუმენტებს იგი შემდეგნაირად ასაბუთებს[1]:

პირველი, მრავალი და სხვადასხვაგვარი სამრეწველო საწარმო თუკი ისინი აწარმოებენ არსებობის აუცილებელ საშუალებებს, ფუფუნების საგნებს იმ რაოდენობით, რომელიც აღემატება ქვეყნის მოთხოვნილებას, სამეფოს ან ქალაქს საგარეო ვაჭრობის მეშვეობით მოუტანს ჭარბ ფულს. ეს ფაქტორი ბევრ ასპექტში პრივილეგირებულად უნდა შეფასდეს, ვიდრე ჭარბი პროდუქტის წარმოება. მაგალითად, ხელოსანი თავისი საქმიანობით უფრო მეტ შემოსავალს უზრუნველყოფს, ვიდრე გლეხი ან სხვა პიროვნება კულტივაციით და პროდუქციის დამზადებით; ასეთი შემოსავალი დამოკიდებულია არა მარტო ადამიანის შრომაზე, არამედ ამინდზე, რომელიც მიწას უქმნის – წვიმის, მზის და სხვა პირობებს, რომელთა გარეშეც შრომა უშედეგოა და შემოსავლის ნაცვლად ადგილი ექნება დანაკარგებს; მაგრამ ვაჭრობაში, შრომა ყოველთვის შემოსავალს უზრუნველყოფს;

მეორე, ვაჭრობაში შესაძლებელია მასშტაბებისა და, შესაბამისად, შემოსავლის გაზრდაც; ეს პროცესი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემთხვევაში ზრდას არ ემორჩილება. მაგალითად, მიწის ნაკვეთზე, რომელზეც მხოლოდ ასი ტომარა ხორბალი ითესება, ასორმოცდაათი ტომრის დათესვას ვერავინ შეძლებს. მაგრამ რაც შეეხება ვაჭრობას, იქ ყველაფერი საპირისპიროდაა, რადგან ის შეიძლება ორჯერ და ასჯერ გაიზარდოს და პროპორციულად ნაკლები დანახარჯით;

მესამე, ვაჭრობას უფრო საიმედო ბაზარი გააჩნია, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტს, და, ამის გამო, ამ სფეროში შემოსავალიც უფრო საიმედოა. ვაჭრობის ბაზარი რომ უფრო საიმედოა, ამაზე შემდეგი გარემოება მეტყველებს: სოფლის მეურნეობის პროდუქტის დიდი ხნით შენახვა შეუძლებელია, რადგან იგი გაფუჭდება, ამიტომ მისი ექსპორტი ერთი ქვეყნიდან მეორეში რისკთანაა დაკავშირებული. იმ შემთხვევაში თუ მისი გაყიდვა ვერ მოხერხდება განსაზღვრულ დროში, და თუ მისი სამომავლოდ შენახვა გვსურს, იგივე საფრთხის წინაშე ვდგებით. თუმცა, შესაძლებელია პროდუქტის ადვილად შენახვა არა მარტო ხანმოკლე, არამედ დიდი დროის მანძილზეც; დღევანდელ დღეს ნაიგაციის[2] გაუმჯობესების პირობებში, ვაჭრობა გაუმჯობესდა არა მარტო დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, არამედ ერთი ჰემისფეროდან[3] მეორეში, ისე, რომ საქონელი ადვილად ტრანსპორტირდება ერთი ადგილიდან მეორეში;

მეოთხე და ბოლო, უმრავლეს შემთხვევაში შემოსავალი მრეწველობიდან უფრო მიიღება, ვიდრე სოფლის მეურნეობიდან, როგორც ეს ქსოვილის წარმოების შემთხვევაში ხდება. ასეა მაგალითად, ტანსაცმლის, აგრეთვე, აბრეშუმის, იარაღის, ქანდაკებების, წიგნების, წამლის და სხვ. წარმოებაში. ამ მიზეზებით ეს ფაქტორი სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქტის ფაქტორზე მაღლა უნდა დადგეს, რადგან თუ ის მოწესრიგებულია სამეფოში ან ქალაქში, ეს წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მიზეზს, რომელიც მეტი ოქროსა და ვერცხლის შემოდინებას იწვევს, ვიდრე ჭარბი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. იტალიის ქალაქი ვენეცია, ამ მხრივ პირველ ადგილზე სახელდება, რადგან იქ სოფლის მეურნეობის პროდუქტის შეძენასაც წარმოება უზრუნველყოფდა. როგორც ცნობილია, ამას კარგი ფულადი შემოსავალიც მოჰქონდა. ნეაპოლი პირიქით, ამ ფაქტორის მიხედვით არ არის დახვეწილი, რადგან ეს ქალაქი საჭირო ურთიერთობების ნაკლებობას განიცდის, ვინაიდან იქ არსებულ ვაჭრობას, აბრეშუმის წარმოების გარდა, საკმარისი მასშტაბები არა აქვს ექსპორტის უზრუნველსაყოფად, თუნდაც საკუთარი მოთხოვნის ადეკვატური შედეგის მისაღწევად, იმისათვის, რომ ამ სამეფოს დიდი რაოდენობით უცხოური პროდუქციის შეძენა არ მოუწიოს. ნეაპოლისა და ვენეციის შედარებისას აშკარაა, რომ ამ უკანასკნელს მეტი ფულადი შემოსავალი ჰქონდა.

3.2.2. ჯონ ჰეილსი (1584-1656)

ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელშიც განხილულია მერკანტილიზმის ეკონომიკური დოქტრინა, აზნაურსა და პარლამენტის წევრს ინგლისელ ჯონ ჰეილსის კალამს ეკუთვნის. სტატიის სახელწოდებაა „ტრაქტატი ინგლისის სახელმწიფოს საზოგადოებრივი სიმდიდრის შესახებ"[4]. ვარაუდო-

1 «Мировая экономическая мысль», т. 1, გვ. 148.

2 ნავიგაცია (ლათ. navigatio) – გემთა მიმოსვლა; ნაოსნობა, ზღვაოსნობა.

3 ჰემისფერო (ბერძნ. hemisphairion) - დედამიწის ან ცის ნახევარსფერო.

4 Tersen A, John Hales, sa doctrine et son temps, Avallon, 1907.

ბენ, რომ ეს სტატია პირველად ხელნაწერის სახით გავრცელდა.

ჯ.ჰეილსის აზრით, სახნავების შემცირების ხარჯზე მიწების შემოღობება და მეცხვარეობის განვითარება სოფლის მოსახლეობის გადასახლებისა და იმავდროულად გაღარიბების მიზეზი გახდა. იგი უეჭველად ამჩნევდა, რომ ასეთი დრამატული ცვლილების შედეგად წარმოიშვა გამდიდრებულების (უმთავრესად ვაჭრების) ფენა. ისინი იტაცებდნენ მიწის სავარგულებს, რათა ყველაზე ხელსაყრელად დაებანდებინათ აქ თავიანთი ფული.

მართალია, ჰეილსი თავად ვაჭარი არ ყოფილა, მაგრამ 1548 წელს შექმნილ მიწების გამანაწილებელი კომისიის წევრი იყო. ამით ჰეილსს შესაძლებლობა მიეცა სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე გარდაქმნებს ახლოდან დაკვირვებოდა. მართალია, იგი ამ გარდაქმნებს აშკარად არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობის ძველ დონეზე შენარჩუნების ან გაზრდის მიზნით, ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება მოითხოვა.

მისი აზრით, მეფეთა ინტერესებშია მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, რამდენადაც სახელმწიფოს სურვილია ძლიერი ჯარის შექმნა; ამასთან, მშვიდობიანი ცხოვრების მიზნით, მოსახლეობა საკმარისად დასაქმებული უნდა იყოს.

მისი დასკვნით, ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანია კეთილდღეობის ისეთი ზრდა, როდესაც ქვეყნის ყველა მოქალაქე ერთად შექმნის „საერთო სიმდიდრეს" – მათ საერთო ეკონომიკური ინტერესები ექნებათ. კეთილდღეობისაკენ თითოეულის სწრაფვა ყველასათვის სასარგებლოა. აზრი იმის შესახებ, რომ მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები ურთიერთდაკავშირებულია, აქ უმარტივესადაა ჩამოყალიბებული. ჰეილსს ძირითადად იმის ჩვენება სურდა, რომ ადამიანი, რომელმაც ალმოაჩინა შემოსავლის ახალი წყარო, სხვასაც ემსახურება. მნიშვნელოვანია თვით ტერმინი – ქვეყნის „საერთო სიმდიდრე". მოქალაქეებს, მისი აზრით, არა რელიგიური ან პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესები აერთიანებთ.

თავისი აზრები ჯ.ჰეილსმა დიალოგების სახით გადმოსცა, სადაც თანამოსაუბრედ გამოდის ვინმე „ექიმი" – ინგლისის ეკლესიის მღვდელი – ეს „ექიმი" ხაზს უსვამს, რომ ადამიანს უფლება არა აქვს თავისი ქონება საზოგადოების საზიანოდ გამოიყენოს. თუმცა, ინდივიდის მოგებისაკენ სწრაფვა სახელმწიფოს ყველა მოქალაქის საერთო ეკონომიკური ინტერესების ჭეშმარიტ საფუძვლად აღიარა.

3.2.3. თომას მენი (1571-1641)

თომას მენი, ლონდონელი ქსოვილებით მოვაჭრის შვილი, საგარეო ვაჭრობით იყო დაკავებული. იგი კარგი რეპუტაციით სარგებლობდა ლონდონელ ვაჭრებში და 1615 წელს „დასავლეთ ინდოეთის კომპანიის" დირექტორი გახდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა.

1621 წელს თ.მენმა გამოაქვეყნა ნაშრომი: **„მსჯელობანი დასავლეთ ინდოეთთან ინგლისის ვაჭრობის შესახებ"**. იგი მიზნად ისახავდა „დასავლეთ ინდოეთის კომპანიის" პოლიტიკის დაცვას ოქროს ექსპორტის საკითხებში.

თ.მენის თხზულება **„ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი"**[1], წარმოადგენს მერკანტილისტური დოქტრინების ყველაზე ცნობილ აღწერას. იგი დაიწერა 1622-1627 წწ. და გამოიცა 1664 წელს ავტორის შვილის ჯონ მენის მიერ.

წიგნი პოპულარული გახდა და 6-ჯერ გამოიცა. იგი კარგად დაწერილი და სისტემურად ორგანიზებულია. თუ ამ ნაშრომს „ხალხთა სიმდიდრესთან" შევადარებთ, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, თითქოს იგი გარკვეული მოდელია, რომლის მიხედვითაც ა.სმითის მთავარი წიგნი დაიწერა.

მენის დოქტრინა სიმდიდრის წყაროების შესახებ იმდენად პოპულარულია, რომ მისმა ავტორმა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი დაიკავა.

---

1 Богатство Англии во внешней торговле или баланс нашей внешней торговли как регулятор нашего богатства – «Мировая экономическая мысль...», т.1, გვ. 153-161; იგივე ნაშრომი წიგნში: Меркантилизм, Под ред. И.Плотникова, Л.: ОГИЗ-СОЦЭКИЗ, 1935.

თ.მენის ორთაკე ნაშრომს მერკანტილისტური იდეების ჩამოყალიბებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „მისი ცოდნა ოსტ-ინდოეთის ვაჭრობის შესახებ, საერთოდ ვაჭრობაზე მისი აზრი, მისი გულმოდგინე შრომა სამშობლოსათვის და გამოცდილება – ყოველივე ეს ისეთი ღირსებით ამკობდა მას, რომ ამის სურვილი შეიძლება ჰქონდეს ყველა ადამიანს“[1].

მისი პირველი თხზულება მიმართული იყო დასაელეთ ინდოეთის კომპანიის კრიტიკოსების წინააღმდეგ, რომელთა შეხედულებებით, აღნიშნული კომპანიის ოპერაციები ინგლისისათვის საზიანოა, რამდენადაც ის ინდური საქონლის შესაძენად ვერცხლის გაზიდვას განაპირობებს. თ.მენმა ფაქტებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ ასეთი მოქმედება „არა მხოლოდ არ შეამცირებს, არამედ უფრო გაადიდებს სახელმწიფოს ფულად ფონდებს“[2].

მერკანტილისტური იდეების შესწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თ.მენის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული ზემოთ დასახელებული მეორე წიგნი. მასში ჩამოყალიბებულია მერკანტილიზმის ძირითადი არსი. წიგნში ქვეყნის გამდიდრებისა და ფულის დაგროვების საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია არა სხვა ქვეყნების ძარცვიდან მიღებული შემოსავლები, არამედ საგარეო ვაჭრობა, რომელიც ჩვეულებრივი საშუალებაა ჩვენი სიმდიდრისა და ფულის ზრდისათვის[3]. მისი აზრით, საგარეო ვაჭრობაში საჭიროა ისეთი წესის დაცვა, რომლის მიხედვითაც უცხოელებს ყოველდღიურად უფრო მეტი უნდა მიეყიდოს, ვიდრე მათგან შეივიყიდით!

თ.მენი, აგრეთვე, საზღვარგარეთ რაც შეიძლება მეტი ინგლისური საქონლის რეალიზაციას და საზღვარგარეთული საქონლის მოხმარების შემცირებას მოითხოვდა. ამ მიზნის განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდა ისეთი ახალი ტერიტორიების ათვისებით, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან კანაფის, სელის, თამბაქოს და სხვა საქონლის იმპორტს შეამცირებდა[4].

თ.მენი როგორც „სავაჭრო ბალანსის თეორიის“ წარმომადგენელი, უცხოეთში ფულის გატანის აკრძალვის წინააღმდეგია. მისი აზრით, ფულს მაშინ მოაქვს მოგება და ამდიდრებს ქვეყანას, როდესაც იგი საზღვარგარეთ გადის ვაჭრობის მიზნით. ასე მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში (სადაც ინგლისური საქონლის შესყიდვა არ სურთ) ფულით შესაძლებელია ნედლეულის შესყიდვა, მათი ინგლისში გადამუშავება და საზღვარგარეთ რეალიზება. ეს კი ქვეყანაში დამატებითი ფულის შემოდინებას გამოიწვევს[5].

თ.მენი ასახელებს სამეფოს გაძლიერების 12 მეთოდს, რომელიც მოიცავს მერკანტილისტური მექანიზმების სრულ კატალოგს[6]:

1) ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებით უნდა დამუშავდეს აუთვისებელი მიწები, რაც უცხოური საქონელის (თამბაქოს, კანაფის, სართავი სელის...) მოხმარებას შეამცირებს;

2) კანონმდებლობით უცხოური საქონლის (საკვები, ტანსაცმელი) მოხმარება უნდა შეიზღუდოს;

3) იმპორტირებისას მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ საქონელთა სიჭარბე, არამედ მეზობლების მოთხოვნილებაც;

4) ექსპორტირებული საქონლიდან მისაღები შემოსავლები მათი საკუთარი გემებით გადაზიდვის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება;

5) ბუნებრივი სიმდიდრეების ეკონომიურად მოხმარება საზღვარგარეთ მათი გატანის მოცულობას გაზრდის;

6) ინგლისისა და მისი კოლონიების ზღვებში თევზჭერის განვითარებაც დასაქმებისა და სიმდიდრის ზრდის წყაროა;

7) თუ ქვეყანაში სხვა ქვეყნების ტრანზიტული საქონლის საწყობები შეიქმნება, შესაბამისად საბაჟო მოსაკრებლებიც გაიზრდება;

---

1 ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989, გვ. 38.

2 Т. Мен, Рассуждение о торговле Англии с Ост-Индии - в кн.: Меркантилизм и его разложение, М., 1956, გვ. 121.

3 Т. Мен, Богатство Англии во внешней торговле или баланс нашей внешней торговли, как регулятор нашего богатства - в кн.: «Мировая экономическая мысль...», т. 1, გვ. 153.

4 Т. Мен, Богатство Англии во внешней торговле или баланс нашей внешней торговли, как регулятор нашего богатства - в кн.: «Мировая экономическая мысль...», т. 1, გვ. 153.

5 იქვე, გვ. 158.

6 იქვე, გვ. 154-156.

8) მოსაწონია ვაჭრობის ისეთი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც (ნაოსნობით) შორეული ქვეყნებიდან უფრო იაფი საქონელი შემოდის, ვიდრე ანალოგიური საქონელი ახლო მეზობელი ქვეყნებიდან;

9) ფულის, როგორც საქონლის გატანა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის სიმდიდრის ზრდას;

10) უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულით (ხავერდი და სხვა ქსოვილი, ბამბაზია...) დამზადებული საქონლის იმპორტირება ბაჟების გარეშე უნდა განხორციელდეს;

11) სამამულო საქონელი ზედმეტი გადასახადებით არ უნდა დაიტვირთოს, რაც მათ გაძვირებას და რეალიზაციის სირთულეებს თავიდან აგვაცილებს;

12) დაბოლოს, უნდა შევეცადოთ დავამზადოთ რაც შეიძლება მეტი საკუთარი „ბუნებრივი" თუ „ხელოვნური" საქონელი.

თ.მენი აგრეთვე იხილავს **ეროვნულ შემოსავალს**, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: 1) **სოფლის მეურნეობის პროდუქტები** და 2) **მრეწველობის პროდუქტები**. მისი დოქტრინის მიხედვით, ინგლისიდან გასატანი საქონელი ინგლისური გემებით უნდა გადაეზიდათ.

საერთოდ კი ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ თ.მენის შეხედულებები, საბოლოო ანგარიშით, საეჭვო კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდა.

3.2.4. ანტუან დე მონკრეტიენი (დაახლ. 1575-1621)

ფრანგი **ანტუან დე მონკრეტიენი** – ფარმაცევტის შვილი, თავდაპირველად ცნობილი ტრაგედიული ლექსებით, აზნაურთა წრეში ტრიალებდა.

1605 წელს მან დუელში თავისი მოწინააღმდეგე მოკლა და იძულებული გახდა ინგლისში გაქცეულიყო, სადაც ოთხი წელი დაჰყო. აქ იგი ინგლისის განვითარებულ მეურნეობაში ჩამოყალიბებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობებს გაეცნო, რომელთა შესწავლითაც მეტად დაინტერესდა.

საფრანგეთში დაბრუნებისას იგი ერთი მდიდარი აზნაურის ქერივ ჰუგენოტის ქალზე დაქორწინდა. ამან საშუალება მისცა მას რკინა-კაკალის ქარხანა გაეხსნა, სადაც წარმოებულ საქონელს პარიზში ასაღებდა. იმავდროულად იგი ეკონომიკურ პრობლემებზე ინტენსიურად მუშაობდა.

1616 წელს მან იუსტიციის მინისტრს წარუდგინა თავისი ეკონომიკური ნაწარმოები – **„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი"**[1], სადაც პირველად იქნა გამოყენებული ტერმინი **„პოლიტიკური ეკონომია"**. ცოტა ხნის შემდეგ მას ბარონის[2] ტიტული უბოძეს.

იმ გარემოების შესახებ, თუ რატომ მისცა ა.მონკრეტიენმა თავის ნაშრომს ასეთი სახელწოდება, პროფ. ა.ანიკინი წერს: „ის (ა.მონკრეტიენი – ა.ს) ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა იმაზე, რა სახელს არქმევდა ახალ მეცნიერებას. სიტყვების ასეთი და მსგავსი შეთანხმებით, როგორც იტყვიან, გაჟენთილი იყო აღორძინების ეპოქის ჰაერი, როცა ანტიკური კულტურის მრავალი იდეა და ცნება აღდგებოდა... მონკრეტიენმაც იცოდა ბერძნული და ლათინური ენები, კითხულობდა ძველი ეპოქის ავტორებს, ის სისტემატურად იმოწმებდა მათ. უეჭველია, მან იცოდა ქსენოფონტთან და არისტოტელესთან რა შინაარსი ჰქონდა სიტყვებს – *ეკონომიას* და *ეკონომიკას*"[3].

მალე მონკრეტიენის ავტორიტეტი დაეცა, რამდენადაც მასზედ ეჭვი მიიტანეს ყალბი ფულის მოჭრაში. შემდეგ იგი პროტესტანტებს[4] მიემხრო და მეამბოხე ჰუგენოტებს[5] შორის აღმოჩნდა, რომლებიც ფეოდალურ-აბსოლუტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდნენ.

---

1 იხ.: Moncretien A. De Traite de l'economie politique, Paris, 1889; - რუს.: «Трактат о политической экономии» - «Мировая экономическая мысль», т.1.

2 **ბარონი** (ფრანგ. baron) – დას. ევროპის სახელმწიფოებში თავადაზნაურული ტიტული. გრაფზე დაბალი წოდება.

3 **აანიკინი**, მეცნიერების სიჭაბუკე. გე. 28.

4 **პროტესტანტიზმი** – ევროპაში მე-15 ს. წარმოშობილი ერთ-ერთი სახელწოდება სხვადასხვა ქრისტიანული სარწმუნოებისა (ლუთერანიზმისა, კალვინიზმისა,...), როგორც პროტესტი კათოლიზმის წინააღმდეგ.

5 **ჰუგენოტები** (ფრანგ. hugeunots) – საფრანგეთში პროტესტანტები, რომელთაც კათოლიკური ეკლესია და მთავრობა სდევნიდა.

იგი 1621 წელს ბანდიტური თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა.

მონკრეტიენი იზიარებდა ჟან ბოდენის პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელსაც მაკიაველის უზნეობისაგან გამოჯვენა სურდა, მაგრამ მაინც თვლიდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის აუცილებელია - სუსტები დაემორჩილონ მათზე უფრო ძლიერებს.

ა.მონკრეტიენი მივიდა მნიშვნელოვან დასკვნამდე, როდესაც მიუთითა, რომ **შრომას** მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც საქონელი იწარმოება, ხოლო **ადამიანის კეთილდღეობა შრომით** იქმნებაო.

ა.მონკრეტიენი ქვეყნის გამდიდრების აუცილებელ პირობად თვლიდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, ისე, რომ მრეწველობას ხელი უნდა შეეწყო ვაჭრობის განვითარებისათვის, ამასთან, იგი სათანადო პატივს მიაგებდა მიწათმოქმედს, თანაუგრძნობდა გლეხობას და სახელმწიფოსაგან მათზე მეტ ზრუნვას მოითხოვდა. საზოგადოებაში **ვაჭრის როლი** მან შეადარა ადამიანის სხეულში ტვინის როლს, ხოლო ვაჭრობაც გარკვეულად მიაჩნდა წარმოების ცალკეული დარგების განვითარების მთავარ მიზნად, რომელნიც თავიანთი პროდუქციის უმეტეს ნაწილს ვაჭრობის მეშვეობით ასაღებენ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვაჭრობა პატივისა და შემოსავლის თვალსაზრისით მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე მისი დაკვეთით მომუშავე მრეწველობის დარგები. ამასთან, ვაჭრის საქმიანობა მნიშვნელოვანია და შესაბამისად გამართლებულია მისი სწრაფვა მოგებისაკენ, რაც საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძვლად გვევლინება.

მონკრეტიენისათვის მნიშვნელოვანი იყო დაწვრილებით განეხილა და გაებათილებინა ტრადიციულად განწყობილთა არგუმენტები იმის შესახებ, რომ მოგებისაკენ სწრაფვა დაეგმოთ. მისი აზრით, ცდებიან ისინი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ცხოვრება, რომელიც ფუხმძიმედაა მოგებისაკენ სწრაფვით, შეუთავსებელია კეთილდღეობასთან და ამიტომაც ფილოსოფოსების ყველაზე ლამაზი მსჯელობები მხოლოდ ფანტასტიკაში გამოდგებაო.

შეიძლება ითქვას, რომ მონკრეტიენი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გამოხატა თანამედროვე წარმოდგენა, რომლის თანახმადაც, საზოგადოებაში ერთობლივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საქმიანობას საქონელთა წარმოებისა და განაწილების ფორმით. თანმიმდევრულად განავითარა რა ეს აზრი, მონკრეტიენი მივიდა ძალზე თანამედროვე დასკვნამდე, რომ **წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის ხელშეწყობა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვევლინება.**

თავისი შეხედულების განმარტების მიზნით, მონკრეტიენმა ფრანგულ ენაზე **გამოიყენა ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“** და, როგორც ჩანს, იგი სხვა ენებისაგან საქონელთა წარმოებისა და განაწილების შესახებ მეცნიერების აღწერისათვის იყო ნასესხები. მისი მტკიცებით, ეკონომიკა განუყოფელია პოლიტიკისაგან, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მთელისაგან გამოიყოფა მთავარი ნაწილი და მეცნიერება საქონელთა წარმოების შესახებ, როგორც სახელმწიფოს, ასევე ოჯახის საქმედ გვევლინება.

3.2.5. ჟან-ბაპტისტ კოლბერი (1619-1683)

ეკონომიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ავტორთა შორის ჟ.ბ. **კოლბერის** (Colbert) სახელი არ გეხვდება. ლუდოვიკო XIV-ის პერიოდის ფინანსთა მინისტრს დიდმოცულობიანი თეორიული ნამუშევრები არ გააჩნდა, მერკანტილისტურ ლიტერატურაში მას ორიგინალურ თეორეტიკოსად არ თვლიან.

ამავე დროს, კოლბერი იყო როგორც ეკონომიკური და ფინანსური სფეროს ენერგიული და გონიერი პრაქტიკოსი მუშაკი, ასევე იმდროინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების ახლებურად გამაზრებელი.

თავისი მოსაზრებები მან მეფისადმი და ხელქვეითებისადმი მიმართულ მრავალ მემორანდუმში, ინსტრუქციასა და წერილში დამაჯერებლად გადმოგვცა. ამიტომაც იგი როგორც გამოჩენილ პოლიტიკოსთა, ასევე ეკონომიკური აზროვნების გამოჩენილ მოღვაწეთა რიგებს მიეკუთვნება.

3.2.5.1. სახელმწიფო ფინანსების გენერალური კონტროლიორი

კოლბერი, როგორც ფინანსისტ-ეკონომისტი, საფრანგეთში მერკანტილისტური პოლიტიკის აშკარა პრაქტიკული გამტარებელი იყო. იგი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველმხრივ ხელს უწყობდა მრეწველობისა ვაჭრობის განვითარებას, მისი დოქტრინების გამოყენებით სავაჭრო კომპანიები განვითარდა და საზღვაო-სავაჭრო გზები გაფართოვდა.

ჟ.ბ. **კოლბერი** დაიბადა 1619 წელს რეიმსში, ქსოვილებით მოვაჭრე მდიდარი ბურჟუას ოჯახში. იეზუიტთა[1] კოლეჯში მიღებული აღზრდის შემდეგ ახალგაზრდა კოლბერმა 1634-40 წლებში მრავალმხრივი განათლება მიიღო, რამაც იგი ფინანსურ სფეროში მოღვაწეობისათვის მოამზადა: სწავლობდა ბანკირთან, შემდეგ ნოტარიუსთან, მერე შატელიეში – პარიზის სამეფო სასამართლოში.

1640 წელს მან სამეფო სამსახური ჯარის ადმინისტრაციაში დაიწყო. მოგვიანებით სამხედრო საქმის სახელმწიფო მდივნის თანამშრომელი გახდა, რომლის შუამდგომლობითაც 1651 წელს მუშაობა საფრანგეთის პირველ მინისტრ ჯულიო **მაზარინისთან** (1602-1661) დაიწყო. მალე მან მაზარინის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც საკუთარი ქონების მართვა მიანდო. კოლბერმა ეს შესაძლებლობა დიდი წარმატებით გამოიყენა და, ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაზარდა საკუთარი ქონებაც. მან სახელმწიფოს მართვაში ღრმა ცოდნა შეიძინა და ქვეყნის ცენტრალურ ადმინისტრაციასა და მეფის გარემოცვაში გავლენა მოიპოვა, მანამდე კი მაზარინიმ მას მეფესთან რეკომენდაცია გაუწია.

ჯ.მაზარინის გარდაცვალების (1661) შემდეგ კოლბერმა სამართავად სახელმწიფო ფინანსები ჩაიბარა. შემდგომ წლებში იგი სხვა სამსახურებსაც (წყალთა მეურნეობასა და სატყეო საქმეს, ვაჭრობას) ხელმძღვანელობდა. 1665 წლიდან მის თანამდებობას „ფინანსთა გენერალური კონტროლიორი“ ეწოდა, რაც 1789 წლამდე საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ტიტულს შეესაბამებოდა.

1669 წელს სამეფო სახლის სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ იგი პასუხისმგებელი სამეფო სახლის, ქალაქ პარიზის, საზღვაო ძალების, კოლონიებისა და მანუფაქტურის საქმეებზე გახდა. სულ მალე მის კომპეტენციაში საწარმოთა მართვაც შევიდა. თანამდებობათა ასეთი გაერთიანებით კოლბერმა უდიდეს ძალაუფლებას მიაღწია.

ლუდოვიკო XIV-ის მიერ ჩატარებული კონსტრუქციული აღმშენებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ დაუღალავი მინისტრის ქმედებასთან. კოლბერის მმართველობის პერიოდში დაარსდა: ხელნაწერებისა და ლიტერატურის (1663), მეცნიერებათა (1666), მუსიკის (1669) და არქიტექტურის (1671) აკადემიები. 1667 წელს იგი საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა.

კოლბერის უპირველესი ზრუნვის სფერო სახელმწიფო ფინანსები იყო, რადგან იგი საფრანგეთის ძლიერების საფუძველს ფინანსებში ხედავდა.

კოლბერი სახელმწიფოს შემოსავლების ზრდის უმნიშვნელოვანეს წყაროდ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის სიძლიერეს თვლიდა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, ღონისძიებები სასამართლო და სატრანსპორტო სისტემების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე მისი საზღვაო და კოლონიალური პოლიტიკა.

უფრო მეტ წარმატებას კოლბერმა სამართლის უნიფიცირებაში[2] მიაღწია. მისი დაუღალავი მცდელობის შედეგად მთელ ქვეყანაში ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსი (1667) შემოიღეს. მისივე ხელმძღვანელობით 1669 წელს მთელი სახელმწიფოსათვის ერთიანი სატყეო და წყლის სამართალი, ხოლო 1673-81 წლებში კი სავაჭრო სამართლის კოდექსი დამუშავდა, ამასთან, ზომა-წონის ერთეულთა სისტემის უნიფიცირება განხორციელდა.

სამრეწველო საქმიანობის პოლიტიკის შემუშავებისას კოლბერი პირველ რიგში პროდუქციის სტანდარტიზაციასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, რათა გაზრდილიყო ექსპორტი. იგი იმ საწარმოების დამკვიდრებასა და განვითარებას მოითხოვდა, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქციის მსგავსი საქონლის იმპორტი მანამდეც ხდებოდა.

---

1 **იეზუიტი** (ლათ. Iesus - იესო) – კათოლიკური ეკლესიის ყველაზე უფრო რეაქციული ორდენის ე.წ. „იესოს საზოგადოების“ წევრი.

2 **უნიფიკაცია, უნიფიცირება** (ლათ. unus და facio ვაკეთებ) საერთო ნორმაზე გადაყვანას, გაერთიანებას ნიშნავს.

კოლბერის სამრეწველო პოლიტიკა დირიჟისტული[1] ხასიათისა იყო. მისი ინიციატივით, 1664 წელს საფრანგეთში შიგა საბაჟოები გაუქმდა, იკრძალა ნედლეულის იმპორტიც. 1666 წლიდან მან მრეწველთათვის დეტალიზებული რეგლამენტების სახით გამოსცა მრავალრიცხოვანი მითითებანი მათი პროდუქციის სახეობებისა და ხარისხის შესახებ. კერძოდ, „ინდუსტრიამ", რომლის ცნების ქვეშ იმჟამინდელ საფრანგეთში, უპირველეს ყოვლისა, საფეიქრო საქმის ყველა მიმართულება და პროდუქციის წარმოების საფეხურები იგულისხმებოდა, ზუსტი მითითებანი მიიღო მაულის სხვადასხვა ტიპების ზომებსა და ხარისხზე. სამრეწველო ნორმები მთელ საფრანგეთში მოქმედებდა, მათი დაცვა კონტროლს ექვემდებარებოდა და დარღვევები ფულადი ჯარიმებით ისჯებოდა. ხარისხზე კონტროლის ამაღლების მიზნით, 1673 წელს მანუფაქტურაში საამქროებისადმი მიდრეკილება გაძლიერდა, რაც შემდეგ ხელოსანთა სხვა პროფესიებზეც გავრცელდა. აქ კოლბერი ფისკალურ ინტერესებსაც ახორციელებდა, რადგან უსტაბაშის[2] წოდება იყიდებოდა, ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა სახელმწიფო თანამდებობა სახელმწიფო ხაზინაში ფულად შენატანებზე.

კოლბერის სამრეწველო პოლიტიკის ცენტრში იყო მანუფაქტურების, ე.ი. მსხვილი სამრეწველო საწარმოების წახალისება, რადგან მათში იგი პროდუქციის წარმოების ყველაზე მძლავრ წყაროებს ხედავდა. მანუფაქტურების წასახალისებლად საზღვარგარეთელი სპეციალისტები მოიწვია, სახელმწიფო ფულადი დახმარებანი გასცა. ახლად დაარსებული მანუფაქტურები გარკვეული დროით პროდუქციის გამოშვებასა და რეალიზაციაში შეღავათებს იღებდნენ, მანუფაქტურის მუშები კი გარკვეული სახის გადასახადებისაგან (მაგ., საბინაო გადასახადისაგან) თავისუფლდებოდნენ. ამასთან, მანუფაქტურებში პროდუქციის წარმოება და გასაღება წვრილმანებამდე იყო რეგლამენტირებული და საქონლის ხარისხი და შრომითი დისციპლინა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა.

კოლბერის სამრეწველო პოლიტიკის შედეგად საფრანგეთი ევროპაში ძვირფასი საქონლის (ხალიჩები, ავეჯი, შუშა, სარკეები, აბრეშუმი, ტანსაცმელი) წამყვან მწარმოებლად იქცა.

ასეთი სამრეწველო პოლიტიკის პარალელურად, ქვეყანაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებები იყო წახალისებული. კოლბერის ინიციატივით, პირდაპირი გადასახადებისაგან (მაგ. საშემოსავლო) ხუთი წლით თავისუფლდებოდა ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც 21 წლამდე დაოჯახდებოდა. ათი და უფრო მეტი ბავშვის მამა გადასახადებისაგან თითქმის მთლიანად თავისუფლდებოდა, მაგრამ ასეთ ოჯახებში არც ერთი ბავშვი არ უნდა ყოფილიყო მღვდელი ან მონაზონი (რამდენადაც ეს პროფესიები ქორწინებაზე უარის თქმას გულისხმობდა). ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მან ზღვაო მისადგომების მშენებლობა დაიწყო.

დასავლეთ ინდოეთთან ინგლისის და ნიდერლანდების კომპანიების წარმატებული საქმიანობის ზეგავლენის შედეგად, კოლბერმა 1664-73 წლებში ოსტინდოეთის, ვესტინდოეთის, სენეგალისა და სხვათათვის რამდენიმე სავაჭრო კომპანია დააარსა, რომელთაგან ლუდოვიკო XIV-ის მმართველობის შემდეგაც მხოლოდ ოსტინდოეთის კომპანიამ იარსება.

ინდოეთის ორივე მხარის კომპანია კოლბერის მიერ მართული ფრანგული კოლონიური პოლიტიკის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში ფრანგებმა დაიპყრეს ინდოეთის საყრდენი პუნქტები განგის დელტაში (შესართავში) (1673) და გვინეასა და სანტო-დომინგოში (ჰაიტი) დამკვიდრდნენ.

კოლონიური პოლიტიკისა და ფრანგული საქონლის ექსპორტის დასაცავად, კოლბერმა საფრანგეთის სავაჭრო ფლოტი გააძლიერა. ასე მაგალითად, თუ 1664 წელს საფრანგეთს მხოლოდ 350 გემი გააჩნდა, 1683 წელს მათმა რიცხვმა უკვე 550 შეადგინა. კოლბერმა საფრანგეთის სამხედრო ფლოტი აღადგენინა, რომელიც კარდინალ (მთავარი) ა.ჟ. რიშელიეს (1585-1642) გარდაცვალების შემდეგ თითქმის მთლიანად დაშალა. ეს ფლოტი, ინგლისის ფლოტის შემდეგ, სიძლიერით მეორე გახდა. კოლბერის დროიდან საფრანგეთი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა.

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა კოლბერმა შეგნებულად სახელმწიფო ძლიერების პოლიტიკას დაუქვემდებარა. საფრანგეთი ლუდოვიკო XIV-ის და მისი ფინანსთა მინისტრის ძალისხმევით ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ უნდა გადაქცეულიყო. ამ მიზნის მისაღწევად, კოლბერის თანახმად, იგი ევროპის წამყვანი სავაჭრო ძალა უნდა გამხდარიყო.

---

1 დირიჟიზმი – სახელმწიფოს აქტიური რეგულირების პოლიტიკა

2 უსტაბაში (თურქ.) – ხელოსანთა ამქრის უფროსი, უფროსი ოსტატი.

საგარეო საეჭრო პოლიტიკამ, როგორც სახელმწიფო ძლიერების პოლიტიკის ნაწილმა, საგარეო ვაჭრობა თითქმის მუდმივი ომების ასპარეზად გადააქცია. 1664 წელს საიმპორტო-საბაჟო გადასახადები უმნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ ეს ტარიფები გასამკვდა, რაც თითქმის იმპორტის აკრძალვას უდრიდა. როდესაც ნიდერლანდებმა ამის საპასუხოდ ფრანგული საქონლის იმპორტი აკრძალა (1670), ამან საფრანგეთს ნიდერლანდებზე თავდასხმის საბაბი მისცა (1672). სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად (1678) საფრანგეთი იძულებული გახდა 1664 წლის ტარიფებს დაბრუნებოდა.

კოლბერი, მართალია, ლუდოვიკო XIV-ის საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერდა, მაგრამ მის განხორციელებას მხოლოდ სოლიდური დაფინანსების პირობებში – ვალების აღების გარეშე მოითხოვდა. მართალია, იგი ვაჭრობის სტიმულირებისათვის თანხების გამოყოფას მოითხოვდა, მაგრამ ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარის მფლანგველობით სახარჯო პოლიტიკას აპროტესტებდა. ამან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მეფესთან და სამხედრო მინისტრთან უთანხმოებები გამოიწვია. მიუხედავად მისი დაძაბული, 16 საათიანი ყოველდღიური სამუშაო რეჟიმისა, მეფე მაინც სახელმწიფო შემოსავლებს უყაირათოდ ხარჯავდა.

მძიმე გადასახადების გამო სახელმწიფო გაკოტრების პირას აღმოჩნდა და, თუმცა, კოლბერს ამაში მინიმალური წვლილი მიუძღოდა და თავის ხალხს თავდაუზოგავად ემსახურა, ამაზე ხალხმა იგი შეიძულა.

კოლბერის ჯანმრთელობა შეირყა, 1683 წლის 6 სექტემბერს იგი გარდაიცვალა. მის კუბოს გაღიზიანებული მასისგან ჯარისკაცები იცავდნენ და იგი შუაღამისას მალულად დაკრძალეს.

კოლბერისათვის უდიდეს მაგალითს წარმოადგენდა 1624 წლიდან მეფის საბჭოს მეთაური არმან ჟან რიშელიე, რომლის ეკონომიკურ და ფინანსურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსაც ეყრდნობოდა იგი თითქმის ყოველთვის მეფისადმი გაკეთებულ მოხსენებებში. არსად არ ასახელებდა იმ ავტორებს, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე წერდნენ. მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ იგი არ იცნობდა ჟ.ბოდენის (1530-1596), ბ.ლაფემასის (1545-1612) ან ა.მონკრეტიენის (1575-1621) შრომებს. ყოველ შემთხვევაში, მისი შეხედულებები ფინანსების შესახებ ძალიან ემთხვევა ბოდენის, აგრეთვე, ლაფემასის (1602-10 წლებში საფრანგეთის ვაჭრობის გენერალური კონტროლიორი) შეხედულებებს. კოლბერის წინამორბედი, რომლის ტრაქტატებსაც საფრანგეთის ეკონომიკურ საკითხებზე ინტენსიურად სწავლობდა ა.რიშელიე, ცნობილი უნდა ყოფილიყო კოლბერისათვისაც. ლაფემასიც ხომ მხარს უჭერდა მანუფაქტურების შექმნას, ნედლეულის საკუთარი ბაზების შეძენას, ნედლეულის გატანის აკრძალვას და მანუფაქტურული საქონლის შემოზიდვას.

3.2.5.2. დაუცხრომელი რეფორმატორი

კოლბერის ეკონომიკური იდეები ძირითადად გადმოცემულია მის სამსახურებრივ და პირად კორესპონდენციებში[1], რომლებიც ყურადღებას იპყრობენ არა ორიგინალობით, არამედ მათი სისტემატიკური ურთიერთკავშირით, გადმოცემის თანმიმდევრობით და იმ ისტორიული და ეკონომიკური სიტუაციის ღრმა ცოდნით, რომელსაც ისინი ეხება. მეფისადმი გაგზავნილ მემორანდუმებში არაერთხელ აღნიშნავდა, რომ იგი საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას ემყარებოდა.

შინაარსობრივად, კოლბერის აზროვნება იმ ძირითად დებულებას ეყრდნობოდა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკა ფრანგული მონარქიის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს. ამიტომაც იგი აუცილებლად მიიჩნევდა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვას ვაჭრებში, რაც მათ პირად ინტერესებს სახელმწიფოს ინტერესების ჩარჩოებში მოაქცევდა. ასე განიხილება მის მიერ სახელმწიფო ფინანსებისათვის მნიშვნელოვანი ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემა.

---

1 Colbert J.B.: Letteres, Instructiones et mémoires, t.1-8, t.9-, P.: 1861-82; 1884.

3.2.5.2.1. ფინანსური პოლიტიკა

კოლბერისთვის ფინანსებია სახელმწიფოს საფუძველი და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების ცენტრალური ათვლის წერტილი. 1663 წელს, მეფისადმი შეთავაზებულ **საფრანგეთის ფინანსების ისტორიულ მიმოხილვაში** (ჰენრიხ IV-ის გარდაცვალებიდან (1610) 1663 წლამდე) კოლბერი აღნიშნავდა, რომ ყველა ქვეყანაში ფინანსები სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, კოლბერისათვის ფინანსური პოლიტიკის მიზანი შემოსავლებით სახელმწიფო ხარჯების დაფარვაა. ეს თავისთავად გასაგები საფუძველი, აბსოლუტური მონარქიის პირობებში ყველასათვის გასაგები არ იყო, რადგან იგი სახელმწიფო ხარჯების სახელმწიფო შემოსავლებთან გატოლებას მოითხოვდა.

აბსოლუტური მონარქიის პირობებში დიდი ხარჯებისა და ლუდოვიკო XIV-ის ძვირადღირებული ძალისმიერი პოლიტიკის გამო, კოლბერის რეკომენდაციები დიდხანს ვერ განხორციელდა. და თუ მინისტრი საკუთარ მეფეს სხვა შემთხვევებში ჩვეულებრივ ეპირფერებოდა, ამას სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისას ვერ ვიტყვით.

კოლბერი **„ფინანსურ მემორანდუმში"** (1670) კრიტიკულად აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო ხარჯები უკვე ხუთი მილიონი ლივრით აღემატებოდა მშვიდობიან წლებში მიღებულ შემოსავლებს, თუმცა, დეფიციტის დაფარვის წყაროდ მხოლოდ გადასახადებს არ ასახელებდა, ვინაიდან საგადასახადო სახსრები დამოკიდებულიაო გადამხდელთა შემოსავალზე: როდესაც გადასახადების გადამხდელთა შემოსავლები მცირდება, სახელმწიფომ პროვინციებისაგან ძველებურად გადასახადები უკვე აღარ უნდა მოითხოვოს, რამდენადაც ეს მოსახლეობას გააღატაკებს. ასეთ შემთხვევაში გამოსავალს იგი სახელმწიფო დანახარჯების შეზღუდვაში ხედავდა.

იმავე „მემორანდუმში" კოლბერმა ქვეყანაში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობასა და სახელმწიფო შემოსავალს შორის თანაფარდობა გაიანგარიშა. იგი მხარს უჭერდა საგადასახადო სახსრებსა და ფულის რაოდენობას შორის ასეთ თანაფარდობას: 1:3. გარდა ამისა, კოლბერს სურდა სცოდნოდა იგივე მონაცემები თითოეული პროვინციის მიხედვით. ეს მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც იმ პერიოდში საფრანგეთში არსებობდა მთელი სახელმწიფოსათვის მოქმედი ერთიანი საგადასახადო ტარიფი. უფრო ხშირად ყოველ პროვინციას გარკვეულ თანხას აწერდნენ, რომელსაც იგი პირდაპირი გადასახადების სახით იხდიდა.

კოლბერის აზრით, პროვინცია ფულის ძლიერი გადინებისას, შესაბამისი უკუდინების გარეშე, გარკვეული დროის შემდეგ, მასზე დაკისრებული საგადასახადო თანხის გადახდის უნარს კარგავს. თუმცა, ერთი პროვინციიდან ფულის გადინება მეორე ან რამდენიმე სხვა პროვინციაში ფულის რაოდენობის გაზრდას ნიშნავდა, მაგრამ ამის შესაბამისად ცალკეული პროვინციების გადასახადების აკრეფის სისტემის შეცვლა შეუძლებელი იყო, რადგან ფულის ამგვარი გადინება ერთი პროვინციიდან სხვა ერთ ან რამდენიმე პროვინციაში ვერ აღირიცხებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაბამისი რეგიონისათვის საგრძნობი იყო.

კოლბერის რეკომენდაციით, ცალკეულ პროვინციებში ფულის რაოდენობასა და გადასახდელ თანხას შორის „სწორი" თანაფარდობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა „ყველა საშუალებით" უნდა გაეზარდათ და სახელმწიფოს მიერ გასაცემი ფული, უპირატესად, უფრო დიდი გადასახადების გადამხდელ პროვინციებში გაეშვათ.

ქვეყნის საგადასახადო ძლიერების ასამაღლებლად, კოლბერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დისციპლინირებულ აღზრდასა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას (რომელიც ხელს უწყობდა გადასახადების გადამხდელთა რაოდენობის ზრდას), სამრეწველო პროდუქციისა და ქვეყანაში ფულის რაოდენობის ზრდას აქტიური სავაჭრო ბალანსის საშუალებით.

შრომითი დისციპლინის ჩამოყალიბება კოლბერისათვის წარმოადგენდა ერის აღზრდას მისი ქვეშევრდომული მოვალეობის შესასრულებლად: ქვეშევრდომები მოვალენი არიან გადასახადი ჩააბარონ უფროსს; მათი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია მათ ხელთ არსებულ ნაღდ ფულზე, ეს ფული კი, თავის მხრივ, — მათ შრომაზე.

კოლბერი თვითონ იყო ფანატიკოსი მშრომელი, რომელიც დღე-ღამეში 15-16 საათს თავის სამუშაო მაგიდასთან ატარებდა და რომლისთვისაც უცხო იყო უსაქმურობა. მორწმუნე კათოლიკე

კოლბერი ასკეტური შრომითი დისციპლინის შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენდა.

ასეთივე შემართებით აღზარდა მან თავისი შვილები. უფროს ვაჟიშვილს, რომელიც საზღვაო საქმის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მისი მემკვიდრე იყო, შემდეგნაირად მიმართავდა — მე ჩემი შვილისაგან განსაკუთრებით მოვითხოვ ყველა წამოწყებულ საქმეში სიხარულის განცდას, ბეჯითად მუშაობას, ზუსტად მოქმედებას.

შრომაში კოლბერი მხოლოდ ისეთ საქმიანობას გულისხმობდა, რომელსაც სახელმწიფოსათვის მეტი სარგებელი მოჰქონდა. 1664 წელს მეფისადმი გაგზავნილ მემორანდუმში იგი აღნიშნავდა, რომ თუ მეფეს დიდი საქმეების განხორციელება და დიდების მოპოვება სურს, საჭიროა ქვეშევრდომებს განუსაზღვროს „ნაყოფიერი" და „უნაყოფო" პროფესიები. „ნაყოფიერ" სფეროებად მას მიაჩნდა: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, სამხედრო სამსახური ზღვასა და ხმელეთზე.

„უნაყოფო" პროფესიებში იგი ასახელებდა მონაზონობას, აგრეთვე დიდი ფულადი სახსრების მომთხოვნ სამსახურებს მართვის, ფინანსებისა და იუსტიციის სფეროებში.

მონაზონებს კოლბერი არა მხოლოდ იმიტომ უარყოფდა, რომ მათ საქმიანობას იხილავდა, როგორც სახელმწიფოსათვის „უნაყოფოს", არამედ იმიტომაც, რომ ისინი არ ოჯახდებოდნენ და ქვეყნის დემოგრაფიულ ინტერესებს არ შეესაბამებოდნენ. მას კი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა და ქვეყანაში გადასახადის გადამხდელთა მომრავლება სურდა. ამიტომაც უწყობდა იგი ხელს ადრეულ ქორწინებას, რათა მშობლებს ქალიშვილები მონასტერში არ გაეგზავნათ.

ეკონომიკისათვის „ნაყოფიერ" ადამიანებზე საუბრისას, კოლბერი მზად იყო მეფის მკაცრი რელიგიურ-პოლიტიკური საფუძვლებიდან გადაეხვია. ვაჭრობიდან იგი ებრაელ ვაჭართა განდევნას ეწინააღმდეგებოდა.

ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იგი ლუდოვიკო XIV-ის შეურიგებელ პოზიციას ჰუგენოტების[1] საკითხში არ იზიარებდა. სარწმუნოებისადმი მისი პრაგმატული დამოკიდებულება სამეფო კარის კრიტიკას იწვევდა, რისთვისაც მას არც თუ იშვიათად კიცხავდნენ, საყვედურობდნენ, რომ იგი მხოლოდ „მის ფინანსებზე" ფიქრობდა და თითქმის არასოდეს — რელიგიაზე.

3.2.5.2.2. სამრეწველო პოლიტიკა

კოლბერი სამრეწველო პროდუქციის ზრდასა და გაუმჯობესებაში ქვეყნის კეთილდღეობას, გადასახადების ზრდის და სახელმწიფო ფინანსების შევსების მთავარ წყაროს ხედავდა. ამასთან, იგი სოფლის მეურნეობას, როგორც კეების პროდუქტებისა და საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის მიმწოდებელს დიდად აფასებდა. მისი მითითებით სამიწათმოქმედო იარაღები და გლეხურ მეურნეობათა პირუტყვის სულადობის ოთხი მეხუთედი ყადაღის დადებისაგან განთავისუფლდა; ხელი შეუწყო მეცხენეობისა და მეცხვარეობის განვითარებას და ა. შ.

კოლბერი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ხელოსნობის განვითარებას. სახელოსნოების მიმართ იმდროინდელი პოლიტიკა დირიჟისტული ხასიათისა იყო. ხელოსნობის რეგლამენტირება ასზე მეტი საკანონმდებლო აქტით რეგულირდებოდა. კოლბერი უფრო მეტს ფიქრობდა ხელობათა მკაცრ რეგლამენტირებასა და მათთვის ხელისშემწყობ პრივილეგიებზე, ვიდრე აღმზრდელობით ღონისძიებებზე. ყოველ შემთხვევაში, მის კორესპონდენციებში ხშირად გამოხატულია ტიურგოსა და სმითის მსგავსი აზრები. ასე, მაგალითად, მე-17 ს-ის 60-იანი წლების ბოლოს კოლბერი აღნიშნავდა, რომ ადამიანებს გზა უნდა გაეხსნათ იმგვარი თავისუფლებისაკენ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ნებაყოფლობით აკეთონ სასარგებლო საქმე. „ფინანსურ მემორანდუმში" კი იგი წერდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა და მონოპოლიებისაგან განთავისუფლება უკეთესია, ვინაიდან კერძო ინიციატივა ამოძრავებს წამოწყებასო.

ამასთან, მას მიაჩნდა, რომ მოსალოდნელი დიდი მოგების შემთხვევაში ყოველგვარ პრივილეგიებზე საუბარი ზედმეტია. ვაჭრობის თავისუფლებაში იგი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა შიგა ვაჭრობის განთავისუფლებას ზედმეტი შეზღუდვებისა და, პირველ რიგში, მძიმე საგზაო ბაჟისაგან.

---

1 **ჰუგენოტები** — კალვინიზმის (ერთ-ერთი პროტესტანტული სარწმუნოება, რომელიც შეიქმნა მე-16 ს. და ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში და სხვ.) მიმდევარნი მე-16-მე-18 სს-ში.

კოლბერი იმდროინდელი ფრანგული მრეწველობის თავისუფლებას მოითხოვდა. მისი აზრით, საფრანგეთში კერძო ინიციატივების დეფიციტი იგრძნობოდა. ფრანგებს იგი ვაჭრობაში დიდად გაწაფულ ხალხად არ თვლიდა და სახელმწიფოსაგან ამ სფეროს სტიმულირებას მოითხოვდა. ხელოსანთა ნაწარმის მაღალი ხარისხის მიღწევა მისი სამრეწველო პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო. მრეწველობისათვის პრიორიტეტულად მიიჩნეოდა ქვეყნის შიგნით იმ ნაწარმის დამზადება, რომლის იმპორტიც საფრანგეთში საზღვარგარეთიდან ხდებოდა.

კოლბერის განსაკუთრებული ინტერესის საგანს მსხვილი საწარმოები, პირველ რიგში, მანუფაქტურები წარმოადგენდნენ, რომელთაც იგი ყველაზე მაღალმწარმოებლურ საწარმოებად თვლიდა. მანუფაქტურები აერთიანებდნენ მუშათა სოლიდურ რაოდენობას კარგად ორგანიზებულ დიდ სახელოსნოებში, სადაც უმკაცრესი შრომითი დისციპლინა სუფევდა, წარმოებული პროდუქცია კი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ეს, მისი აზრით, ის საწარმოებია, რომელთა ნაწარმითაც საფრანგეთი საზღვარგარეთულ ბაზრებს დაიპყრობდა. ასე რომ, შემთხვევითი როდია საფრანგეთის ხაზინის მიერ მანუფაქტურების ხელშეწყობისათვის სოლიდური თანხების გამოყოფა. სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დასაცავად, იგი იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო განაკვეთის ზრდას მოითხოვდა.

3.2.5.2.3. საგარეო ვაჭრობა

კოლბერის მოსაზრებები საგარეო ვაჭრობის შესახებ მისი ფულადი თეორიიდან გამომდინარეობდა. „გვიანდელი პერიოდის“ მერკანტილისტთა მსგავსად იგიც დარწმუნებულია, რომ მსოფლიოში ფულის რაოდენობა და ვაჭრობის მოცულობა ძირითადად უცვლელი სიდიდეებია, აქედან გამომდინარე, იგი ასკვნიდა, რომ ქვეყანამ ფულის რაოდენობა და საქონლის იმპორტი მხოლოდ სხვა ქვეყნების ხარჯზე შეიძლება გაზარდოს.

თუ ქვეყანა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობაში თავის წილს მხოლოდ სხვა ქვეყნების ხარჯზე გაზრდის, მაშინ საერთაშორისო ვაჭრობა, კოლბერის თანახმად, მშვიდობიანობის პერიოდში სავაჭრო ომად გადაიქცევა. ვაჭრობა, მისი აზრით, ქვეყნებს შორის მუდმივ ბრძოლებს განაპირობებს, რომელიც ქვეყნის უძვირფასეს სიმდიდრეებს შთანთქავს.

ამრიგად, როდესაც საგარეო ვაჭრობა მიმართული იყო მსოფლიო ვაჭრობაში სხვა ქვეყნების ხარჯზე საფრანგეთის წილის გაზრდაზე, ეს იმას ნიშნავდა, რომ საჭირო იყო ექსპორტის ზრდა და იმპორტის შემცირება.

ექსპორტის ზრდაზე, კოლბერის აზრით, ქვეყნის სიმდიდრე, გადახდისუნარიანობა და, საბოლოო ანგარიშით, საფრანგეთის ძლიერებაა დამოკიდებული. ფრანგული ექსპორტის ზრდის ქმედით საშუალებად კოლბერს, პირველ რიგში, მის მიერ წახალისებული ფრანგული მანუფაქტურების მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება მიაჩნდა. ექსპორტის ზრდის კიდევ ერთ საშუალებად ოკეანის მიღმა მოქმედი სავაჭრო კომპანიები სახელდებოდა, რომელთა მეშვეობითაც საფრანგეთი სავაჭრო მოგებას მიიღებდა.

საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის გასააქტიურებლად კოლბერი ფრანგული სამხედრო და სავაჭრო ფლოტების გაძლიერებას მოითხოვდა. ცუდ საგარეო-სავაჭრო შედეგებს იგი, პირველ რიგში, გემების ნაკლებობითა და ნიდერლანდების გემებზე დამოკიდებულებით ხსნიდა.

ვაჭრობაში დიდი წილისათვის მეტოქეობა საზღვაო ომს იწვევდა. როდესაც კოლბერი ამ საკითხებზე მსჯელობდა, ინგლისი საზღვაო ომს აწარმოებდა ნიდერლანდებთან, რათა ეცნოთ მათი სანავიგაციო აქტები. სიცოცხლის ბოლო წლებში კოლბერი იმაზეც კი ფიქრობდა, რომ აფრიკელები, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაში მეკობრეობით ზღვაოსნობას ხელს უშლიდნენ, საფრანგეთის სავაჭრო ფლოტში ჩაერთოთ, რათა საფრანგეთის გემებზე მათი თავდასხმები თავიდან აეცილებინათ. ასეთ შემთხვევაში ისინი თავს დაესხმებოდნენ სხვა ქვეყნების გემებს, შედეგად კი საფრანგეთი ხმელთაშუა ზღვის ვაჭრობაში გაბატონებულ პოზიციებს დაიკავებდა.

კოლბერის აზრით, საფრანგეთის ძირითად მეტოქეს საგარეო ვაჭრობაში ნიდერლანდები წარმოადგენდა, რადგანაც ესპანეთს, იტალიას, გერმანიას, ინგლისსა და ზოგიერთ სხვა ევროპულ სახელმწიფოს ანგარიშგასაწევ ძალად აღარ თვლიდა.

ნიდერლანდელთა მთავარ ძალას კოლბერი მათ ფლოტში ხედავდა. 1669 წელს იგი იმდროინდელ სავაჭრო ფლოტში 20 ათასამდე გემს ასახელებს, რომელთაგან 75%-ზე მეტი ნიდერლანდელებისა იყო, შედარებით ნაკლები – ინგლისელებისა და კიდევ უფრო ნაკლები – ფრანგების. მისი ინფორმაციით, ჯერ კიდევ 1570 წელს ფრანგული ვაჭრობა ოკეანის მიღმა მთლიანად ნიდერლანდელთა ხელში იყო: საფრანგეთის საექსპორტო ნაწარმის 90% ნიდერლანდელთა გემებით გადაიზიდებოდა და ნიდერლანდელი შუამავლების მიერ იყიდებოდა; იმპორტირებული საქონლის უდიდესი ნაწილიც ასევე ნიდერლანდელ ვაჭართა შუამავლობით – მათი გემებით შედიოდა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იყო იგი წარმოებული.

ეკონომიკურ მეტოქეებთან ბრძოლას კოლბერი ყველა საშუალების, უპირველეს ყოლისა, ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით ცდილობდა. ინგლის-ნიდერლანდების სანაოგაციო აქტების თაობაზე მეორე საზღვაო ომის დროს (1664-67), კოლბერი იხილავდა იმის შესაძლებლობას, რომ ნიდერლანდები პოლიტიკურად საფრანგეთთან დაეკავშირებინა და მეტოქიდან მოკავშირედ გაეხადა.

ზოგადად, კოლბერისათვის ნიდერლანდები ყველაზე ძლიერ მეტოქეს, აგრეთვე პოლიტიკურ და სამხედრო მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. ამის გამო იგი იხილავდა ინგლისისა და საფრანგეთის ერთობლივ მოქმედებას ნიდერლანდელთა წინააღმდეგ, როგორც კომბინაციას, რომელიც შემთხვევათა უმრავლესობაში ინგლისურ და ფრანგულ ინტერესებს შეესაბამებოდა.

1672 წლის ზაფხულში კოლბერისათვის სასურველი სიტუაცია შეიქმნა და ნიდერლანდებს წყალსა და ხმელეთზე მოკავშირე ფრანგები და ინგლისელები თავს დაესხნენ. 1672 წლის 8 იულისს მან თავის მემორანდუმში ლუდოვიკო XIV-ისადმი, იმ მიზნებზე მიუთითა, რომლებიც საფრანგეთს ამ ომში ამოძრავებდა. მაქსიმალურ მიზნად მან ნიდერლანდების სრული დამორჩილება დაისახა. ამის მიღწევა იმას ნიშნავდა, რომ ნიდერლანდების ვაჭრობა საფრანგეთის კარნახით წარიმართებოდა. მინიმალური მიზანი ითვალისწინებდა ნიდერლანდებისათვის სუვერენიტეტის შენარჩუნებას, მაგრამ საფრანგეთის ქვეშევრდომები მიიღებდნენ უპირატესობებს, კერძოდ, საფრანგეთის ღვინის და მანუფაქტურის ნაწარმის მიმართ ნიდერლანდელთა მიერ დაწესებული შეზღუდვები გაუქმდებოდა, რომელიც საპასუხო რეაქციის სახით საფრანგეთის მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესების შემდეგ შემოიღეს.

გარდა ამისა, ნიდერლანდებს ბაჟის შესახებ საფრანგეთის მეფის უფლება მათი გემებით საფრანგეთის პორტებში შეზიდულ საქონელზე, ასევე – საფრანგეთის სანაოგაციო აქტები უნდა ეცნო.

საბოლოოდ, საფრანგეთის მიზნები ვერ იქნა მიღწეული, ვინაიდან ფრანგებმა ნიდერლანდების მთლიანად დაპყრობა ვერ შეძლეს.

უფრო მეტიც, ინგლისმა 1674 წელს ნიდერლანდებს სეპარატული საზაო ხელშეკრულება დაუდო, რომლითაც მისი სანაოგაციო აქტები შეუზღუდავად სცნეს, ამასთან, ნიდერლანდების დასაცავად დიდი კოალიცია (ესპანეთი, დანია და ბრანდენბურგი) ჩამოყალიბდა.

საფრანგეთმა კი საზაო ხელშეკრულების (1678 წ.) თანახმად, მხოლოდ საფრანგეთის საქონლისათვის შემოზიდვის აკრძალვის გაუქმებას მიაღწია, მაგრამ ამის სანაცვლოდ იძულებული გახდა საბაჟო ტარიფები შეეზღუდა.

ნიდერლანდების შემდეგ ზღვაზე არა საფრანგეთი (როგორც ამას კოლბერი გეგმავდა), არამედ ინგლისი გაბატონდა.

3.2.5.3. კოლბერიზმი

კოლბერის ზეგავლენა შთამომავლობაზე, ერთი მხრივ, მის პრაქტიკულ მოღვაწეობას, მეორე მხრივ კი მისი პოლიტიკის შედეგებს ემყარება. კოლბერის ცალკეულმა ღონისძიებებმა ერთობლიობაში სისტემური პოლიტიკის სახე მიიღო, რომელსაც „კოლბერიზმს“ უწოდებენ. ამ პოლიტიკისათვის დამახასიათებელია: საბაჟო პროტექციონიზმი და შიგა წარმოების აქტიური კონტროლი მთავრობის მხრიდან.

საფრანგეთში ინდუსტრიისადმი მთავრობის დახმარების კოლბერისეული დოქტრინის გა-

ლენით: ჩამოყალიბდა სამოდელო ინდუსტრიები, დაცული იყვნენ ინვესტორები, მშრომელებს იმიგრირების საშუალება მიეცათ, იმპორტზე საბაჟო ტარიფები დაწესდა, მთავრობა საგარეო ვაჭრობაში ჩართულ ფრანგულ ხომალდებს ასტიმულირებდა, ძვირფასი ლითონების ექსპორტი აიკრძალა; დეტალური სამთავრობო ზედამხედველობა დაწესდა წარმოებაზე, წარმოებული პროდუქტის ხარისხსა და მის რეალიზაციაზე.

ახალი არხებისა და გზების მშენებლობის გამო ქვეყანაში ტრანსპორტირება გაუმჯობესდა, განვითარდნენ კოლონიები და სავაჭრო კომპანიები, სოლიდური მატერიალური სიძლიერე დაეხმარა ძლიერი საზღვაო ფლოტის და არმიის ჩამოყალიბებას, რომელიც ამ მხრივ ინგლისსა და ნიდერლანდებს აღარ ჩამორჩებოდა. ტულონის პორტში შეკეთდა ნავმისადგომები, ხოლო როშფორდში, ლალაიში, ბრესტსა (Brest, დას. საფრანგეთი) და ჰავრში გემთმშენებელი ქარხნები გაიხსნა. საფრანგეთი ევროპის წამყვანი ძალა გახდა. მან ამით ესპანეთს აჯობა.

თუმცა, კოლბერი უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრატორი იყო, მისი წერილები, მითითებები და სხვა საბუთები იმავდროულად მის ეკონომიკურ იდეებს გამოავლენს. მათში იგი კარგად რეგულირებად და პატერნალისტურ[1] სისტემას იცავს.

თვით საფრანგეთში კოლბერიზმის მნიშვნელობა სადაო გახდა უკვე უშუალოდ მინისტრის გარდაცვალების შემდეგ. კოლბერიზმის საგარეო-სავაჭრო მაქსიმების (წესების) კრიტიკისას კოლბერის ძირითადი იდეებისაგან განთავისუფლებაზე მიუთითებდნენ. კოლბერის ძმისშვილმა **დე მარმა**, როგორც ფინანსების გენერალურმა კონტროლიორმა, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე ესპანეთთან რამდენიმე სავაჭრო ხელშეკრულება დადო, რომელიც მისი ბიძის სავაჭრო-პოლიტიკურ დოქტრინას ეწინააღმდეგებოდა.

კოლბერის პოლიტიკის დამცველი ცნობილი ფორტიფიკატორი[2] **ვობანი** გახდა. მაგრამ არც ვობანი იყო „წმინდა" კოლბერისტი, რადგან იგი მე-19 საუკუნის დასაწყისში მონარქისტული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ახლადაღდგენილი არისტოკრატული ოპოზიციის ლიტერატურულ ბელადებს მიეკუთვნებოდა და ლუდოვიკო XIV-ის პოლიტიკას ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა. კოლბერისათვის კი, პირიქით, მონარქია იყო მთავარი და იგი ეკონომიკას ამ მონარქიისა და მისი პოლიტიკის სამსახურში აყენებდა. როდესაც იგი აკრიტიკებდა ლუდოვიკო XIV-ს, ეს არა მის პოლიტიკურ სისტემას, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსებისადმი მის არასოლიდურ მოპყრობას ეხებოდა.

მე-18 საუკუნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის კოლბერის ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი პრუსიის მეფე **ფრიდრიხ II დიდი** (1712-1786) იყო, რომელმაც მისი მოღვაწეობა საკმაოდ კარგად შეისწავლა. ფინანსურ და სავაჭრო პოლიტიკაში ფრიდრიხი ნამდვილი „კოლბერისტი" იყო.

საბოლოო ანგარიშით, მე-19 საუკუნის ევროპის ყველა მონარქისათვის, რომლებიც ქვეყნის მართვას „მერკანტილისტურად" ცდილობდნენ, დიდი ფრანგი მინისტრის პოლიტიკა მისაღები იყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოლბერის მოღვაწეობის შედეგები. იგი ევროპის კონტინენტზე ფრანგული ჰეგემონიის იდეოლოგს მიეკუთვნებოდა, რომელიც მხოლოდ ნაპოლეონ I-ის დამხობასთან ერთად დაემხო; მან, კერძოდ, ლუდოვიკო XIV-ის ჰეგემონიური პოლიტიკა ეკონომიკურ-ფინანსური იდეებით გააძლიერა. იმ დროს, როცა ჯ. მაზარინი, ლუდოვიკო XIV და სხვ. ზღვას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, კოლბერმა დიდი ძალისხმევის შედეგად, სავაჭრო ფლოტის ზრდას — ძლიერი სამხედრო ფლოტის შექმნას მიაღწია, რის გამოც იგი საფრანგეთის საზღვაო ძლიერების ფუძემდებლად ითვლება.

მე-19 საუკუნის ბოლომდე საფრანგეთი ინგლისის შემდეგ მეორე საზღვაო სახელმწიფო იყო. ფრანგმა მრეწველებმა, კოლბერის მოღვაწეობის შედეგად, ეკონომიკური ექსპანსიის და ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, დიდი იმპულსი მიიღეს, რამაც საფრანგეთი ზოგიერთ სფეროში (განსაკუთრებით ეს ეხება ძვირ ლუქს-საქონელსა და, საერთოდ, ფართო მოხმარების საქონელს, სადაც გემოვნებას და მოდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება) ევროპაში წამყვან პოზიციამდე მიიყვანა.

---

1 **პატერნალიზმი** (იტალ. paternale) — ნეოკოლონიალიზმის ერთ-ერთი ფორმა.

2 **ფორტიფიკატორი** (ლათ. fortificatio) — სამხედრო-საინჟინრო მეცნიერება ადგილმდებარეობის გამაგრების შესახებ.

3.2.6. ჯონ ლო (1671-1729)

გვიანდელი მერკანტილიზმის ერთ-ერთი ნათელი და თავისებური ფიგურა, ედინბურგელი ბანკირის შვილი ჯონ ლო (Law) დაიბადა ედინბურგში (შოტლანდია).

იგი ეკონომიკასა და ფინანსებს საუნივერსიტეტო განათლების გარეშე სწავლობდა.

1694 წელს მას უბედურება შეემთხვა – დუელში მოწინააღმდეგე მოკლა, რაც სასამართლომ მკვლელობად ჩათვალა და ჯ.ლოს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. შეწყალების მიუხედავად (1717), იგი მაინც იძულებული იყო საზღვარგარეთ ეცხოვრა.

ლოს ახასიათებენ, როგორც ეკონომიკაში განსწავლულ და ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას. ერთხანს იგი საფრანგეთში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის ფინანსთა მინისტრიც გახდა.

3.2.6.1. ქაღალდის ფულის გამოყენების ინიციატორი

1705 წ. ედინბურგში გამოქვეყნდა მისი მთავარი ნაშრომი: **„ფული და ვაჭრობა განხილული ერის ფულით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით“**[1].

ჯ.ლოს შეხედულებები ფულის, ბანკების, კრედიტის და სხვ. შესახებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური აზრის ისტორიაში. იგი ევროპაში ერთ-ერთი პირველია, ვისი ინიციატივითაც მიმოქცევაში ქაღალდის ფული გამოიყენეს.

ზოგადად, ჯ.ლომ კლასიკურ მონეტარულ თეორიაზე ზეგავლენა ორი მიზეზის გამო მოახდინა: **პირველი**, მან ქაღალდის ფულს მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლი პირველმა მიანიჭა და **მეორე**, შექმნა დრამატული მაგალითი იმისა, რაც ფულის როლის არასწორად გაგებამ შეიძლება განაპირობოს.

ჯონ ლო ქვეყნის აღორძინებას ფულის სიჭარბესთან აკავშირებდა, თუმცა **ჭეშმარიტ სიმდიდრედ** იგი **საქონელს განიხილავდა** და არა ფულს.

ადრინდელი მერკანტილისტების მსგავსად, მასაც კვლევის **აქცენტი მიმოქცევის სფეროზე გადაატანს**. თუმცა კი უარყო მერკანტილისტური შეხედულება იმის შესახებ, რომ ქვეყნის ფულადი სიმდიდრე მხოლოდ ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბებით შეიძლება გაიზარდოს. იგი მოითხოვდა ქვეყნის შიგა მიმოქცევაში ქაღალდის ფულის გამოყენებას, ხოლო ოქროსა და სხვა ძვირფასი ზოდების ხაზინაში დაგროვებას, შესაბამისად, საკრედიტო ფულის გამოყენებას, რათა ბანკნოტებს კეთილშობილი ლითონების ფულის ადგილი დაეკავებინა.

3.2.6.2. დიდი კრახი

ქვეყნის გამდიდრებისა და ფულის ზრდის საუკეთესო საშუალებას იგი **ბანკების დაარსებაში** ხედავდა, თუმცა ეს იდეა შოტლანდიისა და საფრანგეთის პარლამენტმა თავის დროზე უარყო.

დადგა დრო, როდესაც ჯ.ლოს საფრანგეთში თავისი ექსპერიმენტის ჩატარების საშუალება მიეცა. 1715 წელს, ლუი XIV-ის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა სასოწარკვეთილ მდგომარეობაშია: მთავრობა გაკოტრებულია, ეკონომიკა კი დეპრესიაში. როდესაც რეგენტმა, სახელმწიფოს დროებითმა მმართველმა, ფილიპე ორლეანელმა ჯ.ლოს დახმარება სთხოვა, ეს თითქმის იმ მდგომარეობას წააგავდა, როცა ავადმყოფი ბავშვის სასოწარკვეთილი მშობლები „კანონიერი“ ექიმების შემდეგ, შვილის განკურნებისათვის ექიმბაშს მიმართავენ.

1716 წელს ჯ.ლომ საფრანგეთში **კერძო აქციონერული ბანკი** დააარსა, რომელმაც დასაწყისში დიდ წარმატებებს მიაღწია. მომდევნო წელს ჯ.ლომ შექმნა აგრეთვე კოლონიალური საწარმო - ლუიზიანისა და დასავლეთის კომპანია, რომელსაც **მისისიპის კომპანიასაც** უწოდებდნენ. მის მფლობელობაში იყო იმ ტერიტორიის თითქმის ნახევარზე მეტი, რომელიც დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს ალიასკას ჩათვლით.

შემდგომში მისი გავლენა აფრიკასა და აღმოსავლეთისკენაც გავრცელდა. 1719 წელს „კერძო

1 J.Law. Oeuvres completes,... P., 1934.

აქციონერული ბანკი" პრაქტიკულად მისისიპის კომპანიას შეერწყა. კონგლომერატმა მიწის იჯარით გაცემაზე და მთავრობის უმეტეს ზარაფხანებზე კონტროლი დააწესა, რამაც ეკონომიკის აღმავლობას ხელი შეუწყო.

1720 წ. ჯ.ლო კათოლიკე გახდა და საფრანგეთის ფინანსთა მინისტრად დაინიშნა. მოგვიანებით იგი თავის მდგომარეობას ევროპაში არნახულ ძლევამოსილ, უგვირგვინო პიროვნებას ადარებდა. იმავე წელს მისმა „სისტემამ" მარცხი განიცადა და დეკემბერში იგი იძულებული იყო საფრანგეთი დაეტოვებინა. მან თავისი დღეები ვენეციაში დაასრულა, როგორც გამოუსწორებელმა აზარტულმა მოთამაშემ, რომელიც ყოველთვის თავის სისტემას ამართლებდა.

რაში მდგომარეობდა შეცდომები?

დასაწყისიდანვე, ჯ.ლოს კონცეფციის თანახმად, ბანკი კონვერტირებადი ბანკნოტების ემისიას ახორციელებდა. აქციების რეალიზაციით მიღებული ფულის ნაწილით თავდაპირველად გემები და სხვა საქონელი შეიძინა, მაგრამ ფულის ძირითადი ნაწილი კი (2 მლრდ ლივრი[1]) სახელმწიფო ობლიგაციების გამოსყიდვაზე დაიხარჯა. პარიზის მევახშეებთან შედარებით, ბანკი სესხს ზომიერი სარგებლით იძლეოდა. ბანკის აქციების რეალური ფასი, ნომინალურთან შედარებით, თითქმის 50-ჯერ გაიზარდა.

საბოლოო ანგარიშით, როგორც აღმოჩნდა, ყოველივე ამის კომპენსაცია ახალი აქციების რეალიზაციით ხდებოდა. ეს პროცესი დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა.

ყველაფერი რიგზე იყო, სანამ ბანკმა 1720 წლის გაზაფხულზე დივიდენდის განაკვეთი არ გამოაცხადა, რომელმაც აქციონერებს და ბირჟაზე მოთამაშეებს აშკარად იმედი გაუცრუა. იმავე წლის შემოდგომაზე საქონელთა ფასებიც თითქმის გაორმაგდა. ბანკნოტები უკვე გადახდის ფუნქციას ვეღარ ასრულებდა, ყველა გაუფასურებული ქაღალდის სრულფასოვან ფულზე გადაცვლას მოითხოვდა.

აშკარა იყო სისტემის კრახი — პრაქტიკულად, ეს იყო **პირველი დიდი საბანკო კრახი**, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა თავის მორევში ჩაითრია.

ჯონ ლო მევალეებისაგან თავის გადარჩენის მიზნით გადაიმალა. 1729 წ. იგი ვენეციაში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

3.2.6.3. ინფლაცია - ავანგარდისგული პოლიტიკის შედეგი

. ინფლაცია, რომელიც ჯ.ლოს პოლიტიკის შედეგი იყო, ერთ-ერთი უმკაცრესი მოვლენაა თანამედროვეობაშიც, რომელმაც დაღუპა ბევრი რისკიანი საწარმო.

ერთადერთი რამ, რომელსაც ინფლაცია ყველაზე ნაკლებად შეეხო, ეს იყო მიწა და ჯ.ლოს შემთხვევითი დამსახურებაც, რამაც შთაგონება მისცა ფრანგული ფიზიოკრატიული აზრის განვითარებას.

ჯ.ლო დიდ როლს ანიჭებდა კრედიტის განვითარებას, მაგრამ მისი არამიზნობრივი გამოყენების შედეგი დროულად ვერ განჭვრიტა. სიმდიდრისა და დასაქმების ზრდის წყაროს იგი ბანკების მიერ კრედიტებისა და ფულის გამოშვების ზრდაში ხედავდა, თუმცა წარმოების სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მხედველობიდან გამორჩა.

ჯონ ლო არც თაღლითი იყო (როგორც ხშირად ამბობდნენ) და არც გენიოსი. იგი ავანტიურისტია, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში და რომელმაც ოქროთი არაუზრუნველყოფილი ქაღალდის ფულის უპირატესობა განჭვრიტა, მაგრამ იმისათვის, რომ იგი სასარგებლო გაეხადა, მას ეკონომიკური ცოდნა არ ეყო.

მიუხედავად ამისა, მისმა წარუმატებელმა ექსპერიმენტმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკურ მეცნიერებაზე: ნათელი გახდა ეკონომიკაზე ფულად-საკრედიტო რესურსებით და, საერთოდ, სახელმწიფოს ჩარევის ეფექტი, რომელიც ხშირად დროებითია და ინფლაციას იწვევს. კლასიკოს და ნეოკლასიკოს ეკონომისტებს არასოდეს ავიწყდებათ ეს გაკვეთილი.

ჯ.ლოს იდეა ჭარბი ფულისა და ინფლაციის სასიკეთო როლზე შემდგომში ხელახლა გამოაცოცხლეს მეცნიერ-ეკონომისტებმა, რომლებიც „ზომიერ ინფლაციაში" პრობლემათა მოგვარების

1 ლივრი (ფრანგ. livre) — ძველებური ფრანგული ვერცხლის ფული.

გზებს ეძებენ. მას, ვისაც ახსოვდა ჯონ ლო, „მონეტარიზმი“ შეცდომის დაშვება არ სჭირდებოდა; მისმა ექსპერიმენტმა აჩვენა ისიც, რომ ფასიანი ქაღალდები და ბანკნოტები სრულად ვერ ცვლიან ერთმანეთს.

ჯ.ლოს დაშვებით, ფასიანი ქაღალდების ბანკნოტებით შეცვლა, გარდა მთავრობის გადასახადების სიმძიმის შემცირებისა, მნიშვნელოვან განსხვავებებს არ იძლევა. ამ დაშვებით იგი ჩაება გრანდიოზული მასშტაბის ღია-საბაზრო ოპერაციებში. შედეგმა აჩვენა, რომ ღია-საბაზრო ოპერაციებს ინფლაციის გამოწვევა შეუძლია.

ზოგადად, ჯონ ლო ნიმუშია ეკონომისტისა, რომელმაც მეცნიერებაში ზუსტად თავისი შეცდომებით შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი.

3.2.7. ჯეიმზ სტიუარტი (1712-1780)

ჯეიმზ **სტიუარტი** (Steuart) შოტლანდიელი ეკონომისტი, გარკვეულწილად მერკანტილიზმის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენელი, ადამ სმითის უშუალო წინამორბედი იყო. ცალკეულ საკითხებში იგი მერკანტილისტებისაკენ გადაიხარა, თუმცა ფულის თეორიაში დ. იუმზე წინ წაიწია.

ჯ.სტიუარტის მთავარი ნაშრომია **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების გამოკვლევა“** (1767)[1].

როგორც სათაურიდან ირკვევა, იგი სტანდარტული საკითხების ყოველმხრივ დამუშავებას ეძღვნება, თუმცა სტიუარტი პირველი არ იყო, ვინც ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ გამოიყენა.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში მოცემულია პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების სისტემატიზებულად განხილვის ერთ-ერთი პირველი მცდელობა. ზოგადად, იგი, მერკანტილისტების მსგავსად, **სიმდიდრის წყაროდ საგარეო ვაჭრობის აქტიურ ბალანსს** მიიჩნევდა, თუმცა სიმდიდრის წარმოშობას მხოლოდ არაეფექტიან გაცვლას არ უკავშირებდა.

იგი ერთმანეთისაგან განასხვავებდა **„დადებით“** და **„შეფარდებით“ მოგებას. პირველი შრომას დაუკავშირა, მეორე კი საქონელთა რეალიზაციას.** ახლოს მიეიდა შრომითი ღირებულების თეორიასთან, თუმცა მისი სწორი ახსნა ვერ შეძლო.

მერკანტილიზმის გავლენა სტიუარტის შეხედულებებზე ძირითადად მოგების წარმოშობის წყაროს ეხება. იგი მსჯელობდა გაცვლაში მიღებული მოგების შესახებ, ე.ი. როცა საქონელი მის ღირებულებაზე უფრო ძვირად იყიდება. მაგრამ ის უფრო შორს წავიდა და დაუშვა, რომ მოგების წარმოშობა მხოლოდ არაექვივალენტურ გაცვლას არ უკავშირდება.

მისი აზრით, **„დადებითი“ მოგება** წარმოიქმნება შრომის, წარმოებისა და დასპეციალების ზრდის ხარჯზე. **„შეფარდებითი მოგება“** კი – საქონლის ღირებულებაზე უფრო მაღალი ფასით რეალიზაციის შედეგად. ეს განმარტება ახლოსაა მარქსისტულ ზედმეტი ღირებულების თეორიასთან.

ფასწარმოქმნაზე მსჯელობისას, სტიუარტი ცალ-ცალკე იხილავდა საქონლის რეალურ ღირებულებას და მოგებას (საქონლის გაყიდვის შემდეგ).

რეალური ღირებულება განისაზღვრა სამი ფაქტორით:

- **პირველი**, დროის გარკვეულ პერიოდში მუშის მიერ წარმოებული საქონლის რაოდენობით;
- **მეორე**, მუშის არსებობისათვის აუცილებელი დანახარჯების ღირებულებით;
- **მესამე**, იმ მასალების ღირებულებით, რომელთაც მუშა პროდუქტის შესაქმნელად იყენებს.

ჯ.სტიუარტის დოქტრინამ რეალური ღირებულების შესახებ ცხადყო, რომ ის, კანტილიონის მსგავსად, საბაზრო ფასებსა და რეალურ ღირებულებას შორის ჰარმონიაზე ფიქრობდა.

მანუფაქტურის მფლობელის მოგების ზრდას იგი მხოლოდ გაცვლაში ხედავს და ამით გვიჩვენებს, რომ მერკანტილისტურ თეორიას ეყრდნობა. ამასთან, ასეთმა მიდგომამ სტიუარტი მოთხოვნა-მიწოდების თეორიის განვითარებასთან მიიყვანა, რომელიც იმ დროისათვის ძალიან გამოსადეგი იყო.

მისი დოქტრინა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: **ფასები წონასწორობაშია, როცა მოთხოვნა და მიწოდება დაბალანსებულია.**

სტიუარტმა ჩამოთვალა რამდენიმე ფაქტორი, რომელმაც მიწოდებასა და მოთხოვნას შორის

1 **Seuart** J., An inquiry into the principles of Political Economy, v.I-2, L., 1767.

შეუსაბამობა შეიძლება გამოიწვიოს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მომხმარებლის ყიდვითუნარიანობა და კონკურენციის ხარისხი.

მან ახსნა „ორმაგი **კონკურენციის**" მექანიზმი, რომელმაც შრომასა და მოთხოვნას შორის თანაფარდობა უნდა შეცვალოს. თუ მოთხოვნა მიწოდებასთან შედარებით მცირეა, „გამყიდველთა" კონკურენციამ ფასი უნდა შეამციროს, „მყიდველთა" კონკურენციამ კი ფასი და მოგება უნდა გაზარდოს.

რეგულარული ვაჭრობით დასაქმებულ პირებს, ეს მექანიზმი კარგ სამსახურს გაუწევდა რეალური ღირებულების ეფექტიანობისა და მოგების ცვლილებისათვის, მაგრამ ძალიან დიდმა ცვლილებებმა წონასწორობაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს.

ამ და ბევრ სხვა შემთხვევაშიც, ჯ.სტიუარტს **ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის სასურველობის** მტკიცედ სჯეროდა.

სტიუარტი ფულის თეორიაშიც მერკანტილისტებისაკენ იხრებოდა და მისი დებულებები ღირებულებისა და საგადასახდელო ბალანსის შესახებ ხშირად გაუგებარი და წინააღმდეგობრივია.

მისი აზრით, ფული ქვეყანას ორი მიზნისათვის - ვალების გასასტუმრებლად და პროდუქტის საყიდლად სჭირდება. ვაჭრობისა და მანუფაქტურების მდგომარეობა და აგრეთვე ხალხის ჩვეულებები განსაზღვრავს ფულზე მოთხოვნას, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. მასაც მიაჩნდა, რომ ქვეყანაში საჭიროა ოქროსა და ვერცხლის ფულის სიმბოლური ფულით შეცვლა.

ჯ.სტიუარტის დამოკიდებულება ეკონომიკური პროცესებისადმი ძველმოდური და ნაწილობრივ რეაქციულიც კი იყო. მის ნაშრომებს იმ დროისათვის გამეფებული თვითდამკვიდრებისა და თავისუფალი ვაჭრობის სიო ზედმეტად დაჰკრავს. მან კაპიტალიზმის განვითარება საინტერესოდ გააანალიზა.

ჯეიმზ სტიუარტი ახალი საზოგადოების განვითარების სათავეებთან იდგა. მან მკაფიოდ მიუთითა წარმოების მართვის სტრუქტურის ცვლილებასა და კლასების დამოკიდებულებაზე. მისი მტკიცებით, **შხოლოდ შრომა იყო მიწოდების ზრდის წყარო**. ამასთან, მან განავითარა კონცეფციები სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიჭარბის, კლასებად დაყოფისა და წარმოების ზრდის შესახებ. და ბოლოს, წარმოება განიხილა შრომით პროცესად, რომელიც პროდუქტის გასხვისებით უნივერსალურ ეკვივალენტს ქმნის.

4. კამერალიზმი

გერმანიაში პოლიტიკური ეკონომია **კამერალისტური**[1] მეცნიერებისგან წარმოიშვა, რომელიც იმ დოქტრინების ძირითად ნაწილს აერთიანებს, რომელიც საზოგადოებრივი ქონების მენეჯმენტს და ფინანსური საქმიანობის ადმინისტრირებას უკავშირდება.

კამერალისტთა დოქტრინებში ასახულია პოლიტიკური, იურიდიული, ტექნიკური და ეკონომიკური იდეები. კამერა (გერმ. Kammer) წარმოადგენდა სამეფო საგანძურის ოთახს. კამერალური საქმეები მმართველის ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას შეეხებოდა, როგორიცაა: სამეფო შემოსავლების შენარჩუნება, გაზრდა და ადმინისტრირება.

კამერალისტები მერკანტილისტები იყვნენ, რომლებმაც უფრო მეტი მიიღეს შიგა ინდუსტრიიდან, ვიდრე მათმა ინგლისურმა და ფრანგულმა პროტოტიპებმა. კამერალისტურ დოქტრინებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობის, მაღაროებისა და ტყეების განვითარების პრობლემებს.

მთლიანობაში, კამერალიზმს დიდი გავლენა ჰქონდა, რაც კარგად ჩანს გერმანული ეკონომიკური მეცნიერების თეორიულ, ტექნოლოგიურ და ფინანსურ მიმართულებებზე.

---

1 **კამერალისტიკა** (გერმ. Kameralistik) – შუა საუკუნეებში ევროპის უნივერსიტეტებში ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ დისციპლინათა სპეციალური კურსი.

4.1. ფილიპ ვილჰელმ ფონ ჰორნიგკი (1638-1712)

ავსტრიელი ფ.ჰორნიგკი (Hornigck) დაიბადა მაინცში, სწავლობდა ინგელშტადტში იურიდიულ ფაკულტეტზე და შემდეგ თავისი პროფესიით ვენაში მუშაობდა. 1690 წელს კარდინალ პასაუს სამსახურში შევიდა, სადაც მოგვანებით იგი საიდუმლო მრჩეველი გახდა.

ჰორნიგკმა ორი ნაშრომი გამოსცა საკანონმდებლო საკითხებზე, რომელსაც ორი წლის შემდეგ მოჰყვა წიგნი სათაურით: **„როდისღა დადგება ავსტრიის ზენიტის ხანა"**[1]. ეს ნაშრომი ძალიან პოპულარული გახდა და მის სიცოცხლეში თორმეტჯერ გამოიცა. თუმცა, ფონ ჰონრიგკი მერკანტილისტი იყო, მისი მთავარი თეზისი თვითდაკმაყოფილების საკითხებს შეეხებოდა, რომელშიც გამოყოფილია ქვეყნის სიძლიერის განმაპირობებელი კომპონენტები.

4.1.1. „ჰორნიგკის წესები".

ჰორნიგკი კამერალისტური შედეგების მისაღებად რამდენიმე პირობას აყენებს. კერძოდ, ნიადაგისგან მაქსიმალური ნაყოფი უნდა მივიღოთ, ყველა სასარგებლო მცენარე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და ოქროს და ვერცხლის საბადოები ყველანაირი ხერხით უნდა მივაკვლიოთ; ბუნებრივი სახით უვარგისი პროდუქტი უნდა დამუშავდეს, რადგან ამით მისი ღირებულება ორჯერ, ათჯერ, ოცჯერ ან ასჯერაც კი შეიძლება გაიზარდოს; ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობას, რომელიც იმ დონეზე უნდა გამრავლდეს, რამდენსაც ქვეყანა შეინახავს და ადამიანების შრომაც შედეგიანი უნდა გახდეს; ოქროს და ვერცხლის ექსპორტი უნდა აიკრძალოს.

ზემოაღნიშნული პრინციპები მთლიანობაში წარმოადგენს პირველ **„ოთხ წესს"**, რომელიც ფონ ჰორნიგკმა ქვეყნის აყვავების მიზნით შეიმუშავა. დანარჩენი **„ხუთი წესი"** კი გულისხმობს:

- მოსახლეობამ მაქსიმალურად უნდა ითვისოს თავისი ქვეყნის შიგა პროდუქტი, თავი დაიკმაყოფილოს მხოლოდ მისი მოხმარებით და მაქსიმალურად შეკეცოს უცხოური საქონლის გამოყენება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ან ეს პროდუქტი იმდენად გაერცელებულია, რომ ძნელია მისგან თავის არიდება, მაგალითად, ინდური სუნელების შემთხვევაში);

- იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შენაძენი აუცილებლობას წარმოადგენს, მათი შესყიდვა უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად პირველი ხელიდან და არა ოქროთი და ვერცხლით, არამედ სხვა შიგა პროდუქტზე გაცვლით;

- ამგვარი უცხოური პროდუქცია უნდა შემოვიდეს ნედლეულის სახით და აქ გადამუშავდეს, რაც წარმოებას სარგებელს მოუტანს;

- ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ წარმოებული პროდუქცია უცხოეთში ოქროსა და ვერცხლზე გაყიდოთ;

- არ უნდა დაუშვათ იმ პროდუქტების იმპორტი, რომელიც საკმარისია ქვეყნის შიგნითაც. ამ საკითხში ჩვენს მეგობარ უცხოელებსაც არ უნდა მივცეთ შეღავათები, რადგან სისუსტის გამოვლინებით მეგობრობა წყდება და ინგრევა – ასეთი ქცევა კეთილშობილურია, შიგა პროდუქტის ხარისხის და ფასის მიუხედავად. უმჯობესია რაიმეში ორი დოლარი გადაიხადო და ის ქვეყანაში დარჩეს, ვიდრე ერთი დოლარი და იგი ქვეყნიდან გავიდეს.

მთლიანობაში, თუ ქვეყანა ამ „წესებს" ითვალისწინებს, მაშინ მისი ეკონომიკის შეფასება უფრო გაადვილდება.

4.2. იოჰან ჰენრიხ ფონ იუსტი (1717-1771)

ი..უსტი დაიბადა ტიურინგიაში და იურისპრუდენციაში განათლება მიიღო რამდენიმე გერმანულ უნივერსიტეტში მიიღო.

1750 წელს ვენაში იგი კამერალური მეცნიერების პროფესორად დაინიშნა. ავსტრიაში

1 **Hornigck F., Oesterreich über Alles wann es nur will, 1684.**

ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ, იგი გიოტინგენის და ბერლინის ადმინისტრაციული კომისიების საპატიო წევრი გახდა. საბადოების დირექტორად და შუშისა და ფოლადის სამუშაოების ზედამხედველის პოსტზე მის მიერ დაშვებული ბუღალტრული შეცდომების გამო იგი ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა.

ფონ იუსტი დიდი მწერალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მის ნაშრომებში აშკარაა გავლენა იმისა, რაც მანამდე შეიქმნა, ფონ იუსტის ანალიზი მაინც სიახლეს წარმოადგენდა. 1766 წელს დაწერილმა **„ფინანსური მეცნიერების სისტემამ"**[1] მას უდიდესი გერმანელი კამერალისტის სახელი მოუტანა.

იუსტმა თავის ნაშრომებში ჩამოაყალიბა კამერალისტური დოქტრინები. მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება შეზღუდულია კერძო პირთა სიმდიდრის შენარჩუნებისა და გაზრდის საკითხებთან მიმართებით; მაშინ, როდესაც კამერალური მეცნიერება მთავრობის შემოსავლების საკითხებს სწავლობს. იმის გამო, რომ თავისუფალი და აღორძინებული მრეწველობა მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოში, მისი უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის ძირითადი საზრუნავია.

იუსტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომერციას და ვაჭრობის აქტიურ ბალანსს, თუმცა, სოფლის მეურნეობისა და სამთო საქმისადმი მეტ ყურადღებას მოითხოვს. იგი ხაზს უსვამს იაფი საკვებისა და დაბალი ანაზღაურების მნიშვნელობას. მისი კიდევ ერთი პრინციპია მატერიალური ზრდის სურვილი. მისი დაშვებით, ვაჭრობის ინტერესები შეიძლება ყოველთვის არ დაემთხვეს მთავრობის ინტერესებს და ამ თვალსაზრისით იგი არ არის მერკანტილისტი.

ნაშრომში მითითებულია, რომ სამოქალაქო მოსახლეობა დიდ დანახარჯებს ეწევა თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, მაგრამ, ეს დანახარჯები ზომიერ ფარგლებში უნდა მოექცეს. ავტორი მონარქთა დანახარჯებს საზოგადოებრივი ჯგუფების დანახარჯებზე მაღლა აყენებს, რადგან ამ უკანასკნელთა მოხმარება გაცილებით თავისუფალია. იქ, სადაც ასეთი გარემოება არ არსებობს, ოფიციალური კორუფცია იქნებაო. მისი აზრით, დანახარჯები არ უნდა გაიზარდოს ფანტაზიური სურვილების გამო; ხარჯი ყოველთვის რეალურად საჭირო პირობებს უნდა შეესაბამებოდეს.

იუსტის დასკვნით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე უფრო მეტად არაფერი მეტყველებს, ვიდრე კონტრიბუციით და გაუმართლებელი დაბეგვრით მიღებული შემოსავალი. ბევრი გამომგონებლობას მიმართავს, როდესაც შემოსავლის წყაროს სხვა ადამიანის ქონება წარმოადგენს და ამის შედეგია ის, რომ იზრდება კონტრიბუციები და გადასახადების ოდენობა მანამ, სანამ ეს ყველაფერი ორივე მხრიდან და მათ შორის სახელმწიფოს კრახსაც არ გამოიწვევს.

გადასახადების პრინციპები. იუსტის განმარტებით: ბეგარა და კონტრიბუციები არის გადასახადი კერძო ქონებიდან, რომელიც სახელმწიფო ხარჯებისათვისაა აუცილებელი და გადამხდელის ქონებასა და გამომუშავებასთანაა კავშირში. ამ საკითხებში იუსტი გამოყოფს ექვს პრინციპს, რომლებიც მუდამ უნდა გვახსოვდეს: **პირველი** – სუბიექტებს მისი გადახდა ყოველთვის უნდა შეეძლოთ; **მეორე**, კონტრიბუციები ისე უნდა განისაზღვროს, რომ სრული თანასწორობა და სამართლიანი თანაფარდობა შენარჩუნდეს; **მესამე**, კონტრიბუციების ზრდამ არც სახელმწიფო, არც სუბიექტი და არც სამოქალაქო თავისუფლება არ უნდა დააზიანოს; **მეოთხე**, კონტრიბუციები სახელმწიფოს ფორმიდან და მთავრობის სტრუქტურიდან გამომდინარე უნდა იყოს ორგანიზებული; **მეხუთე**, გადასახადებისა და კონტრიბუციების ყველა საკითხში აუცილებელია გარემოების, სიტუაციის, ცხოვრების სტანდარტის და ქვეყანაში სხვა მდგომარეობის გათვალისწინება; **მეექვსე**, საკადრისი ყურადღება უნდა დაეთმოს ნიჭს, სურვილებს, გრძნობებს და ხალხის სულისკვეთებას. კონტრიბუცია, რომელიც ერთი ხალხის მიერაა გადახდილი წინააღმდეგობის გარეშე, ზოგჯერ სხვა ხალხში მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას იწვევს;

„მეხუთე წესის" არსია ის, რომ გადასახადები და კონტრიბუციები კონკრეტულ და სამართლიან საფუძველს უნდა დაეფუძნოს, რათა ის ყველასათვის გასაგები იყოს; მეექვსე და ბოლო „წესის" მიხედვით, გადასახადები იმგვარად უნდა მოწესრიგდეს, რომ მათი აკრეფა მინიმალური დანახარჯებით განხორციელდეს.

---

1 Iusti I., Sustems des Finanzwesens, 1766.

5. კეთილდღეობის ამაღლება და დემოგრაფიული პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც მერკანტილისტებმა ადამიანის კეთილდღეობას ფასეულობების მწკრივში პირველი ადგილი მიუჩინეს, მის ზრდაზე ზემოქმედი ფაქტორების განსაზღვრა სცადეს. მათი გამოკვლევები არ ემთხვეოდა დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის სწრაფად განვითარების პროცესს, როდესაც რიგმა ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების გზაზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს.

სანამ განვიხილავთ კეთილდღეობის ზრდის ფაქტორებზე მერკანტილისტთა შეხედულებებს, გადმოვინაცვლოთ თანამედროვეობაში. დღეს ეკონომიკური ანალიზი და ისტორიული მეცნიერება ალაპარაკდა პროცესებზე, რომელსაც დასავლეთ ევროპა თავის აყვავებას უნდა უმადლოდეს.

კაპიტალიზმი, კერძო მესაკუთრეობის განვითარებით სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ვაჭრობაში, კეთილდღეობისაკენ მიისწრაფოდა. ქონების მფლობელები თავიანთ კაპიტალს სამრეწველო (იმ დროს „მანუფაქტურები") ან სავაჭრო საწარმოებში მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად აბანდებდნენ.

ვაჭრობაში მილებული მოგება საქონელთა შეძენისა და გაყიდვის ფასს შორის სხვაობაზეა დამოკიდებული. იგი იზრდება, თუკი საქონელი შემოზიდულია ქვეყნებიდან, სადაც მათი წარმოება იაფი ჯდება, ხოლო რეალიზდება ქვეყანაში, სადაც ისინი ან საერთოდ არ იწარმოება, ან მათი წარმოება დაკავშირებულია განსაზღვრულ სიძნელეებთან. როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში კაპიტალისტურ საწარმოთა მოგება დამოკიდებულია რეალიზებული პროდუქციის მოცულობაზე, რაც გასაღების ბაზრებს მოითხოვს. თავისი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობებს საწარმოები ხშირად უშუალო სიახლოვეში ეძებენ, რამდენადაც წარმოების დანახარჯები ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შედეგად მათ საშუალებას აძლევს უფრო დაბალი გასაყიდი ფასები დააწესონ, რითაც ბაზრიდან გამოდევნიან ტრადიციული საშუალებებით მომუშავე გლეხებსა თუ მეწარმეებს. თუმცა, ადგილობრივი ბაზარი, თავისი მოხმარების შეზღუდული შესაძლებლობებით, მზარდი წარმოებისათვის ყოველთვის საკმარისი არ იქნება.

კაპიტალისტური საწარმოები ეძებენ ბაზრებს, სადაც მათი საქონელი სათანადო მოთხოვნით სარგებლობს. მართალია, ზოგჯერ ადგილობრივ საწარმოებსაც ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება შეუძლიათ, მაგრამ მეტად მაღალი დანახარჯებით, რაც უფრო მაღალ სარეალიზაციო ფასებს განაპირობებს. თუმცა, ამ ბაზრებზე ადგილის დასაკავებლად კაპიტალისტური საწარმოები საჭიროებენ სახელმწიფოს დახმარებას, განსაკუთრებით — კოლონიალური ბაზრის დაუფლებაში.

თავდაპირველად, შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან გაელენას ახდენდა გასაღების ბაზრების გაფართოებაზე, რაც, თავის მხრივ, კაპიტალისტური წარმოების ზრდას ხელს უწყობს. კაპიტალისტური წარმოების ზრდას თან მოსდევს საწარმოთა გასანაწილებელი დოვლათის (ხელფასის, მიწის რენტის, მოგების) ზრდა, რაც ადიდებს ყიდვითუნარიანობას, რომელიც ბაზარზე დამატებით მოთხოვნას წარმოშობს.

ამ მრავალწყობიან პროცესებში შეუდარებელი როლი შორეულ ქვეყნებთან ვაჭრობამ ითამაშა. ასეთმა პროცესებმა ზოგიერთი დასავლეთევროპული ქვეყნის ეკონომიკა (მე-16 საუკუნიდან დაწყებული) დაჩქარებულ განვითარებამდე მიიყვანა მაშინ, როდესაც დანარჩენ სამყაროში ეკონომიკა ერთ ადგილს ტკეპნიდა.

ეს პროცესები ჰქონდათ მხედველობაში მერკანტილისტებს და მიუხედავად იმისა, რომ მათ ცალკეული მომენტები ნათლად წარმოედგინათ, ამ პროცესების სრულყოფილი აღწერა მაინც ვერ შეძლეს. ამიტომ, მათი თეორიული მსჯელობები ნაწილობრივ ბუნდოვანია, რასაც მათი არასწორი პრაქტიკული დასკვნებიც მოჰყვებოდა ხოლმე.

მერკანტილისტები სახელმწიფოს უპირატესი მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლას თავს არიდებდნენ. მათ საზოგადოების კეთილდღეობაში, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრებისა და მრეწველების მიერ მიღებული მოგება ესმოდათ, რომელიც გროვდება და მიღებული შემოსავლის შემდგომ ზრდას უზრუნველყოფს. მათი მოგების დონე ექსპორტისა და კერძოდ, საექსპორტო საქონლის მწარმოებელ სამრეწველო საწარმოთა განვითარებაზეა დამოკიდებული.

ასეთი განვითარების წინაპირობად იაფი სამუშაო ძალა და კაპიტალი გვევლინება. იმავდროულად, სამუშაო ძალის დიდი რაოდენობისა და კაპიტალის დიდი მოცულობით არსებობა, აგრეთვე

სახელმწიფოს ინტერესებშია, რომელიც ასევე ძლიერ ჯარსა და მდიდარ სამხედრო ხაზინაზეა დამოკიდებული. აქედან, მერკანტილისტთა დასკვნით, ვაჭრები გამდიდრდნენ იგივე სახსრებით, რომელმაც სახელმწიფოც გააძლიერა; ვაჭრებისა და სახელმწიფო მოხელეების ინტერესები მთლად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მაინც საზოგადოებრივ პროცესებში ისინი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ. როდესაც არსებული საზოგადოება ვაჭართა ფენის სიმდიდრის შეუზღუდავ ზრდაზეა ორიენტირებული, მაშინ იგი პრინციპულ წინააღმდეგობებს არ აწყდება.

შესაბამისობის ეს თეორია განზოგადებულად ნიშნავს: მრეწველობისა და ექსპორტის განვითარება ვაჭრებისათვის მოგების მომტანი მიზანია, ხოლო სახელმწიფოსათვის კი — მხოლოდ საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალება.

მერკანტილისტების მიხედვით, კონკრეტული ერის მოსახლეობის ზრდა ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას; იგი აადვილებს სამუშაო ძალის მოზიდვას და ამით მრეწველობისა და ექსპორტის განვითარებას, ე.ი. საბოლოო ანგარიშით მოგების ზრდას და პირიქით, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება სამუშაოთი მეტ ადამიანს უზრუნველყოფს. შედეგად, ეს ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდას, რაც სახელმწიფოს ინტერესებშია.

ყოველი ქვეყანა ცდილობს სამრეწველო საწარმოებში რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაასაქმოს. 1563 წელს ინგლისში მიღებული **„კანონი მეწარმეობის შესახებ“**, შრომას სავალდებულოდ აცხადებდა, განსაზღვრავდა შრომის პირობებს და აწესებდა პრინციპებს, რომლის თანახმადაც ხელფასის დონე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ცხოვრების ღირებულებასთან. ცნობილი **„კანონი ღარიბების შესახებ“** (1601) კრძალავდა მაწანწალობას და მუნიციპალიტეტებს გაჭირვებულთათვის დახმარებას ავალდებულებდა.

ეს კანონები მერკანტილისტების მიერ იქნა ინსპირირებული. ისინი მიმართული იყო იქითკენ, რომ ყოველი საშუალებით უზრუნველეყოთ მრავალრიცხოვანი და იაფი სამუშაო ძალის არსებობა. გავიხსენოთ მონკრეტიენის მიერ რეკომენდებული ადამიანისათვის შრომის სავალდებულო ხასიათი. სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდა მათ აუცილებელ და სასურველ პირობად მიაჩნდათ ხელფასის ზრდის წინააღმდეგ.

დაბალი ხელფასის მქონე სიღარიბეში მცხოვრები ადამიანი, სხვათაშორის, არა მარტო წარმოების დანახარჯების შემცირებასა და მოგების დონის გადიდებას უწყობდა ხელს. მერკანტილისტები ამას მიიჩნევდნენ აგრეთვე შრომის მწარმოებლურობის ზრდის აუცილებელ პირობად.

სხვათა შორის, მერკანტილისტები აშკარად არ ემხრობოდნენ საყოველთაო სახალხო განათლებას, რამდენადაც იგი სამუშაო ძალის პოტენციალს შეამცირებსო. ასევე ყურადღებას იპყრობს მათი დამოკიდებულება ბავშვთა შრომისადმი. კოლბერის აზრით[1], ადრეული ბავშვობის წლებში უსაქმურობა შემდგომ ცხოვრებაში თავაშვებულობის წყაროა. მას მანუფაქტურებში დასაშვებად მიაჩნდა ბავშვთა შრომა ექვსი წლის ასაკიდან.

მტკიცება, რომ ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს მოსახლეობის ზრდას და ქვეყნის სიძლიერის ამაღლებას, ეკუთვნის ჯ.ჰეილსს. უფრო მოგვიანებით ეს დებულება იშვიათად გამოითქმებოდა და მაინც საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იგი მერკანტილისტების მიერ გარკვეული დოზით დუმილით იყო აღიარებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბისდა მიუხედავად, მხარს უჭერდა მოსახლეობის აქტიურ ზრდაზე მიმართულ პოლიტიკას.

6. მონეტარული პრობლემები

მერკანტილისტთა მიხედვით, ვაჭრობაში დიდი მოცულობის საქონელბრუნვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის გაზრდა. მათი აზრით, ფული ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი რაც შეიძლება მეტ რეგიონში, მუდმივად ფლობს საშემსრულებლო უნარს. კეთილშობილი ლითონის მონეტებს, რომლებიც იმ დროს საგადასახდელო საშუალება იყო, უნდა დაეკმაყოფილებინა მეორე მოთხოვნაც — მათ უნდა შეენარჩუნებინათ არსებული

1 **Heckscher** E.F., Merkantelism, 2 bde., Stokholm, 1931; **Makenroth** G., Der Merkantelismus. 3 Bde, Jena, 1932.

წონა. თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლება, არც თუ იშვიათად, მონეტის წმინდა წონის შემცირებას ახერხებდა.

შუა საუკუნეების ბოლოს ასეთი პრაქტიკის შედეგები ხშირად იყო მსჯელობის საგანი. მე-16 ს-ში სხვადასხვა ავტორი, ხშირად მიუთითებდა, რომ „ცუდი ფულები აძევებენ ვარგისიანებს". მაგალითად, ინგლისელმა **თომას გრეშამმა** (Gresham, 1519-1579) აღნიშნული სიტუაცია დაახასიათა თავის ნაშრომში: **„ინფორმაცია, რომელიც ეხება ვალუტის დაცემას"** (1558). იგი დღეს ცნობილია **„გრეშამის კანონის"** სახელწოდებით. „კანონი" ჩამოყალიბებულია ბიმეტალიზმის პერიოდში[1], როდესაც ოქროს ფული მიმოქცევიდან ამოიღებოდა განძად შენახვის მიზნით, ხოლო ვერცხლის ფული მიმოქცევაში რჩებოდა[2].

როდესაც „ახალი სამყაროს აღმოჩენის" შემდეგ ფასების საყოველთაო ზრდამ ყურადღება მიიპყრო, ამის მიზეზად ბევრმა სპეციალისტმა მონეტებში ძვირფასი ლითონების შემცველობის შემცირება მიიჩნია. არსებობდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც – **ჟან ბოდენის** აზრით, ფასების ამაღლების უმთავრეს მიზეზი „ახალი სამყაროდან" კეთილშობილი ლითონების მოზღვავებაა. ბოდენი, ფაქტობრივად, მართალი იყო, როდესაც ევროპაში ფასების ზრდა კეთილშობილი ლითონების შემოზიდვას დაუკავშირა. თუმცა, მან ვერ შეამჩნია, რომ კეთილშობილი ლითონების ღირებულება, როგორც წესი, მათი მოპოვების დანახარჯებზე მიუთითებს. თუკი, მაგალითად, უფრო მისაწვდომი ადგილმდებარეობა მოპოვების დანახარჯების შემცირების საშუალებას იძლევა, მაშინ ვაჭრობაში შემოვა კეთილშობილი ლითონების მეტი რაოდენობა უფრო ნაკლები ფასით. კეთილშობილი ლითონების ღირებულებასა და მოპოვების დანახარჯებს შორის ურთიერთობანი შემდგომში ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა უილიამ **პეტიმ** გააანალიზა.

მე-17 ს-ში ჟ.ბოდენის შეხედულებანი პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა, ბევრ ავტორს, მერკანტილისტების მსგავსად მიაჩნდა, რომ ქვეყნის სიმდიდრე მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ზოგიერთ ავტორს კი ფასების ზრდა ხელსაყრელადაც მიაჩნდა.

მერკანტილისტ ჰერარ დე **მალინესის** (Malynes G., 1586-1641) შეხედულებით[3], მაღალი საექსპორტო ფასების არსებობისას ცხოვრების ღირებულება აგრეთვე შესაძლებელია მაღალი იყოს, რამდენადაც ამ პირობებში ვაჭრების შემოსავალი მეტი იქნება. **ისაილდის** (1630-1699) აზრით[4], ცხოვრების მაღალ ღირებულებას ხალხის გამდიდრება მოჰყვება და ზოგიერთს მიაჩნდა, რომ მაღალი ფასების არსებობა, მართალია, დასცემს მუშათა ცხოვრების დონეს, მაგრამ იგი სასარგებლოც იქნება, რამდენადაც ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას.

მერკანტილისტების აზრით, კარგად ორგანიზებული კაპიტალის ბაზრის პირობებში გაადვილებულია საკრედიტო ოპერაციები და ხელსაყრელი სავაჭრო გარიგებების დადება. ასე, მაგალითად, 1621 წელს თომას **კალპეპერი უფროსმა** ნაშრომში **„ტრაქტატი მევახშეობის წინააღმდეგ"**[5] (მე-17 საუკუნეში რამდენჯერმე გამოიცა) განაცხადა, რომ 10%-იანი საგადასახადო განაკვეთის არსებობისას ყველა საწარმო, რომელთა შემოსავალი ამ დონეზე დაბალია, დაიხურება. მისი რჩევით, დაფიქრებას მოითხოვდა ის გარემოება, რომ მაღალი გადასახადები ხელს უშლიდათ სოფლის მეურნეობაში სამელიორაციო სამუშაოებს, ტყის დამცავ ღონისძიებათა გატარებას, ზღვის იქეთა ქვეყნებში კვლევით მოგზაურობებს, ახალი პლანტაციების შექმნას და სხვ. ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, იგი მოითხოვდა გადასახადების განაკვეთების შემცირებას. იოზიან ჩაილდმა თავის ერთ-ერთ ნაშრომში **„ვაჭრობის შესახებ ახალი მსჯელობა"** (1693)[6] ამ ღონისძიებას უწოდა ინგლისის ცხოვრების მაღალი დონის მიზეზი.

უპეტის მემკვიდრეობიდან გამოჩნდა ნაშრომი **„პოლიტიკური არითმეტიკა"** (1683). ავტორის აზრით, გადასახადების დონე უნდა შემცირდეს ფულის მასის გადიდდების ხარჯზე. იგი მიიჩნევს, რომ ფულის დიდი მასა სახელმწიფოს სიძლიერეს განაპირობებს, თუმცა იგი, ფულთან მიდის

1 გადასახდელ საშუალებად იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლის ლითონებს.
2 **Шумпетер** Й., История экономического анализа, ტ.I, გვ. 449-450.
3 იქვე, გვ. 451-453.
4 იქვე, გვ. 251.
5 **Culpeper** Th., Tract against the High Rate of Usurie, 1621/1641.
6 **Chaild** I., New Discourse of Trade, 1693.

ექსპორტის განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით, რომელიც ვაჭრისათვის კეთილდღეობისაკენ გზას ნიშნავს. ამიტომაც ამ საქმეში ვაჭრების ინტერესები და სახელმწიფო ინტერესები ერთმანეთთან თანხვედრაშია.

მერკანტილისტთა დასკვნით, სახელმწიფოსათვის აუცილებელია კეთილშობილი ლითონების რაოდენობის ზრდისაკენ სწრაფვა. უნდა ითქვას, რომ ეს მტკიცება ნაწილობრივ მართალია. მე-16 ს-ში ზოგიერთი სახელმწიფო იძულებული იყო კეთილშობილი ლითონების მარაგი შეექმნა ომის შემთხვევაში საგანგებო ხარჯების გასაწევად. რამდენადაც მერკანტილისტები იძლეოდნენ თავიანთი სახელმწიფოების გასაძლიერებლად რეკომენდაციებს, მათ შორის მაინც მთავარი იყო ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი კეთილშობილი ლითონის იმპორტირება. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მერკანტილისტმა ერთმანეთში აურია კეთილშობილი ლითონები როგორც საგადასახადო საშუალება და კეთილდღეობა. მათ დაივიწყეს სკანდინავიური თქმულება მეფე მიდასის შესახებ, რომელიც კინაღამ შიმშილით მოკვდა, რამდენადაც, რაც მას ჰქონდა, ყველაფერი ოქროში გაცვალა. ეს არეულობა შეეხო ჰეილსსაც. მოგვიანებით მერკანტილისტთა უმრავლესობა მისგან გამიჯვნას ცდილობდა. ა.მონკრეტიენის აზრით, არა ოქრო-ვერცხლის, მარგალიტისა[1] და ბრილიანტის[2] სიჭარბითაა სახელმწიფო მდიდარი და ჩინებული, არამედ ცხოვრების მაღალი დონით. მისი დასკვნით, თუკი ადამიანს სჭირდება ვერცხლი, რომელიც ქვეყანაში არ არსებობს, მაშინ იგი საზღვარგარეთიდან უნდა შემოიტანოს.

ექსპორტის განვითარება განაპირობებს ფულადი შემოსავლების გადიდებას, ამბობს ჰეილსი სრულიად გარკვევით[3] და იძლევა მეწარმეების კლასიფიკაციას: I — მეწარმეები, რომელნიც მიეზიდებიან ფულს; II მეწარმეები, რომლებიც გამომუშავებულ თანხას ამავე ქვეყანაში ხარჯავენ და III — მეწარმეები, ვისაც სამეფოში ფული შემოაქვთ.

მისი აზრით, უპირატესობა მესამე ტიპს ენიჭება, რომელთაც მიეკუთვნება: ფეიქარი, მეტყავე, მეტრიკოტაჟე, ძაფის მრთველი და სხვ. მხოლოდ ისინი გამოიმუშავებენ თავისი პროფესიითა და შრომით ქვეყნისათვის ფულს. ჰეილსის აზრით, ქალაქსა და სოფელს უნდა ჰქონდეს ყველა ტიპის სარეწი, რათა თავიანთი შრომით მათ არა მარტო უზრუნველყონ ქვეყანა ყოველიეე აუცილებლით, არამედ აიცილონ ქვეყნიდან ფულის მნიშვნელოვანი გაზიდვა მისი რეზერვების შესანარჩუნებლად.

მე-16 ს-ში ცალკეული ქვეყნების მმართველები მიისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ და გაემრავლებინათ კეთილშობილი ლითონების მარაგები ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა: ქვეყნის ფარგლებს გარეთ ოქროსა და ვერცხლის გატანის აკრძალვა, უცხოური მონეტების შემოზიდვა, უცხოური შესყიდვების საკუთარი საქონლით ანაზღაურება, საქონელთა ექსპორტით ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანა და სხვ. თუმცა, ჰეილსის შეხედულებით, ასეთი ღონისძიებებით დიდ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ და კეთილშობილი ლითონების გაზიდვა ქვეყნიდან არ შეწყდება, სანამ ქვეშევრდომები უცხოეთში შეისყიდიან მეტს, ვიდრე გაყიდიან.

მოგვიანებით, მერკანტილისტი თეორეტიკოსები მზარდი სიზუსტით ირკვევდნენ მექანიზმს, რომლის ძალითაც გადიდებულ საგარეო დავალიანებას მოსდევდა თამასუქის კურსის დაცემა, რომელიც ეროვნული ვალუტით გადახდას, ანდა კეთილშობილი ლითონების გაზიდვას ექვემდებარებოდა.

რამდენადაც ექსპორტის განვითარება გასაღების ახალი ბაზრების აღმოჩენას მოითხოვდა, მერკანტილისტები ამის შესაბამისად კოლონიების შექმნის მომხრეებად გვევლინებოდნენ. ა.მონკრეტიენს, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვია შესაძლებლობა განედიდებინა სიმდიდრე, რომელიც კოლონიზაციას მოაქვს. მაგალითად, იგი წერდა, რომ შემქმნელის სახელი ცნობილი გახდება ბევრი არაცივილიზებული და ველური ტომებისათვის, რომლებიც ხელს გამოგვიწვდიან და დამორჩილების მზადყოფნას გამოხატავენ[4].

რაც შეეხება მერკანტილისტების მონეტარულ შეხედულებებს, წრე იკვრება. ისინი ძლიერ გვაგონებენ რამდენიმე წლის წინათ გამოთქმული ერთი ამერიკელის გამონათქვამს, რომ თითქოს ის,

---

1 მარგალიტი — თეთრი, შავი ან ყვითელი ფერის მარცვლისებური ძვირფასი თვალი. ხმარობენ სამკაულად.

2 ბრილიანტი (ფრ.) — ძვირფასი ქვა — მრავალწახნაგად თლილი ალმასი.

3 **Tersen**, ალნ. წიგნი, გვ. 139-141.

4 **Tersen**, ალნ. წიგნი, გვ. 109.

რაც კარგია ჯენერალ-მოტორსისათვის, კარგია ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც.

მერკანტილისტები თავიანთი ქვეყნის მმართველებს მრავალრიცხოვან რეკომენდაციებს აძლევდნენ, რომლებიც ერთად აღებულნი შედარებით დასრულებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კონცეფციას წარმოქმნიდნენ და ამასთანავე მნიშვნელოვანწილად მაშინდელ პრაქტიკას შეესაბამებოდნენ. ისინი ითვალისწინებდნენ ქვეყნის სავაჭრო ბალანსში ექსპორტის იმპორტზე გადაჭარბებას.

უკვე საფრანგეთში ჟან ბოდენმა შეძლო მთელ რიგ სავაჭრო პოლიტიკაში მერკანტილისტური ინსტრუმენტების რეკომენდირება, სახელდობრ: ქვეყნის შიგნით მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეულის გატანის აკრძალვა, აგრეთვე, ყველა მზა საქონლის იმპორტის შეზღუდვა (დამაკომპლექტებელი ნაწარმის გარდა), რომელთაც უცხოელი მწარმოებლები სხვა ქვეყნის შიგა საწარმოებს აწვდიან.

მსგავსი მოსაზრებების საფუძველზე ინგლისელმა მერკანტილისტებმა აუცილებლად ჩათვალეს ინგლისური გემებით ინგლისში საქონელთა შემოზიდვა და ინგლისიდან საქონლის გაზიდვა.

ქვეყანაში მზა პროდუქციის წარმოების გაფართოების მომხრე იყო მონკრეტიენიც. ამასთან, იგი ქვეყნის ხელმძღვანელობას სახელმწიფო მანუფაქტურების შექმნას ურჩევდა. მონკრეტიენი აგრეთვე სახელმწიფო მანუფაქტურების განვითარების შეზღუდვასაც მოითხოვდა, თუკი ისინი კერძო საწარმოებს აზიანებდნენ, ანუ ის მხოლოდ კერძო საწარმოების სიმცირის შემთხვევაში უნდა განვითარებულიყო, რომელთა დახმარებითაც უცხოური ნაწარმის იმპორტის შეკვეცა შესაძლებელი გახდებოდა.

7. მერკანტილიზმი და ადამიანთა გაუცხოება

მერკანტილიზმის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ იგი გეველინება ეკონომიკის მეცნიერული განხილვის ერთ-ერთ პირველ ცდად, რაც ეკონომიკური ცხოვრების მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირების გამოვლენასა და სისტემატიზებულ განხილვაში გამოიხატა. ამის კარგი მაგალითია მერკანტილისტების საკმაოდ საეჭვო მტკიცება, რომ მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მერყეობა, თითქოს, ფასების მერყეობის პირველდაწყებითი მიზეზია. თანამედროვე გაგებით, აუცილებელია ეკონომიკური პროცესების „მეცნიერული“ გამოკვლევა, რათა თვალი ვადევნოთ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასა და ცალკე აღებულ ქვეყნებში სავაჭრო ბალანსის განვითარებას შორის კავშირს.

მერკანტილიზმის მნიშვნელოვანი დამსახურებაა ისიც, რომ მან განსაკუთრებით ნათლად ასახა ადამიანთა მისწრაფება, რომელიც დამახასიათებელია ახალი დროისათვის რენესანსის პერიოდიდან დღემდე. თანამედროვე ადამიანი თავისი ცხოვრების აზრს ხშირად ხედავს არა ისე, როგორც მას ხედავდნენ ანტიკურ დროში, არამედ ფულის გამომუშავების თვალსაზრისით. ამ გარემოებამ დიდად განაპირობა ეკონომიკური რევოლუცია, რამაც კაცობრიობის ერთ ნაწილში მწარმოებლური ძალების ფანტასტიკურ განვითარებამდე მიგვიყვანა. მან საფუძველი დაუდო სამრეწველო ეპოქას. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა ბურჟუაზია, რომელთა არსებობის გარეშე ძნელი იყო დღევანდელი ცხოვრების წარმოდგენა. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მწარმოებლური ძალები ასე განვითარდა ეპოქაში, როდესაც ადამიანი მისგან გაუცხოებული აღმოჩნდა და ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობები დაირღვა.

აღორძინების ეპოქაში ადამიანმა დაძლია ის უიმედობა, რომელიც ძველ სამყაროში თუ შუასაუკუნეობრივ ეპოქაში მისი მდგომარეობის საფუძველს წარმოადგენდა. მან დაიბრუნა თავისი იმედი, თუმცა, ამან მას საშუალება არ მისცა ხელახლა მიეღწია თემური ფასეულობების იმ ერთხმოვანი აღიარებისათვის, რომელიც ანტიკურ პერიოდში დამახასიათებელი იყო პოლისისათვის. ინდივიდი იზოლირებული აღმოჩნდა.

მერკანტილისტები ცდილობდნენ ვაჭრებისა და ფაბრიკანტების წარმოდგენას ერთიანი ჯგუფის სახით, რომელთა ინტერესები, თითქოს, მუდმივად ემთხვევა და შეესაბამება ქვეყნის მმართველების ინტერესებს. ალბათ, აუცილებელი არ არის იმის ხაზგასმა, რომ ასეთი სურათები რეალურ საფუძველს მოკლებულია.

ცალკეული ქვეყნების ვაჭრები და ფაბრიკანტები მუდმივ კონკურენციაში იმყოფებიან, რამ-

დენადაც აქ გასაღების ბაზარი შეზღუდულია, თითოეული მათგანი ეძიშპება მეორეს, ბაზარზე თავისი წილის გადიდებისათვის. კაპიტალისტურ სისტემაში კეთილდღეობისაკენ სწრაფვა მოიცავს თავისთავში იმ ფაქტს, რომ ხალხს, რომელიც მიეკუთვნება ფენას, რომელსაც ქონების დაგროვება შეეძლება, პრინციპში, ყოველთვის აქვს საწინააღმდეგო ინტერესები. გარდა ამისა, ვაჭრებისა და სახელმწიფოს ინტერესების დამთხვევა ყოველთვის მართალი არაა.

მერკანტილისტები მიისწრაფოდნენ ისეთი ეკონომიკური დოქტრინის შემუშავებისაკენ, რომელიც თავისი მდგომარეობით სასარგებლო იქნებოდა როგორც ვაჭართა ფენის, ასევე სახელმწიფოსათვის. თუმცა, ფაქტია, რომ პრაქტიკაში ორთავე მხარე სრულად ვერ დაკმაყოფილდებოდა.

მერკანტილისტების შეხედულებანი **სოციალური ჰარმონიის შესახებ**, მოგებისაკენ სწრაფვის პერიოდში, უსაფუძვლო აღმოჩნდა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც მაშინ წარმოიშვა, ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენას ძირითადად ანტაგონისტური ფენების მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა და საზოგადოების დაბალ და მაღალ ფენებს შორის წინააღმდეგობა გამწვავდა.

კაპიტალიზმის წარმოშობა აღინიშნა ისეთი მომენტით, როგორიცაა განვითარებადი ანტაგონიზმი მეტად განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს შორის, რომლის დროსაც დასავლეთ ევროპამ მკაცრი საშუალებებით გააძლიერა თავისი სწრაფვა დანარჩენი სამყაროს დასაპყრობად. მერკანტილისტები, რა თქმა უნდა, ამ ახალი ეკონომიკური სისტემის თვისებათა მიჩქმალვას არ ცდილობდნენ. პირველ ყოვლისა, ამ პროცესებით კოლონიზირებული ქვეყნები შეირყა. კოლონიზატორები ხომ თავიანთ დარტყმებს აყენებენ როგორც მათ კულტურასა და ინსტიტუტებს, ასევე მათ ეკონომიკასაც.

ევროპელებმა, რომლებმაც კოლონიზაციის ისტორიაში პირველი ტალღები წარმოქმნეს, „ღია ტერიტორიების" ძარცვა დაიწყეს. მოგვიანებით, ამ ქვეყნების სისტემატური ექსპლოატაციისას, ისინი რიგ წინააღმდეგობას წააწყდნენ, კერძოდ, ხშირად არ ჰყოფნიდათ არსებული სამუშაო ძალა. დაიწყო მონებით ფართო ვაჭრობა, რის შედეგადაც ამერიკის ნაწილი მონა-ზანგებით დასახლდა.

ამერიკაში ესპანელებმა მონათა იძულებითი შრომა შემოიღეს, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა, ისინი აფრიკიდან დაპყრობილი შავკანიანების იმპორტზე გადაერთვნენ. რამდენადაც ესპანელებს არ გააჩნდათ დასახლებები აფრიკაში, მონებით ვაჭრობა ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა იკისრეს. მაგალითად, ცნობილია, რომ 1702 წელს საფრანგეთის კომპანიამ გვინეაში დადო ხელშეკრულება ყოველწლიურად 38 ათასი შავკანიანის მიწოდებაზე.

ეს და სხვა მაგალითები ცხადყოფს, რომ მერკანტილიზმის ეპოქის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ ჩვენი მიმოხილვა ფუძემდებლური წინააღმდეგობების განხილვით. ეს წინააღმდეგობები სინამდვილეში აღიარებულ იქნა სხვადასხვა ავტორის მიერ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყვნენ **„უტოპისტები"**, რომლებმაც ქონებრივი ერთობის იდეაში ახალი ცხოვრების წარმოსახვა სცადეს.

ლიტერატურა

ა. **ანიკინი**, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.

ს.**ბერაძე**, გ.**ჭანუყვაძე**, ი.**კრავცოვი**, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. ა.**სილაგაძე**). თბ., 2005.

გ.**თოდუა**, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 2004.

ჯ.**კასხნიაშვილი**, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

კ.**მარქსი**, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 1-2, თბ., 1966-1968.

დ.**როზენბერგი**, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1938.

ა.**სილაგაძე**: ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996; ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

ა.**სილაგაძე**, თ.**ათანელიშვილი**, მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინა, თბ., 2007.

მ.**ჭუმბურიძე**, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.**კასხნიაშვილი**, თბ., 2009.

ჯ.**ხარიტონაშვილი**, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Барщевская Н.Е., Промышленная политика Кольбера, Ворошиловград, 1940.

Белов М.И., Меркантилизм и его главние представители в странах Западной Европы, М., 1955.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Всемирная история экономической мысли, т. 1, М., 1987.

Виллари П.Н., Макиавели и его время, Пер. с итал., т. 1, М., 1914.

История Флоренции, თარგმ. იტალ., Л., 1937.

История экономических учений, М., 1983.

История экономических учений, Под ред. В.**Автономова**, М., 2003.

История экономической мысли, ч. 1, М., 1961.

Коган-Берштейн Ф.А., Экономические взгляды Бодена – «Средные века», В. 2, М.-Л., 1946.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли от пророков до профессоров, М., 1996.

Меркантилизм, Ленинград «Соцекиз..», 1956.

Меркантилизм и его разложение, М., 1956.

Мировая экономическая мысль, т. 1, М., 2004.

Поршнев Б.Ф., Народные восстания во Франции при Кольбере - в сб. "Ср. века", в.2, М.-Л., 1946.

Реуель А.Л.: Разложение меркантилизма и зараждение буржуазной классической политической экономии в Англии (Петти) и во Франции (Буагильбер), М., 1957; Западноевропейский меркантилизм. Возникновение утопического социализма, М., 1959.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 1, Санкт-Петербург, 2004.

Blich Fr., Die Epoche des Merkantilismus, Wiesbaden, 1973.

Bodin J.: Methodus ad facilem historiarum cognitionem, 1566; Les six livres de la Republique, 1576; Reporte aux paradoxes de M. de Malestroit..., 1568.

Cauvirè R., Jean Bodin, auteut de la „Republique", P., 1916.

Chaild I., New Discourse of Trade, 1693.

Clement P., Histoire de Collbert et de son administration, P., 1892.

Cole C.W., Colbert and a Century of French Merkantilism, N.Y.: 1939/1964.

Collbert J.B.: Lettres, Instructions et mémoires, t.1-8, t.9-, P; 1861-82; 1884; 1979.

Culpeper Th., Tract against the High Rate of Usurie, 1621/1641.

Farrere C., Jean-Baptiste Colbert, Paris, 1954/1965.

Gaxotte P., Ludwig XIV, Frankreichs Aufstieg in Europa, München, 1951.

Heckscher E., der Merkantelismus, 2 Bde., Iena, 1932.

Hornigck F., Oesterreich über Alles wann es nur will, 1684.

Iusti I., Sustems des Finanzwesens, 1766.

Kamp M.E., Die Staatswirtschaftlehre J.Boden, Bonn, 1949.

Law J.: Money and trade concidered, with a proposal for supplying the nation with money, Edinb., 1705; Oeuvres complëtes, publ. par P.Hansin, t.1-3, P., 1934.

Lettres, Instruction et mémoires de Colbert, Paris:1861-82; 1834; 1979.

Machiavelli N., Opere, Mil-Naples, 1954 - თარგმ. რუს., Избр. соч., М., 1982.

Makenroph G., Der Merkantilismus, 3 Bde, Jena, 1932.

Malettke Kl., J.-B. Colbert, Göttingen, 1977.

Mongrédien Georges, Colbert, 1619-1683, Paris, 1963.

Montchrestien A., de: Traite de leconome politique. Paris, 1889.

Steuart J.: An inquiry into the principles of Political Economy (v.1-2, 1767) - „The Works, Political, Metaphysical and Chronological of the late Sir James Steuart, v.1-6, L., 1803 (გამოც. მისი შვილის მიერ).

Tersen A., John Hales, sa doctrine et son temps. Avallon, 1907.

თავი III.
ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა

1. კლასიკური დოქტრინების შესახებ

ტერმინი „კლასიკური" (კლასიკოსი – ლათ. clasicus), ერთი მხრივ, სიძველეზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, მისაბაძს, საყოველთაოდ აღიარებულს, სანიმუშოდ მიჩნეულს ნიშნავს.

კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები განვითარებული ეკონომიკის მიღწევებს აანალიზებს.

კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის არსი განმარტა კ.მარქსმა ნაშრომში „ფილოსოფიის სიღატაკე" (1847). მან ერთმანეთისაგან განასხვავა ეკონომიკური სკოლის ორი განშტოება – კლასიკური და რომანტიკული.

კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები ძირითადად აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებშია, რომელსაც ფეოდალური გადმონაშთებისაგან დასაცავად ჯერ კიდევ მხარს უჭერს პროლეტარიატი. რომანტიკული ეკონომიკური დოქტრინები კი აღმავალი პროლეტარიატისაგან (ფეოდალიზმზე გამარჯვების შემდეგ) ბურჟუაზიის დაცვას ემსახურება.

კ.მარქსისათვის, კლასიკური დოქტრინები, მიუხედავად მისი ნაკლოვანებების კრიტიკისა, მართლაც კლასიკური, სანიმუშო დოქტრინა იყო.

კ.მარქსის „კაპიტალში" კლასიკური დოქტრინების ანტითეზისი ვულგარული დოქტრინები გახდა. კ.მარქსისათვის კლასიკური ეკონომიკური დოქტრინების ჩამოყალიბება დაიწყო უ.პეტითა და პ.ბუაგილბერით, რამაც თავის კულმინაციას ა.სმითთან მიაღწია და დ.რიკარდოთი და სიმონ დე სისმონდით დამთავრდა.

ამ ფონზე მარქსისტული განმარტება მნიშვნელოვანი იყო. ეკონომიკას, დაახლოებით 1680 წლიდან 1830 წლამდე, მართლაც ჰქონდა ის დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც იგი სხვა საუკუნეების ეკონომიკისაგან განსხვავდებოდა.

ამ საკითხთან მიმართებით არსებობს განსხვავებული შეხედულებებიც. ზოგი მეცნიერი კლასიკურ დოქტრინებს იწყებს ა.სმითით და ამთავრებს ჯ.მილით (ზოგჯერ ფიზიოკრატებიდან მარქსამდე), ზოგიც დასაწყისად 1790 წელს იღებს (ი.შუმპეტერი). ჯ.კეინსმა იგი 1870 წლის აქით განავრცო და მას ა.მარშალი და ა.პიგუც მიაკუთვნა[1].

ეკონომიკური დოქტრინების ისტორიოგრაფიამ შექმნა მნიშვნელოვანი ტენდენცია იმისა, რომ ტერმინი „კლასიკური" წინა წლების ძირითადი ეკონომიკური დოქტრინების მიმართ გამოეყენებინათ. ასეთი მიდგომები ყოველთვის მართებული როდია – საცობი არსებითად შეიძლება ნებისმიერი იყოს, მაგრამ იგი ბოთლს უნდა ერგებოდეს.

მთლიანობაში კლასიკური დოქტრინები ძირითადად გაცვლისა და წარმოების დოქტრინების ერთიანობის სახით ჩამოყალიბდა: გაცვლის დოქტრინამ თავისუფალი საბაზრო თვითრეგულირების პრინციპები (ლიბერალიზმი) განავითარა; წარმოების (სიმდიდრის) დოქტრინებმა უარყვეს მერკანტილიზმი და აქცენტი ზოგადად წარმოებაზე გადაიტანეს[2].

სანამ უშუალოდ საკითხის განხილვაზე გადავალთ, ძალიან მოკლედ გავიხსენოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი: ქსენოფონტით, პლატონითა და არისტოტელეთი იწყება ეკონომიკა როგორც მეცნიერება; ფრანგი ანტუან მონკრეტიენი თავის ნაშრომში – „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი" (1615) ახალ მეცნიერებას სახელწოდებას აძლევს; პოლიტიკური ეკონომიის, როგორც დამოუკიდებელი კურსის კითხვა 1801 წლიდან ა.სმითის მეგობარმა დაგალდ სტიუარტმა ედინბურგის უნივერსიტეტში დაიწყო.

კლასიკური დოქტრინების წარმოშობა აგრეთვე ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეების გავრცელებას ნიშნავდა. იგი ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევის უარყოფას, ინდივიდუალური ინიციატივების თავისუფლების გარანტიას, თავისუფალი კონკურენციისა და მეწარმეობის, კერძო საკუთრების არსებობას გულისხმობდა.

---

1 История экономических учний, М., 2003, გვ. 43.

2 იქვე.

2. ახალი მოვლენები ეკონომიკაში

2.1. სამრეწველო კაპიტალიზმი

მე-17 საუკუნის ბოლოს ინგლისელი ჯონ ლოკის ფილოსოფიის გამოჩენის შემდეგ ხელისუფლებამ მეტად დაიწყო ახალი მოვლენების შემჩნევა. ეკონომიკური პოლიტიკა პოლიტიკური ფილოსოფიით შედარებით ნელა იცვლებოდა.

მიუხედავად ამისა, ამ საუკუნის ბოლოს მთავრობების მიერ ეკონომიკის რეგულირებამ კრახი განიცადა. ეს ცალკეული ქვეყნების საერთო ინტერესებით არ იყო გამოწვეული. ასეთ პირობებში მერკანტილიზმი ზოგიერთ ქვეყანაში ისევ გამოჩნდა, მაშინ, როდესაც ინგლისსა და საფრანგეთში ის უკვე წარსულს ჩაბარდა.

მე-17 საუკუნეში ინგლისში შიგა მრეწველობის შემზღუდველი რეგულატორები გაუქმდა. სხვაგან, მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, მაგალითად, დაქირავებული შრომის ანაზღაურება რეგულირდებოდა. შეგირდობის[1] და წარმოების პირობების მარეგულირებელი აქტები წარმოებრივი სისტემის განვითარებასთან მიმართებაში მოუქნელი აღმოჩნდა და როდესაც მე-19 საუკუნეში მათ აუქმებდნენ, ეს უკვე მხოლოდ მომხდარი ფაქტის ფიქსაცია იყო.

ცვლილებები გილდიების[2] სისტემასაც შეეხო. დაიწყო კომპლექსური დიფერენციაცია, რომელმაც სხვადასხვა ინტერესის კონფლიქტები განაპირობეს. მე-14-15 სს გილდიების მიერ დაშვებული სავაჭრო კომპანიების ექსპორტის ძველი საზღვრები დიდი კოლონიალური კომპანიებით შეიცვალა. წარმოიშვა უახლესი კაპიტალისტური კორპორაციები, სადაც ან ბითუმად მოვაჭრეები, ან ნახევრად მრეწველი კაპიტალისტები დომინირებდნენ; მათი გავლენა თანდათან იზრდებოდა. მეორე მხრივ, პატარა ქალაქების წვრილი ხელოსნებისაგან შემდგარი ლოკალური გილდიები შიგა მრეწველობაზე კონტროლს კარგავდნენ. ლოკალური რეგულირებები ეროვნულ მომწესრიგებელ ძალას განუწყვეტლივ ასუსტებდნენ.

გაკეთული დროის შემდეგ საგარეო ვაჭრობის რეგულირებაც შესუსტდა. საავჭრო გარიგებების (ერთ დროს პროტექციონიზმისა და შეზღუდვების ინსტრუმენტი) განსხვავებული გამოყენების შესაძლებლობებიც გაჩნდა. ერთხანს ეკონომიკური ინტერესები მკაცრად შეიზღუდა, გარიგებები სახელმწიფო კონცერნებს შორის იდებოდა. თავისუფალი ვაჭრობა საგრძნობ უკანდახევას განიცდიდა, მაგრამ მე-19 საუკუნიდან დაწყებული, იგი მთლიანად, უეჭველ პროგრესს განიცდიდა. ვაჭრობის ახალი შთაგონების პირველი სიმპტომი რეგულირებადი კომპანიების შემცირება იყო.

მე-17 საუკუნის ბოლოს რეგულირებადმა კომპანიებმა არსებობა შეწყვიტა და დომინირებული პოზიცია ორგანიზებულმა საერთაშორისო ვაჭრობამ დაიკავა. მოგზაურმა ვაჭრებმა ქსოვილებით ვაჭრობაზე მონოპოლია დაკარგეს. მათი ბედი სხვა სავაჭრო კომპანიების უმეტესობამაც გაიზიარა. დანარჩენებისაგან განსხვავებით, მხოლოდ განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფმა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მონოპოლიური პოზიციები შეინარჩუნა. თუმცა, მე-19 საუკუნის დასაწყისში ინდოეთში ვაჭრობაში განსაკუთრებული პრივილეგიები მანაც დაკარგა.

ამრიგად, ეკონომიკაში ხელისუფლების ჩარევის მასშტაბების შემცირებამ მონოპოლიზმი შეკვეცა და კონკურენცია გაზარდა.

აღნიშნული ტენდენციები სამრეწველო წარმოების ზრდამ განაპირობა. ეს იყო სამრეწველო რევოლუციის მსგავსი რამ, რომელიც მე-16 და მე-17 საუკუნეებიდან მოდის[3]. იმ დროს ინგლისში 2,0 ათასამდე განვითარებული საწარმო (მაგალითად, სამთო საქმის, მარილის, სპილენძის, თითბერის, საარტილერიო იარაღის) არსებობდა, რომლესაც მსხვილი კაპიტალისტები აკონტროლებდნენ. თუ მე-18 საუკუნის ბოლოს გამომგონებლობა და მომხმარებლობა რაციონალიზატორული მანქანების არაჩვეულებრივი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა, ეს იმიტომ იყო, რომ თანამედროვე

---

1 **შეგირდი** (ს.) იგივეა, რაც მოწაფე; **შეგირდობა** – შეგირდად ყოფნა.

2 გილდ-ი და გილდია (გერმ. Gilde ამხანაგობა) – დასავლეთ ევროპაში (შუა საუკუნეებში) ვაჭრებისა და ხელოსნების გაერთიანება თავისი ინტერესების დასაცავად.

3 J.U. Nef, The Rise of the British Cool Industry, v. I, L., 1932.

მრეწველობის თავისებური სტრუქტურა ამ საუკუნის დასაწყისში უკვე ყალიბდებოდა.

მე-17 საუკუნის კომერციული (სავაჭრო) კაპიტალიზმის ხელისშემწყობ მეცნიერულ აღმოჩენებს, არსებული დონის გამო, უფრო მეტად განვითარება და გავრცელება არ შეეძლო. საუკუნის განმავლობაში ისინი ვიწრო გამოყენებით ჩარჩოებში მოექცნენ. თუმცა, ამავე დროს აღმოჩენებიც თავის საქმეს აკეთებდა. გაუმჯობესებული მანუფაქტურები[1] უსწრებდა სამრეწველო რევოლუციას. მინერალების[2], ლითონისა და აბრეშუმის წარმოებაში, გემთმშენებლობაში, ყველგან წარმოების ახალი მეთოდები დაინერგა. ადამიანისა და ცხოველის ენერგიის სანაცვლოდ სულ უფრო მეტად ქარისა და წყლის ენერგია გამოიყენებოდა.

ასეთ პირობებში, საზოგადოებრივი აზრი ხელისუფლების ოპოზიციაში აღმოჩნდა, ვინაიდან იგი წარმოების გაფართოებას შესაძლებლად მიიჩნევდა. კომერციული პრივილეგიების საუკუნეში პირადი დაინტერესება მკაცრად შეიზღუდა, რათა ახალი პროცესებისათვის (რომლებიც მათ მონოპოლიას ემუქრებოდა) ხელი არ შეეშალა. მეორე მხრივ, ტექნიკური პროგრესი ახალი ბაზრის მოგებიანობას ვერ დაელოდებოდა. ახალი ბაზარი თვითონ კომერციულმა კაპიტალიზმმა შექმნა.

ამრიგად, პროდუქტის წარმოების გაუმჯობესებითა და გაფართოებით კაპიტალიზმის საფუძვლები შეირყა – ჩამოყალიბდა ფართო ბაზრები და წახალისებული მწარმოებლები, რომლებიც უფრო მეტს და უფრო იაფად აწარმოებდნენ.

ვაჭარმა შეინიშნა მრეწველი, ხშირად კი ის თვითონ ხდებოდა მრეწველი. უკვე მე-18 საუკუნის დასაწყისში წარმოების ორგანიზაცია შეიცვალა. მოგვიანებით მიხვდნენ, რომ აღებ-მიცემობის სისტემა ამავე დროს ქარხნულ[3] სისტემაზე დამყარებულ წარმოების კონცენტრაციას განაპირობებდა.

მერკანტილისტური მიდგომები ზოგიერთ ქვეყანაში ან წარმოების ცალკეულ სფეროებში შეიძლება შენარჩუნებულიყო, მაგრამ იგი დიდხანს ვერ იარსებებდა, ვინაიდან გეზი ქარხნული წარმოებისაკენ იქნა აღებული.

კომერციული კაპიტალის სამრეწველო კაპიტალში შერწყმის პროცესში საქონელთა (ნედლეულის ჩათვლით) ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციამ და ფეოდალური სისტემის ნგრევამ რეალიზებადი საქონლის სიაში მიწაც სწრაფად ჩართო.

დაქირავებული მუშის გაჩენის პროცესი კარგადაა ცნობილი ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან. ყმა-გლეხებს თანდათანობით დამოუკიდებელი ფერმერები და მცირე რაოდენობით დაქირავებული მუშები ცვლიან. რეფორმაციის დროს საეკლესიო მიწების ექსპროპრიაციამ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების კომერციალიზაციამ, რომელიც ვაჭრობის აღორძინებას დაემთხვა, ფეოდალიზმის გაქრობას ბეჭედი დაუსვა და სახელმწიფო ფინანსებისა და მისი შემდგომი განვითარების დაჩქარებით თანამედროვე სისტემა დაამკვიდრა. ვაჭრებმა და ფინანსისტებმა ეს ტრანსფორმაცია მოიწონეს. ფეოდალური პრივილეგიების გაქრობამ და მიწაზე კომერციული ინტერესის გაჩენამ ხელი შეუწყო მათი საკუთარი სტატუსის დამკვიდრებას. წვრილი მემამულეების ექსპროპრიაციამ ჩვეულებრივი მუშა შექმნა, რომელიც მერკანტილიზმის პერიოდს სჭირდებოდა.

სამრეწველო კაპიტალიზმისაკენ მოძრაობამ მე-18 საუკუნეში ახალი იმპულსი შეიძინა. მანუფაქტურული პროცესების კომპლექსურ ზრდასთან ერთად, მრეწველობის გერგილიანობისათვის საჭირო კაპიტალის რაოდენობაც გაიზარდა. ხელოსნებს ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევა შეეძლოთ ან იაფი პროდუქციის გამოშვებით, ან ბაზრებში უფრო ფართოდ მონაწილეობით. თუ ისინი მუშაობდნენ არა საკუთარ ნედლეულზე, არამედ მხოლოდ ვაჭრებისათვის, მაშინ სულ უფრო და უფრო მეტად მათზე დამოკიდებულნი ხდებოდნენ. ადრე თუ გვიან, როცა ის მცირეოდენი სამუშაო იარაღები, რომლებიც მათ გააჩნდათ, ახალ პროცესებთან და დანადგარებთან შედარებით, უვარგისი გახდება, ხელოსნები პოზიციებს დათმობენ და შედარებით უსაფრთხო დაქირავებულ მუშებად

---

1 **მანუფაქტურა** (ლათ. manus – ხელი, facere – კეთება) – 1. დს. ევროპაში კაპიტალისტური წარმოების ფორმა (მე-16–მე-18 სს.), რომელიც წინ უსწრებდა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას; ემყარებოდა შრომის დანაწილებას ხელით შრომის შენარჩუნების პირობებში და დაბალი დონის ხელსნურ ტექნიკას; 2. საფეიქრო მრეწველობის ნაწარმი, ქსოვილები.

2 **მინერალი** (ფრანგ. mineral) – ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ელემენტი დედამიწის ქერქის შემადგენლობაში.

3 **ქარხანა** (სპ.) – ნედლეულის მექანიკური დამუშავების სამრეწველო საწარმო.

იქცევიან. ერთხანს მათ საკუთარ საწარმოში დარჩენა შეუძლიათ, მაგრამ მალე მათ ფაბრიკა[1] დაასაქმებს. აქ ისინი საკუთრებადაკარგულ სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებს შეუერთდებიან და საერთო დინებას მიჰყვებიან.

მთლიანად, ამ პროცესებმა არა მხოლოდ მრეწველი და დაქირავებული მუშა შექმნა, არამედ კაპიტალისტური მრეწველობისათვის ბაზარი უზრუნველყო. ქალაქად და სოფლად სახელოსნოების დახურვა და სოფლის მეურნეობის კომერციალიზაცია ქარხნული წარმოების პროდუქციის შეწოვამ განაპირობა. ამ შიგა ბაზრის საფუძველზე (რომლის ზრდაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განცალკევებით დასრულდა) სამრეწველო კაპიტალიზმი კიდევ ერთხელ შემობრუნდა, ამჯერად საგარეო ვაჭრობისაკენ, რაც მისი განვითარების ერთ-ერთი საფუძველთაგანი იყო.

კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის ურთიერთობა დასაწყისში ისე რეგულირდებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა ცნობილი იყო მხოლოდ ვაჭარი, ხელოსანი-ოსტატი, დაქირავებული მუშა და შეგირდი. დაქირავებული შრომის კანონმდებლობა ქარხნული სისტემის ფუნქციონირების პირველ პერიოდში ხელფასსა და შრომის პირობებს განსაზღვრავდა, მაგრამ იგი მრეწველობის განვითარებისათვის საკმარისი აღარ იყო.

მერკანტილისტების რწმენით, ეკონომიკა დაბალი და მკაცრი ანაზღაურების რეგულირებასაც ითვალისწინებს. ეს იყო შესაფერისი იდეა ვაჭრებისათვის, რომლებიც საქონლის ექსპორტირებისას, ბაზრებში საზღვარგარეთულ კონკურენციას აწყდებოდნენ.

სამრეწველო კაპიტალიზმი იმთავითვე არ ამოქმედებულა პრინციპით – „ეკონომია მაღალი ანაზღაურებით". კაპიტალსა და შრომას შორის თანაფარდობის განმსაზღვრელი მიწოდება-მოთხოვნა გახდა. ახალი აღმოჩენებით გამოწვეულმა პროგრესმა შრომის სიჭარბე წარმოშვა და ასეთ პირობებში ძველი რეგულატორები მხოლოდ მინიმალური ანაზღაურების შესანარჩუნებლად გამოიყენებოდა.

ბოლოსდაბოლოს, კაპიტალისტსა და მუშას შორის მოლაპარაკებები შრომითი კონტრაქტის დადების საერთო საფუძველი გახდა. ეს იყო ორმაგი პროცესის შედეგი: პირველი – მრეწველის ხელში კაპიტალის კონცენტრაციისა, რომლებიც საჭიროზე მეტ მწარმოებლურ საშუალებებს ფლობდა და მეორე, – ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შესაბამისად გილდიებისა და მიწათმფლობელებისაგან კანონიერი განთავისუფლება და მათი დამოუკიდებელი გადაადგილება.

მუშა უკვე კონტრაქტის დადებაში თავისუფალი იყო. ის მზად იყო ძლიერი, მზარდი კომპლექსური წარმოებისათვის მიეყიდა თავისი შრომა, რათა თავისი არსებობა უკეთ უზრუნველეყო. საუკუნის შუა პერიოდში შრომის თავისუფალი ბაზრის დამკვიდრების პროცესი იმდენად შორს წავიდა, რომ ნებისმიერ მესამე პიროვნებას მყიდველსა და გამყიდველს შორის ფიქსირებული ფასის დარეგულირება კონტრაქტის მონაწილეთა მხარდაჭერის გარეშე არ შეეძლო.

თავისუფალი ბაზრის კვალდაკვალ, თანამედროვე ტიპური შრომითი პრობლემები წარმოიშვა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე უკვე გვხვდება იმის მაგალითები, როგორ ერთიანდებოდნენ მშრომელი ადამიანები თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თავდაპირველად ასეთი „მეგობრული საზოგადოებების" ფუნქციებში პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის რიტუალის[2] დახვეწის მცდელობა შედიოდა, მაგრამ თანდათანობით უფრო ნათლად გამოიკვეთა მიზანი – ისინი გადაიქცნენ ასოციაციებად, რომელთა ძირითადი საზრუნავი დამქირავებელთან შრომის ანაზღაურებისა და პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა იყო.

2.2. ახალი ეკონომიკური იდეები

მე-18 საუკუნეში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება მკვეთრად დაჩქარდა. ორმოციან წლებში კლასიკოს-ეკონომისტთა ნაშრომებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ახალი განვითარების ფესვები თითქმის ორი საუკუნით ადრე უნდა ვეძებოთ.

ძირითადად სამი მიმდინარეობა თან სდევდა სავაჭრო კაპიტალიზმის სამრეწველო კაპი-

---

1 ფაბრიკა (ლათ. fabrica – სახელოსნო) – მანქანური წესით ნედლეულის გადამმუშავებელი სამრეწველო საწარმო.

2 რიტუალი (ლათ. ritualis) სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა.

ტალიზმში გადასვლის პერიოდს, რომელიც კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა:

პირველი, ფილოსოფიური — პოლიტიკური აზროვნების განვითარება მისი კანონიკური[1] საწყისიდან რადიკალიზმამდე;

მეორე — ინგლისური ეკონომიკური აზროვნების პროგრესი **გვიანდელი მერკანტილისტების** სახით;

მესამე - ფრანგული **ფიზიოკრატიული** სისტემა, რომელიც მე-18 საუკუნეში მოაზროვნეთა ერთმა ჯგუფმა განავითარა.

ეკონომიკურმა პროგრესმა ეკლესიის ავტორიტეტი გარკვეულწილად მთელს მსოფლიოში შეარყია. ეკლესიის გავლენიდან განთავისუფლებული აზროვნება თანდათან მერკანტილიზმში გადაიზარდა. ეკონომიკური ქმედებები თეოლოგიურ[2] კანონებს სულ უფრო ნაკლებად ანგარიშს უწევდა. ეკონომიკური აზროვნება ძალას იკრებდა.

ადრეული პერიოდის მერკანტილისტები კვლავ ნორმატიული ელემენტების დაცვით იყვნენ დაკავებული. მათი შრომების ანალიზი ცხადყოფს, თუ რა იდეები იყო მანამდე ერთმანეთში გადახლართული. თუმცა პოლიტიკური აზროვნების სფეროში თეოლოგიისაგან განთავისუფლება უფრო რადიკალურია. ზოგიერთი მოაზროვნე ეკონომიკური საკითხების კვლევით იყო დაკავებული. მაგალითად, ფრანგი ჟან ბოდენი (1530-1596)[3], რომელიც, როგორც განათლებული პიროვნება, ერთერთი იმათგანი იყო, ვინც ადამიანისა და ღმერთის დაკავშირების ნაცვლად, ადამიანი ადამიანთან დააკავშირა და სოციალური ცნობიერება დააფუძნა.

ახალმა აზროვნებამ ძირი შეურყია არსებულ თეორიას. ამ მიმართულებით უდიდესი გავლენა იტალიელმა ნიკოლო მაკიაველმა (1469-1527) მოახდინა. მან შეამჩნია შუა საუკუნეების საზოგადოების ლპობა, რომლისთვისაც ისეთი გარემო იყო ხელსაყრელი, როგორიც, მაგალითად, მე-16 საუკუნის იტალიაში არსებობდა. იქ, საერო ძალაუფლების საეკლესიოთი შეცვლა და ეროვნული ერთობისათვის ბრძოლა განსაკუთრებით მძაფრ ფორმებს იღებდა. მისი კვლევის მეთოდი სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან დაახლოებას ითვალისწინებდა. არაერთგზის ციტირებულ პასაჟებში იგი ღიად კიცხავდა მათ, ვინც თავიანთ წარმოდგენაში იდეალური რესპუბლიკის აშენებას ცდილობდნენ: პიროვნებას უნდა ესმოდეს უდიდესი განსხვავება იმას შორის, თუ რა იყო და რა უნდა იყოს ადამიანი. წმინდანობის მცდელობა, როდესაც ქვეყანაზე ამდენი უზნეო უწმინდურია, დამღუპველია; მაკიაველი „**ხელმწიფეში**" (1532) მიუთითებდა, რომ საჭიროა არა უმანკო, არამედ — მოძღვარი ადამიანი; ძლიერი სახელმწიფო და ამ მიმართულებით გამოყენებული ყველა საშუალება გამართლებულიაო.

მაკიაველს ბევრი შეცდომაც ჰქონდა. მისი აზრით, კომპლექსური ძალები ქმნის ისტორიას, სოციალური განვითარება მისთვის მხოლოდ დიდი ადამიანების საქმეა. მას მინიმუმამდე დაჰყავდა ტრადიციული იდეების ძალა. ეს მხოლოდ რენესანსის პერიოდის მეფეების ხვედრია იტალიაში — მიუთითებდა იგი.

ასევე საყურადღებოა ფრანგი მეცნიერის, ჟ.ბოდენის შეხედულებები. იგი შეშფოთებული იყო რელიგიური ომების პრობლემებით. მან საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური ხელისუფლებისათვის საჭირო თეორიას. ბოდენს სურდა ამ თეორიის მარადიულობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი გამოდიოდა თანამედროვე უმაღლესი ხელისუფლების ინტერესების დამცველად, რომელიც ყველა კანონისა და ბრძანების პირველწყარო უნდა ყოფილიყო. ბოდენს განუსაზღვრელი ძალაუფლებს საშიშროებაც შეგნებული ჰქონდა. საღვთო და ბუნების კანონებმა ხელისუფლების ძალაუფლების შემზღუდველი საზღვარი უნდა დაადგინოსო, — თვლიდა იგი. მან ყურადღება გაამახვილა როგორც კერძო მესაკუთრის უფლებებზე, ასევე თავისუფალი ვაჭრობის სიკეთეზე.

ამრიგად, ბოდენი **ეკონომიკური ლიბერალიზმის წინამორბედი** გაცილებით უფრო მეტად იყო, ვიდრე მე-17 საუკუნის ნატურალ-ფილოსოფოსები.

მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, მე-16 საუკუნის ინგლისი, იტალიისა და საფრანგეთის მსგავსად, სულიერი რევოლუციის მოწმე იყო, რომელმაც განსახიერება მაკიაველსა და

---

1 **კანონიკური** (ბერძნ. Kanonicos) — საეკლესიო კანონთან დაკავშირებული.

2 **თეოლოგია** (ბერძნ. Theologia) — მოძღვრება ღვთისა და რელიგიური დოგმატების შესახებ; ღვთისმეტყველება.

3 ჟ.ბოდენისა და ნ.მაკიაველის შეხედულებები ვრცლად განხილულია მეორე თავში.

ბოდენში ჰპოვა. კომერციული ძალები თავისუფალ ადამიანზე დომინირებენ და გზას თეორიებისა და ექსპერიმენტების ახალ ერას უხსნიან. მეცნიერების თითქმის ყველა სფეროში სიცოცხლის ახალ გზებს თან ახლავს ახალი პრობლემები და მათ პირდაპირ გასღვევთ ვაჭრობის განვითარების საჭიროება, რომელიც პასუხებს მოითხოვს.

აღნიშნული პერიოდის სოციალურ მოაზროვნეთა შორის ინგლისელ ფილოსოფოს ფ.ბეკონზე (1561-1626) უკეთესად ეპოქის სული ვერავინ გამოხატა, რომელიც უდიდესი მნიშვნელობის ფიგურა იყო შემდგომი განვითარებისათვის. მან ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული მეცნიერებისათვის ფილოსოფიური საფუძვლები, ადამიანისა და საზოგადოების შესწავლისას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან რაციონალური კვლევის მეთოდი გამოიყენა. ისევე, როგორც მაკიაველმა ხელისუფლების მხარდაჭერაში პრაქტიკული რეკომენდაციებით თავისი წვლილი შეიტანა, ასევე ბეკონმაც ხელისუფლების მხარდამჭერი ფილოსოფია შექმნა. მისი დამოკიდებულება ეკლესიისადმი შემწყნარებლურია, იგი ეკლესიას ძლიერი ხელისუფლების ხელში სასარგებლო ინსტრუმენტად ხედავს. მონარქია, მისი აზრით, ბუნებრივი სისტემაა და მისდამი მორჩილება ბუნებრივი ვალდებულებაა.

ასეთმა მიდგომებმა ნათელი ასახვა პოვა მე-17 საუკუნეში ინგლისელი ფილოსოფოსის თომას **ჰობზის** (Hobbes, 1588-1679) შეხედულებებში. მან 1608 წ. დაამთარა ოქსფორდის უნივერსიტეტი.

მეფის ღვთიური უფლების მხარდასაჭერად ჰობზმა ბეკონის იდეების ახალი ინტერპრეტაცია მოგვცა, რაც ხელისუფლების სუვერენულობაში მდგომარეობს, განსაკუთრებით გამოკვეთა იძულება, როგორც სახელმწიფო ორგანიზაციის საერთო ელემენტი. ზოგადად, სახელმწიფო შეიცავს აბსოლუტურ სუვერენიტეტს, რომელიც სრულ მორჩილებას მოითხოვს. თუმცა, მეფეები ღვთიური უფლების მეშვეობით თავის ძალას არ ფლობენ. მართალია, მათი კანონიერების საბოლოო მსაჯული ღმერთი იყო, მაგრამ მათი ძალა დედამიწაზე ზუსტად მათი მდგომარეობიდან გამომდინარეობდა. ნებისმიერი კანონმდებელი სამეფოს ძირითად ატრიბუტებს ფლობდა.

ჰობზს სწამდა სუსტი და ძლიერი მხარეების მქონე ხელისუფლების, რომელიც კონფლიქტური ინტერესების მქონე კლასებზე მაღლა იდგა. ეს იყო თეორია, რომლის არსებობაც აუცილებელი იყო იმ საუკუნეში, როცა სოციალური კონფლიქტები ყველას ინტერესებს მოიცავდა და როცა ეკონომიკური ძალები ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დასამკვიდრებლად იღწვოდნენ. ჰობზის მიდგომები თავისივე ექსპერიმენტებით შეზღუდული იყო და მოკლე დროში მისი მნიშვნელობა მთლიანად შეიცვალა.

მიუხედავად ამისა, ჰობზის ნაშრომები ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია. მისი საფუძველი ინდივიდუალიზმია. მაკიაველის მსგავსად, ისიც გულწრფელად აღიარებდა ინდივიდუალურ ზრახვებს, რომლის საწყისი პირადი ინტერესებია. ასეთი მიდგომა სუვერენული ხელისუფლებისადმი ინდივიდუალურის ძლიერი დაპირისპირებაც იყო.

გარდა ამისა, <u>ლიბერალური იდეების დამკვიდრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მის ნაშრომში „ლევიათანი“</u> (Leviathan, 1658) გაკეთებული დასკვნა, რომ <u>ვაჭრობის თავისუფლება „ბუნებრივი კანონია“</u>.

ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ **ლოკის** (Locke, 1632-1704) ნაშრომები წინსვლის შემდგომი გაგრძელებაა. ჩვენ მოკლედ კიდევ შევეხებით მის ეკონომიკურ შეხედულებებს. პოლიტიკური აზროვნების სფეროში მისი ადგილი მნიშვნელოვანია. მან წარსული აზროვნების ყველა ელემენტის სინთეზირება მოახდინა, რომელშიც თავმოყრილია იმ საუკუნისათვის ვარგისი პოლიტიკური ფილოსოფიები, როცა კაპიტალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა.

<u>პირადი ინტერესის რეალიზაცია, როგორც ქცევის ძალის მტკიცე</u>, დამახასიათებელია ლოკის პოლიტიკური ფილოსოფიისათვის, მაგრამ მისთვის არა შუასაუკუნეობრივი ეკლესია და ბეკონის ღვთიური უფლების მქონე მეფე, არამედ ინდივიდუალური ატომების გარეშე შედგენილი ჩვეულებრივი სხეული არსებობდა.

ლოკი, როგორც მამულების მფლობელი ინგლისში, ვაჭრობასთან კონტაქტში იყო. მას, თავისუფალ ვაჭართა ასოციაციის სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობა სასარგებლო ბუნებრივ ფორმად მიაჩნდა.

ჯ.ლოკი კონსტიტუციური მონარქიის მქონე ქვეყანაში მოღვაწეობდა, სადაც რაციონალიზმმა თავისი პოლიტიკური გამოხატულება ჰპოვა. თავისუფლება, მისი აზრით, უნდა შემოიფარგლოს

მხოლოდ ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. მისი საფუძველია შრომით და გონიერებით შეძენილი ქონება, რომლის უსაფრთხოებაც ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს. ეს ფილოსოფია ეკონომიკის ახალ პირობებს მიესადაგებოდა. ეს ის გამარჯვება იყო, რომელიც მოპოვებულ იქნა შუა საუკუნეებთან შედარებით. უფრო მეტიც — ეს იყო ხელისუფლების ძალაუფლების შემცირების სიმპტომი, რომელსაც სავაჭრო კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან ბრძოლის საწყის ეტაპზე ქმნის.

3. უილიამ პეტი (1623–1687)

3.1. სამედიცინო განათლებით ეკონომიკაში

. ეკონომიკური აზროვნება ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს მალე გამოეხმაურა. თუმცა, ასი წელი დასჭირდა იმას, რომ სრულად გაეცნობიერებინათ რევოლუცია, რომლის მოწმენიც თავად იყვნენ.

კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ შეიცვალა ეკონომიკური აზროვნებაც: კვლევის აქცენტმა ვაჭრობიდან წარმოებაზე გადაინაცვლა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ეკონომიკურ აზროვნებაში განსახიერდა იყო **ფასისა და ღირებულების პრობლემათა კვლევის წინა პლანზე წამოწევა**. ამ დრომდე ეს პრობლემები ძირითადად გაცვლის თვალსაზრისით განიხილებოდა.

თუმცა, არისტოტელეც და მისი მოწაფეებიც გაცვლის სამართლიანობის პრობლემას ეხებოდნენ და მიაჩნდათ, რომ ეს პროცესი ისეთნაირად უნდა წარიმართოს, რომ გაცვლა ეკვივალენტურობის პრინციპებზე ყოფილიყო დამყარებული.

მერკანტილიზმის ეპოქაში ამ საკითხთან დაკავშირებით დასმული კითხვები და პასუხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა.

გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, მერკანტილისტები ფასების კვლევის საკითხებში ერთიან პოზიციებზე იდგნენ. მათი დოქტრინით, ქვეყნის სიმდიდრის საფუძველია მოგებიანი გაყიდვა ვაჭრობის პროცესში, როდესაც გამყიდველი ყიდის უფრო ძვირად, ვიდრე მან იყიდა. ამის შედეგია მერკანტილისტთა დასკვნები საგარეო ვაჭრობის თავისუფლებაზე და მათი შეზღუდული მოსაზრებები ფულის, ფასისა და სხვ. შესახებ.

მრეწველობის ზრდასთან ერთად მკვლევართა ყურადღების ცენტრში წარმოების პროცესი მოექცა. წარმოების პროცესი თავისი ახალი ფორმით ცვალებად სოციალურ დაპირისპირებებს შეიცავდა, რაც, როგორც ჩანს, ეკონომიკური აქტივობისათვის არსებითი იყო. სოციალურ შეგნებაში სიმდიდრის ცნების დამკვიდრებას დიდი ხანი არ დასჭირდა. ამ დროიდან სიმდიდრისა და ღირებულების პრობლემა ახლებურად იქნა გააზრებული.

ეკონომიკური აზროვნების ასეთი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდა. ღირებულების პრობლემათა კვლევა ინგლისში, იტალიასა და საფრანგეთში ანალიზის ცენტრში მოექცა.

ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, რომელმაც ნიადაგი მოამზადა კლასიკური სისტემისათვის, უილიამ პეტი (Petty). ღარიბი ფეიქრის, ენტონი პეტის შვილი დაიბადა ქ.რამშში (ინგლისი). სამედიცინო განათლება პარიზისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში მიიღო, ხასიათდებოდა მრავალმხრივი ნიჭით, გახდა დოქტორი ფიზიკაში (1649), პროფესორი (1651) ანატომიასა და მუსიკაში, იყო მსხვილი მიწათმფლობელი, 1652 წელს ოლივერ კრომველის (1599-1658) მთავრობის დავალებით ჩაატარა ირლანდიის მიწების აღწერა, მიღებული ჰქონდა ინგლისის პერის[1] წოდება. 1658 წელს არჩეულ იქნა პარლამენტის წევრად, სადაც წამოაყენა საგადასახადო სტრუქტურების რეორგანიზაციისა და ვაჭრობის გაუმჯობესების პროექტები.

უ.პეტს მრავალფეროვანი კარიერა ჰქონდა. იყო სწავლული ადამიანების კომპანიის წევრი, რომლებიც ლონდონსა და ოქსფორდში იკრიბებოდნენ. მოგვიანებით ეს კომპანია **სამეფო საზოგადოებად** (ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემია) გადაკეთდა. იგი ამ საზოგადოების დამფუძნებელთა საბჭოს წევრი გახდა.

---

1 პერი (ფრანგ. — pair) ინგლისში თავადაზნაურთა უმაღლესი ფენის წარმომადგენელთა წოდება.

3.2. „პოლიტეკონომიის კოლეგები"

უ.პეტმა თავისი ეკონომიკური ნაშრომებით სრულყო ეკონომიკური აზროვნება. მწირი მერკანტილური ინტერესებისაგან განთავისუფლება მას მე-17 საუკუნის სხვა ეკონომისტებისაგან განასხვავებს. მისი ეკონომიკური ნაშრომები ასი წლის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პეტის წვლილი ზოგადად ეკონომიკურ აზროვნებაში. ამ მიმართულებით მისი მთავარი ნაშრომებია:[1] **„ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებელთა შესახებ"** (1662), **„სიტყვა ბრძენებს"** (1665), **„ირლანდიის პოლიტიკური ანატომია"** (დაიწერა 1672 წ., დაიბეჭდა 1691 წ.), **„ზოგი რამ ფულის შესახებ"** (დაიწერა 1682 წ., დაიბეჭდა 1695 წ.).

უ.პეტი ითვლება **კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის ფუძემდებლად**. ასე მაგალითად, მაკულოხი მას შრომითი ღირებულების თეორიის ფუძემდებლად მიიჩნევდა. პეტიზე, როგორც პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელზე, ხაზგასმით მიუთითებდნენ კ.მარქსი ნაშრომებში – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", „კაპიტალი", ფ.ენგელსი „ანტი-დიურინგში" ... ამასთან, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით (მაგ., ი.შუმპეტერი), უ.პეტი არ არის შრომითი ღირებულების დოქტრინის ფუძემდებელი. ზოგიერთის მიერ იგი მხოლოდ მერკანტილიზმის ერთ-ერთ წარმომადგენლადაა დასახელებული.

3.2.1. კვლევის მეთოდი

უ.პეტის **მეთოდოლოგია** ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ეკონომიკური პრობლემების შიგა მიზეზების კვლევას, მეორე მხრივ კი, მოვლენათა რაოდენობრივი მხარის გაანალიზებას. იგი კვლევებში ფართოდ იყენებს სტატისტიკური ანალიზის მეთოდს და **საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნის საფუძველს წარმოებაში ეძებს**.

კვლევის მეთოდის თვალსაზრისით უ.პეტი მკვეთრად განსხვავდება მისი წინამორბედებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პეტი თომას ჰობზის მოწაფე იყო, იგი მერკანტილისტი არ ყოფილა.

მართალია, პეტი იზიარებდა ჰობზის პოლიტიკურ ფილოსოფიას, მაგრამ მან მაინც აღიარა ისეთი ეკონომიკური კატეგორიების კვლევის მნიშვნელობა, როგორიცაა სიმდიდრე, ღირებულება და ეს იყო სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში იმ ცვლილებების გამოხატულება, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამრეწველო კაპიტალიზმის ევოლუციის პერიოდში.

3.2.2. სტატისტიკური მეცნიერების ფუძემდებელი

უ.პეტის მთავარ დამსახურებად **„პოლიტიკური არითმეტიკის"** (სტატისტიკის) შექმნას მიიჩნევენ, თუმცა მისი მოსაზრებები ღირებულების, რენტის, ხელფასის, ფულისა და შრომის დანაწილების შესახებ ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლების დამუშავებაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ნაშრომში – **„ნარკვევები პოლიტიკური არითმეტიკის შესახებ"** (დაიწერა 1676 წ., გამოქვეყნდა 1683 წ.)[2] პეტის ეკონომიკური გამოკვლევები მიმართულია ცალკეული სტატისტიკური მაჩვენებლის ანალიზისაკენ. ეს იყო მისი მეთოდის თავისებურებაც, რაც სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგად თეორიულ დასკვნებში გამოიხატა.

პეტის **სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად** ასახელებენ. იგი ამ მეცნიერებას სამართლიანად განიხილავდა, პირველ რიგში, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მონათესავე დისციპლინას. იგი არა მხოლოდ თავისი საკუთარი პრაქტიკით აჩვენებდა ამას, არამედ ასწავლიდა, თუ როგორი სახით უნდა ყოფილიყო მონაცემები შეგროვილი და დაჯგუფებული.

პეტი სტატისტიკური ანალიზის ფართო მნიშვნელობას არ უარყოფდა. ყველგან, – „პოლიტიკურ არითმეტიკასა" თუ სხვა სტატისტიკური ხასიათის ნაშრომებში მან ფაქტობრივი გამოკვლევები

1 **Petty** W.: A Treatise of Taxes and Contributions, 1662; Verbum Sapienti, 1665; The political anatomy of Ireland, 1672; Quantulumcunque Concerning Money, 1682.

2 **Petty** W., Essays in political arithmetick, 1683.

ჩაატარა და თეორიულ ანალიზთან მიმართებით მათი ადგილი აჩვენა.

შემთხვევითი როდია, რომ მან პირველმა დასვა საკითხი სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ბუნებრივია, რომ პეტი თავის დამსახურებად მიიჩნევდა „პოლიტიკური არითმეტიკის" – სტატისტიკის გამოგონებას.

3.2.3. სახელმწიფო ფინანსები

სახელმწიფო ფინანსებით მისი დაინტერესება შემოსავლის ზრდის ფეოდალური მეთოდების მოძველებამ და ეროვნული დაბეგვრის სისტემათა კვლევაზე აქცენტირებამ განაპირობა. არსებული პრობლემები დღის წესრიგში ღირებულებისა და სიმდიდრის საკითხთა კვლევის აუცილებლობას აყენებდა.

ნაშრომში „ტრაქტატი გადასახადების და მოსაკრებლების შესახებ" სახელმწიფო შემოსავლების წყაროებზე, ხარჯების ფორმებზე უკვე პირდაპირი მსჯელობა იყო.

პეტის შეხედულებები სახელმწიფო ფინანსების შესახებ, მეტად მნიშვნელოვანია მომავალი განვითარებისათვის. იგი ეთანხმება მათ, ვინც გადასახადების პრობლემათა კვლევის აქტუალურობას აღიარებს, მაგრამ გრძნობს, რომ გადასახადების პრინციპები ხშირად არ უნდა იცვლებოდეს: უფრო მეტი გადასახადის ძალით ამოღება შესაძლებელია, მაგრამ სახელმწიფომ ასეთ გზას ხშირად არ უნდა მიმართოს. მისი შეხედულებით, გონივრულად დახარჯული ფული, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას წაახალისებს და ამის შედეგად ფულადი სახსრები ხალხის ჯიბეებს გაზრდილი რაოდენობით დაუბრუნდება.

პეტი სახელმწიფო მოხელეებისაგან სახელმწიფო ფულადი სახსრების გონივრულად ხარჯვას მოითხოვდა. იგი კიცხავდა ძვირადღირებულ ომებს და ჭარბი შტატების არსებობას. ამავე დროს, უმუშევართათვის სახელმწიფო სახსრების გამოყოფას მოითხოვდა, ვინაიდან ისინი, როგორც თვითონ ამბობდა, დასაქმების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.

მზარდი გადასახადების შესახებ პეტის მოსაზრებებში ჰობზის ფილოსოფიის ზეგავლენა იგრძნობა: იგი გულწრფელად აღიარებს ინდივიდუალურ ინტერესებს და ყურადღებას საკუთრებაზე ამახვილებს; ხელისუფლებამ ინდივიდის საკუთრება უნდა დაიცვას; ინდივიდმაც წელილი უნდა შეიტანოს თავისი ქონების პროპორციულად ხელისუფლების დანახარჯებში.

პეტის შეხედულებით, გაზრდილი გადასახადი მეფის ზედმეტად ხელგაშლილობას უკავშირდება და იგი მოსახლეობის გადახდისუუნარობის გამო არასამართლიანია. მისი აზრით, გადასახადი შემოსავლის პროპორციული უნდა იყოს.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, პეტი ჩაერთო ყველაზე დახლართულ ეკონომიკურ ანალიზში. „ტრაქტატში" ავტორმა გადასახადების აკრეფის განსხვავებული გზები მოსინჯა.

მისი აზრით, გადასახადის აკრეფის საუკეთესო ბაზაა რენტული შემოსავლები. ამან მეფეს მეტი უსაფრთხოება და ვალდებულებები უნდა შეუქმნას. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სანამ ადამიანი მიწას ფლობს, გადასახადების აკრეფის ასეთი სისტემა ყველაზე უკეთესი იყო. მიწის მომავალ მყიდველებს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ რენტული გადასახადი: გადასახადი შემოსავლებიდან გამომდინარე პროპორციულად უნდა შეეხოს როგორც მიწის მესაკუთრეს, ასევე ყოველ ადამიანს, რომელიც მიწაზე მოყვანილი პროდუქტით იკვებება.

უ.პეტი საქონლის ფასებზე მსჯელობს ნაშრომებში: „ტრაქტატი...", „ზოგი რამ ფულის შესახებ" და „ირლანდიის პოლიტიკური ანატომია".

3.2.4. „შრომა — სიმდიდრის მამა"

პეტის პოზიციის გასაგებად მნიშვნელოვანია იმ მახვილის შემჩნევა, რომელსაც პეტი შრომაზე, როგორც სიმდიდრის წყაროზე აკეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ადამ სმითივით ამ თვალსაზრისს ნათლად არ გამოხატავდა, მან მაინც დაგვანახა, რა მერკანტილისტების დოქტრინიდან შორს წავიდა.

პეტის გამოთქმით, „შრომა არის სიმდიდრის მამა და მიწა – მისი დედა"[1]. სხვა ადგილას იგი

1 Петти В., Трактат о налогах и сборах – в кн.: Антология экономической классики..., М., 1993, გვ. 54.

მიუთითებს „სიმდიდრეზე, აქციებზე, ეროვნულ შემოსავალზე", რომლებიც შრომის შედეგია.

პეტიმ აგრეთვე გააცნობიერა, რომ შრომის ტიპური ფორმა ახალ სოციალურ სტრუქტურაში **დანაწილებული შრომა** იყო. აჩვენა, რომ შრომის დანაწილების შედეგად წარმოების გაიაფება და გაუმჯობესება განსაკუთრებით შესამჩნევია დიდ ქალაქებსა და არსებულ სპეციალიზებულ მანუფაქტურებში.

შრომის შესახებ ასეთი მიდგომა საფუძვლად დაედო პეტის შეხედულებებს ღირებულებისა და ფასის თაობაზე. **ღირებულების წყაროდ მან შრომა დასახელა, ხოლო ღირებულების სიდიდე კი შრომის მწარმოებლურობასთან დააკავშირა.**

იგი გვიჩვენებს ღირებულების კვოტირებას: როცა ნებისმიერი პიროვნება გაემგზავრება იმ ქვეყანაში, სადაც არის ვერცხლი, ამოთხრის, გაასუფთავებს მას და წაიღებს იმ ადგილას, სადაც სხვა პიროვნებამ ხორბალი აწარმოა; როდესაც იგივე პიროვნება ვერცხლს ამუშავებდა, სხვები მისი არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებს აწარმოებდნენ. იგი ვერცხლს მიიჩნევდა ხორბლის რაოდენობრივი ეკვივალენტის ერთ-ერთ გამოცდილ საშუალებად. აქედან გამომდინარეობს, რომ ბუშელი[1] ხორბლის საფასური ვერცხლის გარკვეული რაოდენობის ტოლია. „თუ ერთი უნცია ვერცხლის მოპოვება და პერუს სამადნეებიდან ლონდონში მიტანა, — წერდა პეტი, — ადამიანს იმავე დანახარჯით შეუძლია, რაც მას ერთი ბუშელი ხორბლის საწარმოებლად სჭირდება, მაშინ პირველი პროდუქტი შეადგენს მეორის ფასს"[2].

უ.პეტის ასეთი მსჯელობებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ღირებულების წყაროა მასზე დახარჯული შრომა და, ბუნებრივია, რომ იგი **შრომითი ღირებულების დოქტრინის ფუძემდებელი** ხდება.

პეტი სხვა საკითხებშიც კარგად ერკვევა. მისი მტკიცებით, თუ მუშათა გაფიცვამ დიდი მასშტაბები შეიძინა, მაშინ ზემოთ მოყვანილი ანალიზი ყოველთვის არ გამოდგება.

მიუხედავად იმისა, რომ პეტის შეხედულებები ეკვივალენტურობისა და დაბალანსების პრინციპებს გულისხმობდა, მისი მოსაზრებები ხშირად იცვლებოდა. მან ერთმანეთისაგან განასხვავა პროდუქტის ბუნებრივი ფასი და პოლიტიკური ფასი. პროდუქტის **ბუნებრივი ფასი** დახარჯულ შრომას დაუკავშირა, ხოლო **პოლიტიკური ფასი** მუდმივად ცვალებად ფასს.

სხვა ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ მიწოდებაზე, მოთხოვნასა და, შედეგად, ღირებულებაზე, პეტის აზრით, ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებები და ხასიათია, ვინაიდან ყველა საქონელს თავისი შემცველი გააჩნია და თითქმის ყველას სხვადასხვა გზით გამოყენება შეიძლება.

მიუხედავად ყველა ამ შემთხვევითი ფაქტორისა, პეტისთან შრომა რჩება ღირებულების ნამდვილ წყაროდ და საზომად.

3.2.5. ხელფასი

უ.პეტის განცხადებით, დაქირავებულ მუშას შრომის ისეთი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, რომელიც უზრუნველყოფს მისი და მისი ოჯახის წევრთა **სარსებო მინიმუმს**. მაგრამ თუ იგი სანახევროდ მუშაობს, საზოგადოება შრომის პროდუქტს კარგავს.

ამრიგად, პეტიმ **მუშის ხელფასი სიცოცხლისათვის აუცილებელ სარსებო საშუალებათა მინიმუმით განსაზღვრა.**

ასეთი კავშირის ხაზგასმა მეტად მნიშვნელოვანია და იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მუშა სამუშაოს შესრულებისათვის მის მიერ შექმნილი ღირებულების მხოლოდ ერთ ნაწილს იღებს. მაგრამ, თუ პეტის შრომით შექმნილი ჭარბი პროდუქტის არსებობის სჯერა, მაშინ ის მას მხოლოდ მიწაზე წარმოების შემთხვევაში გვიჩვენებს. მან უკვე იცოდა, რომ რენტა მოგებასთან უშუალო კავშირშია. ამასთან, უ.პეტიმ რენტა წარმოების პროცესს დაუკავშირა და იგი განმარტა, როგორც შექმნილი პროდუქტის ღირებულების ნაწილი.

---

1 ბუშელი (ინგლ. bushel) — ფხვიერი სხეულების საწყაო ინგლისში (ულრის 36,4 ლიტრს).

2 კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტ.), ნაწ. I, გვ. 429.

3.2.6. რენტა

უ.პეტიმ რიკარდომდე ჩამოაყალიბა შეხედულებები **დიფერენციალური რენტის შესახებ**. დიფერენციული რენტა მან **გასაღების ბაზრებიდან მიწის ნაკვეთების განლაგებასთან** დაუკავშირა.

პეტი წერდა, რომ თუ ხორბალი, რომელიც გათვალისწინებულია საკვებად ლონდონელებისათვის, ორმოცი მილის მანძილიდან შემოიზიდება, მისი ფასი უფრო ძვირი იქნება, ვიდრე ლონდონიდან ერთი მილის მანძილიდან შემოზიდული იგივე პროდუქტი. მათ ფასებს შორის განსხვავება იქნება იმდენი, რამდენიც ჯდება ოცდაცხრამეტ მილზე მისი გადაზიდვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მან **შენიშნა აგრეთვე დიფერენციული რენტის კავშირი ნიადაგის ნაყოფიერებასთან**.

3.2.7. მიწის ფასი

შემდგომი დასკვნა, რომელიც პეტის უნდოდა ჩამოეყალიბებინა, ეხება **მიწის ფასს**. მიზეზი, რის გამოც პეტიმ ამ პრობლემას ყურადღება მიაქცია, საინტერესოა და გვიჩვენებს შეცდომას, რომელმაც მას (მიუხედავად მისი გენიოსობისა) თავგზა აუბნია.

მიუხედავად ყველაფრისა, იგი, როგორც ჩანს, სრულად არ იყო გარკვეული, თუ რა როლს ასრულებს მიწა ღირებულების შექმნაში. ჩვენ ეს დავინახეთ იქ, სადაც მან ღირებულების განსაზღვრისას **მიწა** და **შრომა** გააერთიანა[1]. მის აზროვნებაში გაცვლა-ღირებულება და მოხმარება-ღირებულება აირია. რასაც ის მოგვიანებით შეეხო მიწისა და შრომაზე მსჯელობისას (სადაც განიხილა გაცვლა-ღირებულება), ეხებოდა მხოლოდ შრომას.

მისი აზრით, ყველა საგანს ღირებულება ორი ბუნებრივი დენომინაციით[2] (მიწა და შრომა) განსაზღვრული უნდა ჰქონდეს — ღირებულება შეიძლება გამოიხატოს ერთ-ერთი მათგანით, მაგრამ უკეთესია — ორივეთი ერთად.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, თუ როგორ განმარტა პეტიმ შრომის ღირებულება. **მიწის ფასი** მან განსაზღვრა, როგორც კაპიტალიზებული[3] რენტის თავისებური ფორმა და როგორც **გარკვეული წლების რენტათა ჯამი**.

ამან აშკარად დაარღვია მისი ორიგინალური დოქტრინა მიწისა და შრომის შესახებ, ვინაიდან მან უკვე განსაზღვრა რენტა, როგორც შრომის ჭარბი პროდუქტი. მას თვითონ არ ჰქონდა გაცნობიერებული ეს შეუსაბამობა და კითხულობდა: რა ხარისხით უნდა იყოს რენტა კაპიტალიზებული? ამ შეკითხვას ზუსტი პასუხი ვერ გასცა, რადგან მან სწორად ვერ გაიგო **სარგებლის კატეგორია**. ეს უკანასკნელი ესმოდა, როგორც **ფულადი რენტა ანუ, მისი აზრით, ფულის გამსესხებელს იმ რაოდენობის რენტა უნდა მიეღო, რამდენსაც ამ თანხით შეძენილი ნაკვეთი მისცემდა**[4].

პეტის მტკიცებით, მიწის ფასი განისაზღვრება გარკვეული პერიოდის რენტათა ჯამით. საფუძვლიანი შეფასებისათვის პეტი **იხილავს სამ თაობას**. მისი აზრით, ინგლისში სამი თაობის ერთად ცხოვრების პერიოდი ოცდაერთი წელია, ამიტომ მიწის ფასიც 21 წლის რენტათა ჯამით განისაზღვრება[5]. სხვადასხვა ქვეყანაში ეს მაჩვენებელი შეიძლება სხვანაირად იყოს, თვლიდა იგი, იმისდა მიხედვით, თუ როგორია იქ ქონებრივი უფლებები, მოსახლეობის რაოდენობა და სამი თაობის შეფასება.

3.2.8. ფული და ფულის მიმოქცევის სიჩქარე

ადრინდელ ნაშრომებში პეტის მოსაზრებები ფულის შესახებ მერკანტილისტურია. ამასთან, მან გვაჩვენა, რომ **ფული განსაკუთრებული საყოველთაო ეკვივალენტური ფუნქციის მქონე საქონელია, რომლის ღირებულება შრომით იქმნება**. ღირებულების ანალიზში იგი ვრცლად შეეხო მონეტარულ ფორმას, რომელშიც ღირებულება ბიმეტალისტების პოზიციებიდან განიხილება. თავის ნაშრომებში

1 Петти В., Трактат о налогах и сборах – в кн.: Антология экономической классики..., М., 1993, გვ. 31.

2 **დენომინაცია** (ლათ. denominatio) გადარქმევას ნიშნავს.

3 **კაპიტალიზაცია** – ქონების გადაქცევა კაპიტალად, ფულად.

4 **В. Петти**. Трактат о налогах и сборах – в кн.: Классики экономической мысли, გვ. 33.

5 იქვე, გვ. 31.

მან მიუთითა, რომ ფული ქვეყნის მთლიანი წლიური დანახარჯების ფუნქციის მატარებელია. ეს გამართლდა, როდესაც იგი ინგლისის მთლიანი ეროვნული სიმდიდრის შეფასებას შეეცადა.

პეტი იხილავს „**ფულის მიმოქცევის სიჩქარის**“ კონცეფციას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მონეტარულ თეორიაში. მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობა მან დააკავშირა საქონელთა ბრუნვის მოცულობასა და ფულის მიმოქცევის სიხშირესთან. ამასთან, იგი გარკვეულ ფარგლებში დასაშვებად თვლიდა მიმოქცევაში ბანკის მიერ გამოშვებული ქაღალდის ფულის გამოყენებას.

პეტის ანალიზის მეთოდი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ლაფსუსებისა[1], იგი მერკანტილისტების პრიმიტიული მონეტარული შეცდომებისაგან შორს იყო. მაშინაც კი, როცა ის ფულსა და ვაჭრობას (განსაკუთრებით უცხოეთთან) ადიდებდა და სავაჭრო კაპიტალიზმის დოქტრინას უახლოვდებოდა, იგი ანგარიშგასაწევი კვალიფიკაციით წარმოგვიდგებოდა.

მისი აზრით, ფული და საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ისინი ქვეყნის განვითარებასა და წარმოების გაუმჯობესებას ხელს უწყობდნენ. ამავე დროს, ქვეყანა უნდა ატარებდეს ვაჭრობისათვის საჭირო საქონლის წარმოების ხელშემწყობ პოლიტიკას.

კვლავ და კვლავ, იგი ყურადღებას **წარმოების ეფექტიანად მართვის „ხელოვნებაზე“** ამახვილებს. მეფის ძალას იგი იმისდა მიხედვით აფასებდა, თუ როგორ შეეძლო მას ხალხის გაერთიანება და როგორ ფლობდა წარმოების მართვის ხელოვნებას.

ნაშრომში – **„ზოგი რამ ფულის შესახებ“** (და სხვ. ნაშრომებში) პეტიმ ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ ერს შეიძლება ჰქონდეს ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა ფული, რაც ფულის საჭიროებაზე მეტყველებს როგორც ვაჭრობაში, ასევე მრეწველობაში. ამასთან, იგი საჭიროდ თვლიდა მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის ცოდნას.

უ.პეტის აზრით, არსებული კანონები არის „ბუნების კანონების საწინააღმდეგო და აგრეთვე შეუსრულებადი“. რაც არ უნდა ბევრი ფული ჰქონდეს ქვეყანას, იგი შემოელევა, თუ მას გააზრებულად არ გამოიყენებს. მან კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გამოხატა თავისი რწმენა იმის შესახებ, რომ ინგლისს მსოფლიო ვაჭრობაში წამყვანი როლის შესრულება შეუძლია.

„პოლიტიკურ არითმეტიკაში“ იგი შეეცადა ინგლისში არსებული წინააღმდეგობების ჩვენებას, მაგრამ მათი დაძლევა შესაძლებლად ჩათვალა. მისი აზრით, ინგლისში ბანკებისათვის ყველა საჭირო პირობა არსებობს, რათა მათ უზრუნველყონ ვაჭრობის ნაკადი მთელს კომერციულ მსოფლიოში. ეს შეხედულება გარკვეულწილად მოგვიანებით გამართლდა.

ამით ვამთავრებთ უ.პეტის შეხედულებების ანალიზს, ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მისი რიგი არასრულყოფილი მოსაზრებისა, იგი სრულიად დამსახურებულად **ითვლება კლასიკური ეკონომიკური მოძღვრების ფუძემდებლად**, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში და შემთხვევითი როდია მეცნიერულ ლიტერატურაში მისი ხშირად **„პოლიტეკონომიის კოლუმბად“** მოხსენიება.

4. პიერ ბუაგილბერი (1646-1714)

4.1. ფიზიოკრატთა წინამორბედი

პიერ დე ბუაგილბერი (Boisquilebert) საფრანგეთში კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის ფუძემდებელი და ფრანგული ფიზიოკრატული სკოლის წინამორბედია.

იგი დაიბადა 1646 წელს რუანში, დიდგვაროვანის ოჯახში. ჰაბუკობაში კარგი განათლების მიღების შემდეგ პარიზში დასახლდა და ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა.

1677 წლიდან ნორმანდიაში სასამართლო თანამდებობა, ხოლო 1689 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი რუანის მთავარი მოსამართლის პოსტი ეკავა.

პ.ბუაგილბერის მთავარი ნაშრომებია[2]: **„საფრანგეთის საცალო ვაჭრობა“** (1699), **„მსჯელობანი სიმდიდრის, ფულისა და გადასახადების ბუნების შესახებ“** (1707) და სხვ.

---

1 ლაფსუსი (ლათ. lapsus) უნებლიე შეცდომას ნიშნავს.

2 **Boisguillebert** P.: Le détail de la France. 1699; Dissertation sur la nature des richesses, de l'argent et des tributs, P., 1707.

4.2. სოფლის მეურნეობის პროდუქტები – ნამდვილი სიმდიდრე

თავის ნაშრომებში იგი აკრიტიკებდა მერკანტილიზმს, ხაზს უსვამდა საფრანგეთის გლეხობის ღატაკ მდგომარეობას, მოითხოვდა სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ მფარველობას, რამდენადაც ერის სიმდიდრედ არა ფულს, არამედ ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებს თვლიდა.

ბუაგილბერი ხაზინის სისტემის რეფორმას, სულადობრივი გადასახადის შემოღებას (მათ შორის მდიდრებისათვის), ღვინის რეალიზაციაზე ბეგარის და ბაჟების გაუქმებას მოითხოვდა.

მისი აზრით, კეთილდღეობა მოხმარების გაღიდებით იზრდება. აქედან გამომდინარე, მომხმარებლებს ბეგარა უნდა მოეხსნათ, რაც წაახალისებს მოთხოვნის ზრდას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

ბუაგილბერის შეხედულებით, ვაჭრობაში შეზღუდვების მოხსნა და ბაზრის თავისუფლება სამამულო (პირველ რიგში, აგრარულის) პროდუქტის მაქსიმალურად ზრდას უზრუნველყოფდა, თავისუფალ ბაზარზე კი ფასები თვით მოწესრიგდება; მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით გასაღების ბაზრების შექმნას; მოგებისაკენ სწრაფვა მეწარმის მასტიმულირებელია.

ბუაგილბერის მტკიცებით, ღირებულების წარმოების პროცესის წანამძღვარი ფასწარმოქმნის მექანიზმია, რომელიც მის ფუნქციონალურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა თავის მიზანს მიაღწიოს. ამის საფუძვლად მან მრეწველობასა და ვაჭრობაში მოქმედი „ბუნებრივი კანონი“ დაასაბუთა. ასეთი პოზიციით ბუაგილბერი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს.

ბუაგილბერი დაუპირისპირდა მერკანტილისტებს საგარეო ვაჭრობის როლის გაფეტიშების საკითხში. თუმცა, აღმოჩნდა, რომ მე-17 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში წარმოება შიგა ბაზარზე საქონელთა გაცვლის ლიბერალიზაციის შედეგად გაიზარდა, მაგრამ ასეთი ლიბერალიზაცია ქვეყნის კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის არასაკმარისია.

მან ევროპული კაპიტალიზმის ზრდის პროცესში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობას გვერდი აუარა. არადა, ფასწარმოქმნისა და შიგა ბაზრის თავისუფლება წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების წინაპირობას, მაგრამ იგი წარმოების ალმავლობის უზრუნველყოფისათვის არასაკმარისია.

4.3. რეკომენდაციები

პ.ბუაგილბერის მიერ შემოთავაზებულ ღონისძიებათა სისტემა სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგებოდა:

- პირველი, საგადასახადო სისტემის რეფორმა – რეგრესიული გადასახადის პროგრესიული (შემოსავლის მიხედვით) გადასახადით შეცვლა;
- მეორე, ვაჭრობის თავისუფლებისა და სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპი (იგი „Laissez faire“-ს ერთ-ერთი ავტორია);
- მესამე – შიგა ვაჭრობის შეზღუდვებისაგან განთავისუფლება.

4.4. საფრანგეთში შრომითი ღირებულების დოქტრინის წუძემდებელი

უ.პეტისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ თითქმის იმავდროულად, ბუაგილბერი ამუშავებს ეკონომიკურ კონცეფციას და **საფუძველს უყრის საფრანგეთში შრომითი ღირებულების დოქტრინას.**

ბუაგილბერი, პეტის მსგავსად, **სიმდიდრის წყაროდ მიწას და შრომას ასახელებს,** თუმცა, მისი მტკიცებით, საქონლის „**ჭეშმარიტი ღირებულება**“ მის შექმნაზე დახარჯული შრომით განისაზღვრება, ხოლო მისი ღირებულების საზომია მასზე დახარჯული სამუშაო დრო.

შესაბამისად, საქონელთა გაცვლაც დახარჯული შრომის მიხედვით უნდა განხორციელდეს.

აქედან გამომდინარე, ერთი საქონლის „ჭეშმარიტი ღირებულება" წარმოდგენილია მეორე საქონლით, რომლის დამზადებაზეც იმდენივე სამუშაო დრო დაიხარჯა, რამდენიც პირველზე.

პ.ბუაგილბერმაც მუშის **ხელფასი** საარსებო საშუალების მინიმუმით შემოფარგლა. ამასთან, ხელფასის მატებისათვის მუშათა ბრძოლა გაუმართლებლად მიაჩნდა.

პ.ბუაგილბერის აზრით, **ფული** საზოგადოებრივი „ბოროტებაა" და მას მხოლოდ **მიმოქცევის ფუნქცია** აქვს. იგი ერთ-ერთი პირველი მოითხოვდა კეთილშობილი ლითონის ფულის ქაღალდის ფულით შეცვლას. შემდგომში მისი იდეა პრუდონმა განავითარა.

საბოლოო ანგარიშით, მან მერკანტილიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. იგი ერთ-ერთი პირველია, რომლის შეხედულებებიც ახალ საზოგადოებას გზას უკაფავდა.

ამრიგად, პ.ბუაგილბერი, უ.პეტის მსგავსად, კლასიკური ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის ერთ-ერთი ფუძემდებელი და შრომითი ღირებულების დოქტრინის ერთ-ერთი დამოუკიდებელი ავტორი იყო.

მის შეხედულებებს გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებდა. ასე მაგალითად, ბუაგილბერმა თავიდანვე მიზნად დაისახა მერკანტილიზმის კრიტიკა, ხოლო პეტიმ ეს პოზიცია დიდხანს ვერ გამოკვეთა; პეტი მრეწველობის განვითარების მომხრეა, ბუაგილბერი კი უპირატესობას სოფლის მეურნეობის განვითარებას ანიჭებს; პეტიმ ფული ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელ ბერკეტად დაასახელა, ბუაგილბერმა კი ყველა უბედურების მიზეზად ...

5. ჯონ ლოკი (1632-1704) და დედლი ნორთი (1641-1691)

მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ინგლისში ეკონომიკური აზროვნება შესამჩნევად განვითარდა. რიგი ავტორის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი საკმაოდ შთამბეჭდავია. ზოგადად, მათ მიერ მეცნიერებაში შეტანილი წვლილი ძირითადად პეტის მიერ ორიგინალურად წამოწყებული მსოფლმხედველობის დახვეწასა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების კვლევისას საინტერესო მოსაზრებებში გამოიხატა. აქედან გამომდინარე, მოკლე მიმოხილვისათვის შეეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ინგლისელები — ფილოსოფოსი ჯონ **ლოკი** და ეკონომისტი სერ დედლი **ნორთი** პეტის უშუალო მიმდევრებია. ნორთი იყო აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იმ დროში, როგორც თავისუფალი ვაჭრობის იდეების დამცველი; დავიდ **იუმი** ფულის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია; რიჩარდ **კანტილიონი** ახლოსაა ფრანგი ფიზიოკრატების შეხედულებებთან. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე შვედი ნ.**ქრისტიერნინის** და ამერიკელი ბ.**ფრანკლინის** შეხედულებებიც.

* * *

ჯონ ლოკი და დედლი **ნორთი** (Nort) საინტერესოდ მსჯელობდნენ მერკანტილისტურ აზროვნებასა და პეტის დოქტრინაზე, ხოლო საგარეო ვაჭრობის მიმართ მათი თვალსაზრისი თავისებური იყო.

ჯ.ლოკმა 1667 წ. დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი. მან ინგლისის 1688 წლის რევოლუციაში, მსხვილ ბურჟუაზიასა და მიწათმფლობელ არისტოკრატებს შორის კომპრომისს დაუჭირა მხარი.

ლოკზე დიდი გავლენა მერკანტილისტურმა მიმდინარეობამ მოახდინა. მეორე მხრივ, ნორთმა თავის ნაშრომში — **„მსჯელობები ვაჭრობის შესახებ, უპირატესად სარგებლის, მონეტარული სისტემის, ფულის შემცირებისა და ზრდის შესახებ"** (1691)[1], თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად შეურიგებელი პოზიცია დაიჭირა. მან შეუტია პროტექციონისტურ პოლიტიკას, — განსაკუთრებით საფრან-

1 D. North, Discourses upon trade; principally directed to the cases of the interest, coynage, clipping, increase of money, L., 1691.

გეთთან ვაჭრობის აკრძალვისათვის; ერთ-ერთმა პირველმა **განიხილა მსოფლიო, როგორც ერთი დიდი ეკონომიკური ერთეული**. ყოველგვარ ვაჭრობას იგი განიხილავდა, როგორც მომგებიანს, — იმ მარტივ ლოგიკაზე დაყრდნობით, რომ არამომგებიან ოპერაციებს არავინ გააგრძელებს.

ამ ორი მწერლის თვალსაზრისი ეკონომიკური ანალიზის ფუნდამენტური პრობლემების კვლევაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ორთაველ რენტის, სარგებლისა და ფულის შესახებ პეტის მოსაზრებებით სარგებლობდა. ისინი შეეხნენ ღირებულების შემცირების საკითხებს, განსაკუთრებით კი ჯ.ლოკი ნაშრომში — **„ფიქრები იმ შედეგებზე, რომელსაც იწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირება და ფულის ღირებულების ზრდა“** (1691)[1].

პეტის მსგავსად, ისინიც სარგებლის შეზღუდული განაკვეთის არსებობას ეწინააღმდეგებოდნენ.

ლოკი სარგებლისა და რენტის თეორიის საკითხებში პეტის მიმდევარი იყო. ის <u>რენტას</u> განიხილავდა მხოლოდ როგორც სასარგებლო პროდუქტის ნამატს, რომელიც მწირ ან ნოყიერ მიწებზე იქმნებოდა. მისი დასკვნით, <u>მიწების უთანაბრო განაწილების შედეგად</u>, ისინი, ვისაც მეტი აქვს (ვიდრე მისი დამუშავება შეუძლია), შემოსავალს იღებენ ადამიანებისაგან, ვინც მას ამუშავებს; ასევე <u>ფულის</u> უთანაბრო განაწილება მის მფლობელს ფულის მსესხებლისაგან სარგებელს აძლევს.

ნორთი უფრო შორს წავიდა. როგორც ჩანს, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელსაც **კაპიტალზე** (რომელსაც მან **აქცია** დაარქვა) <u>უფრო ნათელი წარმოდგენა</u> ჰქონდა. მიწის ფონდის აქციონირებით მან გასაქირავებელი მიწის ფონდი შექმნა, რომელიც სურვილისამებრ შეიძლება გამოყენებულიყო. სარგებელი, რომელსაც აქედან მიწის მფლობელი მიიღებდა, **ფულადი რენტაა** (თითქმის იგივე, რაც მიწის რენტა). „მიწის მფლობელები“ და „აქციის მფლობელები“ ერთი და იგივენი იყვნენ.

ნორთის აზრით, მხოლოდ იმით ვერავინ გამდიდრდებოდა, თუკი ის მის მფლობელობაში არსებულ მთელ ქონებას ფულად ფორმას მისცემდა. მხოლოდ ისინი ზრდიან თავიანთ სიმდიდრეს, რომლებიც მათ განკარგულებაში არსებულ ქონებას, ყოველთვის მოგების მიღების მიზნით იყენებენ. მისი მოსაზრებით, არასასურველია ფულის უაზროდ დაგროვება და ყოველი ადამიანი მისი მოგების მიზნით გამოყენებას უნდა ცდილობდეს.

ორიენი, როგორც ლოკი, ასევე ნორთიც სარგებლის ბუნების განხილვისას დამოუკიდებელი გზებით მივიდნენ ღირებულებაზე, ფასსა და ფულზე მსჯელობამდე.

თვითონ ნორთმა ბევრი ვერაფერი თქვა ღირებულების შესახებ, თუმცა იგი ფასზე მსჯელობდა.

ლოკის მსოფლმხედველობა ღირებულებაზე მარტივი შესამჩნევი არ არის, ვინაიდან ეკონომიკის შესახებ მისი ძირითადი მსჯელობები ამ საკითხთან ახლოს არ იყო. მისი ნაშრომიდან (**„მთავრობის დამუშავების ორი მეთოდი“**[2]) ჩანს, რომ მან პეტის მოსაზრება ღირებულების შესახებ გაიზიარა.

საკუთრების საკითხზე მსჯელობისას, ლოკმა დაასკვნა, რომ <u>მიწა საერთოა</u> და იგი ყველა ადამიანს ეკუთვნის, თუმცა, **კერძო საკუთრებას** იგი იმდენად ამართლებდა, რამდენადაც ამ შემთხვევაში ადამიანი აერთიანებდა როგორც საკუთარ შრომას, ასევე ბუნებისაგან ნაბოძებ სიმდიდრეს. მისი აზრით, <u>ადამიანს ბუნებრივად იმდენი მიწა უნდა ჰქონდეს, რამდენის დამუშავებასაც შეძლებს;</u> უნდა ჰქონდეს აგრეთვე მისი პირადი მოხმარებისათვის აუცილებელი დოვლათიც. იგი ამჩნევდა, რომ <u>საკუთრების გადანაწილებაში უთანაბრობა</u> ზოგი ადამიანის ხელში ჭარბ მიწასა და ფულს განაპირობებდა, რომელთაც მათთვის შესაბამისად მიწის რენტა და სასესხო სარგებელი მოჰქონდა.

ჯ.ლოკი, როგორც ჩანს, შეზღუდული იყო ღირებულების ცნების განსაზღვრაში და ცდილობდა შექმნილ პროდუქტში შრომის დიდი მნიშვნელობა ეჩვენებინა: **შრომას იგი ღირებულების წყაროდ თვლიდა, თუმცა მკაფიოდ ვერ მიუთითა მასზე, როგორც ღირებულების საზომზე.** შეგნებულად თუ შეუგნებლად, იგი ღირებულებისა და გაცვლის წარმოშობის ღრმა ანალიზს გაურბოდა.

ლოკის ასეთმა მიდგომამ შემდგომში თავი იჩინა, თუმცა მას წინ უძღოდა დებულება **„მთავრობის ფულის“** შესახებ.

მისი აზრით, **ფულს წმინდა წარმოსახვითი ღირებულება აქვს**, რომელიც საერთო თანხმობით

1 I. Locke, Some Considerations of the Consequences of the Lowering of Interest and Raising the Value of Money, L., 1691.

2 J.Locke, Two Treations concerning Government, Morley, 1690.

შეიქმნა. ვინაიდან ფული არამალფუჭებადი პროდუქტია, ამიტომ კერძო პირის ხელში ფულის დაგროვების ერთ-ერთი შემზღუდველი ფაქტორი ქრება. ამან შეიძლება დიდი უთანაბრობა გამოიწვიოს ქონების დაგროვებაში, მაგრამ მაინც რჩება ერთი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს მას იმით, რომ ქონების ამ რაოდენობას ფლობდეს კანონიერად — კერძოდ, ინდივიდის საკუთარი შრომის რაოდენობის მიხედვით, რაც მას სარგებლის მიღების საშუალებას აძლევს.

შემდგომში ლოკმა განსაზღვრა **ფულის „ორმაგი ღირებულება“**: ერთი წარმოიშობა წლიური შემოსავლის ფულადი დაგროვების შესაძლებლობიდან; მეორე კი ის დოვლათია, რაც ფულმა შეიძლება მოიტანოს. ამით ლოკმა გაიმეორა მერკანტილისტების შეცდომა, რომლებმაც გააიგივეს ფული და კაპიტალი. ნორთმა ეს შეცდომა აიცილა.

ლოკმა გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა ფულის რაოდენობრივ თეორიას. ანიჭებდა რა პრივილეგიას მერკანტილისტების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სარგებლის დაბალი განაკვეთი გამოწვეულია მაღალი ფასებით, ლოკმა თავის ნაშრომში — „ფიქრები ...“ — დაასკვნა, რომ **ფასი მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობით განისაზღვრება.**

რეალიზებული საქონლის რაოდენობა ნებისმიერ დროს ქვეყნის მიერ გამოშვებული ფულით განისაზღვრება, ხოლო გასაყიდი საქონლისა და აგრეთვე მყიდველისა და გამყიდველის რაოდენობა საბაზრო ფასს განაპირობებს. რამდენიმე სხვა მსჯელობიდანაც ჩანს, რომ ლოკი, მიუხედავად შემთხვევითი განსხვავებისა, გარკვეულია იმაში, რომ ფულის რაოდენობრივი ცვლილება ფასების ცვლილებასთანაა დაკავშირებული.

არათანმიმდევრულია ლოკის მიერ ფულის რაოდენობრივი თეორიის გამოყენება საერთაშორისო ფასების განხილვისას. მან თავისი რაოდენობრივი თეორია მერკანტილისტური „ჭარბი პროდუქტის ექსპორტს მიაზომა“, რომელმაც ხაზინა უნდა შეავსოს.

პეტის მსგავსად, ისიც აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში ვაჭრობისათვის ფულის ნებისმიერი რაოდენობა შეიძლება საკმარისი იყოს. პეტისთან შედარებით, იგი უფრო ხაზგასმით მიუთითებდა, რომ სასურველია ინგლისს მეტი ფული ჰქონდეს, ვიდრე ვაჭრობაში მის მეტოქეს.

მისი აზრით, ქვეყნებს შორის ვაჭრობაში ფულის ის რაოდენობა, რომელიც მათ ჰქონდათ, მნიშვნელოვანი არ არის: ძვირფასი ლითონით გამოხატული ფასები ყველა საქონელზე ერთნაირი უნდა იყოს ყველა ქვეყანაში. თუ ერთ ქვეყანას უფრო ცოტა ფული აქვს, ვიდრე მეორეს, მისი ფასები უფრო დაბალი იქნება.

ინგლისელმა ეკონომისტმა დედლი ნორთმა, რომელიც განსაკუთრებული ეკონომიკური აზროვნებით გამოირჩეოდა, თავის ძირითად ნაშრომში — „მსჯელობები ვაჭრობის შესახებ“, თავისი შეხედულება გაცილებით ნათლად ჩამოაყალიბა.

ნორთმა გააკრიტიკა მერკანტილისტური შეხედულებები და ქვეყნის სიმდიდრე არა ოქრო-ვერცხლის რაოდენობით, არამედ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სექტორების განვითარების დონით შეაფასა.

მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერული აბსტრაქტული მეთოდის და ფულის თეორიის განვითარებაში, როგორც კლასიკური დოქტრინების ერთ-ერთმა პირველმა წარმომადგენელმა.

იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც **კაპიტალის** არსში გარკვევა სცადა, რომელსაც იგი სარგებლის მომტან ფულად კაპიტალად განიხილავდა. მერკანტილისტებისა და ლოკისაგან განსხვავებით, მან სასესხო სარგებლის დონე არა ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობით, არამედ ფულად კაპიტალზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განსაზღვრა. სწორედ ასეთი მიდგომა დაედო საფუძვლად სარგებლის კლასიკურ თეორიას — შემდგომში მოგების კატეგორიის გაგებასაც.

ამასთან, იგი **სარგებლის დონის იძულებითი რეგულირების წინააღმდეგი იყო.** მერკანტილისტების საწინააღმდეგოდ, იგი ქვეყნის **სიმდიდრის მნიშვნელოვან წყაროდ მრეწველობის განვითარებას და არა მარტო ოქრო-ვერცხლის დაგროვებას თვლიდა.**

გარდა ამისა, იგი როგორც თავისუფალი ვაჭრობის მომხრე, ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის წინააღმდეგია და **კაპიტალიზმს ბუნებრივი განვითარების პროცესად განიხილავს.**

ლოკისა და ნორთის დებულებებს რენტისა და სარგებლის შესახებ სოციალურ და პოლი-

ტიკურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათი ეკონომიკური თეორიები მიწის საკუთრების კვლევით დაინტერესებულთა მიმართ წინასწარ განზრახული შეტევის შედეგი არ არის. მათ პერსპექტივაში ცვლილებები დაგვანახეს, რომლებმაც დიდი როლი მოგვიანებით შეასრულეს. სარგებლის განაკვეთის შემცირებისაკენ შეტევა მიწათმფლობელებს ცუდ მდგომარეობაში აყენებდა, რომელთათვისაც სარგებლის მაღალი განაკვეთი მათი რენტის კაპიტალიზაციის მაღალ ხარისხს ნიშნავდა. მსგავს შეხედულებებს, ნაწილობრივ განსხვავებული ფორმით, ფიზიოკრატების ნაშრომებშიც ვხვდებით.

6. დეივიდ იუმი (1711-1776)

6.1. „დიდი ბრიტანეთის უდიდესი მწერალი"

დეივიდ **იუმი** (Hume) ფილოსოფიის ისტორიას უფრო მეტად ეკუთვნის, ვიდრე ეკონომიკას. მისი სპეციფიკური წვლილი ეკონომიკის ანალიზში შედარებით უმნიშვნელოა. მიუხედავად ამისა, მან საფუძველი ჩაუყარა აზრთა ანალიტიკურ მიმართულებას, რომელიც ეკონომიკის მთავარი მიმდინარეობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა.

დ.იუმი დაიბადა ედინბურგში 1711 წლის 26 აპრილს. მამამისი წარმოშობით დიდგვაროვანი და პროფესიით ადვოკატი იყო. დეივიდი მისი მშობლების მესამე შვილი იყო. მამა ადრე გარდაეცვალა და დედა იძულებული იყო ბავშვები ოჯახური ქონებიდან მიღებული შეზღუდული შემოსავლებით აღეზარდა.

თორმეტ წლამდე იგი სახლში იზრდებოდა, შემდეგ ედინბურგის უნივერსიტეტში შევიდა, რათა მოსამართლე გამხდარიყო, მაგრამ სამწლიანი უგულო მცდელობის შემდეგ მან ბედი მწერლობას და ფილოსოფიას დაუკავშირა.

ბრისტოლის (დიდი ბრიტანეთი) სავაჭრო დაწესებულებაში ხანმოკლე და წარუმატებელი მუშაობის შემდეგ, იუმი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც დაწერა **„ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ"** (1739)[1]. მისი ანონიმურად გამოცემული პირველი წიგნი მოგვიანებით მის საუკეთესო ნაწარმოებად ცნეს.

„ზნეობრივი და პოლიტიკური წერილები" (1741-1742) – უფრო მიესადაგა ხალხურ გემოვნებას და უფრო ილბლიანიც იყო, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველყო ავტორი სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო შემოსავლით. ედინბურგის უნივერსიტეტში პროფესორობის მოპოვების მცდელობა მარცხით დამთავრდა. შემდგომში მან ისევ უიღბლოდ სცადა პროფესორობა გლაზგოს უნივერსიტეტში.

იუმის ნაშრომები მოგვიანებით საკმაოდ ინტერესით ვრცელდებოდა. **„პოლიტიკური საუბრები"** (1752)[2] მაშინვე წარმატებით სარგებლობდა, ხოლო **„ინგლისის ისტორიამ"** (1754-62) მას პოპულარული ისტორიკოსის სახელი დაუმკვიდრა. ამ დროისათვის მას ზოგიერთები „დიდი ბრიტანეთის უდიდეს მწერალსაც" კი უწოდებდნენ. იუმმა თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას მიაღწია.

1752 წელს ედინბურგის ადვოკატთა ფაკულტეტმა იუმი თავის ბიბლიოთეკარად დანიშნა. ამას მისთვის დიდი შემოსავალი არ მოუტანია, მაგრამ ბიბლიოთეკის გაცნობის შესაძლებლობა მისცა.

1763 წელს იგი ბრიტანეთის საელჩოს მდივანი იყო პარიზში და დიდი წარმატებით სარგებლობდა პარიზის სალონებში არა მარტო ფილოსოფოსებს, არამედ მანდილოსნებს შორისაც.

1766 წელს იგი ლონდონში დაბრუნდა და თან წაიყვანა ჟან-ჟაკ რუსო. 1769 წლიდან ორი წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ნამუშევარი იუმი საბოლოოდ ედინბურგში დასახლდა, სადაც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1776 წელს გარდაიცვალა.

1 Давид Юм., Трактат о человеческой природе, რუს. თარგმ., Москва, 1995.
2 D. **Hume**, Political discources, Edinb., 1752.

6.2. მერკანტილიზმიდან ლიბერალიზმისაკენ

დ.იუმი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო სმითამდელ ეკონომისტებს შორის. მისი შეხედულებები მერკანტილიზმიდან ლიბერალიზმისაკენ მერყეობდა.

მისი მეგობრის, ადამ სმითის სიტყვებით, მან ბრძენი და სათნო ადამიანის იდეალს მიაღწია. ცნობილია, რომ იგი სმითის ნაშრომებს დიდი გულმოდგინებით აანალიზებდა.

აღსანიშნავია, რომ იუმის ნაშრომში – „ტრაქტატი", – გამოთქმულ იდეებს სმითი „ზნეობრივი გრძნობების თეორიაში" იყენებს.

იუმის მსჯელობანი ეკონომიკური ანალიზისას ემყარებოდა ადამიანის ქცევას, ისევე როგორც სმითის „ხალხთა სიმდიდრე".

თავის „პოლიტიკურ საუბრებში" მან ეკონომიკის შესახებ რამდენიმე ნარკვევი („ესე") შეიტანა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია ნარკვევები ვაჭრობის, ფულის და სარგებლის შესახებ. ეს ნარკვევები დაწერილია გასაგებად და ხშირად მისი წინამორბედების იდეებთან მნიშვნელოვან დასკვნებს და სინთეზს შეიცავს.

ორიგინალურად მოაზროვნე იუმი ხანდახან მერკანტილისტების შეცდომებს იმეორებდა. მან **ვაჭრები** განიხილა, როგორც **„ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფენა"** და **„წარმოების მამოძრავებელი ძალა"**.

იგი თავის თავს **თავისუფალი ვაჭრობის მომხრედ** მიიჩნევდა, მაგრამ მისი თავგამოდება თავისუფალ ვაჭრობაზე ისე ძლიერი არ იყო, როგორიც დ. ნორთის. ასე მაგალითად, ერთი მხრივ, აჩვენა **საგარეო ვაჭრობის ისტორიული მნიშვნელობა** (მათ შორის ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში), მეორე მხრივ, ჩათვალა, რომ კეთილდღეობის მიღწევისას ერს შეუძლია უარი თქვას საგარეო ვაჭრობაზე, რაც დიდი შეცდომაა.

იუმი ვაჭრობის სტიმულირებაში დროდადრო მნიშვნელოვან როლს ფულს ანიჭებდა და ბაზრის არსებობის სასურველობაზე მსჯელობდა. მან გააღრმავა ლოკის მოსაზრება ფულის შესახებ, გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც საქონლის **ფასი ფულის რაოდენობით განისაზღვრება. ფული,** მისი აზრით, **წარმოადგენს საქონელს** და მისი ღირებულება გაცვლის პროცესში გასაყიდი საქონლის რაოდენობასთან ფულის რაოდენობის შეფარდებით განისაზღვრება.

აქედან გამომდინარეობს, რომ **მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილება გავლენას ახდენს საქონლის ფასზე**. იუმის აზრით, ფასების უდიდეს ცვლილებას ამერიკულ საბადოებში ახლად აღმოჩენილი ძვირფასი ლითონების წარმოების ზრდა იწვევს.

ამრიგად, იუმმა <u>პირველმა მიანიშნა</u>, რომ ფულსა და საქონელს შორის განსხვავება, მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობის ზრდით იყო გამოწვეული. მისი რწმენით, <u>საქონლის ფასი, ყოველთვის ფულის რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს. იგი ფულის რაოდენობრივი თეორიის ერთ-ერთი შემქმნელიცაა</u>.

მიუხედავად ყველაფრისა, იუმი ფიქრობდა, რომ ფულის რაოდენობის ცვლილება აგრეთვე იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მას ხალხის მატერიალური სიმდიდრის შეცვლა შეუძლია. ფასი შეიძლება არ შეიცვალოს, თუ ფულის რაოდენობა ისე იცვლება, რომ ამას თან სდევს ცვლილებანი ხალხის მატერიალურ სიმდიდრეში. ამ შემთხვევაში იგი გავლენას ვაჭრობის მოცულობასა და ფულის მოთხოვნაზე ახდენს. თუ ფულის ზრდა ასეთ ზრდასაც განაპირობებს, მაშინ ადგილი ექნება სასარგებლო ეფექტს, ვინაიდან წარმოების სტიმულირება მოხდება. იუმის ანალიზის ეს ნაწილი განსაკუთრებულად ნათელია. ამის პარალელურად მან განავითარა თეორია, რომელიც მოგვიანებით სხვა ეკონომისტების მიერ იქნა გამოყენებული.

„სარგებლის შესახებ" ნარკვევში იუმმა ჩამოაყალიბა დოქტრინა, რომლითაც **სარგებლის დაბალი დონე ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობის მაჩვენებელია**[1]. ეს შეხედულება, რომელიც შემდგომში სმითმა და რიკარდომ გაიზიარა, პრინციპში სწორი აღმოჩნდა.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც სარგებლის დონეს განსაზღვრავს, მან, პირველ რიგში, გამოყო **მიწოდება, მოთხოვნა** და **ვაჭრობა**. <u>მოგება</u> და <u>სარგებელი</u> მან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილა. ვაჭრობაში მცირე მოგება ვაჭრებს დაბალი სარგებლისაკენ უბიძგებს, მეორე მხრივ,

1 Давид Юм., Малые произведения, М., 1996, გვ. 99.

არავის არ სურს მცირე მოგების მიღება, როდესაც შეიძლება მაღალი სარგებლის მიღება: მცირე მოგება და დაბალი სარგებელი – ორივე დიდი ვაჭრობის შედეგია, თვლიდა იგი.

მიუხედავად იმისა, რომ მიწა იყო ყველანაირი სარგებლის საწყისი, იუმმა (შემდეგში ადამ სმითმაც) აჩვენა, რომ მათი სიმპათია მიწათმფლობელთა მიმართ მცირეა.

მისი აზრით, მიწათმფლობელები, რომლებიც შემოსავალს დაძაბვის გარეშე იღებენ, მფლანგველებია, რომლებიც თავიანთი კაპიტალის შესაძლო შემცირების შემთხვევაში სარგებლის დონის გაზრდას ცდილობენ. მეორე მხრივ, ვაჭრები დაუღლავად შრომობენ ერის ინტერესების შესაბამისად, რათა შექმნან როგორც კაპიტალის სიუხვე, ასევე მოგება. „ვაჭართა შორის უფრო უხვად არიან ბუნებები, ვიდრე მფლანგველები. იმის საწინააღმდეგოდ, როგორც ამას ადგილი აქვს მიწათმფლობელთა შორის". მათი მოგებიანი საქმიანობა ვაჭრებს შემოსავლის ზრდისაკენ უბიძგებს და მათ უნდა იცოდნენ, რომ არაფერია ისეთი სასიამოვნო, როგორც შესაძლებლობა, ხედავდე შენი სიმდიდრის „ყოველდღიურ ზრდას". ვაჭრობა ბადებს მომჭირნეობას, ხელს უწყობს დაგროვებას. ამავე დროს ვაჭრობის განვითარება ვაჭართა შორის მეტოქეობას წარმოშობს, ეს მათ მოგებას შეამცირებს.

დეივიდ იუმი, როგორც ორიგინალური მოაზროვნე, ეკონომისტებს შორის ფრიად გამოჩენილ ადგილს იჭერს. მისი მოსაზრებები ეკონომიკური აქტიურობის მამოძრავებელი ძალების შესახებ, ხელს უწყობდა იმ ძალების კონსოლიდაციას, რომლებმაც ეკონომიკური აღმავლობის პროცესში სოლიდური შემოსავლები დააგროვეს და უკვე საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ძალაც ჰქონდათ.

7. რიჩარდ კანტილიონი (1680-1734)

შემოსავლების წრებრუნვის მოდელის აღმოჩენას მე-18 საუკუნის პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ.

ახალი მეცნიერების საფუძვლების შექმნაზე ბევრი მწერალი-ეკონომისტი აცხადებდა პრეტენზიას; ზოგიერთი მათგანის წვლილი (გოსენისა და ვალრასის მსგავსად) მართლაც არსებითია, ზოგიერთმა კი არსებულ მეცნიერებას ბევრი ვერაფერი შემატა. ადამ სმითს ასეთი პრეტენზიები არ ჰქონდა, მაგრამ მისმა „ხალხთა სიმდიდრემ" ისე დაჩრდილა იმდროინდელი ეკონომიკური ლიტერატურა, რომ ადრინდელ ეკონომისტთა წვლილი თითქოსდა დაივიწყეს. ერთ-ერთი მათგანი იყო რიჩარდ კანტილიონის „გამოცდილება ზოგადად ვაჭრობის შესახებ".

ანალიტიკური მიდგომებით, კანტილიონი უფრო ახლოს დგას ადამ სმითთან, ვიდრე სმითი, ვთქვათ, ჯონ სტიუარტ მილთან. როგორც თეორეტიკოსი, ის მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

7.1. ჯონ ლოს პარტნიორის იდუმალი სიკვდილი

რიჩარდ **კანტილიონის** (Cantillon) ბიოგრაფიული ცნობები ფრაგმენტულია. იგი, ირლანდიელი აზნაურის მეორე შვილი, 1680 წელს დაიბადა სოფელ კერიში.

მისი წინაპრების კვალი ნორმანელ[1] რაინდამდე მიდიოდა, რომელიც ინგლისის დამპყრობ ვილჰელმს გაჰყვა და ირლანდიაში დასახლდა. მისი უფროსი ძმა ფერმერი იყო ირლანდიაში, უმცროსი ძმა კი „მისისიპელი" გახდა, რომელმაც ლუიზიანაში ირლანდიური კოლონიის დაარსება წარუმატებლად სცადა.

კანტილიონი, როგორც ვაჭარი და ფინანსური აგენტი, ბევრს მოგზაურობდა. 1714 წელს იგი პარიზში ჩავიდა, რათა თავისი ხანშიშესული ნათესავის, სერ[2] რიჩარდ კანტილიონის საბანკო ფირმას შეერთებოდა. სერ რიჩარდი იაკობინელი[3] ემიგრანტების ნდობით აღჭურვილი ბანკირი გახდა.

1 ჩრდილოელი ადამიანი, ვიკინგები, სკანდინავიელები.

2 სერ (ინგლ. sir) – ინგლისში ტიტული, რომელიც წინ უძღვის ბარონეტის (თავადაზნაურული მემკვიდრეობითი ტიტული) სახელსა და გვარს.

3 იაკობინელები – მე-18 ს-ის საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში რევოლუციურ-დემოკრატიული ბურჟუაზიის წარმომადგენლები

იგი 1717 წელს გარდაიცვალა და გასასტუმრებლად დიდი ვალები დარჩა, რომელიც მისმა ძმისწულმა, ოჯახის სახელის დასაცავად მოგვიანებით გაისტუმრა. ამის შემდეგ რიჩარდ კანტილიონი, რომელიც 1708 წელს საფრანგეთის მოქალაქე გახდა, მსოფლიოს ფინანსური სამყაროს პირისპირ საკუთარი თავის ანაბარა დარჩა.

რ.კანტილიონმა, როგორც ჭკვიანმა ფინანსისტმა, დიდი სიმდიდრე დააგროვა. ეს შესაძლოა იმ პერიოდის მღელვარე წლების მხედველობაში მიღებით აიხსნას.

მისი პარიზში ჩასვლის შემდეგ მალე ედინბურგელი ბანკირის შვილმა, ჯონ ლომ (რომელიც რეგენტის, ფილიპე ორლეანელის დიდი მფარველობით სარგებლობდა), ბანკი დააარსა. 1719 წელს ეს ბანკი უზარმაზარი კოლონიური კონგლომერატი გახდა, რომელსაც, ჩვეულებრივ, „მისისიპის კომპანიას“ უწოდებდნენ. „მისისიპის აქციების“ ფასი სწრაფად იზრდებოდა. არა მარტო პარიზმა, არამედ მთელმა საფრანგეთმა და ევროპამ ბირჟაზე თამაში დაიწყო.

როგორც ჯონ ლოს საქმის თანამონაწილემ, კანტილიონმა მისისიპის აქციებიდან უზარმაზარი მოგება მიიღო, მაგრამ მან ეს აქციები გასცა, სანამ ბაზარზე მათი ფასი მაქსიმუმს მიაღწევდა და დროებით უკანა პლანზე გადგა.

1719-20 წლების ბირჟის ციებ-ცხელებებისას კანტილიონი ფინანსისტების იმ მცირერიცხოვან ნაწილს მიეკუთვნებოდა, რომელმაც საღი აზროვნება შეინარჩუნა. ცნობილია, რომ მისმა კრიტიკულმა შენიშვნებმა ჯ.ლოს მუქარა გამოიწვია, რის შემდეგაც კანტილიონმა პარიზიდან დროებით გაცლა ამჯობინა. ჩრდილში ყოფნისას, იგი პარიზში ინგლისელი ბანკირის ჯონ ჰიუგის ფარული პარტნიორი გაბდა და მის სახელს თავისი საქმეების ფასადად იყენებდა.

იმ დროს, როცა ბირჟაზე მოთამაშეებმა თავიანთი უკანასკნელი ქონება დაკარგეს, კანტილიონმა უცხოეთის საგალუტო ბაზრებზე დამატებითი ქონება მოიპოვა.

ჯონ ლოს წინასწარმეტყველებით, ფრანგული ლივრის სიმტკიცეს სტერლინგისათვის უნდა ეჯობნა. ბირჟაზე მოთამაშეებმა (ბევრი მათგანი იმ დროს პარიზში მცხოვრები ბრიტანელი არისტოკრატი ქალი და კაცი იყო) მისი წინასწარმეტყველება ირწმუნეს და კანტილიონისაგან ფრანგული ლივრის შესასყიდად დიდი რაოდენობით სტერლინგი ისესხეს (სარგებლის განაკეთი ზოგჯერ 60%-ს აჭარბებდა).

კანტილიონი მიხვდა, რომ ფრანგული ფულის მასის ზრდის გამო მისი კურსი დაეცემოდა და დიდი თანხები ლივრებიდან სტერლინგებში გადაიყვანა. საბოლოოდ, მისმა მოვალეებმა ქონება წააგეს, მან კი მოიგო. ამბობდნენ, რომ მან რამდენიმე დღეში მილიონი გააკეთა. მაგრამ იგი თავის მოვალეებთან სასამართლო პროცესებში გაება და რომ დასცლოდა, ალბათ უმეტესობას მოიგებდა, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ მისი სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ მოგვარდა.

1720 წლიდან კანტილიონი თითქმის მთელს ევროპაში მოგზაურობდა. როგორც ამბობდნენ, მან საცხოვრებელი სახლები ევროპის შვიდ ქალაქში შეიძინა და უმეტეს დროს ლონდონში, ამსტერდამში და, მოგვიანებით, პარიზში ატარებდა.

1722 წელს იგი ლონდონში მერი ენ მაჰონიზე დაქორწინდა. მერი იყო პარიზში მცხოვრები მდიდარი ირლანდიელი ოფიცრის მომხიბვლელი ქალიშვილი.

1723 წელს ჯონ ჰიუგი გარდაიცვალა და მისი საბანკო ფირმა ლიკვიდირებულ იქნა. ამას სხვა სასამართლო პროცესები მოჰყვა, ამჯერად უკვე ჰიუგის ქვრივთან მოგებებში მისი წილის გამო (ამბობდნენ, რომ კანტილიონი იღბლიანი ოპერაციების შედეგებს თავის ანგარიშზე, ხოლო უიღბლოს კი თავისი პარტნიორის ანგარიშზე წერდა).

1734 წლის ერთ საღამოს კანტილიონი ლონდონში, თავის დაქირავებულ სახლში იმყოფებოდა. ჩვეულებისამებრ, ადრე დაწვა, რათა წიგნი შანდლის შუქზე ლოგინში წაეკითხა. გვიან ღამით დიდი ხანძარი გაჩნდა. კანტილიონი ლოგინში მკვდარი იპოვეს. თავდაპირველად იფიქრეს, რომ მას ჩაებინა და შანდალი ჩაუქრობელი დარჩა, მაგრამ მოგვიანებით გამოირკვა, რომ მისმა ყოფილმა მზარეულმა რამდენიმე თანამზრახველთან ერთად სახლი გაძარცვის მიზნით გატეხა. მათ კანტილიონი მოკლეს, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით კი სახლს ცეცხლი წაუკიდეს. მთავარი დამნაშავე ვერ დაატუსაღეს.

კანტილიონის ნაწერების დიდი ნაწილი ცეცხლმა გაანადგურა, მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტი დანიის კოლონია სარინემში აღმოაჩინეს, სადაც შესაძლოა მკვლელმა თავი შეაფარა.

რიჩარდ კანტილიონი ყველაფერთან ერთად გამჭრიახი ბიზნესმენი იყო, რომელმაც ხელსაყრელი ყიდვა-გაყიდვა იცოდა. ბირჟაზე მოთამაშე, რომელსაც რკინის ნერვები ჰქონდა, საღად მოაზროვნე და ფინანსების ჯადოქარი სულ ოცი წლისა იყო, როდესაც უკვე ვაჭრობის და საბანკო საქმის სირთულეებს ფლობდა, რასაც მოკვდავთა უმეტესობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ ეუფლება.

იგი მახვილი გონების მქონე და ფრიად ნაკითხი ადამიანი იყო. განუწყვეტლივ აგროვებდა სტატისტიკურ მონაცემებს, იცნობდა როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ლიტერატურას და წაკითხული ჰქონდა თავისი დროის ბევრი ეკონომიკური ნაშრომი, თუმცა იდეოლოგიებს, რელიგიურ თქმულებებს და ზნეობრივ ფილოსოფიას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

მისი მეცნიერული გონი ანალიტიკური პრობლემებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული. ფინანსური იღბლიანობის და ანალიტიკური უპირატესობის ადრეულმა შერწყმამ იგი მე-18 საუკუნის ცნობილ ეკონომისტად აქცია.

7.2. „ნარკვევები"

კანტილიონის ერთადერთი გამოცემული ნაშრომის **„ნარკვევები ზოგადად ვაჭრობის შესახებ"**[1] გამოქვეყნებასთან დაკავშირებული გარემოებანი ბუნდოვანია. იგი დაწერილია დაახლოებით 1730 წელს, პირველ ფურცელზე კი მითითებულია 1755 წელი.

ის, რომ წიგნი სრულად ავტორის სიკვდილიდან (1734) ოცდაერთი წლის შემდეგ გამოიცა, სასამართლო პროცესების დასრულების მოლოდინით შეიძლება აიხსნას.

თუმცა ნაშრომზე ავტორის გვარი მითითებული არ იყო, იმ დროს მისი ვინაობა ყველამ იცოდა (მოგვიანებით მას ხშირად მის ძმისწულ ფილიპე კანტილიონში ურევდნენ). წიგნი ჯერ ფრანგულ, შემდეგ კი ინგლისურ ენაზე გამოიცა.

იგი ადამ სმითის „ხალხთა სიმდიდრის" გამოსვლამდე ეკონომიკური პრინციპების კლეების ყველაზე სისტემური ნაშრომი იყო. მან ფიზიოკრატებისა და, საერთოდ, კლასიკური სკოლის წარმომადგენლებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა.

მას შემდეგ, რაც ჯევონსმა თავიდან აღმოაჩინა კანტილიონი, მისი პრესტიჟი სულ უფრო მაღლდებოდა, სანამ არ შეიქმნა იმის საშიშროება, რომ კანტილიონი ძალიან მაღალ ადგილს დაიკავებდა ეკონომიკურ მეცნიერებაში. თუმცა, კანტილიონი არა მხოლოდ ავტორიტეტული მკვლევარი, არამედ უკვე არსებული იდეების ელეგანტური ჩამომყალიბებელიც იყო.

კანტილიონმა ამ ნაშრომში გაიზიარა პეტის შეხედულება, რომ **ღირებულებას შრომა და მიწა განსაზღვრავს**. თუ პეტი ღირებულების ახსნაში დახარჯულ შრომას აძლევდა უპირატესობას, კანტილიონი პირიქით, მიწის პრიორიტეტულობაზე მსჯელობდა. ამასთან, იგი პესიმისტურად განეწყო საგარეო ვაჭრობის შედეგად გამდიდრებული ქვეყნების მომავალი პერსპექტივების მიმართ.

კანტილიონი, როგორც კაპიტალისტური წარმოების ადრეული მკვლევარი, **სიმდიდრის (ღირებულების) წყაროდ მიწასა და შრომას ასახელებდა**, ამასთან, მიიჩნევდა, რომ გაცვლის პროცესში მოთხოვნა-მიწოდების ცვალებადობის ზეგავლენით პროდუქტის ფასი შეიძლება ღირებულებისაგან გადაიხაროს.

იგი **ფულში** ხედავდა საქონლის ერთ-ერთ ნაირსახეობას. ფულის რაოდენობრივი თეორიის დასაბუთებისას, ადგილობრივ ბაზარზე ფასების ცვალებადობას განიხილავდა, როგორც ცალკეულ ქვეყნებს შორის ფულის არათანაბრად განაწილების შედეგს.

მიწის რენტას იგი ზოგადად ზედმეტი ღირებულების წყაროდ მიიჩნევდა. მან ერთ-ერთმა პირველმა სცადა **სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის მოდელის სახით გაანალიზება.**

კანტილიონის მთავარი ნაშრომი იწყება **მიწის**, როგორც სიმდიდრის წყაროს განსაზღვრით, **შრომა** კი, მისი აზრით, არის მწარმოებელი ძალა, რომელიც ამუშავებს მას; ყველა მატერიალური პროდუქტის ღირებულება მათგან იქმნებაო.

1 **Cantillon** R., Essai sur la nature du commerce en général (1755), L., 1931.

შემდეგ იგი აგრძელებს მსჯელობას ეკონომიკის სტრუქტურის, დაქირავებული შრომის, ღირებულების, მოსახლეობის და ფულის შესახებ.

წიგნის მეორე ნაწილი ძირითადად ფულის პრობლემებს, გაცვლას და სარგებელს ეძღვნება, მესამე ნაწილი კი საგარეო ვაჭრობას, ბანკებს და კრედიტს.

წიგნის ბოლო ორ თავში კანტილიონი ორიგინალური ანალიზით გამოირჩევა. მან ეკონომიკური პრინციპების საკუთარი კომერციული გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა და ისეთი რეკომენდაციები შეიმუშავა, რომლებიც ამ საკითხებისადმი მიძღვნილ ნებისმიერ თანამედროვე ნაშრომში თავის ადგილს დაიკავებს. მას საერთაშორისო გადახდების მექანიზმებთან დაკავშირებით, სიძნელეები არ ჰქონია, რაც ლოკს აწუხებდა. თუ ქვეყანას, - აღნიშნავდა იგი, - აქვს ექსპორტის სიჭარბე (ნებისმიერი განსახილველი დროისათვის) და სხვა ქვეყნიდან შემოაქვს ლითონის ფული (ოქრო ან ვერცხლი), მაშინ სავაჭრო **„ბრუნვა უფრო მიზანშეწონილი გახდება იქ – ფულის სიჭარბე იქ, და შესაბამისად, მიწა და შრომა გახდება გაცილებით ძვირი იქ“**. ამან უნდა გააწონასწოროს ვაჭრობა.

მიმოქცევის სფეროს გაფართოების ეფექტის ანალიზი კანტილიონთან უფრო სრულად დამუშავებულია, ვიდრე იუმთან. გაითვალისწინა რა საბადოებიდან ოქროს მოპოვების ზრდა, კანტილიონმა შეძლო ეჩვენებინა, რომ რამდენადაც ვაჭრობის ძალისხმევით გაიზრდება მოგება, იმდენად შესაძლებელი გახდება მისი გადანაწილება. მფლობელები, მდნობელები, გამსუფთავებლები და სხვა ბუშები პირველად შეძლებენ გაზარდონ თავისი მოთხოვნილება საკვებზე, ტანსაცმელზე და საერთოდ საქონლის წარმოებაზე. ასეთი საქონლის შემოტანა მათი გაძვირებით შემოუბრუნდებათ, მაგრამ საქონლის წილი, რომელიც სხვა ქვეყნის ხალხის ხელში გადავა, აუცილებლად უნდა შემცირდეს. გაზრდილი ფასის ნაწილი და ამის შედეგად წარმოქმნილი ცვლილება სიმდიდრის გადანაწილებაში არის შემდგომი საფრთხილო ბილიკი; და, აგრეთვე საერთაშორისო ეფექტებიც არ გამოირიცხება.

მთლიანად, ეს არგუმენტები შესანიშნავად ახდენს <u>მონეტარული დოქტრინის</u> მნიშვნელოვანი ასპექტების დემონსტრირებას. კანტილიონმა იცოდა, რომ ქაღალდის ფულის ზრდაც მხოლოდ წარმოსახვითი ეფექტია. ბოლოს და ბოლოს ფულის „ფიქტიური“ სიუხვე უნდა შემცირდეს, არადა პირველი აღფრთოვანება იქნება დისკრედიტებული და ბოლოს არეულობა აუცილებლად უნდა ჩაცხრეს.

<u>საგარეო ვაჭრობის</u> საკითხთან დაკავშირებით, კანტილიონმა ნათლად გამოხატა პრინციპები, რომლებიც დაედო საფუძვლად გამოყენებით ეკონომიკას. მან მის წინამორბედებთან შედარებით, უკეთესად წარმოაჩინა ვაჭრობის, სპეკულაციის, ლითონური ფულის მიმოქცევის და საერთაშორისო ფასების ჩამოყალიბების საკითხები. მის მიერ განსაკუთრებულად ნათლად იყო განმარტებული შემთხვევები, რომლებიც ზრდიან ან ამცირებენ პარიტეტულ გაცვლებს და გზა, რომლის მეშვეობითაც ასეთი ნაკადების აღრიცხვა შესაძლებელია.

7.2.1. ღირებულება და ფასი

ღირებულების, დაქირავების და ფასების შესახებ ცენტრალური საკითხები კანტილიონის ნარკვევების პირველ ნაწილში შევიდა.

ღირებულების, დაქირავებული შრომის და ფასების შესახებ საკითხების დამუშავებისას კანტილიონი ყოველთვის ორიგინალურობით როდი გამოირჩევა. ის ვალშია წინამორბედებთან, მაგრამ მათზე უფრო სრულყოფილი ანალიზი შემოგვთავაზა. განსაკუთრებით ეს ეხება ღირებულების ანალიზს, რომელიც მან ძირფესვიანად გადააკეთა. შესაძლოა, კანტილიონმა ეს ინგლისური ეკონომიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ეკლექტიციზმიდან აიღო. ღირებულების ეს თეორია საწყისში არის შრომის თეორია, რომელიც წარმოება-ფასის თეორიად გარდაიქმნა და გარკვეული მინარევის სახით მიწოდება–მოთხოვნის თეორიაც შეითავსა. ასეთი შეხედულებების პირველი ძაფები პეტისაგან, ხოლო შემდგომ კი ლოკისაგან მომდინარეობს.

კანტილიონი იმეორებს პეტის დოქტრინას სიმდიდრის საწყისებზე, ოღონდ სხვა ინტერპრეტაციით. თავის ნაშრომში იგი ანვითარებს ამ თეორიას და ასკვნის, რომ:

- **„საერთოდ ნივთის ფასი და რეალური ღირებულება მიწისა და შრომის საზომიდან გამომდინარეობს“**;

- თუ ორი საქონელი ერთი და იმავე რაოდენობის მიწითა და შრომით იწარმოება, მათ ერთნაირი ღირებულება ექნებათ. მაგრამ თუ მიწისა და შრომის ღირებულება სხვადასხვაა, პროპორციულად, საქონლის ღირებულებაც განსხვავებული იქნება;

- ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად ზამბარიანი საათის შემთხვევაში, „მუშა ქმნის თითქმის მთლიან ღირებულებას", სხვა შემთხვევაში, მაგალითად „შეშის" ფასში, მიწა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

პროდუქტის **ფასის** განსაზღვრისას კანტილიონი აგრეთვე განასხვავებდა საქონლის **რეალურ ღირებულებასა** და **საბაზრო ფასს**. მდიდარი ადამიანი, რომელმაც თავისი მამულის გასალამაზებლად ბევრი ფული დახარჯა, მისი გაყიდვის სურვილის შემთხვევაში ყოველთვის მისი რეალური ღირებულების მიღებას აუცილებლად არ თვლის. ფერმერის შემთხვევაში კი პირიქითაა – მას მოსავლის რეალიზაციიდან მაქსიმალური მოგების მიღება სურს, რათა მომავალში მეტი აწარმოოს...

მოთხოვნასთან შედარებით მიწოდების სიჭარბე ამცირებს პროდუქტის საბაზრო ფასს, მიუხედავად მისი რეალური ღირებულებისა. <u>რეალური ღირებულება</u>, კანტილიონის აზრით, <u>უცვლელია</u>. მაგრამ ვინაიდან ყოველთვის შეუძლებელია წარმოების განაწილება სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნასთან საკმარისად ჰარმონიულად, ამიტომ <u>საბაზრო ფასები ცვალებადია</u>.

7.2.2. ფული

მიწოდება-მოთხოვნის ფაქტორები კვლავ მოიხსენიება ფულის პრობლემასთან დაკავშირებით. კანტილიონი ძირითადად ეთანხმება ლოკის ფულის რაოდენობრივ თეორიას. მაგრამ ლოკის მოსაზრებას ფულის ღირებულების შესახებ არ იზიარებს.

ჯონ ლოს მსგავსად, იგი ფულს წარმოსახვით მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, ოქროსა და ვერცხლის ღირებულებაში საერთო თანხმობა მიიღწევა, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც ცხოვრებისათვის აბსოლუტურად აუცილებელი. ძვირფას ლითონებს აქვთ ის ღირებულება, რომელიც ზუსტად ისე განისაზღვრება, როგორც ნებისმიერი სხვა საქონელი, კერძოდ, მიწით და შრომით.

კანტილიონმა ეს მოსაზრება რამდენადმე განავითარა. მან აღიარა **ფულის, როგორც ღირებულების საზომის ფუნქცია**. მისი აზრით, „ლითონის რეალური ღირებულება" მიწისა და შრომის პროპორციულია, თუმცა, მათი საბაზრო ღირებულება, საქონლის მსგავსად, შეიძლება მიწოდება-მოთხოვნის შესაბამისად იცვლებოდეს. ფული, როგორც ღირებულების საზომი, ფაქტობრივად იმ რეალურ სიდიდეებს (მიწასა და შრომას) უნდა შეესაბამებოდეს, რომელზედაც ის გადაიცვლება.

7.2.3. სამუშაო ძალისა და შრომის ღირებულება

კანტილიონი, როგორც გვიანდელი ფეოდალიზმისა და ადრინდელი კაპიტალიზმის წარმომადგენელი, ერთმანეთისაგან განასხვავებს **სამუშაო ძალის ღირებულებას** და იმ ღირებულებას, რომელსაც იგი ქმნის. იგი იყენებს მონების, გლეხების, ოსტატების და სხვ. მრავალრიცხოვან მაგალითს და ასკვნის, რომ **შრომის რეალური ღირებულება** განისაზღვრება მიწების იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა მშრომელების არსებობისა და კიდევ მათი ორი ბავშვის შრომისუნარიან ასაკამდე მისაყვანად.

კანტილიონის ასეთი პოზიცია პრაქტიკულად <u>დაქირავებული შრომის კლასიკურ თეორიას</u> ემთხვევა.

7.2.4. მოსახლეობის თეორია

კანტილიონის შეხედულებები მოსახლეობის შესახებ განსხვავდება შემდგომში მალთუსის მიერ გამოთქმული იდეებისაგან. კანტილიონის **მოსახლეობის თეორია** იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ თუ ადამიანები საარსებო საშუალებებით მაქსიმალურად უზრუნველყოფილნი არიან, ისინი „ბელელში თაგვების მსგავსად მრავლდებიან".

ეს, ფაქტობრივად, შემდგომში ცნობილი „გეომეტრიული პროგრესიაა". მაგრამ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არსებობის საშუალებანი შეზღუდულია მიწის რაოდენობით. ამის შედეგად, იგი მოცემულ ადგილზე მოსახლეობის ზრდა-გამრავლებისა თუ მიგრაციის საშუალებით, თანდათანობით შეიზღუდება. სტაციონარული მდგომარეობისათვის დამახასიათებელია გარკვეული საარსებო ხელფასი, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად შენარჩუნდეს, ე.ი. დაიცვას იგი, როგორც მკვეთრი ზრდისაგან, ისევე მკვეთრი კლებისაგან.

7.2.5. ხელფასი

კანტილიონს **საარსებო ხელფასი** მიაჩნია არა უცვლელად, არამედ საცხოვრებელ სტანდარტებსა და სოციალურ პირობებზე დამოკიდებულად და, ამგვარად, **ცვალებადად**. იმისათვის, რომ მუშამ სტაციონარულ მდგომარეობაში თავისი ოჯახი შეინახოს, საჭიროა ხელფასის ის რაოდენობა, რომელიც მისი არსებობის შესანარჩუნებლად საკმარისია. კანტილიონის ეს შეფასება ადამ სმითის მოსაზრებას გარკვეულწილად ემთხვევა.

კანტილიონის აზრით, ყველაფრის „რეალური ღირებულება", რასაც კი ადამიანი მოიხმარს, მიწის იმ რაოდენობის პროპორციულია, რომელიც მის დასამუშავებლად და იმათ შესანახადაა საჭირო, ვინც მას ამუშავებს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ავტორის ასეთი მიდგომა ანალიტიკურად დ. რიკარდოს და კ.მარქსის შრომითი ღირებულების თეორიაზე უმჯობესია[1]. მაგრამ რიკარდოსეული პრობლემები კაპიტალის არათანაბარი ინვესტირების შესახებ შეუცველი რჩება. რა თქმა უნდა, თანამედროვე თეორიის თვალსაზრისით, როგორც შრომის, ასევე მიწის ღირებულების თეორიები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია ვარგისი.

7.2.6. წარმოების ორი სექტორი

კანტილიონმა თავისი ღირებულების თეორია გამოიყენა, როგორც ანალიტიკური საფუძველი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს შორის ფულად-საქონლური მიმოქცევის მოდელისათვის.

„კარჩაკეტილ" მეურნეობაში იგი წარმოების ორ სექტორს განასხვავებს. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სექტორსა (რომელიც სოფელ და დაბა ადგილებშია განაწილებული) და მრეწველობის სექტორს (რომელიც ქალაქებშია თავმოყრილი). ქალაქსა და სოფელს შორის მისი სიღრცული წონასწორობის მოდელი ელემენტარული იყო, მაგრამ იგი ტიუნენის ცნობილი „იზოლირებული სახელმწიფოს" (1826) გამოსვლამდე არ გაუმჯობესებულა.

7.2.7. სოციალური კლასები

კანტილიონის მიხედვით, არსებობს სამი სოციალური კლასი: **მიწათმფლობელები, ფერმერები და დაქირავებული მუშები**. მიწათმფლობელები საქონელს მოიხმარენ, მაგრამ მას არ აწარმოებენ. ისინი ოჯარით აძლევენ თავიანთ მიწას ფერმერებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მეწარმეებს წარმოადგენენ და მიწათმფლობელებს მიწის რენტას უხდიან. ფერმერები რენტის გადახდის გარდა, მიწის დასამუშავებლად მუშახელს ქირაობენ და ქალაქებში წარმოებულ პროდუქტს ყიდულობენ. ისინი სურსათსა და ნედლეულს ყიდიან ქალაქებში და მიწათმფლობელებზე, ხოლო შემოსავლების ნაწილს თავად მოიხმარენ. ქალაქელი ხელოსნები, ვაჭრები და საერთოდ მეწარმეები თავიანთ ნაწარმს მიწათმფლობელებსა და ფერმერებზე ყიდიან, ხოლო ამონაგებით სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს ყიდულობენ, ხელფასს უხდიან თავიანთ მუშებს და სახსრების ნაწილს საკუთარი მოთხოვნილებისათვის ხარჯავენ. **აქ მეტად ფრანსუა კენეს „ეკონომიკურ ცხრილთან" მსგავსება**, რომელიც ცოტა მოგვიანებით შეიქმნა.

---

1 **Brems H.**, Cantillon versus Marx: The Land Theory and the Labor Theory of Value. History of Political Economy, 10(4), 1978.

წრებრუნვის ამ მოდელში დაშვებულია, რომ მოსახლეობის ერთი ნახევარი ქალაქებში ცხოვრობს, მეორე ნახევარი კი სოფლებში.

კანტილიონის სახელი კლავწარმოების თეორიასთანაა დაკავშირებული, რამდენადაც ფ. კენემდე **მან პირველმა სცადა სამრეწველო კაპიტალის წრებრუნვის მოდელის შექმნა**. ამასთან, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კონკურენციის პრობლემათა შესწავლას. მისი აზრით, **კონკურენცია ეკონომიკის ფრთხილი მგეგმავია**. ეს აზრი ადამ სმითის „უხილავ ხელამდე" ორმოცდაათი წლით ადრეა გამოთქმული.

73. მონეტარული დოქტრინა

რ.კანტილიონის კიდევ ერთი დამსახურება ფულს ეხება. ფულში ის საქონლურ ფულს გულისხმობს, რომელიც უმეტესად ოქროს ან ვერცხლის მონეტებს შეიცავს. ამის შედეგად, **ფულის ღირებულება** (საქონლის ღირებულების მსგავსად) საბოლოოდ მის დამზადებაზე საჭირო მიწიდან ამოღებულ და დამუშავებულ ლითონთანაა დაკავშირებული.

კანტილიონს შემოაქვს **„ფულის ბრუნვის სიჩქარის ფორმულა"**, რომელიც მას ცარიელ ნიადაგზე არ შეუქმნია. მანამდე პეტი ანალიზებდა თანხების გადახდათა სიხშირის მნიშვნელობას ფულზე მოთხოვნისათვის, ხოლო ჯონ ლოკმა ამ ფაქტორებზე მსჯელობისას „მიმოქცევის სისწრაფეც" კი ახსენა.

მიუხედავად ამისა, ამ ცნების შემოტანაში მთავარი დამსახურება მაინც კანტილიონს ეკუთვნის. ერთეულ გადახდაზე ფულის მოთხოვნისა და ფულის ერთეულით შესრულებული გადახდების რიცხვის მანიპულირებით, იგი თავიდანვე ნათელჰყოფს, რომ ნაღდი ფულის ბალანსსა და ფულის ბრუნვის სიჩქარეს შორის სისტემური გაყოფის საფუძველი არ არსებობს.

მონეტარულ თეორიაში კანტილიონის მნიშვნელოვან წვლილს **ფულის დინამიური ეფექტების ანალიზი** წარმოადგენს. კერძოდ, მან უზრუნველყო ფასებზე, შესყიდვებსა და სარგებელზე ფულის „რეალური" გავლენის ანალიზი, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ამ ეფექტებიდან ზოგიერთი პერმანენტულია, მაგრამ მათი ბუნების გათვალისწინებით ზოგადი მტკიცება შეუძლებელია. ოქროს წარმოების ფასის შემცირებამ (მაგალითად, ახლად აღმოჩენილი საბადოების გამო), დიდი დროის განმავლობაში შიგა და საერთაშორისო ფასებს ზრდისაკენ უნდა უბიძგოს, მაგრამ ფასების ზრდა ფულადი მასის ზრდის პროპორციული არ იქნება, — თვლიდა კანტილიონი.

რეალურ პირობებში ფულის გავლენის ეფექტები უმეტესად დროებითი უნდა იყოს. დასაწყისში ისინი, ვინც ოქროს მაღაროებში მუშაობენ, უფრო მეტ სახარჯო ფულს ფლობენ, რაც ზრდის საქონელსა და მომსახურებაზე მათ მოთხოვნას და ეს სხვა საწარმოებში წარმოების მოცულობისა და დაქირავებულთა რაოდენობის შემდგომ ზრდას იწვევს. გაზრდილი მოთხოვნა ფასებს ზრდის, ფასების ზრდა კი ფერმერებს ასტიმულირებს მიწის უფრო დიდი რაოდენობა დაამუშაონ და თავიანთი დანახარჯები გაზარდონ.

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ადამიანების — მიწათმფლობელების (ხისტი რენტით) და მუშების (ფიქსირებული ხელფასით) რეალური შემოსავალი მცირდება. ამან შესაძლოა მათი ემიგრაცია განაპირობოს: ზრდა თანდათანობით სტაგნაციაში გადადის, უცხოურ ბაზრებზე მზარდი ფასები ეკონომიკის შიგა კონკურენტუნარიანობას ასუსტებს; საექსპორტო ინდუსტრია ითრგუნება, ვინაიდან იზრდება იმპორტი, რომლის შედეგია ვაჭრობის დეფიციტი. პროდუქტის გამოშვების ზრდის სტიმული იკარგება. დამატებითი ოქრო ახლა უკვე ჭარბი იმპორტის დასაფინანსებლადაა საჭირო, თავის დროზე კი ოქროს მარაგიც ილევა; მზარდ ფასებს ახლა უკვე ვაჭრობისა და დასაქმების სტაგნაციაც ახლავს თან. ოქროს აღმოჩენა მხოლოდ ოქროს სამთამადნო საქმისა და უცხო ქვეყნებისათვის ხდება სასარგებლო.

კანტილიონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოქროს დიდ მარაგებს, რაც მისი აზრით, სახელმწიფოს შედარებით ძლიერებას განსაზღვრავს.

ფაქტობრივად, კანტილიონი მართალია, როცა მიუთითებს, რომ დიდი რაოდენობით ოქრო იმ

ქვეყანაში ინახება, სადაც მასზე დიდი მოთხოვნაა. იუმისა და კანტილიონის თანახმად, ოქროზე მოთხოვნა საკუთრივ მის მიწოდებას წარმოშობს.

რ.კანტილიონმა ერთხელ და სამუდამოდ გაფანტა შეხედულება, რომ ფულის რაოდენობის ზრდას აუცილებლად თან ახლავს სარგებლის განაკვეთის შემცირება. მისი მითითებით, ეს იმ ძალებზეა დამოკიდებული, რომლებიც ფულადი ექსპანსიის უკან იმალება. თუ ეს ექსპანსია ფულის მარაგის ზრდითაა გამოწვეული, მაშინ გაფართოებული აზრი სამართლიანია. მაგრამ თუ ფულის რაოდენობის ზრდა გამოწვეულია მასზე მოთხოვნის ზრდით (მაგალითად, გაუმჯობესებული ბიზნესით გამოწვეული მოლოდინით), მაშინ სარგებლის განაკვეთი მაღალი იქნება.

ამგვარად, ფულის ზრდის რეალური ეფექტი მისი ზრდის ფაქტორებზეა დამოკიდებული.

წიგნის მესამე ნაწილში კანტილიონი უცხოური სავალუტო ბაზრის, ბიმეტალიზმის და საბანკო საქმის კარგ განმმარტებლად გვევლინება, რასაც რაიმე ფუნდამენტალურ შეხედულებებს არ ამატებს.

საბოლოოდ, კანტილიონი თავისი ორიგინალური მოსაზრებებით, **მონეტარული დოქტრინის კლასიკური ტრადიციების დამფუძნებლადაა მიჩნეული.**

7.4. „ბრწყინვალე ქმნილება"

კანტილიონის ნაშრომი, რომელიც „ხალხთა სიმდიდრეზე" გაცილებით ადრეა დაწერილი, ბიზნესმენის ნაშრომს წარმოადგენს, რომელსაც სწამდა, რომ ერის შედარებითი ძლიერება მის ოქროსა და ვერცხლის მარაგზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ამისა, ნაშრომი ბრწყინვალე გამოთქმით იწყება, რომელიც შორეულ მომავალზე მიუთითებს: „**მიწა არის წყარო და მასალა, საიდანაც ყოველგვარი დოვლათი მოდება. ადამიანის შრომა არის მისი შექმნის საშუალება — და თავისთავად, სიმდიდრე სხვა არაფერია, თუ არა არსებობის საშუალება, კომფორტი და სიუხვე**".

მიუხედავად წარმატებისა, კანტილიონის ნაშრომი დროის სტანდარტების მიხედვით მოწყობილ ელეგანტურ სალონებში სასაუბროდ განკუთვნილი მარტივი წიგნი არ იყო. ამის შედეგია, რომ მას უფრო ფართოდ მიესალმებოდნენ, ვიდრე კითხულობდნენ და მიუხედავად ამისა, დიდი იყო მისი გავლენა.

მის წიგნს აგრეთვე იცნობდა ფრანსუა კენე, ვინაიდან იგი იმოწმებს კანტილიონს უკვე თავის სტატიაში „ხორბალი", რომელიც 1757 წელს „ენციკლოპედიაში" დაიბეჭდა. ზუსტად უცნობია, თუ რამდენად იყო მისი „ეკონომიკური ცხრილი" შთაგონებული კანტილიონის იდეებით, მაგრამ იგი ალბათ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო.

თუ რა ისწავლა ადამ სმითმა კანტილიონისაგან, ასევე უცნობია. „ხალხთა სიმდიდრეში" იგი მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული. თუმცა ეს ავტორზე მის გავლენას არ განსაზღვრავს. ყოველ შემთხვევაში, მირაბოს, კენეს და ადამ სმითის მიერ მოხსენიების გამო, კანტილიონის სახელი ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან არ წაშლილა.

როდესაც უ.ს. ჯევონსმა კანტილიონის ნაშრომი პირველ ეკონომიკურ ტრაქტატად და „სხვა ცალკეულ ნაშრომებზე უფრო მეტად პოლიტიკური ეკონომიის აკვნად" გამოაცხადა, ეს კანტილიონის ხელმეორედ აღმოჩენად ჟღერდა.

თუ არ ჩავთვლით ჯევონსის მიერ კანტილიონის „მამა-დამაარსებლად" გამოცხადებას, მისი მაღალი დამსახურების შესახებ აზრმა გაიმარჯვა. არტურ მონრო[1], „ხალხთა სიმდიდრის" გამოსვლამდე, მის ნაშრომს განსაზღვრავს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევარს ეკონომიკაში. ი.შუმპეტერი მას „დიდი სამუშაოს ბრწყინვალე ქმნილებას" უწოდებს, რომელიც თითქმის საუკუნის განმავლობაში არ დაჩრდილულა[2] (საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ საუკუნეში მოღვაწეობდნენ როგორც სმითი, ასევე რიკარდო). მისი აზრით, „კანტილიონი კენესათვის პეტი კანტილიონისათვის

1 **Monroe** A.E.: Monetary Theory before Adam Smith, 1923; Early Economic Thourght (1924), Cambr.-Mass., 1951.

2 **Шумпетер** Й., История экономического анализа, т.I, გვ. 287.

იგივენი იყვნენ, როგორც რიკარდო მარქსისათვის"[1].

უფრო მოგვიანებით, მარკ ბლაუგი კანტილიონის ნაშრომს აღწერს, როგორც „ხალხთა სიმდიდრემდე" უაღრესად ნათელ და, ამავე დროს, უაღრესად ორიგინალურს ეკონომიკური პრინციპების მტკიცებებს შორის[2].

8. ადრეული ამერიკული ეკონომიკური შეხედულებები: ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790)

8.1. აზროვნებისათვის ნოყიერი ნიადაგი

ამერიკაში მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობა „პიონერი-ეკონომისტის" აზროვნების ჩამოყალიბებისათვის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს ქმნიდა. აქ მრეწველობის განვითარების შეზღუდულ პირობებში ძირითადად სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა.

სელექციური მიგრაციის პრინციპმა ამერიკის მრავალ დასახლებაში ადამიანთა კომპეტენტურობის დონე გაზარდა. ცხოვრების პრიმიტიული პირობები მომჭირნეობას და დაუღალავ შრომას მოითხოვდა. მკაცრი პირობების გამო მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვინც განსაკუთრებული ალღო და ფანტაზია გამოიჩინა. თავდაცვის ინსტინქტი ტყეში ცხოვრების პირობებში გამომუშავდებოდა. ადამიანის ბუნებაზე დომინირების დამადასტურებელი ფაქტები მასში კომპეტენციისა და ძალაუფლების შეგრძნებას ავითარებდა. შრომა დაფასებული იყო და მომჭირნეობა სიძლიერედ ითვლებოდა.

აქედან გამომდინარე, „პიონერთა" გამოცდილებისა და იდეალებისაგან ქვეყნის ფუნდამენტური ეკონომიკური მოდელი შეიქმნა.

კაპიტალის გარეშე არსებული მდიდარი რესურსებით, მიმოფანტული მოსახლეობის პირობებში, ექსპლუატაცია ადრეული ხანის წესი იყო. ბუნების ნაყოფიერება და ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარი თავისუფალი და კერძო ქონების მოპოვების უფლებას ამკვიდრებდა. მეწარმეობის თავისუფლება, მობილური საქმიანობის შესაძლებლობა და ყიდვა-გაყიდვის ან მფლობელობის უფლება ადრეული ამერიკული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი გახდა.

იმის გამო, რომ ბარტერი (საქონელგაცვლა) იყო ქონების გაცვლის არაადეკვატური მეთოდი, ფულის მექანიზმის გამოყენება აუცილებელი გახდა; ამიტომ, საჭირო ვალუტის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებები გატარდა. გასაკვირი არ არის, რომ ადრეულ ამერიკულ ეკონომიკურ ნაშრომებს შორის ვალუტის საკითხებზე ბროშურები გამოჩნდა.

ამერიკული კოლონიალური საზოგადოება დინამიური იყო და მან მომპოვებელი ინდუსტრიები აამოქმედა; ევროპის მოწინავე ქვეყნების ეკონომიკებისაგან განსხვავებით, კოლონიებში მერკანტილისტური რეგულირების წესები ვერ გამოდგებოდა. ისინი მშობლიური ქვეყნის „გადამრჩენელი პოლიტიკით" ცხოვრობდნენ. კოლონიების განვითარება პირველ საუკუნეში შემდგომი საუკუნეების მემკვიდრეობად შემორჩა და ამერიკაში ამ ეპოქის ეკონომიკური აზროვნების პირველი წარმომადგენელი ბენჯამინ ფრანკლინი იყო. ამერიკა, რომელიც ძირითადად სოფლის მეურნეობას ემყარებოდა, მე-18 საუკუნეში ფრანკლინის მიერ დახასიათებული იყო ნატურალიზმისა (ბუნებითი) და რაციონალიზმის (გონივრული) ფილოსოფიით.

8.2. აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის თანაავტორი

აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის (1776) და კონსტიტუციის (1787) ერთ-ერთი ავტორი, ბენჯამინ **ფრანკლინი** (Franklin), ამერიკელი მწერალი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, დაიბადა ბოსტონში, სანთლების გამყიდველის ოჯახში.

1 **Шумпетер** Й., История экономического анализа, т.I, გვ. 280.

2 **Блауг** М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994, გვ. 18.

მისი ფორმალური სასკოლო განათლება ადგილობრივ სკოლაში რამდენიმე წლით შემოისაზღვრა. სწავლისადმი მისმა მიდრეკილებამ მამას სურვილი აღუძრა შვილი სასწავლებლად ჰარვარდის კოლეჯში გაეშვა, მაგრამ ოჯახურმა ბიუჯეტმა მას ამის საშუალება არ მისცა. ამის გამო ბენჯამინი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი გახდა, რომელსაც განათლება დამოუკიდებლად უნდა მიეღო.

ბ.ფრანკლინი დიდი ინტერესით კითხულობდა პლუტარქეს, ლოკის ნაწარმოებებს, ისევე, როგორც მამის მწირ ბიბლიოთეკაში არსებულ თეოლოგიურ ლიტერატურას.

იგი თვითგანათლებას მთელი ცხოვრების განმავლობაში განაგრძობდა. ბეერს კითხულობდა საბუნებისმეტყველო ლიტერატურას, ატარებდა ექსპერიმენტებს, სახელი გაითქვა, როგორც გამომგონებელმა ელექტრონიკაში და მეცნიერებას პრაქტიკაშიც ხშირად იყენებდა. მაგალითად, მან შეიმუშავა ბუხრების გაუმჯობესების ტექნიკა - „ფრანკლინის ღუმელად" ცნობილი მოწყობილობა. დამოუკიდებლად შეისწავლა ლათინური, იტალიური, ფრანგული და ესპანური ენები.

ჰარვარდში განათლების მიღების იმედის გაცრუების შემდეგ ბენჯამინს თავისი ნახელარძმა, ბოსტონელი ტოპოგრაფისტი[1] მფარველობდა. გაზეთში „ახალი ინგლისის კურანტი", რომელიც დაარსებული და გამოცემული იყო უფროსი ძმის მიერ, ბენჯამინის სტატიები ქვეყნდებოდა. სულ მალე ძმას სახელმწიფო ორგანოებთან პრობლემები შეექმნა ბენჯამინის ლიბერალური იდეების გაერცელების გამო; ამის შემდეგ იგი ძმას განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობოდა, რის გამოც ბენჯამინი სახლიდან გაიქცა.

17 წლის ასაკში იგი ნიუ-იორკში დასახლდა, ხოლო შემდეგ ფილადელფიაში (1723) ისე ჩავიდა, რომ ჯიბეში ერთი დოლარი ედო. თუმცა, სამუშაო მაშინვე იშოვა ენდრიუ ბრედფორდის მაღაზიაში და თუ არ ჩაითვლით საზღვარგარეთ გატარებულ დროს, შემდგომში ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ფილადელფიის საპატიო მოქალაქედ რჩებოდა.

ფრანკლინმა მალე პენსილვანიის გუბერნატორის ვილიამ კეიტის ყურადღება მიიპყრო, რომელიც საქმის წამოწყებაში დაეხმარა და იგი ინგლისში საუკეთესო საბეჭდი მანქანების შესარჩევად გაუშვა. როდესაც იგი ლონდონში ჩავიდა, მას იქ, დაპირებისამებრ, არავითარი მინდობილობის წერილი არ დახვდა, ამიტომ აქ მან ხელოსნად მუშაობა დაიწყო.

თერამეტი თვის შემდეგ იგი ფილადელფიაში დაბრუნდა. მალევე წამოიწყო საკუთარი ბიზნესი და 1732 წელს, აშშ-ის პირველი პრეზიდენტის (1789-1797) ჯორჯ ვაშინგტონის (1732-1799) დაბადების წელს, კარგი რეპუტაციის მქონე გაზეთი „ღარიბი რიჩარდის ალმანახი" გამოსცა, რომელიც ოცდახუთი წლის განმავლობაში დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. მისი ინიციატივითვე დაარსდა ფილადელფიაში (ინგლისის კოლონიებში პირველი) საჯარო ბიბლიოთეკა (1731) ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოება (1743), იგი ხელს უწყობდა საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესების პროცესებს. ამასთანავე, იგი ფილადელფიის აკადემიის (1751) ორგანიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო, რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტის წინამორბედი დაწესებულება გახლდათ. მოგვიანებით, ფრანკლინს ისეთი კოლეჯის დაარსება სურდა, რომელიც ახალგაზრდებს ლიდერობის ხელობას შეასწავლიდა.

ბ.ფრანკლინი წარმატებულად მსახურობდა პენსილვანიის ასამბლეაში და 1757 წელს წარდგენილი იყო ინგლისში ამ კოლონიის წარმომადგენლად. სხვა კოლონიებმაც ის წამოაყენეს კანდიდატად და იგი მთელი ამერიკის ინტერესების წარმომადგენელი გახდა. ოქსფორდი და ედინბურგი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამის გამო სამეფო საზოგადოების წევრად ირჩიეს. მოგვიანებით ფრანკლინი კონტინენტალური კონგრესის წევრია, რომელმაც ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციას. რევოლუციური ომის შემდეგ იგი ერთ-ერთ სრულუფლებიან კომისრად მსახურობდა, რომელმაც მშვიდობის ზავის პროექტი შეიმუშავა; იყო პენსილვანიის გუბერნატორი და 1787 წლის საკონსტიტუციო კონვენციის დელეგატი.

ევროპაში ფრანკლინი მრავალ გაელენიან პიროვნებასთან მეგობრობდა. მათ შორის იყვნენ ფ.ქენე, ა.ტიურგო, ა.სმითი, დ.ჰიუმი და სხვ.

თავის ნაშრომებში მან მალთუსიანური დოქტრინა იწინასწარმეტყველა და მაღალი ხელ-

---

1 ტოპოგრაფია (ბერძნ. topos ადგილი და graphō ვწერ) გეოდეზიის ნაწილი, რომელიც სწავლობს დედამიწის ზედაპირს, მისი გაზომვისა და გეგმაზე ან რუკაზე გამოსახვის ხერხებს.

ფასების თაობაზე ამერიკული დოქტრინა გამოაქვეყნა. მის ნაშრომებს შორისაა ავტობიოგრაფია და მრავალი „ესსე" პოლიტიკურ, ფინანსურ, ეკონომიკურ და მეცნიერულ თემებზე[1]. პოპულარობა მან საკუთარი ძალებით და დამსახურებით მოიპოვა.

8.3. „ესეისტი" ეკონომიკაში

ფრანკლინი იყო არა მარტო მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება, არამედ ინიციატორი მრავალ დარგში. იგი იყო იმ დიდი პიროვნებების წინამორბედი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კლასიკურ ლიტერატურაში.

მან გააკრიტიკა მერკანტილიზმი, იცავდა ფიზიოკრატულ-ეკონომიკურ იდეებს, ჩამოაყალიბა შრომითი ღირებულების თეორიის იდეები.

ადამ სმითი იმ დროს დაიბადა (1723), როდესაც პატარა ფრანკლინი ფილადელფიაში გადავიდა და დაწერილი ჰქონდა თავისი ნაშრომი ეკონომიკურ თემაზე „**თანამედროვე მოთხოვნები ბუნებაში**" და „**ქალალდის ფულის აუცილებლობა**". მან დაასწრო სმითსაც და ტიურგოსაც.

ბ.ფრანკლინზე, როგორც ეკონომიკის მკვლევარზე საუკეთესოდ მეტყველებს მისი 1751 წელს დაწერილი განმარტებები **მოსახლეობის კანონის** თაობაზე (მალთუსის დაბადებამდე ორმოცდაათი წლით ადრე).

8.3.1. მოსახლეობის შესახებ

ფრანკლინის ნარკვევიდან „დაკვირვება ადამიანთა რაოდენობის ზრდაზე და სოფლებში დასახლების სიმჭიდროვეზე" გარკვეული დასკვნების გამოტანა შეიძლება. იგი გამოირჩევა ეკონომიკური აზროვნების სიღრმით და მისი პრაქტიკული გამოყენებით. ნაშრომში გამოყენებულია ფარდობითობის პრინციპები; მისი აზრით, მჭიდროდ დასახლებული ძველი ქვეყნების მონაცემების გამოყენება ახლადდასახლებულ ქვეყნებთან მიმართებაში არ გამოდგება.

მისი მოსაზრებით, რადგან ამერიკაში ნაყოფიერი მიწებია, ქორწინებებიც უფრო ადრეული ასაკიდან იწყება (ევროპასთან შედარებით) და, შესაბამისად, უფრო მრავალრიცხოვანია. მისი დასკვნები შემდეგნაირად ჩაყალიბდა:

—მრავალრიცხოვან ქალაქებში ქორწინების და შობადობის, მოკვდაობის და შობადობის, ქორწინების და მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის ამსახველი ცხრილები სოფლის მონაცემებს არ მიესადაგება; არც ძველად დასახლებული ქვეყნების დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები მიესადაგება ისეთ ქვეყანას, როგორიც ამერიკაა;

—როდესაც ოჯახის შენახვა გაადვილებულია, ადრეულ ასაკში ქორწინდებიან და მოსახლეობა ქორწინებების პროპორციულად იზრდება;

—ქალაქებში, სადაც მრავალი სავაჭრო პუნქტი და დაწესებულებაა, უმრავლესობა გვიან ქორწინდება, ვინაიდან დარწმუნებული არ არიან ოჯახური ხარჯების გამკლავებაში (ასეთი ხარჯები ქალაქში მეტია, თუმცა, მეტია კომფორტიც). ამის გამო, ქალაქის მოსახლეობა ნაკლები ტემპით იზრდება, ხოლო სიკვდილიანობა აქ მეტია, ვიდრე შობადობა;

—მჭიდროდ დასახლებულ სოფლებშიც მსგავსი პროცესები მიმდინარეობს; მთელი ტერიტორია ათვისებულია, მიწები დაკავებული, ხოლო მას ვისაც საკუთარი მიწა არ აქვს, იძულებულია სხვასთან იმუშაოს, როდესაც მუშახელი ბევრია, მათი ხელფასიც დაბალია; დაბალი ხელფასით ოჯახის შენახვა რთულია, ამიტომ ბევრი დაოჯახებისაგან თავს იკავებს და მუშაობას მოსამსახურეებად განაგრძობენ;

—ევროპა ძირითადად მჭიდროდ დასახლებულია მიწათმფლობელებით, ხელოსნებით... ამიტომ მოსახლეობის რაოდენობაში მკვეთრი ზრდა არ აღინიშნება. ამერიკა ნაკლები სიმჭიდროვით დასახლებულია ინდიელების მიერ, რომლებიც ძირითადად ნადირობით ირჩენენ თავს. მონადირეს ფართო ტერიტორია სჭირდება თავისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად (მიწათმფლობელს ამისათ-

1 B. **Franklin**, The complete works, v.1-10, N.-Y., L., 1887-1888.

პის ნაკლები ტერიტორია სჭირდება, მებაღეს კიდევ უფრო ნაკლები და ხელოსანს სულ მცირე). ევროპელებმა ამერიკა „მონადირეების დასახლების დონეზე“ აღმოაჩინეს;

—ამერიკაში მიწა საკმარისია, თანაც ისეთი იაფი, რომ მისი ყიდვა ადვილია, მისი დამუშავება კი მნიშვნელოვან შემოსავალს მოიტანდა; შედეგად, ოჯახის შექმნა და მისი შენახვაც პერსპექტიულია. ნათელია, რომ მომავალში ვისაც მეტი მიწა ექნებოდა, ის უკეთესად იცხოვრებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფრანკლინს მიაჩნია, რომ ქორწინებები ამერიკაში უფრო ხშირია ადრეულ ასაკში, ვიდრე ევროპაში და თუ ევროპაში თითო ქორწინებიდან საშუალოდ ოთხი შვილი ჰყავთ (რადგან ბევრია გვიანი ქორწინებები), ამერიკაში ეს მაჩვენებელი რვას უდრის; თუ აქედან ნახევარი მაინც ჯანმრთელი გაიზრდება და ოცი წლის ასაკში დაქორწინდება, ამერიკის მოსახლეობა, როგორც წესი, ყოველ **ოც წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაორმაგდეს**.

მოსახლეობა უზრუნველყოფს შრომას და ბაზარს. ფრანკლინის შეხედულებით, იაფფასიანი შრომა კოლონიებში ვერ გადაიზრდება ინგლისელ მუშახელთან კონკურენციაში, რადგან ამერიკაში ასეთი დიდი ტერიტორიის პირობებში შრომა იაფი არ იქნება. მუშა ყოველთვის უარს იტყვის დაბალ ხელფასზე, როდესაც კოლონისტებს დაუსახლებელი მიწები იზიდავთ.

ფრანკლინის დასკვნით, ადგილობრივ საწარმოებს ხელი არ შეეშლებათ, მაგრამ კოლონიების ზრდის გამო, ინგლისური პროდუქციის წარმოებაზე მოთხოვნილება გაიზრდება და ვაჭრობაც მოიმატებს.

შემდგომში ფრანკლინი <u>ინგლისს მოიხსენიებს, როგორც ბრძენ და კარგ დედას</u>, რომელიც კოლონიებში წარმოებას არ აკრძალავს, რადგან ამერიკაში პროდუქტზე მოთხოვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება; დაბოლოს, ინგლისმა კოლონიები არ უნდა შეზღუდოს და საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა დაეხმაროს.

ცხოველთა და მცენარეთა შორის ზღვარი არ არსებობს, თუმცა, მათი ზრდა-გამრავლების გამო, ისინი ერთმანეთს ხშირად ხელს უშლიან. <u>დედამიწა თავისუფალი რომ ყოფილიყო ყველა სხვა სახეობის მცენარეებისგან, რომელიმე ერთი სახეობა დაიკავებდა მთელ ტერიტორიას</u>; ადამიანებიც ასევეა – დედამიწა ერთ რომელიმე ერს შეიძლებოდა დაეკავებინა, მაგალითად, ინგლისელებს. ამიტომ, ჩრდილოეთ ამერიკაში მოსალოდნელიაო ერთი მილიონი ინგლისელის მომატება (თუმცა, მხოლოდ ოთხმოცი ათასი შემოვიდაო ზღვით). თუ ეს მილიონი მოსახლე ოცდახუთ წელიწადში ერთხელ გაორმაგდებოდა. მაშინ შემდგომ საუკუნეში მათი რაოდენობა გადააჭარბებდა ინგლისის მოსახლეობას და ოკეანის ამ მხარეს მეტი ინგლისელი აღმოჩნდებოდა.

მისი აზრით, ეს ბრიტანელთა იმპერიის ძალის შესანიშნავი მატებაა ზღვით და ხმელეთით! ჩვენ აქ ვართ ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში და, მიუხედავად ამისა, ჩვენი ძალა დედოფალი ელიზაბედის დროს მთელი ბრიტანეთის საზღვაო შეიარაღებას აჭარბებს; ბრიტანეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისსა და საფრანგეთის კოლონიებს შორის საზღვრები ზუსტად განსაზღვროს და იგი ძალიან ფრთხილი უნდა იყოს, რადგან მისი ერის გამრავლება ამაზეა დამოკიდებული.

8.3.2. ხელფასი

ბ.ფრანკლინი შრომის ანაზღაურების საკითხებშიც გათვითცნობიერებული იყო. მისი პირადი გამოცდილება, დაკვირვების უნარი, მისი ანალიტიკური გონება და საზღვარგარეთ ცხოვრების დიდი გამოცდილება მას მშრომელთა მდგომარეობის გაზიარების საშუალებას აძლევდა. მისი მიდგომა ხელფასის პრობლემისადმი ძალიან საინტერესოა.

1783 წელს მან გამოაქვეყნა **ნარკვევი ხელფასის ზრდის შესახებ**, რომლიდანაც ირკვევა, რომ აშშ-ის დამოუკიდებლობა და აღორძინება ევროპაში ხელფასებს გაზრდის. ევროპის ან უფრო მეტად ძველი სამყაროს პოლიტიკური სისტემის უდიდესი დეფექტი დაბალი ხელფასის არსებობაშია.

მას მხედველობაში აქვს ყველაზე დაბალი კლასის ანაზღაურება ანუ იმ ადამიანებისა, რომლებსაც ქონება არ გააჩნიათ და მხოლოდ საკუთარი ხელების იმედით ცხოვრობენ.

ყოველდღიური შრომის ანაზღაურებით მცხოვრები, ქონების არმქონე კლასი „შტატებში“ მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდა. მათ იმდენად დაბალი ანაზღაურება ჰქონდათ, რომ ღატაკური ცხოვრებისათვის იყვნენ განწირულნი; ხანდახან მათ ეს უმნიშვნელო სამუშაოც კი არ გააჩნდათ. ცხოვრების ასეთი პირობები ამცირებდა კეთილდღეობას და ავადმყოფობისა და მოხუ-

ცებულობის შემთხვევაში მათ მათხოვრობისაკენ უბიძგებდა.

სიღარიბის ნამდვილი მიზეზი მთავრობის არასრულყოფილი პოლიტიკის შედეგი იყო. ფრანკლინს სწამდა, რომ ხალხის სიღარიბეს სახელმწიფო თავისი კომერციული ინტერესებისათვის იყენებდა. ამ მოტივაციას იგი „ბოროტს და ავადმყოფურს" უწოდებს, რომელიც პროდუქტის მინიმალური ფასის შენარჩუნებისა და ამით საზღვარგარეთ ექსპორტის გაზრდისთვისაა გათვალისწინებული.

ასეთი პოლიტიკა, საუკეთესო შემთხვევაში, ერთეულ ვაჭრებს გაამდიდრებს. პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოვალეობაა მაქსიმალურად უზრუნველყოს ქვეყნის ბედნიერება და მხარი არ დაუჭიროს უძლიერესს იმათ შორის უთანაბრო ბრძოლაში, ვინც გასცემს და ვინც იღებს ხელფასს. ხელფასის შემცირების ყოველგვარი პოლიტიკა გაუმართლებელია.

ფრანკლინი **მცდარად** მიიჩნევს ნებისმიერ დოქტრინას, რომელიც დაფუძნებულია **დაბალ ანაზღაურებასა და პროდუქტის დაბალ ფასებს შორის პოზიტიურ თანაფარდობაზე**. იგი უფრო **მიზანშეწონილად თვლის ფასების და არა ხელფასების შემცირებას**. ხელფასი შეიძლება გაიზარდოს, მაშინ როცა პროდუქტის ფასი დაეცემა, იმ შემთხვევაში, თუ სისტემა სრულყოფილია, თუ დაქირავებული ადამიანები ჭკვიანი და შრომისმოყვარენი არიან. ნიჭის გამოვლენა, თანამედროვე მოწყობილობების თუ ცხოველის ძალის გამოყენება, ეფექტური საორგანიზაციო ღონისძიებები სასურველ შედეგებს გვაძლევს. ასეთ პირობებში შესაძლებელია ხელფასების ზრდა, მაშინ როცა პროდუქტის ფასიც კი შემცირდება.

თუმცა, ფრანკლინი იქვე შენიშნავს, რომ **„ძალიან მაღალი ხელფასები ამერიკაში საფრთხეს უქმნიან საწარმოების ჩამოყალიბებას"**, მაგრამ აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „საწარმო ვერ განვითარდება, თუ ამერიკაში შრომის ანაზღაურება ევროპის დონეს არ გაუტოლდება".

ფრანკლინის აზრით, მაღალი ანაზღაურება ყველაზე გამოცდილ და შრომისმოყვარე მუშაკს იზიდავს. ამის შედეგად, საქმე სრულდება; გაყიდვა უკეთესია და დამქირავებელი მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე ხელფასის შემცირების შემთხვევაში მიიღებდა. კარგ მუშახელს ნაკლები ზარალი მოაქვს და სამუშაოსაც ნაკლებ დროში და უფრო ხარისხიანად ასრულებს, ვიდრე არაპროფესიონალი და ამით მეწარმის შემოსავალი კიდევ უფრო იზრდება.

მისი შეხედულებით, მოწყობილობების გაუმჯობესება ყველა სფეროში მუშაკის კარგად შესრულებული საქმიანობის შედეგია. არ არსებობს არც ერთი წარმოება, სადაც არ ინერგება ახალი მოწყობილობები, რომელიც ზოგავს დროს და აუმჯობესებს მუშაობის ხარისხს; იმის მიზეზს, რომ ინგლისში სხვა ქვეყნებთან შედარებით ნებისმიერი პროდუქცია (დაწყებული ბამბით, აბრეშუმის ნივთებით, დამთავრებული რკინისგან, ფოლადისგან, სპილენძისგან თუ ტყავისგან დამზადებული ნივთებით) უკეთესი ხარისხისაა, წარმოადგენს ის, რომ ინგლისში მუშას უკეთ უხდიან. ორ ქვეყანას შორის კომერციის უპირატესობის რეალური მიზეზი დაბალი ფასები არ არის.

ამერიკული მაღალი ანაზღაურების ეფექტი ევროპაზე. მას შემდეგ, რაც ფრანკლინმა ანაზღაურების ამერიკული სისტემა გამოაცხადა როგორც „ძველი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებზე უკეთესი", იგი განაგრძობს: „ეს ყველაფერი იმის საჩვენებლად, თუ ამერიკაში ანაზღაურების ამაღლება როგორ გამოიწვევს მის გაზრდას ევროპაში". ამის ორი გამომწვევი მიზეზი დაასახელა: **პირველი**, ევროპაში სამუშაო ძალის რაოდენობრივი მატება ამერიკაში მისი მატების საპასუხოდ; **მეორე**, სამუშაო ძალის ევროპიდან ამერიკაში ემიგრაცია მაღალი ანაზღაურების მიღების მიზნით.

შრომაზე მოთხოვნის ზრდა მილიონობით მუშახელს დააკმაყოფილებს. იმის გამო, რომ პროდუქტზე მოთხოვნილების სტიმულირება გაზრდის მუშახელზე მოთხოვნას, შრომის ყოველდღიური ანაზღაურებაც მოწოდებისა და მოთხოვნის პრინციპიდან გამომდინარე გაიზრდება.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ანაზღაურების ზრდას გამოიწვევს, ფრანკლინის აზრით, არის ის, რომ ორ ურთიერთდაინტერესებულ ქვეყანას შორის მათ მიერ წარმოებული პროდუქტისადმი დაინტერესება არსებობს.

ემიგრაციის გავლენა. ფრანკლინის მიერ ამერიკაში ემიგრაცია აღწერილია, როგორც სამუშაო ძალის ღირებულების მატების პოტენციური მიზეზი. იგი თავის არგუმენტებს აგებს იმ ფაქტზე, რომ რევოლუციის შემდეგ ირლანდიიდან და გერმანიიდან აშშ-ში ემიგრაციის პროცესი იმის გამო გაიზარდა, რომ ისინი შედარებით მაღალმა ანაზღაურებამ მიიზიდა. ემიგრანტი ქვეყნებიდან ექსპორტის გაზრდა კიდევ უფრო ამაღლებს შრომისუნარიანობას და დღიურ ანაზღაურებას. ამერიკელთა მოთხოვნა გერმანულ და ირლანდიურ პროდუქციაზე მატულობს. ამ კონკრეტული

ქვეყნების მაგალითი შეიძლება სხვა ქვეყნებზეც განზოგადდეს; შედეგად, ამერიკის სიმდიდრისა და მოსახლეობის ზრდა თავისუფალი კომერციის წყალობით ევროპაზეც დადებითად იმოქმედებს.

8.4. შეფასება

ფრანკლინმა, მის მიერ შესწავლილი საკითხებისადმი რეალისტური მიდგომით ისტორიული ხასიათის მასალა გააანალიზა. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფარდობითობის პრინციპი ძლიერი ძალაა ეკონომიკაში. ამ იდეოლოგიაში იგი პიონერია, რადგან მისი ქმნილებების უმრავლესობა წინ უსწრებს ადამ სმითისას. მისი იდეები უპირატესად ოპტიმისტურია; მისი ფიქრები დადებითი და კონკრეტულია. მისი კრიტიკული არგუმენტები ილუსტრირებულია და იმ შემთხვევაში, თუ იდეა ნეგატიურია, იგი მას დადებითით ჩაანაცვლებს.

მოსახლეობის ზრდის პროცესებზე მსჯელობისას, იგი გვთავაზობს კეთილგონიერ თავშეკავებას როგორც დამაბალანსებელ ძალას. მერკანტილისტური პოლიტიკის საწინააღმდეგო არგუმენტებად იგი ასახელებს იმ ფაქტს, რომ სტიმული, რომელიც თავისუფლად განვითარებადი წარმოებიდან მოდის, პროგრესული სახელმწიფოს კეთილდღეობას განაპირობებს.

იგი აღიარებს შრომის გეოგრაფიულად დანაწილების ეფექტიანობას; ანაზღაურების ამერიკული თეორიის გამოცხადებისას მას ღრმად სწამს შემსრულებლის კარგი ანაზღაურებისა და მწარმოებლისათვის დამაკმაყოფილებელი შემოსავლებისა.

ფრანკლინი თავისი ოპტიმიზმით დარწმუნებული იყო ამერიკის კარგ მომავალში. იგი ქვეყანათა შორის ინტერესების ისეთ კავშირს ხედავდა, რომ ამერიკელი ხალხის მემკვიდრეობა ექსპანსიური კეთილდღეობა უნდა ყოფილიყო.

9. შვედი პერ ნიკლას ქრისტიერნინი (1725-1799)

შვედი ეკონომისტი ინგლისურენოვანი მკითხველებისათვის გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან რ.ვ. ენგლის თარგმანიდან გახდა ცნობილი. როგორც ირკვევა, ქრისტიერნინმა, იუმის, სმითისა და რიკარდოს მსგავსად, ფულის თეორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

პ.ნ. **ქრისტიერნინი** (Christiernin) პროტესტანტი მღვდლის შვილი იყო. მან აპსალას უნივერსიტეტში ფილოსოფიის, თეოლოგიის, მათემატიკის და ფიზიკის შესწავლის შემდეგ ხარისხი ხელოვნებაში მიიღო.

თავისი აკადემიური კარიერის პირველ ნახევარში აპსალას უნივერსიტეტში სამართლისა და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორად მუშაობდა.

ნაშრომით „ლექციები შვეციაში უცხოური ვალუტის მაღალი ფასის შესახებ“ (1761)[1] მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ეკონომიკურ აზროვნებაში.

1763 წელს იურისპრუდენციის დოქტორის წოდება მიენიჭა.

ეკონომიკა ქრისტიერნინის ჭეშმარიტი მოწოდება არ იყო. 1771 წელს მან გამოიცვალა ფაკულტეტი, რათა პროფესორობა ფილოსოფიაში მიეღო. საბოლოოდ, უფრო თეოლოგი გახდა, ვიდრე ფილოსოფოსი. ბოლოს სასულიერო წოდება მიიღო და მაღალი რანგის საეკლესიო მოღვაწე გახდა.

ქრისტიერნინი იყო ძლიერი ნებისყოფის, თვითდაჯერებული და კამათის მოყვარული. როგორც ეკონომისტი, იგი ეკამათებოდა თავის კოლეგებს და მთავრობას, როგორც ფილოსოფოსი და რექტორი — უდისციპლინო სტუდენტებს.

ამავე დროს, იგი იყო ნიჭიერი, თავდადებული და განსწავლული, თავისი დროის ლიტერატურის ღრმად მცოდნე და ნათელი აზრისა და წერის უნარით დაჯილდოებული ადამიანი. ის, რომ მან თავისი ნიჭის შესაფერ კარიერას ვერ მიაღწია, მის გამომწვევ ხასიათს აბრალებენ.

---

1 Christiernin P.N. (გამომც. Robert V. Engly), The Swedish bullinist controversy; P.N. Christiernin's Lectures on the high price of foreign exchange in Sweden (1761), Philadelphia, 1971.

იმ დროისათვის, როდესაც ქრისტიერნინი თავის ლექციებს კითხულობდა, შვედებს არაკონვერტირებადი ვალუტა ჰქონდათ, ექსპანსიურმა მონეტარულმა პოლიტიკამ შიგა ფასების ზრდას უბიძგა.

იმ დროს ქვეყანაში ორი ძირითადი წამყვანი პოლიტიკური პარტია იყო: „ქუდები" და „კეპები". „ქუდები" (შემდგომში მმართველი პარტია), ექსპანსიური საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ინდუსტრიის მძლავრი სტიმულირების მომხრენი იყვნენ. მათი პროგრამა, ჯონ ლოს რეკომენდაციის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას ითვალისწინებდა. „კეპები" ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის ლიბერალურ პოლიტიკას უჭერდნენ მხარს და ინფლაციას და ვალუტის გაუფასურებას ზედმეტი ქაღალდის ფულის გამოშვებასთან აკავშირებდნენ.

ქრისტიერნინი ამ კამათში „ქუდების" მხრიდან ჩაება, მაგრამ ბოლოს „კეპების" დიაგნოზი გაიზიარა. მისი აზრით, საჭირო იყო ფასების სტაბილიზაცია და არაინფლაციური მონეტარული პოლიტიკისაკენ შემობრუნება. ამ შეხედულებათა განსამტკიცებლად მან მიმოქცევისათვის საჭირო ქაღალდის ფულის, მონეტარული პოლიტიკისა და უცხოური ვალუტის შესახებ ერთ-ერთი პირველი ნათელი თეორია განავითარა.

ფულის საკითხებში ქრისტიერნინი შორს არ წასულა თავისი ისეთი წინამორბედებისაგან, როგორიც იყო, მაგალითად, კანტილიონი.

ქრისტიერნინი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საგრძნობლად განავითარა ქაღალდის ფულის თეორია. ამ თეორიის ელემენტები არსებობს ჯონ ლოს ჩანაწერებშიც. მაგრამ ჯ.ლო, როგორც კარგი კომერსანტი, შორს არ იხედებოდა, მაშინ, როცა ქრისტიერნინმა გრძელვადიან ანალიზში გარდამავალი პერიოდის კლევის ანალიზი შემოიტანა. ქრისტიერნინის თეორიის ელემენტები იუმთანაც გვხვდება, რომელსაც იგი აგრეთვე იცნობდა.

ქრისტიერნინის მთავარი დებულებები მოკლედ ასე შეიძლება შევაჯამოთ: არაკონვერტირებადი ქაღალდის ფულის მიმოქცევისათვის ფულის რაოდენობრივი თეორია ვარგისია ხანგრძლივ დროში; ყველა საქონლის ფასი ბრუნვაში ფულის მასისა და მისი ბრუნვის სიჩქარის პროპორციულია; პროდუქტზე მაღალი ფასები ფულის მასის ზრდითაა გამოწვეული; თუ სარგებლის განაკვეთის შემცირებით ბანკნოტების მასა ორჯერ გაიზარდა, მაშინ მისი ეფექტი თითქოსდა თითოეული ბანკნოტის ნომინალური ღირებულების გაორმაგების ტოლი უნდა იყოს და სხვ.

ლიტერატურა

ა.ვ. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე. თბ., 1989.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

ფრ.ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952.

გ.თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 2004.

დ.ჰიუმი, გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ, ქართ. თარგმანი, თბილისი, 1992.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953.

კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.I, თბ., 1954.

კ.მარქსი, კაპიტალი, ტ.III, ნაწ.I, თბ., 1959.

კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 1-2, თბ., 1966-1968.

კ.მარქსი, ფრ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, თბ., 1963.

დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1938.

ა.სილაგაძე: ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996; ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001; ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინების წარმოშობა, თბ., 2008.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები,

წიგნი I, თბ., 1997.

Аникин А.В., **Аникин** В.А., Уильям Петти, М., 1986.

Афанасьев В.С., Возникновение классической буржуазной политической экономии (Вильям Петти), М., 1960.

Виллари П., Н.Макиавелли и его время, Пер. с италь., т.1, М., 1914.

История экономических учений, Уч. Пособ., Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Коган-Бернштейн Ф.А., Экономические взгляды Бодена - в сб.: Средние века, т.2, М.-Л., 1946.

Манбурд Е. М. Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Нарский И.С., Философия Дж. Локка, М., 1960.

Слуцкий Е.Е., Сэр Вильям Петти. Краткий очерк его экономических воззрений с приложением нескольких важнейших отрывков из его произведений, Киев, 1914.

Эйдельнант А.Б., Кантильон и его место в теории воспроизводства (К истории "Эк-ой таблицы" Кенэ) – "Вестн. Комакад"., 1927, Кн.: 23.

Blaug Mark: Economic Theory in Retrospect, Vol.I, Cambridge, 1978; Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Boisquillebert P.: Le détail de la France, économistes finansiers du XVIII siècle, P., 1699/1843; Dissertation sur la nature des richessses, economistes financiers du XVIII siècle, P., 1707/1843; რუს. თარგმ.: Рассуждения о природе богатства, денег и налогов, Горький, 1973.

Brems Hans. Cantillon versus Marx: The Land Theory and the Labor Theory of Valye. History of Political Economy, 10(4), 1978.

Cantillon R., Essai sur la nature du commerce en général (1755), L., 1931.

Christiernin P.N. (გამოც. Robert V. Engly), The Swedish bullnist controversy; P.N. Cristiernin's Lectures on the high price of foreign exchange in Sweden (1761), Philadelphia, 1971.

Frank E. Manua l. A Portrait of I.Newton, 1968.

Franklin B.: Observation concerning the increase of Markind... 1751; The complete works, v.1-10, N.Y.-L., 1887-1888; Избранные произведения, М., 1956.

Hume D.: Political discources, Edinb., 1752; The philosophical works, v.1-2, L., 1898; Essays moral, political and literary, L., 1904; Colections, N.Y., Chi., 1927; The letters, v.1-2, Oxf.: 1932; New letters, Oxf., 1954; რუს. თარგმ.: Сочинения, т.1-2, М., 1965; Трактат о человеческой природе, М., 1995; Малые произведения, М., 1996.

Jevons W. The Principles of Economics... L., 1905.

Locke J.: Some Considerations of the Consequences of the Lowering of Interest and Raising the Value of Money, L., 1691; Two Treations concerning Govenment, Morley, 1690; Сочинения в трех томах, т.1, М., 1985, т.2, М., 1985, т.3, М., 1988.

Monro Atrur E.: Monetary Theory before Adam Smith, 1923; Early Economic Thought (1924), Ith ed. Cambridge, Mass.: 1951.

Nef J.U., The Rise of the British Coal Industry, L., 1932.

North D.: Discourses upon trade; principally directed to the cases of the interest, coynage, clipping, increase of money, L., 1691; Очерки о торговле, трактующие главным образом вопросы о процентах, чеканке, увеличении денег. – Меркантилизм, Лен., 1935.

Petty W.: A Treatise of Taxes and Contributions, 1662; Verbum Sapienti, 1665; The political anatomy of Ireland, 1672; Quantulumcunque Concerning Money, 1682; Essays in political Aritmethick, 1683; The Economic Writings, v.I, Cambr., 1899; Экономические и статистические работы, т.1-2, М., 1940; Трактат о налогах и сборах – в кн.: Антология экономической классики..., М., 1993; Трактат о налогах и сборах – в кн.: Классики экономической мысли, М., 2000.

Shumpeter J.: History of Economic Analysis. N.Y., 1954; История экономического анализа, пер. с англ., т.1, Санкт-Петербург, 2004.

Trintzins R. John Law et la naissance du dirigisme, P., 1950.

თავი IV.
ფიზიოკრატების კლასიკური დოქტრინა

1. მგზნებარე რეფორმატორები

ფიზიოკრატებს, როგორც მგზნებარე საზოგადოებრივ რეფორმატორებს, ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში ხშირად მაკროეკონომიკური პროცესების ზოგადი თეორიის შემქმნელებად მიიჩნევენ.

თუმცა, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს.

ფიზიოკრატები არ ეჭვობდნენ თავიანთი კვლევების პრიორიტეტულობაში და თავს „ეკონომისტებს" უწოდებდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, ამ სახელწოდებით იყვნენ ცნობილი საფრანგეთში თავიანთი პოპულარობის პერიოდში მე-18 საუკუნის 60-70-იან წლებში.

ფეოდალური პრივილეგიებისა და თავისუფალი მეწარმეობის შეზღუდვის საწინააღმდეგო გამონათქვამებმა, რომლებიც შეხამებული იყო ეკონომიკური ანალიზის საფუძვლიან მეთოდიკასთან, ფიზიოკრატებს ეკონომიკური ლიბერალიზმის სკოლის ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო აღიარება მოუპოვა.

„ფიზიოკრატები"[1] პროპაგანდას უწევდნენ საზოგადოების ორგანიზაციას „ბუნებრივი კანონების" შესაბამისად. ისინი მხარს უჭერდნენ ფეოდალურ ჩარჩოებში მოქცეულ წარმოების ბურჟუაზიულ წესს. მაშასადამე, „ბუნებრივ წყობილებაში" მათ ფეოდალიზმის გარსში მოთავსებული კაპიტალისტური წყობილება ესმოდათ.

ა.სმითი ფიზიოკრატებს სასოფლო-სამეურნეო სისტემის წარმომადგენლებად თვლიდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, მიუთითებდა ფიზიოკრატთა სკოლის განმასხვავებელ თავისებურებებზე. შემთხვევით როდი თვლიდა ამ სკოლის ფუძემდებელი ფრანსუა კენე, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ყოველგვარი ხელისშემშლელი პირობები აზიანებს ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ხოლო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა ერისა და სახელმწიფოს სიკეთეაო.

ფიზიოკრატების აზრით, სუვერენულ მმართველობას და ერს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის ფაქტი, რომ მიწა ხალხის კეთილდღეობის ერთადერთი წყაროა და რომ სწორედ სოფლის მეურნეობაა ის სფერო, რომელსაც ამ კეთილდღეობის უზრუნველყოფა შეუძლია.

აქედან გამომდინარეობს ფიზიოკრატთა განცხადება: ყველაფერი, რაც სოფლის მეურნეობისთვის არახელსაყრელია, საზიანოა ერისა და სახელმწიფოსათვის და რაც სასარგებლოა სოფლის მეურნეობისთვის, სასარგებლოა ერისა და სახელმწიფოსათვის.

ასეთ მოსაზრებას ალბათ ის საფუძველიც აქვს, რომ ფიზიოკრატების მამამთავარი ფრანსუა კენე წარმოშობით გლეხის ოჯახიდან იყო და შემდეგ თვითონ გახდა მიწის მფლობელი.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში სოფლის მეურნეობის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ამ პერიოდში უკვე დადგა დრო მოძრაობისა - „დავუბრუნდეთ ბუნებას", რომელიც შემდგომში ტიურგოს მინისტრობის პერიოდში და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ნაწილობრივ განხორციელდა.

რიჩარდ კანტილიონის (1680-1734) „ნარკვევების" გამოქვეყნების შემდეგ, მთელი ათი წლის განმავლობაში ფეშენებელური სალონების საუბრის თემა შემოსავლების წრებრუნვა, ერთჯერული შემოსავლისა და შემოსავალ-გასავლის გაანგარიშება გახდა.

ლუი XV-ის მეფობის მიწურულში პარიზში არსებობდა რეფორმატორ-ინტელექტუალების ჯგუფი, რომლებიც აღიარებენ: მხოლოდ ერთ მასწავლებელს, დოქტორ კენეს და მის დოქტრინას სოფლის მეურნეობის ფილოსოფიისა და ეკონომიკის ანალიზის შესახებ; ფიზიოკრატიას და მათ ეკონომიკურ ცხრილს.

---

1 სექტა (ლათ. secta მოძღვრება, სკოლა) – სხვებისაგან განცალკევებული, კარჩაკეტილი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც დოგმატური შეხედულებებით გამოირჩევიან.

თანამედროვენი მათ ფიზიოკრატებს უწოდებდნენ, ყველა მათი ფუნდამენტალური იდეა ფრანსუა კენეს უკავშირდება, რომელიც ეკონომიკურ აზროვნებაში ერთ-ერთ ორიგინალურ პიროვნებას წარმოადგენს.

კენეს იდეებმა თანამოაზრეთა ჯგუფის ყურადღება მიიპყრო. ფიზიოკრატები ეკონომიკის ერთ-ერთ პირველ „სკოლას" წარმოადგენდნენ. მოწინააღმდეგეები მათ სექტას[1] უწოდებდნენ. ძალიან მცირერიცხოვანმა სხვა სკოლებმა მიაღწიეს იგივე თეორიულ ერთიანობას (თუკი საერთოდ მიაღწიეს), ყველაზე ახლოს კი მათთან მარქსისტები მივიდნენ.

მოძღვრების პირველი და ყველაზე დიდი მიმდევრებია: ვიქტორ დე რიკარტი, მარკიზ დე მირაბო (Mirabeau) უფროსი (1715-1789), მერსიე დე ლა რივიერი (Mersier (Lemersier), 1720-1793), დიუპონ დე ნემური (Dupont de Nemours, 1739-1817), ლეტროსნე (1728-1780) და სხვ. ფ.კენეს იდეებს მათ არსებითად ბევრი ვერაფერი შემატეს და მე-18 საუკუნის 60-იანი წლების ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ, მათი მოძრაობა ძირითადად შეწყდა.

ფიზიოკრატული ანალიზის ცენტრალური ნაწილია ეკონომიკური ცხრილი, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ ცნობილ და ბუნდოვან ფურცელს წარმოადგენს.

ფ.კენე შეეცადა ცხრილი გამოეყენებინა მისი რეფორმისტული იდეებისაკენ მეფის ყურადღების მისაპყრობად.

ფრიდრიხ II-მ სასტიკად დაამარცხა საფრანგეთის ჯარები, საგარეო ვაჭრობა საზღვაო ომებისგან დიდ ზარალს განიცდიდა, მრეწველობა ერთ ადგილზე გაიყინა, სოფლის მეურნეობა უმწეო, გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მთავრობა ისეე გაკოტრების პირას აღმოჩნდა. წყაროებიდან ირკვევა, რომ მარკიზა დე პომპადურის (1721-1764) მხარდაჭერითა და შემწეობით კენემ შეიმუშავა გეგმა, რათა მეფის ინტერესი მიემართა ამ მდგომარეობიდან გამოსვლისაკენ. მეფის გასართობად სასახლეში მოწყობილი იყო პატარა საბეჭდი საამქრო, სადაც მეფე თავს იქცევდა სტამბით, როგორც ამბობენ ფიზიოკრატებს მეფისათვის მიუციათ ცხრილი, რომლისგანაც მეფეს დაახლოებით ნახევარი აუწყვია.

2. ფრანსუა კენე (1694-1774)

2.1. მედიცინიდან ეკონომიკაში

ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი ორიგინალური პიროვნება ფრანსუა კენე (Quesnay) დაიბადა 1694 წელს, საფრანგეთში, ვერსალის ახლოს მდებარე სოფელ მერეში.

ფრანსუას მამა – იურისტი, ერთი პატარა კარმიდამოს მფლობელი და შედარებით შეძლებული პიროვნება იყო. მისი წინაპრები, ჯ.მ.კეინზის წინაპრების მსგავსად, ნორმანდიიდან ჩამოსულან და მათი გვარების მსგავსებამ ხალხს აფიქრებინა მათ გენეალოგიურ კავშირზე. თუმცა, ეს მტკიცება არ დასტურდება.

ფ.კენემ, რომელიც თავისი დედმამის 13 შვილს შორის მერვე შვილი ყოფილა, დაწყებითი განათლება მიიღო, მას თურმე ძალიან უყვარდა კითხვა. 12-16 წლის ასაკში იგი საკუთარი ინიციატივით შესდგომია პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა შესწავლას, რისთვისაც მას ხშირად პარიზში ფეხით ჩასვლა უხდებოდა, რამაც თანდათან ჩამოაშორა სოფლის მეურნეობას.

17 წლის ასაკში ფ.კენემ გადაწყვიტა დაუფლებოდა ექიმის პროფესიას. იგი იწყებს სწავლას სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელსაც 1716 წელს ამთავრებს – იღებს ექიმის წოდებას და იწყებს ქირურგად მუშაობას.

1717 წელს კენეს ცოლად შეურთავს პარიზელი ვაჭრის ქალიშვილი, რომელიც ათი წლის შემდეგ დაჰკარგა და მას შემდეგ მეუღლე აღარ ჰყოლია.

ფრანსუა კენეს კალამს არაერთი ნაშრომი ეკუთვნის მედიცინაში სისხლის მიმოქცევის პრობ-

---

1 „ესე" (ფრანგ. essai) – თავისუფალი ფორმის ნარკვევი, რომელშიც განხილულია ლიტერატურული, ფილოსოფიური, სოციალური და სხვა პრობლემები.

ლემების შესახებ. 1744 წელს მიიღო მედიცინის დოქტორის წოდება, შემდგომში საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი გახდა.

1749 წელს ფ.კენე დანიშნეს მარკიზა დე პომპადურის (1721-1764), მეფე ლუი XV-ის ფავორიტის პირად მკურნალად. იმ დროიდან მოყოლებული კენე ვერსალის სასახლეში ცხოვრობდა. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, იგი გახდა ერთ-ერთი კონსულტანტი იმ ოთხ ექიმს შორის, რომლებიც მეფის კარზე მსახურობდნენ და ამბობენ, რომ მან მეფის ასულის სიცოცხლე გადაარჩინა.

ფ.კენემ დიდი ინტელექტუალური მისწრაფება გამოავლინა. ის ახლოს იყო ენციკლოპედისტთა ჯგუფთან, რომლებმაც დააახლოვეს ისეთ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ დ'ალამბერი (1717-1783), დიდრო (1713-1784), ჰელვეციუსი (1715-1771) და სხვ. მან დაწერა რამდენიმე სტატია ენციკლოპედიისათვის. მათგან ერთ-ერთის სათაურია „ფერმერები" (Fermers, 1756).

იგი ახლოს გაეცნო ეკონომიკურ ლიტერატურას, ინგლისელი ეკონომისტის რ.კანტილიონის „ესეებს"[1] (გამოიცა 1755 წელს)[2], რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი ეკონომიკური აზროვნების შემდგომ სრულყოფაში.

1766 წელს ვერსალში სტუმრობისას ადამ სმითი ფ.კენეს გაეცნო. კენეს შესახებ წერდნენ: „იგი ჰგავს ცბიერ ბრძენს, რომელიც თავის სიბრძნეს რამდენადმე ფარავს პირადი უბრალოებით; მას სოკრატეს ადარებდნენ. ამბობენ, რომ მას უყვარდა ღრმააზრიანი და არც თუ ადვილად მისახვედრი იგავები. ის ძლიერ მოკრძალებული და პატივმოყვარე იყო. გარეგნულად კენე შეუმჩნეველი იყო და „ანტრესოლის[3] კლუბში" მოხვედრილი ადამიანი უცბად ვერც ამჩნევდა ვინ იყო აქ პატრონი და თავმჯდომარე. „ჰკვიანია როგორც ეშმაკი" - თქვა მირაბოს ძმამ კენესთან ყოფნის შემდეგ. „ცბიერია როგორც მაიმუნი", - შენიშნა სასახლის კარის რომელიღაც მსახურმა, როცა მოისმინა მისგან ანდაზა"[4].

ფ.კენე მეფის კარზე თავისი გავლენის გამო ხელს უწყობდა თავის თანამოაზრეებს შრომების გამოცემაში, დაწინაურებაში და ფიზიოკრატული იდეების პროპაგანდაში, როდესაც ლემერსიეს (იგივე პიერ-პოლ მერსიე დე ლა რივიერი, 1720-1793)იგი დიდი პოსტის (1759-64 წწ. კუნძულ მარტინიკის გუბერნატორი) დაკავებაში დაეხმარა, აქ მან ფიზიოკრატული ექსპერიმენტების ჩატარება სცადა.

მეფე ლუი XVI-ის კარზე შექმნილი ინტრიგების, მწვავე ამბებისა და უმეცრების კორიანტელში მყოფ კენეს სიმშვიდე, პატიოსნება და კეთილგონიერება უნდა შეენარჩუნებინა. მარკიზა დე პომპადურის (გარდაიცვალა 1764 წ.) საჩუქრების წყალობით კენემ საკუთარი მეურნეობისათვის მიწის ნაკვეთი იყიდა.

მოხუცებულობის წლებში კენე ძალიან გაჯიუტდა. 76 წლის ასაკში მათემატიკის შესწავლა დაიწყო და კენეს ინტერესები ეკონომიკიდან მათემატიკისაკენ გადაიხარა. მას კუთხის სამად გაყოფისა და წრის გაკვადრატების ამოცანის ამოხსნა უნდოდა, რაც მის მიმდევრებსაც კი წარმოუდგენლად მიაჩნდათ. როდესაც მან გეომეტრიაში თავისი ნაშრომი (რომელიც დ'ალამბერმა სისულელედ მიიჩნია) გამოაქვეყნა, შეწუხებულმა ტიურგომ თქვა: ეს ხომ სკანდალთა შორის სკანდალია, ეს მზეა, რომელიც ჩაქრა, ამას შეიძლება მხოლოდ ანდაზით ვუპასუხოთ, მზესაც აქვს ლაქები .

ლუი XVI-ის ტახტზე ასვლის შემდეგ, კენეს მეფის კარზე აღარ სწყალობდნენ და იძულებული იყო სასახლე დაეტოვებინა.

ამის შემდეგ იგი მალე – 1774 წელს ვერსალში გარდაიცვალა.

---

1 რ.კანტილიონის სიკვდილის შემდეგ დარჩა ხელნაწერი „გამოცდილება ვაჭრობის ბუნების შესახებ საერთოდ", რომელიც 1755 წ. გამოიცა ჯერ ფრანგულ, შემდეგ ინგლისურ ენებზე. მასში კანტილიონი სიმდიდრის წყაროდ თვლიდა მიწას და შრომას.

2 ანტრესოლი (ფრანგ. entresol) – სახლის ზედა ნახევარსართული.

3 ა.ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე (ქართული თარგმანი), თბ., 1989, გვ. 156.

4 ა.ანიკინი, ზემოთ აღნ. წიგნი, გვ. 162-163.

2.2. ნაშრომები და ძირითადი იდეები

როგორც უკვე აღინიშნა, ფ.კენეს ადრეული შრომები მედიცინის, კერძოდ: სისხლის დენას, დაჩირქებას, განგრენასა და სხვ. საკითხებს ეხებოდა. მისი პირველი ეკონომიკური ნაშრომის „ფერმერები“ ენციკლოპედიაში გამოჩენისას (1756), კენე 62 წლის იყო. სტატიაში ავტორი ძირითადად პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებს განიხილავს: მაგალითად, მიწის დამუშავებისას რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა – მთლიან თუ ნაწილობრივ იჯარას, ცხენს თუ ხარს და ა.შ. ნაშრომის თეორიულ ნაწილს თან ერთვის საკმაოდ დიდი მოცულობის სტატისტიკური მასალები.

შემდგომში ფ.კენე ეკონომიკის სიღრმისეული საკითხებით უფრო მეტად დაინტერესდა. მისი ნაშრომის „ეკონომიკური ცხრილი“ (1758) გამოქვეყნების შემდეგ ფ.კენე ფიზიოკრატთა სკოლის მამამთავარი გახდა.

როგორც უკვე ითქვა, კენე უფრო მეტად სოფლის მეურნეობის პრაქტიკული საკითხებით იყო დაინტერესებული, თუმცა, მის მიერ 1757 წელს „ენციკლოპედიაში“ გამოქვეყნებული სტატია „მარცვლეული“ (Grains, 1757) ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს მოიცავდა. მასში ავტორი აკრიტიკებს: სოფლის მეურნეობის უკანა პლანზე გადაწევას (მრეწველობასა და საგარეო ვაჭრობასთან შედარებით); მარცვლეულით თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვას, რამაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ცვლილებები განაპირობა. ყოველივე ამან გლეხობის გაღარიბება და მიწის ნაკვეთების უპატრონოდ მიტოვება განაპირობა. მერკანტილიზმის წინააღმდეგ მიმართული ამგვარი კრიტიკით კენეს ეკონომიკური კანონების ფუნქციონირების მეცნიერულად დასაბუთება სურდა.

ფრანსუა კენეს ერთ-ერთი პირველი კაპიტალსა და ეროვნული შემოსავლის ზრდას შორის კავშირის არსებობის აღმოჩენა იყო. ამან თავისი გამოხატულება მიწის დამუშავების სხვადასხვა მეთოდების შესახებ მის მიერ მე-18 ს-ის 50-იანი წლების პრაქტიკული სახის გამოკვლევებში ჰპოვა.

კენეს დასკვნით, უფრო უპრიანია საკუთარი სახსრებით წარმოებრივი საშუალებების შეძენა. ამგვარ საშუალებებს ამ შემთხვევაში ხარი ან ცხენი და ასევე მიწის გასანაყოფიერებლად სასუქის დამზადება წარმოადგენდა. მისი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ზედმეტი ხარჯების გაღებასა და მიწის უკეთ დამუშავებას უხვი მოსავლის სახით მოგების მიღება მოჰყვებოდა.

კენეს მიწის ნაკვეთი რომ არ ჰქონოდა, მას არც ეს გამოცდილება ექნებოდა, რომელიც მან საკუთარი დაკვირვებების შედეგად შეიძინა. იგი სოფლის მეურნეობაში მოგების ზრდის პრაქტიკული გზის პოვნით კმაყოფილი იყო. მისი აზრით, ასეთი მოგების მიღება მრეწველობასა და ვაჭრობაში შეუძლებელია. სოფლის მეურნეობაში გაწეული შრომა არა მარტო ანაზღაურებს მიწის დამუშავებაზე გაწეულ ხარჯებს და აქ დასაქმებულთა გასამრჯელოს, არამედ დამატებით მოგებასაც იძლევა.

ამ ცალმხრივი მიდგომების გამო, მის რიგ მომდევნო დასკვნებსაც ფასი დაეკარგა. იგი ვერ ხვდებოდა, რომ მოგების მიღება შესაძლებელია მრეწველობაშიც. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კენეს დროს მრეწველობა ძირითადად ხელით შრომას ემყარებოდა და მეტად მცირე მოგებას იძლეოდა.

ფიზიოკრატთა მტკიცებამ მრეწველობასა და ვაჭრობაში მოგების მიღების შეუძლებლობის შესახებ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათ მიერ მერკანტილიზმის კრიტიკა.

პირველი ეკონომიკური შრომების გამოქვეყნების შემდეგ, ფ.კენე იმ თვალსაზრისის მომხრე იყო, რომ სოფლის მეურნეობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან საგარეო ვაჭრობის ბალანსით ვერ დგინდება თუ რა მოგება ნახა სოფლის მეურნეობამ ვაჭრობაში.

კენეს მითითებით, იმ სახელმწიფოს, რომელიც თავისი მიწიდან, საკუთარი სამუშაო ძალებითა და ზღვაოსნობით კარგ შემოსავალს იღებს, ვაჭრობაში წარმატებული სახელმწიფოსი არ უნდა შეშურდეს. იგი მხარს უჭერდა მარცვლეულით თავისუფალ ვაჭრობას და კარგი მოსავლის მიღების შემთხვევაში, სხვა ქვეყნებში მარცვლეულის ხელსაყრელი ფასებით რეალიზაციას.

ერთი მხრივ, კენე სამართლიანად იბრძოდა იმ პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ, რომლებიც სოფლის მეურნეობას უკანა პლანზე აყენებდნენ. მეორე მხრივ კი, მან ვერ შეძლო წინასწარ განეჭვრიტა უახლოეს ხანში მრეწველობაში მოსალოდნელი პროცესები და მისი წამყვანი როლი ეკონომიკაში.

კენე სწორად ვერც საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობას ჩაწვდა. „ფერმერები" მნიშვნელოვან აღმოჩენებთან ერთად ფუნდამენტურად მცდარ შეხედულებებსაც შეიცავს, რომლებსაც ჩვენ კენესა და სხვა ფიზიოკრატთა მომდევნო ნაშრომებშიც ვხვდებით. ეს მცდარი შეხედულებები თეორიული ეკონომიკის ცნების არასწორი განსაზღვრის შედეგია.

კენეს აზრით, თეორიული ეკონომიკა ქონებრივ (მატერიალურ-ნივთობრივ) საკითხებს განიხილავს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ **სოფლის მეურნეობაა ნაყოფიერი** სფერო, ვინაიდან აქ ადგილი აქვს ბუნების მიერ მატერიის გამრავლებას.

კენესთვის უდავოდ უცხო არ იყო ის განსხვავება, რომელიც არსებობს საქონლის **სამომხმარებლო ღირებულებასა** და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მის **საცვლელ ღირებულებას** შორის. მისი აზრით, საზოგადოების წევრებს შორის საქონელთა გაცვლა **თანაბარ ღირებულებათა გაცვლაა**. ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ საქონელთა ეკვივალენტური გაცვლის კონცეფცია კენემ მერკანტილისტების საწინააღმდეგოდ გამოიყენა. აქედან გამომდინარე, გაცვლა არ შეიძლება იყოს სიმდიდრის წყარო და არც ფულია ერთადერთი სახეობის სიმდიდრე. მას საფუძვლიანად არ განუხილავს ეს საკითხები.

2.2.1. „წმინდა პროდუქტი"

ფიზიოკრატების ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს დოქტრინა **„წმინდა პროდუქტის"** შესახებ. მათი მნიშვნელოვანი დამსახურებაა სიმდიდრის წარმოშობის კვლევის სფეროდ მიმოქცევის სფეროს ნაცვლად წარმოების სფეროს არჩევა.

ფ.კენეს აზრით, სიმდიდრე მხოლოდ წარმოების სფეროში იქმნება. აქ გასათვალისწინებელია ამ საკითხისადმი ფიზიოკრატთა მიდგომის თავისებურებანი. მათი შეხედულებით, **წმინდა პროდუქტი მხოლოდ სოფლის მეურნეობაში იქმნება, მრეწველობა კი უნაყოფო სფეროა.**

ფიზიოკრატების აზრით, „წმინდა პროდუქტი" არის ახლადშექმნილი პროდუქტის ნამეტი, მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან შედარებით. ასეთი განმარტება მთლად გამართული არაა. მართალია ახლადმოკილი მარცვალი, როგორც წესი, დათესილზე მეტია, მაგრამ თესლის გარდა სხვა ხარჯებიც ხომ არსებობს? ამ კითხვაზე ფ.კენე პასუხობს: მიწათმოქმედების პროდუქტის ნამეტი, რომელიც მიწათმოქმედებისათვის საჭირო დანახარჯების და გაწეული შრომითი ხარჯების გამოკლების შემდეგ რჩება, არის წმინდა პროდუქტი, რომელიც შეადგენს მიწათმფლობელების შემოსავალს, რომელთაც საკუთრება აქვთ შეძენილი ან ნაყიდი[1].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ წმინდა პროდუქტი არის პროდუქტის ღირებულების ნამეტი წარმოების ხარჯებზე. იგი მიწათმოქმედებაში ძირითადად შედგება თესლისა და მუშაკების ხელფასებისაგან. **ხელფასი** კი ფ.კენეს საარსებო საშუალებათა მინიმუმამდე დაჰყავს.

წმინდა პროდუქტის ერთადერთ ფორმად იგი თვლიდა **მიწის რენტას**. მისი აზრით, წმინდა პროდუქტი მიწათმფლობელთა კანონიერი შემოსავალია. ხოლო თუ რატომ იღებენ ეს უკანასკნელნი აღნიშნულ შემოსავალს, ის თავისებურად პასუხობს: იმისათვის, რომ მათმა წინაპრებმა თავდაპირველად მიწები საკარგულებად აქციეს.

2.2.2. „ნაყოფიერი" და „უნაყოფო" შრომა

ფიზიოკრატთა აზრით, **ნაყოფიერია** „წმინდა პროდუქტის" შემქმნელი **სამოწათმოქმედო შრომა**, ხოლო ეკონომიკის სხვა დარგებში (მაგ., მრეწველობა) **დასაქმებულთა შრომა უნაყოფოა**, რადგან იქ თითქოს „წმინდა პროდუქტი" არ იქმნება.

---

1 სპერანტ გ.ჭანუყვაძე ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაკვეთი 1, თბ., 1973, გვ. 84-85.

2.2.3. კაპიტალი

ფ.კენე კაპიტალს იხილავს, წარმოების პროცესში და განასხვავებს მის ორ ნაწილს:

- 1. თავდაპირველი ავანსები, რომელიც ერთბაშად ავანსირდება დაახლოებით 10-წლიანი ბრუნვით მიწათმოქმედების მოწყობისათვის (მოიცავს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ნაგებობებს, მუშა პირუტყვს);

- 2. ყოველწლიური ავანსები, რომელიც მოიცავს ყოველწლიური სამიწათმოქმედო სამუშაოთა ხარჯებს: სათესლე მასალაზე, ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, სამუშაო ძალაზე.

ყოველწლიური ავანსები მთლიანად შედიან წარმოების ხარჯებში, თავდაპირველი ავანსები კი ნაწილობრივ, თანდათანობით.

მართალია, ფიზიოკრატებს ზუსტად არ ჩამოუყალიბებიათ ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ცნებები, მაგრამ უდავოდ საფუძველი ჩაუყარეს მათ მეცნიერულ ანალიზს. მათ მიერ კაპიტალის შემადგენელ ელემენტებად დაყოფაში წარმოებისადმი (ნაგულისხმევია მხოლოდ სამიწათმოქმედო წარმოება) მათი განსაზღვრული დამოკიდებულება გამოიხატა.

2.2.4. ფული

ფიზიოკრატთა აზრით, ფული კაპიტალის ფორმა კი არა, **კაპიტალის შეძენის საშუალებაა**. ფ.კენემ კაპიტალის ორივე ნაწილის ბრუნვიდან ფული გამორიცხა და ამით კაპიტალის ფულადი ფორმა უარყო. მან ფული არ მიაკუთვნა თავდაპირველ ან ყოველწლიურ ავანსებს და ს-ფ დაიყვანა ს-ს-მდე. ე.ი გამოდის, რომ ყოველი გაყიდვა იმავე დროს ყიდვაც ყოფილა, რაც შეცდომაა.

2.2.5. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა

ფ.კენეს მიერ წარმოდგენლი საზოგადოების **იდეალური სტრუქტურა** შედგებოდა: მწარმოებელთა, მესაკუთრეთა და არამწარმოებელი კლასისაგან[1].

ასეთი საზოგადოების საფუძველია მწარმოებელთა კლასი, რომელშიაც შედიოდნენ ფერმერები და სოფლის მეურნეობაში სხვა დასაქმებულნი, როგორც ერთადერთი მწარმოებელი კლასი.

მესაკუთრეთა კლასს მიეკუთვნა: სამღვდელოება, მეფე, თავადაზნაურობა (მიწათმფლობელები). ვინაიდან მათ გასწიეს თავდაპირველი ხარჯები და მიწები სავარგულებად აქციეს, ისინი ამისათვის „წმინდა პროდუქტს“ იღებენ.

არამწარმოებელთა კლასში შედიან მეურნეობის სხვა სფეროებში (**მრეწველობაში, ვაჭრობაში, ფინანსურ-საკრედიტო სფეროში** და სხვ.) დასაქმებულები.

ფ.კენეს მოძღვრებაში საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ მრავალი შეცდომაა. მაგალითად, **მუშებს და კაპიტალისტებს**, როგორც მრეწველობაში, ასევე სოფლის მეურნეობაში, იგი **ერთ კლასში აერთიანებს**. იგი, როგორც მსხვილი ფერმერობის იდეოლოგი, რა თქმა უნდა, ამჩნევდა დაქირავებულ მუშებს, მაგრამ ისინი შეგნებულად ცალკე კლასად არ გამოჰყო. საქმე ის არის, რომ ფიზიოკრატების თვალსაზრისით დაქირავებული მუშები შეადგენენ ერთ კლასს თავიანთ დამქირავებლებთან ერთად: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფერმერებთან ერთად, ხოლო სხვა დარგებში მრეწველებთან ერთად.

მართალია, კლასების შესახებ კენეს მოძღვრებაში რიგი შეცდომაა დაშვებული, მაგრამ ამ მოძღვრებაში ყურადსაღებია ის გარემოება, რომ საზოგადოების კლასებად დაყოფის საფუძველი მან მართებულად გამოიყვანა მისი ეკონომიკიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაყოფა მთლიანობაში არასწორია.

2.2.6. გადასახადები

კიდევ ერთი საკითხი – ერთიანი სახელმწიფო გადასახადების მიწათმფლობელებზე დაკისრების შესახებ. ფ.კენეს აზრით, **საგადასახადო ვალდებულების მთელი ტვირთი უნდა დაეკისროს მხოლოდ მიწის მესაკუთრეს, რამდენადაც „წმინდა პროდუქტს“ ისინი ისაკუთრებენ. დანარჩენი კლასები კი**

1 Ф.Кенэ. Избранные экономические произведения. М., 1960, გვ. 360.

ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდნენ.

ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადების დაკისრება მხოლოდ მიწათმფლობელების შემოსავალზე - „წმინდა პროდუქტზე", ანუ მიწის რენტაზე, ფაქტობრივად ნიშნავდა მიწის საკუთრების ნაწილობრივი კონფისკაციის მოთხოვნას.

მიწის საკუთრების ასეთი განსაკუთრებული დაბეგვრის პირობებში გადასახადების სიმძიმე მრეწველობას ჩამოშორდებოდა.

გარდა ამისა, ფ.კენე ვაჭრობის სრულ თავისუფლებას მოითხოვდა და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის წინააღმდეგი იყო, მისი მოსაზრებით, ასეთი მიდგომებით ეკონომიკის კაპიტალიზმის გზით განვითარების ხელშემწყობი პირობები შეიქმნებოდა.

2.3. ეკონომიკური ცხრილი

ფიზიოკრატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამსახურებაა ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) კლავწარმოებისა[1] და მიმოქცევის პროცესების მოდელის შექმნის მცდელობა, რაც მოცემულია ფ.კენეს მთავარ შრომაში „ეკონომიკური ცხრილი"[2].

ვერსალის სამეფო გამომცემლობამ 1758 წელს გამოსცა ფურცელი, რომელზედაც ციფრები ერთმანეთს ზიგზაგებით უკავშირდებოდნენ. ფურცელს თან ერთვოდა ამ ციფრების მოკლე განმარტებები. ეს გახლდათ ფ.კენეს „ეკონომიკური ცხრილი" - კაპიტალისტური მაკროეკონომიკის მექანიზმების მათემატიკურად ასახვის მისი პირველი მცდელობა.

„ეკონომიკური ცხრილი" ფრანგული ეკონომიკის შემოსავალ-გასავლის ანალიზური მაკროეკონომიკური მოდელია. მისი დანიშნულებაა შექმნას საკონტროლო ჩარჩო ეკონომიკური ანალიზისთვის. ფ.კენემ იგი ახსნა მირაბოსადმი მიწერილ წერილში: მე შევეცადე შემექმნა ეკონომიკური წყობილების ფუნდამენტური ცხრილი, რათა მეწვენებინა დანახარჯები (გასავალი) და პროდუქტები იმ გზით, რაც უფრო ადვილად მოსაპოვებელია და იმისათვის, რათა ორგანიზაციაზე და დეზორგანიზაციაზე ნათელი წარმოდგენა შემექმნა. მან საქონლის მოხმარება და მისი კლავწარმოება საზოგადოების მასულდგმულებელ სისხლის მიმოქცევის წრეს შეადარა.

კენეს მტკიცებით, ეკონომიკა მანქანასავით, ანდა ცოცხალი ორგანიზმივით ფუნქციონირებს. აქედან ჩანს, თუ რატომ ანიჭებდა იგი ასეთ დიდ მნიშვნელობას საკუთარი ძალით მომუშავე „მანქანას" და რატომ იყო იგი მისი მუშაობის პროცესში აქტიური ჩარევის წინააღმდეგი.

მთლიანი შიგა პროდუქტის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის ანალიზისას კენე გამოდის საზოგადოების სამ კლასად დაყოფის საკუთარი კონცეფციიდან.

„ცხრილის" წანამძღვრებია: ფასების უცვლელობა, საგარეო ბაზრის აბსტრაგირება და მარტივი კვლავწარმოება. ცხრილი აგებულია მიწათმოქმედების საიჯარო სისტემაზე, როდესაც მიწათმოქმედებას მხოლოდ ფერმერები ხელმძღვანელობენ.

კვლავწარმოების პროცესის საწყის პუნქტად „ცხრილში" წლიური შემოსავალი გვეელინება. წრებრუნვის ვადად განსაზღვრულია: პერიოდი ერთი მოსავლის აღებიდან მეორე მოსავლის აღებამდე. მასში იმდროინდელი საფრანგეთის მშპ-ის ღირებულება უდრის 5 მლრდ. ლივრს[3], აქედან მხოლოდ 4 მლრდ. ღირებულების სურსათია, 1 მლრდ. ღირებულებისა ნედლეული.

გარდა ამისა, ფერმერებს გასული წლის პროდუქტის რეალიზაციიდან აქვთ 2 მლრდ. ლივრი ფული, რომელსაც მიწათმფლობელებს (მესაკუთრეებს) მიწაზე საიჯარო ქირის სახით უხდიან. მრეწველ-ხელოსანთა („უნაყოფო") კლასს აქვს 2 მლრდ. ლივრის სამრეწველო პროდუქცია. საბოლოოდ, სულ მშპ-ის ჯამი, ფ.კენეს გაანგარიშებით, 7 მლრდ. ლივრს შეადგენს.

მშპ-ის რეალიზაციას იწყებენ მიწათმფლობელები იმ 2 მლრდ. ლივრიდან, რომელიც მათ გასულ წელს ფერმერებისაგან საიჯარო ქირის სახით მიიღეს.

მიწათმფლობელები ჯერ ფერმერებისაგან შეისყიდიან 1 მლრდ. ლივრის ღირებულების სურ-

---

1 ტერმინის „კლავწარმოება" სამეცნიერო ბრუნვაში გამოყენებას უკავშირებენ ფ.კენეს სახელს.

2 Quesnay F. Tableau économique, P., 1758.

3 ფრანგული ვერცხლის ფულის ერთეული ფიზიოკრატების დროს 1799 წ. ფრანკის შემოღებამდე.

სათს, შემდეგ კი დარჩენილი თანხით – მრეწველებისაგან (ხელოსნებისაგან) სამრეწველო საქონელს. ამით მთავრდება მიწათმფლობელების მონაწილეობა მშპ-ის რეალიზაციაში. ისინი უკვე საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფილნი არიან.


მიმოქცევის შემდეგ აქტში მონაწილეობენ მხოლოდ ფერმერები და მრეწველები (ხელოსნები), სადაც მრეწველები მათ მიერ მიღებული 1 მილიარდი თანხით ფერმერებიდან სურსათს ყიდულობენ.

ამის შემდეგ ფერმერები იძენენ მრეწველებისაგან 1 მლრდ. სამრეწველო პროდუქციას წარმოებრივ საშუალებათა სახით. მრეწველები ამ გაყიდვიდან მიღებული 1 მლრდ. ლიერით ფერმერებისაგან სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს შეისყიდიან და ამით რეალიზაციის პროცესიც მთავრდება (იხ.: ცხრილი 1).

ამრიგად, რეალიზაციის ხუთი აქტის შედეგად მიწის მესაკუთრეები უზრუნველყოფილი არიან 2 მლრდ. ლივრის სურსათითა და სამრეწველო საქონლით, ხოლო ფერმერებმა 3 მლრდ. ლივრის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის რეალიზაცია მოახდინეს და კიდევ დარჩათ 2 მლრდ. ლივრის პროდუქტი საკუთარი მოხმარებისათვის (1 მლრდ. - საკვები პროდუქტი, 1 მლრდ. სათესლე მასალა), რომლითაც კვლავწარმოების პროცესის განახლება შეუძლიათ. გარდა ამისა, ფერმერებს 2 მლრდ. ლივრი დაუბრუნდათ, რომლითაც მიწათმფლობელთა საიჯარო ქირას გადაიხდიან.

მაშასადამე, ფ.კენეს „ცხრილში" მოცემულია ეკონომიკურ ლიტერატურაში **მთლიანი შიგა პროდუქტის რეალიზაციის მოდელის შექმნის პირველი მცდელობა**, რამაც განაპირობა დასკვნა, რომ კვლავწარმოებისა და რეალიზაციის უწყვეტ პროცესს ადგილი ექნება მაშინ, როდესაც ეკონომიკაში განსაზღვრული პროპორციები დაცულია.

ცხრილი 1



თუმცა, ფ.კენეს ეკონომიკური „ცხრილი" რიგ არსებით ნაკლოვანებას შეიცავს: 1) „ცხრილი" აგებულია საზოგადოების კლასებად დაყოფის მცდარ შეხედულებაზე; 2) „ცხრილში" მრეწველთა კლასი სამრეწველო პროდუქტის გარეშე დარჩა; 3) რეალიზაციის პროცესის ცენტრში მიწის მესაკუთრეები შეცდომითაა დაყენებული და სხვ.

3. „ბუნებრივი უფლებები"

ფრანსუა კენემ ჯერ კიდევ მე-18 ს-ის 40-იანი წლების ნაშრომებში ჩამოაყალიბა საკუთარი შეხედულებები ადამიანთა შემეცნების უნარისა და ბუნების შესახებ. მეტწილად იგი „**ბუნებრივი უფლებების**" საკითხებს შეეხო. ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელებას ადასტურებს კენეს სტატიის

სათაურიც: „ბუნებრივი უფლებები" (Droit natural)[1]. ავტორმა თავის კვლევებში ინგლისური სენსუალიზმი[2] მალბრანშის[3] მოძღვრებასთან დაუკავშირა.

ფ.კენეს აზრით, ადამიანის გონებაში ყოველგვარი ცნება გარე სამყაროსთან კავშირში ყალიბდება; საგნები, რომლებსაც ჩვენ სხეულებსა და მატერიას ვუწოდებთ, ფიზიკურ მიზეზებს წარმოადგენენ, რომლებიც სხვადასხვაგვარ წარმოდგენებსა და აფექტებს, მისწრაფებებს თუ ვნებებს, ჩვენი გრძნობების მოტივაციას იწვევენ, ბედისა თუ ავბედობის მიზეზები არიან; ადამიანთა შეგრძნებები, ყოველგვარი ცვლილება და ქმედება, საწყისი, პირველადი მიზეზითაა გამოწვეული, რომელიც ყოველ ცოცხალ არსებას ამოძრავებს, იგი ძირითადად ყველა სახის, მგრძნობელობითი თუ ინტელექტუალური სახის ფორმას აყალიბებს.

ეს შეხედულება **ჯონ მალბრანშის** (1638-1715) მოძღვრებას შეესაბამება, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ის, რაც ჩვენ გვგონია, რომ ბუნებრივი მიზეზების ზემოქმედების შედეგია, ღმერთის მიერ გამოწვეულია. მალბრანშის მოძღვრების თანახმად, <u>მთელი სამყარო ღვთის ნებით შექმნილი მათემატიკური ქმნილებაა</u>. როგორც ჩანს, სამყაროს ცნების ასეთი გაგება დაედო საფუძვლად ფიზიოკრატთა ფილოსოფიური და ეკონომიკური სისტემის შექმნას.

ამ ფილოსოფიაში მეცნიერება და რწმენა ერთმანეთს ერწყმის. ფ.კენე მეცნიერებას მატერიალისტურად მიიჩნევდა და აღნიშნავდა, რომ მეცნიერებაში არსებული ყოველი ცნების საფუძველი მატერიაშია, ადამიანს კი მისი გონებიდან გამომდინარე ზნეობრივი აღქმის უნარი გააჩნია. ამრიგად, შესაძლებელი ხდება უჩვეულო კავშირი მატერიალიზმსა და სპირიტუალიზმს[4] შორის.

ფ.კენეს აზრით, ცოდნა რწმენის გარეშე არასაკმარისია საკუთარი თავის შესაცნობად და ადამიანსა და ცხოველებს შორის განსხვავების აღმოსაჩენად. მისი აზრით, გონება, რომელიც სხეულის განწყობილებებს ემორჩილება ადამიანისათვის ძირითადი და მნიშვნელოვანი არ არის: ცხოველებზე უფრო უგუნური, საშიში და ულმობელი ადამიანებიც არსებობენ. ადამიანთა მსგავსად ცხოველებიც ხომ განასხვავებენ თუ რა არის ფიზიკურად მტკივნეული და რა სასიამოვნო შეგრძნებების მომგვრელი? რწმენა კი გვასწავლის ჩვენ, რომ უდიდესი სიბრძნე - ეს სინათლეა. ის შუქია, რომელიც დედამიწაზე ყოველ ადამიანს ნათელს ფენს. სწორედ ადამიანის ინტელექტთან ამ შუქის შერწყმით ადამიანი თავისი ცხოვრების იმ საფეხურს აღწევს, რომლითაც იგი განსხვავდება ცხოველისაგან, ერთმანეთისგან სიკეთესა და ბოროტებას განასხვავებს, რაც მას გონიერი და სამართლიანი ქმედებებისაკენ მოუწოდებს.

შეხედულებას იმის შესახებ, რომ რწმენით ზნეობრივი ღირსებების განსაზღვრა შესაძლებელია, ადვილად შეეძლო შეეცვალა კენეს აზრი იმის თაობაზე, რომ თეორიული ეკონომიკა ისეთივე „ზუსტი" მეცნიერებაა, როგორც მათემატიკა ან ფიზიკა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ფ.კენე იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ ადამიანის საქმიანობებს შორის ერთი მაინც მოიპოვება ისეთი, რომელიც ზნეობრივი ღირსებებით განსაზღვრას არ ემორჩილება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ეკონომიკა. მასში ყურადღება მხოლოდ რაოდენობებს ექცევა, ვინაიდან ყოველ ეკონომიკურად მნიშვნელოვან და საჭირო ობიექტს ფასი გააჩნია.

სხვა ავტორებმა, მაგალითად, ინგლისელმა უილიამ პეტიმ, სცადეს „პოლიტიკური არითმეტიკა" შეექმნათ. როგორც ჩანს, კენე ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური მეცნიერება შეიძლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მოდელს დაეფუძნოს და მის საფუძველზე შეიქმნას. ცოტა მოგვიანებით კი მას მტკიცედ სწამდა, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერებიდან ზნეობა უნდა გამოერიცხათ.

ყოველივე ეს გარკვეით ჩანს ბუნებრივი უფლებების საკითხის განხილვისას. კენეს აზრით, ადამიანმა რომ საერთოდ იარსებოს, იგი სხვა ადამიანებსა და მათ საკუთრებას პატივით უნდა მო-

---

1 Й. Шумпетер, История экономического анализа, т.1, გვ. 288.

2 ფრანგ. sensualisme, ლათ sensus – შეგრძნება – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც შემეცნების ერთადერთ წყაროდ შეგრძნებებს, აღქმებს მიიჩნევს.

3 მალბრანში (Malebranche) ჯონ ჩერჩილი (1638-1715) ფრანგი ფილოსოფოსი იდეალისტი, რომელიც თავის მთავარ თხზულებაში „ჭეშმარიტების ძიება" ამტკიცებდა, რომ სამყარო არსებობს ღმერთში.

4 სპირიტუალიზმი (ლათ. Spiritialis, სულიერი) – რელიგიურ-ფილოსოფიური, იდეალისტური მოძღვრება, რომელიც სულს განიხილავს, როგორც სინამდვილის პირველსაწყისს, როგორც განსაკუთრებულ უჩვეულო სუბსტანციას (რისამე საფუძველს, არსს), რომელიც მატერიის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს.

ეპყრას. სწორედ ამას ეყრდნობოდა ფ.კენეს „ბუნებრივი უფლებების“ თეორია.

„ბუნებრივ უფლებებში“ იგი გულისხმობდა იმ უფლებებს, რომლებიც თვით ბუნებამ მოგვანიჭა (მაგალითად, სინათლის აღქმის უფლება, რომელიც ადამიანს გააჩნია, ვინაიდან მას თვალები გაუჩინა და სხვა).

ბუნებრივი უფლებები: სიცოცხლის შენარჩუნების, უნარის გამოვლინების, საკუთრების უფლების სახით, კენემ იმით დაასაბუთა, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭიროა საკუთრების განაწილება. იგი იზიარებს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ მიწა, რომელიც არავის საკუთრებაა – არასაკმარისად დამუშავებულია.

კენე მიუთითებდა, რომ ყოველ ადამიანს განსხვავების გარეშე ბუნებისაგან ნაბოძები ყოველგვარი უფლება გააჩნია, რომელიც არავინ არ უნდა მიისაკუთროს. ამასთან, თითოეულმა მათგანმა იმდენი უნდა მიისაკუთროს, რამდენიც მას სჭირდება, ან ადამიანებმა რაღაც ერთიანი კავშირი უნდა შექმნან, რომელიც ყველას მის კუთვნილ წილს მიაკუთვნებსო.

ასეთი მიდგომებით, ყოველი ადამიანის ბუნებრივი უფლება, ფაქტობრივად, იმ წილით შემოიფარგლება, რომელსაც იგი თავისი შრომით იღებს. საკუთრების უფლების შემოფარგლება ამ შემთხვევაში მხოლოდ მოჩვენებითია, ვინაიდან კენე საკუთრების თანაბრად განაწილების მომხრეა, რასაც ადასტურებს მისი აზრი იმის შესახებ, რომ ხელისუფლება უფლებას არავის აძლევს, რომ სხვას ქონება წაართვას ან სხვის თავისუფლებას საფრთხე შეუქმნას, მას საქონლის განაწილებაში მუდმივად არსებული უთანასწორობის მოსპობა საზოგადოებრივი წყობილების შეცვლის გარეშე არ შეუძლია.

ასეთი აზრის გახლდათ ფ.კენე მე-18 ს-ის 40-იან წლებში. 60-იან წლებში კი იგი ამ შეხედულებების დასაბუთებას ცდილობს: ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანს მხოლოდ იმდენი მიწა გააჩნია, რამდენსაც დაამუშავებს, ხოლო თუ ადამიანს ისეთი საზოგადოებრივი წყობილების მიღწევა სურს, რომელშიც არ არის არავითარი შეზღუდვა საკუთრებაზე, მაშინ მან ეს ბუნებრივი ყოფა უნდა უარყოს.

თუ ჩვენ ყოველი ადამიანის ფიზიკურ მონაცემებს, მის ინტელექტუალურ უნარსა და სხვა შესაძლებლობებს განვიხილავთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ისინი ადამიანის ბუნებრივი უფლებების გაგებასთან მიმართებით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანწილად განსხვავდებიან. ამგვარი უთანასწორობა, თავისი პრინციპებიდან გამომდინარე, არც სამართლიანია და არც უსამართლო. იგი ბუნების კანონების ურთიერთქმედების შედეგია, იმის გამო, რომ ადამიანებს სამყაროს შემეცნების პროცესში უმაღლესი არსების გეგმების ჩაწვდომის უნარი არ შესწევთ, ამიტომ მათ თავის შესანარჩუნებლად ბუნების კანონების განსაზღვრის უფლება არა აქვთ. თუ ამ კანონებს ყურადღებით დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ფიზიკური გაჭირვების მიზეზები ამავე დროს ფიზიკური კეთილდღეობის მიზეზებიცაა. ასე მაგალითად, წვიმა ხელისშემშლელია მოგზაურისთვის, სასარგებლოა მცენარეებისათვის. და თუ ჩვენ ყოველივეს კარგად ავწონ-დავწონით, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამ მიზეზებს უფრო მეტი სიკეთე მოაქვთ, ვიდრე უბედურება და რომ ისინი უფრო მეტად სიკეთისთვის არსებობენ.

კენემ თავისი სოციალურ-ფილოსოფიური და ეკონომიკური შეხედულებების საფუძველიანად ჩამოყალიბება მას შემდეგ დაიწყო, რაც მის გარშემო სკოლა შეიქმნა, რომელიც კენეს თეორიების პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებას შეუდგა.

კენეს მოწაფეები თავიანთ ნაშრომებში თავისუფლების საწინააღმდეგო შეხედულებებს არ გამოთქვამდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ თავისუფლება გარდაუვალი იყო არა მარტო ვაჭრობის, არამედ სოფლის მეურნეობის სფეროშიც; შეძლებისდაგვარად მაქსიმალური მოგების მისაღებად საჭირო იყო ფეოდალთა მბრძანებლობისაგან გლეხთა გაძთავისუფლება. გლეხებს თავიანთი მეურნეობის დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ; მრეწველობის თავისუფლება მზა ნაწარმზე ფერმერების შესასყიდ ფასებს შეამცირებდა.

ფიზიოკრატთა სკოლაში თავისუფლების მოთხოვნა და აქედან გამომდინარე კერძო საკუთრების უფლების აღიარებაც სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს. ფიზიოკრატებისათვის ვაჭრობის თავისუფლების მოთხოვნა ფაქტობრივად არსებულ ურთიერთობებზე დაკვირვების შედეგი იყო. ასე მაგალითად, მერსიე დე ლა რივიერმ 1767 წ. გამოსცა ნაშრომი „პოლიტიკური საზოგადოების ბუნებრივი

და აუცილებელი წესრიგი"[1]. მისი აზრით, ვაჭრობის თავისუფლება ფაქტობრივად კერძო საკუთრების უფლებას უტოლდება. ფიზიოკრატული ყოველკვირეული ჟურნალის „ეფემერიდის" (Ephèmerides du citoyen) რედაქტორმა დიუპონ დე ნემურმა 1768 წ. გამოსცა ფიზიოკრატთა დოქტრინები სათაურით „ახალი მეცნიერების წარმოშობა და განვითარება"[2]. მასში შრომის თავისუფლება უშუალოდ კერძო საკუთრებასთან კავშირშია მოხსენიებული, რომელსაც ადამიანი თავისუფალი შრომის შედეგად ქმნის. ამ ნაშრომში ავტორმა პირველად გამოიყენა ტერმინი „ფიზიოკრატია".

ფიზიოკრატთა სკოლა ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების ყველა ფენისათვის დაწესებული გადასახადების ზრდას. ასე მაგალითად, მირაბო თავის ნაშრომში „გადასახადების თეორია" (1760)[3] მიწათმფლობელების „წმინდა პროდუქტზე" ერთიანი გადასახადების დაკისრებას მოითხოვდა.

„სკოლა" ფუფუნების საგნებზე დამატებითი გადასახადების დაწესებასაც ეწინააღმდეგებოდა, რამეთუ შეიზღუდებაო შეძლებული კლასების მიერ ფუფუნების საგნების შესყიდვა. უდავოდ სამწუხაროა, წერდა ლეტროსნე, რომ მიწათმფლობელები თავიანთ შემოსავალს ძირითადად ქალაქელებს აწვდიან, მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად კანონსაწინააღმდეგო არ არის, ვინაიდან იგი საკუთრების უფლებას ეფუძნება, რომელიც ყოველი საზოგადოების საფუძველია. თუმცა იგი როგორც იურისტი, ფიზიოკრატულ სისტემაში უმეტესწილად „ბუნებრივი უფლებების" საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას. ამის დასტურია მისი ნაშრომები[4]: „მარცვლეულით ვაჭრობის თავისუფლება" (1765), „საზოგადოებრივი ინტერესები ..." (ორტომეული, 1777).

დასასრულს, ფიზიოკრატული სისტემის ყველა ელემენტი გაერთიანდა და „ბუნებრივი საზოგადოებრივი წყობილების დოქტრინა" შეიქმნა, რომელსაც კენეს მოწაფეები ადიდებდნენ. დიუპონ დე ნემურის აზრით: ადამიანთა ერთობის საფუძველია მისივე ბუნებიდან გამომდინარე მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალებები ნებისმიერი არ შეიძლება იყოს, ვინაიდან თვით გარკვეული მიზნით ჩატარებული ფიზიკური აქტი თვითნებური და ნებისმიერი არ შეიძლება იყოს; ბუნებრივი და საყოველთაო წესრიგი საზოგადოების ძირითად კანონებს შეიცავს.

როდესაც ერთ მშვენიერ დღეს სამეფო კარის ექიმს შესჩივლეს იმის თაობაზე, თუ რა რთული მოვალეობები აკისრია მბრძანებელს, კენემ უპასუხა, რომ იგი ამასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული აზრისა იყო. მაშინ მას ჰკითხეს, როგორ მოიქცეოდა, მეფე რომ ყოფილიყო? მე არაფერს გავაკეთებდი, - უპასუხა კენემ. ამავე აზრის გახლდათ დიუპონ დე ნემურიც, როდესაც იგი თავადებს მიმართავდა: თქვენი მოვალეობების შესრულება ადვილია, თუ წინ არ აღუდგებით სიკეთეს, რომელიც თავისთავად იბადება. ამავე დროს, სასამართლო წესით უნდა დაისაჯოს ის ადამიანები, რომლებიც სხვის ქონებას დაეპატრონებიან.

ფიზიოკრატთა შეხედულებებში მეტად გამარტივებულია სახელმწიფო ფინანსების საკითხები. საჭირო იყო მხოლოდ გადასახადების გაზრდა მიწათმფლობელთა შემოსავლის ზრდის კვალობაზე. ქვეყნის თავდაცვის საქმეს მხოლოდ ნებაყოფლობით გაწვეულები მოემსახურებოდნენ. პოლიციური სისტემა და მოსახლეობის ძალდატანებით გაწვევა, თავისუფლების პრინციპებს ეწინააღმდეგებაო; კანონი მხოლოდ მოქალაქის მიერ საჩივრის შეტანის შემთხვევაში მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, ვინაიდან დანაშაული, რომელსაც არავინ ასაჩივრებს, ხელისუფლებამ არ უნდა განიხილოს.

იმის გამო, რომ ფიზიოკრატთა სისტემა, ფაქტობრივად, ხელისუფლების როლს უგულებელყოფდა, უფრო მისაღები მმართველობის ფორმის საკითხი მათ მიერ უყურადღებოდ დარჩა. ჩვეულებრივ, ფიზიოკრატები სამეფო ტახტის შთამომავლობით გადაცემის მომხრეებია. ამასთან, მეფობას ისინი მმართველობის უმარტივეს ფორმად მიიჩნევდნენ.

შემდეგი არგუმენტი, რომელიც ფიზიოკრატებს მეფობის სასარგებლოდ მოჰყავდათ, არის ის, რომ სოციალურ მექანიზმში, რომელსაც მხოლოდ მოქალაქეთა პირადი ინტერესები ამოძრავებდათ, მეფობა ერთადერთი საუკეთესო საშუალება იქნებოდა. ხელისუფალი თავისი ქვეშევრდომების ქონების თანამესაკუთრეა (ამიტომ მას გადასახადის გაზრდის უფლება აქვს). აქედან გამომდინარე, იგი თავისი ქონების მატებაში უშუალოდაა დაინტერესებული.

ფიზიოკრატთა აზრით, ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში უნდა მოექცეს და მემკვიდ-

1 **Mercier (Lemercier) de la Riviere.** L'ordre naturel et essential des sociétés politiques, v.1-2, P., 1767.
2 **Dupont de Nemours,** De l'origine et des progres d'une science nouvelle, P., 1768.
3 **Mirabeau V.,** La Théorie de l'impót, P., 1760.
4 **Le Trosné:** Liberté du commerce des grains, P., 1765; De l'intérét social ..., v.1-2, P., 1777.

რეობით უნდა გადაეცეს, ვინაიდან თვით საკუთრების ცნება განაპირობებს ამას; მეფეც ბუნებრივ კანონებს უნდა დაემორჩილოს. საჭიროა სრულიად დამოუკიდებელი ბუნებრივი კანონების საუკეთესოდ მცოდნე სამართლებრივი აპარატის არსებობა.

ამასთან ერთად, ისინი მოითხოვდნენ განათლების სისტემის გაუმჯობესებას, აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობას – განსაკუთრებით კი პრესის თავისუფლებას. კენე შესაძლებლად თვლიდა მრავალი წიგნის (მათ შორის ცუდის) დაბეჭდვას, რათა ერთი კარგი წიგნი გაჩენილიყო.

ფიზიოკრატები ზნეობრივ საკითხებსაც შეეხენ. მაგალითად, რივიერის მტკიცებით, ეკონომიკური კანონების დაცვა ხელს შეუწყობდა მაღალი ზნეობის დამკვიდრებას. მისი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია, თუ ვის ჩააყენებდა მეფე სახელმწიფო სამსახურში და ვის დაწინაურებდა, რადგანაც ეს მნიშვნელოვანწილად საზოგადოებრივი ზნეობის ჩამოყალიბებას განაპირობებდა.

4. ანრი რობერტ ჟაკ ტიურგო (1727-1781)

4.1. ფინანსების გენერალური კონტროლიორი

მიუხედავად იმისა, რომ ტიურგო თავს ფიზიოკრატთა სკოლას არ მიაკუთვნებდა, იგი მეტწილად მაინც მათ პოზიციებზე იდგა.

ანრი რობერტ ჟაკ ტიურგო (Turgot) - საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინამორბედების გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, თეორიული კვლევის სფეროში ცნობილი გახდა თავისი მთავარი ნაშრომით: „ფიქრები სიმდიდრის შექმნისა და განაწილების შესახებ“ (1776)[1].

იგი დაიბადა პარიზში, სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიასთან დაახლოებული აზნაურის ოჯახში. სორბონის უნივერსიტეტის თეოლოგიის[2] ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მან უარყო სასულიერო კარიერა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

1774 წელს ლუი XVI-ის მიერ დაინიშნა: ჯერ საფრანგეთის საზღვაო მინისტრად (სადაც 34 დღე იმუშავა), შემდეგ ფინანსების გენერალური კონტროლიორის პოსტზე (1774-1776).

4.2. ანალიზის გაღრმავება

ტიურგომ, ფ.კენესთან შედარებით, კაპიტალისტური ურთიერთობები უფრო ღრმად გააანალიზა. კერძოდ, იგი ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში უფრო ღრმად გაერკვა. საზოგადოების სამ კლასად დაყოფის კენესეული მოდელის ნაცვლად, მან გამოყო: **მუშები და კაპიტალისტები.**

ტიურგო უკეთ გაერკვა აგრეთვე ხელფასის არსში. მან **ახსნა ხელფასის საარსებო საშუალებათა მინიმუმამდე დაყვანის მექანიზმი, რაც მუშებს შორის კონკურენციის არსებობასთან დაკავშირა.** თუ რატომ აღემატება ბაზარზე შრომის მიწოდება მასზე არსებულ მოთხოვნას, მან ვერ გაარკვია - მუშათა დიდი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში - დამქირავებელი უპირატესობას ანიჭებს იმას, ვინც ყველაზე ნაკლებ გასამრჯელოზე მუშაობას დათანხმება[3].

ტიურგომ **სწორად განმარტა დაქირავებული შრომის არსი.** დაქირავებული სამუშაო ძალის არსებობის მიზეზი, მისი აზრით, მიწის, როგორც წარმოების უმთავრესი საშუალების მწარმოებლისაგან გამოყოფაა. მაგრამ მისი ფიზიოკრატული შეხედულებების თანახმად, **მიწა არა წარმოების უმთავრესი საშუალება, არამედ სიმდიდრის უმთავრესი წყაროა.** თუმცა, ტიურგომ, ფიზიოკრატებისაგან განსხვავებით, **მიწის გარდა, კაპიტალად ჩათვალა ის მობრავი სიმდიდრე და დანაზოგები, რომელთა დაბანდებით მოგების მიღებაა შესაძლებელი.**

ტიურგომ, ფიზიოკრატებზე წინ წავიდა და აღიარა, რომ მრეწველობასა და ვაჭრობაში მიილება

---

1 Turgot A., Rèflexions sur la distribution des richesses, P., 1766.

2 ღვთისმეტყველების.

3 Тюрго А., Размышления о создании и распределении богатств..., М., 1905, გვ. 4.

მოგება. ხოლო რენტის შექმნაში მთავარი როლი შრომას მიაწერა; გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონელთა გაცვლის საფუძვლად მათი მოხმარების სურვილი და სახსრები დაასახელა; **საქონლის სუბიექტური ღირებულება** განსაზღვრა გამყიდველის მიერ ნივთის შეფასებით, რომელსაც საბოლოოდ ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდება აყალიბებს.

ტიურგოს ღირებულებების თეორიაში ფაქტობრივად უარყოფილია საქონელთა გაცვლის ეკვივალენტობის ფიზიოკრატული მიდგომები.

ტიურგომ **ფულის არსებობა** საქონლის მიმოქცევასთან დააკავშირა. მან ლითონის ფული (ოქრო და ვერცხლი) ნამდვილი ღირებულების მქონე საქონლამდე დაიყვანა და არ გაიზიარა შეხედულება, რომლის მიხედვითაც მონეტები მხოლოდ ღირებულების ნიშნებს წარმოადგენს. ამასთან, მან **ფული საქონელთან და საქონელი ფულთან გააიგივა**, რითაც ფულის, როგორც განსაკუთრებული სახეობის საქონლის არსი მიჩქმალა.

ტიურგომ საფრანგეთის ფინანსების გენერალური კონტროლიორის პოსტზე მუშაობისას რიგი ანტიფეოდალური რეფორმები გაატარა, რომლებიც ქვეყნის ფინანსების გაჯანსაღების პროგრამასთან იყო დაკავშირებული: მარცვლეულის შიგა და საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვები მოიხსნა; კორპორაციები და გილდიები გაუქმდა; პურით და ხორცით ვაჭრობიდან ნატურალური მოსაკრებლების აკრეფა აიკრძალა; სამრეწველო სარწყებს თავისუფლება მიეცათ; ნატურალური საგზაო ბეგარა საადგილმამულო ფულადი მოსაკრებლებით შეიცვალა, რომელიც საზოგადოების პრივილეგირებულ ფენებზე გავრცელდა და სხვ.

ტიურგოს ამ მცირე რეფორმებმაც კი საზოგადოების პრივილეგირებულ ფენების უკმაყოფილება გამოიწვია და იგი დაკავებული თანამდებობიდან მალე გადააყენეს, ხოლო მის პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები კი გააუქმეს. თუმცა, ტიურგოს მიერ მიღებული ზოგიერთი დადგენილება მომავალში, განსაკუთრებით კი საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში (1789-1794) მაინც განხორციელდა.

5. ღვაწლი

დღესდღეობით ნათელია, რომ ეკონომიკური მეცნიერების სფეროში ფიზიოკრატებმა არაერთი შეცდომა დაუშვეს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეკონომიკური პროცესების განმსაზღვრელი კანონები ბუნების კანონებიდან გამომდინარეობდა. მათ ამგვარი კანონების არსებობის თაეისებური დასაბუთება მართლაც მოახერხეს. კერძოდ, ჩამოაყალიბეს შემდეგი **დებულებები**: სხვადასხვა ეკონომიკურ პროცესს განსაზღვრავს კანონები, რომლებიც ბუნების კანონებს მიესადაგება; ამ კანონების საფუძველია ადამიანთა ფიზიკური მოთხოვნილება, ამიტომ ისინი ყოველგვარი ზნეობრივი კოდექსის საწყისია, მათ ყოველთვის და ყველგან ძალა აქვთ.

ასეთი მიდგომებით შეიქმნა ფიზიოკრატთა მცდარი კონცეფცია. მათ მექანიკური და მათემატიკური განზომილებებით ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის ახსნა განიზრახეს. ამასთან, მათი კვლევა ეკონომიკურ მეცნიერებაში საყოველთაო კანონების შემოუშავებით შემოიფარგლა. მათ შეხედულებით, ეკონომიკური მეცნიერება არაისტორიული მეცნიერებაა, რაც შეცდომა იყო.

კენე ვერ ხვდებოდა, რომ ეკონომიკის კანონებს შესაბამისი საზოგადოებრივი სიტუაცია განაპირობებს და არა უშუალოდ საბუნებისმეტყველო კანონები, რაც არ არის დროით შემოფარგლული.

კენეს შეხედულებათა ახსნის შესაძლებლობას გვაძლევს ასევე მისი პრაქტიკული ხასიათის გამოკვლევები. თუკი ეკონომიკის კანონები საყოველთაოდ მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ გამოდის, რომ ეს კანონები საყოველთაოდ მოქმედებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ეკონომიკურ ლიბერალიზმს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს იმაზე, რომ იგი საყოველთაოდ მისაღებია.

ამგვარ შეხედულებასთან ძალზე ახლოს იყო ბურჟუაზია მე-18 საუკუნის მეორე მესამედში და მეწარმენი თავს საკმარისად ძლიერად თვლიდნენ, რათა სახელმწიფოს მხრიდან დახმარებაზე უარი ეთქვათ. აქედანაც გასაგები ხდება, თუ რატომ იყვნენ ფიზიოკრატები ლიბერალიზმის მომხრეები და მას თავიანთი კონცეფციით იცავდნენ.

ფიზიოკრატების პრაქტიკული ეკონომიკური პროგრამა აგებული იყო კლასობრივ პოზიციებზე. ისინი, ერთი მხრივ, თავისუფალი კონკურენციის მომხრებია, მეორე მხრივ, მრეწველობიდან და ვაჭრობიდან კაპიტალის სოფლის მეურნეობაში გადატანას მოითხოვდნენ.

მართალია, ფ.კენე გადასახადების მთელ სიმძიმეს მიწათმფლობელებს აკისრებდა, მაგრამ მათ მაინც რენტის მიღების უფლებას უტოვებდა.

ფაქტობრივად, ფიზიოკრატებმა საფრანგეთის ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციას ხელი შეუწყვეს. ისინი 1774 წლის 18 ივლისის ედიქტის[1] ინიციატორებად ითვლებიან, რომლითაც ქვეყნის გარეთ მარცვლეულის გატანა შესაძლებელი გახდა.

უნდა ითქვას, რომ ამგვარ პოლიტიკას თავიდანვე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია. ფასებმა პურეულზე აიწია, ხალხის უკმაყოფილება იზრდებოდა, ფიზიოკრატებმაც თანდათან მნიშვნელობა დაკარგეს.

კენეს ღვაწლისა და დამსახურების შეფასება ეკონომიკურ მეცნიერებაში არაერთგვაროვანია. ფიზიოკრატებისათვის მათი მოძღვარისა და მასწავლებლის სიტყვები სახარებასავით ისმოდა. მირაბომ „ეკონომიკური ცხრილი“ კაცობრიობის უდიდეს გამოგონებად ჩათვალა. ბევრისათვის[2] იგი კრიტიკის ობიექტი გახდა.

კრიტიკოსები დასცინოდნენ კენეს თავისებურ აზროვნებას და სრულიად არ ცდილობდნენ გაეგოთ მისი მისია და, რაც უფრო სავალალოა, მის აღზრდილებსაც კი კენესეული ცხრილის გაგება უჭირდათ.

კენესეულმა იდეებმა, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენა ადამ სმითზე მოახდინა, რომელიც ფიზიოკრატებს იცნობდა და პატივს სცემდა. ამასთან, სმითი თავის ნაშრომებში მკაფიოდ აკრიტიკებდა მათ მოძღვრებას „სოფლის მეურნეობის, როგორც ერთადერთი ნაყოფიერი დარგის შესახებ“.

კენეს მიერ კლავწარმოების ანალიზის ცდას მე-19 საუკუნეში მაღალ შეფასებას აძლევდა კ.მარქსი და მას უაღრესად ბრწყინვალეს უწოდებდა. „ეს ცდა - წერდა იგი, - პოლიტიკური ეკონომიის სიყმაწვილის პერიოდში, უაღრესად გენიალური იყო“[3].

ფიზიოკრატების გარკვეული პოპულარობა განაპირობა არა მათმა ეკონომიკურმა თეორიამ, არამედ ეს შედეგი იყო სოფლის მეურნეობაში მათი ჩაურეველობის პოლიტიკის იდეათა ქადაგებისა. საფრანგეთში მათ მე-18 საუკუნის 60-იან წლებში (1764-1770) პურით ვაჭრობის დროებით ლიბერალიზაციას ხელი შეუწყვეს.

ფიზიოკრატებმა აგრეთვე საერთაშორისო კონტაქტები შეინარჩუნეს. ცნობილია, რომ ეკატერინე II-მ სამეფო კარზე საფრანგეთიდან ფიზიოკრატი მერსიე დე ლა რივიერი მიიწვია. ბადენელმა ჰერცოგმა კარლ ფრიდრიხმა (ბადენ-დურლახი, 1728-1811) და სხვებმა გერმანიაში ფიზიოკრატული იდეები გაავრცელეს. ბაზელში და ბერნში კი ეკონომიკურმა საზოგადოებამ პირველი სასოფლო-სამეურნეო წამოწყება ჩამოაყალიბა, სადაც მსუბუქ კონკურსებს სპონსორობდნენ, რომელშიც ფრანგმა ფიზიოკრატმა მირაბომ საპატიო დიპლომი მოიპოვა.

კენეს „ცხრილის“ შესახებ მრავალი თანამედროვე ეკონომისტის აზრი ოდნავ თუ განსხვავდება ადრეულისაგან. ასე მაგალითად, პოლ სამუელსონის შეხედულებით, იგი არის მხოლოდ მცირე სქოლიო ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში, ა.გრეი უწოდებდა მას უდიდეს შეცდომას, ხოლო ი.შუმპეტერი კი მას მიიჩნევდა გენიალურად, რომელსაც ყველა ეკონომისტმა უნდა უყუროს როგორც თავიანთი მეცნიერების უდიდეს ფიგურას, თუმცა კ.მარქსი იყო ერთადერთი პირველხარისხოვანი ეკონომისტი, რომელმაც სათანადოდ შეაფასა კენე[4] და იქვე დასძენდა, რომ მას სხვა აზრი არასოდეს ჰქონია. ვ.ლეონტიევმა თავის მიერ შექმნილ მოდელში „შემოსავალი-დანახარჯები“, სცადა „ეკონომიკური ცხრილის“ ემპირიული განხორციელება. და ბოლოს „ცხრილი“ ეკონომიკის ისტორიის ჩიხში დარჩა.

---

1 ედიქტი (ლათ. editio გამოცემა) – სხვადასხვა სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების (მეფის, იმპერატორის.....) განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრძანებულება.

2 Dohm C. Von, Kurze Vorstellung des physiokratischen Systems, 1778; Pfeifer J.F. Von, Antiphysiokrat, 1780...

3 კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალი“, ტ.IV), ნაწ. I, გვ. 421.

4 Шумпетер Й., Исторія экономического анализа, т. 1, გვ. 299-300.

კენემ მთელი საუკუნით გაუსწრო დროს – მან შექმნა მრავალსექტორული ეკონომიკის პირველი სტრუქტურული მაკროეკონომიკური მოდელი. შესაფერისი პარამეტრების ემპირიული შეფასებებით, რომელიც იმ პერიოდში უბრწყინვალესი მიღწევა იყო.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ჩელაშვილი, ი.მესხია, ვ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ., 2005.

ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე (ქართული თარგმანი), თბ., 1989.

რ.ასათიანი, თანამედროვე ეკონომიკის განმატრებითი ლექსიკონი, თბ., 2009.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 1973

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

გ.თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., თსუ გამომც., 2004, თავი XIX.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალი", ტ.IV), ნაწ. I, თბ., 1966.

ა.სილაგაძე: ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996; ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001; ფიზიოკრატული ეკონომიკური დოქტრინა, თბ., 2009.

გ.ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., თარგმ. ინგლ., 1994.

Волгин В.П., Развитие общественной мысли во Франции в XVIII в., М., 1958.

Всемирная история экономической мысли, т. 1, М., 1987.

Гоголь Г., Физиократы. Французская экономика XVIII века, თარგმ. ინგლ., СПБ, 1899.

Дроздов В.В., Франсуа Кенэ, М., 1988.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

История экономической мысли. Под ред. И.Д. **Удальцова** и Ф.Я. **Полянского**, ч. 1, М., 1961.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Муравьев С., Тюрго. Его учения и административная деятельность, или, начало преобразовании во Франции XVIII в., М., 1958.

Пигу, А. С., Экономическая теория благосостояния. ინგლ. თარგმ., М., 1985.

Реузль А.Л.: Разложение меркантилизма и зараждение буржуазной классической экономии в Англии (Петти) и во Франции (Буагилбер), М., 1957; Экономическая теория физиократов, М., 1958.

Шумпетер Й., История экономического анализа, თარგმ. ინგლ., т.I, Санкт-Петербург, 2004.

Dohm C. Von, Kurze Vorstellung des physiokratischen Systems, 1778.

Dupont de Nemours, De l'origine et des progres d'une science nouvelle, P., 1768.

Mercier (Lemercier) de la Riviere. L'ordre naturel et essential des sociétés politiques, v.1-2, P., 1767/1909.

Mirabeau V., La Théorie de l'impot, P., 1760; Oeuvres Complètes, P., 1882.

Pfeifer J.F. Von, Antiphysiokrat, 1780…

Quesnay F.: Tableau economique, P., 1758; Избранные экономические произведения. М., 1966.

Le Trosné: Liberté du commerce des grains, P., 1765; De l'intérét social, v.1-2, P., 1777.

Turgot A.: Deuvres. t.1-5, P., 1913-1423; Reflexions sur la distribution des richesses, P., 1766; რუს. თარგმ.: Размышления о создании и распределении богатств. Ценности и деньги, М., 1905; Избранные экономические произведения, М., 1961..

თავი V.
ბრიტანული კლასიკური სკოლა: ღირებულებისა და განაწილების დოქტრინები

1. ადამ სმითი (1723-1790): „ხალხთა სიმდიდრე"

1.1. შოტლანდიელი ბრძენი

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საფრანგეთის ზოგიერთ ნაწილში აგრარული კაპიტალისტური წყობა არსებობდა. საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში მოქმედი კანონი ყველა გლეხს საძოვრებით სარგებლობის უფლებას აძლევდა. ამან დაუმუშავებელი მინდვრებისა და საძოვრების შემოღობვის აუცილებლობა გამორიცხა. სოფლის ყველა „ალმენდებით" მცხოვრები თანაბრად სარგებლობდა. ამ პერიოდში ფრანგმა ფიზიოკრატებმა აგრარული კაპიტალიზმის დოქტრინა განავითარეს.

ამ დროს ინგლისშიც აგრარული კაპიტალისტური წყობა განვითარდა, რომელიც განსაკუთრებით მე-18 საუკუნის შუა ხანებიდან ფიზიოკრატებისა და ფრანგი აგრონომებისათვის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა.

იმავდროულად ინგლისში სამრეწველო კაპიტალიზმი ვითარდება. ადამ სმითის თვალთახედვის არეში განვითარებული მრეწველობა მოექცა და მან კაპიტალისტური წარმოების სისტემის შესახებ დოქტრინა ჩამოაყალიბა.

ადამ **სმითი** (Smith) დაიბადა 1723 წელს შოტლანდიაში – პატარა ზღვისპირა ქალაქ კერკოლდში (ედინბურგიდან დაახლოებით შვიდი მილის მანძილზე). მამამისი ვექილი იყო, რომელიც შემდეგ შოტლანდიაში სამხედრო სისტემის მოხელე და საბაჟოს კონტროლიორი გახდა. იგი თავისი პირველი შვილის დაბადებამდე გარდაიცვალა.

ადამი აღზარდა დედამ, რომელიც გავლენიანი და მდიდარი ოჯახიდან იყო და რომელთანაც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე.

ადამ სმითი წიგნებით ავადმყოფურად გატაცებული ბავშვი ყოფილა. იგი სკოლის მეგობრებს თავისი გულადობისა და სულგრძელობის გამო ძლიერ ჰყვარებიათ. გადმოცემით იგი თავის თავთან ხშირად ლაპარაკობდა და მისი დაბნეულობა ცხოვრების მანძილზე ანეკდოტების საგანი ხდებოდა.

თოთხმეტი წლის ასაკში (1737), ადამ სმითი ადგილობრივი საშუალო სკოლიდან იმ დროს წამყვან გლაზგოს უნივერსიტეტში გადავიდა. მან აქ ზნეობის ფილოსოფია, ეთიკა, მათემატიკა, სამართალი და პოლიტიკური ეკონომია შეისწავლა. მასზე განსაკუთრებით ძლიერი გავლენა მოახდინა ეთიკის პროფესორმა, ფრენსის ჰუტჩესონმა.

1740 წელს გლაზგოს უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლა სმითმა ოქსფორდის უნივერსიტეტში გააგრძელა, სადაც მან დიდი ცოდნა და განსწავლულობა შეიძინა. მან გადაიკითხა ბერძნული და ლათინური კლასიკა, უცხო ენები შეისწავლა და ლიტერატურასა და ფილოსოფიაში ფართო ცოდნა მიიღო. აქ იგი განმანათლებელ ფილოსოფოსთა მოღვაწეობით დაინტერესდა. როდესაც გაიცნო დ.იუმის ნაშრომის წაკითხვის გამო, იგი იძულებული გახდა 1746 წელს სამშობლოში – შოტლანდიაში დაბრუნებულიყო. ამ დროისათვის სმითს ეკონომიკისადმი განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია

ერთი განმანათლებელი არისტოკრატის პროტექციის წყალობით მან ედინბურგის უნივერსიტეტში ლიტერატურის ფაკულტეტზე მუშაობის დაწყება შეძლო. 1748 წელს იგი ედინბურგში ლექციების წასაკითხად მიიწვიეს, სმითი მოწინავე ლექტორი ხდება და მას კარგი შემოსავალიც გაუჩნდა.

პოლიტეკონომიისადმი სმითის სპეციალური ინტერესის პირველი გამოვლინება ამ პერიოდს უკავშირდება. 1750-51 წწ. იგი უკვე ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეებს გამოთქვამდა.

სმითმა მალე ისეთ დიდებას მიაღწია, რომ 1751 წელს გლაზგოს უნივერსიტეტში ჯერ ლოგიკის, შემდეგ ეთიკის პროფესორად აირჩიეს. მისი ლექციების კურსი მოიცავდა: თეოლოგიას, ეთიკას, სამართალს და სოფლის მეურნეობის მართვის საკითხებს. გლაზგოში სმითმა 13 წელი დაჰყო.

1759 წელს გამოდის სმითის „**ზნეობრივი გრძნობების თეორია**"[1]. წიგნი წარმატებული აღმოჩნდა. მისი ავტორი ყურადღების ცენტრში მოექცა. იგი დაუმეგობრდა დეივიდ იუმს. ეს მისი ცხოვრების ბედნიერი და ნაყოფიერი იყო.

1764 წელს სმითმა მიატოვა პროფესორობა იმ მიზნით, რომ როგორც მეურვე, ახალგაზრდა **ბაკლეუს** ჰერცოგს[2] საფრანგეთში მოგზაურობისას თანხლებოდა. სმითი ჰერცოგის მშობლებისაგან, შეთანხმების თანახმად, ამ მოგზაურობისათვის მთელი სიცოცხლის ბოლომდე ყოველთვიურად 300 ფუნტს მიიღებდა. პირველი თერთმეტი თვე მათ **ტულუზაში** გაატარეს, სადაც სმითმა (იგი ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა) მოწყენილობის გამო „**ხალხთა სიმდიდრეზე**"[3] მუშაობა დაიწყო.

ბოლო ცხრა თვეში პარიზში სმითი ხშირად ეწვეოდა ხოლმე სახელგანთქმულ ლიტერატურულ სალონებს, ესწრებოდა **ფიზიოკრატთა შეკრებებს**, რომელთა დიდოსტატი ფ.კენე იყო. ჰერცოგის ძმის გარდაცვალების შემდეგ (რაც შეეხება კენეს, რომელიც რჩევებს აძლევდა სმითს, ვერაო დაეხმარა) მისი ჯგუფი 1766 წელს ლონდონში დაბრუნდა. ამის შემდეგ სმითი კერკოლდში დედასთან ერთად ცხოვრობს და ამთავრებს ნაშრომს „**ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ**"[4], რომელიც 1776 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ სმითი ლონდონში მიემგზავრება, სადაც აქტიურ სოციალურ ცხოვრებას ეწევა – მას სამეფო საზოგადოებაში იღებენ და ამავე დროს პრესტიჟული კლუბების წევრი ხდება.

12. ადამიანები მხოლოდ პირადი ინტერესებით არ მოქმედებენ

ინგლისელი ფილოსოფოსების თომას **ჰობზის** (Hobbes, 1588-1679)[5] და ჯონ **ლოკის** (Locke, 1632-1704)[6] ნაშრომების გამოცემის შემდეგ, ადამიანის შესახებ მეცნიერებით ინგლისში სხვა ავტორებიც დაინტერესდნენ, რომლებმაც ამ სფეროში კვლევები განაგრძეს.

თანდათანობით სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა ორი პრინციპი:

- **პირველი**, **სარგებლიანობის პრინციპი**, რომლის მიხედვითაც ადამიანი ყოველთვის, ყოველგვარ საქმიანობაში ცდილობს ტკივილს განერიდოს და თავის თავს სიხარული მიანიჭოს;

- **მეორე**, **წარმოდგენათა ასოციაციის პრინციპის** მიხედვით ადამიანის სულის ფუნქციონირება იმ ძალების მოქმედებით აისახება, რომლებიც ერთ წარმოდგენას მეორეს უკავშირებენ.

ამ პრინციპებს განიხილავს ძირითადად დ.იუმი (1711-1776) ნაშრომში: „**ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ**" (1739). აქ იგი მოვალეობების პრობლემას წააწყდა.

რითი აიხსნება მოვალეობის გრძნობის არსებობა მაშინ, როდესაც ადამიანი მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს?

„მორალისტები"[7], რომლებიც რელიგიას ეყრდნობოდნენ, მიიჩნევდნენ, რომ ზნეობრივ მოვალეობაში ღვთის ქმედება ვლინდება, რომელიც სიკეთის კეთებისა და ბოროტების განრიდებისაკენ მოგვიწოდებს.

---

1 გერმ. **allmende** – ის, რაც ეკუთვნის ყველას. დასავლეთ ევროპაში მიწის სავარგული, რომელიც თემის წევრთა საერთო სარგებლობაშია, ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ალმენდებს ფეოდალები დაეუფლენ.

2 **Smith A.**, The Theory of Moral Sentiments, L., 1759.

3 ჰერცოგი (გერმ. **Herzog**) – დიდგვაროვანთა ერთ-ერთი უმაღლესი ტიტული დასავლეთ ევროპაში.

4 ა.სმითის მთავარი ნაშრომის „ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776) შემოკლებული სახელწოდება.

5 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტ.I, თარგმანი ინგლისურიდან პროფ. ფ.გოგიჩაიშვილის მიერ, თბ., 1938.

6 ნაშრომები: „ლევიაფანი" (1651) და „ფილოსოფიის საფუძვლები" („მოქალაქის შესახებ" - 1642 წ., „სხეულის შესახებ" - 1655 წ., „ადამიანის შესახებ" - 1658 წ.)...

7 ნაშრომები: „ადამიანის გონების გამოცდილება" (1690), „ფიქრები იმ შედეგებზე, რომელსაც იწვევს სარგებლის განაკვეთის შემცირება და ფულის ღირებულების ზრდა" (1691).

მე-18 საუკუნის განმანათლებლები რელიგიაზე უარს ამბობდნენ. ფ.ჰუტჩესონის, გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის, აზრით, ადამიანები იმ გრძნობების გარდა, რომლებიც მათ მიერ სამყაროს აღქმას შესაძლებელს ხდის, კიდევ ზნეობრივი გრძნობა გააჩნია, რომლის წყალობითაც სიკეთის კეთებას მაღალი შეფასება ეძლევა.

დ.იუმის დოქტრინა რელიგიური დოქტრინებისაგან დიდად არაფრით განსხვავდებოდა. მან წამოაყენა თეზა, რომ სიკეთე სულის თვისებას წარმოადგენს. იუმი არ თვლიდა, რომ ადამიანები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ყოველთვის ზნეობრივად მიიჩნევენ იმ მოქმედებას, რომელსაც ირგვლივ მყოფნი იწონებენ. ამგვარი თეორია ეწინააღმდეგება იმ გამოცდილებას, რომ ჩვენ ზოგჯერ თავგანწირვით ვმოქმედებთ. საკითხი იმის თაობაზე, თუ რაში მდგომარეობს ეგოისტური და თავგანწირული მოქმედების მიზეზები მას განუხილავი დარჩა.

ადამ სმითი შეეცადა ეს საკითხები ნაშრომში „ზნეობრივი გრძნობების თეორიაში“ (1759) განემარტა. იგი ეყრდნობოდა იმ მოსაზრებას, რომ ადამიანი მხოლოდ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს. მისი აზრით, იგი ითვალისწინებს იმასაც, თუ როგორ შეაფასებენ მის ქცევას სხვა ადამიანები. და ის „სიმპათია“, რომელიც სხვა ადამიანების მიმართ გაგვაჩნია, ისეთი გადაწყვეტილების მიღებას გვაიძულებს, რომელსაც სხვებიც მხარს დაუჭერენ. ეს ფრთხილი თეორია გვიჩვენებს, რომ ავტორი თავს იკავებს და საზოგადოების შესახებ არსებულ მექანიცისტურ[1] და ნატურალისტურ[2] შეხედულებებს არ ემხრობა. ამ ყოყმანს აღნიშნულ ნაწარმოებში სხვაგანაც ვგრძნობთ.

სმითი, რასაკვირველია, ხედებოდა, რომ, ერთი მხრივ, საზოგადოება ძირითადად ადამიანთა ურთიერთსარგებლობას ემყარება, მეორე მხრივ კი, იგი ამტკიცებს, რომ სოციალური წყობა მდიდრებისა და ძლევამოსილთა პატივისცემას, ე.ი. მორჩილებას მიგვანიშნებს. მისი აზრით, ადამიანის მიდრეკილება, მისდიონ მდიდრებისა და ძლევამოსილების გრძნობათა ღელვას, მათ შორის არსებული წოდებრივი განსხვავებიდან გამომდინარეობს; ჩვენი მათდამი მორჩილების მიზეზი ხშირად მათი უპირატესი მდგომარეობით აღფრთოვანებაა და არა მათი მხრიდან რაიმე სასიკეთო ქმედების მოლოდინიო; საზოგადოება საკმაოდ შორსაა იმ სრულყოფილი მდგომარეობისაგან, რომელშიაც ჩვენ გვინდა, რომ იგი იმყოფებოდეს.

ა.სმითის შეხედულებით, საზოგადოების საშუალო და დაბალი ფენების წარმომადგენლები მაღალი ზნეობრივი პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ და ხშირად ასეც იქცევიან. სმითი საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებზე იგივეს არ ამბობს, რამდენადაც სამეფო კარზე თუ დიდგვაროვანთა სალონებში სიცრუესა და ორპირობას უფრო მეტი ფასი აქვსო.

სმითის შეხედულებით, ბედის მაძიებელნი თავიანთი ოცნებების ასასრულებლად, ხშირად მაღალ ზნეობას ივიწყებენ, ვინაიდან. სამწუხაროდ, მათკენ მიმავალი გზა ყოველთვის პატიოსანი არ არის და მაღალი ზნეობის პრინციპებს არ შეესაბამება.

ადამ სმითს კარგად ესმოდა, რომ არსებობდა წინააღმდეგობა სოციალურ სამართლიანობასა და იმ ეკონომიკურ მექანიზმს შორის, რომელიც პირად ინტერესთა მექანიკური ურთიერთშეთანხმების პრინციპით მოქმედებდა. იგი არ ემხრობოდა ფიზიოკრატებს, რომლებიც სოციალურ სამართლიანობას ან საერთოდ არ თვლიდნენ პრობლემად, ანდა ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ იგი ეკონომიკის აღმავლობის წყალობით თავისთავად დამყარდებოდა. სმითი უფრო ლიბერალური შეხედულების მომხრე იყო. მას მიაჩნდა, რომ, ერთის მხრივ, პროგრესის წინაპირობას კეთილდღეობისაკენ ადამიანის თავისუფალი ლტოლვა წარმოადგენდა, მეორე მხრივ კი, იგი თვლიდა, რომ ის უსამართლობა, რომელიც ეკონომიურ თავისუფლებას თან ახლავს, ისეთი წარმოუდგენელი და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არ უნდა ყოფილიყო, როგორიც ერთი შეხედვით ეჩვენებათ ხოლმე.

მისი აზრით, კეთილდღეობისა და კარგი ცხოვრებისაგან ადამიანთა წარმოსახვაში აღმართული გრძნობები ისეთი ჩინებული, სათნო და ლამაზია, რომ ჩვენ მზადა ვართ ყველაფერი ვიღონოთ, შიში და გაჭირვება გადავიტანოთ, ოღონდაც ეს გრძნობა განვიცადოთ და რომ ბუნებას,

---

1 მექანიზმი – ანტიდიალექტიკური ფილოსოფიური მიმართულება, რომელსაც სამყარო მატერიის ერთგვაროვანი ნაწილაკების მექანიკურ მოძრაობამდე, ხოლო განვითარების რთული კანონზომიერებები მექანიკის უმარტივეს კანონებზე გაჰყავს.

2 ნატურალიზმი (ლათ. naturalis) ბუნებითს ნიშნავს.

ამ გზით, ადამიანი „შეცდომაში“ შეჰყავს, დაღებით მომენტადაა მიჩნეული, რამდენადაც ადამიანებს შრომისადმი ინტერესს უჩენს და ისინი შუდმივ მოქმედებაში მოჰყავს. ასეთი გრძნობა უბიძგებსო ადამიანს, რომ დაამუშაოს მიწა, ააშენოს სახლები, ქალაქები, დაეუფლოს ყოველგვარ მეცნიერებასა და ხელოვნებას.

ადამ სმითის მიხედვით, სოციალური უთანასწორობის არსებობის მიუხედავად, მოგვიანებით, ადამიანები თანაბრად კმაყოფილნი არიან: მდიდარი ადამიანის კუჭის ტევადობა მისი უზომო სურვილების რაოდენობას არ შეესაბამება - მისი კუჭი თვით ყველაზე გაჭირვებული გლეხის კუჭზე მეტს ვერ დაიტევს. დარჩენილი საკვები მან იმათ უნდა გაუნაწილოს, ვისაც საკვები არ ჰყოფნის და ვისაც იგი სჭირდება.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს დასკვნა, რასაკვირველია, არც ისე დამაჯერებელია. როგორც ცნობილია, უთანაბრო შემოსავალი ცხოვრების დონეებს შორის მკვეთრი შეუსაბამობის მიზეზია.

ადამ სმითი უფრო სტოიკოსი[1] იყო, ვიდრე ეპიკურელი[2]. იგი ზნეობრივ საგანძურს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ვიდრე მატერიალურს. ამიტომ, გასაკვირი არ არის ის, რასაც იგი ეკონომიურად ნაკლებად შეძლებულთა მდგომარეობაზე წერდა. საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენლები არავითარ შემთხვევაში არ არიან მათზე ნაკლები, რომლებიც მათზე მაღალ საფეხურზე დგანან, რამდენადაც სხეულისა და სულის სიმშვიდის თვალსაზრისით, ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი პირები ერთ დონეზე იმყოფებიანო. მათხოვარს, რომელიც ქუჩის პირას ზის, ის გულდაჯერებულობა და სიმტკიცე აქვს, რომლის მისაღწევადაც ხშირად მეფენიც კი იბრძვიან.

შესაძლოა დაგვებადოს კითხვა, თუ რატომ ანიჭებდა ადამ სმითი ეკონომიკურ პროგრესს ასეთ დიდ მნიშვნელობას. თავად მას ამ კითხვაზე სრული პასუხი არ გაუცია. მისი აზრით, ადამიანი კეთილდღეობისა და სიბრძნისაკენ თანაბრად უნდა ისწრაფვოდეს. შესაძლოა ამ თვალსაზრისს თავისი გამართლება ჰქონდეს, მაგრამ სმითმა ვერ გაარკვია, თუ რა გზით შეიძლებოდა ამ ორი მიზნის ურთიერთშეთავსება. იგი სოციალურ უსამართლობას შეეგუა.

ამ მიზეზთა გამო ადამ სმითის სოციალური ფილოსოფია სრულყოფილად არ შეიძლება მივიჩნიოთ. იგი ძალიან წუხდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა კეთილდღეობისაკენ უფრო მეტად მიილტვის, ვიდრე სიბრძნის შესაძენად. საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი, მხოლოდ რჩეული ბრძენნი იხრიან ქედს სიბრძნისა და სათნოების წინაშე, ხალხის ბრბო კი სიმდიდრესა და ძალაუფლებას შესცინცინებს.

მეორე მხრივ, ადამ სმითმა მძაფრად გააკრიტიკა ტრადიციული ქრისტიანობა და იგი რეალური სამყაროს უგულებელყოფაში დაადანაშაულა. იგი აკრიტიკებდა იმ მოძღვრებას, რომელმაც ციური სამყარო ბერ-მონაზვნებს (და მათი ორდენის წევრებს და იმათ, რომელთა ქცევა და ცხოვრების წესიც ბერ-მონაზვნებისას ემსგავსებოდა) უბოძა, გასულ საუკუნეებში მოღვაწე ყველა გმირს, სახელმწიფო მოღვაწეს, კანონმდებელს, პოეტს და ფილოსოფოსს (ე.ი. მათ, ვისაც უნდა ვუმადლოდეთ ყოველგვარ წინსვლას, აღმოჩენებსა და სიახლეებს, მათ ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებასა და გალამაზებაში) კი ჯოჯოხეთი არგუნა.

ფიზიოკრატები პირველ რიგში რეალისტები[3] იყვნენ. მათ სისტემაში მოიყვანეს მე-18 საუკუნის ბურჟუაზიული შეხედულებები და ხოტბა შეასხეს საზოგადოებრივ წყობილებას, რომლისთვისაც უპირატესად ფულისაკენ ლტოლვაა დამახასიათებელი. ადამ სმითი მათგან გარკვეულად განსხვავდებოდა. იგი ფილოსოფოსი იყო და წინა პლანზე სიმდიდრის დაყენება მას არ შეეძლო, მაგრამ მან უდიდესი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დოქტრინაში, რომელიც ეკონომიის განვითარებას ჯეროვნად აფასებდა.

---

1 გაჭირვებისა და განსაცდელის მტკიცედ ამტანი ადამიანი.

2 ეპიკურიზმის მიმდევარი ადამიანი ყველაზე მაღლა აყენებს თავის პირად სიამოვნებას, ცხოვრებით დატკბობას.

3 რეალისტები – ადამიანები, რომლებიც თავიანთ მოქმედებაში რეალურ ვითარებას ითვალისწინებენ.

13. პირველი დაკვირვებები ეკონომიკაზე

1763 წელს ადამ სმითის მიერ გლაზგოში წაკითხული ლექცია შემორჩენილია ერთ-ერთი სტუდენტის ჩანაწერის სახით[1]. ეს ლექცია საშუალებას გვაძლევს გაეცნოთ მის შეხედულებებს, ვიდრე იგი ფიზიოკრატებს გაეცნობოდა. მასში ჩვენ ვხვდებით თეზას, რომელიც სმითს ფიზიოკრატებზე მაღლა აყენებს. კერძოდ კი თეზას იმის შესახებ, რომ **საქონლის ღირებულება დახარჯული შრომის მიხედვით განისაზღვრება.**

ამ ეტაპზე მისი გამოკვლევები ჯერჯერობით არ იყო მასშტაბური ხასიათის და კონკრეტული ფაქტებითა და მათგან გამომდინარე დასკვნებით შემოიფარგლებოდა.

ადამ სმითის ზემოთდასახელებულ ლექციაში მოხსენიებულია გახმაურებული თეზა: **„შრომის დანაწილება ქვეყანაში კეთილდღეობის ზრდის წინაპირობაა“**. ჯერ კიდევ ამ ლექციაში მოჰყავს სმითს ქინძისთავების მანუფაქტურის მაგალითი: იმისათვის, რომ ერთმა ადამიანმა ქინძისთავები დაამზადოს, მან თავდაპირველად ნედლეული უნდა მოიპოვოს. ამიტომ, თუნდაც ერთადერთი ქინძისთავის დასამზადებლად მას ერთი წელი მაინც დასჭირდება, ხოლო თუკი ჩვენ ხელოსანს თითბერის მავთულს მივცემთ, მაშინ მან დღეში შესაძლოა ფაბრიკაში ოცი ქინძისთავიც კი დაამზადოს.

სმითი **წარმოების ზრდას** სამი მიზეზით ხსნიდა:

- პირველი, მუშათა გაწაფულობა მათი ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით;

- მეორე - დროის ეკონომია იმის ხარჯზე, რომ მუშას სამუშაო პროცედურების ცვლა აღარ სჭირდება;

- მესამე - მანქანა-დანადგარები (ნაგულისხმევია უმარტივესი ხელსაწყოები).

მანუფაქტურების შექმნა საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, სმითმა წარმოების პროცესში კაპიტალის როლის შესწავლა დაიწყო. მან ეს პროცესი უკეთესად გამოიკვლია, ვიდრე მისმა თანამედროვე ფიზიოკრატებმა შესძლეს.

სმითის დასკვნით, კაპიტალის ძირითადი ფუნქციაა შრომის მწარმოებლურობის ზრდა. ამ დასკვნის წყალობით მან ფიზიოკრატთა შეცდომები აღარ გაიმეორა, რომლის მიხედვითაც, თითქოს კაპიტალის დაბანდება მხოლოდ სოფლის მეურნეობაშია მოგებიანი.

რასაკვირველია, ადამ სმითსაც კარგად ესმოდა კაპიტალდაბანდების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის. აღსანიშნავია მისი ანალიზი ამ საკითხთან დაკავშირებით, სადაც მან ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიწათმფლობელობისა და ფეოდალური წყობილების პირობებში. მას კარგად ესმოდა სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა, რომელიც, მისი აზრით, მაშინ სხვა დარგებისაგან განსხვავებით, საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მოგებიანი და საჭირო იყო.

მიუხედავად ამისა, სმითი მრეწველობას მცირე მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისი შემუშავებული პრინციპების მიხედვით, ნატურალურია იმ **შრომის ღირებულება**, რომელიც საკმარისია მუშის შესანახად შრომის პროცესში, ფარავს მის განათლებაზე გაწეულ ხარჯებს და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ყველა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში მუშას პროდუქციის წარმოების სტიმული უჩნდება.

აქედან ნათელია, რომ ადამ სმითი ფასს ამა თუ იმ საგნის დამზადებაზე დახარჯული დროის მიხედვით ხსნის. ფასის ეს განმარტება ქინძისთავების მანუფაქტურის მაგალითზე მის გამოკვლევას დაედო საფუძვლად. თუმცა, სმითი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქონებას, შემოსავალს და ცალკეული მუშის შრომის მწარმოებლურობას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში შრომის დანაწილების პრინციპი არსებობს, შრომის დანაწილება თანაბრად მაინც არ ხდება, ვინაიდან ძალიან ბევრი საერთოდ არ მუშაობს. ქონება შრომის მიხედვით არ ნაწილდება. მართალია, ვაჭარი ფიზიკურად ნაკლებს შრომობს მის ხელქვეითებთან შედარებით, მაგრამ იგი მაინც ყველაზე მეტ გასამრჯელოს იღებს. ისინი კი, თავის მხრივ, უფრო მეტი შემოსავლის პატრონები არიან, ვიდრე უბრალო ხელოსნები, რომლებიც მათზე მეტს მუშაობენ. ხელოსანი, რომელიც საკუთარ სახლში მშვიდად შრომობს, უფრო

1 **Smith, A.**, Lectures on justice, police, revenue and arms, Oxf., 1896.

მეტ გასამრჯელოს იღებს თავის ხელობაში, ვიდრე უბრალო გლეხკაცი, რომელიც დილიდან დაღამებამდე მიწას ჩაჰკირკიტებს.

ზემოალნიშნულიდან გამომდინარე, ა.სმითი დაასკვნიდა, რომ **საზოგადოების წევრთაგან ყველაზე დიდი ტვირთის მატარებელნი - ყველაზე ნაკლებ შემოსავალს იღებენ.**

მიუხედავად იმისა, რომ სმითი მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ურთიერთობებში კარგად ვერ გაერკვა, იგი ამ მდგომარეობის მიზეზების გარკვევას არც კი შეეცადა, მაგრამ ამავე დროს მას შემოსავლის განაწილების საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენია. ეს პრობლემა განხილულია მის ძირითად ნაშრომში, როდესაც საზოგადოების სიმდიდრის საკითხებს შეეხო.

ჯერ კიდევ 1763 წელს წაკითხული ლექციებიდან ირკვევა, რომ ადამ სმითი მერკანტილიზმის წინააღმდეგია და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა **ლიბერალური ეკონომიკის უპირატესობებს,** რომლის სასარგებლოდაც იგი ფიზიოკრატების მსგავს არგუმენტებს იყენებს. მისი მოთხოვნით მიწის თავისუფალი შესყიდვისა და მეურნეობის დამოუკიდებელი გაძღოლის უფლება ყველას უნდა ჰქონოდა. თუკი ვაჭარი იყიდის მიწის მცირე ნაკვეთს, მაშინ მეტი მოსავლის მისაღებად იგი ყოველნაირად შეეცდება მის კარგად დამუშავებას. ასევე მოითხოვდა იგი **ვაჭრობის თავისუფლებას,** რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ვაჭრებისათვის უფრო მეტი მოგების უზრუნველსაყოფად და რომელიც მანუფაქტურების დაარსებას ხელს შეუწყობს. მისი აზრით, თუკი ვაჭრები იძულებით გადაიხდიდნენ ათასგვარ გადასახადს თავისუფალი ვაჭრობის უფლების მოსაპოვებლად, მაშინ ისინი იმდენ კაპიტალს ვერასდროს დააგროვებდნენ, რამდენიც თავიანთი მომავალი საქმიანობის გასაგრძელებლადაა საჭირო.

ამრიგად, ადამ სმითი ეკონომიკის თავისულებას ეკონომიკის აღმავლობის ძირითად და აუცილებელ წინაპირობად თვლიდა.

1.4. საქონლის ღირებულება იქმნება შრომით...

ადამ სმითის მოღვაწეობის ბრიტანელი მიმომხილველები განსაკუთრებით გამოჰყოფენ მის ნაშრომს **„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“** (1776) და თვლიდნენ, რომ მისი აეტორი კენეს მიერ გაკვალულ გზას დაადგა. მასში **ეკონომიკა აღწერილია, როგორც პროცესი, რომელიც კაპიტალის დაბანდების შედეგად ამოქმედდება.**

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ თითქოს სმითმა, რომელმაც ფიზიოკრატთა შეცდომები შეამჩნია (რომლებიც ძირითადად მრეწველობის „უნაყოფობას“ შეეხებოდა), კაპიტალისტური სისტემის მექანიზმის სრულყოფილი ახსნა შესძლო.

ამ ნაშრომის მთავარი იდეა ეკონომიკაში **„უჩინარი ხელის“** მოქმედებას უკავშირდება. ტერმინის წარმოშობა ა.სმითის სახელს უკავშირდება. იგი ნიშნავს ეკონომიკის თვითრეგულირების მექანიზმს – ბაზრის უნარს: ეფექტიანად დაარეგულიროს შეზღუდული რესურსების განაწილება ბაზრის სუბიექტებს შორის საიმედო ინფორმაციის მიწოდებით. სმითის მტკიცებით, საკუთარი ინტერესებით მოქმედი თავისუფალი ბაზრის ყოველი ინდივიდის საქმიანობა თითქოსდა ბაზრის **„უჩინარი ხელით“** წარიმართება და მათი ქმედება სხვა ადამიანებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების განხორციელებას უზრუნველყოფს.

„ხალხთა სიმდიდრის“ გამოკვლევის I ნაწილში ავტორი შრომის მწარმოებლურობასა და კლასებს შორის შრომის პროდუქტის განაწილების პრობლემებს შეეხო; ჩამოაყალიბა საკუთარი დოქტრინა შრომის დანაწილების შესახებ.

მისი ხაზგასმით, შრომის დანაწილება ერის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის წყაროა. მან განავითარა ერთხელ უკვე გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ შრომის დანაწილება გაცვლითი ოპერაციებისადმი ადამიანის მიდრეკილებით შეიძლება აიხსნას.

საცვლელი ღირებულების საკითხის განხილვის დაწყებით სმითმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბების საქმეში.

სმითამდე ღირებულება არც თუ იშვიათად მხოლოდ საქონლის საჭიროებით განისაზღვრებოდა. სწორედ ასევე განსაზღვრავდა საქონლის ღირებულებას მისი წინამორბედი გლაზგოს უნივერსიტეტში ჰუტჩესონი.

ა.სმითი მივიდა დიდმნიშვნელოვან დასკვნამდე იმის შესახებ, რომ **საქონლის ღირებულება, მატერიალური სიმდიდრე, შრომით იქმნება.**

მისი აზრით, ყოველწლიური პროდუქტი დიდადაა დამოკიდებული შრომის მწარმოებლურობაზე, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შრომის დანაწილებიდან გამომდინარეობს. ამის ილუსტრირება ცნობილი ქინძისთავების მაგალითზე ხდება[1]. თუ ერთ გამოუცდელ მუშას ერთ ან რამდენიმე დღეში 20 ქინძისთავის დამზადება შეუძლია, ათ მუშას, რომლებიც დამზადების პროცესს დაახლოებით 18 სხვადასხვა ოპერაციად დაყოფენ, 48000-ზე მეტი ქინძისთავის გაკეთება შეუძლიათ. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ შრომის მწარმოებლურობა 240-ჯერ გაიზარდა.

სმითის აზრით, ამ შემთხვევაში, 48000 ქინძისთავზე გათვალისწინებული ბაზარი უნდა არსებობდეს, რამდენადაც, შრომის დანაწილება ბაზრის მოცულობითაა შეზღუდული.

ა.სმითის შეხედულებით, შრომის დანაწილება განაპირობებს: ცალკეული მუშის გაწაფულობას, დროის ეკონომიას (რომელიც საჭიროა ერთი სახის ოპერაციიდან მეორეზე გადასვლისათვის) და მანქანათა გამომგონებლებისადმი ხელშეწყობას.

სმითს **ერთმანეთისაგან პრინციპულად არ გაუმიჯნავს მანუფაქტურის შიგნით შრომის დანაწილება და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება.** მას შრომითი დანაწილება გაცვლისადმი ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებიდან გამოჰყავდა. სინამდვილეში ცნობილია, რომ შრომის დანაწილება ისტორიულად საქონლური გაცვლის აღმოცენებას წინ უძღოდა.

ა.სმითს **გაცვლის საჭიროებიდან ფულის წარმოშობის აუცილებლობა გამოჰყავს.** მას ესმოდა, რომ ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, საქონელთა სამყაროს სტიქიურად გამოეყო. ფულის ფუნქციებს შორის მან განსაკუთრებული როლი **ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციას მიანიჭა.**

ადამ სმითი <u>ღირებულების ცნების</u> ახსნას სამომხმარებლო და საცვლელ ღირებულებებს შორის არსებული განსხვავებების დადგენის საფუძველზე შეეცადა. აი, რას წერს იგი ამ საკითხებთან დაკავშირებით: „სიტყვა ღირებულებას აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა: ზოგჯერ იგი გამოხატავს რაიმე საგნის სარგებლიანობას, ზოგჯერაც – სხვა საგანთა მოპოვების იმ შესაძლებლობას, რომელსაც იძლევა ამ საგნის ფლობა. პირველს შეიძლება ვუწოდოთ **სამომხმარებლო ღირებულება**[2], მეორეს - **საცვლელი ღირებულება.** საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი სამომხმარებლო ღირებულება აქვს, ხშირად არა აქვთ საცვლელი ღირებულება; პირიქით, საგნებს, რომლებსაც ფრიად დიდი საცვლელი ღირებულება აქვს, ხშირად აქვს მცირე ან სრულიად არა აქვს სამომხმარებლო ღირებულება. არაფერია წყალზე უფრო გამოსადეგი, მაგრამ თითქმის არაფრის ყიდვა არ შეიძლება გაცვლის გზით მის ნაცვლად. პირიქით, ალმასს თითქმის არა აქვს რაიმე სამომხმარებლო ღირებულება, მაგრამ ხშირად მასზე გაცვლით შეიძლება სხვა საქონელთა ფრიად დიდი რაოდენობის მიღება“[3].

ზემოთმოტანილ მონაკვეთში ავტორი განიხილავს ღირებულების ორივე სახეს: **სამომხმარებლოს** და **საცვლელს.** სამომხმარებლო ღირებულება, მისი აზრით, გამოყენებით მნიშვნელობაში ვლინდება. ამიტომ მას შეეძლო ეთქვა, რომ ალმასს ძალიან ნაკლები გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

საცვლელი ღირებულების განმარტების მიზნით, მან თავდაპირველად პარალელი გაავლო საცვლელ ღირებულებასა და საქონლის წარმოებაზე დახარჯულ შრომის რაოდენობას შორის. „ყოველი საგნის ნამდვილი ფასი, - წერდა იგი, - ე.ი. ის, რადაც ყოველი საგანი ნამდვილად ღირს იმას, ვისაც მისი შეძენა სწადია, არის ის ჯაფა და გარჯა, რომელიც საჭიროა ამ საგნის მოსაპოვებლად. სადაც ყოველი საგანი ნამდვილად ღირებულია იმ ადამიანისათვის, რომელმაც იგი შეიძინა და რომელსაც უნდა თავის განკარგულებაში ჰქონდეს იგი ან გაცვალოს სხვა რაიმეზე, ეს არის ის ჯაფა და გარჯა, რომელიც იმ საგანს შეუძლია თავიდან აიცილოს ამ ადამიანს და სხვებისათვის დააკისრებინოს ის, რაც ფულით ან სხვა პროდუქტითაა ნაყიდი, ისევე შრომით არის მოპოვებული, როგორც ის, რასაც მოვიპოვებთ ჩვენი საკუთარი სხეულის გარჯით. მართლაც, ეს ფული ან ეს პროდუქტები გვანთავისუფლებს ჩვენ ამ გარჯისაგან. ისინი შეიცავენ ღირებულებას შრომის განსაზღვრული რაოდენობისას, რომელსაც ჩვენ გაეცვლით ხოლმე იმაზე, რაც იმ მო-

---

1 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 7-8.

2 ტერმინის „სახმარი ღირებულების“ ნაცვლად ვიყენებთ ტერმინს "სამომხმარებლო ღირებულება“ (იხ.: ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2005).

3 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, ტ.1, გვ. 33.

მენტში. ჩვენის აზრით, შეიცავს შრომის ასეთივე რაოდენობის ღირებულებას. შრომა იყო პირველი ფასი. თავდაპირველი სანასყიდლო ფული, რომელსაც ყველა საგანში იხდიან"[1].

ადამ სმითმა აქ ჰიპოთეზური საზოგადოება წარმოგვიდგინა, რომელშიც ყველა მუშაობს და თავისი შრომის პროდუქტს ერთმანეთს უცვლიან. ასეთ საზოგადოებაში პროდუქტებს იმ ფასად ცვლიან, რამდენადაც მათ მიერ ამ პროდუქტის წარმოებაზე დახარჯული შრომა ფასდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვინმე დაზარალდებოდა.

სმითის შეხედულებით, ეს მოდელი პირველყოფილ საზოგადოებრივ წყობილებას შეესაბამებოდა. სოციოლოგების მტკიცებით კი უძველეს დროში გაცვლითი ოპერაციები სხვადასხვაგვარად ხდებოდა და არა ისე, როგორც ეს სმითს წარმოედგინა. ადამ სმითიც ფიქრობდა, რომ ღირებულების ცნების მისეული ახსნა ცივილიზებული ქვეყნის ეკონომიკისათვის სრულად მისაღები არ იყო.

თუ რომელიმე საქონლის ფასი იმ გასამრჯელოს შეესაბამებოდა, რომელიც მის წარმოებაზე დახარჯული შრომის ღირებულების ტოლია, მაშინ ის საქონელი, რომელშიც 2-ჯერ მეტ გასამრჯელოს ვიხდით, 2-ჯერ მეტიც უნდა ღირდეს, მაგრამ ამ ღირებულებაში ასევე კაპიტალზე მოგება და მიწის რენტა შედის.

ჩნდება კითხვა: ხომ არ შეიძლება, რომ კაპიტალზე მოგება მივიჩნიოთ ერთგვარ გასამრჯელოდ გარკვეული გარჯისათვის და შრომისათვის, რომელიც მეწარმემ, როგორც მენეჯერმა გასწია?

ამ კითხვას სმითი უარყოფითად პასუხობს, ვინაიდან, მისი აზრით, ეს შემოსავალი სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. იგი გამოყენებული კაპიტალის ღირებულების მიხედვით განისაზღვრება და იგი ამ კაპიტალის სიდიდის შესაბამისად უფრო დიდია ან უფრო პატარა[2].

საილუსტრაციოდ სმითს მოაქვს შემდეგი მაგალითი[3]: თუ ორ სხვადასხვა მანუფაქტურაში (სადაც სამრეწველო კაპიტალის მოგება 10%-ის ტოლია) შესაბამისად 20-20 მუშა მუშაობს — თითოეული 15 გირვანქა სტერლინგის ხელფასით, მაშინ სულ ხელფასზე 300-300 გირვანქა სტერლინგი დაიხარჯება. თუ ერთ-ერთ მანუფაქტურაში დამუშავებული ნედლი მასალა 700 გირვანქა სტერლინგი, ხოლო მეორეში - 7000 გირვანქა სტერლინგი ღირს, მაშინ პირველ მანუფაქტურაში კაპიტალის წლიური დანახარჯი 1000-ს, ხოლო მეორეში - 7300 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ამ შემთხვევაში მოგების 10%-ის ნორმის მიხედვით პირველი მანუფაქტურის სამეწარმეო მოლოდინი დაახლოებით 100 გირვანქა სტერლინგი იქნება, მეორესი კი — 730. მოცემულ შემთხვევაში მოგებათა რაოდენობა განსხვავებულია. თუმცა, მანუფაქტურაში გაწეული შრომა თითქმის ერთნაირია.

ავტორის მიხედვით, ყოველივე ზემოთქმული მიწის რენტასაც შეეხება, ვინაიდან **მიწათმფლობელები თვითონ არ მუშაობენ, მაგრამ „უცვართ მოიმკონ იქ, სადაც არ უთესიათ"**[4].

მისი დასკვნით, თავისუფალი ფასისა და წარმოების ხარჯების კავშირის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია; მსგავსი კავშირი კაპიტალის დაგროვებამდე და მიწების მითვისებამდე უძველეს არაცივილიზებულ საზოგადოებაში არსებობდა და რომელშიც „მუშას სრული სამუშაო ღღე ეკუთვნოდა". ავტორი ამაზე დროს დასძენს, რომ ამგვარი ურთიერთობანი უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს.

სმითის შრომები ძირითადად გამოცდილებიდან გამომდინარე დასკვნებით ხასიათდება. მაგრამ არც მთლად ლოგიკურად შეიძლება მივიჩნიოთ ის დასკვნა, რომელიც მან ღირებულების დადგენის საკითხთან დაკავშირებით გააკეთა.

იქიდან გამომდინარე, რომ იგი იმ თეორიის მომხრე იყო, რომლის მიხედვითაც **„ეკონომიკის ბუნებრივი კანონები"** არსებობს, იბადება კითხვა: ხომ არ თვლიდა ადამ სმითი, რომ ეს ბუნებრივი კანონები ღირებულების სფეროშიც მოქმედებენ? შესაძლოა მან თვითონ დასვა ეს კითხვა. ერთი კი უდავოა: იგი გაცვლით ღირებულებასა და შრომის ღირებულებს შორის კავშირის პოვნას ცდილობს.

დასასრულს ავტორი განმარტავს: საქონლის ნორმალური ფასი შრომის იმ რაოდენობას შეესაბამება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია „დავუკვეთოთ" - ე.ი. ეს საქონელი ვიყიდოთ. ეს სრული სიმარტლეა თუ ერთ სამუშაო საათში 10 დოლარს გიხდიან, მაშინ საქონლით, რომელიც 100 დოლარი ღირს შეიძლება ვიყიდოთ 10 სამუშაო საათი.

მიუხედავად ამისა, სმითის უმრავლეს გამოკვლევაში საცვლელი ღირებულება გაიგივებულია

---

1 **ა.სმითი**, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თბ., 1938, ტ.1, გვ. 35-36.
2 იქვე, გვ. 56.
3 იქვე, გვ. 57.
4 იქვე, გვ. 58.

შრომის ღირებულებასთან. ამ დასკვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უფრო მეტად იმიტომ ენიჭებათ, რომ ისინი ფიზიოკრატთა დასკვნებს არ შეესაბამებიან, რომელთა მიხედვითაც სამრეწველო შრომა „უნაყოფოდ“ ითვლება.

ადამ სმითის კვლევების ამოსავალი წერტილი კაპიტალია, რომლის დაბანდებაც შრომის მწარმოებლურობის ზრდას ხელს უწყობს.

მისი დამსახურება იყო ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის არსის შემდგომი განვითარება. კაპიტალის დანახარჯების დადგენისას ავტორი ითვალისწინებს განსხვავებას, რომელიც დაბანდებულ და მიმოქცევაში მყოფ კაპიტალს შორის არსებობს. კაპიტალის დაბანდებით შესაძლებელია გრძელვადიანი ინვესტიციების დაფინანსება, მიმოქცევაში მყოფი კაპიტალის წყალობით კი ნედლეულს იძენენ და მუშებს გასამრჯელოს უხდიან.

ამრიგად, ა.სმითი კაპიტალის სხვადასხვა სახეებს შორის განსხვავებას იმაში ხედავდა, რომ **ძირითად კაპიტალს მოგება მოაქვს მფლობელის შეუცვლელად, ანუ შემდგომი მიმოქცევის გარეშე, ხოლო მეორე იგივე ფუნქციას ასრულებს მესაკუთრისათვის იმის წყალობით, რომ მუდმივად სტოვებს მას ერთი ფორმით და უბრუნდება სხვა ფორმით.**

კაპიტალის ანალიზის საფუძველზე ადამ სმითმა შემოსავლების წარმოშობის საკითხი გამოიკვლია, რითაც მან ფიზიოკრატებს ბევრად გაუსწრო.

1.5. შემოსავლების სტრუქტურა

შემოსავლების სქემის ახსნისას ა.სმითი გამოდიოდა იქიდან, რომ საზოგადოებაში არსებობს სამი ძირითადი კლასი: **მუშები, კაპიტალისტები** და **მიწათმფლობელები**.

მიწათმფლობელები ფლობენ წარმოების მთავარ საშუალებას მიწას და შემოსავალს მიწის რენტის სახით აქედან იღებენ. კაპიტალისტების საკუთრებაშია წარმოების სხვა საშუალებები: სამრეწველო შენობები, მოწყობილობანი და ა.შ. ისინი მუშების დაქირავებით იღებენ შემოსავალს მოგების სახით. და ბოლოს, დაქირავებული მუშები, რომლებსაც არავითარი საკუთრება არა აქვთ და ისინი თავიანთი შრომის გაყიდვით ხელფასს იღებენ.

1.5.1. ხელფასი

ხელფასის საკითხში ადამ სმითი მის წინამორბედთ ეთანხმებოდა, რომელთა შეხედულებით, მუშის ხელფასი იმ შემოსავლის ტოლია, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. **„შრომის პროდუქტი – წერდა იგი, - წარმოადგენს შრომის ბუნებრივ გასამრჯელოს, ანუ მის ხელფასს“**[1].

იგი თვლიდა, რომ ადამიანმა ხელფასით თავის რჩენა უნდა შეძლოს, ზოგჯერ იგი საკმარისზე მეტიც უნდა იყოს, რამდენადაც იგი ოჯახის წევრთა შენახვისა და გამრავლებისათვის აუცილებელია[2].

ამ კონტექსტში სმითი კანტილიონს იმოწმებს იმ ეფექტის საჩვენებლად, რომ ერთი მუშის ხელფასი დაახლოებით ორი პიროვნებისათვის საარსებო წყარო შეიძლება იყოს[3].

მართალია, სმითის შეხედულებით ხალხთა კეთილდღეობის ზრდას ხელფასის ზრდაც თან მოყვებოდა, მაგრამ მან ამავე დროს დაგვაფიქრა იმის გამო, რომ შრომის მაღალი ანაზღაურება (რომელიც ადამიანს მეტი შვილის გაზრდის საშუალებას აძლევს) ამ პროცესს ოდესმე შეაჩერებდა და ეს უსასრულოდ არ გაგრძელდებოდა.

სმითის დასკვნით, ადამიანებზე მოთხოვნილებისდა მიხედვით (ისევე როგორც რომელიმე სხვა საქონელზე) ბუნების კანონების ძალით, ფაქტობრივად დარეგულირდებოდა მათი გამრავლების საკითხი, დიახ, „ბუნების კანონების ძალით“ - ხაზგასმით აღნიშნავს იგი, აქ ჩვენ კიდევ ერთხელ ვხედავთ, თუ როგორ არის გაიგივებული მუშა – საქონელთან.

---

1 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 75.

2 იქვე, გვ. 79.

3 იქვე.

1.5.2. მოგება

თუ ჩავთვლით, რომ საქონლის საცალელი ღირებულება მხოლოდ შრომის ღირებულებიდან გამომდინარეობს, მაშინ გამოდის, რომ კაპიტალის მოგება (რომელიც შედის ამ ფასში) შრომის შედეგად წარმოშობილი ღირებულებით განისაზღვრება.

ადამ სმითი მართებულად თვლიდა ამ დასკვნას. მისი განმარტებით, როგორც კი კაპიტალი გარკვეულ პირთა ხელში მოხვდება, მაშინ, ზოგიერთი მათგანი, ბუნების კანონების თანახმად, ამ კაპიტალს იმისათვის გამოიყენებენ, რომ შრომისმოყვარე ხალხს მუშაობის საშუალება მისცენ, რომ ისინი ნედლეულითა და კვების პროდუქტებით მოამარაგონ და რომ ამ ხალხის მუშაობის შედეგად მიღებული მოგების გაყიდვით და მათი შრომის შედეგად გაზრდილი ღირებულებით მიიღონ მოგება. როდესაც მზა პროდუქცია ფულზე, შრომაზე ან სხვა სახის საქონელზე იცვლება, მაშინ, (გარდა მუშათა შრომის ასანაზღაურებლად და ნედლეულის შესაძენად საჭირო თანხისა), ფაბრიკანტს, რომელმაც კაპიტალის დაბანდებით რისკი გასწია, კიდევ მოგება უნდა დარჩეს.

ამრიგად, - დაასკვნის ადამ სმითი, - **ღირებულება, რომელსაც მუშები ნედლეულის ღირებულებას უმატებენ, ორ ნაწილად იყოფა, რომელთაგან პირველი შეადგენს შრომისათვის მიღებულ გასამრჯელოს, მეორე კი ფაბრიკანტის, დამქირავებლის მოგებას წარმოადგენს.**

სმითი ყოველთვის ამ თეზის მომხრე იყო. მან საფუძველი ჩაუყარა მოგების ცნების იმ განმარტებას, რომელიც დღესაც აქტუალურია. იგი ნათლად ხედავდა, რომ ინვესტირებულ კაპიტალს მოგება უნდა უზრუნველეყო და რომ მოგების დონე გათანაბრების ტენდენციას განიცდის, რამდენადაც ყოველი ინვესტორი მაქსიმალური მოგების მიღებითაა დაინტერესებული.

ასეთი პოზიციიდან გამომდინარე, მოგების დონე ყოველთვის ერთნაირი არ შეიძლება იყოს და იგი კაპიტალის ინვესტირების სხვადასხვა საშუალებებსა და რისკის ფაქტორებზეა დამოკიდებული.

სმითი ხედებოდა, რომ კაპიტალიდან მიღებული მოგება შემოსავლის ერთი ნაწილია, რომელსაც კაპიტალის მესაკუთრეს აძლევს, რათა იმ კაპიტალით სარგებლის უფლება მოიპოვოს, რომელიც მას არ ეკუთვნის. კაპიტალიდან მიღებული მოგება, ჩვეულებრივ, ნაკლებია, ვიდრე მთლიანი შემოსავალი. განსხვავებას შეადგენს ე.წ. პრემია დაზღვევის სახით, რომელსაც კაპიტალის დამბანდებელი იხდის მოგების გარანტიის მისაღებად, რომელიც ყოველთვის ერთნაირი არ შეიძლება იყოს. სწორედ ამ გაგებით წერდა ადამ სმითი, რომ კაპიტალდაბანდებისას რისკავს ის, ამ კაპიტალს სესხულობს, ვინაიდან იგი კაპიტალის მესაკუთრეს მოგების მიღების გარანტიას აძლევს.

ადამ სმითის ეს მოსაზრება, სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა. ეკონომიკის სფეროში მას აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს.

1.5.3. მიწის რენტა

არანაკლებ ყურადსაღებია ადამ სმითის მოსაზრებანი მიწის რენტის თაობაზე. **იგი რენტას განმარტავს, როგორც მოსავლის ფასსა და იმ თანხას შორის სხვაობას, რომელსაც შეადგენს ხელფასი და მოგება – ერთად აღებული.** ეს სხვაობა მიწათმფლობელს (მეიჯარეს[1]) ეძლევა, რომელმაც თავისი მიწის ნაკვეთი იჯარით მისცა მოიჯარეს[2]. როდესაც მოიჯარეთა მხრიდან მიწაზე მოთხოვნა დიდია, მიწის ნაკვეთების რაოდენობა კი შეზღუდული, მაშინ მიწათმფლობელი თავისი მონოპოლიური მდგომარეობის უპირატესობით სარგებლობს.

მიწის რენტა, რომელიც მიწით სარგებლობისათვის გადახდილი ფასია, ჩვეულებრივ, იმის მაქსიმუმია, რისი გადახდაც მოიჯარეს შეუძლია.

იჯარის პირობების დადგენისას, მიწის მესაკუთრე ყოველთვის დაინტერესებულია თავის მიწას ისეთი ფასი დაადოს, რომ თვით მოიჯარეს რაც შეიძლება ნაკლები მოგება დარჩეს. ე.ი. კაპი-

---

1 მეიჯარე – ქონების მესაკუთრე, რომელიც ქონებას იჯარით გასცემს.

2 მოიჯარე – პირი, რომელიც მეიჯარის საკუთრებას (ხელშეკრულების საფუძველზე) იჯარით იღებს დროებით სარგებლობაში, რისთვისაც იხდის იჯარის ქირას.

ტალის სხვადასხვაგვარი დანახარჯების (მუშების დაქირავება, ინვენტარის შეძენა ...) გამორიცხვის შემდეგ მხოლოდ იმდენი წმინდა მოგება რჩება, რამდენსაც, ჩვეულებრივ, მოცემულ პირობებში მოიჯარე იღებს.

ამრიგად, ა.სმითის შეხედულებით, მიწის მესაკუთრე იმ რაოდენობის მაქსიმალურ რენტას იღებს, რომლის გადახდის უნარიც საერთოდ მოიჯარეს გააჩნია.

აქედან გამომდინარეობს, რომ მიწის რენტა, როგორც მიწით სარგებლობისათვის გადახდილი ღირებულება, მონოპოლიურ ღირებულებას წარმოადგენს.

რასაკვირველია, გაურკვეველი რჩება საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დადგინდეს მიწის რენტა კონკრეტულ ქვეყანაში, რომელიმე კონკრეტულ პირობებში. ადამ სმითის განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანია, ხოლო რაც შეეხება საერთოდ მის დოქტრინას მიწის რენტის შესახებ, უნდა ითქვას, რომ მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც იგი ფიზიოკრატთა დოქტრინას უარყოფს.

მიწის რენტა განისაზღვრება მიწის მესაკუთრის მონოპოლიური მდგომარეობით. ისევე, როგორც კაპიტალის მოგება, მიწის რენტაც შრომის შედეგად შექმნილი ღირებულებიდან გამომდინარეობს.

1.5.4. პროდუქტიული შრომითი ხელფასები

ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის საკითხების გარკვევით, საერთოდ ცხადი გახდა სხვადასხვა სახეობის შემოსავლის წყაროს წარმოშობის საკითხი სმითის დოქტრინაში. გასარკვევი დარჩა მხოლოდ იმ ადამიანთა ხელფასები, რომლებიც, კაპიტალდამბანდებელთა და მიწის მესაკუთრეთაგან განსხვავებით, თავიანთი შრომით ირჩენენ თავს, მაგრამ საზოგადოების მწარმოებლურ ნაწილს არ მიეკუთვნებიან.

ადამ სმითი პროდუქტიულად თვლიდა საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც **ქმნის მატერიალურ დოვლათს**, ხოლო ყველა დანარჩენი, ვინც საკუთარი შრომით ცხოვრობს, ღირებულების შექმნის პროცესში არ მონაწილეობს. მისი აზრით: „ერთი სახის შრომა ადიდებს იმ საგნის ღირებულებას, რომელზედაც გამოიყენება და მეორე სახის შრომას არა აქვს ასეთი მოქმედება. პირველს, რადგან იგი განსაზღვრულ ღირებულებას აწარმოებს, შეიძლება ეწოდოს პროდუქტიული შრომა, ხოლო მეორეს არაპროდუქტიული შრომა“[1].

საქონლის ღირებულებაში, ადამ სმითის გაგებით, პროდუქტიული შრომისათვის გადახდილი გასამრჯელო და კაპიტალისაგან თუ მიწის რენტისაგან მიღებული შემოსავალი შედის. ის, ვინც ამ შემოსავალს იღებს, გადასახადს იხდის, რომლითაც სახელმწიფო სახელმწიფო აპარატში მომსახურე პირებს გასამრჯელოს აძლევს.

ამრიგად, მათზე გადანაწილდება წარმოების პროცესში შექმნილი ღირებულებანი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ისინი თავად პროდუქტიულები არ არიან; ამგვარი გადანაწილების შედეგად ხელფასები ეძლევათ ასევე მიწათმფლობელებთან ან კაპიტალდამბანდებლებთან მომუშავე მომსახურე პერსონალს; და ბოლოს, თავისუფალი პროფესიის მქონე პირებს (მაგ., იურისტებს) გასამრჯელო მთელი მოსახლეობის ხარჯზე ეძლევათ.

სმითის გამოკვლევას შემოსავლის წყაროს შესასწავლად ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პროდუქტიული შრომის არაპროდუქტიული შრომისაგან გამიჯვნით, მან მეტად საყურადღებო დასკვნები გააკეთა.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მან არაპროდუქტიული შრომა სწორად ვერ განმარტა. იგი **არაპროდუქტიულ შრომად** ისეთ შრომას მიიჩნევდა, რომლის შედეგს არც რაიმე რეალურად არსებული საგანი და არც რაიმე გასაყიდი საქონელი არ წარმოადგენს. **არაპროდუქტიულ მუშებს** კი იგი უწოდებს არა მხოლოდ მსახურებს და სახელმწიფო აპარატში მომუშავე პირებს, არამედ სასულიერო პირებს, იურისტებს, ექიმებს, მწერლებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, ოპერის მომღერლებს და ა.შ. მისი აზრით, მსახიობის სიტყვები, გამომსელელის მოხსენება, მუსიკოსის მუსიკა, ყოველივე ეს მაშინვე ქრება და იკარგება. სინამდვილეში, მსახიობი, რომელიც თეატრში მუშაობს, ქმნის

1 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 376.

არამატერიალურ პროდუქტს, კერძოდ დგამს სპექტაკლს (თეატრალურ წარმოდგენას), რომელიც იყიდება. მის მიერ გაწეული შრომა კი შეიძლება და აუცილებელიც არის, რომ მთლიან ეროვნულ პროდუქტს მიეთვალოს.

იგივე შეიძლება ითქვას მოსამსახურეებზე, თავისუფალი პროფესიის მქონე და ზოგიერთ სხვა პირებზეც, მართალია, საქონლად მხოლოდ სტანდარტიზებული სავაჭრო საქონელი ითვლება. თუმცა, ყველა მათგანი ეწევა მომსახურებას, რომელიც აგრეთვე მშპ-ში უნდა შევიდეს.

კაპიტალისტური სისტემა საზოგადოების შიგნით საქმიანობისა და ურთიერთობების ისეთ სპეციფიკურ სფეროს წარმოშობს, რომლის ხარისხობრივი განხილვა შესაძლებელია. ეს სფერო არ არის სავსებით იზოლირებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა საერთო კომპლექსში. მაგალითად, სახელმწიფო ფასეულობათა შესაქმნელად ხელსაყრელ პირობებს ქმნის, საქონელმიმოქცევისა და ადამიანთა ურთიერთობების უშიშროების გარანტიების უზრუნველყოფით. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური სისტემის არსის სწორად გაგების მიზნით, საჭიროა შექმნილი ღირებულების სფეროს გამოყოფა, ვინაიდან ა.სმითისათვის „ეკონომიკური სისტემის“ ცნება უცხო იყო, მან კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტიული სფეროს მართებული განმარტება ვერ შეძლო.

1.6. ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებისა და ეკონომიკური აღმავლობის შესახებ

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ადამ სმითმა კაპიტალის ბრუნვის და შემოსავალთა საკითხების გაანალიზება ფიზიოკრატებზე უკეთ შეძლო. ურიგო არ იქნებოდა, თუ მის მიერ გაკვალულ გზას სხვებიც გაჰყვებოდნენ, რომლებიც კაპიტალისტური სისტემის საფუძვლიან შესწავლას და მის სწორ ანალიზს შესძლებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ მოხდა.

ადამ სმითმა ფაბრიკანტებსა და მუშებს (დამქირავებლებსა და დაქირავებულებს) შორის ინტერესთა დაპირისპირება გამოავლინა. მიწის რენტაზე მსჯელობისას იგი მიუთითებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების ან უცვლელობაზე, ან ზრდაზე, მაშინ, როდესაც სამრეწველო ნაწარმის ღირებულება პირიქით, მცირდება. სოფლის მეურნეობის უმთავრესი პროდუქციის – მარცვლეულის ღირებულება, მისი აზრით, უცვლელი რჩება, რამდენადაც მიწის დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე საშუალოდ ერთი და იგივე რაოდენობის შრომა იხარჯება იმისათვის, რომ იგივე ნიადაგზე, იმავე კლიმატურ პირობებში იმავე რაოდენობის მარცვლეული მივიღოთ, შრომის მწარმოებლურობის მუდმივი ზრდა კი საქონელზე ფასების მუდმივი ზრდის პირობებში მეტნაკლებად გაბათილდება.

ა.სმითის შეხედულებით, სხვა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა იგი ბუნდოვან და გაუგებარ არგუმენტებს იშველიებს.

რაც შეეხება სამრეწველო პროდუქციის ღირებულებას, იგი პირიქით – უნდა შემცირებულიყო. ა.სმითის აზრით, საყოველთაო კეთილდღეობისაკენ ადამიანის ბუნებრივი ლტოლვა ხელით შრომის შედეგად შექმნილი პროდუქტის რეალურ ფასს თანდათანობით ამცირებს და უკეთესი მანქანადანადგარების, შრომის სწორი დანაწილება (მოკლედ ყველაფერი ის, რაც პროგრესს თან სდევს) იგივე პროდუქტის წარმოებაზე ბევრად ნაკლები შრომის დანახარჯებამდე მიგვიყვანს.

ადამ სმითის წინასწარმეტყველებით, რეალური ხელფასები ფაქტობრივად არ იცვლება. ამ დასკვნამდე იგი მივიდა იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად გაიზრდებოდა მიწის რენტა, კაპიტალიდან შემოსავალი კი პირიქით – შემცირდებოდა. ამ შემცირებას იგი კონკურენციით ხსნიდა, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა კაპიტალის ბაზარზე ფულის დიდი რაოდენობით მოზღვავების გამო. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ შემოსავლის წყაროებს შორის კავშირი არსებობს და ყველაზე მაღალმა მოგებამ შესაძლოა საქონლის ფასში ყველაფერი შთანთქოს.

ამრიგად, რჩება მხოლოდ ის, რაც საჭიროა დახარჯული შრომის ასანაზღაურებლად, ამასთან, ეს ანაზღაურება იმდენად დაბალია, რომ იგი ფაქტობრივად საარსებო მინიმუმს წარმოადგენს.

ადამ სმითის შემდგომი დასკვნით, მიწათმფლობელებსა და მუშებს იგივე ინტერესი აქვთ, როგორიც მთელ საზოგადოებას, ვინაიდან მათი შემოსავალი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის პარალელურად იზრდება. ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს კი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ამოძრავებთ, ვინაიდან ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად მათი მოგება მცირდება.

აქედან გამომდინარე, სმითის აზრით, მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრათ ვაჭართა და ფაბრიკანტთა მოთხოვნებს, რამდენადაც ვაჭრობისა და მრეწველობის მუშაკთა ინტერესები გარკვეულწილად ეკონომიკის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგებიან; ვაჭრებს ყოველთვის აინტერესებთ თავიანთი ბაზრის გაფართოება და კონკურენციის შემცირება. ბაზრის გაფართოება ეკონომიკის განვითარების საერთო ინტერესებში შეიძლება იყოს, მაგრამ კონკურენციის შეზღუდვა მისთვის საზიანოა. იგი ხელს აძლევს ვაჭრებს, რომლებიც თავიანთ მოგებას ხელოვნურად ზრდიან, ხალხი კი ზარალდება. ამიტომ ვაჭრობის სფეროში ვაჭართა სასარგებლოდ ახალი კანონების შემუშავებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

რაც შეეხება **ხელფასების პოლიტიკას**, აქ, სმითის აზრით, მშრომელთა ინტერესები საზოგადოების საერთო ინტერესებს ემთხვევა, ვინაიდან ეკონომიკის განვითარებას თან სდევს რეალური ხელფასების ზრდის ტენდენცია. ამასთან, იგი დასძენს, რომ თავად მუშას ამ ინტერესების გაგება და მათ პირად ინტერესებთან დაკავშირების ძალა არ შესწევს. მისი ცხოვრების წესი არ აძლევს მას არც დროს, არც საშუალებას, რომ ამ საკითხს ჩაუფიქრდეს. თვით მისი აღზრდა და მისი ბუნება ზღუდავს მას, გარკვეული განაჩენი გამოიტანოს მაშინაც კი, როდესაც მას ამის უნარი შესწევს. ამრიგად, საზოგადოებრივი აზრის ანალიზისას მის აზრს არავინ ისმენს.

თუმცა, უდავოა ამ თვალსაზრისის სისწორე, მაინც თვალში საცემია ის, თუ რა ადვილად ეგუება ავტორი სიტუაციას, როდესაც საზოგადოების მთელი ფენა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყულია. მისი აზრით, ხელისუფლება მხოლოდ მიწათმფლობელებს შეიძლება დაეყრდნოს: ვაჭრობის, საქონელმიმოქცევის და ეკონომიკის სხვა საკითხების განხილვისას, მიწის მესაკუთრე ხელისუფლებას შეცდომაში არასოდეს არ შეიყვანს. შესაძლოა, ადამ სმითმა ისიც იცოდა, რაც მიწათმფლობელებმა თვითონაც არ იცოდნენ, თუ რაში გამოიხატებოდა მათი პირადი ინტერესები.

ინგლისური ლიბერალიზმის ფუძემდებელი ვაჭრებსა და ფაბრიკანტებს კრიტიკას არ აკლებს, თუმც ვერ ვიტყოდით, რომ იგი ამ კლასის აშკარა წინააღმდეგია. ამას ისიც მოწმობს, რომ სმითმა **ალიარა ბურჟუაზიის გადამწყვეტი როლი ევროპული ცივილიზაციის განვითარების საქმეში.** ამავე დროს მან აშკარად დაგვანახა, რომ მუშათა კლასი საზოგადოების დანარჩენი ფენებისაგან ჩაგვრას განიცდიდა.

ხელფასის საკითხის განხილვისას სმითი ამჩნევს, როგორ ერთიანდებიან ფაბრიკანტები, რათა უმძიმესი შრომის პირობები და უმდაბლესი ხელფასები მოახვიონ თავს მუშებს. იგი, უნდა ითქვას, გარკვეული თანაგრძნობით და გულისტკივილით აღწერს მუშათა ამბოხებას: ისინი საოცრად იმედგაცრუებულნი არიან, მათი ქცევა ჭკუაშეშლილი და თავაწყვეტილი ადამიანის ქცევას ჰგავს, რომელიც ან შიმშილით უნდა მოკვდეს, ან უნდა აიძულოს ფაბრიკანტი, რომ უყოყმანოდ ყურად იღოს მისი მოთხოვნა. **ამგვარ ამბოხებებს**, მისი აზრით, ჩვეულებრივ, **სხვა არაფერი მოჰყვება, თუ არა ამბოხებულთა დასჯა და განადგურება.** თუმცა, იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ამის მიზეზი ფაბრიკანტთა უპირატესი მდგომარეობაა.

გარდა ამისა, „გამოკვლევაში“ ჩამოყალიბებული დოქტრინით შემოსავლის წყაროების შესახებ, აშკარად გამოიკვეთა, რომ **გასამრჯელოს მიმღებნი მთელი შემოსავლის მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს ილებენ, სხვებს კი ბევრად უფრო დიდი ნაწილი რჩებათ.** თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სმითის შეხედულებით, **შემოსავლის ამგვარი განაწილება ურყევ კანონებს ექვემდებარება.** და მაინც ბევრ სასარგებლო ინფორმაციას იპოვნიან მის ამ ნაშრომში ისინი, ვინც მშრომელთა ინტერესებს იცავენ.

კოლონიების საკითხთა განხილვისას, მაგალითად, სმითი აღნიშნავს, რომ ამერიკაში ხელფასები უფრო მაღალია, ვინაიდან თვითონ ქვეყანაა უფრო მდიდარი, სამუშაო ძალა კი ნაკლები რაოდენობითაა, შემდეგ ავტორი დასძენს, რომ სხვა ქვეყნებში რენტა და კაპიტალის მოგება შთანთქავს მუშათა ხელფასებს, მმართველი ფენები კი ჩაგრავენ ხალხს. ეს წინადადება ნათლად გვიჩვენებს, რომ მისი შეხედულება ეკონომიკაზე აშკარა ლიბერალიზმად არ შეიძლება ჩავთვალოთ, მაგრამ სმითმა (რომელიც ამ უსამართლობას ჩვეულებრივ მოვლენად თელიდა) ლიბერალიზმი

არჩია. გამორიცხული არაა მისი დოქტრინიდან სრულიად განსხვავებული დასკვნების გამოტანაც.

ა.სმითს სხვა ლიბერალებზე მეტი წვლილი მიუძღვის ლიბერალური დოქტრინის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში. ამავე დროს, ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი არ იყო ამ დოქტრინის ურყევი მიმდევარი, რომლის მიხედვითაც საზოგადოება საუცხოოდ მოწყობილ მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს. მისი აზრით, საზოგადოების მექანიზმი სავსებით სრულყოფილი არ შეიძლება იყოს, მაგრამ განგებამ სწორედ ასე ისურვა. ამიტომ **ამ მექანიზმის შეცვლის აუცილებლობა მიზანშეუწონლად ჩათვალა.** მას არ უცდია საზოგადოების ნაკლოვანებების დაფარვა და ისინი სააშკარაოზე გამოიტანა. ამას ეწინააღმდეგებოდნენ მისი მიმდევრები, რამეთუ ეს არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას საფრთხეს შეუქმნიდა.

პირველი თეზისიდან, რომელიც ა.სმითმა წარმოადგინა თავის მთავარ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრე", გამომდინარეობს, რომ ხალხთა კეთილდღეობის ზრდა კაპიტალის დაგროვებაზე და მმართველი ფენების მომჭირნეობაზეა დამოკიდებული. კაპიტალის დაბანდების შედეგად იზრდება შრომის მწარმოებლურობა. ამ ზრდას კი მოჰყვება სამუშაო ძალის ზრდა, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს ეროვნული შემოსავლის ზრდას.

„გამოკვლევის" ერთ-ერთ თავში, კაპიტალის დაგროვების შესახებ, ავტორი ღრმად აანალიზებს **გასაღების ბაზრებს,** რაც აუცილებელია პროდუქციის მოცულობის ზრდისათვის.

ა.სმითმა წლიურ მშპ-ად (მისი ტერმინოლოგიით — **მთლიანი ეროვნული შემოსავალი) ჩათვალა ხელფასები,** მოგება და მიწის რენტა ერთად აღებული. ერთი მხრივ, იგი თვლიდა, რომ წლის განმავლობაში **მანქანა-დანადგარების ცვეთისა და მათი შეკეთება-განახლების მიზნით გაღებული თანხა ყოველწლიური მშპ-ის დიდ ნაწილს არ წარმოადგენს.** მიზეზად იგი ამ თანხიდან ხელფასების გაცემას იშველიებს. მაგრამ **ყოველწლიური მშპ-ის ღირებულებაში მაინც შედის წლის განმავლობაში მანქანა-დანადგარებზე გაღებული თანხა,** ისევე, როგორც წლის განმავლობაში გადახდილი ხელფასები, მიღებული მოგება და მიწის რენტა ერთად.

ამ **ერთ შეცდომას მეორე მოჰყვა:** იგი თვლიდა, რომ დანაზოგები წლის განმავლობაში სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნის დასაფარად იხარჯება. მისი აზრით, დანაზოგი მოიხმარება სხვა ჯგუფის ადამიანების მიერ. შემოსავლის ამ ნაწილს, რომელსაც მდიდარი ადამიანი წლის განმავლობაში ხარჯავს, უმეტეს შემთხვევაში მისი უდარდელი სტუმრები და მის სახლში მომუშავე მსახურები გამოჭამენო. დანაზოგის მეორე ნაწილს კი ფაბრიკანტი მოგების მიღების მიზნით წარმოებაში აბანდებს. ეს ნაწილიც მაშინვე იხარჯება: მხოლოდ ამ შემთხვევაში იგი სხვა ჯგუფის ადამიანებზე იხარჯება, კერძოდ, მანუფაქტურაში დასაქმებულ მუშებზე და ხელოსნებზე, რომლებიც თავიანთი შრომით, ღირებულებას ქმნიან და ფაბრიკანტს მოგებას აძლევენ.

სინამდვილეში, დანაზოგი, როგორც წლიური შემოსავლის ნაწილი, წლის განმავლობაში მთლიანად არ იხარჯება. ამ თანხის ნაწილით ფაქტობრივად ხდება დამატებითი მანქანა-დანადგარების შეძენაც, რომელთა ღირებულება თანდათანობით შედის მშპ-ში.

ა.სმითმა **ასევე ვერ შესძლო გასაღების ბაზრის პრობლემის სწორი ახსნა.** თუმცა საყურადღებოა ავტორის აზრი იმის თაობაზე, რომ დანაზოგის სიუხვე და ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეკონომიკის აღმავლობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენენ.

1.6.1. საგარეო ვაჭრობა

„გამოკვლევის" ერთ-ერთ ნაწილში გაკრიტიკებულია მერკანტილისტთა სისტემა, რომელიც საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის ხარჯზე ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. მერკანტილისტთა ასეთი შეხედულებები სმითს საზოგადოებისათვის საზიანოდ მიაჩნდა.

ყოველივეს გასარკვევად ა.სმითი იხილავს საკითხს, რომელიც ეხება წარმოებული სამამულო პროდუქციის დასაცავად **სპეციალური გადასახადის დაწესებას ქვეყნის შიგნით იმპორტირებულ საქონელზე:** ჩვეულებრივ, რომელიმე ქვეყანას საზღვარგარეთიდან საქონელი იმ შემთხვევაში შემოაქვს, თუ იგი იქ უფრო იაფი უჯდება და თუკი ამ საქონლის იმპორტირებას ხელს შევუშლით, მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით დავაბანდოთ კაპიტალი ქვეყნის შიგნით იგივე საქონლის წარმოების

მიზნით, მაშინ, როდესაც ამ თანხით სხვა სახის საქონლის შეძენა შეიძლებოდა. ასეთ შემთხვევაში, როგორც ავტორი დასძენს, შესაძლებელია ამ საქონლის უცხოეთში უფრო იაფად შესყიდვა (ვიდრე ქვეყნის შიგნით წარმოება) და ამას კი შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ ჩვენ მას შევისყიდიდით ამ საქონლის ფასის ერთი ნაწილით და არა ისეთი ფასით, რაც ქვეყნის შიგნით საქონლის წარმოება დაჯდა. ასეთი მოქმედება კი ქვეყანაში მრეწველობის განვითარების ხელშემშლელ მიზეზადაა დასახელებული.

შემდგომში ავტორი თავად ეწინააღმდეგება გამოთქმულ მოსაზრებას და დასძენს, რომ **საბაჟო გადასახადები,** პირიქით, **პროდუქციის ზრდას ხელს შეუწყობს.** მანქანა-დანადგარების უცხოეთიდან შემოტანა თავდაპირველად ძვირი დაჯდება, მაგრამ ამით წარმოების პროცესი გაუმჯობესდება და ბოლოს საქონლის უფრო იაფად გაყიდვა მოხერხდება. ამავე დროს ავტორი გვაფიქრებინებს, რომ ამით შემცირდებოდა ეროვნული შემოსავალი და კაპიტალის დაგროვებაც შეფერხდებოდა.

ა.სმითის მოსაზრებას საგარეო ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებით, საფუძვლად უდევს მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც არსებული კაპიტალის დაბანდება შიგა ბაზრისთვის მწარმოებელ სექტორებში ყოველთვის შეიძლებოდა. იმდენად აშკარა იყო ამ აზრის მცდარობა, რომ შემდგომში იგი თავადვე უარყო კოლონიებში ვაჭრობის საკითხებზე მსჯელობისას.

ამჯერად გაიმარჯვა მისმა რეალისტურმა აზროვნებამ. აქ ავტორი საოცარი სიზუსტით და გულდაგულ განიხილავს თუ რა დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისის მრეწველობის განვითარებაში კოლონიებში ვაჭრობას. მისი აზრით, კოლონიებში ვაჭრობით გაჩნდა დიდი, თუმცა ტერიტორიულად საკმაოდ მოშორებული ბაზარი, სადაც შესაძლებელი გახდა ინგლისში წარმოებული პროდუქციის იმ ნაწილის გაყიდვა, რომელიც ქვეყნის შიგნით მოთხოვნით არ სარგებლობდა; კოლონიებში ვაჭრობა ასტიმულირებს დიდ ბრიტანეთს თავისი პროდუქციის რაოდენობის ზრდაში, რამდენადაც კოლონიებში ზედმეტი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობა იქმნება. კოლონიებში ვაჭრობა ასევე ხელს უწყობსო ბრიტანეთში მწარმოებლური შრომის რაოდენობის მუდმივ ზრდას.

შემდეგ ავტორი დასძენს, რომ უცხოეთში გასაღების ბაზრების გაფართოებას შეიძლება მოჰყოლოდა ინგლისის შიგა ბაზრის ზრდაც და ევროპელი მეწარმეები (რომელთაც ეს ვაჭრობა დასაქმების შესაძლებლობას აძლევს) ბაზარს ქმნიან ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციისათვის. ასეთ შემთხვევაში ყველა სხვა ბაზარზე უფრო მოგებიანი ადგილობრივი ბაზარია, რომელიც საგრძნობლად იზრდება, რამდენადაც იგი ამერიკაში წარმოებული მარცვლეულით, საქონლით, პურით, ხორცითა და სხვა საქონლით ვაჭრობს.

ა.სმითის აზრით, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია უცხოეთში ადგილობრივი მრეწველობის ნაწარმისათვის გასაღების ბაზრების შექმნას განაპირობებდა, ვინაიდან მრეწველობის რომელიმე დარგში წარმოებული ზედმეტი პროდუქცია (რომელიც ქვეყნის შიგნით მოთხოვნით არ სარგებლობს) საზღვარგარეთ გაიტანება და სანაცვლოდ კი შემოიზიდება ის საქონელი, რომელზეც თვით ამ ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქტიული შრომის ნაწილი ფუჭად დაიხარჯება, რაც წლიური პროდუქტის ღირებულებას შეამცირებდა.

შემდეგ ავტორი დასძენს, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში კაპიტალის მარაგი იმდენად გაიზარდა, რომ ქვეყნის შიგნით ამ კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობა და არც საჭიროება აღარ არის, მაშინ ამ ჭარბი კაპიტალის ნაწილი სხვა ქვეყნის ეკონომიკაში ბუნებრივად გადაედინება. თუ რას გულისხმობდა აქ სმითი, ამაზე სიტყვა „ბუნებრივად" მიგვანიშნებს. კერძოდ კი, მას მიაჩნდა, რომ, ჩვეულებრივ, არ არსებობდა უცხოეთში გასაღების ბაზრების პოვნის პრობლემა. ხოლო თუკი ასეთი სახის პრობლემას ექნებოდა ადგილი, მაშინ გამოსავალი თავად მოიძებნებოდა, უცხო ქვეყანაში ჭარბი კაპიტალი ბუნებრივად გზას გაიკვალავდა.

1.6.2. ეკონომიკური აღმავლობა

წიგნის მესამე ნაწილი ორმხრივ იქცევს ჩვენს ყურადღებას: **პირველი,** მასში ჩამოყალიბებულია **ეკონომიკური აღმავლობის დოქტრინა,** რომლის მიხედვითაც ყველასათვის მისაღები მოდელი შეიძლება შეიქმნას; **მეორე,** მასში წარმოდგენილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ისტორია.

აქ ჩამოყალიბებული ეკონომიკური აღმავლობის დოქტრინის უპირატესობა მისი სიმარტივეა. ამ დოქტრინის თანახმად, კაპიტალი თავდაპირველად სოფლის მეურნეობაში იქმნება და მისი დაბანდებაც უპირატესად სოფლის მეურნეობაში ხდება. იმის გამო, რომ ამ დარგის რენტაბელობა ნაკლებია, კაპიტალი მანუფაქტურებში გადაედინება, ხოლო როდესაც მრეწველობაში ჭარბი კაპიტალი დაგროვდება, მაშინ იგი უცხოეთში გადაიტანება.

ადამ სმითის აზრით, „ბუნების ამ გეგმას" „ახალ სამყაროში" ეწერა განხორციელება, ძველ სამყაროში კი, რომის იმპერიის დამხობის შემდეგ, სოფლის მეურნეობის განვითარება შეფერხდა, რამაც კაპიტალის დაბანდების საქმეს ხელი შეუშალა. ამიტომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება და მანუფაქტურების დაარსება სოფლის მეურნეობის განვითარებას წინ უნდა უსწრებდეს. ხოლო, როდესაც მანუფაქტურები თავიანთი პროდუქციის გამოშვებას დაიწყებენ, მაშინ მიწათმფლობელებიც რადიკალურად შეიცვლებოდნენ. ურიცხვ მოსამსახურეთა შენახვის ნაცვლად, ისინი ფუფუნების საგნებს შეიძენდნენ. ამით არაპროდუქტიული სამუშაო ძალების რაოდენობა შემცირდებოდა. გარდა ამისა, ისინი შეეცდებოდნენ სოფლის მეურნეობაში სიახლეების დანერგვას.

ადამ სმითის დასკვნით, **ვაჭრობა და ხელოსნობა მიწათმფლობელობის განვითარების მიზეზი და სტიმული გახდა ევროპის უმეტეს ქვეყნებში და არა პირიქით**[1].

იმის გამო, რომ ევროპაში ეკონომიკის აღმაულობა ბუნებრივად არ ხდებოდა, აღნიშნავს სმითი, ამიტომ ეს პროცესი „ნელა და გაუბედავად" მიმდინარეობდა, ამერიკაში კი ეკონომიკის განვითარების პროცესი „ბუნებრივად" და სწორედ ამიტომ ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს. მისი აზრით, საერთო მაგალითი არსებობს იმისა, რომ რომელიმე ქვეყანაში ვაჭრობითა და ხელოსნობით დაგროვებული კაპიტალი ყოველად გამოუსადეგარი იქნება, თუკი მისი ნაწილი სოფლის მეურნეობაში არ დაბანდდება.

ამ აზრის გაცნობის შემდეგ ნათელია, თუ რატომ დარჩა ადამ სმითის ყურადღების მიღმა უცხოეთის ქვეყნებში გასაღების ბაზრების მნიშვნელობა ინგლისის მრეწველობის განვითარებისათვის, მაშინ როდესაც იგი კოლონიებში ვაჭრობას ყოველმხრივ ახალისებდა. ეს, ადამ სმითის აზრით, იმით შეიძლება აიხსნას, რომ დიდი კაპიტალის დაგროვება და ჭარბი პროდუქციის არსებობა, ჩვეულებრივ, ქვეყნის განვითარების უფრო მაღალ ეტაპზეა შესაძლებელი. განვითარების ამ ეტაპზე გასაღების ბაზრების უცხოეთში „გადატანა" მხოლოდ შეაფერხებდა საზოგადოების ე.წ. „სტაციონალური მდგომარეობის" დადგომას, რომელშიაც საზოგადოება „მატერიალური კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურს" მიაღწევს. აქედან გამომდინარე, იგი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური აღმავლობის პროცესში უცხოეთში გასაღების ბაზრების ძიება მხოლოდ დროებითი დამხმარე საშუალება უნდა ყოფილიყო.

მასზედ, თუ როგორ ერთგულებას იჩენდა ა.სმითი ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეებისადმი, ნათლად მიგვანიშნებს მისი შემდეგი გამონათქვამები: **რომელიმე საგნის წარმომადგენელთა ინტერესების შეზღუდვა მხოლოდ სხვა კლასის წარმომადგენელთა ინტერესების მხარდაჭერის მიზნით, სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანობის საწინააღმდეგო სვლა; სამართლიანობისა, რომელიც ერთნაირად უნდა იცავდეს საზოგადოების ყველა კლასის ინტერესებს.** როგორც ზედავთ, აქ საუბარია სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის მქონე სახელმწიფოზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ „გამოკვლევაში" სმითმა ღიად დატოვა არაერთი საკითხი, რომელიც სწორედ უსამართლობასა და თანასწორუფლებიანობის დარღვევას შეეხებოდა. რაც შეეხებოდა კოლონიებს, აქ იგი ლიბერალური პოლიტიკის გატარების მომხრე იყო და მეტ სამართლიანობას მოითხოვდა.

ა.სმითი ზოგადად კოლონიების დაარსებას გმობდა და „საგიჟეს" უწოდებდა ამ „უსამართლობას". მისი ნათქვამიდან ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი გვექმნება, თითქოს მათი დაშლის მომხრეც კი იყო. ასე მაგალითად, მისი ვარაუდით შესაძლებელია ისეთი დრო დადგეს, როდესაც კოლონიების მკვიდრნი ისე გაძლიერდებიან, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა შორის ძალები ისე გაწონასწორდება, რომ ერთმანეთის შიშით და რიდით ურთიერთჩაგვრას ვეღარ შესძლებენ თითოეულის სამართლიან უფლებებსა და ინტერესებს გაითვალისწინებენ.

მიუხედავად ამისა, ა.სმითი კოლონიებში მხოლოდ ვაჭრობის მონოპოლიის გაუქმებას მოითხოვდა. იგი მიიჩნევდა, რომ კოლონიებში ვაჭრობის ლიბერალიზაციას მათი პოზიციების განმტკიცება და ეკონომიკური აღმავლობა ავტომატურად მოჰყვებოდა. ეს იყო ლიბერალი თეორეტიკოსის შეცდომა.

---

1 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ. 474.

1.7. ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი

თუ ეკონომიკური ნაშრომის სიდიადე კაცობრიობის ისტორიაზე მოხდენილი ზეგავლენის ძალით იზომება, მაშინ „ხალხთა სიმდიდრეს" მეტოქეობას გაუწევს მხოლოდ კარლ მარქსის „კაპიტალი". რასაკვირველია, უსათუოდ უნდა იქნეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ზეგავლენის ბუნება. იმ დროს, როცა მარქსის გონება შეპყრობილი იყო არსებული წარმოების წესის რევოლუციური ნგრევით, სმითის გონებას ახალი საზოგადოების წესის მშვიდობიანი დამკვიდრება აინტერესებდა. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ვერც ერთი სხვა ეკონომიკური წიგნის მნიშვნელობა „ხალხთა სიმდიდრის" ისტორიულ მნიშვნელობას ვერ გადააჭარბებს.

ლიბერალ ვიქტორიანელებმა[1] მისი ისტორიული როლი ელვარე ტერმინებით გამოხატეს. ინგლისელმა ისტორიკოსმა და სოციოლოგმა ჰენრი ტომას ბოკლმა (Bockle, 1821-1862) თავის წიგნში „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში" (1857-1861) აღნიშნა: სახეზეა რა მისი საბოლოო შედეგები, შეიძლება ითქვას, რომ „ხალხთა სიმდიდრე", ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია, რაც კი ოდესმე დაწერილა და უეჭველად ერთი კაცის მიერ გაღებული ყველაზე ძვირფასი შენაწირია იმ პრინციპების დამკვიდრებაში, რომელთაც მმართველობა უნდა ეფუძნებოდეს. ადამ სმითზე იგი ამბობდა: ის, რაც ამ მარტოხელა შოტლანდიელს ერთი წიგნით აქვს, ადამიანის საბედნიეროდ გაღებული უფრო მეტი შეწირულობაა, ვიდრე ეს იმ სახელმწიფო მოღვაწეთა და კანონმდებელთა გაერთიანებულ ნიჭს შეიძლებოდა გაეკეთებინა.

ამ ისტორიულმა გავლენამ, რა თქმა უნდა, თაობები მოითხოვა. ის წიგნის გამოსვლიდან, თითქმის შეუმჩნევლად მალე დაიწყო, თუმცა, ბრიტანეთშიც კი მერკანტილიზმიდან ლიბერალიზმზე გადასვლას დაახლოებით სამოცდაათი წელი დასჭირდა. სხვა უმეტეს ქვეყნებში კი იგი გამარჯვებით არც დასრულებულა.

მიუხედავად ამისა, მეცნიერების ისტორიაში ადამიანის საქმეებზე გავლენა სიდიადის განმსაზღვრელი შესაფერისი კრიტერიუმი არ არის. პიროვნებამ ან წიგნმა შეიძლება ძლიერი ისტორიული აჟიოტაჟი მოახდინოს მეცნიერებაში დიდად ყოფნის გარეშე და პირიქით, უფრო შესაფერისი კრიტერიუმი შეიძლება მეცნიერული აღმოჩენა იყოს. ამ სტანდარტის მიხედვით, ადამ სმითი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. იგი იყო არა ახალ საშუალებათა გამომგონებელი, არამედ არსებულ ლიტერატურაში ანალიტიკური ელემენტების მძებნელი.

ნიჭიერი თეორეტიკოსებისათვის „ხალხთა სიმდიდრე" მხოლოდ საკითხავი წიგნი როდია. თუ თვალს მივადევნებთ თანმიმდევრულად, დავასკვნით, რომ მისი გამოყენების შემდგომი ოცი წელი იყო არა იმდენად ანალიტიკური წინსწრების, რამდენადაც უფრო სტაგნაციის პერიოდი.

მე-19 საუკუნეში ადამ სმითს ხშირად ასახელებდნენ ახალი მეცნიერების – პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლად. იგი იყო „სინთეზის" გენიოსი. მან ახლებური ხედვით გააშუქა სქოლასტიკოსების, მერკანტილისტებისა და ფილოსოფოსების ფასეული იდეები და ისინი ეკონომიკური პოლიტიკის ვრცელ დოქტრინებად ჩამოაყალიბა. ეს დოქტრინები დამაჯერებლად ადასტურებს, რომ შესაფერისი დროის ფარგლებში, მოქიშპე პირადი ინტერესები ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი შეიძლება გახდეს. ეს დოქტრინა საუკუნის მანძილზე ჩატარებული ეკონომიკური კვლევის სტანდარტს ამზადებს. ნამდვილად, იქნება ის ჟ.ბ. სეი, რ.მალთუსი, დ.რიკარდო თუ ჯ.ს. მილი, მეტად თუ ნაკლებად, უშუალოდ ადამ სმითის დამუშავებაა.

2. დეივიდ რიკარდო (1772-1823): „დაბეგვრის საფუძვლები"

2.1. მთავარი ნაშრომი - მეწარმეთა დამცველი

ნათქვამია, როცა ქვემეხები ქუხს, მუზები დუმანო. საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების პერიოდში ეკონომიკური აზროვნების პროგრესი გარკვეულწილად შეჩერდა, თუმცა მონეტარულმა თეორიამ ინფლაციასთან შეჯახებაში ახალ სიმაღლეებს მიაღწია. ახალი

1 მეფე ჯეკტორის (1837-1901) მეფობის პერიოდში ინგლისური კულტურის მოღვაწეები.

იმპულსი მოვიდა ვატერლოოს შემდეგ, როცა ლონდონელმა დეივიდ რიკარდომ გადაწყვიტა თავისი გონებრივი ენერგია ფინანსური ომიდან ეკონომიკური მეცნიერებისაკენ მიემართა. მანამდე იგი ძირითადად კომერციული საქმიანობით იყო დაკავებული და დიდი ქონება დააგროვა. შემდგომში ინგლისის პარლამენტის წევრია და სიკვდილამდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება – **„პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“** – 1817 წელს გამოიცა.

დეივიდ **რიკარდო** (Ricardo) დაიბადა ლონდონში 1772 წელს. მამამისი, აბრამი, ჰოლანდიიდან ინგლისში გადასახლებული ებრაელი, ფასიანი ქაღალდების მაკლერი იყო.

დეივიდმა ბავშვობა სიმდიდრისა და სოციალური იზოლაციის გარემოცვაში გაატარა. სკოლაში თოთხმეტი წლის ასაკში შევიდა. მოგვიანებით, მამამისი ძალზე მონდომებული იყო მისთვის იმ საგნების მასწავლებლები დაექირავებინა, რომლებშიც დეივიდი დიდ ინტერესს იჩენდა, მაგრამ წმინდა ინტელექტუალური საქმიანობისათვის ამ მერკანტილურ ოჯახს, როგორც ჩანს, ნაკლები ენთუზიაზმი გააჩნდა. თუკი სმითი პროფესიონალი მეცნიერი იყო, რიკარდო ყოველთვის პროფესიონალ პრაქტიკოს-მკვლევრად რჩებოდა.

თოთხმეტი წლის ასაკში დეივიდმა საქმიანობა დაიწყო მამის სამაკლერო ფირმაში, რომელიც გაცვლისა და ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს ეწეოდა. 22 წლის რიკარდო ბირჟის მაკლერი გახდა და წარმატებით მოღვაწეობდა კომერციულ სფეროში, გამორჩეოდა, როგორც თამამი და საკმაოდ იღბლიანი ვაჭარი.

თანდათანობით იგი ორთოდოქსულ ოჯახურ ტრადიციასთან კონფლიქტში შედის. 1793 წელს დეივიდი კვაკერზე[1] დაქორწინდა, რომელმაც აიძულა იგი კავშირი გაეწყვიტა თავის მშობლებთან. ეს იყო ბედნიერი ქორწინება, კურთხეული სამი ვაჟიშვილითა და ხუთი ქალიშვილით.

მამასთან განშორების შემდეგ რიკარდომ საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. დასაწყისი ძნელი იყო, თუმცა წარმატებაც მალე მოვიდა. ოცდათექვსმეტი წლის ასაკში იგი მდიდარი და დამოუკიდებელია. მოგვიანებით მას მილიონი გირვანქა სტერლინგის შესაბამისი დაკვეთა შეეძლო და გავლენიანი ფინანსისტიც გახდა. როგორც ჩანს, ნაპოლეონის ომები ოქროს ხანა იყო ინგლისის ბანკირებისათვის (რიკარდოს ერთი კოლეგათაგანი როტშილდი[2] იყო).

რიკარდოს განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნები (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა და ყველაზე მეტად მინეროლოგია და გეოლოგია) აინტერესებდა. ერთხელ მას ბიბლიოთეკაში ხელთ ჩავარდნია „ხალხთა სიმდიდრე“ სახლში გატანის უფლებით და ინტერესით გასცნობია ნაშრომს, რომელმაც განმსაზღვრელი როლი შეასრულა ეკონომიკის პრობლემათა კვლევისაკენ მის გადახრაში.

დ.რიკარდომ ჩამოაყალიბა მეგობართა ჯგუფი, რომელიც ეკონომიკურ პრობლემებზე ბჭობდა. ამ ჯგუფში იყვნენ: ჯეიმზ მილი, რობერტ მალთუსი, ჯერემ ბენთამი, ჰენრი ტორნტონი და სხვ. ამ დებატების შედეგია მისი პირველი პუბლიკაცია – **„ოქროს ფასი“** (1809), სადაც ოქროზე ფასის ზრდა ზედმეტი ბანკნოტების გამოშვებითაა ახსნილი. ასეთი მოსაზრება იმ პერიოდში გარკვეულწილად გაიზიარეს, თუმცა, ზოგიერთების კრიტიკის საგანიც გახდა. ფასებთან დაკავშირებული სადაო საკითხების გამო რიკარდო იძულებული გახდა საქონლის ღირებულების საკითხებში საკუთარი ცოდნა გაეღრმავებინა.

მომდევნო წელს ნაშრომი გაფართოვდა და ჩამოყალიბდა ბროშურად: **„ოქროს ან ვერცხლის ზოდების ფასი, ფასიანი ქაღალდების ფასების დაცემის ანალიზი“** (1810).

1812 წლის ბოლოსათვის რიკარდო მიმდინარე საკითხების კვლევის ავტორიტეტად ითვლებოდა, მაგრამ მას ჯერ არაფერი დაუწერია ეკონომიკური თეორიის შესახებ. მომდევნო წლებში იგი უფრო მეტად ჩაება მარცვლეულით ვაჭრობის შესახებ დისკუსიებში, რამაც უფრო ზოგადი პრობლემები წარმოშვა.

---

1 **კვაკერი** (ინგლ. **quaker**) – ინგლისსა და აშშ-ში გავრცელებული ერთ-ერთი ქრისტიანული სექტის წევრი.

2 **როტშილდი (Rothschild)** – ფინანსური ჯგუფი დასავლეთ ევროპაში. საბანკო სახლის ფუძემდებელია როტშილდი (მე-18 ს. საფრანგეთი).

„ვატერლოოს[1] პერიოდისათვის“ რიკარდო საკმაოდ მდიდარ პიროვნებად ითვლებოდა. უკვე შეეძლო ეფიქრა, რომ ოქროს ხანა ფინანსისტისათვის დამთავრდა. ყოველი შემთხვევისათვის მან სოფლად ლამაზი მამული იყიდა, თანდათანობით ჩამოშორდა ბირჟის ოპერაციებს, ლონდონს და სოფლად დასახლდა. ამან საშუალება მისცა გაეფართოებინა თავისი შეხედულებები მარცელეულის შესახებ.

ამ მიზნით 1815 წ გამოაქვეყნა ნაშრომი – „ნარკვევები კაპიტალიდან მოგებაზე პურის დაბალი ფასის გავლენის შესახებ“[2], რომლითაც მარცელეულით ვაჭრობასთან დაკავშირებულ კამათში ჩაება. იგი იზიარებდა მალთუსის შეხედულებებს მიწის რენტის საკითხებში, მაგრამ მათი დასკვნები ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა. რიკარდოს აზრით, თუკი მატერიალური კეთილდღეობის ზრდას თან სდევს ხორბლის ფასისა და მიწის რენტის ზრდა, მაშინ ამ ტენდენციის შესაჩერებლად საჭიროა მარცელეულის სხვა ქვეყნიებიდან შემოზიდვა.

მთავარმა ნაშრომმა – „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ (1817)[3], მის ავტორს ფრიად საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ეკონომიკურ მეცნიერებაში.

წიგნი (მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად გაიყიდა), საკმაოდ ძნელი საკითხავია. თუკი ადამ სმითი უპირატესად ეროვნული შემოსავლისა და მისი ზრდის პრობლემებს იკვლევდა, რიკარდომ პრიორიტეტი მიწათმფლობელებს, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ეროვნული შემოსავლის განაწილებას მიანიჭა. ამიტომაც წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ დ.რიკარდოს სურვილია პირველ რიგში, გეიჩვენოს, თუ როგორ უნდა განაწილდეს შემოსავალი საზოგადოების სამი კლასის წარმომადგენლებს – მიწის მესაკუთრეებს, კაპიტალის ინვესტორებსა და მუშების შორის: „იმ კანონების გარკვევა, რომელნიც ამ განაწილებას განაგებენ, პოლიტიკური ეკონომიის მთავარ პრობლემას შეადგენს“[4].

ამრიგად, რიკარდოს სურდა განესაზღვრა, ეროვნული შემოსავლის რომელ ნაწილზე უნდა ჰქონოდა პრეტენზია ამ სამი კლასის წარმომადგენლებს და ამ გზით დაედგინა თითოეულის ინტერესი.

თუკი რიკარდოს შეხედულებებს ფიზიოკრატებისა და ა.სმითის შეხედულებებთან შევადარებთ, შესაძლოა ისეთი აზრი შეგვექმნას, რომ იგი ამ პრობლემებს სხვა კუთხით განიხილავდა, მაგრამ წინამორბედების მიერ დასმული საკითხები უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მან გამოიყენა შემოსავლის განაწილების პრობლემებზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რათა შემდგომში მათზე დაყრდნობით შეემუშავებინა ეკონომიკური განვითარების დოქტრინა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ რიკარდოს ეს გამოკვლევები თავიდანვე ახალი დოქტრინის შექმნას ისახავდა მიზნად.

მალთუსისაგან განსხვავებით, რიკარდო, უპირველეს ყოვლისა, არა მიწის მესაკუთრეთა, არამედ მეწარმეთა ინტერესებს იცავდა, რომლებიც ხორბალზე ფასების შემცირების მომხრენი იყვნენ, რათა კიდევ უფრო ნაკლები ხელფასები მიეცათ მუშებისათვის. რიკარდოს ზემოაღნიშნული ნაშრომის ძირითადი თემა კაპიტალისტებსა და მიწის მესაკუთრეთა ინტერესების დაპირისპირება იყო.

1819 წელს რიკარდო ინგლისის პარლამენტის წევრი გახდა. პარლამენტართა შორის იგი ფინანსებში აღიარებული აუტორიტეტი იყო. მისი ნაყოფიერი მეცნიერული პერიოდი 1822 წელს დასრულდა. ხშირად ხვდებოდნენ რიკარდოების ოჯახს მხლებლებითურთ ევროპაში. ჟენევაში რიკარდო შეხვდა სიმონ დე სისმონდის, მის ოპონენტს საქონლის პრობლემათა კვლევის საკითხებში.

ცნობილია, რომ იგი სასიამოვნო ქცევების მქონე, გულღია, ტანმორჩილი, კარგი გარეგნობის ადამიანი, ერთგული მეგობარი და ბრწყინვალე მოლაპარაკე კაცი იყო.

დ.რიკარდო ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად – 51 წლის ასაკში 1823 წელს გარდაიცვალა.

---

1 ვატერლოო (Waterloo) - დასახლებული პუნქტი ბელგიაში, სადაც ინგლის-ჰოლანდიისა და პრუსიის ჯარმა 1815 წ. ნაპოლეონ I-ის არმია გაანადგურა.

2 Ricardo D., Essay on the Influence of a Low Price of Corn on the Profits of Stock, L., 1815.

3 Ricardo D., On the Principles of Political Economy and texation, L., 1817.

4 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმ. ფ.გოგიჩაიშვილის მიერ, თბილისი, 1937, გვ. XV.

2.2. შრომითი ღირებულება

დ.რიკარდოს „საფუძვლების" გამოცემა უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში. სინთეზის საოცარი უნარის მქონე რიკარდო, ადამ სმითის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განმაპირობებელი ბუნების კანონების განსაზღვრას ცდილობდა.

მისი სისტემა მრავალი თვალსაზრისით მართლაც და ბევრად უფრო გააზრებულად შეიქმნა, ვიდრე ადამ სმითისა და ნახევარი საუკუნის განმავლობაში საკმაო წარმატებით სარგებლობდა ინგლისში.

ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძვლების განსაზღვრის მიზნით, რიკარდო პირველი რიგის ამოცანად კაპიტალის დაგროვების საკითხთა განხილვას მიიჩნევს, რაც კაპიტალის დაბანდებით მიღებული მოგების რაოდენობასთან უშუალო კავშირშია. თუ გამოვრიცხავთ მიწის რენტას, მაშინ **მოგება საქონლის გასაყიდ ფასსა და მის თვითღირებულებას შორის სხვაობაა.**

მოგების მიღებისათვის იმ კანონების ცოდნა იყო საჭირო, რომლებიც, პირველ რიგში, ხელფასის რაოდენობას, მეორე მხრივ კი გასაყიდი საქონლის ფასს განსაზღვრავენ.

რიკარდოს შეხედულებებით, ყოველად **დაუშვებელია ფასის განსაზღვრა მოთხოვნის შესაბამისად,** როგორც ამას ჟ.ბ. სეი აკეთებდა, ვინაიდან „საბაზრო ფასი" საქონლის ასორტიმენტისა და მასზე მოთხოვნის შესაბამისად ძლიერ ვარირებას (ცვლილებას) განიცდის. ამიტომ, ისევე, როგორც ამას სმითი აკეთებდა, საქონლის საწყის ფასად მისი **ნორმალური,** ანუ **ბუნებრივი** ფასია მიჩნეული. სწორედ მასთან მიმართებაში მერყეობს საბაზრო ფასი.

საქონლის ნორმალური ფასის დადგენა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი განსაზღვრა მასზე გაწეულ სამუშაოთა აღრიცხვის მიხედვით მოხდება[1].

ამრიგად, რიკარდო **საქონლის ღირებულებას მისი წარმოებისათვის დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავს.** მისი აზრით, ასეთი განმარტება ყველა დროის საზოგადოებას მიესადაგება.

რიკარდო განასხვავებს საგნებს „აუცილებლობისა და სარგებლიანობის" მიხედვით, რომელთა ღირებულება მათზე გაწეული შრომის სიმარტივისა და სირთულის მიხედვით განისაზღვრება[2].

მისი აზრით, იმის დასამტკიცებლად, რომ საქონლის ღირებულება მასზე გაწეულ ხარჯებზეა დამოკიდებული, საჭირო იყო ფასის ცვლილებების მიზეზთა გამოკვლევა, ან კიდევ: თუკი საქონლის წარმოებისათვის გაწეული შრომა მის გასაყიდ ფასს განაპირობებს, მაშინ მასზე დახარჯული ზედმეტი შრომის შემთხვევაში საქონელს ფასი უნდა მოემატოს, ნაკლები შრომის პირობებში კი იგი შესაბამისად უნდა შემცირდესო.

დ.რიკარდო, რასაკვირველია, ხვდებოდა, თუ რა სირთულეებს ექნებოდა ადგილი, საქონლის ფასი რომ ფულით განსაზღვრულიყო, რადგან მისმა ცვლილებამ შეიძლება საქონლის ფასიც შეცვალოს. მიუხედავად ამისა, იგი ამტკიცებს, რომ საქონლის ღირებულება მასზე გაწეული შრომის რაოდენობით განისაზღვრება.

რიკარდოს განმარტებით, თვით ფულის ფასი დამოკიდებულია შრომის რაოდენობაზე, რომელიც ლითონის მონეტების მოსაჭრელად დაიხარჯა.

ღირებულების თეორია, რომელიც საფუძვლად დაედო ფასების ცვალებადობის შესახებ რიკარდოს განსაზღვრებას, უთუოდ ყურადღების ღირსია. „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლების" ავტორს კარგად ესმოდა, რომ მისი თეორიის მოქმედების სფერო რამდენადმე შეზღუდულია.

დ.რიკარდოს შეხედულებით, ადამიანის მიერ გაწეული შრომა მხოლოდ იმ საქონლის ღირებულებას განსაზღვრავს, რომელსაც იგი აწარმოებს, ხოლო **ხელოვნების ნაწარმოების ღირებულების დადგენა მასზე გაწეული შრომის მიხედვით კი შეუძლებელია.** იგი წერდა, რომ „არსებობს ზოგი ისეთი საქონელი (იშვიათი ქანდაკება, სურათები, წიგნები, მონეტები, სპეციფიკური თვისებების მქონე ღვინოები და ა.შ.), რომლის ღირებულება განისაზღვრება მისი **იშვიათობით** (ხაზგასმა ჩვენია — ა.

1 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 226.

2 იქვე.

ს.)... მათი ღირებულება სრულიად დამოუკიდებელია შრომის რაოდენობისაგან, რომელიც თავდაპირველად დახარჯული იყო მათ წარმოებაზე, და იცვლება იმ ადამიანთა სიმდიდრის და მიდრეკილების ცვალებადობის მიხედვით, რომელთაც სურთ მათი მოპოვება"[1].

ასეთი გაგებით, რიკარდოს თეორიის მნიშვნელობა რამდენადმე შეზღუდულია, მაგრამ არც იმდენად, ვინაიდან იგი განიხილავს წარმოებული და კვლაეწარმოებადი საქონლის განაწილების სფეროში მიმდინარე პროცესებს, ხოლო ზემოაღნიშნული საქონელი, მისი აზრით, ბაზარზე საქონელთა გაცვლაში განმსაზღვრელ როლს არ ასრულებს.

ამრიგად, დ. რიკარდო ძირითადად ისეთ საქონელზე მსჯელობდა, რომელზეც განმსაზღვრელ როლს ადამიანის შრომა ახდენდა.

ადამ სმითის მსგავსად[2], რიკარდოსაც მიაჩნია, რომ დახარჯული შრომის რაოდენობასთან ერთად, საქონლის ღირებულებას მნიშვნელოვანწილად მუშის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი განსაზღვრავს. მისი აზრით, სხვადასხვა ხარისხის მქონე საქონელი სხვადასხვანაირად უნდა შეფასდეს და „სხვადასხვა ხარისხის შრომას სხვადასხვა გასამრჯელო ეძლევა"[3].

საქონლის ხარისხი მის ღირებულებასთან უშუალო დამოკიდებულებაშია და ის გარემოება, რომ ერთ სამუშაო დღეში დახარჯული შრომისათვის ოქრომჭედელი უფრო დიდ გასამრჯელოს იღებს, ვიდრე უბრალო მუშა იმავე დროში, არავის არ აკვირვებს[4].

ბოლოს უნდა ითქვას, რომ რიკარდო ცდილობდა იმ წინააღმდეგობათა დაძლევას, რომელთა გამო ადამ სმითმა პრაქტიკულად უარი თქვა ღირებულების მხოლოდ დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით დადგენაზე. საქონლის ფასის ნაწილს კაპიტალდაბანდების შედეგად მიღებული მოგება წარმოადგენს. იგი იმ კაპიტალის პირდაპირპროპორციულია, რომელიც საქონლის წარმოების მიზნით დაბანდდა.

ამრიგად, თუ მიწის რენტას მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ საქონლის ფასი განისაზღვრება, ერთი მხრივ, გასამრჯელოთი, რომელიც შრომის დანახარჯების პროპორციულია და მეორე მხრივ, მოგებით, რომელიც ამ საქონლის წარმოებისათვის დაბანდებული კაპიტალის პირდაპირპროპორციულია.

ამის გამო, შეუძლებელია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ფასი შრომის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. ამას რიკარდოც ამჩნევდა. იგი მხოლოდ ისეთი სახის შრომაზე ვრცელდება, რომელიც მხოლოდ პროდუქციას ქმნისო.

მიუხედავად ამისა, რიკარდო თელიდა, რომ მის მიერ შემუშავებული კანონი თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს ყველაზე უფრო სწორად ხსნიდა.

დ.რიკარდო მთავარი ნაშრომის ერთ-ერთ თავში, რომელიც ღირებულებას ეხება, ფასების ცვლილებას ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე გაწეული შრომითი დანახარჯების ცვლილებით ხსნის და აღნიშნავს, რომ იგი შესაბამისი გასამრჯელოს რაოდენობაზე დამოკიდებული არ არის. ყოველივე ამის დასაბუთებას რიკარდო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან მას განზრახული ჰქონდა შემოსავლების განაწილების პრინციპის გამოკვლევა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ პროდუქტის ფასზე ზეგავლენას მისი წარმოებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდების რაოდენობა ახდენს, მაშინ რიკარდოს ამ დოქტრინის მართებულობის საკითხი სადავო ხდება. სწორედ ამიტომ აღნიშნავს შემდგომში თავად რიკარდო, რომ მისი დოქტრინა გასაყიდი საქონლის ღირებულების მასზე დახარჯული შრომის რაოდენობის მიხედვით განსაზღვრის შესახებ მართებულად მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მისი განმარტებით, თუ ყველა ცვლილების მიზეზებს გავითვალისწინებთ, მაშინ უყურადღებოდ არ შეიძლება დარჩეს ის, თუ რა ზეგავლენას ახდენს ამ პროცესებზე ადამიანის შრომა. პირიქით, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

აქედან გამომდინარე, შემდგომში ყველა იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზად, რომლებიც საქონლის პირობითი ღირებულების დადგენაზე მოქმედებენ, იგი საქონლის წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობას მიიჩნევს.

---

1 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 2.

2 ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, გვ.36-37.

3 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 9.

4 იქვე, გვ. 9-11.

აშკარაა, რომ რიკარდოს განმარტებაში ფასების ცვლილებების შესახებ, ადგილი აქვს წინააღმდეგობას მის მიერ შემუშავებულ დოქტრინასა და იმ მტკიცებას შორის, რომელშიც მოგება პირდაპირ დამოკიდებულებაშია არა დახარჯულ შრომასთან, არამედ დაბანდებულ კაპიტალთან.

2.3. შემოსავლების განაწილება

შრომითი ღირებულების დოქტრინაზე დაყრდნობით რიკარდომ მიწის რენტის საკითხი გამოიკვლია. მისი მონაცემების თანახმად[1], იგი 1811 წელს მალთუსის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომით (მიწის რენტის შესახებ) ხელმძღვანელობდა, რომელიც სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაბანდების საკითხებს ეხებოდა.

იგი თვლიდა, რომ **საქონლის ნორმალური ფასი ტოლია** (რომელსაც იგი აქ საქონლის გასაყიდ ფასთან აიგივებს) **მასზე გაწეული ზღვრული დანახარჯის** (დამატებითი დანახარჯები დამატებითი ერთეული პროდუქციის საწარმოებლად): „ყველა საქონლის საცალელი ღირებულება, – იქნება ეს ფაბრიკული ნაწარმი, სამადნეების პროდუქტები, თუ მიწის ნაწარმი – ყოველთვის განისაზღვრება არა შრომის უმცირესი რაოდენობით, რაც საკმარისია მათ საწარმოებლად უაღრესად ხელსაყრელ პირობებში (ამით მხოლოდ და მხოლოდ ისინი სარგებლობენ, ვისაც ხელთა აქვთ წარმოების განსაკუთრებული სიადვილე). პირიქით, ეს ღირებულება განისაზღვრება შრომის უდიდესი რაოდენობით, რომელიც აუცილებლად იხარჯება წარმოებაზე იმათ მიერ, ვისაც ასეთი სიადვილე არა აქვს, ვინც განაგრძობს წარმოებას უაღრესად არახელსაყრელ პირობებში. ვგულისხმობთ იმ უაღრესად არახელსაყრელ პირობებს, რომლებშიც წარმოება აუცილებელია, რათა მიღებულ იქნას პროდუქტის საჭირო რაოდენობა“[2].

ამ შემთხვევაში რიკარდო საკმაოდ ზოგადად განიხილავს საქონლის „**ზღვრული დანახარჯების ფასად გაყიდვის**“ მნიშვნელობას. ფაქტობრივად, ეს თვალსაზრისი ცვალებადია.

ფაბრიკული ნაწარმის გამოშვებისას ასეთი ტენდენცია თანდათანობით გააუქმებს იმ საწარმოებს, რომლებიც შედარებით არახელსაყრელ პირობებში მუშაობენ. ამიტომ საქონლის ფასის დადგენისას მათი დანახარჯები ამოსავალ წერტილად არ შეიძლება ჩაითვალოს. რიკარდოს ეს პრინციპი გამონაკლის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ან სამთო წარმოების პროდუქციაზე შეიძლება გავრცელდეს. სხვათა შორის, რიკარდოც ამ პრინციპის გამოყენებას სწორედ ამ სფეროში ისახავდა მიზნად.

რიკარდო მიწის რენტის განსაზღვრისას გადამწყვეტ მნიშვნელობას <u>ნაკვეთების შედარებით ნაყოფიერებასა</u>[3] და <u>გასაღების ბაზრებთან მათ ადგილმდებარეობას ანიჭებდა</u>.

ამ გაგებით, რიკარდო მალთუსის მომხრეა. იმის გამო, რომ თვით მიწა სხვადასხვა ნაყოფიერებისაა ან სხვადასხვანაირად მუშავდება, რიკარდოს მიაჩნია, რომ ისეთი პროდუქტის წარმოებისას, როგორიცაა, მაგალითად, ხორბალი, დანახარჯი შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს, ვინაიდან მისი გასაყიდი ფასი ზღვრული დანახარჯების მიხედვით დგინდება. ამიტომ მესაკუთრეები, რომელთაც მიწები უფრო ნაკლები დანახარჯებით მეტ მოსავალს იძლევიან, მოიჯარეებისაგან პრაქტიკულად გაწეულ დანახარჯებსა და ზღვრულ დანახარჯებს შორის სხვაობას ითხოვენ.

დ.რიკარდო კიდევ უფრო შორს წავიდა. მისი აზრით, <u>მესაკუთრისათვის გადასახდელი რენტა ისე მაღალი უნდა იყოს, რომ მოიჯარეს მინიმალური მოგება დარჩეს</u>. იჯარის გადასახადის განსაზღვრის ამოსავალი წერტილი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ.

ეროვნულ შემოსავალში ცალკეული მიწის მესაკუთრის წილი ძირითადად წარმოების პირობებს შორის განსხვავებებზეა დამოკიდებული. შემოსავლის განაწილების პრობლემის საბოლოოდ

---

1 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. XV.

2 იქვე, გვ. 42.

3 უფრო ადრე შოტლანდიელმა აგრონომმა და ფერმერმა ჯეიმზ **ანდერსონმა** (1739-1808) ნაშრომში „დაკვირვებანი ეროვნული ინდუსტრიის ბუნების გამოწვევის საშუალებებზე“ (Anderson J., Observations on the Means of exciting a Spirit of National Industry, 1977), რენტის არსებობა სხვადასხვა **ნაყოფიერების** მქონე მიწის ნაკვეთებთან დააკავშირა.

მოსაგვარებლად საჭიროა გაირკვეს, თუ როგორი პრინციპებით უნდა განისაზღვროს, მაგ., მიწის მესაკუთრის, სამუშაო ძალისა და კაპიტალის წილი.

„პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლების" ავტორი შრომას განიხილავს, როგორც საქონელს და ერთმანეთისაგან განასხვავებს შრომის **ბუნებრივ** და **საბაზრო** ფასს.

მისი აზრით, **„შრომის ბუნებრივი ფასი"** ის ფასია, რომელიც საჭიროა, რათა მუშებმა შეძლონ არსებობა და თაობის მოდგმის განგრძობა, მათი რიცხვის გაუდიდებლად ან შეუმცირებლად"[1].

შრომის ღირებულება ის ღირებულებაა, რომელიც აუცილებელია „სამუშაო ძალის" შენარჩუნებისა და განახლებისათვის. ამ მეტად გახმაურებულმა მტკიცებამ წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მყარი ან ცვალებადი სასიათისაა „საარსებო მინიმუმი".

რიკარდო ამ კითხვაზე ასე პასუხობს: ეს იმას არ ნიშნავს, რომ შრომის ბუნებრივი ფასი აბსოლუტურად მყარი და უცვლელია მაშინაც კი, თუ მას მხოლოდ საკვები პროდუქტებით განვსაზღვრავთ. იგი ერთსა და იმავე ქვეყანაში დროის მიხედვით იცვლება. სხვადასხვა ქვეყანაში კი ეს ფასი ძირეულად განსხვავებულია და ჩვეულებრივ მასზე გავლენას ახდენს ამ ქვეყნის ხალხთა ადათ-წესები. „შრომის ბუნებრივი ფასი, — წერდა იგი, — თუნდაც საზრდოთი და საარსებო საგნებით შეფასებული, აბსოლუტურად მტკიცე და მყარი არ არის, იგი იცვლება სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ქვეყანაში და ძალიან არსებითად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. იგი არსებითად ხალხის ზნე-ჩვეულებაზეა დამოკიდებული"[2].

რიკარდო ერთგან გაკვრით, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შრომის ბუნებრივი ფასი არა მარტო ცვალებადია, არამედ ტენდენციურად იზრდება. „ინგლისელი მუშა, — აღნიშნავდა იგი, — ჩათვლიდა, რომ მისი ხელფასი ბუნებრივ ნორმაზე დაბალია და მეტისმეტად მცირე ოჯახის შესანახად, თუ იგი მას შესაძლებლობას არ აძლევს სხვა საჭმელი იყიდოს, გარდა კარტოფილისა და ფაცხაზე უკეთეს სადგომში იცხოროს; მაგრამ ეს ზომიერი ბუნებრივი მოთხოვნილებები ხშირად საკმარისად ითვლება ისეთ ქვეყნებში, სადაც „ადამიანის ცხოვრება იაფია" და მისი მოთხოვნილება ადვილად კმაყოფილდება. ბევრი რამ იმ კომფორტიდან, რომელიც ახლა მოიპოვეს ინგლისურ ქოხში, ფუფუნებად ჩაითვლებოდა ჩვენი ისტორიის უფრო ადრეულ პერიოდში...

რადგან საზოგადოების განვითარებასთან ერთად, ფაბრიკატების ფასი მუდამ ეცემა, ხოლო ნედლი საქონლის პროდუქტის ფასი ასევე მუდამ მაღლა იწევს, ამიტომ ბოლოსდაბოლოს, ისეთი დისპროპორცია იქმნება ამ სხვადასხვა საქონლის ღირებულებას შორის, რომ მუშას, რომელიც მსხვერპლად გაიღებს თავისი საზრდოს მარტოოდენ მცირე ნაწილს, შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი ყველა სხვა მოთხოვნილება"[3].

ამრიგად, მოვლენებს რიკარდო ასეთნაირად ხსნის: იმას, რასაც დღეს ინგლისელი კომფორტად მიიჩნევს, შესაძლოა ჩვენი ისტორიის ადრეულ პერიოდში ფუფუნებად აღიქვამდნენ, — იმის გამო, რომ საზოგადოების წინსვლას თან ახლავს ფაბრიკატებზე[4] ფასების დაცემა, ხოლო ნედლეულზე კი პირიქით — მატება. მისი პირობითი ღირებულების დადგენისას შესაძლოა ადგილი ექნეს ისეთ გაუგებრობას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მუშას ზოგჯერ საკვებ პროდუქტზე უარის თქმით სხვა სახის მოთხოვნილებას საკუთარი დაიკმაყოფილებს.

შრომის საბაზრო ფასი, რიკარდოს აზრით, მიწოდებითა და მოთხოვნით განისაზღვრება. „შრომის საბაზრო ფასი, — წერდა იგი, — ის ფასია, რომელიც მასში ნამდვილად მოიცემა მოთხოვნისადმი მიწოდების ბუნებრივი შეფარდების საფუძველზე; შრომა ძვირია, როდესაც იგი იშვიათია, და იაფია, როდესაც იგი უხვად მოიპოვება. მაგრამ რაც არ უნდა იხრებოდეს შრომის საბაზრო ფასი მისი ბუნებრივი ფასისაგან, მას მაინც, საქონელთა ფასის მსგავსად, ტენდენცია აქვს მასთან შეთანხმებისა"[5].

ეს დასკვნები დასავლეთის ქვეყნებში მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან დღემდე მიმდინარე პროცესების ახსნის შესაძლებლობას იძლევა. ამ დასკვნების განვითარება რიკარდომ თავის დროზე

---

1 დრიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 60.

2 იქვე, გვ. 62.

3 დრიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 63-64.

4 ფაბრიკატი (ლათ. fabricatus – დამზადებული) მზა საფაბრიკო ნაწარმი, წარმოებაში საბოლოოდ დამუშავებული პროდუქტი.

5 დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 61.

ვერ მოახერხა, — აღვილი გასაგებია, რის გამო. სწორედ იმ პერიოდში ინგლისში მშრომელთა მდგომარეობა არათუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც. ამგვარი უკუსვლა განმარტებას ითხოვდა.

დ.რიკარდო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ბუნებრივი პროგრესის გზაზე გასამრჯელო, რომელიც შესაძლებლობითა და მოთხოვნილებით განისაზღვრება, დაღმავალ ტენდენციას განიცდის, მიზეზი ამისა კი ის არის, რომ სამუშაო ძალებზე მოთხოვნა უფრო ნაკლებად მატულობს, ვიდრე თვით სამუშაო ძალა. რიკარდოს ამ გამონათქვამში კარგად ჩანს, თუ რა გაგებით ახდენდა მალთუსის შეხედულებები მასზე.

რიკარდოს შეხედულებით, შეუძლებელია ღარიბთა და გაჭირვებულთა კეთილდღეობის ხანგრძლივად შენარჩუნება იმ შემთხვევაში, თუკი კანონის ძალით ამ კატეგორიის ადამიანთა რაოდენობის ზრდის რეგულირება და ნაადრევი და გაუთვალისწინებელი ქორწინებების თავიდან აცილება არ მოხერხდება.

რიკარდო, მალთუსის მსგავსად, მოსახლეობის მატების რეგულირების ერთ-ერთ საშუალებად გვიანდელ ქორწინებას თვლიდა. თუმცა, რიკარდოსაგან განსხვავებით, მალთუსი სიღატაკეს და გაჭირვებას ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს, რომელიც ადამიანს წინდახედული ქცევისაკენ უბიძგებს.

ამავე საკითხებს რიკარდო შედარებით უფრო ვიწრო სპექტრში იხილავდა. არ ითვალისწინებდა სხვადასხვა ფაქტორებს (მაგ., პოლიტიკურს ან რელიგიურს), რომლებიც გარკვეულწილად დემოგრაფიულ ცვლილებებს განსაზღვრავენ.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, რიკარდო არ იზიარებდა მალთუსის მეტად არასახარბიელო პროგნოზს, რომლის მიხედვითაც, თურმე ადამიანთა ნაწილი დედამიწაზე ულოყოხეთურ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს. სწორედ ამის გამო, რიკარდოს თვალთახედვა უფრო ობიექტურად, მისი მეცნიერული თეორია კი თვალსაზრისით ბევრად უფრო აქტუალურად უნდა ჩაითვალოს.

რიკარდომ სმითის მსგავსად კაპიტალი დაყო ორ ნაწილად: **სახრუნავი** (ხელფასი...) და **ძირითადი** (წარმოების იარაღები...) **კაპიტალად**.

დ. რიკარდოს შეხედულებით, **მოგება მუშის შრომით შექმნილი ღირებულებაა, რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს**.

მისი აზრით, კაპიტალდაბანდების შედეგად მიღებული შემოსავალი ეს ის მოგებაა, რომელიც ინვესტორს რენტისა და ხელფასის გადახდის შემდეგ რჩება. ამიტომ, აქედან გამომდინარე, აზრი არა აქვს ისეთი კანონის (კანონების) ძიებას, რომლებიც მოგების რაოდენობას განსაზღვრავენ.

რიკარდოს განმარტებით, თუ რენტა უცვლელად შენარჩუნდება, მაშინ მოგება ხელფასების შემცირების ხარჯზე გაიზრდება და პირიქით, — ხელფასების ზრდა მოგების შემცირებას განაპირობებს. ამ თვალსაზრისით რიკარდო წარმოებული პროდუქტის (ნაგულისხმევია სოფლის მეურნეობის და მანუფაქტურის ნაწარმის ღირებულება) მთლიან ღირებულებას „ორ ნაწილად ყოფდა: **კაპიტალის მოგებად და მშრომელის ხელფასად**. თუ ვიგულისხმებთ, რომ პური და მანუფაქტურული პროდუქტები ყოველთვის ერთსა და იმავე ფასში იყიდება, მოგება მაღალი ან დაბალი იქნება იმის შესაბამისად, დაბალია ხელფასი თუ მაღალი“[1].

2.4. თავისუფალი ვაჭრობა და ეკონომიკური განვითარება

დ.რიკარდოს ერთ-ერთი უდავოდ დიდი დამსახურებაა მისი გამოკვლევები საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ „დაბეგვრის საფუძვლების“ ავტორი აქაც ადრინდელი კვლევის შედეგებით ხელმძღვანელობს, სწორედ ამ სფეროში გამოვლინდა განსაკუთრებით რიკარდოს აზროვნების გენიალური უნარი, თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი კრიტიკულ მიდგომას არ საჭიროებს.

დ.რიკარდოს **შედარებითი უპირატესობის** დოქტრინიდან გამომდინარე, ყოველ ქვეყანას საზღვარგარეთ ის საქონელი გააქვს, რომლის წარმოებაზეც მან თავის ქვეყანაში შედარებით ნაკლები

1 დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, გვ. 75.

დანახარჯები გაიღო, ხოლო საზღვარგარეთიდან კი შემოაქვს ის საქონელი, რომლის წარმოებაც მის ქვეყანაში უფრო ძვირად ღირებულია.

დასკვნა იმის შესახებ, რომ თავისუფალი ვაჭრობა უფრო მოგებიანია, ყოველთვის როდია მისაღები. რიკარდოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები წარმოების დანახარჯების ცვლილებებს იწვევს. თუ რომელიმე ქვეყანას საკუთარი მრეწველობა არ გააჩნია, მაშინ მისი შექმნისათვის საჭირო დიდი დანახარჯების მიუხედავად, ამ ქვეყნისათვის საკუთარი მრეწველობის შექმნა მაინც უფრო სარგებლიანია (დანახარჯები კი თანდათანობით შემცირდება), ვიდრე დაბალგანვითარებულ აგრარულ ქვეყნად დარჩენა.

რიკარდოს დოქტრინა საგარეო ვაჭრობაში ორმხრივი მოგების მიღების შესაძლებლობის შესახებ ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ არგუმენტს წარმოადგენდა თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ. მაგრამ იგი ამავე დროს ექსპორტ-იმპორტის ავტომატური წონასწორობის შესახებ მერკანტილისტური დოქტრინის მკვეთრი ჩამოყალიბება იყო. ამ დოქტრინის თანახმად, ყოველი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი ფასების ცვლილებების ზემოქმედებით დაიძლევა.

დ.რიკარდომ წამოაყენა თეზა, რომლის მიხედვითაც ვალუტის კონვერტირების შემთხვევაში ფასების მსგავს ცვლილებათა მიზეზად ძვირფასი მეტალების საზღვარგარეთ გატანა შეიძლება ჩაითვალოს. ეს კი მაშინ მოხდება, როდესაც ვალუტის გაცვლითი კურსი იმ წერტილს მიაღწევს, როდესაც ოქრო საზღვარგარეთ შეიძლება გაიდეს.

ფულის შესახებ ნაშრომებით რიკარდო ფულის რაოდენობითი თეორიის მომხრედ წარმოგვიდგება. ამ თეორიის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ერთ რომელიმე ქვეყანაში ძვირფასი მეტალების რაოდენობა შემცირდება, მაშინ ბრუნვაში მყოფი ფულის მოცულობაც შემცირდება. აქედან გამომდინარე, ფასების დონეც უნდა შემცირდეს. ეს კი თავის მხრივ, წაახალისებს ექსპორტს. იმ ქვეყნებში კი, სადაც ფულის მარაგი იზრდება, პირიქით, ამ პროცესის საწინააღმდეგო ფაქტებს აქვს ადგილი.

ამრიგად, საქონელმიმოქცევის მოცულობის ცვლილება მოცემული ქვეყნის უარყოფითი საგადასახდელო ბალანსის გაჯანსაღებას ხელს უწყობს.

რიკარდოს ეს დოქტრინაც თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ საკმაოდ მნიშვნელოვან არგუმენტად რჩებოდა. იგი ადასტურებდა აზრს, რომ არც ერთ ქვეყანას საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლის „ხელოვნურად" შემცირება არ სჭირდება იმ მიზნით, რომ ძვირფასი მეტალების გატანას ხელს შეუშლის, რაც მის ფულად სისტემას საშიშროებას უქმნის. იმის გამო, რომ სავაჭრო ბალანსი თავისთავად დაბალანსდება, „Laissez faire" ყველაზე მიზანშეწონილ პოლიტიკას წარმოადგენს. ამ დოქტრინის მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განისაზღვროს, თუ დავიჭირდებით, რა უსაზღვრო შესაძლებლობებზე აცხადებდა პრეტენზიას კლასიკური სკოლა. ამ დოქტრინიდან გამომდინარე კანონზომიერებანი ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეების მქონე ქვეყნებს (განსაკუთრებით ინგლისსა და მის კოლონიებს) შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ბრიტანელი ფაბრიკანტები[1] ასეთ შეხედულებებს ყოველმხრივ მიესალმებოდნენ. ისინი ხომ თავიანთ საწარმოებს მნიშვნელოვანწილად კოლონიებთან ვაჭრობის შედეგად მიღებული მოგებით აფინანსებდნენ. მეორე მხრივ კი ისინი საბაჟო დაბეგვრის ზეწოლას (ეს განსაკუთრებით ინდოეთიდან ბამბის შემოტანას ეხებოდა) განიცდიდნენ. ამჯერად მათ თავიანთი საქონლის შორეულ ბაზრებზე იაფად გატანის საშუალება ეძლეოდათ. მათი მიზანი მსოფლიო მასშტაბით სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი განვითარება იყო, რაც, თავის მხრივ, მრეწველობას განავითარებდა.

სმითის მსგავსად, რიკარდომ წინა პლანზე ეკონომიკური განვითარების პრობლემა წამოწია. მან ამ პრობლემის ისევე საფუძვლიანი შესწავლა დაისახა მიზნად, როგორც მანამდე ღირებულებისა და შემოსავლის განაწილებასთან დაკავშირებული საკითხებისა. თუმცა, რიკარდომ ამ საკითხებთან მიმართებაში გარკვეულწილად უყურადღებოდ დატოვა ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი ფაქტორები და მხოლოდ ზოგიერთით შემოიფარგლა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა.

1 ფაბრიკანტი – ფაბრიკის პატრონი, მესაკუთრე-კაპიტალისტი.

რიკარდომ **უარყო ჭარბწარმოების საერთო კრიზისების შესაძლებლობა**, რამდენადაც მიაჩნდა, რომ შესაძლებელია ერთი რომელიმე საქონლის ჭარბად წარმოება, მაგრამ ყველა საქონლის მიმართ ეს არ შეიძლება მოხდესო. საერთოდ, ასეთი შეხედულება დამახასიათებელი იყო კლასიკური ეკონომიკური სკოლისათვის.

რიკარდოს აზრით, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია დაბანდებული კაპიტალიდან მიღებული საშუალო მოგების არსებობა. ეკონომიკური აღმავლობის მიღწევა შესაძლებელი გახდებოდა წარმოების ზრდითა და წარმოებრიივი პროცესების გაუმჯობესებით.

რიკარდო სადაეოდ თელის იმ შეხედულებებს, რომლითაც კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკურ პროგრესს თან სდევს გასაღების ახალი ბაზრების აღმოჩენა. ამ საკითხთან მიმართებაში იგი ჟ.ბ. სეის მომხრეა, რომლის აზრითაც, არ არსებობს კაპიტალი, რომლის დაბანდებაც შეუძლებელია ქვეყანაში, იმის გამო, რომ წარმოება ზღუდავს მოთხოვნას. ყველას, ვინც აწარმოებს ამა თუ იმ პროდუქციას, ერთი მიზანი ამოძრავებს — მოიხმაროს ან გაცვალოს ეს საქონელი. ამასთან, იგი თავის საქონელს სხვა საქონლის შეძენის მიზნით ყიდის, რომელიც უშუალოდ მას ან მისი წარმოების საქმეს სჭირდება.

რიკარდო ვერ ხვდებოდა, რომ მაშინაც კი, როდესაც წარმოების წინსელა ერთ რომელიმე სფეროში სხვა დარგებისათვის გასაღების შესაძლებლობას ქმნიდა, ეკონომიკური განვითარება დამატებითი საშუალებების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იყო. ამიტომ ადამ სმითისაგან განსხვავებით, იგი ფიქრობდა, რომ საზღვარგარეთ გასაღების ახალი ბაზრების შექმნას მრეწველობის განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლის შესრულება არ შეუძლია.

რიკარდო მხოლოდ იმიტომ იყო საგარეო ვაჭრობის მომხრე, რომ ამ შემთხვევაში დახარჯული შრომის იმავე რაოდენობით გაცილებით მეტი საქონლის მიღება იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობა საჭიროა თვით ქვეყნისათვის, მაგრამ ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას იგი არ წარმოადგენს; კაპიტალის გატანა საზიანოა, რამდენადაც იგი ქვეყნის შიგნით დასაქმების შესაძლებლობას ზღუდავს.

რიკარდოს აზრით, სმითი ცდებოდა, როდესაც ამტკიცებდა, რომ უცხოეთში გასაღების ბაზრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მრეწველობის განვითარებისთვის. ჩვენთან წარმოებულ საქონელს საზღვარგარეთ ვყიდით და იქ იმ საქონელს ვყიდულობთ, რომლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში უფრო ძვირია. თუ უცხოეთში ვაჭრობის შესაძლებლობა არ გვექნება, მაშინ ისევ მხოლოდ ჩვენივე სარგებლობის მიზნით შევქმნით პროდუქციას. ადამ სმითის ეს შეხედულება ეწინააღმდეგება მის ყველა ზოგადი სახის კონცეფციას. ამ საკითხებთან დაკავშირებით რიკარდო ბოლოს იხსენებს სმითის თეზას იმის შესახებ, რომ მრეწველობის განვითარებას კაპიტალის დაგროვება განაპირობებს და დაასკვნის, რომ მოთხოვნილება და კაპიტალის დაბანდება შეუზღუდველია, ვიდრე იგი მოგების მიღების წყაროდ რჩება.

დასასრულ, ნაშრომის ერთ-ერთ თავში კოლონიებში ვაჭრობის შესახებ რიკარდო აკრიტიკებს იმ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც მეტროპოლია საკუთარ ბაზარს ინარჩუნებს. მისი აზრით, ეს ხელშეკრულება ხელს აძლევს მეტროპოლიას. მისი შეხედულებით, ინგლისში ამ საქონლის წარმოება ექსპორტის მიზნით შეუძლებელი იქნებოდა, თუ მას ამ განსაკუთრებული ბაზრის მომარაგების პრივილეგია არ ექნებოდა. შემდეგ რიკარდო აღნიშნავს, რომ ფაქტობრივ უპირატესობას იმაშიც ხედავს, რომ ერთი რომელიმე სახის პროდუქციის წარმოება უფრო მოგებიანია. ამრიგად, იგი მყარად დგას თავის პოზიციებზე.

2.5. „კლასიკური მოდელის დასრულება“

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ დ.რიკარდოს, მართალია, სხვათა მსგავსად, „სკოლა“ არ შეუქმნია (ჭეშმარტ რიკარდიანელებად მიაჩნიათ: ჯ.მილი, მაკ-კულოხი, კ.მარქსი და სხვ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური აზროვნების ისტორიაზე. თუ ეკონომიკური მეცნიერება 1817 წლამდე გარკვეულწილად სმითთან დისკუსიებში ვითარდებოდა, მომდევნო ორმოცდაათი წელი ანალოგიურ პროცესებს ადგილი ჰქონდა დ.რიკარდოსთან მიმართებაში.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი რიკარდოს კრიტიკოსია. ასე მაგალითად, ჯ.ევონსი თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის თეორია“ (1871) მიუთითებს რიკარდოს კურსის მცდარობაზე, – განსაკუთრებით ღირებულების, მოთხოვნისა და ფასების პრობლემებთან მიმართებაში.

მიუხედავად ამისა, დ.რიკარდომ ეკონომიკური მეცნიერება ახალ სიმაღლეზე აიყვანა. მის დამოუკიდებელ ანალიზურ მიღწევებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, იმის დასრულება იყო, რასაც სამუელსონმა „პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური მოდელი“ უწოდა. ეს იყო ფართო თეორიული სტრუქტურა და სათანადო „ჩონჩხი“ ეკონომიკური ზრდის დოქტრინებისათვის.

ლიტერატურა

ა.სმიტი: მეცნიერების სიჭაბუკე (ქართული თარგმანი), თბ., 1989; Адам Смит, М., 1968.

რ.ასათიანი, მომსახურება და საბაზრო სისტემა, თბ., 1993.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

გ.თოდუა: ადამ სმითი და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2000; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია - ნაწ.I, თბ., 2004, ნაწ.II, თბ., 2009.

რ.კაკულია, დ.რიკარდოს ეკონომიკური შეხედულებანი, ჟ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა“, №4, 1972.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

კ.მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953; კაპიტალი, ტ.I-3, თბ., 1954-59; ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ IV ტომი), ნაწ.1-2, თბ., 1966-68.

დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმანი ფ.გოგიჩაიშვილისა, ტფილისი, 1937.

ა.სილაგაძე: ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996; ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001; ა.სმითის ეკონომიკური დოქტრინა, თბ., 2008.

ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, თარგმანი ინგლისურიდან პროფ. ფ.გოგიჩაიშვილისა, ტფილისი, 1938.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Афанасьев В. С., Давид Рикардо, М.,1988.

Всемирная история экономической мысли, Под ред. В.Н. **Черковца**, т. 2, М., 1988.

Заррин П.И., Английская классическая политэкономия (А.Смит, Д.Рикардо), М., 1894.

Зибер Н.И., Давид Рикардо и Карл Маркс в их общественно-экономических исследованиях, М., 1957.

История экономических учений. Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Майбурд Е.М. Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Нарский И.С., Философия Дж. Локка, М., 1960.

Папава Â.Ã., Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.**Чикава**, Тб., «Мецниереба», 1987.

Реуель А.Л., Адам Смит. Уч. пос., М., 1957.

Розенберг И.: Теория стоимости у Рикардо и у Маркса, М., 1924; История экономических учений, М., 1940; პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, ქართ. თარგმანი, თბ., 1938.

Сурин А.И., История экономики и экономических учений, М., 1999.

Чернышев В.Р. Рикардо и Маркс, Л., 1925.

Штейн В.М., Адам Смит. Личность и учение. П., 1923.

Яковенко В.И., Адам Смит. Его Жизнь и научная деятельность, СПБ, 1894.

Anderson J., Observations on the Means of exciting a Spirit of National Industry, 1977.

Blaug M.: Ricardo D., — „International Encyclopedia of the Social Sciences, B.B, New-York, 1968; экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Hicks J., Ricard's Theory of Distribution – „Bernard Corry and Mayrice Person, Essays in Honour of Lord Robbins. London, 1972.

Hansbach W., Untersuchugen über Adam Smith und d. Entwicklung d. Politischen Ökonomie, Lpz., 1891.

Hobbes T., The English works, ed. by W.Molesworth, v.1-11, L., 1839-1845.

Hollander S., The Economics of David Ricardo, Toronto, 1979.

Hume D.: The philosofical wocks, v.1-2, L., 1898; Selection, N.-Y., 1927.

Rae J., Life of Adam Smith, L.-N.Y., 1895.

Ricardo D.: Essay on the Influence of a Low Price of Corn on the Profits of Stock, L., 1815; On the Principles of Political Economy and Texation, L., 1817; The Works and Correspondence of David Ricardo, პ.სრაფას რედ-ით, Cambridge, 1951-1973; Сочинения, т.1-5, М., 1955, М., 1961, М., 1968; Начало политической экономии – В кн.: Классики экономической мысли, М., 2000; Классики экономической мысли: Д.Рикардо..., М., 1993; პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები.

Schumpeter I.: Business Cycles. N.Y., 1939; История экономического анализа, Пер. с англ., Санкт-Петербург, 2004.

Scott W.R., Adam Smith as student and Professor, N.Y.,1965.

Smith A.: The Thery of Moral Sentimente, L., 1759; Lectures on justice, police, revenue and arms, Oxf., 1896; 1776-1926. Lectures to commemorate the 150-th anniversary of the publication of the "Wealth of Nation", Chi., 1928; The glasgow Edit on the Works and Correspondence Adam Smith 6 vols. Oxford: Clarendon, 1976-83; რუს. თარგმ.: Теория нравственных чувств или опыт исследования. Пер. с англ., СПБ, 1895; Исследование о природе и причинах богатства народов, т.1, М.-Л., 1935; Исследование о природе и причинах богатства народов – в кн: Классика экономической мысли, М., 2000.

თავი VI.
სახეცვლილი კლასიკური ლიბერალური დოქტრინები

როგორც ცნობილია, ეკონომიკური ლიბერალიზმი უარყოფს ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. მისი მტკიცებით, საუკეთესოა ეკონომიკური სუბიექტების პირადი ინიციატივა და თავისუფლების გარანტიაზე დამყარებული ეკონომიკური სისტემა.

ლიბერალიზმისთვის ამოსავალია სამი ძირითადი პრინციპი: 1. **კერძო საკუთრება**; 2. **თავისუფალი მეწარმეობა** და 3. **თავისუფალი კონკურენცია**. რაც შეეხება სახელმწიფოს, იგი მხოლოდ ეკონომიკის საერთო განვითარებასა და ეკონომიკურ კანონმდებლობას უნდა აწესრიგებდეს.

ლიბერალიზმის მომხრეები მომავალში სხვადასხვა პრობლემას წააწყდნენ. ამან ლიბერალიზმში განაპირობა პირობითად ორი მიმართულების გამოყოფა: პირველი, რადიკალური, ანუ ფრიტრედერული (რ.მალთუსი, ფ.ბასტია...), რომლებისთვისაც მთავარია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობა და თავისუფალი მეწარმეობა; მეორე, რეფორმატორული (ი.ბენთამი, ნ.სენიორი, ჯ.ს. მილი...), რომელიც სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად დასაშვებად თვლის ლიბერალური პრინციპების სახელმწიფოს აქტიურ როლთან შეთანაწყობას.

1. თომას რობერტ მალთუსი (1766-1834) განსხვავებული ხედვებით

1.1. მოსახლეობის პრინციპები

რ.კანტილიონის, ფ.კენესა და ა.სმითისათვის წარმოების უმთავრესი ფაქტორი მიწა იყო და ისინი შრომის არსის ახსნაში თავიანთ მოსახლეობის თეორიას ეყრდნობოდნენ. რობერტ თომას მალთუსმა კი მათგან განსხვავებული ხედვებით, სამრეწველო რევოლუციის ეპოქაში „მოსახლეობის დიდი აფეთქების“ ცნობილი დოქტრინა შექმნა.

1562 წლიდან ინგლისში ღარიბებზე ზრუნვის სისტემა მოქმედებდა, რომლის ძირითადი ფინანსური წყარო ე.წ. ღარიბთა ბეგარა იყო. მე-17 საუკუნეში სამრეველოებს ღარიბთათვის სპეციალური სახლების დაარსების უფლება მიეცათ. ასეთი სისტემა ძვირი იყო და პრობლემას ვერ წყვეტდა. ეს სახლები „კატორღას“ წარმოადგენდა, რომელიც გაჭირვებულ ადამიანს თავისი ბედის სამრეველოსთან დაკავშირებას აიძულებდა. ამით მათ ძირითადი (პოლიტიკური) თავისუფლება ერთმეორდათ.

გოდვინის რეკომენდაციები საბაბი გახდა იმისა, რომ „ღარიბების დახმარება“ ყველას შეხებოდა. 1795 წელს საფრანგეთში მიიღეს „დეკლარაცია“, რომლის მიხედვითაც ყველა მოქალაქეს, რომელსაც თავისი ელემენტარული მოთხოვნილების დაკმაყოფილების უნარი არ შესწევდა, უფლება ჰქონდა თანამოქალაქეთაგან დახმარება მოეთხოვა.

დახმარების უფლება ადამ სმითის დებულებებს ეწინააღმდეგებოდა, რომელიც პრინციპში უარყოფდა კანონს ღარიბებზე, რადგანაც იგი მოთხოვნის შესაბამისად სამუშაო ძალის თავისუფალ გადანაწილებას ხელს უშლიდა. სმითის მიხედვით, აქედან შრომის უთანაბრო ანაზღაურება გამომდინარეობდა, რაც მუშათა ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გოდვინის სისტემას მალთუსიც უარყოფდა და სმითის სისტემის განმტკიცებას ცდილობდა. მალთუსის აზრით, ჭარბი მოსახლეობა უთანასწორობას იწვევს და დახმარების მასშტაბებს ზღუდავს.

ინგლისელი ეკონომისტი თომას რობერტ მალთუსი (Malthus) დაიბადა 1766 წელს რუკერში. იგი დიდგვაროვან შვიდშვილიან ოჯახში მეექვსე შვილი იყო და ამ ქვეყანას სოფლის სახლში მოევლინა, რომელიც მამამისმა ეოტონში (სურეი) ააგო. მამამ იურისპრუდენცია მიატოვა და ლიტერატურით დაინტერესდა. იგი იცნობდა და თაყვანს სცემდა ჟ.რუსოს, რომელსაც ხშირად სტუმრობდა. ამ პერიოდში რობერტიც შეეძინა, რომელიც ფიზიკური ნაკლით დაიბადა და ამის გამო მთელი სიცოცხლე მეტყველების დეფექტით იტანჯებოდა.

ახალგაზრდა მალთუსი 1784 წლამდე განათლებას სახლში, მასწავლებლებთან და კერძო

სკოლებში იღებდა, შემდეგ იგი სასწავლებლად კემბრიჯში – იესოს კოლეჯში გაიგზავნა, რომელიც 1788 წელს დაამთავრა. მან საბუნებისმეტყველო ფილოსოფიასა და მათემატიკაში ფართო განათლება შეიძინა. თითქოსდა კარგი მათემატიკოსიც უნდა გამხდარიყო, მაგრამ სამღვდელოებაში შესვლა ამჯობინა. 1788 წელს იგი დიაკვნად ეკურთხა.

1793 წელს მალთუსი იესოს კოლეჯის წევრი გახდა; ამან მას მცირე შემოსავალი გაუჩინა. მღვდლის თანაშემწედ მსახურობდა ეოტონის პატარა სამლოცველოში. ნათლობებმა, ქორწილებმა და დაკრძალვებმა მას საშუალება მისცა ხალხის წარმატებებსა და წარუმატებლობებს, ზნეობრივ თვისებებს, ნაკლოვანებებსა და სიღარიბეს ახლოს გასცნობოდა.

წერილებმა **„მოსახლეობის პრინციპის შესახებ“**, რომელიც სექსუალური ყოფაქცევით ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პრობლემებს ეხებოდა, მალთუსი პოპულარული გახადა. ისეთ პიროვნებებთან ერთად, როგორებიც იყვნენ დარვინი და მარქსი, იგი მე-19 საუკუნის დისკუსიების ერთ-ერთ „გრიგალად“ იქცა.

ხანგრძლივმა მოგზაურობამ სკანდინავიასა და, საერთოდ, კონტინენტზე მას მოსახლეობის შესახებ ვრცელი მასალის შეგროვების საშუალება მისცა.

1804 წელს იგი დაქორწინდა და სამი შვილი შეეძინა.

1805-1834 წწ. მალთუსი ახლადდაარსებულ აღმოსავლეთ ინდოეთის კოლეჯში (ლონდონის მახლობლად) თანამედროვე ისტორიის, პოლიტიკის, კომერციისა და ფინანსების კათედრის პროფესორად მუშაობდა. იგი პოლიტიკურ ეკონომიაში ერთ-ერთი პირველი ბრიტანელი პროფესორია.

მალთუსის ოცდაცხრა წლის ზიგზაგიანი ცხოვრების ისტორია მისი „ესეს“ და სხვა პუბლიკაციების წარმატებით გამოცემების ისტორია იყო.

იგი აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას რჩევებს აძლევდა. მალთუსი ბევრს მოგზაურობდა ლონდონში თავის მეგობრებთან (რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი დ.რიკარდო იყო).

1834 წელს იგი გულის შეტევით გარდაიცვალა.

მოსახლეობის შესახებ მალთუსის შეხედულებებს ბევრი იზიარებდა, მაგრამ იგი რიკარდოსა და მისი მიმდევრებისაგან განსხვავებით ყოველთვის განმარტოებით იდგა. პოლიტიკური შეხედულებებით იგი კონსერვატორი იყო, რომელიც თავისუფალი ვაჭრების წინააღმდეგ მარცვლეულის მწარმოებლებს იცავდა. ადვილად აღგზნებადი, კამათის მოყვარული და ამბიციური, მაგრამ პიროვნულ ურთიერთობებში კეთილი და თავაზიანი იყო.

1795 წელს მიღებული კანონი ღარიბთა შესახებ ღარიბების დახმარების არეალს აფართოებდა. იგი სამრევლოებს იმ ადამიანების დახმარებას ავალდებულებდა, რომელთა ხელფასი მათ საარსებო მინიმუმს ვერ აკმაყოფილებდა.

გოდვინის იდეებისა და ახალი კანონის მიმართ პროტესტის ნიშნად, მალთუსმა 1798 წელს გამოაქვეყნა ხელმოუწერელი ნაშრომი **„ნარკვევები მოსახლეობის პრინციპებზე, როგორც საზოგადოების მომავალ გაუმჯობესებაზე ზეგავლენის შესახებ“**[1].

მამასთან გამართული დისკუსიებით შეგულიანებული მალთუსი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა მდგომარეობის ხანგრძლივად გაუმჯობესება შეუძლებელია. კერძოდ, ღარიბთა მდგომარეობის მომწესრიგებელი კანონები ღარიბების მდგომარეობას კი არ აუმჯობესებს, არამედ პირიქით – მათ რაოდენობას ზრდისო.

1803 წელს წიგნი მეორედ გამოიცა. არსებითად, ეს ახალი წიგნი იყო. კიდევ სხვა გამოცემებში წიგნი სამ ტომამდე გაიზარდა.

12. სოციალური უსამართლობა

მალთუსმა მიზნად დაისახა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ლიბერალური წყობილებისა და სოციალური უსამართლობის გამართლება.

ადამ სმითის მიხედვით, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საუკეთესო საშუალება თავისუფლებაა. მალთუსის აზრით კი, ხალხის კეთილდღეობა ცალკეულ ადამიანთა პირობების გაუმ-

1 **ფრიტრედერობა** (ინგლ. free trade) ეკონომიკურ საქმიანობაში თავისუფალი ვაჭრობასა და სახელმწიფოს ჩაურევლობას ემხრობა.

ჯობესების გარეშე) შეიძლება ამოიწუროს ეკოლოგიური ნიშა, სადაც ის ცხოვრობს. თუ მოსახლეობის რაოდენობა უცვლელი დარჩება, ეკოსისტემა ცხოვრობს ისე, როგორც მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი საარსებო საშუალებები საშუალებას იძლევა. იგივე ითქმის, როცა ეკოსისტემა და ამ სისტემით გამოწვეული ეკოლოგიური ზეწოლის ზრდა ეკოსისტემის ბუნებრივ ზრდას გაუთანაბრდება და, იმავდროულად, მოსახლეობის ზრდაც შეჩერდება.

მისი აზრით, საერთო სტაგნაციაზე და ეკოლოგიურ კატასტროფაზე მოსახლეობას აუცილებლად სილარიბემდე მიიყვანს.

მალთუსის მიხედვით, „ეკონომიკის ტრადიციული სისტემის ზრდა კაცების პროდუქტების მაქსიმალური წარმოების პირობებს ეწინააღმდეგება. მოსახლეობა (თუ მხედველობაში მივიღებთ შობადობისა და სიკვდილიანობის არსებული დონეები) ყოველ 25 წელიწადში გაორმაგდება, ანუ გეომეტრიული პროგრესიით გაიზრდება.

მალთუსს წარმოუდგენლად მიაჩნდა, რომ კაცის პროდუქტების წარმოების ზრდა ოდესმე შესაბამის დონეს მიაღწევს.

მალთუსის აზრით, გარკვეული წინააღმდეგობის გამო, არსებული მიწიდან 25 წლის განმავლობაში ორჯერ მეტი პროდუქტის მიღება შეიძლება. გაცვლის შემდგომ 25 წელიწადში კაცების პროდუქტების წარმოება არსებული გამოყენების პირობით 4-ჯერ ვერ გაიზრდება. მიწიდან შემოსავლის მიღება შემცირდება.

მისი აზრით, არსებობის საშუალებები ბევრად ნელა გაიზრდება, ვიდრე მოსახლეობა. ხელშემწყობ პირობებშიც კი არ შეიძლება არითმეტიკულ პროგრესიაზე უფრო სწრაფად გაიზარდოს. უფრო კონკრეტულად: ადამიანის მოდგმას „1,2,4,8,16...“ ციფრების მსგავსად ზრდის ტენდენცია აქვს, მაშინ, როცა კაცების პროდუქტების წარმოება საუკეთესო შემთხვევაში „1,2,3,4,5,6...“ ციფრების მსგავსად გაიზრდება. ე.ი. მოსახლეობის ზრდის პირობებში ადრე გვაქვს გეომეტრიულ პროგრესიასთან – საწყისი წევრით – 1 და მამრავლით – 2, ხოლო კაცების პროდუქტების ზრდის დროს კი არითმეტიკულ პროგრესიასთან – საწყისი წევრით – 1 და სხვაობით – 1.

1.2.1. გამოსავლის გზები

მალთუსი მოსახლეობის ზრდის შემზღუდველ საშუალებებს ეძებდა, რომ ეპასუხა კითხვაზე – იქნებ ქორწინების უფლების ასაკმა აიწიოს? თუმცა მალთუსს ეს არარეალურად მიაჩნდა: ვინ შეასრულებს ამას და როგორ შეიძლება ამ საქმეში დარღვევების გამოვლენა? ადამიანს, რომელიც ნებადართულ დროზე ადრე დაქორწინდება, სამარცხვინო ბოძზე კაკრაზე მაინც ხელს გაიშვერ და გაამათრახებ? ციხეში ჩასვამ? მის ბავშვებს უპატრონოდ დატოვებ? დასჯის ყველა ფორმა, რომელიც ასეთი სახის მოქმედებისათვის შეიძლება გამოიყენო, აღმაშფოთებელია და პუნქტის საწინააღმდეგო არ იქნება?

მალთუსმა გამოსავლის ორი გზა გაანალიზა: პირველი – მანკიერ მშობიარობაზე კონტროლი; მეორე, ზნეობრივი თავშეკავება, ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ გარკვეული დროის ანდა მთელი ცხოვრების მანძილზე ქორწინებასა და შვილის ყოლაზე ნებაყოფლობითი უარი.

იგი მშობიარობაზე კონტროლის ყველა ფორმის წინააღმდეგია, რამდენადაც ასეთი ქმედება ბუნების საწინააღმდეგო მცდელობაა, რომელიც დაშლის როგორც ზნეობას, ასევე საზოგადოებას.

ამგვარად, მალთუსი მიიდა დასკვნამდე, რომ მოსახლეობის ზრდის შეზღუდვა ძირითადად მხოლოდ „ზნეობრივი თავშეკავებით“ შეიძლება.

ამაზე დროის მას მიაჩნდა, რომ ასეთი საშუალების გამოყენება შესაძლებელია ქონებრივ უთანასწორობაზე აგებულ საზოგადოებაში, ხოლო თანასწორობა საზოგადოებაში ცალკეულმა ადამიანმა ქორწინებისაგან თავი არ უნდა შეიკავოს.

მალთუსის მიხედვით, უთანასწორო საზოგადოებაში მხოლოდ ის ახალგაზრდები დაქორწინდებიან, რომელთაც ოჯახის შენახვის საშუალება აქვთ. სხვებმა, მათი ქონებისა და შემოსავლების მიხედვით უნდა განსაზღვრონ ქორწინების დრო.

მაგრამ პრობლემის ასეთი გადაწყვეტის წინაპირობად მან ღარიბებზე ზრუნვის არსებული სისტემის გაუქმება მოითხოვა. მალთუსის იდეებით, „კანონები ღარიბებზე“ საბოლოოდ მათ წინააღმდეგ იმოქმედებს.

1803 წლის შემდეგ გამოქვეყნებულ გამოცემებში მალთუსი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ იგი ღარიბებისა და, საერთოდ, მოსახლეობის ეონივრული ზრდის წინააღმდეგი არ იყო. თუმცა, მისი ნაშრომი შემდეგაც შეიცავდა აზრებს, რომლის ილუსტრირებასაც უკვე ციტირებული აზრები წარმოადგენს.

1.2.2. რეალობა

მალთუსის პოლიტიკური თეზისები მოსახლეობის შესახებ ხშირად უარყოფით გამოძახილს პოულობდა, მაგრამ ზოგჯერ ეს უარყოფა ნაკლებად არგუმენტირებული იყო.

ამასთან დაკავშირებით ხშირად აღნიშნავდნენ იმას, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა მე-19 საუკუნის დასასრულიდან მძიმე ტვირთს აღარ წარმოადგენდა.

ეს შედეგი, ჯერ ერთი, ევროპელთა მასობრივი გადაადგილებით და მეორეც, ჩასახვის აცილების მეთოდების გავრცელებით იქნა მიღწეული.

მალთუსს არ უარყვია, რომ ზემოაღნიშნული ღონისძიებებით მოსახლეობის ზრდის შეჩერება შეიძლება.

იგი დაწვრილებით სწავლობდა მოსახლეობის შემცირების საკითხებს ძველ რომშიც. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში დღეს „კარგი მოსახლეობის" არსებობა განსაკუთრებით გადაუდებელ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ შეუძლებელია იმის მტკიცება, თითქოს ფაქტებმა სრულად გააქარწყლა მალთუსის მიერ წამოყენებული დოქტრინის რეალობა — გაცილებით ძნელია მისი სრული უარყოფა, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ.

მალთუსის დოქტრინით მოსახლეობის მატების ტემპი დიდად აღემატება კვების პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპებს; გარკვეული რეგიონის მოსახლეობას (თუ მას ამის შესაძლებლობა გააჩნია) შეუზღუდავად შეუძლია გამრავლდეს, გაორმაგდეს 25 წლის განმავლობაში და უფრო მოკლე დროშიც კი — მიუხედავად მეცნიერული მიღწევებისა. ყველა რეგიონში ყოველ 25 წელიწადში კვების პროდუქტების წარმოების ავტომატურად გაორმაგება შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, აუცილებელი არაა იმის დასკვნა, რომ მალთუსის თეორია მთლიანად მიღებულია, განსაკუთრებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სოციალური უთანასწორობა, სიღატაკე და გაღატაკებული მშრომელი ფენის არსებობა საზოგადოების რაიმე პროგრესის წინაპირობაა. ასეთი დასკვნა მალთუსის არასწორი გაგებისაგან მიიღება.

მალთუსი ეძებდა იმ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც (მოსახლეობის მატების ტენდენციის მიუხედავად) სოციალურ სფეროში პროგრესის მიღწევა შესაძლებელია. ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ, წარსულში მთელ რიგ ღონისძიებებს მიმართავდნენ, — დაწყებული სოციალური საკითხებით და დამთავრებული სექსუალური ცხოვრების შეზღუდვის მეთოდებით.

ასეთი ღონისძიებები, მალთუსის აზრით, სოციალური პროგრესის ტენდენციასთან შეუთავსებელია, რადგან ისინი მიმართულია გადაწყვეტილების თავისუფლების, ანდაც ინდივიდის აქტიურობის უარყოფისკენ. მალთუსი ხშირად უსვამს ხაზს იმ საშიშროებას, რომელსაც ინდივიდის თავისუფლებაზე სახელმწიფოს ზემოქმედება გამოიწვევს, — როგორც უკვე ითქვა, ქორწინების მინიმალური ასაკის ზრდა საბოლოო ჯამში, მას შეუძლებლად მიაჩნდა. აქ ნათლად ვლინდება მისი ინდივიდუალური თვალსაზრისი.

ჩასახვისაგან დაცვას, როგორც ქრისტიანულ ზნეობასთან შეუფერებელს, იგი უფრო მეტად უარყოფს. მალთუსის ფიქრით, ჩასახვის აცილება ინდივიდის აქტიურობის პარალიზებას იწვევს, რომლის გარეშეც პროგრესის არსებობა შეუძლებელია. იგი მოსახლეობის მატების შეფერხების ხელოვნური, არაბუნებრივი საშუალებების გამოყენების წინააღმდეგი იყო, რამდენადაც ის ანტიზნეობრივი და ინდივიდის ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო ინიციატივის შემაფერხებელია. თუ ყველა ცოლ-ქმარს იმდენი შვილი ეყოლება, რამდენიც სურს, მაშინ ცალკეულ ქვეყნებსა და მთლიანად დედამიწაზე მოსახლეობა ნორმალურ და ბუნებრივ დონეს ვერ მიაღწევსო.

აქედან ნათლად ჩანს, რომ მალთუსი დედამიწის „ნორმალურ" ზრდას კაცობრიობის ამოცანად თვლიდა, ამაში ცივილიზაციის განვითარებისა და ადამიანის ბედნიერების წინაპირობას ხედავდა. ასე მიიჩნია იგი დასკვნამდე, რომ ჩასახვის აცილება ხელს უშლის წარმოების ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის ზრდის წინაპირობაა.

1.2.3. მდიდრები და ღარიბები

მალთუსი საზოგადოებას ყოფს ორ ჯგუფად – **მდიდართა კლასად**, რომელიც დანაზოგებით ინვესტირებას ახდენს და **ღარიბთა კლასად**, რომელიც შრომობს.

მოსახლეობის ზრდის ტემპი, მალთუსის მიხედვით, დიდადაა დამოკიდებული ღარიბთა მასის საქციელზე, რამდენადაც ეს კლასი ყველაზე მრავალრიცხოვანია, კეების პროდუქტების ზრდის ტემპი კი ძირითადად მდიდრებზეა დამოკიდებული.

ამიტომ, მალთუსის შეხედულებით, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია მოსახლეობის ზრდის ტენდენციას ვერ გაუთანაბრდება; მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია მოსახლეობის უმცირესობაზე საგრძნობ ზეგავლენას ახდენს.

ბევრი შეიძლება ითქვას ამ საკამათო იდეებზე. აქ არსებითი მნიშვნელობა იმ ფაქტს ენიჭება, რომ მალთუსი არგუმენტების განმეორებით, იმ მომავალ სპეციფიკურ წარმოების წესს უკავშირდება, რომლის საფუძველს საზოგადოების ორ კლასად დაყოფა წარმოადგენს. ამათგან **ერთი კაპიტალი, მეორე კი საშუშაო ძალაა.**

მალთუსის თეორიის საეჭვოობა მისი წანამძღვრების საეჭვო ხასიათიდანაც გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც არსებობს ინდივიდუალიზმი და რომ მუშათა კლასის საპირისპიროდ აუცილებლად კაპიტალისტთა კლასი არსებობს.

უფრო რეალურია ის მოსაზრება, რომ გარკვეულ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობა გაცილებით უფრო სწრაფად შეიძლება გაიზარდოს, ვიდრე კეების პროდუქტების წარმოება, მაგრამ არასწორია მტკიცება, რომ ჭარბი მოსახლეობის უარყოფითი შედეგები იმის საშუალებით დაიძლევა, რომ ცალკეულმა ადამიანმა კარზე მომდგარი გაჭირვების ასაცილებლად სექსუალურ ცხოვრებაზე უარი თქვას. ჯერ ერთი, გაუმართლებელია, რომ ყველა სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიება, რომელიც კეების პროდუქტების წარმოების ზრდისკენაა მიმართული, თავიდანვე ფუჭად გამოცხადდეს. ასევე არაგონიერულია სხვა მეთოდების (გარდა „ზნეობრივი თაშეკავებისა") სარგებლიანობისა და ეფექტურობის უარყოფა.

დასავლეთ ევროპის მოსახლეობის ზრდის ისტორიას მე-19 საუკუნეში, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო, მთლად არ შეუძლია უკუაგდოს მალთუსის დოქტრინა. და ეს მას არ ძალუძს იმის გამო, რომ იგი იმპერიალისტურ ექსპანსიასთანაა დაკავშირებული, რომელმაც იმავდროულად დემოგრაფიული განვითარების წინაპირობები საფუძვლიანად შეცვალა და მხოლოდ გარკვეული მასშტაბით კეების პროდუქტების რეზერვები გაზარდა.

თუმცა, დასაშვებია ის მოსაზრება, რომ თვით ადამიანებში შეიძლება დამკვიდრდეს „მშობიარობის კონტროლის" მეთოდები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების შეუფერხებლად მოსახლეობის ზრდის ტემპებს მნიშვნელოვნად შეზღუდავენ.

13. წარმოების ხარჯები

1815 წელს მალთუსმა გამოსცა ნაშრომი: **„გამოკვლევა რენტის ბუნების, პროგრესისა და იმ პრინციპების შესახებ, რომელთა საშუალებითაც ისინი წესრიგდება"**[1], რომელიც რენტის თეორიის პრობლემების განხილვას მიეძღვნა.

ავტორის მტკიცებით, მიწის ხელსაყრელი ადგილმდგომარეობა საარსებო წყაროების ღირებულების ზრდას განაპირობებს.

მალთუსის კიდევ ერთი ნაშრომი – **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები, განხილული მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით"**[2] (1820) შრომითი ღირებულების თეორიის უარყოფის ცდაა.

ამ ნაშრომებში მალთუსმა საქონლის **წარმოების ხარჯები** მის წარმოებაზე **დახარჯული შრომითა და ავანსირებული კაპიტალით** განსაზღვრა. ავტორი მიწაზე საკუთრების უფლებას იცავს.

მალთუსმა წარმოების ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად რეალიზაციის პრობლემა დაას-

1 An Inquiry into the nature and Progress of rent, and the Principles by which it is regulated, L., 1815.

2 Principles of political economy, L., 1820.

ახლა, შესაბამისად, იგი რეალიზაციისა და კრიზისების დაძლევაში გადამწყვეტ როლს მიწათმფლობელების მოთხოვნის ზრდას ანიჭებდა.

მალთუსი, ალმოსაველეთ ინდოეთის კოლეჯში პოლიტეკონომიის პროფესორის წოდების მინიჭების შემდეგ, კვლევებს ეკონომიკურ მეცნიერებაში აწარმოებს. თავდაპირველად, ინგლისში ხორბლის ფასების მომატების პრობლემებით იყო დაკავებული. მან ფასების მატება იმ მოვლენით ახსნა, რომელიც მოგვიანებით ეკონომისტებმა „დიფერენცირებულ რენტას მიაწერეს“.

მისი შეხედულებით, პროდუქტის ფასი ყველა განვითარებულ სასოფლო რაიონში ნაკლებმოსავლიან მიწაზე დამატებითი პროდუქტის მისაღებად საჭირო დანახარჯებს უნდა შეესაბამებოდეს. წარმოებული პროდუქტის დიდი ნაწილი გაწეულ დანახარჯებზე მეტ ფასად გაიყიდება – იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქტის ნაწილი ნაკლები დანახარჯით იწარმოება და მისი საცვლელი ღირებულება არ მცირდება.

ამგვარად, მალთუსი ერთ-ერთი ის ეკონომისტია, რომელმაც **ფასი ზღვრულ დანახარჯებს[1] დაუკავშირა**. ამ ურთიერთობის გამოვლინებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა სმითის დებულება იმის შესახებ, რომ მიწის რენტა შრომით იქმნება. ეს პროცესი შეიძლებელია მიწაზე საკუთრების მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარეობდეს. სხვადასხვა ნაყოფიერების მიწაზე სხვადასხვა მონოპოლიური მდგომარეობა არსებობს. ასე რომ, შრომითი დანახარჯიდან რენტის მიღება მიწის ნაყოფიერებას უკავშირდება.

ეს დასკვნები მალთუსისათვის მეორეხარისხოვანი იყო. დიფერენციული რენტის საფუძველზე მას ხორბალზე მაღალი ფასების ახსნა სურდა. მისი აზრით, ესაა კეთილდღეობის შედეგი: ხორბლის ფასი მდიდარ ქვეყნებში ძალზე მაღალია და იგი მუშებს არ დააზარალებს, ვინაიდან მათი შემოსავალიც პარალელურად გაიზრდება. იმპორტი, რა თქმა უნდა, ფასების მატებას ვერ შეაჩერებს, მაგრამ ამისათვის ბეგარა უნდა შემცირდეს, რომელიც სოფლის მეურნეობას მძიმე ტვირთად აწვებაო.

ნათელია, რომ მალთუსი მიწათმფლობელების ინტერესებს იცავს, რამაც განაპირობა მისი ასეთი „წარმატებები“.

1.4. ჭარბწარმოების კრიზისები

იმ კლასიკოსებს შორის, რომლებიც ჭარბწარმოების საერთო კრიზისების შესაძლებლობას არ უარყოფენ, პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნეს მალთუსი[2].

მალთუსი ცდილობდა კლასიკური სისტემის ფარგლებში ჭარბწარმოების საერთო კრიზისების არსებობის დასაბუთებას. ამის მიზეზად იგი ფულის გადაჭარბებულ დაზოგვას მიიჩნევდა.

მალთუსის აზრით, შემოსავლების განაწილების არაერთგვაროვნება კაპიტალის დაგროვებასა და პროდუქტის წარმოების გაფართოებაზე ზემოქმედებს, რომელსაც მეწარმეებში სამომხმარებლო ძალთა ზრდა თან არ ახლავს. აქედან გამომდინარე, „ყველა სახეობის საქონლის უჩვეულო რაოდენობით შეთავაზება ბაზარზე ხდება“.

მისი აზრით, საქონელთა წარმოებას კერძო კაპიტალის დაგროვებიდან გაღებულ დაბანდებებს უნდა ვუმადლოდეთ, კერძოდ კი კაპიტალისტების მიერ დანაზოგი თანხა მშრომელთა ანაზღაურებისათვის გამოიყენება, რომლებიც ამ თანხას მოხმარებისათვის ხარჯავენ. მაგრამ წარმოების გაფართოება წარმოებული საქონლის რაოდენობას ზრდის; რომელიც მშრომელების მიერ ვერ იქნება შეძენილი, რადგან ისინი საკმარის ყიდვითუნარიანობას არ ფლობენ. და რადგან ეს ჭარბწარმოებული პროდუქტი იმ ფასად ვერ გასაღდება, რომელიც ხარჯებსაც დაფარავს – მისი გასაღება შეფერხდება და ფასიც დაეცემა მანამ, სანამ მცირე მოგებიდან გაკეთებული ჭარბი დანაზოგი კვლავ არ წარმოქმნის წონასწორობას.

---

1 დამატებითი დანახარჯები ერთეული პროდუქციის წარმოებისას.

2 თუმცა, ჯერ ჯიდევ ლაუდერდალე (1759-1839), რომელიც ასევე სმითისეული შეხედულებების წინააღმდეგი იყო, ჭარბწარმოების საერთო კრიზისების შესაძლებლობას მალთუსამდე ამტკიცებდა. მისი აზრით, ეს კაპიტალის ზედმეტად დაგროვების შედეგია, მაგრამ მისმა დასაბუთებამ წონასწორობის შესახებ კლასიკური შეხედულებები ვერ გააბათილა.

მალთუსის ეს არგუმენტაცია მაინც შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავს, ასე მაგალითად, ის, რომ თითქოსდა ადრე კერძო სამსახურში მყოფი პირები პროდუქტიულები მხოლოდ საქონელწარმოებაში ჩართვით გახდნენ, ამიტომ წონასწორობის კლასიკური თეორიის დამაჯერებლად გადმოცემა მანაც ვერ შეძლო.

2. ფული - კლასიკური ტრადიციის დასრულება: ჰენრი თორნტონი (1760-1815)

2.1. ბანკირი და პოლიტიკური მოღვაწე

კლასიკური ერის მიწურულს განვითარებულ მონეტარულ ანალიზს, მარჟინალისტურმა ერამ ბევრი ვერაფერი შემატა. კლასიკური ტრადიცია საკმაოდ განსხვავებულად წარმოჩინდა – მასში თანამედროვე მონეტარული მაკროეკონომიკის ბევრი ელემენტი უკვე მოცემულია. ამ მიმართულებით პირველი სამშენებლო აგურები მოწოდებულია რ.კანტილიონის, დ.იუმისა და ჰ.ნ. ქრისტიერნინის მიერ. მას მძლავრი დასაყრდენი შეუქმნა დ.რიკარდომ. მრავალიარუსიან საბანკო სისტემაში მონეტარული მიკროდინამიკის ელემენტების ანალიზი ჰ.თორნტორნის დამსახურებაა.

ინგლისელი ჰენრი **თორნტონი** (Thornton) დაიბადა ლონდონში 1760 წელს. იგი იყო მდიდარი ვაჭრის მესამე ვაჟიშვილი. როგორც ირკვევა, იგი ღვთისმოშიშობას და გულმოწყალებას უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, ვიდრე ცოდნას და ამის გამო ჰენრიმ მხოლოდ შეზღუდული განათლება მიიღო და კომერციული საქმიანობა დაიწყო. შემდგომში თორნტონი ოცდაორი წლის ასაკში თემთა პალატაში აირჩიეს. ამის შემდეგ მალე იგი საპატიო საბანკო ფირმის პარტნიორი და ბანკირი გახდა.

საბანკო ბიზნესი იყო საკმაოდ სარფიანი, თუმცაღა თორნტონმა ბევრი დრო მოახმარა თავის საქველმოქმედო და პოლიტიკურ საქმიანობას. მისი შემოსავლის უმეტესი ნაწილი მოწყალებაზე იხარჯებოდა.

თორნტონი, როგორც პარლამენტის წევრი, იყო ღრმად პატივცემული, თუმცა არც ისე ცნობილი.

იგი გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (საავარაუდოდ, ჭლექით).

2.2. ქაღალდის ფული

ჰ.თორნტონის გამოქვეყნებულ ნაშრომთა უმეტესობა რელიგიური ბროშურები და ღოცვის წიგნებია. თემთა პალატაში გაკეთებული რამდენიმე მოხსენების გარდა, გამოიცა მისი მთავარი ეკონომიკური ნაშრომი **„დიდი ბრიტანეთის ქაღალდის ფულის ბუნებისა და მოქმედების გამოკვლევა“** (1802)[1]. იგი მისი, როგორც ეკონომისტის დიდების საფუძველი გახდა.

თორნტონი აქტიურად მონაწილეობდა მიმდინარე ეკონომიკურ დისკუსიებში. 1797 წელს ინგლისის ბანკი (ზოგიერთი განცალკევებული საბანკო კრიზისის შემდეგ) თავისი თამასუქების ოქროში გადაცვლას შეეცადა. დროთა განმავლობაში ოქროს საბაზრო ფასმა აიწია. დამტკიცდა, რომ ეს იყო ბანკის თამასუქების ზედმეტი ემისიის აშკარა ნიშანი და რომ იგი შეიძლებოდა გამოსწორებულიყო ფულადი ემისიის შემცირებით.

თორნტონის მტკიცებით, ა.სმითი არ იყო სწორი, როცა ოქროს საბაზრო ფასსა და მისი მოჭრის ფასს შორის ყველა შესაძლო სხვაობას მონეტარული პოლიტიკით ხსნიდა, თუმცა ამისათვის მას შეიძლება ჰქონდაო „რეალური მიზეზებიც“[2].

თორნტონის ფუნდამენტურ წვლილთა უმეტესობა, შეიძლება ითქვას, იყო ღია ეკონომიკის

---

1 **Thornton** H., Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of the Great Britain (1802), 1939 (ფ.ჰაიეკის მიერ გამოცემული – Library of Economics).

2 იქვე, გვ. 225.

ფინანსური დაბალანსების მოდელის პირველი მონახაზი. ჯეიმზ ტობინის ტერმინებით, იგი იყო პირველი, მონეტარულ დოქტრინასთან ზოგად-წონასწორობიანი მიახლოების განვითარებაში – მისი მსჯელობის საგანია ფულის როლი ფინანსების თეორიაში. ამ სისტემაში საქონელი (როგორც უცხოური, ისევე სამამულო), შრომა, ოქროს ფული, საბანკო თამასუქები, ბანკნოტები, სავაჭრო კრედიტი, მთავრობის ფასიანი ქაღალდები და სხვა მოთხოვნილება, მოთხოვნილი და მიწოდებულია საბაზრო პირობებიდან გამომდინარე. საბაზრო პირობები თავის მხრივ ისეთია, რომ თითოეულ ბაზარში მოთხოვნა და მიწოდება გათანაბრებულია.

თორნტონმა განავითარა შეხედულება, რომ არსებობს გადახდილი თანხის ფართო სპექტრი, თითოეული განსხვავებული მახასიათებლით. კერძოდ, ბანკნოტები შეიძლება გახდნენ რისკიანნი, თამასუქები ინტერესს აჩენს. აქედან გამომდინარე, მათი მიმოქცევის სისწრაფე და დაკავების საშუალო პერიოდი სრულიად განსხვავებულია. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მიმოქცევის სისწრაფე საბაზრო პირობებზე დამოკიდებულებით მერყეობს. იგი მაღალია მაღალი რისკიანობის პერიოდებში, მაშინ როდესაც რისკიანობის ნაკლებობას დაგროვებამდე მივყავართ. ფულზე მოთხოვნის ანალიზი 30-იან წლებში ჯ.ჰიქსმა გააუმჯობესა ნაშრომში „წინადადებანი ფულის თეორიის გამარტივებისათვის“ (1935).

თორნტონთან საბანკო სექტორი სამიარუსიანი სისტემაა, რომელიც ინგლისის ცენტრალური ბანკის, ლონდონის ბანკებისა და სასოფლო ბანკებისაგან შედგება. თითოეული ფლობს დანაწევრებულ ფონდებს, რომლებიც შეიცავენ ოქროს ან ცენტრალური ბანკის ბანკნოტებს.

თორნტონის შეხედულებით, საბანკო სისტემის სტაბილიზირებისათვის ცენტრალური ბანკის სპეციფიკური ფუნქციებიდან გამომდინარე გასცემს საკრედიტო რესურსებს. ამიტომ, ცენტრალური ბანკი არ უნდა იყოს დაინტერესებული მხოლოდ მოგების მიღებით კომერციული ბანკების მსგავსად; იგი ბანკნოტებსა და ოქროს რეზერვებს შორის პროპორციასაც არ უნდა ამტკიცებდეს.

ჰ.თორნტონს, როგორც ბანკირს, აფრთხობდა მოულოდნელი დეფლაციის[1] შედეგები. ფულის დეფიციტი ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის ფასების დაუყოვნებლივი შემცირებით მთავრდება. მოკლე დროში ამგვარი ფასდაკლება რეალურობისაგან შორსაა. ისინი გაწონასწორდებიან, თუ ხელფასები ფასების მსგავსად არ შემცირდება, მაგრამ, სინამდვილეში ხელფასები შედარებითი სიმყარისაკენ მიისწრაფიან. ეს საინტერესოდ აიხსნება იმ საერთო მოლოდინით, რომ ოქროს სტანდარტზე ნაკლები ფასები სწრაფად უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ადრინდელ დონეს იმ დაშვებით, რომ ფასები წამიერ შეთანხმებებს უკავშირდება, მაშინ როდესაც ხელფასები დროის უფრო ხანგრძლივ პერიოდთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ხელფასები ნაკლებად დინამიკურია, ვიდრე ფასები; ხელფასის სიმყარიდან გამომდინარე, დეფლაციას თან ახლავს უმუშევრობა და შრომის მწარმოებლურობის დაცემა. იმავე დროს იზრდება მეწარმეთა დაინტერესება. ხანგრძლივ დროში, რა თქმა უნდა, ორივე – როგორც ფასები, ისევე პროდუქტის მიწოდება დაუბრუნდება მათი წონასწორობის დონეებს და დეფლაცია ოქროს უფრო გაზრდილ ფონდებში აისახება[2].

მონეტარული ექსპანსიის შემთხვევაში მოვლენების განვითარების თანამიმდევრობა ასეთივეა, მაგრამ საწინააღმდეგო ნიშნით. ფასიანი ქაღალდების ყიდვა ცენტრალური ბანკის მიერ იზრდება, ვინაიდან ბანკნოტები უფრო მეტი სისწრაფით მიმოიქცევიან[3]. ამგვარად, თორნტონი გასაგებს ხდის იმას, რომ გადამწყვეტი ფაქტორია არა სიმდიდრის ეფექტი, არამედ შემოსავლის წყაროს გარდაქმნა.

გაჭიანურებული პროცესებისათვის თორნტონი თანამედროვე მიკროდაწესებულებების ღირსებას უზრუნველყოფს: ხაზინადარები ზრდიან თავიანთ მოთხოვნას, რომელიც აქეზებს წარმოებას, თუმცა საქონელთა მიწოდება წამიერად ვერ გაიზრდება. ფულის არმიმღებთა დარწმუნება წარმოების შეჩერებაზე და ზოგიერთისათვის სამსახურიდან თავის დანებებაზე, წარმოუდგენელია, ამიტომ ფულის მიმღებებმა ფასები უნდა გაზარდონ. ეს ქმნის მოგებას და პროდუქციის წარმოების სტიმულს; თუ ხელფასები მერყეობს, მაშინ მუშები ამგვარად მათი ყიდვითუნარიანობის შემცირებას

1 მიმოქცევიდან ფულის მასის ამოღება ინფლაციის ტემპების შესამცირებლად, მისი ყიდვითუნარიანობის ასამაღლებლად.

2 Thornton H., Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of the Great Britain (1802), 1939 (ფ.ჰაიეკის მიერ გამოცემული – Library of Economics), გვ. 118-120.

3 იქვე, გვ. 242.

განიცდიან, იძულებით ხარჯებს ამცირებენ და დანაზოგებს ზრდიან[1]. იძულებული დანაზოგის იდეა ამგვარად გამოჩნდა მონეტარულ თეორიაში.

ხელფასის ჩამორჩენა უზრუნველყოფს მომავალი წარმოების სტიმულს, თუმცა, პროდუქტის ფასი თავდაპირველად ფულის მიწოდების გაზრდასთან შედარებით ნაკლებად იზრდება, ისინი თანდათანობით ემთხვევიან მას, მაშინ როდესაც პროდუქციის ფასი ეცემა[2]. თანამედროვე ტერმინით მას უნდა ეწოდოს „stagflation" (სტაგფლაცია)[3].

მსგავსი პროცესი დაწყებულია, თუ ცენტრალური ბანკი ბანკნოტებს საბაზრო განაკვეთზე ნაკლებად ანაღდებს. ამ პროცესის თორნტონისეული აღწერა მთავარ საკითხში იდენტურია ერთობლიეი პროცესის აღწერისა, რომელიც კვლავ იქნა აღმოჩენილი ვიკსელის მიერ.

თორნტონის პოლიტიკური ანალიზის ერთი არსებითი ასპექტთაგანი იყო განსხვავება ცენტრალური ბანკის ოქროს დანაკარგებსა (ან შიგა დაცლას) და ოქროს გასავალს (ანუ გარე დაცლას) შორის. რაც შეეხება საერთაშორისო გაცვლას, მასში თორნტონს ორიგინალური წვლილი არ შეუტანია. იგი ხშირად პატივცემულია, როგორც გამომგონებელი ან ყოდვითუნარიანობის თანასწორობის დოქტრინის ავტორი. უმეტესწილად, იგი მაინც ერთი ფასის კანონს ეყრდნობა, რომელიც გულისხმობს, რომ საერთაშორისო სავაჭრო პროდუქტი, მათ შორის, ოქროს ნაკადები უფრო მაღალმგრძნობიარეა შედარებითი ფასების მცირე შეცვლაზეც კი. ამ მხრივ, იგი მხოლოდ ადამ სმითის ტრადიციას მიყვება. მან გააკრიტიკა დეივიდ იუმი ფასების დიფერენციაციის მნიშვნელობის გაზვიადებაში.

თორნტონი წარმოადგენს კლასიკური მონეტარული დოქტრინის წარმატებათა პიკს.

მონეტარულ თეორიაში რიკარდო ძლიერ წავიდა თორნტონზე წინ. როგორც ჩანს, მას თორნტონისაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა. პირველი, რიკარდომ მთავარ საკითხად აქცია ის, რომ ბანკნოტების ზედმეტი გამოშვება მხოლოდ ოქროზე დიდი მოთხოვნილების შემთხვევაში იყო შესაძლებელი. ეს დოქტრინა არასდროს ყოფილა გაზიარებული თორნტონის მიერ. თორნტონმა დაამტკიცა, რომ ფულის შემცირებამ, პროდუქციისა და შრომის მწარმოებლურობის კლების თვალსაზრისით, ვაჭრობის ბალანსი შეიძლება გაუმჯობესოს. ეს ის საკითხია, რომელზეც თორნტონმა მოგვიანებით აღიარა, რომ შეცდომა დაუშვა.

მთავარი განსხვავება თორნტონსა და რიკარდოს შორის შეეხება უფრო გადმოცემას, ვიდრე არსს. მაშინ როდესაც თორნტონმა თავი მოუყარა დინამიკური რეგულირების პრობლემებს, რიკარდო ძირითადად მდგრადი მდგომარეობით იყო დაინტერესებული. იმ აზრით, რომ თორნტონმა განიხილა ხანგრძლივი დრო მთლიანად, მისი შეხედულებით რიკარდოსთან სრულიად თავსებადი იყო. მეორე მხრივ, რიკარდოს „მოკლევადიანი შეხედულებები" (თუმცა არა სრულიად მკაფიო) წინაალმდეგობაში არ მოდიოდა თორნტონთან. კერძოდ, რიკარდოს მიხედვით, ფულის მიმოქცევა დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე. იგი მოელოდა, რომ მონეტარულ ექსპანსიას ექნებოდა მნიშვნელოვანი, თუმცა დროებითი რეალური ეფექტები.

თორნტონი და რიკარდო ერთსულოვანნი იყვნენ ფულის მდგრადი ღირებულების დაცვაში (ოქროსთან მიმართებაში), ვინაიდან მათ ორთავეს მიაჩნდათ, რომ მოკლევადიანი დარღვევები, პოტენციურად სერიოზულად მოთხოვნილი გამოსწორების შემთხვევაშიც კი განმეორდებოდნენ. კლასიკური მონეტარული დოქტრინა ფულის მოჭრაზე თორნტონმა და რიკარდომ შესაბამისად მოკლევადიანი და გრძელვადიანი სახით წარმოგვიდგინეს.

თორნტონი იყო ბრწყინვალე და თვითმყოფადი ექსპერტი, მაგრამ მისი „ქაღალდის ფული" საკითხავად მძიმე აღმოჩნდა. მიუხედავად ავტორიტეტისა მთელი სიცოცხლის მანძილზე, მისი სიკვდილის შემდეგ იგი მალე დავიწყებას მიეცა და მაინც ფინანსური დაბალანსების მრავალსაფეხურიან, დანაწევრებულრეზერვიან სისტემაში მონეტარული ექსპანსიისა და შეკუმშვის ანალიზში, ფაქტობრივად მონეტარული მიკროდინამიკის ყველა მნიშვნელოვანი სამშენებლო აგური შეიძლება აღმოჩნდეს. თორნტონი შეიძლება დღემდე მხოლოდ ნაწილობრივ იყო პატივსაცემი ავტორიტეტი მეორე მსოფ-

1 Thornton H., Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of the Great Britain (1802), 1939 (ფ.ჰაიეკის მიერ გამოცემული – Library of Economics), გვ. 239.

2 იქვე.

3 ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთდროულად ხდება წარმოების დაცემა, ფასებისა და უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკური კრიზისი.

ლიო ომისშემდგომდრიინდელ მონეტარულ დებატებში. მისი „ქაღალდის ფული“ საკმარისია იმ შენიშვნის გაფანტვაში, რომ კლასიკური მონეტარული დოქტრინა ფულის ნეიტრალიტეტში უნაყოფო ვარჯიშია.

3. მწარმოებლური ფაქტორები: ჟან ბაპტისტ სეი (1767-1832)

იმ დროს, როდესაც ჰ.თორნტონის კელევის ძირითად სფეროს მონეტარული მიკროდინამიკა წარმოადგენდა, კლასიკური ტრადიციების სტატიკური ასპექტები ჟ.ბ. სეის დებატების ფოკუსში მოხვდა.

ფრანგი ეკონომისტი ჟან ბაპტისტ სეი (Say), დაიბადა ლიონელი ვაჭრის ოჯახში. ინგლისში დროებითი ცხოვრების დროს კარგი კომერციული განათლება მიიღო, 1789 წელს პარიზში ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში მოხელედ დაიწყო მუშაობა. 1792 წელს მოხალისედ წავიდა არმიაში. 1794 წელს იგი ჟურნალ „ფილოსოფია, ლიტერატურა და პოლიტიკის“ დაარსებაში მონაწილეობს, რომლის მთავარი რედაქტორიც (1799 წლამდე) მალე გახდა.

1803 წელს გამოსცა ნაშრომი **„პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი“**[1], ხოლო 1822-29 წწ. გამოაქვეყნა **„პრაქტიკული პოლიტიკური ეკონომიის სრული კურსი“**[2].

ბონაპარტეს სურდა, რომ სეის მისი ეკონომიკური პოლიტიკა დაეცვა, მაგრამ ვინაიდან ეს პოლიტიკა ლიბერალურ კონცეფციებს უპირისპირდებოდა, მან ნაპოლეონის წინადადება უარყო. ამის გამო ნაპოლეონის გადადგომამდე მას ფაქტობრივად არაფერი გამოუქვეყნებია. მან ხელი მოკიდა სამეწარმეო საქმიანობას და მექანიკური სართავი ფაბრიკა გახსნა. ნაპოლეონის რეჟიმის დაცემის შემდეგ, როგორც ეკონომიკის თეორეტიკოსმა, ისევ წინა პლანზე წამოიწია. 1819 წლიდან პარიზის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის პროფესორია.

სეი, როგორც თავისუფალი მეწარმეობის მომხრე, თავის თაუს ადამ სმითის მიმდევრად თვლიდა, თუმცა მისი დოქტრინიდან გარკვეულწილად გადაუხვია.

3.1. წარმოების სამი ფაქტორი

სეიმ **გამოჯნა საზოგადოებრივი კვლავწარმოების სფეროები სამ ნაწილად: წარმოებად, განაწილებად და მოხმარებად.**

სეიმ გამოყო წარმოების **სამი** ფაქტორი: **შრომა, კაპიტალი** და **მიწა**, რომელთაც შესაბამისი შემოსავლები გააჩნიათ **ხელფასის, მოგებისა** და **რენტის** სახით; ისინი მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად განისაზღვრებიან.

“ტრაქტატის“ მიხედვით, ვინც წარმოების ამ სამი ფაქტორიდან რომელიმეს ფლობს, ამ საქონლით მოვაჭრეა, მომხმარებლები კი მათი მყიდველები; საერთო საქმეზე გაწეული მუშაობისათვის ყველა სამართლიან გასამჯელოს იღებს (შემოსავლის ბუნებრივი განაწილება სოციალურად სამართლიანია); ხელფასი სამართლიანი გასამრჯელოა მუშების მიერ გაწეული შრომისათვის; საქონლის ღირებულება საქონლის წარმოებისათვის გაწეული (სამი ფაქტორის) დანახარჯების ჯამია. ამასთან, იგი საქონლის ღირებულებას მის სარგებლიანობასთანაც აკავშირებს.

ამრიგად, სეი საქონლის ღირებულებას საქონლის წარმოებისათვის საჭირო სამი ფაქტორის ჯამით განსაზღვრავს, თუმცა, ხელფასისა და მოგების შექმნის პროცესს ერთმანეთისგან მიჯნავს.

ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მიწის მფლობელმა, კაპიტალისტმა და მუშამ ერთმანეთს შორის საერთო ნაწარმის ღირებულება უნდა გაიყონ და რომ ერთ-ერთი ჯგუფის შემოსავალი სხვა ორი ჯგუფის შემოსავლისაგან დამოუკიდებლად ვერ განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, ყოველგვარი სახის შრომა განხილულ იქნას, როგორც იზოლირებული ბაზარი.

---

1 Traite d'économie politique..., P., 1827.

2 Cours complet d'économie politique, practique, v.1-6, P., 1828-29.

ვრცელი განხილვის გარეშეც ცხადია, რომ შემოსავალი მხოლოდ წარმოების ყველა ფაქტორის სრული ამოქმედების პირობებში წარმოიქმნება, ყველა გაწეული სამუშაოს ფასი კი მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად ყალიბდება.

3.2. მწარმოებლური შრომა

სეიმ უარყო სმითის განსაზღვრება იმის შესახებ, რომ შრომა მწარმოებლურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გაწეულია მატერიალური დოვლათის წარმოებისათვის.

მისი აზრით, არსებობს აგრეთვე არამატერიალური შრომითი პროდუქტებიც. ასე მაგალითად, ექიმის არამატერიალური საქმიანობა, რომელიც ღირებულების შექმნის პროცესში მატერიალურ შრომასთან გაათანაბრა. თუმცა, ამ სწორი დაკვირვებიდან მან მცდარი დასკვნა გამოიტანა: ექიმის საქმიანობა სახელმწიფო მოხელის საქმიანობასთან გააიგივა. ასეთი მიდგომით, სეის მიერ „სახელმწიფო ბიუჯეტის" საკითხის განხილვიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო აპარატში დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობას რაიმე მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

საბოლოოდ, სეიმ ვერ განასხვავა ის კრიტერიუმები, რომლებითაც წარმოებისა და სახელმწიფო მართვის სფეროები იმიჯნება, რის გამოც მან ეკონომიკური პროცესების სწორი ანალიზის ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა.

3.3. გასაღების ანალიზი

ჟან ბაპტისტ სეის მოსაზრებები რიგ ინგლისელ პოლიტეკონომისტთა იდეებს უპირისპირდებოდა, თუმცა გასაღების საკითხში საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. მისი აზრით, თუ მწარმოებელი პროდუქტის სწრაფად გაყიდვას ესწრაფვის, მაშინ იგი პროდუქტის გაყიდვიდან მიღებული ფულის სწრაფად დახარჯვასაც ცდილობს. ცხადი ხდება, რომ პროდუქტის წარმოება მაშინვე სხვა პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას ქმნის.

გამოდის, რომ სეის **„ავტომატური წონასწორობის პრინციპში"** – „პროდუქტები გადახდილია პროდუქტებით" – გამყიდველის მიერ მიწოდებული რაოდენობა აუცილებლად მყიდველის მიერ ნაყიდი რაოდენობის ტოლია და ეკონომიკის დარგებს შორის პროპორცია (მიწოდება-მოთხოვნა) დაცულია.

სეის მხედველობიდან გამორჩა დაგროვება. ფულის სწრაფად დახარჯვისაკენ ყოველთვის არ მიისწრაფიან, ხშირად ფულს მანამდე ინარჩუნებენ, სანამ მისი დაბანდების კარგი შესაძლებლობა არ იარსებებს, მაგრამ როცა ბევრი ცდილობს საქონლის გაყიდვას, ისე რომ სანაცვლოდ არაფერი იყიდოს, მაშინ ადგილი ექნება ჭარბი პროდუქტის არსებობას.

სეი, მართალია, ცალკეული საქონლის ჭარბად წარმოებას დასაშვებად თვლიდა, მაგრამ **ჭარბწარმოების საყოველთაო კრიზისების აუცილებლობას უარყოფდა.**

გარდა ამისა, სეის მხედველობიდან გამორჩა, რომ დაგროვების შემთხვევაშიც კი როგორ უპასუხებენ მწარმოებლები წარმოების გაფართოების აუცილებლობაზე. თუ მწარმოებელთა ერთი ნაწილი კაპიტალდაბანდებასა და წარმოების გაფართოებას გადაწყვეტს, მაშინ სხვა მწარმოებლებს გასაღების შესაძლებლობები შეექმნებათ. როგორ უნდა გადაწყვიტონ მწარმოებლებმა წარმოების გაფართოება, თუ ისინი საქონლის გასაღების შესაძლებლობებში დარწმუნებულნი არ იქნებიან?

სეის აზრით, საგარეო ვაჭრობა გარკვეული პროდუქციის წარმოებისათვის ხელსაყრელია, ვინაიდან ზოგიერთ მათგანს გასაღების სხვა გზები არ გააჩნია. ამასთან, იგი საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობას გადაჭარბებით არ აფასებდა, ვინაიდან თვლიდა, რომ შიგა მრეწველობა უფრო მეტად საგარეო ვაჭრობას ეხმარება, ვიდრე პირიქით.

სეის ეკონომიკური დოქტრინა მიზნად ისახავდა საზოგადოებაში ჰარმონიული სურათის შექმნას. ამ მიზეზით მას მიმდევრები გამოუჩნდნენ ამერიკელი ეკონომისტის ჯონ ბეითს კლარკის (1793-1879), ფრანგი ბასტიასა (1801-1850) და სხვ. სახით.

4. ნასაუ სენიორის (1790-1864) „თავშეკავებისა“ და თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინები

4.1. რიკარდოს მომხრე და კრიტიკოსი

ნასაუ ვილიამ **სენიორი** (Senior), ინგლისელი ეკონომისტია, რომელსაც უმრავლესობა ეკონომიკის კლასიკური სკოლის საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნევს.

ნ.სენიორი დაიბადა ბერკშირში, ოჯახში ათ შვილს შორის უფროსი იყო. მისი მამა იყო მღვდელი, დედა კი ადვოკატის შვილი. მისი სახელი ესპანური წარმოშობისაა, მაგრამ ესპანეთიდან ემიგრირებული მისი ბაბუა ნამდვილი ბრიტანელი 1723 წელს გახდა.

ნ.სენიორის მამა სწავლობდა მორტონის კოლეჯში, ოქსფორდში და 1788 წელს ბაკალავრისა და მაგისტრის წოდება მიენიჭა. თუმცა, მისი შესაძლებლობების მიუხედავად, სოფლის საეკლესიო ცხოვრებას ეწეოდა. სენიორის დედა სილამაზით გამორჩეული ქალბატონი ყოფილა..

შვილის საწყის განათლებას მისი მამა უძღვებოდა, რომელსაც კლასიკურ ლიტერატურასთან დიდი სიყვარული აკავშირებდა. ნასაუ 1803 წელს ეტონში, ხოლო 1807 წელს ოქსფორდის მაგდალენის კოლეჯში ჩაირიცხა. თუმცა, მას შემდეგ რაც მის ლექტორს ანაზღაურება შეუწყვიტეს, მან მეცადინეობას მოუკლო და პირველი გამოცდებიც ვერ ჩააბარა. ამ შედეგებით შეურაცხყოფილი სენიორი სწავლის მეორე ეტაპს შესანიშნავად გაუმკლავდა. 1812 წელს მან ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაკალავრის წოდება მიიღო. შემდეგ იგი ვარენის სტიპენდიაზე წარადგინეს და 1815 წელს მას ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მაგისტრის წოდება მიენიჭა.

სუსტი ხმისა და დელიკატური ყელის პატრონი სენიორი პროფესიონალ ადვოკატად მუშაობას ვერ ახერხებდა და მისი საქმიანობა სანოტარო ბიუროში და უძრავი ქონების საკითხებზე მუშაობით შემოიფარგლებოდა.

მალე სენიორის ინტერესი პოლიტიკურმა ეკონომიამ მიიპყრო; რიკარდოს დაარსებულ კლუბში იგი 1823 წელს გაწევრიანდა. 1825 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისში პირველი უნივერსიტეტი) პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე სენიორი პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე დაინიშნა, სადაც ხუთი წელი (1825-1830) იმუშავა. იგი რიკარდოს სკოლას მიეკუთვნებოდა.

სენიორი საჯარო გამოსვლებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მას ძალიან ბევრი გამოჩენილი და გავლენიანი მეგობარი ჰყავდა. მას ჭკვიან, გამგებ და ნათელი გონების მქონე ადამიანად ახასიათებდნენ.

ღირებულების საკითხში სენიორი აშკარად დაუპირისპირდა რიკარდოს, რომლის შეხედულებითაც შრომაა ღირებულების ერთადერთი წყარო. სენიორის აზრით კი **ღირებულების წყარო შრომასთან ერთად „კაპიტალისტის თავშეკავებაა“**, რისთვისაც ეს უკანასკნელი **მოგებას** იღებს.

ცნობილია, რომ სენიორი 1830-იან წლებში ინგლისში არსებული 11,5-საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირების წინააღმდეგი იყო, – **მოგება უკანასკნელ საათებში იქმნება** და მისი არსებობის გარეშე ინვესტირების ყოველგვარ სტიმულს კარგავს კაპიტალისტიც და შესაბამისად წარმოებაც, – თვლიდა იგი.

დ.რიკარდოსა და ჯ.ს. მილის მიმდევრებს შორის ბევრი პირველ ადგილზე ნასაუ სენიორს აყენებდა.

სენიორი კლასიკური სკოლის ერთ-ერთი გვიანდელი წარმომადგენელია, რომელიც ამავე დროს აკრიტიკებდა ამ სკოლის დოქტრინებს და მასში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა.

1836 წელს გამოიცა სენიორის მთავარი ნაშრომი **„პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერების საფუძვლები“**[1]. იგი პოლიტეკონომიის პირველი სახელმძღვანელოა. 1928 წელს სენიორის ოჯახში აღმოჩენილი ორიგინალური ხელნაწერების საფუძველზე გამოიცა ორტომეული **„ინდუსტრიული ეფექტურობა და სოციალური ეკონომიკა“**[2].

სენიორის ნაშრომებით დასტურდება, რომ მათი ავტორი იყო ძლიერი კრიტიკოს-ანალიტიკოსი. მან კლასიკური ეკონომიკის ფასეულობა თავისებურად შეაფასა. ამის გამო, სენიორს ზოგიერთი ავტორი ჯ.ს. მილზე მაღლა აყენებს.

---

1 An outline of the science of political economy, L., 1836.

2 Industrial Efficiency and Social Economy, 2 vols, N.Y., 1928

სენიორმა თავი დაიმკვიდრა, როგორც რიკარდოს კრიტიკოსმა. კაპიტალის არსის გარკვევაში მას მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანია. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში მის მიერ შეტანილი წვლილი იმ დაკვირვებით განისაზღვრება, რომ შედარებით მაღალი ხელფასები ქვეყანაში შრომის მაღალ მწარმოებლურობას ასახავს და ამიტომ სარფიანი საერთაშორისო ვაჭრობის შეჩერება შეუძლებელია.

4.2. პოლიტეკონომიის შესახებ

სენიორის განმარტებით, **„პოლიტიკური ეკონომია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივი თუ ეროვნული სიმდიდრის არსს“**.

აქედან გამომდინარე, იგი სწავლობს სიმდიდრისა და კეთილდღეობის განმაპირობებელ მიზეზებს, ხოლო მისი მიზანია „მიუთითოს მთავრობას საჭირო კანონმდებლობის შექმნაზე, მაგრამ არა პიროვნებას თუ როგორ უნდა გამდიდრდეს იგი“.

პოლიტიკურ ეკონომიაზე მსჯელობისას სენიორი მეცნიერების არსს და მის მიზნებს განიხილავს. მისი დასკვნით, პოლიტიკური ეკონომიის ნებისმიერი საკითხის განხილვა შეზღუდულია სიმდიდრის და კეთილდღეობის საკითხებით. ამის გათვალისწინებით მისი დასკვნები შემდეგში მდგომარეობს:

– სიმდიდრის არსის, წარმოშობისა და გავრცელების ზოგადი საკითხებისადმი დაინტერესებით, უფრო სრულყოფილი შედეგების მიღება შეიძლება, ვიდრე პოლიტეკონომიის შედარებით ნაკლებად კონკრეტული საკითხებით. იბადება კითხვები, რა გარემოებაშია მოგებიანი ან წაგებიანი სიმდიდრე მისი მფლობელისათვის ან იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც იგი ეკუთვნის? სიმდიდრის როგორი განაწილებაა ყველაზე სასურველი საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის და რა ხერხებით შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანას ასეთი გადანაწილების გაადვილება? სენიორისათვის ეს კითხვები ძალიან საინტერესოა და სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ პოლიტეკონომიის ნაწილობრივი განხილვის საგანს შეადგენენ; უმჯობესია გამოკვლევებისას ადამიანი დაინტერესდეს მეცნიერების ღრმა შესწავლით, რომელიც პოლიტეკონომიის ზოგადი პრინციპების ცოდნას მოითხოვს, მაგრამ მისგან ძირითადი საგნით, მისი დასკვნებით განსხვავდება. კანონმდებლობის უპირატესი მიზანია არა სიმდიდრე, არამედ ადამიანთა კეთილდღეობა;

– მეორე მხრივ, პოლიტეკონომისტებისათვის საინტერესოა არა მხოლოდ კეთილდღეობის, არამედ ქონებისა და სიმდიდრის შესწავლა. მწერალს ან სახელმწიფო მოღვაწეს შეუძლია ყველა იმ შედეგის გათვალისწინება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ან წინ აღუდგეს იმ ხალხის კეთილდღეობას, რომელსაც ის მიმართავს. ეს პრივილეგია არ ეკუთვნის იმ თეორეტიკოსს, რომელმაც მხოლოდ ერთი (თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი) შედეგი იწინასწარმეტყველა. ეკონომისტმა ზოგადი პრინციპები უნდა ჩამოაყალიბოს, რომელთა უარყოფაც ფატალური (საბედისწერო) შეიძლება აღმოჩნდეს. თუმცა მათი, როგორც ერთადერთი პრინციპის გამოყენებაც შეიძლება არაპრაქტიკული აღმოჩნდეს.

მეცნიერების საზღვრების მითითების გარდა, იგი უნივერსალურად მართალ დასკვნებს განასხვავებს „გარკვეული ქვეყნების კერძო ინსტიტუტების მიერ დამკვიდრებული“ დასკვნებისაგან. მისი აზრით, პირველი დაკავშირებულია ბუნებასთან და სიმდიდრის წარმოშობასთან; მეორე კი განაწილებას უკავშირდება.

ამ განსხვავებების ჩამოყალიბებაში იგი ჯონ სტიუარტ მილს ჩრდილავს. სენიორი აგრეთვე, ძალიან კონკრეტულად მიუთითებს პოლიტეკონომისტს იმაზე, თუ რა არ არის მისი საქმე.

სენიორი ტერმინოლოგიურ სირთულეებსაც ეხება. მისი აზრით, ინგლისური ნაშრომი „ხალხთა სიმდიდრე“, რომელმაც ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო, თითქმის არ შეიცავს ტერმინოლოგიურ განმარტებებს, ხოლო რიკარდოს „დაბეგვრის საფუძვლები“ დეფორმირებულია გაუგებარი და საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიისაგან განსხვავებული ტერმინებით. მას ჩიხში შეჰყავს მკითხველი და თავადაც ხანდახან მცდარი გზით მიდის.

იგი რიკარდოს რიგ აღმოჩენას არ საყვედურობდა, რომლებიც მეცნიერების განვითარები-

სათვის მნიშვნელოვანია. მაგრამ უკმაყოფილოა ისეთი აღმოჩენებით, როგორიცაა მაგალითად, ტერმინ „ღირებულების“ შეცვლა ტერმინით „ფასი“.

სენიორმა თავის ეკონომიკურ დოქტრინას (პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერებას) საფუძვლად დაუდო ოთხი პრინციპი:

1. სიმოკლე, რომლისაც ყველა ადამიანს მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სიმდიდრის მიღება სურს;

2. მოსახლეობის ზრდა შეზღუდულია მოხმარების საგანთა უკმარისობის შიშით;

3. მრეწველობის მზარდი მწარმოებლურობა, რომელიც განაპირობებს სამუშაო ძალებზე, წარმოებრივ საშუალებებზე მოთხოვნილების ზრდას, რომლებიც სიმდიდრის მოპოვების შესაძლებლობას ქმნიან;

4. სოფლის მეურნეობაში მოგების კლებადობა. მიწის დასამუშავებლად, დამატებითი მუშა-ხელის გამოყენებისდა მიუხედავად, მოცემული მიწის ნაკვეთი მთლიანობაში ნაკლებ შემოსავალს იძლევა. სხვა სიტყვებით, დამატებითი შრომის გამოყენებასთან ერთად მთლიანი შემოსავალიც რომ გაიზარდოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემოსავლის ზრდა შრომის მატებასთან პირდაპირპროპორციაშია. ამის დასამტკიცებლად სენიორს შემდეგი მაგალითი მოყავს: „ერთი ფერმიდან შემოსავალი რომ ნებისმიერი ოდენობის შრომის ზრდასთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდებოდეს, მაშინ ამ ფერმის პროდუქცია მთელ ინგლისს გამოკვებავდაო“. ამრიგად, სახეზეა „მიწის კლებადი უკუგების კანონი“.

„თავშეკავების“ დოქტრინამ კაპიტალის წარმომავლობა ახსნა, მაგრამ ინტერესის მიზეზი ვერ დაამტკიცა. სენიორმა მუშის ხელფასი მისი და მისი ოჯახის წევრების საარსებო მინიმუმთან დააკავშირა და ანაზღაურების ფონდის დოქტრინა შემოგვთავაზა. აღნიშნული დოქტრინა ძალიან პოპულარული გახდა, მაგრამ ანაზღაურებაზე მისი დაკვირვებები წარმატებული არ იყო. იგი ეწინააღმდეგებოდა ვაჭართა გაერთიანებულ მოძრაობას და მყარად სწამდა, რომ სამუშაო საათების შემცირება მოგების შეამცირებდა. თავის დოქტრინაში იგი სრული მრწამსით ამტკიცებდა, რომ მოგების მთელი ქსელი საქმიანობის უკანასკნელი საათის შედეგია.

ნასაუ სენიორის ხედვა დაბინდული იყო თვითალმოცენებული აკრძალვით იმის თაობაზე, რომ ეკონომისტმა საკუთარი თავი არ უნდა განიხილოს მომავალში. აღსანიშნავია, რომ იგი მომხრე იყო მთავრობის ჩარევისა ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ურბანიზაციისა და საგანმანათლებლო პროცესებში.

4.3. „თავშეკავების“ დოქტრინა

კლასიკურმა დოქტრინამ მნიშვნელოვანი განვრცობა ჰპოვა სენიორის „თავშეკავების“ დოქტრინით.

ვინაიდან სმითისა და რიკარდოს აზრით, საქონლის ღირებულების ერთადერთი წყარო ფაქტობრივად შრომაა, ამდენად, კაპიტალიდან მოგების მისაღებად დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება შეიძლება არც კი მოძებნილიყო.

სენიორი ასახელებს საყოველთაოდ ცნობილ წარმოების ფაქტორებს – **შრომას, მიწას** და **კაპიტალს**. მათგან პირველი-ორი განიხილა პირველხარისხოვნად, მესამე კი მეორეხარისხოვან ინსტრუმენტებად.

მისი აზრით, **კაპიტალი თავშეკავების შედეგია**, რომელიც ადამიანის მიმდინარე მოხმარებისადმი თავშეკავებას ნიშნავს მომავალში უკეთესი შედეგების მისაღებად. **შრომას** იგი განმარტავს როგორც „ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლინებას შედეგების მისაღებად“. **მიწა** განხილულია ბუნებრივ აგენტად, რომელიც ადამიანის შრომასთან ერთად მწარმოებლური ფაქტორი ხდება.

მოგება კაპიტალზე ინგლისური კლასიკური შრომითი ღირებულების პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენდა.

სენიორი ცდილობდა მოგება განეხილა როგორც კაპიტალისტების თავშეკავებისათვის ანაზღაურება, როგორც მსხვერპლი, რომელიც შედის დანახარჯებში და იგი „შრომის მსხვერპლის“ ტოლფასიაო.

სენიორის მიხედვით, საქონლის წარმოების დროს შრომა და ბუნების ძალები მაშინ გახდებიან ქმედითნი, თუ მას მესამე ელემენტი - კაპიტალისტების მიერ უშუალო მოხმარებისგან თავშეკავებით მიღებული სახსრები დაეხმარება და ეს „მსხვერპლი“ მოგებით უნდა ანაზღაურდეს.

თავშეკავების ელემენტი ასევე იმ, წარმოებრივი დანახარჯების შემადგენელი ნაწილია, რომელიც ასევე საქონლის ღირებულებას ადგენს. ეს უკანასკნელი საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა შრომის ანაზღაურების პარალელურად „თავშეკავებაც“ ანაზღაუროს და ამით მისი უზრუნველყოფაც შეძლოს.

მოგეიანებით, „თავშეკავების“ თეორიის იმგვარად გადაკეთების მცდელობა იყო, რომ დროის მომენტი, რომელსაც „მსხვერპლი“ შეიცავს, წინა პლანზე წამოწეულიყო და განხილულიყო როგორც მოლოდინი.

საბოლოოდ, გუსტავ კასელისა და ადოლფ ვებერის მიერ ეს მოლოდინი კაპიტალის განკარგულებაში გადაცემად განმარტეს, რითაც იგი წარმოების პროცესში დადებით წელილად შეფასდა.

სენიორი, რომელიც, სხვათა შორის, რიკარდოს მეთოდსაც აკრიტიკებდა, ცდილობდა რენტა (შემოსავალი) განესაზღვრა როგორც შემთხვევითი და საგანგებო მოგება, რომელიც მეწარმის წინაშე სიტუაციის უცაბედი ცვლილებისაგან აღმოცენდება ხოლმე. სარენტო შემოსავლის ამგვარი განმარტებით იგი კვაზი (მოჩვენებით)-რენტას განჭვრეტდა, რომელიც მოგეიანებით ჯონ სტიუარტ მილთან და ალფრედ მარშალთანაც გვხვდება.

სენიორის „თავშეკავების“ დოქტრინამ ანგლო-საქსურ თეორიულ გამოკვლევებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ათწლეულების მანძილზე მოგების მისაბამ განმარტებად ითვლებოდა. კლასიკური სკოლის სისტემის ფარგლებში იგი იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას ღირებულების ცნება ფსიქოლოგიზირებამდე მიყავდა, რითაც რეალური ღირებულების ცნების არსს იგი უფრო გასაგებს ხდიდა.

სმითთანაც შეიმჩნეოდა იქეთკენ ლტოლვა, რომ შრომა „ძალისხმევად“ ან „სირთულედ“ განიხილებოდეს. შრომა ამით ფსიქოლოგიურ შინაარსს იძენს იმ გაგებით, რომ იგი დაკავშირებულია „არც თუ ისეთ დიდ ენთუზიაზმთან“ ან „მსხვერპლთან“.

„ძალისხმევის“ ან „მსხვერპლის“ მსგავსი გამონათქვამები სხვა კლასიკოსებთანაც გვხვდება. ამიერიდან სენიორის „თავშეკავების“ დოქტრინის მეშვეობით კაპიტალიდან მოგება და ხელფასი განხილულ იქნა როგორც თანაბარრანგიანი ანაზღაურება სუბიექტური მსხვერპლისთვის.

ვინაიდან დაკმაყოფილების გახანგრძლივება, რომლისთვისაც მოგება გაიცემა, „ძალდატანებას“ ან „არც თუ ისეთ დიდ ენთუზიაზმს“, ე.ი. ფსიქოლოგიური გაგებით მსხვერპლს ნიშნავს. იგი გაწეული შრომის შედეგის დონეზეა განხილული. ამით რეალური ღირებულების დასაბუთების საფუძველი შეიქმნა, ვინაიდან ამიერიდან „თავშეკავების“ დოქტრინის შედეგად მოგება რეალური ღირებულების კატეგორიად გარდაიქმნა. იგი პროდუქტის ღირებულების შემადგენელ ნაწილად განზოგადდა.

რეალური ღირებულების ამგვარი განსაზღვრა ბუნებრივ-სამართლებრივი საზოგადოებრივი ფილოსოფიის წარმოდგენებს შეესაბამებდა, რომელზეც კლასიკოსების დოქტრინა დაეფუძნა და რომელიც სცილდებოდა იმ მტკიცებულებას, რომ მხოლოდ ადამიანის შრომა ქმნის ღირებულებას და მხოლოდ იგი იძლევა საკუთრების უფლებას.

ამრიგად, ღირებულების ბუნებრივ-სამართლებრივ წარმოდგენას ნორმატიული ელემენტი აღმოაჩნდა, როცა „ბუნებრივი“ და „რეალური“ ღირებულება ასევე „ნორმალური“ ან „სწორი“ ღირებულებაც იყო. გარდა ამისა, „სწორი“ ან „ნორმალური“ ღირებულების წარმოდგენა ღირებულებისა და ფასის დოქტრინაში იმგვარად შედის, რომ „ბუნებრივი“ ღირებულება „არადროებითი“ ღირებულებაა, რომელიც საბაზრო ღირებულების ყოველი ცვლილების შედეგად მერყეობს. „ბუნებრივი“ ფასის იდეა ამიტომაც არის დაკავშირებული წონასწორობის იდეასთან. აქედან გამომდინარე, „ბუნებრივი“ ღირებულება არის ასევე „წონასწორობის ღირებულებაც“ და ამგვარად, განიხილება როგორც „ნორმალური ფასი“.

4.4. თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინის კრიტიკა

სენიორის მიერ თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინის კრიტიკის საფუძველია ის, რომ: ინდივიდუალური თვითდაინტერესება ერისათვის სასარგებლო კაპიტალდაბანდებამდე ვერ მიგვიყვანს; ეროვნული შრომითი რესურსების ინტენსიური გამოყენება საუკეთესოდ ხორციელდება ქვეყნის შიგა ბაზარზე – კვალიფიკაციის ამაღლებით და მოთხოვნის სტაბილურობით; დიდი რაოდენობით უცხოური პროდუქტის იმპორტის თავიდან აცილება შესაძლებელია საბაჟო ტარიფების ხშირი გადასინჯვით.

სენიორი იმპორტულ საქონელზე დაბალი ფასების, ხოლო სამამულო საქონელზე კი მაღალი ფასების არსებობის მომხრეა. შესაბამისად, ადგილობრივი წარმოება მეტ ადამიანს დაასაქმებდა.

ამრიგად, სენიორმა ერთი მხრივ, საგარეო ვაჭრობის აკრძალვა მიზანშეუწონლად ჩათვალა, მეორე მხრივ კი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იმპორტულ საქონელზე საბაჟო ტარიფების რეგულირება მოითხოვა, რაც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას ნიშნავდა.

5. მაკ-კულოხის (1789-1864) მრომითი დოქტრინა

ჯონ რამსეი მაკ-კულოხი კიდევ ერთი ჯეიმზ მილთან (ჯ.ს. მილის მამა) დაწყვილებული არაორიგინალური მწერალია, რომელიც ინგლისური კლასიკური იდეების წარმოჩენას ცდილობს. სმითისა და რიკარდოს მიმდევარი მაკ-კულოხი ყოყმანობდა ისეთი დასკვნების უარყოფას, რომლებიც კლასიკური პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ.

მას აკრიტიკებდნენ, რომ მისი ნაშრომები ფილოსოფიურ სიღრმეს მოკლებული იყო და მათი დოგმატიზმი უარყოფით რეაქციას იწვევდა. მიუხედავად ამისა, მან დიდი გავლენა მოიპოვა სმითის „ხალხთა სიმდიდრის" და რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების" გამოქვეყნებით.

5.1. პოლიტეკონომიის პრინციპები

ჯონ რამსეი **მაკ-კულოხი** (Mc Culloch), ბრიტანელი (შოტლანდიელი) სტატისტიკოსი და ეკონომისტი, დაბადებული 1789 წ. ვიტორნში, ადრეულ ასაკში მამის გარეშე დარჩა. საწყისი განათლება მან ბაბუისაგან მიიღო. მეორედ დაოჯახების შემდეგ, მისი დედა საცხოვრებლად კინროსში გადავიდა, სადაც ჯონს რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლაში სწავლის საშუალება მიეცა.

მოგვიანებით მან ედინბურგის უნივერსიტეტში ჩააბარა, სადაც დიდი ინტერესით ისმენდა სერ ჯონ ლესლის ლექციებს, რომელიც შემდგომში მის მეგობრად რჩებოდა. მაკ-კულოხმა მთელი ცხოვრება ეკონომიკის შესწავლას მიუძღვნა.

1817-27 წლებში მაკ-კულოხი ეკონომიკურ სტატიებს წერდა „ირლანდიელისთვის" და 1818-20 წლებში ამავე გაზეთის რედაქტორიც იყო. პარალელურად იგი „ედინბურგის მიმოხილვასთან" თანამშრომლობდა, ლექციებს კითხულობდა პოლიტიკურ ეკონომიაში და კონკრეტულ თემატიკაზე სასაუბროდ კლასებსაც ქმნიდა.

1824 წელს იგი ლონდონში რიკარდოს მემორიალური ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. ეს ლექციები შემდგომში „ბრიტანეთის ენციკლოპედიაში" გამოქვეყნდა სტატიების სახით.

მისი მთავარი ნაშრომი **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები"**[1] ედინბურგში 1825 წელს გამოიცა. მაკ-კულოხმა თავისი ლექციებით „პესიმისტური მეცნიერება" დროებით აღორძინა.

1828-32 წლებში ლონდონის უნივერსიტეტში, როგორც პროფესორი, პოლიტიკურ ეკონომიაში ლექციებს კითხულობდა, თუმცა, ეს თანამდებობა დაბალი ანაზღაურების გამო დატოვა. 1828 წელს მაკ-კულოხმა გამოსცა ა. სმითის „ხალხთა სიმდიდრე" თავისი შენიშვნებით და დამატებებით.

1838-64 წლებში იგი სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობდა.

ღირსშესანიშნავია მაკ-კულოხის მიერ დაწერილი რიკარდოს ბიოგრაფია, სტატისტიკური ლექსიკონები, ურიცხვი ესეები და მონოგრაფიები. მას საპატიო ადგილი უკავია ეკონომისტებს შორის, რადგან მან ფასდაუდებელი შრომა გასწია სტატისტიკური მონაცემების შეკრებისას.

მისი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებზე და პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოდ მოიხსენიებოდა ჯონ სტიუარტ მილის ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები" (1848) გამოცემამდე.

მაკ-კულოხი იყო დიდი ფიზიკური ძალისა და მკაცრი ინდივიდუალობის მქონე პიროვნება. ლონდონში დიდი ხნის ცხოვრებისდა მიუხედავად, მან შეინარჩუნა შოტლანდიური აქცენტი. მისი ხასიათის მთავარ შტრიხს ლიბერალური ეკონომიკისადმი ერთგულება წარმოადგენდა.

1 Principles of political economy, L., 1825.

5.2. შრომა და ბუნების ძალები

მიუხედავად იმისა, რომ მაკ-კულოხს ადამ სმითის თეორიის სწამდა, იგი უარყოფდა მის მიერ მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის კლასიფიკაციას. ამ საკითხში მან სეის შეხედულება გაიზიარა.

მაკ-კულოხის აზრით, მწარმოებლურია არა მხოლოდ რაიმე ნივთის მწარმოებელი შრომა, არამედ ყველა სარგებლის მომტანი შრომაც; მომსახურებაში სარგებელი იქმნება; ნათელია, რომ ფერმერი, რომელსაც სიმინდი მოჰყავს, მწარმოებელია, მაგრამ გაურკვეველია მზარეული, რომელიც მის მიერ გამზადებულ კერძს სთავაზობს მომხმარებელს, რატომ არის მიჩნეული არამწარმოებელად. მისი აზრით, აშკარაა, რომ მათ მომსახურებას შორის არ არის განსხვავება – ორივენი არიან მწარმოებელნი ან არამწარმოებელნი.

მაკ-კულოხმა გადაუხვია კლასიკური შრომითი ღირებულების დოქტრინიდან. კერძოდ, მიუთითა, რომ მუშის ხელფასი შეესაბამება მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობას. გარდა ამისა, მისი მტკიცებით, საქონლის ღირებულებას ადამიანის შრომის გარდა ქმნიან ცხოველების შრომა, მანქანები და საერთოდ, ბუნების ძალები.

ამრიგად, მაკ-კულოხის აზრით, მოგება ღირებულების ნაწილია, რომელიც შრომით და კაპიტალით იქმნება.

6. უტილიტარიზმი: ჯერემ ბენთამი (1748-1832)

ინგლისელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი და იურისტი ჯერემ **ბენთამი** (Bentham) მე-18 ს-ის დასაწყისში სათავეში ედგა ინგლისელ ფილოსოფოსთა და სოციალ-რეფორმატორთა ერთ ჯგუფს, რომელიც „ფილოსოფიური რადიკალიზმის" სკოლად იყო წოდებული. იგი განსაკუთრებით ინტერესდებოდა ახალი სამართლებრივი რეფორმებით. მოგვიანებით უტილიტარულ[1] თეორიაზე დაყრდნობით მან საკუთარი ეკონომიკური დოქტრინა შეიმუშავა.

ჯერემ ბენთამი ერთმანეთთან აკავშირებს, ერთი მხრივ, ადამ სმითს და მეორე მხრივ, მალთუსს და რიკარდოს. ინდუსტრიული რევოლუციის ადრეული პერიოდის შედეგებმა მის ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ამ ცვლილებების მამოძრავებელი ძალები იყვნენ საქარხნო ტექნოლოგიური სისტემა ახალი მოწყობილობებისა და მოდერნიზირებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით. ახალი ფენომენი კი, ბუნებრივია, ეკონომიკურ აზროვნებას ასტიმულირებდა.

6.1. საშუალო ბურჟუაზიის იდეოლოგი

ჯ.ბენთამი სამრეწველო რევოლუციის პერიოდის საშუალო ბურჟუაზიის იდეოლოგი, თავისუფალი მეწარმეობის დამცველია. იგი ქონებრივი ურთიერთობებს კანონმდებლობის ჩარჩოებში აქცევდა და სიმდიდრეს ბუნების ძალებისაგან დამოუკიდებლად განიხილავდა. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, მუშათა კლასის ბრძოლა არსებობის გაუმჯობესებისათვის უპერსპექტივოა.

ჯერემ ბენთამი ადამ სმითის მიმდევრებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. კარგი მწერალი, მოაზროვნე, რეფორმატორი, დაიბადა 1748 წელს ლონდონში ინგლისელი ადვოკატის ოჯახში. სამი წლის ასაკში ლათინურისა და ისტორიის შესწავლა დაიწყო.

ოქსფორდის უნივერსიტეტის შესანიშნავ სტუდენტს ოცი წლის ასაკამდე ბაკალავრისა და მაგისტრატის წოდებები მიენიჭა. მან იურიდიულ კორპორაციაში დაიწყო მუშაობა, თუმცა, იქ დიდხანს არ დარჩა და მამას იმედი გაუცრუა, როდესაც ადვოკატობას თავი დაანება.

---

1 უტილიტარიზმი (ლათ. utilitas – სარგებელი, გამორჩენა) ეკონომიკური დოქტრინების ერთ-ერთი მიმართულება, რომლის საფუძველია საგნებისა და მოვლენების შეფასება მათი სარგებლიანობის მიზნის მისაღწევად და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

უტილიტარულ მიმართულებას საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა ფილოსოფოს-ეკონომისტმა ჯერემ ბენთამმა (მე-19 ს-ში), შემდგომში კი იგი განაგითარა „ავსტრიულმა სკოლამ" ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის სახით.

ბენთამი სოციალური ფილოსოფიით ღრმად დაინტერესდა და თავისუფალ დროს მემკვიდრეობით მიღებულ სიმდიდრეს ხარჯავდა. მან მთელი სიცოცხლე ადამიანის კეთილდღეობის შესწავლას მიუძღვნა. ადამიანის ყოფის გასაუმჯობესებლად პრაქტიკული მიდგომის კარგი ილუსტრაციაა რობერტ ოუენის ახალ ბიზნეს-ორგანიზაციაში ჯერემის საპატიო წევრად მიღება. თუმცა, შემდგომში, ოუენის პარტნიორები შეეწინააღმდეგენ ბიზნესისა და ქველმოქმედების შეზავებას და ბენთამმა ორგანიზაცია დატოვა.

1787-98 წლებში ბენთამმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ნაშრომები[1], მ.შ.: **„ფრაგმენტები მართვის შესახებ“** (1776), **„შესავალი ზნეობისა და კანონმდებლობის პრინციპებში“** (1789), **„დეონტოლოგია, ანუ მეცნიერება ზნეობის შესახებ“** (1834).

გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია მისი ჩანაწერები მთავრობასა და კანონებზე, თუმცა მისი სახელმძღვანელოები „პოლიტიკური ეკონომიაში“ და „მევახშეობის დაცვა“ (1787) ეკონომიკაში აღიარებული ნაშრომებია. უკანასკნელში იგი ადამ სმითს რადიკალური ინტერესების პროპაგანდისათვის აკრიტიკებს.

ბენთამის აზრით, ინდუსტრიულ საზოგადოებაში კანონი მხოლოდ თაღლითობას და მსესხებელს უნდა შეეხოს და მევალეს ინტერესს თავისუფლება უნდა მიეცეს. ამბობენ, რომ სმითი დაეთანხმა ამ შენიშვნას.

პოლიტიკური კარიერის მიღწევაში მას მისმა ბუნებრივად მორიდებულმა ხასიათმა ხელი შეუშალა. ბენთამი ყოფილა გამორჩეული, ექსცენტრული, შესაძლოა პრეტენზიულიც. მისი პრეტენზიულობის დასაბუთებაა შემდეგი ციტატა: „კაცი სასადილო მაგიდასთან იჯდა. მას ჰქონდა უსიცოცხლო სახე ეერცხლისფერი, მხრებზე დაყრილი თმებით, თავზე განიერი ჩალის ქუდი ეხურა. იგი ჩუმად იჯდა, არაფერს ჭამდა; მაგიდაზე მსხდომნი მის არსებობას უგულებელყოფდნენ. ვინ იყო ეს კაცი? იგი იყო საუკუნის გარდაცვლილი ბენთამის გამოწყობილი ჩონჩხი. ანდერძში მან ისურვა მისი სხეულის მეგობრების თანდასწრებით გაკეთა და მისი ჩონჩხის ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში დადგმა. ანდერძში აგრეთვე მითითებული იყო, რომ ჩონჩხი სკამზე უნდა დაესვათ ისეთ პოზაში, რომელიც მის ღრმა ჩანაფიქრზე მიუთითებდა და რაიმე მოსაგონებელი შეხვედრების დროს ჩონჩხი ისეთ ადგილას უნდა მოეთავსებინათ, თითქოს შეკრებილ კომპანიას ხვდებოდა. ყველაფერი ზემოთ აღწერილი ბენთამის სურვილის სიმბოლური გამომხატველია იმისათვის, რომ უკვდავყოს მისი ფილოსოფიური გავლენა და სისტემა მომავალ წარმატებულ თაობებში.

უტილიტარული (სარგებლიანი) სისტემის ცენტრალური იდეა: „საუკეთესო მაქსიმალური რაოდენობით“ მიღწეული იყო ჰედონისტური (სიამოვნების) გამოთვლებით - ფსიქოლოგია სიამოვნებასა და ტკივილზე. ბენთამი ეკონომიკაში ამის განხორციელების შესაძლებლობას სმითის „უხილავი ხელის“ გამოყენებით ხედავდა. ეს მიღწეული უნდა ყოფილიყო რეალისტურ ეკონომიკურ წყობაში ინდივიდუალურ გაცვლით თანამშრომლობაზე დაყრდნობით. ამ მიზნის მიღწევას ბენთამმა ცხოვრება შეალია.

6.2. ა.სმითის მიმდევარი უტილიტარული მიმართულებით

ბენთამი ეთანხმებოდა ადამ სმითის ძირითად ეკონომიკურ შეხედულებებს, მაგრამ ეკონომიკაში ეთიკისა და ზნეობრივი ფილოსოფიის გამოყენება სმითს მეტად ახასიათებდა, ვიდრე ბენთამს. თუმცა, განსხვავება ბენთამის ბუნებრივი ფილოსოფიის მეტაფიზიკური აღქმის რაციონალური ტესტებით შეცვლაში მდგომარეობს.

ბუნებრივი ფილოსოფიის მეტაფიზიკური აღქმა სმითისათვის დამახასიათებელია. პიროვნული ინტერესები ღვთაებას უკვე ბრმად აღარ ემორჩილება. „ეკონომიკაში“ მათ განაგებს რაციონალური ძალა, სარგებლიანობის პრინციპი - სიამოვნების უპირატესობა ტკივილთან (მწუხარებასთან).

ბენთამი ადამიანს ისეთ ცოცხალ არსებად განიხილავდა, რომელიც განსხვავებულად რეაგირებს სასიამოვნო და უსიამოვნო მოვლენებზე. მისი აზრით, საზოგადოებაში წესრიგის შესანარჩუნებლად აუცილებელია დამსჯელი ღონისძიებების გატარება. ამასთან სასჯელის ზომა მეცნიერულად უნდა

1 The works of J. Bentham, published by J. Bowring, v.1-11, Edinb., 1838-1843.

დადგინდეს ისე, რომ საზოგადოებას მცირე სასჯელის არსებობის პირობებშიც კი სიამოვნება და ბედნიერება არ მოაკლდეს. სარგებლიანობის პრინციპი საკმარისი აღმოჩნდა, რათა ბენთამს საფუძველი ჩაეყარა მეცნიერებისათვის ადამიანის შესახებ. სარგებლიანობაში ხედავდა იგი არა მარტო ადამიანური ქცევის, არამედ კანონმდებლობის ერთადერთ კრიტერიუმსაც. მან ქცევის სარგებლიანობა ზნეობრიობის მაგივრად დააყენა; მას უნდოდა შეეკეცა ასევე ზნეობა და რელიგია. იგი თვლიდა, რომ ქცევის სარგებლიანობა შეიძლება მათემატიკურად გაანგარიშებულიყო. აქედან გამომდინარე, შესაძლებელიაო იმის ობიექტური დადგენა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ადამიანი.

ბენთამის ნაშრომები პოპულარობით სარგებლობდნენ მე-19 საუკუნის დასაწყისის კლასიკურ ეკონომიკაში, რადგანაც იგი ჯ.მილის და დ.რიკარდოს ახლო მეგობარი მისი დროის წამყვანი ფილოსოფოსი იყო. მისმა პიროვნებამ, აგრეთვე, ზეგავლენა მოახდინა ჯორჯ სტიუარტ მილზე. ეკონომიკისადმი მას ფსიქოლოგიური და ეთიკური მიდგომა ჰქონდა. მისი მიზანი მაქსიმალური სოციალური კეთილდღეობის მიღწევაა.

მისი შეხედულებით, ბუნებამ ადამიანი ორ დამოუკიდებელ მბრძანებელს დაუმორჩილა - **სიამოვნებას** (კეთილდღეობას) და **ტკივილს** (მწუხარებას). მხოლოდ ისინი გვკარნახობენ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ. ერთი მხრივ, კარგის და ცუდის სტანდარტი, მეორე მხრივ, გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ჯაჭვი მათ ტახტზეა მიბმული; ისინი აკონტროლებენ ჩვენს ნათქვამს, გაკეთებულს, ჩვენს ფიქრებს: ყოველი ჩვენი ცდა განეთავისუფლდეთ მასზე დამოკიდებულებისაგან მარცხით მთავრდება, და ამით მათი ზეგავლენის დემონსტრირებას ვახდენთ და ვადასტურებთ მას. სიტყვიერად ადამიანმა შეიძლება მათი ძალაუფლება უარყოს, მაგრამ რეალურად მისი საგანი ხდება; სარგებლიანობის პრინციპი ცნობს მისდამი დამოკიდებულებას და აღიარებს მის მნიშვნელობას იმ სისტემის შექმნაში, რომლის საგანსაც კეთილდღეობის სფეროს გონიერებითა და კანონის ძალით გაძლიერება წარმოადგენს.

6.3. სარგებლიანობის საზომი

ჯ.ბენთამის დოქტრინის უმთავრეს დებულებას წარმოადგენს სარგებლის გაანგარიშება. ნაშრომში „შესავალი ზნეობისა და კანონმდებლობის საფუძვლებში“ (1789)[1] იგი ამ დებულების დასაბუთებას ცდილობს. ბენთამი თვლის, რომ ადამიანის ტანჯვა და სიამოვნება სხვადასხვა გარემოებებთანაა (ინტენსიურობა, ხანგრძლივობა, შესაძლებლობა...) დაკავშირებული, რომელთა გაზომვა შესაძლებელია. ამრიგად, სიამოვნებისა და ტანჯვის მიღწევა შეიძლება მათში შემავალ გარემოებათა შეჯამებით. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ სიამოვნება და ტანჯვა ზოგჯერ მარტივი, ზოგჯერ კი რთულია. არსებობს **სხვადასხვა სახის მარტივი სიამოვნება**: შეგრძნება, კეთილდღეობა, მოხერხება, მეგობრობა, სიდიადე, ძალაუფლება, თანაგრძნობა, კეთილგანწყობა, მოგონება, წარმოსახვა, მოლოდინი სიმშვიდე და სხვ.; ასევე ისეთი სიამოვნებანი, რომლებიც ორი სხვადასხვა სიამოვნების შეერთებით მიიღება. გარდა ამისა, არსებობს **სხვადასხვა სახის ტანჯვა**: შეგრძნება, საჭიროება, მოუხერხებლობა, სიბოროტე, ცუდი სახელი, სიძულვილი, ღვთის შიში, წარმოსახვა, მოლოდინი და ისეთი სახის ტანჯვები, რომლებიც ორი სხვადასხვა ტანჯვის შეერთების შედეგია. ამ სიამოვნებათა და ტანჯვათა კომბინაციების შედეგად მიიღება რთული ტანჯვები და სიამოვნებები, რომლებიც მათემატიკურად შეიძლება დავიანგარიშოთ.

არა ამ გაანგარიშებათა სირთულეა ძირითადი პრობლემა, არამედ საერთოდ დაანგარიშების შესაძლებლობა. ე.ი. ის თუ რამდენად შესაძლებელია საერთოდ ცალკეული პიროვნებების სიამოვნებებისა და ტანჯვების გაანგარიშება და თუ ეს შესაძლებელია, მაშინ თუ შეიძლება მისი სხვა ადამიანის სიამოვნებასთან და ტანჯვასთან შედარება. თავის ნაშრომებში ბენთამი ამ პრობლემის ახსნას არ იძლევა, თუმცა, ერთგან იგი აღნიშნავს, რომ სიამოვნებათა და ტანჯვათა ერთადერთი საზომი ფულია. ფულის ის რაოდენობა, რომელიც ადამიანს სჭირდება იმისათვის, რომ მიიღოს რაიმე სიამოვნება, ან განიცადოს ტანჯვა, ამ ტანჯვისა და სიამოვნების საზომია[2].

1 **Bentham** J., An introduction to the principles of morals and legislation, 1789.

2 **Bentham** J., An introduction to the principles of morals and legislation, 1789, გვ. 11.

სარგებლიანობის განმარტების შემდეგ, ბენთამი საზოგადოების ინტერესებს მის შემადგენელი ცალკე პირების საერთო ინტერესებთან აკავშირებს. შემდეგ იგი სარგებლიანობის პრინციპს საზოგადოების დასაკავშირებლად იყენებს და დასკვნის, რომ ეს ერთადერთი და სწორი მიმართულებაა (გიდია) სახელმწიფო მოხელეთა და მმართველთა საქმიანობაში. ამას მნიშვნელოვანი განმარტებები მოჰყვება:

- სარგებლიანობაში იგულისხმება ნებისმიერი რამ, რასაც შეუძლია მოგვცეს კარგი, უპირატესი, მოგვანიჭოს ბედნიერება, სიამოვნება, ან დაიცვას მწუხარების, ბოროტების, უბედურებისაგან იმის კეთილდღეობა, რომლის ინტერესიც გათვალისწინებულია: თუ ეს ზოგადად საზოგადოებაა, მაშინ ემსახუროს მის ინტერესს; თუ ცალკეული ინდივიდია, მისი კეთილდღეობა უზრუნველყოს.

ბენთამს ინდივიდუალის ინტერესების გათვალისწინების გარეშე საზოგადოების ინტერესებზე საუბარი უსაფუძვლოდ მიაჩნია. როდესაც ადამიანი სარგებლიანობის პრინციპს ებრძვის, ეს თავად მისი გაცნობიერების გარეშე ხდება. მისი არგუმენტები, თუ მათ რაიმეს დამტკიცება შეუძლიათ, ამტკიცებენ არა პრინციპების არასწორობას, არამედ იმას, რომ ისინი არასწორადაა მიმართული. კითხვაზე ადამიანს შეუძლია დედამიწა შეძრას? ბენთამი პასუხობს: რა თქმა უნდა, შეუძლია, მაგრამ მან ჯერ დასაყრდნობად მეორე დედამიწა უნდა იპოვოსო.

ბენთამისათვის კეთილდღეობა შემდგომი ქმედების მასტიმულირებელია, რადგან იგი განსაზღვრავს იმას, თუ რას გააკეთებს ადამიანი და რა უნდა გააკეთოს ადამიანმა. გაორება მას ყველგან დასდევს; კეთილდღეობა არის როგორც ფსიქოლოგიური პრინციპი, აგრეთვე, ეთიკური კრიტერიუმი. არისტოტელეს აზით, ადამიანის კეთილდღეობას მისი სიამოვნება განსაზღვრავს; კეთილდღეობა ამაღლებულთათვის დიდებასა და დაფასებაშია, ხოლო ფილოსოფოსთათვის სიბრძნის ძიებაში. ჯეიმს მილი მის „პოლიტიკური ეკონომიის ელემენტებში“ (1821) აცხადებს, რომ საშუალო ქონების ადამიანები, რომლებიც საზოგადოების განვითარებას და გაუმჯობესებას განაპირობებენ, როგორც კლასი, მაქსიმალურ ბედნიერებას აღწევენ.

ჯეიმს მილის შვილი ჯონ სტიუარტ მილი ამატებს, რომ „ზოგიერთი სიამოვნება უფრო ღირებულია სხვასთან შედარებით.“ მისი განაცხადი უთავსდება სარგებლიანობის პრინციპს. მის ესეებში უტილიტარიზმის შესახებ იგი აცხადებს: უმჯობესია უკმაყოფილო ადამიანი იყო, ვიდრე კმაყოფილი ღორი; უმჯობესია უკმაყოფილო სოკრატე იყო, ვიდრე კმაყოფილი სულელი; და თუ სულელს ან ღორს სხვადასხვა აზრი გააჩნიათ, ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი მხოლოდ თავიანთ მხარეს იცნობენ.

კითხვაზე – მსგავსია თუ არა სხვადასხვა ადამიანის გრძნობები, ბენთამმა დადებითად უპასუხა. სიამოვნებისა და ტკივილის აწონ-დაწონისას საერთო საზომი უნდა მოძებნილიყო. მან ფულის გამოყენება შემოგვთავაზა; ნეოკლასიკურმა ეკონომისტმა ალფრედ მარშალმაც თავისი არჩევანი ფულზე, როგორც მოტივაციის ძალის ერთადერთ საზომზე შეაჩერა.

6.4. როგორ მივაღწიოთ მაქსიმალურ კეთილდღეობას

ბენთამი მუდმივად ისეთი მეთოდის ძიებაში იყო, რომელიც პიროვნების სარგებლიანობას მაქსიმალურად გაზრდიდა და ამის შედეგად, საერთოდ საზოგადოების კეთილდღეობაც გაიზრდება (რადგან საზოგადოება პიროვნებათა საერთო ჯამია). მის დოქტრინაში სიმდიდრე და მისი გავრცელება ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობის გასაღებია. სიმდიდრისა და კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულებაზე მან რამდენიმე დებულება ჩამოაყალიბა:

1. სიმდიდრის ყოველი ნაწილი დაკავშირებულია კეთილდღეობის შესაბამის ნაწილთან;

2. ორი არათანაბარი ქონების მფლობელი პიროვნებიდან უფრო ბედნიერია მეტი სიმდიდრის მფლობელი;

3. მდიდრისათვის უხვი კეთილდღეობა იმდენად სასურველი არ არის, რამდენადაც უხვი სიმდიდრე;

4. ამაღე მიზეზით, რაც უფრო დიდია დისპროპორცია ორ მდიდარს შორის, მით ნაკლებია იმის შესაძლებლობა, რომ არსებობდეს თანაბრად დიდი დისპროპორცია ბედნიერ მასებს შორის;

5. რაც უფრო ეუახლოვდებით თანასწორობას, მით უფრო მეტია საერთო კეთილდღეობა.

ბენთამის მიხედვით, ქონებასა და კეთილდღეობას შორის დადებითი ფარდობითობაა: რაც მეტია ქონება, მით მეტია კეთილდღეობა. მაგრამ თავისი ნაშრომის სხვა ნაწილში იგი ამბობს, რომ კეთილდღეობა არ იზრდება იგივე პროპორციით, როგორც ქონება; ეს იმას ნიშნავს, რომ ქონების დამატებითი ზრდა კეთილდღეობის პროპორციულ ზრდას არ უზრუნველყოფს.

ბენთამი მიმართავს კლებადი სარგებლიანობის კანონს, თუმცა ამის შესახებ საჯაროდ არ აცხადებს.

რა თქმა უნდა, ბენთამის სისტემას კრახი უნდა განეცადა რაოდენობრივი საზომი მექანიზმების არარსებობის გამო, და რადგან პიროვნების მაქსიმალური კეთილდღეობის გაზომვა შეუძლებელია, ამის გამო შეუძლებელი ხდება თავად კეთილდღეობა მაქსიმალური რაოდენობით.

6.5. ეკონომიკა როგორც მეცნიერება და ხელოვნება

ბენთამმა ამ დაკვირვებათა საფუძველზე შეიმუშავა ადამიანის შესახებ მეცნიერების კონცეფცია. ასეთი მეცნიერება თავისთავად კავშირში უნდა ყოფილიყო ეკონომიკის კვლევასთან. ბენთამს სურდა ეჩვენებინა, თუ რა გზით და საშუალებებით შეეძლო სახელმწიფოს მის მოქალაქეთა კეთილდღეობის მიღწევა.

ბენთამიც არსებული შეზღუდვების წინააღმდეგი იყო. 1787 წელს მან გამოსცა ნაშრომი სათაურით „შევახშოების დაცვა“[1], რომელიც მოგვიანებით საკმაოდ პოპულარული გახდა. ბენთამი ამკვერად უფრო შორს წავიდა, ვიდრე ფ.კენე და ა.სმითი. იგი აღნიშნავს, რომ საზიანოა საბაჟო გადასახადის დამწესებელი ყოველგვარი კანონი: ჯერ ერთი, კანონმდებელი თითოეულ ადამიანზე უკეთ ვერ განსაზღვრავს, თუ რა ღირებულება აქვს მისთვის ფულს. ადამ სმითის შეხედულების საპირისპიროდ იგი არ მიიჩნევდა, რომ კოლონიები საჭირო იყო გასაღების ბაზრებისათვის; როდესაც ახალი ბაზარი იხსნება, ამით არ იზრდება საქონელბრუნვა, ხოლო თუ ეს ხდება – შემთხვევითია. ძველი ბაზრის დახურვით საქონელბრუნვა კი არ მცირდება, არამედ მოკლე ხანს გაგრძელდება.

ბენთამს არ ჰქონდა განზრახული მხოლოდ ამ სპეციალური საკითხების განხილვა. მისი ნაშრომებიდან, **„პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო“**[2] (1793-95) და **„პოლიტიკური ეკონომიის ინსტიტუტი“**[3] (1801-04), ჩანს, რომ ახალი ეკონომიკური დოქტრინის შემუშავება სურდა. ავტორის აზრით, თეორიული ეკონომიკა ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ისე უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ პროცესებში, რომ ადამიანთა უდიდესი ნაწილისათვის უდიდესი კეთილდღეობა უზრუნველყოს. აქ ბენთამი მეტად რთულ საკითხს წააწყდა, ვინაიდან მისი მიზანი იყო მოსახლეობის უმეტესობისათვის მაქსიმალური სარგებლიანობის მიღწევა, მოსახლეობის მატება კი იწვევს სიმდიდრის გადანაწილების აუცილებლობას. ეს კი ამცირებს ადამიანთა კეთილდღეობას, რომელსაც იგი „ფარდობით სიმდიდრეს“ უწოდებს. იგი თელიდა, რომ ასი კაცი, რომელთაც ერთად ასი მილიონი აქვთ, ნაკლებად „ბედნიერია“, ვიდრე ათი კაცი, რომლებიც იმავე თანხის პატრონია. ამის გამო, მეტად მრავალმხრივი აღმოჩნდა მაქსიმალური კეთილდღეობის პრობლემა: მოსახლეობის კეთილდღეობასთან დაკავშირებით მეტად რთული პრობლემა წარმოიშობა, რომლის გადაჭრა მხოლოდ კანონმდებელს შეუძლიაო. თავად ავტორი არაეითარ მითითებას არ იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა. იგი პასიურობას არჩევს.

ავტორს შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: 1. ხალხის საკუთრება სხვა არაფერია თუ არა კერძო საკუთრებათა ჯამი. ამიტომ ამ კერძო პირებზე უკეთ არავინ იცის, თუ როგორ შეიძლება ამ საკუთრების, ქონების გაზრდა; 2. სახელმწიფოს მხრიდან ყოველი ჩარევა იძულებითი ხასიათისაა. იძულება კი არავისთვის სასიამოვნო არ არის. იგივე არგუმენტებს იშველიებს იგი სახელმწიფოს მიერ ქონების თანაბრად გადანაწილების საწინააღმდეგოდ. თუმცა, აღნიშნავს, რომ ამით კეთილდღეობა უფრო გაიზრდებოდა, მაგრამ დაირღვეოდა საერთო სიმშვიდე, რაც ტანჯვის მიზეზი

1 Defense of Usury, 1787.
2 Manual of political economy, 1793-95.
3 Institute of political economy, 1801-04.

გახდებოდა. ამ მიზეზთა გამო, ბენთამი სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის წინააღმდეგი იყო. მას შემდეგ, რაც უტილიტარული სკოლის წარმომადგენელი ლიბერალური შეხედულებების სისწორეში დარწმუნდა, მან უარყო თეორიულ-ეკონომიკური კვლევის გაგრძელება. იგი მიზანშეწონილად არ თვლიდა თეორიული ეკონომიკის „ხელოვნების“ სწავლებას, რადგან იგი თავისუფალი ეკონომიკის უპირატესობის დემონსტრირებით უნდა შემოფარგლულიყო.

თავის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო“, ბენთამი მიუთითებს, რომ ვინაიდან პოლიტეკონომია ერთდროულად არის როგორც მეცნიერება, ასევე ხელოვნება, ამიტომ ფასეულობა მეცნიერების ხელოვნებისადმი დამორჩილებაში მდგომარეობს.

მისი აზრით, სარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ხელოვნების ყოველ განშტოებაში კანონმდებლის მომავალი მიზანი საზოგადოებისათვის მაქსიმალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა უნდა იყოს. რა შემთხვევაში შეიძლება მთავრობის მიერ ამ მიზნების საუკეთესო ვარიანტის შემოთავაზება? ბენთამი პასუხობს:

ეროვნული სიმდიდრის ზრდის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში **მთავრობა მინიმალურად უნდა ჩარიოს**; ასეთ შემთხვევებში მთავრობის დევიზი უნდა იყოს - **„ჩუმად!“**

ავტორი ასეთი სიმშვიდის განმაპირობებელ მიზეზებს შემდეგნაირად ხსნის: ზოგადად, ამ საკითხში მთავრობის ჩარევა აუცილებლობას არ წარმოადგენს. საზოგადოების მთლიან ქონებას შეადგენს მისი წევრების სიმდიდრე, მაგრამ ყოველი ინდივიდუალური პიროვნების საზრუნავია საკუთარი ქონების წილის გაზრდა. ადამიანზე უკეთ არავინ იცის თუ რა არის მისი ინტერესის წყარო.

პიროვნებას, რომელიც მთავრობაზე მეტ დროს თავისი ქონების შენარჩუნებასა და საკუთარი წილის გაზრდას უთმობს, ამ მიზნის მისაღწევად სწორი კურსის აღების მეტი შანსი აქვს, ვიდრე მთავრობას. თუმცა, დიდია იმის ალბათობა, რომ პიროვნებამ მის მიერ დასახული მიზნის მიღწევაში კრახი განიცადოს.

6.6. მთავრობის როლი

ყოველი კანონი თავისუფლებას გარკვეულწილად ზღუდავს და შეზღუდვა ტკივილს იწვევს. ამის გამო ბენთამი მოითხოვდა თავისუფალ კონკურენციასა და ინდივიდუალურ ინტერესზე დაფუძნებულ არჩევანის უფლებას. ამით, უტილიტარული პროგრამა „საუკეთესო მაქსიმალური რაოდენობით“ მოქმედებაში მოვიდა.

ბენთამის სისტემაში ეკონომიკაში მთავრობის ჩარევის ძალა მინიმუმამდე დაყვანილი. ამაზე იგი დამაჯერებელ კომენტარს აკეთებს: მომავლის მთავრობა არ იქნება იმდენად გულახდილი, რომ მას ვანდოთ იმის განსაზღვრა, თუ რომელი უფლებები უნდა შენარჩუნდეს და რომელი უგულებელყოს - რომელი კანონი დარჩეს ძალაში და რომელი გაუქმდეს.

მთავრობის ძალაუფლება უნდა შეიზღუდოს იმიტომაც, რომ გადასახდები არ გაიზარდოს. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: ფულით მოტანილი სიკეთის დასაფასებლად ყოველთვის შეადარეთ იგი იმ ზარალს, რომელიც გადასახადებით ამოღებული იგივე რაოდენობით ფულს მოაქვს, რადგან თუ ამ თანხის გამოყენებისაგან თავს შევიკავებთ, შეიძლება თავი შევიკავოთ გადასახადით იგივე თანხის ამოღებაზეც, და ამით მოსალოდნელ სირთულეებს თავიდან ავიცილებთ.

6.7. ლიდერობა ფილოსოფოს-რადიკალებში

ბენთამის იდეა ეკონომიკის, როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების შესახებ ფილოსოფიურ რადიკალებს შორის მის ლიდერობაში აისახება. მათ ჯგუფში შედიოდნენ ჯეიმზ მილი, დეივიდ რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი, პარლამენტის ზოგიერთი წევრი და სხვა გავლენიანი ადამიანები. მათ ზოგჯერ სხვა ჯგუფებიც მხარს უჭერდნენ. ბენთამის მომხრეებს ეკუთვნის ყველა რეფორმა, თუმცა, მათი სია შთამბეჭდავია, კერძოდ, 1832 წლის რეფორმათა ანგარიში; 1835 წლის მუ-

ნიციპალური კორპორაციული აქტი; მშრომელთა, კათოლიკეთა და დისენტერთა[1] გაერთიანების წინააღმდეგ კანონთა გაუქმება; არჩევნებში მონაწილეობის უფლებათა გაფართოება, ახალი კანონი ღარიბთა შესახებ (1834), იმპორტის ხელისშემშლელ ვალდებულებათა გაუქმება, ახალი საბანკო აქტი (1844), ზოგადი განათლება და საზოგადოების ჰიგიენისა და სანიტარიის კონტროლი.

ბენთამი ბუნებით რეფორმატორი, განათლების გულშემატკივარი ცდილობდა პარლამენტის დარწმუნებას, რომ მას საზოგადოებისათვის ფართო განათლების საშუალება მიეცა. ზოგადი განათლების სფეროში ინგლისი ამერიკის გამოცდილებას არ იყენებდა.

საერთოდ, ბენთამი ეთანხმებოდა სმითის ეკონომიკას, მაგრამ უპირისპირდებოდა ერთ მეტად მნიშვნელოვან სარგებლის ბუნების ფილოსოფიის მეტაფიზიკური პრინციპის საკითხში. უარყოფილი პრინციპი მან რაციონალური უტილიტარიზმით ჩაანაცვლა. „ბუნებრივი უფლებები", მისი აზრით, „უბრალო ნონსენსია: ბუნებრივი და განუყოფელი უფლებები, რიტორიკული ნონსენსია".

ბენთამი მიემხრო ადამ სმითს და შემდეგ დ.რიკარდოს და ბოლოს დაუბრუნდა საკუთარ გამოკვლევებს სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების სფეროში. სარგებლიანობის გაანგარიშების საფუძველზე ახალი ეკონომიკური დოქტრინის შექმნის მისი მცდელობა, ისევ მცდელობად დარჩა. მე-20 საუკუნეში კი „კეთილდღეობის ეკონომიკის" მიმდევართა შორის ბენთამს ახალი თანამოაზრენი გაუჩნდნენ.

7. ინტერესთა ჰარმონიის და ჰარმონიული საზოგადოების დოქტრინები

7.1. ჰენრი ჩარლზ კერი (1793-1879)

7.1.1. „რეაქცია პესიმისტებისადმი"

კლასიკური დოქტრინები პესიმისტური დასკვნებისკენ გადაიხარა ძირითადად რენტის, კლებადი უკუგებისა და მოსახლეობის პრინციპების კონცეფციების გამო. სახელმწიფოს როლის ეკოლუციის პროცესში სახელმწიფო შემოსავლების ზრდის სიმძიმე მშრომელებისკენ გადაიხარა და შედეგად კლასიკური ეკონომიკის წინააღმდეგ რეაქციებმა იმატა, რამაც სოციალისტური და საერთაშორისო დოქტრინები წარმოშვა.

პესიმისტურმა მიდგომებმა ეკონომიკის ავტომატური წონასწორობის შესახებ რწმენა შეარყია. მათ ბუნებრივი კანონების შემცველად სახელმწიფო დაფინანსების პროექტები განიხილეს, რომლებსაც საკანონმდებლო-ეკონომიკური თავისუფლებიდან ფართომასშტაბიან პროტექციონიზმამდე მივყავართ.

„ოპტიმისტ-ლიბერალების" რეაქციამ კი წინ წამოსწია „ხალხთა სიმდიდრე", რომელიც ლიბერალიზმის პრინციპებს ქადაგებს. მათი პოპულარობა 1850 წლამდე გრძელდებოდა.

ოპტიმისტური ლიბერალების რწმენით, ეკონომიკურ სისტემაში არსებული სირთულეები თავისუფლების არასრულყოფილი რეალიზაციის შედეგია და რომ დეფექტები უფრო სრულყოფილი თავისუფლების ინსტიტუტებით შეიძლება შეესებულიყო. ისინი აქებდნენ ინდივიდუალურ თავისუფლებას და როგორც ფ.ბასტიამ აღნიშნა: „ყველას რომ შეეძლოს მხოლოდ თავისი ინტერესების ერთგულება, იგი უნებურად აღმოაჩენდა, რომ საერთო ინტერესებს უბიძგებს".

ოპტიმისტ-ლიბერალების საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი ფ.ბასტია და ამერიკელი ჰ.კერი. ბასტია თავის წიგნში „ეკონომიკური ჰარმონიები" (1850) მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა თავისუფლებამ საზოგადოებას მაქსიმალური კეთილდღეობა შეიძლება მოუტანოს. კერიმ კი, „კლასებს შორის რეალური და ნამდვილი ინტერესის სრულყოფილი ჰარმონია" გამოაცხადა. ამ ორი პიროვნებისგან კერიმ პირველად გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები.

---

1 დისენტერები (ინგლ. dissenters) ინგლისში პროტესტანტი მორწმუნეების ერთ-ერთი სახელწოდება (XVI-XVII სს.), რომლებიც ინგლისურ ეკლესიას განუდგნენ.

7.1.2. პირველი ამერიკელი ეკონომისტი

ირლანდიური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი ჰენრი ჩარლზ **კერი** (Carey), მეთიუ კერის უფროსი შვილი, პროტექციონისტი და გამომცემელი, დაიბადა 1793 წელს ფილადელფიაში. ჯონ სტიუარტ მილის მსგავსად, მან, პოლიტეკონომიაში საწყისი მითითებები მამისგან მიიღო. ფარმალურად მისი განათლება ადგილობრივი სკოლების საზღვრებს არ გაცდენია, მაგრამ ოჯახურმა ბიზნესმა მას კითხვა გაუადვილა.

24 წლის ასაკში კერიმ ბეჭდვითი საქმე შეისწავლა და მამის ფირმაში უმცროსი პარტნიორი გახდა. მათი საგამომცემლო კომპანია ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და დიდი კომპანია გახდა.

42 წლის ასაკში კერი ბიზნესს განუდგა, ცოდნა გაიღრმავა და სოციალურ მეცნიერებას ჩაუღრმავდა. თავისი თავისუფლებით მან ადამ სმითის laisser faire-ს ეკონომიკური პრინციპების მიმართ აღფრთოვანება მრავალჯერ გამოხატა; თუმცა, ოპტიმიზმში იგი ნებისმიერ კლასიკოსზე შორს წაიღა, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ ინტერესების უნივერსალური ჰარმონიის მიმართ ბუნებრივი კანონები ავტომატურად მოქმედებენ.

კერის ერთ-ერთი პირველი ნაშრომია **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები"** (1837-1840).

მისი მტკიცებით, კაპიტალი და გამოგონებები დაბალი ფენების ქვეშევრდომობის მთლიან კომპენსაციას ახდენს და იმ პოზიციებზე დგას, რომ საკვები პროდუქტები უფრო სწრაფად მატულობს, ვიდრე მოსახლეობა. ქვეყანაში არსებულ სიღატაკეს, მისი აზრით, ადამიანის დაუსაქმებლობა განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ მამამისი - მეთიუ კერი პროტექციონიზმს გულშემატკივრობდა, მისი შვილი თავისუფალი ვაჭრობის მომხრედ რჩებოდა მისი წიგნის **„წარსული, აწმყო და მომავალი"** (1848) გამოცემამდე.

იმ პერიოდში თავისუფალი ვაჭრობა ინგლისში ძალიან ეფექტიანი იყო. კერი, რომელმაც ადრინდელი რწმენა შეიცვალა – ადვოკატი გახდა და „შტატებს შორის" ომის დაწყებასთან ერთად მისმა თეორიამ ფეხი მოიკიდა. მისი ყველაზე ერცელი ნაშრომია **„სოციალური მეცნიერების პრინციპები"** (1857-1859), რომლის შემოკლებული ვარიანტის გამოცემის სახელწოდებაა: **„სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებისათვის"** (1865).

კერის ნაშრომებს[1] მეტი გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში, ვიდრე ამერიკაში. ისინი სხვადასხვა ენაზე (მ.შ. იაპონურზე) ითარგმნა. მან სახელი გაითქვა კლუბებში სიტყვით გამოსვლით და სახლში კერძო შეხვედრების მოწყობით, რომლებიც ცნობილი იყო როგორც **„კერის საღამოს ვარსკვლავები"**.

შეხვედრების დროს იგი ყოველთვის სიმპათიურად გამოიყურებოდა, ჰქონდა რომანტიული ინდივიდუალობა და კარგი გონება. იგი გამოიკვეთა, როგორც კლასიკური სკოლის პესიმიზმის მოწინააღმდეგე ლიდერი და, აგრეთვე, სოციალისტური იდეების მოწინააღმდეგე.

კერის მნიშვნელობა და პოპულარობა ამჟამად შემცირდა. თანამედროვე სტუდენტურ თაობას უჭირს მისი, როგორც **„პირველი ამერიკელი ეკონომისტის"** შეფასება.

7.1.3. ინტერესთა ჰარმონია

წიგნის **„წარსული, აწმყო და მომავალი"** (1848) შესავალში კერი აცხადებს, რომ შემოთავაზებულ ნაშრომში ბუნებრივი კანონი განაგებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ადამიანის ქმედებას. იგი ისეთი ძლიერი და უნივერსალურია, რომ მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია; მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქამდე იგი შეუმჩნეველი იყო.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური მეცნიერების კანონები მჭიდრო კავშირშია სოციალური

1 The principles of Political economy, vol.1-3,Phil., 1837-40; The past, the present, and the future, Phil., 1848; The harmony of interest; agricultural, manufacturing, and commercial, Phil., 1851; The principles of social science, vol.1-3,Phil., 1857-59; The slave trade, domestic and foreign; why it exists, and how it may be extinguished, Phil., 1853; რუს თარგმ.: Политико-экономические письма к президенту США, М., 1960; Руководство к социальной науке, в. 1-2, СПБ, 1866-1869.

მეცნიერების კანონებთან, რადგან ბუნების კანონი აკონტროლებს გონებასაც და მატერიასაც.

კერის განცხადებით, „სხვადასხვა კლასებს შორის რეალური ინტერესების სრულყოფილი ჰარმონია“ მხოლოდ „გაერთიანების პრინციპის“ გამოყენებაზეა დამოკიდებული.

კერიმ უარყო კლებადი უკუგების კანონი, გააკრიტიკა რიკარდოს რენტის თეორია და ხალხთმოსახლეობის მალთუსიანური პრინციპი. მისი აზრით, რიკარდოს გადანაწილების თეორია, რომელიც საზოგადოების კლასებს შორის ინტერესების დაპირისპირებას წარმოადგენს, არაბუნებრივი და ფანტასტიურია. სანაცვლოდ მან ინტერესების სრულყოფილი ჰარმონიის შესახებ საკუთარი თეორია შექმნა.

კერის მიხედვით, საზოგადოების განვითარებასთან ერთად მშრომელთა ხელფასები რენტასთან და სარგებელთან შედარებით, აბსოლუტურად და შეფარდებითად გაიზარდა.

თუ როგორ განვითარდა ადამიანი სიმდიდრის მოპოვებამდე, კერი ამის საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს თავის წიგნში „წარსული, აწმყო და მომავალი“:

პირველ კულტივატორს, რობინზონ კრუზოს, ჰყავს ცოლი, მაგრამ არა აქვს ნაჯახი და ნიჩაბი. იგი მარტო მუშაობდა. იგი გარშემორტყმულია მიწის ნაკვეთებით, რომელიც შრომის ფართოდ რეალიზაციის საშუალებას იძლევა. ამ მიწებზე ბევრი ხე (რომელსაც იგი ვერ მოჭრის) და ჭაობია (რომელსაც იგი ვერ ამოაშრობს); იგი მაღალ მთაზე იწყებს მიწის დამუშავებას, სადაც იგი ჯოხით გახვრეტილ ნიადაგში თესავს მარცვალს და ორმაგ შემოსავალს იღებს. შემდეგ იგი მას დაფქვავს ქვით და მიიღებს პურს. მისი მდგომარეობა ამით გაუმჯობესდება. შედეგად, მან წარმატებულად აითვისა მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, მას შეუძლია ინადიროს კურდღლებზე და ციყვებზე და მოკრიფოს ხილი. დროთა განმავლობაში მან დაამუშავა ქვა როგორც სამუშაო იარაღი და მიიღო ნაჯახი, რომლითაც იგი სწრაფად მოჭრის და აითვისებს ხეებს, აგრეთვე, ამოთხრის ფესვებს და სარეველებს; თუმცა, ეს მაინც ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა.

მოთხრობა ვითარდება რობინზონ კრუზოს ფანტაზიის უკეთესობისკენ განვითარების აღწერით. განვითარების ყოველ ეტაპზე იგი აუმჯობესებს თავის ნაჯახს. შემდეგ ეტაპზე იგი ახლადაღმოჩენილი ტყვიის მადნისგან ლითონის ნაჯახისა და ნიჩბის დამზადებას ახერხებს. მომდევნო ეტაპისათვის იგი აღმოაჩენს თუთიას და სპილენძთან შერევით იღებს თითბერს. მსუბუქი ხელსაწყოს დახმარებით იგი უფრო სწრაფად განიცდის პროგრესს. მისი შვილები იზრდებიან და იმ ასაკს აღწევენ, როდესაც მამის დახმარება შეუძლიათ. განვითარების შემდგომ ეტაპზე რობინზონ კრუზო რკინისგან ნამდვილ .ნაჯახსა და ნიჩაბს ამზადებს და მათი საშუალებით მას მდინარის ძირის ლექისაგან გაწმენდა შეუძლია. ამასობაში შვილები კიდევ უფრო წამოიზარდნენ და მამას მძიმე ფიზიკური შრომისაგან ანთავისუფლებენ. ოჯახი იზრდება, მდიდრდება. საკვების რაოდენობა სწრაფად მატულობს და მასთან ერთად მისი მოხმარებაც იზრდება. შიმშილის ყველანაირი საფრთხე ქრება, თუმცა, მოსავლის მიღებაზე მეტი დრო იხარჯება. შინაურ ცხოველთა რიცხვს ღორთან ერთად ხბო და ცხვარი ემატება. ამგვარად, შემდგომი თაობები უკვე დაგროვილი სიმდიდრით ისარგებლებენ. მეტი შრომა, მეტი შემოსავლიანიც ხდება. იზრდება ქონების დაგროვება და მცირდება მასზე დახარჯული შრომა. წყლის და ჰაერის გამოყენება უკვე წყლის ბორბლით და წისქვილით ხდება. ნახშირს თავისი ფუნქცია გამოეძებნა. ყველაფერი კარგად მიდის, რადგან ბუნება კორელაციაშია ადამიანის მაკონტროლებელ გონებასა და ენერგიასთან.

ჰ.ჩ. კერი აგრძელებს:

იზრდება მოსახლეობა და ფართოვდება დასახლებული ადგილები და ყოველ ნაბიჯზე შეიმჩნევა საქმიანობის კომბინირების მზარდი ტენდენციები საკვები პროდუქტის, ტანსაცმლის წარმოებისა და სახლების შენებისათვის, აგრეთვე, იმ ხელსაწყოების დასამზადებლად, რომელიც ყველა პროცესის აუცილებელი კომპონენტია. ღრმა ჭაობიც უკვე ამოშრობას ექვემდებარება. შემდგომ ეტაპზე კეთდება ძველი და ახალი დასახლებების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები, მაგრამ ადამიანს მეტი დასვენება სჭირდება, რომ მის და მისი წინაპრების მიერ შეძენილი გამოცდილება უკეთ აისახოს შედეგებზე. მისი გონება სულ უფრო და უფრო სტიმულირდება ქმედებაზე. ქვიშა გამოყენებულია თიხასთან ერთად და ეს ორი კომპონენტი კომბინაციაში უკეთეს შედეგს იძლევა. შრომითი საქმიანობა იზრდება და ყველანი უკეთ არიან უზრუნველყოფილნი საკვებით, ტანსაცმლით და სახლებით. ისინი მზად არიან ახალი სირთულეებისათვის, რადგან ჯანმრთელობა და შრომის პი-

რობები გაუმჯობესებულია. თუმცა, მათთვის მოსავლის შეგროვება კვლავ სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ ხმარებაში შემოდის ნამგალი და ცული. ამას მოყვება ურიკა და ურემი, რომლებიც მიწის დამუშავების პროცესებს აადვილებენ.

პროდუქტზე ყოველდღიური მოთხოვნა და მოხმარება იზრდება და ადამიანი კვლავ მეტ მიწებს ითვისებენ. შიმშილის და ავადმყოფობის საშიშროება არ არის. იზრდება შრომისუნარიანობა, უმჯობესდება სამუშაო პირობები, იზრდება მოსახლეობაც, ძლიერდება ადამიანთა ურთიერთკავშირი.

ჰ.კერის დასკვნით, ზემოაღნიშნული პროცესების შედეგად ადამიანთა კომერციული საქმიანობისაკენ მისწრაფებების მოთხოვნილება გაიზარდა; ეს განაპირობებს ჰარმონიას და სიმშვიდეს, პიროვნების უსაფრთხოებას იმ სამყაროში, სადაც მუდმივად იზრდება მოსახლეობის რიცხვი, მატულობს მათი ქონება და კეთილდღეობა.

7.1.4. რენტის, ბუნების, მოსახლეობის, მმართველობის, ღირებულების, მიწისა და კაპიტალის შესახებ

ზემოთ აღწერილი პროცესები თითქოს ჰ.ჩ. კერის წარსულია, საიდანაც იგი რიკარდოს რენტის თეორიის კრიტიკოსად გვევლინება. კერის განცხადებით, უძველესი მოსახლეობა უნაყოფო მიწაზე დასახლდა; ეს განცხადება სრულიად ეწინააღმდეგება რიკარდიანულ თეორიას, რომლის მიხედვითაც პირველად სწორედ ნაყოფიერი მიწები იქნა ათვისებული. დეტალური და დამღლელად გრძელი აღწერით კერი გვიჩვენებს, რომ ისტორია რიკარდოს ცრუ საბაბზე აგებულ ვარაუდს ეწინააღმდეგება.

კერი მრავალჯერ ამტკიცებს რიკარდოს იმაში, რომ მან თავის თეორიას მარტივი და უნივერსალური უწოდა. კერის აზრით, დედამიწა ემსახურება ადამიანის მიზნებს და მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის ის არის, რომ ეს უკანასკნელი ყოველთვის ბუნების მონად დარჩება, მაშინ როცა მხოლოდ ადამიანია „დაჯილდოებული თავისი თავის ბატონ-პატრონობის უნარით, რომელიც მას სამუშაოს შესრულების საშუალებას აძლევს". ბუნების ჰარმონიული კანონების ადამიანების ინსტინქტებთან კომბინირება, რომლებიც მათ გაერთიანებისკენ უბიძგებთ დადებით შედეგებს იძლევა: „მოსახლეობა და სიმდიდრე იზრდება, ნაყოფიერი მიწები სულ უფრო და უფრო კულტივირდება, როდესაც ადამიანს საშუალება აქვს საკუთარ ინსტინქტს დაემორჩილოს, რომელიც მას სხვა ადამიანებთან გაერთიანებისკენ უბიძგებს". რიკარდოს დოქტრინა განიხილება, როგორც ერთ-ერთი მზარდი განშტოება, მაშინ როცა ბუნების კანონები მიმართულია „გაერთიანებისა და კომბინაციის ძალის მუდმივი ზრდისაკენ, სადაც უფრო ნაყოფიერი მიწების ათვისება მხოლოდ უნარიან ადამიანს შეუძლია".

7.1.5. მალთუსის წინააღმდეგ

ჰ.ჩ. კერი აგრეთვე უმართებულოდ თვლიდა მალთუსის მოსახლეობის კანონს, რომლის მიხედვითაც, საარსებო საშუალებები (მატერია) მხოლოდ არითმეტიკული პროგრესიით, ხოლო მოსახლეობის რიცხვი კი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ასეთ დოქტრინას კერი აბსურდულად მიიჩნევს, რადგან ამას ბუნება არ ადასტურებსო: როდესაც მატერიის შესაძლებლობების უმაღლეს სტანდარტს ვაღწევთ, ჩვენ ვიგებთ ახალი და უფრო სრულყოფილი კანონის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით მატულობს, მაშინ როცა კურდღელი, კიბორჩხალა, კარტოფილი და ადამიანისათვის საჭირო პროდუქტი მხოლოდ არითმეტიკულად შეიძლება გაიზარდოს - წერდა იგი.

იმ თავში, რომელშიც განხილულია მოსახლეობისა და კვების პრინციპები, კერი განმარტავს, რომ მოსახლეობის რიცხვის და მის მიერ საკვების მოხმარების ზრდა გავლენას ახდენს ადამიანთა შორის ურთიერთობების დამყარებაზე და ამის მიზეზსაც ასახელებს. საკვების მოხმარების გასაზრდელად მოსახლეობის რაოდენობა უნდა გაიზარდოს; გაერთიანებების შედეგად ადამიანები დედამიწის ძალებს აკონტროლებს და მათ ბუნების მონობიდან თავის დასაღწევად მიმართავს, რათა თავად მართოს იგი.

რობინზონ კრუზო წარმოდგენილია როგორც საკუთარი თავის მაკონტროლებელი პირველი ადამიანი. მწყემსის როლში ყოფნისას მის მიერ მოშინაურებულ ცხოველთა რიცხვი იზრდება, საკ-

ეები უფრო მრავალფეროვანი და იაფია. განვითარების უფრო გვიანდელ ეტაპზე სამუშაო იარაღების დახმარებით იგი ნიადაგიდან იმ აუცილებელ საკვებს იღებს, რომლის მოხმარება მისი წინასწარი დამუშავების გარეშეა შესაძლებელი.

მაშასადამე, კვების პროდუქტების წარმოებისათვის შეძენილი თითოეული აკრი მიწა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ხარის მოსაშენებლად აღებული ნ აკრი[1] მიწა. მიწაზე ითესება მუხუდო, ლობიო, კომბოსტო და ბოლოკი; ნახევარი აკრი იძლევა ერთ ტონა შემოსავალს და შესაბამისად, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იზრდება. ამ ყველაფერში მწარმოებელს პროდუქტზე მოთხოვნა-მიწოდების პროცესების დარეგულირება ეცალება:

„ცხოველის საკვების შეცვლა მცენარეული საკვებით უფრო მნიშვნელოვანი ხდება და, რაც უფრო უშუალოა ადამიანის ქმედება ბუნებაზე, მით უფრო კარგად კმაყოფილდება მოთხოვნილება. რაც უფრო ძლიერია ნოყიერი მიწის დამუშავების უნარი და რაც უფრო მრავალფეროვანია ადამიანის საქმიანობა ბუნების მართვაში, ცივილიზაციაც მეტად ვითარდება. ცხოველური პროდუქტის შეცვლა მცენარეულით ცივილიზაციის განვითარებაზე მეტყველებს. ბამბა შეიცვალა შალით, აბრეშუმით, მცენარეული ზეთი შეცვალა ვეშაპის ან სხვა რომელიმე ცხოველის ზეთმა; ტყავი შეცვალა მარლამ; პერგამენტი შეიცვალა ქაღალდით; ბატის ფრთის კალამი ლითონისამ შეცვალა; ცხოველური ნაკელი მინერალურმა, მექანიკური ხელსაწყოები ასრულებენ კუნთის, ძვალის როლს; მექანიკური და სხვა საშუალებები ხელს უწყობენ საზოგადოების კიდევ უფრო განვითარებას".

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბუნება კარგად ადაპტირებს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების მიმართ – გაერთიანებისა და კომბინაციის ძალის ზრდასთან ერთად ადამიანის სიცოცხლისათვის აუცილებელი ნედლეულის რაოდენობა მცირდება და შრომის შედეგად მიღებული პროდუქტის რაოდენობა იზრდება. კერის აზრით, ადამიანის შრომის ღირებულება ყოველ ეტაპზე იზრდება და ამასთან, კონკურენციის ზრდის შედეგად, პროდუქტის ღირებულება რეგულარულად მცირდება. ამგვარად, შრომა კაპიტალზე ძალაუფლებას აძლიერებს და ეს ადამიანს მეტ ბედნიერებას და თავისუფლებას ანიჭებს.

კერის აზრით, ბუნება ადამიანთან მჭიდრო თანამშრომლობით მოსახლეობის რაოდენობაზეც პირდაპირ კონტროლს განახორციელებს; ადამიანში რაც უფრო მატულობს სიცოცხლის ძალა, მით უფრო მიისწრაფის იგი აზროვნების განვითარებისაკენ და მით უფრო ნაკლებად მიილტვის შთამომავლობის შექმნისაკენ.

ჰ.ჩ. კერი წარმოგვიდგენს უნიკალურ მეთოდს, რომელიც მრავალი შეუთავსებელი და ანალოგიური მეთოდის შერწყმაა. იგი აკრიტიკებს დედუქციური (ზოგადიდან კერძო დასკვნის გამოტანა) მეთოდის ზედმეტად ფართო გამოყენებას სხვების მიერ. მისი აზრით, პოლიტეკონომისტები თანამედროვე მეცნიერულ მეთოდებს არ იყენებენ და მეცნიერებას ცოდნის მეტაფიზიკურ ეტაპთან ზედმეტად აიგივებენ. თუმცა, იგი მიუთითებს ინტუიციაზე და შთაგონებაზე, როგორც ეკონომიკური პროგრესის ეფექტურ საშუალებებზე.

ინტუიცია და შთაგონება – ცოდნის მეტაფიზიკური და თეოლოგიური ეტაპების არსი – ძალიან სანდოა, მაშინ როცა სისტემა, რომელშიც ისინი გამოიყენება, დაკნინებულადაა მიჩნეული. კერის მერყეობა კარგად იკვეთება, მაგალითად, მოსახლეობის შესახებ მალთუსიანური დოქტრინის აღწერისას.

კერი მომავალს ანდობს სამყაროს შემქმნელს:

შესაძლებელია ერთ დროს მსოფლიო ისე დასახლდეს, რომ დასადგომი ადგილიც აღარ დარჩეს; თუმცა, ეს შორეული მომავალი ღვთაებას (ღმერთს) ვანდოთ. დაუკავებელი მიწები ახლაც მრავლად არის და იქნება მომავალშიც, მაგრამ რომელია ის ფენომენები, რომლებიც წარსულში და დღემდე ადამიანთა რიცხობრივ ზრდას თან ახლავს? ეს კითხვა ისმის იმისათვის, რომ განისაზღვროს ის ფენომენები, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანთა მომავალ პროგრესს დიდი რაოდენობის ნოყიერი მიწის დამუშავებისათვის; რადგან ჯერ კიდევ დიდი რაოდენობითაა დარჩენილი დაუკავებელი მიწები, როგორც ძველ, ისე ახალ ქვეყნებში.

სხვა მონაკვეთში კერი იგივე თემას წამოჭრის: ომის და ეპიდემიების შემდგომ პერიოდებში ადამიანთა შობადობა იზრდება და აქტუალურდება საკითხი, თუ რა არის ამის მიზეზი და ეფექტი. საჭიროა თუ არა ომი, რომ „შემქმნელის" შეცდომა გამოვასწოროთ; თუ თავად „შემქმნელმა" მოგვცა ის საშუალებები, რომ ადამიანები შეეკამციროთო.

---

1 აკრი (ინგლ. acre) ფართობის ინგლისური ერთეული, 1 აკრი = 4840 კვ. იარდს = 4047 კვ.მ.

7.1.6. ღირებულება, მიწა და კაპიტალი

ჰერი ჩარლზ კერის შეხედულებით, ამ სამყაროში ადამიანის უმთავრესი მიზანია ბუნებაზე კონტროლის დამყარება და ამ მიმართულებით შრომა ყოველ ნაბიჯზე ნაკლებად მძიმე და მეტად შეღებიანი ხდება. **ღირებულება** რაიმე საგნის დაუფლებამდე მოსალოდნელი სირთულის შეფასებით განისაზღვრება. კერის თეორიის მიხედვით, ბუნებაზე ადამიანის უპირატესობის ზრდასთან ერთად წინააღმდეგობა მცირდება; წარმატებულ საზოგადოებაში შრომის ღირებულება იზრდება, საქონლის ღირებულება კი მცირდება.

ჰ.კერი **მიწის ანგარების კაპიტალთან**. მისი რწმენით, **რენტა** მიწათმფლობელის კანონიერი შემოსავალია ისე, როგორც სარგებელი კაპიტალისათვის. მიწის ღირებულება შრომის გაუმჯობესების შედეგი და სიმდიდრის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსახლეობის ზრდასთან ერთად სიმდიდრეც იზრდება; რენტა რაოდენობრივად იზრდება, მაგრამ მოსახლეობის და სიმდიდრის ზრდის პროპორციულად კი იგი მცირდება.

განაწილებისადმი მიძღვნილ თავში იგი წერს, რომ **კაპიტალი** იარაღია, რომლის საშუალებითაც ადამიანი ძალაუფლებას იძენს, რათა ბუნების ძალები თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს. კერის მტკიცებით: წარსულში შენაძენის ღირებულება ყოველთვის იკლებს. პირველი ქვის დანა უფრო მარტივი შრომის ნაყოფია, ვიდრე შემდგომში ბრინჯაოს დანა, თუმცა, ეს უკანასკნელი გაცილებით ეფექტურია. ამჟამად ქვის ნაჯახმა თავისი ფასი დაკარგა, და, მაინც, ადრეულ პერიოდში, მისი შესაძლებლობები იმის სამ მეოთხედს შეადგენდა, რომელსაც ადამიანი თავად ასრულებდა; ახალ ეტაპზე კი რკინის და ფოლადის ნაჯახი კვლავ უფრო სარგებლიანი ხდება და ბრინჯაოს ნაჯახი ხმარებიდან გამოდის. რაც უფრო გამოსადეგია ახალი ინსტრუმენტი, მით მეტად კარგავს თავის ღირებულებას მისი წინამორბედი. ადამიანის გონება, რომელიც მატერიას განაგებს, მასში ბუნებრივი ძალების კონცენტრირების შედეგია. იგი ახლა მოძველებულ ინსტრუმენტებს უარყოფს და ამით მისი წინაპრებისადმი თავის უპირატესობას ამტკიცებს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ხელებით ირჯებოდნენ.

კერის დასკვნით: მთლიანი პროდუქტის რაოდენობრივმა გაზრდამ მასში მშრომელის წილიც გაზარდა, კაპიტალისტის წილი კი პროპორციულად შემცირდა, მაგრამ ამ პროცესს თან ახლავს მისი მთლიანი წილის რაოდენობრივი მატება. ორივე ეს პროცესი საერთო მდგომარეობას გაუმჯობესებს. ამ მიმართულებით მოვლენათა განვითარების ყოველ ეტაპზე კვლავ იგივე შედეგები მიიღწევა – მშრომელის წილი იზრდება მის შრომასთან ერთად; ამ პროცესის პარალელურად საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის თანასწორუფლებიანობაც მატულობს. რაც უფრო სწრაფია პროგრესი, მით მეტია მატერიაზე გონების ზეგავლენისა და ძალაუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვა – შრომის ღირებულება იზრდება კაპიტალის ღირებულებასთან შედარებით; მოვლენათა ბუნებრივი განვითარებისას მშრომელები სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენენ წარსულის გამოცდილების ხარჯზე.

ჰ.ჩ. კერი მართლაც რომ ოპტიმისტი იყო. იგი რისკავდა იმისათვის, რომ გაებათილებინა ის ეკონომიკური დოქტრინები, რომლებიც ბუნების ძალებსა და ადამიანს შორის სრული ჰარმონიულობის შესახებ მის თეორიას ეწინააღმდეგებოდნენ. კერი ყველა სფეროში შეუპოვრად ეძებდა მისი აღმოჩენის - „ბუნების უნივერსალური კანონის“ დამამტკიცებელ საბუთებს. ამ ძიებებმა იგი შორს წაიყვანა და ბევრი მისი არგუმენტი მისი დილეტანტიზმის დამამტკიცებელი საბუთი აღმოჩნდა.

7.2. ფრედერიკ ბასტია (1801-1850)

7.2.1. ეკონომიკური ორაზროვნება

ფრედერიკ **ბასტია** (Bastiat), ფრანგი ეკონომისტი და პუბლიცისტი, დაიბადა ბეიონთან ახლოს, საკმაოდ მდიდარი ვაჭრის ოჯახში. ცხრა წლის ასაკში მამა გარდაეცვალა, იგი დეიდის მზრუნველობაში აღმოჩნდა, რომელმაც მისი მომავალი განათლება წარმართა.

სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ბიძის სავაჭრო ბიზნესში დასაქმდა, მაგრამ 24 წლის ასაკში მან ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებულ მიწის ნაკვეთზე ფერმერობა დაიწყო.

ფრედერიკი კითხულობდა კლასიკური ეკონომიკის შესახებ, რამაც მას საშუალება მისცა ეკონომიკისაკენ გადახრილიყო. ინგლისური, იტალიური და ესპანური ენების ცოდნამ ფრედერიკს საშუალება მისცა უცხოეთში, კერძოდ, ინგლისში სოციალურ საკითხებზე საინტერესო ინფორმაციები მოეპოვებინა.

ფ.ბასტიას კონცეფციით, სოციალური სამყაროს ზოგადი კანონები ერთმანეთთან ჰარმონიაშია. მისი რწმენით, სრულ თავისუფლებაში შეზღუდული ნებისმიერი ბიზნესი ბუნების ჰარმონიასთან კონფლიქტშია. შედეგად, მან პროტექციონისტებისა და სოციალისტების არგუმენტების წინააღმდეგ გაილაშქრა.

სატირისა და იგავ-არაკების ბრწყინვალე გამოყენებით მან სახელმწიფო ინტერვენციონიზმის სისუსტეებზე მიუთითა. თუმცა, ბასტია არ იყო ძლიერი ეკონომისტი, იგი პოპულარიზაციას უწევდა მრავალ ორთოდოქსულ თეორიას, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მიმდინარე ეკონომიკურ პრობლემებს.

ფ.ბასტია აქვეყნებდა სტატიებს, წერდა ბევრ წერილს. განუკურნებელი სენით შეპყრობამ შეუძლებელი გახადა მისი აქტიური ცხოვრება, ამიტომ იგი ბევრს წერდა და მისი ნაშრომები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბასტიას ნაშრომები მხნეობით აღსავსეა, მათ ავტორს ენერგია გამოუფიტეს. იგი გარდაიცვალა რომში, სადაც სამკურნალოდ იყო ჩასული.

ფ.ბასტიას ნაშრომების უმეტესობა დაწერილია სიცოცხლის ბოლო ექვსი წლის განმავლობაში. მათ შორის ბასტიას მთავარი ნაშრომებია: **„ეკონომიკური სოფიზმები“** (1846)[1] და **„ეკონომიკური ჰარმონიები“** (1849)[2].

7.2.2. ჰარმონიული საზოგადოება

ბასტია თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა და სოციალურ პრობლემებს თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვასთან აკავშირებს. კაპიტალიზმი „ურთიერთმომსახურებაზე დაფუძნებულ ჰარმონიულ საზოგადოებად“ განიხილა.

ამასთან, ბასტიას მოსაზრებით, **„პოლიტიკური ეკონომიის კვლევის საგანია ადამიანი“**. აქედან გამომდინარე, მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული ქმედება პოლიტიკური ეკონომიის საგანს წარმოადგენს.

შემდგომში ბასტიამ **ეკონომიკა** წარმოადგინა როგორც გაცვლის თეორია და რომ **„ღირებულება** არის ორ გაცვლილ მომსახურებას შორის რაოდენობრივი თანაფარდობა“.

ბასტია, როდესაც დაგროვილი შრომის ღირებულებას ადარებს მომსახურებას, რომელიც ღირებულების საზომია, იგი შემდეგნაირად ხსნის ადამ სმითის პარადოქსს: ბრილიანტი უფრო ძვირფასია, ვიდრე ერთი ჭიქა წყალი სწორედ მომსახურების ღირებულების განსხვავების გამო. აგრეთვე, შემთხვევით აღმოჩენილი მარგალიტი იგივე ღირებულებისაა, რაც ზღვის ფსკერიდან წვალებით ამოღებული მარგალიტი, იმიტომ, რომ მფლობელების მიერ გაცვლის შემდეგ გაწეული მომსახურების იდენტურია.

ფ.ბასტია ეკონომიკის სამყაროს **ორ სფეროდ** ყოფს: ბუნებრივი თანამშრომლობა ღმერთის ძღვენის სახით და ადამიანის შრომა; პირველი ძღვენია, მეორე კი სირთულებთანაა დაკავშირებული. ადამიანი პერმანენტულად ცდილობს ამ სირთულეების გადალახვას და მათ ღვთის მიერ ბოძებული სარგებლით ჩანაცვლებას ცდილობს. ამ ჩანაცვლების პრინციპს ეკონომიკური პროგრესი წარმოადგენს.

ბასტიამ სოციალური ჰარმონიების საწყისი თავისუფლებისა და ქონებრივ პრინციპებთან დააკავშირა. ამ ორი პრინციპის საშუალებით შესაძლებელია ადამიანთა განვითარება და პროგრესი. გაუმჯობესება და გაწონასწორება **ჰარმონიას** განაპირობებს: „ასეთია წინდახედულობის შედეგი – ბუნების დიადი კანონებისა – როდესაც ისინი დაუბრკოლებლად მოქმედებენ თავისთავად, რაიმე შეცდომისა და ძალდატანების გარეშე“.

---

1 სოფიზმი ფორმალურად სწორ, მაგრამ არსებითად ცნებათა ორაზროვნებაზე დამყარებულ მცდარ დასკვნას ნიშნავს.

2 **Ф. Бастиа**, Экономические софизмы. Экономические гармонии, М., «дело», 2000.

ბასტიას მიერ სოციალური უთანხმოებანი (თავისუფლებისა და ქონების) ჩრდილში ექცევიან; „ჰარმონია აბსოლუტურად არ გამორიცხავს ბოროტების არსებობას, მაგრამ მცირე ოდენობით. სოციალური სხეული, ადამიანის სხეულის მსგავსად, სამკურნალო ძალას ფლობს".

განაწილება. განაწილების შესახებ ბასტიას კონცეფციის თანახმად, კაპიტალისადმი ინტერესი მცირდება, მაშინ როცა მისი მოცულობა იზრდება; თუმცა, მისდამი ინტერესი აბსოლუტურად იზრდება; მიწის რენტა წარსული მომსახურების შედეგია. ამასთან, მოშსახურებას ეწევიან ნივთები და ბუნების ძალები. ასეთ პირობებში მშრომელები კმაყოფილნი რჩებიან, რადგან მათი ხელფასის წილი იზრდება. ამის შედეგად, მუშიდან დამქირავებლად გარდაქმნის პროცესი იოლდება გამომუშავებული თანხის პერმანენტული ზრდის გამო. აქედან გამომდინარეობს, რომ კლასობრივი სტატუსის ცვლილება ნაკლებად სასურველია.

ამრიგად, ბურჟუაზიულ საზოგადოებას ბასტიამ ჰარმონიული თანამშრომლობის საზოგადოება უწოდა, სადაც კლასები ერთმანეთში ეკვივალენტურად ცვლიან თავიანთ მომსახურებას.

8. ჯონ სტიუარტ მილის (1806-1873) ლიბერალურ-რეფორმისტული დოქტრინა

8.1. მამა-შვილი

კლასიკური სკოლის კრიტიკამ ათეული წლების განმავლობაში კლასიკური დოქტრინის ბატონობა ვერ შეარყია. ინგლისელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, ჯეიმზ მილის (1773-1836) შვილი ჯონ სტიუარტ მილი (Mill) თავს კლასიკოსად თვლიდა.

იგი დაიბადა 1806 წელს ლონდონში, ჯეიმზ მილის ცხრა შვილიდან უფროსი იყო. მამამ მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ჯეიმზ მილმა, ღარიბი მეწაღის შვილმა კარგი განათლება მიიღო. იგი ჯერ თეოლოგი, შემდეგ მწერალი და ბოლოს აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის თანამდებობის პირი გახდა. იგი რიკარდოსთან მეგობრობდა, მაგრამ თავისი შეხედულებით რიკარდიანელი ნაკლებად იყო.

ჯეიმზ მილმა თავის ნაშრომში „ვაჭრობის დაცვა" (1808) ლიბერალური იდეებიდან გამომდინარე, სეის „მიწოდება-მოთხოვნის ავტომატური წონასწორობის" დოქტრინა გაიზიარა და ჭარბწარმოების კრიზისების გარდაუვალობა უარყო. იგი თავის მთავარ ეკონომიკურ ნაშრომში - „პოლიტიკური ეკონომიის ელემენტები"[1] (1821) დ.რიკარდოს იდეების კომენტატორად გამოდის. თუმცა, მისგან განსხვავებით, ღირებულების შესაქმნელად, ცოცხალ შრომასთან ერთად გაწეულ შრომაც დასახელა. ამასთან, მიწის რენტის მაქსიმალურად დაბეგვრა მოითხოვა, რაც, ფაქტობრივად, მიწის ნაციონალიზაციას ნიშნავდა.

ჯეიმზ მილს სურდა, რომ თავისი ვაჟი მისი ეპოქის გამოჩენილი პიროვნება ყოფილიყო. სამი წლის ასაკში იგი ჯონს ბერძნულს, 8 წლის ასაკში – ლათინურს, შემდეგ კი ფილოსოფიას, ისტორიას და მათემატიკას ასწავლიდა. გონიერებით დაჯილდოებული ბავშვი სმითსა და რიკარდოს წარუდგინეს. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ეკონომიაში მასთან საუბრით ფრიად კმაყოფილი დარჩა.

ჯონის ასეთი „სასათბურე განათლება" თოთხმეტი წლის ასაკში დასრულდა. შემდეგი პერიოდი მან საფრანგეთში გაატარა. ჩვიდმეტი წლის ასაკში მამამ მუშაობა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში დააწყებინა. ოცი წლის ასაკში ჯონს პერიოდული ნერვული დეპრესიები დაეწყო, რაც მას ზოგჯერ თვეობით შრომის უნარს უკარგავდა.

ოცდაოთხი წლის ასაკში მილს ჰარიეტ ტეილორი, ბითუმად მოვაჭრე მდიდარი აფთიაქარის მეუღლე შეუყვარდა. ტეილორს მეუღლე უყვარდა და ამ ამბავს გაგებით ეკიდებოდა. და მაინც, ამან მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რასაც მილის ოჯახიდან განდგომა და სოციალური იზოლაცია მოჰყვა. ცხრამეტი წლის შემდეგ ამ სამკუთხედიდან მისტერ ტეილორი გარდაიცვალა (1849) და ორი წლის შემდეგ ქალბატონი ტეილორი ჯ.ს. მილის მეუღლე გახდა. იგი მეუღლეზე ამაღლებულად საუბრობდა. ეტყობა, მასში იმ „გრძნობამ" გაიღვიძა, რაც აკლდა. თავის მხრივ, მილის მუშაობასა და აზროვნებაზე მეუღლესაც დიდი ზეგავლენა ჰქონია.

1 J.Mill, Elements of political economy, L., 1821.

პოლიტიკურად მილი ფილოსოფოსი რადიკალი იყო და სოფლის მემამულეებისა და პასტორების[1] წინააღმდეგ გამოდიოდა. ერთხელ, ახალგაზრდობაში, მალთუსური პამფლეტების[2] გაერცელების გამო დაიჭირეს.

იგი სამოქალაქო თავისუფლების, თავისუფალი ვაჭრობის, ქალების საარჩევნო უფლებებისა და, საერთოდ, საარჩევნო რეფორმების დამცველი იყო, ემხრობოდა ტრედუნიონიზმს[3] და გაფიცვის უფლებებს.

1865 წელს მილი თემთა პალატაში აირჩიეს, თუმცა დიდი ორატორული ნიჭით არ გამოირჩეოდა. სამი წლის შემდეგ არჩევნებში დამარცხდა და შემდეგ (მეუღლის ზეგავლენით) სოციალიზმის იდეებისაკენ გადაიხარა.

ჯონ მილი 1873 წელს ავიგნონში ინფექციური დაავადებისაგან გარდაიცვალა.

8.2. პოლიტეკონომიის პრინციპები

თავისი ნაშრომების გამოქვეყნება ჯ.ს. მილმა თექვსმეტი წლიდან დაიწყო. აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში სამსახური წერისათვის ბევრ დროს უტოვებდა და მისმა რჩეულმა ნაშრომებმა 21 ტომი შეადგინა[4]. ისინი თითქმის ყველაფერს მოიცავენ – ლიტერატურას, ფილოსოფიას, ისტორიას, პოლიტიკას, რელიგიას, მთავრობას, ეთიკას, ეკონომიკას, სამართალსა და განათლებას.

ჯ.ს. მილის სახელი ძირითადად რამდენიმე წიგნს უკავშირდება. თორმეტწლიანი კვლევის შედეგად გამოაქვეყნა „ლოგიკის სისტემა" (1843)[5], რომელიც მისი ძირითადი ფილოსოფიური ნაშრომია. მასში ლოგიკის ძირითად საგანს დასკვნა წარმოადგენს. ეს ნაშრომი დიდხანს ლოგიკის სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა.

ჯ.ს. მილის მეორე ძირითადი წიგნია **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები"**[6] (1848). „ხალხთა სიმდიდრის" მსგავსად იგი კარგ სინთეზს წარმოადგენდა, მაგრამ თუ ადამ სმითის სინთეზმა „მსოფლიო დაიპყრო", მილის პოსტრიკარდიანული სინთეზი მხოლოდ საკლასო ოთახებში „ბატონობდა". თუმცა, ეს ნაშრომი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკურ თეორიაში ძირითად სახელმძღვანელოდ იყო აღიარებული.

მილის აზრით, **პოლიტეკონომია მატერიალური დოვლათის შეძენა-მოხმარების პრობლემებს შეისწავლის** და ცალკეული შემთხვევების (ფაქტების) ანალიზის დროსაც გამოიყენება. მას პოლიტეკონომიისა და ისტორიული მეცნიერებების ისეთი შეხამება სურდა, სადაც ისტორიისათვის უპირატესობა არ უნდა მიეცათ.

მილი კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის უნივერსალობაში დარწმუნებულია, რაც ნათლად ჩანს მისი ნაშრომიდან – „პოლიტეკონომიის პრინციპები" (1848). აქ იგი მხოლოდ სმითისა და რიკარდოს მიერ შემუშავებული დებულებების გადმოცემით კმაყოფილდება. მისი აზრით, მატერიალური დოვლათის წარმოება მისი განაწილებისაგან განსხვავდება. ამ ცდას 1859 წელს მარქსი შესაბამისი არგუმენტებით შეეხო თავის ნაშრომში – „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", სადაც წარმოებისა და განაწილების მჭიდრო კავშირზე მიუთითებდა. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხედავდა მილი ამ განსხვავებას, შეიძლება მისი თავისებური ხასიათი შევნიშნოთ.

მილის გამოკვლევის სპეციფიკურობა ვლინდება შემდეგში: ერთმანეთისგან გამიჯნა წარმოებისა და განაწილების კანონები; სიმდიდრე გაცვლითი ღირებულების მქონე ერთიანობაა; საზოგადოების უცვლელობის კანონების შესწავლას პოლიტეკონომიის დინამიკა დაუმატა; ფასი ღირებულების ფულადი გამოხატულებაა; კაპიტალი – შრომითი პროდუქტების მარაგია, რომელიც დანაზოგების შედეგად კვლავწარმოების პროცესში წარმოიშობა.

---

1 პასტორი (გერმ. Pastor) – პროტესტანტების მღვდელი.

2 პამფლეტი (ინგლ. pamphlet) – სარკაზმით (მწარე ირონიით) განმსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები.

3 ტრედუნიონიზმი (ინგლ. trade-unionism) - ოპორტუნისტული მიმართულება მუშათა მოძრაობაში, რომელიც პოლიტიკურ ბრძოლასთან შედარებით, აქცენტს ყოფით ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე აკეთებს.

4 Collected Work, 21 v., Tor.-N.Y., 1963-85.

5 A System of Logic, 1843.

6 Principles of Political economy, v.1-2, L., 1848.

8.3. სოციალური რეფორმები

მილი განაწილების არსებული სისტემისა და მშრომელთა ცხოვრების პირობებს აკრიტიკებდა და მხარს უჭერდა სოციალურ რეფორმებს. მისი აზრით, განაწილების ორი სახეობა არსებობს: პირველი სათავეს კერძო საკუთრებიდან იღებს; მეორე საზოგადოებრივი საკუთრებიდან.

მისი შენიშვნით, ეკონომიკური თეორია დიდხანს დაკავდება იმ პირობების შესწავლით, რომელიც მომავალში კერძო საკუთრებასა და კონკურენციაზე დაფუძნებული საზოგადოების არსებობას და მის პროგრესს უზრუნველყოფს. განაწილების პრობლემა მასთან კერძო საკუთრების ასპექტით განიხილება და ამით პრაქტიკულად კაპიტალისტური სისტემის განხილვა ხდება, თითქოს ისტორიამ სხვა სისტემა არ იცოდეს.

მიუხედავად ამისა, 1848 წელს კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობათა იგნორირება მილს უკვე აღარ შეეძლო. 1834 წლიდან ინგლისმა ლიბერალური პროგრამები განახორციელა და ღარიბები დახმარებას უკვე აღარ იღებდნენ, 1846 წლიდან კი მარცვლეულის ვაჭრობაზე შეზღუდვები საერთოდ გაუქმდა. ჭარბწარმოებამ ისევ და ისევ გამანადგურებელი შედეგები განაპირობა. ინგლისელი მუშები არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმნენ.

ჯ.ს. მილს, რომელიც სოციალისტ-ავტორებს იცნობდა, ეს ფაქტები უნდა დაეფიქსირებინა. მას აინტერესებდა იმის გარკვევა თუ როგორ დაინერგა მანქანათმშენებლობაში უკვე აღმოჩენილი გამოგონებები, რომლებიც ადამიანების შრომას შეამსუბუქებდა. ამ გამოგონებების მიუხედავად, მუშების უმრავლესობა კატორღულ პირობებში შრომობდა, მაშინ როდესაც მანუფაქტურების მესაკუთრეებმა დიდი ქონება დააგროვეს, საშუალო ფენა კი გაღატაკდა. მილი გასაღების სიძნელეებს უკვე აღარ უარყოფდა.

კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა დაძლევის მიზნით, მილი ფრთხილად, მაგრამ გარკვეით აღნიშნავდა, რომ შედარებით მაღალგანვითარებულმა საზოგადოებამ მოსახლეობის ზრდა შობადობაზე კონტროლით უნდა შეზღუდოს, რათა ცხოვრების დონის ამაღლება შესაძლებელი გახდეს. მან გაიზიარა მალთუსის მოსაზრებები, მაგრამ მის ზნეობრივ მოთხოვნებზე უარს ამბობდა. ამ, თუ შეიძლება ითქვას, ნეომალთუსურ შეხედულებებს, მილმა ორივე სქესის საზოგადოებრივი თანასწორობის მოთხოვნაც დაუმატა. ამ საკითხებს ეძღვნება მილის ნაშრომები[1]: **„ნარკვევები თავისუფლების შესახებ“** (1859) და **„ქალების ჩაგვრა“** (1869).

შემდგომში იგი მუშებს საწარმოთა საქმიანობაში მონაწილეობას და წარმოებრივი კოოპერატივების შექმნისათვის ხელშეწყობას ურჩევდა. ასეთი შეხედულებებით იგი მარქსამდელ სოციალისტთა პოზიციებს დაუახლოვდა.

რიკარდოს მსგავსად, მილიც თვლიდა, რომ მოსახლეობის ზრდისა და ახალი მიწების ათვისების გამო, მოსახლეობის საშუალო შემოსავალი დაცემის ტენდენციით ხასიათდება. წინამორბედებთან შედარებით, იგი უფრო ნათლად გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ტენდენცია საქონლის იმპორტმა და კაპიტალის ექსპორტმა უნდა შეაჩეროს. დარწმუნებულია, რომ ამ ტენდენციის შეფერხება ხანგრძლივად შეუძლებელია.

იგი ალფრთოვანებას არ გამოხატავს ცხოვრებისეული იდეალების გამო, რომლის მიხედვითაც ნორმალურია, როდესაც ადამიანი თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის განუწყვეტლივ იბრძვის. მისი აზრით, ადამიანის ბუნებისათვის უფრო მისაღებია, როდესაც არავინაა მდიდარი და უფრო მეტი სიმდიდრისაკენ არავინ არ მიისწრაფვის და არავის ეშინია, რომ ხელსა ჰკრავს სხვა ვინმე.

უტილიტარისტების[2] აზრით, მზარდი დოვლათი კეთილდღეობას უზრუნველყოფს. მილი ასეთი შეხედულებისაგან შორს იდგა. მას სურდა, კაპიტალის ზღვარდადებული დაგროვება, თუმცა, კომპრომისების წინააღმდეგი არ იყო. მას შესაძლებლად მიაჩნდა კაპიტალიზმის შენარჩუნება და იმავე დროს წარმოებრივი ძალების განვითარების დამუხრუჭება, მაგრამ კაპიტალიზმმა უძრაობა არ იცის – იგი უნდა გაფართოვდეს. დღეს ეს დილემა ნათელია.

---

1 Essay on Liberty, 1859; The Subjection of Women, 1869.

2 **უტილიტარიზმი** (ლათ. utilitas სარგებლიანობა) – იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის ზნეობის საფუძველია სარგებლიანობის პრინციპი.

8.4. ვაჭრობის თეორია

მილმა შეიმუშავა **ვაჭრობის თეორია**, რომლის მიხედვითაც ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ურთიერობით მიღებული „საერთო მოვება" ორივე ქვეყანაზე თანაბრად უნდა განაწილდეს.

თავის ნაშრომებში – **„ნარკვევები ეკონომიის ზოგიერთ გადაუწყვეტელ საკითხზე"** (1844)[1] და **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები"**, მილი აღნიშნავდა, რომ დანახარჯებიდან გამომდინარე ორ ქვეყანას შორის პროდუქციის გაცვლითი შეფარდება თითოეულ ქვეყანაში კონკრეტულ ნაწარმზე არსებულ მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

შესაძლებელია, ჯონ სტიუარტ მილი აქ არ ცდებოდა, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია შეზღუდულია, განსაკუთრებით ორზე მეტი სახის ნაწარმის გაცვლისას. ეს ძალზე ზღუდავს ზემოაღნიშნული ინტერპრეტაციის გამოყენების სფეროს იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი შეფარდება ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ურთიერთობას ეხება. ეს კიდევ უფრო მკვეთრად იკვეთება მაშინ, თუ ინტერპრეტაცია მაღალგანვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის გაცვლით შეფარდებას ეხება.

გაცვლით ოპერაციებში მილის ინტერპრეტაცია ითვალისწინებს არა მარტო წარმოებრივი დანახარჯების ხელშეუხებლობას, არამედ იმასაც, რომ ყველა ქვეყანაში ამ გაცვლითი ოპერაციის მოთხოვნებზე არავითარი ზეგავლენა არ მოხდება. რა ოდენობითაც ერთი ქვეყნის საგარეო ვაჭრობა იგებს, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავალი იმ ოდენობით იზრდება. შემოსავლის ზრდა სხვადასხვა საქონლის მოთხოვნაზე ახდენს გავლენას.

აქედან გამომდინარეობს, რომ ქვეყნებს შორის მიმდინარე ვაჭრობიდან მიღებული მოგების ასპექტით, მილის ინტერპრეტაცია გაცვლითი შეფარდების გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით ძალზე არაეფექტურია. გრძელვადიანი ცვლილებები სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შედეგად ხდება, მაგრამ ამგვარ ცვლილებებზე ჯ.ს. მილს განსაკუთრებული მოსაზრებები არ გააჩნდა.

ლიტერატურა

ა.ანიკინი: მეცნიერების სიჭაბუკე (ქართული თარგმანი), თბ., 1989.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.I, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფ. ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

გ.თოდუა, თ.რ. მალთუსის თეორიის როლი საერთაშორისო ეკონომიკაში – ჟ. „სოციალური ეკონომიკა", 1999, №4; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.II, თბ., 2009.

კ.მარქსი: კაპიტალი, ტ. 1-3, თბ., 1954-59; ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 3, თბ., 1975.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

მ.ჭუბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი: ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997; ერთხელ კიდევ მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიის შეფასებისათვის, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი", №2, 2010 წელი, გვ. 41-52.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Всемирная история экономической мысли, т. 2, М., 1988.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Майбурд Е.М. Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Папава Â.Ā., Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.**Чикава**, Тб., «Мецниереба», 1987.

Селигмен Б.,Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

1 Essay on some unsettled questions of political economy, L., 1844.

Титова Н.Е., История экономических учений, М., 1999.

Туган-Барановский М., Д.С. Милль. Его жизнь и учёно-литературная деятельность, СПБ, 1882.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 1-2, Санкт-Петербург, 2004.

Ядгаров Я.С., История экономических учений, М., 1999.

Bastiat F.: Sophismes èconomiques, P., 1846; Harmonies èconomiques, P., 1850; რუს. თარგმ., Экономические софизмы; экономические гармонии. М., 2000.

Bentham J.: Fragment on government, 1776; An introduction to the principles of morals and legislation, 1789; Manual of political economy, 1793-95; Defense of Usury, 1787; Institute of political economy, 1801-04; Deonthology or the science of morality, a.1-2, 1834; The works of J.Bentham, published by J.Bowring, v.1-11, Edinb., 1838-1843; The correspondence of J.Bentham, v.1-2, L., 1968; რუს.თარგმ.: Избр. соч., т.1, СПБ, 1867; Введение к принципам морали и юриспруденции, СПБ. 1998.

Carey G.: The principles of political economy, vol.1-3,Phil., 1837-40; The past, the present, and the future, Phil., 1848; The harmony of interest; agricultural, manufacturing, and commercial, Phil., 1851; The principles of social science, vol.1-3,Phil., 1857-59; The slave trade, domestic and foreign; why it exists, and how it may be extinguished, Phil., 1853; რუს თარგმ.: Политико-экономические письма к президенту США, М., 1960; Руководство к социальной науке, в. 1-2, СПБ, 1866-1869.

Malthus Thomas Robert: An Essay on the Principle of Population, as it Affects the Future Improvement of Society, with Remarks on the Speculations of Mr.Godwin, M. Condorcet, and other Writers, L., 1798, 1803 (2), 1806 (3), 1807 (4), 1817 (5), 1826 (6), 1872 (7); An Inquiry into the nature and Progress of rent and the Principles by which it is regulated, L., 1815; - Principles of Political Economy, Considered with a View to their Prantical Application, L., 1820; რუს თარგმ.: Опыт о законе народонаселения, т.1-2, СПБ, 1868.

McCleary, G.E., Malthusian Population Theory, L., 1953.

Mc Culloch j.: Principles of political economy, L., 1825/1830; Essay on the Circumstances which Determine the Rate of Wages, 1826; Dictionary, Practical, Theoretical and Historical of Commerce and Commercial Navigatiov, L., 1932; The Literature of Political economy, 1845; რუს. თარგმ.: О начале, успехах, особенных предметах и важности политической экономии, М., 1834.

Mill James: Elements of political economy, L., 1821; Essay on Liberty, 1859; The Subjection of Women, 1869.

Mill, John Stuart: A System of Logic, 1843; Essays on some unsettled questions of political economy, L., 1844; Principles of political economy, 2 vols, L., 1848/1849; Essay on Liberty, 1859; The Subjection of Women, 1869; Collected Works, 21 vols., Toronto-N.Y., 1963-1985. რუს თარგმ.: Утилитарианизм. О свободе, 3 изд., СПБ, 1900; Основы политической экономии, т.1-3. Пер. с англ. М., 1980-1981.

Say, Jean-Baptiste, Traite d'économie politique, ou simple exposition de la manuere dont se forment, se distribuent et se consomment les richesses. 2 vols, P., 1827; Catechisme d'économie politique, P., 1815; Cours complet d'economie politique, pratique, 6 vols, P., 1828-29, Brussels, 1843; რუს თარგმ.: Катехизис политической экономии или краткое учение о составлении, распределении богатств в обществе, СПБ., 1833; Трактат по политической экономии, Москва, 2000.

Senior Nassau Wiliam: Two Lectures on Population, L., 1824; Traite d'économie politique..., P., 1827; Three Lectures on the Cost of Obtaining Money, L., 1830; An outline of the science of political Economy, L., 1836; Three Lectures on the Value of Money, L., 1840; Industrial Efficiency and Social Economy, 2vols, N.Y., 1928.

Thornton H., Enquiry into the Nature and Effects of the Paper Credit of the Great Britain (1802), 1939 (ფ.ჰაიეკის მიერ გამოცემული – Library of Economics).

Würgler Hans, Malthus als Kritiker der Klassik. Ein Beitrag zur Gechichte der klassischen Wirtschaftstheorie, Winterthur, 1957.

თავი VII.
კაპიტალიზმის პირველი სოციალ-კრიტიკოსები

1. დოქტრინების არსი

უძველესი დროიდან მოყოლებული ყოველთვის ადგილი ჰქონდა ცალკეულ პირთა მცდელობას შეექმნათ მცირე გაერთიანებები. ისინი ეყრდნობოდნენ ფართო მასებს და მიზნად ისახავდნენ ხელისუფლებისაკენ სწრაფვას. ამგვარი სახის მცდელობებს ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეებში ცენტრალურ ევროპაში რენესანსის პერიოდში. ხელისუფლებისაკენ სწრაფვის იდეას, მცირე სახის გაერთიანებების შექმნის საფუძველზე, მიმდევრები მე-19 საუკუნეშიც გამოუჩნდა. ესენი იყვნენ მოაზროვნეები, რომლებიც აშკარად უპირისპირდებოდნენ ქრისტიანულ რელიგიას და მკვეთრად გამოხატული ნეიტრალური აზროვნების მიმდევრები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ მათი რელიგიური ფესვებიდან გამოეყოთ ის უძველესი და უმნიშვნელოვანესი შეხედულებები, რომელთა დახმარებითაც კაპიტალიზმის პირობებში წამოჭრილი სხვადასხვა სახის პრობლემების გადალახვას შეძლებდნენ. ამ ახალი, სოციალისტური თეორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებია საფრანგეთში სენ-სიმონი და ჩარლზ ფურიე და ინგლისში რობერტ ოუენი. მათ ჰყავდათ წინამორბედებიც და მიმდევრებიც.

კლასიკური დოქტრინებისადმი სოციალისტური აზროვნების მტრული დამოკიდებულება საპირისპირო სოციალისტურ-ფილოსოფიურ და მსოფლმხედველობით შეხედულებებს ეფუძნებოდა. სოციალიზმის დოქტრინები იმავე ბუნებრივ-სამართლებრივი, რაციონალისტური იდეურობის ნიადაგზე აღმოცენდა, რომელზეც ეროვნული ეკონომიკის აზრების სამყარო ამოიზარდა.

სოციალიზმზე გაბატონებულია ასევე ინდივიდის თავისუფლებისა და თანასწორობის ბუნებრივ-სამართლებრივი წარმოდგენები; სოციალიზმი ცნობს საზოგადოების ბუნებრივ წყობილებას, რომელიც, როგორც ბუნების კანონი, ყველა გარანტიას იძლევა. მიუხედავად ამისა, მას ამ სოციალურ-ფილოსოფიური წინაპირობიდან კლასიკური, ნაციონალური ეკონომიკისაგან განსხვავებული დასკვნები გამოაქვს, რომელთა მიხედვითაც ყველა ბუნებრივი წეს-წყობილება და, ამასთანავე, ინდივიდის თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა ადამიანური არასრულყოფილებისა და ადრინდელი საზოგადოებრივი სისტემის შეცდომების შედეგად დაიკარგა.

სოციალისტური დოქტრინა არსებული ეკონომიკური წყობის ნაკლოვანებებს, საკუთრების არათანაბარ დანაწილებას, ასევე ეგოისტური მიზნებით კერძო საკუთრების თვითნებურ გამოყენებას და სხვა საზოგადოებრივ მდგომარეობებს უკავშირებდა და ამ ნაკლოვანებების რადიკალურ აღმოფხვრას მოითხოვდა.

ასეთი წარმოდგენებით მაშინდელი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ამგვარი კრიტიკის უფრო მეტი საბაბი არსებობს, ვიდრე ის, რომ ყველა ქვეყანაში მზარდმა ინდუსტრიალიზაციამ სოციალური დაძაბულობა გაამწვავა, რომ პროლეტარიზაციამ ხალხთა ფართო ფენები მოიცვა და სოციალურმა სიდუხჭირემ იმატა.

აქედან გამომდინარე წარმოიშვა შესაბამისი კითხვა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ეს მდგომარეობა დამოუკიდებლად და ჰარმონიულად განვითარებული ეკონომიკური ცხოვრების იმ სასარგებლო ეფექტთან, რომელსაც კლასიკური დოქტრინა ამტკიცებდა და აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დადგა კლასიკური დოქტრინის ძირითად პრინციპები.

არასოციალისტური წრეებიც გრძნობდნენ კლასიკოსების წინააღმდეგ წამოჭრილ სამართლიან შენიშვნებს და ეთიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე სოციალური ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ სოციალურ-რეფორმატორული ჩარევების გზით მიილტვოდნენ. ამ გზით კლასიკური სკოლის წინააღმდეგ განწყობილი ოპოზიციის მრავალფეროვნება, სოციალისტური გაგებით, საზოგადოებრივი წყობილების რეორგანიზაციის სხვადასხვა მოთხოვნის მრავალსახეობაში აისახება.

ყველა სოციალისტური მოძღვრების იდეალური მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივი წყობის აღდგენა, რომელიც ყველა ინდივიდის მუდმივი თანასწორობის გარანტიას იძლევა.

ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო შესაძლებლობების შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. სოციალისტური დოქტრინის ძველი მიმართულების, ე.წ. უტოპიური სოციალიზმის აზრით, საზოგადოების ბუნებრივი წყობის იდეალის აღმოჩენა და განხორციელება შესაძლებელი იყო. ამ მიდგომის საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა მე-19 საუკუნეში წარმოქმნილ რეალისტურ მიმდინარეობას, რომლის მიხედვითაც არსებული საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი შედეგი იქნებოდა და განვითარების ამ პროცესის განსაზღვრა მეცნიერულ სარბიელზე ვლინდება. ეს მეცნიერული სოციალიზმი უპირატესად გახლდათ გერმანული აზროვნების სიმდიდრე, რომელმაც თავისი გამოხატულება კარლ მარქსისა და მისი მოწაფეების შეხედულებებში ჰპოვა. ასეთი აზროვნება ჰეგელის სამართლისა და ისტორიის ფილოსოფიის ზემოქმედებით განვითარდა.

2. უტოპიური სოციალიზმის დოქტრინების წარმოშობა

უტოპია (utopia ბერძნ. u – არ და topos – ადგილი) არარსებულ ადგილს ნიშნავს. უტოპიური სოციალიზმი (კომუნიზმი) მარქსამდელი დოქტრინაა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის შესახებ. იგი ემყარებოდა არა საზოგადოების განვითარების კანონებს, არამედ იდეალურ საზოგადოებაზე ოცნებას.

უტოპიური სოციალიზმი მე-19 საუკუნეში აღმოცენებული მიმართულებაა, რომელიც დაკავშირებულია თ.მორის, თ.კამპანელას, შარლ ფურიეს, სენ-სიმონის, ოუენის, პრუდონის და სხვ. სახელებთან. იგი მოიცავს იდეალური სახელმწიფოს დახასიათებას, რომლის საფუძველია ბუნებრივი სიკეთე და მისთვის დამახასიათებელი სამართლიანობა.

ახალი დროის პლატონის გამოჩენილ მიმდევრებად ითვლებიან თომას მორი და თომაზო კამპანელა. მართალია, მათი ძირითადი იდეები გადმოღებულია პლატონის შრომებიდან, მაგრამ პლატონის ფილოსოფია, რასაკვირველია, არ იყო ამ იდეების ჩამოყალიბების ერთადერთი სტიმული.

2.1. თომას მორის (1478-1535) კომუნისტური საზოგადოების პროექტი

თომას მორი (More) დაიბადა 1478 წელს მოსამართლის ოჯახში, ლონდონში. იგი სწავლობდა ბერძნულს ოქსფორდის უნივერსიტეტში და სამართალს ლონდონში.

იგი, როგორც ქრისტეს მორწმუნე, ჯერ ფიქრობდა მღვდლად გახდომას, შემდეგ მან ეს განზრახვა საბოლოოდ უარყო, რადგანაც იგი შიშობდა, რომ მოუხდებოდა ბერის ცხოვრების წესით ცხოვრება. იგი ორჯერ დაქორწინდა და ორივე ქორწინებიდან ბევრი შვილი შეეძინა.

ავტორიტეტიანი ვექილი[1] პარლამენტის წევრი გახდა. შემდეგ მუშაობდა დედაქალაქის შერიფის[2] მოადგილედ. 1518 წელს მეფემ თავის კაბინეტში მიიწვია. 1923 წ. აირჩიეს თემთა პალატის სპიკერად. 1529 წელს გახდა ინგლისის კანცლერი.

მაგრამ ჰენრიხ VIII კამათი მოუვიდა რომის პაპთან, რომელმაც უარყო მისი ქორწინების გაუქმება, რაც მეფეს ანა ბოლეინზე დაქორწინების შესაძლებლობას მისცემდა. მიუხედავად ამისა, მეფე შეეცადა მისი ახალი ქორწინების ინგლისის ეკლესიისაგან აღიარებას.

თომას მორმა მეფეს მხარი არ დაუჭირა. 1532 წელს უარი განაცხადა კანცლერის თანამდებობაზე. ორი წლის შემდეგ ინგლისის პარლამენტმა პაპს უარი უთხრა მის ყველა პრეროგატიულ უფლებებზე და „ინგლისის ეკლესიის უზენაეს მეთაურად“ მეფე ოფიციალურად ცნეს. პარლამენტის გადაწყვეტილებით, ვინც ამ კანონს არ დაემორჩილებოდა, სახელმწიფოს მოღალატედ გამოცხადდებოდა. მორს ფიცის დადება მოსთხოვეს. მან წინადადება უარყო. ამის შემდეგ იგი გაასამართლეს და 1535 წ. 6 ივლისს თავი მოჰკვეთეს.

კათოლიკურმა ეკლესიამ თ.მორი წმინდანად აღიარა. თომას აქვინელის გვერდით, რომელიც

---

1 სოციალიზმი (ფრანგ. socialisme, ლათ. socialis) საზოგადოებრივის ნიშნავს.

2 ვექილი (არაბ.) იგივე რაც ადვოკატი.

კერძო საკუთრების ერთგული ქომაგი იყო, მასაც აგრეთვე ინგლისის დიდი ჰუმანისტის სახელი მიეზღო.

პატარა თეოლოგიური ნაშრომების, ლექსების, ქრონიკების[1] გარდა თომას მორმა შეთხზა წიგნი კომუნიზმის სადიდებლად, რომელიც გამოიცა ლოვენში 1516 წელს, რომელმაც ჰპოვა დიდი გამოძახილი და რომელიც შემდგომ საუკუნეებში სტიმული გახდა სოციალურ რეფორმატორთა მთელი პლეადისათვის. ამ წიგნის სრული სათაურია ლათინურად „ჭეშმარიტად ოქროს წიგნი სახელმწიფოს საუკეთესო წყობილებისა და ახალი კუნძულის, უტოპიის თაობაზე". შემოკლებით მას „უტოპია"[2] ჰქვია (Louvain, 1516).

„უტოპია" შედგება კრიტიკული და კონსტრუქციული ნაწილებისაგან. კრიტიკულ ნაწილში ავტორი განიხილავს თავისი დროის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებას. პლატონის მაგალითის მიხედვით იგი დიალოგს იყენებს. ასე მაგ., საუბრის ერთ-ერთი მონაწილე აქებს ინგლისური კანონების სიმკაცრეს, რომელიც ქურდის დასასჯელად გამოიყენება. მეორე მონაწილე ამაზე პასუხობს, რომ უკეთესი იქნებოდა შეგვესწავლა ქურდობის მიზეზი, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური მდგომარეობით. იგი სვამს კითხვას, რატომ ბევრ ადამიანს არ მიეცემა შესაძლებლობა, რომ შრომით ირჩინოს თავი და რომ ბევრი ამის გამო იძულებულია დაიწყოს მაწანწალობა. ამაზე იგი პასუხობს, რომ უსაქმურნი, რომლებიც არსებობენ კეთილშობილ ადამიანთა გვერდით, ამ პატრონების სიკეთილის შემდეგ, მათ სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა ქურდობისა და ყაჩაღობისა. მეორე მიზეზს იგი ხედავს იმაში, რომ მიწათმფლობელები ვერ დაკმაყოფილდებიან მხოლოდ კარგი და უზრუნველყოფილი ცხოვრებით. გამდიდრებისკენ სწრაფვა მათ გადააწყვეტინებთ სათესი მინდვრები საძოვრებად გარდაქმნან და ზედმეტი გლეხები განდევნონ. ამ უბედურებაში გარკვეული აზრით ბრალი ედებათ ცხვრებს, ამ უწყინარ ცხოველებს, რომ ისინი კმაყოფილდებიან ცოტა საკვებით, მაგრამ, როგორც ამბობენ, შემდეგ გადაიქცევიან იმდენად ხარბად, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ადამიანსაც კი გადაყლაპავდნენ. მესამე მიზეზია, რომ ბევრები უზომოდ გამრავლდნენ – თომას მორი ამ მიმართულებით კრიტიკას არ დაერიდა.

ეკონომიკური ურთიერთობები, აგრძელებს საუბრის მონაწილე, გაუარესდა იმ მიზეზებით, რომ ის უმცირესობა, რომელიც მატერიალურ საგნებს ფლობს, მაქინაციებით ფასების აწევას ცდილობს – მაგალითად, შალით ვაჭრობაში არ არის მონოპოლია, მაგრამ შეიქმნა ოლიგოპოლია, რაც ზრდის ფასებს. ადამიანების ჩამოხრჩობის სანაცვლოდ საჭიროა ეკონომიკური ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სიღატაკის მოსპობა.

მსჯელობის თემა ეხება ხელისუფლებას. იბადება კითხვა, საჭიროა თუ არა უკეთესი საზოგადოებისათვის შექმნის მცდელობაში იმ მეფეების კეთილგონიერებაზე დაყრდნობა, რომლებმაც განათლება ფილოსოფოსებისაგან მიიღეს. როგორც ცნობილია, პლატონი იმედით შესცქეროდა ამ მოსაზრებას. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში სხვადასხვა შეხედულება გაჩნდა, დიალოგის ბოლოში უფრო მეტი ეჭვი წარმოიშვა იმ განსხვავებულ პრინციპებს შორის, რომლებსაც, ჩვეულებისამებრ, მმართველები იყენებენ და იმ წესებს შორის, რომელიც დამახასიათებელია ნამდვილად კარგი ხელისუფლებისათვის. პრაქტიკული საქმიანობასა და თეორიულ მოთხოვნებს შორის დაპირისპირება „უტოპიის" ავტორისათვის სტიმულია, რომ გაილაშქროს იმ პოლიტიკური კონცეფციის წინააღმდეგ, რომელსაც თანამიმდევრულად მისი თანამედროვე მაკიაველი ანვითარებდა.

ადრე თომას მორი ეწინააღმდეგებოდა იმ შეხედულებას, რომ თითქოსდა ჯარში სამსახური უმუშევართა შემცირების საშუალებაა, მოქმედებები უფრო მეტად უნდა წარიმართოს მშვიდობისათვის, ვიდრე ომისათვის. იგი აღშფოთებულია საომარ კავშირებსა და დაპყრობებზე, მონეტის ხარისხის დაცემაზე და საერთოდ აბსოლუტიზმზე. ბოლოს იგი უარყოფს იმ შეხედულებას, რომ გამგებლისათვის უფრო უსაფრთხოა თუ მისი ქვეშევრდომები ღარიბებია. ამისათვის მას მოჰყავს მოსაზრება, რომ არავინ ისე ხშირად არ კამათობენ, როგორც მათხოვრები. პრინციპში, მცდარია ის აზრი, რომ ხალხის სიღარიბე ემსახურება საშინაო მშვიდობას. ამის ახსნა სურს დიალოგის სხვა მონაწილეს, კერძოდ პორტუგალიელ მეზღვაურს. იმას, რასაც იგი პირველი ნაწილის ბოლოში გადმოსცემს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი სხვათა შორის ამბობს: „ო, ჩემო მორ, თუ გინდა

1 More T. Complete works, New-Haven-L., 1963; The correspondence, et. E.F.Rogers, Princeton, 1947.

2 თ.მორი, „უტოპია", თბ., 1983.

იცოდე ჩემი ნამდვილი აზრი, მე ასე მგონია, რომ იქ, სადაც ბატონობს კერძო საკუთრება, სადაც ყველაფერი ფულით იზომება, შეუძლებელია სახელმწიფო საქმეთა სწორად და წარმატებით მართვა ... ერთადერთი გზა საზოგადოების კეთილდღეობისკენ არის ქონებრივი თანასწორობის გამოცხადება, ხოლო ეს ძნელად თუ განხორციელდება იქ, სადაც ყველას კერძო საკუთრება აქვს ... ამიტომ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სახსრების განაწილება თანაბარი და სამართლიანი წესით და საერთო-სახალხო საქმეთა ჭეშმარიტად აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ კერძო საკუთრების სრული მოსპობის პირობებში“[1].

ამ კრიტიკულ აზრებს მოყვება მეორე, კონსტრუქციული ნაწილი, სადაც პოტრუგალიელი მეზღვაური ყვება უტოპიაზე, ბედნიერების კუნძულზე, სადაც მისი სახელწოდებიდან გამოსჭვივის, რომ იგი არსად არ არსებობს. კუნძულზე 54 ქალაქია, რომლებიც 24 მილით არიან ერთმანეთთან დაშორებული. სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი საკმარისია მოსახლეობის გამოსაკვებად, რომლებიც მიწას მონაცვლეობით ამუშავებენ. მოსავლის აღებისას საჭიროებისდა მიხედვით დამატებით მუშახელს მოიხმარენ.

როგორც ქალაქად, ასევე სოფლად ყველაფერი ადამიანებს ეკუთვნით. ათწლიანი ციკლის მონაცვლეობით მოქალაქეები გაცვლიან სახლებს. ბინა მიეცემათ წილისყრით. ამასთან, სახლის კარები არ იკეტება, მამაკაცებს და ქალებს ევალებათ შეისწავლონ როგორც სოფლის მეურნეობის სამუშაოები, ისე ხელოსნობის რომელიმე სფერო, რომელსაც ისინი ქალაქში გამოიყენებენ. უსაქმურობა იკრძალება და არც ფუფუნება დაიშვება. მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად **საკმარისია 6-სათიანი სამუშაო დღე**[2]; სამუშაოს, კვების და ძილის დრო წინასწარ დადგენილია. საკვების მიღება შეიძლება შინ, მაგრამ მოქალაქეები უპირატესობას ერთად კვებას ანიჭებენ, რადგანაც კერძები ამ დროს უფრო კარგად მზადდება და ერთდროულად შეიძლება მუსიკის მოსმენა და სურნელოვანი საშუალებების საამო სუნით დატკბობაც. მოქალაქეები თავისუფალ დროს თავიანთი გემოვნების მიხედვით გამოიყენებენ.

უტოპიაში ოჯახი, რომელიც არანაკლებ 40 სულისაგან შედგება, სახელმწიფო ინსტიტუტების საფუძველს წარმოადგენს. სახელმწიფო მოხელეების ასარჩევად ოჯახები დაიყოფებიან 30 კაციან ჯგუფებად, სახელმწიფო მოხელეებს ევალებათ 4 რეკომენდებულ კანდიდატს შორის აირჩიონ ერთი მმართველი.

მთავრობის უპირველესი მოვალეობაა მატერიალური დოვლათის წარმოების ხელშეწყობა და განაწილება. დოვლათი მოთხოვნის შესაბამისად გადაეცემა საზოგადოებრივ საწყობებს და მეზღვაურის სიტყვებით „იქედან კი თითოეული ოჯახის უფროსი ითხოვს, რაც სჭირდება და უფასოდ, ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მიაქვს შინ. რატომ უნდა უთხრან მას უარი? ჯერ ერთი, ყველაფერი ხომ საკმაოდ უხვადაა და მერეც, არ არსებობს იმის არავითარი საჭიროება, რომ ვინმე მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე სჭირდება. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ზედმეტს მოითხოვს ის, ვინც დარწმუნებულია, რომ არასდროს არაფერი დააკლდება? მართლაცდა, ყოველ ცოცხალ არსებაში და, მითუმეტეს ადამიანში ხომ სიხარბე და მტაცებლობა იმიტომ იღვიძებს, რომ სიღარიბის ეშინია ანდა ეამაყება როცა თავისი ქონებით სხვებს აღემატება. აი, ასეთი რამ უცხოა უტოპიელებისათვის“[3].

ნაწარმოების სხვადასხვა თავში ავტორი მიმოიხილავს მონობასთან (მონობას იგი შემოფარგლავს მსჯავრდებულის იძულებითი შრომით), ომთან და რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებს. იგი თავის თხრობას ამთავრებს ასეთი საზოგადოებრივი წყობილების ქებით, რომელსაც იგი თავის თანამედროვე მდგომარეობას ადარებს. მორი ამბობს: „სხვაგან შეიძლება ბევრს ლაპარაკობენ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე, მაგრამ მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ. აქ კი, სადაც პირადი არაფერი არსებობს, ყველა საზოგადო საქმეს ემსახურება ...

სხვა ქვეყნებში ყოველმა ადამიანმა იცის, თვითონ თუ არ იზრუნებს საკუთარ თავზე, რაც არ უნდა ჰყვაოდეს სახელმწიფო, იგი მაინც შიმშილით მოკვდება. აუცილებლობა აიძულებს მას პირველ რიგში თავის თავზე იზრუნოს და არა ხალხზე, ე.ი. სხვა ადამიანებზე.

---

1 თ.მორი, „უტოპია“, გვ. 64-65.
2 იქვე, გვ. 79.
3 იქვე, გვ. 85.

აქ კი, სადაც ქონება საერთოა და გაჭირვებაში ჩავარდნისა არავის ეშინია, თუკი სახელმწიფო ბეღლის გავსებაზე იზრუნებს. რადგან დოვლათს ისინი თანაბრად ანაწილებენ და არ ძუნწობენ, აქ არ არსებობს ღარიბი და უპოვარი. და თუმც კი თითოეულს პირადი ქონება არ გააჩნია, მაინც ყველა მდიდარია ...

შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს ისეთი სახელმწიფო, რომელიც დოვლათს თავზე აყრის ეგრეთ წოდებულ დიდებულებს, ოქრომჭედლებს, ფუჭი გართობის მოყვარულ ყველა ჯურის მლიქვნელებსა და უსაქმურებს, ხოლო არავითარ ყურადღებას არ აქცევს მიწათმოქმედს, მენახშირეს, მოჯამაგირეს, მეეტლესა და ხელოსანს, რომელთა გარეშეც იგი ვერც კი იარსებებდა?! სახელმწიფო ბოროტად იყენებს მშრომელების საუკეთესო წლებს, როცა ისინი უძლურდებიან და ცხოვრება უჭირთ, მათ ნაღვაწს ივიწყებს, მათი სიკეთე აღარ ახსოვს და მადლიერების ნაცვლად უბედურებს საცოდავ აღსასრულს უმზადებს"[1].

ნათელია, რომ თომას მორის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პორტრეტი ბევრი რამეთი განსხვავდება პლატონის „სახელმწიფოში" მოცემული დებულებისაგან. ასე მაგალითად, უტოპიაში ოჯახს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. ხელით შრომა ყველას ეკალება, კლასები გაუქმებულია, მთელი დოვლათი საერთო საკუთრებაა. პლატონის არისტოკრატიული საზოგადოებრივი წყობა აქ შეცვლილია დემოკრატიით – კოლექტიურ შრომაზე მოვალეობის დაწესება და კერძო საკუთრების გაუქმება წარმოადგენენ უპირობო წანამძღვრებს მოქალაქეთა თანასწორობისა და თავისუფლების რეალიზაციის საქმეში.

ამგვარად, თომას მორმა ზუსტად მოხაზა მშრომელთა თავისუფალი საზოგადოების სურათი.

ეს იდეალური სურათი მიიღება ქრისტიანული პრინციპების კავშირით ეპიკურეს ზნეობრივ კატეგორიებთან. უეჭველია იგი მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული სულიდან გამოდის. მისი აზრით, ღვთიური განგება იმით გახდა ნათელი, რომ მან ნივთები საერთო სარგებლობისთვის შექმნა. ქრისტეც ცდილობდა ადამიანები კერძოდან საერთო - საზოგადოებამდე გადაეყვანა; ბუნება საზოგადოებრივ იძულებას უნდა დაემორჩილოს, რომ შესაძლებელი გახდეს უანგარო ქმედება; საკუთრების სიყვარულით არავინ არ კმაყოფილდება, მაგრამ რადგანაც იგი ერთის საკუთრებად შეიგრძნობა, საერთო საკუთრების საგნების მნიშვნელობას მალე უგულებელყოფს.

აქ კარგად სჩანს ქრისტიანობის გავლენა. იგი იგრძნობა „უტოპიაშიც", სადაც მოცემულია ეპიკურეს მოსაზრება, რომ ადამიანი ბუნებით კეთილშობილი არსებაა.

წიგნის ამ თავში ლაპარაკია უტოპიის მოქალაქეთა მოგზაურობებზე. თ. მორი დეტალურად მსჯელობს ეპიკურეს მოძღვრებაზე. იგი სიხარულს თვლის ბედნიერების ძირითად (თუ არა ერთადერთ) კრიტერიუმად. იგი მოგვითხრობს, რომ თუმცა უტოპიის მოქალაქეები ფიზიკურთან შედარებით სულიერ სიამოვნებას ანიჭებენ უპირატესობას, არავითარ შემთხვევაში არ უგულებელყოფენ სხეულს. მაგრამ ისინი არ ივიწყებენ იმ პრაქტიკულ მოთხოვნას, რომ უარი უნდა ეთქვას იმ სიამოვნებას, რომელიც უფრო დიდ სიამოვნებას ეწინააღმდეგება ან რომელსაც ტკივილის ან უსიამოვნების გამოწვევა შეუძლია. ისინი სექსუალურ დაკმაყოფილებას იმდენად ანიჭებენ მნიშვნელობას, რამდენადაც ის საჭირო და სასარგებლოა.

ამ თვალსაზრისით, თ.მორი ახლო დგას ეპიკურესთან, მაგრამ იგი ცდილობს ეპიკურეს ბედნიერების ცნებას საყოველთაო რელიგიის მნიშვნელობა მისცეს და იგი ქრისტიანობის ძირითად დებულებას შეუთანხმოს. მისი აღნიშნით უტოპიის მოქალაქეები ბუნებრივი რელიგიის მიმდევრებია. მათ სულის უკვდავების სჯერათ და „მატერიალზმს" უარყოფენ. რწმენა მათ საშუალებას აძლევს ცხოვრებაში ბევრ რამეზე უარი თქვან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულიერად არ დაცვნენ. ის ვისაც რელიგის სწვამს, წერს თ.მორი, მყარად უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ღმერთი, წარმავალ და მცირე სიამოვნებაზე ნებაყოფლობით უარს სიტყვით გამოუთქმელი მუდმივი სიამოვნებით ანაზღაურებს.

ზემოაღნიშნულზე უარის თქმა იმ იმედით, რომ ეს სიკეთილის შემდეგ ანაზღაურდება არის უკიდურესი რელიგიურობა.

მცდელობა იმისა, რომ ქრისტიანული შეხედულებები ბუნებრივ სიკეთეზე დაფუძნებულ ზნეობას დაუკავშირო, დამახასიათებელია მთელი ჰუმანიზმისათვის. მაგრამ ეს მისწრაფება ზოგჯერ უშედეგო აღმოჩნდა.

---

1 თ .მორი, „უტოპია", 1983, გვ. 136-137.

2.2. კომუნიზმის ქრისტიანული საფუძვლები თომაზო კამპანელასთან (1568-1639)

რენესანსის პერიოდის მეორე დიდ მწერალს იტალიელი თომაზო **კამპანელა** (Campanella) წარმოადგენს, რომელიც დაიბადა კალაბრიაში. 14 წლისა მიიღეს დომინიკელთა ორდენში, სადაც სწავლობდა ანტიკური მოაზროვნეების, შუა საუკუნეების თეოლოგების და აღორძინების პერიოდის ფილოსოფოსების ნაწარმოებებს.

კამპანელა ძალზე ადრე შეუდგა წერას. იგი შემჩნეულ იქნა როგორც დამოუკიდებელი მოაზროვნე. 1591-1599 წლებში მას ბევრჯერ დააბრალეს ერეტიკოსობა[1] და ციხეში ჩასვეს. 1599 წელს მან ჩაიფიქრა შეთქმულება, რომ თურქების დახმარებით კალაბრია გაენთავისუფლებინა ესპანელთა ბატონობისაგან. მისი მიზანი იყო ამ რეგიონში ახალ პრინციპებზე საზოგადოებრივი წყობილების დამყარება. შეთქმულება გაიხსნა. კამპანელა ოთხჯერ ფიზიკურად აწამეს და მან 27 წელი პატიმრობაში გაატარა. ციხეში მან, გარდა მშვენიერი ლექსებისა, ფილოსოფიური და პოლიტიკური ნაშრომები დაწერა. პაპმა იგი 1629 წელს შეიწყალა.

ციხიდან განთავისუფლებულმა კამპანელამ, რომელმაც ჯერ კიდევ ციხეში ყოფნის დროს დაწერა ნაშრომი „გალილეის დაცვა", გალილეის[2] მხარე დაიჭირა, რომელსაც მეცნიერული შეხედულებების გამო საფრთხე ელოდა.

მას შემდეგ, რაც თ.კამპანელამ პაპის მფარველობა დაკარგა, იგი საფრანგეთში გადასახლდა, სადაც მას დიდ სიხარულს ანიჭებდა ის მაღალი შეფასება, რომელსაც მას აძლევდნენ ლუდოვიკო XIII და სხვა მნიშვნელოვანი მოღვაწეები. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში პარიზის დომინიკანელთა მონასტერშია და აღფრთოვანებით იღწვოდა ასტროლოგიაში და ტახტის მემკვიდრის დაბადებასთან დაკავშირებით ჰოროსკოპი შეადგინა.

თ.კამპანელა 1638 წელს პარიზში გარდაიცვალა.

მან 1611 წელს ნეაპოლში დაწერა ნაშრომი **„მზის ქალაქი"**[3], რომელიც 1623 წელს დაიბეჭდა მაინის-ფრანკფურტში. ამ ნაწარმოებში მას სურდა გადმოეცა მომავალი კომუნისტური საზოგადოების ძირითადი საკითხები, რომლებიც მან გადაწყვიტა უფრო ნაკლებად კონკრეტულად და უფრო ამაღელვებლად, ვიდრე თომას მორმა. მისგან განსხვავებით, კამპანელას აზრით, ღუხახი უნდა გაუქმდეს და სექსუალური ურთიერთობანი სახელმწიფოს მიერ უნდა დარეგულირდეს. გარდა ამისა, იდეალურ ქალაქში ყველა მოქალაქე 4 საათიანი სამუშაო დღით დასაქმებულია წარმოებაში და პროდუქტი მოთხოვნილების მიხედვით ნაწილდება. აქ არ არის ყერძო საკუთრება, საზოგადოების მმართველს ხალხი ირჩევს და ა.შ.

მისი აზრები იმდენადაა საინტერესო, რომ ისინი გვიჩვენებენ თუ რამდენად შეიძლებოდა კომუნისტური მოძღვრების ფილოსოფიური დასაბუთება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს კამპანელას ნაშრომი **„ფილოსოფიური პოეზია"**, რომელიც 1834 წელს გამოქვეყნდა[4].

თავისთავად ცხადია, რომ კამპანელას თავი პლატონის მოწაფედ უნდა ეცნო. მაგრამ მისი ფილოსოფიური შეხედულებანი, რომლებიც მე-16 საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნეების, იტალიელი ფილოსოფოსების ბერნარდინო **ტელეზიოს** (1508-1588), პეტრო **პომპონაცის** (1462-1525) და ჯორდანო **ბრუნოს** (1508-1600) შეხედულებებს უახლოვდებოდნენ, მხოლოდ პლატონის დამსახურება არ იყო. უფრო მეტად მნიშვნელოვან იდეებზე იმპულსები მიიღო მოძღვარ იოჰან **ეკჰარტისგან** (1260-1327), რომელიც მე-13 საუკუნეში ქმნიდა მოძღვრებას ღვთისა და დედამიწის ერთიანობაზე და ნიკოლაუს **კუსგან** (1401-1464), რომელიც უარყოფდა არისტოტელეს დებულებას წინააღმდეგობათა

---

1 **ერეტიკოსი** – ერესის მიმდევარი. ერესი (ბერძნ. hairesis) რელიგიური მოძღვრება, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რელიგიის საეკლესიო დოგმატებს; მწვალებლობა.

2 **გალილეი** (Galilei) გალილეო (1564-1642) – იტალიელი ფიზიკოსი და ასტრონომი, ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი. შექმნა 32-ჯერადი გადიდების მქონე ტელესკოპი, რომლითაც აღმოაჩინა მრავალი მანამდე უცნობი ციური სხეული, აღმოაჩინა ვენერას ფაზები, მზის ლაქები და ბრუნვა. იცავდა პოლონელი ასტრონომის ნიკოლაი **კოპერნიკის** (1473-1543) შეხედულებებს დედამიწის ღერძის და მზის გარშემო ბრუნვის შესახებ. იგი დაასმინეს ინკვიზიციაში (მე-13-19 სს.: კათოლიკური ეკლესიის სასამართლო-პოლიციური ორგანიზაცია).

3 **Кампанелла** Т. Город солнца, რუს. თარგმანი, М., 1954.

4 **Campanella** T., Opere... v.1-2, Torino, 1854.

შესახებ და ღმერთს განსაზღვრავდა როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობას.

კამპანელას პირველი ფილოსოფიური თხზულება მიმართული იყო არისტოტელეს წინააღმდეგ, რომელიც თვლიდა, რომ რეალობა შედგება ფორმისა და მატერიისაგან. მატერია პასიურია, ფორმა კი როგორც რეალურის პრინციპი და იდეა, აქტიურია. სტოიკოსები არისტოტელეს მოძღვრებას უარყოფდნენ იმ მოსაზრებით, რომ რეალობას წარმოადგენს მხოლოდ მატერია, მატერიალური სამყარო, რასაკვირველია, არის ორგანიზებული და ცოცხალი ერთიანობა. უპირველეს ყოვლისა, კამპანელამ სტოიკოსების[1] მსოფლმხედველობა შეითვისა რენესანსის ფილოსოფოსებისაგან, მაგრამ მალე მან შეიგნო, რომ არ იქნა გათვალისწინებული გადამწყვეტი ფაქტი – ადამიანის თვითშეცნება მატერიით არ შეიძლება შეიზღუდოს.

კამპანელა ცდილობს მატერიის განვითარების უნარის ცნება დაუკავშიროს ცნობიერების უნივერსალური ყოფის იდეას. ყველა არსებითს, ამბობდა იგი, გარკვეულად აქვს წილი „მსოფლიო სულის" არსებობაში და, აქედან გამომდინარე, მასთან მრავალფეროვანი ურთიერთობა აქვთ. ეგრეთწოდებული „არაცოცხალ" არსებაში ცნობიერება ფარული ფორმით არსებობს. მაგრამ ფილოსოფოსს შეუძლია ყველა ურთიერთობის გარკვევა. მან მაგ., იცის თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ვარსკვლავები ადამიანზე და მის არსებობაზე. კამპანელასათვის მეცნიერი ერთ და იმავე დროს მაგიკოსია[2] და თავისი ნება ნებისიერ ადამიანს შეუძლია მოახვიოს.

ყველა არსების აქტიურობის არსებითი მიზეზია სიყვარული, რომელიც ამავე დროს ღმერთის და საკუთარი თავის სიყვარულია. ღმერთს მხოლოდ ბუნებაში არსებულ შესაძლებლობათა განხორციელება სურს. როგორც ყველა არსების, ადამიანის ქმედებაც განპირობებულია ამ ფუნდამენტური და ღვთიური ინსტინქტით, რომელიც ვლინდება თავისი არსებობის შენარჩუნებით, გამრავლებისკენ სწრაფვით, ლტოლვით განდიდებისკენ და იყოს გულღია, ამიტომ სრულყოფისკენ მივყევართ არა უარყოფას, არამედ ბუნებრივი მონაცემების გონიერულ გამოყენებას.

ადამიანის რელიგია ბუნებრივი რელიგიის უმაღლესი ფორმაა, რაშიც ყველა არსება მონაწილეობს. ხომ ყველა შეიცნობს მოთხოვნას, რომ პატივი მიეგოს მათი არსებობის პრინციპს. ცხოველები პატივს მიაგებენ ვარსკვლავებს, რადგან ისინი (ვარსკვლავები) არიან მაღალი რანგის არსებანი და ახლოს დგანან ღმერთთან. ასე მაგ., სპილო ქედს იხრის მთვარის წინაშე, ადამიანი უშუალოდ პატივს მიაგებს ღმერთს.

ქრისტიანობიდან აითვისა მან მოძღვრება ათასწლიანი იმპერიის არსებობაზე. იგი ერთ ლექსში მოითხოვდა, რომ ქრისტე აღდგომის დღესასწაულის ნაცვლად, წამების დრამატიზმით უნდა წარმოდგეს. იგი შორს იდგა ტრადიციული ქრისტიანობისაგან, თუმცა, „უტოპიაში" გამოთქმულია რწმენა ადამიანის ბუნებრივ სიკეთეზე და იდეა ბუნებრივ რელიგიაზე, თომას მორი, რა თქმა უნდა, მაინც არ დაეთანხმებოდა მის აზრებს.

რადგანაც ყველა ადამიანი შექმნილია ღვთის სიყვარულის, მისი ნამდვილი წარმოშობის საფუძველზე, კამპანელას აზრით, მსოფლიო ისტორიის პროცესებს მივყავართ უკან ერთიანობისკენ, საიდანაც იგი წარმოიშვა. სიყვარულია ის ძალა, რომელიც ყოველგვარ გათიშულობასა და წინააღმდეგობას დაძლევს; უნდა გაუქმდეს რელიგიათა და ერთა სიმრავლე, კაცობრიობა მსოფლიო სახელმწიფოდ უნდა გაერთიანდეს, რომლის მეფე აგრეთვე სულიერი მამა იქნება. ასე შეიძლება ადამიანი თავის პირვანდელ და ღვთიურ მდგომარეობას დაუბრუნდეს. მაშინ მოგებისკენ და პირადი კეთილდღეობისკენ მისწრაფება არ იქნება. ყველა მხოლოდ სიყვარულის საფუძველზე მოქმედებს. ამიტომ უნდა გაუქმდეს კერძო საკუთრება, ფული და ოჯახი: „თუ დაიძლევა საკუთარი მე-ს სიყვარული, მაშინ საზოგადოებისადმი სიყვარული იარსებებს".

ამგვარად, კამპანელას კომუნიზმის საფუძველია ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც უარყოფს ყოველგვარ წინააღმდეგობას მატერიასა და სულს შორის, აღმერთებს ბუნებას და იძლევა განუსაზღვრელ ოპტიმიზმს კაცობრიობის მომავლისათვის. კამპანელა შესაძლებლად თვლიდა საზოგადოებაში ინდივიდის მთლიან ინტეგრაციას, რომლითაც ყოველგვარი წინააღმდეგობა პირადსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის მოიხსნება.

---

1 გაჭირვებისა და განსაცდელის მტკიცედ ამტანი ადამიანები; ძვ. საბერძნეთში (ძვ. წ-ით მე-4 საუკუნის ბოლო) ფილოსოფიური მიმდინარეობა.

2 მაგია (ბერძნ. mageia) – ჯადოქრობა.

პლატონს მიაჩნდა, რომ ასეთი ინტეგრაცია შესაძლებელია გამოჩენილ პიროვნებასთან. თომას მორი ამ აზრს ეტრფიალებოდა, მაგრამ არ იყო მთლიანად დარწმუნებული მისი განხორციელების შესაძლებლობაში – სხვაგვარად იგი მჭიდროდ არ დაეყრდნობოდა იმ აზრს, რომ ინდივიდის მიერ თავისი მე-ს მსხვერპლად გაღება ზეცაში აუნაზღაურდება.

ამგვარად, კამპანელა ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე იყო, რომელსაც ბუნების განუსაზღვრელი სიკეთის სჯეროდა და გვასწავლიდა, რომ კაცობრიობა სრულყოფილ საზოგადოებრივ ცხოვრებას მიაღწევს.

რა თქმა უნდა, აქ ჩვენ ვხედებით რენესანსისათვის დამახასიათებელ „ნატურალიზმს", აქ არ არის მტკიცება იმისა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობანი რეალური წარმოდგენით ჰარმონიულია, თუ მათ ბუნებრიობა აქვთ. მაგრამ დაიშვება, რომ ეს ურთიერთობანი, რადგან ისინი ბუნებრივია, ჰარმონიულად უნდა განვითარდნენ.

„რენესანსის" პერიოდის დიდი „უტოპისტების" იდეები შემდგომ საუკუნეებში უფრო მეტ განვითარებას პოულობენ. ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ მე-18 საუკუნეში, იგი საფუძვლად უდევს თანამედროვე სოციალისტურ მოძღვრებებს.

3. სენ-სიმონი და სენ-სიმონისტები

3.1. სენ-სიმონის (1760-1825) მოღვაწეობა და ძირითადი ნაშრომები

გრაფი კლოდ დე რურუა დე **სენ-სიმონი** (Saint-Simon) დაიბადა პარიზში, ჩარლემანების პირდაპირი შთამომავლების ფრანგ დიდებულთა ოჯახში. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი დალამბერი (1717-1783).

18 წლის სენ-სიმონი ფრანგული ჯარის შემადგენლობაში მონაწილეობდა ჩრდილოეთ ამერიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დიდი ბრიტანელების წინააღმდეგ. საფრანგეთში დაბრუნებისას იგი დიდბრიტანელებმა დააპატიმრეს და იამაიკის ციხეში გაგზავნეს. განთავისუფლების შემდეგ იგი მექსიკას ესტუმრა და იქ მეფის ნაცვალს პანამის ყურეში არხის მშენებლობა შესთავაზა. ფრანგი ინჟინერი ფერდინანდ დე ლესეფსი (1805-1894) 1859-1869 წლებში ხელმძღვანელობდა სუეცის არხის მშენებლობას, რომელმაც, როგორც სენ-სიმონის თაყვანისმცემელმა, გააცოცხლა მისი იმედები.

სენ-სიმონი საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში თავისუფლების იდეების პროპაგანდას ეწეოდა. მან მალე დაკარგა თავისი ქონება და დარჩენილი ცხოვრება სიღარიბეში გაატარა. იგი მალე (1723 წ.) ისევ ციხეში აღმოჩნდა. მოჩვენებით ციხეში ესტუმრა მისი წინაპარი ჩარლემანი, რომელმაც მოუწოდა ფილოსოფიის ღრმად შესწავლისაკენ, სადაც იგი ისეთივე წარმატებული იქნებოდა, როგორც ჩარლემანი ომსა და სახელმწიფო მართვის ხელოვნებაში.

ციხიდან დაბრუნებულმა სენ-სიმონმა თავისი თავი ცივილიზაციის მტრად გამოაცხადა. მეუღლესთან გაცილების შემდეგ იგი ერთი პერიოდი გადამწერად მუშაობდა კეირაში ოთხ დოლარად.

1823 წლისათვის მისი მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ თვითმკელელობა სცადა. 1825 წელს სენ-სიმონი გარდაიცვალა.

სენ-სიმონი აკრიტიკებდა არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას და გვთავაზობდა ახალი საზოგადოების პროექტს, რომელიც არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური გზით უნდა დამყარებულიყო. ახალ საზოგადოება უპირატესად მრეწველობის განვითარებას დაეყრდნობოდა და მასში სახელმწიფო მინიმალურად უნდა ჩარეულიყო.

სენ-სიმონის მთავარი ნაშრომებია[1]: „ფრანგის მკვიდრის წერილები თანამედროვეებისადმი" (1802), „მეცნიერული ნარკვევები ადამიანთა შესახებ" (1813), „ინდუსტრიული სისტემის შესახებ" (1821), „მრეწველთა დარიგება" (1824), „ახალი ქრისტიანობა" (1825).

---

1 **Saint-Simon**, Oeurves completes, v.1-6, P., 1966; რუს. თარგმ.: Избр. соч., т.1-2, М., 1948.

3.2. სენ-სიმონის ინდუსტრიული საზოგადოების პროექტი

სენ-სიმონი სოციალურ-რეფორმატორულ მსჯელობებში მკაცრად აკრიტიკებდა საზოგადოებრივ მდგომარეობას. ამ კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური თეორიის საფუძველზე სენ-სიმონმა საზოგადოების მომავალი წყობილების კონცეფცია შექმნა.

როგორც განვითარებად-ისტორიული აზრის წარმომადგენელი, იგი ადასტურებს, რომ მიუხედავად კრიზისებისა, საზოგადოებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებაში მუდმივი წინსვლა შეინიშნება. ასევე, საზოგადოებაც განვითარების კანონს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი განვითარების ამ პროცესებმა ფეოდალიზმის და კლერიკალიზმის[1] სრული დაშლა გამოიწვია და ეს პროცესი საბოლოოდ საფრანგეთის რევოლუციის დროს მესამე წოდების ძლევამოსილი აღორძინებით დასრულდა. უპირველეს ყოვლისა, სრულიად ნათელი გახდა ის, რომ პოლიტიკური მდგომარეობა სოციალური ორგანიზაციის ბაზისს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს უკანასკნელი ეკონომიკურ ფაქტორებში, ქონებრივ ურთიერთობებსა და ადამიანთა ეკონომიკურ ინტერესებში და შესაძლებლობებში უნდა იქნას მოძიებული.

განვითარების ამ პროცესში სულ უფრო მეტი ხვედრითი წონა ეკონომიკურ ფაქტორებზე მოდიოდა და ამ ფაქტორებმა საბოლოოდ იქამდე მიგვიყვანეს, რომ ინდუსტრიულმა სისტემამ ფეოდალური სისტემა განდევნა., რადგან ინდუსტრია სიმდიდრის უმნიშვნელოვანეს წყაროდ გადაიქცა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური არსებობის გარანტიას იძლეოდა.

სენ-სიმონის აზრით, **ინდუსტრიული სისტემა** პროგრესული განვითარების დამამთავრებელი ფაზაა. მის მიერ გამოყენებულ ტერმინში „ინდუსტრია“ (1824) იგი მოიაზრებს არა მარტო ნედლეულის გადამამუშავებელ მაღალტექნოლოგიურ მრეწველობას, არამედ ეკონომიკური საქმიანობის ყველა ისეთ ფორმას, როგორიცაა: მიწათმოქმედება და ვაჭრობა, მეცნიერება და ხელოვნება.

სოციალური თვალსაზრისით, ამ განვითარებიდან ახალი დაძაბულობები წარმოიქმნება, რადგან მრეწველებს (თუმცა კი ისინი ეკონომიკური და კულტურული წინსვლის მატარებლები არიან) მეურვეობას უწევს ფეოდალური, ნახევარფეოდალური და კლერიკალური ფენების პრივილეგირებული კლასი. ეს დაძაბულობა განსაკუთრებით მკვეთრად მაშინ ვლინდება, როდესაც გაბატონებული ფენები ეკონომიკურად სრულიად არამწარმოებლურნი არიან.

ახალ საზოგადოებაში მან გამოყო მიწათმფლობელთა და მრეწველთა კლასები. ამ უკანასკნელში გააერთიანა მუშები, მეწარმეები და ინტელიგენცია. გამოდის, რომ ახალ საზოგადოებაში ფეოდალ-მესაკუთრეთა კლასი აღარ არსებობს, თუმცა, იქმნებოდა კაპიტალისტთა კლასი, რომელთა კაპიტალს ასოციაციები გამოიყენებდნენ, ხოლო მუშათა კლასი ცალკე გამოყოფილი არ არის. სენ-სიმონის აზრით, ამ საზოგადოებაში განხორციელდება „ინდუსტრიული თანასწორობის პრინციპი“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ანაზღაურდება თავისი მონაწილეობის, შესაძლებლობებისა და ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეტანილი წვლილის შესაბამისად. ეს იდეალი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ახალი, კეთილდღეობისაკენ მიმართული ზნეობა წარმოიქმნება. ინდუსტრიული საწარმოს მოდელი მთელ საზოგადოებაზე უნდა გავრცელდესო.

სენ-სიმონის მიერ მოთხოვნილმა თანასწორობის პრინციპმა საზოგადოების ყველა წევრი თანაბარი, ეკონომიკური წინსვლისათვის საჭირო პირობებით უნდა უზრუნველყოს, სადაც თითოეული მათგანი თავისი ეკონომიკურ შანსებს ისეთ კონკურენციაში განახორციელებს, რომელსაც გარე ეკონომიკური ფაქტორები დაბრკოლებებს არ უქმნის. კერძო საკუთრება უნდა შენარჩუნდეს, მისი ბოროტად გამოყენება უნდა გამოირიცხოს და აუცილებელია ვიზრუნოთ იმაზე, რომ ერის კაპიტალი ყოველთვის საუკეთესო პატრონის ხელში იყოს. ის, ვინც თავის საკუთარ მეურნეობას თავად არ წარუძღვება, საარჩევნო უფლებას დაკარგავს.

მომავალ საზოგადოებაში მხოლოდ შრომისა და მომჭირნეობის გზით შეიძლება დაგროვდეს ქონება, რომლის ბოროტად გამოყენება უნდა გამოირიცხოს. საპირისპიროდ კი სენ-სიმონს არასოდეს მოუთხოვია ინდივიდუალური მემკვიდრეობის უფლების გაუქმება. მისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია. ეკონომიკის მწარმოებლურობისა და პროდუქტის ზრდა, ასე რომ იგი

---

1 კლერიკალიზმი (ლათ. clericalis – საეკლესიო) – მიმდინარეობა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ეკლესიის გავლენის გაძლიერებას ცდილობს.

იყო შეუზღუდავი კონკურენციის მომხრე და მისი ბევრი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოთხოვნა მაშინ გაბატონებულ ეკონომიკურ შეხედულებებს ემთხვეოდა.

სენ-სიმონის პოზიციის მიხედვით ძნელია მთლიანად მისი სოციალისტებზე მიკუთვნება, რამდენადაც მასთან ჩვენ ეკონომიკის ცენტრალიზებისა და გეგმიანი მეურნეობის მოწყობის შესახებ მითითებებს არ ვხვდებით, თუმცა, სენ-სიმონის მოძღვრების იდეური შინაარსი გარკვეულწილად მაინც სოციალისტურია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა კლასობრივ ბატონობას და მშრომელთა უფლებების შეზღუდვას.

სენ-სიმონის ისტორიულ-განვითარებადი თეზისი მჭიდრო კავშირშია ისტორიულ მატერიალიზთან, ასევე მარქსისტული მოძღვრების ისტორიულ-ფილოსოფიურ კონსტრუქციასთან. მიუხედავად ამისა, სენ-სიმონი ისტორიულ მატერიალისტური აზროვნების პირველ წარმომადგენლად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი ადამიანის სულსა და მის განვითარებაში ხედავს ყველა მოვლენის მამოძრავებელ ძალას და აქედან გამომდინარე, სენ-სიმონის ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მისი აზრით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ისტორიის მამოძრავებელ ერთადერთ ძალად არასოდეს აღუქვია.

სენ-სიმონის მთლიანი კონცეფცია ასევე ერთიანი არ არის, რადგან მომავალ საზოგადოებაში განვითარებად-ისტორიულ ფაქტორებთან ერთად ახალი ზნეობა უნდა ამოქმედდეს. ამ ახალ ზნეობას სენ-სიმონი ახალი ქრისტიანობის სახელწოდებით მოიხსენიებს და ეს ეთიკური მომენტები ახალი საზოგადოების შესახებ მის იდეას ვოლუნტარისტულ ნიშან-თვისებებს ანიჭებენ. ახალი საზოგადოების შექმნა პირველ რიგში იმ გზითაა შესაძლებელი, რომ ადამიანები იცავენ ერთ-ერთ მცნებას: „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და ერთმანეთს ძმებად აღიქვამენ.

3.3. სენ-სიმონისტები

3.3.1. ზოგადი მიდგომები

სენ-სიმონის გარდაცვალების შემდეგ მისმა თანამოაზრეებმა მის მიერ დაწყებული საქმის პოპულარიზაცია და გაგრძელება განიზრახეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფრანგმა სოციალ-უტოპისტებმა, ბანკის მუშაკებმა პროსფერ **ანფანტინმა** და ოდინეს **როდრიგმა**, ასევე სენ-ამან **ბაზარდმა** და კონსტანტინ **პეკქურმა**.

სენ-სიმონისტები (ბაზარდი, ანფანტინი, როდრიგი) 1828-29 წწ. პარიზში საჯარო ლექციებს კითხულობდნენ. ეს ლექციები ორტომეული კრებულის სახით გამოიცა სახელწოდებით: „სენ-სიმონის დოქტრინა. გადმოცემა“ (ორტომეული)[1]. მათ თავიანთი მასწავლებლის იდეები განაერცეს და მასში აშკარა სოციალური აზროვნების ელემენტები შეიტანეს. ისინი ილაშქრებდნენ ლიბერალისტების წინააღმდეგ. მათი აზრით, თავისუფალი კონკურენცია მუშათა კლასის ჩაგვრას იწვევსო.

სენ-სიმონისტებმა დაარსეს ჟურნალი „მეწარმე“ (Le producteuv), სადაც აშკარად გაილაშქრეს ლიბერალების წინააღმდეგ. ამავე დროს ისინი ფურიეს და სისმონდის ზეგავლენაში მოექცნენ.

მათი მტკიცებით, თავისუფალი კონკურენცია მუშათა კლასის ჩაგვრას ხელს უწყობს:

- ჯერ ერთი, კაპიტალის მფლობელი და მის საწარმოში დასაქმებული მუშა არათანასწორუფლებიანი პარტნიორები არიან; კაპიტალისტებს მუშისადმი ყოველთვის მბრძანებლური პოზიცია უკავიათ — შეუძლიათ მათი დათხოვნა. მუშის არსებობა კი კაპიტალისტზეა დამოკიდებული, რომლისგანაც იგი საშუშაო ადგილს ელოდება. ამის შედეგად, მუშის ხელფასი ყოველთვის ნაკლებია მის მიერ გაწეულ შრომის ღირებულებაზე;

- მეორე მხრივ, მსხვილ მეწარმეთა შორის კონკურენცია ისეც მუშათა ხარჯზეა შესაძლებელი. ისინი იაფი პროდუქტების წარმოების მიზნით მუშებს ნაკლებ ხელფასს აძლევენ.

მათი აზრით, მემკვიდრეობითი ქონება და წოდება საფუძველს უქმნის ანტაგონისტური კლასების არსებობას, საზოგადოების მუქთამჭამელებად და მშრომელებდ დაყოფას. სენ-სიმონის-

1 **Bazard** S., **Enfantin** P.,... Doctrine de Saint-Simon. Exposition. Premiere annee, P., 1829-1830; Deuxieme annee, 1829-30, P., 1831; Изложение учения Сен-Симона, რუს. თარგმ., 1947.

ტების მიზანი ამ ანტაგონიზმის მოსპობაა. ისინი ოპტიმისტურად შეჰყურებდნენ მომავალს: საზოგადოების ბუნებრივი ევოლუციის პროცესში უმტკივნეულოდ გაქრებაო გაბატონებული კლასების პრივილეგიები; ბანკებისა და „იაფი კრედიტის" განვითარების შედეგად კაპიტალისტები მუქთად არსებობას ველარ შეძლებენ.

დრო და დრო სენ-სიმონისტებისათვის გასაგები ხდებოდა, რომ სახელმწიფოს გარეშე სოციალური პროგრესი შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ისინი ფიქრობდნენ, რომ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მუშათა კავშირები ჩამოყალიბდნენ, ისინი უნდა გამხდარიყვნენ „ოჯახის" შემდეგ სახელმწიფოს მემკვიდრეები.

სენ-სიმონისტთა აზრები მათ თანამედროვეთა მოთხოვნილებებსა და ინტერესებს ნაწილობრივ ემთხვეოდა. მათ თავიანთი იდეებით მრავალი თვალსაჩინო პიროვნების დაინტერესება შეძლეს.

1831 წელს სენ-სიმონისტებმა პირველი „ოჯახი" დაარსეს, რომელიც 71 წევრს ითვლიდა. ისინი ეფუძნებოდნენ სენ-სიმონის დოქტრინას იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო ახალი რელიგიის არსებობა და საზოგადოების შეცვლა-განვითარებაში წამყვან როლს გრძნობები და განსაკუთრებით კი სიყვარული შეასრულებდა. მათ სიტყვა-სიტყვით აღიქვეს მათი მოძღვარის იდეა და მის ცხოვრებაში გატარებას შეეცადნენ.

3.3.2. სენ-სიმონის დოქტრინის შემდგომი განვითარება სენ ამან ბაზარდისა (1791-1832) და პროსფერ ანფანტინის (1798-1864) მიერ

სენ-სიმონის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ დაწყებული საქმის პოპულარიზაცია-გაგრძელების თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი შეასრულეს ფრანგმა სოციალისტ-უტოპისტებმა, სენ-ამან ბაზარდმა (Bazard) და ბართელემი პროსფერ ანფანტინმა[1] (Enfantin).

სენ-სიმონისაგან განსხვავებით, ბაზარდმა ეკონომიკაში ძალების თავისუფალი თამაში დაგმო და კოლექტიურად მოწყობილი საკუთრებითი წყობა და გეგმიანი ეკონომიკური ღონისძიებები მოითხოვა, რადგან კერძო საკუთრების არსებობა თითქოსდა სოციალური სიდუხჭირის, ანგარებიანი მიზნით გამოყენებისა და მუშათა კლასის გაღატაკების მიზეზია. ბაზარდი, სენ-სიმონისაგან განსხვავებით, ფაქტობრივად, კერძო საკუთრების (მათ შორის, მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე) გაუქმების მომხრეა.

მისი აზრით, მემკვიდრეობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს. მაგრამ მემკვიდრეობითი უფლების გაუქმებამ ამასთანავე წარმოების საშუალებების ერთიანი მფლობელობა კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ მემკვიდრეობის გაუქმებამ ყოველგვარი პრივილეგიების გარეშე ქონების სამართლიანი განაწილება უნდა უზრუნველყოს. მის მფლობელობაში ყველა უნდა მონაწილეობდეს თავისი მიღწევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, ასე რომ, ეს პიროვნული შრომისუნარიანობის ანაზღაურებას უნდა ნიშნავდეს.

ბაზარდის აზრით, საკუთრებითი წყობა წარმოების ორგანიზაციას აწესრიგებს, რომელმაც, თავდაპირველად, საბანკო საქმეში იჩინა თავი. მთელ ქვეყანაში განთავსებულმა საბანკო ორგანიზაციების იერარქიულმა მომსახურების სტრუქტურამ ეკონომიკის გეგმიანი მართვა უნდა უზრუნველყოსო.

ბაზარდის საკუთრებითი წყობა სარგებლის, რენტისა და ყველა სახეობის ოჯარის გაუქმებას და ამასთანავე, უმუშევართა შემოსავლების აღმოფხვრას ნიშნავს.

ბაზარდმაც საზოგადოებრივ კონცეფციაში ეთიკურ-რელიგიური იდეები ჩააშენა, რადგანაც იგი, ისევე როგორც სენ-სიმონი, იმ აზრის იყო, რომ მხოლოდ ახალი რელიგიის შექმნით, რომელიც ადამიანის გულებში მიძინებულ კეთილშობილებას გამოაღვიძებს, ადამიანები ახალ წყობილებას და უანგარო ქმედებებს შეიძლება მიაჩვიო.

ამგვარად, ახალ საზოგადოებაში რელიგია სოციალური ქადაგების გზით უნდა შენარჩუნდეს და გავრცელდეს. ამასთან, სოციალიზმი მისი შეხედულებით, გარდაუვალი ისტორიული პროცესის კანონზომიერი შედეგია.

ეს რელიგიური იდეა ანფანტინის საშუალებით, რომელიც წარმატებულ საბანკო საქმიანობას

1 ანფანტინმა ერთ-ერთმა პირველმა წამოაყენა წინადადება სუეცის არხის მშენებლობის დაწყების შესახებ.

ეწეოდა და საბანკო საქმის საკითხების შესახებ გარკვეულ შეხედულებებს წარმოადგენდა, მაგ.: თეორია შეცირებული, რისკის პირამდე დაყვანილი სარგებლის განაკვეთისა და „იაფი კრედიტის“ შესახებ, მისტიციზმისაკენ[1] შემობრუნდა, რომელმაც სენ-სიმონიზმის თანდათანობითი დაშლა გამოიწვია.

ანფანტინის შეხედულება ცალკეულ პუნქტებში ქრისტიანობას ეწინააღმდეგებოდა. მან ქრისტიანულ ასკეტიზმს ქალის კულტი დაუპირისპირა და განაცხადა, რომ ქვეყნიერებას მესია (მირონცხებული) – ქალი მოევლინება და მისი თაოსნობით ახალი ტიპის რელიგია ჩამოყალიბდება. ნაწილობრივ ეს იდეები ფურიეს ეკუთვნის.

ქმელინმონტანში (სენ-სიმონისტების თავშეყრის ადგილი) მათ ქალთა კომუნის შექმნის იდეის ცხოვრებაში გატარება განიზრახეს. 1832 წელს მათ ბრალად დასდეს უკანონო არაეკლესიური შეკრებების მოწყობა და ხნესწინააღმდეგო ქცევა, რის გამოც მრავალ მათგანს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ამის შემდეგ სენ-სიმონისტები პრაქტიკულად დაიშალნენ. ზოგიერთი მათგანი ფიქრობდა, რომ მათი მოძღვრების ცხოვრებაში გასატარებლად სასურველ ნიადაგს აღმოსავლეთ ქვეყნებში იპოვნიდნენ. თავად ანფანტინი კი ეგვიპტეში გაემგზავრა. იგი იქ მეტწილად პრაქტიკული სახეობის პროექტებით (მაგ., სუეცის არხის მშენებლობა) იყო დაინტერესებული. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ მან აღიარა, რომ ინდუსტრიული საზოგადოების გარეშე. გარდამავალი პერიოდის არსებობა შეუძლებელი იყო.

სუეცის არხის მშენებლობის პროექტის განხორციელება ანფანტინმა ვერ მოახერხა, მაგრამ დიდი იყო მისი წვლილი. საფრანგეთში რკინიგზის საზოგადოების, „პარიზი-ლიონი-მედიტერანის“ საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა – ანფანტინმა ისე დაასრულა თავისი სიცოცხლე 1864 წელს, რომ თავისი მსოფლმხედველობა არ შეუცვლია.

3.4. ჩარლზ კონსტანტინ პეკქუერის (1801-1887) შეხედულებები

სენ-სიმონის კონცეფციამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ფრანგი ჩარლზ კონსტანტინ **პეკქუერის** (Pecqueur) ნაშრომში „**სოციალური ეკონომია**“ (ორტომეული, 1839)[2]. მან, უპირველეს ყოვლისა, სენ-სიმონის ისტორიული განვითარების თეზისი აიტაცა და მრავლისმომცველი გამოკვლევებით კაპიტალისტური ინდუსტრიული განვითარების ტენდენციების განსაზღვრა სცადა.

იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა კონცენტრაციაზე მიუთითებდა, რომელსაც მცირე და საშუალო საწარმოების შთანთქმა მოყვებოდა. იგი სოციალისტური წყობილების ტენდენციას წარმოქმნის, რადგან ამ გზით სოლიდარობისა და ასოციაციის სისტემებისათვის აუცილებელი ისტორიული განვითარების წინაპირობა იქმნება.

მისი ეს შესავალი ანალიზი ყურადღებას იმიტომ იმსახურებს, რომ ამ ანალიზმა გასაოცარი შორსმჭვრეტელობით წინასწარმეტყველა კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები და მისი პროგნოზებიც გამართლდა.

პეკქუერის აზრით, მიუხედავად განვითარებაში გამოვლენილი ტენდენციებისა, მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესთა დაპირისპირება არ გამწვავდება, რადგან ამ დაპირისპირებათა შეთანხმება ორიენ კლასის „სწორად გაგებულ ანგარებაში“ მდგომარეობს და ინტერესთა ჰარმონიაში ვითარდება. მისი აზრით, ამ სისტემას ვერ დაამსხვრევს ისეთი სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებები, როგორიცაა: მშრომელთა დაცვა, სახალხო და პროფესიული განათლების განვითარება, სოციალური დაზღვევა, მოგებაში თანამონაწილეობა, მწარმოებელთა კოოპერაციებსა და პროფესიულ კორპორაციებში გაერთიანება, საჯარო შრომითი მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

პეკქუერი მოგვიანებით სოციალურ ინტერვენციონიზმსა (ძალადობრივ ჩარევას) და ზომიერ კაპიტალიზმს გაემიჯნა და კაპიტალისტური ეკონომიკური წყობილება სრულიად უარყო. თავის ნაშრომში „**ახალი სოციალური და პოლიტიკური ეკონომიის თეორია**“ (1842)[3] მან სოციალისტური შეხედულებები წარმოადგინა და სოციალისტური ეკონომიკის სურათი შექმნა.

1 მისტიკა (ბერძ. mistēria საიდუმლობანი) – რწმენა, რომლითაც ადამიანს თითქოსდა საიქიოსთან ურთიერთობების დამყარება შეუძლია; იდუმალი რამ.

2 **Pecquer** C., Economie Sociale, P., 1839.

3 Theorie nouvelle d'économie et politique, P., 1842.

სოციალისტურ ეკონომიკას, რომელსაც პეკქუერი პროპაგანდას უწევდა, გეგმიანი მეურნეობის ცენტრალური დაწესებულება მართავს და მთლიანად წარმოებრივ საშუალებებზე განკარგვის ძალაუფლება გააჩნია, ისე რომ სახელმწიფო ერთადერთი მეწარმეა და ყველა დანარჩენი სუბიექტი მას ექვემდებარება. საპირისპიროდ კი მოხმარების საგნებზე კერძო საკუთრების შენარჩუნება ხდება და ამ საზოგადოების წევრებისათვის არსებობს თავისუფალი სამომხმარებლო არჩევანი, თუმცა, კი გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოთხოვნის კონტროლი. სახელმწიფო, როგორც წარმოებრივ საშუალებათა მფლობელი, მომხმარებელთა სურვილებს უნდა მოერგოს.

პეკქუერის სოციალისტურ ეკონომიკაში ფასები არ უნდა დადგინდეს ცენტრალიზებულად და იგი მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით უნდა განისაზღვროს; შემოსავლების განაწილება რეგულირდება სახელმწიფოს მიერ, სადაც ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ანაზღაურება მწარმოებლისათვის მისი მზადყოფნის ხარისხით უნდა განისაზღვროს; პოლიტიკური და ორგანიზატორული თვალსაზრისით, სოციალისტური ეკონომიკა უნდა აიგოს დემოკრატიული პრინციპების მიხედვით, იმისათვის, რომ საზოგადოების წევრები დაცულ იქნან საერთო-საზოგადოებრივი სისტემის ბიუროკრატიული სიმახინჯეებისაგან. პეკქუერი ასევე მოელის, რომ ამ სოციალისტურ საზოგადოებაში ახალი და მაღალი ეთიკური მრწამსი ჩამოყალიბდება, რომელიც სოციალისტური იდეალების გამარჯვებას უზრუნველყოფს.

სენ-სიმონის და მისი მოწაფეების მსგავსად, პეკქუერიც საზოგადოების გარდაქმნაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ახალი ზნეობის ჩამოყალიბებას ანიჭებს, რასაც ადასტურებს მისი უკანასკნელი დიდი ნაწარმოები „ღვთიური რესპუბლიკისკენ“ (1844)[1].

ეთიკური მრწამსების წინა პლანზე წამოწევის გამო ყველა ეს სისტემა, მიუხედავად მათი ძირითადი განვითარებად-ისტორიული კონცეფციისა, უტოპიური სოციალიზმის მოძღვრებაში მოექცა.

3.5. სენ-სიმონისა და მისი მიმდევრების წვლილი

სენ-სიმონის აზრები ასევე არსებითად გაიზიარა ისტორიკოსმა ფილიპ ბუხეზმაც (1796-1865) და შრომითი ღირებულების თეორიის პოზიციიდან გამომდინარე, უმუშევართა შემოსავლებისა და ანგარების მიზნით გამოყენების პრობლემის წარმოდგენა სცადა.

მისი აზრით, მუშათა ანგარების მიზნით გამოყენება უნდა აღმოიფხვრას საკუთრების ფორმის შეცვლის გზით. მოგვიანებით ეს იდეა ლუის ბლანმა აიტაცა.

სენ-სიმონისა და მისი მოწაფეების არც ერთ დოქტრინას ეკონომიკის თეორია არ გაუმდიდრებია, რადგან ისინი, პირველ რიგში, იქიდან გამომდინარეობდნენ, რომ შეექმნათ ახალი სოციალისტური წეს-წყობილება. ამ მოაზროვნეებისათვის ეკონომიკური საკითხები მხოლოდ იმიტომ იყო საინტერესო, რომ ისინი ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ეკონომიკური მოვლენები მზარდ ინდუსტრიალიზაციასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, რადგან მშრომელთა პრობლემები მომავალი წყობის შესახებ დისკუსიებში სულ უფრო მწვავედ იდგა წინა პლანზე და ისინი აუცილებლად მოითხოვდნენ მანამდე მოქმედი ეკონომიკურ-თეორიული და ეკონომიკურ-პოლიტიკური შეხედულებების გადამოწმებას. ეს მოაზროვნეები ვერ გაუმკლავდებოდნენ ამ მოთხოვნებს, რადგან მათ არ შეეძლოთ საკუთარი ეკონომიკურ-თეორიული კონცეფციების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც მათთვის წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით გარკვეული პოზიციის დაკავება შესაძლებელი გახდებოდა.

ეკონომიკის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ სოციალური თეორეტიკოსების შეხედულებები იმდენად, რამდენადაც მათ დამაჯერებელი და თვალსაჩინო გახადეს ეკონომიკურ მოვლენათა დინამიკა, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს ერთმნიშვნელოვნად წარმოედგინათ შედეგები, რომლებიც ეკონომიკურ-თეორიული თვალსაზრისით ამ ახალი ასპექტებიდან გამოვლინდა.

---

1 De la république de Dieu, P., 1844.

4. კოოპერაციული სოციალიზმი

4.1. შარლ ფურიეს (1772-1837) „ფალანგები“

სენ-სიმონისა და მისი მოწაფეების იდეებთან ერთად წარმოიშვა უტოპიური სოციალიზმის სხვა სახეობაც, რომელიც კოოპერაციების[1] შექმნით ახალი, უკეთესი საზოგადოებრივი წყობილების განხორციელებას მოითხოვდა. საფრანგეთში მისი მიმდევარი, უპირველეს ყოვლისა, შარლ ფურიე (Fourier) იყო, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება დიდი მონდომებით იცავდა ამ იდეას და სხვადასხვა ნაშრომში[2] ახალი საზოგადოების სტრუქტურას ქმნიდა.

შ.ფურიე დაიბადა სავაჭრო მოსამსახურის ოჯახში, თავადაც (მარსელში, ლიონში, პარიზში) მუშაობდა კომერციის სფეროში ისე, რომ სოლიდური განათლება არ მიუღია, თუმცა, თავისუფალ დროს საზოგადოებრივ სამკითხველოებში ატარებდა. მას გააჩნდა დროის რაციონალურად განაწილების საოცარი უნარი და ამის წყალობით არაერთი ნაშრომი დაწერა.

ის გარემოება, რომ ეკონომიკა არ იყო წესრიგში, ფურიესათვის უცნობი არ იყო. ამის შესახებ იგი თავად იუწყებოდა 1798 წლის თებერვალში, როდესაც ერთი ვაშლის ღირებულების დადგენაზე ფიქრობდა. 1803 წელს მან გამოაქვეყნა ბიულეტენი სათაურით „უნივერსალური ჰარმონია“, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ფიზიოკრატების მიერ აღმოჩენილ კანონებს ეფუძნება, მაგრამ საჭიროა საზოგადოების განვითარების კანონების აღმოჩენა.

მსგავსად ზოგიერთი ავტორისა, ფურიეც ცდილობდა თავისი თავი ნიუტონისათვის შეედარებინა. იგი ნიუტონის მსგავსად ფიქრობდა, მაგრამ მისგან განსხვავებით განზრახული ჰქონდა ზნეობრივი სამყაროსათვის საყოველთაოდ მისაღები თეორიის ჩამოყალიბება. 1808 წელს ფურიემ გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი **„ოთხი მოძრაობის თეორია“**[3]. მის შესავალში მოყვანილია საკმაოდ მნიშვნელოვანი არგუმენტები კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ. ფურიეს პრაქტიკულმა წინადადებებმა კი გამოხატულება ჰპოვა მის 1822 წელს გამოქვეყნებულ ორტომიან ნაშრომში **„ტრაქტატი მიწათმოქმედთა ასოციაციის შესახებ“**[4]. მას მოჰყვა 1828 წელს გამოქვეყნებული **„ახალი ინდუსტრიული სამყარო“**[5] და სხვ. ფურიემ არაერთი ხელნაწერი დაგვიტოვა, რომელთა ნაწილი მისმა მიმდევრებმა შემდგომში გამოაქვეყნეს ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორიც იყო მაგალითად, „ფალანგა“ („Phalange“) და სხვ.

ფურიეს ამოსავალი პუნქტია (ისევე როგორც სენ-სიმონისა და სენ-სიმონისტებისა) არსებული საზოგადოებრივი წყობილების, განსაკუთრებით თავისუფალი კონკურენციისა და ვაჭრობის კრიტიკა, რომელსაც იგი სრულიად არამწარმოებლურად მიიჩნევდა.

ფურიეს დოქტრინის საფუძველია ადამიანის ბუნებრივი გაგება. მისი შეხედულებით, მეცნიერება ადამიანის ბუნების შესახებ თავის დასაბამს იღებს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობისმიერ თეორიაში. ეს „გრძნობისმიერი მიზიდულობის კანონები“ ყველა პუნქტში ემთხვევა მატერიის შესახებ არსებულ კანონებს, რომლებიც ნიუტონმა და ლაიბნიცმა აღმოაჩინეს და განავითარეს: ასე და ამგვარად არსებობს მოძრაობის ერთობლივი სისტემა როგორც მატერიალური, ისეც სულიერი სამყაროსათვის; ამრიგად, კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს უნივერსალური მოძრაობის მხოლოდ ერთ-ერთ ასპექტს, რომელშიც შეიძლება გამოვყოთ ოთხი ძირითადი სფერო: **სოციალური, რეალური, ორგანული და მატერიალური.**

ამგვარი, აშკარად გამოხატული ნატურალისტური აზროვნება დამახასიათებელია მაგალითად, მე-18 ს-ის ფრანგი უტოპისტ-სოციალისტის მორელისათვის (Morelly). ფურიეს დოქტრინაში კი ახალი ის არის, რომ იგი ისტორიის მსვლელობაში არსებულ სპეციფიკურ ფაზების ბუნებრივ თანმიმდევრობას ასახელებს. მისი აზრით, საზოგადოებაც ბუნებრივ ევოლუციას განიცდის. ჰირ-

---

1 კოოპერაცია (ლათ. cooperatio თანამშრომლობა) – შრომის ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომლის დროსაც ბევრი ადამიანი მონაწილეობს ერთსა და იმავე (ან სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ) შრომის პროცესში; კოოპერატივი იგივეა რაც კოოპერაცია.

2 Fourier, Oeuvres completes, v.1.6, P. 1841-1870; Избр. соч., т.1-4, М.-Л., 1951-1954.

3 Theory des quatre mouvements, 1808.

4 Traide de l'association domestique, 1822.

5 Le Nouveau Monde industriel, 1828.

ველყოფილ მდგომარეობას, როდესაც ჯერ კიდევ არ არსებობდა საზოგადოება, ფურიეს აზრით, არაცივილიზებული ყოფა, პატრიარქატი და შემდგომში ცივილიზაცია მოჰყვა. იგი თანამედროვე ფაზის სახით არსებულ ჰარმონიულ ყოფაში გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს. ჰარმონიაში გარდამავალი პერიოდის ნიშნები ფურიემ წინააღმდეგობებში დაინახა, რომლებმაც მთელ მსოფლიოში, უპირატესად კი ინგლისში, ვაჭრობის განვითარებას ხელი შეუწყვეს.

მისი აზრით, ის დიდი გარდასახვა, რომელიც ძირეული ცვლილებებით დაიწყება და მთელ მსოფლიოს მოიცავს. ღღესდღეობით მართლდება ის ფაქტი, რომ აწმყო მომავალს შობს და რომ გაჭირვების მოზღვავებას მოჰყვება კრიზისული პერიოდი, რომელსაც ამ მდგომარეობიდან საზოგადოების ხსნის უნარი შესწევს. საშინელი და საზარელია ყოველი პოლიტიკური გადატრიალება. ომები და რევოლუციები ისევ და ისევ ცეცხლში ახვევენ ყოველი მხრიდან დედამიწას. მშვიდობა წამიერი მოჩვენებითობაა, მრეწველობის განვითარება ხალხის ჭირად იქცა; დედამიწის ორივე ნახევარზე შეფერხებულია კულტურული განვითარება. სახელოსნოები მათხოვართა თაეშესაფრად იქცა... კომერციულმა აზროვნებამ ახალი გზები გაუხსნა დანაშაულებს.

ამგვარად, ფურიემ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში გამოყო: ედემიზმის (პირველყოფილი), ველურობის, ბარბაროსობის და ცივილიზაციის ეტაპები. მისი აზრით, თითოეულ ეტაპზე გადასვლას წარმოების განვითარების დონე განსაზღვრავს. ცივილიზაციის ეტაპს ჰარმონიული წყობილება შეცელის, სადაც ადარ იარსებებს ყერძო საკუთრება, კლასები და არაშრომითი შემოსავლები.

რევოლუციის დროს არსებულმა მღელვარებამ და ქაოსმა ფურიეს აფიქრებინა, რომ ქვეყანაში დაირღვა ბუნებრივი წესრიგი. იგი თითქოსდა თაედაყირა დადგა. ცივილიზაციამ ფურიეს, მორელისა და ფრანგი სოციალ-უტოპისტის გაბრიელ მაბლის (Mably, 1709-85) მსგავსად იმედები გაუცრუა. ამასთან ერთად, ფურიეს შესაძლებლად მიაჩნდა ისეთი ტიპის საზოგადოების შექმნა, რომელიც თავისუფალი და დიდი განვითარების გასაქანს მისცემდა ადამიანის ყოველგვარ ბუნებრივ მოთხოვნილებასა და მიდრეკილებას. ასეთი საზოგადოება უნდა ყოფილიყო გამორჩეული „ჰარმონიით", რაც ფურიეს აზრით, კაცობრიობის სწრაფვის საგანს წარმოადგენს - „ფალანსტერი" (..phalanstère") კი ამგვარი ტიპის საზოგადოების საფუძველი უნდა ყოფილიყო. მასში ფურიე გულისმობდა გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ერთობას, რომლებიც ერთად იცხოვრებდნენ და იმუშავებდნენ.

ამგვარი გაერთიანებების ფარგლებში ფურიე დაინტერესებული იყო სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მებაღეობის განვითარებით. ამასთან, იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ქალაქური ტიპის ცხოვრების, საერთოდ, მასობრივი სახეობის სამუშაოების და მრეწველობის განვითარებისა. მისი აზრით, შესაძლებელი იყო სამუშაოს უფრო საინტერესოდ წარმართვა, თუკი შეიქმნებოდა ადამიანთა პროფესიული დაჯგუფებები. ყოველ ადამიანს უნდა ჰქონოდა უფლებები და შესაძლებლობა სურვილისამებრ გაერთიანებულიყო ამა თუ იმ დაჯგუფებაში, დაეტოვებინა იგი ან გადასულიყო რომელიმე სხვაში. „ფალანსტერი" უნდა ყოფილიყო ე.წ. აქციონერული საზოგადოება. ამ საზოგადოების წევრებს უნდა შეექმნათ გარკვეული კაპიტალი, რომლის თანაბარ განაწილებას სრულიადაც არ ისახავდა მიზნად ეს საზოგადოება. მთლიანი შემოსავალი უნდა განაწილებულიყო სამ ნაწილად ამგვარი თანაფარდობით: 4/12 – კაპიტალის მესაკუთრეებს მოგების სახით (აქციების წილის შესაბამისად), 5/12 – სამუშაოებში აქტიურად მონაწილეებს, 3/12 ნაწილი კი გათვალისწინებული იყო ჯილდოს სახით განსაკუთრებული წარმატებებისათვის.

ფურიე მიზნად არ ისახავდა სრულ თანასწორობას – არც ქონების, არც ცხოვრების დონის თვალსაზრისით. მისი აზრით, ამგვარი თანასწორობა დაარღვევდა იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ჰარმონიის საფუძველია. „ფალანსტერის" წევრები მეტ-ნაკლები კომფორტის მქონე სხვადასხვა კლასის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. ამავე დროს მასში ღარიბებსა და მდიდრებს შორის დაპირისპირებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მათ საერთო ინტერესები გააჩნდათ. ქონების შესაძენად ცალკეულ პირთა სწრაფვა საერთო ინტერესებში უნდა შესულიყო. ასეთი ქმედება მღელვარებასა და დაპირისპირებას კი არ გამოიწვევდა, არამედ საზოგადოებას კიდევ უფრო შეაკავშირებდა.

ამგვარად, არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღმოფხვრა ფურიეს ახალი საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის გზით სურდა, რომლის უმნიშვნელოვანესი პუნქტებია ე.წ.

„ფალანგები"[1] - მწარმოებელი და სამომხმარებლო კოოპერაციები. ამ საერთო კოოპერაციებმა თავისი არსით ინდივიდუალურ მიზანს ადამიანური კეთილდღეობის გზით უნდა მიაღწიონ ისე, რომ მშრომელს არა მარტო მონაწილეობა მიაღებინონ მწარმოებელი კოოპერაციის მოგების შექმნაში, არამედ მშრომელმა, როგორც სამომხმარებლო კოოპერაციის წევრმა, ფალანგის მოგების ნაწილიც უნდა მიიღოს.

მწარმოებელ კოოპერაციაში სამუშაო შეძლებისდაგვარად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. ფურიე ფიქრობდა შრომის შემდგომ დანაწილებაზე ზემოქმედებას ისე, რომ დიდი სამუშაოს შესასრულებლად ურთიერთსიმპათიით დაკავშირებული შრომითი გაერთიანებები უნდა გამოყოფილიყო, რომელსაც ფურიე ჯგუფებს ან სერიებს უწოდებს. ამასთანავე, ჯგუფის თითოეულ წევრს საარსებო მინიმუმი გარანტირებული უნდა ჰქონდეს და თავად სამუშაო კი მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ იძულებით ხასიათს. თვითონ ფალანგები უნდა დანაწილებულიყო მთელ ქვეყანაში, ლამაზ ლანდშაფტებიან[2] ადგილებში.

ამ გზით ფურიეს ცალკეულ ადგილებზე ადამიანთა კონცენტრაციის თავიდან აცილება და ქალაქური დასახლებების დაშლა სურდა. ფალანგებს უნდა ეწარმოებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ინდუსტრიული სამუშაოები კი აქ საჭირო მინიმუმამდე უნდა შეზღუდულიყო (რადგან ფურიეს ინდუსტრიალიზაციის მიმართ სრულიად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა).

ფურიეს აზრით, ფალანსტერების[3] მშენებლობის შედეგად ვაჭრობა და კონკურენციის უარყოფითი მხარეები გამოირიცხება ისე, რომ კონკურენციის დადებითი ეფექტები შენარჩუნდება, რადგან კერძო საკუთრება არ მოიშლება და შრომითი პროდუქტი შრომისუნარიანობის შესაბამისად განაწილდება. მისი შეხედულებით, ფალანგების ორგანიზაციული ფორმა, კოოპერაციის ნებისმიერ წევრს შრომის უფლებით უზრუნველყოფს.

ფურიეს იდეებმა პოპულარიზაცია ჰპოვა მისი მოწაფის ვიქტორ პროსფერ **კონსიდერანტის** (Considerant, 1808-1893) ნაშრომში „სოციალური დოქტრინები" (1894), მაგრამ მან იგივე ხანგრძლივი ეფექტი ვერ მოახდინა, როგორც სენ-სიმონისტების მოძღვრებამ. თუმცა კი ის აზრი, რომ სოციალიზმი კოოპერაციების შექმნით განეხორციელებინათ, ფურიეს შემდეგაც პოულობდა მიმდევრებს.

ფურიე მიზნად არ ისახავდა „ჰარმონიის" რევოლუციის დახმარებით მიღწევას, მისი ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, იგი საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასვლას აუცილებლობით ხსნიდა. იგი არავის აძლევდა უფლებას შეეკვეცა დროის ეს მონაკვეთი, რომელიც ჯერ არ იყო დასრულებული. ფურიე ჯერ მომავალი საზოგადოების აღწერით კმაყოფილდებოდა, შემდეგ კი მოუთმენლად ელოდა მეცნიატს, რომელსაც პირველი „ფალანსტერი" უნდა დაეფასებინა. მისი სიცოცხლის პერიოდში მან, რასაკვირველია, ასეთი მეცნიატი ვერ იპოვა, მაგრამ ფურიეს გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომლებიც ისეთი ერთობების შექმნას ცდილობდნენ, როდესაც თავად ფურიეს ესახებოდა მიზნად. ამავე დროს ისინი დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ამგვარი ერთობების წარმატების შემთხვევაში სხვა მიმბაძველებიც გამოჩნდებოდნენ და ბოლოს, შესაძლებელი გახდებოდა სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაც.

4.2. რობერტ ოუენი (1771-1858)

4.2.1. ცხოვრება და მოღვაწეობა

ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი, რეფორმატორი და სოციალური თეორეტიკოსი რობერტ ოუენი (Owen) დაიბადა ნიუთაუნში (მონთგომირშიარი, უელსი). მამამისი იყო მცირე ბიზნესმენი და ადგილობრივი საფოსტო განყოფილების უფროსი. მისმა ვაჟიშვილმა სკოლა ცხრა წლის ასაკში მიატოვა, თუმცა განათლება წიგნებთან დამოუკიდებელი მუშაობით გაიღრმავა.

---

1 **ფალანგა** (ბერძნ. phalangos) – ფურიეს სისტემაში: მშრომელთა თემი – კოლექტიური მეურნეობა.

2 **ლანდშაფტი** (გერმ. Landschaft) – დედამიწის ზედაპირის ნაწილი, რომელიც გამოირჩევა რელიეფის, ჰაეის, ნიადაგის, მცენარეულობის, ცხოველებისა და სხვ. გარკვეული შეხამებით.

3 **ფალანსტერი** (ფრანგ. phalanstère, ბერძნ.) – ფურიეს მიხედვით, თემის კოლექტიური დასახლება.

დასაწყისში მან ახლომდებარე კომერციული ბიზნესი შეისწავლა. შემდეგ (რამდენიმე წელი) ქსოვილების მაღაზიაში მუშაობდა. მანჩესტერში გადასვლის შემდეგ იგი ბამბის სართავ საქმიანობაში ჩაება და ძალიან სწრაფად დაწინაურდა. 19 წლის ასაკში ის ამ საქმის უბადლო მცოდნე გახდა და მამისგან ნასესხები მცირე კაპიტალის ბრუნვით სულ მალე სამსახურში ხუთასი ადამიანი დაასაქმა. მან პირველმა გამოიყენა ამერიკის კუნძულოვანი ზღვის ბამბა ინგლისურ ფაბრიკაში. პოტენციური შესაძლებლობებითა და ვაჭრობის ცოდნით დაჯილდოებული ოუენი ბამბის რთვის არაჩვეულებრივ ექსპერტად ითვლებოდა.

ოუენის ძირითადი ნაშრომებია[1]: **„ადამიანის ხასიათის შექმნის შესახებ"** (1813), **„შენიშვნები სამრეწველო სისტემის გავლენის შესახებ"** (1815), **„მოხსენება ლანარკის საგრაფოს"** (1820), **„საზოგადოების რაციონალური სისტემის გადმოცემა"** (1830).

ოუენმა გააკრიტიკა კაპიტალიტური წინააღმდეგობები წარმოების ზრდასა და მოხმარების შემცირებას შორის, რაც სიღარიბისა და ეკონომიკური კრიზისების მიზეზად დაასახელა. ამასთან, მათი აღმოფხვრა შესაძლებლად ჩათვალა შრომის სოციალისტური ორგანიზაციის შედეგად. გაიზიარა რიკარდოს შრომითი ღირებულების თეორია.

მისი აზრით, მომავალი საზოგადოების ძირითადი უჯრედი „კოოპერაციული თემები" უნდა გამხდარიყო. მაგრამ მის მიერ აშშ-ში და ინგლისში შექმნილი კოოპერატივები ზოგი დაიშალა, ზოგი კი მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებად გარდაიქმნა.

რობერტ ოუენი წარმოადგენდა ინგლისში მე-19 საუკუნის I ნახევარში სოციალისტური თეორიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეს. მას დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა პოპულარობა და ზეგავლენა. ამიტომაც კარლ მარქსის თეორიამ ბრიტანეთის მუშათა მოძრაობაში ძნელად ჰპოვა გასაქანი. ოუენს არ შეუქმნია საზოგადოებრივი განვითარების რაიმე ზოგადი თეორია. მისი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა საზოგადოების კულტურული განვითარების საფეხურები. მას თითოეული ადამიანის „ხასიათის" გამოსწორება სურდა. ამ მიზნით იგი აგრძელებდა მე-18 საუკუნის უტილიტარული რეფორმების მიმდევართა ტრადიციებს, რომელთა თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ინგლისელი უილიამ გოდვინი (1756-1836, Godwin). იგი მიზნად ისახავდა სიღარიბის აღმოფხვრას და მუშა-მოსამსახურეთა სულიერ და ზნეობრივ განვითარება-სრულყოფას. როგორც ჩანს, იგი პირველი იყო, რომელმაც შექმნა პროგრამა ეკონომიკური ტენდენციების სწრაფი და ძირეული შეცვლის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ მას **არ სურდა საზოგადოების ძალისმიერი გარდაქმნა.** პირიქით – მას მიაჩნდა, რომ ადამიანები, რომლებიც კეთილდღეობაში ცხოვრობდნენ, თვითონ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი ღარიბი ფენების ცხოვრების დონის ამაღლებაში. ოუენი მჭიდროდ უკავშირებდა ერთმანეთს ზნეობრივ რეფორმასა და ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის პროცესს. მისი მთავარი ნაშრომების სათაურებიც ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ.

ოუენს ზნეობის ცნების თავისებური გაგება გააჩნდა, რომელიც რელიგიასთან მის კავშირს უარყოფდა. მან ეჭვქვეშ დააყენა ადამიანის მიერ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების სურვილი. მისი აზრით, მხოლოდ ცალკეულ პირებს გააჩნიათ შეუფერხებელი წინსვლის უნარი, რაც საბოლოოდ მთელ საზოგადოებას სრულყოფილ ჰარმონიამდე მიიყვანდა.

ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ოუენი საჭიროდ თვლიდა ზნეობრივი ქმედითი პოლიტიკის გატარებას, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს იმ პრინციპით, რომ ადამიანთა ინტერესებს ემსახურებოდეს, ამავე დროს ადამიანთა საქმიანობის სფეროს და მათ ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებდეს.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ოუენი ცდილობდა ეპასუხა კლასიკოს-ეკონომისტებისათვის. იგი უფრო პრაქტიკოსი იყო, ვიდრე თეორეტიკოსი. ჯერ კიდევ 30 წლისაც არ იყო, როდესაც გახდა ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი საფეიქრო საწარმოს მფლობელი და ცოლად მოიყვანა ნიუ-იორკის ერთ-ერთი ცნობილი მეწარმის ქალიშვილი. მის საწარმოში ათასობით ადამიანი დასაქმდა. ჩაიგდო რა ხელში საჭირო ძალაუფლება, ოუენმა დაიწყო ბრძოლა ახალი ცხოვრებისეული რეფორმების გასატარებლად და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

---

1 Owen R.: The life of R.Owen wtitten by himself, v.1, pt 1-2, L., 1857-1858 - Избр. соч. т.1-2, М.-Л., 1950.

4.2.2. კოოპერაციების შესახებ

ასოციაციის იდეის მნიშვნელოვანი მიმდევარი რობერტ ოუენი ცდილობდა კოოპერაციების გზით სოციალიზმის მიღწევას. მისი შეხედულებით, ადამიანმა თავისი ურთიერთობებით შუძლია კეთილდღეობას მიაღწიოს, მაგრამ მისი უბედურება მხოლოდ მისი უვიცობისა და უცოდინრობის შედეგი იქნება. თუკი ადამიანს ხელსაყრელი გარემო-პირობები შეექმნება, იგი საზოგადოების მაღალი ზნეობის მქონე პიროვნება შეიძლება გახდეს. კოოპერაციებიდან წარმოშობილი სრულიად ახალი სოციალისტური სული მთელ საზოგადოებას მოიცავს.

ოუენის აზრით, გარემო-პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ აღმოიფხვრება ისეთი მოგება, რაც მშრომელების მიერ თავიანთი შრომის პროდუქტის გამოსყიდვას აბრკოლებს, რასაც მშრომელთა მოხმარების დონის მუდმივად ჩამორჩენა მოჰყვება. მოგება სიჭარბისაგან წარმოიქმნება, რადგან პროდუქტის ფასი მისი წარმოების ღირებულების მიხედვით დგინდებაო: თუ მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, მაშინ მოგება გამოირიცხება, რაც მხოლოდ ეკონომიკის სოციალისტურ ორგანიზაციაში შეიძლება იყოს მიღწეული. მოგება ასევე ყოველთვის ფულად ფორმაში გვხვდება. ამიტომ ოუენმა წამოაყენა მოთხოვნა - ფული შეეცვალათ „შრომითი ფულით“, რადგან შრომაა ღირებულების საფუძველი და აქედან გამომდინარე, იგი ღირებულების საზომს წარმოადგენს.

ოუენმა, როგორც მეწარმემ და პრაქტიკული ქმედების ადამიანმა, თავის ფაბრიკაში ნიუ-ლანარკში მშრომელთა სანიმუშო საქველმოქმედო დაწესებულებები შექმნა და, ამასთანავე, რიგი სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებები გაატარა.

მისი ბიზნესი აყვავდა და ოცი წლის ასაკში ის და თავისი პარტნიორები მრავალდარგოვან ფაბრიკებს ამუშავებდნენ „ჩარლტონ თვისთ კომპანის“ სახელით. ოცდაათ წლამდე ასაკში მან მისი ფირმის სახელით ნიუ-ლანარკის (შოტლანდია) ფაბრიკები შეისყიდა (კლაიდის ჩანჩქერთან ახლოს). 1800-1824 წწ. ოუენი ნიუ-ლანარკში ამ მსხვილი საფეიქრო ფაბრიკების მმართველი და თანამესაკუთრეა. სწორედ ამ ფაბრიკებში 2000 ადამიანი დასაქმდა და წარმოებაში ახალი ტექნიკური სიახლეები დაინერგა, აშენდა მუშათა საცხოვრებელი სახლები, მოეწყო ბავშვთა ბაგა-ბაღები, სკოლა (სწავლის ხარჯებს საწარმო ფარავდა), გაიხსნა მუშებისათვის სასადილოები და სხვ.

მიუხედავად ოუენის ინოვაციიური ხარჯებისა, კომერციული საქმიანობა წარმატებით განვითარდა. მაგრამ ნიუ-ლანარკის პოპულარობა, როგორც საზოგადოების ნიმუში, კიდევ უფრო ღირსშესანიშნავი იყო. ოუენმა შეუძლებელს მიაღწია.

ფაბრიკებში ოუენის მართვის მეთოდები სრულიად ეწინააღმდეგებოდა უკვე არსებულ მეთოდებს. აქ ათ წლამდე ბავშვები სამუშაოზე არ დაიშვებოდნენ და უფასო სკოლებში იგზავნებოდნენ. ხოლო იმ ბავშვებს, ვისაც სამსახურში იღებდნენ, რეგულარულად აცნობდნენ სამუშაო ინსტრუქციებს. ბავშვებისა და დიდებისათვის გასართობ პროგრამებს პროფესიონალები მართავდნენ. შეიქმნა სადაზღვევო ფონდები და 1806 წელს, როდესაც ეკონომიკურმა კრიზისმა (აშშ-ს მიერ ბამბაზე ემბარგოს გამოცხადების გამო) ფაბრიკები ოთხი თვით დახურა, მუშებს სრული ხელფასი ეძლეოდათ. სამომხმარებლო საქონელი დაბალი ფასებით იყიდებოდა, აღიკვეთა ქურდობა. ნამდვილი ბედნიერება სუფევდა ნიუ-ლანარკში. თუმცა, მისი ამგვარი მოქმედების მართებულებაში ოუენმა ვერ დაარწმუნა მისი პარტნიორები, რის გამოც ფირმა პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

განვლილმა წლებმა ოუენი დაარწმუნა, რომ გარემოს ადამიანთა უკეთესობისაკენ შეცვლა შეუძლია. მისი რწმენით, მხოლოდ კანონმდებლობა სოციალურ პროგრესს ვერ შექმნიდა. მისი გეგმა ითვალისწინებდა ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნას სოციალური და ეკონომიკური პროგრესის გზით. იდეალური და არამოგებიანი ორგანიზაციისაკენ მისწრაფებისას, პარტნიორებს დაჟინებით თხოვდა, რომ მათ ფული მოგებიან საქმეში დაებანდებინათ და დაკმაყოფილებულიყვნენ მცირე მოგებით. ბევრმა მოაზროვნემ ოუენის ინიციატივები გაიზიარა.

1817 წლიდან მოყოლებული ოუენი მიზნად ისახავდა მთელი საზოგადოების გარდაქმნას. იგი ცდილობდა გაებათილებინა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი შეუსაბამობები წარმოების ხარჯებსა და საქონლის გასაყიდ ფასებს შორის. მისი აზრით, დაუშვებელია მთელი ეკონომიკური სტრუქტურების ძირეული შეცვლა და წარმოების ორგანიზაცია მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრების შემოღებით. მისი კონცეფცია სცდება კერძო სა-

კუთრების გაუქმების ფარგლებს, რასაც იგი ეგოიზმის მიზეზად თვლის. ხოლო იმისათვის, რომ გარდამაჟალ პერიოდში ადამიანებმა შეიძინონ ერთობლივი აზროვნების უნარი, მისი აზრით, გარკვეული დროა საჭირო. თავდაპირველად უმუშევრები უნდა დასაქმებინათ კოოპერაციულ გაერთიანებებში, რომლებიც 1200 კაცს ითვლიდა. ისინი ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაში, ნაწილობრივ კი მრეწველობაში იქნებოდნენ დასაქმებული.

ოუენს ინგლისში არ გამოუჩნდა თანამოაზრენი, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მას ამ იდეების განხორციელებაში. ამიტომ ოუენმა 1825 წელს „ახალი ჰარმონიის" („New Harmony") სახელწოდებით აშშ-ში (ინდიანაში) დაარსა 800 კაციანი კოოპერატივი, რომელიც სოციალისტური კოლექტიური დასახლება „ახალი ჰარმონიის" დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე იყო მოწყობილი. იგი ოუენის ევროპაში დაბრუნების შემდეგ დაიშალა იქ წამოჭრილი სხვადასხვაგვარი კონფლიქტის გამო.

ამ მარცხის შემდეგ ოუენმა გადაწყვიტა სხვაგვარად მიდგომოდა თავისი იდეების ხორცშესხმის საქმეს. მან მიმართა კაპიტალისტურ საწარმოებში დასაქმებულ მუშახელს და შესთავაზა მათ, შექმნათ სამომხმარებლო კოოპერატივები. ამ კოოპერატივების თავისებურება იყო ის, რომ მოგებას იყოფდნენ არა კოოპერატივის წევრები, არამედ იგი ინახებოდა კაპიტალის სახით, რომელსაც ოუენი შემდგომში გამოიყენებდა სრულფასოვანი ამხანაგობის დაფინანსების მიზნით. ოუენის მიერ წამოწყებულ ამ საქმიანობას თავდაპირველად დიდი წარმატება ხვდა წილად. 1832 წელს მას 700 ამხანაგობა შეუერთდა. მაგრამ იმის გამო, რომ ძირითადი მასები არ იზიარებდნენ ოუენის აზრს (გააჩნდათ მხოლოდ პირადი დაინტერესება), მარცხმაც მალე იჩინა თავი.

შემდგომში ამ დაუღალავმა ფილანთროპმა (ქველმოქმედმა) სხვა ხერხს მიმართა. მისი ღრმა რწმენით, მხოლოდ ფული იყო იმის მიზეზი, რომ კრიზისის პერიოდში მუშები შიმშილობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ საქონელი უხვად იყო. ამიტომ 1832 წელს ოუენმა გადაწყვიტა ფული სამუშაო ბონებით შეეცვალათ, რომლებიც მათ მიეცემოდათ მათ მიერ გაწეული სამუშაოს მიხედვით. თავდაპირველად ლონდონში (1832), შემდეგ კი სხვა ქალაქებში ოუენმა მაღაზიები გახსნა, რომლებიც საქონელს ბონებზე ყიდდნენ. მაგრამ ამ ექსპერიმენტმაც კრახი განიცადა, ვინაიდან იგი საქონლის ღირებულების დადგენისას წინააღმდეგობას წააწყდა.

ოუენი, რომელიც არასოდეს კარგავდა იმედს, ცხოვრების უკანასკნელ დღეებამდე ახალ-ახალ პროექტებს ქმნიდა. 1835 წელს მან დააარსა ე.წ. „ყველა კლასისა და ერების ამხანაგობა". 1840 წლიდან 1844 წლამდე გაგრძელდა ამგვარი კოოპერატივების შექმნის მცდელობა. გარდა ამისა, ოუენი იყო ბრიტანული პროფკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი. კოოპერაციის დარგში ოუენის მცდელობის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენდა ამხანაგობა „როხდალი სამართლიანი პიონერების" დაარსება. შეიძლება ითქვას, რომ ამ „ამხანაგობამ" საფუძველი ჩაუყარა ინგლისში კოლექტიური მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

1844 წელს როხდალში გაერთიანდა 28 ფეიქარი, რომლებმაც გული აიცრუეს ჩარტისტულ მოძრაობაზე და რომელთა გაფიცვაც მარცხით დამთავრდა. ამ ფეიქრებმაკოოპერატიულ ბაზაზე შექმნეს საწარმო, რომელიც სამომხმარებლო საქონლის შესყიდვას აწარმოებდა. შემდგომში მათ განზრახული ჰქონდათ მანუფაქტურის შექმნა და მიწის ყიდვა, რათა დაეარსებინათ კოლონია ოუენის მოდელის მიხედვით. რასაკვირველია, ეს იდეაც განუხორციელებელი დარჩა. მათ დაწესეს, რომ მოგება უნდა განაწილებულიყო თითოეულ წევრზე, მათ მიერ გაწეული შრომის მიხედვით. შემდგომში კი ეს წესი კაპიტალისტური სამყაროს ყველა სამომხმარებლო კოოპერატივზე გავრცელდა. საკმაოდ მოკლე ხანში შეიქმნა ახალი კოოპერატივები. 1851 წელს ინგლისსა და შოტლანდიაში უკვე 130 კოოპერატივი არსებობდა. წარმოების სფეროში კი ვერ მოხერხდა სიცოცხლისუნარიანი საწარმოების შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობის თავდაპირველი მიზანი სწორედ ეს იყო.

4.3. ლუი ბლანის (1811-1882) მწარმოებლური კოოპერაციები

ფალანგების შესახებ ფურიეს პროექტზე უფრო რეალისტური, გასაგები და ერთმნიშვნელოვანი იყო ის გეგმა, რომლითაც ლ.ბლანს (Blanc) კოოპერაციულ საფუძვლებზე საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნა სურდა.

ლ.ბლანი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი, 1848 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ მცირე ხნით ოყო დროებითი მთავრობის წევრი, მალე დიდბრიტანეთში გადასახლდა, სადაც 1870 წლამდე იცხოვრა. 1871 წელს საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატად აირჩიეს.

ბლანი კონკურენციის აღმოფხვრის ეფექტიან საშუალებას კოოპერაციების დაარსებაში ხედავდა. მისი აზრით, კოოპერატივები გამორიცხავდა მშრომელთა ბოროტად გამოყენებას.

ფურიესაგან განსხვავებით, ბლანი მხოლოდ მწარმოებლურ კოოპერაციებს ითვალისწინებს და მათ განვითარებას სახელმწიფო კრედიტების ხარჯზე მოითხოვს. მისი აზრით, ამგვარი ამოცანის შესრულებას სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი მას მუშათა კლასი მართავს. ამიტომაც ბლანი ისეთი ზოგადი საარჩევნო უფლების შემოტანის მომხრეა, რომელიც პროლეტარიატს პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლების საშუალებას მისცემს.

მუშათა სახელმწიფომ, როგორც ამას ბლანი წარმოადგენს თავის სტატიების კრებულში „შრომის ორგანიზაცია“ (პარიზი, 1839)[1], საკუთარ ხელში უნდა აიღოს მწარმოებელი კოოპერაციების დაარსება. სახელმწიფომ არსებული სახელოსნოები და სასოფლო ქონება უნდა შეისყიდოს, ისინი მუშათა კლასს მართვაში გადასცეს და პროდუქტის წარმოება კრედიტებით უზრუნველყოს. ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები ნაწილობრივ სესხებით, ნაწილობრივ კი – ნაციონალიზებული რკინიგზის, სამთო მრეწველობის, სადაზღვევო დაწესებულებების, სახელმწიფო ბანკის რეზერვებით შეიძლება შეივსოს; სოციალისტური საწარმოების ორგანიზება ერთიანი გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს, სადაც სახელმწიფო წარმოების საშუალებათა მფლობელად რჩება.

მოხმარების საგნებზე საკუთრებას ბლანი ხელშეუხებელს ტოვებს, ისე, რომ ნებისმიერ მშრომელს თავისი შემოსავლით ნებისმიერი რაოდენობის მოხმარების საგნების შეძენა შეუძლია. შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით ბლანმა ხელფასის გათანაბრების პრინციპი ამჯობინა, მაგრამ გარდამავალი სტადიისათვის ხელფასები იერარქიის და ფუნქციების მიხედვით უნდა დადგინდესო.

ბლანის იდეა კოოპერატიული სოციალიზმის შესახებ ორიგინალურობით არ გამოირჩევა. ეჭვგარეშეა, რომ მან თავისი შეხედულებებით ზემოქმედება მოახდინა ფ.ლასალზე, რადგან ამ ორ მოაზროვნეში მნიშვნელოვანი თანხვედრები გვხვდება.

თეორიული თვალსაზრისით, ბლანმა ჩამოაყალიბა კანონი ინდუსტრიული საწარმოების მზარდი კონცენტრაციის შესახებ და, ამასთანავე, წარმოადგინა სახელმწიფო სოციალიზმის დოქტრინა. იგი დიდი დამაჯერებლობით მოითხოვდა სახელმწიფოში ყოველი მოქალაქის შრომის უფლების დაცვას.

4.4. დასკვნითი მიმოხილვა

ფურიე, ბლანი და ოუენი მიზნად არ ისახავდნენ ისეთი ახლებური ტიპის საზოგადოების შექმნას, რომელიც სამართლიანობის განმტკიცებისათვის მუდმივ ჭიდილში იქნებოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფო სხვა არ უნდა ყოფილიყო, თუ არა ერთმანეთის გვერდიდგერდ არსებული თვითმართველი კოოპერატული გაერთიანებანი. აქედან გამომდინარე, რადიკალურად გადაიჭრა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ყოფილიყო დაცული თითოეული ადამიანის უფლებები სოციალურ საზოგადოებაში. შრომითი და საყოფაცხოვრებო კომუნების ყოველ წევრს თანაბარი უფლებები ჰქონდა. ყოველი მათგანი ერთნაირად მონაწილეობდა კომუნის საქმიანობაში. ამრიგად, მისი ყოველი წევრი თავისუფალი იყო და ყველგან სამართლიანობა სუფევდა.

ადვილად მისახვედრია, თუ რატომ მიიქცია სოციალიზმის ასეთმა ახლებურმა გაგებამ ბევრი ადამიანის ყურადღება. ამასთან ერთად, ამგვარი გაგება ეფუძნება იმ მრავალმხრივ კავშირებს და ურთიერთობებს, რომლებიც არსებობს თვით სახელმწიფოში მის წევრებს შორის, გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა შორის სავაჭრო კავშირები მყარდება ერთმანეთისგან ტერიტორიულად მეტად დაცილებულ პირებს შორის. ერთ საწარმოს, მაგალითად, კავშირი აქვს მრავალ სხვადასხვა საწარმოსთან, რომლებიც მისგან შორს არის. ბაზარი, სადაც ამა თუ იმ პროდუქტის გასაღება ხდება, საკმაოდ დიდია. ამიტომ სხვადასხვა საკითხები უნდა გადაიჭრას ან ურთიერთკონკურენციის შედეგად, ან კი ურთიერთშეთანხმებული დაგეგმვის საფუძველზე.

1 იხ.: Луи Поль, Французские утописты Л. Блан..., М., 1923.

ფურიეს, ბლანის და ოუენის „ამხანაგურმა" (კოოპერაციულმა) სოციალიზმმა და, „ერბოდ, საქონლის ბონებზე გაცვლის პრინციპმა პრაქტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა. ფულის ერთეულის გაუქმება ვერ მოხსნიდა იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო შრომის დანაწილებასთან. პირიქით, მან ისინი კიდევ უფრო გაართულა და, შეიძლება ითქვას, შეაფერხა კიდეც მათი გადაჭრა.

პრინციპული სიძნელეები, რომლებიც დამახასიათებელია ამგვარი სოციალიზმისათვის, უყურადღებოდ არ უნდა იქნეს დატოვებული. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ იდეის ფუძემდებელნი მიისწრაფოდნენ იმ იდეალის აღსრულებისკენ, რომელიც გარკვეულწილად ახლაც აქტუალურია, კერძოდ კი — თვითმმართველი საწარმოების შექმნა. რასაკვირველია, შეუძლებელია სოციალიზმი დაგეგმვის გარეშე, მაგრამ, ამავე დროს, აუცილებელია, რომ თითოეული მეწარმე თვითონ მართავდეს თავის საწარმოს, რათა ხელი შეუწყოს მუშა-მოსამსახურეთა ემანსიპაციას (ვინმეზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას).

5. „სოციალისტ-რიკარდოელები". გედმეტი ღირებულების დოქტრინის წარმოშობა

სისმონდის „ახალი პრინციპების" (1803) და დ.რიკარდოს „საფუძვლების" (1817) გამოქვეყნების შემდეგ კაპიტალისტური სისტემის კრიტიკამ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა. არსებული სისტემის უსამართლობის დასაბუთების მიზნით, კრიტიკოსები ეყრდნობოდნენ იმ შეხედულებას, რომ მუშა ყოველთვის უფრო ნაკლებ გასამრჯელოს იღებს, ვიდრე მის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებაა.

5.1. უილიამ თომპსონი (1785-1833)

ირლანდიელი სოციალ-უტოპისტი, ოუენის მოწაფე უ.თომპსონი (Thompson) ცდილობდა თეორიული თვალსაზრისით გასაგები გაეხადა მისი მასწავლებლის შეხედულებები და შეექმნა დოქტრინა ზედმეტი ღირებულების შესახებ. იგი თავის ნაშრომებში[1] თანამიმდევრულად იცავდა მუშათა კლასის ინტერესებს და ღირებულების ერთადერთ წყაროდ შრომას ასახელებდა. აქედან გამომდინარე, მშრომელს ეკუთვნის მის მიერ წარმოებული პროდუქტიდან მიღებული მთელი შემოსავალი; თუ იგი სინამდვილეში მხოლოდ ისეთ ანაზღაურებას იღებს, რომელიც საკმარისია მხოლოდ მისი საარსებო მინიმუმის დასაფარად, მაშინ ასეთი დაბალი ხელფასის მიხედვით დადგენილი ზედმეტი ღირებულება (რომელსაც კაპიტალისტი ითვისებს) არის მშრომელის კუთვნილი პროდუქტიდან გამონაქვითი.

თომპსონი ამასთანავე აღნიშნავს, რომ ეს ზედმეტი ღირებულება მით უფრო დასაძრახია, რადგან ერთი კაპიტალისტისათვის ის 1000 შილინგი (რომელსაც იგი მოგების სახით იღებს 1000 მუშის შრომიდან), უარყოფის შემთხვევაში ცხოვრებისეული კეთილდღეობის უფრო ნაკლები დანაკარგია, ვიდრე თითოეული მშრომელისათვის ხელფასიდან ერთი შილინგის გამოქვითვა.

ამ მხრივ, სოციალისტ-რიკარდოელების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უილიამ თომპსონის ნაშრომი "გამოკვლევა სიმდიდრის განაწილების ისეთი პრინციპების შესახებ, რომლებიც ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს ადამიანთა ბედნიერებას" (1824).

მის თანამოაზრეთა მსგავსად, თომპსონსაც მიაჩნდა, რომ მიწათმფლობელები მიწის რენტის სახით, მრეწველები კი ზედმეტი ღირებულების სახით დიდ მოგებას იღებენ. მისი აზრით, კაპიტალისტების მიერ მიღებული ზედმეტი შემოსავალი — მოგება ღარიბებს უნდა გადაუნაწილდეთ, რომლებიც ამ თანხებით უფრო აუცილებელ და საჭირო მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ, ვიდრე

1 **Thompson** W.: An inquiry into the principles of the distribution of wealth most conductive to human happiness, L., 1824; Labor rewarded, L., 1927; Practical directions for the speedy and economical establisment of communities, L., 1830.

მდიდრები. მისი შეხედულებით, ამას პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა მოჰყებოდა, ვინაიდან მეწარმეებს თავიანთი პროდუქციის გასაღების უფრო ფართო და სტაბილური შესაძლებლობები გაუჩნდებოდათ. იგი ყოველგვარ ძალდატანებას ეწინააღმდეგებოდა. მას მიაჩნდა, რომ გარდამავალ პერიოდში საჭირო იყო კაპიტალიდან მცირე მოგების შენარჩუნება.

1827 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „**შრომის ანაზღაურება**“, რომელშიც იგი ოუენის იდეების მომხრედ წარმოგვიდგა. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა შრომასა და კაპიტალს შორის ეკვივალენტურ, სამართლიან გაცვლას, კოოპერაციული თემების მოწყობას (ოუენის იდეა), სადაც მშრომელები თავიანთი შრომის სრულ ანაზღაურებას მიიღებდნენ და სხვ.

ჯ.ბენთამის დოქტრინის მიხედვით, ყველა დამატებითი მოგება, რომელიც კაპიტალისტს ერგება, ცხოვრებისეული კეთილდღეობის მხოლოდ მცირე ზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თომპსონის აზრით, ზედმეტი ღირებულების არსებობა ისეთი ორგანიზაციული სისტემის შექმნას მოითხოვს, სადაც კაპიტალისტის მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება შეუძლებელი იქნება, ხოლო მშრომელებს კი მათი შრომის სრული შემოსავალი გარანტირებული ექნებათ; ამისათვის კი შესაფერისია ის კოოპერატივები, რომლებსაც ოუენი უწევდა პროპაგანდას.

5.2. თომას ჰოდსკინი (1787-1869), ჯონ გრეი (1798-1850), ჯონ ბრეი (1809-1895)

ზედმეტი ღირებულების დოქტრინის შესახებ მსგავს მოსაზრებებს ვხვდებით ჰოდსკინთან, ბრეისთან და გრეისთან: ყველა ეს თეორეტიკოსი კაპიტალის მოგებაში ხედავს წარმოების იმ შემოსავლიდან გამონაქვითს, რომელიც მშრომელებს ეკუთვნით და რომელსაც ისინი კანონიერ ძარცვას უწოდებენ.

ინგლისელი ეკონომისტის, სოციალ-უტოპისტის თომას **ჰოდსკინის** (Hodskin) მთავარი ნაშრომებია[1]: „შრომის დაცვა კაპიტალის შეზღუდვისაგან“ (1825, რუს. თარგმ., 1838), „პოპულარული პოლიტიკური ეკონომია“ (1827, რუს. თარგმ., 1838).

ამ ნაშრომებში მან გააკრიტიკა მიწათმფლობელები და კაპიტალისტები, რომელთაც მხოლოდ საკუთარი მოგება აინტერესებთ და არავითარი სარგებელი საზოგადოებისათვის არ მოაქვთ; ისინი მხოლოდ მუშის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებას ითვისებენ. მიუხედავად ამისა, იგი ეწინააღმდეგებოდა არა კერძო საკუთრებას, არამედ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. მისი აზრით, მხოლოდ პროფკავშირულ გაერთიანებებს უნდა გადაეწყვიტათ მუშათა ექსპლოატაციის აღმოფხვრის საკითხი.

საბოლოო ანგარიშით, ჰოდსკინი ამტკიცებდა, რომ ღირებულების (მოგების) ერთადერთი წყაროა შრომა; კაპიტალი თვითონ არაა მწარმოებელი ძალა; თითოეულ მწარმოებელს ეკუთვნის შრომის სრული პროდუქტი; პროლეტარიატმა მისი ინტერესები მშვიდობიანი ბრძოლის ფორმებით უნდა დაიცვასო.

ჯონ გრეი (Gray) ინგლისური სოციალიზმის ადრეული წარმომადგენელი, სოციალისტ-უტოპისტ რ.ოუენის მიმდევარია. მთავარი ნაშრომია „**სოციალური სისტემა. ტრაქტატი გაცვლის პრინციპების შესახებ**“ (1831, The social system, 1831). მან თავის სოციალურ-უტოპისტური იდეები განავითარა ნაშრომებში[2]. კერძოდ, ამ ნაშრომში „ლექციები ადამიანური ბედნიერების შესახებ“ (1825) მიუთითა, რომ მშრომელები თავიანთი შრომის ღირებულების მხოლოდ მცირე ნაწილს იღებენ, დანარჩენს კი სხვები ითვისებენ. ასევე რატომღაც ჩათვალა, რომ თავისუფალი კონკურენცია თითქოს საზოგადოებას აზიანებს.

ამასთან, გრეიმ „სოციალურ სისტემაში“ საზოგადოების ორგანიზაციის თავისებური გეგმა შემოგვთავაზა, რომელიც ითვალისწინებდა: სოციალური პრობლემების გაცვლის განზოგადებით გადაწყვეტას, მსხვილი საკუთრების გაუქმებას და მცირე მეწარმეობაში კერძო საკუთრების შენარჩუნებას, გასაღების სფეროში კოოპერაციების შექმნას, ფულადი სისტემის მართვას („ფიფი

1 **Hodskin** T.: Popular political economy, L., 1827; Сочинения, ინგლ. თარგმ., M.,1938.

2 **Грей Дж.**, Сочинения, ინგლ. თარგმ., M., 1955.

კრედიტების“ გაცემას) და მ.შ. „შრომითი ფულის“ შემოღებას. ასეთი ფული მიეცემოდა პროდუქტის ჩამბარებელ-მწარმოებელს (დახარჯული შრომის შესაბამისად), რომელსაც მიღებული „ფულით“ სხვა სახის პროდუქტის შეძენა შეეძლო. ასეთ შემთხვევაში მშრომელები სრულად მიიღებენო მათ მიერ შექმნილ პროდუქტს.

ჯონ ფრანსის ბრეი (Bray) ინგლისელი სოციალ-უტოპისტი, დაიბადა ვაშინგტონში ინგლისელი ემიგრანტის ოჯახში. 1822 წელს დაბრუნდა ინგლისში. 30-იან წლებში მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში, ახლობლობდა ჩარტისტებთან.

ჯ.ბრეი მთავარ ნაშრომში „შრომისადმი უსამართლო დამოკიდებულება და მისი აღმოფხვრის საშუალებები“ (1839)[1] რიკარდოს მსგავსად ამტკიცებდა, რომ სიმდიდრის ერთადერთი წყაროა შრომა, მუშებს ეკუთვნით თავიანთი შექმნილი პროდუქტი, მეწარმეთა მოგება კი მუშათა ექსპლუატაციის შედეგია.

იგი ყურადღებას ამახვილებდა საზოგადოების ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებზე, რომლებიც საბოლოოდ კერძო საკუთრების გაუქმებას ითვალისწინებდა.

ბრეის აზრით, კომუნიზმზე სრულად გადასვლამდე საჭირო იყო ე.წ. „მოსამზადებელი, სოციალური, გარდამავალი სტადია“. ამ დროს უნდა ყოფილიყო როგორც კერძო საკუთრება, ასევე საერთო-სახალხო საკუთრება.

მუშათა ექსპლუატაციის აღმოსაფხვრელ საშუალებად იგი მიიჩნევდა აქციონერული საზოგადოებების ჩამოყალიბებას, სადაც გამოშვებული აქციებით უნდა შეისყიდონ წარმოების საშუალებები და გამოშვებული პროდუქტი კი გაიყიდოს „სამართლიანი გაცვლის ბაზარზე“ დახარჯული შრომის რაოდენობის შესაბამისად. შედეგად, მუშები მიიღებენ თავიანთი შრომის სრულ ეკვივალენტს, წარმოებრივი საშუალებები კი საერთო მფლობელობაში აღმოჩნდება.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მარქსმაც ამ ლიტერატურიდან გარკვეული იმპულსები მიიღო და ეს ლიტერატურა მისთვის კარგად ნაცნობი იყო; ეს კარგად ჩანს მისივე „კაპიტალის“ ციტატებში.

6. სიმონდ დე სისმონდის (1773-1842) სოციალურ-რეფორმატორული იდეები

6.1. ზოგადი ფონი

ეკონომიკაში განხორციელებულმა სწრაფმა ცვლილებებმა არასწორი რეგულირება და გაჭიანურებული პრობლემები წარმოშვა. მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე ნაპოლეონისეულმა ომებმა და სამრეწველო რევოლუციამ, ინგლისსა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეკონომიკურ გარდაქმნებზე ზეგავლენა მოახდინა. ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნა განსაკუთრებულად მძიმედ დაბალხელფასიან მუშათა კლასს დააწვა, რამაც მშრომელთა ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

„ეკონომიკური ლიბერალიზმის“ წარმოშობის შემდეგ თავისუფალი ვაჭრობა გაბატონდა, ხოლო წარმოების მართვაში და მესაკუთრესა და მუშას შორის ურთიერთობაში ჩარევა სრულიად დაუშვებელი გახდა.

მთავრობა კომერციულ საკითხებში პასიური დამკვირვებლის როლს ასრულებდა, ხოლო გაჭირვებულთა პირობების შესამსუბუქებლად სახელმწიფო ჩარევა გარკვეული დროით აკრძალული იყო. ინდივიდუალური ურთიერთობების თავისუფლება გარანტირებული იყო, თუმცა, მიუხედავად თეორიულად შეუზღუდავი თავისუფლებისა, მრეწველობაში ახალი ფენომენი წამოტივტივდა, რომელიც ყურადღებას იპყრობდა.

დროთა განმავლობაში ის პირობები, რომელთა უგულებელყოფაც შეუძლებელი იყო, სულ უფრო მძიმდებოდა და სახელმწიფოს ჩარევის მომხრეებიც ახმაურდნენ. მრეწველობაში იქმნებოდა აშკარა ჭარბწარმოებითი პროცესები, ხოლო მდიდარ ცენტრებში კი თავმოყრილი იყო მუშათა

1 Bray J.: Labour's wrongs and Labour's remedy... Leeds, 1839; რუს. თარგმ.: Несправедливости в отношении труда и средства к их уничтожению, М., 1956.

კლასის. ღარიბი ფენის, უზარმაზარი მასები. ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაო დროის ხანგრძლივობა მეტისმეტად დიდი, ხელფასები არაადეკვატური, ხოლო სამუშაო პირობები კი ძალიან მძიმე იყო. პერიოდულმა კრიზისებმა, მოზღვავებული უმუშევრობის გამო, ამბოხება და საბოტაჟები გამოიწვია. ინგლისში, განსაკუთრებით მეწარმეები, ჭარბი მარაგებით გაიკისნენ, ხოლო ბაზარი პარალიზებულ იქნა.

მასებში ფართოდ გავრცელებულმა სიღარიბემ და გაჭირვებამ, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, წინა პლანზე წამოწია რიგი წინადადება, რომელთა უმეტესობაც (მომხრეების დაჟინებული მოთხოვნით), მუშათა კლასის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, სახელმწიფოებრივ ჩარევას საჭიროებდა. კლასიკური ეკონომიკა მიეკუთვნა ქრემატისტიკის მეცნიერებას და იდეა, კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ჰარმონიის შესახებ, საეჭვო გახდა. სიღარიბე და ეკონომიკური კრიზისები, მრეწველობის არასრულყოფილ მუშაობას დაბრალდა. სიმდიდრემ, როგორც სასარგებლო მატერიალურმა დოვლათმა, კლასიკური წარმოდგენა ვერ შეინარჩუნა და იგი ხელახლა განისაზღვრა, როგორც ხალხის მიერ მიღებული სარგებელი.

საზოგადოებრივი რეფორმირებით დაინტერესებულები პოლიტიკური ეკონომიის ახლებურად განსაზღვრას მოითხოვდნენ. ამ მეცნიერების სიმდიდრის მეცნიერების როლი არ უნდა შეესრულებინა; ის ხელახლა უნდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც ეროვნული კეთილდღეობის შექმნის ხელოვნება.

რეფორმატორებს შორის იყო „ნამდვილად კრიტიკული აზრით განმსჭვალული ერთ-ერთი ადამიანი, რომელსაც ზღვა მასალა გააჩნდა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც თავისუფალმა კონკურენციამ დააზიანა". თავისი თვალსაჩინო მდგომარეობითა და უპირატესობით მან თავისი თავი ღარიბი ხალხის დამცველად წარმოაჩინა. იგი შეუპოვრად ცდილობდა მათი პირობების გაუმჯობესებას. ეს გახლდათ ჟან ჩარლზ ლეონარ სიმონდ დე **სისმონდი**.

სისმონდის ეკონომიკური დოქტრინა მალთუსის თეორიისაგან დიდად არ განსხვავდება. მუშათა კლასის გაჭირვებულ პირობებზე დაკვირვების შედეგად (რომელიც ქარხნული სისტემის განვითარებამ გამოიწვია) მან დაასკვნა, რომ პირად ინტერესსა და საზოგადოების ინტერესს შორის მნიშვნელოვან ჰარმონიას, რაღაც აკლდა. ამიტომ იგი აკრიტიკებდა „ხალხთა სიმდიდრის" ზოგიერთ დოქტრინას, ხაზს უსვამდა კეთილდღეობის პრინციპებს და ეჭვი შეჰქონდა თავისუფლებისა და თავისუფალი ვაჭრობის ნამდვილად კეთილისმყოფელ ძალებში. მან გაამდიდრა პოლიტიკური ეკონომიის არეალი საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლით. თუმცა, მას კერძო საკუთრებაზე იერიში არ მიუტანია, იგი კანონიერ და საჭირო მოვლენად განიხილა.

6.2. „ახალი პრინციპები"

ჟან ჩარლზ ლეონარ სიმონდ დე **სისმონდი** (Sismondi) იყო ქ.პიზას არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალი. ჟენევის უნივერსიტეტში სწავლისა და ლიონში გარკვეული პერიოდით მუშაობის შემდეგ იგი იტალიაში გადავიდა და თავისი, როგორც მწერლის კარიერა დაიწყო. ამ საქმიანობას მან თავისი სიცოცხლე მიუძღვნა.

ახალგაზრდობაში ინგლისის მონახულებისას მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებინა იმ სოციალური ძვრებისათვის, რომელიც მსხვილი მრეწველობისათვის იყო დამახასიათებელი. 1803 წელს მან გამოსცა ნარკვევი „**კომერციული სიმდიდრის შესახებ**"[1]. ამ ნაშრომში ჩამოყალიბებული ძირითადი თეორიული იდეები სმითის შეხედულებებს ეფუძნებოდა.

მომდევნო წლებში სისმონდი გახდა მუშათა კლასის საშინელი გაჭირვების მოწმე. მან თავისი თვალით იხილა, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი ინგლისში 1817 წელს ეკონომიკური კრიზისის დროს, რომლის მიზეზიც ჭარბწარმოება იყო. ამის გამო იძულებული გახდა რადიკალურად შეეცვალა თავისი წინანდელი პოზიცია.

განსაკუთრებული პოპულარობა მას იტალიური რესპუბლიკების შესახებ (16 ტომი) და ფრანგი ხალხის ისტორიის ნარკვევებმა (29 ტომი) მოუტანეს. 1816 წელს აირჩიეს პეტერბურგის

1 **Sismondi** S., De la richesse commerciale ou principes de l'économie politique, t.1, Gen., 1803.

აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად, ხოლო 1833 წელს - საფრანგეთის ზნეობრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

ისტორიასა და ლიტერატურაში თექვსმეტი წლის მუშაობის შემდეგ, სისმონდი დაუბრუნდა ეკონომიკის სფეროს ახალი ნაშრომით „**პოლიტიკური ეკონომიის ახალი პრინციპები**" (1819)[1]. ამ ნაშრომში მან მწვავედ გააკრიტიკა ინგლისური კაპიტალიზმი და ლიბერალიზმი. მისი აზრით, აქ ერის უდიდესი ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობს, რომელსაც ერის მცირე ნაწილი – ფუფუნებაში მცხოვრებლები უპირისპირდებიან.

63. თეორიული კრედო

მართალია, სისმონდიმ მთლიანად არ უარყო კლასიკურ-ლიბერალური ეკონომიკის პრინციპები, მაგრამ მაინც გაკიცხა მანქანური წარმოება, რომელსაც თან სდევს მუშათა მასების ექსპლუატაცია, დაბალი ხელფასები და გაუსაძლისი სამუშაო პირობები.

სისმონდის დასკვნით, მუშათა ხელფასები მათ საარსებო მინიმუმზე მეტი არასდროს ყოფილა; მუშის შრომით ანაზღაურებასა და მის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულებას შორის ყოველთვის განსხვავებაა. იგი მას ნამატ, ზოგჯერ კი **ზედმეტ ღირებულებასაც** უწოდებს. მხოლოდ ამ ზედმეტ ღირებულებაში ხედავდა იგი ღარიბებისა და მდიდრების არსებობის მიზეზს.

„პრინციპებში" იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ თავისუფალი კონკურენციული ეკონომიკა წარმოებული პროდუქტის სიუხვეს ქმნის, მაგრამ დოყლაპის საშართლიანად განაწილების შესაძლებლობას ვერ იძლევა. აქედან გამომდინარე, იგი არ ეთანხმებოდა სმითის ხედვასა და იმ სისტემას, სადაც მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებოდნენ, ხოლო ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებოდნენ.

სისმონდი დაჟინებით უარყოფდა კლასიციზმის აბსტრაქტულ დედუქციურ (ზოგადიდან კერძოსაკენ) მეთოდს, მის ნაცვლად კი კონკრეტული ისტორიული მეთოდის შემუშავებას ცდილობდა. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, მის მიერ უარყოფილი მეთოდი თვითონვე გამოიყენა ეკონომიკური კრიზისების ანალიზში.

სისმონდის ამ თეორიაში ნათლად გამოიკვეთა ის თეზა კაპიტალის მზარდი კონკურენციისა და პროლეტარიატის გაღატაკების შესახებ, რომელიც შემდგომში მარქსიზმმა წამოაყენა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი კაპიტალისტური სისტემა თანაბრად განვითარდებოდა, იგი სისმონდის აზრით, მაინც მიუღებელია. მეორე ძირითადი მიზეზი სისმონდის მიერ ამ სისტემის უარყოფისა იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალიზმს არ შესწევდა უნარი გველო იმ კრიზისული მდგომარეობისათვის, რომელშიც იგი სისტემატურად ვარდებოდა.

ამგვარი კრიზისების მიზეზი სისმონდის აზრით ის იყო, რომ ფაბრიკანტი არასოდეს არ კითხულობდა საჭირო იყო თუ არა მის მიერ წარმოებული პროდუქტი საზოგადოებისათვის. მისთვის უმთავრესი იყო ამ პროდუქტის წარმოების შედეგად მიღებული მოგება. ძირითადად ამ პროდუქტს შეისყიდის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ პროლეტარიატის მატებასთან ერთად მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა დაქვეითდება, რაც პერიოდულად კრიზისულ მდგომარეობას შექმნის; ამგვარი კრიზისები სულ უფრო და უფრო მძაფრ ხასიათს შეიძენს; საზღვარგარეთის ქვეყნებში გასაღების ბაზრის პოვნით კაპიტალიზმი დროდადრო თავს უშველის, მაგრამ ეს სისტემა მაინც აბსურდულია.

სისმონდის მიერ კაპიტალისტური სისტემის ასეთი მძაფრი კრიტიკის შემდეგ მოსალოდნელი იყო მისი მყარ სოციალისტურ შეხედულებებზე დადგომა და მათი ცხოვრებაში გატარება, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. მიაღწია რა მან იმ სტადიას, როდესაც საჭიროა პრაქტიკული რეფორმების გატარება, სისმონდი საკმაოდ თავშეკავებული გახდა. იგი შიშობდა, რომ სახელმწიფო შეზღუდავდა ცალკეულ პიროვნებას.

თავდაპირველად სისმონდიმ შესაძლებლად მიიჩნია, რომ მუშებიც ყოფილიყვნენ ცალკეული

---

1 Sismondi S., Nouveaux principes d'économie politique, ou de la richesse dans ses rapports avec la population, t.1-2, P., 1819; რუს თარგმ.: Новые начала политической экономии или о богатстве в его отношении к народонаселению, т.1-2, М., 1937.

საკუთრების მეპატრონეები. ამ გზით იგი კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობას ფიქრობდა. სისმონდი იმ მოაზროვნეთა რიგებს მიეკუთვნება, რომლებიც მუშებზე მოგების განაწილებას ემხრობოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ საკითხის ასეთი სახით გადაწყვეტას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. იგი სახელმწიფოს არსებობას იმ შემთხვევაში ამართლებდა, თუკი იგი თვითეული პიროვნების ინიციატივას ხელს არ შეუშლიდა; ძალაში უნდა შესულიყო ისეთი კანონები, რომლებიც მუშათა ინტერესების დასაცავად, მათ გასამრჯელოს ავადმყოფობის ან იმ შემთხვევაშიც დაუკანონებდა, როდესაც ფაბრიკა რაიმე მიზეზის გამო არ მუშაობდა.

ამრიგად, მისი აზრით, კლასები გათანაბრდება, ვინაიდან თვით მეწარმე დაინტერესდებოდა თავისი მუშის კეთილდღეობით, შესაძლოა, იგი მათ თავის მოგების ნაწილსაც კი გაუყოფდა.

სამწუხაროდ, მაინც არ მოხერხდა იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც მუშათა კლასს აწუხებდა. სისმონდი თვითონ სვამს კითხვებს: „რა ეშველებათ იმ ფაბრიკის მუშებს, რომლის მეპატრონეც ვერ გაუძლებს კონკურენციის შედეგად გაკოტრებას?“

სისმონდი, კლასიკური სკოლის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი, მსჯელობის დედუქციური პროცესისა და მოუფიქრებელი განზოგადების შემცველი ფაქტების განხილვას მოითხოვდა. მისი აზრით, კაპიტალისტური მძიმე მრეწველობიდან მიღებული სიმდიდრე, საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან პარმონიაში ვერ მოდის. მისი შემოთავაზება საკუთრებისა და შრომის ურთიერთობის შესახებ რომანტიზმად დარჩა. იგი ოცნებობდა მცირე მეწარმეობის ოქროს ხანის დაბრუნებაზე. სისმონდის იდეალი წურილი საქონელმწარმოებლებია, რომლებიც საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს. თუმცა, სისმონდი სრულიად სოციალისტი არასდროს ყოფილა, იგი მაინც საუბრობს მდიდრების მიერ მუშათა კლასის ექსპლუატაციაზე. როგორც კეთილდღეობის ეკონომიკის ადრეულ წარმომადგენლებს შორის ლიდერი, იგი დაჟინებით მოითხოვდა საზოგადოებრივ რეფორმებს და ეკონომიკაში სახელმწიფოს მაკონტროლებელი როლის გაძლიერებას.

6.3. სიმდიდრე და კეთილდღეობა

სისმონდი კლასიკური სკოლის მიერ დასახულ ეკონომიკის მიზანს უფრო ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე მის თეორიულ პრინციპებს. იგი არ ეთანხმებოდა კლასიკოს ეკონომისტებს „საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების განხილვით“, რადგან, მისი აზრით, მიზანი კაცობრიობის კეთილდღეობაა, ნებისმიერი სხვა მიდგომა კი შეცდომაა.

სიმდიდრის ფენომენის, კაცობრიობის კეთილდღეობის განხილვისაგან გამოყოფა, სიმდიდრის ზრდისა და მისი განაწილების მნიშვნელობას ვერ აფასებს. ადამიანთა სიმდიდრის განხილვის უუნარობას აბსურდამდე მიეყავართ. სწორედ ამ საკითხის ილუსტრირებას ახდენს სისმონდი, როდესაც მანქანების მასობრივად გამოყენებას ეწინააღმდეგება.

მართალია, მანქანური წარმოების სისტემა მეტ პროდუქტს ქმნის, მაგრამ ამ სისტემის დანერგვას დაუყოვნებლივ მოჰყვება უმუშევრობის ზრდა, რაც თავისთავად სამუშაო ადგილებზე მოთხოვნის ზრდას იწვევს. ასეთი სიტუაცია კი ხელფასებს და პროდუქტზე მოთხოვნას კიდევ უფრო შეამცირებს.

აქედან გამომდინარე, ადამიანის შრომის შემცველი მანქანური სისტემა, იმის ნაცვლად, რომ ყოველთვის ხელსაყრელი იყოს, საზოგადოებისათვის ხელსაყრელია მხოლოდ მაშინ, თუ ის სამუშაოდან გაძევებულ მუშებს სხვა დასაქმებით უზრუნველყოფს. შრომის მანქანური სისტემით შეცვლის არახელსაყრელი პირობები ილუსტრირებულია სისმონდის ცნობილი ჯალამბარის[1] არგუმენტით:

წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისმა ორთქლის მანქანის მეშვეობით წარმატება მოიპოვა მინდვრების ხვნასა და საქალაქო საქმეში ისე, რომ მისი მთელი პროდუქტი და შემოსავალი უცვლელი დარჩება, მაშინ როცა მისი მოსახლეობა ჟენევის რესპუბლიკის მოსახლეობის ტოლი გახდა. შეიძლება რომ ის უფრო მდიდარ და უფრო აყვავებულ ქვეყნად ჩაითვალოს? რიკარდო, ალბათ, ამ კითხვას დადებითად უპასუხებდა. სიმდიდრე ყველაფერია, ადამიანები კი არაფერი, მაშინ ასეთ შემთხვევაში ერთმა მეფემ, რომელიც კუნძულზე მარტო ცხოვრობს, ჯალამბრის უბრალოდ ტრიალით ინგლისში დღეს

1 ჯალამბარი – ხის ტოტებით შეერთებული ორი გრძელი ძელი, რომელსაც გადასაზიდად იყენებენ; ბლოკის სახის მოწყობილობა, რომელსაც სიმძიმეთა ასაწევად იყენებენ.

შესრულებული უამრავი სამუშაო საკმაოდ ავტომატურად შეიძლება შეასრულოს.

პარადოქსულია, მაგრამ ზემოთ აღნიშნული აბზაცი ხაზს უსვამს წარმოებულ პროდუქტსა და მოსახლეობას შორის წონასწორობის საჭიროებას. რა სჯობს, მზარდი მოსახლეობა არამზარდი სიმდიდრით თუ კლებადი მოსახლეობა სწრაფად მატებადი სიმდიდრით? უპირატესობად ვერცერთი მათგანი ვერ ჩაითვლება, რადგან ორთავეს განადგურებამდე მიეყვანართ. იდეალური ვარიანტია მზარდი ან, უარეს შემთხვევაში, უცვლელი მოსახლეობა მატებადი სიმდიდრით.

პოლიტიკური ეკონომიის მიზანი. პოლიტიკური ეკონომიის კომპეტენცია და მიზანი განსაზღვრულია მის ნაშრომებში გამოყენებული ფრაზიდან „პოლიტიკური ეკონომია და მთავრობის ფილოსოფია“:

მალე გამოჩნდება, რომ უფრო მეტი ჩვენგანი (ვიდრე რომელიმე ჩვენი წინამორბედთაგანი), პოლიტიკურ ეკონომიას ინტელექტთან და სულთან მიმართებაში განიხილავს. მაგრამ საარსებო საშუალება სიცოცხლისათვის და სიცოცხლესთან ერთად, ზნეობრივი და ინტელექტუალური განვითარებისათვის საჭიროა, რაზედაც ადამიანის მოდგმა მგრძნობიარეა. საზოგადოებამ, ისევე, როგორც ინდივიდებმა, წინა პლანზე ფიზიკური ჯანმრთელობა, თავიანთი სურვილები და განვითარებები უნდა წამოსწიონ. მათ გარეშე გონების ჯანმრთელობა წარმოუდგენელია. საზოგადოება ერთდროულად არჩევს: სიღატაკეს და კეთილდღეობას; ჯანმრთელობას, სილამაზეს, ჯიშის ენერგიას ან მის გადაგვარებას. იმ ურთიერთგაგების და ეჭვიანობის გრძნობებს, რომელთა მიხედვითაც ახალგაზრდობა ერთმანეთს დასახმარებლად ძმებივით ან მეტოქეებივით (რომლებიც ერთმანეთის განადგურებას ლამობენ) უყურებს. სისუსტეს ფუფუნება, უხამსობას კი ფიზიკური დატკბობა და დაღლილობა წარმოშობს.

შესაბამისად, სისმონდისათვის სიმდიდრეს მთლიანად ახალი მნიშვნელობა მიეცა. იგი ადამიანისა და საზოგადოების გარეშე მნიშვნელობას კარგავს. იგი წარმოგვიდგენს როგორც ზნეობრივ, ასევე ფიზიკურ სიამოვნებას, მაგრამ „ადამიანია დამოკიდებული სიმდიდრეზე თუ სიმდიდრეა დამოკიდებული ადამიანზე?“.

სიმდიდრის სისმონდისეული ოფიციალური არსი შემდეგშია:

სიმდიდრე ადამიანის შრომით მიღებული საგანთა სიუხვეა, რომელიც ადამიანის სურვილის მიხედვით იხარჯება. მდიდარია ის ერი, რომელიც ამ სიმდიდრით მაქსიმალურ მატერიალურ კეთილდღეობას შეუქმნის ღარიბებსაც და მდიდრებსაც;

ღარიბების კეთილდღეობა შედგება დოვლათისაგან, მრავალფეროვნებისაგან, მათი უსაფრთხო და ჯანსაღი საკვებისაგან, კლიმატის მიხედვით საჭირო ტანისამოსის საკმარისი რაოდენობისაგან და მათი სისუფთავისაგან; მათი საცხოვრებელი ადგილის ხელსაყრელი და მათთვის სასიკეთო პირობებისაგან, აგრეთვე კლიმატის მიხედვით ნათობის საჭირო რაოდენობისაგან; დაბოლოს, იგი იმის გარანტიაა, რომ მომავალი არ იქნება დამოკიდებული აწმყოზე და რომ ღარიბ ადამიანს შეეძლოს იგივე შრომით ზემოთ ჩამოთვლილი კეთილდღეობის მიღწევა მაინც. არც ერთი ერი აყვავებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ ღარიბთა პირობები დაცული არ იქნება. ნორმალურ სოციალურ მდგომარეობაში არსებობა ადამიანის საზოგადოებრივი უფლებაა და იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა მათთვის, ვინც შესაძლებლობის მიხედვით მუშაობს; და სწორედ მაშინ არის ერი აყვავებული, როდესაც მისი საზოგადოების უფრო და უფრო მეტი წევრი გარანტირებული იქნება ღარიბი ხალხის ზემოთ ჩამოთვლილი კომფორტით უზრუნველყოფაში.

სისმონდი — არა სოციალისტი. სისმონდიმ თავისი კარიერა დაიწყო როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის მგზნებარე მხარდამჭერმა და, თუმცა, თავისი ცხოვრების ბოლო წლებში მას გარკვეული უთანხმოება გაუჩნდა ამ მიმდინარეობის სხვა მხარდამჭერებთან. მას მაინც უარი არ უთქვამს კლასიკური სკოლის პრინციპებზე სოციალისტად გახდომის ფარგლებში. მართალია, ის შრომის გამოყენებაზე საუბრობს, თუმცა, ის ერთმანეთისაგან განასხვავებს შრომით მიღებულ ანაზღაურებასა და მესაკუთრეთა შემოსავალს.

სისმონდი უარყოფს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების იდენტურობას. მისი შეხედულებით, პირებსა შორის უთანხმოება საკუთრების გადანაწილების შედეგია, რომლის შედეგადაც ადამიანთა ნაწილი არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

სისმონდი არ მოითხოვს კერძო საკუთრების გაუქმებას, არც მდიდრებისაგან მათი ქონების ჩამორთმევას. ის მხარს უჭერს როგორც კერძო საკუთრებას, ასევე მდიდრებს. იგი ზნეობრივი

და სოციალური ქონების დაბალანსებას ცდილობს. კეთილდღეობისა და ზნეობრივი პროგრესის უზრუნველყოფისათვის სასურველად თელის ქონების გადანაწილებას. მისი აზრით, მდიდრებს ორი უპირატესობა გააჩნიათ: ინტელექტუალური ნიჭი და ქველმოქმედების უნარი.

სისმონდისეული შემდგომი მოსაზრება ამის სრული ილუსტრირებაა. ამ ორი უპირატესობიდან ერთ-ერთი ნებისმიერი ერის განვითარებისათვის საჭიროა მდიდარი ხალხი. ერს, რომელსაც მდიდრები ანუ ისეთი ადამიანები არ ჰყავს (რომლებიც თავიანთ თავისუფალ დროსა და სიმდიდრეს თავიანთ ხალხს გაუნაწილებენ), თავს ვერ დააღწევს უმეცრებას, ბარბაროსობასა და სიძუნწეს. ინტელექტუალური პროგრესი მდიდრებში ახალ სურვილებს აყალიბებს და სიმდიდრის განვითარების ახალ საშუალებას ქმნის. ინტელექტს, წარმოსახვასა და მგრძნობელობას ისევე ესაჭიროება დაკმაყოფილება, როგორც სხეულს. ამავე დროს ესთეტიკური, ზნეობრივი ან ინტელექტუალური სილამაზის ძიება ადამიანთა ზედმეტ მოქმედებას იწვევს, სწორედ ისევე, როგორც ადამიანის შექმნილი სიმდიდრე და რომელიც სხვა შემთხვევაში გამოუყენებელი დარჩება.

ქველმოქმედება სიმდიდრის კიდევ ერთი პრეროგატივაა და ის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ვიდრე თავად ღარიბებისათვის. სწორედ ქველმოქმედებამ უნდა მოაწესრიგოს სიმდიდრის რეგულარულ გადანაწილებაზე მოქმედი შემთხვევითი არეულობა; მაგრამ ქველმოქმედებამ საზოგადოების სხვადასხვა ფენები ერთმანეთს უნდა დაუკავშიროს. დაბოლოს ქველმოქმედებამ ერს უნდა მისცეს ის სტაბილურობა, რომლის დაცვაც მას მოქალაქეთა შორის სიყვარულით შეუძლია.

გადანაწილების ძალა. სისმონდი შეფასებას აძლევს ერის ბედნიერებაზე მდიდარი ხალხის გამოყენების ზეგავლენას.

მისი დაშვებით, ყველა ადამიანის პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფის შემდეგ, ერის დოვლათი დაყკავშნულია მდიდრების უზრუნველსაყოფად. ამის შემდეგ მას აინტერესებს თუ რა პროპორციითაა სასურველი მისი ზრდა. პირველ რიგში, სასურველად თელის ბევრი ადამიანის კეთილდღეობას. ბევრი ზომიერად მდიდარი ადამიანი უფრო ძვირფასია, ვიდრე ერთი უზომოდ მდიდარი. საზოგადოებაზე მდიდარი ხალხის ზეგავლენა არა მარტო მათი რიცხვის, არამედ მათი სიმდიდრის ზრდასთან ერთად მცირდება, როდესაც უკვე ეს სიმდიდრე გარკვეულ ზღვარს სცილდება. თუ მათი ქველმოქმედებით საზოგადოება კმაყოფილი რჩება, საზოგადოებისათვის თანაბრად საგრძნობია მდიდართა რაოდენობის შემცირება. რაც უფრო მეტი უძრავი ქონება იქნება მათ საკუთრებაში, მით მეტად გაუცხოვდებიან ისინი ღარიბი ხალხისათვის.

სისმონდიმ გააკრიტიკა ისეთი სოციალური გარემო, სადაც ქრემატისტიკა უფრო სჭარბობს. მან, ამავე დროს, გამოყო ადამიანთა სამი კლასი: **მიწის მესაკუთრე, კაპიტალისტი** და **მუშა** – რენტით, სარგებლითა და ხელფასით, რომელსაც ისინი გამოიმუშავებენ თავიანთი შესაბამისი წვლილით. სისმონდის რწმენით, თითოეული ეს კლასი ცდილობს შეინარჩუნოს მთელი პროდუქტიდან იმდენი, რამდენსაც ის მოახერხებს, ხოლო მათი ბრძოლა მათი შემოსავლის პროპორციებს აყალიბებს.

6.4. კაპიტალისტური მრეწველობა და მომავალი კლასობრივი სტრუქტურა

სისმონდი იწონებს კაპიტალისტური მრეწველობის მაღალპროდუქტიულობას, მაგრამ ამასთან მიმართებაში სვამს შეკითხვებს:

ნუთუ ეს ჩვენი საზოგადოების დასასრულია? განა ეს იმისთვისაა, რომ ჩვენ თვალები დავხუჭოთ ასეთ დიდ, ბრწყინვალე და ამავე დროს სასარგებლო და ელეგანტურ ნაწარმზე? ან იმიტომ, რომ ზღვები დავფაროთ ჭურჭლებით, ხოლო დედამიწა კი რკინიგზით, იმისათვის, რომ ყველანაირი ხერხით გავავრცელოთ სამრეწველო ნაწარმი? თუ ეს იმისათვის, რომ ჩვენ ასი ათასი ადამიანიდან ორ ან სამ ადამიანს მივცეთ გამდიდრების საშუალება, რაც, თავის მხრივ, საკმარისი იქნებოდა იმ ასი ათასი ადამიანის კომფორტისათვის? ასეთ შემთხვევაში ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ შეგვიძლია დიდი პროგრესის მიღწევა ჩვენს მოქმედებაში, მეცნიერულ ძალებში და, განსაკუთრებით, ვაჭრობაში; რადგანაც ერს უნდა ჰქონდეს საკმარისი პროდუქტი არა მარტო თავისი ხალხისთვის, არამედ თავისი მეზობლებისათვისაც.

სისმონდის აღიარებით, ეროენული მატერიალური აყვავების პირობა, მხოლოდ საქონლის ჭარბი წარმოება ვერ იქნება, რადგანაც ამის შედეგი ქველმოქმედების სახით ხალხში არ ვრცელდება. ის შეცდომას იმ დიდ სიმდიდრეში ხედავს, რომელიც იაფი სამუშაო ძალის მიერ შეიქმნა და სადაც ამავე დროს სიმდიდრის გამოყენება სულ უფრო ძნელდება ფართო მასების დაბალი ყიდვითუნარიანობის გამო. საზოგადოების თითოეული წევრის მიზანია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება იმისი გაზრდის მოთხოვნით, რასაც ის ქმნის და ამავე დროს მისი ხარჯების შემცირებით სადაც მრეწველობისა და ვაჭრობის განუსაზღვრელი თავისუფლება ჭარბობს. შეუზღუდავ კონკურენციას ძნიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს და სწორედ აქ სისმონდი პაუპერიზმში (სიღარიბეში) ჩავარდნას წინასწარმეტყველებს. პროგრესსა და სიღატაკეს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. სისმონდი კულმინაციისაკენ მიიწევს:

რადგანაც მსხვილმა კაპიტალმა ყველა თავისუფალ მოვაჭრესა თუ კომერციულ საქმიანობას შეუტია და ის ადამიანები, რომლებიც ოდესღაც ვაჭრობაში რაღაცას ფლობდნენ, იმ დონეზე დაეცნენ, სადაც ადამიანი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს. იერიშმიტანილი აღმოჩნდა აგრეთვე საოჯახო შრომაც და ქრემატისტიკის სკოლა მისი არგუმენტებით მხარს უჭერდა ფულის სიძლიერესა და იაფი ნივთებით ცდუნებას. რატომ უნდა გაისარჯოს ოჯახის დიასახლისი ოჯახის ყველა წერილმანის მოსაწესრიგებლად? ეს მაშინ, როცა მთელი ეს საქმე გაცილებით იაფად შეიძლება შესრულდეს ფაბრიკაში; ხოლო დიასახლისი, თავის მხრივ, გაცილებით ნაკლები ფულით უფრო მეტი და უფრო უკეთესი ხარისხის ნივთების შეძენას შეძლებდა. რატომ უნდა დასჭირდეს დიასახლისს სახლში პურის ცხობა? მას ხომ მისი გამოცხობა მეპურეზე იაფი არ დაუჯდება? შრომის ორგანიზაცია ფართო მასშტაბით, წინასწარი მომარაგებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი კაპიტალითა და საერთო კონტროლით, მას უკეთესი საკვებით უზრუნველყოფს, დააზოგინებს მას (დიასახლისს) როგორც დროს, ასევე პროდუქტის დასამზადებლად საჭირო ზოგიერთ სხვა ხარჯებს.

ყველაზე განვითარებული ერის წარმომადგენელმა მეწარმეებმა ვაჭრობაში უპირატესობა მიიღეს. მათი წარმატება ნათლად მეტყველებდა მრეწველობის უდიდეს მიღწევებზე, ხოლო ქრემატისტიკის სკოლის პუბლიცისტები, ისევე, როგორც მისი მოთავენი, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საყოველთაო სიმდიდრის სწრაფი ზრდის მილოცვაში. თუმცა, უცბად თავი იჩინა საშინელმა რეალობამ – სიღარიბემ თავისი სწრაფი და შემაშფოთებელი ზრდით. მეცნიერებაც უძლური აღმოჩნდა. პაუპერიზმი ის უბედურებაა, რომელიც ფართო მასშტაბებით პირველად ჩამოყალიბდა ინგლისში (და რომელსაც ახლაც ის სახელი ქვია, რომელიც მას ინგლისელებმა დაარქვეს) და შემდეგ სხვა სამრეწველო ქვეყნებშიც გავრცელდა. სიღარიბე ეს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც სამუშაოს ჩავარდნის შემთხვევაში საჭირო ხდება პროლეტარების (მუშა ხელის) შემცირება. ასეთია იმ ხალხთა მდგომარეობა, რომლებიც საკუთარი შრომით ცხოვრობენ. მათ მხოლოდ შრომა შეუძლიათ, კაპიტალისტები კი მათ ქირაობენ. გაზარმაცებული კაპიტალისტები კი საზოგადოებას ტვირთად აწვებიან. არც ერთი საზოგადოება უარს არ იტყვის ლეგალურ ქველმოქმედებაზე, მაგრამ საზოგადოებას ასეთი ტვირთის შენახვის ძალა არა აქვს.

მდიდრები და ღარიბები. სისმონდის აზრით, საზოგადოება მზადდებოდა ორ ჯგუფად გაყოფისათვის – მჭონებელთა კლასი (მდიდრები) და მუშათა კლასი (ღარიბები). კაპიტალისტებთან შეჯიბრში დამარცხებული მცირე მეწარმეები და სოფლის ვაჭრები მსხვილი მრეწველობიდან იდევნებიან. „ყველანაირი საკუთრება ყველა სახის შრომისაგან გამოყოფას აპირებს და სწორედ აქ არის საშიშროების ნიშანი“. სიღარიბე და კრიზისი გარდაუვალია. ჭარბწარმოებას გაკოტრებამდე მიეყვანართ.

6.5. ჭარბწარმოების კრიზისების მიზეზები

ჭარბწარმოების კრიზისების მალთუსისეულ თეორიასთან ახლოს დგას სისმონდის თეორია მოხმარების შემცირების შესახებ. მისი რწმენით, შემოსავლის უთანაბრო განაწილების შედეგად წარმოქმნილ მზარდ წარმოებას ეფექტიანი მოთხოვნა ვერ დაუპირისპირდება, რასაც შედეგად უნდა მოყვეს გასაღების შეფერხება და კრიზისული მოვლენები. ეს დისპროპორციულობა, სისმონდის აზრით, კაპიტალისტური ეკონომიკის სტრუქტურულ შეცდომას ეფუძნება. თავისუფალ კონკურენციაში

ყოველი მეწარმე, წარმოების დანახარჯების შემცირების ხარჯზე, თავისი კონკურენტის საქონლის ფასის დაგდებას ცდილობს. ამავდროულად იგი ეცდება დაზოგოს რაც შეიძლება მეტი ნედლეული და განსაკუთრებით, შრომა. ამის გამო მშრომელთა ერთი ნაწილი პერიოდულად დაუსაქმებელი რჩება, რასაც თან სდევს ეფექტური მოთხოვნის შემცირება.

ამავე დროს კი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად ინდუსტრიული წარმოება მუდმივად იზრდება. ამის შედეგად მიღებული ზედმეტი ღირებულება კაპიტალსა და შრომას შორის არათანაბრად ნაწილდება, რადგან მშრომელი მხოლოდ იმას იღებს, რაც მას არსებობისათვის სჭირდება. მეორე მხრივ, არც კაპიტალისტები ზრდიან თავიანთ მოხმარებას ჭარბწარმოების შესაბამისად. ისინი წარმოებაში აბანდებენ მათ მიერ მიღებულ წილობრივ მოგებას.

აქედან გამომდინარე, ჭარბი პროდუქტის უფრო დიდი ნაწილი გაუსაღებელი რჩება და, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კაპიტალისტები (თუ ისინი საერთოდ გაზრდიან მოხმარებას) გააძლიერებენ ფუფუნების საგნებზე მოთხოვნას, რომელიც ძირითადად შეიძლება საზღვარგარეთიდან იმპორტით დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ამის შედეგად, მშრომელთა ნაკლები მოთხოვნის გამო, ადგილობრივი ინდუსტრიის განვითარება ფერხდება და სამსახურებიდან მშრომელებს ხელახლა ათავისუფლებენ. ცოტა მფლობელის ხელში არსებული კაპიტალის კონცენტრაცია ამგვარად ზემოქმედებს ინდუსტრიული გასაღების მუდმივ შეზღუდვაზე ქვეყნის შიგნით. ამიტომ კრიზისებიც ვერ შეჩერდება მანამ, სანამ შემოსავალთა უთანასწორო განაწილება არ აღმოიფხვრება.

ამრიგად, სისმონდი ეკონომიკური კრიზისების მიზეზად ასახელებს მუდმივად მზარდ წარმოებასა და, იმავდროულად, შემცირებულ მოთხოვნას შორის არსებულ შეუსაბამობას. მან წინა პლანზე წამოწია სოციალური ასპექტი, კერძოდ, დაქირავებული მუშა-ხელის ყიდვითუნარიანობის შემცირება. მისი აზრით, ასეთი შეუსაბამობა არსებული საზოგადოებრივი და ეკონომიკური წყობის წინააღმდეგობებითაა განირობებული, რის გამოც აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა.

გარდა ამისა, სისმონდის დოქტრინის მიხედვით, ჭარბწარმოება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი პროდუქტი დიდად აჭარბებს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს; შეუსაბამო შემოსავალი განაპირობებს შეუსაბამო ფასებს ამ პროდუქტის შესაძენად. ეს იწვევს ფასებში გარღვევას, რაც საბოლოოდ პანიკებს და კრიზისს წარმოშობს.

· სისმონდი თანაბრად გაორებულია, როდესაც მხარს უჭერს სახელმწიფოს ჩარევას შემოსავლის შენარჩუნების მიზნით და სარგებლის განაკეთის სტანდარტიზაციას. მან ვერ გაიაზრა, რომ წარმოების შეზღუდვა შეიძლება დამუქრებოდა იმ ხალხის კეთილდღეობას, რომელთა დახმარებასაც თვითონ ცდილობდა. მასში არსებობდა გონებისა და გრძნობის კონფლიქტი. იგი არც შესაფერისად გრძნობდა თავს იმ საშუალებების შესათავაზებლად, რომელთა მეშვეობითაც ახალი სამრეწველო სისტემის წინააღმდეგობები აღმოიფხვრებოდა. და ეს მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელის უპირატესობები აშკარად იკვეთებოდა.

* * *

სისმონდი — სახელმწიფო ინტერვენციის ერთ-ერთი პირველი მომხრე, ძალიან განსხვავდებოდა კლასიკოსი წარმომადგენლების იმ მეთოდისა და მიზნისაგან, რომლებსაც მან თვითონ მოუძებნა შესაფერისი სახელწოდება ,,საყოველთაო სკოლა". ის აიძულებდა მათ თავიანთი მსოფლმხედველობის ხელახალ გადასინჯვას იმ ეჭვის გამო, რაც მათმა დასკვნებმა გამოიწვა.

საზოგადოებაზე სისმონდის მყისიერი ზეგავლენა საკმაოდ შეზღუდული აღმოჩნდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ერთ-ერთი პირველი შეეწინააღმდეგა კლასიკური სკოლის იდეებს, ის სხვაგვარად მოაზროვნე სკოლის თუ დამფუძნებელი არა, წინამორბედი მაინც გახდა. ის ასტიმულირებდა ჰუმანიზმის რეაქციას უხეში ეკონომიკური ორთოდოქსალიზმის წინააღმდეგ; და მისი განცხადებით სახელმწიფო ჩარევის შესახებ მან დაგვარწმუნა, რომ არ სჯერა კეთილდღეობის ჰარმონიისა და, ამგვარად, მიმართული გზის მუშათა კლასისათვის სასარგებლო რეფორმების — დაწესებულების

უფლებები, მოკლე სამუშაო დღე, უქმე კვირადღე და ბავშვთა შრომის შეზღუდვა. ის გრძნობდა იმ სოციალურ შედეგებს, რაც ეკონომიკურ ტრანსფორმაციას მოჰყებოდა. მიუხედავად რიგი მცდარი დებულებებისა, სისმონდის იდეები მაინც ვრცელდებოდა ქალაქებში და სოფლად მცხოვრებ მშრომელთა მასებში. გეეელინებოდა როგორც, დიდი მოციქული ჭარბწარმოებისა და ეკონომიკური კრიზისის წინააღმდეგ.

7. პიერ ჟოზეფ პრუდონის (1809-1865) ანარქისტული დოქტრინა

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთი, დიდ ბრიტანეთზე უფრო ადრე გახდა სოციალისტური იდეების ქვეყანა. ეს გასაგებიცაა – პარიზში, რომელიც იმავე დროს ქვეყნის სულიერი ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა, თავმოყრილი იყო საშინელ სიღატაკეში მცხოვრები მშრომელთა უდიდესი ნაწილი. დიდია მათი ღვაწლი 1789 წლის რევოლუციაში. 1830 წლის რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში სოციალიზმის კონცეფცია გავრცელდა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ქრისტიანობის იდეებით საზრდოობდა.

დოქტრინა საზოგადოების შეცვლის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია ქრისტიანულ ზნეობასა და ძმობაზე არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. იგი ჩვენ განვიხილეთ თომას მორის, კამპანელასთან და სხვ. მიმართებით. მე-19 საუკუნის დასაწყისი პერიოდის ქრისტიან-სოციალისტები სხვა სოციალისტებისგან იმით განსხვავებოდნენ, რომ ისინი ქრისტიანობისა და სოციალიზმის იდეების შეთავსებას ცდილობდნენ. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყოდით, რომ მათ ძირეულად ახალი სიტყვა თქვეს ისტორიაში. ისინი თვით თავიანთ რელიგიურ კავშირშიც კი იზოლირებული იყვნენ. მათ უმრავლესობას დიდი წვლილი მიუძღვით 1848 წლის რევოლუციაში, როდესაც 1793 წლის შემდეგ მეორედ იყო ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლის მცდელობა. მეორე რესპუბლიკის დამხობის მომდევნო წლებში სოციალისტ-აეტორთაგან პიერ-ჟოზეფ პრუდონს ჰქონდა დიდი ზეგავლენა საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში.

პრუდონის ნაშრომები ანარქისტული მიმართულებისაა[1]. მისი დოქტრინა მიმართულია არა მარტო კლასიკოსების, არამედ სოციალისტური შეხედულებების წინააღმდეგაც.

7.1. „სიღატაკის ფილოსოფია“

ფრანგული წვრილბურჟუაზიული სოციალისტი, პიერ ჟოზეფ პრუდონი (Proudhon) დაიბადა ქ.ბეზანსონში (საფრანგეთი) ხელოსნის ოჯახში, რომელმაც საკუთარ ლუდხანაში ვაჭრობით შეძლო ფეხზე დამდგარიყო და სახნავ-სათესი მიწებიც შეესყიდა. ბავშვობაში პრუდონი მწყემსად მუშაობდა. შემდგომში, სტიპენდიის წყალობით მოხერხდა მისი ჩარიცხვა ბეზანსონის სამეფო კოლეჯში, სადაც იგი საუკეთესო მოწაფე იყო. კოლეჯში სწავლის პერიოდში იგი ასოთამწყობის პროფესიას დაეუფლა. 1827 წლიდან იგი მუდმივად სამუშაოს ძებნაში იყო. პარალელურად სწავლობდა ებრაულ ენას და ბიბლიას იმ მიზნით, რომ უკეთ ყოფილიყო შემზადებული რელიგიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად (ისევე, „როგორც თეოლოგები მოიქცნენ“). მას შემდეგ, რაც მან 1837 წელს დაწერა და გამოაქვეყნა კიდეც „საყოველთაო გრამატიკის გამოცდილება“ და ბაკალავრის წოდება მიიღო, ბეზანსონის აკადემიამ მას სტიპენდია გამოუყო. ამრიგად, მას ფინანსური სიძნელეები აღარ აწუხებდა და საკუთარი ოჯახის შენახვაც შეეძლო.

პრუდონი 1843-47 წწ. პარიზში ცხოვრობდა და ერთ-ერთ კათოლიკურ ენციკლოპედიაში მუშაობდა. ერთდროულად იგი ენებსაც ეუფლება, დაინტერესებულია ეროვნული ეკონომიკით.

1840 წელს დაიწყო პრუდონის კარიერა, როდესაც მან გამოაქვეყნა ბროშურა სათაურით „რა არის საკუთრება?“. მას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა სათანადო წრეებში. ორი წლის შემდეგ

1 **Proudhon** P.J.: Oeuvres complètes, nouvele ed., sous la direction de C. Bougle et H. Moysset, V.1-12, P., 1923-46; Systéme des contradiction économiques, ou Philosophie de la misére, t.1-2, P.1846; რუს. თარგმ.:Что такое собственность? М., 1997.

გამოქვეყნებულმა **„მესაკუთრის გაფრთხილებამ“** (1842) სასამართლო ორგანოების უკმაყოფილება გამოიწვია.

1843 წელს იგი ლიონში ვაჭრობაში იყო დასაქმებული. აქ მას (პარიზის მსგავსად) კავშირი არა მარტო რევოლუციონერებთან, არამედ სოციალ-ეკონომისტ ლიბერალებთან, მაგრამ იგი არც ერთ მათგანს არ უჭერდა მხარს.

1846 წელს გამოვიდა პრუდონის თხზულება **„ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სიღატაკის ფილოსოფია“**, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა პრუდონის შეხედულებებმა საზოგადოებაზე.

1848 წელს იგი ეროვნული საკრებულოს წევრად აირჩიეს, სადაც მის გამოსვლებს უარყოფითად შეხვდნენ. პრუდონი არ იყო რევოლუციური ძალის გამოყენების მომხრე. საზოგადოების შეცცლაში მას ყველაზე მეტად იმედი ჰქონდა გაზეთების: „ხალხის წარმომადგენელი“, „ხალხი“ და „ხალხის ხმა“ (რომელიც მან 1849 წელს დააარსა). არ გასულა ორი თვეც და იგი დააპატიმრეს საგაზეთო სტატიის გამო, რომელიც ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტის წინააღმდეგ იყო მიმართული. პრუდონს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. 1852 წელს განთავისუფლების შემდეგ პრუდონი ახალ რეჟიმს მიემხრო, თუმცა, როდესაც 1858 წელს გამოვიდა მისი ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი **„რევოლუციაში და ეკლესიაში სამართლიანობის შესახებ“**, მას ბრალი დადეს რელიგიისა და ზნეობის შებღალვა.

შემდგომში პრუდონი ბრიუსელში გადასახლდა, სადაც 1861 წელს გამოვიდა თხზულება **„ომი და მშვიდობა“** („La guerre et la paix“) . 1862 წელს იგი ისევ დაბრუნდა პარიზში, სადაც სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

7.2. პრუდონის ეკონომიკური დოქტრინა

პრუდონის ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად გადმოცემულია ორ ნაშრომში – **„რა არის საკუთრება“** (1861) და **„ეკონომიკურ წინააღმდეგობათა სისტემა ანუ სიღატაკის ფილოსოფია“** (1846).

პრუდონის დოქტრინის ამოსავალი პუნქტია საკუთრების უფლების კრიტიკა. პრუდონი კერძო საკუთრების წინააღმდეგი არ არის. მას მხოლოდ საკუთრების უფლებებში შეცდომების აღმოფხვრა სურდა; ამ შეცდომების აღმოსაფხვრელი საშუალებები, რომლებიც სოციალისტ-რეფორმატორებმა შემოგვთავაზეს საზოგადოებრივი წყობილების რეორგანიზაციის მიზნით, პრუდონმა უარყო. არსებული საზოგადოებრივი წყობილებს მიმართ იგი თავის უკმაყოფილებას გამოხატავს, რადგან ეს საზოგადოება დასაშვებად მიიჩნევდა არაშრომით შემოსავლებს.

პრუდონის დასკვნით, დამქირავებელი მშრომელს მისი ინდივიდუალური შრომის მწარმოებლურობის შესაბამისად უხდის საფასურს, მაგრამ შრომის პროდუქტს, რომელიც წარმოების პროცესში ყველა მონაწილის კოლექტიური ძალისხმევის შედეგია და, აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური შრომის მწარმოებლურობის სიდიდესაც აღემატება, დამქირავებელი ითვისებს.

პირველ დაკვირვებად ეკონომიკის დარგში ითვლება პრუდონის თხზულება **„რა არის საკუთრება?“**, რომელშიც სამართლებრივი საკითხებია განხილული. ამ თემის შერჩევა მის მიერ იმით იყო განპირობებული, რომ პრუდონი თავის თავს 1789 წლის „მამაკაცთა“ შთამომავლად თვლიდა. თავისუფლება და თანასწორობა პრუდონისათვის წმინდა და ხელშეუხებელ უფლებას წარმოადგენდა. რაც შეეხება თავისუფლებას, მას არც კი უცდია საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება, ხოლო თანასწორობის უფლებებს იგი განიხილავს „ჰუმანური წესრიგის დამყარებაში“.

მისი აზრები დასკვნის სახით ასეთნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ყველა ადამიანს ერთნაირად უნდა მოეპყრან, ვინაიდან ყოველი მათგანის სოციალური ფუნქცია ერთიმეორეზეა დამოკიდებული. ამიტომ შეუძლებელია რომელიმეს სხვაზე მაღლა დაყენება, შემდგომში (სოციალური პროგრესის წყალობით) თითქმის მთლიანად გაქრება ის უთანასწორობა, რომლის მიზეზი ცალკეული ადამიანის უნარსა და შესაძლებლობაში უნდა ვეძიოთ; ხოლო თუკი უთანასწორობას კიდევ ექნება ადგილი, იგი იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ არც კი ღირს ყურადღება მივაქციოთ.

პრუდონი საკუთრების უფლებას არ მიიჩნევდა ბუნებრივ უფლებად და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების წინააღმდეგიც იყო. მისი აზრით, უფლებათა სისტემაში ამით შეუსაბამობას

ექნებოდა აღგილი. პრუდონი დაწვრილებით განმარტავს, თუ როგორ შეიძლება საკუთრების უფლებამ გვერდზე გარიყოს თანასწორობისა და თავისუფლების უფლება, ვინაიდან მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილია საკუთრების მფლობელი. ბოლოს იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ: საკუთრების უფლებას არავითარი გამართლება არა აქვს და აღნიშნავს: „საკუთრება ეს ქურდობაა". მაგრამ, ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ საჭიროა საკუთრების მოსპობა. თუ საკუთრებას სოციალურ ფუნქციათა ერთობლიობაში განვიხილავთ, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მას დადებითის გვერდით უარყოფითი თვისებებიც გააჩნია. მეტადრე საკუთრება თავისუფლებას ანიჭებს ცალკეულ პიროვნებას. ამიტომ მისი უარყოფა ყოველად დაუშვებელია; ამრიგად, კერძო საკუთრება წინააღმდეგობებით სავსე მცნებაა: ერთი მხრივ, იგი დესპოტიზმის მასაზრდოებელია, მეორე მხრივ კი თავისუფლების გარანტია.

ამ თეზას კიდევ უბრუნდება პრუდონი „სილატაკის ფილოსოფიაში" (1846). მასში იგი სხვა ფაქტორებთან ერთად საკუთრებასაც მოიხსენიებს, როგორც წინააღმდეგობებით სავსე ფაქტორს: მანქანა ამსუბუქებს ადამიანის შრომას, მაგრამ ხელს უწყობს დაქირავებული შრომის გავრცელებას; თავისუფალ ვაჭრებსაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები და ა.შ.

პრუდონის აზრით, ამ წინააღმდეგობების აღმოუხვრა შეუძლებელია. ყოველი იძულებითი ნაბიჯი ამ მიმართებით, აზიანებს პიროვნების თავისუფლებას. ამ მიზეზების გამო, პრუდონი თავისი დროის ყოველგვარი სოციალისტური დოქტრინის წინააღმდეგი იყო.

იყვნენ ისეთი სოციალისტებიც, რომლებიც უნივერსალური ძმობის ქრისტიანული პრინციპის განსახორციელებლად ახსენებდნენ ადამიანებს თავიანთ მოვალეობას – ჰყვარებოდათ მოყვასი და ნებაყოფლობით ეცხოვრათ სილატაკეში. პრუდონი კი პირიქით, ეწინააღმდეგებოდა ამგვარ თავგანწირვას, თვლიდა, რომ იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამოსავალ პრინციპად არ უნდა გამხდარიყო. აქ პრუდონი იმ საშიშროებასაც გრძნობდა, რომ ზოგიერთი არასწორად გაიგებდა მას და თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. ამავე დროს პრუდონი, ლუი ბლანის მსგავსად, ეკონომიკის ორგანიზაციის ყოველგვარი გეგმის წინააღმდეგი იყო: „ყველაფერი, რაც კი სოციალიზმს მოუმოქმედია ორგანიზაციის, ამ უდიდესი პრობლემის მოსაგვარებლად – ეს სასოწარკვეთილებისა და უმწეობის გამოძახილია".

პრუდონი ეწინააღმდეგებოდა ქონებრივ თანაბრობასაც. მისი მტკიცებით, ქონებრივი თანაბრობა გამოიწვევდა ოჯახის გაქრობას და ეკონომიკის ავტორიტარულ ორგანიზაციას: „კომუნიზმი იგივეა, რაც ნიჰილიზმი, იძულებითი ერთობა, უმოძრაობა, ღამე და დუმილი". ამგვარი კრიტიკის შემდეგ პრუდონს ისღა დარჩენოდა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის საფუძვლად დაედო ზნეობრივი პრინციპი, რომელიც პიროვნების დამოუკიდებლობის გარანტი გახდებოდა. ასეთ პრინციპად იგი სამართლიანობას მიიჩნევდა, რომელიც „ნიშანდობლივია ადამიანის შინაგანი ბუნებისათვის".

სოციალისტური რეფორმების შემოთავაზებების საპირისპიროდ მან დაასკვნა, რომ მთავარია არა ეკონომიკურ სივრცეში მოქმედი ეკონომიკური ძალების დაშლა, არამედ - ამ ძალების გაწონასწორება. პრუდონის აზრით, ეს ეხება არსებული ეკონომიკის სტრუქტურებს, შრომის დანაწილებას, კონკურენციასა და კრედიტს, რომლებიც ლიკვიდირების ნაცვლად ისე უნდა მოეწყონ, რომ არავინ დააზიანონ.

ამ მიზნის მისაღწევად სოციალისტების შემოთავაზებული საშუალებები და გზები (მაგალითად, კოოპერაციული სოციალიზმი, შრომითი მოწყობა, საერთო საკუთრება ან კოლექტივიზმი) პრუდონმა უარყო, რადგან ისინი მშრომელების თავისუფლებას ეწინააღმდეგებიანო. ასევე კომუნიზმიც სრულიად შეუფერებლად მიაჩნია მას ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შესაქმნელად, რომელიც მშრომელთა ინტერესებს შეესაბამება. მხოლოდ მის მიერ აღმოჩენილი ორმხრივობის, **თანაცხოვრების პრინციპითაა** შესაძლებელი მშრომელთათვის მოთხოვნების შესაბამისი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა.

თანაცხოვრების პრინციპის განხორციელება პრუდონს „გაცვლითი ბანკის" გახსნით სურს. ასეთმა ბანკმა ყველა მეწარმისაგან საქონელი ან ჩეკებით უნდა შეისყიდოს (ეს ჩეკები შემდგომში აქვე შეიძლება გაიცვალოს სხვა საქონელზე ან ფულზე) ან დაიგირაოს; სანაცვლოდ „ბანკი" გასცემს „უპროცენტო კრედიტს" წვრილ მწარმოებლებზე და მუშებზე. ამ გზით კრედიტი განსაზოგადოდება, ფული და სარგებელი კი ლიკვიდირებული იქნება.

პრუდონის აზრით, „ეკაცელითი ბანკის" დაარსება გამოიწვევს ამასთანავე იმას, რომ საქონელი, უპირველეს ყოვლისა, მისი შრომითი ღირებულების მიხედვით გაიცვლება და საკუთრებაც მხოლოდ შრომას დაეფუძნება.

აქედან გამომდინარეობს მისი დასკვნა, რომ საქონლურ-ფულადი მეურნეობის არსებობა თითქოს შესაძლებელია ფულის, კაპიტალისა და სარგებლის გარეშე.

პრუდონის აზრით, ადამიანის პიროვნული თავისუფლებისათვის აუცილებელია საზოგადოების ორგანიზაცია მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო საფუძველზე. ამ გაგებით იგი ლიბერალებს ემხრობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე უფრო ჯიუტ ლიბერალებზე შორსაც კი წავიდა, როდესაც წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს არსებობაში იგი ვერავითარ აუცილებლობას ვერ ხედავს. მისი აზრით, ხელშეკრულებით ურთიერთობებზე დამყარებული სისტემის შექმნის შემდეგ „თავისთავად გაუქმდებოდა პოლიტიკური სისტემა". თუ საკითხს ამ კუთხით მიეუდგებით, მაშინ გასაგები ხდება მისი ეს განცხადება: „მე ანარქისტი ვარ".

პრუდონს აუცილებლად მიაჩნდა თანასწორობის პრინციპის დაცვა: როდესაც საზოგადოებაში არსებული ყოველგვარი ურთიერთობანი ხელშეკრულებებზე იქნება დაფუძნებული, შესაძლოა წამოიჭრას ახალი პრობლემა, კერძოდ ის, თუ როგორ, რა გზით შეიძლება დამყარდეს პარტნიორებს შორის თანასწორობა, იქნება ეს ფაბრიკანტი და მუშა, გამყიდველი და მყიდველი, გამსესხებელი თუ მსესხებელი.

პრუდონის შეხედულებების საფუძველია ისტორიულ-განვითარებადი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები სრულყოფის მიმართულებით ისე ვითარდება, რომ მათი წინააღმდეგობები სუსტდება და საბოლოოდ თანაცხოვრებაში იფანტება.

სამართლებრივი თვალსაზრისით, პრუდონის მიერ მიზნად დასახული თანაცხოვრების მდგომარეობას ერთადერთი სამართლებრივი ნორმის არსებობა, კერძოდ, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება ახასიათებს. ხელშეკრულების იდეის განხორციელება ზედმეტს გახდის ყველა სხვა სამართლებრივ დამოკიდებულებას და მისი სრულყოფილების სტადიას **სახელმწიფოსა და ყველა სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის გაუქმება მოყვება.** სახელმწიფოს ნაცვლად ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრება წარმოიშვება, რომელიც მთლიანად დაეფუძნება ნებაყოფლობით დადებით სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ანარქიის ამ სიტუაციაში ადამიანები ყოველგვარი იძულებისაგან თავისუფლდებიან და ასევე თავისუფალი თანაცხოვრება შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია.

პრუდონის აზრით, პირველ რიგში, აუცილებლად ბოლო უნდა მოეღებოდა კაპიტალისტების, მიწათმფლობელებისა და მეწარმეთა მიერ მოგების მითვისებას, ვინაიდან ისინი ფაქტობრივად არ მონაწილეობენ შესრულებულ სამუშაოებში; მუშათა შრომის მწარმოებლურობის გაზრდით კაპიტალისტი იღებს მოგებას, რომლის მითვისებითაც ირღვევა სამართლიანობის პრინციპი; ის პროცენტული შემოსავალი, რომელსაც ბანკი ითხოვს, ბევრად აჭარბებს იმ თანხას, რომელიც წარმოებრივი ხარჯების დასაფარავად არის საჭირო. სამართლიანობის დასამყარებლად ხელახლა უნდა გადაისინჯოს ყოველგვარი უფლებები. პიროვნების არსებული უფლება, რომელიც მას უსამართლობისგან იცავს, ე.წ. „ეკონომიკური უფლებებით" (ანუ საზოგადოებრივი უფლებებით) უნდა შეიცვალოს. ისინი დაიცავდნენ ადამიანთა უფლებებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა დონეზე. ამ პრინციპის განხორციელების მიზნით პრუდონმა 1849 წელს დაარსა **„სახალხო ბანკი"**, რომელიც გასცემდა „უპროცენტო კრედიტს" (პროდუქტის თვითღირებულების გათვალისწინებით). ამ გზით ყოველ მუშას შეექმნებაო ხელსაყრელი პირობები, რათა საკუთარი შრომითი მიღწევებით პირადად ენახა სარგებელი.

პრუდონის ამ სისტემის საწინააღმდეგოდ უდავოდ მრავალი არგუმენტი არსებობს. მან თვითონვე აღმოაჩინა არაერთი უხუსტობა მის კონცეფციაში და მათი გასწორება სცადა. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში მისი კონცეფცია უცვლელი დარჩა. მას არ შეუცვლია შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მხოლოდ ე.წ. „ეკონომიკური უფლებების" განმტკიცების უნარი შესწევს. „ანარქისტი" იგი იმ გაგებით იყო, რომ სახელმწიფოს თვით სამართალს უქვემდებარებდა. ამასთან, მას არ შეეძლო თვალი დაეხუჭა იმ გარემოებაზე, რომ წარმოების ტექნიკის განვითარებას

თან სდევდა მუშათა დიდი რაოდენობის გაერთიანება და მეწარმეთა კოორდინაცია. მოგვიანებით იგი იზიარებს კოოპერატივის იმ პრინციპებს, რომლებსაც თავდაპირველად უარყოფდა. ამავე დროს, იგი ამგვარ გაერთიანებებში ნებაყოფლობით პრინციპის დაცვას მოითხოვდა, რომლის მიხედვითაც თითოეულ წევრს ამ კავშირიდან ნებაყოფლობით გამოსვლის უფლება ექნებოდა.

პრუდონი მის მიერ შექმნილ სისტემას ე.წ. „**სამრეწველო დემოკრატიას**“ უწოდებს (მოგვიანებით ეს ტერმინი მოდურ ტერმინად იქცევა).

მას შემდეგ, რაც თავისუფლება და თანასწორობა დამყარდება, ადამიანთა ბედნიერებას არაფერი შეუშლის ხელს. საშიშროებას პრუდონი იმაში ხედავს, რომ სამუშაო პირობები სულ უფრო და უფრო მზარდ სოციალიზაციას მოითხოვს. თანასწორობის დამყარების მიზნით იგი გვთავაზობს აღზრდის ახალ მეთოდს, რომელიც პირველ რიგში სხვადასხვა ჩვევის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

7.3. სამუშალებათა ძიება

ჩვეულებრივ, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს პრუდონი წინასწარმეტყველის როლში გამოდის და შორეულ მომავალზე საუბრობს. რაც შეეხება თანამედროვეობის ცხოვრებისეულ საკითხებს, მას სწორი დასკვნების გამოტანის უნარი არ შესწევს. ამის მაგალითებია ის ნდობა, და იმედები, რომლებითაც იგი ე.წ. „სახალხო ბანკს“ და ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტს შეჰყურებდა. შესაძლოა ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მისი ყურადღება მე-18 საუკუნის ფილოსოფოსთა ე.წ. „პროგრესის თეორიამ“ მიიპყრო: „მხოლოდ იდეები ქმნიან ისტორიას“. თუ რას გულისხმობდა პრუდონი ამ გამონათქვამში, შეიძლება სხვაგვარად ასე ჩამოვაყალიბოთ: არ არსებობს ისტორია იდეების გარეშე. კარლ მარქსის ერთ-ერთ თხზულებასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „შესაძლოა შემედავოთ, მაგრამ საზოგადოებაში ყველაფერი თანადროულია, ისევე, როგორც მარადიულია ატომი ბუნებაში“.

გარდა ამისა, პრუდონი პროგრესულობის მცნებას მხოლოდ სამართლებრივ და ზნეობრივ ფარგლებში აქცევს. პროგრესი მისთვის სამართლიანობის თანდათანობითი მიღწევაა, რომელიც „სამართალის წინსვლითაა“ შესაძლებელი. ვინაიდან სიკეთე სიკეთეს ბადებს, იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე პარტნიორები ხდებიან; ხელშეკრულება თავად აწესრიგებს და არეგულირებს იმ მრავალმხრივ ინტერესებს, რომლებიც ადამიანებს გააჩნიათ; სამართლიანობის საზღვრები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ყოველივე ეს ხელს უწყობს საზოგადოების პროგრესს. ერთგან პრუდონი აღნიშნავს: პროგრესი შესაძლებელია უპირატესად ზნეობრივ სფეროში; იგი ერთნაირად შეეხება როგორც სიკეთეს, ასევე ბოროტებას, როგორც ცალკეულ პიროვნებას, ასევე კოლექტივს.

ამ გაგებით, 1789 წელი პრუდონისათვის ერთადერთ მნიშვნელოვან თარიღს წარმოადგენს ისტორიაში. მისი აზრით, სწორედ ამ წელს დაიწყო სამართლის გავრცელება. პრუდონს ესმოდა, თუ რა როლს თამაშობდა ძალა ისტორიაში. ამ საკითხს მიუძღვნა მან სრული წიგნი „ომი და მშვიდობა“. იგი ძირითადად ძალის გამოყენებას უარზრო, უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა. მისი აზრით, ადამიანური ურთიერთობების სამართლებრივ დონეზე მოგვარების პირველი ნაბიჯების შემდეგ სამართალის შემდგომი განმტკიცებისათვის ყოველგვარი საშუალებების გამოყენება იყო საჭირო.

ამგვარი მსჯელობების სპექტრში ალბათ უკეთ გავიგებთ პრუდონის დამოკიდებულებას მუშათა კლასის მიმართ. პრუდონი მუშათა კლასის ერთგული იყო; იგი მისთვის იღვწოდა. ამასთანავე, პრუდონი მისეულ სისტემაში მუშებისათვის ძალაუფლების გადაცემის წინააღმდეგი იყო. ჯერ ერთი, იგი ამ ძალაუფლებას წმინდად და სრულყოფილად არ მიიჩნევდა; მეორე, მუშათა კლასს, მისი აზრით, ნათლად არ ჰქონდა გათავისებული ის ზნეობრივი მიზნები, რომლისკენაც იგი მიისწრაფოდა: უღელში გაბმული ცხოველი, იგავ-არაკის ცხოველებისგან განსხვავებით, თავის მდგომარეობას არ უფიქრდება. მას გათავისებული აქვს ამგვარი ყოფა და ნორმალურად თელის მას. ეს არის პლებეი, იგი ბარბაროსს ემორჩილება; მას ღირსების და სიამაყის გრძნობა არა აქვს. ამ სიტყვების შემდეგ

გასაგები ხდება, თუ რატომ არ უჭერდა იგი მხარს საყოველთაო არჩევნების უფლებას და რატომ იყო იგი რევოლუციური ძალის გამოყენების წინააღმდეგი. უფრო მეტიც, იგი ნებისმიერ ფასად არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას მოითხოვდა. 1845 წელს იგი წერდა: ვიდრე მუშათა კლასი არ გახდება ძალაუფლების ბატონ-პატრონი, მას ისე უნდა მოეპყრო, როგორც მონობაში მყოფს.

უნდა აღინიშნოს, რომ პრუდონი „ღმი და მშვიდობაში“ (1861) სხვა თვალსაზრისს იზიარებს: არც სამოქალაქო სფეროში არ უთქვამს სამართალს ძალმომრეობისათვის თავისი საბოლოო სიტყვა, მხოლოდ მას შესწევს უნარი ბოლო მოუღოს იმ ბრძოლას, რომელიც 30 წელია გრძელდება ე.წ. ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, რომელთაგან პირველი სულ უფრო და უფრო უკან, მეორე კი წინ იწევს, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გზით მივაღწევთ სამართალს – ძალის გამოყენებით, ბრძოლით თუ უზადოდ შედგენილი კანონით. პრუდონის ეს თვალსაზრისი ფაქტობრივად ხაზს გადაუსვამს მთელ მის თეორიულ დაკვირვებებს. ალბათ ამიტომაც აღარ მისდია მან ამ თვალსაზრისს. უფრო მეტიც, შემდგომში გამოქვეყნებულ თხზულებაში „მუშათა კლასის პოლიტიკური შესაძლებლობების შესახებ“ (1865) იგი ასაბუთებს, თუ რატომ არ უნდა მიეცეთ მშრომელებს გაერთიანებისა და გაფიცვის უფლებები: თავისუფალი კონკურენცია უზრუნველყოფს მშრომელთა სათანადო ანაზღაურებას.

მიუხედავად არასწორი დასკვნებისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრუდონმა მთელი სიმძაფრით დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სოციალური სამართლიანობის პიროვნების თავისუფლებასთან გათანაბრება. ამ საკითხის პრუდონისეული გადაწყვეტა საკამათოა. იგი ძიიჩნევდა, რომ სამართლებრივი და ფინანსური გზით (მაგ., უპროცენტო კრედიტი) შეძლებდა საზოგადოების გარდაქმნას. მაგრამ კაპიტალისტურ წყობილებაში ნეგატიური მოვლენების დასაძლევად საჭირო იყო თვით ამ წყობილების ძირეული გარდაქმნა. კაპიტალისტური სისტემის ასეთ ინტერპრეტაციას გარკვეულწილად კარლ მარქსის მოძღვრება ეფუძნება.

პრუდონის მოსაზრებები განსხვავდება ანარქისტული სისტემების ნაირსახეობებისაგან. ასე მაგალითად, რუსმა რევოლუციონერმა მიხეილ ალექსანდრეს ძე **ბაკუნინმა** (1814-1876)[1] მოითხოვა პრაქტიკულად წარმოების ყველა საშუალებაზე საზოგადოებრივი საკუთრება, კერძო საკუთრება კი დასაშვებად ჩათვალა მხოლოდ განსაზღვრული ქონების მიმართ, რათა ამით სხვისი შრომის ანგარების მიზნით გამოყენება თავიდან აეცილებინათ.

ამ საკითხს კიდევ უფრო საფუძვლიანად მიუდგა რუსი ანარქისტი პეტრე ალექსანდრეს ძე **კროპოტკინი** (1842-1921)[2], რომელმაც მოითხოვა საკუთრების სრული ლიკვიდაცია, სადაც ქონება დანაწილდებოდა არა დახარჯული შრომის მიხედვით, არამედ არსებული მოთხოვნების მიხედვით. ამ სიტუაციას ანარქისტული რევოლუცია არსებული სოციალური ინსტიტუტების ნგრევის გზით მიაღწევდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიაში სოციალისტური იდეები ვერ გავრცელდა. ასეთი იდეები ცნობილი გახდა ლორენც ფონ **შტაინის** ნაწარმოების „თანამედროვე საფრანგეთის სოციალიზმი და კომუნიზმის“ საშუალებით (ლაიფციგი, 1842) და კარლ **გრიუნის** ნაშრომით „სოციალური მოძრაობა საფრანგეთსა და ბელგიაში“ (დარმშტადტი, 1845), რომლის შინაარსიც, როგორც ამას ვილჰელმ **როშერი** (1817-94) აღნიშნავს თავის ნაწარმოებში „გერმანიის ეროვნული ეკონომიკის ისტორია“, „გერმანელ პუბლიკას შორეულ ზღაპრად“ ეჩვენებოდა.

საზოგადოების რადიკალურად შეცვლისათვის იბრძოდა ვილჰელმ **ვაიტლინგი** (1808-71), რომელმაც მოითხოვა, რომ სახელმწიფოს საზოგადოების ყველა წევრისათვის სამუშაო მოხელეების შესადარი ანაზღაურებით უნდა მიეცა და ყველა შრომისუუნარო ავადმყოფები, ინვალიდები, მოხუცები და ბავშვები შეენახა. სრულიად ინდივიდუალისტური პოზიციიდან გამომდინარე გერმანელმა ფილოსოფოსმა იოჰან კასპარ შმიდტმა, ფსევდონიმით მაქს შტირნერი (1806-56), ანარქისტული აზრები განავითარა, რის გამოც მის მოძღვრებას ეგოიზმის ფილოსოფია ეწოდა.

---

1 **Бакунин** М.А., Избр. соч., т.1-5, П.-М., 1919-21.

2 **Кропоткин** П.А., Собр. соч., т.1,4-5,7, СПБ, 1906-07.

8. კარლ იოჰან როდბერტუსი (1805-1875) და ფერდინანდ ლასალი (1825-1864)

8.1. როდბერტუსის მეცნიერული სოციალიზმი

8.1.1. შემოქმედებითი თემა

მე-19 საუკუნის გერმანიაში, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო, ინგლისისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით, ნაკლებად გაერცელდა ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები. თუმცა, სოციალიზმის იქაური მიმდევრები რიკარდოს რიგ შეხედულებებს იზიარებდნენ.

ე.წ. მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად ითვლება კარლ იოჰან **როდბერტუს-იაგეტცოვი** (Rodbertus-Jagetzov), რომელმაც იურიდიული განათლება გოტინგენსა და ბერლინის უნივერსიტეტებში მიიღო. იგი 1848 წელს პრუსიის მეფის მინისტრად იყო დანიშნული მოკლე ვადით. მისი პირველი ნაშრომი, **„მუშათა კლასის მოთხოვნები"** 1837 წელს დაწერა. მისი ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი ნაშრომი სათაურად **„სოციალისტური წერილები ფონ კირხმანს"** 1850-51 წლებში გამოქვეყნდა. საბოლოოდ თაეისი თეორია ჩამოაყალიბაბამ 1871 წელს თხზულებაში **„ჩვეულებრივი სამუშაო დღე"**.

მისი მთავარი ნაშრომებია[1]: **„ჩვენი სახელმწიფოებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის შეცნობა"** (1842), **„წერილები და სოციალურ-პოლიტიკური წინადადებები"** (1882), **„კაპიტალი..."** (1884).

სხვების მსგავსად, როდბერტუსიც მიიჩნევდა, რომ მონათმფლობელთა და კაპიტალისტთა შემოსავლის წყაროს შრომის პროდუქტი წარმოადგენდა. ჭარბი პროდუქციისაგან გამოწვეული კრიზისების მიზეზად იგი თვლიდა მუშათა კლასის დაბალ ყიდვითუნარიანობას. **როდბერტუსის დოქტრინის ყველაზე მნიშვნელოვან თეზად ითვლება მის მიერ წარმოების საშუალებებზე კოლექტიური საკუთრების შემოღება.** მისი აზრით, კოლექტიური საკუთრების დაწესებით მიწაზე თუ კაპიტალზე იწყებოდა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც იგი **„ქრისტიანულ-სოციალურს"** უწოდებდა. ამასთან იგი არ იყო მშრომელთა ამბოხების მომხრე და არც კი მოსელია აზრად ოღესმე უარი ეთქვა მონარქიაზე. იგი მიიჩნევდა, რომ სოციალიზმი იყო საზოგადოების განვითარების საბოლოო მიზანი, რომლის მისაღწევად საუკუნეები იყო საჭირო.

8.1.2. ეკონომიკური დოქტრინა

როდბერტუსის აზრით, კაცობრიობა კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე გაიელის სამ საფეხურს: **„ანტიკურს"** (ემყარება ადამიანებზე საკუთრებას), **„ფეოდალიზმს და კაპიტალიზმს"** (აქ არსებობს მიწაზე და კაპიტალზე საკუთრება) და **„კომუნიზმს"** (შრომასა და ხელფასზე საკუთრებას ემყარება). იგი კლასთა ბრძოლის აუცილებლობას უარყოფდა და ამართლებდა რეფორმების გზით კომუნიზმში გადასელას.

როდბერტუსი კრიტიკულად მიუდგა კლასიკურ დოქტრინას და, ამასთანავე, დაეყრდნო რიკარდოს **შრომითი ღირებულების თეორიას.** ყველა ეკონომიკური კეთილდღეობის ფასია შრომა, ამტკიცებენ **როდბერტუსი და რიკარდო.** ეს იდეა ეხება არა მარტო მასალებს, რომლითაც მზადდება ესა თუ ის პროდუქტი, არამედ შრომის იარაღებსა და დანადგარებს, რომლებიც ასევე შრომის პროდუქტებია. მათი ცვეთა კი არაფერია, თუ არა შრომის ის ნაწილი, რომელიც ამა თუ იმ შრომის იარაღისა და დანადგარის გამოყენებით შესრულდა და გარკვეული ხარჯები მოითხოვა. ამისდა მიხედვით მშრომელებს „წმინდა სამართლებრივი იდეის მიხედვით" პრეტენზია შეიძლება ჰქონდეთ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის სრულ ღირებულებაზე, მაგრამ ფაქტობრივად ისინი მხოლოდ ამ ღირებულების ერთ ნაწილს იღებენ, რადგან დანარჩენ ნაწილს მიწისა და კაპიტალის მფლობელი რენტის სახით იღებს. ეს შემოსავალი შეუძლიათ მიიღონ მიწათმფლობელმა და კაპიტალისტმა, რადგან „ნაყოფიერი" შრომა იმაზე მეტს ქმნის, ვიდრე მუშათა ცხოვრების მოსაწყობადაა საჭირო.

---

1 **Rodbertus** K.: Zur Erkenntniss unserer staatswissenschaftlichen Zustände. B., 1842; Briefe und sozialpolitischen Aufsätze, B., 1882; Das Capital. Vierter Sozialer Brief von Kirchman, B., 1884; რუს. თარგმ.: Сочинения, СПБ., 1904; Экономические сочинения, Л., 1936.

მათ ამავე დროს უკავებენ იმ ნამატს, რომელიც მიწაზე და წარმოებრივ საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის შედეგად წარმოიშობა. ამასთანავე მუშები, რომლებსაც წარმოების პირობების განკარგვის ძალაუფლება არ გააჩნიათ, მათთვის წაყენებული შეთანხმებების მიხედვით იძულებულნი არიან, მათი წარმოების ერთი ნაწილი რენტის სახით მიწათმფლობელსა და კაპიტალისტს გადასცენ. ამიტომაც როდბერტუსის აზრით, ყოველგვარი რენტა სხვისი შრომის პროდუქტის მითვისებაა. მისი ფორმის მიხედვით, რენტის შემოსავალი შეიძლება მიწის რენტად ან კაპიტალიდან მოგებად მოგვეველინოს. რენტის სიდიდე შრომის მწარმოებლურობასთან ერთად იზრდება, რომლის დროსაც ამგვარად ინტერპრეტირებული შრომითი ღირებულების თეორიის შედეგად ხელფასის შემცირების ტენდენცია წარმოიშობა.

როდბერტუსის აზრით, მუშათა კლასის წილი ეკონომიკიდან მთლიან შემოსავლებში სულ უფრო უნდა შემცირდეს, რათა მისი აბსოლუტური წილი ეროვნულ შემოსავალში შრომის მზარდი მწარმოებლურობის შემთხვევაში უცვლელი დარჩეს, იმ დროს, როცა მიწათმფლობელისა და კაპიტალისტის წილი მუდმივად გაიზრდება.

გამოდის, რომ მშრომელთა წილი პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებში უნდა შემცირდეს, ხოლო კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელებისა კი სულ უფრო უნდა გაიზარდოს; შრომის მწარმოებლურობის ზრდა სასარგებლოა არა მუშებისათვის, არამედ კაპიტალისტებისა და მიწათმფლობელებისათვის.

როდბერტუსის დოქტრინის მიხედვით, მიწის რენტა არა მარტო შრომის, არამედ პირველ რიგში კერძო საკუთრების შედეგია; კერძო საკუთრების ხარჯზე მიწის მფლობელმა მუშა მხოლოდ არსებობისათვის საჭირო ხელფასით უნდა უზრუნველყოს; რენტის სიდიდე არა ინვენტირებული კაპიტალის სიდიდეზე, არამედ გამოყენებულ შრომაზეა დამოკიდებული, ვინაიდან რენტა პროდუქტის ღირებულების ნაწილია, პროდუქტის ღირებულება კი მით მეტია, რაც უფრო მეტი შრომა დაიხარჯა მის წარმოებაზე.

როდბერტუსის აზრით, ინვესტირებული კაპიტალისაგან დამოუკიდებლად რენტის არსებობა შესაძლებელია ისეთ საზოგადოებაში, სადაც არსებობს მიწაზე საკუთრება, რომელიც მიწის რენტის წარმოქმნის შესაძლებლობას იძლევა. კაპიტალისტურ მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალიდან მოგება ყოველთვის მთლიან შემოსავალსა და დაბანდებულ კაპიტალს შორის არსებული თანაფარდობით გამოითვლება; მოგების გამოთვლის ამგვარი ფორმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც გამოიყენება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მშრომელები პროდუქტის სიჭარბეს ფულადი შემოსავლის ნაწილად მიიჩნევენ, რომელიც გამოყენებული კაპიტალსა და მოგებას შორის არსებულ დამოკიდებულებას შეესაბამება. მათ მიერ შექმნილი ჭარბი პროდუქტის მეორე ნაწილი მათთვის არის მიწის რენტის საფუძველი. კაპიტალისტისაგან განსხვავებით, მიწათმფლობელი ბევრად უფრო ხელსაყრელ სიტუაციაშია, იმდენად, რამდენადაც მას იმ მატერიალური ღირებულების ანაზღაურება არ სჭირდება, რომელსაც იგი მიწის ნაკვეთიდან, ე.ი. ბუნებისაგან იღებს, იმ დროს, როცა კაპიტალისტმა შრომითი ღირებულების თეორიის შესაბამისად, ყველა სხვა (მ.შ. შრომის) ხარჯები უნდა აანაზღაუროს. მრეწველობაში რენტის სიდიდეზე ზემოქმედებს მხოლოდ მუშათა ხელფასები და დანადგარებისა და შრომის იარაღების ხარჯები, რომელიც მოგებას ამცირებს; სოფლის მეურნეობაშიც ადრეული პერიოდებიდან მომდინარე მასალები არ გადამუშავდება და მოგების გაანგარიშებისას იგი არ გაითვალისწინება; ამიტომ სოფლის მეურნეობაში რენტასა და გახარჯულ კაპიტალს შორის დამოკიდებულება უფრო ხელსაყრელად უნდა ჩამოყალიბდეს, ვიდრე მრეწველობაში, რადგან ამ დამოკიდებულებაში კაპიტალის შემადგენელი ნაწილები მონაწილეობენ, რომლებსაც რენტის ზრდაში წვლილი შეაქვთ. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როცა სოფლის მეურნეობაში მოგება გაიანგარიშება მრეწველობაში არსებული მოგების დაბალი განაკვეთიდან გამომდინარე, რომლის შედეგადაც იქმნება ნაშთი, რომელიც მიწათმფლობელის მიწის რენტას წარმოადგენს.

როდბერტუსის აზრით, ხელფასების შემცირების ტენდენციას შედეგად მშრომელთა მასობრივი გაღატაკება და საკმაოდ მწვავე კრიზისი მოჰყვა, რადგან მშრომელთა კეთილდღეობა არ იზრდება და მათი ხელფასიც ეროვნული შემოსავლის სულ უფრო მცირე ნაწილს წარმოადგენს. ამიტომაც, მოხმარების დონე მუდმივად ჩამორჩება წარმოების შესაძლებლობებს, რაც კრიზისული გამოვ-

ლინებების მიზეზად შეიძლება იქნეს მიჩნეული. სხვისი შრომიდან შემოსაელის მითვისება მიწისა და კერძო საკუთრების არსებობით აიხსნება. ამ საკუთრებას მოკლებულ მუშებთან შედარებით აქვს უპირატესობა, რომელიც კაპიტალისტებსა და მიწათმფლობელებს საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილებისას მშრომელებს მხოლოდ მათი არსებობისათვის საჭირო სახსრების მიღება შეუძლიათ.

ამ სიტუაციას რომ ბოლო მოეღოს, როდბერტუსის აზრით, **მიწა და კაპიტალი სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადავიდეს, რათა ამით მშრომელი სრულად უზრუნველყოს შრომიდან მიღებული შემოსავლის უფლებით.**

ამ სახელმწიფოებრივ-სოციალისტური იდეალის განხორციელება ეეოლუციურად, მშვიდობიანი გზით უნდა მოხდეს. როდბერტუსს ამ გზით სურს საზოგადოებრივ პროდუქტში შრომის პროპორციული წილის შემცირების და ასევე გაღატაკებისა და კრიზისების შეჩერება.

როდბერტუსის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიულ-განვითარებად მოსაზრებას, რომლის წარმოჩენაც მის დოქტრინას მეცნიერულ საფუძველს ანიჭებს.

ამგვარად, როდბერტუსის აზრით, კაპიტალიზმი ისტორიული სისტემის მიმდინარე ეტაპის გარდამავალი ნაწილია და, ამასთანავე, სოციალურ-ეკონომიკური წყობის „საჭირო, ისტორიულად დაფუძნებული წინაპირობაა". ამასთანავე, კაპიტალისტური ეკონომიკა დაწყებული გარდაქმნების ნიშნებს გარკვევით ავლენს. ეს წარმოების საშუალებათა მზარდ კონცენტრაციაში, მცირე და საშუალო საწარმოების შევიწროებასა და მსხვილი საწარმოების წარმოქმნაში თვალსაჩინო ხდება. ამას გარდა, თვალსაჩინოა ახალი სოციალური პრინციპი, მაშინ, როდესაც მეწარმის ფუნქციები მოხელეებზე გადადის და თანდათან ჩინოვნიკობა ყალიბდება, რომელიც მომავალ ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს; ყოველ შემთხვევაში, ამ საზოგადოებრივი განვითარებისას საქმე ეხება ხანგრძლივ პროცესს, რომელიც, საბოლოოდ, მაშინ დამთავრდება, როცა დარჩენილი მიწის ნაკვეთები და ყველა კაპიტალი სახელმწიფოს საკუთრებაში გადავა. ეს სტადია, როდბერტუსის აზრით, მხოლოდ საუკუნეების შემდეგ დადგება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა, რომ სახელმწიფომ მიიღოს ზომები იმისათვის, რომ კაპიტალიზმში მშრომელს გარანტირებული ჰქონდეს წილი საზოგადოებრივი ზრდის შესაბამისად. ეს მიღწეულ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ ხელფასების დარეგულირების გზით. სახელმწიფომ წარმოების ნებისმიერ სფეროში მუშაობისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა უნდა დაადგინოს.

ამგვარად, დადგენილი სახელფასო განაკვეთი გაზრდილი მწარმოებლურობის შესაბამისად დროდადრო შეიძლება რევიზიას დაექვემდებაროს. სწორედ ამ გზით ფიქრობდა როდბერტუსი ეკონომიკური კრიზისების მიზეზებისა და მოხმარების დონის ჩამორჩენილობის აღმოფხვრას მსოფლიოში და შემდგომი რყევებისაგან ეკონომიკის დაცვას. და, საბოლოოდ, როცა ფაქტია, რომ „სახელმწიფო ეკონომიკა მიწისა და კაპიტალის საკუთრების გარეშეა", საზოგადოების ვერცერთი წევრი შემოსავალს ვერ მიიღებს, რომელიც მის მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულების ეკვივალენტი არ იქნება. ის მოსაზრება, რომ საზოგადოება სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუციად სწრაფად ვითარდება და რომ სახელმწიფო სოციალიზმი საზოგადოებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, წარმოდგენილია საზოგადოების შესახებ როდბერტუსის დოქტრინაში.

ამ დოქტრინის განვითარებაში როდბერტუსის როლი დიდხანს შესაბამისად ვერ შეაფასეს და მის თეორიულ გამოკვლევებს სათანადო ყურადღება ვერ დაუთმეს. ეს მით უფრო გაუგებარია, რადგან მისი ნაშრომები მთელ რიგ ორიგინალურ შეხედულებას შეიცავს, რაც თეორიული აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გახდა.

ამრიგად, როდბერტუსი არა მარტო სახელმწიფოებრივ-სოციალისტური აზროვნების ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო, რომელმაც სოციალისტური აზრის მეცნიერულად დასაბუთება სცადა, არამედ იგი ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსია, რომელმაც სოციალური ინსტიტუტების სამართლებრივ-ისტორიულ ხასიათში ეკონომიკური გამოვლინებების ფარდობითობას მიაქცია ყურადღება.

8.2. ფერდინანდ ლასალი მუშათა როლისა და ხელფასების შესახებ

როდბერტუსთან ერთად გერმანული სოციალისტური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელია ფერდინანდ ლასალიც (Lassalle). იგი სწავლობდა ბრესლაუსა და ბერლინის უნივერსიტეტებში. მონაწილეობდა გერმანიაში 1848-1849 წწ. რევოლუციაში, შემდეგ დააპატიმრეს, 1849-1862 წწ. მიმოწერას აწარმოებდა მარქსთან და ენგელსთან.

1863 წელს აირჩიეს „გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის" პრეზიდენტად. პრუსიის ეგიდით გერმანიის გაერთიანებას მოითხოვდა. სოციალიზმისათვის ბრძოლაში მუშათა კლასის ისტორიულ როლს უარყოფდა.

ლასალის მტკიცებით, მშრომელებს მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ ისინი დაეუფლებოდნენ სახელმწიფოს და თუ მათ მმართველობაში მყოფი სახელმწიფო ეკონომიკურ წყობას შეცვლიდა. ამიტომ სახელმწიფოს მიერ მათ განკარგულებაში უნდა გადაეცა მწარმოებელი კოოპერაციების შესაქმნელი საშუალებები, რათა შემდგომში ამ კოოპერაციებში გაერთიანებულმა მშრომელებმა სხვა საწარმოთა თაეიანთ ხელში აღებაც შეძლონ. ამგვარი ორგანიზაციების საშუალებით თავიდან იქნება აცილებული უმუშევრობა და მშრომელს შრომის მთელი პროდუქტი გარანტირებული ექნება.

ამდაგვარი მიდგომების ამოსავალ პუნქტს ქმნის ლასალის მიერ (რიკარდოს მსგავსად) ჩამოყალიბებული „ხელფასის რკინის კანონის" თეორია, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტურ ეკონომიკაში საშუალო ხელფასი არ უნდა აღემატებოდეს არსებობისათვის საჭირო სახსრებს (საარსებო მინიმუმს), რომელიც საჭიროა მშრომელთა ჩვეულებრივად არსებობისა და გამრავლებისათვის.

ლასალის დოქტრინა ასევე გამომდინარეობს ლუის ბლანის, როდბერტუსისა და მარქსის იდეებიდან, რომელთა შეხედულებებს ერთხანს ძლიერ პროპაგანდას უწევდა ლასალი მის ნაშრომებსა და გამოსვლებში[1].

ლიტერატურა

აანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.

სპერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. ა.სილაგაძე). თბ., 2005.

გ.თევზაძე, აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, თბ., 2008.

გ.თოდუა, შარლ ფურიე, ჟ. „საქართველოს ეკონომისტი", №4, 1962; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ა.სილაგაძის რედ-ით, ნაწ. II, თბ., 2009.

კ.მარქსი: ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938; პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953; ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. 2, თბ., 1968.

გ.ჭანუყვაძე, სენ-სიმონი, ჟ. „საქართველოს ეკონომისტი", №10, 1960.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Акунин М.А., Избр. соч., т.1-5, П.-М., 1919-21

Анекштейн А., Р. Оуен, М., 1937.

Бакунин М.А., Избр. соч., т.1-5, П.-М., 1919-21.

Базар С., Изложение учения Сен-Симона, რუს თარგმ., СПБ., 1947.

Бентам И., Введение к принципам морали и юриспруденции, СПБ., 1998.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Волгин В.П.: История социалистических идей, ч.1-2, М.-Л., 1928; Французский утопический коммунизм, М., 1960; Сен-Симон и сенсимонизм, М., 1961.

Грей Дж., Сочинения, ინგლ. თარგმ., М., 1955.

1 **Lassale** F., Gesammelte Reden und Schriften, Bd. 1-12, B., 1919-1920.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Кропоткин П.А., Собр. соч., т.1,4-5,7, СПБ, 1906-07.

Луи Поль, Французские утописты: Л.Блан, Ч.К. Пеккер... М., 1923.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли от пророков до профессоров, М., 1996.

Розенберг Д.И., История политической экономии, М., 1940.

Чернов И., Луи Блан, пер. с франц. М., 1906.

Шумпетер И., История экономического анализа, т.2, Санкт-Петербург, 2004.

Bazard S., **Enfantin** P.: Doctrine de Saint-Simon. Exposition. Premiere annee, P., 1829-1830; Deuxieme annee, 1829-30, P., 1831; Изложение учения Сен-Симона, рус. თარგმ., 1947.

Bray J.: Labour's wrongs and Labour's remedy... Leeds, 1839; рус. თარგმ.: Несправедливости в отношении труда и средства к их уничтожению, М., 1956.

Campanella T.: Opere..., v.1-2, Torino, 1854; рус. თარგმ.: Город солнца, 1954.

Enfantin B.: Oeuvres de Saint-Simon et d'Enfantin, v.1-14, 16-17, 24-34, P., 1865-74.

Fourier : Theory des quatre mouvements, 1808; Traide de l'association domestique, 1822; Le Nouveau Monde industriel, 1828; Oeuvres completes, v.1.6, P. 1841-1870; рус. თარგმ.: Избр. соч., т.1-4, М.-Л., 1951-1954.

Hodskin T.: Popular political economy, L., 1827; Сочинения, ინგლ. თარგმ., М.,1938.

Lassale F., Gesammelte Reden und Schriften, Bd. 1-12, B., 1919-1920.

Malon B., Pecquer, doyen du collectivisme franqais, P., 1887.

Marcy C., Pecquer, foundateur du collectivisme d'état, P., 1934.

More T.: Complete works, New-Haven-L., 1963; The correspondence, et. E.F.Rogers, Princeton, 1947; ქართ. თარგმ.: „უტოპია", თბ., 1983.

Owen R.: The life of R.Owen written by himself, v.1, pt 1-2, L., 1857-1858; рус. თარგმ.: Избр. соч. т.1-2, М.-Л., 1950.

Pecquer C., Economie Sociale, P., 1839; Theorie nouvelle d'économie et politique, P.. 1842; De la republique de Diéu, P., 1844.

Proudhon P.J.: Oeuvres complètes, nouvele ed., sous la direction de C. Bougle et H. Moysset, V.1-12, P., 1923-46; Systéme des contradiction économiques, ou Philosophie de la misére, t.1-2, P.1846; рус. თარგმ.:Что такое собственность? М., 1997.

Rodbertus K.: Zur Erkenntniss unserer staatswissenschaftlichen Zustände. B., 1842; Briefe und sozialpolitischen Aufsätze, B., 1882; Das Capital. Vierter Sozialer Brief von Kirchman, B., 1884; рус. თარგმ.: Сочинения, СПБ., 1904; Экономические сочинения, Л., 1936.

Saint-Simon: Oeurves completes, v.1-6, P., 1966; рус. თარგმ.: Избр. соч., т.1-2, М., 1948.

Sismondi S., Nouveaux principes d'économie politique, ou de la richesse dans ses rapports avec la population, t.1-2, P., 1819; рус თარგმ.: Новые начала политической экономии или о богатстве в его отношении к народонаселению, т.1-2, М., 1937.

Spühler V., Saint-Simonismus. Lehre und Leben von Saint-Amand Bazard, Z., 1926.

Thompson W.: An inquiry into the principles of the distribution of wealth most conductive to human happiness, L., 1824; Labor rewarded, L., 1927; Practical directions for the speedy and economical establisment of communities, L., 1830.

Zouaoui A., Sozialisme et internationalisme, C.Pecqueur, Geneva, 1964.

თავი VIII.
კარლ მარქსის (1818–1883) რევოლუციური დოქტრინა

1. ცხოვრება და შემოქმედება (1818–1845). გზა მატერიალიზმისა და კომუნიზმისაკენ

1.1. „მემარცხენე ჰეგელიანელებიდან" ათეისტობამდე

კარლ ფრიდრიხ **მარქსი** (Marx) დაიბადა ქ. ტრირში, ებრაელი ადვოკატის ჰაინრიხ მარქსის ოჯახში. დედა ჰენრიეტა პრესბურგი, წარმოშობით ჰოლანდიელი იყო.

ვენის კონგრესმა ქ. ტრირი (15 ათასამდე მოსახლით რაინის მიწებთან ერთად) პრუსიას მიაკუთვნა (1815). პრუსიაში აბსოლუტური რეჟიმის დამყარებას რაინის მიწებზეც ცდილობდა.

1830 წელს მარქსი ტრირის გიმნაზიაში შევიდა. სწორედ ამ პერიოდში პრუსიის მთავრობა განსაკუთრებით მეთვალყურეობდა ფრანგული პოლიტიკური ზეგავლენის მქონე ადამიანებს. ახალგაზრდა მარქსზე განსაკუთრებული გავლენა ფრანგი განმანათლებლის ჟან ჟაკ რუსოს (1712-78) შეხედულებებმა მოახდინა. მარქსს მის გზაზე გაყოლა და ადამიანთა უფრო მეტ კეთილდღეობაზე ზრუნვა სურდა. მისი აზრით, ის, ვინც ადამიანთა უმრავლესობის კეთილდღეობას უზრუნველყოფს, უბედნიერესი ადამიანი იქნება. გიმნაზიის დაამთავრების შემდეგ, მან უარი განაცხადა ტრადიციაზე – გამომშვიდობებოდა პრუსიის მთავრობის ერთგულ ერთ-ერთ მასწავლებელს.

1835 წელს მარქსი ბონის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მონაწილეობდა სტუდენტური გაერთიანებების საქმიანობაში, რომლებსაც ლიბერალური იდეების გავრცელებისათვის სდევნიდნენ. სტუდენტურ შეხვედრებში იგი ისეთივე გულმოდგინე იყო, როგორც ლექციებზე.

1836 წელს „ლოთობისა" და „ღამის სიმშვიდის დარღვევის" მოტივით რექტორის განკარგულებით მარქსი ორი დღით კარცერში (ციხეში) ჩასვეს. მისი ქცევით შეწუხებულმა მამამ მას ბონის დატოვება უბრძანა სწავლის ბერლინში გაგრძელების მიზნით.

იმავე წელს მარქსმა სწავლა ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც დაამთავრა 1841 წელს. პირველ სემესტრში მან მოისმინა ლექციები ანთროპოლოგიაში, რომის სამართალში და სისხლის სამართალში. ლექციებს სისხლის სამართალში კითხულობდა ჰეგელის მოწაფე – პროფესორი ჰანსი, რომელიც სენ-სიმონის თავისუფლების იდეალს იცავდა. ჰანსი მცირერიცხოვან თავისუფლად მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთი იყო, რომელიც 1789-93 წწ. საფრანგეთის რევოლუციას მაღალ შეფასებას აძლევდა.

კ. მარქსი სულ უფრო მეტად ინტერესდებოდა ფილოსოფიით. 1838 წლის ზაფხულში იგი ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც დიდი აღფრთოვანებით წაიკითხა ჰეგელის ნაწარმოებები. ამ დროიდან იგი გულმოდგინედ დადიოდა „დოქტორთა კლუბში". ეს იყო ინტელექტუალთა ჯგუფი, რომელიც გერმანელი ფილოსოფოსის გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ **ჰეგელის** (1770-1831) პროგრესული იდეებისაკენ მიისწრაფოდა. მათ „ახალგაზრდა ჰეგელიანელებს", ანუ „**მემარცხენე ჰეგელიანელებს**" (დ.შტრაუსი, ძმები ბრუნო და ედგარ ბაუერები, ლ.ფოიერბახი,...) უწოდებდნენ. ამ ჯგუფში ავტორიტეტულ პიროვნებად ბრუნო ბაუერი (1809-1882) ითვლებოდა.

ჰეგელის დიალექტიკისათვის, რომელიც იდეალისტურ ბაზას ეფუძნებოდა მთავარია აბსოლუტური იდეა. „ახალგაზრდა ჰეგელიანელების" დისკუსიებშიც დიდი ადგილი რელიგიას ეთმობოდა. თუმცა, კლუბის წევრები უფრო მეტად ათეისტები იყვნენ. მარქსიც მათ თვალსაზრისს იზიარებდა.

ამ პერიოდში ლიბერალური მისწრაფებების წინააღმდეგ პოლიციის ზემოქმედება გაძლიერდა. მარქსი იმედოვნებდა, რომ იგი ბერლინში პედაგოგის სამუშაოს იშოვიდა, მაგრამ ამაოდ. 1841 წელს მან დაწერა დისერტაცია (თემა „**განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს**[1]

---

1 **ანტროპოლოგია** (ბერძნ. anthrōpos – ადამიანი და logos – მოძღვრება) ადამიანის ბიოლოგიური ბუნების, წარმოშობის, რასების შემსწავლელი მეცნიერება.

ნატურფილოსოფიას შორის“) იმ იმედით, რომ ბონის უნივერსიტეტი მიიწვევდა, მაგრამ იმისათვის, რომ უნივერსიტეტის კათედრის პროფესორის თანამდებობა მიეღო, იგი ლიბერალურ იდეებს უნდა გამოეჯვნოდა. ვინაიდან ბერლინის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვა საკმაო ხარჯებს მოითხოვდა, მარქსმა იენის უნივერსიტეტში გაგზავნა ნაშრომი, საიდანაც ფილოსოფიის დოქტორის დიპლომი მიიღო (1841 წ. 15 აპრილი).

1842 წელს, ბონში დაბრუნების შემდეგ, მარქსი ლიბერალურ გაზეთში „რაინიშე ცაიტუნგში“ (“Rheinische Zeitung”) თანამშრომლობდა. თავის სტატიებში პრუსიის მთავრობას აკრიტიკებდა, შემდეგ კი თანდათანობით საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებით და, კერძოდ, ფრანგი სოციალისტების ნაშრომებით დაინტერესდა. იგი მაშინ თვლიდა, რომ ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის აზროვნებას უნდა შეეხოს, რათა იგი საზოგადოებრივი ორგანიზაციის არსში სწორად გაერკვეს. მისი აზრით, პროგრესულ ადამიანებს მმართველები საზოგადოების ძირეულ რეფორმების აუცილებლობაში უნდა დაერწმუნებინათ.

მას შემდეგ, რაც მარქსი გაზეთის მთავარი რედაქტორი გახდა (1842), მთელი თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით წარმართა. შესაბამისად, იგი „ახალგაზრდა ჰეგელიანელების“ აბსტრაქტულ დისკუსიებს თანდათანობით სცილდებოდა.

1843 წლის 1 აპრილიდან გაზეთმა „რაინიშე ცაიტუნგმა“ იძულებით ფუნქციონირება შეწყვიტა, რის შედეგად ლიბერალებმა თავიანთი აზრების გამოხატვის ერთადერთი საშუალება დაკარგეს. „ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა“ უკან დაიხიეს. ხელისუფლების ასეთი ნაბიჯი მარქსმა გამოწვევად მიიღო და საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა, რათა იქედან პოლიტიკური ბრძოლა განეგრძო. ამ მიზნით მან ხელშეკრულება დადო ახალი ჟურნალის გამოსაცემად, რომელიც ფრანგი და გერმანელი მკითხველისათვის განკუთვნილი იქნებოდა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მან ცოლად მთავრობის საიდუმლო მრჩეველის ლუდვიგ ფონ ვესტფალენის ქალიშვილი, ჟენი ფონ ვესტფალენი (დაბ. 1814 წ.) შეირთო, რომელზედაც უკვე შვიდი წელიწადი დანიშნული იყო. ქორწინების შემდეგ მას სახელმწიფო სამსახური შესთავაზეს, მაგრამ ეს წინადადება უარყო.

1843 წლის ოქტომბერში მარქსი პარიზში ჩავიდა. 1844 წლის თებერვალში მისი ინიციატივით ახალი ჟურნალის – „გერმანულ-ფრანგული ალმანახი“ („Deutsch-Französische Jahrbücher“) პირველი ნომერი გამოვიდა. გამოცემაში დაბეჭდილი იყო კ.მარქსის სტატია – „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესახებ“, სადაც მან ზოგადად პირველად სოციალისტური რევოლუციის შესახებ თავისი იდეა წარმოადგინა.

ეს სტატია უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომის – „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესახებ“ შესავალს (გამოქვეყნდა 1931 წ.)[1] წარმოადგენდა. მან დიდი ყურადღება მიიქცია. პოლიციამ ახალი ჟურნალის საშიში ხასიათი შენიშნა. პოლიციის ერთი თანამშრომლის შეტყობინებით, ასეთი გამოცემა, თავისი სკანდალური ხასიათით მანამდე გამოცემულ რევოლუციურ პრესას აღემატებოდა. გერმანიაში მისი რეალიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. შემდგომში ამ ყოველწლიური „ალმანახის“ მეორე ნომერი აღარ გამოცემულა.

მარქსი ბეჯითად განაგრძობდა მუშაობას. თურმე მას ხშირად 3-4 დღე არ ეძინა და უამრავ ლიტერატურას თავჩაქინდრული კითხულობდა. პარალელურად იგი გერმანულ ემიგრანტულ გაზეთში – „Vorwärts“ („წინ“) თანამშრომლობდა, რომელიც პარიზში გამოიცემოდა, სადაც სილეზიის ფეიქართა 1844 წლის აჯანყებაზე წერილი გამოაქვეყნა, რომელშიც რევოლუციის გარიჟრაჟს ხედავდა. თუმცა, ამბოხება ჩაახშვეს. მარქსმა თავისი თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად ეკონომიკური მეცნიერებისა და ისტორიის ღრმად შესწავლა დაიწყო. იმავდროულად იგი კომუნისტური მუშათა კავშირების საიდუმლო შეკრებებს ესწრებოდა.

---

1 დემოკრიტე (Dēmokritos, დაახლ. ძვ. წ-ით 460-370) – ბერძენი ფილოსოფოსი მატერიალისტი, ანტიკური ატომისტიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი, დაუპირისპირდა პლატონის იდეალიზმს. მისი აზრით, არსებობენ მხოლოდ ატომები (განუყოფელი მატერიალური ელემენტები) და სიცარიელე.

1.2. ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲐ (1844 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ)

1844 წლის შემოდგომაზე მარქსი პარიზში ფრიდრიხ ენგელსს შეხვდა, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა დაამყარა. მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება მარქსი მასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. ენგელსი შეძლებული გერმანელი მრეწველის შვილი იყო. მისი მამა მანჩესტერში ბამბის სართავ ფაბრიკას ფლობდა. როდესაც იგი 1843 წ. ინგლისელი და გერმანელი მუშების გაჭირვებას ახლოს გაეცნო, კომუნიზმის მიმდევარი გახდა.

1844 წელს მარქსმა რამდენიმე სტატია (რომელიც 1927 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში გამოიცა) დაწერა – **„ეკონომიკურ-ფილოსოფიური ხელნაწერების“**[1] სახელწოდებით.

„ხელნაწერებში მარქსმა დაგმო სმითის შეხედულება, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სიმდიდრის ზრდის შედეგად, თითქოს მუშათა კლასის მდგომარეობა გაუმჯობესდება; თითქოს, მიწის რენტის ფაქტორია მიწის ნაკვეთების სხვადასხვა ნაყოფიერება. ავტორმა კერძო საკუთრებას კომუნიზმის იდეა დაუპირისპირა, სადაც ასეთი საკუთრება აღარ იარსებებს.

შემდგომში ფ.ენგელსთან ერთად (1844) თავისი ადრინდელი მეგობრების – „ახალგაზრდა ჰეგელიანელების“ ბრუნო **ბაუერის** (Bauer, 1809-1882) და მისი მიმდევრების წინააღმდეგ პოლემიკური ხასიათის სტატია დაწერა, რომელიც 1845 წელს ფრანკფურტში გამოქვეყნდა სათაურით **„წმინდა ოჯახი**, ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა ბრუნო ბაუერისა და კომპანიის წინააღმდეგ“[2].

ნაშრომში ჩამოყალიბებულია ისტორიული მატერიალიზმის იდეები. ამასთან, გაკეთებულია დასკვნა, რომ საზოგადოების განვითარების საფუძველია მატერიალური წარმოება; ისტორიას ქმნის არა პიროვნებები, როგორც ამას ბაუერი და მისი მომხრეები თვლიდნენ, არამედ ხალხის მასა, კერძო საკუთრება არ არის მარადიული მოვლენა; საქონლის ღირებულების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია შრომითი დანახარჯები; პროლეტარიატი შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას კერძო საკუთრების წინააღმდეგ.

„ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკასთან“ ერთად „წმინდა ოჯახი“ თავისი მოძღვრების გარკვეულ მონახაზებს შეიცავდა. იმ დროიდან, რაც „ახალგაზრდა ჰეგელიანებთან“ ერთად იმედოვნებდა, რომ პრუსიის მეფეს სოციალური რეფორმების აუცილებლობაში დაარწმუნებდნენ, იგი თავს ჰეგელის მოწაფედ თვლიდა. როგორც კი ეს იმედი გაუქრა, მან ჰეგელის ფილოსოფია გააკრიტიკა, რაშიც განსაკუთრებით 1839 წელს გამოქვეყნებული გერმანელი ფილოსოფოს-მატერიალისტისა და ათეისტის ლუდვიგ **ფოიერბახის** (1804-1872) შრომას „ქრისტიანობის არსებას“ ეყრდნობა. თავის მხრივ, მარქსმა თავის ნაშრომში **„თეზისები ფოიერბახის შესახებ“** (1845) გააკრიტიკა ფოიერბახის მატერიალიზმი და საზოგადოების რევოლუციურ პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა.

ფოიერბახმა, რომელიც „მატერიალიზმის“ ნიადაგზე იდგა, პირველმა დაძლია ახალგაზრდა მემარცხენე ჰეგელიანთა იდეალიზმი და, აქედან გამომდინარე, საზოგადოების „ჰუმანისტური“ მოძღვრების შემუშავება სცადა. ადამიანი უნდა განთავისუფლებულიყო ყოველგვარი (განსაკუთრებით რელიგიური) ილუზიისაგან, რომელიც ბოჭავს და „აუცხოებს“ მას და მაშინ იგი ბედნიერებას კოლექტიურ ცხოვრებაში პოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ფოიერბახი კერძო საკუთრების საკითხს არასოდეს არ განიხილავდა, მისი „ჰუმანიზმი“ კომუნიზმისაგან შორს არ იდგა. შემთხვევითი როდია, რომ ზოგიერთი ფოიერბახის მოძღვრებას კომუნისტური რწმენის დასასაბუთებლად იყენებდა. ასე მაგალითად, ა. ჰესმა სტატიაში – „სოციალიზმი და კომუნიზმი“ (1843) გამოთქვა აზრი, რომ ადამიანის გაუცხოება შეიძლება ავიცილოთ როგორც რელიგიის უარყოფით, ასევე კერძო საკუთრების გაუქმებითაც. მარქსი კი პირიქით, – 1844 წლიდან იმ რწმენით ხელმძღვანელობდა, რომ საჭიროა საზოგადოების გარდამქმნელი ძალის ფლობა. ეს ძალა, მისი აზრით, ექსპლუატირებულ მუშებში იყო. ასეთი პოზიციით იგი რევოლუციონერებს – ფრანგ არმანდ **ბარბეს** (1809-1870) და

---

1 **ეპიკურე** (Epicuros, ძვ. წ. 441-270) ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი, ანტიკური ატომისტური მოძღვრების გამგრძელებელი. მისი აზრით, სამყაროს შექმნაში ღმერთი არ მონაწილეობს; ადამიანის თავისუფლების საფუძველია ატომი.

2 კ.მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თბ., 1971.

რუს მიხეილ ალექსადრეს ძე **ბაკუნინს** (1814-1876) ეთანხმებოდა. ამ უკანასკნელმა დასავლეთ ევროპაში ცხოვრებისას გერმანელი ემიგრანტი მუშების ლიდერთან ვილჰელმ ვაიტლინგთან ერთად შეეცადა შეიარაღებული საფრანგეთსა და ინგლისში საიდუმლო ორგანიზაცია „წმინდანთა კავშირი“ დააარსა.

ვ.ვაიტლინგი (Weitling, 1808-1871), გერმანელი მუშა, პროფესიით თერძი, 1842 წელს შვეიცარიაში გამოცემულ ნაშრომში „ჰარმონიის და თავისუფლების გარანტიები“, მუშათა კლასს ბურჟუაზიული საზოგადოების დამხობისა და კომუნისტური საზოგადოების დამყარებისაკენ მოუწოდებდა. მარქსმა, მართალია, ეს ნაშრომი შეაქო, მაგრამ მხედველობიდან მისი სუსტი მხარეებიც არ გამოპარვია. ვაიტლინგმა თავის მოკავშირეებს თვალი აუხვია და ისეთი საზოგადოების მოდელი წარმოადგინა, სადაც მომავალში სურვილის შესრულება ყველას შეეძლებოდა, რადგან ყველა საგანი სახელმწიფო საკუთრება გახდება.

„ხელნაწერებში“ (1844) მარქსი გაემიჯნა ამ ვულგარულ კომუნიზმს, რომელშიც კარგს ვერაფერს ხედავდა. მიუხედავად იმ დისტანციისა, რომელიც განათლებული ფილოსოფოსის ქცევასა და ხშირად უხეში, უკულტურო მუშის თვალსაზრისს შორის არსებობდა, მარქსი შემდგომში მყარად დაადგა იმ პოზიციას, რომ საზოგადოების გარდაქმნა მხოლოდ მუშათა აქტიურობითაა შესაძლებელი. ამ თეზისში, რომელიც სრულიად ახალი საფუძვლით სოციალისტურ იდეას გამოხატავდა, ისტორიაზე ჰეგელის შეხედულებების ზეგავლენა ადვილად შეიმჩნევა. ამ პერიოდში მარქსი სრულიად არ უწევდა ანგარიშს, თუ რას უმადლოდა იგი ფილოსოფოსებს, პირიქით, ხაზს უსვამდა ჰეგელისაგან მის განსხვავებას.

მარქსი უარყოფდა ჰეგელის ფილოსოფიას, ვინაიდან იგი, მისი აზრით, საზოგადოებრივ პრობლემებს არადამაკმაყოფილებლად წყვეტდა. რეალურად, ჰეგელის ნაშრომში „სულის ფენომენოლოგია“ (1807)[1] საკმაოდ ნათლადაა გამოხატული ის რწმენა, რომ „სრულყოფილი საზოგადოება“ რეალიზებული ვერ იქნება, თუნდაც საჭირო რევოლუციებითაც კი — თუ ადგილი ექნებოდა რევოლუციებს, არ იქნებოდა ისტორიაც, რადგან სოციალური საკითხები გადასაწყვეტი აღარ დარჩებოდა.

საფრანგეთის რევოლუციის შემდგომი პერიოდის მაგალითზე ჰეგელმა ასახა რევოლუციური ეპოქა, როცა ადამიანებს სჯერათ, რომ სრულყოფილ თავისუფლებას მიუახლოვდნენ. ამის შემდეგ ძალაუფლებას ძლიერი პიროვნება ეუფლება და ძველი წყობილების აუცილებელი დაშლის შემდეგ საზოგადოების ახალი სტრუქტურა შეიქმნება.

ჰეგელის აზრით, ახალი სტრუქტურები პროგრესს არ გამორიცხავენ. ახალ საზოგადოებრივ ფორმებს ძველთან შედარებით ყოველთვის უპირატესობა აქვთ — კაცობრიობა თავისუფლებას უახლოვდება. ჰეგელი მცდარად თვლიდა იმ წარმოდგენას, რომ მომავალში შეიძლება მიღწეულ იქნეს ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც ადამიანები სრულიად თავისუფალნი იქნებიან. ეს ნიშნავს, რომ ისინი შეიგნებენ ერთ რამეს — რომ მხოლოდ საკუთარ თავს და ამავე დროს საზოგადოების ჩვეულებსა და კანონებს უნდა დაემორჩილონ. საზოგადოებრივი წყობილება ყოველთვის საჭირო იქნება, რომ ინდივიდმა ძალები დაძაბოს, საზოგადოებაში თავისი როლი შეიგნოს და ამით თავისუფლებას მიაღწიოს. საზოგადოებრივი ინსტიტუტების პროგრესი შესაძლებელს ხდის, რომ თანდათანობით სულ უფრო მეტ ინდივიდს, და ბოლოს ინდივიდების მთელ ერთობლიობას ეს შეგნება დაეუფლოს.

პოლიტიკური მოქმედებისადმი ასეთი მიდგომით ახსნება ჰეგელის მიერ თავის „ფენომენოლოგიაში“ ხელოვნების, რელიგიის და ფილოსოფიის სულის განვითარების საფეხურად განხილვა. მხოლოდ ჩამოთვლილი მოვლენებით (და არა პოლიტიკური საქმიანობით) შეუძლია სულს რეალობასთან შეთანხმება. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ჰეგელის დასკვნა, რომ ფილოსოფოსს პოლიტიკურ საქმიანობაზე უპირატესობა აქვს და რომ მას მისი შეცვლა შეუძლია. სწორედ ამ აზრით აწარმოებდა ახალგაზრდა მარქსი ფილოსოფიური ნაშრომის ინტერპრეტაციას.

მარქსი აკრიტიკებდა ჰეგელს იმის გამო, რომ მან იმ ადამიანებს, რომლებმაც საზოგადოებრივი ნაკლოვანებები შეიცნეს, ალაყაფის „უკანა კარები“ გაუღო. ფოიერბახის კრიტიკის საფუძვლებზე მარქსი ამტკიცებდა, რომ ჰეგელი მოწადინებული იყო მხოლოდ „შინა ცხოვრებას“ შეხებოდა და არა ადამიანის რეალურ ისტორიულ არსებობას.

---

1 **Гегель Г.**, Феноменология духа, 1807.

ჰეგელის პოზიციის უარყოფის შემთხვევაში საჭიროა საწინააღმდეგო თეზისის შემუშავება, რომ შეიძლება და აუცილებელია გაუცხოების მთლიანად აცილება და სრულყოფილი საზოგადოების რეალიზება. ამისათვის მარქსი კერძო საკუთრების რადიკალურ კრიტიკას მიმართავს. მისი დასკვნით, კერძო საკუთრება უნდა გაუქმდეს. ფიხტეს შემდეგ ჰეგელმა თავის „სამართლის ფილოსოფიაში"[1] კერძო საკუთრება განმარტა, როგორც საშუალება, რომელიც ადამიანის არსებობის შესაძლებლობასა და თავისუფლებას უზრუნველყოფს. ჰეგელიც ამჩნევდა, რომ კერძო საკუთრება წინააღმდეგობებს, ადამიანთა შორის დაპირისპირებას იწვევს, მაგრამ თვლიდა, რომ ეს ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში მოგვარებადია.

ზოგიერთ პოლიტეკონომისტსა და მარქსს ესმოდათ, რომ, ერთი მხრივ, საქონლის ღირებულება დამოკიდებულია მისი წარმოებისათვის საჭირო შრომაზე და, მეორე მხრივ, **მუშა მოიხმარს მხოლოდ იმას, რაც აუცილებლად საჭიროა მისი არსებობის შენარჩუნებისათვის.** თუმცა მან უფრო რადიკალური დასკვნა გააკეთა, ვიდრე სოციალისტ-რიკარდოელებმა. მისი მტკიცებით, პოლიტეკონომიის დახმარებით კერძო საკუთრება უნდა გაუქმდეს.

ადასტურებს რა დებულებას, რომ **საქონლის ღირებულება დამოკიდებულია მასზე დახარჯულ შრომაზე.** პოლიტეკონომია ამტკიცებს, რომ საკუთრების „არსებითი" მხარე შრომაშია. რასაც მითვისებენ, სხვა არაფერია, თუ არა შრომა. მაგრამ მუშა თავისი შრომის ნაყოფს სრულად არ ფლობს. იგი მიიღებს მხოლოდ იმას, რაც მისი არსებობისათვის საჭიროა. გამოდის, რომ კერძო საკუთრების შედეგია ადამიანის გაუცხოება.

ჰეგელის საპირისპიროდ, მარქსი მიიჩნევს, რომ კერძო საკუთრება თავისუფლების განხორციელების მუდმივი პირობა არავითარ შემთხვევაში არ არის. კერძო საკუთრება თავისი არსით არ არის ადამიანის ყოველგვარი ადამიანური სახის დაკარგვის მიზეზი, რომელსაც მარქსი „გაუცხოებას" უწოდებდა. იგი ამ ტერმინს იყენებდა იმავე მნიშვნელობით, როგორც ფოიერბახი, რაც ნიშნავდა აუტანელს, ბუნების საწინააღმდეგო მდგომარეობას. მარქსი დაუშვებლად მიიჩნევდა გაუცხოებისაგან წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევას სახელმწიფოს ჩარევით, ვინაიდან სახელმწიფოც გაუცხოების პროდუქტიაო.

მარქსი უკვე **კერძო საკუთრების გაუქმების მოთხოვნას** მიუახლოვდა. ამასთან დაკავშირებით „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში" იგი წერს, რომ „კერძო საკუთრების იდეის მოსპობისათვის საკმარისია კომუნიზმის იდეა. კერძო საკუთრების მოსპობისათვის კი რეალურ სინამდვილეში საჭიროა ნამდვილი კომუნისტური მოქმედება"[2].

მარქსი ხაზს უსვამდა, რომ კომუნიზმი არის მხოლოდ განვლილი ისტორიის აუცილებელი უარყოფა. მისი ამოცანაა იმ გზის ჩვენება, რომლითაც ადამიანი ბუნებასთან შეთანხმებას შეძლებს. ეს შეთანხმება რეალიზებული იქნება პოზიტიური ჰუმანიზმის დროს — მხოლოდ მაშინ, როცა კომუნისტური რევოლუცია განხორციელდება და გამოცანის საიდუმლოება აიხსნება.

მაგრამ რა საშუალებით უნდა განხორციელდეს რევოლუცია?

მარქსის აზრით, საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნა ძალის გამოყენებას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა, რომ კრიტიკის იარაღი ვერ შეცვლის იარაღის კრიტიკას, მატერიალური ძალა უნდა დაემხოს მატერიალური ძალით — თეორია გადაიქცევა მატერიალურ ძალად მხოლოდ მაშინ თუ იგი მასებს მოედება.

სად უნდა მოიძებნოს ის „მატერიალური ძალა", რომელსაც საზოგადოებრივი ცვლილებები შეუძლია მოახდინოს?

ამ შეკითხვის პასუხად მარქსმა ფ.ენგელსთან ერთად დაწერილ ნაშრომში „წმინდა ოჯახი", პროლეტარიატზე მიუთითა: პროლეტარიატს სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც კერძო საკუთრებამ პროლეტარიატის წარმოშობით საკუთარ თავს გამოუტანა, ზუსტად ისევე, როგორც მას სისრულეში მოჰყავს განაჩენი, რომელიც დაქირავებულმა შრომამ თავის თავს გამოუტანა, იმით, რომ სხვის სიმდიდრეს და თავის სიღატაკეს ქმნის[3].

კ.მარქსმა შეამჩნია, რომ მუშათა ზოგჯერ უხეშ მოთხოვნებში მათი დაძმობილების დიდი საჭი-

1 **Гегель Г.**, Основы философии права, 1821.
2 **Маркс К., Энгельс Ф.**, Из ранних произведений, გვ. 606.
3 **Маркс К., Энгельс, Ф.**, Соч, т. 2, გვ. 39.

როებაცაა გამოხატული. აქედან გამომდინარე მას მიაჩნდა, რომ მათი გაერთიანებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა დოქტრინა, პროპაგანდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კ.მარქსის **ადრეული პერიოდის ნაშრომებში გარკვეულწილად უკვე დასაბუთებულია სოციალური რევოლუციის დოქტრინა.** მარქსმა ეს დოქტრინა დაუპირისპირა ჰეგელის დოქტრინას, თუმცა იგი მისი იდეებისაგან დიდად დავალებულია. არსებითად, მარქსის დოქტრინაში სიახლეა ის, რომ მან, ჰეგელის მსგავსად, არა მარტო რევოლუციის ზოგადი დოქტრინა შემოგვთავაზა, არამედ მსოფლიოს ახალი რეალიებიდან გამომდინარე (ჰეგელისაგან განსხვავებით) ახალი რევოლუციის აუცილებლობის იდეა წამოაყენა და დაასახელა ის კლასი, რომელსაც ეს რევოლუცია უნდა განეხორციელებინა.

2. ცხოვრება და მოღვაწეობა (1845-1848). ისტორიზმის პრინციპი

პარიზში მარქსის მოღვაწეობამ პრუსიის მთავრობა ააფორიაქა. 1845 წელს პრუსიის მთავრობამდე მიაღწია ცნობამ საფრანგეთიდან მარქსის გაძევების შესახებ. იგი ბრიუსელში დასახლდა იმ პირობით, რომ პოლიტიკური ხასიათის შრომებს არ გამოაქვეყნებდა.

1845 წელს ფ.ენგელსთან თანამშრომლობით კ. მარქსი შეუდგა ფილოსოფიური ნაშრომის – „გერმანული იდეოლოგიის" წერას (1845-1846), მაგრამ იგი ვერ გამოქვეყნდა, რადგან გამომცემელი ვერ იპოვეს. ნაშრომი გამოიცა მხოლოდ 1932 წელს. მასში პირველად იყო ჩამოყალიბებული ის, რასაც შემდეგში „ისტორიული მატერიალიზმი" ეწოდა.

მარქსი კომუნისტურ მუშათა კავშირს თავის მოსაზრებებს აწვდიდა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი იყო ვილჰელმ ვაიტლინგის (Weitling, 1818-1871) „წმინდანთა კავშირი". ლონდონში მცხოვრებმა ამ კავშირის წევრებმა გერმანიის მუშათა კავშირი დააარსეს. ისინი სისტემატურად მართავდნენ დისკუსიებს ინგლისური ენის, გეოგრაფიის, ისტორიის, ხატვის, ფიზიკის, სიმღერისა და ცეკვის საკითხებზე, აგრეთვე, კომუნისტურ პოლიტიკურ თეორიაში.

მარქსმა ამ ჯგუფთან ურთიერთობითა და მისი მხარდაჭერით კომუნისტური „საინფორმაციო კომიტეტი" დააარსა, რომლის ცენტრი ბრიუსელში უნდა ყოფილიყო. ამ კომიტეტს სხვადასხვა კომუნისტურ და სოციალისტურ ჯგუფებს შორის დისკუსიები უნდა მოეწყო. მარქსმა პრუდონს ამ კომიტეტის პარიზელი კორესპონდენტობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. ვაიტლინგიც გვერდზე გადგა – იმის შიშით, რომ ინტელექტუალებს არ გაერიყათ.

მართლაც, 1846 წლის 30 მარტს ბრიუსელის შეკრებაზე მარქსმა მკაცრად გააკრიტიკა რევოლუციური თეორიის უგულებელყოფის შესახებ ვაიტლინგის ბუნდოვანი მოსაზრებები. მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა გაწყდა. იმავე წელს აგვისტოში კავშირის ცენტრალური კომიტეტი გარდაიქმნა და მისი ხელმძღვანელობა ლონდონის კავშირმა ითავა.

1847 წლის მარტში მარქსი ამ კავშირს შეუერთდა, რომელიც მალე „**კომუნისტთა კავშირად**" ჩამოყალიბდა. ძველი დევიზი – „**ყველა ადამიანები ძმები არიან**", შეიცვალა ახლით – „**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**".

მარქსი ცნობილ სოციალისტებს, განსაკუთრებით კი პრუდონს მძაფრად დაუპირისპირდა. 1847 წლის ივლისში მან ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა პრუდონის ნაშრომის – „**ეკონომიკური წინააღმდეგობების სისტემა, ანუ სიღატაკის ფილოსოფია**" (1846), საწინააღმდეგო ნაშრომი სახელწოდებით - „ფილოსოფიის სიღატაკე".

ამ ნაშრომში მარქსმა ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძვლები ჩამოაყალიბა: მწარმოებლური ძალებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ერთიანობა, წარმოების წესის შეცვლის აუცილებლობა, ყველაზე მძლავრ ძალად რევოლუციური კლასი დაასახელა[1].

იგი პრუდონის მოსაზრებას ღირებულების წმინდა, აზრობრივ, მარადიულობის ცნებად გამოცხადების შესახებ არ იზიარებს და კატეგორიების (ღირებულება, საქონელი, ფული, ...) ისტორიულ ხასიათზე მიუთითა. კერძოდ, საქონლის ღირებულება მის წარმოებაზე დახარჯულ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას, ფულის წარმოშობა კი გარკვეულ წარმოების წესს უკავშირდ-

1 კ.მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938, გვ. 184.

ება; გამიჯნა ლითონის ფულისა და ქაღალდის ფულის მიმოქცევის კანონზომიერებანი; პრუდონისა და სმითისაგან განსხვავებით, შრომის დანაწილების ისტორიულ ხასიათზე მიუთითა; გააკრიტიკა რიკარდოს რენტის თეორია და ჩათვალა, რომ რენტა კაპიტალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობებს გამოხატავს და იგი ნიადაგის ნაყოფიერების შედეგი არ არის.

„ფილოსოფიის სიღატაკეში" მარქსის მიერ საფუძველი დაედო ზედმეტი ღირებულების დოქტრინის კვლევას: შრომა განსაკუთრებული საქონელია, რომელიც იმაზე მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე თვითონ ღირს და ამ ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტი ითვისებს; ჩამოაყალიბა კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მონახაზები – სიმდიდრისა და სიღარიბის ერთსა და იმავე ურთიერთობაში წარმოების შესახებ; გააკრიტიკა პრუდონის შეხედულებები კლასობრივი ბრძოლის დადებითი მნიშვნელობის უარყოფის შესახებ.

მარქსის ავტორიტეტი კომუნისტურ წრეებში სწრაფად ამაღლდა. ლონდონში კომუნისტთა კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში მან ახლო მომავალში რევოლუციის გარდაუვალობა იწინასწარმეტყველა. „კავშირმა" მარქსსა და ენგელსს პარტიის პროგრამის შედგენა დაავალა. ასე წარმოიშვა ცნობილი **„კომუნისტური პარტიის მანიფესტი"**[1], რომელიც 1848 წელს ლონდონში, გერმანულ ენაზე გამოიცა. იმავე წლის თებერვალში პარიზში რევოლუცია მოხდა („კომუნისტური მანიფესტი" ფრანგულ ენაზე მხოლოდ 1848 წლის მაისში გამოიცა).

„კომუნისტური მანიფესტის" შექმნის პერიოდში მარქსის თვალსაზრისი მნიშვნელოვნად შეიცვალა. იგი უკვე თავისი კომუნისტური რწმენის დასაბუთებას ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან ცდილობდა. აქამდე მარქსი კერძო საკუთრების მიერ ადამიანის გაუცხოების დოქტრინას ეყრდნობოდა, რომელსაც ისტორია შედარებით ნაკლებად ითვალისწინებდა. მართალია, მან მის თანამედროვე სიტუაციას ანგარიში გაუწია, მაგრამ, თუ რომელმა ისტორიულმა პროცესმა განაპირობა კაცობრიობის გაუცხოება, არ აუხსნია. მისთვის კერძო საკუთრებას (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული მასშტაბით) იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რა მნიშვნელობითაც იგი **მორელთან**[2] და მის მიმდევრებთან იყო წარმოდგენილი. კერძოდ, იგი წარმოადგენდა კატასტროფას, რომელიც კაცობრიობას თავს დაატყდა. ამჯერად კი მარქსი იმ ისტორიული პროცესის ახსნას ცდილობს, რომელმაც შექმნილი სიტუაცია განაპირობა. ამ მდგომარეობას იგი შრომის დანაწილებაში ეძებდა, რადგან ადამიანთა მოთხოვნილება „ბუნებრივად" წარმოიშვა და შრომის დანაწილებით სხვადასხვა ინდივიდს მატერიალური და სულიერი სიუხვის განაწილების შესაძლებლობა ექნება.

. კ.მარქსის აზრით, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი ადამიანები, რეალობიდან გამომდინარე, აზროვნებას იცვლიან და ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. ისტორიის ახსნისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ადამიანთა მოთხოვნილებისა და მწარმოებლური ძალების გამოკვლევა. ამგვარი განმარტებით, შესაძლებელი ხდება სოციალისტური რევოლუციის გაგება, რადგან ის იმ წინააღმდეგობათა შედეგებს წარმოადგენს, რაც მწარმოებლური ძალების განუწყვეტელი განვითარების გამო სოციალურ ინსტიტუტებსა და ზემოაღნიშნულ ძალებს შორის წარმოიშობა.

უფრო გვიან, განსაკუთრებით ნაშრომის – **„პოლიტეკონომიის კრიტიკისათვის"** წინასიტყვაობაში (1859)[3] მარქსმა დააზუსტა განმარტება, თუ როგორ წარმოიქმნება რევოლუციები.

მარქსის აზრით, საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანები ერთმანეთთან ებმებიან გარკვეულ აუცილებელ, მათგან დამოუკიდებელ წარმოებით ურთიერთობებში, რაც მატერიალური ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურს შეესაბამება.

წინასიტყვაობაში გადმოცემულია ეკონომიკური ბაზისისა და ზედნაშენის არსი. წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ **ბაზისს** ქმნის, რაზედაც იურიდიული და პოლიტიკური **ზედნაშენი** აღიმართება და რომელსაც გარკვეული საზო-

1 კ.მარქსი და ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1954.

2 მე-18 ს-ის ფრანგი უტოპისტ-კომუნისტი - მორელი კერძო საკუთრებაზე დამყარებული წყობილების კომუნისტური წესწყობილებით შეცვლას მოითხოვდა. მისი ძირითადი ნაშრომია „ბუნების კოდექსი, ანუ მისი კანონების ჭეშმარიტი სული" (1755).

3 კ.მარქსი, წინასიტყვაობა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1963.

გადოებრივი ცნობიერება შეესაბამება[1].

მარქსის აზრით, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას. საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები წინააღმდეგობაში ვარდება არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, ანუ — საკუთრებით ურთიერთობასთან, რომლის შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ; „მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა"[2].

ეს ნაწყვეტი **ისტორიის მატერიალისტური** მარქსისტული გაგების უცხადეს ჩამოყალიბებას წარმოადგენს, რომლისგანაც უაღრესად რევოლუციური დასკვნები გამომდინარეობს.

ამრიგად, მარქსმა ახსნა მწარმოებლური ძალებისადმი წარმოებით ურთიერთობათა შეუსაბამობის კანონი და რომ მათ შორის კონფლიქტი რევოლუციის გზით გვარდება.

ნაშრომში მარქსმა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ თავისი დოქტრინა განავითარა. „არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია, - წერდა იგი, - არ ისპობა მანამდე, ვიდრე არ განვითარებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომლისათვისაც იგი საკმაო გასაქანს იძლევა და ახალი უმაღლესი საწარმოო ურთიერთობანი არასოდეს არ იჭერენ იმათ ადგილს, სანამ მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფდება"[3].

„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" პირველი თავი საქონლის ანალიზს ეძღვნება. მასში გაანალიზებულია საქონლის სამომხმარებლო და საცვლელ ღირებულებებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები; საქონლის ღირებულების სიდიდის განმსაზღვრელად საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროა დასახელებული; გაცვლაში მონაწილე პროდუქტი საქონელია, მხოლოდ იმიტომ, რომ ნივთში, პროდუქტში „მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობა" ხორციელდება.

ნივთების გაცვლის მიღმა მარქსმა ადამიანების ეკონომიკური ურთიერთობები დაინახა. მოცემული ნაშრომის რეცენზიაში ფ.ენგელსი წერს, რომ „პოლიტიკურ ეკონომიაში საქმე შეეხება არა ნივთებს, არამედ ურთიერთობას ადამიანთა შორის, საბოლოო ანგარიშით — კლასებს შორის, მაგრამ ეს ურთიერთობა ყოველთვის ნივთებთანაა დაკავშირებული"[4].

კ.მარქსის ნაშრომის მეორე თავში განხილულია „ფული ანუ მარტივი მიმოქცევა". თუ პირველ თავში გაშუქებულმა საკითხებმა შემდგომი განვითარება „კაპიტალში" ჰპოვეს, მეორე თავში განხილული პრობლემები მასში მხოლოდ ნაწილობრივ აისახა. მარქსის აზრით, ფული განსაკუთრებული ანუ საყოველთაო ეკვივალენტია, რომლის ღირებულება შრომით იქმნება. მან გამოყო ფულის ფუნქციები: ღირებულების საზომი, მიმოქცევის, გადახდის, დაგროვების საშუალება და მსოფლიო ფული; ჩამოაყალიბა მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის ფორმულა.

უკვე 1845-1846 წლებში „გერმანული იდეოლოგიის" დაწერის დროს მარქსმა ეს მიდგომა თანამედროვე საზოგადოების მიმართ გამოიყენა[5]. იგი აღნიშნავდა, რომ წარმოებრივი ძალების განვითარებაში დგება ისეთი პერიოდი, როდესაც წარმოებრივი ძალები და წარმოებრივი ურთიერთობანი იწვევენ მხოლოდ უბედურებას და წარმოებრივი ძალები დესტრუქციულ ძალებად იქცევიან, ასპარეზზე გამოდის კლასი, რომელიც საზოგადოებაში უმეტესობას წარმოადგენს, და რომლისაგანაც საფუძვლიანი, რევოლუციის აუცილებლობაზე კომუნისტური შეგნება გამომდინარეობს. „ყველა ისტორიული კოლიზია, — წერდა იგი, — ფესვგადგმულია საწარმოო ძალებსა და ურთიერთობის ფორმას შორის წინააღმდეგობაში"[6].

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საკუთრების (პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული) ფორმების ჩამოყალიბება და ერთი-მეორეთი შეცვლა მწარმოებლური ძალების განვითარებამ განაპირობა. კაპიტალისტური კერძო საკუთრების

---

1 კ.მარქსი, წინასიტყვაობა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, გვ. 406.

2 იქვე, გვ. 406-407.

3 იქვე, გვ. 607.

4 იქვე, გვ. 422.

5 **Маркс К., Энгельс Ф.**, Соч., т.2.

6 იქვე, გვ. 74.

ბატონობით განპირობებული წინააღმდეგობები კაპიტალიზმის კომუნიზმით შეცვლას განაპირობებს.

ამჯერად მარქსი პროლეტარიატის მომავალ როლზე, კომუნისტურ საზოგადოებაზე უფრო მეტ აქცენტს აკეთებდა. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივი ამოცანების ნებაყოფლობითი ორგანიზაციისა და შრომის ბუნებრივი დანაწილების პირობებში წარმატებული იქნებოდა.

მისი აზრით, კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც თითოეულს მოქმედების განსაზღვრული წრე არ გააჩნია, ნებისმიერ სფეროში (დილით ინადირო, ნაშუადღევს ითევზაო, საღამოს საქონელს მიხედო...) შეუძლია იმოქმედოს. აქ ფურიეს გავლენა იკვეთება, მაგრამ მარქსმა მისი შეხედულებები ასოციაციის (წარმოებრივი კოოპერაციების) შესახებ არ გაიზიარა. უეჭველია მას რეგულირება უფრო ფართო მასშტაბებში წარმოედგინა. იგი მექანიზაციის გამოყენების გაფართოებას მიესალმებოდა, ვინაიდან სწამდა, რომ იგი იმდროინდელი საზოგადოების სტრუქტურას დაშლიდა. გარდა ამისა, მარქსს მიაჩნდა, რომ რევოლუციის დასრულების შემდეგ წარმოებრივი ძალები კიდევ უფრო განვითარდებოდა და ადამიანებს თავისი სურვილით საქმიანობის სფეროს შეცვლა შეეძლებოდათ. იგი გაცილებით ადრე (ვიდრე 1844 წელს) მიხვდა, რომ კერძო საკუთრების მხოლოდ გაუქმება სოციალურ საკითხებს ვერ გადაწყვეტს – მან წარმოების დაგეგმვის აუცილებლობა ცნო. მისი აზრით, ინდივიდი დაგეგმვის პირობებში იქნება არა დამონებული, არამედ მას საქმიანობის საშუალება მიეცემა იმ პირობით, რომ წარმოებრივი ძალების განვითარება საქონლის სიუხვეს განაპირობებს.

მარქსის იდეები უფრო დაზუსტებითაა გადმოცემული ნაშრომში **„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“** (1848). მანიფესტის ერთი ძალზე პოპულარული წინადადება შემდეგნაირად ჟღერს: „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია“[1].

მარქსის აზრით, ამ ისტორიაში ბურჟუაზიამ უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა, როცა „დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი“[2]. უკვე დადგა პროლეტარიატის დრო, რადგან ბურჟუაზიის მიერ დანერგილი მექანიზაცია მის ხელისუფლებასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. პერიოდულად წარმოშობილი ეკონომიკური კრიზისები გვიჩვენებს, რომ არსებულ წეს-წყობილებას არ ძალუძს არსებული მწარმოებლური ძალების სრულად გამოყენება. ამავე დროს, უმუშევრობა და გაღარიბება ისე ვრცელდება, რომ უმუშევართა დასაქმება პრობლემად იქცა. „ბურჟუაზიას არ შეუძლია ბატონობა, იმიტომ, რომ არ შესწევს უნარი უზრუნველყოს თავისი მონისათვის არსებობის მონური დონეც კი, იმიტომ, რომ იგი იძულებულია ისეთ მდგომარეობამდე დააქვეითებინოს თავი ამ მონას, როდესაც მან ეს მონა უნდა არჩინოს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ ღებულობდეს იმისაგან საზრდოს“[3]. აქ ჩამოყალიბებულ თეზისს წააწყდებით ჰეგელთან, განსაკუთრებით „სამართლის ფილოსოფიაში“. როგორც უკვე ითქვა, ჰეგელმა აქედან გამოთქვა მოსაზრება კოლონიალურ დაპყრობით პოლიტიკაზე. ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მარქსმა მისი მაგალითი არ გაიზიარა. თუმცა „მანიფესტში“ მან აღნიშნა, რომ მსხვილმა ინდუსტრიამ მსოფლიო ბაზარი შექმნა და, რომ იგი ვაჭრობის განვითარებას ძალიან დააჩქარებს.

მარქსი და ენგელსი დარწმუნებული იყვნენ, რომ პროლეტარული რევოლუცია ახლო მომავალში მოხდებოდა. ისინი ყველაზე მეტად აჯანყებისაკენ განვითარებული ქვეყნების მშრომელებს მოუწოდებდნენ. აქ გათვალისწინებული არ იყო ის გარემოება, რომ ევროპელი კაპიტალისტები წინააღმდეგობების გადალახვას დროებით მაინც შეძლებდნენ თავიანთი საქონლის საზღვარგარეთ გასაღების გაზრდით – ფაქტობრივად, ასეც მოხდა.

„მანიფესტი“ მხოლოდ ჩაგრული მასების აჯანყებისაკენ მოწოდება არ არის. მარქსს განსაზღვრული მიზნები ამოძრავებდა, რომლითაც მისმა პოლიტიკურმა მოძღვრებამ ხორცი შეისხა.

მარქსის შეხედულებით, რევოლუციის პროგრესს, უპირველეს ყოვლისა, მუშათა კავშირები განაპირობებენ, რომლებიც თავიანთ თავს „კომუნისტებს“ უწოდებდნენ. მათი მიზანი იყო არა კერძო საკუთრების, არამედ ბურჟუაზიული კერძო საკუთრების გაუქმება. „კომუნიზმის განმასხვავებელ ნიშანს შეადგენს არა საერთოდ კერძო საკუთრების მოსპობა, არამედ ბურჟუაზიული საკუთრების მოსპობა“[4], ანდაც „კომუნიზმი არავის არ ართმევს საზოგადოებრივი პროდუქტების მისაკუთრების

1 კ.მარქსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 11.
2 იქვე, გვ. 14.
3 იქვე, გვ. 24-25.
4 იქვე, გვ. 26.

შესაძლებლობას, იგი მხოლოდ იმის შესაძლებლობას ართმევს, რომ ამ მისაკუთრების შემწეობით დაიმონონ სხვისი შრომა"[1].

„მანიფესტის" მიხედვით, ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მუშებმა პოლიტიკური ძალაუფლება უნდა მოიპოვოს და, ამასთანავე, წარმოების ორგანიზაცია ახლებურად უნდა მოაწყონ. პროლეტარიატმა თავისი ძალაუფლება იმისათვის უნდა გამოყენოს, რომ ბურჟუაზიას თანდათანობით წაართვას კაპიტალი და წარმოებრივი ძალები სახელმწიფოს ხელში მოექცეს. ეს ნიშნავს, რომ მმართველ კლასად ორგანიზებულმა პროლეტარიატმა წარმოებრივი ძალების ცენტრალიზაცია, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოახდინოს. ამის განხორციელება შესაძლებელია საკუთრებისა და ბურჟუაზიულ წარმოებრივ ურთიერთობებში ჩარევით, რაც არსებული წარმოების წესის გარდაუვალი შეცვლის საფუძველი გახდება[2].

ასეთი ფორმით დაზუსტებული მარქსისტული მოძღვრება უფრო რეალისტურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ეს ადრე გამოცემულ შრომებში იყო. 1846-48 წლებში მარქსს იმდროინდელ საზოგადოებაში შესაძლებელი ცვლილებების შესახებ გაცილებით უფრო ზუსტი წარმოდგენა ჰქონდა. განვითარების ეს საფეხური „მანიფესტში" აღინიშნება ტერმინით „პოლიტიკური ძალის" გაუქმება, რაც ერთი კლასის მიერ მეორის დამონების ორგანიზებული ძალით გაუქმებას ნიშნავს. აქ ისევ ჩანს გერმანელი ფილოსოფოსის იოჰან ფიხტეს (1762-1814) თეზისი „სახელმწიფოს დასასრულის" შესახებ, მაგრამ მას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უნდა გაუქმდეს არა ყოველგვარი ძალაუფლება, არამედ ერთი კლასის სასარგებლოდ არსებული ძალაუფლების მონოპოლია, თუ „განვითარების მსვლელობაში მოისპობა კლასობრივი განსხვავება და მთელი წარმოება ასოციაციაში გაერთიანებულ პიროვნებათა ხელში მოიყრის თავს, მაშინ საჯარო ძალაუფლება დაკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ძალაუფლება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ერთი კლასის ორგანიზებული ძალადობა მეორე კლასის დასათრგუნავად... ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილს მისი კლასებით და კლასობრივი დაპირისპირებით იკავებს ასოციაცია, სადაც თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა"[3].

აღსრულდა ის, რაც მარქსმა იწინასწარმეტყველა 1848 წელს?

ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება იმდენად, რამდენადაც კაცობრიობის დაახლოებით მესამედი იმ საზოგადოებაში ცხოვრობდა, სადაც წარმოების საშუალებებზე კოლექტიური საკუთრება არსებობდა და ამ საზოგადოების წარმოშობა რეალურად პროლეტარიატის მიერ განხორციელდა. მეორე მხრივ, ევროპის პროლეტარიატმა ვერ მიიღო მარქსის დანაპირები – პირველი სოციალისტური სახელმწიფო ჩამორჩენილ ქვეყანაში შეიქმნა. ის, რომ მე-20 საუკუნის რევოლუცია სხვაგვარად განვითარდა, ვიდრე ეს მარქსმა იწინასწარმეტყველა, იმის საშუალებას არ იძლევა, რომ მას „რევოლუციის მამის" ტიტულზე უარი ეთქვას. მან ხომ თავისი დროის ერთერთმა წარმომადგენელმა ზუსტად აღწერა მისი ხასიათი.

მე-20 საუკუნის რევოლუციონერები სამართლიანად ითვლებიან კარლ მარქსის მოწაფეებად. პოლიტიკურმა მოძღვრებებმა ისტორიულ მატერიალიზმთან ურთიერთკავშირში საზოგადოების შემდგომ განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მარქსმა „წმინდა ოჯახსა" და „გერმანულ იდეოლოგიაში" ადამიანის გაუცხოების საკითხს თავი აარიდა, რადგან მას შეიძლებოდა იმის აღიარებამდე მიეყვანა, რომ იგი მხოლოდ ცნობიერების (მისი შეხედულებით, ეს იყო ჰეგელის ფილოსოფიის ცდა) და არა კონკრეტულ, რეალურ ადამიანთან დაკავშირებული საკითხების განხილვას აწარმოებს.

მისი შემუშავებული ისტორიის თეორია დარვინის წინამორბედის, ფრანგი ბუნებისმეტყველის ჟან ბატისტ ლამარკის (Lamarck, 1744-1829) დოქტრინიდან გამომდინარეობდა[4].

ლამარკმა ახალი სახეობის მცენარის და ცხოველის წარმოშობა გარემოს გავლენით ახსნა. როგორც ჩანს, ფოიერბახი (ენგელსის მტკიცების საწინააღმდეგოდ) იწონებდა ამ თვალსაზრისს,

---

1 კ.მარქსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 29.

2 იქვე, გვ. 34.

3 იქვე, გვ. 35.

4 Lamarck.: Histoire naturelle des animaus sans vartebres, t.1-2,p.,1835-45; რუს. თარგმ.: Избр. произв., т.1-2, М., 1955-59; Философия зоологии, т.1-2, М.-Л., 1935-37.

რომელსაც ჰეგელი ენერგიულად უარყოფდა[1]. ფოიერბახის საშუალებით ლამარკის მოძღვრებამ მარქსზეც ზეგავლენა მოახდინა. როცა 1859 წ. ჩარლზ დარვინმა (1809-1882) „სახეობების წარმოშობის შესახებ" თავისი მოძღვრება წარმოადგინა, მარქსი ირწმუნებოდა, რომ ადამიანის განვითარებაზე ბუნების განვითარების თეორია მის მოსაზრებებს სავსებით ადასტურებს.

ისტორიული მატერიალიზმი ადამიანის „არსებობისათვის ბრძოლაში" ისტორიის გასაღებს პოულობს. მარქსის აზრით, ადამიანი ცხოველისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი თავისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიზანმიმართულად შრომობს.

გაუცხოების მარქსისტული მოძღვრება უტოპიური სოციალისტებისა და კომუნისტების თვალსაზრისთან ახლოს იდგა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარად მას შეეძლო მისულიყო იმ მნიშვნელოვან იდეამდე, რომ ისტორია მწარმოებლური ძალების განვითარებაზეა დამოკიდებული. ისტორიის ობიექტური გაგებისათვის ეს უდავოდ დიდ შენაძენს წარმოადგენს.

3. კლასიკური დოქტრინის მომხრე და კრიტიკოსი

3.1. „კაპიტალის" წარმოშობა

1848 წლის რევოლუციები, რომლებიც 1847 წლის ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული, თავდაპირველად თითქოსდა მარქსის მოსაზრებას ადასტურებდა. 1847 წელს შვეიცარიასა და იტალიაში ადგილი ჰქონდა სახალხო აჯანყებებს, რევოლუციამ იფეთქა პარიზშიც, ბელგიაში კი პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. სწორედ ამ პერიოდისათვის მარქსი ბელგიიდან გააძევეს და ერთმა მისმა მეგობარმა საფრანგეთის დროებითი მთავრობის წევრმა იგი პარიზში მიიწვია. მარქსი საფრანგეთის დედაქალაქში გაემგზავრა და იქ გერმანელ ემიგრანტთა შეიარაღებულ ჯგუფს შეხვდა, რომელთა მიზანსაც რევოლუციის გერმანიაში გადატანა წარმოადგენდა. მარქსმა ამ განზრახვის წინააღმდეგ გაილაშქრა. თუმცა ისინი გერმანიისაკენ მაინც დაიძრნენ, რაც პრუსიის არმიის მიერ მათი განადგურებით დამთავრდა.

ამ დროს ვენასა და გერმანიის ქალაქებში რევოლუციამ იფეთქა. მთელი გერმანიისათვის ერთიანი პარლამენტი შეიქმნა. მარქსი და „კომუნისტთა კავშირის" სხვა წევრები გერმანიისაკენ გაემართნენ. მარქსი კიოლნში დასახლდა და ყველა დემოკრატიულ ძალას თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. დაუყოვნებლივ შესასრულებელ პროგრამად მან სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა განიზრახა, რომელიც მაქსიმალურ უპირატესობას მისცემდა გლეხებს, მუშებს და წვრილ ბურჟუაზიას ისე, რომ კაპიტალიზმი მთლიანად არ იქნებოდა უარყოფილი.

„კავშირის" სახსრებით მან **„ახალი რაინის გაზეთი"** ("Neue Rheinische Zeitung") დააარსა, რომელიც მალე გერმანიის უმნიშვნელოვანესი გაზეთი გახდა.

მარქსს რუსეთი ევროპის რეაქციის ციტადელად (დასაყრდენად) მიაჩნდა და გარკვეული პერიოდი იგი რუსეთსა და გერმანიას შორის ომს მოელოდა, რაც რევოლუციის პროცესს დააჩქარებდა. სინამდვილეში, გერმანიასა და რუსეთს შორის ომი არ დაიწყო. გერმანიის ბურჟუაზია პრუსიის მეფისა და სხვა რეგენტების (მმართველების) მიმართ შიშნარევ მოკრძალებას გამოხატავდა. მარქსმა უარყო მონარქიის წინააღმდეგ კიოლნში მარტო შეიარაღებული მუშებით აჯანყების მომზადების იდეა. თავისი ნაწერებისა და სხვა საქმიანობის გამო იგი მრავალჯერ იქნა პასუხისგებაში მიცემული, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების მხარდაჭერით ყოველთვის ათავისუფლებდნენ.

მარქსი სულ უფრო და უფრო მეტად ვარდებოდა ფინანსურ გაჭირვებაში — იგი იძულებული გახდა გაზეთის გამოცემა შეეწყვიტა. კომუნისტების უმრავლესობა და ენგელსიც აჯანყებას მიემხრო. 1849 წელს მარქსი პარიზში დაბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ რევოლუციის უკანასკნელი ჯგუფები მთელ შუა ევროპაში, აგრეთვე გერმანიაში განადგურდა. ენგელსმა თავი შვეიცარიას შეაფარა.

1849 წლის აგვისტოში საფრანგეთიდან მორიგი გაძევების შემდეგ მარქსი ინგლისში გაემგზავრა. მისი ვარაუდით, რევოლუცია ისევ იფეთქებდა. აჯანყების ვადის დადგენისა და ორგანი-

1 Hegel G., Enzyklopädie der philosophischen Wissenschaften im Grundrisse, Hamburg, 1959.

ზებულად დახვედრის მიზნით მან საიდუმლო მუშათა ორგანიზაციაში – **„რევოლუციური კომუნისტების მსოფლიო ორგანიზაციაში“** შესვლა გადაწყვიტა.

მარქსი ისევ ეკონომიკის შესწავლას მიუბრუნდა და მალე დარწმუნდა, რომ განმეორებითი რევოლუცია შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ ახალი ეკონომიკური კრიზისის (რომელიც ჯერ არ ჩანდა) შედეგად. თავისი მოსაზრებები მან თავისი მეგობრების მიერ ჰამბურგში გამოცემულ ჟურნალში გააშუქა. პროფესიონალ შეთქმულებს, რომელთაც იგი „რევოლუციის ალქიმიკოსებს“[1] უწოდებდა, მკაცრად აკრიტიკებდა მათი აკვიატებული აზრების გამო.

მარქსს სურდა არა ავანტიურა, არამედ აქცია, რომელიც მეცნიერების მიერ აღიარებულ რეალურ სიტუაციებს დაეყრდნობოდა. 1850 წლის 15 სექტემბერს მან კავშირი გაწყვიტა იმ კომუნისტებთან, რომლებიც შეთქმულების მოწყობას კიდევ განაგრძნობდნენ. თავის ნაბიჯს იგი იმით ასაბუთებდა, რომ „კომუნისტთა კავშირის“ უმცირესობა კრიტიკულ მოსაზრებას ცვლიდა დოგმატურით, მატერიალისტურს – იდეალისტურით. არასახარბიელო პირობებში რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მათი სურვილიღა რჩებოდა.

მარქსი და მისი თანამოაზრეები მუშებს მოუწოდებდნენ გაეძლოთ ხანგრძლივი პერიოდის სამოქალაქო და საერთაშორისო მასშტაბის ომებისათვის, რის შედეგადაც შეიცვლებოდა როგორც გარე პირობები, ასევე მათი აზროვნებაც და შემდეგ პოლიტიკურ ძალაუფლებას დაეუფლებოდნენ. მათი ოპონენტები კი პირიქით, – თელიდნენ, რომ მუშებს ძალაუფლება დაუყოვნებლივ ხელში უნდა ჩაეგდოთ. თუ მარქსი გერმანელი მუშების ყურადღებას გერმანიის პროლეტარიატის სულიერი მდგომარეობის დაბალ განვითარებაზე მიაპყრობდა, მათი ოპონენტები ეროვნულ გრძნობებს და გერმანელი ხელოსნების ამჭრელ უპირატესობას ეპირფერებოდნენ, რასაც მათთვის მეტი პოპულარობა მოჰქონდა.

ჩარტისტული მოძრაობა ინგლისში (1830-50-იანი წლები) თანდათან სუსტდებოდა. მარქსი იზოლირებული იყო. ამ დროიდან მოყოლებული მარქსს, მის მეუღლეს და ოთხ შვილს მძიმე ცხოვრება მოუწიათ. იგი თანამშრომლობდა ბევრ გაზეთში – ძირითადად **„ნიუ-იორკ ტრიბუნში“**. გაზეთს, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ფურიეს მომხრეებს ეკავათ, გერმანელი ემიგრანტები კითხულობდნენ. ეს გაზეთი მსოფლიოში ყველაზე დიდი ტირაჟით გამოდიოდა – მიუხედავად ამისა, გამომცემლობა ძალზე მცირე ჰონორარს იძლეოდა.

მარქსის დახმარების მიზნით, ენგელსმა მამამისის კუთვნილ ფაბრიკაში – მანჩესტერში დაიწყო მუშაობა, რადგან იგი მარქსის შემოქმედებას საკუთარზე მაღალ შეფასებას აძლევდა. ორი ათეული წლის განმავლობაში ენგელსი მარქსს რეგულარულად ეხმარებოდა.

1862 წლის სექტემბერში მარქსმა რკინიგზის სამმართველოში მუშაობის დაწყება სცადა, მაგრამ ცუდი ხელწერისათვის უარით გაისტუმრეს. 1864 წლიდან მისი მატერიალური მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა, როცა იგი დედისა და თავისი ერთი მეგობრის დატოვებული ქონების შემკვიდრედ გამოცხადდა. მარქსმა კიდევ უფრო მოითქვა სული მას შემდეგ, რაც ენგელსმა მანჩესტერის ძაფსართავ ფაბრიკაში თავისი წილი გაყიდა და ყოველთვიურად საკმაო რაოდენობის ფულს უგზავნიდა მას. ამ პირობებში მარქსი თავის ძირითად ნაშრომზე „კაპიტალზე“ მუშაობას განაგრძობდა. მატერიალურმა სიძნელეებმა, სამუშაოს დიდმა მოცულობამ წიგნის გამოცემა დიდი ხნით შეაფერხა.

1857 წელს ახალმა ეკონომიკურმა კრიზისმა იფეთქა რომელსაც, მართალია, რევოლუცია არ გამოუწვევია, მაგრამ მარქსს კარგი სტიმული მისცა გამოეცა თავისი ნაშრომის ნაწილი სათაურით **„პოლიტეკონომიის კრიტიკისათვის“** (1859). ამ ნაშრომის შინაარსმა შემდეგში ასახვა ჰპოვა „კაპიტალის“ პირველ ტომში, რომელიც კაპიტალის წარმოების პროცესს მიეძღვნა 1867 წელს ჰამბურგში, ათასი ეგზემპლარის რაოდენობით, გერმანულ ენაზე გამოიცა. კაპიტალის მომდევნო ორი ტომი, მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსმა გამოსცა (მეორე ტომი 1885, მესამე კი 1894 წელს). მეორე ტომში გაანალიზებულია კაპიტალის მიმოქცევის პროცესი, მესამე ტომში კი კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი.

---

1 ალქიმიკოსი – ალქიმიის მიმდევარი; ალქიმია (არაბ. al-kimiya) – შუა საუკუნეების მისტიკური (იდუმალი, საიდუმლო) ძალების დოქტრინა, რომელიც ბუნებაში არარსებულ „ფილოსოფიურ ქვას“ ეძიებდა, რომლის საშუალებით ლითონები ოქროდ და ვერცხლად უნდა გადაექციათ და ყველა ავადმყოფობა უნდა განეკურნათ...

„კაპიტალის“ IV ტომი (ზედმეტი ღირებულების თეორიები), რომელიც 1905-1910 წლებში კარლ კაუცკი გამოსცა, ეკონომიკური დოქტრინების ანალიზს ეძღვნება. კერძოდ, ტომის I ნაწილში ძირითადად გაანალიზებულია მერკანტილისტების, ფიზიოკრატების და ა.სმითის დოქტრინები. II ნაწილი – თითქმის მთლიანად დრიკარდოს, III ნაწილი კი „ვულგარული“ დოქტრინების კრიტიკას ეძღვნება.

ცნობილია, რომ საქართველოში „კაპიტალის“ ერთ-ერთი პირველი მკითხველი ნიკო ნიკოლაძე ყოფილა, ხოლო მისი ავტორის სახელი პირველად გაზეთ „დროებაში“ (№15, 1871) გამოჩენილა.

„კაპიტალი“ პირველად რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა 1872 წელს (3000 ეგზ.). მისი ქართულ ენაზე თარგმანი განახორციელეს პროფესორებმა ფ.გოგიჩაიშვილმა და ნ.იაშვილმა. I ტომის ქართული თარგმანი გამოიცა 1931 წელს, II – 1933 წ., III (1) – 1932 წ., III (2) – 1934 წ. „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ („კაპიტალის“ IV ტ.) კი 3 ნაწილად 1966-75 წლებში გამოიცა.

3.2. კაპიტალიზმის არსი

„კაპიტალში“ მარქსი შეეცადა თანამედროვე ეკონომიკა ეჩვენებინა, როგორც ისტორიულად განპირობებული წარმოების წესი. ამ წარმოების წესის, კაპიტალისტური სისტემის არსი კაპიტალის მიერ სამუშაო ძალის ექსპლუატაციაში მდგომარეობს. თავის კვლევებში იგი განსაკუთრებით ინგლისელ ეკონომისტებს ა. სმითსა და დ. რიკარდოს ეყრდნობოდა.

მარქსის აზრით, ისტორიული განვითარების შედეგად საზოგადოება ორ დიდ კლასად დაიყო: ერთი მათგანი წარმოების საშუალებების მესაკუთრეა, მეორე კი – მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის. კაპიტალისტები ყიდულობენ პროლეტარების სამუშაო ძალას და აწარმოებენ საქონელს. მოგება, რომელიც საქონლის გაყიდვით მიიღება, ანაზღაურებს დანახარჯებს და უზრუნველყოფს მათი კაპიტალის ზრდას. აქედან გამომდინარეობს ტენდენცია: გაიზარდოს შრომის მწარმოებლურობა და ხელი შეეწყოს კაპიტალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

მარქსის მიხედვით, მთელი ამ სისტემის გასაღებს ინგლისელ კლასიკოსთა შრომითი ღირებულების დოქტრინა იძლევა. იგი ააშკარავებს იმ ფაქტს, რომ სამუშაო ძალის ექსპლუატაცია მთელი სისტემის არსებობის საფუძველს წარმოადგენს. თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა საქონლის გაცვლის პროცესს ეყრდნობა. საქონელს, უპირველეს ყოვლისა, აქვს **სამომხმარებლო ღირებულება** და **საცვლელი ღირებულება**. ორივე მათგანი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საცვლელი ღირებულება არ შეიძლება დაყვანილ იქნას სამომხმარებლო ღირებულებამდე. რეალურად საქონელს არა აქვს უფრო მეტი ღირებულება იმის მიხედვით, თუ რამდენად უფრო მეტად სასარგებლოა იგი.

რიკარდოს მსგავსად, მარქსიც მიიჩნევდა, რომ საცვლელი ღირებულება აქვს მხოლოდ იმ საგანს, რომელსაც განუწყვეტლივ ბაზრისათვის აწარმოებენ. ეს ვიწრო მნიშვნელობით საბაზრო საქონელს ნიშნავს. გამოდის, რომ, ხელოვნების ნიმუშებს არა აქვთ საკუთრივ საცვლელი ღირებულება. ასევეა მიწაც, რომელიც დროდადრო იყიდება.

როცა მარქსი ნედლეულსა და წარმოების საშუალებებზე დახარჯულ შრომას საბოლოო პროდუქტის ღირებულებით გამოხატავს, იგი რიკარდოს შეხედულებას ეთანხმება. ამასთან, ამატებს, რომ შრომა, რომელიც საქონლის გაცვლით ღირებულებას განსაზღვრავს, არ არის ის შრომა, რომელიც კონკრეტულ წარმოებაში იქნება გაწეული. სხვადასხვა ინდივიდსა და პროფესიას შორის შრომის მწარმოებლურობა თავისი კონკრეტული ფორმით განსხვავებულია. საზოგადოება ანგარიშს გაუწევს შრომის კვალიფიკაციას და ინტენსიურობას, როცა იგი სხვადასხვა შრომას შესაბამისი გასამრჯელოთი ანაზღაურებს. მარტივი სამუშაოს მოცულობა, რომელიც კომპლექსური სამუშაო ძალით ან ერთი ინტენსიურად მომუშავე მუშით შესრულდება, იმ ურთიერთობის პირდაპირპროპორციულია, რომელიც ამ სამუშაოსათვის გადახდილ გასამრჯელოსა და მარტივი სამუშაოს გასამრჯელოს შორის არსებობს.

---

1 კარლ კაუცკი (Kautsky, 1854-1938) – გერმანელი სოციალ-დემოკრატი, II ინტერნაციონალის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ლიდერი, თავდაპირველად მარქსისტი. მისი ნაშრომებია: „კარლ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება“ (1887), „თომას მორი და მისი უტოპია“ (1888), „აგრარული საკითხი“ (1899), „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“ (1920).

ამასთან, მარქსი საქონლის საცვლელ ღირებულებაში განივთებული შრომას მწარმოებლურად თვლის. ადამ სმითის საწინააღმდეგოდ, მოხელეებს და მოსამსახურე პერსონალს, აგრეთვე ვაჭრებსაც არამწარმოებლებად თვლის. მისი შეხედულებით, ის დრო, რომელსაც ვაჭარი ხარჯავს, იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ მიღწეულ იქნას შედარებით უფრო მაღალი საბაზრო ფასი და გაიზარდოს საქონლის ღირებულება. მარქსის დაშვებით, მომსახურების ზოგიერთ სფეროში (მაგ., სატრანსპორტო წარმოებაში) განხორციელებული შრომა მწარმოებლურია.

მარქსმა ინგლისური კლასიკური ღირებულების დოქტრინაში ერთი საკითხი დააზუსტა. რიკარდომ, როგორც ცნობილია, ვერ შეძლო იმ რთული პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც წარმოების სხვადასხვა დარგში ინვესტირებულმა კაპიტალმა განაპირობა, — ამას შრომით დანახარჯებთან არაეითარი კავშირი არა აქვს.

რიკარდოს აზრით, „საბაზრო ფასი“ ცვალებადია და მოწოდებასა-მოთხოვნაზეა დამოკიდებული, „ნორმალური ანუ ბუნებრივი ფასი“ (რომელიც გასაყიდ ფასთან გააიგივა) კი შრომით ანაზღაურებაზე და მოგებაზეა დამოკიდებული. რიკარდომ სწორად გაიგო, რომ ეს „ნორმალური ფასი“ პროდუქტის ღირებულებას ზუსტად არ შეესაბამება, რადგან მოგება ინვესტირებულ კაპიტალზეა დამოკიდებული. ორი საქონლიდან, რომლის წარმოებაც (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) თანაბარ შრომით დანახარჯებს მოითხოვს, ჩვეულისამებრ, უფრო ძვირად გაიყიდება ის, რომელმაც მეტი კაპიტალდაბანდება მოითხოვა.

თანამედროვე ტერმინოლოგიით, მარქსის დასკვნა შემდეგნაირად ჟღერს: თუ მოგების მომტან კაპიტალს ეროვნულ შემოსავალზე გავყოფთ, მივიღებთ საშუალო „კაპიტალ-კოეფიციენტს“. შეიძლება გამოიყოს წარმოების სამი კატეგორია, იმისდა მიხედვით, თუ როგორია „კაპიტალ-კოეფიციენტი“: საშუალოზე მეტი, საშუალო და საშუალოზე ნაკლები; თუ ორ პროდუქტს სხვადასხვა „კაპიტალ-კოეფიციენტი“ აქვს, მაშინ მათი ფასები შესაბამის შრომით დანახარჯებთან ერთნაირ ურთიერთობაში არ არის; სინამდვილეში ყოველი ფასი შრომითი დანახარჯის გამოხატულებაა. გაცვლითი ღირებულების სხვა წყარო არ არსებობს, ღირებულების სიდიდის განმსაზღვრელია საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო.

მარქსი შემოსავლის განაწილების პრობლემის განხილვისას კლასიკური თეორიით სარგებლობს, მაგრამ იგი ამ საკითხში გაცილებით შორს წავიდა, ვიდრე ინგლისელი პოლიტეკონომისტები. მისი აზრით, კაპიტალისტები და მიწათმფლობელები შრომის გარეშე ითვისებენ შრომით შექმნილი ღირებულების ნაწილს. სმითი და რიკარდოც ნაწილობრივ ამავე პოზიციაზე იყვნენ.

მარქსის აზრით, კაპიტალისტი ყიდულობს არა შრომას, არამედ სამუშაო ძალას, რომელიც „მისი ღირებულების მიხედვით“ ანაზღაურდება. მუშის ხელფასი მხოლოდ მისი სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და კვლავწარმოებას ხმარდება, მაგრამ სამუშაო ძალას შეუძლია შექმნას მეტი, ვიდრე მას უხდიან. მუშის მიერ გაწეულ შრომასა და გასამრჯელოთი დაფარულ შრომას შორის სხვაობა კაპიტალისტს რჩება. მარქსმა მას „ზედმეტი ღირებულება“ უწოდა.

ინვესტირებული კაპიტალის შედეგად მიღებული მოგება და მიწის რენტა ფულადი გამოსახულებით „ზედმეტ ღირებულებას“ გამოხატავს, როგორც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და დაქირავებული შრომის შედეგი. კაპიტალისტები და მიწათმფლობელები ყოველთვის იმისაკენ მიისწრაფვიან, რომ გაზარდონ თავიანთი და შეამცირონ მუშის შემოსავალი. აქედან გამომდინარე, შრომით მიღებული პროდუქტის მითვისება არის სამუშაო ძალის ექსპლუატაცია და „ზედმეტი ღირებულება“.

3.3. საქონლის ფეტიშიზმი

საქონლურ ფეტიშიზმში იგულისხმება საქონლისათვის განსაკუთრებული ძალის მინიჭება. კლასიკურმა პოლიტეკონომისტებმა მიუთითეს, რომ ფასი და შემოსავალი საქონლის ღირებულებაში განიეთებული შრომითი დანახარჯებით უნდა აიხსნას. ამაში მარქსი მათ დიდ დამსახურებას ხედავდა. ამასთან, მარქსმა მიუთითა, რომ ისინი ვერ ჩასწვდნენ, ერთი მხრივ, ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოქმნის პროცესს შორის არსებული ურთიერთობისა და, მეორე მხრივ, კაპიტალ-

ისტური სამყაროს არსში. მათი შემთხვევით გამოთქმული მოსაზრებით, მოგება და რენტა შრომითი შემოსავლის გასესხებით მიღებული ბუნებრივი შემოსავალია, ისევე, როგორც მუშის სიცოცხლის შესანარჩუნებელი ხელფასი. მარქსს მიაჩნდა, რომ ინგლისელი კლასიკოსებისაგან განსხვავებით, მან **სამუშაო ძალის საქონლად გარდაქმნის** ისტორიული პროცესის დამტკიცება შეძლო.

მარქსის შეხედულებით, მოგება და მიწის რენტა ზედმეტი ღირებულების გამოხატულებაა; მნიშვნელოვანია აგრეთვე პროდუქტის ფასისა და ღირებულების შესაბამისობის საკითხიც: თუ საქონელი ღირებულებაზე მეტად გაიყიდება, მაშინ რეალურად მიღწეული ზედმეტი ღირებულებაც მეტი იქნება.

ეკონომიკური მეცნიერება კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნამდვილ ბუნებას ააშკარავებს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში სჯერათ, რომ მათ ეკონომიკის სფეროში საქმე აქვთ საქონელთან. სამუშაო ძალას ისინი საქონლად თვლიან. სწორედ ამით აიხსნება სიტყვის ფართო მნიშვნელობით „კაპიტალიზმის არაჰუმანური" ხასიათი. ადამიანის ცნობიერებაში ეკონომიკა აღარ არის ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობა – იგი მხოლოდ საქონელმიმოქცევაა. საქონელი, რომელიც ამგვარი წესით გაიცვლება, რაღაც საიდუმლო თვისების შემცველია. აქ ყველა პროდუქტს თავისი ფასი აქვს.

კაპიტალიზმის დროს წარმოების საშუალებებზე საკუთრებით მიიღება მოგება, მიწის ფლობით – რენტა, ფულით – სარგებელი. ფულს აქვს ყიდვითი უნარი, რომელსაც მოაქვს სარგებელი. ეს ყველაფერი ითვლება, როგორც „ბუნებრივი" მოვლენა. ინდივიდები ბედს ეგუებიან და ყოველგვარი დავის გარეშე, საქონლის ზედმეტი მიწოდებით ფასის დაცემას ეთანხმებიან. მათთვის საქონელი და უპირველეს ყოვლისა, ფული არის ნამდვილი „ფეტიში".

„კაპიტალის" I ტომის პირველი თავის მეოთხე პარაგრაფი – „საქონლის ფეტიშური ხასიათი და მისი საიდუმლოება"[1], ანალიზური თვალსაზრისით, საკმაოდ პოპულარულია. აქ მარქსი, ადრეული პერიოდის შრომების მსგავსად, უკვე აღარ კმაყოფილდება ტერმინით – „ადამიანის გაუცხოება". ფეტიშიზმი აქ წარმოდგენილია, როგორც ისტორიულად განპირობებული სისტემის – კაპიტალიზმის დამახასიათებელი ნიშანი და არა მარტო კერძო საკუთრების შედეგი.

4. ეკონომიკურ სისტემაში არსებული წინააღმდეგობების განვითარება

. მარქსის თვალსაზრისით, კაპიტალისტური წარმოების წესი თვით პოლიტეკონომისტებისათვის დარჩა საიდუმლო, რადგან ღირებულების განხილვით მათ არ იცოდნენ, თუ როგორ მიეღოთ სასარგებლო დასკვნები. მისი შეხედულებით, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა კონკრეტულ ეკონომიკურ სისტემაში წინააღმდეგობათა განვითარება, რომლის გაგება და მართვაც ადამიანებს არ შეეძლოთ. ეს წინააღმდეგობები იქითკენ იყო მიმართული, რომ სისტემას ფუნქციონირების უნარი დაეკარგა.

მარქსმა ჰეგელის გავლენით აღმოაჩინა, რომ ტერმინი „ეკონომიკური სისტემა" ისტორიულად განპირობებულ მთლიანობას გულისხმობს. მას თანამედროვე სისტემის წინააღმდეგობების ჩვენება სურდა. იგი აღარ დაუბრუნდა თავის თვალსაზრისს, რომელსაც იგი 1844 წლამდე ისტორიული მოვლენების არასაკმარისი გათვალისწინებით იცავდა. ამასთანავე, იგი ცდილობდა 1848 წლისათვის თავისი მარტივი „ევოლუციური" თვალსაზრისი, დიალექტიკური თვალსაზრისის სასარგებლოდ გადაელახა.

4.1. მუშათა კლასის გაღატაკება და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება

1867 წელს „კაპიტალის" I ტომის გამოქვეყნებით, მარქსს კაპიტალისტური სისტემის გამოკვლევა არ დაუსრულებია. იგი ამ სისტემის შიგნით არსებული წინააღმდეგობების ჩვენებას ცდილობდა, რომელთა გადაწყვეტა წარმოებრივ საშუალებებზე კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძ-

1 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თავი I, § 4, თბილისი, 1954.

ნებულ სისტემაზე გადასვლის გარეშე შეუძლებელი იყო. ნაშრომის ამ ნაწილში მან, უპირველესად ყოვლისა, აღნიშნა, რომ მუშა, რომელიც საკუთრივ მონაწილეობს ღირებულების შექმნაში, იძულებულია მძიმე პირობებში იცხოვროს. მარქსს სურდა დაემტკიცებინა, რომ ეს წინააღმდეგობანი დროთა განმავლობაში თანდათანობით აუცილებლად გამძაფრდებოდა. კერძო მესაკუთრეთა და დაქირავებულ მუშებს შორის არსებული წინააღმდეგობების შედეგად პროლეტარიატი აჯანყდება, ჩაიგდებს ძალაუფლებას და სოციალისტურ საზოგადოებას დაამყარებს. ამ თემას მიეძღვნა კაპიტალის პირველი ტომის მე-7 განყოფილება, რომლის სათაურია „კაპიტალისტური დაგროვების პროცესი“[1].

ხელფასის რაოდენობის განსაზღვრისას მარქსის შეხედულება რიკარდოსაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ მარქსი ზედმეტი ღირებულების სიდიდის განსაზღვრაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა ორგანიზებულ მოძრაობას. იგი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტებმა ინგლისში ხელისუფლებისაგან ყოველდღიური სამუშაო დროის შეზღუდვას მიაღწიეს. მაგრამ ამის ანალოგიურად მნიშვნელოვანი შედეგები უნდა იქნას მიღწეული მუშათა ანაზღაურების საქმეშიც. მისი აზრით, ხელფასი მცირდება, თუ მიწოდება მოთხოვნაზე უფრო სწრაფად იზრდება და პირიქით. სამუშაო ძალის მიწოდება დამოკიდებულია დემოგრაფიულ ფაქტორებზე, ეკონომიკაში ინვესტირებულ კაპიტალსა და წარმოების ტექნოლოგიებზე.

მარქსის აზრით, როდესაც შრომის ბაზარზე მოთხოვნა მიწოდებაზე უფრო სწრაფად იზრდება, ხელფასის დონეც იწევს. კაპიტალის მფლობელი დაინტერესებულია წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელიც ზრდის მათ მიერ ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობას. აქედან გამომდინარე, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ძალზე ნელა იზრდება, რაც დაქირავებული მუშისათვის უკიდურესად არახელსაყრელ სიტუაციას ქმნის.

მარქსი არ ამტკიცებს, რომ ასეთ სიტუაციაში საშუალო ხელფასი მუდმივად დაეცემა, მაგრამ იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მუშათა ნაწილს სიღატაკეში ცხოვრება მოუწევს, ვინაიდან, მათი დასაქმების შესაძლებლობა არ არსებობს. უმუშევრობა მას კაპიტალისტური ეკონომიკური ექსპანსიის პირობად მიაჩნდა, რადგან კაპიტალისტებს ექსპანსიის ხელსაყრელი პერსპექტივის დროს „სამრეწველო სარეზერვო არმია“ უნდა ჰყავდეთ. მსხვილი მრეწველობის მიერ ექსპლუატირებული პროლეტარიატის ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდის შესაბამისად, უმუშევართა არმიის მნიშვნელობაც იზრდება.

მარქსის დასკვნით, კაპიტალის დაგროვების კვალდაკვალ, მუშათა ხელფასის შემცირებით მათი მდგომარეობა გაუარესდება. მისი აზრით, დაგროვების მოცულობასთან შედარებით ჭარბი მოსახლეობის ანდა სამრეწველო სარეზერვო არმიის წონასწორობაში მომყვანი კანონი მუშას კაპიტალთან უფრო მჭიდროდ მიაჯაჭვავს; კაპიტალის დაგროვება შესაბამისი სიღატაკის დაგროვებას იწვევს. საზოგადოების პოლარიზება მერყეე სიტუაციას შექმნის. იგი წერდა: „კაპიტალისტ მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, რომელნიც ითვისებენ და თავის მონოპოლიად აქცევენ გარდაქმნის ამ პროცესის ყველა ხელსაყრელ მხარეს, მასობრივად იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონება, გადაგვარება, ექსპლუატაცია, მაგრამ ამასთანავე იზრდება აღშფოთებაც მუდამ ზრდადი და თვით კაპიტალისტური წარმოების წესის პროცესის მექანიზმით გაწვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზებული მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია ხდება იმ წარმოების წესის ბორკილებად, რომელმაც მონოპოლიასთან ერთად და მისი დახმარებით მიაღწია აყვავებას. წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. დგება კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“[2] (ხაზგასმა ჩვენია – ა.ს.).

მუშათა კლასის გაღატაკების შესახებ მარქსის დასკვნამ წაახალისა დისკუსიები. მას ძირითადად უპირისპირებენ იმ მოსაზრებას, რომ დაქირავებული მუშების ყოფიერებაში ბოლო ას წელიწადში გაიზარდა. რეალური ხელფასის ზრდა უდავოა, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს იყოს მთავარი არგუმენტი. მარქსი არასდროს არ ამტკიცებდა კაპიტალისტურ სახელმწიფოში ხელფასის დაცემის გარდაუვალობას. რეალური ხელფასის ზრდის მიუხედავად, გაღარიბება მაინც შესაძლებელია. მან

1 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 713.
2 იქვე, გვ. 956-957.

1844 წლის „ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ უარყო სმითის შეხედულება იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიული სიმდიდრის ზრდა მუშათა მდგომარეობას აუმჯობესებს და აღნიშნა, რომ კაპიტალისტთა სიმდიდრის ზრდასთან ერთად, მუშების სიღატაკე იზრდება. საზოგადოების ყველა კლასის შემოსავალთა შორის განსხვავება უფრო მძაფრად გამოკვეთს წინააღმდეგობას სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის. წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებაც, რამაც შეიძლება გაზარდოს **შედარებითი სიღარიბე** და შეამციროს **აბსოლუტური სიღარიბე**.

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ მარქსის წინასწარმეტყველება სრულად არ გაამართლა. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მუშათა კლასი რევოლუციის სურვილს არ ამჟღავნებდა. იგი უფრო მეტად წვრილ ბურჟუაზიას დაუახლოვდა, მაგრამ მოვლენების ასეთი განვითარება კაპიტალიზმის ბუნების შესახებ მარქსის თვალსაზრისს მთლიანად არ უარყოფს.

კაპიტალიზმის განვითარებამ მართლაც განაპირობა მზარდი სიღატაკე, მაგრამ ძირითადად არა იქ, სადაც ამას მარქსი ვარაუდობდა, არამედ იმ ქვეყნებში, რომლებსაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები (დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები) თავისი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრად და ნედლეულის მიმწოდებლად იყენებდნენ.

საუკუნეზე მეტია, კაპიტალიზმი მსოფლიოს ყველა კუთხეში შეიჭრა. ამ ხნის განმავლობაში დაბალგანვითარებულ ქვეყნებში წარმოიშვა პროლეტარიატი, რომლის საყოფაცხოვრებო პირობებიც უფრო მძიმეა, ვიდრე ინგლისის ან საფრანგეთის პროლეტარიატისა. მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად, დაბალგანვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში გაძლიერდა სიღატაკეც. ეს ფაქტორი კაპიტალის დაგროვების შედეგების ანალიზისას გათვალისწინებულ უნდა იქნას. არადა, აქ შედეგები მარქსის პროგნოზირებულზე კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა. თუ ყურადღებით დავაკვირდებთ მოვლენებს, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, თუ რატომ პოვა განსაკუთრებული პოპულარობა მარქსიზმმა.

4.2. კაპიტალისტური ეკონომიკის ორ დიდ სექტორს შორის წონასწორობის შენარჩუნების შეუძლებლობა

მარქსი ანალიზებდა, თუ როგორ იხარჯებოდა შემოსავალი წარმოებული საქონლის შესასყიდად. აქ იგი ეყრდნობოდა კენეს, რომლის „ეკონომიკური ცხრილის“ მიხედვით საქონელი „ნორმალურ ფასად“ შეიძლება გაიყიდოს. ლიბერალიზმის ყველა წარმომადგენელი ამ შეხედულებას იზიარებდა. თუმცა, მარქსს ეს თეზისი არასწორად მიაჩნდა, რადგან მისი აზრით, არსებობს კრიტიკული პერიოდები, როდესაც მთელი პროდუქტის ნორმალური ფასებით გასაღება შეუძლებელია. ამ კრიტიკული პერიოდების მიზეზების გამოკვლევისას მარქსმა სმითთან და რიკარდოსთან აღმოაჩინა პრინციპული ხასიათის შეცდომა: მათი აზრით, სოციალური პროდუქტი მხოლოდ ფართო მოხმარების საგნებიდან შედგება, მაშინ როცა კონკრეტულად წარმოებული წარმოებრივ საშუალებათა ღირებულება არ უნდა მოიცვას. ეს წარმოებრივი საშუალებანი მთლიანად ან ნაწილობრივ ავსებს წლის განმავლობაში მოხმარებულ წარმოებრივ საშუალებებს, ანდა არსებულ საშუალებებს შეავსებენ. თუ ისინი არსებულის შესავსებად გამოიყენებიან, მაშინ მათი წლიური წარმოებიდან გამორიცხვა შეცდომა იქნებოდა. ასევე შეცდომა იქნებოდა, თუ შესაცვლელი წარმოებრივი საშუალებები მოხმარების საშუალებებისაგან არ გაიმიჯნებოდა. მოხმარებული წარმოებრივი საშუალებანი ახლით ავტომატურად არ შეიცვლება. მათი შეცვლა შეიძლება გადაიდოს. ისიც შესაძლებელია, რომ რომელიმე ფირმამ გარკვეული პერიოდით წარმოებრივი ტექნიკის განახლებაზე საერთოდ უარი თქვას.

ქვეყნის მიმდინარე წლის მთლიანი შიგა პროდუქტის (მშპ) ღირებულება წინა წლებში გაწეული შრომით შექმნილი მოხმარებული წარმოების საშუალებებით და მიმდინარე წელს დახარჯული შრომით გამოიხატება. სხვადასხვა დროს გაწეული შრომის ტოლფასობა აუცილებელი არ არის. მათ შორის განსხვავებას ნეტო და ბრუტო სოციალური პროდუქტების გასამიჯნად იყენებენ. მათ შორის განსხვავებაზე მიუთითებს კ.მარქსი: სამუშაო ძალის მიერ საქონლის სახით წარმოებული ახალი ღირებულება უფრო მცირეა, ვიდრე წლის განმავლობაში წარმოებული საქონლის

ღირებულება; „ახალ ღირებულებას" **ნეტო-სოციალური პროდუქტი** ეწოდება, ხოლო „პროდუქტთა ღირებულებას" **ბრუტო-სოციალური პროდუქტი**. მას შემდეგ, რაც მარქსმა პირველმა გაარკვია ეს მნიშვნელოვანი საკითხი, ახალი სქემა შექმნა.

მშპ-ის ღირებულება (C+V+M), მარქსის მიხედვით, მოიცავს შემდეგ სამ ელემენტს[1]:

1. კაპიტალის ღირებულებას – არსებულს წარმოების საშუალებათა ღირებულების ფორმით, რაც ამ დარგში წარმოების მიზნით გამოიყენება და რომელსაც მარქსი „**მუდმივ კაპიტალს**" უწოდებდა (C). თავის მხრივ, წარმოების საშუალებები მარქსმა **ძირითად კაპიტალად** (მანქანები, სამუშაო იარაღები, შენობები, მუშა პირუტყვი...) და **საბრუნავ კაპიტალად** (ნედლი და დამხმარე მასალები, ნახევარფაბრიკატები...) დაყო;

2. კაპიტალის ღირებულებას, რომელიც არსებობს <u>მუშების ხელფასის</u> ფორმით, რასაც მარქსმა „**ცვალებადი კაპიტალი**" უწოდა (V);

3. ზედმეტ ღირებულებას (M).

მარქსმა მშპ-ის წარმოება გაყო ორ სექტორად: **პირველი** – წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები; **მეორე** – ფართო მოხმარების საშუალებების მწარმოებელი დარგები. „თითოეულ ამ ქვედანაყოფის კუთვნილი წარმოების ყველა სხვადასხვა დარგი, – წერდა მარქსი, – შეადგენს წარმოების ერთადერთ დიდ დარგს: ერთ შემთხვევაში წარმოების საშუალებათა წარმოების დარგს, მეორე შემთხვევაში, – მოხმარების საშუალებათა წარმოების დარგს"[2].

ორივე სექტორის პროდუქტის ჯამი შეესაბამება მთლიანი პროდუქტის ღირებულებას. პირველი სექტორის პროდუქტის ღირებულება უდრის $C_1+V_1+M_1$, მეორისა კი – $C_2+V_2+M_2$.

წარმოების საშუალებებზე მოთხოვნა ამორტიზაციისა (C_1+C_2) და კაპიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების დაზოგილი ნაწილის (M_1+M_2) ჯამს შეესაბამება. ამ შემთხვევაში წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წარმოების სექტორში გამოიხატება განტოლებით:

$$C_1+V_1+M_1=C_1+C_2+a(M_1+M_2)$$

ფართო მოხმარების საგნებზე მოთხოვნა (თუ არ გავითვალისწინებთ დაქირავებულ მუშათა დანაზოგს) მუშათა ხელფასისა (V_1+V_2) და გამოყენებული ზედმეტი ღირებულების ნაწილის (1-a)(M_1+M_2) ჯამის ტოლია. წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წარმოების მეორე სექტორში გამოიხატება განტოლებით:

$$C_2+V_2+M_2=V_{1+}V_2+(1-a)(M_1+M_2)$$

აქედან ნათელია, რომ ერთ სექტორში მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობა მეორე სექტორში წონასწორობას უზრუნველყოფს. აქ ჰიპოთეზურად უნდა დავუშვათ, რომ მთლიანი მიწოდება მთლიან მოთხოვნებს შეესაბამება. სინამდვილეში მიიღება:

პირველის მიწოდება + მეორის მიწოდება = პირველის მოთხოვნა + მეორის მოთხოვნა.

ე.ი. პირველის მიწოდება = პირველის მოთხოვნას, ხოლო

მეორის მიწოდება = მეორის მოთხოვნას.

აქვე შეიძლება დაემატოს, რომ თუ სწორია:

პირველის მიწოდება < პირველის მოთხოვნაზე, მაშინ სწორია აგრეთვე –

მეორის მიწოდება > მეორის მოთხოვნაზე და პირიქით.

რადგან ერთ წარმოებრივ სექტორში (აქ მოცემულ ჰიპოთეზურ შემთხვევაში) წონასწორობა იმავეს სხვა სექტორებში უზრუნველყოფს, საკმარისია ამ ორი სექტორიდან დადგინდეს ერთი რომელიმეს წონასწორობა, რომ წონასწორობის პირობა საყოველთაო გახდეს. ჩვენ გამოვდივართ განტოლებიდან, რომელიც პირველი სექტორის წონასწორობას გამოხატავს:

$$C_1+V_1+M_1=C_1+C_2+a(M_1+M_2).$$

განტოლების მარცხენა მხარე აღნიშნავს ეკონომიკის <u>ბრუტო-ინვესტირებას</u> (ეს წლის განმავლობაში წარმოებული წარმოებრივ საშუალებათა მთლიან ღირებულებას ნიშნავს), მარჯვენა მხარე კი <u>ბრუტო-დანაზოგს</u>. განტოლების მიხედვით, ბრუტო-დანაზოგი ბრუტო-ინვესტირებას შეესაბამება. ჩვენ ვიცით, რომ მეორე სექტორშიც წონასწორობაა, ანუ ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნა ამ საქონლის მიწოდების ტოლია. ამ ჰიპოთეზურ შემთხვევაში ბრუტო-ინვესტირების და

---

1 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. 2, თბ., 1957, გვ. 496.

2 იქვე. გვ. 496-497.

ბრუტო-დანაზოგის თანაფარდობა აუცილებელი და საკმარისი პირობაა ფართო მოხმარების საქონლის ბაზარზე წონასწორობის დასამყარებლად.

ეს პირობა სხვანაირადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს: ბრუტო დანაზოგი მთლიანი პროდუქტის ღირებულების გარკვეული ნაწილია, რადგან C_1, C_2, M_1 და M_2 სიდიდეებია, რომლებიც წარმოებული მოხმარების საგნებისა და წარმოებულ წარმოებრივი საშუალებების ღირებულების პროპორციულია. როცა ბრუტო ინვესტირება ბრუტო-დანაზოგის ტოლი უნდა ‹.ყოს, მაშინ იგი მთლიანი ღირებულების გარკვეულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

მარქსმა „კაპიტალის" მეორე ტომში, I და II ქვედანაყოფების თანაფარდობის ანალიზის დროს დაახასიათა კაპიტალისტური კლაეწარმოების კანონზომიერებანი, გამოიკვლია წინააღმდეგობანი, რომელთა გაღრმავების შედეგად ადგილი აქვს კაპიტალისტურ პერიოდულ ჭარბწარმოების კრიზისებს. მარქსს ნაშრომის ეს ნაწილი დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ ნაშრომის ის გვერდები, სადაც მარქსი კრიზისებს ეხება, ძალზე საინტერესოა.

თუ ინვესტირების სიდიდე ნაკლებია დანაზოგების სიდიდეზე, ე.ი. თუ

$$C_1+V_1+M_1<C_1+C_2+a(M_1+M_2),$$

მაშინ ფართო მოხმარების საქონელზე მოთხოვნა აუცილებლად მიწოდებას ჩამორჩება. აქ უკვე ადგილი აქვს ჭარბწარმოებას.

ეკონომიკური კრიზისის უშუალო მიზეზია არასაკმარისი ინვესტიცია. მარქსის მოსაზრებით, კრიზისების წარმოშობის მიზეზები ინვესტირებას უკავშირდება, რომელიც მუდმივი არ არის — იგი ხან მეტია, ხანაც ნაკლები. ჭარბწარმოებით გამოწვეული კრიზისები იმ წინააღმდეგობათა ნამდვილი დემონსტრირებაა, რაც კაპიტალისტური სისტემის ძირითადი მიზნიდან — მოგების მიღებიდან გამომდინარეობს.

5. მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია

დაწყებული ადამ სმითიდან, პოლიტეკონომისტების ყურადღება მიპყრობილი იყო მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის შესწავლაზე. **მოგების ნორმა** (M/C) წლიური მოგებისა და მისი მიღებისათვის საჭირო დანახარჯების თანაფარდობით იანგარიშება. პოლიტეკონომისტების გარკვეული ნაწილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალის დაგროვება ადრე თუ გვიან შეწყდება და ეკონომიკა უძრაობის სტადიაში შევა.

მარქსი დიდი დროის განმავლობაში კაპიტალისტური ეკონომიკის უძრაობის სტადიაში დარჩენას გამორიცხავდა. მოგების ნორმის დაცემას უფრო მეტად განსაკუთრებით არასტაბილური და ფეთქებადი, წარმოებრივი ძალების დაუსაქმებლობით დამახასიათებელი სიტუაცია უნდა გამოეწვია, რომლებიც, თავის მხრივ, სისტემის ნგრევას გამოიწვევდა.

ამ საკითხების ანალიზი მოცემულია „კაპიტალის" მესამე ტომის მე-13, მე-14, მე-15 თავებში[1].

ფრიდრიხ ენგელსის ცნობით, ამ თავებში მოცემული ანალიზები ძირითადი ხელნაწერიდანაა აღებული, რომელიც გამოყენებულია მესამე ტომის შესაქმნელად და რომ მათი მონახაზი „უმეტესწილად" მარქსმა კაპიტალის პირველი ტომის გამოცემამდე — 1864-1865 წლებში შექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ მარქსმა კაპიტალის წინააღმდეგობათა დეტალური ანალიზი ჯერ კიდევ 1867 წლამდე გააკეთა. მიუხედავად ამისა, აქ მოცემული ძირითადი ანალიზები არასრულყოფილად დამუშავდა, ასე რომ მათი სწორად გაგებისათვის განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო.

მე-13 თავის დასაწყისში ახსნილია „მთლიანი მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი". ამ ახსნის მიხედვით, წარმოებრივი ტექნიკის პროგრესული განვითარება ცვალებად კაპიტალთან შედარებით, მუდმივი კაპიტალის უფრო მაღალ „ორგანულ შედგენილობას" (C/V) იწვევს. ზედმეტი ღირებულების ნორმის (M/V) უცვლელობის დროს, მოგების ნორმა (M/C) აუცილებლად ეცემა.

მარქსმა ეს დასკვნა მთელი წყება ციფრობრივი მაგალითებიდან მიიღო. ამ ციფრებს შეიძლება ალგებრული გამოსახულების სახე მიეცეს. დაეუშვათ (როგორც ამას გამარტივებულად მარქსი აკეთებდა), ყველა სახეობის კაპიტალის მიმოქცევის სიჩქარე უდრის 1-ს, ეს ნიშნავს, რომ ყველა

1 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. I, თბილისი, 1959, გვ. 268-338.

სახის კაპიტალის წლიური დანახარჯი ინვესტირებული კაპიტალის ტოლია.

თუ M-ით აღვნიშნავთ ზედმეტ ღირებულებას, K-თი ეკონომიკის მთელ კაპიტალს, C-თი მუდმივ კაპიტალს, V-თი ცვალებად კაპიტალს, მაშინ მოგების ნორმა შეადგენს: (M/K) ან (M/(C+V)). თუ (C/V) (კაპიტალის ორგანული შედგენილობა) შეფარდებას აღვნიშნავთ x-ით, მაშინ შეიძლება აგრეთვე ჩაისვას C=Vx, მოგების ნორმა ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

$$\frac{M}{Vx+V} \text{ ან } \frac{M}{V(x+1)} \text{ ან } \frac{M}{V}\cdot\frac{1}{x+1}$$

მარქსმა შენიშნა, რომ ჰიპოთეზა ზედმეტი ღირებულების მუდმივობაზე არამყარია. იგი აღნიშნავდა, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებში, კაპიტალისტები წარმოებული პროდუქციის ღირებულებაში ხელფასის წილის შემცირებისაკენ მიისწრაფვიან. მისი მტკიცებით, ზედმეტი ღირებულების ზრდის პირობებში მოგების ნორმა ადრე თუ გვიან შემცირდება.

წიგნის მე-13 თავში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი, რა თქმა უნდა, არასრულყოფილია და ეს თემა ხელახლა განიხილება წიგნის სხვა თავში.

მარქსის მიერ ძალზე საინტერესო აზრია გამოთქმული მე-15 თავის მეორე ნაწილის დასაწყისში, კერძოდ, სამ აბზაცში[1]. აქ ამოსავალ წერტილად უკვე მიჩნეულია არა კაპიტალის ზრდა, არამედ დასაქმებულ მუშათა რაოდენობის შემცირება. როგორც ჩანს, ორივე ჰიპოთეზას მარქსი ეკვივალენტურად მიიჩნევდა, რაც არასწორია. მაგრამ შეიძლება დაშვება, რომ ტექნიკური პროგრესი ორივე ჰიპოთეზის რეალიზებისაკენ მიისწრაფის.

მარქსის მოსაზრების არსია ის, რომ „მოგებული კაპიტალის" დახმარებით დასაქმებულთა რიცხვი თანდათანობით მცირდება. კაპიტალისაგან მიღებული მოგების ნორმის შესანარჩუნებლად, მიუხედავად სამუშაო ძალის შემცირებისა, ამ კაპიტალით მიღებული ზედმეტი ღირებულება უცვლელი უნდა დარჩეს. ე.ი. მოგების ნორმის (M/C) ზრდისათვის ზედმეტი ღირებულება უნდა გაიზარდოს, რომელიც თითოეულ მუშას ძალით ერთმევა. მაგრამ ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება უსასრულოდ გაიზარდოს, რადგან თითოეული მუშის მიერ გაწეული სამუშაო საათების რაოდენობა შეზღუდულია.

ამის გარდა, სამუშაო საათების ერთი ნაწილი სამუშაო ძალის აღსადგენად გამოიყენება. მარქსს მოჰყავს ერთი მაგალითი: „ორ მუშას, რომელიც დღეში 12 საათს მუშაობს, არ შეუძლია ზედმეტი ღირებულების იმავე მასის მოცემა, რასაც იძლევა 24 მუშა, რომელთაგან თითოეული მხოლოდ 2 საათს მუშაობს, თუნდაც რომ მათ მარტო პარით ცხოვრება შეეძლოთ და ამიტომ თვით თავისთვის მუშაობას სრულიად არ საჭიროებდნენ. ამ მხრივ, მაშასადამე, შრომის ექსპლუატაციის ხარისხის გადიდებით მუშათა შემცირებული რიცხვის კომპენსაცია გარკვეულ გადაულახავ ზღუდეს ხვდება; ამიტომ მას შეუძლია, რასაკვირველია, მოგების ნორმის დაცემის შეფერხება, მაგრამ არა მისი მოსპობა"[2].

ეს თავისთავად საინტერესო მოსაზრება უფრო გასაგები გახდება თუ მოცემული კაპიტალით დასაქმებულთა შემცირების ნაცვლად თითოეულ მუშაზე ინვესტირებული კაპიტალის გაზრდაზე ვიფიქრებდა. თუ თითოეულ მუშაზე კაპიტალის ინვესტირება გაიზრდება და მოგების არსებული ნორმა შენარჩუნდება, მაშინ შესაბამისად მუშისაგან მიღებული ზედმეტი ღირებულება გაიზრდება. მაგრამ თითოეული მუშისაგან მიღებულ ზედმეტ ღირებულებას ზღვარი (შრომის მწარმოებლურობა) გააჩნია და უსასრულო არ არის. როცა იზრდება თითოეულ მუშაზე კაპიტალის ინვესტირება, ზედმეტი ღირებულების შეფარდება კაპიტალთან, ანუ მოგების ნორმა გარკვეულ მომენტში უნდა შემცირდეს.

მარქსის აზრით, ზედმეტი ღირებულების ზრდა მით უფრო გაძნელდება, რაც უფრო უახლოვდება იგი თავის აბსოლუტურ მნიშვნელობას. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მიუახლოვდება მაქსიმალურ ზედმეტ ღირებულებას მუშისაგან გამომძალვით მიღებული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა, მით უფრო დაეცემა მოგების ნორმა (M/C) და ეს ხდება მანამ, სანამ ზედმეტი ღირებულების ნორმა (M/V) თავის უმაღლეს ზღვარს მიაღწევს. ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას მოგების ნორმის დაცემის უნარიც გააჩნია.

---

1 კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. 3, ნაწ. 1, გვ. 306-307.

2 იქვე, გვ. 314.

აუცილებელი არ არის, რომ მოგების საშუალო ნორმის დაცემას რეგულარული და სწრაფი მოქმედების ხასიათი ჰქონდეს, რადგან სხვა მიზეზებს დროდადრო შეუძლია შეანელოს, ანდა მთლიანად შეწყვიტოს იგი. მარქსის აზრით, საგარეო ვაჭრობამ მოგების ნორმის დაცემა უნდა შეანელოს. ამასთან დაკავშირებით, იგი იზიარებდა რიკარდოს მოსაზრებას, მაგრამ ამ იდეას სხვაგვარად აფასებდა. იგი ამ საკითხს განიხილავდა არა იმ ასპექტით, თითქოს საზღვარგარეთ კვების პროდუქტების შესყიდვა ხელს შეუშლიდა მიწის რენტის ზრდას, არამედ უფრო როგორც სარწმუნო ფაქტს, რომ საგარეო ვაჭრობა და სათანადო წარმოება მოგების განსაკუთრებით მაღალი ნორმის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა. მარქსი იმ ფაქტორებზე მხოლოდ მიუთითებდა, მაგრამ უპრიანი იქნებოდა თუ იგი რიკარდოს აზრებს უფრო ღრმად ჩაწვდებოდა. მე-19 საუკუნის ბოლოს იაფი სასურსათო პროდუქტის იმპორტმა, განსაკუთრებით ამერიკის კონტინენტის ორივე ნაწილიდან, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპის ეკონომიკის განვითარებაში.

მარქსის დასკვნით, შესაძლებელია მოგების ნორმის შემცირება, რომელიც, თავის მხრივ, კაპიტალიზმის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

მისი აზრით, საგარეო ვაჭრობა კაპიტალიზმისათვის, ერთი მხრივ, განტვირთვას, მეორე მხრივ, კაპიტალის დაგროვებას და, აქედან გამომდინარე, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ნიშნავს, რომლის ძალითაც მოგების ნორმის შემცირების ტენდენციას კვლავ ხელი შეეწყობა.

„კაპიტალის მე-3 ტომის მე-15 თავში მარქსი მიუთითებს, თუ რატომ იწვევს მოგების ნორმის შემცირება კაპიტალის კონსოლიდაციას (როგორც ამას „კლასიკოსები“ აღნიშნავდნენ) და რატომ მივყავართ მას წარმოებრივი ძალების არასრულ დასაქმებამდე.

„კლასიკოსები“ აცხადებდნენ, რომ მოგების ნორმის დაცემა მხოლოდ დანაზოგის შეზღუდვას განაპირობებს: მარქსი ამის საპირისპიროდ მიუთითებდა, რომ სინამდვილეში ეს ფაქტორი პირველ რიგში, პრობლემებს შეუქმნიდა დაზოგილი თანხის ინვესტირებას. მიუხედავად იმისა, რომ თავის ეკონომიკურ გამოკვლევებში ხშირად იზიარებდა კლასიკური ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისს (რომლის მიხედვითაც დანაზოგი ავტომატურად ინვესტირებული იქნებოდა), ამ საკითხში მარქსი მათ აშკარად არ ეთანხმებოდა.

მარქსის თვალსაზრისით, მოგების ნორმის დაცემისას, რაღაც მომენტში, ძველი კაპიტალის ადგილზე მნიშვნელოვანი მოცულობის დანაზოგების ფორმით შეეხო ახალი ინვესტირებისაკენ მიმართული კაპიტალის დაბანდების საკითხს. შესაძლებელია იგი ფიქრობდა, რომ მოგების დაბალი ნორმის პირობებში კაპიტალს სათანადოდ მოგებიანი ინვესტირების შესაძლებლობა არ მიეცემოდა. იგი ძველი კაპიტალის მიერ უზრუნველყოფილ ბაზრებს უნდა დაეუფლოს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს კაპიტალის სიჭარბეს. ამით კონკურენცია და სპეკულაცია გამძაფრდება.

მისი აზრით, ჭარბწარმოებით გამოწვეული კრიზისები სულ უფრო საშიში ხდება. ამის გარდა, კაპიტალის რენტაბელობა განვითარების საწყის ეტაპზე მიღწეულ რენტაბელობასთან შეფარდებით, იმდენად მცირე იქნება, რომ კაპიტალისტების ინტერესი ინვესტირებასთან დაკავშირებით ყველა სექტორში შემცირდება. ამ შემთხვევაში წარმოებას უკვე არ შეუძლია განსაზღვრული უმაღლესი დონის გადალახვა, იგი შეჩერდება და ზრდას შეწყვეტს. ეს მოხდება არა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ წარმოებისა და მოგების რეალიზაციის გამო. ამასთან, კაპიტალი ხელში ჩაუვარდებათ რამოდენიმე მსხვილ კაპიტალისტს, რომელთა მონოპოლიური მდგომარეობა წარმოების განვითარებას კიდევ უფრო შეაფერხებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარქსი გვაფრთხილებდა მომავალში „სტაგნაციის“ შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ სამყაროში 1929-1933 წლებში.

აღწერილი სიტუაციები მარქსის მიხედვით დიდ უმუშევრობას ითვალისწინებს. მოგების ნორმის დაცემით გამოწვეული შედეგები გამოვლინდებიან, როცა მათ ერთობლივი მოქმედებით კაპიტალისტური სისტემის დაცემის გამოწვევა შეუძლიათ. კაპიტალისტური სისტემა თავისი შინაგანი წინააღმდეგობების საფუძველზე უნდა დაინგრეს. აქ არსებითია ის, რომ წარმოება მოქმედებს არა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ მოგების მიღების მიზნით. ასეთ პირობებში, მარქსის აზრით, კაპიტალისტური მწარმოებლური ძალების განვითარება არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან წინააღმდეგობაში ხვდება, რაც ამ სისტემის კრიზისს განაპირობებს.

მარქსის დასკვნა მის მიერვე 1848 წელს გამოყენებულ „ისტორიის“ თეორიის ილუსტრირებაა.

კაპიტალისტური ეკონომიკური წყობილება დანაზოგებითა და ინვესტირებით ქონების დაგროვებისა და საზოგადოების მწარმოებლურ სიმძლავრეთა განმტკიცებისაკენ მიისწრაფვის. მწარმოებლური ძალების განვითარებას აუცილებლად მოჰყვება მოგების ნორმის დაცემა, მაგრამ წარმოებითი ურთიერთობანი ამ სისტემაში ისეა მოწყობილი, რომ მოგების ნორმის დაცემა ინვესტიციურ მოქმედებას შეაფერხებს. მწარმოებლური ძალების განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობათა ბუნებას შორის წინააღმდეგობა გამომჟღავნდება, რომელიც ადრე თუ გვიან ახალ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლით მოიხსნება.

6. დაუსრულებელი თეორია

„კაპიტალი" არასოდეს არ დასრულებულა, ამიტომ შეუძლებელია სრულყოფილად დადგინდეს, თუ რა დასკვნები გამოიტანა ავტორმა კაპიტალისტური წინააღმდეგობების ანალიზიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ცდილობდა მოეხდინა გაღარიბების, პერიოდული კრიზისების და მოგების ნორმის დაცემის განმაპირობებელი მოვლენების სინთეზი. წინააღმდეგობათა ურთიერთქმედებით იგი სისტემის მსხვრევას მოელოდა.

როცა რეალური ხელფასი არ იზრდება, იზრდება ზედმეტი ღირებულების ნორმა და შეიძლება მოგების საშუალო ნორმა უცვლელი დარჩეს. გაღარიბების ტენდენციისა და ჭარბწარმოებით გამოწვეულ კრიზისებს შორის არსებობს კავშირი, რომლის შესახებაც მარქსი წერდა: უშუალო ექსპლუატაციისა და მისი რეალიზაციის პირობები არაიდენტურია. ეს გამოწვეულია ადგილის, დროის და სხვა ფაქტორებით. ზოგიერთი მათგანი შეზღუდულია მხოლოდ საზოგადოების მწარმოებლურობით, ზოგიერთი კი სხვადასხვა წარმოებრივი დარგის პროპორციულობით და საზოგადოების მოხმარების უნარით.

მარქსს განზრახული ჰქონდა კრიზისების პრობლემის უფრო დაწვრილებით შესწავლა. საკმაო სკეპტიციზმის (საეჭვო, არასაიმედო) საბაბს იძლევა იმ ფაქტის კონსტატაცია (დადგენა), რომ ვინაიდან კაპიტალიზმი ინვესტირების დაგეგმვას მოკლებულია, იგი წარმოებრივ სექტორებს შორის არსებული ურთიერთობების შენარჩუნებას აბრკოლებს. გასარკვევია, კიდევ ერთი საკითხი, თუ რატომ იყო ინვესტირება ხან დიდი, ხან მცირე და დროის გარკვეულ ინტერვალებში რატომ ჰქონდა ადგილი რეგულარულად კონიუნქტურულ რყევებს მე-19 საუკუნეში.

მარქსის ნაშრომში სრულად არ არის ახსნილი ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც, კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის საქმეში საგარეო ბაზრებს ენიჭება. მარქსისათვის, რა თქმა უნდა, ნათელი იყო, რომ გასაღებისათვის სწრაფვა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია. უკვე 1848 წელს „კომუნისტურ მანიფესტში" იგი აღნიშნავდა, – ბურჟუაზია იძულებულია მოძებნოს სულ ახალი და ახალი ბაზრები. 1853 წელს „ნიუ-იორკი დეილი ტრიბუნისათვის" დაწერილ სტატიაში იგი წერდა: „ხშირად ჩვენი მკითხველის ყურადღებას ვაქცევდით 1850 წლიდან ბრიტანეთის მრეწველობის უჩვეულო ზრდას, მაგრამ აყვავების დროსაც კი მოახლოებული სამრეწველო კრიზისის სიმპტომების შემჩნევა ძნელი არაა... ბაზრების გაფართოება-ზრდა ბრიტანეთის მრეწველობის ზრდა-განვითარებას მხარს ვერ აუბამს და ეს დისპროპორცია გარდაუვლად ახალ კრიზისს გამოიწვევს"[1].

მარქსი ამ საკითხს „კაპიტალში" ბევრჯერ დაუბრუნდა. იგი ხაზს უსვამდა, რომ კრიზისები დაკავშირებულია მსოფლიო ბაზარზე კაპიტალისტური ეკონომიკის ექსპანსიასთან, ითვალისწინებს კაპიტალიზმის ტენდენციას, ჭარბწარმოების დროს ეძებოს ჭარბი საქონლის გასაღების შესაძლებლობა. ამასთან, კაპიტალის ექსპორტის აუცილებლობაზეც მიუთითებდა და წერდა, რომ კაპიტალი საზღვარგარეთ ყოველთვის იმიტომ კი არ გაედინება, რომ იგი საკუთარი ქვეყნის შიგნით აბსოლუტურად არ გამოიყენება, არამედ იმისთვისაც, რომ მისი საშუალებით მოგების უფრო მაღალი ნორმა მიიღონ.

მარქსი, სმითისა და სისმონდის მსგავსად, მიიჩნევდა, რომ საგარეო ბაზარი ზედმეტი პროდუქტის გასაღებას და შიგა წინააღმდეგობების გარე არეალის გაფართოებით დაძლევას ემსახურება. როგორც ცნობილია, რიკარდო მსჯელობდა ზედმეტი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობაზე და, მაშასადამე,

1 Маркс К., Революция в Китае и в Европе - Маркс К., Энгельс Ф., Соч., т. 9, გვ. 101.

საგარეო ბაზრების აუცილებლობაზეც. მიუხედავად რიკარდოს გავლენისა, მარქსს მიაჩნდა, რომ დანაზოგების და ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე მოგების საშუალო ნორმაზეა დამოკიდებული.

მარქსს კარგად ესმოდა, რომ ჭარბწარმოების პირობებში ჭარბი პროდუქტისათვის გასაღების შესაძლებლობები უნდა მოძებნილიყო. მისი აზრით, ინდუსტრიულად განვითარებული მუშების „ზედმეტი წარმოება“ (იგულისხმება სამუშაო ძალის პოტენციური სიჭარბე) ხელს შეუწყობდა უცხო ქვეყნებში იძულებით გადასახლებას და კოლონიზაციას.

მარქსის შეხედულებით, საზღვარგარეთ კაპიტალის ექსპორტი ხდება არა მარტო იმისათვის, რომ ყოველთვის შეუძლებელია მისი ქვეყნის შიგნით დაბანდება, არამედ უფრო მაღალი მოგების ნორმის უზრუნველსაყოფად. იგი საგარეო ვაჭრობას სარქველის ფუნქციას ანიჭებს და წიგნის სხვადასხვა ადგილას ხაზგასმით მიუთითებს, რომ საგარეო ბაზრები ადრინდელი კაპიტალიზმისაგან განსხვავებულ როლს ასრულებენ.

რიკარდოს თეორიის ძირითადი შეცდომა იმასთანაა დაკავშირებული, რომ მან გასაღების თეორია ჟან ბაპტისტ სეისაგან აიღო. შესაბამისი პასუხი სეის გასაღების თეორიას გასცა მალთუსმა ნაშრომში – „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“ (1820).

მართალია, მარქსმა სავსებით ნათლად უარყო სეისა და რიკარდოს თეზისები საერთო ჭარბწარმოებით გამოწვეული კრიზისების შეუძლებლობაზე, მაგრამ იგი ამ საკითხში ყოველთვის თანმიმდევრული არ იყო. ამიტომ მას არ შეეძლო დაესაბუთებინა საზღვარგარეთ (განსაკუთრებით კი კოლონიებში) გასაღების შესაძლებლობის არსებითი მნიშვნელობა კაპიტალისტური ეკონომიკისათვის.

თუ მივიჩნევთ, რომ ევროპაში კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარება დიდადაა დამოკიდებული უცხოეთში (განსაკუთრებით კოლონიებში) გასაღების შესაძლებლობის ზრდაზე, უნდა დავუშვათ, რომ მარქსმა ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება გარკვეულწილად უგულებელყო.

მარქსის პოზიცია გასაღების საკითხებში დაკავშირებულია მის ზოგად კონცეფციასთან, ამიტომ იგი მოვლენების შემდგომი განვითარების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი იყო. მარქსი დარწმუნებული იყო, რომ წინააღმდეგობანი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კიდევ უფრო მეტად გამწვავდებოდა. იგი თვლიდა, რომ ამ ქვეყნებში ხელფასები საგრძნობლად არ გაიზრდებოდა და ჭარბწარმოება, მიუხედავად უცხოური ბაზრის შესაძლებლობებისა, მუდმივ საშიშროებად დარჩებოდა. 1870 წელს მარქსი მიუთითებდა, რომ ინგლისი, როგორც კაპიტალის მეტროპოლია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე გაბატონებული სახელმწიფო იყო, მუშათა მოძრაობისათვის ერთადერთი და მნიშვნელოვანი ქვეყანა გახდა, სადაც ამ რევოლუციისათვის საჭირო მატერიალური პირობები სათანადო დონეზე განვითარდა. მან ინგლისში სოციალური რევოლუციის დაჩქარება საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩათვალა.

აქ დიაგნოზის დასმისას დაშვებულია გარკვეული შეცდომა. დავუშვათ, რომ საგარეო ბაზრების მნიშვნელობის უფრო საფუძვლიანი შესწავლა მარქსს აიძულებდა რევოლუციის პერსპექტივის საკითხში შეფასების შეცვლას. თუ გასაღების ახალი ბაზრების წინასწარი დადგენის აუცილებლობას კაპიტალის დაგროვების წანამძღვრად ჩავთვლით, მაშინ სავსებით სამართლიანია შეხედულება, რომ ეს აუცილებლობა კაპიტალიზმის შიგნით გამოიწვევს წინააღმდეგობას, რომელიც ისეთივე პრინციპული ხასიათისაა, როგორც მუშათა უკიდურესი ექსპლუატაციით გამოწვეული წინააღმდეგობა.

ახალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში, ახალი უცხოური ბაზრების შესაძლებლობები დაქირაებული მუშის ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად აამაღლებს. კაპიტალიზმი, გაღარიბების პროცესის გამო, უპირველესად ყოველისა, „დაეცემა“ არა ინდუსტრიულ, არამედ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური წარმოების განვითარება სიღატაკესა და ექსპლუატაციას განაპირობებს.

ზუსტად რატომ არ გამართლდა მარქსის წინასწარმეტყველება და ხომ საჭიროებს კაპიტალისტურ ეკონომიკაში მისი ანალიზი შევსებას?

მარქსის მიერ გაანალიზებულმა წინააღმდეგობებმა და ამით განპირობებულმა პროცესებმა მსოფლიოს განვითარებაში არსებითი როლი შეასრულა. გაღარიბების პროცესმა, ჭარბწარმოებით გამოწვეულმა კრიზისებმა (განსაკუთრებით 1929-33 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა) და აგრეთვე მოგების ნორმის დაცემამ ძალზე დაასუსტა ინდუსტრიული ქვეყნები და სხვადასხვა გარდაქმნების აუცილებლობა განაპირობა, მაგრამ უდავოა, რომ ისტორიულმა განვითარებამ მარქსის სქემას მთლიანობაში გადაუხვია.

7. მოღვაწეობის ბოლო წლები და თეზისები

„კაპიტალში“ ცოტაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ წარმოედგინა მარქსს კაპიტალიზმის შემცვლელი საზოგადოება. მისი ცალკეული შენიშვნები მიგვანიშნებდა, რომ იგი მას იდეალურ საზოგადოებად წარმოედგინა, რომელიც კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი გაუცხოებისა და, საერთოდ, წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი იყო. ასეთი იდეალურ საზოგადოებას ადგილი აქვს იქ, სადაც წარმოებრივი საშუალებანი საზოგადოებრივ საკუთრებაშია.

მომავალი საზოგადოების მარქსისეული კონცეფცია განსხვავდება ჰეგელის ფილოსოფიის მიერ ინსპირირებული საზოგადოებისაგან. ჰეგელიანელებს მიაჩნდათ, რომ მომავალ საზოგადოებაში ადამიანი გაცელაზე დაფუძნებულ კანონებსა და განსაკუთრებით საქონლის ღირებულების განმსაზღვრელ კანონს აღიარებს. მარქსი ამის საპირისპიროდ ამტკიცებს, რომ უკვე საქონლის ღირებულება აღარ იარსებებს. მაგრამ ეკონომიკას, რომელიც ძალზე განვითარებულ შრომით დანაწილებას ეყრდნობა, მაშინაც კი, როცა წარმოებრივ საშუალებებზე კერძო საკუთრება აღარ იარსებებს, შეუძლია უარყოს ვაჭრობა?

მას შემდეგ, რაც მარქსმა, საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციაში მონაწილეობაზე (1864) თანხმობა განაცხადა, რომელიც ისტორიაში **„პირველი ინტერნაციონალის“** სახელწოდებითაა ცნობილი, იგი დაკავებული იყო როგორც თეორიული კვლევებით, ისე პრაქტიკული საქმიანობით. ლონდონში ორგანიზაციის დაარსების შეკრებაზე და შემდეგ კონგრესზე (რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში ტარდებოდა კონტინენტის სხვადასხვა ქალაქებში – 1865 წ. ჟენევაში, 1868 წ. – ბრიუსელში) იგი პრუდონთან და ბაკუნინთან თეორიულ ბრძოლაში თავისი იდეების განხორციელებას ცდილობს.

მან შეძლო ევროპის მუშათა მოძრაობის დარწმუნება იმაში, რომ საზოგადოების შეცვლის წანამძღვარია სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღება და რომ ეს არა შეთქმულთა თავდასხმით, არამედ მუშების მასობრივი აჯანყებით მოხდება.

1870 წელს საფრანგეთის მარცხის შემდეგ, მარქსი ფრანგ მუშებს ურჩია ომის შემდეგ შექმნილი დროებითი მთავრობისთვის მხარი დაეჭირათ, მაგრამ იგი პარიზის პირველ კომუნას 1871 წლის 30 მაისს პირველი ინტერნაციონალის საბჭოს სადღესასწაულო მილოცვაში მხურვალედ მიესალმებოდა. ეს წერილობითი დოკუმენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომ იძენს, რომ მასში მოცემულია მარქსის **დებულება მომავალ საზოგადოებაში სახელმწიფოს კვდომის შესახებ** და რომ პარიზის კომუნამ, რომელმაც სახელმწიფო მოხელეები პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე რწმუნებულებით შეცვალა, მომავლის გზა აჩვენა.

პირველი ინტერნაციონალი მალე დასუსტდა რეპრესიების შედეგად, რომლებიც პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ საფრანგეთის მეამბოხე მუშების წინააღმდეგ იქნა მიმართული. მარქსმა მაშინ განსაკუთრებული ყურადღება გერმანიის მუშათა მოძრაობაზე გადაიტანა. 1875 წელს **გოთას ყრილობაზე** მუშათა ორივე პარტია გაერთიანდა და მათ „სრულიად გერმანიის მუშათა კავშირის“ (1863) პრეზიდენტის, ფერდინანდ **ლასალის** (1805-1864, Lassale) გავლენით ერთობლივი პროგრამა შეიმუშავეს.

1875 წელს დაწერილ ნაშრომში – **„გოთას პროგრამის კრიტიკა“** (გამოქვეყნდა 1891 წელს)[1] მარქსმა ეს პროგრამა მძაფრად გააკრიტიკა. ამ შრომაში მოცემულია თეზისი **„კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ“**. „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთის მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა **პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა**“[2].

გარდამავალ პერიოდში, რომელსაც მარქსი კომუნიზმის პირველ ფაზას - „სოციალიზმს“ უწოდებს, მშპ-იდან ინდივიდუალური მოხმარების ფონდი გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად ნაწილდება. ამდენად, ყოველ ადამიანს წარმოებრივი ძალების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტიმული მიეცემა.

---

1 კ.მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა - კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1964.

2 იქვე, გვ. 27.

„გოთას პროგრამის კრიტიკაში“ მარქსი უფრო ნათლად, ვიდრე „კაპიტალში“, გამოხატავდა იმ აზრს, რომ მომავლის საზოგადოება წარმოების საშუალებათა კოლექტიურ საკუთრებაზე იქნება დაფუძნებული. ამასთან კომუნალური საზოგადოების **უმაღლეს ფაზაში** - **„კომუნიზმში“**, მარქსის აზრით, ინდივიდუალური მოხმარების საშუალებები უნდა განაწილებულიყო პრინციპით - „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით“[1].

კ.მარქსი გარდაიცვალა 1883 წლის 14 მარტს ლონდონში. იგი გარდაცვალებამდე ფიქრობდა, თუ რა ვითარებაში შეიძლება დამყარებულიყო სოციალიზმი. 1848 წლის შემდეგ მას დიდხანს სწამდა, რომ ევროპაში მომხდარი რევოლუციების შემდეგ, რუსეთის მეფეს გადააყენებდნენ, რაც სრულიად ევროპის რევოლუციას გამოიწვევდა. როცა რუსეთში თავისთავად რევოლუციური მოძრაობა განვითარდა, იგი თანდათანობით ასკვნიდა, რომ შეიძლებოდა ცარიზმის უსისხლოდ გაუქმება და რევოლუციისათვის ომი ევროპაში საზიანოც კი შეიძლება ყოფილიყო.

ამის შემდეგ მარქსი დესპოტურ რუსეთში რევოლუციის დაწყებას ვარაუდობდა, რაც „ევროპის რევოლუციის სიგნალი“ უნდა გამხდარიყო, ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისია, მას შესაძლებლად მიაჩნდა რევოლუციის გარეშე საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნა. თუმცა იქვე დასძენდა, რომ დარწმუნებული არ იყო რევოლუციის გარეშე მნიშვნელოვან გარდაქმნებში, რამდენადაც იგი ხელისუფლების შესანარჩუნებლად ბურჟუაზიის მოქმედებაზე იქნებაო დამოკიდებული.

ლიტერატურა

სპერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 1973

ვ.გაგოძე: ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის კრიტიკა და მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის პრინციპების ჩამოყალიბება, თბ., 1955; კ.მარქსი, თბ., 1968.

ლ.გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, წიგნი 2, თბ., 1970.

პ.გუგუშვილი, კ.მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებაში, თბ., 1971.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, **ა.სილაგაძის** რედაქციით, თბ., 2005.

ფ.ენგელსი: ანტი-დიურინგი, თბ., 1952; ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული, თბ., 1984.

გ.თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, **ა.სილაგაძის** რედ-ით, ნაწ. II, თბ., 2009.

კ.კაუცკი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, თბ., 1920.

ვ.ი. ლენინი: კარლ მარქსი, თხზ., ტ. 21; მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19., მე-4 გამოცემა.

კ.მარქსი: ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, თბ., 1971; ფილოსოფიის სიღატაკე, თბ., 1938; დაქირავებული შრომა და კაპიტალი - კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1963; კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954; ტ.2, თბ., 1957, ტ. 3 (ნაწ. 1-2), თბ., 1959; ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ IV ტომი), ნაწ. 1, თბ., 1966, ნაწ. 2, 1968, ნაწ. 3, თბ., 1975; თეზისები ფოიერბახის შესახებ - კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.2, თბ., 1975; პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის: თბ., 1953; კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, თბ., 1963; კომუნისტური პარტიის მანიფესტი (ფ.ენგელსთან ერთად): თბ., 1954; კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ.I, თბ., 1963; გოთას პროგრამის კრიტიკა – კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბ., 1964.

კ.მარქსი, ფ. ენგელსი: წერილები „კაპიტალის“ შესახებ, თბ., 1953; რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1963; ტ. 2, თბ., 1964.

დ.რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგმანი ფ.გოგიჩაიშვილისა, ტფილისი, 1937.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

1 კ.მარქსი, გოთას პროგრამის კრიტიკა - კ.მარქსი, ფ.ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1964, გვ. 28.

ა.სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მეზეზების შესახებ, თარგმანი ფ.გოგიჩაიშვილისა, ტფ., 1938.

მ.ტოროშელიძე, კ.მარქსი, ტფ., 1933.

ა.ფანცხავა: მარქსის „კაპიტალი", თბ., 1971; კ.მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები" („კაპიტალის" IV ტ.), თბ., 1977.

გ.ჭანუყვაძე, კ.მარქსის მოძღვრების თანამედროვე „კრიტიკოსები" - მარქსის მოძღვრება ყოვლად ძლიერია, თბ., 1969.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Всемирная история экономической мысли, т. 2, М., 1988.

История экономических учений, Уч. Пособ., Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Каутский К., Собр. соч., т.1-4, 10, 12, М.-П., 1923-30.

Корню О., Карл Маркс и Фридрих Энгельс. Жизнь и деятельность, Пер. с нем., т. 1-3, М., 1968-1969.

Майбурд Е.М.: О понятии „эксплоатация" у Карла Маркса – ж. „МЭ и МО", №1, 1993; Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Маркс К., **Энгельс** Ф., Соч., 2 изд., т. 1-39, 41, 46 (ч.1-2), 47, 49, М., 1955-1976; Избранные произведения, т. 1-3, М., 1979; Из ранних произведений, М., 1956.

Никитин С., **Майбурд** Е., Экономическая теория Маркса: наука или идеология? – ж. „МЭ и МО", №1, 1993.

Папава Â.Ã., Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.**Чикава**, Тб., «Мецниереба», 1987.

Переписка Карла Маркса, Фридриха Энгельса и членов семьи Маркса 1835-1871 г. г., М., 1983.

Розенберг Д.И.: Теория стоимости у Рикардо и у Маркса, М., 1924; Комментарии к „Капиталу" К. Маркса, М., 1984.

Hegel G.: Enzyklopädie der philosophischen Wissenschaften im Grundrisse, Hamburg, 1959; Werke in zwanzig Bänden, Bd.1-20, Fr./M., 1969-1971; рус. тарга., Феноменология духа, 1807; Основы философии права, 1821.

Lamark, Histoire naturelle des animaus sans vartebres, t.1-2, P.1835-45; Избр. произв., т. 1-2, М., 1955-59; рус. тарга., Философия зоологии, т.1-2, М.-Л., 1935-37.

Löwisth K., Von Hegel zu Nietzsche. Der revolutionäre Bruch in Denken des 19. Jahrhunderts, Zürich, Hamb., 1978.

Malthus T.R., Principles of Political Econmy, L., 1820.

Man, Hendrik de., Au delà du marxisme, Paris, 1929.

Monz H.,Karl Marx Grundlagen der Entwicklung zu Leben und Werk, 2 Auf., Trier, 1973.

Moroshima M., Marx's Economics, Cambridge, 1973.

Schuffenbauer W., Feuerbach und der Junge Marx, B., 1965.

Schumpeter J., Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, 2 erw. Aufl., Bern, 1950; рус. тарга., История экономичского анализа, т. 1-3, Санкт-Петербург, 2004.

Seiffert H., Marxismus und bürgerliche Wissenschaft, München, 1971.

Strey J., **Winkler** G., Marx und Engels 1848-49, B., 1972.

Turban M., Marxsche Reproduktionsschemata und Wirtschaftstheorie, Berlin, 1980.

Wolff R., Understanding Marx. A Reconstruction and Critique of Capital, Princeton, 1984.

თავი IX.
ეროვნული ეკონომიკის დოქტრინები

1. გერმანული ისტორიული სკოლა

1.1. წინამორბედები

ისტორიულმა სკოლამ თავისი შეხედულებები ნაწილობრივ სახელმწიფოს, საზოგადოების და ეკონომიკის კლასიკური დოქტრინის ინდივიდუალისტური გაგების და მისი აბსტრაქტულ-იზოლირებადი მეთოდის საპირისპიროდ განავითარა. მას სურდა ეკონომიკური მოვლენების შემეცნება მათი ისტორიული ჩამოყალიბების გამოკვლევის დაფუძნებოდა. იგი მეცნიერულ დასკვნების ყოველგვარ ნაჩქარევ განზოგადებას უარყოფდა, ვინაიდან, ემპირიული ფაქტები საზოგადოებრივი კონტექსტით უნდა გამოეკვლიათ. ამასთან, სათანადოდ უნდა გაეთვალისწინებინათ გარე ეკონომიკური ფაქტორები, რამდენადაც ისინი (სამართალია, ზნეობა, პოლიტიკური ორგანიზაციები, ჩვეულებები...) ეკონომიკურ მოვლენებზე ზეგავლენას ახდენს.

ისტორიული სკოლის წინაშე ეკონომიკური მოვლენები ისტორიული განვითარების პროდუქტის სახით წარსდგება, რის გამოც კლასიკური მოძღვრების მეცნიერული დასკვნები მხოლოდ შედარებითი ჭეშმარიტებაა, ვინაიდან ისინი წმინდა ეკონომიკური ფაქტების კვლევით შემოიფარგლება. ეს შედარებითობა მით უფრო დიდია, რაც უფრო ხშირად ცვალებად მრავალ პირობაზეა იგი მიჯაჭვული.

1.1.1. იუსტუს მიოზერი (1720-1794)

ისტორიული სკოლის წინამორბედები ფასდება სხვადასხვანაირად, მათი მნიშვნელობისდა მიხედვით. გერმანელი იუსტუს ფონ **მიოზერი** ვ.როშერმა „მე-18 საუკუნის უდიდეს გერმანელი ნაციონალეკონომისტად“ აღიარა, ი.შუმპეტერმა კი თავის „ეკონომიკური ანალიზის ისტორიაში“ ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ მიოზერი უდავოდ საუკეთესო ადამიანად, მაგრამ არაეკონომისტად დაასახელა.

ნაკლებად საკამათოა ეროვნულ-ეკონომიკური რომანტიზმის, როგორც ისტორიული სკოლის წინამორბედის როლი; ანტიკლასიკური დოქტრინებისადმი მიდრეკილებები მასში ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით გაერთიანდნენ, რომელიც ყოველი დროისა და ყოველი ადამიანის თავის საკუთარ წინაპირობებთან შეთავსებას ცდილობდა. წინაინდუსტრიული მდგომარეობისკენ დაბრუნების ოცნებამ, რაც, უპირველეს ყოვლისა, რომანტიკოსებს ახასიათებდათ, ეკონომიკურ ისტორიაში თავისთავად პარალელები ვერ ჰპოვა.

1.1.2. ადამ მიულერი (1779-1829)

ადამ პენრიხ მიულერი (Müller), როგორც გერმანული ისტორიული სკოლის წინამორბედი ეკონომიკურ მეცნიერებაში, <u>რომანტიკული სკოლის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად ითვლება.</u> იგი გოტინგენის უნივერსიტეტში სწავლობდა, 1813 წლიდან ავსტრიის მთავრობაში მუშაობდა, 1818-1827 წლებში ავსტრიის გენერალური კონსულია ლაიპციგში.

თავის ნაშრომში **„სახელმწიფო ხელოვნების ელემენტები“**[1] (1809), მან გააკრიტიკა სმითიანელობის კოსმოპოლიტიკური თეორია, რომელიც ცალკეული ქვეყნების ეროვნული განვითარების თავისებურებებს არ ითვალისწინებს. ამასთან, იგი კლასიკური სკოლის „აბსტრაჰირებადი“ მეთოდების წინააღმდეგია და იმ ეკონომიკური დოქტრინის „ეთიკურ-ორგანულ“ აღქმას მოითხოვს, რომლის მეცნიერული დასკვნები ერთი ერის კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა ემყარებოდეს.

1 **Müller** A., Elemente der Staatskunst, B., 1809.

მიულერი ეწინააღმდეგებოდა კლასიკურ იდეებს, რადგანაც მან ანგარების გარდა სხვა ბევრი არაფერი მოიტანა. ამასთან, კლასიკური შრომითი ღირებულების დოქტრინის კრიტიკისას მან „ფასეულობის თეორია" წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ეროვნულ სიმდიდრეში ხალხის როგორც მატერიალური, ასევე სულიერი ფასეულობებიც უნდა ჩართულიყო. იგი აიდეალებდა შუასაუკუნეობრივ წყობას და ახალი საზოგადოების აშენებას „კოოპერაციულ საწყისებზე" მოითხოვდა.

მიულერის აზრით, ერის „პროდუქტული ძალები", მისი ეკონომიკური მომავლის გათვალისწინებით, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ, ვიდრე მათი მხოლოდ პროდუქტიული ფუნქცია. „მწარმოებელი ძალების" განვითარების ასეთი იდეა ადამ მიულერის მოძღვრებაში ცენტრალურ პოზიციას იკავებს, ვინაიდან საზოგადოება და ამით ეკონომიკაც „ყველა ურთიერთობის უკუქმედებაში" განუწყვეტლივ მოძრაობს და ისე ვითარდება, რომ ეკონომიკურ მოვლენებს თავიანთ თანაარსებობაში ბოლომდე ვერ ჩასწვდებიან ხოლმე.

მიულერი თავის ნაშრომში **„ფულის ახალი თეორიის გამოცდა დიდი ბრიტანეთის მაგალითის გათვალისწინებით"**[1] (1816) აღნიშნავს, რომ გაცილებით მეტად საჭიროა ეკონომიკურ გამოთვლებში დროისა და მოძრაობის ერთობლივად აღქმა და შემაჯამებელი შეხედულებების ადგილზე, რომლითაც დღემდე თეორია კმაყოფილდებოდა, სახელმწიფო მეურნეობის სრულყოფილი, ცოცხალი ხატის ჩასმა.

ამგვარად, მიულერი სტატიკური ანალიზის ნაცვლად, დინამიკურ ანალიზს მოითხოვდა, რომელიც საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების ორგანული აღქმის უფრო მეტი თანმიმდევრულობაა. სახელმწიფოს შესახებ ამ მოძღვრების თავისებურება ცალკეულ ნაწილებზე საზოგადოებრივი მთლიანობის უკვე აშკარად უნივერსალური ხასიათის მქონე უპირატესობაში ჩანს, რაც გამოიხატება კიდეც მიულერის მიერ **ფულის არსის** აღქმაში, მის თეზისში **ინტელექტუალური კაპიტალის** შესახებ, მის **პროდუქტიულობის** თეორიაში, რომელშიც სახელმწიფო განიხილება, როგორც პროდუქტიული ძალების წყარო, მის შეხედულებებში ეროვნული **კრედიტისა** და **გადასახადის ფუნქციებზე**.

ამგვარადვე გამომდინარეობს მისი უნივერსალურად ორიენტირებული აზროვნების მანერიდან და უკვე მის ახალგაზრდობაში წარმოშობილი **„დაპირისპირების შესახებ დოქტრინის"** ძირითადი ფილოსოფიური შეხედულებიდან მისი პროტესტი სმითის თეორიის წინააღმდეგ, მის მიერ იზოლირებული აბსტრაქციის კრიტიკა, ინდივიდუალიზმის და ეკონომიკური პროცესების რაციონალურ-გამოთვლადი აღქმის უარყოფა.

ეკონომიკურ ცხოვრებაში ადამ მიულერის დოქტრინამ ვერანაირი საგრძნობი ზეგავლენა ვერ მოახდინა თეორიულ აზროვნებაზე, რადგან მის კონცეფციას ჩანაფიქრში, ფორმასა და გამოხატულების მანერაში აკლდა საჭირო კონკრეტულობა, მის დასკვნებს - ლოგიკური მახვილი აზროვნება, რადგან იგი პრინციპული დაპირისპირების და მეთოდური მოსაზრებების შემუშავებით ეკონომიკური მოვლენების ამომწურავ ანალიზს ვერ აღწევდა. ამიტომაც მისმა კრიტიკულმა პროტესტმა, კლასიკური სწავლების საპირისპიროდ გამოხმაურება ვერ ჰპოვა. თვით გერმანულ მეცნიერებაშიც კი, რომელმაც კლასიკოსთა შეხედულებები ნაწილობრივ მხოლოდ პირობითად გაითავისა.

1.1.3. ფრანც ბაადერი (1761-1841)

დანარჩენი რომანტიკოსებიც, რომლებიც ეკონომიკის და საზოგადოების საკითხებს განიხილავდნენ, ამ მხრივ უფრო წარმტებულნი არ იყვნენ. რაც გერმანელ ფილოსოფოს-რომანტიკოს ფრანც ფონ **ბაადერზეც (Baader)** ითქმის, რომლის ნაშრომებში[2] გამოთქმული შეხედულებებიც გარკვეულწილად ადამ მიულერის შეხედულებებსაც ემთხვეოდა, მაგრამ არსებული ეკონომიკური ცხოვრების გაგებასა და წარმოდგენაში იგი გაცილებით კონკრეტულ და რეალისტურ მეცნიერულ დასკვნებს აკეთებდა, ვიდრე ამას სახელმწიფოსა და ეკონომიკის შესახებ რომანტიკული მოძღვრების დამფუძნებლების შემთხვევაში ჰქონდა ადგილი.

---

1 Versuche einer neuen Theorie des Geldes..., Lpz.-Altenb., 1816.

2 **Baader** F.: Sämtliche Werke, Bd.1-16, Lpz., 1851-1860; Über den Begriff der Zeit, Bazel, 1954; Gesellschaftlehre, Münch., 1957.

იგი დაიბადა მიუნჰენში, იყო მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორი.

ბაადერი პარალელურად დაკავებული იყო წარმოშობის პროცესში მყოფი სამრეწველო ეკონომიკის (სოციალური თვალსაზრისით) საზიანო შედეგებით და მივიდა იმ დასკვნებამდე, რომლებშიც ფაქტობრივად როდბერტუსის დაღმავალი სახელფასო კვოტისა და მარქსის დაგროვების თეორიის სათავეები გამოსჭვივის. თხზულებაში „**საზოგადოების უქონელ ანუ პროლეტარებს და მდიდარ კლასებს შორის არსებული დისპროპორციების შესახებ**“ (1835) შემოიტანა **პროლეტარიატის** ცნება. საზოგადოებრიცი წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებად უნივერსალური ქრისტიანული რელიგიის შექმნა მიაჩნდა.

ეკონომიკის რომანტიკულ დოქტრინას მნიშვნელობა ენიჭება იმ ეკონომიკურ პროცესებთან ერთად დასმული სოციოლოგიური მიდგომის გამო, რომლებიც გერმანული სოციოლოგიის საწყის სტადიად შეიძლება შეფასდეს. მითუმეტეს, რომ მასთან არსებული დინამიური მოსაზრება ეკონომიკური მოვლენების და ინსტიტუტების ისტორიულლი რეალობის აღქმას აშკარად წინ აყენებს.

1.1.4. ფრიდრიხ ლისტი (1789-1846)

1.1.4.1. სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა

როგორც ცნობილია, კლასიკოსები მსოფლიო ეკონომიკას აანალიზებდნენ, ფ. ლისტისათვის კი მთავარი „ეროვნული ეკონომიკის“ კვლევაა. იგი შრომითი ღირებულების თეორიის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებდა, რომ სიმდიდრის წყაროა არა ფიზიკური შრომა, არამედ „გონებრივი“ კაპიტალი.

ფ.ლისტის (List) ცხოვრების გზა ფრანგული რევოლუციის დასაწყისში (1789) ქ.როიტლინგენში დაიწყო. მისი დაბადების დღე ზუსტად არაა ცნობილი. მამა, იოჰანეს ლისტი ქალაქის ბურგომისტრის[1] მოადგილე იყო; როიტლინგენი შტუტგარტის მმართველობაში მოექცა.

თექვსმეტი წლის ფრიდრიხმა, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე ლათინურ სკოლაში დადიოდა, მამასთან დაიწყო მუშაობა: გადამწერის მოწაფედ, ინსპექტორად, შემდეგ ტიუბინგენში სასამართლოს გადამწერად. აქ იგი უნივერსიტეტმა მიიზიდა, სადაც ლექციებს იურისპრუდენციასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებებში ისმენდა. იგი შეამჩნია უნივერსიტეტის პროგრესულად განწყობილმა კურატორმა ფონ ვანგენჰაიმმა, რომელმაც ახალგაზრდა ტალანტის გამოყენება გადაწყვიტა, როდესაც შტუტგარტის მთავრობის კაბინეტში მინისტრად მიიწვიეს.

1814 წლის სექტემბერში ლისტმა ოცდახუთი წლის ასაკში წარმატებით ჩააბარა გამოცდა სასამართლოს გადამწერის თანამდებობაზე და საკანცელარიო საქმის რეფორმისადმი მიძღვნილი მოხსენებითი ბარათიც შეადგინა, რომლითაც სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ორი წლის შემდეგ იგი უკვე მუშაობას მოანგარიშედ იწყებს და ეს უკვე ახალგაზრდა კაცისათვის წარმატებული კარიერის დასაწყისი იყო. როდესაც ვანგენჰაიმმა შინაგან საქმეთა სამინისტრო დატოვა და ეკლესიების და სკოლების სამინისტრო ჩაიბარა, ლისტმა მისთვის უნივერსიტეტში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჩამოყალიბების თაობაზე წინადადებები შეიმუშავა, რასაც არა მარტო ამ ფაკულტეტის გახსნა მოჰყვა, არამედ ლისტს „ეკონომიკის პრაქტიკის პროფესორის“ წოდება მოუტანა და თანამდებობის პირი გახდა.

ლისტს საკუთარი ოჯახის შექმნის შესაძლებლობა მიეცა. მან ცოლად კაროლინა ნაიდჰარდი, ბრემენელი ვაჭრის ქვრივი, ტიუბინგენის უნივერსიტეტის კლასიკური ლიტერატურის პროფესორის, დავით ზეიბოლდის (1747-1804) ქალიშვილი შეირთო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქორწინებამ კოლეგა პროფესორებში ლისტის ავტორიტეტი აამაღლა, მისი მდგომარეობა უნივერსიტეტში მაინც საკმაოდ რთული რჩებოდა.

უნივერსიტეტში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაკულტეტის დაარსება გარკვეულ წინააღმდეგობებს წააწყდა. გარდა ამისა, ლისტმა მისი ექსპერიმენტებით სახელი ვერ მოიხვეჭა, რადგან საფუძვლიანი განათლება არ მიუღია და მისი ახალი საგანი და ლექციების პროგრამა დახვეწას საჭიროებდა.

ლისტს არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, ცოდნა ძირითადად აუტო-

1 **ბურგომისტრი** (გერმ. bürgermeister) – ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს მეთაური.

დიდაქტიკური გზით, კერძოდ, ტიუბინგენში სასამართლოს გადამწერად მუშაობისას შეიძინა, როდესაც იგი მაიერის სახელმწიფო სამართლის კოდექსის მეცადინეობებს ესწრებოდა. ამის შემდეგ, შტუტგარტში, სამსახურის პარალელურად მან აქტიური საგამომცემლო და პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო, კერძოდ, მისი რედაქტორობით 1816-1817 წლებში ყოველკვარტალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „ვიურტემბერგის არქივი“ გამოიცა. მართალია, მხოლოდ გამოდიოდა, სამაგიეროდ მისი გამომცემელი იყო უკვე სახელგანთქმული ფრიდრიხ კოტა, რომელთანაც ლისტს მჭიდრო კავშირურთიერთობა ჰქონდა. იგი შემდგომში დაპატიმრებულ ლისტს გამოექომაგა და მისი ნაშრომებიც, მათ შორის ლისტის მთავარი ნაშრომი – **„პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“** (1841) გამოსცა.

მრავალმა სამეცნიერო წერილმა და ნაშრომმა ლისტს პოპულარობასთან ერთად მოშურნეებიც გაუჩინა. მმართველი წრეების თამამი კრიტიკის გამო იგი შტუტგარტის ელიტაში თანდათანობით არასასურველი პირი გახდა.

1819 წელს ლისტი ფრანკფურტის საგაზაფხულო ბაზრობზე ვაჭრებს მოუწოდა შიგა საბაჟოების გაუქმებისა და მთელი **გერმანიისათვის ერთიანი საბაჟოს სისტემის** შემოღების აუცილებლობაზე პარლამენტისათვის მიემართათ.

ლისტს შტუტგარტში დაბრუნება და „საეჭვო ორგანიზაციული ქმედების გამო“ თავის დაცვა მოთხოვეს. იგი სამსახურიდან განთავისუფლდა და ახლად ჩამოყალიბებულ გერმანელ ვაჭართა და ფაბრიკანტთა კავშირში (ე.წ. სავაჭრო გაერთიანებაში) „მრჩეველად“ მუშაობა დაიწყო.

ოცდაათი წლის ასაკში ლისტმა უკვე გამოავლინა ნიჭიერება, როგორც ეროვნულმა ეკონომისტმა, პოლიტიკოსმა, ჟურნალისტმა და აგიტატორმა. გერმანია იმ დროს ჯერ კიდევ რამდენიმე სუვერენული სახელმწიფოსაგან შედგებოდა და მათი გაერთიანება მხოლოდ ერთიან სავაჭრო სივრცეში მოხერხდა.

ლისტი გერმანულ სახელმწიფოებში მოგზაურობდა საბაჟო კავშირის იდეების პოპულარიზაციის მიზნით. პარლამენტისადმი მის მიერ შედგენილი მიმართვა (მიუხედავად დასაბუთებული არგუმენტაციისა) უშედეგო იქნებოდა, რადგანაც ამ წინადადებების წამოყენება მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შეეძლოთ.

ლისტის მისწრაფება განუხორციელებელი იყო, ამიტომ დაეთანხმა იგი მშობლიურ ქ. როიტლინგენის მოსახლეობის თხოვნას, მიეღო მანდატი ვიურტემბერგის დეპუტატთა პალატაში. დეპუტატობის პირველივე დღეებიდან ლისტი საპარლამენტო მუშაობაში აქტიურად ჩაერთო. უკვე ორი თვის შემდეგ მან ე. წ. როიტლინგენის შუამდგომლობა მოამზადა, რომელშიც მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, უფრო სამართლიან გადასახადებს, ფეოდალური ბეგარის გაუქმებას, უფრო მარტივ მართვას და უფრო თვალსაჩინო, ღია სასამართლო პროცესებს (თანამედროვე პოზიციებიდან სრულიად მარტივ, კანონიერ მოთხოვნებს) ეხებოდა.

ფ.ლისტმა ჯერ კიდევ ზამთრის საპარლამენტო არდადეგებზე პეტიცია დაბეჭდა და იგი პროკლამაციის სახით გაავრცელა, რითაც დაარღვია კანონი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. პეტიციის საგიტაციო და ბრალმდებლურმა ტონმა არა მარტო მთავრობა, არამედ პარლამენტის ნაწილიც ლისტის წინააღმდეგ განაწყო.

1821 წელს ლისტი პარლამენტიდან გარიცხეს, ორი თვის შემდეგ გაასამართლეს და ათთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამ განაჩენით საზოგადოება შეშფოთდა. ამის შემდეგ ლისტს სახელმწიფო სამსახურში, ვიურტემბერგში და არც სხვა გერმანულ სახელმწიფოში დარჩენა აღარ შეეძლო. პასპორტის გარეშე, დაქირავებული ნავით მან რაინი გადალახა და სტრასბურგში სამშვიდობოზე ჩავიდა, რადგან არსებული კანონმდებლობის თანახმად მისთვის არცერთ გერმანულ სახელმწიფოში საიმედო თაეშესაფარი აღარ იყო.

სტრასბურგში მან სხვა გერმანელი დევნილებიც გაიცნო და როგორც საზღვარგარეთის კორესპონდენტი, ანონიმურად აგზავნიდა წერილებს შტუტგარტის **„ნეკერ-ცაიტუნგში“**, რომელსაც იგი ცოლისძმასთან ფრიტც ზეიბოლდთან ერთად გამოსცემდა.

მალე იგი იძულებული გახდა სტრასბურგიც დაეტოვებინა და შემდეგი ორი წელი შვეიცარიასა და საფრანგეთში გაატარა, ისე რომ, ფეხი ვერსად ვერ მოიკიდა. მოწყალების იმედით გამსჭვალული და მონარქისტული პოზიციების ერთგული ლისტი 1824 წელს ვიურტემბერგში

ბრუნდება, სადაც ჯერაც მოქმედი განაჩენის აღსასრულებლად დააკავეს. პატიმრობის ხუთი თვის შემდეგ იგი იმ პირობით განთავისუფლდა, რომ ვიურტემბერგს სამუდამოდ დატოვებდა.

ლისტი მოქალაქეობის არმქონე პირი გახდა. მან ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტა. სტრასბურგისა და პარიზის გავლით შეუღლესთან და შვილებთან ერთად ნიუ-იორკში ჩავიდა. ამერიკამ მას მალე ასპარეზი გაუხსნა.

ლისტმა ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე შტატში იმოგზაურა. ამ დროს გაიცნო რობერტ ოუენი – სოციალისტ-რეფორმატორი. თავდაპირველად მან ფერმერობა დაიწყო, შემდეგ რედინგში (პენსილვანია) გერმანულენოვანი გაზეთის – „რედინგენის არწივის“ გამოცემა დაიწყო, რომელიც, პირველ რიგში, გერმანიიდან ემიგრირებულ მოსახლეობაში ვრცელდებოდა. ამავე დროს 1828 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატ ჯექსონისათვის მისი გაზეთის მკითხველთა შესამჩნევი ნაწილის ხმები მოიპოვა და ამით მას გამარჯვებაში დაეხმარა. თავის მხრივ, ჯექსონმა გამარჯვების შემდეგ, ლისტი გერმანიის კონსულად დანიშნა.

ლისტს უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო, სადაც იგი აგზავნიდა „წერილებს ამერიკიდან“, რომლებიც ეკონომიკურ და საინფორმაციო მიმოხილვებს ეძღვნებოდა. ამ პუბლიკაციებმა მალე გაუთქვა სახელი და მის წინაშე უფრო დიდი ამოცანები დააყენა, მათ შორის ის, რომლებმაც იგი თავის დროზე ეროვნულ-ეკონომიკური ხასიათის ნაშრომების დასაწერად შეაგულიანა. ეს წერილები (სულ 12) 1827 წელს ცალ-ცალკე ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა (სათაურით – **ამერიკული პოლიტიკური ეკონომიის კონტურები**). აქ ლისტმა პირველად ვრცლად განმარტა და განავითარა დამცავი საბაჟოს იდეა.

შეერთებულ შტატებში იგი ხელახლა წააწყდა იმ სავაჭრო პოლიტიკის განმსაზღვრელ პრობლემებს, რომელიც სუსტი მრეწველობის მქონე აგრარულ სახელმწიფოს ახასიათებს. მან დაინახა, რომ ფოლადის წარმოება მხოლოდ მაშინ დაიმკვიდრებდა შიგა ბაზარზე ადგილს, თუ იგი საბაჟოს მეშვეობით დაცული იქნებოდა ინგლისური იმპორტისაგან. კერძოდ, მანამდე მაინც, სანამ ინგლისი თავის საბაჟო გადასახადს შეერთებული შტატებიდან ხორბლის იმპორტზე კანადის ბრიტანული პროვინციების ანალოგიურ დონემდე არ შეამცირებდა.

მისი ჩამოსვლიდან სულ რაღაც ორი წლის შემდეგ ლისტი პენსილვანიაში (და არა მარტო ამ შტატში) პოპულარულ ადამიანი გახდა. იმ დროს შეერთებულ შტატებში თავისუფალ ვაჭრობასა და დამცავ საბაჟოს შორის გაღვივებულ დავაში იგი აქტიურად მონაწილეობდა და საბაჟო ტარიფების რეფორმირებაში დიდი წვლილიც შეიტანა.

1827 წელს მას „კონტურების“ გარდა, თითქმის არაფერი გამოუქვეყნებია, რადგან სხვა საქმიანობას ეწეოდა, – სარედაქციო მუშაობა მცირე ანაზღაურებას აძლევდა. ლისტი იძულებული იყო უფრო შემოსავლიანი ადგილი ეძებნა.

მისი თაოსნობით წარმოებულმა საკვლევა-ძიებო გეოლოგიურმა მუშაობამ ქვანახშირის მდიდარი საბადოები გამოავლინა. მან გერმანელ დოქტორ ისააკ ჰაესტერთან ერთად მცირე ფულით ლითონ შუილკილის მიდამოებში მიწები შეიძინა. საჭირო იყო ამ პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი ადგილის მომზადება, დასახლება და საჭირო ინფრასტრუქტურით (ქუჩებით, სატრანსპორტო გზებით, მომპოვებელი მოწყობილობებით, ბინებით, მართვის დაწესებულებებით, სკოლებით, ფოსტით და ა. შ.) აღჭურვა. ლისტმა კიდევ შეიძინა მიწები ორი ქალაქის – ტამაკუას და პორტ კლინტონის ასაშენებლად, რომლებიც იმ დროს დაარსდა.

სხვა მოქალაქეებთან ერთად მან მალე „ბალტიმორისა და ოჰაიოს რკინიგზის კომპანია“ (1828) დააარსა და შეერთებულ შტატებში მცირე რკინიგზების მშენებლობის ერთ-ერთი პიონერი გახდა. მისი „რკინიგზა“ 1833 წელს ექსპლოატაციაში შევიდა. სამი წლით ადრე კი ლისტმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

ვიურტემბერგიდან გაძევებული ლისტის ნიჭს უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყანაში ფართო ასპარეზი მიეცა. მან შეადგინა მთელი მიმოსვლის ქსელების გეგმები, რომელთა მიხედვითაც ქვეყანა ლიანდაგების გზებით უნდა დაფარულიყო. ამავე დროს, იგი გერმანიაში დაბრუნებაზეც ფიქრობდა. ამის შანსიც, როგორც უკვე ითქვა, მას მიეცა პრეზიდენტ ჯექსონისაგან, რომელმაც მას 1830 წელს თავისუფალ ქალაქ ჰამბურგში ამერიკის კონსულის ადგილი შესთავაზა. ჰამბურგის სენატმა პასუხი გააჭიანურა ვიურტემბერგთან მოსალოდნელი გართულებების გამო.

1831 წელს იგი ამერიკაში დაბრუნდა. მხოლოდ შემდეგ წელს, როდესაც მას ბადენში კონსულის თანამდებობა შესთავაზეს, იგი საბოლოოდ ტოვებს ამერიკას და ოჯახთან ერთად გერმანიაში ბრუნდება.

ფ.ლისტს ამერიკაში მიღებული გამოცდილების სამშობლოს საკეთილდღეოდ გამოყენება სურდა. ამერიკამ მას ასწავლა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის მიმოსვლას. ამიტომ შემდგომი ცხოვრება მან რკინიგზების მშენებლობასა და მიმოსვლის გზების განვითარების გეგმებს მიუძღვნა, გერმანიაში რკინიგზების მშენებლობების შესახებ დისკუსიებში ჩაერთო. ლისტმა რკინიგზის სასარგებლოდ, აქტიური პუბლიცისტური მოღვაწეობა განაგრძო.

1834 წლის სექტემბერში მან გამოაქვეყნა წერილი **„საქსონიის რკინიგზის სისტემის შესახებ და ლაიპციგიდან დრეზდენამდე რკინიგზის გაყვანაზე“**. რკინიგზის მშენებლობის პოპულარიზების მიზნით გამოაქვეყნა „მოწოდება საქსონიელი თანამემამულეთა მიმართ“, რომელშიც ახსნილია რკინიგზის უპირატესობები და რკინიგზის საზოგადოების დაარსების აუცილებლობა, აგრეთვე, რკინიგზის მშენებლობისათვის საჭირო აქციონერული კაპიტალის მობილიზება და საბოლოოდ, გერმანიაში ოცჯერ უფრო გრძელი რკინიგზის მშენებლობის დაწყება, ვიდრე 1835 წელს გახსნილი — ნიურნბერგიდან ფიურტამდე ექვსი კილომეტრის სიგრძის მონაკვეთია. უკვე 1837 წელს ლაიფციგიდან ალტენბურგამდე რკინიგზის პირველი მონაკვეთი გაიხსნა.

ფ.ლისტმა მისთვის დამახასიათებელი დაუოკებელი ენერგიით 1834-1837 წწ. ამ სასარგებლო პროექტის განსახორციელებლად იმუშავა, თუმცა მისი წარმატების შედეგით ვერ ისარგებლა. იგი არც რკინიგზის დირექტორად (რისი იმედიც ჰქონდა) არ მიიწვიეს და მის მიერ წინასწარ დაკვეთილი აქციონერული კაპიტალის ნაწილიც არ დაუთმეს.

გაოგნებული ლისტი ახალი პროექტების განხორციელებას შეუდგა. ჯერ კიდევ ლაიფციგში ყოფნისას მან ბერლინის სამეფო მთავრობისათვის პრუსიის რკინიგზის ქსელის მოწყობის წინადადებები დაამუშავა და ამისათვის ნებართვის მიღებას შეეცადა, მაგრამ ამ პროექტებს ისევე არ ელირსა. წარმატება, როგორც მის სხვა წინადადებებს. ვინაიდან იგი ყოველგვარი დაკვეთის გარეშე მუშაობდა, სათანადო ანაზღაურებაც ვერ მიიღო.

ფ.ლისტმა დაიწყო მის მიერ დაარსებული **„რკინიგზის ჟურნალის“** გამოცემა, რომელშიც რკინიგზების მშენებლობებზე თავისი იდეების პროპაგანდა გააგრძელა. პირველი წარმატების შემდეგ, 1837 წელს რკინიგზის ჟურნალის გამოცემა ისევ შეწერდა.

ამის შემდეგ მან პარიზში განავითარა ფრანგული სარკინიგზო სისტემის მოწყობის იდეები. ფ.ლისტმა საფრანგეთისათვის ეროვნული რკინიგზის სისტემის დაფინანსების გეგმა შეადგინა. მისი, როგორც სარკინიგზო საქმის ექსპერტის რეპუტაცია გაიზარდა.

1840 წლის გაზაფხულზე რკინიგზის მშენებლობის პროექტის განსახორციელებლად იგი ტიურინგიაში დაბრუნდა. მისი პირველი ამოცანა მოიცავდა პოლიტიკურ მისიას — მოეხდინა ტიურინგიის საპერკოგოების[1] ხელშეწყობა ერთიანი პროექტისათვის, რათა შემდეგ პრუსიის ხელშეწყობა მიეღო. ამის შედეგად, 1841 წლის აპრილში დადებული ხელშეკრულების განხორციელება მოხერხდა, რომელიც ჰალე-ზაალედან კასელამდე რკინიგზის მშენებლობას ითვალისწინებდა. ლისტმა მხოლოდ მცირე პრემია მიიღო.

1837 წელს პარიზის პოლიტიკისა და ზნეობის მეცნიერებათა აკადემიამ თავისუფალი ვაჭრობისა და საგადასახადო კანონმდებლობის სფეროში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებისათვის კონკურსი გამოაცხადა. ლისტმა ექვს კვირაში დაამუშავა ნაშრომი **„პოლიტიკური ეკონომიის ბუნებრივი სისტემა“** (1837) და კონკურსზე წარადგინა. საკონკურსო კომისიამ კონკურსში მონაწილეთა ნამუშევრებიდან არცერთი არ დააჯილდოვა და მხოლოდ სამი შეაფასა, როგორც „შესანიშნავი ნაშრომი“, მათ შორის იყო ლისტის „ბუნებრივი სისტემა“.

ლისტს შემდგომში ეს ნაშრომი არ უხსენებია და იგი მხოლოდ 1927 წელს დაიბეჭდა გერმანულ ენაზე[2]. და მაინც, ამ წარუმატებლობას გარკვეული დადებითი მხარეც ჰქონდა, რადგან ამის გამო ლისტმა უფრო დიდი ნაშრომის შექმნა გადაწყვიტა.

1840 წელს მას იენის უნივერსიტეტმა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

---

1 მსხვილი ფეოდალის, ჰერცოგის სამფლობელო.

2 List F., Das natürliche System der politischen Ökonomie, Bas.-Tüb., 1927.

ამით მისი ცხოვრების სარკინიგზო მშენებლობისადმი მიძღვნილი ფაზა დასრულდა და „ეროვნულ-ეკონომიკური" ეტაპი დაიწყო.

ლისტმა განიზრახა დიდი ნაშრომის – **„პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემის"** დაწერა, რომელიც პირველად 1841 წელს გამოქვეყნდა[1]. წიგნის წარმატებამ გერმანიაში მისი რეპუტაცია აამაღლა, თუმცა მისი „წარსულის კვალი არ წაშლილა".

1840 წელს იგი ოჯახთან ერთად პარიზიდან გერმანიაში დაბრუნდა. მომდევნო წელს, შტუტგარტში ხანგრძლივად ყოფნის დროს, მან შინაგანი წინააღმდეგობა დაძლია და მეფეს საკუთარი წიგნი გაუგზავნა „უმორჩილესი მოწყალების თხოვნით". საყოველთაო ამნისტიის დროს მას მოქალაქეობრივი უფლებები დაუბრუნეს და მეფემ იგი აუდიენციაზე მიიღო. მიუხედავად მისი და მისი მეგობრების მცდელობებისა, ვიურტემბერგსა და ბავარიაში მან ვერაინც ვერ დაიმკვიდრა მყარი პოზიციები. უფრო მეტიც, ვერ მიიღო ანაზღაურებადი თანამდებობა და იძულებული გახდა შემდგომში ჟურნალისტური და საკონსულტაციო საქმიანობისაგან მიღებული არამყარი შემოსავლებით ეცხოვრა.

ფ.ლისტს წინ ყოველთვის თავისი წარსული ელობებოდა, გამუდმებთ ისჯებოდა ზედმეტი სიბეჯითისათვის და სულ უფრო ხშირად რწმუნდებოდა იმაში, რომ წარმატებას ბევრი მშობელი ჰყავს, ხოლო მარცხს კი მხოლოდ ერთი.

ამასობაში ლისტმა ნახევარსაუკუნოვან ზღურბლს მიაღწია. იგი შფოთიან ცხოვრებას განაგრძობდა და საკუთარ და ოჯახის მომავალზე ზრუნავდა. წარუმატებლად ეძებდა საიმედო თანამდებობას და გრძნობდა, რომ ძალა ეცლებოდა. მუდმივი სამუშაოს იმედი თითქმის დაკარგა. როდესაც მას 1841 წლის შემოდგომაზე კიოლნში დასაარსებელი **„რაინიშე ცაიტუნგის"** მთავარ რედაქტორობაზე (ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით) უარი განაცხადა. შემდგომში ეს **თანამდებობა კარლ მარქსმა დაიკავა.**

ფ.ლისტმა 1843 წელს თვითონ დააარსა კიდევ ერთი ჟურნალი, **„ცოლვერეინბლატი"** (საბაჟო კავშირის ფურცელი), რომელსაც ერთი წლის განმავლობაში 600 წერილზე მეტი მიაწოდა. ჟურნალის წარმატებამ ლისტი დროებითი ხელფასით უზრუნველყო.

მას შემდეგ, რაც გერმანიაში საბაჟო კავშირი შეიქმნა, რკინიგზების მშენებლობა და სამრეწველო განვითარება დაიწყო, ლისტმა ყურადღება სამრეწველო თვალსაზრისით ძალზე ჩამორჩენილ დუნაის რეგიონს მიაპყრო. ამას 1844 წელს ვენაში, პრესბურგსა (ბრატისლავა) და ბუდაპეშტში ხუთთვიანი მოგზაურობა მოჰყვა.

ლისტმა გერმანიის საბაჟო კავშირის და ავსტრო-უნგრული მონარქიის გაერთიანების, „დასავლეთ-აღმოსავლეთის რკინიგზისათვის" (რაინიდან დუნაიმდე და შემდეგ შავ ზღვამდე) იდეების მხარდასაჭერად მომხრეთა ხმების შეკრება დაიწყო. იგი პოლიტიკურ დასაყრდენს ინგლისში ეძებდა.

1846 წელს მან თავისი საბაჟო იდეების მხარდასაჭერად ლონდონში იმოგზაურა და სცადა, რათა ინგლისის ზეგავლენით ჰანოვერს, ბრემენსა და ჰამბურგს საბაჟო კავშირში შესვლაზე უარი არ ეთქვათ.

ლისტს მშვიდი ცხოვრება აღარ შეეძლო. მთელი მისი არსება დაკავშირებული იყო მოგზაურობებსა და ახალ გეგმებთან, იდეებთან და წინადადებებთან. ამასობაში, 57 წლის ასაკში მას სასიცოცხლო ძალა გამოელია, დეპრესიაში ჩავარდა, ვეღარ მუშაობდა, მომავლის შიში დაეუფლა და 1846 წ. იგი გარდაიცვალა.

1.1.4.2. დოქტრინის არსი

„ვინ არის ჩვენთვის ფრიდრიხ ლისტი?" – ასეთი სათაური წაუმძღვარა გუსტავ შმოლერმა ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ თავის მოხსენებას, რომელიც ლისტის დაბადებიდან მეასე წლისთავს მიეძღვნა. აქ ლისტი, პირველ რიგში, განიხილება, როგორც პოლიტიკოსი, აგიტატორი, პატრიოტი და პროგნოზისტი და არა ეროვნულ-ეკონომისტი. სინამდვილეში, მას ვინც ლისტს მხოლოდ დოგმატურ ფიგურად იცნობს, მასზე სრულყოფილი წარმოდგენა არა აქვს.

ფ.ლისტმა თავის ისტორიულ და ეროვნულ-ეკონომიკურ ნაშრომებთან ერთად სამყაროს

1 List F., Das nationale System der politischen Ökonomie, Stütg.-Tüb., 1841.

და კაცობრიობის ღრმა ცოდნა გამოავლინა. გ.შმოლერი ლისტს **ისტორიული სკოლის ადრეულ სულიერ მონათესავედ და ფაქტობრივ დამარსებლად მიიჩნევს**. იგი დიდად დაეხმარა ამ სკოლის სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული მიდგომის დასაბუთებას ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ. მან სხვებზე მკაფიოდ მიუთითა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფსიქოლოგიურ-ისტორიული მიზეზების შესწავლის აუცილებლობაზე. მისი აზრით, ეკონომიკის ისტორიის მამოძრავებელია არა ინდივიდუუმი, არამედ სოციალური საზოგადოებები. მისთვის ეროვნული დამცავი საბაჟო სისტემა აზრთა ურთიერთდაკავშირებული რგოლის მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილია.

ფ.ლისტის შეხედულებებზე მსჯელობისას მხოლოდ მისი ეკონომისტობით არ უნდა შემოვიფარგლოთ, რადგან იგი თავის დიდ იდეალებს ემსახურებოდა არა მარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც პოლიტიკოსიც. იგი გერმანიის ბუნდესტაგის[1] ისტორიაში უდიდესი სულიერი მოძღვარი იყო. მის კალამს ეკუთვნის გიგანტური მოცულობის მოხსენებები. ლისტის წერილები, დღიურები, დასკვნები, საგაზეთო წერილები, სტატიები, მონოგრაფიები მისი რჩეული შრომების მნიშვნელოვანი ნაწილია. მათგან ზოგიერთი გაზეთებსა და ჟურნალებში მხოლოდ მის თანამშრომლობას ასახავს, მათი რაოდენობა ათასებს აღწევს. თუ წარმოვიდგენთ იმდროინდელი მუშაობის ტექნიკურ პირობებს, როდესაც საბეჭდი მანქანის და დიქტოფონის მაგივრად მხოლოდ კალმისტარი ჰქონდათ და გადამწერის დახმარებას მიმართავდნენ, ლისტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა დიდი მოცულობა ნათელი გახდება. ყველა მის ნაწერს არაჩვეულებრივი ჩამოყალიბების უნარი და გენიალური ძალა ახასიათებს.

ლისტის მეცნიერული ნაშრომებიც ცოცხალი მანერით ხასიათდება, რადგან მათ ავტორს არც უმაღლესი სკოლა დაუმთავრებია და არც მეცნიერ-ხელმძღვანელი ჰყოლია.

მისი მრავალი არგუმენტი დღესაც მოქმედებს მკითხველზე. მაგალითად, 1819 წელს ფედერალური კრებისადმი მის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოცდათერამეტი სახის გადასახადი გერმანიაში შიგა მიმოსვლას ზღუდავს და მათ დახლოებით ისეთივე შედეგი აქვთ, როგორც ადამიანის სხეულის ყოველ გაკოჭილ ორგანოს, რომელთა შორის სისხლი არ მოძრაობს. რაც უფრო პატარაა საბაჟო შეზღუდვის მქონე სახელმწიფო, მით უფრო დიდია ბოროტება, რადგან აქ ყველგან ახლოა საზღვარი. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საბაჟო გადასახადები გერმანელი ხალხისათვის გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე დუნაის ხაზი გერმანიის საზღვართან, იქ საბაჟო გადასახდელი სამჯერ მეტიც რომ იყოს. იმ დროს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული.

ნაპოლეონის ომების დამთავრებას თან მოჰყვა საშინელი გაჭირვება, რადგან ომის დამთავრებამ ნაპოლეონის მიერ დადგენილი კონტინენტალური ბლოკადაც მოხსნა და ინგლისური საქონელი ევროპის კონტინენტზე და, კერძოდ, დასუსტებულ გერმანულ სახელმწიფოებში „შეიჭრა“. ეს ვითარება ხაზგასმით მიანიშნებდა მთელი გერმანიის ერთიანი ეკონომიკური სივრცისათვის საერთო საგარეო საბაჟოს დაარსების აუცილებლობაზე.

სატრანსპორტო და მიმოსვლის გზების მნიშვნელობას ლისტი ხაზს უსვამდა არა მარტო რკინიგზასთან, არამედ ზოგადად ქვეყნის განვითარებასთან მიმართებაში. იგი მიუთითებდა ზღვისპირა ქვეყნების, აგრეთვე დიდი მდინარეების განლაგების ბუნებრივ უპირატესობებზე, სადაც წყლის არტერიები უფასოა და საჭიროა მხოლოდ ტექნიკური საშუალებები — გემები და ნავსადგურები. ინგლისს, ნიდერლანდებს, იტალიასა და საფრანგეთს ამ მხრივ გეოგრაფიული უპირატესობა ჰქონდათ.

რკინიგზა ზღვიდან დაშორებული ადგილებს ზღვასთან აკავშირებდა, ამიტომ გერმანიისათვის რკინიგზა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ევროპის კონტინენტზე თითქმის ვერც ერთი ერი ვერ მიიღებს სრულყოფილი სახმელეთო სატრანსპორტო სისტემისაგან იმდენ სარგებელს, როგორც გერმანელი. ლისტის აზრით, გერმანია ის სახელმწიფოა, რომელიც ზღვის ნაპირთან და სამდინარო ნაოსნობასთან არც ისე ხელსაყრელ დამოკიდებულებაშია და რომელსაც ყველაზე მეტად ხელოვნური სატრანსპორტო საშუალებების განვითარება სჭირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ლისტის ძირითადი ნაშრომებია „**პოლიტიკური ეკონომიის ბუნებრივი სისტემა**“ (1837) და „**პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა**“ (1841).

---

1 ბუნდესტაგი (გერმ. Bundestag) – გფრ-ის პარლამენტის ქვედა პალატა; ბუნდესრატი (გერმ. Bundesrat) გფრ-ში პარლამენტის ზედა პალატა.

ფაქტობრივად, ორივე შრომა ერთიან კონტექსტშიც განიხილება. მათში იმდროინდელი ცენტრალური – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემა განიხილება. მას შემდეგ, რაც ადამ სმითმა წინ წამოწია „ხალხთა სიმდიდრის“ მიზეზების საკითხი და განმარტა ეკონომიკის ბუნებრივი კანონები, სამეცნიერო სამყარო იძულებული იყო ან ამით დაკმაყოფილებულიყო, ან ეძებნა ახალი, სხვაგვარი ახსნა.

ლისტის ამგვარი მიდგომები აისახა პირველ შრომაში, სადაც გაკრიტიკებულია სმითის მოსაზრებები, რომელიც კონცენტრირებულია, პირველ რიგში, მის მიერ ცალკეული ეკონომიკური და ეროვნულ-ეკონომიკური ინტერესების გაიგივებაში და, აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობის იდეებზე. ლისტის აზრით, ადამ სმითის სკოლამ საკმარისად არ გაითვალისწინა ეროვნებათა ბუნება, მათი განსაკუთრებული ინტერესები და მდგომარეობა: ის, რაც კარგია ინგლისისათვის, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობა, სამართლიანი უნდა იყოს სხვა ერებისათვისაც.

ფრიდრიხ ლისტმა ადამ მიულერის მსგავსი აზრები განავითარა თავის „მწარმოებლურ ძალთა“ თეორიაში. თავის მთავარ ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“ ლისტმაც გაილაშქრა სმითისეული მოძღვრების წინააღმდეგ და უარყო შეხედულება, რომ მხოლოდ ფიზიკური შრომა ითვლება მწარმოებელ ძალად. ეკონომიკური მოვლენების ისტორიული განხილვის მანერა ლისტისათვის მნიშვნელოვანია, რაც იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ თავისი „ეროვნული სისტემის“ პირველ წიგნს იგი ეკონომიკურ-ისტორიულ განხილვას უძღვნის და რომ მხოლოდ ამ ემპირიული კვლევების ბოლოში იწყებს ძირითადი თეორიული მოსაზრებების განხილვას.

ამდენად, მის, ადამ მიულერის და რომანტიკოსების შეხედულებებს შორის არსებითი სხვაობაა, რამდენადაც ლისტიც დიდ ყურადღებას უთმობს სოციოლოგიური ფაქტორების მოქმედებას, მაგრამ მას აკლია უნივერსალური მოსაზრება და, მიულერისაგან განსხვავებით, გამოკვლევებისას იგი საზოგადოების აშკარად ინდივიდუალისტურ-ატომისტური აღქმიდან გამომდინარეობს.

ამგვარად, „ერთობლივი მიზნების მისაღწევად ინდივიდუალურ ძალთა გაერთიანებაში...“ ლისტი „ინდივიდთა კეთილდღეობაზე ზემოქმედებისათვის უძლიერეს საშუალებას ხედავს“. ამასთან მისი აზრით, რაც უფრო მეტია მათი რაოდენობა, ვისაც ინდივიდი უკავშირდება, მით უფრო მეტად და სრულყოფილად მიიღწევა განზრახული წარმატება, კერძოდ კი „ინდივიდთა საერთო ინტელექტუალური და ფიზიკური კეთილდღეობა“. თუ მიულერთან გაერთიანება თვითმიზანია, ლისტი, მის მიერ სმითის მოძღვრების კრიტიკის მიუხედავად, საზოგადოებრივი შეხედულებების ერთი და იმავე საფუძველზე მაინც ამ უკანასკნელის გვერდით დგას, ვინაიდან როგორც ლისტისათვის, ასევე სმითისთვისაც საზოგადოებრივი გაერთიანებების საბოლოო მიზანს ინდივიდუალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და ამაღლება ქმნის.

ლისტი განსაკუთრებით გამოყოფს ინდივიდუალური ეკონომიკის ეროვნულ ხასიათს და ეროვნულ იდეას ინტერნაციონალურობის იდეას უპირისპირებს. „ეროვნულობის, როგორც ინდივიდუალურობასა და კაცობრიობას შორის შუალედური რგოლის ბუნებას მთელი ჩემი ნაგებობა ემყარებაო“. შესაბამისად, თავის დოქტრინას იგი „ეროვნულს“ ან სულაც „ბუნებრივ“ სისტემას უწოდებს.

ლისტი კოსმოპოლიტური[1] და მსოფლიო ეკონომიკის სისტემას ეროვნული ეკონომიკის ცნებას უპირისპირებს. ფ.კენემ თავისი გამოკვლევები მთელს ადამიანურ მოდგმაზე განავრცო ისე, რომ ერის ცნება არც კი მიუღია მხედველობაში. მისი კოსმოპოლიტური ეკონომიკა გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ადამიანურ მოდგმას კეთილდღეობის მიღწევა. ამის საპირისპიროდ პოლიტიკური ეკონომია იმით შემოიფარგლება, რომ გვასწავლოს, თუ როგორ შეუძლია მოცემულ ერს არსებულ მსოფლიო პირობებში მიწათმოქმედებით, მრეწველობით და ვაჭრობით კეთილდღეობის, ცივილიზაციის და ძალაუფლების მიღწევა.

ლისტი აკრიტიკებს ადამ სმითს და მის სკოლას. მას დასაშვებად მიაჩნია, რომ ადამიანები მოქცეულნი არიან დიდ გაერთიანებაში და რომ ყველა ერის კონცეფცია მუდმივი მშვიდობის გარანტიას იძლევა, მაგრამ დღესდღეობით ეს ასე არ ხდება, თუნდაც განვითარების ნიშნები არსებობდეს (ლისტი სატრანსპორტო საშუალებების სრულყოფას იხსენებს).

---

1 კოსმოპოლიტი (ბერძნ. kosmopolitês – მსოფლიო მოქალაქე) – ადამიანი, რომელიც თავის თავს არც ერთ ეროვნებას არ მიაკუთვნებს.

სმითი და მისი მიმდევრები ერების მდგომარეობაზე წმინდა კოსმოპოლიტური პრინციპების მიხედვით მსჯელობენ. ამის საპირისპიროდ ერის ერთსულოვნება ხანგრძლივი ეროვნული კეთილდღეობის ძირითადი პირობაა. ამიტომაც არასწორია ვარაუდი, რომ ეროვნული სიმდიდრე მხოლოდ ყველა ინდივიდის სიმდიდრის მექანიკური შეერთებაა და რომ კერძო ინტერესები სახელმწიფო ღონისძიებებზე მეტად პროდუქციისა და სხვა სიმდიდრის დაგროვებისაკენ უბიძგებენ.

ამგვარი კერძო ეკონომიკისგან შეიძლება მხოლოდ ის ვისწავლოთ, თუ როგორ ერთიანდებიან კერძო მეწარმეობაში ბუნების ძალები, შრომა და კაპიტალი, პროდუქტის წარმოების პროცესში წარმოებული პროდუქტის მომხმარებლამდე მისაწოდებლად. ერის აყვავება არა სიმდიდრეზე, არამედ მის მწარმოებლურ ძალთა განვითარებაზეა დამოკიდებული.

„შრომითი ღირებულების დოქტრინას“ ლისტი ამით უპირისპირებს **„მწარმოებლურ ძალთა დოქტრინას“**, რაშიც იგი საქონლის დამზადებისა და კვლაცწარმოების პირობების შემეცნებას გულისხმობს. სიმდიდრის მწარმოებელი ძალა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით სიმდიდრე. ადამ სმითი ცალმხრივად ფიქრობდა იმ შრომაზე, რომელიც მატერიალურ საქონელს ქმნის. მწარმოებელ ძალებს კი განეკუთვნება ყველაფერი, რაც „ხელს უსაქმოდ არ აჩერებს“, მაშასადამე, სული, რომელიც შთაგონებას ანიჭებს ინდივიდებს და საზოგადოებრივი წესრიგი ისევე როგორც ბუნების ძალები. ერის მწარმოებლური ძალა საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობაზე, მეცნიერების და ხელოვნების დონეზე, ადამიანთა ზნეობრიობასა და ინტელექტზე, მათი თავისუფლების ხარისხზე, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და კანონებზე არც თუ ისე ნაკლებადაა დამოკიდებული. ამგვარად, ერი თავისი თვისებებით, უნარითა და მოწყობით მწარმოებლურ ძალთა მატარებელია.

ცალკეული ეკონომიკა, ლისტის მიხედვით, განვითარების სხვადასხვა სტადიაზე იმყოფება, რომელთა შორის მან განასხვავა ხუთი **ეკონომიკური საფეხური**, კერძოდ: 1) **ნადირობა და მეთევზეობა**; 2) **მეცხოველეობა**; 3) **მიწათმოქმედება**; 4) **მიწათმოქმედება რეწვასთან (წვრილ ხელოსნურ წარმოებასთან) მომართებით** და 5) **მიწათმოქმედება ვაჭრობასთან და რეწვასთან ერთად**.

ყველა ხახის ეკონომიკა უმაღლეს ეკონომიკურ საფეხურამდე უნდა განვითარდეს და ხელმწიფომ ამ მოთხოვნის განსახორციელებლად ყველა წინაპირობა უნდა შექმნას. ამიტომაც რომელიმე ეკონომიკის მწარმოებლური ძალები მოცემულ სიდიდედ არ უნდა მივიჩნიოთ. მიზანი, კერძოდ კი ერთ რომელიმე ქვეყანაში მწარმოებლურ ძალთა სრულად გამოყენება, მიღწეულ უნდა იქნეს, თუ საჭიროა, **დამცავი საბაჟო სისტემით**, რომლის მეშვეობითაც ეროვნული მრეწველობა დაცულია უცხოური მრეწველობისაგან. ეს **„დამცავი ბაჟი“** ლისტისთვის გამართლებულია მხოლოდ წამახალისებელი მოსაზრებებით, როგორც კი რომელიმე ქვეყანაში ეკონომიკის უმაღლესი დონე მიიღწევა, საზღვარგარეთთან თავისუფალ ვაჭრობას წინ აღარაფერი დაუდგება და „წამახალისებელი ბეგარებიც“ შეიძლება გაუქმდეს.

ფ. ლისტის მნიშვნელოვან თეზისებსა და თეორიებს შორის პირველ რიგში ასახელებენ **დამცავ საბაჟო დოქტრინას**. საბაჟო ლისტისათვის „ინდუსტრიალური აღზრდის საშუალებაა“, რომელიც აუცილებელია „შიგა მანუფაქტურული ძალის“ დასაცავად. იმ პერიოდში ინგლისის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტს (თავისუფალი ვაჭრობის პირობებში), საკუთარი მრეწველობის განვითარების ნაკლები შანსი გააჩნდა. ეს რწმენა დაეუფლა უკვე სავაჭრო კავშირისათვის მოქმედ ახალგაზრდა ლისტს, როდესაც იგი 1819 წელს ფედერალური კრებისადმი თავის განცხადებას ადგენდა.

„მწარმოებლური ძალების“ თეორია ლისტის მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენდა, რომელიც ძნელად აღიქმება, რადგან იგი დაუსრულებელია. **„მწარმოებლური ძალების თეორია და ღირებულების თეორია“** მის მიერ განხილულია მხოლოდ ფრაგმენტულად და კლასიკურ თეორიასთან კრიტიკული მიმართებით. სამწუხაროდ, მას არ მოუცია ზუსტი განმარტება, თუ რას წარმოადგენს „მწარმოებლური ძალები“, იგი დაკმაყოფილდა თეზისით, რომ სიმდიდრის შემქმნელი ძალა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით სიმდიდრე.

1.2. „ძველი“ ისტორიული სკოლა

1.2.1. ისტორიული ფაქტების ანალიზი

გასული საუკუნის დასაწყისში ეკონომიური მეცნიერება გერმანიაში, ისე როგორც საფრანგეთში, გაცილებით სუსტად იყო განვითარებული, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. გერმანიაში მასზე, უპირველეს ყოვლისა, ფრანგული თეორიები — კერძოდ, ჟან-ბაპტისტ სეის თეორია ახდენდა ზეგავლენას. აქ მერკანტილისტური მოსაზრებები არ იქნა ისე ადვილად უარყოფილი, როგორც საფრანგეთში.

გერმანიაში უბაჟო ვაჭრობის შესახებ თეორიამ შესაბამისი გავრცელება ვერ ჰპოვა. აქ 1840-1860 წლებში სწრაფად განვითარდა ახალი — „ისტორიული სკოლა“. მისი პირველი წარმომადგენლები იყვნენ ვილჰელმ **როშერი**, ბრუნო **ჰილდებრანდი** და კარლ **ნინსი**. ამ ავტორებს განზრახული ჰქონდათ ეკონომიკური მეცნიერებისათვის საფუძვლად ისტორიული ფაქტების ანალიზი დაედოთ. ისინი უარყოფდნენ რევოლუციის მიზანშეწონილებას და უფრო მეტად რეფორმების მომხრეები იყვნენ.

ამ სკოლამ ეკონომიკის ისტორიას ახალი იმპულსები მისცა. მისი წარმომადგენლების აზრით, მთავარი საკვლევი პრობლემებია: კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მიზეზებით გამოწვეული კრიზისები, შემოსავლების განაწილება, აგრეთვე, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოებრივი სისტემა.

ამ სკოლას მარქსისგან განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა, რომელიც კლასიკური ეკონომიკური თეორიის კანონებს განსაზღვრულ ეკონომიკურ სისტემასთან მიმართებით მოიაზრებდა და მათ მსოფლიო ისტორიული განვითარების ასპექტით განიხილავდა. ისტორიული სკოლა კი განვითარების ისტორიულ მეთოდსა და კლასიკურ ეკონომიკურ კვლევებს შორის გადაულახავ წინააღმდეგობებს აღნიშნავდა. მათ უარყვეს კლასიკური ეკონომიკური კანონები, მაგრამ ვერ შეძლეს „თავიანთი (სხვა) კანონების“ შექმნა. მიუხედავად ამისა, ამ სკოლის ისტორიული მნიშვნელობის შეუფასებლობა არ შეიძლება.

1.2.2. ვილჰელმ როშერი (1817-1894)

ისტორიული სკოლის დამაარსებელმა ვილგელმ გეორგ ფრიდრიხ **როშერმა** (Roscher) განათლება გოტინგენის უნივერსიტეტში მიიღო. ხარისხის მიღების შემდეგ მან 1842 წელს დაიწყო ლექციების კითხვა ისტორიასა და პოლიტიკურ მეცნიერებაში. 1848 წელს გახდა პროფესორი და მას შემდეგ ძალიან მალე მიიწვიეს ლაიპციგის უნივერსიტეტში, სადაც მან დაახლოებით ორმოცდაათი წელი იმუშავა. ის გახლავთ ეკონომიკაში რამდენიმე ნაშრომის ავტორი, რომელთა შორისაც არის პატარა წიგნი „**სახელმწიფო ეკონომიკის ლექციების საფუძვლები ისტორიული მეთოდის თვალსაწიერიდან**“ (1843)[1]. იგი ღირსშესანიშნავია იმის გამო, რომ მან დღის წესრიგში დააყენა ისტორიული მეთოდის მნიშვნელოვანი საკითხები და ხაზი გაუსვა ისტორიული და ეკონომიკური კვლევების ურთიერთშეზავებას.

როშერი კოსმოპოლიტურ ეკონომიკასთან შედარებით უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ ეკონომიკას. მისი მიზანი იყო მიმდინარე ეკონომიკური პრობლემების კვლევა თანამედროვე ფაქტებისა და შეხედულებების ანალიზით. მისი რწმენით, ისტორიას თეორიის ილუსტრირება და აგრეთვე სახელმწიფო მოღვაწეების მართვის წესებით უზრუნველყოფა შეეძლო.

როშერის შემოთავაზებული პროგრამა, როგორც ეს გამოქვეყნებულია „ლექციების საფუძვლების“ წინასიტყვაობაში, შეიცავდა ოთხ თეორემას, სახელდობრ:

1. პოლიტიკური ეკონომია ისეთი მეცნიერებაა, რომლის ახსნა-განმარტება შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებასთან ურთიერთკავშირით;

2. ეკონომიკური გამოკვლევები მხოლოდ მიმდინარე ეკონომიკურ ურთიერთობებზე დაკვირვებით არ შეიძლება შემოიფარგლოს;

1 W. Roscher. Grundriss zu Vorlesungen über die Staatswirschaft. Nach gesundlicher Methode..., Göttingen, 1843

3. ძველსა და ახალ ცივილიზაციებს შორის მსგავსება განსაკუთრებულად შეიმჩნეოდა;

4. ისტორიული მეთოდის საჭიროება ან ყველა ეკონომიკური სტრუქტურის განსილვა დიდ დროს მოითხოვს, რადგანაც, სრულიად კარგი ან პირიქით, სრულიად ცუდი მეთოდი, ყველა ქვეყნის ხალხისათვის, ძალიან ცოტა თუ ყოფილა.

„ჰანოველის ტილოს წარმოების ახლანდელი წარმოებითი ფრიზისი მისი ამერიკაში გასალების გათვალისწინებით", რომელიც როშერმა 1845 წელს გამოსცა, იმ პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად ითვლება. ჭარბწარმოების პრობლემასთან დაკავშირებით აყალიბებს მკაცრად აკრიტიკებს სეის გასაღების თეორიასა და მათ (მაგ., რიკარდოს). ვერც ეს თეორია „მისაკუთრა".

1854-1894 წწ. გამოცემული „სახალხო მეურნეობის ხიხტემა"[1], სუთტრმეულია. რომელთაგან I ტომის სათაურია: „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები" (1854)[2]. ამ ნაშრომებში ავტორი ფაქტებისა და ისტორიული პროცესების აღწერით ეკონომიკურ მოვლენებში გარკვევას ცდილობს.

როშერისათვის „ისტორიული მეთოდი" ეკონომიკური კავშირების გამოკვლევის ადეკვატური საშუალებაა. ამავე დროს, მას ისტორიულ მეთოდზე დაყრდნობით ფაქტების ახსნა სურდა. მისი აზრით, ეკონომიკური ასპექტით ხალხის აზრისა და მისწრაფებების აღწერა მხოლოდ სხვა მეცნიერებასთან (განსაკუთრებით სამართლის, სახელმწიფოსა და კულტურის ისტორიასთან) მჭიდრო კავშირშია შესაძლებელი.

როშერი მიზნად ისახავს სხვადასხვა ხალხის განვითარებაში არსებული ანალოგის (როგორც განვითარების კანონის) წარმოდგენას. მისი აზრით, მრავალრიცხოვან მოვლენათაგან უნდა გამოიყოს არსებითი, კანონზომიერი, რათა ეკონომიკურ ასპექტში შესაძლებელი გახდეს იმ ხალხების ურთიერთშედარება, რომელიც ამის შესაძლებლობას იძლევა. მისი ნაშრომების ცალკეული თავები ფასების, მოთხოვნების, მიწოდებისა და მიწის რენტის საკითხების კვლევას ეძღვნება.

როშერის შეხედულებით, ეკონომიკასთან დაკავშირებული ფაქტები მეცნიერული კვლევის საგნად მაშინ ჩაითვლება, თუ მათი ინდუქციური (კერძოდან ზოგადი) და დედუქციური (ზოგადიდან კერძო) განმარტებები ერთმანეთს დაემთხვევა. იგი ხაზს უსვამს <u>ეკონომიკის ისტორიული კვლევის აუცილებლობას</u>, თუმცა ზოგად თეორიულ ანალიზს სრულ ბრძოლას არ უცხადებს. უფრო მეტად, ეს არის მოწოდება, რომ ზოგადიდან კერძო დასკვნის მიღება ისტორიული ფაქტებით შეზღუდოს. როშერი მასალების შემკრები და მრავალმხრივი მეცნიერია. მას ყოველი მოვლენის გაგება გააჩნია; იგი თავისი წიგნების კარადაში ყოველგვარ თეორიულ სიახლეებს ავროვებდა.

1.2.3. ბრუნო ჰილდებრანდი (1812-1878)

ბრესლაველის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტების ყოფილი სტუდენტი, ბრუნო **ჰილდებრანდი** (Hildebrand) თითქმის ოთხი ათწლეულის მანძილზე წარმატებულ საპროფესორო საქმიანობას ეწეოდა მარბურგის, ციურიხის, ბერნისა და იენის უნივერსიტეტებში.

1863 წელს მან დააარსა <u>ეროვნული ეკონომიკისა და სტატისტიკის წელიწდეული</u> („the Jahrbucher fur National Okonomie und Statistik") და მისი რედაქტორობა ათწლეულის მანძილზე გააგრძელა. ეს გახლდათ ძალიან საპატიო გამოცემა, რომელიც მოიცავდა სხვისი რედაქტორობით გამოიცემოდა.

მისი დაპირებული ნაშრომის მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდა **„აწმყოსა და მომავლის ეროვნული ეკონომია"** (1848)[3].

ნაშრომში ავტორი განასხვავებს ეკონომიკის განვითარების სამ საფეხურს, ესენი:

1) **ნატურალური ეკონომიკის პერიოდი** (სადაც ფული არ მონაწილეობს);

2) **ფულადი ეკონომიკის პერიოდს;**

3) **საკრედიტო ეკონომიკის პერიოდს** (სადაც ბევრი კრედიტია, ფულის მონაწილეობის გარეშე).

თავის ნაშრომში — „აწმყოსა და მომავლის ეროვნული ეკონომია", ჰილდებრანდი მიზნად

1 **W. Roscher**, System der Volkswirtschaft, Bd.1-5, Stutg., 1854-1894.

2 **W. Roscher**, Grundlagen der Nationalökonomie,1854

3 **Hildebrand B.**, Die Nationalökonomie der Gegenwart und Zukunft, Fr. a M., 1848.

ისახავს პოლიტეკონომიის სფეროში საფუძვლიან ისტორიულ მიმართულებას გაუკაფოს გზა. მისი აზრით, ბევრი დებულება, რომელიც თეორიულად ეჭვს არ იწვევს, პრაქტიკასთან წინააღმდეგობაშია. სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მეცნიერული დასკვნებისათვის გამოიყენებოდა, არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. აქედან, თუ რომელიმე მეცნიერება არსებული საფუძვლებისა და პრინციპების გადასინჯვას მოითხოვს, ეს უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ მეცნიერებას შეეხება.

ჰილდებრანდის შეხედულებით, მსოფლიო ისტორიაში გამორჩეული ადგილის მიუხედავად, სმითსა და მთელს მის სკოლას, წინამორბედ მერკანტილისტებთან და ფიზიოკრატებთან საერთო ისა აქვს, რომ იგი პოლიტეკონომიის ისეთი თეორიის შექმნას ცდილობდა, რომელსაც ყველა ხალხისა და ყველა დროისათვის აბსოლუტური მნიშვნელობა ექნებოდა; ანუ კაცობრიობისათვის უნდა შექმნილიყო საერთო ეკონომიკური დოქტრინა, რომელიც მაშინდელი დროის რაციონალისტურ გონებას საცხებით შეესაბამებოდა. მისი აზრით, ადამიანი, როგორც სოციალური არსება, ცივილიზაციის შვილია და მისი მოთხოვნები ცვალებადია, პოლიტეკონომიას კი მუდმივად უცვლელ ბუნების კანონებთან საერთო არაფერი აქვს.

ჰილდებრანდის აზრით, პოლიტეკონომია მრავალფეროვანი ეკონომიკური მოვლენების არსებობისას შეუცვლელ, მუდმივ კანონებს არ უნდა იკვლევდეს, იგი ეკონომიკური გამოცდილების გათვალისწინებით ქმნის პროგრესს და კაცობრიობის ეკონომიკური ცხოვრების საშუალებით ადამიანთა მოდგმის სრულყოფას ადასტურებს. მისი ამოცანაა როგორც ცალკეულ ხალხთა, ასევე მთელი კაცობრიობის ეკონომიკური განვითარების ყველა საფეხურის გამოკვლევა და ამ გზით თანამედროვე ეკონომიკური კულტურის საფუძვლების და იმ ამოცანების შეცნობა, რომლებიც თანამედროვე თაობის შრომით წყდება. იგი აღიარებს ყველა დროის ახალი მიმართულებებისა და მოთხოვნების წარმოშობას და იმას, რომ გარკვეული პერიოდისა და გარკვეული ხალხის ეკონომიკური მდგომარეობა მეტნაკლებად საკუთარი ფასეულობის საზომია. აქედან გამომდინარეობს ეკონომისტების ამოცანა, **რომ საჭიროა ეროვნული ეკონომიკის ისტორიის გამოკვლევა**[1].

ადვილად მისახვედრია, რომ ჰილდებრანდი სულ სხვა პრობლემებითაა დაინტერესებული, ვიდრე კლასიკოსები. თუ სმითს თავისუფალი საბაზრო კონკურენციაში ფასწარმოქმნა აინტერესებს და მასში თეორიული კვლევის ძირითად პრობლემას ხედავს, ჰილდებრანდის მიზანი როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთელი კაცობრიობის ეკონომიური განვითარების ყველა საფეხურის გამოკვლევის გზით თანამედროვე ეკონომიკური კულტურის საფუძვლების შეცნობაა. მაგრამ ეს სულ სხვა რამაა, ვიდრე ის, რაც სმითსა და რიკარდოს აინტერესებდა.

ჰილდებრანდს ეკონომიკის ისტორიის კვლევისას სურს იცოდეს, თუ როგორ ჩამოყალიბდა ისტორიულად „თანამედროვე ეკონომიკური კულტურის მშენებლობის საფუძვლები", მაგრამ კლასიკოსებს კი სურდათ სცოდნოდათ, თუ როგორ ფუნქციონირებდა ეკონომიკა გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში.

თავისთავად გასაგებია, რომ ჰილდებრანდი თავის პრობლემებს ისტორიული ასპექტებით იკვლევს. იგი კლასიკოსების შეფასებაში უნებლიე შეცდომებსაც უშვებდა. ყველა ხალხისა და დროისათვის ისტორიული განვითარების მუდმივად მოქმედ კანონებს დაეძებდა, რომლებიც არ არსებობდა. მისი „**საფეხურების თეორიით**" არსებობს აუცილებელი თანამიმდევრობა: **ნატურალურ, ფინანსურ და საკრედიტო ეკონომიკას შორის**, რომელიც ყველა ერისათვის საერთოა და რომელიც პრაქტიკამ უარყო.

1.2.4. კარლ კნისი (1821-1898)

კარლ გუსტავ ადოლფ **კნისი (Knies)**, რიგით მესამე იმ გერმანელ სწავლულ ტრიოს შორის, რომელთაც ძველი ისტორიული სკოლა დააარსეს, დაიბადა მერბურგში. მისი პროფესიული კარიერა დაიწყო მარბურგში, უნივერსიტეტში, გაგრძელდა ფრაიბურგის უნივერსიტეტში (1855-1860) და დასრულდა ჰაიდელბერგის (1865-1896) უნივერსიტეტში.

1853 წელს მან გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი შემდეგი სათაურით: „**პოლიტიკური ეკონომია**

1 **Hilderbrand** B., Die Nationalökonomie der Gegenwart und Zukunft, გვ. 290.

ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით"[1], რომელმაც ვერ გაამართლა თავისი მიზანი, სანამ არ მოხდა მისი პოპულარიზაცია ახალი ისტორიული სკოლის ლიდერის გუსტავ შმოლერის მიერ.

ისევე, როგორც ჰილდებრანდის შრომა არ გასცილებია პროგრამულ სტადიას, კარლ კნისის ნაშრომიც „პოლიტეკონომია ისტორიული თვალსაზრისით" მხოლოდ პროგრამულ დებულებებს მოიცავდა. კერძოდ, მან **ეროვნული ეკონომიკა** ისტორიულ მეცნიერებად ჩათვალა, ამასთან გააკრიტიკა კლასიკური დოქტრინა „ბუნებრივი" ეკონომიკური კანონების შესახებ და ფულის მეტალისტური თეორია დაიცვა.

კ.კნისის შეხედულებით, **პოლიტიკური ეკონომია** ისტორიული განვითარების შედეგია და კაცობრიობის საერთო ორგანიზმთან მჭიდრო კავშირით აღმოცენდება. მისი აზრით, პოლიტეკონომიის კვლევის ობიექტი ისტორიულ მოვლენათა სფეროს განეკუთვნება, ხოლო პოლიტეკონომიის კანონები წარმოდგენილი უნდა იქნას ისტორიული ასპექტით, სადაც ყოველი საფეხური გარკვეულ წერტილამდე განვითარების განზოგადების შეცნობაა.

1.2.5. შეფასება

თავისთავად ცხადია, რომ ეკონომიკური დოქტრინები ისტორიულად ცვლილებებს განიცდიდა და უნდა განიცადოს კიდეც. სადაც როდია, რომ სავალუტო სისტემის ცვლილებებმა, დროთა განმავლობაში ფულის თეორია ბევრჯერ გადაისინჯა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის თეორია ისტორიულად ბაზრის კონფიგურაციასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან მჭიდრო კავშირშია. „ძველი" ისტორიული სკოლის კრიტიკის დიდი ნაწილი პრინციპში მხოლოდ გაუგებრობებითაა გამოწვეული. მისი დაძლევა ადვილი იქნებოდა, მე-19 საუკუნის შუა პერიოდში გერმანიაში თეორიას სპეციალისტთა წრეში ისეთივე საიმედო ფუნდამენტი რომ ჰქონოდა. როგორც სხვა ქვეყნებში. მაგრამ ეს ასე არ იყო. მათ უჭირდათ იმის გაგება, რომ მათი დოქტრინა ინტელექტუალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. ისტორიკოსებს არ უცდიათ მისი რეფორმირების მიზნით მათ რიგებში შეჭრა. მომდევნო თაობისათვის საფუძვლიანი თეორიული განათლება უკვე აღარ წარმოადგენდა იმის წინაპირობას, რომ დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა დისციპლინის სრულყოფაში და თეორიული ნაშრომების შექმნა ყურადღებას აღარ იქცევდა. ამგვარად, თეორიაში ერთხელ მიღებული დასკვნები უფრო მეტად ბატონობდა.

ამით გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას გუსტავ შმოლერის მტკიცება, რომ ადამ სმითის შემდეგ პოლიტეკონომია სისხლის ნაკლებობითაა დაავადებული. ამ მტკიცებას გერმანელ სპეციალისტთა წრეში (მიუხედავად ტიუნენის, ჰერმანისა და სხვ. მიერ გაწეული დიდი თეორიული მოღვაწეობისა) წინააღმდეგობა არ ჰქონია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ კლასიკურ ეკონომიკურ დოქტრინას ახალი, უფრო და უფრო მზარდ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით ამოტივტივებული პრობლემებისათვის უარი უნდა ეთქვა. ეს არ ეხება ეკონომიკური თეორიის შემდგომ განვითარებას მე-19 საუკუნეში, როდესაც თეორია მიზნად ისახავდა თეორიული ინსტიტუტების გაუმჯობესებას მრავალ ახალ პრობლემასთან მიმართებაში. იმის მაგივრად, რომ მონაწილეობა მიეღო თეორიის განვითარებით დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის შექმნაში, ეკონომიკურმა თეორიამ გერმანიაში მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში იმ გზის დატოვება ამჯობინა, რომელსაც „ძველი" ისტორიული სკოლის წარმომადგენლები ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ მიმავალ ერთადერთ გზად აცხადებდნენ.

მთლიანობაში ძველი თაობის ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა პროტესტი კლასიკოსთა დოქტრინების წინააღმდეგ, შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. ყველა დროში მოქმედი ეკონომიკური კანონები არ არსებობს;

2. თვითდაინტერესება ადამიანური ქმედების ერთადერთ მამოძრავებელ ძალას არ წარმოადგენს, ვინაიდან ადამიანური ეგოიზმის პარალელურად პატივმოყვარეობა, დიდების სურვილი, შემოქმედებითი წყურვილი, მოვალეობის გრძნობა, მოყვასის სიყვარული და ჩვეულებანი ადამიანური ქმედების გაცილებით მეტ მამოძრავებელ ძალას ქმნის;

3. კლასიკური მეცნიერული დასკვნების საფუძვლად აღებული მეთოდი ცალმხრივი და არას-

1 Kies K., Die Politische Ökonomie vom Standpunkte der geschiehtlichen Methode, Braunschweig, 1853.

წორია. კლასიკოსების დასკვნის ამ დედუქციურ პროცესს უნდა ჩაენაცვლოს ფაქტების დაკვირვებაზე დაფუძნებული ინდუქცია, რომელსაც ერთადერთს შესწევს უნარი, გაუმკლავდეს მოვლენათა რთულ მრავალფეროვნებას.

„ძველი" ისტორიული სკოლის მოთხოვნა, ჩასწვდომოდა ეკონომიკურ მოვლენებს ისტორიული თვალსაზრისით, მისი ავტორების დროს აუხდენელ პროგრამად დარჩა. ვერცერთმა მისმა მიმდევართაგანმა მათ მიერ დაცული მეთოდის გამოყენებით ეკონომიკური თეორია ვერ შექმნა. მათი საკუთარი ეკონომიკური მიღწევები ძირითადად კლასიკოსთა მიერ დასახულ გზებზე მოძრაობდა.

1.3. „ახალგაზრდა" ისტორიული სკოლა

1.3.1. სკოლის მიზნები

„ძველი" ისტორიული სკოლის მიერ დასახული მეთოდური მიზანი მხოლოდ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა, როდესაც გერმანიაში ასპარეზზე გუსტავ შმოლერის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ისტორიული სკოლა გამოვიდა. მათი კვლევითი საქმიანობა ნებისმიერი სახის წინასწარი განზოგადების უარყოფით და სპეციალური დეტალური შესწავლისკენ შემობრუნებით ხასიათდება.

ამ მიმართულებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ეკონომიკური მონოგრაფიები, რომლებიც ეძღვნებოდა ყველაზე განსხვავებულ, ძირითადად ეკონომიკურ-ისტორიულ მოვლენებს, მაგალითად, უძველესი ეპოქის და შუასაუკუნეების მდგომარეობებს და ეკონომიკურ მოწყობას, ცალკეული დარგის წარმოშობას და ფუნქციონირებას, კითხვებს ეკონომიკური სტრუქტურების შექმნისა და მიზნების შესახებ, სტატისტიკის პრობლემებს, ასევე მართვის ისტორიის და არც თუ უკანასკნელ რიგში სოციალური პრობლემების, განსაკუთრებით მუშათა საკითხების განხილვას.

ახალ ისტორიულ სკოლას სურდა თავისი ეკონომიკურ-ისტორიული სპეციალური ნაშრომებით არამარტო ჩაწვდომოდა ისტორიას ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ პარალელურად ეკონომიკის თეორიისთვისაც ჩაეყარა ემპირიული საფუძველი. ახალგაზრდა ისტორიული სკოლის მიერ დასახული მიზანი არ გულისხმობდა თეორიული დასკვნების შესწორებების უარყოფას, მაგრამ მას კონკრეტული ემპირიული ფაქტების კვლევის და ჩაწვდომის გარეშე ამის მიღწევა წარმოუდგენლად მიაჩნდა. ამიტომაც დესკრიფციული (აღწერითი) კვლევა ზოგადი თეორიისათვის მოსამზადებელი სამუშაო უნდა ყოფილიყო. ამავდროულად ახალგაზრდა ისტორიული სკოლის ნაშრომები ძლიერ სოციოლოგიურ ელემენტებს ავლენდა იმ გარემოებების შესაბამისად, რომ იგი ეკონომიკას საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად განიხილავდა და ამის გამო ეკონომიკურ ფაქტებს მხოლოდ სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში აღიქვამდა.

დაბოლოს, ამ მიმართულებისათვის დამახასიათებელია ყველა სოციალურ-პოლიტიკური საკითხისადმი ეთიკურ-პრაქტიკულლი მიდგომა. აქედან გამომდინარე 1872 წელს „სოციალური პოლიტიკის კავშირი" დაფუძნდა, რომელშიც პირველ რიგში ისტორიული სკოლის მიმდევრები მონაწილეობდნენ.

ახალი ჯგუფი არა მხოლოდ კლასიკოსებს, არამედ წინა თაობის ისტორიული სკოლის მეთოდებსაც აკრიტიკებდა. ადამიანი, რომელმაც გერმანული ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება დაახლოებით სამი ათეული წლის განმავლობაში განსაზღვრა, გუსტავ ფონ შმოლერი იყო. იგი ცნობილი გერმანელი ეკონომისტი და ისტორიკოსი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ახალი ისტორიული სკოლის წამყვანი წარმომადგენელია. სხვადასხვა დროს იგი იყო: ჰალეს, სტრასბურგის, ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, პრუსიის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1884 წლიდან), „სოციალური პოლიტიკის კავშირის" დამაარსებელი (1872) და თავმჯდომარე (1890 წლიდან).

შმოლერი აკრიტიკებდა კლასიკური დოქტრინების კვლევის მეთოდს და პრიორიტეტს კონკრეტულ-ისტორიული პერიოდის სტატისტიკური მონაცემების ანალიზს ანიჭებდა. იგი ეროვნული

ეკონომიკის წახალისებისა და კლასობრივ წინააღმდეგობათა შერბილების მიზნით, **ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას მოითხოვდა**. სოციალური კლასების წარმოშობას რასობრივ თვისებებს, შრომის დანაწილებას, შემოსავლების უთანაბრო განაწილებასთან აკავშირებდა. საზოგადოებრივი პროგრესის მიღწევის აუცილებელ პირობად კლასობრივ ბრძოლას თვლიდა, თუმცა მისი დაძლევა კომპრომისებით შესაძლებლად ჩათვალა და იგი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობასთან არ დააკავშირა.

შმოლერისა და მისი მიმდევრებისათვის, ეკონომიკის ისტორია და სტატისტიკა ქმნის პოლიტიკური ეკონომიის კონკრეტულ თეორიას, თუმცა, მათი მეთოდიდან დედუქციურ მიდგომას არ გამორიცხავს. ბუნებრივი გარემო, ეთნოლოგია და ფსიქოლოგია კი ისტორიული დაკვირვებების დამხმარე საშუალებად ითვლება. მათ კვლევის მეთოდში ინდუქცია და დედუქცია შესაფერის კომბინაციას ქმნის, დედუქცია - ადამიანის ბუნების უკვე ცნობილი არსებული თვისებებით, ხოლო ინდუქცია - ისტორიული და სტატისტიკური დაკვირვებებით. ხშირად ციტირებულ წინადადებაში შმოლერი წერდა: „ინდუქცია და დედუქცია ზუსტად ისევეა საჭირო მეცნიერებისათვის, როგორც მარჯვენა და მარცხენა ფეხი – სასიარულოდ“.

1.3.2. სკოლის ლიდერი - გუსტავ შმოლერი (1838-1917)

1.3.2.1. მოღვაწეობა და ნაშრომები

გუსტავ ფონ **შმოლერი** (Schmoler) დაიბადა 1838 წელს ჰაიბრონში, მრავალშვილიან ოჯახში.

მამის მხრიდან მისი წინაპრები წარმოშობით აიზენახიდან და ვაიმარიდან იყვნენ. მისი ერთ-ერთი წინაპარი 1651 წელს ვიურტემბერგის სამსახურში შევიდა. იქიდან დაწყებული, შმოლერები, როგორც მოხელეები და სწავლულები ვიურტემბერგის „შვილებად“ რჩებოდნენ. დედის მხრიდან წარმოშობას ვიურტემბერგის უძველესი სამრეწველო და სავაჭრო ქალაქის – კალვის არისტოკრატიამდე მიეყავართ. დედის, ტერეზა გერტნერის წინაპრები კალვის განთქმული ქსოვილებით მოვაჭრე კომპანიაში მოღვაწეობდნენ (ამ გვარის ცნობილმა ექიმებმა და ბუნებისმეტყველებმა თავიანთ ცოდნის წყალობით შტუტგარტის და სანკტ-პეტერბურგის სამეფო კარამდე მიაღწიეს). ახალგაზრდა შმოლერზე დიდი შთაბეჭდილება მისი კალველი ბოტანიკოსი ბაბუის „თვითგანსწავლულობამ“ მოახდინა. მეცნიერებასა და, კერძოდ, ეკონომიკაში მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მისი წინაპარი იყო დასაქმებული.

გუსტავს დედა და ძმები ადრეულ ასაკში გარდაეცვალა, თავად მას კი, როგორც სუსტი აღნაგობის მქონეს, ტუბერკულოზის საშიშროების გამო ხშირად მკურნალობდნენ. ახალგაზრდა შმოლერის განათლება იმდროინდელი ბურჟუაზიული ფენებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი გზით წარიმართა. დაწყებითი სკოლისა და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა შტუტგარტში განაგრძო.

1857 წლიდან შმოლერმა სამართლის და მართვის მეცნიერების შესწავლა ტიუბინგენის უნივერსიტეტში დაიწყო. ეს უნივერსიტეტი შეირჩა არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ჩვეულებრივ ვიურტემბერგში მოხელის კარიერისათვის სასტარტო ბაზას წარმოადგენდა, არამედ იმის გამოც, რომ იქ სტიპენდიას აძლევდნენ, რომელიც შმოლერის შერყეულ ჯანმრთელობას საექიმო მეთვალყურეობით უზრუნველყოფდა. აქ შენარჩუნებული იყო აგრეთვე ახლო კავშირი შშობლიურ სახლთან და ქალაქთან, რომლის ეკონომიკური აღმავლობა აღიქმებოდა, როგორც ეკონომიკის სწავლების „ცოცხალი ილუსტრაცია“.

როგორც ირკვევა, უნივერსიტეტის პოლიტეკონომისტებმა ახალგაზრდა სტუდენტზე დიდი ზეგავლენა ვერ მოახდინეს. ფინანსურ, სახელმწიფო და სამართლის მეცნიერებაში ცოდნას იგი მამის პრაქტიკული გამოცდილებიდან იღრმავებდა. უნივერსიტეტში ერიდებოდა ამხანაგებთან „ღრეობებს“, უპირველეს მიზნად ზოგადი მეცნიერული განათლების მიღება ჰქონდა დასახული.

1860 წელს ნაშრომისათვის – „რეფორმისდროინდელი ეკონომიკური შეხედულებების გამოკვლევა“[1]

1 Schmoler G., Zur Geschichte der nationalökonomischen Ansichten in Deutschland während der Reforma-

მას პირველ პრიზსა და დოქტორის წოდებას ანიჭებენ. შემდგომში შმოლერს სურს დაწეროს ფუძემდებლური შრომა 1750-1850 წლების ფილოსოფიური სისტემიდან ეკონომიკური მეცნიერების აღმოცენების შესახებ. ამ მიზანში გამოიკვეთა ისტორიული განვითარებისადმი შმოლერის ინტერესი – მისწრაფება, რომლის ერთგულიც იგი მთელი მისი შემდგომი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში რჩებოდა.

ერთხანს იგი ვიურტემბერგის სტატისტიკურ სამსახურში მოღვაწეობს, რომელსაც კულტურის მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, მისი სიძე, გუსტავ რიუმელინი განაგებდა. 1871 წელს შმოლერს ვიურტემბერგის მცირე საწარმოებისათვის დაწესებული გადასახადების შეფასება დაევალა, რაც მისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, იგი ამლიერებდა მის აზრს იმის შესახებ, რომ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობა ეკონომიკაშიც აუცილებელია, ხოლო მეორე მხრივ კი შესაძლებელი ხდებოდა შედეგების გამოქვეყნება „ვიურტემბერგის წელიწდეულში", რომელიც მას ჰალეს უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე მიწვევაში დაეხმარებოდა.

ნაშრომში – **„საფრანგეთთან სავაჭრო ხელშეკრულება და მისი მოწინააღმდეგენი. თანხმობა სამხრეთ გერმანელის სახელით"** (1862)[1], – იგი მხარს უჭერს პრუსია-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც გერმანულ საბაჟო გაერთიანებაში ავსტრიის შესვლას კრძალავდა; ამგვარად, შმოლერი ავსტრიისადმი სიმპათიებით განმსჭვალულ შეხედულებებთან ოპოზიციაში აღმოჩნდა.

1864 წელს შმოლერმა „პრუსიის წელიწდეულში" მუშათა საკითხებზე წერილი გამოაქვეყნა, სადაც გამოიკვეთა მისი, როგორც ახალი სოციალ-პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლის ბრძოლა ორ ფრონტზე: **ერთი მხრივ,** მანჩესტერის ლიბერალების (რომლებსაც იგი პოლიტიკურ-ეთიკური მოთხოვნის სახით სახელმწიფოს მხარდაჭერილ სოციალურ პოლიტიკას უპირისპირებდა), მეორე მხრივ კი, მარქსის სოციალიზმის (რომლის მიერ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული რევოლუციური აგიტაცია მიზანშეუწონლად მიაჩნდა) წინააღმდეგ.

ჰალეში მოღვაწეობისას შმოლერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიურად ებმება – ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრი ხდება. ვაიმარის საიდუმლო მრჩევლის – რატგენის ქალიშვილზე დაქორწინების შემდეგ მას ქალ-ვაჟი შეეძინა. შმოლერისათვის ამიერიდან ოჯახი სიმშვიდის პოლუსს, თაშესაფარს, თანხმობის ადგილს წარმოადგენს, სადაც ძალებს იკრებს.

სამოციანი წლების მეორე ნახევარში შმოლერი უფრო ინტენსიურად შეუდგა პრუსიის კონსტიტუციის, სახელმწიფოს მართვისა და ეკონომიკის შესწავლას და აქცენტი ფრიდრიხ ვილჰელმ I-ის მმართველობის პერიოდზე გააკეთა. ჰალეში გატარებული ამ წლების ძირითადი ნაშრომი – **„მე-19 საუკუნის გერმანული მცირე სარეწების ისტორია"** (1870)[2] – უდავოდ აქტუალური იყო.

60-იან წლებში სამხრეთ გერმანულ სახელმწიფოებში არსებული საამქრო შეზღუდვები მოიხსნა. სარეწების თავისუფლება „ჩრდილოეთ გერმანული კავშირის სარეწთა წესდებაში" (1869) აისახა. შმოლერის გამოკვლევამ გააშუქა ამ ლიბერალური პოლიტიკის არსი და გვიჩვენა ის სფეროები, რომლებშიც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფოს საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის სათანადო ამოცანები გააჩნია. სარეწების შეუზღუდავი თავისუფლების სისუსტეებზე მინიშნებისათვის იგი „სახალხო მეურნეთა კონგრესმა" გააკრიტიკა, რომელშიც მანჩესტერის ლიბერალები და სმითიანელები იყვნენ გაერთიანებულნი.

შმოლერმა გაიზიარა იმ ავტორთა მოსაზრებები, რომლებმაც მანჩესტერის ლიბერალებისაგან განსხვავებით, სოციალური პრობლემების საფრთხე იგრძნეს და მათი ევოლუციური გზით მოგვარების შესაძლებლობას განიხილავდნენ. შმოლერი და მისი მოწაფეები არა მარტო სოციალურ პრობლემაში ჩაწვდომას ცდილობდნენ, არამედ შეუპოვარი სოციალური რეფორმატორებიც იყვნენ – თუმცა, ცვალებადი ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური იდეალებით. ამითაც აიხსნება მათი დაპირისპირება ა. სმითისადმი. ისინი იყვნენ ისტორიზმის მეცნიერული მეთოდის მომხრეები, რაც მათი ძლიერი სოციალ-პოლიტიკური სურვილით იყო გამოწვეული. ამიტომ უწოდეს მათ **„კათედრის სოციალისტები"**, რომელსაც ისინი არასდროს შედავებიან.

1872 წ. აიზენახში, შმოლერის სახლში ა. ვაგნერთან (1835-1917), ბ. ჰილდებრანდსა და ი.

---

tionsperiode – „Zeitschriftf. die ges. Staatswiss"., Bd.16, 461/ff, 1980.

1 Der französische Handelsvertrag und seine Gagner, Frankf., 1862.

2 Schmoler G., Zur Geschichte der Deutschen Kleingewerbe im 19 Jahrhundert, Halle, 1870.

კონრადთან წინასწარი მოლაპარაკების შედეგად „სოციალური პოლიტიკის კავშირი" დაარსდა. ასე წარმოიქმნა თავისუფალი ეაჭრობის მომხრეთა „სახალხო მეურნეთა კონგრესის" საწინააღმდეგო ფორუმი.

„კავშირის" გახსნაზე შმოლერის საპროგრამო მოხსენება პოლიტეკონომისტთა ახალგაზრდა თაობის გამბედაობის დასტურია. შმოლერის სიტყვაში აღინიშნა, რომ იგი უკმაყოფილოა სოციალური მდგომარეობით, რის გამოც ამ სფეროს რეფორმირება მოითხოვა. მან აუცილებლად ჩათვალა მუშის სრული თავისუფლება შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას, წარმოების, ბანკისა და დაზღვევის კონტროლის სამსახურების შექმნა, აღზრდისა და განათლების საკითხთა მოწესრიგება, კლასობრივი ბრძოლის ევოლუციური გზით დაძლევა და ა.შ.

მალე შმოლერი ახალდაარსებულ სტრასბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიწვიეს, სადაც იგი გეორგ ფრიდრიხ კნაპსა და ვილჰელმ ლექსის სახით თანამოაზრეებს პოულობს. მისი აზრით, ეკონომიკის ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომები პოლიტეკონომიის ახლებური გაგების საფუძველი უნდა გამხდარიყო. შმოლერის შრომამ – „სტრასბურგის მუდის და ქსოვილების სამქროები" (1879)[1] – მისი ადრინდელი ცოდნა გააღრმავა. მასში განხილულია შუასაუკუნეების საქალაქო-სამეურნეო პოლიტიკა, რომლითაც ავტორმა პოლიტეკონომიის ისტორიულ ასპექტში გაანალიზება სცადა.

შმოლერი გარკვეული მიღწევების მქონე პრუსიასთან კავშირურთიერთობებს არ წყვეტს და „პრუსიის წელიწდეულის" აქტიური თანამშრომელი ხდება. თავის პუბლიკაციებში იგი სოციალური სამართლიანობის იდეების დამცველი „კათედრალ-სოციალისტია" და იმედოვნებს, რომ მისი იდეების რეალიზება პრუსიის სახელმწიფოშია შესაძლებელი.

შმოლერის სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნებს ზოგი იწონებდა, ზოგიც კიცხავდა და მასში „სოციალიზმის კეთილმსურნეს" ხედავდა. სტრასბურგის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ბისმარკი მას „კათედრალ-სოციალისტობაში სდებდა ბრალს". შმოლერს კვლავ ღრმად სწამდა, რომ სოციალური წინსვლა სოციალისტური რევოლუციის გარეშეც შესაძლებელია.

1882 წელს შმოლერი ბერლინის უნივერსიტეტში მიიწვიეს. ბერლინში იგი პირველ რიგში, პრუსიის არქივს გაეცნო და მერკანტილიზმის პერიოდში ბრანდერბურგისა და პრუსიის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ რიგი წერილები გამოაქვეყნა. მერკანტილიზმის მკვეთრ კრიტიკასთან ერთად, მან რამდენიმეჯერ მიუთითა, რომ მერკანტილისტური პოლიტიკა, სოციალური ინტერესების ჰარმონიის სასარგებლოდ გაცილებით უფრო წარმატებით მოქმედებდა, ვიდრე ლიბერალების პოლიტიკა.

1900 წელს გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი „სახალხო მეურნეობის ზოგადი საფუძვლები"[2] (ტომი I), რომელსაც რამდენიმე ახალი გამოცემა მოჰყვა. 1904 წელს უკვე მზად იყო მეორე ტომი, რომლის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ავტორს პოლიტიკური ეკონომიის მკაცრი აბსტრაქციებისაგან განთავისუფლება სურს, რისთვისაც ზუსტ ისტორიულ სტატისტიკურ მასალებს იყენებს, მაგრამ ეკონომიკის თეორეტიკოსად დარჩენასაც ცდილობს[3].

ეროვნული ეკონომიკის განვითარების წასახალისებლად იგი ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურად ჩარევას მოითხოვდა. კლასების წარმოშობის მიზეზებად დაასახელა: რასობრივი ნიშნები, შრომის დანაწილება და შემოსავლების უთანაბროდ განაწილება. კლასობრივი წინააღმდეგობები დასაშვებად ჩათვალა, თუმცა, საზოგადოების რევოლუციური გზით შეცვლა მიუღებლად მიაჩნდა.

1884 წელს შმოლერი პრუსიის სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა, 1887 წელს – მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 1899 წლიდან კი პარლამენტის ზედა პალატაში ბერლინის უნივერსიტეტის წარმომადგენელი და საპატიო დოქტორი. დასახელებულ იქნა საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის აკადემიის და საზოგადოების წევრად. მიუხედავად ამისა, შმოლერი მხოლოდ კარიერაზე არ ზრუნავდა, ვინაიდან უფრო მეტად მეცნიერი იყო. მეცნიერულ მოღვაწეობას იგი ხანდაზმულ ასაკამდე აგრძელებდა. გარდაიცვალა 1917 წლის 27 ივნისს ქალაქ ჰარცბურგში მოგზაურობის დროს.

---

1 **Schmoller** G., Die Straßburger Tucher und Weberzunft. Urkunden und Darstellungen nebst Regesten und Glossar. Ein Beitrag zur Geschichte der deutschen Weberei und des deutschen Gewerberechts vom 13 bis 17. Jh., Straßburg, 1879.

2 **Schmoller** G., Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, ტ.I, Leipzig, 1900.

3 **Schmoller** G., Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, ტ.II, Leipzig, 1904.

როგორც უკვე აღინიშნა, შმოლერის პიროვნებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მისმა მამამ (რომლისგანაც საფუძვლიანად შეისწავლა მართვის საქმე) და სიძემ, გუსტავ რუმელინმა. ამ ორი ადამიანისაგან მიღებულმა რჩევებმა განავითარა მისი გონება და იგი პრაქტიკული მართვის საკითხებზე მისი წარმოდგენების სისწორეში დაარწმუნა. ეიურტემბერგის ხელოსნობის ანალიზისას, სტატისტიკური მონაცემების გამოყენებამ მათ დიდ მნიშვნელობაში დაარწმუნა. პრუსიის მართვის ისტორია, ალბათ ამიტომაც ხდება შემდგომში შმოლერის კვლევის ცენტრალური საგანი და უკვე „საფუძვლებშივე" ციფრებთან მისი ფრთხილი და ზუსტი დამოკიდებულება შესამჩნევი ხდება.

60-იანი წლების დასაწყისიდან სოციალურ საკითხებზე დიდძალი ლიტერატურა გამოქვეყნდა, რომლებმაც შმოლერის შეხედულებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. სახელმწიფო მოღვაწეთა და მრეწველთა შორის, რომლებიც სოციალური პოლიტიკის კავშირში შეიკრიბნენ, მას ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. 1871 წელს აღდგენილი გერმანიის იმპერია მან ისეთ პარტნიორად ჩათვალა, რომელშიც ახალი წარმოდგენებისა და მიზნების საფუძველზე შესაძლებელი იყო სოციალური რეფორმების განხორციელება.

მეთოდურად და თეორიულად შმოლერზე ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა გერმანული ისტორიული სკოლის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ კნისმა და მისმა ნაშრომმა – „პოლიტიკური ეკონომია ისტორიული მეთოდის თვალსაზრისით" (1853)[1]. თავის დისერტაციაში – ადამიანის მოქმედების პროგნოზირებადობის დასაბუთებისას იგი უკვე კნისს ეყრდნობოდა.

მისი აზრით, პოლიტეკონომია სოციალურ მეცნიერებათა რიგს მიეკუთვნება. მისი ფესვები უპირატესად ისტორიაშია საძიებელი. აქედან გამომდინარე, მისი, როგორც მეცნიერის გზა უკვე გამოიკვეთა, რომლის თეორიაც კლასიკოსებისაგან საფუძვლიანად განსხვავდებოდა.

შმოლერის ისტორიულ-რეალისტური, ფსიქოლოგიურ-ეთიკური თეორია მე-19 საუკუნის 70-იან წლებში პიკს აღწევს. გერმანელი ეკონომისტი, ბერლინის, ფრაიბურგის, ჰაიდელბერგის და მიუნხენის უნივერსიტეტების პროფესორი მაქს ვებერი (1864-1920)[2], შმოლერის დაბადებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ მან ერთი საფეხურით აამაღლა უნივერსიტეტის ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რასაც ცოტა ადრე მიუღწეველად მიიჩნევდნენ. შმოლერის, როგორც მეცნიერის მოღვაწეობის შემაჯამებელი შეფასება რთულია, რადგან იგი არ იყო არც „წმინდა" თეორეტიკოსი და არც პოლიტეკონომისტი.

შმოლერმა გერმანიის პირობებში ინგლისურ-ლიბერალური თეორიის გამოყენება მიზანშეუწონლად ჩათვალა, თუმცა გერმანიაში ასეთი პოზიცია სიახლეს არ წარმოადგენდა.

„საფუძვლებში" აბსტრაქტულ-დედუქციურ თეორიას, ინდუქციურ-აღწერილობითი მეთოდის პარალელურად იყენებს შმოლერი და მიუთითებს, რომ მისი სიმპათია ამ უკანასკნელის მხარეზეა. რაც უფრო შორდება თეორია პრაქტიკულ ცხოვრებას, მით უფრო ნაკლები ღირებულებისაა მისი პროდუქცია. აქედან გამომდინარე, იგი თავის ამოცანას თეორიის ფაქტობრივი მასალებით გაძლიერებაში ხედავს[3].

შმოლერი ვრცლად აანალიზებს ეკონომიკის ისტორიულ-სტატისტიკურ მასალას, რაც მის მრავალრიცხოვან ნაშრომებშია შეკრებილი, მწყობრად დალაგებული და ურთიერთდამოკიდებულებებში შესწავლილი. მისი შრომები ქალაქებისა და ხელოსანთა საამქროების ისტორიის შესახებ ზემოალნიშნულის ნათელი დასტურია. იგი ეკონომიკური ცხოვრების ცალკეულ ასპექტებს ეკონომიკური ისტორიის პოზიციებიდან იხილავს, სოციალ-პოლიტიკურად აფასებს და მომავალში მათი განვითარების ტენდენციის პროგნოზირებას იძლევა[4].

შმოლერი კონკრეტული მაგალითებით ავსებს ჰილდებრანდის ეკონომიკური საფეხურების თეორიას. მასთან ზნეობა, ჩვეულება და სამართალი, როგორც ეკონომიკური განვითარების ფაქტორები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც წარსულში, ასევე მომავალში. აქ საკითხი ეხება იმ ფაქტორებს, რომლებიც ეკონომიკურ თეორიაში არასაკმარისად აღირიცხებოდა. მეც-

1 **Knies** K., Die Politische Ökonomie vom Standpunkte der geschichtlichen Methode, Braunschweig, 1853.

2 მ.ვებერი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების კვლევისას მისგან ღირებულების ცნების გამორიცხვას ცდილობდა.

3 **Schmoller** G., Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, ტ. I, გვ. 93, 110.

4 **Schmoller** G., Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, ტ.II, გვ. 665.

ნიერებაში აბსტრაქტული, ზოგადი მსჯელობის როლს არ აკნინებდა, მაგრამ მასში იგი „კათედრის მეცნიერთა" ზედმეტ მიამიტობას ხედავდა[1]. მეცნიერული კვლევაში მისთვის უმნიშვნელოვანესია ფსიქოლოგია და ფილოსოფია. მისი მტკიცებით, 1750-1850 წლებში პოლიტიკური ეკონომიის სისტემა ფილოსოფიური სისტემიდან განვითარდა.

1923 წლის ინფლაციის დიდ პრობლემებზე მსჯელობისას ედგარ <u>სალინი</u> სამართლიანად აკრიტიკებდა შმოლერს იმის გამო, რომ მან დიდძალი ახალი მასალის გაანალიზების პარალელურად მათი ერთობლივად შეჯამების ამოცანა ვერ გადაჭრა, რაც ძალზე ართულებს ამგვარი საკითხების გადაწყვეტას[2].

შმოლერის შეხედულებებს ზოგჯერ აკრიტიკებდნენ აგრეთვე მისი მოწაფეები და ისტორიული სკოლის ზოგიერთი სხვა მიმდევარიც. ბევრისათვის „წარსულის ისტორიული მასალის შეგროვების" ეს ნაირსახეობა ისეთივე უნაყოფოა, როგორც კლასიკური აბსტრაქტული თეორია.

შმოლერმა და მისმა მოწაფეებმა ისტორიული ფაქტების, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზის მძლავრი შენობა ააგეს, მაგრამ მათ, სამწუხაროდ, დრო აღარ დარჩათ ამ შენობაში წესრიგის დასამყარებლად. თავისი მოღვაწეობით შმოლერი, როგორც ისტორიკოსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე როგორც პოლიტეკონომისტი. შთამბეჭდავია შუასაუკუნეების საქალაქო მეურნეობის, საამქროთა როლის, აგრეთვე მერკანტილიზმის პერიოდში პრუსიის ადმინისტრაციისა და სახელმწიფოს შესახებ აქტების ინტენსიურ შესწავლაზე აგებული მისი ნაშრომები.

შმოლერის მოღვაწეობას სიმწყობრე არ აკლდა, მაგრამ საბოლოოდ მისი ცდა ისტორიულად გადამუშავებული ფაქტებიდან შემაჯამებელი დასკვნები მიეღო, სრული მარცხით დამთავრდა. წლების განმავლობაში ეკონომიკის ისტორიის მკვლევრებს შმოლერის აღწერილობითი კვლევების სჯეროდათ, თუმცა საბოლოოდ მათ უკმარისობის შეგრძნება დაეუფლათ.

შმოლერის შემოქმედების შეფასება არასრული იქნება, თუ მის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც არ შევეხებით. იგი პრუსიის სახელმწიფოში სოციალური რეფორმების განხორციელების ისეთ გზებს ეძებდა, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ ეკონომიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას მოახდენდა. <u>მონარქიაში</u> (და არა <u>პარლამენტარულ დემოკრატიაში</u>) <u>ხედავდა იგი „სამართლიანი გამწონასწორებლის" გარანტს</u>.

„სოციალური პოლიტიკის კაეშირში" შმოლერის მოღვაწეობა სცილდება მეცნიერების ფარგლებს, ეს არის პოლიტიკოსი, რომელიც თავის საქმიანობას პოლიტიკის პოზიციებიდან არ განიხილავს, თვლის, რომ პარტიული მოღვაწეობა „შეუთავსებელია მეცნიერულ მოღვაწეობასთან".

შმოლერის ეთიკურ-ზნეობრივმა განწყობამ, სოციალური სამართლიანობისადმი რწმენამ არა მარტო ახალ ისტორიულ-ეთიკურ მიმართულებას დაუდო სათავე, არამედ მას თანამოაზრეებთან მჭიდრო კონტაქტები და ურთიერთთანხმობაც დაამყარებინა. მისი მოღვაწეობისათვის წინააღმდეგობებიც და მეცნიერული დისკუსიებიც უცხო არ იყო. მის ოპონენტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „სოციალური კაეშირის" ადრინდელი თანამებრძოლები, გერმანელი პროფესორები: ადოლფ **ვაგნერი** (1835-1917) და ბრუნო **ჰილდებრანდი**. სოციალური პოლიტიკის საკითხებზე შმოლერთან დისკუსიების მიუხედავად, „სტრასბურგის პერიოდიდან" მის მეგობართა წრეს ეკუთვნოდნენ პროფესორები გეორგ ფრიდრიხ **კნაპი** (1842-1926) და ვილჰელმ **ლექსისი** (1837-1914). საქმიანი და პოლიტიკური წინააღმდეგობების მიუხედავად, შმოლერს მეგობრული დამოკიდებულებები გააჩნდა მრავალ კოლეგასთან „სახელმწიფო-სოციალისტ" ა.ვაგნერიდან დაწყებული „სოციალ-ლიბერალ" ლუი **ბრენტანოთი** (1844-1931) დამთავრებული.

ახალსა და ადრინდელ ისტორიულ სკოლებს შორის შეხედულებათა განსხვავებას შმოლერი იმაში ხედავს, რომ ახალი სკოლა უფრო გრძნობს, რომ აუცილებელია მრავალი დარგის მონაცემების შეგროვებისაგან ცალკეული ეპოქის, ხალხთა და ეკონომიკური სისტემების სპეციალურ გამოკვლევაზე გადასვლა.

შმოლერმა გერმანელ პოლიტეკონომისტებზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა. 80-იან წლებში მეთოდურ საკითხებზე ხანგრძლივი მეცნიერული დისკუსიები გაჩაღდა ავსტრიული სკოლის წარმომად-

1 **Schmoller** G., Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, ტ. I, გვ. 93, 20.

2 **Salin** E., Zur Stellung Gustav Schmollers in der Geschichte der Nationalökonomie, in: Schmollers Jahrbuch, 307 ff., 1924, გვ.311.

გენელს კარლ მენგერსა და შმოლერს შორის. შუმპეტერის შეფასებით, შმოლერი კვლევებში სწორად იყენებდა თეორიაში დამკვიდრებულ ცნებებს და ამით, ერთი მხრივ, ამდიდრებს თეორიას, მეორე მხრივ კი მის შეუზღუდავ შემეცნებით ღირებულებას ეჭვქვეშ აყენებს[1].

წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მაქს ვებერის მიერ წამოწყებული მეცნიერული დისკუსია ღირებულების შესახებ. შმოლერმა ამ დისკუსიებში სუსტი წინააღმდეგობა გასწია, რამაც გასული საუკუნის 20-იან წლებში „ისტორიული სკოლის" იდეების კრიზისი განაპირობა.

დიდი იყო შმოლერის, როგორც მეცნიერისა და „კათედრალ-სოციალისტის" როლი, მისი პოლიტიკური ზეგავლენა სათანადოდ არ ფასდებოდა. განსაკუთრებით, როდესაც 70-იან წლებში შმოლერისა და „სოციალური პოლიტიკის კავშირის" თანამოაზრეთა მიზნები ბისმარკის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს დაემთხვა. თავად შმოლერი მიუთითებდა შემდგომში, რომ 80-90-წლებში სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას 1872-1878 წლებში არსებული ზეგავლენის ნაწილიც კი აღარ შემორჩათ. თუ ადოლფ ვაგნერი თავს ბისმარკისეული სოციალური დაზღვევის სულიერ ხელმძღვანელად თვლის, ბისმარკის მიმართ შმოლერიც ისტორიული მიმომხილველის როლს ასრულებდა. პრუსიის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობისას მისი ძირითადი შთაბეჭდილება ის იყო, რომ ზოგად თეორიაზე აგებული გამოსვლები ბისმარკზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა[2].

შმოლერი იწონებდა ბისმარკის ეკონომიკურ და სოციალურ პროექტებს, მაშინაც კი, როდესაც მისი სოციალური პოლიტიკა სხვა ფორმას იღებს, ვიდრე ამას 1872 წელს შმოლერი და მისი თანამებრძოლები მოითხოვდნენ, კერძოდ, **სავალდებულო დაზღვევას ისეთი მასშტაბები არ უნდა მიეღო, როგორც ამას ბისმარკი აკეთებდა.**

სოციალური პოლიტიკა ახალი ისტორიული სკოლის მამოძრავებელი ძალაა. ის, რომ შმოლერმა „სოციალური პოლიტიკის კავშირში" წამყვანი პოზიცია დაიკავა (1890 წელს მისი თავმჯდომარე გახდა), არა მისი რეფორმებით გატაცების, არამედ შეზღუდული, შესრულებადი მოთხოვნების დასმის უნარის შედეგია. მეცნიერული შემეცნების აღრევისა და პოლიტიკური ნდობის გამო შმოლერს ვიწრო წრეშიც შეედავნენ მისი მოწაფეები და თანამშრომლები, რომლებიც ერთგვაროვან ჯგუფს არ წარმოადგენდნენ. ერთი მათგანი ლუი ბრენტანო (1844-1931) ნაშრომში აღნიშნავდა, რომ შმოლერის ნარკვევები სურათებია, სადაც ფერები ერთმანეთში გადადის, მაგრამ მათგან ეკონომიკური მოვლენების ასახსნელად შეუძლებელია დასკვნების მიღება.

ბისმარკის იმპერიულ პოლიტიკაზე შმოლერის და საერთოდ „სოციალური პოლიტიკის კავშირის" ზეგავლენის მასშტაბები ხანგრძლივი დისკუსიების საგნად რჩება. 1874 წელს, როდესაც სოციალ-პოლიტიკურ სფეროში მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ბისმარკს „კავშირის" შექმნის შესახებ მოახსენეს. ბისმარკი და „კათედრალ-სოციალისტები" საკუთარ სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს ერთმანეთის პარალელურად ავითარებდნენ. მართალია, შმოლერისა და მისი მომხრეების პოლიტიკური ზეგავლენა მცირე იყო, მაგრამ სამთავრობო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მათი არაპირდაპირი ზემოქმედების შესაძლებლობა მაინც არსებობდა.

1.3.2.2. წვლილი

დროთა განმავლობაში ძალიან ცოტა მეცნიერი შეფასდა ისე არაერთგვაროვნად, როგორც გ.შმოლერი. მისი თანამოაზრეები დეტალური ანალიზით ცდილობდნენ ეკონომიკის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტით კვლევას. ასეთმა მიდგომამ შმოლერის შემდეგ თეორიული ბაზა შექმნა. „საფუძვლებში" ამ მიმართულებით გადადგმული მისი პირველი მოკრძალებული ნაბიჯი მეცნიერულ სიბეჯითედ (და არა სრულყოფილ თეორიად) შეიძლება განვიხილოთ.

შმოლერის, როგორც ახალი ისტორიული სკოლის ლიდერის „ბრწყინვალე სურათი" მე-20 საუკუნეში სწრაფად გაფერმკრთალდა. ასე მაგალითად, კარლ ბრინკმანი 1937 წელს წერდა, რომ გუსტავ შმოლერის სახე ჩრდილშია და ამან რაიმე წინააღმდეგობა არ უნდა გამოიწვიოს[3].

---

1 **Schumpetter** I., Gustav von Schmoller und die Probleme von heute, in: Schmollers Jahrbuch, 373ff, 1926.

2 იქვე, გვ.142.

3 **Brinkman** C., Gustav Schmoller und die Volkswirtschaftslehre, Stuttgart, 1937, გვ.7.

როგორ შეიძლებოდა ასეთი რამე დამართოდა ადამიანს, რომელსაც პოლიტეკონომიაში კვლევისადმი თავისებური მიდგომით, ახალი ეპოქის მიღწევის სჯეროდა?

თუ ყურადღებით გავეცნობით შმოლერისა და მენგერის პოზიციებს, შეკამჩნევთ, რომ ამ დისკუსიაში კვლევის ერთი მიმართულების „განსაკუთრებულობას" არავინ იხილავს. შმოლერი მხოლოდ ისეთი თეორიის აუცილებლობაში იყო დარწმუნებული, რომელიც სხვა (სმითისაგან განსხვავებული) გზით მოიპოვებოდა.

შმოლერი და მის მიერ ჩამოყალიბებული ახალი ისტორიული სკოლა „კლასიკოსებისაკენ" მიისწრაფოდნენ, თუმცა ისინი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ინფლაციის, დეპრესიის და უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტაში უძლურნი აღმოჩნდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან შმოლერმა პოლიტეკონომიკური მეცნიერება „წმინდა ისტორიული ფაქტების აღწერით" შემოფარგლა.

გერმანიაში თეორიული კვლევების განახლების პროცესში შმოლერის ზეგავლენა სირთულეებს უქმნიდა ბევრ გერმანელ პოლიტეკონომისტს მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც კი, როდესაც მათ ისევ თეორიულად ორიენტირებულ პოლიტეკონომიის ინგლისურ-ამერიკულ სფეროში „შესვლა" სურდათ. შმოლერმა პოლიტეკონომიური თეორია მხოლოდ გერმანიაზე ორიენტირებული გზისკენ მიმართა, მაგრამ აბსტრაქტულ-თეორიულმა მსჯელობებმა უთანხმოებანი შეიძლება გამოამჟღავნონ, რომელთა დაძლევაც მხოლოდ ისტორიული რეალობის რეტროსპექტული[1] გააზრებით შეიძლება.

ისტორიული თვალსაზრისით, შმოლერის მოღვაწეობა შეზღუდულია, რასაც მისი მოღვაწეობის სოციალ-პოლიტიკურ მხარეზე ვერ ვიტყვით. იგი იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა შორის ერთ-ერთია, რომელმაც სოციალ-პოლიტიკური აზროვნება გერმანულ მეცნიერულ წრეებში „სამეფო კარისაკენ მიმავალ გზად" დროულად გაკაფა. ცხადია, სახელმწიფო და, პირველ რიგში, ბისმარკი სოციალურ პოლიტიკას შმოლერის და სოციალური პოლიტიკის კავშირის გარეშეც ამუშავებდნენ, მაგრამ იგი მეცნიერთა მიერ ამ პოლიტიკის დაცვის უზრუნველყოფას ცდილობდა. სოციალ-პოლიტიკური მოთხოვნილებით შეზღუდული შმოლერის „ზურგში ყოფნა" სახელმწიფოსა და მეცნიერებას შორის ურთიერთობას აძლიერებდა და ეს იმპერიის დაცვაში კიდევ უფრო ძლიერად მჟღავნდებოდა. ამ თვალსაზრისით შმოლერისათვის მონარქია მისაღები იყო, რამდენადაც იგი კლასობრივი ბრძოლის შერბილების აუცილებლობასა და შეზღუდული სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა. შმოლერი იმპერიაში გერმანელი მეცნიერის ტიპს ასახიერებდა. იგი იყო: საქმიანობაში — უდრეკი, გამოსვლებში — საკუთარი ღირსების გრძნობით განმსჭვალული, სწავლებაში — პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, პოლიტიკურ არენაზე — დინჯი, კომპრომისის მქონე.

სამყარო, რომელშიც შმოლერი მოღვაწეობდა და რომელსაც იგი იცავდა — 1918 წელს „დაინგრა". თუმცა, დისკუსიები ახალი ისტორიული სკოლის შესახებ მე-20 საუკუნის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა. და თუ თანამედროვე ეკონომიკა გამოკვეთილად უგულებელყოფს შმოლერს, — თავად ეკონომიკური აზრის ისტორიისათვის იგი მაინც მნიშვნელოვან ფიგურად რჩება.

1.3.2.3. ლუი ბრენტანო (1851-1926) და კარლ ბიუხერი (1847-1930)

ლუი **ბრენტანო** (Brentano), გერმანული ახალი ისტორიული სკოლის წარმომადგენელი, 1871-1891 წწ. (სხვადასხვა დროს) ბრესლაუს (ამჟამად ქ.ეროცლავი, პოლონეთი), სტრასბურგის, ვენის, ლაიფციგის და ბოლოს მიუნჰენის (ეროვნული ეკონომიკის კათედრის გამგე) უნივერსიტეტების პროფესორი.

ლ.ბრენტანომ ვენის უნივერსიტეტში (1888) ჩატარებულ ლექციებში არაერთხელ გააკრიტიკა ინგლისური კლასიკური დოქტრინები და თეორიული პოლიტიკურ ეკონომიასთან შედარებით უპირატესობა პრაქტიკულ პოლიტიკურ ეკონომიას მიანიჭა. მის მრავალ ნაშრომთაგან ისტორიულ-ემპირიული ხაიათისაა - **„თანამედროვე კაპიტალიზმის სათავეები"** (1916)[2]; მუშათა კლასის საკითხებისადმი

---

1 **რეტროსპექტიული** (ლათ. **retro** უკან და **specto** ვუყურებ) — წარსულისაკენ მიმართული, წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი.

2 **Brentano** L., Die Anfänge des modernen Kapitalismus, München, 1916.

მიძღვნილია „მუშათა თანამედროვე გაერთიანებები“ (1871-1872, ორტომეული)[1]; ინგლისურ კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიასთან დამოკიდებულებას კი გამოხატავს ნაშრომში „კლასიკური პოლიტიკური ეკონომია“ (1888)[2] და ა.შ.

შმოლერისაგან განსხვავებით თავისუფალი კონკურენციის მიმართ უფრო მეტად ლიბერალურ მიდგომებს ამჟღავნებდა და ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას მხარს არ უჭერდა. მას კაპიტალისტებსა და მუშებს შორის წინააღმდეგობების დაძლევა ორგანიზებული პროფკავშირების მეშვეობით შესაძლებლად მიაჩნდა.

ბრენტანოს სოციალურ-რეფორმისტული კონცეფციის მიზანი კლასობრივი ბრძოლის შესუსტება და მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისაგან ჩამოცილება იყო. გარდა ამისა, იგი ეწინააღმდეგებოდა კ.მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიას“ და მწარმოებლურ-გამსაღებელი და საკრედიტო კოოპერატივების დაარსების გზით წვრილი მეწარმეებისათვის კონკურენციის პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა.

ლ.ბრენტანომ თავისი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად „სოციალური პოლიტიკის კავშირის“ დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო (1872).

კარლ **ბიუხერი (Bücher)**, გერმანული „ახალგაზრდა“ ისტორიული სკოლის წარმომადგენელი ეკონომისტ-სტატისტიკოსი, ისტორიკოსი, დერპტის (ტარტუ), ბაზელის, კარლსრუეს და ლაიპციგის (1892 წლიდან) უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა.

კ.ბიუხერმა ეროვნული ეკონომიკის ანალიზს მიუძღვნა თავისი მთავარი ნაშრომი **„სახალხო მეურნეობის წარმოშობა“** (1893)[3], რომელშიც მოცემულია ეკონომიკური ისტორიის სამ საფეხურიანი პერიოდიზაცია: 1) **ოჯახური (ნატურალური) მეურნეობა** (წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის გაცვლის გარეშე); 2) **საქალაქო მეურნეობა** (პირდაპირი საქონელგაცვლა მწარმოებლსა და მომხმარებელს შორის) და 3) **სახალხო მეურნეობა** – კაპიტალისტური წარმოების სინონიმი, როდესაც ეაჭრობა საყოველთაოდ გავრცელდა და ერთიანი ეროვნული ბაზრები წარმოიშვა.

კ.ბიუხერი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების – ისტორიული ეპოქების დაყოფის საფუძველს გაცვლაში ხედავდა, რომლის საფუძველზეც „სახალხო მეურნეობის“ საფეხურზე საყოველთაოდ გავრცელებულმა ვაჭრობამ ეროვნული ბაზრები ჩამოაყალიბა.

1.4. გერმანული ისტორიული სკოლის მემკვიდრეობა

ისტორიული სკოლის მემკვიდრეობა „ეროვნული ეკონომიკის“ შესახებ დოქტრინების სხვადასხვა მიმართულებაში აგრძელებს არსებობას. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა ეკონომიკური სისტემის კვლევა, რომელიც **ვერნერ ზომბარტის**, მაქს **ვებერის** და ვალტერ **ოიკენის** სახელებს უკავშირდება.

მათ, ეკონომიკურ სისტემაში გამოყენებადი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის იდეალური ტიპების ჩამოყალიბებით, „ნეოლიბერალური“ კონტაქტი დაამყარეს აბსტრაქტულ თეორიასთან, ამერიკულ ინსტიტუციონალიზმთან; მისი დამაარსებლები, რომლებიც ბერლინის უნივერსიტეტში შმოლერის მოღვაწეობისას სწავლობდნენ, „ზღვრული სარგებლიანობის“ დოქტრინის ერთადერთობას ეწინააღმდეგებოდნენ და ისტორიულ-სტატისტიკური კვლევების აუცილებლობას ასაბუთებდნენ.

შემდეგი სკოლა, რომელიც ასევე შმოლერისეული მემკვიდრეობის მონაწილედ ითვლება ეკონომიკურ მოძღვრებაში **„სოციალურ-სამართლებრივი მიმართულება“**, რომელიც რუდოლფ **შტამლერმა** (1856-1938) დაიფუძნა და კარლ დილმა (1861-1943) შემდგომში განავითარა. ეს სკოლა ამერიკულ ინსტიტუციონალიზმთან (კომონსი) ახლოს დგას.

მაქს **ვებერი** (Weber, 1864-1920) გერმანელი იურისტი, სოციოლოგი, ისტორიკოსი და იურისტი, სხვადასხვა დროს იყო ბერლინის, ფრაიბურგის (1893), ჰაილდელბერგის (1896) და მიუნჰენის (1919) უნივერსიტეტების პროფესორი.

---

1 **Brentano** L., Die Arbeitergilden der Gegenwart, Bd.1-2, Lpz., 1871-1872.

2 **Брентано** Л., Классическая политическая экономия, СПБ, 1900.

3 **Бюхер** К., Возникновение народного хозяйства, СПБ, 1923.

1882 წელს იგი ჰაილდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, სამხედრო სამსახურში მსახურობის შემდეგ კი სწავლა ჯერ გოტინგენის, შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტში განაგრძო.

იურისპრუდენციასთან ერთად მისი ინტერესი ახალგაზრდა ისტორიული სკოლის ეკონომიკურმა იდეებმა მიიპყრო, თანამშრომლობდა „სოციალური პოლიტიკის კავშირთან". მისი კვლევის მეთოდოლოგიაში შეხამებული იყო ისტორიული სკოლის და ახალი დროის იდეები.

თავის ნაშრომებში[1] „სავაჭრო საზოგადოების ისტორიიდან შუა საუკუნეებში" (1889), „რომის აგრარული ისტორია და მისი მნიშვნელობა სახელმწიფო და კერძო სამართლისათვის" (1891), „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება" (1904), „მსოფლიო რელიგიების სოციოლოგიური ეთიკა" (1916-1919), „ეკონომიკის ისტორია" (1919-1920), „ეკონომიკა და საზოგადოება" (1921), დიდ ყურადღებას უთმობს მეთოდოლოგიურ საკითხებს, კაპიტალისტური საზოგადოების წარმოშობაზე ქრისტიანობის გავლენას, ეკონომიკის ისტორიას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას და სხვ.

კ.ვებერი (ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ კ.მარქსის თეორიის საწინააღმდეგოდ) ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ რელიგიის აქტიური ძალა განსაზღვრავს კაპიტალიზმის წარმოშობას; კაპიტალიზმის მომავალს პესიმისტურად განსაზღვრავს; ეროვნულ-ლიბერალური პოზიციებიდან გააკრიტიკა კაიზერის გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ასეთი პოლიტიკის რეფორმირება მოითხოვა.

ასევე გერმანელი ეკონომისტი, სოციოლოგი და ისტორიკოსი ვერნერ ზომბარტი (Sombart, 1863-1941) შმოლერის მოწაფე, ფესვებგადგმული იყო ისტორიულ სკოლაში. იყო 1890 წლიდან ბრესლავლის (ვროცლავი) უნივერსიტეტის, ხოლო 1906 წლიდან ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი.

ზომბარტი თავდაპირველად მარქსისა და ენგელსის ცალკეული დებულებების მომხრეა, შემდეგ უარყო მათი დოქტრინის რევოლუციური ხასიათი, ბოლის კი, სამწუხაროდ, ფაშიზმის იდეების პროპაგანდისტად მოგვევლინა.

ზომბარტის ნაშრომთაგან[2] მთავარი ორტომეული ნაშრომი „თანამედროვე კაპიტალიზმი" (1902), რომელიც შემდგომ არაერთხელ გამოიცა, სოციალიზმის, სოციალური მოძრაობის და კ.მარქსის ცხოვრებისეული კრედოს ღრმა შთაბეჭდილებებზეა აგებულია. პროლეტარული სოციალიზმის შესახებ მისი, თავდაპირველად მარქსისტული სულისკვეთების მქონე გამოკვლევების ბოლო გამოცემები ანტიმარქსისტული ხასიათისაა. ასე მაგალითად, ამ ნაშრომში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ მარქსისტული შეხედულებები გააკრიტიკა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების პროცესში გამოყო: „ეკონომიკური სისტემები" (აბსტრაქტულ-თეორიული წყობილება) და „ეკონომიკური ეპოქები" (ადრეული დაგვიანებული მეურნეობები). ამასთან, „ზედმეტი ღირებულების დოქტრინას" წარმოების სამი ფაქტორის შესახებ დოქტრინა დაუპირისპირა, კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიკური კრიზისების გარდაუვალობა უარყო.

ზომბარტმა „ორგანიზებული კაპიტალიზმის" შესახებ თავისი მოსაზრებები ჩამოაყალიბა ნაშრომში „კაპიტალიზმის მომავალი" (1932). მასში მომავალი კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი შემდეგი ნიშნები გამოყო: „შერეული ეკონომიკა" (კერძო, კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრებით) და სახელმწიფოს მიერ სოციალურ-ეკონომიკური სფეროს რეგულირება.

სადისერტაციო ნაშრომი რომაული კომპანიების შესახებ, მისი სენსაციური წიგნები „ებრა-

---

1 **Weber** M., Zur Geschichte der Handelsgesellschaften in Mittelalter, Stuttg., 1889; Die römische Agrargeschichte in ihrer Bedeutung für das Staats-und Privatrecht, Stuttg., 1891; Protestant Ethic and Spirit of Capitalism, N.-Y., 1958; Wirtschaftsgeschichte, Münch. - Lpz., 1924; Gesammelte Aufsätze zur Religionssoziologie, Bd.1-3, Tüb., 1920-21; История хозяйства, П., 1923; Избранные произведения, გერმ. თარგმ., М., 1990.

2 **Sombart** W.: Der Moderne Kapitalismus, 1902; Life and Work of Karl Marx, Jena, 1909; Die Juden und das Wirtschaftleben, 1911 (ინგლ. 1951); Studien zur Entwicklungsgeschichte des modernen Kapitalismus, Bd.1-2, Münch.-Lpz., 1913; Die drei Nationalökonomien, Münch., 1915; Händler und Helden, , Münch., 1915; Doutscher Sozialismus, Charllottenburg, 1934; Fridrich Engels, B., 1995; რუს. თარგმ.: Современный капитализм, В 3-х т., М..-Л., 1928-1931; Евреи и хозяйственная жизнь, СПБ, 1912; Буржуа, М., 1924/1994; Народное хозяйство в германии в 19 и в 20 в., М., 1924.

ელები და ეკონომიკური ცხოვრება" (1911) – რომელშიც ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ებრაელმა მეწარმეებმა შექმნეს, „ბურჟუა" (1913) – ჩამოაყალიბა კაპიტალიზმის გენეზისის ბიოლოგიური საფუძვლები და ომის პროპაგანდის შესახებ ნაშრომი – „გმირები და ვაჭრები" (1915) ნათლად წარმოაჩენენ იმ მრავალმხრივობას და ცვალებადობას, რომელიც შემდგომში გრძელდება „გერმანულ სოციალიზმში" (1934) და ანთროპოლოგიურ (მოძღვრება ადამიანის შესახებ) ნაშრომში „ადამიანის შესახებ" (1938).

ვერნერ ზომბარტის შეხედულებების ეკოლუციური პარადოქსებისდა მიუხედავად, იგი მაინც ღრმად განსწავლული პიროვნება და საკმაოდ პოპულარული ლექტორი იყო, რომლის გამოსვლებსა მის სტუდენტებსა და ახალგაზრდა კოლეგებზე ვრცელდებოდა. მას შეეძლო თავისი მითითებით „სამ ტრავნულ ეკონომიკაზე" (1930) ჯერ კიდევ მწვავე მეთოდური დავის დარეგულირება ყველა კეთილი ნებით ადამიანისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, გერმანიაში მე-19-20 სს-ის მიჯნაზე ჩამოყალიბებული სოციალური სკოლა ბევრის მხრივ „ახალგაზრდა" ისტორიული სკოლის მემკვიდრეა. ამ პერიოდში გერმანიაში დასრულდა სამრეწველო რევოლუცია, მონოპოლიები სწრაფად ვითარდებოდნენ, სახელმწიფო კი დიდ როლს ასრულებდა ეკონომიკის განვითარებაში (განსაკუთრებით 1871 წ. ქვეყნის გაერთიანების შემდეგ).

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ეთიკურ-სამართლებრივ ნორმებს ასახელებდნენ. ამ მიმართულების ერთ-ერთი ლიდერი იყო რუდოლფ შტამლერი, კარლ დილი და სხვ.

რუდოლფ **შტამლერი** (Stammler, 1856-1938) ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი ძირითად სოციალურ მეცნიერებად იურისპრუდენციას და ეკონომიკურ თეორიას თვლიდა. იგი მთავარ ნაშრომში „ეკონომიკა და სამართალი" (1896)[1] ავსტრიული და სხვ. სკოლების ინდივიდუალიზმის და სუბიექტივიზმის დაძლევას ცდილობდა. იგი ეკონომიკასთან შედარებით უპირატესობას სამართალს ანიჭებდა, რომელიც ადამიანთა შორის ურთიერთობებს ამყარებსო.

სოციალური სკოლის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი კარლ **დილი** (1861-1943)[2], რომელიც როსტოკის, კენინსბერგის და ფრაიბურგის უნივერსიტეტებში ეკონომიკურ თეორიას ასწავლიდა, თავის მთავარ ნაშრომში „თეორიული ეროვნული ეკონომიკა" (ორტომეული, 1916-1933) სოციალურ-სამართლებრივი თეორიის დასაბუთებას ცდილობდა.

მან ერთმანეთისაგან გამიჯნა სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; სოციალური სექტორის მაორგანიზებელ ძალად სამართალი დაასახელა; სხვადასხვა სოციალურ სისტემას ერთმანეთისაგან საკუთრების ფორმის მიხედვით განასხვავებს. დილმა ასევე გააკრიტიკა შრომითი ღირებულების თეორია, რამდენადაც მიაჩნდა, რომ პროდუქტის ფასი მასზე საბაზრო მოთხოვნით განისაზღვრება. მან შრომითი ღირებულებისა და ზღვრული სარგებლიანობის თეორიების შეზავება უშედეგოდ მიიჩნია. სოციალიზმის შესახებ მარქსისტულ დოქტრინას უტილიტარული უწოდა, ვინაიდან სოციალიზმში პირადი ინტერესების და სხვ. არარსებობა წარმოების მოცულობას შეამცირებსო.

2. ეროვნული ეკონომიკის დოქტრინის ცალკეული ასპექტები საქართველოში

საქართველოში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ეროვნული ეკონომიკური დოქტრინის ცალკეული ასპექტების ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვით ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს[3]. მათი კვლევები, უპირველეს ყოვლისა,

1 **Штамлер Р.**, Хозяйство и право..., СПБ, 1907.

2 **Dill K.**, Theoretische Nationalökonomie, 1916-1933.

3 ამ საკითხების კვლევაში ასევე მნიშვნელოვანია გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეების დ.ყიფიანის, კ.მამაცაშვილის, ა.ფურცელაძის, გ.მაისაშვილისა და სხვათა წვლილი. რაც შეეხება ქართველი სოციალ-დემოკრატების ეკონომიკურ დოქტრინას, მისი სხვადასხვა ასპექტი ღრმადაა გაანალიზებული ნაშრომებში: პ.გუგუშვილი, საქართველოს და ამერკაკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ.2 (ნაწ.I-II), თბ., 1956;

მიმართული იყო საქართველოში არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსების ათვისება-გამოყენებისკენ ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

2.1. ილია ჭავჭავაძე (1834-1907)

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მოსაზრებების სხვადასხვა ასპექტი ღრმადაა გამოკვლეული ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში[1]. ამჟამად მოკლედ გავაანალიზებთ ილიას შემოქმედების იმ ასპექტებს, რომლებშიც დიდ მწერალს წარმოაჩენს, როგორც ეროვნული მაკროეკონომიკური დოქტრინის ავტორს იმდროინდელ ქართულ რეალობაში.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა ს.ყვარელში, თავადის ოჯახში. დედა – მარიამ ბებურიშვილი 10 წლისას, ხოლო მამა გრიგოლ ჭავჭავაძე კი 15 წლის ასაკში გარდაეცვალა. სწავლობდა თბილისის კერძო პანსიონში (1848 წლიდან), თბილისის გიმნაზიაში (1852-1856 წწ.), შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1857-61 წწ.). 1863 წელს დაარსა ჟურნ. „საქართველოს მოამბე" და ოლღა გურამიშვილზე დაქორწინდა. 1875 წელს თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარედ აირჩიეს. 1877 წ. დაარსა პერიოდული გამოცემა „ივერია".

ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებები ძირითადად გადმოცემულია ნაშრომებში[2]: „ცხოვრება და კანონი" (1877-81), „ხიზნების საქმე". ორი ნარკვევი (1880, 1886), „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" (1886), „შინაური მიმოხილვები" (1879-85), „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა" (1887), „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი" (1895), „ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნაი" (1893), „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები" (1897), წერილები მრეწველობის, ვაჭრობის, ფინანსურ-საბანკო საკითხებზე და სხვ.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ჩანს, კარგად ერკვეოდა კლასიკური და კ.მარქსის ეკონომიკურ დოქტრინებში, ბევრ რამეში ეთანხმებოდა მათ, მაგრამ მისთვის მთავარია ქვეყნის ეროვნული და მათ შორის ეროვნული-ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულობა: „აქამდე მივიწყებულ ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა"[3].

ილია ჭავჭავაძის დოქტრინის მიხედვით, იდეალური საზოგადოების კეთილდღეობა, უპირ-

---

შ.ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე). წიგნი II, თბ., 2006; კ.კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი I, II, პარიზი, 1935, 1960; ჯ.ჯახნიშვილი, სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური ექსპერიმენტი დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ.) – „საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები", თბ., 2000; თ.თოთანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2006; ნ.რამიშვილი, დემოკრატიული სოციალიზმი, პარიზი, 1929; ნ.ფორდანია, რჩეული ნაწერები, თბ., 1990; ნ.ხომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბ., 1920, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, თბ., 1920...

1 გ.აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959; ი.ასათიანი, ილია ჭავჭავაძე და თბილისის საადგილმამულო ბანკი, თბ., 1994; ვ.ბახტაძე, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959; ს.ბერაძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958; ო.გოგიაშვილი, ილია დღეს, თბ., 2008; შ.ვეშაპიძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კულტურის შეხედულებათა და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., 1999; ა.თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი, თბ., 1989; გ.თოდუა, XIX ს. ქართული ქართული საზოგადებრივ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბ., 1983, ნაწ. II, თბ., 1987; რ.კაკულია, ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1969; მ.კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ, თბ., 1998; პ.კოლუაშვილი, სამკეცდრის გულიდან ამოღება ძნელია – ილია ჭავჭავაძე, თბ., 2007; საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა, თბ., 2009; პ.რატიანი, ილია ჭავჭავაძე. პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებები, თხზ., ტ. II, თბ., 1957; ტ.სართანია, ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, 1971; ილია ჭავჭავაძე, თბ., 1992; შ.ქისტაური, ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი, თბ., 1998; ე.ჩადუნელი, ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1978; Г.Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, Тб., 1960...

2 ილია ჭავჭავაძე, თხუზულებათა სრული კრებული, ტ.1-10, თბ., 1951-61.

3 ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საზრუნაი (17/VII-1893) – თხზ., ტ.7, გვ. 9

ველეს ყოლისა („ჯერხანად მაინცა"), რაციონალურად მოწყობილ სოფლის მეურნეობას – თავისუფალი გლეხის შრომას უნდა დაეყრდნოს: „ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი"[1]. გუთანში ილია გლეხს და მის შრომას გულისხმობდა, რომელსაც შეუძლია დინჯი, მშვიდობიანი მიმართვა: „შენ ოქროე, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი... ხმალო, შენ კი... იქნება შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაიელი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ – მაშინ ქვეყანა ჩვენია"[2].

ილია ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, სამართლიანად მიუთითებს: როდესაც მონღოლებმა მხოლოდ ხმლით დაიპყრეს ქვეყნები, თვითონაც „აღგვილ იქნენ", ევროპელები კი სხვაგვარად მოიქცნენ და იმათი „ადგილიდან დაძერა ველარაფერმა შეძლო", ერთი მუჭა ქართველები კი ხმალმა და გუთანმა შეგვინახაო[3].

ილიამ „მიწისა და გუთნის" წარმატების სამი გზა გამოყო: 1. მიწის დამუშავებამ მშრომელს მაქსიმალური შემოსავალი უნდა მისცეს; 2. მიწის დამუშავების ხარჯები უნდა შემცირდეს და 3. პირველი და მეორე გზის ერთობლივად გამოყენება, ისე როგორც ბელგიაში, ინგლისში, აშშ-ში. ეს უკანასკნელი ყველაზე გამართლებულია, თუმცა, საქართველოში არცერთი მიმართულება არ მოქმედებს[4].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის კეთილდღეობა ეკონომიკურ განვითარებასთან დააკავშირა, რომელიც არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისებით მიწათმოქმედებიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს სხვა სექტორების განვითარების უგულებელყოფას არ ნიშნავს.

ილიას „წერილების" მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო ლიტოგრაფიის ქვის, ჭიათურის მარგანეცის, ნავთის **მრეწველობის განვითარების, რკინიგზის (მ.შ. კახეთის), გზებისა და სარწყავი არხების მშენებლობის საკითხებს**. მისი აზრით, მრეწველობისა და ტექნიკის განვითარებას სათავეში უნდა ჩადგომოდნენ მცოდნე – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები. „მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თაეს იკავებს იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიური არსებობისა – სადგილმამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუყირებლად და უნაკლულოდ"[5] - წერდა იგი. ამ ფონზე სამაგალითოდ მიაჩნდა 1879 წლიდან გერმანია, რომელმაც „მრეწველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის გაუსწრო და ლამის ინგლისს გაუსწრაპიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიოს"[6]. გერმანიის ასეთ წარმატებებს იგი საერთო განათლების მიღწევებთან აკავშირებდა: „ეს ქვეყანა მკის იმას, რასაცა თესავს"[7].

ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამხრეთ კავკასიაში <u>ნავთობმრეწველობის განვითარებასა და ბაქო-თბილისის მილსადენის მშენებლობას</u>. ვინაიდან რკინიგზა ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილი ნავთის გადაზიდვას მილსადენის მშენებლობა უნდა დაჩქარდეს, რამეთუ „ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ"[8] - წერდა ილია.

ილია ჭავჭავაძე ვაჭრობის როლს არ აკნინებს ქვეყნის განვითარებაში, მაგრამ იწუნებს ფულიანი ვაჭრების მიერ მრეწველობაში ინვესტირებისაგან თავშეკავებას: "მდიდარ ქვეყანაში, საცა ათას გვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიც არ გაუტარებია, აზრადაც

---

1 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (XI, 1881) - თხუზულებათა სრული კრებული, ტ.5, გვ. 122.
2 იქვე.
3 იქვე.
4 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (VII-VIII/1882) – თხზ., ტ.5, გვ. 176.
5 ილია ჭავჭავაძე, სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ – თხზ., ტ.4, გვ. 342.
6 ილია ჭავჭავაძე, სატეხნიკო და სახელოსნო სასწავლებლების შესახებ (25/XI-1898 2) – თხზ., ტ.4, გვ. 386.
7 იქვე, გვ. 387.
8 ილია ჭავჭავაძე, ნავთის საქმე საქართველოში, III (19/I-1887 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 282.

არ მოსელია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე"[1].

ილია აკრიტიკებს მსხვილ ვაჭრებს, რომელთაც სასაცილოდაც არ ეყოთ რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობა, მაგრამ „როცა ცხენის-რკინიგზა სხვა ქვეყნიდამ მოსულმა გაამართა და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ: „ვა, ეს საქმე ხელიდან როგორ გავუშვით"[2]. ასევე მოუვიდათო მათ შავი-ქვის (ალგეთში) და შაქრისქარხნის (სკრაში) გამო, რომელთაც უცხოელები დაეპატრონენ.

მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ერი (მაგ. ებრაელნი...) გაფანტულია, დარღვეულია და ასეთი ერი, იმ ერზეა დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ რომ ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიაქს იღებს"[3] - აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. მისი აზრით, „გამნაღდებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვიან"[4].

ილია დაუნდობლად ამხელდა ბაზრის არასრულყოფილებას, კერძოდ, ბაზარზე გაბატონებული ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც მწარმოებლებს პროდუქტის გაყიდვის გასაქანს არ აძლევდნენ, აიძულებდნენ საქონელი მათთვის კაპიკებში მიეყიდათ და ამ პროდუქტის რეალიზაციიდან დიდი მოგება შეუმაველებს რჩებოდათ. „სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ველარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გავყიდოთ, ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წაგვიხდეს, გაგვიფუჭდეს"[5] - წერდა იგი.

აქედან გამოსაელის ერთ-ერთ გზად დასახელებულია ისეთი სამომხმარებლო საზოგადოების შექმნა, რომელიც ადგილზე ზომიერ ფასში ჩაიბარებდა გლეხისაგან წარმოებულ პროდუქტს და თავად მოახდენდა მისი რეალიზაციის ორგანიზებას. ასეთი კოოპერაციული საზოგადოების შექმნა, მართლაც პროგრესული ნაბიჯი იყო ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ მიზნით დაწერა ილიამ საქართველოში პირველი თბილისის მომხმარებელთა საზოგადოების წესდება (1869 წ.).

რაც შეეხება მხდალი ხასიათის მქონე ჩარჩულ ფულს, იგი დიდად ვერაფერში წაადგებაო ქვეყანას, რამეთუ იგი „ქურდბაცაცაა, იქა იმკის, საცა არ უთესნია"[6]. ამ მიდგომაში კიდევ ერთხელ იკვეთება ილიასეული ვაჭრობა, კერძოდ, სპეკულაციური ვაჭრობით მოპოვებული ჩარჩული ფულის მიმართ, რომელიც მატერიალურ დოვლათს არ ქმნის და რომ „იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია"[7].

ილია ჭავჭავაძე ფრთხილად ეკიდებოდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და ფრიტრედერული და პროტექციონისტული პოლიტიკის ღრმა ცოდნას ავლენს.

ზოგადად, იგი ფრიტრედერობის (ინგლ. free trade – თავისუფალი ვაჭრობა) მომხრეა, რომელიც ეკონომიკაში ვაჭრობის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ჩაურევლობას გულისხმობს. ამ ლიბერალური დოქტრინის მამამთავრად ილიამ საუსებით სამართლიანად ა.სმითი დაასახელა და დასძინა, რომ ამ დოქტრინის მიხედვით, საქონელთა გაცვლა „ყოველი ბაჟისაგან და გადასახადისაგან თავისუფალი უნდა იყოს და არა რომლისამე კანონმდებლობისაგან შეზუთული არ უნდა იქნას"[8].

პროტექციონისტული პოლიტიკის ამოცანაა ეროვნული ეკონომიკის წახალისება, მისი დაცვა უცხოური კონკურენციისაგან ქვეყანაში იმპორტირებულ საქონელზე მაღალი ბაჟის დაწესების ან საქონლის იმპორტის აკრძალვის გზით. ილიას სიტყვებით „პროტექციონობის" მიზანია „შინაურს მრეწველობას მოპირისპირე მოაცილოს შინაურს ბაზარში და მით თვით ამ სხვის ცილობისაგან განთავისუფლებულს მრეწველობას ფეხი აადგმევინოს და თავის ერს ერთი წყარო სარჩო-სა-

---

1 ილია ჭავჭავაძე, ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა (30/VII-1866) – თხზ., ტ.7, გვ. 265.
2 იქვე, გვ. 207.
3 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (VII-VIII-1882 წ.) – თხზ, ტ.5, გვ. 174.
4 ილია ჭავჭავაძე, ხილის და ბოსტნეულის გამოსაღები საზოგადება (3/II-1889 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 27.
5 იქვე, გვ. 26.
6 ილია ჭავჭავაძე, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე (17/VII-1893 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 13.
7 იქვე, გვ. 14.
8 ილია ჭავჭავაძე, სატამოენო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტედერობა და პროტექციონობა (5/VI-1887 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 318.

ბადებლის შოკნისა მოუმატოს"[1]. მისი სიტყვებით, გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ასეთი პოლიტიკა „ანდერძაგებულია და დაწუნებული"[2].

ამ ორი სახეობის პოლიტიკის შედარებისას ილია წერს: „ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისაგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იაფი ჩემ-შინაობის გაურჩევლად". საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გაზიარებული ასეთი დასკვნა სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან.

ასევე, საერთაშორისო ვაჭრობაში კლასიკური აქტუალურია ილიასეული მსჯელობა **შედარებითი უპირატესობის** დოქტრინის შესახებ, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ქვეყანაში ერთი მწარმოებლის უფრო დაბალი დანახარჯები, მეორე მწარმოებელთან შედარებით, შესაძლებელს ხდის პროდუქციის გამოშვებაში პირველი მწარმოებლის უპირატესობის არსებობას. ილია წერს: „მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებული იყო ის მოეყვანა, ის ემუშავნა თავის მიწაზე, რასაც დღეს იეფად სხვაგან ვიყიდით, სხვიდან მოვიტანთ. იგი ძვირფასი ჭურნახული, რომლის მოყვანასაც ასე ხელს უწყობს ჩვენებური დალოცვილი ჰაეა და მიწა, მაშინ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის, მაგალითებრ, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც რუსეთში არ მოდის ბუნებურ გარემოებათა გამო და იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იეფიც არის. ის აუარებელი შრომა და ხარჯი, რაც მაგალითად, მარტო პურის მოყვანაზე მოდის ჩვენში და ასე ძვირად გვიჯდება, სხვა უფრო ძვირფას საგანს რომ მოვახმაროთ რუსეთში გასატანად და იქიდან პური ვეზიდოთ, მითამ წაგებაში ვიქნებით და არა დიდ მოგებაში?"[3]

ასეთია ილიას პოზიცია შედარებითი უპირატესობის შესახებ, ანუ რუსეთში უნდა გაგვეტანა ის პროდუქტი, რომლის წარმოებაც, ბუნებრივი პირობების გამო უფრო იაფი დაგვიჯდებოდა და იქიდან შემოგვეტანა უფრო იაფად პური, ვიდრე მის წარმოებას ჩვენთან დასჭირდებოდა. ამ შემთხვევაში, ორივე ქვეყანა მეტ სარგებელსაც ნახავდა და ეკონომიკასაც მეტად განავითარებდა. აქედან გამომდინარე, საქართველოში მთავრობის პოლიტიკას მიწათმოქმედებისათვის ჰაეისა და მიწის შესაფერი მიმართულება უნდა მიეცა, სხვა შემთხვევაში „ყველაფერი ფეხზე დადებული მალამო იქნება, მაშინ როდესაც სატკივარი თაზეა"[4].

ილია ჭავჭავაძე ასევე ფრთხილობდა უცხოურ კაპიტალთან დამოკიდებულებაში. ასეთი კაპიტალის დაბანდების მნიშვნელობას არ აკნინებდა, ესმოდა მისი უპირატესობები, მოსალოდნელი შედეგებიც. მის სიფრთხილეს განაპირობებდა ქვეყნის სისუსტე, მოსახლეობის დიდი მასის დაბალი ყოდვითუნარიანობა. ილია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ეკონომიკური მოქმედნი ჩვენში ჩვენ, მიწისმშრომელთ ხელიდან გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა... ჩვენი ნაამაგარიდან გამორჩენა და მოგება სხვასა პრჩება და ჩვენ ჩვენ სახლში, ჩვენს მიწა-წყალზე, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა"[5]. ამ პირობებში უცხოურ კაპიტალს შეეძლო დაპატრონებოდა ქვეყნის ძირითად სიმდიდრეებს და ჩვენი მოსახლეობა მათ მომსახურებაში აღმოჩნდებოდა. აი რატომ უყურებდა სკეპტიკურად ილია 2,5 მლნ მანეთიან „მეისნერის პროექტს", რომელიც ჩვენთან ღვინის წარმოების აქციონერული საზოგადოების შექმნას ითვალისწინებდა („შინაური მიმოხილვა", XII/1882)[6]. „ბ-ნ მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გაყიდოო, ესე იგი – ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, - არას-გზით და არას მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი"[7] - წერდა ილია.

ქვეყნის გაძლიერების, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პირობებში შესაძლებელია თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნა, მაგრამ ეს პროცესი უნდა დაჩქარებულიყო და იგი დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა.

---

1 ილია ჭავჭავაძე, სატამოფნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტედერობა და პროტექციონობა (5/VI-1887 წ.) – თხზ., ტ.7, გვ.320.

2 იქვე, გვ.323.

3 ილია ჭავჭავაძე, კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი (4/XI-1895 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 41.

4 ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სარჩელი სოფლის მეურნეობის ბჭირფას დარგებზე (21/IX-1895 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 56.

5 ილია ჭავჭავაძე, კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი (4/XI-1895 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 38-39.

6 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ.5, გვ. 204-230.

7 იქვე. გვ. 222.

მართალია, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლამ ჩვენ პროდუქტს ფართო ბაზარი გაუხსნა, მაგრამ მაშინ ილიას აზრით: ქონების ზრდის ერთადერთი სფერო მიწათმოქმედება იყო, მრეწველობის განვითარებისათვის კი ქონება — ფულადი სახსრები, სათანადო ცოდნა არ არსებობდა და მაინც ამ მიმართულებით უმოძრაობას დრო არ გვაპატიებდა. საჭირო იყო საფაბრიკო-საქარხნო წარმოების მოედნის დაკავება ეროვნული ძალების მიერ, რამეთუ „ეკონომიკური ბუნება ქონებისა ის არის, — უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, — რომ უხერხო და უმცდელ კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა“[1].

ილიას კალამი შეეხო ეკონომიკის ცალკეული კატეგორიების შინაარსობრივ განმარტებებსაც. ასე მაგალითად, მისი აზრით, ტერმინი მიწის რენთა (ევროპაში) იგივეა, რაც ჩვენში ტერმინი „ღალა“ (არაბ.), ანუ გადასახდელი (ნატურით ან ფულით) მიწით სარგებლობისათვის. ასეთი სახის გადასახდელისათვის გაელენას ახდენს „ცილება“[2] ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით — კონკურენცია.

ილია ჭავჭავაძემ ფართოდ განიხილა ხიზნობა, როგორც მიწათმფლობელობის ფორმა საქართველოში, რომელიც გამოხატავდა მიწის მესაკუთრეზე გლეხის დამოკიდებულებას[3]: „წესი ხიზნობისა — წარმომდგარია მიწისა და მუშახელის განცალკევებისაგან“[4]. ამ დროს თავისუფალი ადამიანი სხვისი მიწის სარგებლობისათვის, ხელშეკრულების შესაბამისად, იხდის ღალას (საიჯარო ქირას). საკითხს დიდი ისტორიული ფესვები ჰქონდა და იგი საქართველოში 1864 წ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც აქტუალური იყო.

ილიამ „ეკონომიკურ წყობაში“ წამყვანი როლი საკუთრებით ურთიერთობებს მიანიჭა და მოგვცა საზოგადოებრივი (თემობრივი) და კერძო საკუთრების ისტორიული ანალიზი[5]. „საკუთრების ორი ნაწილი შეადგენს: ერთი პირადი (კერძო — ა.ს.), მეორე ზოგადი (საზოგადოებრივი — ა.ს.). რადგანაც იგი არსებობს არა მარტო ცალკე კაცის სარგებლობისათვის, რომ ნამაგარი მისის შრომისა მასვე მოახმაროს, არამედ საზოგადოების სარგებლობისათვისაც, რომ შესაძლოდ და დღეგრძელად ჰქმნას არსებობა თვით საზოგადოებისა“[6].

ილია ჭავჭავაძე საკუთრების ორთავე ფორმის არსებობას ამართლებს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იმ დოზით, რა დოზითაც ერთი უპირატესობას დაამტკიცებს მეორესთან შედარებით: „ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. მთელი არსება... იმაში მდგომარეობს თუ, - რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი“[7].

აქვე ილიამ წინა პლანზე წამოსწია საკუთრების ხელშეუხებლობის მუდმივად ფრიად აქტუალური საკითხი. ნაწილობრივ ეს ეხება სახელმწიფოს სასარგებლოდ კერძო საკუთრების სასყიდლიან ექსპროპრიაციასაც. „თუმცა მიწის პატრონს ამ შემთხვევაში სასყიდელი ეძლევა, მაგრამ მაინც ეს ამბავი კერძო უფლების ზღუდეთა ცოტაოდენ შერღვევად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ საკუთრების დათმობა იძულებულია, ძალაუნებური და არა ნებაყოფლობითი მოსაკუთრის მხრით“[8] - აღნიშნავდა ილია.

„კერძო და სათემო მიწათმფლობელობაში“ (1886) ავტორი განიხილავს რა საკუთრების ნიშნებს სოფლად, მიუთითებს, რომ მიწის კერძო და საერთო მფლობელობა „ჩვენთვისაც უცხო არ ყოფილა“[9].

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე ეკონომიკურ ურთიერთობებში პრიორიტეტს საკუთრებით ურთი-

---

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ.5, გვ. 40.
2 ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი (წერილი მეორე) — თხზ., ტ.6, გვ. 14.
3 ილია ჭავჭავაძე, ხიზნების საქმე (ნარკ., I, 1880 წ.) — თხზ., ტ.6, გვ. 115.
4 იქვე, ნარკ.II (1886 წ.), გვ. 143.
5 იქვე, ნარკ.I, გვ. 119-120.
6 იქვე, ნარკ.II, გვ. 141.
7 იქვე.
8 იქვე, გვ. 169.
9 იქვე, გვ. 182.

ერთობებს ანიჭებს, დასაშვებად მიაჩნია კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების ფორმების კონკურენციული თანაარსებობა, დაუშვებლად თვლის საკუთრების ძალადობრივ ხელყოფას, მიწის რენტას (ღალას) მიიჩნევს როგორც გადასახდელს მიწით სარგებლობისათვის, რომლის დონეზე გაელენას ახდენს კონკურენცია („ცილობა").

„შინაური მიმოხილვაში" „მეისნერის პროექტის" შესახებ ილია ჭავჭავაძემ პოპულარულ ენაზე ჩამოაყალიბა განმარტებები, დასკვნები საქონლის, ღირებულების ფორმების, ფულის, მიწოდება-მოთხოვნის, ბაზრის, ბანკისა და კრედიტის დანიშნულებაზე, მიწის ფასზე და სხვ. ილიას შეხედულებით:

1. საქონელი შრომით იქმნება და იგი შრომის ნაყოფის ის ნაწილია, რომელიც აღემატება პატრონის პირადი მოხმარებისათვის საჭირო რაოდენობას. თუ პირადი მოხმარებისათვის „თორმეტი კოდი[1] პურია საჭირო და მე ხუთმეტი მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კოდს საქონელი ჰქვიან"[2]. ასეთი დასკვნა შესაბამისობაშია ტერმინი „საქონლის" ცნებასთან: იგი არის წარმოების პროდუქტი მატერიალურ-ნივთობრივი ფორმით; გამყიდველსა და მყიდველს შორის საბაზრო ურთიერთობის ობიექტი;

2. საქონლის საქონელზე (ს-ს) გაცვლა მარტივი „გაცვლა-გამოცვლაა", რომელსაც აღებ-მიცემობა (გაცვლა – ა.ს.) ჰქვია. ამ შემთხვევაში „მიწოდება-მოთხოვნა" ერთ წინასწარ განსაზღვრულ საქონელზეა „მიქცეული": „როცა მე პური მიჭირს და ღვინო მეტი მაქვს, აქ მარტო პური გაიცვლება ღვინოზედ და ღვინო პურზე და სხვა არარაზედ"[3]. ამ შემთხვევაში („ორი თუნგი ღვინო = ერთი კოდი პური") საქონელთა გატოლების საფუძველია ორთაგან თითოეული საქონლის ღირებულება;

3. რთულ გაცვლაში (ს-ფ-ს) ფული „მოქმედობს" („ორი თუნგი ღვინო = 2 მანეთი ფული = ერთი კოდი პური"). ამ შემთხვევაში „ღვინოს გავცემ რომ ფული ავიღო და ფულს ისევ გავცემ, რომ პური ავიღო"[4] არის ღირებულების ფორმების განვითარების და ფულის წარმოშობის ეკოლუციური პროცესებისადმი საინტერესო მიდგომა;

4. ფულის საშუალებით, ძალიან ადვილად ხერხდება საქონელთა გაცვლა „საცა მაგვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი ჰქვიან. საქონელთა ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას მთლიანობაში საქონელმიმოქცევა («обращение товаров») ეწოდება, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს, ხან დასწევს[5]. „ფულის ძალაში" ნაგულისხმებია „საყოველთაო ყიდვითუნარიანობა" („საყოველთაო ძალს სყიდვისას");

5. საქონელთა ფასები, სხვა თანაბარ პირობებში, დამოკიდებულია ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის რაოდენობაზე „თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს – ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ"[6].

ილია ჭავჭავაძე შემთხვევით როდი აირჩიეს „ბანკის" თავმჯდომარედ, რომელსაც თითქმის 30 წელი ხელმძღვანელობდა. მას კარგად ესმოდა ბანკის, როგორც საკრედიტო დაწესებულების არსი, მიზანი და კრედიტის დანიშნულება. „ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა, - წერდა ილია, - ის კი არ არის ვისაც ფულს ასესხებ, უკანვე გაედევნოს ... ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა – ბანკმა არა დააკლოს რა"[7]. თუ საბანკო კრედიტი წარმოების გაძლიერებას მოხმარდებაო, მაშინ იგი საზოგადოებრივი სიმდიდრის ერთი ისეთი წყაროა, „ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება"[8].

თანამედროვე გაგებით, კრედიტი სესხია (ფულადი ან საქონლური ფორმით), რომელსაც კრედიტორი (სესხის გამცემი) გარკვეული გარანტიის ქვეშ, მიზნობრივი დანიშნულებით სარგებლობი-

---

1 კოდი არის 4-5 ფუთის (1 ფუთი=16,3 კგ) ზომის მარცელეულის საწყაო ხის დიდი ჭურჭელი (ღვინის ს. – ხორბლის ს.).

2 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ.5, გვ. 208.

3 იქვე. გვ. 209.

4 იქვე.

5 იქვე, გვ. 209, 224.

6 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ.5, გვ. 216.

7 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა (XII/1882 წ.) – თხზ., ტ.5, გვ. 235.

8 იქვე, გვ. 236.

სათვის აძლევს მსესხებელს დაბრუნებისა და სარგებლის გადახდის პირობით. თითქმის 130 წლის წინათ კრედიტის ილიასეული განმარტება შინაარსობრიულად ეხმიანება ზემოაღნიშნულს „კრედიტი ორპირი მახვილია", ვინც კრედიტით მიღებულ ფულს საქმეს მოახმარს და შემოსავალს გაზრდის – მისთვის კრედიტი მისწრაფებაა; და ვინც მას გაფლანგავს და „ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს", მისთვის საფლავის მთხრელია. მაგრამ ამ შემთხვევაში თავად „კრედიტი რა შუაშია, როცა კაცი თავისის-თავის. მტერია?"[1] - აღნიშნავდა ილია. იგი ასევე მწვავედ, დამაჯერებლად პასუხობდა ოპონენტებს, რომელთა აზრითაც ბანკების მიზეზით „ჩვენი მამულები იყიდებაო". „სად იყო ბანკები, რომ მთელი ტბილისი ამ საუკუნის (მე-19 ს-ის – ა.ს.) დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოც-და-ათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა!"[2] - წერდა ილია და ოპონენტებს რეალურ მიზეზებში გარკვევისაკენ მოუწოდებდა. ეკონომიკური თვალსაზრისით იგი „ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ფული ერთის ხელიდან მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად". სწორედ ესაა „მიზანი კრედიტისა"[3]. სხვა ადგილას, ბანკის შესახებ დისკუსიაში, კრედიტის შინაარსობლივად იგივე განმარტება ასე ჟღერს: „ნდობას, რომლის მეოხებითაც ფული ერთის ხელიდან მეორეში სესხად გადააქვს და რომელსაც გარიგება და პირობა ზედ დაჰყება ხოლმე, ჰქვიან კრედიტი"[4].

ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „საადგილ-მამულო კრედიტს", რომლის დანიშნულებაა სოფლის მეურნეობის გაძლიერება. ასეთი კრედიტი უნდა იყოსო გრძელვადიანი. იგი თანდათანობით უნდა დაბრუნდეს, კრედიტის მიღების გარანტიად კი მიწა უნდა გამოეყენებინათ. მიწაა „ერთად-ერთი ქონება მიწათმოქმედისა", რომლის ფასი სისტემატურად აიწევს: „მიწა დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს"[5].

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი – ლიკვიდურობა (ქონების ნაღდ ფულად სწრაფად გადაქცევის უნარი), რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, ილიამ შემდეგნაირად ახსნა. იგი წერს: „დღეს ვეღარავინ იტყვის, რომ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო ფულში უსათუოდ განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი"[6].

ჩვენს მიერ განხილული საკითხებიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული ეკონომიკური დოქტრინა თავსებადია კლასიკურ ეკონომიკურ დოქტრინასთან იმ განსხვავებით, რომ საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობის გამო, ეკონომიკური განვითარება სოფლის მეურნეობიდან უნდა დაწყებულიყო, რაც შექმნიდა მტკიცე ბაზას მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის; შესაბამისობაშია ფრიტრედერულ პოლიტიკასთან, ღია ეკონომიკისა და შედარებითი უპირატესობის კონცეფციასთან; ეკონომიკურ წინსვლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რკინიგზის, ბაქო-ბათუმის მილსადენის მშენებლობას, ნავთობ-მრეწველობის განვითარებას და ამ საქმეში პირველ რიგში ადგილობრივი კაპიტალის დაბანდებას მოითხოვდა; დასაშვებად მიიჩნევს კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების თანაარსებობას და წინააღმდეგია საკუთრების ძალადობრივი ხელყოფისა; სწორად წარმოაჩენს საქონლის, ფულის, ფასების, ლიკვიდურობის კატეგორიებს, ბანკისა და საკრედიტო საქმიანობის – კრედიტის მიზნებსა და გარანტიებს.

---

1 „ილია ჭავჭავაძე, პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან (1900) – თხზ., ტ.6, გვ. 254.

2 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა – თხზ., ტ.5, გვ. 240.

3 იქვე, გვ. 236-237.

4 ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე (1876) - თხზ., ტ.7, გვ. 328.

5 ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა – თხზ., ტ.5, გვ. 239.

6 ილია ჭავჭავაძე, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე: „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოერების საზრუნაი" (17/VII-1893 წ.) – თხზ., ტ.7, გვ. 7.

2.2. ნიკო ნიკოლაძე (1843-1928)

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე ნიკოლაძე, დაიბადა 1843 წ. ქ.ქუთაისში. 1861 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მალე სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდან გარიცხეს.

პეტერბურგში სწავლისას მან გაიცნო ცნობილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ნიკოლოზ ჩერნიშევსკი (1828-89), რომელსაც ოჯახში ხშირად სტუმრობდა და მათ შორის კარგი ურთიერთობაც დამყარებულა. ნ.ჩერნიშევსკის დაპატიმრების (1868) შემდეგ, ნ.ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა, მალე იგი საზღვარგარეთ გაემგზავრა, სადაც ცნობილი რუსი რევოლუციონერის ალ.გერცენის (1812-70) მოწვევით თანამშრომლობდა გაზეთში „კოლოკოლი“, სადაც გამოაქვეყნა სტატია „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ (1865). ჟენევაში ყოფნისას ნ.ნიკოლაძემ საფუძველი ჩაუყარა ნ.ჩერნიშევსკის თხზულებების გამოცემას, რომლის I ტომის რედაქტორიც თავად იყო.

ციურიხის უნივერსიტეტის დამთავრების (1868) შემდეგ, ნ.ნიკოლაძემ აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „განაირარება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომელიც ჟენევაში ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად გამოიცა. საზღვარგარეთ მოღვაწეობის პერიოდში (1864-68) მას კ.მარქსი გაუცნია, რომლისაგანაც კავკასიაში I ინტერნაციონალის წარმომადგენლობაზე შეთავაზების წინადადებაზე დელიკატურად უარი უთქვამს. 1875 წელს კი პარიზში დაიწყო გაზ. „დროშის“ გამოცემა, რომელიც მალე შეწყდა. მალე საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაზეთებში „დროება“ და „ტიფლისსკი ვესტნიკ“ მოღვაწეობდა.

1883 წ. გაზეთში „ნოვოე ერემია“ გამოაქვეყნა ნავთობის მრეწველობის და გადაზიდვის პრობლემებისადმი მიძღვნილი პროგრამა, რომელიც მოიწონა ქ.ბაქოში ჩატარებულმა ნავთობის მრეწველთა საერთო კრებამ. 1887 წ. იგი თბილისში დაბრუნდა. 1887-91 წწ. იყო გაზეთის „ნოვოე ობოზრენიე“ რედაქტორი, აგრეთვე თანამშრომლობდა გაზეთთან „მოამბე“.

ნ.ნიკოლაძე (1894-1912 წწ.) იყო ქ.ფოთის არჩეული მერი. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის პერიოდში პეტერბურგში ყოფნის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდა და გაზ. „საქართველოში“ გამოაქვეყნა წერილები საქართველოს ფინანსების, მრეწველობისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. იგი ხელმძღვანელობდა ისეთ პროექტებს, როგორიცაა: გროზნო-ფოთის ნავთობსადენი, სამხრეთ კავკასიის რკინიგზა, ფოთის ნავსადგურის განვითარება, თბილისის წყალსადენი და სხვ.

ნიკო ნიკოლაძის პირველი მეუღლე – შვილი წელი ბოგუმილა ზემენსკაია (1854-1931) იყო, რომლისგანაც ორი ქალიშვილი ჰყავდა. იგი მეორედ ილია ჭავჭავაძის მეუღლის ნათლულზე დაქორწინდა და სამი შვილი რუსუდანი, თამარი (მომავალში აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მეუღლე) და გიორგი[1] შეეძინათ.

ნიკო ნიკოლაძე გარდაიცვალა 1928 წელს ქ.თბილისში, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

* * *

ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივ და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას არაერთი სპეციალური საინტერესო გამოკვლევა[2] მიეძღვნა. წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე,

---

1 გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძე (1888-1931), დაიბადა დიდი ჯიხაიშში (ახლანდელი სამტრედიის რ-ნი), დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (1913), 1928 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიჰყავდა ლექციების კურსი მათემატიკურ დისციპლინებში; ხელმძღვანელობდა (1929) ზესტაფონის ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ღუმელის მშენებლობას; წარმატებით მონაწილეობდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მოაწყო ქართველ ალპინისტთა ასვლა მყინვარწვერაზე (28 აგვისტო, 1932 წ.).

2 გ.ახვლედიანი, ნარკვევები XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959; ა.ბაქრაძე, თხზ., ტ.I, (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე), თბ., 2004; ე.ბახტაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1958; დ.გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1983; გ.ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის როლი ფოთის მშენებლობაში (1894-1912); გ.თოდუა, XIX ს. ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები, ნაწ. II, თბ., 1987; გ.მეგრელიშვილი, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი XIX ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1960 (რუს. ენაზე); პ.რატიანი, რჩეული ნაწერები, ტ.3 (მეორე გამოცემა), თბ., 1985; ე.ჩადუნელი, გაზ. „დროების“ პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1969; ს.ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941; ო.ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1998...

ჩვენი ამოცანაა მხოლოდ ეკონომიკური დოქტრინის პოზიციებიდან გამომდინარე, ნ.ნიკოლაძის ზოგიერთი მოსაზრების გაანალიზება.

ნ.ნიკოლაძე, „კლასიკოსების“ მსგავსად, იკვლევს ზოგადად წარმოების სფეროს, მატერიალური დოვლათის შექმნაში კი განსაკუთრებულ როლს მრეწველობას ანიჭებს, რომელიც უზრუნველყოფს მეურნეობის განვითარებას. ამასთან, ვაჭრობაც მეტად მნიშვნელოვნად ჩათვალა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

1871 წ. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიებში იგი მოითხოვდა საქართველოში არსებული მდიდარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, რაშიც განსაკუთრებულ როლს ცოდნას ანიჭებდა: „ბუნებითი სიუხვე და სიმდიდრე ბევრი გვაქვს, მაგრამ, თუ უცოდინარობასა და თუ ღონისძიების უქონლობის გამო, ამ სიმდიდრით სარგებლობა ვერ მოგვიხერხებია“[1]. იგი მოითხოვდა „ტყიბულის მამულის დიდი სიმდიდრის“ ათვისებას, „ფაბრიკა-ქარხნების“, ჰ.შ. მატყლის საქსოვი ფაბრიკის დაარსებას და სხვ[2].

ნ.ნიკოლაძეს კარდაგ ესმოდა, რომ მდიდარი ბუნებრივი რესურსები იმავდროულად მოხმარების სიუხვეს არ ნიშნავს, ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება „საკმაო საზრდო და სიმდიდრე იყოს, და ამ ქვეყნის ხალხი კი შიმშილით კვდებოდეს და გაჭირვებით ცხოვრობდეს უთაბოლო ან უხვირო განწყობილების გამო“[3].

მისი აზრით, ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა შეეძლო წარმოების ტექნიკურ განვითარებას „მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენ სწორეთ იმ იარაღს ვხმარობთ მეურნეობაში, რომელიც ნოეს წარღვნის დროს თავის კიდობანში გადურჩენია, და იმავ წესით ვხნავთ, ვთესთ, მოსავალს ვიყვანთ, როგორც ნოეს დროს“[4]. ახალმა თაობამ, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის აღორძინებისა და შესაბამისი სპეციალისტების მომზადების საქმეს უნდა მიაქციოსო ყურადღება, რამეთუ ბევრი ახალგაზრდისათვის „უნივერსიტეტში სწავლას ერთი მიზანი აქვს – ეგზამენი და დიპლომის აღება“[5]. ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გარეშე „უიარაღო ადამიანი – წვრილი მეწარმე, მეეტლე, შინა მრეწველი“ ვერაო დაუპირისპირდებოდა კაპიტალისტის მფლობელობაში არსებულ „ორთქლის მანქანის ძალას, როგორც ფაბრიკებისა და ქარხნების, ორთქლმაველებისა და მატარებლების ძრავების მამოძრავებელს“[6].

ნ.ნიკოლაძე ჩვენი ქვეყნის და მათ შორის მრეწველობის (ინდუსტრიის) განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესად თვლიდა რკინიგზის, პორტების მშენებლობას, გემთმშენებლობისა და საჭარო ფლოტის შექმნას. იგი წერდა: „შავ ზღვაზე გემთმშენებლობის შესაქმნელად და ყველაზე მკაცრი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩვენ რეალური შემოქმედებითი ნიადაგი გვაქვს... უნდა აშენდეს ნავსადგური ფოთში, გაყვანილ იქნას რკინიგზები და სხვ.“[7]; „ინდოეთისაკენ რკინიგზის გაყვანის შემთხვევაში ამიერკავკასიამ მონაწილეობა უნდა მიიღოს მსოფლიო ვაჭრობაში“[8].

მისი აზრით, საკუთარი სავაჭრო ფლოტის უქონლობა აბრკოლებს მრეწველობაში იაფი ნედლეულის შემოტანას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტს და მთლიანობაში „ძირს უთხრის ჩვენი საგარეო ვაჭრობის ყოველგვარ დამოუკიდებლობას და თავზე გვახვევს უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ დამოკიდებულებას“[9].

ფოთს, როგორც სავაჭრო ქალაქს, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა (გაზ. „დროება“, №15, 1871 წ.) და სავსებით სამართლიანად. „რკინიგზა ჩქარა შეაერთებს მას თბილისთან, მერმე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და, აღებ-მიცემა ერთი მხრივ ევროპასა და მეორე მხრით საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის, და ფოთს

---

1 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.2, თბ., 1960, გვ. 606.
2 იქვე, გვ. 583, 606.
3 იქვე, გვ. 389
4 ნიკო ნიკოლაძე, ჩვენი ახალგაზრდობა (ჟ. „კრებული“, №2, 1971 წ.) – თხზ., ტ.2, გვ. 377.
5 იქვე.
6 ნიკო ნიკოლაძე, ოცნების სამყაროში (გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 30/VII, 1887 წ.) – თხზ., ტ. 9, ქუთაისი, 2006, გვ. 33
7 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.6, თბ., 1970, გვ. 79-80.
8 იქვე, გვ. 77.
9 იქვე, გვ. 58.

თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა"[1]. ამ მხრივ, მომავალში მისთვის კონკურენცია შეუძლო გაეწია მაშინ ოსმალეთის ხელში მყოფ ბათუმს. ნ.ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ ყოველივე ეს, მაშინ იქნებოდა შედეგიანი, როდესაც ადამიანი ამოძრავდება და ეფექტიანად გამოიყენებს ბუნების მიერ ნაბოძებ შესანიშნავ შესაძლებლობებს. პირველ რიგში საჭირო იყო ვეშებისათვის ფოთში თავისუფლად მისადგომი პორტის მშენებლობა „მანამდი ფოთის მომავალი ყინულზეა დაწერილი"[2].

ნ.ნიკოლაძის აზრით, ქვეყნის განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ვაჭრობას თუ იგი არა სპეციალისტებმა, არამედ ქვეყნის ინტერესების მქონე კვალიფიციურმა და პატიოსანმა ადამიანებმა წარმართეს: „ვაჭრობა იმაში მდგომარეობს, რომ მოხერხებული, აზრიანი, პატიოსანი კაცი ცდილობს შეიტყოს, რა ადგილს იშოვნება იაფათ რომელიმე საგანი, რა გზით უფრო სახეიროა ამ საგნის გადატანა, და რა საშუალებით შესაძლებელია ამ საგნის საჩქაროდ გასაღება, რომ მასში გაცემული ფული მალე უკან დაუბრუნდეს, და ხელმეორეთ ახალი საგნის მოპოვებაში და მოტანაში გამოადგეს?"[3] ვაჭრობა-მრეწველობისადმი უყურადღებობა და მისი უცოდინარობა აზიანებსო ქვეყნის მომავალს, მითუმეტეს რომ „ჩვენში, ღვთის მადლით, ყველაფერში სიუხვეა, მცოდნე კაცების და მოხერხების გარდა"[4].

ვაჭრობით შესაძლებელია ჩვენი ქვეყნიდან (ნაღდი ფულის ნაცვლად) ისეთი ჭარბი საქონლის ექსპერტი, რომელიც „სხვა ადგილებში რეალიზაციით მეტ შემოსავალს იძლევა[5], ანუ ფულის გატანას საქონლის გატანა სჯობსო, რაც მართებულია. მაგრამ ამისათვის ქვეყანამ პროდუქტის სათანადო რაოდენობით წარმოება უნდა შეძლოს, რაც ცოდნის, ინვესტიციების გარეშე ვერ მიიღწევა.

ნ.ნიკოლაძე ასევე ფრთხილობს საგარეო ვაჭრობასთან დამოკიდებულებაში. თუ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობაში, ერთს აქვს დაბალი განათლება, ტექნოლოგიური ცოდნა და ფაბრიკა-ქარხნები არა აქვს, მეორე ამ თვალსაზრისით მაღლა დგას, მაშინ პირველი ქვეყანა, მეორეს თითქმის „ჩალის ფასად" აძლევს მის მიერ წარმოებულ პროდუქტს – ნედლეულსა და მასალებს (ხეს, ლითონს, მატყლს, ტყავს, აბრეშუმს...), მეორე ქვეყანა მათგან დამზადებულ პროდუქტს უკან მიჰყიდის პირველს „ათ და ოცწილ ფასად... ამ შემთხვევაში საქმე ბოლოს იმით თავდება, მის მიწაწყალს უპატრონებიან უფრო მოხერხებულები... და ადგილობრივი მცხოვრებლები უცხო ქვეყნიდან მოსულებს უბრალო მუშად... ხდებიან"[6]. დიდი მამულიშვილის გაფრთხილება აქტუალურად ჟღერს პოსტკომუნისტურ და კერძოდ, თანამედროვე საქართველოში მიმდინარე ზოგიერთ ტენდენციებთან მიმართებაში.

ნ.ნიკოლაძე გაზ. „ტიფლისკიე ვედომოსტი" (22/IX-1875 წ.) გამოქვეყნებულ სტატიაში „საქალაქო მეურნეობის ამოცანები" გადაუდებელ ამოცანად თვლიდა საქალაქო მეურნეობის მოწესრიგებას ქ.ბათუმში. აქ მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენდა წყლით მომარაგება: „ქალაქის მიერ წყალსადენის მოწყობა და შენახვა, მიუხედავად იმისა, რომ წყლის დიდი ნაწილი დაიხარჯება არა საწარმოო საჭიროებებზე, არამც თუ მძიმე ტვირთად არ დააწვება ქალაქს, არამედ მას აუარებელ შემოსავალს მისცემს"[7]. თავის არგუმენტაციას ასაბუთებდა კიდეც პარიზის საქალაქო მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირების პრაქტიკული შედეგებიდან გამომდინარე. მისი პროექტი წყალსადენის მშენებლობის შემდეგ, ქალაქის ქუჩების განათების მოგვარებასაც ითვალისწინებდა.

როგორც უკვე აღინიშნა, განიარაღების პრობლემების კვლევას მიეძღვნა ნ.ნიკოლაძის ნაშრომი „განიარაღება და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები" (1868)[8]. ავტორი ემხრობა საერთო განიარაღების შესაძლებლობას, სარგებლიანობას, რომელიც აღორძინებს ქვეყნის ინდუსტრიას, მაგრამ

---

1 ნიკო ნიკოლაძე. თხზ., ტ.2, გვ. 449.
2 იქვე. გვ. 547 (გაზ. „დროება", №32, 1871 წ.).
3 ნიკო ნიკოლაძე. ჩვენი ახალგაზრდობა – თხზ., ტ.2, გვ. 379.
4 იქვე. გვ. 377.
5 იქვე.
6 იქვე. გვ. 450-451.
7 ნიკო ნიკოლაძე. თხზ., ტ.2, გვ. 199.
8 ნიკო ნიკოლაძე. თხზ., ტ.I, თბ., 1962.

გვაფრთხილებს, რომ სწრაფმა განიარაღებამ შეიძლება კრიზისი განაპირობოს და საზოგადოების ისედაც აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა გაართულოს[1].

მილიტარისტული ხარჯები ფიტავს ეროვნულ ეკონომიკას, ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს მშვიდობიან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერება-განვითარებას. სწრაფ განიარაღებას შედეგად მოჰყვება თავდაცვის მრეწველობის გაჩერება, უმუშევართა ზრდა, სახელმწიფო შემოსავლების შემცირება, მოთხოვნის კლება, ქვეყანაში მუშა-ძალის კონკურენციის ზრდის შედეგად მათი ხელფასების შემცირება და საბოლოოდ კრიზისული მოვლენები. მაშასადამე, „წარმოების კლებას და ვაჭრობის განსაზღვრას შედეგად დაუყოვნებლივ მოჰყვება შემცირება სახელმწიფოს შემოსავლისა; შემდეგ უსაქმურად დარჩება აურაცხელი რიცხვი მუშებისა, ფაბრიკანტებისა, ვაჭრებისა, მესასტუმრეებისა და სხვ.“[2]

ავტორის დასკვნით, ერთბაშად მოხდენილი განიარაღების შედეგად, ჯარის ერთბაშად დათხოვნა სახელმწიფო ხარჯებს საგრძნობლად ვერ შეამცირებს – პირიქით, ეს ხარჯები უფრო მეტად გაიზრდება, ვინაიდან საჭირო იქნება უსაქმოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხის დახმარება[3].

ამრიგად, ნიკო ნიკოლაძის ორიგინალურმა გამოკვლევამ ცხადად დაანახა ცივილიზებულ სამყაროს ერთი მხრივ, მილიტარიზაციის უსარგებლობა და მეორე მხრივ, სწრაფი განიარაღების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ნიკო ნიკოლაძის „აგრარული პროგრამის“ მიხედვით გლეხებს, ბანკების დახმარებით, მემამულეებისაგან მიწები ჯგუფურად, საერთო საკუთრებაში უნდა გამოესყიდათ და ერთობლივი ძალებით უნდა წარემართათ მეურნეობა. თუმცა, ჯერ კიდევ 1865 წ. გაზ. „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ წერდა, რომ ბატონყმობის გაუქმება საქართველოში ფორმალური ხასიათისა იყო და გლეხობა ფაქტობრივად ისევ მებატონეთა მარწუხებში დარჩაო.

ნ.ნიკოლაძის გეგმა ითვალისწინებდა საქართველოში საადგილმამულო და სასოფლო ბანკების დაარსებას. ამ გეგმის შესაბამისად, 1875 წ. თბილისში დაარსდა საადგილმამულო ბანკი, რომლის თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე გახდა.

ნ.ნიკოლაძე 1870 წ. გაზ. „დროებაში“ (№ 17) გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი საზოგადო საქმეები“, რომლის II თავის სათაურია: „ბანკის თაობაზე“, მიუთითებდა, რომ ბანკის ავ-კარგიანობა მომხმარებელზე და გარემოებებზეა დამოკიდებული „ზოგ საზოგადოებას ბანკი ფეხზე დააყენებს, ზოგს კი სულ ერთიანად დაღუპავს და ამოაგდებს“[4]. მაგალითად, მოჰყავდა დანა, რომლის მოხმარება კაცს თავის სასარგებლოდაც შეუძლია და თავის მოსაკლავადაც.

იგი ბანკის უპირველეს ამოცანად თვლიდა საზოგადოების ადგილ-მამულების დაკარგვისაგან დაცვას, რათა მიწა-წყალი გლეხობას დარჩენოდა და არა ვაჭარ-მევახშეებსა და სხვ. აქედან გამომდინარე, მან ჩამოაყალიბა საბანკო პოლიტიკის შემდეგი პრინციპები[5]: 1. საბანკო კრედიტი მაშინაა სასარგებლო, როდესაც იგი ხმარდება მიწის მფლობელთა მამულების გაუმჯობესებას; 2. ბანკმა კრედიტი უპირატესად საკუთარი შრომით მიწების დამმუშავებლებს უნდა მისცეს და 3. კრედიტის დაფარვის პირობების მკაცრი დაცვა, ახალი კრედიტის გაცემას წაახალისებს.

ვალის აღება დასაშვებად, სასარგებლოდ ჩათვალა თუ მიღებულ ფულზე სარგებელი მამულიდან მიღებულ ნამეტ შემოსავალზე ნაკლებია, სარგებლის განაკვეთის დონე კი ფულზე მოთხოვნასთან დააკავშირა; კარგად ესმოდა აგრეთვე ბანკის სახსრების შემავსებელი წყაროები[6]: 1. მოზიდული სხვადასხვავადიანი (მოკლევადიანი, გრძელვადიანი, მოთხოვნამდე) თავისუფალი ფულადი სახსრები და 2. „ობლიგაციების“ გაყიდვიდან მიღებული თანხები.

ბუნებრივია, ვერც ერთი სერიოზული ბანკი მოზიდული სახსრების გარეშე ვერ იარსებებს, რაც შეეხება ობლიგაციას, როგორც ფასიანი ქაღალდის ერთ-ერთ სახეობას, იგი მიმოქცევადი

1 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.I, თბ., გვ. 455.
2 იქვე, გვ. 466.
3 იქვე, გვ. 466-467.
4 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.I, გვ. 21.
5 ვ.ბახტაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1958, გვ. 21.
6 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.I, გვ. 24.

აქტივია, რომელიც თავის მფლობელს გარკვეულ ინტერვალში ფიქსირებული ფულადი თანხის მიღების გარანტიას აძლევს.

ნ.ნიკოლაძის „სააბანკო ობლიგაცია" გარკვეულწილად შესაბამისობაშია მის თანამედროვე გაგებასთან. თუ ბანკი მამულის დაგირავების საფუძველზე გასცემდა სესხს, მის დაფარვამდე ბანკს შეეძლო „თავისი უფლება ამ მამულზე სხვა პირს გადასცეს გირაოდ და იმდენივე ფული აიღოს ვალათ, რამდენიც თვითონ მიუცია მამულის პატრონისათვის. ისე რომ, თუ ბანკს, ვთქვათ ათი-ათასი თუმანი გაუვალებია გირაოს ქვეშ, მას შეუძლია ათი-ათასი თუმნის, ან იმაზე ნაკლების, ობლიგაციების გამოცემა – ამ ობლიგაციებს კერძო პირები ბანკის ბილეთებივით ყიდულობენ"[1]. ასეთი მოსაზრება თავსებადია თანამედროვე ტერმინთან „გირავნობის ობლიგაცია", რომელიც უძრავი ქონების გირავნობით უზრუნველყოფილი ობლიგაციაა. ამასთან, უძრავი ქონების საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციის ღირებულება შეიძლება დაგირავებული ქონების ღირებულების ტოლი (ან არა) იყოს.

ნიკო ნიკოლაძემ („ამხანაგის ძალა" - „სასკოლო გაზეთი", № 1, 2, 56, 1871 წ.) საკრედიტო ურთიერთობებში წინა პლანზე წამოსწია თავდებობის ინსტიტუტი და აქედან გამომდინარე, სამართლიანად განმარტა, „თავდები" ისეთ პირად, „რომელიც კისრულობს ვალის გადახდას, ან პირობის ასრულებას, ვინიცობაა, რომ პირობის შემკვრელ ან ვალის ამღებს პირს თავისი სიტყვის შესრულება არ შეეძლოს"[2].

მისი აზრით („ჩვენი წელი", 1877 წ.), კრედიტი მაშინაა სასარგებლო, თუ მას იყენებენ წარმოების ზრდისა და გაცვლის გასაადვილებელ საშუალებად „მისი ნაყოფი კი მდგომარეობს მწარმოებლურობის განვითარებაში, ქვეყნის ახალ სიმდიდრეთა შემუშავებაში"[3]. აქედან გამომდინარე, კრედიტით სარგებლობა შეუძლიათ ნამდვილ მწარმოებლებს და ახალი საქმიანობის წამომწყებ ინიციატივიან ადამიანებს, მაგრამ „როცა კრედიტის მიღებას უადვილებ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ, ამით მათ სწრაფი მობილიზაციის და უძრავი ქონების ასევე განაკუთების საუკეთესო საშუალებას აძლევთ"[4].

ნ.ნიკოლაძე გაზ. „ტიფლისკიე ვესტნიკში" (№92, 4/IX-1875 წ.) გამოქვეყნებულ ნაშრომში „საკრედიტო საქმე ჩვენში", სიამოვნებით მიუთითებდა საკრედიტო საქმიანობის გარკვეულწილად გაუმჯობესებაზე და რომ თბილისის „საურთიერთო-საკრედიტო საზოგადოების", „სათავადაზნაურო-სადგილმამულო ბანკების" წყალობით სესხის აღება 25-50%-ის ნაცვლად უკვე 10-12%-ად შეიძლებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, „განა განვითარდა ჩვენში მრეწველობა: გაიხსნა ფაბრიკები, ქარხნები, სახელოსნოები? განა გაუმჯობესდა ჩვენი მიწათმოქმედების სისტემა? განა ნაკლები ნედლეული გაქვთ ჩვენგან, უფრო ნაკლები მანუფაქტურული და საქარხნო ნაწარმი შემოგაქვთ ჩვენს ქვეყანაში[5]. ასეთი მიდგომები, ერთი მხრივ, საბანკო სექტორის არასათანადოდ ამოქმედებაზე, მეორე მხრივ კი საბანკო კრედიტის (სესხის) არამიზნობრივ გამოყენებაზე მეტყველებდა, რაც ყველა დროში საზიანოა, როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოებისათვის.

ნიკო ნიკოლაძის კალამი („ჩვენი კრედიტი" - გაზ. „ტიფლ. ვესტნიკი", 1876 წ.) შეეხო ევროპიდან რუსეთში და შემდეგ საქართველოში გავრცელებულ საკრედიტო საზოგადოებებს – ეკონომიკური პროგრესის, წერილ მეწარმეთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებინა „ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებები"[6]. თუმცა, გააკრიტიკა ასეთი „საზოგადოებების" მუშაობის შედეგები, ვინაიდან მან არც სარგებელი (პროცენტი) შეამცირა და ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრის დასამუშავებლად ერთი საწარმოც ვერ შექმნა.

ნ.ნიკოლაძემ კიდევ ერთ მნიშვნელოვანი საბაზრო სტრუქტურის – კაპიტალის ბაზრის განვითარების პერსპექტივები შენიშნა, რომელიც ბანკების განვითარებამ წარმოშვა. იგი „ჯერჯერობით თბილისისათვის უცნობია, მაგრამ რომლის ჭეშმარიტ ნაყოფს ახლო მომავალში იგემებს"[7].

---

1 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.1, გვ. 24.
2 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.2, გვ. 460.
3 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.4, გვ. 165.
4 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.5, თბ., 1966, გვ. 165.
5 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.4, გვ. 163-165.
6 იქვე, გვ. 371.
7 იქვე, გვ. 370.

ნიკო ნიკოლაძის შეხედულება პოლიტიკური ეკონომიის შესახებ ძირითადად თავსებადია ა.სმითის დოქტრინასთან. 1870 წ. „სახალხო გაზეთში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ამხანაგობის ძალა" იგი მიუთითებდა, რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება „იკვლევს თუ რა რიგად გროვდება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზე დამოკიდებულია ხალხის კარგი და ავი მდგომარეობა"[1].

ნაშრომში „ბანკის საქმე ჩვენში" (ჟურნ. „კრებული", №6, 1872 წ.) ავტორმა ერთმანეთთან შეადარა პოლიტიკური ეკონომიის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების კანონების მოქმედების კანონზომიერებები და დაასკვნა, რომ „როგორც სოფლის მკურნალისაგან და მკითხავისაგან მოწამლული ავადმყოფი – უკანასკნელ წამში – ნამდვილ ექიმს ეკითხება, ისე დღეს, ჩვენი საზოგადოებაც უნდა დაეკითხოს ნამდვილ ექიმს, რომელსაც მისი მოვლა და იქნება, შველაც შეეძლოს. ეს ექიმია ის მეცნიერება, რომელსაც მიზნად საზოგადოების განწყობილება და კანონების გამოკვლევა აქვს, და სახელათ „პოლიტიკური (ანუ სოციალური) ეკონომია" ჰქვია"[2].

ეკონომიკურ კანონებს შორის ნ.ნიკოლაძემ მოთხოვნისა და მიწოდების კანონი გამოყო და მისი ტერმინოლოგიით „მოთხოვნილება და წინააღმდეგობა"[3] პოლიტეკონომიის კანონად დაასახელა. მან აგრეთვე განსაკუთრებული როლი მიანიჭა შრომას და ცოდნას: „ვინც მუშაობით ოფლს არ ღვრის, ის პურის ჭამის ღირსი არ არის"[4]; „ეს წყობილება შრომით და ცოდნით გაირჩევა უწინდელისაგან"[5]. მეცნიერება აადვილებს შრომას „ისეთი მანქანაა მოგონილი, რომ ორასი და სამასი ცხენის მაგივრობას შერებიან"[6].

უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემებზე მსჯელობისას იგი აყალიბებს მართებულ მოსაზრებებს: 1. უმუშევრობის ზრდა ამცირებს მოთხოვნას, ზრდის კონკურენციას – ხელფასის გაიაფების ტენდენციას და ქმნის წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემებს. ასეთ პირობებში მუშა მისი არსებობისათვის საჭირო მინიმალურ ხელფასსაც სჯერდება[7]; 2. „მუშა-ხელის" ნაკლებობა ზრდის მათზე მოთხოვნასაც და მათ ხელფასსაც[8].

ნ.ნიკოლაძე არ იზიარებდა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მუშათა ხელფასის შემცირება, ამცირებს როგორც საქონლის წარმოების თვითღირებულებას, ასევე მის გასაყიდ ფასს. მან საქონლის ფასი მის მიწოდებასა და მოთხოვნასთან დააკავშირა. ამასთან, შემდეგნაირად განსაზღვრა ფასისა და თვითღირებულების ცნებები[9]:

1. საქონლის გასაყიდი ფასი = თვითღირებულებას+სარგებელი ვაჭრობაში დაბანდებული კაპიტალისთვის+ხარჯები ტრანსპორტირებისათვის, სასაწყობო, დანაგვარებისა, საგადასახადო, საშუამავლო+მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობაზე დამოკიდებული „ერთგვარი თანხა";

2. თვითღირებულება = სარგებელი წარმოებაში დაბანდებული კაპიტალიდან და მისი ამორტიზაცია+ფაბრიკა-ქარხნის, ფერმის ან სახელოსნოს შენახვის ხარჯები+ნედლი მასალის ფასი+ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი.

მისი არგუმენტაციით, მუშათა ხელფასის განახევრება თვითღირებულებას მხოლოდ 1/8-ით შეამცირებს, ვინაიდან 4 ფრანკის ფასის პროდუქტი 3 ფრანკი ღირებოდა, ანუ მუშის ყოველთუნარიანობა ოთხის ნაცვლად – ორი იქნებოდა, მაშინ როდესაც ცხოვრება მხოლოდ 1/8-ით გაიაფდებაო[10]. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშათა ხელფასის შემცირება ამცირებს მათ საარსებო საშუალებებს, მოთხოვნას და ვერ აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს.

ნ.ნიკოლაძეს სწორად ესმოდა საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური ეკონომიკური კატეგორია – ფასი, რომელიც გულისხმობს ფულის რაოდენობას, რომლითაც (მიწოდება-მოთხოვნის კანონიდან გამომდინარე) გამყიდველი თანახმაა გაყიდოს, ხოლო მყიდველი მზადაა იყიდოს კონკრეტული პროდუქტი.

---

1 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.2, გვ. 89.
2 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.3, თბ., 1963, გვ. 24.
3 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.2, გვ. 450.
4 იქვე, გვ. 27.
5 იქვე.
6 იქვე, გვ. 28.
7 ნიკო ნიკოლაძე, თხზ., ტ.1, გვ. 468, 488.
8 იქვე, გვ. 470.
9 იქვე, გვ. 473.
10 იქვე.

მთლიანობაში, „კლასიკურ“ შეხედულებებთან თავსებადი ნიკო ნიკოლაძის დოქტრინა ითვალისწინებს: მრეწველობის პრიორიტეტულ განვითარებას, საზღვაო და სარკინიგზო კავშირების გაღრმავებას, კომუნალური მეურნეობის მოწესრიგებას, საბანკო სისტემისა და კაპიტალის ბაზრის განვითარებას, ფასწარმოქმნის მექანიზმების სრულყოფას, ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, მ.შ. პოლიტიკური ეკონომიის სფეროში, განიარაღებისადმი ფრთხილ მიდგომას და სხვ.

ლიტერატურა

გ.აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.

თ.ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბ., 2006.

ა.ანჯინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.

ი.ასათიანი, ილია ჭავჭავაძე და თბილისის საადგილმამულო ბანკი, თბ., 1994.

ა.ბაქრაძე, თხზ., ტ.I, (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე), თბ., 2004.

ვ.ბახტაძე; ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959; ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1958.

ს.ბერაძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1958.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია. ნაწ. I, თბ., 1973.

დ.გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1983.

ო.გოგიაშვილი, ილია დღეს, თბ., 2008.

პ.გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს-ში, ტ.1-7, თბ., 1949-84.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედაქციით, თბ., 2005.

შ.ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბ., 2006.

შ.ვეშაპიძე, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, თბ., 1999.

გ.ზაქარიაძე, ნიკო ნიკოლაძის როლი ფოთის მშენებლობაში (1894-1912).

ა.თელია, ქართული სათავადაზნაურო ბანკი, თბ., 1989.

გ.თოდუა, XIX ს. ქართული ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები, ნაწ. I, თბ., 1983, ნაწ. II, თბ., 1987; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ.II, თბ., 2009.

რ.კაკულია, ქართული ეკონომიკური აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1969.

კ.კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი I, II, პარიზი, 1935, 1960.

ჯ.კახნიაშვილი, სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური ექსპერიმენტი დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ.) – „საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2000.

მ.კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებათა შესახებ, თბ., 1998.

პ.ლორთქიფანიძე: სამკვიდროს გულიდან ამოღება ძნელია – ილია ჭავჭავაძე, თბ., 2007; საქართველო ვაზისა და ხორბლის ქვეყანა, თბ., 2009.

ნიკო ნიკოლაძე, თხუზულებათა კრებული., ტ.1-8, თბ., 1960-2003, ტ.9, ქუთაისი, 2006.

კ.მარქსი, კაპიტალი, ტ. 1-3; ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ IV ტომი), ნაწ. I, თბ., 1968.

ნ.ფორდანია, რჩეული ნაწერები, თბ., 1990.

პ.რატიანი: ილია ჭავჭავაძე. პოლიტიკურ-ეკონომიკური შეხედულებები, თხზ., ტ. II, თბ., 1957; რჩეული ნაწერები, ტ.3 (მეორე გამოცემა), თბ., 1985.

ნ.რამიშვილი, დემოკრატიული სოციალიზმი, პარიზი, 1929.

ტ.სართანია: ილია ჭავჭავაძის სოციალურ-ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ, ცხინვალი, 1971; ილია ჭავჭავაძე, თბ., 1992.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

შ.ქისტაური, ილია ჭავჭავაძე – დიდი ქართველი ბანკირი, თბ., 1998

ნ.ქოიავა, ისტორიული სკოლა ეკონომიკურ მეცნიერებაში, ტფ., 1924.

ე.ჩადუნელი: გაზ. „დროების" პუბლიცისტთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1969; ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიიდან, თბ., 1978.

ილია ჭავჭავაძე, თხუზულებათა სრული კრებული, ტ.1-10, თბ., 1951-61.

გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, თბ., 1962.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

ნ.ხომერიკი, აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა, თბ., 1920, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე, თბ., 1920.

ს.ხუნდაძე, ნარკვევები, თბ., 1941.

ო.ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1998...

Бюхер К., Возникновение народного хозяйства, СПБ., 1923.

Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1988; т.3, М., 1989.

История экономических учений, учю пособ. Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

История экономической мысли. Под ред. Ф.Я. **Полянского**, ч.2, М., 1964.

Г.**Мегрелишвили**, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, Тб., 1960.

Селигмен Б.,Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Смит М.Н., Очерки истории буржуазной политической экономии, М., 1961.

Штамлер Р., Хозяйство и право с точки зрения материалистического понимания истории, СПБ, 1907.

Baader F.: Sämtliche Werke, Bd.1-16, Lpz., 1851-1860; Über den Begriff der Zeit, Bazel, 1954; Gasellschaftlehre, Münch., 1957.

Brentano L.: Die Arbeitergilden der Gegenwart, Bd.1-2, Lpr., 1871-72/74; Die Arbaiterversicherung... Lpz., 1879; Agrarpolitik, Stuttg., 1897; Die Anfänge des modernen Kapitalismus, München, 1916; Konkrete Grundbedingungen der Volkswirtschaft, Lpz, 1924; Eine Geschichte der wirschaftlichen Entwicklung Englands, BD. 1-3, Jena, 1927-28; რუს. თარგმნ.: Об отношении заработной платы и рабочего времени к производительности труда, СПБ., 1895; Причины экономического расстройства в Европе, СПБ, 1896; Классическая политическая экономия, СПБ, 1900; Этика и народное хозяйство в истории, СПБ, 1906; Опыт теории потребностей, Казань, 1921; Аграрная политика, М.-Л., 1929; История хозяйственного развития Англии, М., 1930.

Brinkman C., Gustav Schmoller und die Volkswirtschaftslehre, Stuttgart, 1937.

Dill K., Theoretische Nationalökonomie, 1916-1933.

Gehring P., F.List, Tub., 1964.

Hendercon W., The rollverein, L., 1984.

Hildebrand B., Die Nationalökonomie der Gegenwart und Zukunft, Fr.a/M., 1848; რუს. თარგმნ.: Политическая экономия настоящего и будущего, СПБ, 1860; Историческое обозрение политико-экономических систем, СПБ., 1861.

Knies K., Die Politische Ökonomie vom Standpunkte der geschichtlichen Methode, Braunschwieg, 1853; Die Politische Ökonomie von Standpunkte der geschichtlichen Standpunkte, HFT.1-2, 1881-1883.

List F., Das natürliche System der Politischen Ökonomie, Basd,-Tübingen, 1927; Das natiotale System der Politischen Ökonomie, Stüttgart-Tüb., 1841; რუს. თარგმნ.: Национальная система политической экономии, СПБ, 1891.

Müller A.: Elemente der Staatskunst, B., 1809/1822; Versuche einer neuen Theorie des Geldes... Lpz.-Alt enb., 1816.

Roll E., A history of thought, London, 1962.

Roscher W., Grundriss zu Vorlesungen über die Staatswirtschaft. Nach Geschichtlicher Methode ... Göttingen, 1843; System der Volkswirtschaft, Bd.1-5, Stuttg., 1854-94; Grundlagen der Nationalökonomie, 1854; Geschichte der Nationalökonomie in Deutschland, 2 Aufl., Münch., 1924; рус. тарэд.: Система народного хозяйства, т.1-2, Начала народного хозяйства, М., 1860-62; Наука о народном хозяйстве в отношении к земледелию и другим отраслям первоначальной промышленности, М., кн. 1-3, 1869-1870.

Roussakis E., F.List, the Zollverein and the uniting of Europe, Bruges, 1968.

Salin E., Zur Stellung Gustav Schmollers in der Geschichte der Nationalökonomie - Schmollers Jahbuch, 397 ff, 1924.

Schmoller G.: Zur Geschichte der nationalökonomischen Ansichten in Deutschland während der Reformationsperiode – „Zeitschriftf. die gas. Staatswiss"., Bd.16, 461 ff, 1860; Der französische Handelsvertrag und seine Gagner, Frankf., 1862; Zur Geschichte der deutschen Kleingewerbe im 19. Jh., Statistische und nationalökonomische Untersuchen, Halle, 1870; Die Straßburger Tücher und Weberzunft. Urkunden und Darstellungen nebst Regesten und Glossar. Ein Beitrag zur Geschichte der deutschen Weberei und des deutschen Gewerberechts vom 13 bis 17. Jh, Straßburg, 1879; Der französische Handelsvertrag und seine Gagner, Frankf., 1862; Was ist uns Friedrich List? „Deutsche Wochenblatt", v.15.8, 1889; Grundriß der allgemeinen Volkswirtschaftslehre, Leipzig, 1900 (ტ.1), 1904 (ტ.2); О новейших результатах статистики народонаселения и нравственности, М., 1873; Народное хозяйство, наука о народном хозяйстве и ее методы: хозяйство, нравы и право. Разделение труда, М., 1902; Борьба классов и классовое господство, М., 1906.

Schumpetter, J.: Gustav von Schmoller und die Probleme von heute - Schmollers Jahrbuch, 373ff, 1926; История экономического анализа, т.2, ингл. тарэд., Санкт-Петербург, 2004.

Sombart W.: Der Moderne Kapitalismus, 1902; Life and Work of Karl Marx, Jena, 1909; Die Juden und das Wirtschaftleben, 1911 (ингл. 1951); Studien zur Entwicklungsgeschichte des modernen Kapitalismus, Bd.1-2, Münch.-Lpz., 1913; Die drei Nationalökonomien, Münch., 1915; Händler und Helden, , Münch., 1915; Doutscher Sozialismus, Charllottenburg, 1934; Fridrich Engels, B., 1995; рус. тарэд.: Современный капитализм, В 3-х т., М..-Л., 1928-1931; Евреи и хозяйственная жизнь, СПБ, 1912; Буржуа, М., 1924/1994; Народное хозяйство в германии в 19 и в 20 в., М., 1924.

Weber M., Zur Geschichte der Handelsgesellschaften in Mittelalter, Stuttg., 1889; Die römische Agrargeschichte in ihrer Bedeutung für das Staats-und Privatrecht, Stuttg., 1891; Protestant Ethic and Spirit of Capitalism, N.-Y., 1958; Wirtschaftsgeschichte, Münch. - Lpz., 1924; Gesammelte Aufsätze zur Religionssoziologie, Bd.1-3, Tüb., 1920-21; История хозяйства, П., 1923; Избранные произведения, герм. тарэд., М., 1990.

Werdler, E., F.List: Leben und Wirken in Dokumenten, Reuthingen, 1976.

Württemberg - Statistik und Topographie Heft, 2, Jg. 1862, Stuttgart, 1863.

ნაწილი მეორე.
მარჯინალიზმის ერა — ნეოკლასიციზმი

თავი X.
გერმანულ-ფრანგული დოქტრინები

მარჯინალიზმი (ფრანგ. marginal — ზღვრული), ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მიმართულებაა, რომელიც ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების კვლევისას ზღვრული სიდიდეების გამოყენებაზეა დაფუძნებული.

1830-1930 წლებში ეკონომიკური დოქტრინები ფართო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძვრების ფონზე ვითარდებოდა. პოლიტიკური უწესრიგობებისა და რევოლუციის შედეგად ხმის თავისუფლების თანდათანობითმა ზრდამ, დემოკრატიის ფართო მასშტაბები განაპირობა.

ეროვნული სახელმწიფოების გაერთიანებას თან ახლდა ომები, დაწყებული თითქმის უსისხლო სამოქალაქო ომით შეიცარიაში და დამთავრებული ამერიკის სისხლიანი სამოქალაქო ომით.

ძალთა გადანაცვლებამ და იმპერიალიზმის განვითარებამ მთელი რიგი შეიარაღებული კონფლიქტები და I მსოფლიო ომის კატაკლიზმები განაპირობა.

მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ძირითადად თავისუფალი ვაჭრობისათვის ლიბერალიზმის ძლევამოსილი ბრძოლის პერიოდი იყო. საუკუნის მეორე ნახევარი (60-იან წლებამდე) სოციალიზმის მზარდ პერიოდს წარმოადგენდა.

დას. ევროპაში ინდუსტრიული რევოლუციით (კაპიტალისტური მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა — მე-18 ს. II ნახევარი — მე-19 ს. შუა პერიოდი) გამოწვეულმა წარმოების სწრაფმა ზრდამ, მოსახლეობის სწრაფი ზრდაც განაპირობა. სოციალურმა პრობლემებმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, თუმცა ეს პრობლემები ძველებურად გადაუჭრელი ჩანდა.

საზოგადოებრივი სისტემა უთუოდ შეცვლას მოითხოვდა. წინა პლანზე რეფორმატორებმა წამოიწიეს თავიანთი იდეებით: დემოკრატიულით და ელიტარულით, რევოლუციურით და კონსერვატიულით, გონივრულით და ექსცენტრულით, უტოპიურით და პრაგმატულით, ინდივიდუალურით და ზოგადით.

ეს იყო იდეოლოგიების საუკუნე, რომლებიც ერთმანეთს თანამოაზრეების მოზიდვაში ეჯიბრებოდნენ. ბისმარკის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის შემდეგ, კანონმდებლები სოციალური რეფორმების მოწინავე რაზმად ჩამოყალიბდნენ. ჰორიზონტზე მზარდი კეთილდღეობის მქონე ქვეყნები გამოჩნდა.

სწრაფი ეკონომიკური განვითარება პერიოდული კრიზისებით წყდებოდა, რომლებიც ხშირად ბანკების პანიკით იყო გამოწვეული. რიგი კლასიკოსი ეკონომისტი ზოგადად საქონელთა ჭარბწარმოების საერთო კრიზისებზე კამათობდა. მოგვიანებით, აშშ-ის ეკონომიკური კვლევების ეროვნულმა ბიურომ ეს საკითხი ინტენსიური კვლევების ძირითად საგნად აქცია. მარჯინალისტური ერის მეორე ნახევარში ეკონომიკური ციკლების შესახებ ბევრი ფაქტი და ჰიპოთეზა დაგროვდა, ხოლო კონტრზომების ძიებამ ცენტრალური ბანკების არსებობის აუცილებლობა განაპირობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პერიოდის (1830-1930) ეკონომიკური ლიტერატურა მიმდინარე აღმოჩენებისა და ინტერესების ანარეკლია. როგორც ყოველთვის, წამყვანი ეკონომისტები თავიანთი დროის შვილები იყვნენ. მაგრამ მათ შეხედულებებს ცოტა რამ ჰქონდათ საერთო. ზოგი ძალაუფლების კონსერვატულ-ბიუროკრატიული აპარატის შენარჩუნების მომხრე იყო, ზოგიც მგზნებარე რადიკალი. ნაწილი კერძო საკუთრებას იცავდა, სხვები მიწის ნაციონალიზაციას. მცირენი ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურეველობის დამცველები იყვნენ. უმეტესობა ეკონომიკაში მთავრობის აქტიურ ჩარევას მოითხოვდა. ზოგიერთი კი სოციალიზმს მიუახლოვდა.

თუ შევადარებთ ამ პერიოდის ძირითადი ეკონომიკური თეორიებისადმი მიძღვნილ ლიტერატურას, მეტად განსხვავებულ შედეგს მივიღებთ — ამ ნაშრომებში შესაბამისი პერიოდის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება არ არის ასახული. ამდენად, ისინი შეიძლებოდა დაწერილიყო როგორც მე-18, ასევე მე-20 საუკუნეში. ხშირად ზოგადი ეკონომიკური ლიტერატურა განიმარტებოდა მარქსისტული ეკონომიკის პოზიციებიდან, თუმცა, ეკონომიკური თეორიის რიგი მიღწევების მიმართ ასეთი განმარტებანი ყოველთვის დამაჯერებელი არ იყო.

ა.სმითის მოსაზრებით, ეკონომიკას საკუთარი ინტერესებით „უჩინარი ხელი" მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ ძალის გაელენას აურაცხელი მაგალითით ასაბუთებდა, მისი სრულყოფილი ანალიზი მაინც ვერ წარმოადგინა. ვერც სხვა კლასიკოსმა ეკონომისტმა გააკეთა ეს.

კანტილიონიდან რიკარდომდე ეკონომიკურ თეორიაში ყურადღების ცენტრმა მაკროეკონომიკისკენ გადაინაცვლა. სოციალურ კლასებს შორის შემოსავლების განაწილებას ფარდა აეხადა. მიკროეკონომიკური თეორია ჩანასახის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველაზე უფრო შეურიგებელმა კლასიკოსმა ეკონომისტმა კარლ მარქსმაც კი მიწოდება-მოთხოვნის პრობლემას სათანადო ყურადღება არ დაუთმო.

დეივიდ რიკარდოს შემდეგ, ეკონომიკური ციკლების მიმართ მზარდი ინტერესების მიუხედავად, ეკონომიკურ თეორიაში ყურადღების ცენტრმა მიკროეკონომიკისკენ გადაინაცვლა.

შინამეურნეობების, მრეწველთა და ფირმების გადაწყვეტილებები ახალი კვლევა-ძიების მთავარი საგანი გახდა. თავდაპირველად გადაწყვეტილების მიღება მეტ-ნაკლებად განიხილებოდა, როგორც პირობითი ოპტიმიზაცია[1].

საბოლოოდ, მას შემდეგ რაც პრობლემა ნათლად გაცნობიერდა, ცნობილი გახდა ახალი მიდგომები მარჟინალიზმის სახელწოდებით. როდესაც ჯონ ა.ჰობსონმა ეს ტერმინი გამოიყენა, მას დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭა, სინამდვილეში უფრო შესაფერისი ეპითეტი ძნელად მოსანახი იყო.

მათემატიკოსებმა ოპტიმიზაციის პრობლემების ამოხსნის კლასიკური ხერხი — დიფერენციალური აღრიცხვა უზრუნველყვეს. ამგვარად, მარჟინალიზმი ეკონომიკის კლასიკურ თეორიაში აღრიცხვის ცნების შემოტანას უკავშირდება.

ბევრი წამყვანი მარჟინალისტი მათემატიკური ეკონომიკის ქომაგი გახდა. ეს ნელი და შრომატევადი პროცესი იყო. პროფესიონალი მათემატიკოსის აუგუსტინ კურნოს პირველი წიგნი გამოცემიდან ოცდაათი წლის შემდეგადაც ძლიერ პოულობდა მკითხველს. იოჰან ჰენრიხ ფონ თიუნენს და გერმან ჰენრიხ გოსენს სხვა არაფერი გაუკეთებიათ, გარდა ელემენტარული გამოთვლითი ცნებების შემოტანისა. ლეონ ვალრასის ანალიტიკური ანალიზის განვითარება მანამ შეფერხდა, სანამ მისმა მეგობარმა კოლეგებმა იგი დიფერენციალური აღრიცხვის მეთოდში არ გააცნობიერეს. მიუხედავად ამისა, მარჟინალისტური ხანის დასასრულს მოწინავე თეორეტიკოსების უმეტესობა მათემატიკაში კარგად გათვითცნობიერებული იყო.

სხვადასხვა ეკონომისტი საერთო თემის ოპტიმიზაციის სხვადასხვა ასპექტს ჩაეჭიდა. ზოგიერთი ვერც კი მიხვდა, რომ მათ მიერ ბეჯითად ჩამოყალიბებული ეკონომიკური თეორიები დიფერენციალური აღრიცხვის შედარებით მარტივი გამოყენება იყო. ზოგიერთი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ანტიმათემატიკოსად დარჩა. ვალრასმაც კი, რომელმაც ყოველისმომცველი წონასწორობის ზოგადი სისტემა განიხილა, ბევრი ანალიტიკური ხარვეზი დაუშვა და პირველი პუბლიკაციების შემდეგ ამ ხარვეზების გამოსწორება აღარც უცდია. ის, რომ მარჟინალური დოქტრინა ტიუნენის ნაშრომის მეორე ტომის გამოსვლიდან ორმოცი წლის შემდეგაც წინააღმდეგობრივია, უფრო ნათლად გვიჩვენებს ანალიტიკური პროცესის ცვალებად ბუნებას, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ.

მარჟინალისტები სხვა მეცნიერული აღმოჩენების მსგავსად, უმეტესად ბრმად მიიკვლევდნენ გზას. მარჟინალიზმის, როგორც ღრმა დინამიური პროცესის აღმოცენება, დროის მოთხოვნა იყო.

გარდაუვალი იყო „უხილავი ხელის" ანალიტიკური ანალიზი, რათა მისი მოქმედება განეჭვრიტათ და ფაქტობრივად მეცნიერებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეს უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ.

საგულისხმოა, რომ მარჟინალიზმი გენიოსის ერთი ხელის მოსმით არ შექმნილა. იგი მრავალთა შრომის ნაყოფი იყო და ყოველი მათგანი ერთსა და იმავე მოვლენაზე თავისებურად რეაგირებდა.

---

1 Schumpeter, I., History of Economic Analysis, N.Y., 1954, გვ. 54.

მარჟინალიზმის ხანა შეიძლება ორ ფაზად დაიყოს:

პირველი — 1830-დან 1870 წლამდე განსაკუთრებული მნიშვნელობა აღრიცხვების ყველაზე ოპტიმალური ამოხსნის მეთოდების გამოყენებას ენიჭებოდა. კერძოდ, კურნო მათ მაქსიმალური მოგების მიმღები ფირმების შემოსაელის წყაროების და დანახარჯების მიმართ იყენებდა, ტიუნენი — წარმოებაში დანახარჯების მინიმალიზაციისათვის, ხოლო გოსენი მათი საშუალებით მომხმარებლების მიერ სარგებლიანობის მაქსიმიზაციის საკითხს ანალიზებდა;

მეორე — 1870 წლის შემდეგ (მანამდეც) ამ ასპექტებზე იყო გამახვილებული ანალიტიკური აზროვნება, მაგრამ შემდგომში ყურადღებამ ძირითადად ოპტიმიზაციის მოთხოვნის დანერგვაზე გადაინაცვლა.

თავდაპირველად ოპტიმალური გადაწყვეტილებების მძებნელი ინდივიდებისა და ფირმების წრებრუნვის მოდელის შექმნაში წარმატებას ვალრასმა მიაღწია. ბემ-ბავერკი და ალფრედ მარშალიც იმავე ხაზს მიჰყვებოდნენ. **ამან მარჟინალიზმის კლასიკურ ეკონომიკასთან ინტეგრაცია გამოიწვია (ან პირიქით).**

კლასიკური ეკონომიკა არ დაკნინებულა და არ დანგრეულა, მან ახალი განზომილება შეიძინა.

ეს ორი ფაზა ერთმანეთისაგან სხვა მხრივაც განსხვავდებოდა:

–1870 წლამდე წამყვანი მარჟინალისტები ეკონომიკის პროფესორები არ იყვნენ. აკადემიური ელიტის თვალსაზრისით ისინი მოყვარულები იყვნენ. საუკუნის სელასთან ერთად ეკონომიკური მეცნიერებაც თანდათან პროფესიონალების ხდებოდა;

–1870 წლის შემდეგ წამყვანი თეორეტიკოს-ეკონომისტების უმეტესობა პროფესორია და მოყვარულთა როლი სწრაფად შემცირდა. შეიქმნა პროფესიული ასოციაციები (ამერიკის ეკონომისტთა ასოციაცია — 1885 წელს) და გამოჩნდა პროფესიული ჟურნალები (მაგ., ეკონომიკის კვარტალური ჟურნალი — 1886 წ.). ამ პროცესებმა დას. ევროპის უმეტეს ქვეყნებში ახალი თეორიული კვლევები დააჩქარა.

თუმცა, გერმანიაში, სადაც ისტორიული სკოლა დომინირებდა, მარჟინალიზმი ფართოდ ვერ განვითარდა.

პროგრესული პროფესიონალიზაცია იმას არ ნიშნავს, რომ ეკონომისტები თავს მშვიდად გრძნობდნენ. ბევრი მათგანისათვის აკადემიური აღიარება მეტად ძნელი იყო და ბევრის პიროვნული იმედის გაცრუებასთან იყო დაკავშირებული. ეკონომიკაში დამოუკიდებელი პროგრამების დაარსება მხოლოდ მაშინ იწყებოდა.

ისტორიოგრაფიაში მარჟინალური პერიოდის **ორი ფაზა** ერთმანეთისაგან მარჟინალური რევოლუციით იყოფა. ამას ადგილი ჰქონდა დაახლოებით მე-19 საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვილიამ სტენლი ჯევონსის, კარლ მენგერისა და ლეონ ვალრასის მიღწევების წყალობით.

ისინი, **ვინც ეკონომიკურ თეორიაში 1870 წლამდე თავისი წვლილი შეიტანა მარჟინალიზმის წინამორბედებად ითვლებიან.**

ჯევონსის, მენგერისა და ვალრასის წიგნების გამოჩენისას, მათ მიმართ განსაკუთრებით დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ. ეკონომიკური დოქტრინების მთავარ მიმართულებაში მათი ნაშრომების ჩართვას ათწლეულები დასჭირდა.

მარჟინალიზმს თავდაყირა არ დაუყენებია ადრეული შეხედულებები, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკური დოქტრინები თანდათან ფართოვდებოდა და მარჟინალურ თვალსაზრისს ეგუებოდა.

მარჟინალიზმის შემდეგ პერიოდს ზოგჯერ ნეოკლასიკურს უწოდებენ. ეს ტერმინი ერთ-ერთმა პირველმა ვებლენმა გამოიყენა საუკუნის დასაწყისში, რათა მარშალი ჯევონსისაგან გამოეყო. შემდგომში ტერმინი მთელ მარჟინალიზმზე გავრცელდა. ეს მეტისმეტად უღიმღამო ტერმინი იყო ძირითადად ორი მიზეზის გამო:

პირველი, — იგი გაუმართლებელი იყო მარჟინალიზმის ორიგინალურობის გამო, რამდენადაც მას კლასიკური ეკონომიკის „აღდგენად" განიხილავდნენ და ამით მის მნიშვნელობას ამცირებდნენ. მეცნიერებაში მართლაც არსებობს თანამიმდევრობა, მაგრამ ეს ყოველ ახალ ფაზაზე „ნეო" იარლიყის მიკერებას არ ამართლებს. ყოველ თაობას მეცნიერებაში თავისებური წვლილი შეაქვს, მაგრამ

ყველა მათგანს „ნეოკლასიკური“ არ შეიძლება ეწოდოს.

მეორე, – ტერმინი „ნეოკლასიკური“ მარჟინალიზმის ხასიათის შესახებ მცდარ შეხედულებებს აღადგენს. შუმპეტერის მეტაფორული აღნიშვნით, მე-19 საუკუნის ბოლოს ნეოკლასიკური დოქტრინების დიდებული შენობა შეიქმნა, რომელიც „ულრუბლო ზეცის ფონზე“ სრულყოფილების გამოხატულებად წარმოგვიდგა[1].

რეტროსპექტულად შეუძლებელია იმ პერიოდის ცალკეული ნაშრომების გაცნობა, რომელიც ამ წარმოდგენას გაამართლებდა. მართალია, მარჟინალის-ეკონომისტების მეორე თაობის მეცნიერულ ნაშრომებს დაგეგმვისაკენ მიდრეკილება ახასიათებდათ, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომების დიდი ნაწილი დაუმთავრებელი დარჩა. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მათი ავტორები დიდი ინტელექტუალური ამბიციების მქონე ადამიანები და არასრულყოფილი ანალიტიკოსები იყვნენ. ამ თაობის ანალიტიკური შესაძლებლობების მიღმა მრავალი პრობლემა დარჩა. ნეოკლასიკური ეკონომიკური ტაძრის შესახებ ოცნებისდა მიუხედავად, იგი არასდროს არ აშენებულა.

1. „იზოლირებული სახელმწიფო“: იოჰან ფონ თიუნენი (1783-1850)

1.1. ეკონომიკის „მასწავლებელი“ - ა.სმითი

გერმანელი ეკონომისტი და სოფლის მეურნეობის სფეროს თეორეტიკოსი-მკვლევარი იოჰან ჰენრიხ ფონ **თიუნენი** (Tünen) დაიბადა ოლდენბურგში (საქსონიის მხარე). მამის მხრიდან მისი წინაპრები მიწათმფლობელები იყვნენ.

თიუნენმა ორი წლის ასაკში მამა დაკარგა, ხუთი წლის შემდეგ კი დედამისი გათხოვდა. მამისეული მამულის მართვის საჭიროების გამო, თექვსმეტი წლის ასაკში მან ფერმერობის შესასწავლად სკოლა მიატოვა.

შემდგომში თიუნენმა სოფლის მეურნეობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკისა და ეკონომიკის შესწავლა დაიწყო გროსფლოტბეკის (ჰამბურგის მახლობლად) ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში. აქ მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ალბერტ თაერი. თიუნენი აღფრთოვანებული იყო მისი დამსახურებებით სოფლის მეურნეობის სფეროში, მაგრამ მისი ცალკეული შეხედულებების მიმართ კრიტიკულად განეწყო. კერძოდ, იგი ეჭვობდა, რომ ინგლისისათვის ეფექტური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ასევე ეფექტური იქნებოდა გერმანიისთვისაც. მისი აზრით, ტექნიკის ოპტიმალური არჩევანი ძირითადად შედარებით ფასებზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული.

ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით თიუნენი გოტინგენის უნივერსიტეტში შევიდა. იგი აქ ორი სემესტრის განმავლობაში სწავლობდა „ხალხთა სიმდიდრეს“, რომლის ავტორი (ადამ სმითი) მისთვის ეკონომიკის დიდი მასწავლებელი გახდა.

აკადემიური განათლების მიღების მიუხედავად, თიუნენი ძირითადად ნიჭიერ თვითნასწავლ მეცნიერად რჩებოდა. იგი ყოველთვის სრულყოფილი აკადემიური ცოდნისა და გადმოცემის სიცხადის დეფიციტს განიცდიდა. მისი გონება უფრო პრაქტიკული ცოდნისაკენ იყო მიმართული.

1809 წელს მამის დანატოვარი ფერმის გაყიდვიდან მიღებული თანხით მან თავისი ცოლისძმისაგან მეკლენბურგში გაყვანებული მამული შეიძინა. მართალია, თიუნენს უფრო ინტელექტუალური საქმიანობისაკენ მიუწევდა გული, ვიდრე პრაქტიკული ფერმერობისაკენ, მაგრამ თანდათანობით ვალები გაისტუმრა და თავისი ქონება ისე გაზარდა, რომ ოთხ შვილს აყვავებული მამული დაუტოვა.

ფ.კენეს მსგავსად, თიუნენმა თავისი ფერმა სანიმუშო წარმოებად გადააქცია. ფიზიოკრატების მსგავსად იგი განათლებული ადამიანების იმ ჯგუფის წარმომადგენელია, რომლებსაც ეკონომიკური პროგრესის გასაღებად, აღორძინებული სოფლის მეურნეობა მიაჩნდათ. იგი ნათლად ხედავდა, რომ

---

1 **რეტროსპექტული** (ლათ. retro უკან და speqto ვუყურებ) წარსულისაკენ მიმართული (წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი).

ფერმერების მოგებას გასაღების ბაზრებამდე მანძილის ზრდა ამცირებს.

1827 წლისათვის ტიუნენი, თავისი შრომებით სოფლის მეურნეობაში ცნობილი ავტორიტეტია. 1830 წელს იგი როსტოკის უნივერსიტეტში ფილოსოფიის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. 1848 წელს ფრანკფურტის ეროვნულ ასამბლეაში აირჩიეს, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მასში მონაწილეობა ვერ შეძლო.

ტიუნენი 1850 წელს თავის მამულში გარდაიცვალა.

12. „იზოლირებული სახელმწიფო"

ტიუნენის მთავარი ნაშრომია „იზოლირებული სახელმწიფოს სოფლის მეურნეობა და ეროვნული ეკონომიკა". მისი პირველი ნაწილი (რენტის, განლაგებისა და რესურსების განაწილების ანალიზი) 1826 წელს, მეორე ნაწილი (განაწილების მარჟინალური ზღვრული სარგებლიანობის თეორია) კი 1850 წელს გამოქვეყნდა.

ტიუნენის მნიშვნელოვანი სტატიები მეტყევეობის შესახებ გამოქვეყნდა 1863 წელს მისი ბიოგრაფის ჰ. შუმახერის მიერ (როგორც წიგნის მეორე ნაწილის მე-2 პარაგრაფი და მე-3 ნაწილი). მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს მას აგრონომიის სფეროშიც. მთელი ეს მასალა 1875 წლის გამოცემაში გაერთიანდა.[1]


ტიუნენის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები როსტოკის უნივერსიტეტის არქივში ინახება.

13. მიწის რენტა

ტიუნენის დოქტრინა მიწის რენტის შესახებ დაფუძნებულია „იზოლირებულ სახელმწიფოში" ჩამოყალიბებულ მოდელზე. იგი ავტორმა შემდეგნაირად აღწერა: წარმოიდგინეთ ქალაქი მოსაზღვრე გარეუბნის ცენტრში, რომელიც დაქსელილია სანაოსნოდ ვარგისი მდინარით ან არხით. გარეუბანი დამუშავებად ერთნაირ ნიადაგს შეიცავს. ქალაქიდან შორ მანძილზე გარეუბანი შეიძლება დაუმუშავებელი უდაბნოთი დასრულდეს; როგორი იქნება ასეთ პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა და როგორ გავლენას მოახდენს მიწის გამოყენებაზე ქალაქიდან უფრო დიდი, ან უფრო მცირე მანძილი?

ერთი სახეობის პროდუქციისათვის ტიუნენის მოკლე პასუხი ასეთია (ნახ.1):

ნახაზი 1



თუ ჭვაი ცენტრალურ ქალაქში p ფასად იყიდება (ჩრდილო-აღმოსავლეთი კვადრატი) და მას ტრანსპორტირების ფასს გამოვაკლებთ, მივიღებთ ფერმერის კუთვნილ ფასს; თუ ერთი ბუ-

1 Der isolierte Staat in Beziehung auf Landwirtschaft und Nationalökonomie, 3 aufl., T.1-3, B, 1875.

შელი[1] მარცვლის ერთ მილზე გადაზიდვის ფასი უცვლელია და უდრის t-ს, მაშინ მწარმოებლის მიერ მიღებული ფასის მანძილისაგან დამოკიდებულებას გამოხატავს ძირს დახრილი სწორი ხაზი (ჩრდილო-აღმოსავლეთი კვადრატი).

ამგვარად, ტიუნენის აზრით, პროდუქციის ფასი გადაზიდვის მანძილზეა დამოკიდებული, ბაზრამდე მანძილის ზრდა კი ისევე მოქმედებს ფასზე, როგორც მარცვლეულის ფასის დაცემა უცვლელ მანძილზე.

თუ მიწის ერთი აკრიდან[2] შემოსავალი – q, ერთ აკრზე დახარჯული შრომის a-ს მიხედვით იზრდება, მაშინ q=q(a). შემოსავლის შემცირების შედეგად მოცემულ მიწაზე შრომის ზღვრული პროდუქტი[3] q'(a) ისე დაიკლებს, როგორც სამხრეთ-დასავლეთ კვადრატშია მოცემული.

მენეჯერი მწარმოებლის ყოველი ფასისათვის წარმოების ისეთ მეთოდს აირჩევს, რომ მწარმოებლის ფასად შეფასებული შრომის ზღვრული პროდუქტი ხელფასის განაკვეთის – v-ს ტოლი იყოს. ეს დამოკიდებულება გამოსახულია ჰიპერბოლით ჩრდილო-დასავლეთ კვადრატში. რაც უფრო ნაკლები იქნება ფერმერის შემოსავალი (ფასი), მით უფრო მეტი უნდა იყოს მისი ზღვრული (მარჟინალური) პროდუქტი.

უკვე განხილული სამი კვადრატის დახმარებით, წარმოებისათვის საჭირო შრომის მწარმოებლურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ კვადრატშია გამოხატული.

მანძილის გაზრდასთან ერთად მწარმოებლის შემოსავალი (ფასი) ეცემა, შრომის ზღვრული პროდუქტი იზრდება და ამგვარად, შრომის მწარმოებლურობა ეცემა.

ზღვრული პროდუქტის მრუდის „ქვემოთ" მოთავსებული არე (სამხრეთ-დასავლეთ კვადრატი) სრული პროდუქტია. სწორკუთხედი q'(a)a ხელფასები, ხოლო დაშტრიხული არე – მიწის რენტაა. მანძილის ზრდასთან ერთად რენტა მცირდება.

1.4. რესურსების განლაგება-განაწილება

ტიუნენის თვალსაზრისით, ერთსაქონლიანი შემთხვევა მხოლოდ შესავალია. მისი სიერცული მოდელი მრავალი სახეობის პროდუქციისათვისაა აგებული. ამ განზოგადების თანახმად, „იზოლირებული სახელმწიფო" რესურსების განაწილების და განლაგების ცენტრი ხდება, რომელიც რენტის მაქსიმიზაციას ემყარება.

ამ თეორიის ძირითადი თვისებები თავმოყრილია მე-2 ნახაზზე. უწყვეტი მრუდი, რომელიც პირველი ნახაზიდანაა მიღებული, ჭვავის წარმოების შედეგად მიღებულ მიწის რენტას გამოხატავს.

მსგავსი რენტა-მანძილის ფუნქციები შეიძლება სხვა ისეთი პროდუქციისათვისაც აიგოს, როგორიცაა ბოსტნეული ან ხე-ტყის მასალა.

ფერმერი ყოველ მანძილზე იმ ნაწარმის კონცენტრირებას მოახდენს, რომელსაც მაქსიმალური რენტა შეესაბამება. მე-2 ნახაზის შესაბამისად, ბოსტნეული ქალაქთან ახლოს უნდა გაიზარდოს, მას მოჰყვება ტყის სარტყელი, ხოლო ჭვავის მოყვანა უფრო შორს შეიძლება.

ტიუნენის შედეგები შემდეგნაირადაა შეჯამებული:

– ქალაქთან ახლოს უნდა მოიწიო ის პროდუქტები, რომელთა ქალაქში მიწოდება დაშორებული რეგიონიდან ტრანსპორტირების მაღალი ფასის გამო შეუძლებელია (ასეთი პროდუქტები შეიძლება იყოს მალფუჭებადი);


– ქალაქიდან დაშორებული მიწა გამოყენებული უნდა იყოს ისეთი პროდუქტების წარმოებისათვის, რომლებიც თავის მოცულობასთან შეფარდებით უფრო მცირე სატრანსპორტო დანახარჯებს მოითხოვს. მხოლოდ ამ მიზნით უნდა შეიქმნას ქალაქის გარშემო სარტყლები, რომლებშიც ძირითადად რომელიმე ერთი, ან მეორე პროდუქტი იწარმოება.

---

1 ბუშელი (ინგლ. bushel) ფხვიერი სხეულების საწყაო ინგლისში (36,4 ლიტრი), აშშ-ში (35,2 ლ) და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

2 ერთი აკრი=4046,96 მ²

3 რესურსების დამატებითი ერთეულის გამოყენებით წარმოებული დამატებითი პროდუქტი. იგი იანგარიშება, როგორც პროდუქტის რაოდენობის ცვლილების შეფარდება გამოსაყენებელი რესურსის იმ რაოდენობასთან, რომელმაც მისი ცვლილება განაპირობა.



ორ სარტყელს შორის სასაზღვრო ხაზი შეიძლება იმ პირობით დადგინდეს, რომ „ზღვართან" შესაბამისი პროდუქტები ერთსა და იმავე რენტას ქმნიან. მიწისა და შრომის განაწილება წარმოების მიზნით მაქსიმალური რენტიდან გამომდინარე გამოთვლებით განისაზღვრება.

1.5. განაწილების ზღვრული სარგებლიანობა

ტიუნენი განაწილების ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის მიხედვით: წარმოება შრომისა და კაპიტალის ერთობლივი შედეგია. როგორ უნდა გაიზომოს წარმოების თითოეული ფაქტორის წილი წარმოებულ პროდუქტში? კაპიტალის ეფექტიანობა ყოველ ერთ მუშაზე წარმოების მოცულობის ნამატით იზომება. ამ აზრით, შრომა მუდმივი, კაპიტალი კი ცვლადი სიდიდეა; თუ დაეუშვებთ, რომ წარმოების პროცესის გაგრძელებისას კაპიტალია მუდმივი, ხოლო შრომა მზარდი სიდიდეა, ამ შემთხვევაში შრომის მწარმოებლურობა (მუშის წვლილი წარმოებაში) წარმოების მოცულობის ნამატიდან გამომდინარეობს, რომელიც თითოეული მუშის მიერ გამომუშავებული ნამატითაა განპირობებული[1].

კაპიტალით და შრომით მიღებული წარმოების მოცულობის ნამატი წარმოების რომელიმე ფაქტორის ზრდასთან ერთად მცირდება. მეწარმე მაქსიმალური მოგების მისაღებად წარმოების თითოეული ფაქტორის მონაწილეობას ისე განსაზღვრავს, რომ აქედან მიღებული ამონაგები თითოეული ფაქტორის ღირებულების ტოლი იყოს. შრომა ისეთ ზღვრამდე უნდა გაიზარდოს, რომ ყოველ მუშაზე გადაანგარიშებით წარმოების მოცულობის ნამატმა მუშის ხელფასი დაფაროს[2]. კაპიტალის საბაზრო მოგება კაპიტალის ერთეულიდან მიღებული შემოსავლით განისაზღვრება.

1.6. ეკონომეტრიკის წინამორბედი

ტიუნენის კვლევის მეთოდი შთამბეჭდავი და სამაგალითოა როგორც სიზუსტით, ასევე უკომპრომისო მსჯელობით.

რ.კანტილიონის, ფ.კენეს და დ.რიკარდოს მსგავსად ტიუნენი თავის ანალიზს თეორიულ მოდელზე ამყარებს. მაშინ, როცა რიკარდოს თავისი მოდელი სმითისაგან გამოჰყავს, ხოლო კენეს კანტილიონისგან, ტიუნენი თავის დოქტრინას „ნაკრებზე" აგებს.

ტიუნენი ადრევე მიხვდა, რომ მისი პროგრამისათვის მათემატიკა იყო საჭირო, მაგრამ მას ასევე ესმოდა, რომ მისი გამოყენება ზოგიერთ მკითხველს ძალზე შეაშინებდა. თუმცა, მას მიაჩნდა, რომ მათემატიკა აუცილებლად უნდა გამოიყენონ იქ, სადაც ჭეშმარიტების პოვნა მის გარეშე შეუძლებელია;

1 **Thünen**, Der isolierte Staat..., ნაწ. 2/1/19.
2 **Thünen**, Der isolierte Staat..., ნაწ. 2/1/19.

ცოდნის სხვა დარგებში მათემატიკური გამოთვლების მიმართ სიძულვილი ისეთივე რომ ყოფილიყო, როგორც აგრონომიასა და ეკონომიკაში, ჩვენ ჯერ კიდევ სრულიად უვიცები ვიქნებოდით[1].

„იზოლირებული სახელმწიფო" მართლაც სავსეა ალგებრული ფორმულებით, რაც ტიუნენს მათემატიკური ეკონომიკის ერთ-ერთ პიონერად წარმოაჩენს.

ოპტიმიზაციის პრობლემებმა იგი დიფერენციალურ გამოთვლებამდე მიიყვანა. ტიუნენმა ერთ-ერთმა პირველმა ეკონომიკის ოპტიმიზაციის პრობლემის გადასაჭრელად გამოთვლები გამოიყენა, მაგრამ ეს გამოკვლევები მხოლოდ 1850 წელს გამოქვეყნდა.

ტიუნენი ზოგადი ალგებრული გამოსახულებებით ვერ დაკმაყოფილდა. მას სიმბოლოების რიცხვებით შენაცვლება სურდა. მონაცემებით მას მისი საანგარიშო წიგნი ამარაგებდა, რომელიც ფერმერობის შესახებ ინფორმაციის საგანძური იყო. იგი ამ მონაცემებს მართვის ოპტიმალური პრობლემების ამოხსნისათვის იყენებდა.

ეკონომიკური თეორიის, მათემატიკისა და სტატისტიკური მონაცემების კომბინირებით **ტიუნენი ეკონომეტრიკის წინამორბედად მოგვევლინა.**

იმ დროს, როცა მარჟინალურმა სარგებლიანობამ თეორეტიკოსები აღაფრთოვანა, ფაქტების დიდი რაოდენობით გამოყენებამ ტიუნენს ისტორიულ სკოლაში მიმდევრები გაუჩინა. მან ნათელყო გუსტაე შმოლერის აზრი, რომ თეორია „ფაქტებისაგან" გამოკრისტალდებაო.

ტიუნენი თავის მონაცემებს ზუსტად ისე იყენებდა, როგორც თანამედროვე ეკონომისტები. ასევე დადასტურდა, რომ მისი მტკიცება ოპტიმალური ამოხსნების, ბაზრის პირობებზე დამოკიდებულების შესახებ ისტორიულ შედარებას გამოხატავს.

ფაქტობრივად, ტიუნენის თვალსაზრისი სმითის შეხედულებას ემთხვევა იმის შესახებ, რომ შრომის დანაწილებას ბაზრის მოცულობა განსაზღვრავს.

ტიუნენი იმ იშვიათი ეკონომისტების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მრავალმხრივ მოწონებას იმსახურებენ. ზოგიერთის აზრით, ის დიდი ეკონომისტი იყო, თუმცა მისი ღვაწლები იდეალურიც იყო. ასეთი აზრი თვით ტიუნენის არააგრესიულობამ, ლმობიერებამ, კეთილმოსურნეობამ და სამოქალაქო ღირსებებმა განაპირობეს. ნაწილობრივ ამის გამო იგი სხვადასხვა ადამიანების — მათემატიკის თეორეტიკოსების, ბუღალტრების, აგრონომების, სოციოლოგების, ისტორიკოსების, ლიბერალების და გერმანელი ნაციონალისტების მოწონებას იმსახურებდა.

მიუხედავად ამისა, ტიუნენის ნაშრომთა მყისიერი გავლენა სუსტი იყო. დაახლოებით 1870 წლამდე არავის უცდია მისი კვალისათვის გაყოლა. ამას ხშირად იმითაც ხსნიდნენ, რომ მან თავის დროს გაუსწრო. თუმცა ეს მოსაზრება მის შემთხვევას ყოველთვის არ მიესადაგებოდა.

ტიუნენს რომ თავისი ანალიზი ინგლისურ ენაზე წარმოედგინა, მაშინ ამ ანალიზს ათი წლის განმავლობაში ეკონომიკისათვის ძირითადი მიმართულების მიცემა შეეძლო. 1871 წლის შემდეგ მასში ისეთი აღარაფერი იყო, რასაც იოლად ვერ შეაფასებდნენ. ტიუნენმა თავისი ანალიზი მეტის-მეტად თავისებურ სამოსში წარმოადგინა.

მას არასოდეს არ მიუღია ღრმა აკადემიური განათლება და თავისი შეგირდების გარდა არავისათვის უსწავლებია. ალბათ ამიტომაცაა მისი არგუმენტების მთავარი მიმართულება დამძიმებული მოსაბეზრებელი რიცხვითი მაგალითებით, გამეორებებით და გადახვევებით.

ტიუნენის ზეგავლენის უარყოფა არ შეიძლება. ალფრედ მარშალი „იზოლირებულ სახელმწიფოს" გაცნობის შემდეგ (დაახლოებით 1869 წ.) წერდა, რომ ტერმინი „მარჟინალური" ტიუნენისაგან აიღო; ტიუნენს ყველა თავის მასწავლებელს ამჯობინებდა და რომ „იზოლირებულმა სახელმწიფომ" მას მიმართულება განუსაზღვრა.

მარშალი პატივს სცემდა კურნოს იმისათვის, რომ ანალიტიკური ტექნიკა მისგან შეისწავლა, ხოლო ტიუნენს იმისათვის, რომ მან ეკონომიკა ასწავლა.

მარშალის მეშვეობით, ტიუნენი მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში ზღვრული სარგებლიანობის თეორიის საბოლოო გამარჯვებას დაუკავშირდა.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიასთან ერთად ტიუნენმა **განლაგების თეორიის საფუძვლებიც** დაამუშავა. კანტილიონის მოსაზრებები ქალაქების შესახებ რესურსების სივრცული განაწილების თეორიაში განვითარდა.

---

1 **Thünen**, Der isolierte Staat..., 6ა წ. 2/1/19.

ამგვარად, ტიუნენმა იმ სამი ანალიტიკური „ბოძიდან“ ერთ-ერთი ააგო, რომელსაც მომდევნო ნახევარი საუკუნე ინდივიდუალური ოპტიმიზაციის თეორია დაეყრდნო. იმ დროს, როცა კურნომ ფირმების თეორია უზრუნველყო, ხოლო გოსენმა – სარგებლიანობისა, ტიუნენმა სარგებლიანობის და განაწილების დოქტრინა მოგვცა.

თუმცა „მარჟინალური რევოლუციის“ სახელს, ჩვეულებრივ, ჯევონსს, მენგერსა და ვალრასს უკავშირებენ, ნამდვილი ნოვატორები კი ტიუნენი, კურნო და გოსენი იყვნენ. პირველი ტრიუმვირატი მეორეზე არანაკლებ დიდებას იმსახურებს. ტიუნენი არცერთ მათგანზე ნაკლები არ ყოფილა.

2. „სიმდიდრის თეორია“: ანტუან აუგუსტინ კურნო (1801-1877)

ანტუან კურნომ დამოუკიდებელი ფირმის მაგალითზე დიფერენციალური აღრიცხვის მეშვეობით ერთ-ერთმა პირველმა ახსნა პირობითი ოპტიმიზაციის ხილული პრობლემები. ამასთან დაკავშირებით, მან შეიმუშავა ანალიტიკური მეთოდი, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ეკონომიკურ თეორიას და დღეისთვისაც გარკვეული ფასეულობა შეინარჩუნა.

2.1. გრენობლის აკადემიისა და დიჟონის უნივერსიტეტის რექტორი

ფრანგი ეკონომისტი და მათემატიკოსი ანტუან აუგუსტინ **კურნო** (Cournot) დაიბადა 1801 წელს პატარა ფრანგულ ქალაქ გრეიში (აღმოსავლეთი საფრანგეთი). იგი დისციპლინირებულ, პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად ჩამოყალიბდა, თავის საქმიანობაში მუდამ ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავდა.

ახალგაზრდა კურნო თხუთმეტი წლისაც არ იყო, როდესაც ადგილობრივ უმაღლეს სკოლაში შევიდა. მის განსაკუთრებულ ყურადღებას სამართალი და მათემატიკა იპყრობდა. 1821 წლიდან იგი პარიზის ერთ-ერთ უმაღლეს სკოლაში სწავლობდა, რომელიც პოლიტიკური მოსაზრების გამო მალე დაიხურა. კურნოს სორბონაში გადასვლა მოუწია, სადაც მან 1823 წელს მათემატიკაში ხარისხი მიიღო.

1823-33 წლებში კურნო მარშალ სენ-სირის პირადი მდივნობითა და აგრეთვე მისი ვაჟიშვილის რეპეტიტორობით ირჩენდა თავს. ცხოვრების ასეთმა პირობებმა მას ასტრონომიაში დისერტაციის დაწერის, მრავალი სტატიის გამოქვეყნებისა და იურისტის წოდების მიღების შესაძლებლობა მისცა. ყველაზე დიდი წარმატება მის მიერ მექანიკასა და ასტრონომიაში დაწერილ ნაშრომებს ერგო.

კურნოს პუბლიკაციებმა გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსის ს.დ. **პუასონის** (1781-1840) ყურადღება მიიპყრო, რომელმაც 1834 წელს (მეცნიერს ანალიზსა და მექანიკაში) ლიონის უნივერსიტეტში პროფესორის წოდების მიღებაში უშუამდგომლა.

1835 წელს იგი გრენობლის აკადემიის რექტორად დაინიშნა. აქედან იწყება მისი ხანგრძლივი და გამორჩეული მოღვაწეობა, რომლის განმავლობაშიც იგი პარიზის განათლების გენერალური ინსპექტორი, საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი და დიჟონის უნივერსიტეტის რექტორი გახდა. 1862 წელს მან ყველა საზოგადოებრივი უფლებამოსილება მოიხსნა და პარიზში დაბრუნდა, რათა მთელი დრო მეცნიერებისათვის დაეთმო.

იგი გამოჩენილ მეცნიერად აღიარეს. სიცოცხლის ბოლო წლებში ეთიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

1877 წელს კუჭის დაავადებისაგან პარიზში გარდაიცვალა.

2.2. სიმდიდრის შესახებ

კურნოს ნაშრომების კრებული რამდენიმე ტომს მოიცავს. თავისი ცხოვრების პირველ ნახევარში იგი ძირითადად მათემატიკოსია. გამოაქვეყნა ნაშრომები დიფერენციალური აღრიცხვის, ალგებრა-გეომეტრიის ურთიერთკავშირისა და ალბათობის თეორიის საკითხებზე. მათემატიკიდან კურნო თანდათანობით ფილოსოფიისკენ გადაიხარა, რასაც შესაბამისი პუბლიკაციებიც მოჰყვა, თუმცა, მათ დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

იგი, როგორც მათემატიკოსი, კომპეტენტურობით გამოირჩეოდა, მაგრამ ბრწყინვალე შემოქმედ მათემატიკოსად არ უღიარებიათ. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენდა 1838 წელს მის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი – **„სიმდიდრის თეორიის მათემატიკური პრინციპების გამოკვლევა"**[1].

ეს წიგნი ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა. აქ **პირველად** შემოგვთავაზა მონოპოლისტის მოგების მაქსიმიზაციის **მოდელი**: ფაქტობრივად გამოიყენა **ზღვრული შემოსავლებისა** და **ზღვრული დანახარჯების** ცნებები.

ეკონომისტები ამ გამოკვლევის სიახლეებს არ აღიარებდნენ და ამ წიგნს რეცენზიაც კი არ მიუძღვნეს. შესაძლოა ეს იმის გამოც ხდებოდა, რომ რიგ ეკონომისტებს დიფერენციალური აღრიცხვის არსი სუსტად ესმოდათ.

კურნო სათანადოდ არ იყო დაფასებული. ოცდახუთმა წელმა განვლო, ვიდრე მან მათემატიკური ცნებებისაგან განთავისუფლებული თავისი ეკონომიკური თეორია კლავ გამოაქვეყნა სახელწოდებით: **„სიმდიდრის თეორიის პრინციპები"** (1863)[2], თუმცა მასაც **„ძველებური წარმატება"** ხვდა წილად. თანამედროვე თვალსაზრისით ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან **ავტორი მოგების ოპტიმიზაციის პრობლემის გადასაწყვეტად დიფერენციალურ აღრიცხვას იყენებდა** – სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი წვლილი.

თავის ნაშრომში კურნო ძირითადად იკვლევდა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, **საქონლის ფასსა და მასზე მოთხოვნას** სხვადასხვა საბაზრო სიტუაციაში – მყიდველებისა და გამყიდველების სხვადასხვა პირობებში.

მისი მტკიცებით, წარმოების ზრდასთან ერთად დანახარჯების ერთეულზე ეკონომიას გარკვეულ ზღვრამდე ზრდის ტენდენცია გააჩნია. ამით შესაძლებელია მეწარმის მონოპოლიის განმტკიცება.

კურნომ საფუძველი ჩაუყარა არა მარტო სრული მონოპოლიის, არამედ დუოპოლიის თეორიას, რომლის მიხედვითაც ბაზარზე ერთმანეთს ეჯიბრება გამყიდველთა მცირე ჯგუფი. მისი წარმოდგენით, დუოპოლიის პირობებში ფასი შესაძლებელია უფრო დაბალი იყოს, ვიდრე სრული მონოპოლიის პირობებში, მაგრამ უფრო მაღალი, ვიდრე თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

2.3. მოთხოვნის კანონი

ა.კურნო პირველი არ იყო, ვინც დიფერენციალური აღრიცხვის[3] გამოყენებით ეკონომიკის ოპტიმიზაციის პრობლემას შეეხო. გოსენის, ჯევონსის, მენგერისა და ვალრასისაგან განსხვავებით, კურნო საკმაოდ სარგებლიანობის საკითხით არ დაინტერესებულა. სამოცდაათი წლის შემდეგ, გუსტავ კასელის მსგავსად, მან პირდაპირ საბაზრო მოთხოვნის პრობლემებით დაიწყო.

კურნოს მიერ დამუშავებული **მოთხოვნის კანონის** მიხედვით, მოთხოვნა იზრდება, როდესაც ფასები ეცემა. მან პირველმა მოგვცა ფორმულა D=F(p) (სადაც, D – მოთხოვნაა, p – კი ფასი), რომლის მიხედვითაც, მოთხოვნა ფასების ფუნქციაა. ფასების დონე კი თავისუფალი კონკურენციის პირობებში წარმოების დანახარჯებით რეგულირდება, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციით აიხსნას.

---

1 Cournot A., Recherches sur les principes mathématiques de la théorie des richesses, P., 1838.

2 Cournot A., Principes de la théorie des richesses, P., 1863.

3 **დიფერენციალური აღრიცხვა**, უმაღლესი მათემატიკის ნაწილია, რომელიც სწავლობს წარმოებულებისა და დიფერენციალების (დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდეების ნებისმიერი ნაზრდი) თვისებებს და გამოთვლის ხერხებს.

მისი აზრით, მოთხოვნა როგორც საბაზრო ფასის ფუნქცია, ემპირიული მეთოდით უნდა განისაზღვროს. ამ ფუნქციას იგი დიაგრამულად წარმოადგენს, რომელშიც ფასი ჰორიზონტალურ ღერძზეა განლაგებული. ეს, ალბათ, ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში, როდესაც ზოგადი მოთხოვნის ფუნქცია განისაზღვრა და მოთხოვნის მრუდი აიგო.

მოთხოვნის მრუდის გამოსახვისათვის კურნო სპეციალურ ცნებებს არ იყენებს, მაგრამ ფასების დაცემისას შემოსავლის „მატება-კლების" ცოდნას ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რასაც იგი ფასის რაოდენობაში პროპორციულ ცვლილებებს მიაწერდა.

ის, რომ კურნო ზღვრული შემოსავლის კონცეფციას არ იყენებდა, ისტორიული თვალსაზრისით ბევრს არაფერს ნიშნავს. იგი შემოსავალს, სარგებლიანობიდან გამომდინარე ფასის ფუნქციით გამოსახავდა. მიუხედავად ამისა, ზღვრული შემოსავლის არსი მის ანალიზში ნათლადაა ნაგულისხმევი.

2.4. კონკურენცია და მონოპოლია

თუკი კლასიკოს-ეკონომისტებს კონკურენციისა და მონოპოლიისათვის ღირებულების სხვადასხვა თეორია გააჩნდათ, კურნომ იგი ერთიანი თეორიის სახით წარმოადგინა – დაიწყო მარტივი მონოპოლიით და სრულ კონკურენციამდე მივიდა. მაქსიმალური მოგების „კურნოსეული წერტილის" განსაზღვრისათვის მის მიერ ჩატარებული ანალიზი საბოლოო აღმოჩნდა.

დღეს ასეთი კვლევები ჩვეულებრივი მოვლენაა. ზოგს შეიძლება ეფიქრა, რომ ის, რასაც კურნომ ოდესღაც საფუძველი ჩაუყარა, შესაძლოა უახლოეს ათ წელიწადში ჩვეულებრივ საქმედ ქცეულიყო. ერთი კი ფაქტია, რომ ეკონომიკურ თეორიას, და განსაკუთრებით ინგლისურენოვანს, თითქმის საუკუნე დასჭირდა კურნოს „დასაწევად".

შემდგომ საკითხად კურნო ცალკეული სამრეწველო დარგების დაბეგვრის შედეგებს იკვლევს. მან აღმოაჩინა, რომ დაბეგვრის დანაკარგებს ნებისმიერი ფირმის მფლობელი ითვალისწინებს. კურნო სამრეწველო სექტორში მუშახელის დასაქმების საკითხებზე მიუთითებს.

საერთოდ კი, კურნოს აზრით, ეკონომიკისათვის არაეითარი განსხვავება არა აქვს იმას, თუ ვინ იხდის გადასახადს – გამყიდველი თუ მყიდველი. თუმცა არის ერთი საინტერესო მომენტი: როდესაც გადასახადს მწარმოებელი (მიმწოდებელი) იხდის, თანხა უფრო ადრე იფარება, ვიდრე მაშინ, როდესაც ამას მომხმარებელი აკეთებს.

კურნოს კონკურენციის საკითხის განხილვისათვის მეორე მიმწოდებლის ცნება შემოაქვს. როდესაც ორი მიმწოდებელი ზუსტად ერთსა და იმავე მინერალურ წყალს ჩამოასხამს, საქმე გვაქვს ერთგვაროვან დუოპოლიასთან. ანალიზის გასამარტივებლად დანახარჯებს მხედველობაში არ ვიღებთ.

პროდუქციის ერთგვაროვნება გულისხმობს, რომ ორივე დუოპოლისტმა საქონელი ერთნაირ ფასად უნდა გაყიდოს. ამდენად, თითოეული იძულებულია შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია. პროდუქციის მოცულობის განსაზღვრაში ისინი თავისუფალნი არიან, ხოლო ფასს ბაზარი განსაზღვრავს. თითოეული ფირმისათვის პრობლემას პროდუქციის ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრა წარმოადგენს.

ამ პრობლემის სირთულეა ის, რომ ერთი მომწოდებლის ოპტიმალური მწარმოებლურობა მეორე მომწოდებლის მწარმოებლურობაზეა დამოკიდებული. ამდენად, ფასის განსაზღვრისას კონკურენტის ქცევის განჭვრეტას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დუოპოლიისა და მონოპოლიის პირობებში მოგებათა შედარებისას კურნომ აღმოაჩინა, რომ პირველ შემთხვევაში მთლიანი მოგება უფრო მცირეა. ეს კი გაერთიანებისაკენ ან შერწყმისაკენ მოძრაობის სტიმულია.

რატომ ისწრაფვის ცალკეული მონოპოლისტი (გაერთიანების გარეშე) ისეთი ფასისაკენ, რომელიც მას ყველაზე დიდ მოგებას მისცემს? – იმიტომ, რომ ასეთ პირობებში თითოეული დუოპოლისტი უპირატესობას საკუთარი მიწოდების ზრდაში ხედავს, რაც თავისთავად ფასს აკლებს და ა.შ. აქ მთავარია ის, რომ თანაბარი ფასების პირობებში, ორ მომწოდებელს შორის მოთხოვნა პერიოდულად გადანაწილდება.

დუოპოლიის ამ მარტივი მოდელით, კურნომ დუოპოლიის თეორიის პროტოტიპს (პირველსახეს) საფუძველი ჩაუყარა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა კელვეის ეს მეთოდი ნაწილობრივი წონასწორობის კონკურენციით შემოიფარგლებოდა, კურნომ თავისი შეხედულებები წონასწორობის კონცეფციაზე გაავრცელა[1]. მისი აზრით, ცალკეული საწარმოების პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ მთელი სისტემის კონტექსტში[2], მაგრამ ასეთი კვლევა მას მიუღწეველად მიაჩნია[3].

კურნოს ეკონომიკური თეორიების ანალიზი მხოლოდ ზემოალნიშნულით არ ამოიწურება. იგი დამატებით ვალუტის კურსის სტაბილურობის, აგრეთვე ვაჭრობიდან მიღებული მოგებისა და სხვ. შესწავლასაც ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, კურნოს ეს ანალიზი შემდგომში მის ეკონომიკურ თეორიას ძირითად საფუძვლად არ დასდებია.

2.5. არც გენიოსი, არც რევოლუციონერი

მთლიანობაში, როგორც ჩანს, კურნო ღრმად იცნობდა იმ პერიოდის ეკონომიკურ ლიტერატურას. მან შეიმუშავა ინდივიდუალური ოპტიმიზაციის მეთოდები და ისინი ფირმასთან მიმართებით გამოიყენა, ხოლო წარმოებისა და მოხმარების ოპტიმიზაციის პრობლემების მოგვარება შესაბამისად ტიუნენსა და გოსენს „დაუტოვა“.

ფირმების თეორია ერთი ხელის მოსმით თითქმის არაფრისაგან შეიქმნა. მაშინ, როდესაც სმითი და მარშალი ამ პრობლემის გარშემო მხოლოდ მსჯელობდნენ, კურნომ იგი გადაწყვიტა.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკურ თეორიაში დიფერენციალური აღრიცხვის ცნების შემოტანა.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კურნოს პირდაპირი გავლენა ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე ნაკლებად იგრძნობა. მისი ნაშრომები თითქმის შეუმჩნეველი რჩებოდა, სანამ ტიუნენმა და ვალრასმა არ „გააცოცხლეს“ იგი. კურნოს „ძიებანი“ სრულყოფილების ნიმუშს წარმოადგენს. ეს გარემოება ადვილად ასახსნელია თუნდაც იმის გამო, რომ ეკონომიკურ თეორიაში მოღვაწე პროფესორები ხშირად ელემენტარული აღრიცხვის საკითხებში ვერ ერკვეოდნენ და ეკონომიკური დოქტრინების ისტორიას თითქმის ერთი საუკუნე დასჭირდა მასში გასარკვევად.

კურნოს ისტორიული გაელენა იგრძნობა მომდევნო თაობის ისეთი გამოჩენილი თეორეტიკოსების შემოქმედებაში, როგორებიც არიან ვალრასი და მარშალი.

კურნო არც გენიოსი იყო და არც რევოლუციონერი. იგი ბრწყინვალე მათემატიკური განათლების მქონე პიროვნება და მაღალი დონის მეცნიერი იყო. ამ ცოდნის გამოყენებით იმ დარგში, სადაც იმ დროისათვის დიფერენციალური აღრიცხვის მეთოდი დიდ პერსპექტივებს სახავდა, კურნომ დასაბამი მისცა ეკონომიკური მეცნიერების ხანგრძლივ ევოლუციას.

3. ჰერმან ჰაინრიხ გოსენის (1810-1858) კანონები

3.1. მღვრული სარგებლიანობის მათემატიკური ინტერპრეტაცია

კურნოს „გამოკვლევებისა“ და ტიუნენის „იზოლირებული სახელმწიფოს“ გამოცემის შემდეგ (რომელიც ფირმების მაქსიმალური მოგების მიღწევას ეხებოდა) საფუძველი ჩაეყარა ფირმების ანალიტიკურ ანალიზს. სარგებლიანობის თვალსაზრისით კი ასეთი საფუძველი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

ღირებულებას, დიდი ხნის განმავლობაში სუბიექტური სარგებლიანობით ხსნიდნენ. ღირებულების თეორიის მიმართ ამ შეხედულებების ნაყოფიერად გამოყენების გასაღები გოსენმა უზრუნველყო.

მისი აზრით, დოვლათის სარგებლიანობას მისი მარაგის ზრდა ამცირებს. რამდენადაც მეტია

1 Cournot A., ზემოთ აღნიშნ. წიგნი, P., 1838, XI-XII თავები.

2 Cournot A., Principes de la theorie des richesses, P., 1863, გვ. 263.

3 Cournot A., ზემოთ აღნიშნ. წიგნი, P., 1838, გვ. 74.

მარაგი, მით ნაკლებია სარგებლიანობა და, მაშასადამე, დოვლათის ყოველი შემდგომი ერთეულის ფასეულობაც.

გოსენმა სარგებლიანობა განიხილა, როგორც სუბიექტური კატეგორია, მოხმარება კი, როგორც კვლევის ერთადერთი ობიექტი. მან თავის მთავარ ნაშრომში სარგებლიანობის ეკონომიკურ-მათემატიკური თეორიის პირველი ვარიანტი ჩამოაყალიბა.

გერმანელი ეკონომისტი, ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი ჰერმან ჰაინრიხ გოსენი (Gossen) 1810 წლის 7 სექტემბერს დიურენში დაიბადა. გოსენის მამა ნაპოლეონის დროს გადასახადების ამკრეფი იყო, მოგვიანებით კი მამულის მფლობელი გახდა.

მამას სურდა, რომ შვილს ოჯახური ტრადიცია გაეგრძელებინა და სახელმწიფო მოხელე გამხდარიყო, ამიტომ ბონის და ბერლინის უნივერსიტეტებში გოსენი ძირითადად სამართლის საკითხებს სწავლობდა.

1834 წელს გოსენმა კიოლნში სამოქალაქო რეფერენტად მუშაობა დაიწყო, თუმცა სახელმწიფო კარიერას იგი მაინც თავისუფალ მოღვაწეობას ამჯობინებდა. 1847 წელს მან სახელმწიფო სამსახური დატოვა.

ახალი კარიერა მას მამის გარდაცვალებამ გაუადვილა. გოსენი ბერლინში გაემგზავრა, სადაც ლიბერალურ რეფორმაციას თანაუგრძნობდა. შემდეგ იგი დაბრუნდა, როგორც უბედური შემთხვევებისაგან დამზღვევი ფირმის პარტნიორი. მალე იგი ფირმასაც ჩამოშორდა, თუმცა გრანდიოზული დაზღვევის პროექტების შემუშავებას განაგრძობდა.

1859 წლის 13 თებერვალს იგი ფილტვის ტუბერკულიოზით გარდაიცვალა.

გოსენმა ეკონომიკური თეორიის დამუშავება 1847 წლიდან დაიწყო. 1854 წელს გამოქვეყნდა მისი მთავარი ეკონომიკური ნაშრომი – **„საზოგადოებრივი გაცვლის კანონებისა და, აქედან გამომდინარე, ადამიანთა ვაჭრობის წესების განვითარება“**[1].

წიგნი წლების განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩა. 1889 წელს გამოვიდა ამ წიგნის მეორე გამოცემა. შემდგომში იგი გამოიცა იტალიურ (1950) და ინგლისურ ენებზე (1983).

აღნიშნულ ნაშრომში გოსენმა მოგვცა ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის ძირითადი პრინციპების მათემატიკური ინტერპრეტაცია. კერძოდ, მოგვიანებით ჩამოაყალიბა მეტად ცნობილი **„გოსენის I და II კანონი“**, რომლებშიც მოცემულია ინდივიდების მიერ მოხმარებული დოვლათის სუბიექტური ფსიქოლოგიური შეფასება.

გოსენის აზრით, **განსაზღვრული დოვლათის ინდივიდუალური მოხმარების პროცესში ყოველი მისი შემდგომი ერთეულის სარგებლიანობა კლებულობს და გაჯერებისას ნულს აღწევს** – სხვა სიტყვებით: კლებადი სარგებლიანობის პრინციპით – ერთი და იგივე სარგებლიანობის ტკბობის სიდიდე მცირდება დაკმაყოფილების მიღწევამდე[2].

ეს მტკიცება გოსენის I **კანონის** სახელწოდებითაა ცნობილი.

გოსენის II **კანონის** მიხედვით კი ინდივიდი თავის სარგებლიანობას მაქსიმალურს ხდის მაშინ, როდესაც იგი მის ხელთ არსებულ ფულად სახსრებს სხვადასხვა დოვლათზე ისე გაანაწილებს, რომ თითოეულ პროდუქტზე **დახარჯული ფულის უკანასკნელი ერთეულიდან თანაბარ დაკმაყოფილებას აღწევს**, ანუ ყველა სარგებლიანობის სიდიდეები თანაბარი უნდა დარჩეს[3].

გოსენს ოპტიმალური გაცვლის აუცილებელ პირობად ადამიანებს შორის თითოეული პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობის გათანაბრება მიაჩნია.

თუმცა, ეს წესი ინდივიდთა შორის სარგებლიანობის შესადარისობას მოითხოვს. მისი ეკონომიკური არსი ამ დაშვებებზე არაა დამოკიდებული. მტკიცება, რომ ჩვეულებრივ ყოველმა პიროვნებამ თავის წილზე უარის თქმა უნდა მოინდომოს, სიჭარბის იდეას გულისხმობს.

შემდეგი ანალიზი საბაზრო გაცვლამდე ფართოვდება, სადაც ყოველ პიროვნებას შეუძლია საქონლის გაცვლა მოცემული ფასების საშუალებით, რაც, ჩვეულებრივ, თელადი სიდიდით – ფულით გამოისახება.

---

1 Gossen, H.H., Entwicklung der Gesetze des menschlichen Verehrs und der daraus fliessenden Regeln für menschliches Handeln, B., 1854.

2 იქვე, გვ. 4-5.

3 იქვე, გვ. 12.

3.2. ნაკვეთების განლაგება და მიწის რენტა

შემდეგ ეტაპზე გოსენი **რენტას** იხილავს. თუ ეკონომისტის სახელი მხოლოდ რენტის საკითხის დამუშავებით შეფასდა, მაშინ მისი შეხედულებები უდავოდ საყურადღებოა.

მის მიერ აღწერილი მუშა – მიწის სპეციფიკური წილის მფლობელია. დავუშვათ, რომ მას შესთავაზეს სხვა პიროვნების კუთვნილი, უფრო უკეთესი განლაგების მიწის გამოყენება. მას უფრო მეტი შემოსავლის მიღება შეუძლია. ნაკვეთების უკეთესმა განლაგებამ, რა თქმა უნდა, უფრო მაღალი შემოსავალი უნდა განაპირობოს.

როგორია იმ პიროვნების მაქსიმალური რენტა, რომელსაც უკეთესად განლაგებული ნაკვეთისათვის სურს საფასურის გადახდა?

გოსენის მტკიცებით, „გარანტირებული რენტით" ნაკვეთების უკეთესი განლაგება უფრო მაღალი შემოსავლის გამომუშავებას და უფრო მაღალ მოხმარებას განაპირობებს.

მიუხედავად ამისა, გოსენის რენტის თეორია ნაკლებად მდიდარია, ვიდრე ოცდარვა წლის წინ გამოქვეყნებული ტიუნენის თეორია. გოსენს ისევე ნაკლებად აინტერესებდა თავისი წინამორბედების ნაშრომები, როგორც მის მომდევნო მარჟინალისტებს თავად გოსენის შრომები.

3.3. კაპიტალი და სარგებელი

კაპიტალისა და სარგებლის საკითხის შესწავლა გოსენის შემდეგი ნაბიჯია. საკითხი სარგებლიანობის მნიშვნელობას ეხება. გოსენმა იგი ყოველი მომავალი სარენტო თანხის განაღდების საშუალებით გადაჭრა.

იდეა წარმატებით დამუშავდა და წარმოების საშუალებების მიმართ მიწის მაგალითის მისადაგება ესკიზური (წინასწარი მონახაზი) დარჩა. გოსენი მიწისა და შრომის ტერმინოლოგიით აზროვნებს და წარმოების საშუალებები განზე რჩება.

ის აგრეთვე ცდილობს დანაზოგის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრას იმ პირობით, რომ პიროვნების გადასახდელი უმაღლესი სარენტო ფასი საბაზრო ფასის ტოლია, მაგრამ ეტყობა საშუალოსა და ზღვრულს ერთმანეთში ურევს და მისი არგუმენტირება ბუნდოვანი რჩება.

გოსენი მოთხოვნასა და დანახარჯზე ყოველდღიური დაკვირვებებით, ფასების ცვლილებებით გამოწვეული გავლენების ახსნას ცდილობს. მსჯელობა მოთხოვნის ელასტიკურობაზე[1] ფაქტობრივად მრავალი მომდევნო შრომების წინამორბედია, მაგრამ ისიც ძნელი გასაგებია. ამისი მიზეზია ის, რომ გოსენის ანალიტიკური ხერხი მოცემული ფასების პირობებში ოპტიმალური ბიუჯეტის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, მაგრამ იგი ფასთა ცვლილებების ანალიზისათვისაც გამოსადეგია.

3.4. სოციალური საკითხები

გოსენის მთავარი წიგნის მეორე ნაწილი ძირითადად სოციალური საკითხებისა და პოლიტიკისადმია მიძღვნილი.

ავტორის აზრით, თავისუფალი ბაზრის საშუალებით კაცობრიობა წარმატებას იქ აღწევს, სადაც ყოველგვარი სოციალური დაგეგმვა მარცხს განიცდის.

გოსენი **თავისუფალ ვაჭრობას, საკუთრების უფლების დაცვას** და ორთავე სქესისათვის თანაბარ განათლებას მოითხოვდა. იგი **ლითონის ფულის შემოღებისა და ქაღალდის ფულის გაუქმების მომხრე** იყო, ბავშვთა შრომის შეზღუდვას მოითხოვდა. მისთვის კონკურენტული წონასწორობა ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე ეკონომიკური თეორია ან იდეოლოგია. „უხილავი ხელი" გოსენისთვის არა დიდაქტიკური მეტაფორა, არამედ იდეოლოგია იყო.

გოსენის აზრით, **არაეფექტიანობის მთავარი წყაროა მიწის არასწორი განაწილება**, რაც ხელს

---

1 **მოთხოვნის ელასტიკურობა** – მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს, თუ რამდენი პროცენტით შეიძლება შეიცვალოს თავისუფალ ბაზარზე მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნა მისი ფასის 1%-ით ცვლილებისას.

უშლის პოტენციურად ყველაზე ეფექტური მომხმარებლის მიერ მიწის გამოყენებას. ამ ნაკლის გამოსასწორებლად იგი მთავრობას ურჩევდა, თავისუფალ ბაზარზე მიწის შესასყიდად ნასესხები ფული გამოეყენებინა და შემდეგ კი იჯარით გაეცა უმაღლეს ფასში. ვინაიდან პიროვნებებისგან განსხვავებით, მთავრობები უფრო მაღალი საკრედიტო გარანტიებით არიან უზრუნველყოფილი და დროის მცირე მონაკვეთში ზრდიან საკუთარ დოვლათს, მზარდი რენტით შესაძლებელი ხდება აღებული სესხის გასტუმრება. ასეთი სქემა სიცოცხლისუნარიანი იქნება, თუ კრედიტით ნაყიდი მიწის ნაკვეთში მთავრობის მიერ გადახდილი თანხა მიწის რენტის თანხას არ გადააჭარბებს.

გოსენი „მიწის სოციალისტი“ არ იყო და იგი „მიწის მონოპოლიას“ და „რენტის სოციალიზაციას“ არ ეხებოდა. მისი მიზანია არა კერძო საკუთრებაზე უფლებების შეზღუდვა, არამედ ბაზრის არასრულყოფილობის კორექტირება.

3.5. წინამორბედი

გოსენს ბრწყინვალე, ორიგინალური და ზუსტი გონება ჰქონდა, თუმცა თავისი აზრების ლოგიკურ ურთიერთკავშირში ბევრი შეცდომა დაუშვა.

გოსენი, ჩვეულებრივ, ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის წინამორბედად განიხილება, მაშინ როცა ჯევონსი, მენგერი და ვალრასი მის ფუძემდებლებად ითვლებიან.

ეკონომიკის არსის თვალსაზრისით, ეს მთლად სწორი არ არის. სინამდვილეში ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის გარკვეულ ქვაკუთხედს გოსენის „მეორე კანონი“ წარმოადგენს.

ვალრასმაც სარგებლიანობასა და დეფიციტზე იდეების გამოყენება მანამ ვერ შეძლო, სანამ ხელახლა, გოსენის წიგნის გამოცემიდან ჩვიდმეტი წლის შემდეგ, გოსენის მეორე კანონი არ „აღმოაჩინა“.

გოსენის ძირითადი დამსახურება ღირებულების თეორიის ცენტრში „იძულებითი ოპტიმიზაციის“ ჩაყენებაა. იგი მნიშვნელოვან ინტერესსა და შესწავლას იმსახურებს, რამდენადაც ეკონომიკური რეალობის განმსაზღვრელ შეზღუდულ ნიშნებს ასახავს.

ეკონომიკის თვალსაზრისით, დიდია მისი წვლილი ამ თეორიაში მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, მაგრამ მას ძირითადი პრინციპების გამოსაყენებლად ანალიტიკური ხერხი არ მოუცია, რის გამოც მომდევნო თაობა იძულებული იყო ეს პრინციპები ხელახლა აღმოეჩინა. თუმცა, „გოსენის კანონები“ მომავალში საფუძვლად დაედო რიგ მიკროეკონომიკურ თეორიებს.

თავი XI.
ინგლისელი მარჯინალისტები: უილიამ სტენლი ჯევონსი და ფრანსის ისიდრო ეჯუორთი

გავრცელებული აზრით, მარჯინალიზმი ყურადღებას ამახვილებდა წმინდა კონკურენციაზე, ვიდრე 1930 წელმა „არასრულყოფილ (მონოპოლისტური) კონკურენციაში“ რევოლუცია“ არ მოიტანა. ისტორიული სინამდვილე სხვაგვარი იყო. ცნობილია, რომ თიუნენი, გოსენი, ჯევონსი და ვალრასი ბაზრის არასრულყოფილობას სცნობდნენ, მაგრამ საჭიროდ ჩათვალეს კონკრეტულ წონასწორობაზე შეჩერება. მაგრამ სხვებისათვის, მაგალითად კურნოსა და მენგერისათვის არასრულყოფილი ბაზრები ის ძირითადი არგუმენტია, რომლის საფუძველზე დაჟინებით კონკრეტული წონასწორობის ზღვარის განსაზღვრის საკითხებზე მუშაობას განაგრძობდნენ. ამ ასპექტით მარშალი მენგერთან უფრო ახლოა, ვიდრე ვალრასთან. ფრანსის ისიდრო ეჯუორთმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ედგეოლოგიის თეორიის განვითარებაში, ხოლო ე.ჩემბერლინმა და ჯ.რობინსონმა, საბოლოოდ აიტაცეს (თუმცა გვიან) კურნოს იდეები, თუმცა ისინი შორს იყვნენ ახალი ეპოქის დასაწყისისაგან. ამასობაში, როდოლფ აუშპიტცმა და რიჩარდ რიბენმა მოთხოვნისა და მიწოდების პრობლემის ყოვლისმომცველი ანალიზის მეთოდი შეიმუშავეს.

1. „კლებადი ზღვრული სარგებლიანობა“: უილიამ სტენლი ჯევონსი (1835-1882)

ინდივიდუალური ოპტიმიზაციის თეორიას მოყვარულმა ეკონომისტებმა ჩაუყარეს საფუძველი. ტიუნენი ფერმერი იყო, კურნო — მათემატიკური განათლების მქონე ადმინისტრატორი, გოსენი — სამოქალაქო მოსამსახურე. 1860 წლამდე უმეტესობა სხვადასხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მაგრამ 1870 წლიდან საუკუნის ბოლომდე, ბევრი რამ გაკეთდა. ეკონომიკური თეორია პროფესიონალური გახდა.

1.1. პოლიტეკონომიის ახალგაზრდა პროფესორი

პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, რომელმაც ინდივიდუალური ოპტიმიზაციისაგან გამომდინარე, ღირებულების თეორიას ახალი საფუძველი დაუდო, უ.ს. ჯევონსი იყო.

უილიამ სტენლი **ჯევონსი** (Jevons) დაიბადა ლივერპულში შეძლებული რკინით ვაჭრის ოჯახში და თერთმეტიდან მეცხრე შვილი იყო. დედა ათი წლის ასაკში გარდაეცვალა. მამა 1847 წლის ეკონომიკური კრიზისის დროს გაკოტრდა, რამაც ოჯახი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის უკანასკნელი კურსის სტუდენტი ჯევონსი ძირითადად ქიმიასა და მეტალურგიას სწავლობდა, მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებითაც დაინტერესებული იყო. ცხრამეტი წლის ასაკში მან ხარისხის გარეშე დატოვა უნივერსიტეტი, რათა ოქროს აღმოჩენის შემდეგ ავსტრალიაში გახსნილ სიდნეის ზარაფხანაში ქიმიკოს-ლაბორანტის ადგილი მიეღო.

ჯევონსს სამსახური საკმარის დროს უტოვებდა მეტეოროლოგიაში ვრცელი კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, სარკინიგზო პრობლემებზე სტატიების გამოსაქვეყნებლად, ეკონომიკის შესასწავლად და ვრცელი სტატისტიკური მასალების შესაგროვებლად. კარგი მოყვარული ფოტოგრაფიც გახდა. ამასთან, საკმაოდ ამბიციურიც იყო. აი, რას სწერდა თავის დას: არა მარტო ერთის, ათის ან ასის, არამედ, მთელი ერის და სამყაროს მიმართ უნდა იყო კარგი[1].

1 Jevons W.S., Papers and Correspondence, L., 1972-81,2/307.

მან მიზნად დაისახა ადამიანის შესახებ ცოდნის საფუძვლების გაღრმავება. ამ მიზნით უარი განაცხადა ფულზე, საკუთრებაზე, სახელსა და მდგომარეობაზე და მეცნიერული ცოდნის ნამდვილ სიამოვნებაზეც.

სიდნეის ზარაფხანაში ჯევონსის ამბიციები ვერ დაკმაყოფილდა. ავსტრალიაში ხუთი წლით ყოფნის შემდეგ, იგი სრული განათლების მისაღებად ლონდონში დაბრუნდა. ჯევონსი 1863 წელს მანჩესტერში, ოუენის კოლეჯში უმცროს მასწავლებლად დაინიშნა, სამი წლის შემდეგ კი აქვე პოლიტეკონომიის ახალგაზრდა პროფესორი გახდა. ერთი წლის შემდეგ, მან „მანჩესტერ გარდიანის" დამაარსებლის და მფლობელის ქალიშვილი შეირთო, რამაც მისი მდგომარეობა უფრო საიმედო გახადა.

მომდევნო წლებში მან ორი წიგნი დაწერა, რომლებმაც იგი მე-19 საუკუნის ერთ-ერთ ცნობილ ინგლისელ პიროვნებად გახადა.

1876 წელს ჯევონსმა ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში პროფესორის ადგილი მიიღო. ამ დროს იგი მხოლოდ 41 წლისა იყო, მაგრამ ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა. ხშირად ნერვული გადაღლა და დეპრესია ემართებოდა, რაც დროდადრო მასწავლებლობისათვის რამდენიმე თვით თავის დანებებას აიძულებდა.

გადმოცემით, იგი თავისთავში ჩაკეტილი პიროვნება იყო, რომელიც ოჯახსა და მეგობრების წრეში თავს ბედნიერად გრძნობდა.

1880 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თანამდებობიდან გადადგა და მთელი თავისუფალი დრო წიგნების წერას მიუძღვნა.

1882 წელს იგი ოკეანეში ცურვისას (სავარაუდოდ, გულის შეტევის გამო) დაიხრჩო.

12. ძირითადი ნაშრომები

1862 წელს ჯევონსმა ეკონომიკაში თავისი პირველი სტატიები გამოაქვეყნა. ზოგი მათგანი ბუნებაში მიმდინარე სეზონურ ცვლილებებს ეხებოდა, რაც ათწლეულების განმავლობაში ყოველკვირეული მონაცემების შეგროვებით დაადგინა, შემდეგ კი ყველა კვირის საშუალო არითმეტიკული მონაცემები გამოიყვანა.

შემდგომი მისი უფრო მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო „მოკლე შენიშვნა პოლიტეკონომიის ზოგადი მათემატიკური თეორიის შესახებ" (1862)[1]. ამ სტატიაში შეიძლება აღმოაჩინოთ უფრო გვიანდელი „პოლიტეკონომიის თეორიის" ყველა ძირითადი შემადგენელი ნაწილი მათემატიკის გამოყენების გარეშე. ასე მაგალითად, გამოიყენა ტერმინი „სარგებლიანობა" და იგი დღევანდელ მიღებულ სიამოვნებასთან დააკავშირა. ჯევონსის სტატიებს იმთავითვე წარმატება არ მოჰყოლია.

პამფლეტს[2] „ოქროს ღირებულების სერიოზული დაცემა " (1863)[3] მეტი წარმატება მოჰყვა. იგი, ნაწილობრივ, დ.რიკარდოს მსგავს პრობლემას ეხებოდა. რა მასშტაბებისა იყო კალიფორნიასა და ავსტრალიაში ოქროს აღმოჩენით გამოწვეული საქონლის ფასებში მომხდარი ცვლილებები? ჯევონსმა საქონლის ფასების ინდექსების გამოყენებით მათი აღმავალი ტენდენცია დაადასტურა. ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო მეთოდოლოგიურადაც და ემპირიულადაც, რამაც ჯევონსი მისი დროის მოწინავე ეკონომისტების რიგებში ჩააყენა.

ქვანახშირის საკითხებს მიეძღვნა ჯევონსის შემდგომი ნაშრომი „კითხვარი, რომელიც ერის პროგრესს და ჩვენი ქვანახშირის საბადოების შესაძლო ამოწურვას ეხება"[4]. მისი შემაშფოთებელი თეზისი იმაში მდგომარეობდა, რომ ქვანახშირის საბადოების გამოფიტვა ბრიტანეთის ეკონომიკის ზრდას ზღვარს დაუდებდა. ეკონომიკური შინაარსით ნაშრომი მდიდარი არ იყო და მისი მთავარი თეზისიც მცდარი აღმოჩნდა, თუმცა, მან ხელი შეუწყო იმის ილუსტრირებას, რომ წამყვანი ეკონომისტები 1974 წლის ნავთობის კრიზისამდე დიდი ხნით ადრე, ქვანახშირის საბადოების გამოფიტვის საკითხებს იკვლევდნენ.

---

1 Miotife of A General mathematical theory of Politival economy..., Cambr., 1862.

2 პამფლეტი (ინგლ. pamphlet) – სარკაზმით (ღვარძლით, ირონიით) გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვლენის და სხვ. წინააღმდეგ.

3 A Serious fall in the Value of Gold, 1863.

4 The Coal Question..., L., 1865.

სხვათა შორის, მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ნაშრომმა უეცარი დიდება მოუტანა ჯევონსს: რამდენიმე თვეში წიგნი ფართო მსჯელობის ბესტსელერი გახდა. იგი ჯონ სტიუარტ მილმა თემთა პალატაში მოიხსენია, ხოლო სხვებმა უკვე მის ავტორთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს.

ჯევონსმა მომდევნო წლები, 60-იან წლებში ჩაფიქრებული ძირითადი იდეების დეტალურ დამუშავებას მიუძღვნა. ამის შედეგი იყო ორი წიგნი: „**პოლიტეკონომიის თეორია**“ (1871)[1] და „**მეცნიერების პრინციპები**“ (1874)[2], რომლებმაც განსაზღვრეს მისი ადგილი მეცნიერების ისტორიაში.

ჯევონსმა შეამჩნია, რომ მეცნიერების კანონები ადრე დაგროვილი ფაქტებიდან განუყოფელია და სიცოცხლეს ჰიპოთეზის შექმნით იწყებენ; აქედან დაკვირვებებით ლოგიკური ქვეტექსტები დგინდება და გამოიკვლევა. საჭიროების შემთხვევაში ჰიპოთეზა მანამ მოდიფიცირდება, სანამ მისი არსი გამოცდილებას არ მიესადაგება.

ჯევონსმა ეკონომიკისა და ლოგიკის სფეროში მრავალი წიგნი და სტატია გამოაქვეყნა. ზოგ მათგანს, როგორც სახელმძღვანელოებს, დიდი წარმატება ხვდათ წილად და ასი ათასობით ეგზემპლიარი გაიყიდა. ისინი სოციალური პრობლემების მიმართ ფართო ინტერესს აკლენდნენ.

პოლიტეკონომიაში ჯევონსის თავდაპირველი სახელმძღვანელო „**პოლიტიკური ეკონომიის საწყისები**“ (1878)[3], ყოველისმომცველი მეცნიერული ნაშრომიდან (რომელიც, აეტორის აზრით, ეკონომიკაში მისი მიღწევის გვირგვინი უნდა ყოფილიყო) ეკონომიკის პრინციპების შესახებ ნაწყვეტილა დარჩა[4].

მისი შემდგომი სტატიებიდან ეკონომიკის ისტორიაში შედარებით მყარი ადგილი მხოლოდ ერთს ხვდა, რომელშიც იყო მზის სხივების აქტივობის ცვლილებებით გამოწვეული ეკონომიკური ციკლების ახსნის ცდა, რაც გარე ძალების ზემოქმედებით წარმოშობილი თეორიების ნიმუში გახდა[5].

ჯევონსის არგუმენტებით, მზის აქტივობა გავლენას ახდენს ინდოეთში ბრინჯის მოსავალზე, რაც თავის მხრივ, ინგლისის საექსპორტო მოთხოვნილებაზე მოქმედებს, რომელიც შემდგომში დიდ გავლენას ახდენს მთელ ეკონომიკურ ციკლზე.

ჯევონსის **სტატიების და კორესპონდენციების** 7-ტომეული რ.დ. ბლეკმა და რ.კნეკამპმა გამოსცეს 1972-1981 წლებში[6].

1.3. კლებადი სარგებლიანობა

ჯევონსის როგორც ეკონომისტის სახელი, დაკავშირებულია მის მთავარ ნაშრომთან „პოლიტიკური ეკონომიის თეორია“ (1871).

ჯ.ს. მილის აზრით, ღირებულების თეორიაში მისთვის, ან რომელიმე მომავალი მეცნიერისთვის გასარკვევი არაფერი დარჩა – თეორია დასრულებულია. ჯევონსი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. მან ეს სარგებლიანობისაგან ღირებულების თეორიის მიღებით დაასრულა. არგუმენტი შეიძლება შემდეგ წინადადებებში ჩამოყალიბდეს: საწყისი წერტილი **სარგებლიანობის** მტკიცებაა: სიამოვნების მაქსიმუმამდე აყვანა არის ეკონომიკის პრობლემა[7]. ჯევონსმა ამ შემთხვევაში „პოლიტიკური ეკონომიის“ ნაცვლად „**ეკონომიკა**“ („economics“) გამოიყენა.

თუმცა ნათელია, რომ რასაც ჯევონსი გულისხმობს, მრავალი შესაძლებელი ვარიანტიდან რომელიმეს ამორჩევის პროცესია. სიამოვნების წარმოშობა საკუთარი სარგებლიანობიდან გამომდინარეობს. **სარგებლიანობის რაოდენობა** შეესაბამება მიღებული სიამოვნების რაოდენობას[8].

---

1 The Theory of Political Economy, L., 1871.
2 The Principles of science, 2Vds, L.-N.Y., 1874.
3 Primer of Political Economy, L., 1878.
4 The Principles of Economics..., L., 1905.
5 Investigations in Currency and Finance, L., 1884.
6 Papers and Correspondence, 7 vols, 1972-1981.
7 The Theory of Political Economy, გვ.37.
8 Джевонс У.С., Краткое сообщение об общей математической теории политической экономии – "Вехи экономической мысли", Санкт-Петербург, 2000, გვ. 72.

მოხმარებაში სარგებლიანობის ხარისხის განსაზღვრისათვის, ჯევონსი „სარგებლიანობის კლებადი ხარისხის“ ტერმინს იყენებს (ეს სწორედ ის არის, რასაც მოგვიანებით ზღვრული სარგებლიანობა ეწოდა). ამას „კლებადი ზღვრული სარგებლიანობა“ მოსდევს: ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სარგებლიანობის ხარისხი, საქონლის რაოდენობის ზრდასთან ერთად იცვლება და მცირდება“[1]. სწორედ ამით განსხვავდებოდა მისი შეხედულება შემდგომში „ვენის სკოლის“ დოქტრინისაგან, რომლის მიხედვითაც ზღვრული სარგებლიანობა დოვლათის ბოლო ერთეულის სარგებლიანობაა.

ჯევონსის „პრინციპი“ მოგვიანებით გოსენის I კანონადაა წოდებული. ჯევონსი პირველობას არ იჩემებს, მაგრამ ამბობს, რომ ის ნაგულისხმევია ბევრი ეკონომისტის ნაწერებში, თუმცა გამოკვეთილი არ არისო.

საქონელი სხვადასხვა მოხმარებისათვის შეიძლება გადანაწილდეს (მაგ., ჭვავი საკვებად), მაშინ ოპტიმალური განაწილება ისეთია, რომ ზღვრული სარგებლიანობა ყველა გამოყენებაში ერთნაირია[2].

ეს მტკიცება წარმოადგენს გოსენის II კანონის ელემენტარულ საწყისს. ის საწყის ფორმაზე მეტი არ არის, ვინაიდან ერთი და იმავე მოხმარების საგნების სხვადასხვა გამოყენებას ეხება. გოსენის კანონის სრული სახე იმ შემთხვევაში ჩამოყალიბდებოდა, თუ მტკიცება მომხმარებელზე სხვადასხვა ფულის განაწილებას მიესადაგებოდა.

1.4. შრომა

ჯევონსის აზრით, შრომა სიამოვნების მიღების საშუალებაა, რომელსაც თან სდევს გარკვეული უსიამოვნებაც. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია შრომის ინტენსიობასა და ხანგრძლივობაზე. აქედან გამომდინარე, შრომა გაგრძელდება მანამ, ვიდრე მისი შემდგომი მატება არ გახდება უფრო მეტი უსიამოვნების მომტანი, ვიდრე პროდუქტის მატებიდან მიღებული სიამოვნება.

ამრიგად, შრომა წყდება მაშინ, როდესაც მისგან მიღებული უსიამოვნება გადააჭარბებს სიამოვნებას, მაგრამ ამ მომენტამდე მას თან ახლავს სიამოვნების სიჭარბე.

1.5. გაცვლა

ინდივიდუალური სარგებლიანობის მაქსიმიზაცია გაცვლის თეორიის საფუძველს უზრუნველყოფს. სრულყოფილ ბაზარზე ერთგვაროვანი საქონლის ყველა გაცვლისათვის მხოლოდ ფასთა ერთიანი თანაფარდობა მყარდება. ეს არის ჯევონსის „ნეიტრალობის კანონი“, რომლის მიხედვითაც „ღია ბაზარში, ერთსა და იმავე საქონელზე ორი ფასი ნებისმიერ მომენტში არ შეიძლება იყოს“[3].

ჯევონსის მიხედვით, თუკი ადამიანს აქვს რომელიმე სასარგებლო საგანი, რომლის სარგებლიანობა ნაკლებია სხვა ადამიანის მფლობელობაში არსებული საგნის სარგებლიანობაზე, მაშინ გაცვლის პროცესი არ შედგება, რადგან მეორე რაღაცას კარგავს, პირველი კი იგებს; სარგებლიანობის გატოლება ორთავე მხრიდან კი გაცვლას უზრუნველყოფს.

ორ მონაწილესა და ორ საქონელს შორის ჩამოყალიბებული გაცვლის პრინციპი ჯევონსმა განავრცო მონაწილეებისა და დოვლათის ნებისმიერ რაოდენობაზე.

ჯევონსთან ინდივიდებს შორის იზოლირებული გაცვლის პრობლემა წმინდა კონკურენციით განისაზღვრება.

---

1 The Theory of Political Economy, გვ. 53.
2 The Theory of Political Economy, გვ. 60.
3 Jevons W., The Theory of Political Economy, გვ. 91.

1.6. კაპიტალი

თუ „პოლიტიკური ეკონომიის თეორია“ ძირითადად სარგებლიანობასა და გაცვლის პრობლემებს ეხება, ჯევონსის სხვა მნიშვნელოვანი სტატიები კაპიტალის პრობლემებს განიხილავს. მისი დაშვებით, სარგებლიანობის შეფასებისას აუცილებელია ყველა მოსალოდნელი შემთხვევის გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი სიამოვნება-უსიამოვნებანი პროპორციულად უნდა შემცირდეს. სიამოვნება და უსიამოვნება დროის ნებისმიერ მომენტში (სხვადასხვა ხანგრძლივობით) შეიძლება იყოს სუსტი ან ძლიერი[1]. თუ ათიდან ერთ შემთხვევაში სასიამოვნო დღე გვექნება, მაშინ სიამოვნება ერთი მეათედით განისაზღვრება[2].

ჯევონსის აზრით[3], კაპიტალი ყველა იმ სასარგებლო საგნებისაგან შედგება, რომლებიც აკმაყოფილებენ მშრომელის ყველა ჩვეულებრივ სურვილსა და მოთხოვნილებას, შესაძლებლობას აძლევს მას იმ სახეობის საქმიანობით გაკავდეს, რომლისგანაც შედეგის მიღება გარკვეულ დროში გადავადებული იქნება; კაპიტალი მუშათა არსებობის საშუალებაა.

აქედან გამომდინარე, **კაპიტალს** იგი საქონლის მარაგად განიხილავს, რომელიც მომხმარებელს პირდაპირ (საკვების მსგავსად) ან არაპირდაპირ (მანქანების მსგავსად) ელოდება. კაპიტალის ძირითადი ფუნქცია არის მუშის შრომიდან მიღებულ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მოხმარების უკანასკნელ აქტს შორის ინტერვალის დაშვება. ჯევონსის გაგებით, **„კაპიტალი დროითაა დაინტერესებული“**. დროითი ინტერვალის გასაზომად ჯევონსმა **„კაპიტალდაბანდების საშუალო ინტერვალის“** ცნება შემოიტანა.

1.7. მოკრძალებული წვლილი

ჯევონსის შეხედულებით, ეკონომიკის თეორია მემკვიდრეობით მათემატიკურია და ყველა სწავლულ-ეკონომისტი მათემატიკოსიც უნდა იყოს. მან და ვალრასმა ყოველი ღონე იხმარეს ამ თვალსაზრისის დამკვიდრებისათვის.

ჯევონსისათვის მათემატიკის ღრმად შესწავლა ძნელი აღმოჩნდა. როგორც მათემატიკოსი, იგი კურნოსა და მარშალზე დაბლა იდგა. რიკარდოსთან, ტიუნენთან ან გოსენთან შედარებით, მას უკეთესი ცოდნა ჰქონდა, მაგრამ — ნაკლები შინაგანი ტალანტი.

როგორც თავისი დროის ერთ-ერთი ცნობილი ლოგიკოსი, ჯევონსი ეკონომიკური თეორიისადმი მათემატიკურ მიდგომასა და კვლევაში რაიმე წინააღმდეგობას ვერ ხედავდა, მისთვის, ისევე როგორც თანამედროვე ეკონომისტებისათვის, მათემატიკა ზუსტი რეკომენდაციების მიღების საშუალება იყო.

მან დიდი რაოდენობით მონაცემები შეაგროვა და სტატისტიკური მეთოდის განვითარება სცადა, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური ჰიპოთეზების (ვარაუდების) წამოყენება შეიძლებოდა.

ჯევონსი თავისი ძლიერი ანალიტიკური ორიენტირებით, თანამედროვე **ეკონომეტრიკის ერთ-ერთ წინამორბედად** შეიძლება ჩაითვალოს.

ჯევონსს მეცნიერული აღმოჩენა ინტუიციური აღიარების სახით მოევლინა. ლოგიკაში ჯევონსის წვლილის შეფასება ფილოსოფოსებს უნდა მიეანდოთ, ეკონომიკაში კი მისი აღიარება ისტორიამ დაამტკიცა.

ჯევონსი დარწმუნებული იყო, რომ მეცნიერებაში მისი საფუძვლიანი და მნიშვნელოვანი წვლილი ასევე სიახლეს წარმოადგენდა. აქ იგი ცდებოდა, რადგანაც ღირებულების თეორიის ყველა ძირითადი ელემენტის პოვნა მას შეეძლო ჩვიდმეტი წლის წინ დაწერილ გოსენის ნაშრომში. თუმცა, გოსენის წიგნი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა და ჯევონსის ყურადღება მან მხოლოდ 1878 წელს, თავისი მეგობრის, რობერტ ადამსონის მეშვეობით მიიპყრო.

---

1 Джевонс У.С., Краткое сообщение об одной математической теории политической экономии – "Вехи экономической мысли", გვ. 71.

2 Jevons W., The Theory of Political Economy, გვ. 35-36.

3 Джевонс У.С., Краткое сообщение об одной математической теории политической экономии – "Вехи экономической мысли", გვ. 75-77.

„პოლიტიკური ეკონომიის თეორიის“ მეორე გამოცემაში ჯევონსმა აღიარა, რომ გოსენმა „მას გაასწრო“: რამდენადაც გავიგე, მის მიერ დამუშავებული თეორია უფრო სრულია, ვიდრე ის, რისი დაგეგმვაც მე შევძელი[1], — აღნიშნავს იგი.

გოსენისაგან განსხვავებით, ჯევონსი ილბლიანი რაციონალიზატორი იყო. თუმცა მისი წვლილის ფუნდამენტური არსი მაშინვე არ აღიარებულა. ალფრედ მარშალი უარყოფითი აზრისა იყო მასზე: ჯევონსის პოპულარობა ფაქტობრივად, მისი მეგობრის ვალრასის მეშვეობით დაიწყო.

რამდენიმე წელში „მარჟინალურმა რევოლუციამ“ წარმატებას მიაღწია. ფაქტობრივად, ეს იყო არა რევოლუცია, არამედ ევოლუცია. მთავარია როგორც ახალი იდეების დასაბუთება, ასევე ძველ იდეებთან დამოკიდებულების გამოხატვაც.

მეცნიერებამ ჯევონსის თეორია მთლიანად შთანთქა და მან შემდგომ განვითარებაზე იმპულსები შეასუსტა, მაშინ, როდესაც ადამ სმითი, დეივიდ რიკარდო, ალფრედ მარშალი, ჯონ მეინარდ კეინზი და სხვ. ეკონომიკური აზროვნების სტიმულირებას აგრძელებდნენ.

ჯევონსმა „სკოლა“ არ დატოვა. რიკარდოდან მარშალამდე ინგლისური ეკონომიკური დოქტრინების განვითარების საერთო ხაზში იგი ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო. თავისი ნათელი და ცოცხალი ენით ის ცდილობდა ცოდნის გავრცელებას დაწყებითი სკოლის დონემდე, თუმცა ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში რამე ახალი დოგმის დამკვიდრება ვერ შეძლო.

2. „გაცვლის დოქტრინა“: ფრენსის ისიდრო ეჯუორთი (1845-1926)

2.1. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი

ფრენსის ისიდრო ეჯუორთი (Edgeworth) უცნაური პიროვნება იყო, როდესაც ზოგიერთები კანონებს ეძიებდნენ, იგი გამონაკლისებს პოულობდა; მაშინ, როდესაც ზოგნი სიზუსტისაკენ ისწრაფოდნენ, იგი ექსპერიმენტატორობით კმაყოფილდებოდა. მაშინ, როდესაც სხვები არაპროფესიონალებისათვის წერდნენ, იგი თავისი სტილის თავისებურებით და აზროვნებით ექსპერტებს თავბრუს ახვევდა. მიუხედავად ამისა, მან ფუნდამენტური ნაშრომები უძღვნა ვალუტის კურსის საკითხების ახსნას.

ეკონომიკურ-მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი ფ.ი. ეჯუორთი დაიბადა 1845 წელს ირლანდიაში. მამამისი ძველი ინგლისური გვარის შთამომავალი იყო. დედამისი ესპანელი ემიგრანტი ქალი, მამამისს ბრიტანეთის მუზეუმში შეხვდა და სულ რამდენიმე კვირაში ისინი დაქორწინდნენ. ფრენსისს ორი წლის ასაკში მამა გარდაეცვალა.

ფრენსისი ლიტერატურის მოყვარულთა და ღირსების მქონე ოჯახში იზრდებოდა. მან ფართო კლასიკური განათლება მიიღო, შეისწავლა ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და იტალიური ენები.

ჩვიდმეტი წლის ასაკში ეჯუორთი შევიდა ტრინიტის კოლეჯში, შემდეგ სწავლა ოქსფორდის უნივერსიტეტში განაგრძო, რომელსაც ორი წლის შემდეგ ამთავრებს (1869) კლასიკური ენების განხრით (ხარისხი მიენიჭა 1873 წელს).

ფრენსისმა თავდაპირველად თავისი კარიერა ადვოკატობით დაიწყო, პარალელურად მათემატიკის, ბერძნული ფილოსოფიისა და ეთიკის შესწავლას შეუდგა.

1880 წელს მიიღო ლოგიკის ლექტორის მუდმივი თანამდებობა კინგს-კოლეჯში (ლონდონი). ცოტათი ადრე (1879) ჯევონსმა ეჯუორთს ეკონომიკისადმი ინტერესი აღუძრა და იგი მარშალს წარუდგინა. ეს ორი პიროვნება იქცა ეჯუორთის პროფესიონალური ცხოვრების სულიერ მამებად.

ეჯუორთი 1888 წლიდან ეკონომიკიდან სტატისტიკისაკენ გადაიხარა. 1888-91 წწ. კინგს-კოლეჯში (ლონდონი), 1891-1922 წწ. კი ოქსფორდის უნივერსიტეტში პროფესორად მუშაობდა.

ეჯუორთს ახასიათებდნენ როგორც კეთილ, მოკრძალებულ, კარგი იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ, ორიგინალურად მოაზროვნე მეცნიერს.

იგი გარდაიცვალა 1926 წელს ირლანდიაში.

---

1 **Jevons** W., The Theory of Political Economy, L., 1957, XXXV.

2.2. სამი წიგნი

ეჯუორთმა გამოიკვლია ალბათობის თეორიის ლოგიკური და ფილოსოფიური საფუძვლები, სარგებლიანობის გაზომვისა და ეკონომიკური წონასწორობის მათემატიკური განსაზღვრის შესაძლებლობები. ამ გამოკვლევებს მან მიუძღვნა სამი თხელი წიგნი, რომლებითაც მოწინავე მეცნიერთა შორის სახელი დაიმკვიდრა.

მის ნაშრომში **„ეთიკის კვლევის ახალი და ძველი მეთოდები"** (1877)[1], ისეთი უტილიტარული პრობლემის გადაწყვეტისას, როგორიცაა მოცემული რესურსების გადანაწილება ინდივიდებზე მათი სურვილების მაქსიმალური გათვალისწინებით, მან დიფერენციალური აღრიცხვის მეთოდი გამოიყენა და ეკონომიკურ თეორიაში მულტიპლიკატორის ცნება შემოიტანა.

ეკონომიკური თეორიისადმი მიძღვნილ ძირითად ნაშრომში **„მათემატიკური ფიზიკა"** (1881)[2] ეჯუორთმა ფასების პრობლემები გააანალიზა.

ეჯუორთის შემდეგ ნაშრომს **„საზომი, ანუ ალბათობისა და სარგებლიანობის გაზომვის მეთოდი"** (1888)[3] მისი თაყვანისცემლენიც კი ირონიით შეხვდნენ.

ამასთან, ეჯუორთის შრომების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი წერილების სახით ჟურნალებსა და „პოლიტეკონომიის ლექსიკონში". 80-იან წლებში მეცნიერმა ძირითადი დრო ალბათობისა და სტატისტიკის საკითხების გაშუქებას დაუთმო.

ეკონომისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესო იყო 1888 წელს გამოცემული ინდექსებისა და საბანკო საქმის მათემატიკური მოდელირებისადმი მიძღვნილი მისი ერცელი პუბლიკაციები. მათში საბანკო რეზერვებზე მოთხოვნილების ასახსნელად პირველად იყო გამოყენებული საბრუნავი სახსრების მოდელი დეპოზიტური დანაკარგების პირობებში. ეჯუორთმა საფუძველი ჩაუყარა „საბანკო საქმის თანამედროვე დოქტრინას", რომელმაც ნაყოფი სამოცდაათი წლის შემდეგ გამოიღო.

ეჯუორთის მიერ ეკონომიკური თეორიებისადმი მიძღვნილმა წერილებმა, მათ შორის ნარკვევებმაც. შეადგინეს სამი ტომი (1925)[4]. ძირითად საკვლევ საგნად ამ წერილებში მონოპოლიისა და ფასების დისკრიმინაციის საკითხი გვევლინება. სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად ავტორმა გვიჩვენა, რომ მიწოდების და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულებასთან მიმართებით, გადასახადებმა ორივე საქონლის ფასი შეიძლება შეამციროს, მაგრამ ამ პარადოქსის ახსნის პატივი ეჯუორთმა ჯაროლდ ჰოტელინგს დაუთმო.

ოლიგოპოლიის განხილვისას ეჯუორთი გამოყოფს ფასების განუსაზღვრელობის საკითხს, ვინაიდან ოლიგოპოლისტთა ურთიერთსაპასუხო რეაქცია წინასწარ შეუთანხმებელია. ამდენად, კურნოს მიერ შემოთავაზებული დუოპოლიის სახელცვლილება იმის ილუსტრაციაა, თუ რატომ იყო ეჯუორთის არგუმენტაცია ასე ნაკლებ შედეგიანი.

საერთაშორისო ვაჭრობის დოქტრინის განხილვისას მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მონოპოლიური ძალაუფლების პირობებში საქონლის ოპტიმალურ შეფასებას (ოპტიმალური ფასის დადებას) მიანიჭა. ეჯუორთი ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკას. დაბეგვრისა და ბაზრის გაურკვეველობის საკითხი მას იმდენად აინტერესებს, რამდენად უტილიტარული პრინციპის მიმდევრები სწორედ ამ ფაქტებს ანიჭებენ განსაკუთრებულ როლს.

საბოლოოდ, ასეთი ეკონომიკური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ავტორებს გააჩნიათ ორიგინალური გამჭრიახობა და ხშირად მათ მათემატიკური მტკიცება ხელეწიფებათ, მაშინ როდესაც ზოგიერთი მხოლოდ საფუძვლიანი მოსაზრებებით კმაყოფილდება. მაგრამ ეჯუორთის წერილების ანალიტიკური მასალა თანდათან კარგავს ღირებულებას, ისინი სხვათა ნაშრომების განხილვას უფრო გვაგონებს. იმედისმომცემ იდეებს ყოველთვის კონკრეტულ დასკვნამდე არ მიუყვევართ. მართალია, მათემატიკისა და პოეზიის შერწყმის სტილს თავისებური ხიბლი აქვს, მაგრამ იგი მასალის წაკითხვას საკმაოდ აძნელებს და ხშირად გასაგებადაც რთულია.

---

1 Edgewort E.: New and old Methods of Ethics, Oxf., 1977.

2 Mathematical psychics; an essay on the application of mathematics to the moral sciences, L., 1881.

3 Metretike or the method of measuring probability and utility, L., 1888.

4 Papers relating to political economy, v.1-3, L., 1925.

ეჯუორთს როგორც ეკონომიკური ანალიზის თეორეტიკოსს, სახელი მოუხვეჭა ფასების თეორიამ, რომელიც განხილულია ნაშრომში „მათემატიკური ფიზიკა“ (ორმოც გვერდზე). ამ ტრაქტატის მთავარი მიზანი გადმოცემულია მისივე ქვესათაურში „ესე მათემატიკის გამოყენების შესახებ ეთიკაში. კერძოდ, ეჯუორთი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სარგებლიანობის ანალიზში მათემატიკური მსჯელობები შედეგიანია მათემატიკური სიმბოლოების შესატყვისი რიცხობრივი მონაცემების გარეშეც. ფაქტობრივად, ეს ვარაუდი არც ახალი იყო და არც სადაო. მისი დამსახურება მდგომარეობს იმ სპეციფიკური ლიტერატურის შეშუშავებაში, რომლებიც მას საკუთარი დებულებების დასამტკიცებლად დასჭირდა.

ავტორის ორი მნიშვნელოვანი დებულება სარგებლიანობის პრობლემას შეეხება. ეჯუორთმა პირველმა განსაზღვრა ინდივიდუალური სარგებლიანობა, როგორც მთელი მოხმარებული საქონლის ჯამური ფუნქცია, რომელიც ყოველი საქონლის დამატებით მოხმარების პირობებში მცირდება. გარდა ამისა, პირველმა წარმოადგინა უპირატესობის მქონე სხვადასხვა დოლათის სამომხმარებლო სარგებლიანობის არჩევანი წყვეტილი ხაზებით. ამ მიზნით მან გამოიყენა ტერმინი „განურჩევლობის მრუდი“, რომელიც აჩვენებს მომხმარებლის მიერ სხვადასხვა დოლათის არჩევას. ეჯუორთი სარგებლიანობას რაოდენობრივ საზომად მიიჩნევს, მაგრამ მისი ფასთა თეორია ძალას რიგითი სარგებლიანობისათვის ინარჩუნებს.

ეჯუორთის ყველაზე ორიგინალური მონაპოვარია ფასების თეორიის დაწერილებითი ანალიზი. მარშალის მსგავსად, მან მოახდინა ორი წარმოდგენილი ვაჭრის (მაგ., A და B) მიწოდების მრუდების ზედდება ორი საქონლის (მაგ., ეაშლი და ფორთოხალი) ამოზნექილ ღერძებზე. ეჯუორთი მიუბრუნდა ინდივიდუალური უპირატესობების პრობლემებს. შედეგად, პირველად ნათლად წარმოჩნდა განურჩევლობის მრუდებიდან ბაზრის ფასების ცნება, ვალრასთან კი იგივე დიფერენცირება ბუნდოვანია.

მიღებული შედეგი ფაქტობრივად წარმოადგენს ე.წ. ეჯუორთის ყუთს, მაგრამ იგი უნდა დალოდებოდა პარეტოს, რათა მიეღო კარგად ცნობილი ყუთისებრი მოხაზულობა. შემდგომში მსჯელობა ეფუძნება „ყუთის“ დიაგრამას, თუმცა ეჯუორთი მხოლოდ მის სეგმენტს იყენებდა.

ეჯუორთის ძირითად დებულებას წარმოადგენს ოპტიმალური გარიგების მრუდი, რომელიც განსაზღვრულია, როგორც ინდივიდზე საქონლის ისეთი განაწილების კომპლექსი, როდესაც შეუძლებელია ერთი მათგანის ზრდა მეორის დაზიანების გარეშე. ეს საქონლის ისეთი განაწილებაა, რომელსაც პარეტომ მოგვიანებით ოპტიმალური უწოდა, მაგრამ ეს კონცეფცია ეჯუორთს ეკუთვნოდა.

როცა საქმე გვაქვს მოვაჭრეთა ორ წყვილთან, კონტრაქტის მრუდის გასწვრივ კვლავ განურჩეველობის ზღვარი ჩნდება, ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მათ დაემატა მესამე წყვილი. ეს აძლევს ფართო გასაქანს ორივეს წყვილთაგან შემდგომში თავიანთ კონკურენტს შედარებით დაბალ ფასებში შესთავაზონ წინადადება, რომელმაც ზღვარი უნდა შეამციროს.

უფრო ზოგადად, შესაძლებელია ბაზარი წარმოდგენილი იყოს ვაჭართა ორი ჯგუფით, სადაც თითოეული იდენტურ თავისუფალ ინდივიდთა ნებისმიერ რაოდენობას მოიცავს. თავისუფალი შერჩევით მიღებული შეფარდებითი ფასების პირობებში, ერთი ჯგუფის მიერ შეთავაზებული და მოთხოვნილი რაოდენობა აღემატება მეორე ჯგუფის მიერ შეთავაზებულ და მოთხოვნილ რაოდენობას. რიცხობრივად უფრო დიდ ჯგუფში შესაძლოა ქვეჯგუფების შექმნა იმგვარად, რომ მეორე ჯგუფი იღებდეს ზუსტად იმდენს (იმას), რაც მას სურს და იმავდროულად ქვეჯგუფის ყველა წევრი საკუთარ სურვილს იკმაყოფილებდეს.

ამრიგად, მოთხოვნის და მიწოდების გატოლების მიღწევა შესაძლებელია გარიგების სხვა წევრების გამორიცხვით. ასეთი მოქმედება გარიგებიდან გამოყოფილ წევრებს სავაჭრო მოგების შესანარჩუნებლად სხვა მხარისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზებისაკენ უბიძგებს. ამ განახლებულ პირობებში დაიწყება კონტრაქტების დადების ახალი „რაუნდი“ და ა.შ., სანამ მოგებიანი ქვეჯგუფის შესაძლებლობები არ ამოიწურება.

მრავალრიცხოვანი მოვაჭრის მონაწილეობით ეს პროცესი წმინდა კონკურენციის წონასწორულ წერტილს ასახავს. ამ წერტილში თითოეული ჯგუფის მიერ მოთხოვნილი და მიწოდებული საქონლის რაოდენობა ერთმანეთს დაემთხვევა. ამიტომ შეუძლებელია ერთი ჯგუფის

დაკმაყოფილება მეორე ჯგუფის ზოგიერთი წევრის გამოყოფით. ამდენად, ედჯუორთის ხელახალი კონტრაქტების დადების პროცესს ბაზრის ისეთი წონასწორობისკენ მივყავართ, როგორიცაა ვალრასის ზოგადი წონასწორობის სისტემა, იმ განსხვავებით, რომ სიმბოლური აუქციონისტი ალიანსის მუდმივი შექცევადობის წარმოსახვითი თამაშის შედეგად იცვლება.

უკანასკნელი დებულების მირნევა მხოლოდ წმინდა კონკურენციის ალტერნატიულ რეალიზაციად მთლიანად ვერ წარმოაჩენდა ედჯუორთის წვლილს ეკონომიკური დოქტრინების განვითარებაში. მისი ძირითადი ინტერესია არა წმინდა კონკურენციის შეზღუდვა, არამედ მონოპოლიის, ოლიგოპოლიის, კოალიციისა და კოოპერაციის პირობებში არასრულყოფილი (მონოპოლისტური) კონკურენციის პრობლემის გარკვევა. იგი თავსებადია მის სარგებლიანობის (უტილიტარისტულ) კონცეფციასთან. სწორედ იმიტომ, რომ ინდივიდუალური ოპტიმიზაციის ეკონომიკურ აღრიცხვას შედეგების სრული განსაზღვრა არ შეუძლია, უტილიტარული აღრიცხვისას საჭიროა განსხვავების შენარჩუნება საზოგადოებრივი სარგებლიანობის მაქსიმიზაციის მიზნით. ამიტომ „მათემატიკური ფიზიკის“ მეორე ნაწილი მიძღვნილია „უტილიტარული აღრიცხვისადმი“ ეკონომიკაში არსებული მისიეე ადრეული პრინციპების გამოყენებით. ვინც გაითავისა ედჯუორთის ნაშრომის (1881) იდეა, მას არ დასჭირდებოდა 1933 წელს არასრულყოფილ კონკურენციაში მომხდარი რევოლუცია.

2.3. შეფასება

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფ.ი. ედჯუორთი იყო არა მარტო გამოჩენილი სტატისტიკოსი, არამედ აგრეთვე თავისი დროის შესანიშნავი ეკონომისტი, თუმცა მისი ნაშრომები არაერთგვაროვნად შეაფასეს, სარგებლიანობის ფუნქცია, განურჩევლობის და კონტრაქტების მრუდები მყარად დამკვიდრდა ეკონომიკურ დოქტრინებში; მეორე მხრივ, ხელახალი კონტრაქტების დოქტრინამ ფაქტობრივად გამოხმაურება მანამდე ვერ ჰპოვა, ვიდრე მას მეცნიერები თამაშთა თეორიისა და ზოგადი წონასწორობის ანალიზისას კვლავ არ მიუბრუნდნენ; ვერც ედჯუორთის კერპებმა, ჯევონსმა და მარშალმა, ვერ გაიგეს თუ რას ისახავდა იგი მიზნად. ასეთი უგულებელყოფის ერთ-ერთი მიზეზი იმანაც განაპირობა, რომ პირველი ცდის (1881) შემდეგ, ედჯუორთმა თავისი დოქტრინა შემდგომში აღარ განავითარა.

კიდევ ერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ დოქტრინებს ძნელად იზიარებდნენ ისეთ სექტორშიც კი, როგორიცაა მიკროეკონომიკა – ეკონომისტებს იშვიათად აინტერესებდათ ინდივიდუალური გადაწყვეტილებები და გაცილებით უფრო მეტ ყურადღებას ჩიენდნენ ისეთი გაერთიანებების მიმართ, როგორებიცაა მრეწველობის დარგები და (სოციალური) საზოგადოებრივი ჯგუფები.

„მათემატიკური ფიზიკის“ დაწერიდან ერთი საუკუნის შემდეგაც ვერ მოხდა ედჯუორთის ვალუტის კურსის დოქტრინის პოტენციალის სრული რეალიზაცია მისი თაყვანისმცემლების მიერ.

თავი XII.
ლოზანის სკოლა

1. გოგადი წონასწორობის დოქტრინა: ლეონ ვალრასი (1834-1910)

1.1. ლოზანის სკოლის დამაარსებლის ნობელის მშვიდობის პრემიაზე წარდგენა

ლეონ ვალრასი (Walras) შვეიცარიელი ეკონომისტი, ლოზანის უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე – პროფესორი (1870-1892), ლოზანის სკოლის დამაარსებელი, ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის ერთ-ერთი წინამორბედი, დაიბადა 1834 წელს, ეერეუქსში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლეონმა სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში განაგრძო, საიდანაც იგი მათემატიკაში არასათანადო მომზადების გამო გაირიცხა.

მან კვლავ დააპირა სასწავლებელში აღდგენა, მაგრამ სპეციალური საგამოცდო პროგრამის მომზადების ნაცვლად მთელი თავისი დრო დეკარტისა[1] და ინგლისელი ფიზიკოსის, მათემატიკოსის და ასტრონომის, კლასიკური ფიზიკის ფუძემდებლის, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ერთ-ერთი შემოქმედის ისააკ ნიუტონის (1643-1727) ხელნაწერებში ანალიზური გეომეტრიის, აღრიცხვისა და მექანიკის შესახებ არსებული წყაროების შესწავლას მოახმარა. ამ დროისათვის მან კურნოც გადაიკითხა. ყოველივე ამის გამო იგი მეორედ ჩაიჭრა გამოცდაზე.

„პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან გამოგდებულმა“ ლეონმა სამთო სკოლაში დაიწყო სწავლა, რომელიც მალე მიატოვა.

მომავალში მთელი თავისი ენერგია მან ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების შესწავლას მოახმარა. ამ პერიოდში ვალრასმა, ჯეეონსის მსგავსად, მწერლობა გადაწყვიტა და ბედი პროზაში სცადა, თუმცა წარუმატებლად.

1858 წლის ერთ საღამოს მამასთან სეირნობის შემდეგ იგი ეკონომიკისკენ შემობრუნდა. მამამისმა, მას შემდეგ, რაც საინჟინრო სწავლების შეწყვეტა აპატია, მას განუმარტა, რომ მე-19 საუკუნეში დიდი ამოცანა დარჩა შესასრულებელი, კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა შექმნა. ლეონმა მამას აღუთქვა, რომ მიატოვებდა ლიტერატურას და თავის სიცოცხლეს მთლიანად მამის მიერ რეკომენდებული საქმიანობის გაგრძელებას მიუძღვნიდა.

თავდაპირველად განზრახული წინსვლა გაჭიანურდა. ვალრასმა დაწერა სტატიები ჟურნალებისათვის, რომელთა გამოქვეყნებაზეც მალე უარი უთხრეს. იგი გაზეთისათვისაც მუშაობდა, მაგრამ ნაკლებ ანგარიშს უწევდა გამომცემელთა უფლებამოსილებებს. ვალრასმა საკუთარი ჟურნალის დაარსება ვერ შეძლო.

1858 წელს ვალრასი უკავშირდება ქალს, რომელთანაც თოთხმეტი წლის ურთიერთობის შემდეგ (1872) ოფიციალურად ქორწინდება. 1862 წელს მან სამსახური იშოვა. რამდენიმე წლის შემდეგ საბანკო დაწესებულების მენეჯერი ხდება, ხოლო 1868 წელს დაწესებულება სუსტდება და იგი ბანკის რიგითი მოხელე ხდება.

1870 წლიდან ვალრასის საქმეები უმჯობესდება. ლოზანაში საგადასახადო კონგრესზე ვალრასის გამოსვლამ ყურადღება მიიპყრო და იგი კურსებზე ლოზანის აკადემიაში მიიწვიეს. ათი წლის შემდეგ იგი ლოზანაში სამართლის ფაკულტეტზე პოლიტიკური ეკონომიის ახალ კათედრაზე სამუშაოდ მიიწვიეს. საგამოცდო კომისია სამი პროფესორისა და ოთხი საოლქო პოლიტიკოსისაგან შედგებოდა. ორი პროფესორი წინააღმდეგი იყო, რადგან მის სოციალისტურ მიდრეკილებებში დაეჭვდნენ. სამმა არასოციალისტმა პოლიტიკოსმა მისი მხარე დაიჭირა, ვინაიდან იდეოლოგიაზე

---

1 დეკარტი (Descartes) რენე (1596-1650) - ფრანგი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი. დეკარტის მიხედვით, ფილოსოფიური სისტემის ამოსავალი დებულება ცხადი და სარწმუნო უნდა იყოს. ასეთმა პრინციპმა ყოველგვარ ეჭვს უნდა გაუძლოს. იგი არის ანალიზური გეომეტრიის შემქმნელი. მან პირველად შემოიტანა ცვლადი სიდიდისა და ფუნქციის ცნებები („გეომეტრია“, 1637 წ.). ანალიზურ გეომეტრიაში მის მიერ შემოტანილმა კოორდინატთა მეთოდმა უდიდესი გავლენა მოახდინა მათემატიკის განვითარებაზე.

უფრო მნიშვნელოვნად მეცნიერული შედეგები ჩათვალეს. საბოლოოდ, ვალრასი ერთი წლის ვადით დაინიშნა. შემდეგ კი ამ თანამდებობაზე 1892 წლამდე იმუშავა.

70-იანი წლები ყველაზე ნაყოფიერი იყო ვალრასის ცხოერებაში, ამ დროს ჩამოყალიბდა მისი მთავარი სამოქმედო გეგმა. მათემატიკური ეკონომიკის „სახარების" განვრცობა მისი ცხოერების კრედოდ იქცა. ლეონის დიდმა ჩანაფიქრმა საკმაოდ მძიმე შრომა მოითხოვა, ვინაიდან მათემატიკაში განსაკუთრებული განსწავლულობით არ გამოირჩეოდა.

როგორც პედაგოგი, ვალრასი პატივცემული პიროვნება იყო, მაგრამ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს მათემატიკური ეკონომიკის ცოდნა ნაკლებად აინტერესებდათ. ვალრასის ლექციები მხოლოდ მათ მცირე ნაწილს იზიდავდა. იგი თავის თანამოაზრეებს წარმატების მისაღწევად უმეტესწილად იტალიაში აგზავნიდა.

1892 წელს 58 წლის ასაკში იგი, ბრძოლებით დაქანცული, თავისი ეპოქისაგან განზე გადგა. თავის **მემკვიდრედ ვილფრედო პარეტოს** დანიშვნას მიაღწია.

შემდგომი 18 წლის განმავლობაში მის შრომას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. 1892 წელს ვალრასი ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის საპატიო წევრი გახდა. მის პიროვნებას საინტერესო შუქი მოჰფინა იმ ფაქტმა, რომ იგი **წარადგინეს ნობელის მშვიდობის პრემიაზე** იმ მემორანდუმის განსახილველად გამოტანისათვის, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ **მსოფლიო მშვიდობა თავისუფალ კონკურენციას მოასწავებს** და გარკვეულწილად **აუცილებელი ხდება მიწის ნაციონალიზაცია**. კიდევ ერთი იმედგაცრუება ელოდა მკვლევარს. პრემია აშშ-ის 26-ე პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა (1858-1919) მიიღო.

ვალრასი, საყოველთაოდ აღიარებული, როგორც თავისი ეპოქის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტი, 1910 წელს გარდაიცვალა.

12. ნაშრომები

ვალრასს განზრახული ჰქონდა მის მიერ ლოზანაში წაკითხული ლექციების კურსების მიხედვით ნაშრომების გამოქვეყნება **სამ ტომად**: „წმინდა ეკონომიკა", „გამოყენებითი ეკონომიკა" და „სოციალური ეკონომიკა". მათგან 1874 წელს გამოვიდა მხოლოდ პირველი – **„წმინდა პოლიტიკური ეკონომიის ელემენტის"**[1] სახელწოდებით. ამ ნაშრომში დაახასიათა ზღერული სარგებლიანობა, როგორც საქონლის ფასეულობის საფუძველი.

დაგეგმილი მეორე და მესამე ტომები ვალრასმა მოგვიანებით ორი კრებულით შეცვალა: **„სოციალური ეკონომიკის ნარკვევი"** (1896)[2] და **„გამოყენებითი პოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები"** (1898).[3] მათში ავტორმა განაგითარა თავისი შეხედულებები იდეალური საზოგადოების, მთავრობის როლის, კერძო საკუთრების, დაბეგვრის, მიწის ნაციონალიზაციის, ბუნებრივი მონოპოლიების შესახებ.

მისი აზრით, **საკუთრებაზე გადასახადები უნდა არსებობდეს** (სხვა ყველაფერი თავისუფალმა კონკურენციამ უნდა განსაზღვროს), იშვიათი ბუნებრივი სიმდიდრე კი ყველას ეკუთვნის, მაგრამ კერძო მფლობელობის მიწები მაქსიმალურად ნაყოფიერად უნდა იქნეს გამოყენებული.

ვალრასის მიერ ეკონომიკურ კვლევაში შეტანილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილია რენტის ზრდის პარალელურად **მიწის ფასების განვითარების დეტალური ანალიზი**. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ რკინიგზის ბუნებრივი მონოპოლია „თავისუფალი ვაჭრობის" პრინციპებს ხელს უშლის, ვინაიდან იგი კონკურენციას ზღუდავს.

წერილების მეორე კრებულის ძირითადი (თუმცა, არა ერთადერთი) თემებია: **ფული, კრედიტი და საბანკო საქმე**. ვალრასმა „მოხერხებული ღირებულების სტანდარტი" შემოგვთავაზა, რომლის მიხედვითაც მთავრობამ ვერცხლის ფულის მიწოდების ზრდისა და შემცირების გზით საქონელთა ფასების სტაბილიზაცია უნდა მოახდინოს. ბანკნოტებს იგი პოლიტიკურ დესტაბილიზატორებად და საშიშ ფენომენად თვლის.

---

1 Element d'économie politique pure, pt.1-2, P., 1874-1877.

2 Etudes d'économie sociale..., P., 1896.

3 Etudes d'économie politique appliquée..., P., 1898.

13. ზოგადი წონასწორობის შესახებ

ვალრასი ითვლება თანამედროვე მაკროეკონომიკური მოდელირების ფუძემდებლად. მან პირველმა შექმნა მათემატიკური მოდელი ეკონომიკური სისტემის სტატიკური წონასწორობის პრობლემების გამოსაკვლევად. იგი პირველად ახასიათებს სიმეტრიული ბაზრების ზოგად (და არა ნაწილობრივ) წონასწორობას. ამ მოდელში ასახულია მზა პროდუქციის წარმოების ფაქტორების ბაზრების ურთიერთკავშირი სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, რომელსაც მივყავართ ბაზრების სიმრავლეში ერთადერთ წონასწორობამდე.

ლ.ვალრასის საბაზრო წონასწორობის ზოგადი მოდელი მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზს ემყარება. ამ მოდელის მიხედვით, საბაზრო ფასებს მოთხოვნა-მიწოდების ტოლობა განაპირობებს, რაც მაქსიმალური სარგებლიანობის მომტანია.

ლოზანის მარჟინალური სკოლის ფუძემდებელი ვალრასი, **ზღვრულ სარგებლიანობას „იშვიათობას" უწოდებდა** და მას სამომხმარებლო რაოდენობიდან კლებად ფუნქციად განსაზღვრავდა. ვალრასის ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა ჩაკეტილი მათემატიკური სისტემის შექმნა, რომელიც სუბიექტური სარგებლიანობის პრინციპების ბაზაზე, კაპიტალისტური ეკონომიკის არსებული ურთიერთკავშირის ახსნას ითვალისწინებდა.

ორი საქონლის ურთიერთგაცვლის თეორიას ვალრასი ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზით იწყებს. ამ ანალიზის ეკონომიკური შინაარსი თითქმის იგივეა, რაც მარშალისეული ურთიერთმოთხოვნა. თუმცა მისი თხრობის სტილი, რომელიც მარშალისათვის ძალიან მარტივი იყო, დამძიმდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალრასი, ისევე როგორც მარშალი, დასაწყისშივე ურთიერთგაცვლას სარგებლიანობის გარეშე განმარტავს – მეორე საფეხურზე კი მას ანალიტიკურ ფუნდამენტად წარმოადგენს. დიდი შრომის შემდეგ, ვალრასი ჰოსენის მეორე კანონთან შედარებით წარმატებას აღწევს, რომელიც ურთიერთგაცვლილი ზღვრული რაოდენობების სარგებლიანობების გათანაბრებას ეხება.

ორი საქონლიდან ვალრასი ჯერ სამზე, შემდეგ კი n საქონელზე – ნაწილობრივი წონასწორობიდან ზოგად წონასწორობაზე გადადის. ზოგადი წონასწორობის ანალიზი ეკონომიკის ისტორიაში ვალრასის მიერ შეტანილი წვლილია. ეკონომიკური წონასწორობის კონცეფციის მიხედვით, მშპ განსაზღვრულ ფასებში მიწოდებული მთლიანი პროდუქტისაგან შედგება. საქონელთა ერთობლიობა, სარგებლიანობის პრინციპით, მომხმარებელთა მთლიან მოთხოვნასთან შესაბამისობაშია. იგი მოთხოვნას და მიწოდებას შორის შეუსაბამობასაც დასაშვებად მიჩნევდა, რის შედეგადაც წონასწორობა ირღვევა.

ფასების თეორიაში ვალრასი ცდილობდა ზღვრული სარგებლიანობის პრინციპის მოთხოვნა-მიწოდებისა და წარმოების დანახარჯების თეორიების შეხამებას. ასეთი მიდგომით წონასწორობის განსაზღვრა პრინციპში მრავალი განტოლებების ამოხსნას მოითხოვს. რეალურ ეკონომიკაში კი ამის გაკეთებას არაიენ ცდილობს. ამ იდეის განსახორციელებლად ვალრასი რეგულირების პროცესს შეეხო. მისი აზრით, ერთ შემთხვევაში მოვაჭრეები „გაცვლა-გამოცვლას ცრუ ფასებში" იწყებენ და ამ დროს ზოგიერთი გამყიდველი ყიდველს ვერ ხედება. ვალრასი მიხედა, რომ ასეთი პროცესი მას თეორიული წონასწორობისაკენ გზას ვერ გაუკაფავდა, ვინაიდან „ცრუ" ვაჭრობა გაცვლის ექვივალენტი უნდა იყოს.

ალტერნატიულ შემთხვევაში **საწყისი ფასი „აუქციონისტის" მიერ ცხადდება**. ყოველთვის, როდესაც კი „აუქციონერი" მოთხოვნის სიჭარბეს შეამჩნევს, იგი ზრდის გამოცხადებულ ფასს, ხოლო ჭარბი მიწოდების შემთხვევაში ამცირებს მას. მოვაჭრეები ამის შესაბამისად ასწორებენ მათ მიერ შეთავაზებულ ფასებს. წონასწორობის დამყარების ამ „მცდელობას" ვალრასმა „სასინჯი პროცესი" უწოდა. იგი მანამდე გრძელდება, სანამ ისეთი წონასწორობა არ მიიღწევა, როდესაც ურთიერთგაცვლა მოხდება.

ვალრასის „მოდელში" საბაზრო წონასწორობის შემნარჩუნებელ მაკოორდინირებელ როლს „აუქციონერი" ასრულებს. იგი საბაზრო ავტომატური მარეგულირებლის როლშია წარმოდგენილი. მოდელის სხვა განმასხვაებელი პირობებია: გაიცვლება მხოლოდ წარმოებული საქონელი; საქონლის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება; დროითი ფაქტორი – ყველა გარიგება იმავე დღეს სრულდება; გარიგების ფასი ცხადდება აუქციონერის მიერ მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობის ანალიზის შედეგად და სხვ.

ვალრასმა თავისი ზოგადი წონასწორობის **მოდელი წარმოების ფაქტორებზე განავრცო**. ერთნი ყიდიან მიწას, სხვები შრომას და კაპიტალს, საიდანაც შესაბამისად იღებენ შემოსავალს რენტის, ხელფასისა და მოგების სახით.

პროდუქტის გაცვლა-გამოცვლა აქამდე იმ დაშვებით განიხილებოდა, რომ წარმოების ფაქტორების მიწოდებები **მუდმივია**. მიწის მიმართ ეს დაშვება რეალისტურია, ხოლო შრომისა და კაპიტალისათვის – არა. ორივე ცვალებადი ფაქტორისათვის ვალრასი ძირითადად უშვებს, რომ მათი განაითარება „საარსებო წყაროს" შემოსავლის სიდიდეზეა დამოკიდებული. შრომასთან მიმართებაში ვალრასს ახალი არაფერი უთქვამს. კაპიტალისათვის კი მისი ანალიზი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ვალრასს ზოგადი წონასწორობის ანალიზით სურდა დაემტკიცებინა, რომ **თავისუფალი კონკურენცია მაქსიმალურ კეთილდღეობას განაპირობებს** – იგი გაცვლაში პროდუქტების მაქსიმალურ სარგებლიანობას უზრუნველყოფს.

1.4. „უდიდესი ეკონომისტ-თეორეტიკოსი"

ვალრასს განსაკუთრებული წვლილი არ შეუტანია სარგებლიანობის თეორიაში. მას საინიციატივო წვლილი ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის შექმნაში მიუძღვის, რომელშიც გამოიყენა სარგებლიანობის ელემენტები.

თავისი სისტემის აგებაში ვალრასი კანტილიონის, კენესა და რიკარდოს მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას გაჰყვა. მან გარკვეულწილად ძველისა და ახლის სინთეზს მიაღწია. კერძოდ, **მის თეორიაში სარგებლიანობისა და ღირებულების ცნებები – ორთავე განიხილება.**

მიუხედავად იმისა, რომ ვალრასს ნამდვილი სკოლა არ შეუქმნია, იგი **ზოგადი მაკროეკონომიკური წონასწორობის დოქტრინის ფუძემდებელი გახდა**. იოზეფ შუმპეტერმა დეივიდ რიკარდოს შემდეგ ვალრასი უდიდეს ეკონომისტ-თეორეტიკოსად მოიხსენია[1].

2. ეკონომიკური ოპტიმუმი: ვილფრედო პარეტო (1848-1923)

მე-19 საუკუნის დამლევს ეკონომიკა, როგორც მეცნიერება, პროფესიონალური თვალსაზრისით დაიხვეწა და დაკონკრეტდა. ადამ სმითის პროფესიონალური ცოდნის სფერო სამართლის, ეთიკის, ლიტერატურის, ისტორიის და ეკონომიკის სფეროებს მოიცავდა. ჯონ სტიუარტ მილი უფრო მეტად ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და პოლიტოლოგი იყო, ვიდრე ეკონომისტი. უილიამ სტენლი ჯევონსი არა მარტო წამყვანი ეკონომისტი, არამედ წამყვანი ლოგიკოსიც იყო.

შემდგომში მდგომარეობა შეიცვალა. ლეონ ვალრასი, კარლ მენგერი, ბემ-ბავერკი და ალფრედ მარშალი მხოლოდ ეკონომისტებად აღიარეს. მე-20 საუკუნეში ეკონომიკის გამოჩენილი თეორეტიკოსებიდან მნიშვნელოვანი წვლილი სხვა დარგებში ძალიან ცოტამ შეიტანა, თუმცა, ჯონ ფონ ნეიმანი ამ მხრივ ბრწყინვალე გამონაკლისია. ეკონომიკის სპეციალიზაციის ლოზანის სკოლის მეთაური, ვილფრედო პარეტო, ერთ-ერთი ბოლოა, რომელსაც მრავალმხრივობა ახასიათებდა.

2.1. ვალრასის მემცველი, მგზნებარე ლიბერალი

ვილფრედო პარეტო (Pareto) დაიბადა 1848 წელს, პარიზში. მამამისი (წარმოშობით იტალიელი, სპეციალობით ინჟინერი) გენუის გარეუბნიდან იყო, შემდგომში, ადგილობრივ თეითმმართველობასთან ოპოზიციაში ყოფნის გამო, იძულებული გახდა გადასახლებაში ეცხოვრა. პარეტოს დედა ფრანგი იყო.

ვილფრედო ექვსი წლისა იყო, როდესაც მამამისი ამნისტირებულ იქნა და ოჯახი იტალიაში დაბრუნდა. ვილფრედომ კლასიკური განათლება მიიღო და მათემატიკაც კარგად შეისწავლა.

1 Й. **Шумпетер**, История экономического анализа, т.3, М., 2004, გვ. 1090.

მოგვიანებით იგი ბერძნულ ლიტერატურასა და აღრიცხვის საფუძვლებს დაეუფლა. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და სადოქტორო დისერტაცია „მყარი სხეულების ელასტიკური წონასწორობის“ პრობლემებზე დაიცვა.

1877 წლიდან ვ.პარეტომ პოლიტეკონომიის შესწავლა დაიწყო. 1893-1906 წწ. იგი ლოზანის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის სპეციალობის პროფესორია.

თავდაპირველად პარეტო რომში – რკინიგზაში ინჟინრად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ, მოგვიანებით კი ფლორენციაში მეტალურგიული ქარხნის გენერალურ დირექტორად მუშაობდა.

1889 წელს იგი პარლამენტის არჩევნებში დამარცხდა და დარწმუნდა, რომ ინტელექტუალური უპირატესობა ყოველთვის გამარჯვების აუცილებელი პირობა არ არის. იმავე წელს პარეტომ ცოლად შეირთო გრაფის ასული ლინა ბაკუნინა. გადმოცემით, მალთუსის შეხედულებების გავლენის გამო წყვილმა შვილი არ იყოლია. მომდევნო წელს, ფინანსური მარცხის შემდეგ, პარეტომ დაკავებული თანამდებობა დატოვა და საკონსულტაციო სამუშაოებს ასრულებდა.

თავისუფალ დროს პარეტო ეკონომიკასა და სოციოლოგიას ინტენსიურად სწავლობდა. მან ძირითადად მთავრობის საწინააღმდეგო სტატიები დაწერა. იგი მკაცრად ლიბერალი და თავისუფალი ვაჭრობის მომხრე იყო და არც თუ ისე უსიმპათიოდ იყო განწყობილი კაპიტალისტ-მესაკუთრეების მიმართ. ამასთან, იზიარებდა იმ აზრს, რომ უმაღლესი ხელისუფალნი, საკუთარი ინტერესების გამო, ექსპლუატაციას უწევდნენ თავადაზნაურობას (რომელსაც თავად მიეკუთვნოდა), სამღვდელოებას, დემოკრატებსა და ფართო მასებს. ამავე დროს, იგი თავგამოდებული ანტიმილიტარისტი, რადიკალი და ათეისტი იყო.

პარეტოს ასეთი შეხედულებები, ცხადია, მთავრობისათვის არასასიამოვნო იყო. ამიტომაც, მისი საჯარო ლექცია მილანში პოლიციამ ჩაშალა, ხოლო რომში მათემატიკური ეკონომიკის კურსის ლექციების ჩატარებაზე უარი ეთქვა.

იმედგაცრუებული პარეტო 42 წლის ასაკში ემიგრაციაზე ფიქრობდა. ამ დროს მან კლავე გადაიკითხა ვალრასის ნაშრომები (რომლის შეხედულებები ადრე უარყო) და მასთან „ზოგადი წონასწორობის“ ჭეშმარიტი დოქტრინა აღმოაჩინა.

საბოლოოდ, ვ.პარეტომ გადაწყვიტა, რომ თავისი ცხოვრება მთლიანად მეცნიერებისათვის დაეთმო. ასე დადგა მისი პროფესიონალური ცხოვრების მეორე ეტაპი.

1892 წელს ვალრასმა თავისი საქმე მიატოვა და მისი ადგილი პარეტოს შესთავაზეს, რათა იგი „ძველ სკოლას“ არ ჩავარდნოდა ხელში. პარეტოს გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები არ გააჩნდა და მანამდე არც რაიმე აკადემიური თანამდებობა ეჭირა, რის გამოც ლოზანის ხელისუფლება ყოყმანობდა. ბოლოს რექტორი და სამართლის პროფესორი კანდიდატს გაესაუბრენ. იგი შესაფერისი აღმოჩნდა და 1893 წელს ისევე, როგორც მანამდე ვალრასი, გამოთავისუფლებულ ადგილზე დროებით დაინიშნა.

პიროვნულად, არისტოკრატი პარეტო განსხვავდებოდა საშუალო ფენის რადიკალური წარმომადგენლის ვალრასისაგან. პარეტო კარგი ლექტორი აღმოჩნდა. მას ჯგუფში ორმოცდაათზე მეტი სტუდენტი ჰყავდა (ვალრასს ექვსი). იგი თვლიდა, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა (ისევე, როგორც ცოლ-შვილი) მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში ხელს უშლიდა. იგი ასევე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ლოზანის ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ეკონომიკაში მხოლოდ ორ ან სამ, შედარებით იაფფასიან წიგნს ყიდულობდა.

1898 წელს, მდიდარი ბიძის გარდაცვალების შემდეგ, პარეტო მისი მემკვიდრე – მილიონერი გახდა. ამის შემდეგ მალე მეუღლე რუსეთში გაიქცა. ქორწინება დაირღვა, მაგრამ პარეტოს განქორწინების მისაღებად სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

იგი ჟენევის მახლობლად გადასახლდა და განმარტოებულად ცხოვრობდა. დასაწყისში პარეტო ჟენევიდან ლოზანაში ლექციების ჩასატარებლად მიემგზავრებოდა, მაგრამ 1906 წელს ამაზეც საბოლოოდ უარი თქვა.

დროის გარკვეულ მონაკვეთში მსახურთა ამალით გარშემორტყმული პარეტო ფუფუნებაში ცხოვრობდა. მოგვიანებით კი განდეგილად იქცა და უწესრიგო ცხოვრებას ეწეოდა თავის ვილაში, სადაც ოცზე მეტი კატა და ოცდათერთმეტი წლით უმცროსი მშვენიერი ფრანგი ქალი – ჟანა რეგნისი ჰყავდა. მათ ქალიშვილი შეეძინათ, რომელიც კანონიერად არ იყო ცნობილი.

პარეტოს ფართო ერუდიცია და ბრწყინვალე გონება ჰქონდა, მაგრამ კრიტიკის მიმართ ძალზე მგრძნობიარე იყო, რის გამოც ქედმაღალ ადამიანად ითვლებოდა. ძალიან ცოტა ვინმე თუ მოსწონდა მას და მათ შორის ვალრასიც კი არ იყო.

პარეტოს სოციოლოგიისადმი მიდრეკილებამ უკანა პლანზე გადაიწია, თუმცა, როგორც სოციოლოგმა, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მისი პოლიტიკური შეხედულებები შეიცვალა – ადრინდელი რადიკალი კონსერვატორი გახდა, რომელიც პარლამენტურ დემოკრატიას უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა.

ფაშისტებმა ტყუილად აღიარეს იგი მათ ერთ-ერთ იდეოლოგად. მუსოლინიმ იგი სენატორი გახადა, მაგრამ პარეტოს მის მხარდასაჭერად არაფერი გაუკეთებია. კლავინდებურად სამხედრო ძალაუფლების მოწინააღმდეგე იყო. ამ დროისათვის, უყაირათიანობის გამო, თავისი ქონების უდიდესი ნაწილი დაკარგა.

ბოლოს და ბოლოს იგი კანონიერად განქორწინდა და ჟანა რეგისზე დაქორწინდა. ორი თვის შემდეგ, 1929 წელს, სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, შრომის უნარდაკარგული პარეტო გარდაიცვალა.

2.2. პოლიტეკონომიის კურსი

ვ.პარეტო ნაყოფიერი მწერალი იყო, რომლის „შრომების სრული კრებული" ოცდაათ ტომს მოიცავს. განსაკუთრებული დიდება მას რამდენიმე წიგნმა მოუტანა. მისი ადრინდელი სტატიები ეკონომიკაში 1892 წელს გამოქვეყნდა.

პირველი მნიშვნელოვანი ნაშრომი – **„პოლიტიკური ეკონომიის კურსი"**, რომელიც ლოზანაში წაკითხულ ლექციებს ეფუძნებოდა, 1896-1897 წლებში ორ ტომად გამოიცა[1].

ამ ნაშრომის პირველი თავი ეკონომიკურ თეორიას ეძღვნება. მეცნიერული თვალსაზრისით, წიგნის კულმინაციური წერტილია მე-2 ტომის ის თავი, რომელიც შემოსავლების განაწილებას ეძღვნება, სადაც დეტალურადაა განხილული შემდგომში ე.წ. **„პარეტოს კანონით"** ცნობილი დებულებები შემოსავლების სიდიდესა და მის მიმღებთა შორის თანაფარდობის შესახებ. იგი არსებითად მოიცავს სარგებლიანობის თეორიის საწყისებს. წიგნის დანარჩენი ნაწილი (დაწყებული ანტიკური ხანით და მისი თანამედროვეობით დამთავრებული) ავტორის დიდ ერუდიციას წარმოაჩენს.

მთლიანობაში, პარეტოს ადგილი ეკონომიკის ისტორიაში უმთავრესად განისაზღვრება ნაშრომებით: **„პოლიტიკური ეკონომიის კურსი"** და **„პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელო"** (1906)[2].

უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმძღვანელოში" „წმინდა ეკონომიკა" ფართო სოციალური სტრუქტურებითაა წარმოდგენილი. მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება „ჩიხში" აღმოჩნდა, ვინაიდან მისი თეორიული დასკვნების ექსპერიმენტული შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც კვლევები წმინდა პოლიტეკონომიიდან სოციოლოგიის სფეროში უნდა გაღრმავდესო; პოლიტიკური ეკონომიის ამოცანაა ადამიანთა მოთხოვნილებასა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის წონასწორობის დამყარების მექანიზმების შესწავლა.

„სახელმძღვანელოს" შემდეგ პარეტომ ცოტა რამ შექმნა ეკონომიკაში, თუმცა ნაშრომში – **„მათემატიკური ეკონომიკა"**[3] (1911) მისი მიდგომები უფრო ზოგადადაა ჩამოყალიბებული.

პარეტოს ორ წიგნს ეკონომიკაში თავისი ორეული გააჩნია სოციოლოგიაში. წიგნში – **„სოციალისტური სისტემები"** (1902-1903)[4], განხილულია სოციალისტური იდეები და ექსპერიმენტები – დაწყებული უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე.

მასში მჟღავნდება ავტორის ცოდნის ფართო სპექტრი და ილუზიები. ტიუნენისა და მარქსისადმი მიძღვნილი თავები შორსაა ამ ავტორების წვლილის სრულყოფილად გადმოცემისაგან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შესავალი, რადგანაც მასში წარმოდგენილია იმ ადრინდელი შეხედულებების მოკლე მიმოხილვა.

1 Cours d'economie politique, v.1-2, Lausanne-P., 1896-1897.
2 Manuale di économia politica, Mil., 1906.
3 Economie mathematique, Encyclopedia of the mathematical Sciences, 1911.
4 Les Systéms socialistes, v.1-2, P., 1902-1903.

ამ თვალსაზრისით, პარეტოს შეხედულებებიდან გამომდინარეობს დასკვნები: **სოციალიზმი განხორციელებადია, იგი უკეთ უზრუნველყოფს მაქსიმალურ სარგებლიანობას, საყოველთაო დაბეგვრის სისტემით საზოგადოებრივი დანახარჯების დაფარვას; სოციალისტები უტოპისტებია, ვინაიდან მათ რესურსების განაწილების პრობლემა ვერ გადაწყვიტეს; ჰეშმარიტების „მარცვალი" არსებობს კმარქსის ისტორიის მატერიალისტურ გაგებასა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ კონცეფციებში; ხალხის მასები ბრძოლაში ებმებიან თავიანთი პატრონების სურვილებით; სოციალური ბრძოლა კოლექტიურ საზოგადოებაშიც იარსებებს; სოციალიზმი კაპიტალიზმის მემკვიდრეა.**

ვ.პარეტოს წიგნში „ზოგადი სოციოლოგიის ტრაქტატი" (1916)[1] გაკრიტიკებულია ადამიანთა საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მზარდი მასშტაბები; განხილულია ეკონომიკურ სფეროში სარენტო და სამეწარმეო კონფლიქტები; ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალად დასახელებულია ძალა, ბრძოლა და რევოლუცია.

2.3. ეკონომიკური ოპტიმუმის ახლებური გააზრება

მე-19 საუკუნეში ეკონომისტები ისე მსჯელობდნენ სარგებლიანობაზე, თითქოს, მისი ჩვეულებრივი ხერხით გაზომვა შეიძლებოდა. სარგებლიანობის დოქტრინა თანდათან სცილდებოდა ფილოსოფიური უტილიტარიზმის (სარგებლიანობის) ცნებას.

პარეტოს აზრით, უმჯობესია „სარგებლიანობის" სხვა ნეიტრალური ტერმინით, მაგალითად, „სურვილით" შეცვლა, რომელსაც რაიმე დამატებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

ვ.პარეტომ საფუძველი ჩაუყარა **„კეთილდღეობის დოქტრინას"**, რომელშიც სარგებლიანობის გაზომვის შესაძლებლობა უარყო. შემდეგ ეკონომიკაში ზოგადი შედეგების ურთიერთშესადარებელი **სოციალური ოპტიმუმის** ცნება განსაზღვრა.

ზოგადი წონასწორობის მოდელის ადრინდელი თეორეტიკოსები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რა პირობებში მიაღწევდა თავისუფალი კონკურენცია მთლიანი დოვლათის მოცულობის მაქსიმალურ დონეს. მათგან განსხვავებით, პარეტომ შემდეგში მთლიანი დოვლათის ცნება გაცილებით უფრო ნაკლები მოთხოვნილების მქონე კრიტერიუმით შეცვალა. მისი აზრით, კეთილდღეობა კლებულობს, თუ მოგებას არავინ იღებს.

პარეტომ შეიმუშავა კეთილდღეობის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით კეთილდღეობის მაქსიმალური ზრდისას მოგებას, სხვისი წაგების გარეშე, არავინ იღებს. ასეთ სიტუაციას პარეტომ **„ოპტიმალური მდგომარეობა"** უწოდა.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა ბევრი არსებობს, მაგრამ მათი ერთმანეთისაგან განმაცალკევებელი ობიექტური გზა არ არსებობს. „ოპტიმუმისკენ" მოძრაობა რესურსების ისეთი განაწილების შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც თუნდაც ერთი ადამიანის კეთილდღეობის ზრდა სხვას არ დააზიანებს.

პარეტოს ოპტიმალურობის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური ეფექტიანობის პრობლემის სამართლიანობის პრობლემებიდან განცალკევება. იგი **30-იან წლებში საფუძვლად დაედო კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ დოქტრინას.**

პარეტოს კეთილდღეობის ეკონომიკურ დოქტრინაში დიდი წვლილი არ შეუტანია, მაგრამ მან წამოჭრა საინტერესო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაეგეგმათ წარმოება სახელმწიფო ორგანოებს ისე, რომ „პარეტოს ოპტიმალურობისათვის" მიეღწიათ.

მისი აზრით, ფიქსირებული დანახარჯების პირობებში, მგეგმავები თავისუფალი კონკურენციის სტიმულირებაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებენ. თავისუფალი კონკურენციის გარეშე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასების არსებობისას, პარეტოს „ოპტიმალურობას" მარცხი უწერია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ფირმებს საქონლის ზღვრულ ფასში (ბაზარზე დამყარებულ ყველაზე მაღალ ფასში) გაყიდვა არ შეუძლიათ და მთლიან დანახარჯებს კლავინდებურად ვერ ფარავენ.

მეორე მხრივ, როცა ცენტრალიზებული დაგეგმვა სათანადო გადასახადებისა და ფასების დისკრიმინაციის (ერთნაირ საქონელზე სხვადასხვა ფასების დაწესებით) გამოყენებით ხდება, მს-

1 Tratatto di sociologia generale, P., 1916.

გაესი ოპტიმალურობის მიღწევა შეუძლებელია, თავისუფალი კონკურენცია კი მაქსიმალურ სარგებლიანობას უზრუნველყოფსო.

პარეტომ ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ეკონომიკურ თეორიაში სამომხმარებლო ანალიზის ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა **„განურჩევლობის მრუდი"**. მისი წერტილები ახასიათებენ საქონელთა იმ შესაძლებელ კომბინაციებს, რომლის დროსაც მათი საერთო ურთიერთსარგებლიანობა მომხმარებლისათვის ერთნაირია, ანუ განურჩეველია რომელიმე კომბინაციის მნიშვნელობა.

პარეტომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **შემოსავლების განაწილების** პრობლემების დამუშავებაში. მისი დასკვნით, შემოსავალთა განაწილების წესი სხვადასხვა ქვეყანაში, ეპოქაში ძირითადად ერთნაირია. შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის შემცირება შესაძლებლად ჩათვალა მაშინ, როდესაც შემოსავლებისა და წარმოების ზრდა მოსახლეობის ზრდას აღემატება.

პარეტოს კალამი შეეხო ისეთ ეკონომიკურ კატეგორიებს, როგორიცაა: **სარგებელი, ფული, რენტა** და **ეკონომიკური კრიზისი**. ამ საკითხებთან დაკავშირებით მისი მოსაზრება ასეთია: კაპიტალი წარმოშობს **სარგებელს**; **ფულის** ზღვრული სარგებლიანობა იგივეა, რაც საქონლის ზღვრული სარგებლიანობა; **რენტა** – სიჭარბეა, რომელიც რესურსების ოპტიმალურ განლაგების წინააღმდეგობებიდან წარმოიშვა; **ეკონომიკური კრიზისი** – ეკონომიკის შიგა წინააღმდეგობებიდან გამომდინარეობს.

პარეტომ საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტის ღირებულებაზე არაპირდაპირად ზემოქმედ ფაქტორებზე (მაგ., ალტერნატიული დანახარჯები) ყურადღების კონცენტრირებით საქონელთა შედარებითი ღირებულების ცნების მოდიფიცირება მოახდინა.

ვალრასმა **ოჯახის მოთხოვნა** (მოცემული ფასებისა და შესაძლებლობისას) პირობითი ოპტიმიზაციის მათემატიკური პრობლემის ამოხსნით განსაზღვრა. მას მოთხოვნაში ფასების ცვლილებით გამოწვეული ცვლილებების მათემატიკური ანალიზი არ მოუცია. ეს ნაბიჯი პარეტომ გადადგა. მან აჩვენა, რომ კლებადი ზღვრული სარგებლიანობა მოთხოვნის დაქვეითებას გულისხმობს. „პოლიტეკონომიის კურსის" მიხედვით ურთიერთდამოკიდებული სარგებლიანობა მზარდი მოთხოვნით წარმოიშობა. აქვე წარმოდგენილი იყო მოთხოვნის კანონების მათემატიკური ანალიზი n რაოდენობის საქონლისათვის.

2.4. პარეტოს „გაუმჯობესება"

პარეტო, უპირველეს ყოვლისა, სოციოლოგი იყო, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველაფერზე მკაფიო შეხედულებები ჰქონდა. მრავალი სხვა მარჟინალისტის მსგავსად, მას როგორც ისტორიული, ასევე თანამედროვე ფაქტების ღრმა ცოდნა გააჩნდა.

ის, რაც მან ეკონომიკური კატეგორიების შესახებ თქვა, დიდ აღმოჩენად ვერ ჩაითვლება. ამ მხრივ, არც პარეტოს შემოსავლის განაწილების კანონია გამონაკლისი.

ვალრასმა ეკონომიკურ თეორიაში კვლევის მათემატიკური მექანიზმები ჩართო, რომელიც შემდგომში პარეტომ გააუმჯობესა.

პარეტოს ძირითადი წვლილი ადამიანის არჩევანის, რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და გაცვლის ძირითადი პრობლემების მიმართ მათემატიკის პროფესიონალურ გამოყენებაში მდგომარეობს.

ამ სფეროში მისი წვლილი დიდია და ათეული წლების განმავლობაში სტანდარტული. ეკონომიკა 30 წლის განმავლობაში ითვისებდა მას.

პარეტო-ეკონომისტს მართლაც ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ ძირითადად იტალიაში.

თავი XIII.
ავსტრიული სკოლა

1. ვენის სკოლა: „ღვრული სარგებლიანობა"

ეკონომიკაში, როგორც ყველგან, ბევრს საუბრობენ სხვადასხვა სკოლებზე. თუ სკოლებში განმასხვავებელი დოქტრინებით გაერთიანებულ მასწავლებლებისა და მოსწავლეების მჭიდრო დაჯგუფებებს ვიგულისხმებთ, მაშინ ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში მათი რიცხვი და მნიშვნელობა ძალიან მცირეა. ამ მხრივ, გამონაკლისი „ვენის სკოლაა", რომელსაც „ავსტრიულ სკოლასაც" უწოდებენ. ამ სკოლის იდეური შემქმნელი კარლ მენგერია, მაგრამ მისი, როგორც განსაკუთრებული სკოლის ჩამოყალიბება, ეკუთვნის ბემ-ბავერკისა და ფრიდრიხ ფონ ვიზერის დამსახურება იყო[1].

1.1. კარლ მენგერი (1840-1921)

1.1.1. სკოლის ფუძემდებელი

კარლ მენგერი (Menger) 1840 წელს გალიციაში დაიბადა, რომელიც შემდგომში ავსტრიის იმპერიას ეკუთვნოდა, ახლა კი პოლონეთის ნაწილია. იგი სამართალს ვენისა და პრაღის უნივერსიტეტებში სწავლობდა, დოქტორის ხარისხი კი კრაკოვის უნივერსიტეტში მიიღო.

თავდაპირველად იგი, როგორც ფინანსისტ-ჟურნალისტი, პრემიერ-მინისტრის პრეს-ცენტრში მსახურობდა, რაც მისთვის ერთობ ნაყოფიერი გამოდგა.

მოგვიანებით ფრიდრიხ ვიზერთან საუბარში იგი აღნიშნავდა, რომ ფასთა თეორიაში აზრთა სხვადასხვაობამ გააოცა, რომელიც მას ბიზნესმენებისგან ესმოდა.

საბოლოოდ მენგერმა ფასების თეორიის პრობლემების დამუშავება გადაწყვიტა. ამ მიზნით, გამოაქვეყნა თავისი ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი სახელწოდებით: – „სახალხო მეურნეობის საფუძვლები" (1871)[2], რომლის სატიტულო გვერდზე აღნიშნულია, რომ ეს არის წიგნის I ნაწილი, მაგრამ შემდეგი ნაწილები აღარ გამოცემულა.

წიგნის პირველ გამოცემას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია და ლექტორობაზე მენგერის პრეტენზია ისევ გარკვეულ სირთულეებს ხვდებოდა, თუმცა მალე ვითარება შეიცვალა და მისი რეპუტაცია ამაღლდა. 1876 წელს ვენის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი გახდა.

1876-1878 წლებში იგი პრინც რუდოლფის (რომელიც მოგვიანებით მის ცხოვრებაში მეიერლინგის სახელწოდებით შევიდა) დამრიგებელი იყო და მასთან ერთად ევროპაში ხანგრძლივად მოგზაურობდა.

1879-1903 წლებში მან ვენის უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრა ჩაიბარა და აქედან პროფესორის, მეცნიერის მშვიდი ცხოვრება დაიწყო.

1875-84 წლებში მენგერი დიდ დროს უთმობდა გუსტავ შმოლერთან მეთოდურ კამათს, მომდევნო წლებში კი მონეტარული პრობლემებით დაკავდა. იგი საკალუტო საკითხებში წამყვანი ავტორიტეტი გახდა.

1883 წელს გამოქვეყნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი – „ნარკვევები სოციალური მეცნიერების და განსაკუთრებით პოლიტიკური ეკონომიის შესახებ"[3].

მისი პუბლიკაციები ძირითადად 1892 წელს შეწყდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე პატარა სტატიას.

---

1 ვენის თეორეტიკოსებიდან ზოგიერთი, მაგალითად, რუდოლფ აუშპიტცი (1837-1919) და რიჩარდ ლიბენი (1842-1919) ამ სკოლას არ მიეკუთვნებოდნენ და ამიტომაც ისინი სხვაგან მოიხსენიებიან.

2 Menger Carl, Grundsätze der Volkswirtschaftslehre, Wien, 1871.

3 Untersuchungen über die Methode der Sozialwissenschaften und der politischen Ökonomie insbesondere, Leipzig. 1883.

მენგერი „საფუძვლების“ მეორე ვრცელ გამოცემაზე განაგრძობდა მუშაობას და ამ მიზნით 1903 წელს დატოვა კიდეც კათედრა, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა.

იგი 1921 წელს გარდაიცვალა[1].

1.1.2. „ფასეულობის“ ზოგადი საფუძვლები

ყველაზე დიდი სახელი მენგერს "საფუძვლებმა" მოუტანა. **მისი მიზანი**, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, **ფასეულობის[2] ზოგადი დოქტრინის** დამუშავება იყო.

მენგერის დოქტრინის მიხედვით, **დოვლათი**, როგორც ნივთი, უნდა აკმაყოფილებდეს ადამიანთა განსაზღვრულ მოთხოვნილებას. მისი ზღვრული სარგებლიანობა ინდივიდუალური მოთხოვნილებით და იშვიათობით განისაზღვრება. დოვლათის რაოდენობის ზრდისას ინდივიდუალური ზღვრული სარგებლიანობა მცირდება. ეს უკანასკნელი საფუძვლად უდევს „კლებადი ზღვრული სარგებლიანობის პრინციპს“.

მენგერის აზრით, დოვლათის ფასეულობას მიწოდების დონე განსაზღვრავს. თუ დოვლათის განსაზღვრული რაოდენობა დაკმაყოფილებული მოთხოვნის მნიშვნელობის მიხედვით განლაგდება, მაშინ ეს **დოვლათის ფასეულობა მასზე მოთხოვნის დაკმაყოფილების ხარისხს შეესაბამება.**

ეს იყო მენგერისეული ფასეულობის განსაზღვრა, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც **„კლებადი პრინციპი“**: ყოველი სახეობის დოვლათის განსაზღვრული ფასეულობა იმისდა მიხედვით მცირდება, თუ რამდენად მეტი ერთეული ხდება მისაღები. აქ ზუსტადაა გაგებული გოსენის პირველი კანონის არსი [განსაზღვრული დოვლათის ინდივიდუალური მოხმარებისას მისი თითოეული ერთეულის სარგებლიანობა კლებულობს და გაჯერებისას (ზღვრულ შემთხვევაში) ნულს აღწევს] და მენგერმა მარჟინალური სარგებლიანობის დოქტრინისათვის ახალი ტერმინის გამოგონება საჭიროდ არ ჩათვალა.

მენგერის შეფასების პრინციპები უშუალოდ **სამომხმარებლო დოვლათს** მიესადაგებოდა, რასაც იგი **პირველი რიგის დოვლათს** უწოდებს. თუ სამომხმარებლო დოვლათი „მწარმოებლის დამატებითი შეკვრა დოვლათისაგან“, ანუ **მაღალი რიგის** დოვლათისაგან იწარმოება, იგი თავის ფასეულობას მთლიან შეკვრაზე „არეკლავს“.

მას ფასეულობის ფაქტორების დადგენა სურდა, რაც „დანაკარგის პრინციპით“ დაადგინა და გაცვლის პროცესში ჩამოყალიბებული პროპორციების მიხედვით წარმოების ფაქტორების ღირებულებათა ჯამი პროდუქტის ღირებულებას გაუტოლა.

ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ანალიზისას მენგერი შეეცადა ეჩვენებინა სარგებლიანობის კავშირი მოხმარების საგნების **იშვიათობასთან**. ამასთან, მისი აზრით, ადამიანთა მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი სურვილების ნაირსახეობაა.

1.1.3. ზღვრული მოთხოვნილება, კაპიტალი და გაცვლა

მენგერის მიერ შედგენილ ცხრილში (1)[3], რომაული ციფრებით (I-X) სხვადასხვა დოვლათზე (კვების პროდუქტები, „ალკოჰოლური სასმელები ...“) კლებადი სარგებლიანობის ადამიანთა მოთხოვნილებაა ნაჩვენები, არაბული ციფრებით კი (1-10) - ეკონომიკური სუბიექტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თანამიმდევრობა დოვლათის პირველ, მეორე და ა.შ. ერთეულზე (იხ. ცხრილი №1).

მენგერმა ერთმანეთს ხორბალსა (I) და ალკოჰოლურ სასმელზე (V) მოთხოვნილება შეადარა. 3 ტომარა ხორბლის მარაგის არსებობის შემთხვევაში ხორბალზე ადამიანის **ზღვრული მოთხოვნილება** 8 ერთეულის, ხოლო 3 ლიტრი ღვინოს შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი 4 ერთეულის ტოლი იქნება და ა.შ.

---

1 მისი დანატოვარი მდიდარი ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი ამჟამად ტოკიოშია.

2 კ.მენგერი ღირებულების ნაცვლად იყენებს ტერმინს „ფასეულობა“, ხოლო საქონლის ნაცვლად – დოვლათს.

3 Всемирная история экономической мысли, т. 3, გვ. 111-113.

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თანაზომიერება	დოლათის სახეები									
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X
	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
	9	8	7	6	5	4	3	2	1	0
	8	7	6	5	4	3	2	1	0	
	7	6	5	4	3	2	1	0		
	6	5	4	3	2	1	0			
	5	4	3	2	1	0				
	4	3	2	1	0					
	3	2	1	0						
	2	1	0							
	1	0								
	0									

ამ პრინციპის მიხედვით, ერთი სახეობის დოლათის ფასეულობა იმ ყველაზე მცირე სარგებლიანობით განისაზღვრება, რომელიც მარაგის ბოლო ერთეულს გააჩნია.

მაღალი რიგის დოლათის გადანაცვლება წინა რიგში დროს მოითხოვს და მაინც გაურკვეველობის საგანია. პირველი რიგის დოლათს, რომელიც უშუალოდ შეიძლება მოიხმარონ, შედარებით მაღალი ფასეულობა აქვს, ვიდრე სხვას. ეს კი ნიშნავს დროის უპირატესობას. მეორე მხრივ, შუალედური დოლათის ჯაჭვის დაგრძელება ჩვეულებრივ (თუმცა არა აუტომატურად) შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობებს იძლევა.

შუალედური პროდუქტების მარაგი სწორედ ის არის, რასაც მენგერი (ჯევონსის მსგავსად) **კაპიტალს** უწოდებს. უფრო კონკრეტულად, კაპიტალი წარმოდგენილია ფონდის სახით, რომელიც განასახიერებს ქონების ღირებულებას ფულადი ფორმით.

მენგერის ფასეულობის დოქტრინის აშკარა სისუსტეა ის, რომ მან ვერ ახსნა, თუ როგორ ანაწილდება მისი ინდივიდი რესურსებს მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით. გაცვლა არაეკვივალენტურიაო, აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე საქონლის ობიექტური შეფასება სხვადასხვა შეიძლება იყოს.

მენგერი ფასეულობიდან გაცვლაზე გადადის. წარმოდგენილ რიცხობრივ მაგალითებში გაცვლა **წინასწარ დადგენილი ფასით** ხდება, რომელიც ურთიერთსასარგებლო შესაძლებლობას იძლევა. ის არ ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ დგინდება ფასი და როგორ მიმდინარეობს გაცვლა სხვადასხვა გაცვლით თანაფარდობებში.

მენგერის **ფასეულობის თეორია** შეზღუდულია და ისიც მონოპოლიის შესახებ ანალიზით იწყება. მას კონკურენტული ბაზრისათვის ფასეულობის თეორია არ შეუქმნია და არც მიწოდებასა და ფასეულობაზე ფასის გავლენის პრობლემა გამოუკვლევია.

უფრო ზუსტად, მენგერს მოთხოვნა-მიწოდების შორის წონასწორობის კონცეფცია აკლია. იგი ბაზარს ისეთ მომენტში ეხება, როდესაც რაოდენობები უკვე წარმოებული პროდუქტით განისაზღვრება და დასადგენი მხოლოდ ფასეულობა რჩება. იგი ბაზრის შემდგომ რეგულირებას ყურადღებას არ აქცევდა.

1.1.4. ისტორიული სკოლისადმი დამოკიდებულება

მენგერი „**საფუძვლებს**“ ვილჰელმ როშერს უძღვნის და მის წინასიტყვაობას გერმანელი ეკონომისტებისადმი მისალმებით ამთავრებს, რომლებთანაც „ფასეულობაზე“ კამათის დიდი მნიშვნელობა მიანიშნებს. მისი მოლოდინი არ გამართლდა. გერმანელ ეკონომისტებს, სადაც გუსტავ შმოლერის მეთაურობით ისტორიული სკოლა დომინირებდა, ეკონომიკური თეორიისათვის დიდი სარგებელი არ მოუტანიათ.

ამ მოლოდინის გაცრუების შედეგია მენგერის მეორე წიგნი **„ნარკვევები სოციალური მეცნიერებისა და განსაკუთრებით, პოლიტიკური ეკონომიის შესახებ“** (1883). ავტორმა გააკრიტიკა კვლევის ისტორიული მეთოდი, ზერელე განზოგადოებებისათვის, რომელშიც აღრეულია ეკონომიკა, სამართალი და პოლიტიკა.

შმოლერი მენგერის კონცეფციის საკუთარ ნაშრომში გამოყენებას არ მორიდებია, რითაც მისდამი პატივისცემა გამოხატა, მაგრამ მან მენგერი მაინც გააკრიტიკა თავის მიმოხილვაში („Sihmoller's Jahrbuch“)[1], კერძოდ, მისი აზრით, აბსტრაქტული დოგმები ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ვერ ქმნიან და ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ისტორიული ფაქტობრივი სტატისტიკური მასალების გამოყენებაო.

ამას მენგერმა უპასუხა პოლიტიკური ხასიათის ნაშრომით – **„ისტორიზმის შეცდომები გერმანულ ეროვნულ ეკონომიკაში“**[2]. მასში მენგერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მისი კვლევის მეთოდი შმოლერის მეთოდის არაფრით ჩამოუვარდება.

ეს კვლევის მეთოდების შესახებ მათი კამათის კულმინაციაა და არა მხოლოდ ზღვრული სარგებლიანობის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა. კამათი არც მხოლოდ ისტორიული და ემპირიული ნაშრომის კანონიერებას შეეხებოდა. მენგერი ისტორიის კარგი მცოდნე იყო და „საფუძვლების“ მეორე გამოცემა (1923) ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა.

ორივე მოწინააღმდეგე შეთანხმდა მეცნიერული კანონების პირველობაზე, თუმცა საკითხი მათ აღმოჩენებს შეეხებოდა. საბოლოოდ, მათ კამათს რიგ პრობლემებთან მიმართებაში ნათელი არ მოჰფენია.

შმოლერის პოზიციით, ეკონომიკური კანონები ფაქტებისაგან უნდა დაიწმინდოს, რაც ათეული წლების განმავლობაში დაგროვდა (იმ პერიოდისათვის თეორიული კვლევები ფაქტობრივად არ არსებობდა).

ეს პოზიცია, რა თქმა უნდა, საკამათოა. უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებს მენგერის მტკიცება იმის შესახებ, რომ თეორიული კვლევები ფაქტობრივი მასალებით უნდა გამდიდრდეს.

1.1.6. „ახალი ეკონომიკის მანათობელი“

მენგერის შეხედულებები პოპულარული გახდა და გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში (ინგლისი, იტალია,...), 1888 წელს კი გამოქვეყნდა მისი მცირე მოცულობის მქონე სტატია **„კაპიტალის თეორიის შესახებ“**[3], რომლის შემდეგაც შმოლერთან პოლემიკა შეწყდა.

ეკონომიკური მეცნიერების მკვლევარები საერთოდ მაღალ შეფასებას აძლევენ მენგერს. მისი ძირითადი პრობლემა მათემატიკური ან გრაფიკული საშუალებების გამოყენების იგნორირება იყო. მართალია, ადამ სმითამდე, სქოლაქტიკისა[4] და კამერალისტების[5] პერიოდში, ეკონომიკური ნაშრომები ხშირად სამართალს უკავშირდებოდა, მაგრამ იმ საუკუნეში ეკონომიკური კვლევებისათვის სამართლის ფაკულტეტები საკმარისად ნაყოფიერი ნიადაგი აღარ იყო.

ამგვარად, როდესაც ეკონომიკურ თეორიაში მათემატიკური მეთოდები „შეიჭრა“, მენგერი განზე გადგა. მაშინ, როდესაც მენგერი მისი დროის გერმანულენოვანი თეორიული უდაბნოს გრილ ნაკადულს წარმოადგენდა, საერთაშორისო მასშტაბით, მისი წვლილი უკვე გაუფასურდა. შესაძლოა ამითაც აიხსნას, რომ მენგერის ნაშრომი **„საფუძვლების“**[6] პირველი ტომით ამოიწურა.

ბემ-ბავერკმა განავრცო მენგერის დოქტრინა. ჯევონსმა მენგერის არსებობა ფაქტობრივად, არც კი იცოდა, ვალრასმა კი მის შესახებ მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, 1883 წელს გაიგო. და მაინც, მენგერის „საფუძვლებს“ დიდი გავლენა ჰქონდა და მისმა ავტორმა საერთაშორისო რეპუტაცია მაშინ მოიპოვა, როდესაც ჯევონსი და ვალრასი უმეტესი ეკონომისტებისათვის ჯერ კიდევ „მიუდგომელნი“ იყვნენ, ხოლო მარშალის „პრინციპები“ კი ჯერ გამოუქვეყნებელი იყო.

---

1 **Schmoller** G., Zur Methodologie der Staats - und Sozialwissenschaften, 1883.

2 **Menger** C., Die Irrthümer des Historismus in der Deutschen Nationalökonomie, Wien, 1884.

3 Zur Theorie des Kapitals...,1888.

4 **სქოლაქტიკა** (ბერძნ. scholastikos – სწავლული) – შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც თეორიულად ეკლესიის დოგმებს ამართლებდა.

5 **კამერალური** (ფრანგ. cameral) – კაბინეტში, ლაბორატორიაში წარმოებული.

6 მეორედ გამოიცა 1923 წელს – მენგერის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ.

მენგერი „ახალი ეკონომიკის მამათმთავარია". კნუტ ვიკსელის აზრით, რიკარდოს „პრინციპების" შემდეგ, მენგერის წიგნის მსგავსი არც ერთი წიგნი არ ყოფილა, რომელსაც ეკონომიკის განვითარებაზე ასეთი დიდი გავლენა მოეხდინოს.

თუმცა, დღევანდელი ეკონომიკის სტრუქტურა მენგერის იდეებს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ იგი მაინც ადრეული პერიოდის მისი ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორთაგანი იყო.

1.2. ეუგენ ფონ ბემ-ბავერკი (1851-1914)

მენგერის მიერ ეკონომიკისადმი ახლებურმა მიდგომამ ადრევე მიიქცია ორი ნიჭიერი ახალგაზრდის — ეუგენ ფონ ბემ-ბავერკისა და ფრიდრიხ ფონ ვიზერის ყურადღება. თუმცა, ისინი მისი სტუდენტები არასოდეს ყოფილან. მათ ზოგიერთი მათი წინამორბედის შეხედულებების დამუშავება და განვითარება დაიწყეს, რითაც ვენის სკოლის ბირთვი იკერებოდა. მათი ნაშრომების უმეტესობაში მენგერის იდეების გავლენა შეინიშნება.

1.2.1. ვიზერის სიძე, მინისტრი და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ეუგენ ფონ ბემ-ბავერკი (Böhm-Bawerk) დაიბადა ბრიუნეში (მაშინ ავსტრია, ამჟამად ქ.ბრნო – ჩეხეთი) 1851 წელს. სამართლისა (ვენის უნივერსიტეტში) და ეკონომიკის (ჰაილდელბერგის, ლაიპციგის, იენის უნივერსიტეტებში – ვიზერთან ერთად) შესწავლის შემდეგ იგი სამოქალაქო სამსახურის კარიერისათვის მოემზადა.

პარალელურად „ძველი ისტორიული სკოლის" ლიდერებთან — ვილჰელმ როშერთან, ბრუნო ჰილდერბრანდთან და კარლ კნისთან — პოლიტეკონომიის შესწავლას აგრძელებდა.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი 1875 წელს ვენაში კარლ მენგერის ორბიტამ მიიზიდა — გახდა ლექტორი, შემდეგ კი მან ცოლად შეირთო თავისი მეგობრისა და თანაკურსელის და — ბარონესა ფონ ვიზერი.

1880 წლიდან ბემ-ბავერკის პირველი პროფესიონალური თანამდებობა ვენის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტობა იყო, 1881 წლიდან ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორობა კი მისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდია.

1895-1904 წლებში სხვადასხვა დროს იგი სამჯერ იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი. ამ თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ მუშაობა ვენის უნივერსიტეტში ეკონომიკის კათედრაზე დაიწყო.

ბემ-ბავერკს, წილად ხვდა დიდი პატივი — 1911 წელს იგი ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდა.

გარდაიცვალა 1914 წელს ვენაში.

1.2.2. „ფასეულობის" საბაზრო ასპექტები

ბემ-ბავერკის ძირითადი შრომებია: **„ეკონომიკური დოვლათის ფასეულობის თეორიის საფუძვლები"** (1886)[1], **„კაპიტალი და კაპიტალსარგებელი"** (1884/1889)[2], **„მარქსისტული სისტემის დასასრული"** (1896)[3] და სხვ.

ბემ-ბავერკმა უარყო კ.მარქსის შრომითი ღირებულების თეორია და ფასეულობის „ობიექტური", კაპიტალისა და სარგებლის (მოგების) დოქტრინა განავითარა. ასე მაგალითად, „საფუძვლებში" მან ყურადღება გაამახვილა ფასეულობის საბაზრო ასპექტებზე. მისი აზრით, დოვლათის საბაზრო ფასი („ობიექტური ფასეულობა") გამყიდველებისა და მყიდველების სუბიექტური შეფასებით ყალიბდება. ამის საილუსტრაციოდ განიხილა ცხენების ბაზარი.

---

1 Grundzüge des Theorie des wirtschaftlichen, Güterwerthes – „Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik, 1886, Bd.13, 1-82 და 477-541.

2 Kapital und Kapitalzins: ტ.1 - Geschichte und Kritik der Kapitalzins-Theorien, Innsbruck, 1884; ტ.2 - Positive Theorie des Kapitales, Innsbr., 1889

3 Zum Abschluß des Marxschen Systems – „Staatswissenschaftliche Arbeit", Berlin, 1896, გვ. 58-205.

ბემ-ბავერკის მოსაზრებები ძირითადად ჩამოყალიბებულია მის მთავარ ნაშრომში – „კაპიტალი და სარგებელი". ნაშრომის პირველ ნაწილში – „კაპიტალი და მოგება" (1884)[1] კრიტიკულადაა განხილული ამ საკითხების შესახებ მანამდე არსებული სარგებლიანობის თეორიების ისტორია. მეორე ნაწილში – „კაპიტალის პოზიტიური თეორია" (1889)[2] ჩამოყალიბებულია მენგერის შეხედულებებზე დაფუძნებული საკუთარი თეორია.

1.2.3. კაპიტალი და მოგება

ბემ-ბავერკმა სოციალურ-ისტორიული შინაარსის გარეშე კაპიტალისა და სარგებლის (მოგების) დოქტრინის ჩამოყალიბება სცადა. მასში **კაპიტალი** მხოლოდ ბუნებისა და შრომით შექმნილი მატერიალური დოლათის ერთობლიობაა. ასეთი მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტია **დროის ფაქტორი**, რომელიც კაპიტალიდან შემოსავლის წარმოშობაში ცენტრალურ როლს ასრულებს. რამდენადაც გრძელვადიანია წარმოების პროცესში კაპიტალის მონაწილეობა, მით მეტია მისი მწარმოებლურობა.

ბემ-ბავერკის შეხედულებით, **ხელფასი** – ახლანდელი დოლათია, წარმოების საშუალებები და მუშათა შრომა კი მომავალი დოლათი; **სარგებელი** კაპიტალის მესაკუთრის მოლოდინის ჯილდოა. სარგებელი (მოგება) ფსიქოლოგიური ფაქტორებითა (მომხმარებლის მიერ მომავალთან შედარებით ახლანდელი დოლათის უფრო მაღალი შეფასებით) და კაპიტალისტის „მოლოდინითაა" ახსნილი. იგი გაიგივებულია მოგებასთან. **სარგებლის განაკვეთი**, მისი აზრით, ზღვრული სარგებლიანობის საფუძველზე ბაზარზე დგინდება და მომხმარების მოცულობითა და მუშათა რაოდენობით განისაზღვრება.

ბემ-ბავერკის ნაკლებად მნიშვნელოვანი შრომებიდან ყურადღებას იპყრობს მის მიერ კარლ მარქსის ღირებულების თეორიის კრიტიკა ნაშრომში **„მარქსისტული სისტემის დასასრული"** (1896)[3]. მასში ავტორი ყურადღებას ამახვილებს „წინააღმდეგობაზე" – „კაპიტალის" პირველ ტომსა (სადაც მოგება შრომის პროპორციულია) და მესამე ტომს შორის (სადაც მოგება კაპიტალის პროპორციულია).

სარგებლის (მოგების) თეორიას ძირითადად აინტერესებს პასუხი კითხვაზე – რატომ იცვლება მომავალში დასამზადებელი საქონლის ერთი ერთეული იმავე რაოდენობის ახლანდელ საქონელზე? რატომაა დამზადებული საქონელი უფრო ძვირფასი, ვიდრე დასამზადებელი?

ბემ-ბავერკის მიერ ზემოაღნიშნული გარემოებების ამსახველი „სამი მიზეზი" საყოველთაოდ ცნობილი გახდა:

პირველი, ახლანდელთან შედარებით მომავალში ნაკლებად დეფიციტური რესურსების მოლოდინი (მას, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ ამ მიზეზს, სიტუაციის ცვლილებისას, უკუქმედებაც შეიძლება გამოეწვია. ამ შემთხვევაში შესაძლებელიაო ფულის ან საქონლის მარაგის შექმნა);

მეორე, მომავალი მოთხოვნილების არასათანადოდ შეფასება (მას ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ასეთი მიდგომა ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარეობდა, თუმცა მისი სრულყოფილი ახსნა ვერ შეძლო. ამას იგი უმეტესწილად მომავალი სურვილების შესახებ წარმოსახვის ნაკლებობას მიაწერდა);

მესამე, დოლათის მოლოდინის ნაყოფიერება, ანუ შემოსავალი მოლოდინის შემდეგ უფრო პროდუქტიულია (ხეების ზრდა ამის ნათელი დადასტურებაა).

აღსანიშნავია, რომ ასეთი მიდგომები ორიგინალური არ იყო, სამივე ზემოაღნიშნული მიზეზი გარკვეულწილად მენგერმა ახსნა და ყველაფერს გრძელი ისტორია ჰქონდა, რაც ბავერკმა უდავოდ იცოდა. მისი მსჯელობები საკამათო გახდა არა იმიტომ, რომ ბემ-ბავერკი თავის წინამორბედებზე უკეთესი იყო, არამედ უფრო იმიტომ, რომ რამდენადაც დოგმატურია თავის მტკიცებებში, იმდენად შეუპოვარია იგი მათ დაცვაში (მაშინაც კი, როდესაც პოტენციურად არასწორია). ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით საკამათო მესამე მიზეზი გახდა.

---

1 Kapital und Kapitalzins: Geschichte und Kritik der Kapitalzins Theorien.

2 Kapital und Kapitalzins. Positive Theorie des Kapitalzins.

3 Zum Abschluß des Marxschen Systems – „Staatswissenschaftliche Arbeit", B., 1896.

ბემ-ბაერკის პოზიცია უცნაური იყო. სარგებლის თეორიის განხილვისას იგი აკრიტიკებდა ადრინდელ თეორიებს იმ მცდარი რწმენისათვის, რომლითაც მათ კაპიტალის მწარმოებლურობა სარგებლის (მოგების) ახსნისას საკმარისად ჩათვალეს. თავის თეორიაში იგი დიდ სიღრმეებში შეიჭრა, რათა აეხსნა, რომ „მესამე მიზეზი" ფაქტობრივად დროის შელავათების გარეშეც გამოვლინდებოდა.

ბემ-ბაერკმა არ გაიზიარა ირ.ფიშერის შეხედულება იმის შესახებ, რომ სარგებლის განაკვეთი გამსესხებლის უფრო შორსმჭვრეტელური ქცევით აიხსნება, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სარგებლის განაკვეთზეა დამოკიდებული. მისი აზრით, ფიშერის თეორია უფრო სარგებლის „მათემატიკური" (და არა „შემთხვევითი") ახსნისათვისაა საჭირო.

აქედან მოყოლებული, შემთხვევითი ანალიზით ავსტრიელები მათემატიკოსების „ფუნქციონალურ" ანალიზს ებრძოდნენ. ისტორიული შედეგი ის იყო, რომ ავსტრიელები არიერგარდულ[1] ბრძოლას აწარმოებდნენ, ხოლო მეცნიერული კვლევის ნამდვილი ბრძოლები კი ყველგან იმართებოდა.

ზოგადი წონასწორობის სისტემაში ბემ-ბაერკის დოქტრინის კულმინაცია (მწვერვალი) აქციონერული კაპიტალის დანახარჯებთან, ხელფასებთან და, საერთოდ, კაპიტალთან მიმართებაში სარგებლის განაკვეთის განსაზღვრაა. იგი პრობლემის ამოხსნაში „ცხრილებს" იყენებდა.

ეკონომიკის ისტორიის თვალსაზრისით, ბემ-ბაერკის ანალიზი სარგებლის განაკვეთის შესახებ სამი მიზეზის გამოა აღსანიშნავი:

1) სარგებლის განაკვეთი დროის უპირატესობის გარეშეც აიხსნება. დროის უპირატესობა სარგებლის თეორიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი არ არის;

2) აქციონერული კაპიტალი წარსულში გაკეთებული დანაზოგების მემკვიდრეობაა;

3) ზოგადი წონასწორობის მოდელში სარგებელი, ხელფასი, დანახარჯი და წარმოების პროფილი ერთდროულად დადგინდა.

შემდგომში, ბემ-ბაერკის პროტოტიპს[2] „ავსტრიული კაპიტალის თეორია" ეწოდა.

1.2.4. წამყვანი ავტორიტეტი

მე-19 საუკუნის მიწურულს, ბემ-ბაერკი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ეკონომისტი, ავსტრიული სკოლის მთავარი ფიგურა, საკმაო წარმატების მქონე მინისტრი – კაპიტალისა და სარგებლის თეორიაში წამყვანი ავტორიტეტი გახდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს თანაბრად შესაფასებელი არ იყო. იგი განსაკუთრებული ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა და თავისი ანალიტიკური უნარით მისი დროის წამყვან მარჟინალისტებს არ აღემატებოდა. ყოველივე ეს მან ლოგიკური და დიალექტიკური მსჯელობებით აანაზღაურა.

ავსტრიული სკოლისათვის გრძელვადიანმა შედეგებმა არ გაამართლა, ვინაიდან მის ეკონომიკურ კვლევებში მათემატიკის როლი და მნიშვნელობა უგულებელყოფილი იყო, რამაც მისი მიმდევრები პროვინციალიზმის დონეზე დატოვა.

ამავე დროს, ბემ-ბაერკმა თავისი თეორიით გასული საუკუნის 30-იან წლებამდე მნიშვნელოვან სამუშაოებს ჩაუყარა საფუძველი. ისიც მართალია, რომ ზოგიერთი ცნებები მენგერს ეკუთვნოდა, მაგრამ ბემ-ბაერკმა ისინი თავის თეორიაში გადაამუშავა. მისი მოდელები პრიმიტიული იყო, მაგრამ ირვინგ ფიშერი და კნუტ ვიკსელი მის მიმართ თავიანთ ვალს მადლიერებით აღიარებდნენ.

---

1 არიერგარდი (ფრანგ. arriere-garde) - ჯარის ან ფლოტის ნაწილი, რომელიც ფრონტიდან ზურგისაკენ მოძრაობისას მთავარ ძალებს ბოლოში მოაყენება და იცავს მათ.

2 პროტოტიპი (ბერძნ. prōtotypon) – პირველსახე, დედანი.

1.3. ფრიდრიხ ფონ ვიზერი (1851-1926)

მენგერი ვენის სკოლის იდეების შემქმნელია, ბემ-ბავერკი და ვიზერი კი მისი მიმდევრები. ოთხი ათწლეულის განმავლობაში ვიზერი ათასობით სტუდენტს თავის ეკონომიკურ შეხედულებებს აცნობდა.

1.3.1. ბემ-ბავერკის ცოლის ძმა, მენგერის შემცვლელი, შუმპეტერის მასწავლებელი და მინისტრი

ფრიდრიხ ფონ ვიზერი (Wiser) დაიბადა 1851 წელს ვენაში. მან ისტორიული განათლება მიიღო. ვენის უნივერსიტეტში სამართალში ხარისხის მინიჭების (1875) შემდეგ, სახელმწიფო სამსახურში დაიწყო მოღვაწეობა და მალე (1874) მენგერის ახლად გამოსულ „საფუძვლებს" წააწყდა, რომელმაც მის ცხოვრებაში ახალი მიმართულება განსაზღვრა. რამდენიმე წელი გერმანიაში იმოგზაურა და კ.კნისის (მონაწილეობდა მის სემინარებში), ფ.როშერისა და ბრ.ჰილდერბრანდის ხელმძღვანელობით ეკონომიკურ მეცნიერებას ეუფლებოდა.

1883 წელს მენგერის დახმარებით ვიზერმა პრივატ-დოცენტად მუშაობა ვენის უნივერსიტეტში დაიწყო. მომდევნო წელს პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა (1884-1903). 1903 წელს მან – ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა – მენგერი შეცვალა. ეკონომიკიდან მისმა ინტერესებმა თანდათანობით ისტორიისა და სოციოლოგიისაკენ გადაინაცვლეს. თავისი ინტელექტუალური სტილით იგი გერმანულ ისტორიულ სკოლასა და „კათედრის სოციალისტებთან" უფრო ახლოს იყო. ბევრი თავისი თანამედროვის მსგავსად, იგიც ძალაუფლებას აღმერთებდა, გარკვეულწილად, რასობრივი შეხედულებების მჭონე ნაციონალისტიც იყო.

ვიზერის რომანტიულმა იდეებმა მის მოწაფე ი.შუმპეტერს მოღვაწეობისათვის ნაყოფიერი ნიადაგი მისცა. 1917 წელს, მოკლე დროით, იგი ავსტრიის ვაჭრობის მინისტრი იყო. 1922 წელს კათედრიდან წავიდა, 1926 წელს კი გარდაიცვალა.

1.3.2. დანახარჯები, ფასი, ალტერნატიული პროდუქტი

ვიზერის ადრეული პერიოდის ნაშრომი – **„ფასისა და ღირებულების დამოკიდებულება"**[1] პირველად 1929 წელს დაიბეჭდა, იგი კარლ კნისის სემინარზე გაკეთებული მოხსენების (1876) ანარეკლი იყო და ისტორიული სკოლის იდეებს შეიცავდა. ეს ნაშრომი ვიზერის პრინციპის ყველაზე ზუსტი გამოხატულებაა.

ნაშრომმა – **„ეკონომიკური ფასეულობის წარმოშობისა და ძირითადი კანონების შესახებ"** (1884)[2] – ვენის უნივერსიტეტში ვიზერის ლექტორობა უზრუნველყო. წიგნში პირველად ითარგმნა გერმანულად ჯევონსის ტერმინი „სარგებლიანობის კლებადი ხარისხი", როგორც **„ზღვრული სარგებლიანობა"** (Grenznutzen)[3].

მეორე წიგნში „ბუნებრივი ფასეულობა" (1889)[4] ვიზერმა შეიმუშავა დანახარჯების თეორია, რომლის მიხედვითაც წარმოების დანახარჯები კაპიტალითა და შრომით წარმოებული სამომხმარებლო დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობაზეა დამოკიდებული. ამ ნაშრომმა პრაღის უნივერსიტეტში ავტორის პროფესორად გახდომა უზრუნველყო.

ვიზერმა აქ განავითარა სუბიექტური ფასეულობის თეორია და მიუთითა, რომ: ეკონომიკური განვითარების საფუძველია სარგებლიანობა; **ბუნებრივი ფასეულობა** დოვლათის ხარისხისა და მის სარგებლიანობას შორის საზოგადოებრივი ურთიერთობისას წარმოიშობა.

მის მიერ ჩამოყალიბებულ **„გაცვლის თეორიაში"** კ.მარქსის ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების თეორიები უარყოფილია.

---

1 Gesammelte Abhandlaüngen, Tüb., 1929.
2 Über den Ursprung und die Hauptgesetze des wirtschaftlichen Werthes, Wien, 1884.
3 იქვე, გვ. 128.
4 Der natürliche Werth, Wien, 1889.

ნაშრომი — „საზოგადოებრივი ეკონომიკის თეორია“ (1914)[1] გვიჩვენებს, თუ როგორ ლექციებს კითხულობდა კაცი, რომელიც ბემ-ბავერკის გარდაცვალების შემდეგ, ავსტრიული სკოლის წამყვანი ფიგურა გახდა.

კერძოდ, იგი თვლიდა, რომ: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პირობები და არა მოთხოვნილების დაკმაყოფილება; საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორია მიუღებელია; მისაღებია ფ. ლისტის კონცეფცია პროტექციონისტული ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

ნაშრომში — „ძალაუფლების კანონი“ (1926)[2] — ვიზერი მძაფრად აკრიტიკებდა ლიბერალურ კაპიტალიზმს, ხაზს უსვამდა მონოპოლიების მნიშვნელობას, შემოსავლების უთანაბრობას და ინდუსტრიული ქალაქების განვითარებით გამოწვეულ გაუარესებებს. მეწარმესა და მუშას შორის ურთიერთობაში პრობლემების არსებობასა და მზარდ უმუშევრობას.

მისი აზრით, როგორც ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფია ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე ძირითად სამოქალაქო უფლებებს მოითხოვდა, ასევე პროლეტარიატის სამართლის ფილოსოფია (პროლეტარიატის თვალსაზრისიდან გამომდინარე) — ძირითად ეკონომიკურ უფლებებს მოითხოვდა. ძირითადი ეკონომიკური უფლებების გარეშე ცნება „თანასწორუფლებიანობა“ აბსტრაქტულია — იგი სინამდვილეში „უთანასწორობაა“.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვიზერი სოციალიზმს უარყოფდა; თვლიდა, რომ არცერთ ეკონომიკურ სისტემას, მძიმე დანაკარგების გარეშე, ეფექტიანი საზოგადოებრივი შედეგების მიღწევა კონკურენციის ძალის გამოუყენებლად არ შეუძლია.

ვიზერი „სუბიექტური ფასეულობის თეორიაზე“ აცხადებს პრეტენზიას, რომელიც სათავეს გოსენის, ჯევონსისა და მენგერის შრომებიდან იღებს. როდესაც იგი ფასს ზღვრული სარგებლიანობის გამოხატულებად წარმოადგენდა, ეს იყო მენგერის გზით სვლა. იგი მზედგელობაში იღებდა წარმოების ფაქტორთა შენაცვლებასა და არჩევანს ერთი და იმავე საქონლის წარმოების მეთოდებს შორის. მოცემული ტექნოლოგიით ერთი პროდუქტის ფასი იმავე წარმოების ფაქტორებიდან წარმოებული ალტერნატიული პროდუქტით შეიძლებოდა გამოხატულიყო.

მენგერი ყოველთვის დროებითი მოვლენების ჯაჭვიდან ინდივიდუალური ეკონომიკური დასკვნების გამოტანას ცდილობდა. ვიზერი ეკონომიკური წონასწორობის ცნების შემოტანით მენგერს გასცდა. ეს ნაბიჯი სრულიად განსხვავებული ტერმინოლოგიის გამოყენებით შეინიღბა. „წონასწორობის“ ცნების შემოტანამ კლასიკური და სუბიექტური ღირებულების თეორიების გარკვეული სინთეზი განაპირობა. თუ ორი საქონელი განსხვავებული პროპორციებით ერთი და იმავე ფაქტორებიდან იწარმოება, მათი შესაბამისი ღირებულებები მათ სარგებლიანობაზეა დამოკიდებული.

ვიზერის აზრით, ფასი ღირებულების ნამდვილი გამოსახულება ყოველთვის არ არის. ფასი რომ ღირებულების ნამდვილი გამოხატულება ყოფილიყო, იგი ღირებულებას იმ შემთხვევაშიც კი გამოხატავდა, როდესაც შემოსავლები არაეფექტიანად იხარჯებოდა. მისი აზრით, ფასი, რომელიც პროდუქტის ღირებულების ტოლია, სხვა არაფერია, თუ არა სარგებლიანობა, ფასი ყოველთვის სარგებლიანობის ასახვაა.

ვიზერის დოქტრინის გასაღები წონასწორობა და ეფექტიანობაა. იგი „კანონებში“ იდეალურ კომუნისტურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელშიც მგეგმავების მიერ რესურსები ეფექტიანადაა განაწილებული.

ასეთ ეკონომიკაში წარმოების ფაქტორების და მათგან წარმოებული პროდუქტების ღირებულებას ბუნებრივ ღირებულებას უწოდებენ. თუ წარმოების ფაქტორები მენგერის „დანაკარგის პრინციპის“ მიხედვითაა შეფასებული, მათი მთლიანი ღირებულება შეიძლება მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულებას აღემატებოდეს.

ვიზერის მითითებით: ეს მენგერის ცვალებადმა ხასიათმა განაპირობა; სრულ წონასწორობაში წარმოების ფაქტორების ღირებულება მათ მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულების ტოლია; წარმოების სამი ფაქტორიდან (მიწა, შრომა, კაპიტალი) თითოეული იცვლება მათ მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულების განსაზღვრულ ნაწილზე.

---

1 Theorie der gesellschaftlichen Wirtschaft. In Grundriss der Sozialökonomik, 1914.

2 Das Gesetz der Macht, 1926.

ვიზერის პრობლემის ერთი ასპექტი იმის დაშვებით განიხილება, რომ წარმოების ერთი ფაქტორი სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტის საწარმოებლად შეიძლება გამოიყენონ[1].

მაქსიმალური სარგებლიანობის მიხედვით, პროდუქტის ზღვრულ სარგებლიანობასა და მისგან მიღებულ შემოსავალს შორის თანაფარდობა ყველა პროდუქტისათვის ერთნაირი უნდა იყოს.

ვიზერი გრძნობს, რომ ეს საერთო თანაფარდობა ზღვრული სარგებლიანობაა. იგი სარგებლიანობის დანაკარგს ზომავს, თუკი წარმოების რომელიმე ფაქტორის წვლილი ერთი ერთეულით შემცირებულია, თუმცა მათემატიკის ნაცვლად გზას ციფრული მაგალითებით გადატვირთული კაზუისტიკისაკენ (საეჭვო ღირებულებებისაკენ) იკვლევს.

1.4. ვენის სკოლის დიდების პიკი

მე-20 საუკუნის დასაწყისში ვენის (ავსტრიული) სკოლა თავისი საერთაშორისო დიდების პიკზე იმყოფებოდა. ბემ-ბავერკის გარდაცვალების შემდეგ „სკოლა“ პროვინციულ გაურკვეველობაში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ემიგრირებული ავსტრიული სკოლის წარმომადგენლები შუმპეტერი და მიზესი საკმაოდ ძლიერი თეორეტიკოსები იყვნენ, მაგრამ ისინი უყურადღებოდ დარჩნენ.

ვენის სკოლის მეცნიერული ნაყოფიერება, რომელიც მისი აღმავლობის პერიოდშიც არ იყო მაინცდამაინც დიდი, თანდათანობით მცირდებოდა. კვლევის მამოძრავებელი ანალიტიკური აპარატი სკოლას არ შეუქმნია.

მეორე თაობის წარმომადგენლების, ვიზერისა და ბემ-ბავერკის ხელმძღვანელობით მან ეკონომიკის ძირითად მიმართულებებთან რეალური კონტაქტები დაკარგა და ინდივიდუალობის შენარჩუნებას აკადემიური შეჯაჯარებით შეეცადა. მეორე თაობის წარმომადგენლების შემდეგ ვენის სკოლას მაღალი ანალიტიკური სტანდარტებითა და მეცნიერული მსჯელობებით გამორჩეული მესამე თაობის ეკონომისტები აღარ ჰყავდა.

მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომმა ვენის ინტელექტუალურმა აზროვნებამ მეოთხე თაობის გამორჩენილი ეკონომისტები, მათ შორის ფრიდრიხ ჰაიეკი (1919-1992), გოტფრიდ ჰაბერლერი (1900-1974), ფრიც მახლუპი (1902-1983) და სხვ. წარმოშვა.

თუმცა, ვენის უნივერსიტეტი მათი საქმიანობის ცენტრი აღარ იყო და ისინიც მალე გაიფანტნენ. სკოლისაგან დამოუკიდებლობის შემდეგ მათ უფრო მეტი წვლილი შეიტანეს ეკონომიკურ მეცნიერებაში, ვიდრე „ვენის სკოლამ“.

2. რუდოლფ აუშპიცისა (1837-1906) და რიჩარდ ლიბენის (1842-1919) ნაწილობრივი წონასწორობა

2.1. ბიძაშვილები

მაშინ, როდესაც მენგერი მთელ თავის ენერგიას მეთოდურ კვლევებზე ხარჯავდა, ვენაში მოღვაწეობდა ორი ბიძაშვილი, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს იმაში, რაშიც მარცხი განიცადა მენგერმა, კერძოდ, ანალიტიკური მეთოდებით ფასების თეორიის დამუშავებაში. თუმცა, ისინი არასოდეს ეკუთვნოდნენ ავსტრიულ სკოლას, სწორედ მათ წილად ხვდათ შეექმნათ ერთადერთი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა – წმინდა ავსტრიული ნაშრომი მათემატიკურ ეკონომიკაში.

რუდოლფ აუშპიცი (Auspitz) დაიბადა 1837 წელს ვენაში, აღიზარდა განათლებულ ებრაულ ოჯახში, შეისწავლა მათემატიკა და ფიზიკა, ხარისხის მიღების გარეშე.

ოცდაექვსი წლის ასაკში, მართალია, ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ ბიზნესმენობას მიჰყო ხელი და შექმნა ავსტრიის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი „შაქრის ღუმელი“. ვინაიდან იგი მთელი ცხოვრების მანძილზე კარტელების წინააღმდეგი იყო, მას ურჩიეს თავისი კარტელიდან მიღებული ზემოგება მოსამსახურეთა საპენსიო ფონდისათვის შეეწირა.

---

1 Gessammelte Abhandlungen, დანართი.

წარმატებული ლიბერალ-პოლიტიკოსი, აუშპიტცი იყო მორაციის 1871-91 წწ. პარლამენტის და ავსტრიის პარლამენტის ქვედა პალატის წევრი 1873-90 და 1892-1905 წლებში, სადაც მან გამოცდილი და გაელენიანი ფინანსისტ-ექსპერტის სახელი დაიმსახურა. მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, იგი წარმოგვიდგება დიდი ენერგიისა და გაწონასწორებული მსჯელობის მქონე ადამიანად, რაღაცით მისი ცხოვრება დეივიდ რიკარდოს ცხოვრებას მოგვაგონებდა.

იგი გარდაიცვალა ვენაში 1906 წელს.

რიჩარდ ლიბენიც (Lieben) ვენაში დაიბადა 1842 წელს. მათემატიკისა და საინჟინრო მეცნიერების შესწავლის შემდეგ იგი ბანკირი და ვენის ბიზნეს-წრეების ღირსეული წევრი გახდა. 1892 წელს იგი მხარს უჭერს ოქროს სტანდარტის შემოღების იდეას.

იგი გვიან დაქორწინდა და შვილები არ ჰყავდა.

ლიბენი იყო მეცნიერული და არტისტული გემოვნების მქონე კაცი, რომელსაც ახასიათებდა უფრო ჭვრეტითი გონება, ვიდრე აქტივობა. როგორც ეკონომიკური ჟურნალის კორესპონდენტმა მან შეაჯამა საკუთარი ბიძაშვილის შეხედულებანი სამომხმარებლო რენტაზე, როგორც მომხმარებლის უძრავი ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადისა (1894 წელი).

იგი გარდაიცვალა ვენაში 1919 წელს.

აუშპიტცის პირველი მეუღლე ლიბენის და იყო, მაგრამ ისინი ოცი წლის შემდეგ განქორწინდნენ მეუღლის სულიერი ავადმყოფობის გამო, რის შემდეგ მან მათი შვილების აღმზრდელ ქალზე იქორწინა.

ბიძაშვილები აგრეთვე ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ როგორც საგვარეულო ბანკის „ლიბენ ენდ კომპანის" პარტნიორები, რომელსაც მათი გარდაცვალების შემდეგ „აუშპიტც-ლიბენ ენდ კომპანი" ეწოდა.

ეკონომისტები მათ ერთმანეთს უკავშირებენ იმ ფაქტის გამო, რომ მათი ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნილია ერთობლივად. არაფერია ცნობილი (მათ) ცალ-ცალკე წვლილზე.

2.2. ფასების თეორია

მეწარმე რუდოლფ აუშპიტცსა და ბანკირ რიჩარდ ლიბენს სახელი გაუთქვა ერთობლივმა წიგნმა „**კვლევები ფასთა თეორიის შესახებ**" (1879)[1]. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი ანალიზი **ნაწილობრივი წონასწორობის** შესახებ, რაც კი მანამდე გამოქვეყნებულა.

წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ ავტორები კარგად იცნობდნენ წამყვანი მათემატიკოს-ეკონომისტების უმეტეს ნაწილს: ტიუნენს, კურნოს, გოსენს, ჯევონსს, ვალრასსა და ლონჰარდტს, მაგრამ ისინი არ იცნობდნენ მარშალის ადრეულ პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებს და არ ახსენებენ ეჯუორთს.

მათი ანალიზის კვლევის საგანი - ერთი სახის საქონლის გაცვლა ფულზე, ჩვეულებრივ, ფულის მუდმივად მაღალი <u>სარგებლიანობის</u> მცნებას ემყარება. იგი განისაზღვრება, როგორც იმ ფულის მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც გადაიხდის მყიდველი საქონლის მოცემული რაოდენობისათვის. მეორე მხრივ, ერთობლივი დანახარჯი შეადგენს მინიმალურ თანხას, რომლისთვისაც მწარმოებლები მზად არიან მიაწოდონ საქონლის მოთხოვნილი რაოდენობა, ვიდრე დახურონ წარმოება.

ყოველი მოცემული ფასის შემთხვევაში, მომხმარებლები მაქსიმალურად ზრდიან თავიანთ საბოლოო დაკმაყოფილებას. ასეთ პირობებშიც მიმწოდებლები ანალოგიურად აფართოებენ წარმოებას იმ წერტილამდე, სადაც დანახარჯები უტოლდება სააზრო ფასს.

იმას, რასაც აუშპიტცი და ლიბენი უწოდებენ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდებს, არის (მარშალის ტერმინოლოგიით) შეთავაზების მრუდები ერთი სახის საქონლისათვის ფულზე გაცვლაში; წმინდა კონკურენციის პირობებში, სააზრო ფასები ისეთია, რომ მოთხოვნა უტოლდება მიწოდებას.

---

1 Auspitz R., Lieben R., Untersuchungen über die Theorie des Preises, 1879; ინგლ. თარგმ. Researches on the Theory of Price, 1889.

მომხმარებლისა და მწარმოებლის მოგებები (მოგვიანებით რასაც ჭარბ მოგებას ეუწოდებთ) შეიძლება უშუალოდ ამოვიკითხოთ მათ მიერ შედგენილ გრაფიკზე; ამაში მდგომარეობს ამ მეთოდის პრინციპული ღირებულება; მომხმარებლის ჭარბი მოგება უბრალოდ შეადგენს ერთობლივი დაკმაყოფილების სიჭარბეს დანახარჯებთან შედარებით. მეორე მხრივ, მწარმოებლის ჭარბი მოგება წარმოადგენს ერთობლივი შემოსავლის სიჭარბეს ერთობლივ დანახარჯებზე.

წმინდა კონკურენცია მაქსიმალურად ზრდის საზოგადოებრივ სარგებლიანობას. იგივე მეთოდი გამოიყენება მონოპოლიისათვის. მოგების მძებნელი მონოპოლისტი მაქსიმალურად ზრდის ვერტიკალურ მანძილს მოთხოვნის მრუდსა და ერთობლივი დანახარჯების მრუდს შორის. შესაბამისად, ვერ მიაღწევს ოპტიმალურს და ასევე მოუვა საზოგადოებრივ მოგებას. აუშპიტცისა და ლიბენის აზრით, მონოპოლიის ექსპლოატაცია მომხმარებლებს მძიმე ტვირთად აწვება, რაც აუცილებლად მონოპოლისტის უპირატესობებს აღემატება, რადგანაც იმავე დროს სოციალური უპირატესობა (მოგება) თავისი მაქსიმალური წერტილიდან გადაიხრება.

აეტორთა ანალიზის ბევრ ღირსშესანიშნავ ნაწილს შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ მტკიცება, რომ საბირჟო სპეკულაცია სოციალურად მოგებიანია, თუ იგი ნაყოფიერია.

ნაშრომის დასკვნით თავში ფართოდ არის მოცემული მონოპოლიის ანალიზი გადასახადებსა და საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში, სადაც შედის ოპტიმალური ტარიფების შესანიშნავი ანალიზიც.

ოთხ დამატებით თავში მოცემულია მთავარი და ძირითადი არგუმენტი, რომელიც ეხება ერთგანზომილებიან დიფერენციალურ აღრიცხვას, რომელიც მთავრდება ზოგადი წონასწორობით.

მიუხედავად იმისა, რომ აუშპიტცსა და ლიბენს დიდად აფასებდნენ მათი თანამოაზრენი: ეჯუორთი, პარეტო და ფიშერი, მათ მაინც არ მიუღიათ ის აღიარება, რასაც იმსახურებდნენ. თავიანთ ვიწრო წრეში მათემატიკისადმი ავსტრიული სკოლის მერყეობის თვალსაზრისით, ისინი განდევნილები იყვნენ. უფრო მნიშვნელოვანია, რომ აუშპიტცსა და ლიბენს, რომლებიც მოსწყდნენ უშუალოდ მეცნიერულ მოღვაწეობას, არასოდეს უცდიათ შეექმნათ საჭირო ტერმინოლოგია, რაც ასე საჭიროა ეკონომიკაში აკადემიური წარმატების მისაღწევად. და მაინც, აუშპიტცი და ლიბენი იმყოფებოდნენ გავლენის ქვეშ, რადგანაც ირვინგ ფიშერი, თავის „მათემატიკური გამოკვლევების" შესავალში (1925) მოიხსენიებს მათ და ჯევონსის „პოლიტიკური ეკონომიის თეორიის" (1871) წიგნებს, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს მასზე. ეს არც თუ ისე უმნიშვნელო რგოლია ეკონომიკური დოქტრინების მთავარ ჯაჭვში.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი იყვნენ მეტად თავაზიანი და განათლებული პიროვნებები, აუშპიტცმა და ლიბენმა შესძლეს ჰქონოდათ წინააღმდეგობა ვალრასთან. უკვე 1887 წელს გერმანელმა ვილჰელმ ლონჰარდტმა (1832-1918) გააფრთხილა ვალრასი იმ ორი „თავხედი ებრაელი პირატის"[1] „პლაგიატობის" შესახებ. ჟურნალ „გამოკვლევების" შესავალში, რომელსაც განხილულია ლონჰარდტის მწარე მამხილებელი სიტყვები, როგორც სრულიად უსაფუძვლონი, დამატებულია უფრო არსებითი გამაღიზიანებელი მოტივები იმის შესახებ, რომ: პირველი, ვალრასის ერთდროული მოთხოვნის მრუდები არ იყო სწორად აგებული, რამდენადაც ერთი სახის საქონლისათვის მრუდი წინასწარ განსაზღვრავდა მოცემულ ფასს მეორესათვის და მეორე, იქ არ შეიძლება ყოფილიყო მრავალჯერადი წონასწორობა.

ამ გაკრიტიკებამ კიდევ უფრო მეტად „უკბინა" ვალრასს, რადგანაც ეჯუორთმა ბრიტანეთის ასოციაციისადმი თავის საპრეზიდენტო მიმართვაში (1889), დაახასიათა აუშპიტცი და ლიბენი, როგორც უფრო სწორნი და მართალნი, ვიდრე ვალრასი. ვალრასმა, თავის დასაცავად (მაგრამ უშედეგოდ), დაიწყო იმათი კრიტიკა, „ვინც ცუდ დოქტრინას ქმნის მათემატიკის გამოყენებით", თუმცა, მისი საკუთარი პასუხი არ არის გამყარებული ფაქტობრივი მასალებით და გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. კ.ჯეკსელი, ჩვეულებრივ, სწორად იგებდა ამ საკითხებს (1954).

მიუხედავად ამისა, აუშპიტცმა და ლიბენმა დამატებით შეისწავლეს და გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ ვალრასის მრუდები აგებულია ერთი სახის საქონლის მოთხოვნა-მიწოდებაზე და რომ მრავალჯერადი წონასწორობის შეუძლებლობა დამოკიდებული იყო ფულის ზღვრული სარგებლიანობის მუდმივობასთან. აუშპიტცის გარდაცვალების შემდეგ, ლიბენმა (1908) თავმდაბლურად შეიგნო მათ მიერ დაშვებული ზოგიერთი შეცდომა, მაგრამ მათ ვალრასმა უხეშად უპასუხა.

---

1 პირატი ზღვის ყაჩაღს, მეკობრეს ნიშნავს.

აანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1975.
ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.
გ.თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 2004.
კ.მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" IV ტომი), ნაწ. I-2, თბ., 1966-1968.
ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.
დ.როზენბერგი, პოლიტიკური ეკონომიის ისტორია, ნაწ. I, თბ., 1938.
ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.
ა.სილაგაძე, ჯ.კახნიაშვილი, ე.მექვაბიშვილი, მიკროეკონომიკა, თბ., 2006.
გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, თბ., 1962.
მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.
ჯ.ზარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Австрийская школа в политической экономии: К. **Менгер**, Е. **Бём-Баверк**, Ф. **Визер**, М., 1992.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Блюмин И. Г., Критика буржуазной политической экономии, т.1, М., 1962; Субъективная школа в буржуазной политической экономии, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.3, М., 1989.

Журавицкий С., Математическая школа в истории политекономии, М., 1961.

История экономических учений, Под ред. В.**Автономова**, М., 2003.

Майбурд Е. М., Введение в историю экономической мысли. От пророков до профессоров, Пер. с англ., М., 1996.

Папава Â.Ă., Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.**Чикава**, Тб., «Мецниереба», 1987.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Correspondence of Leon Walras and Related Papers, Jaffe, W..., Amsterdam, 1965.

Brunn J. and A. **Robinet** A.Cournot: Etudes pour le centenaire de la mort (1877-1977), P., 1978.

Böhm-Bawerk Eugen von, Rechte und Verhältnisse vom Standpunkte der volkswirtschaftlichen Güterlehre, Innsbruck, 1881; Kapital und Kapitalzins: ტ.I: - Geschichte und Kritik der Kapitalzins Theorien, Innsbruck, 1884; ტ.2: - Positive Theorie des Kapitalzins, Innsbruck, 1889; Grundzüge des Theorie des wirtschaftlichen, Güterwerthes – „Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik, 1886, Bd.13, 1-82 - 477-541; Zum Abschluß des Marxschen Systems – „Staatswissenschaftliche Arbeiten", Berlin, 1896, 58-205 (Otto von Boenigt Hg.); Einige strittige Fragen der Kapitalstheorie, W.-Lpz.,1900; რუს. თარგმ. Капитал и прибыль, СПБ, 1909; Основы теории ценности хозяйственных благ: Одесса, 1903; Л., 1929; Критика теории Маркса, М., 1931.

Cournot A.A., Recherches sur les prinzipes mathematiques de la theorie des richesses, Paris, 1838 - გერ. თარგმანი: Untersuchungen über die mathematischen Grundlagen der Theorie des Reichtums, Iena, 1924 - ინგლისურად – იგივე, N.Y., 1897; Principes de la theorie des richesses, P., 1863; Revie sommaire des doctrines economiques, P., 1877; Oeuvres completes. Ed. A.Robinet. 14 vols, P., 1973; რუს. თარგმ.: Основы теории шансов и вероятностей, М., 1970.

Edgewort E., New and old Methods of Ethics, Oxf., 1977; Mathematical Psychics; an essay on the application of mathematics to the moral sciences, L., 1881; Metretike or the method of measuring probability and utility, L., 1888; Papers relating to political economy, v.1-3, L., 1925.

Eckard E. W., Economics of W.S. Jevons, Was., 1940.

Fridman M., Walras and His Economic System-American Economical Review, 1955.

Gossen H.H.: Entwicklung der Gesetze des menschlichen Verehrs und der daraus fliessenden Regeln für menschliches Handeln, B., 1854/1889, **ital.** 1950; **ingl.** - 1883.

Hicks I.R., Leon Walras - Econometrica, Bd.2, 1934.

Jevons W. S.: Mostife of A General mathematical theory of Political economy..., L., 1862; A Serious fall in the Value of Gold, 1863; Rrief Account of A General mathematical theory of Political economy – J. of the Statistical Society, v.29,06, L., 1865; The Coal Question, Cambr., 1865; Papers and Correspondence, R.D. Collison Black and R.Könekamp, 7 Vols, L., 1972-1981; The Coal Question, L., Cambr., 1865; Elementary Lessons in Logic, L., 1870; The Theory of Political Economy, L., 1871/1957; The Principles of Science, 2 Vols, L., N.Y., 1874/1958; Money and the Mechanism of Exchange, L., 1875; Primer of Logic, L., 1876; Primer of Political Economy, L., 1878; Investigation in Currency and Finance, L.,1884; The Principles of Economics, L., 1905; The Theory of Political Economy, L., 1871/1957; რუს. თარგმ.: Основы науки, СПБ, 1881; Политическая экономия, СПБ, 1905; Об общей математической теории политической экономии – В кн.: Теория потребительского поведения и спроса, СПБ, 1993; Краткое сообщение об одной математической теории политической экономии – "Вехи экономической мысли", Санкт-Петербург, 2000.

Lettere a Maffeo Pantaleoni, vol.3, Roma, 1960.

Menger Carl: Grundsätze der Volkswirtschaftslehre, Vien, 1871/1923; Untersuchungen über die Methode der Sozialwissenschaften und der politischen Ökonomie insbesondere, Leipzig, 1883; Die Irrthümer des Historismus in der Deutschen Nationalökonomie, Wien, 1884; Zur Theorie des Kapitals - „Jahrbücher für Nationalökonomie und Statistik, Bd.17, 1888; Collected works, v.1-4, L., 1933-1936; რუს. თარგმ. Исследования о методах социальных наук и политической особенности, СПБ, 1894; Основания политической экономии, Одесса, 1903.

Pareto V.: Cours d'économie politique, v.1-2, Lausanne-P., 1896-1897; Les systémes socialistes, v.1-2, P., 1902-1903; Mannuale di economia politica, Mil., 1906; ital.: Mil., 1909; Economie mathematique - Encyclopedia of the mathematical Sciences, 1911; Trattato di sociologia generale, v.1-2, Firenze, 1916 - თარგმ.: Mind and Society, N.Y., 1935.

Schmoller G., Zur Methodologia der Staats-und Sozialwissenschften, 1883; Zur Literaturgeschichte der Staats - und Sozialwissenschaften, Leipzig, 1888.

Schumacher H., J.H. von Thünen. Ein Forscherleben. Rostok, 1868.

Schumpeter J.A.: Ten great economists, from Marx to Keynes, N.Y., 1951; History of Economic Analysis, N.Y., 1954; История экономического анализа, Пер. с англ., т. 1-3, М., 2004.

The Early Economic Writings of A.Marschall, 1867-1890, Ed., J.K.Witaker, L., 1975.

Thünen J.H., Der isolierte Staat in Beziehung auf Landwirtschaft und Nationalökonomie, 3 Aufl., T.1-3, B., 1875.

Walras L.: Eléments d'économie politique pure ou Théorie de la richesse sociale, pt.1-2, 1874-1877/1926; Théorie mathématique de la richesse sociale, Lausanne, 1883; Théorie de la monnaie, P., 1886; Etudes d'économie sociale. Théorie de la répartition de la richesse sociale, P., 1896/1936; Etudes d'économie politique appliquée, Theorie de la production de la richesse sociale, P., 1898/1936; Elements d'économie politique pure ou theorie de la richesse sociale, P., 1874/1926 – ინგლისურად: Elements of Pure Economics, L., 1954.

Wieser, Friedrich von: Über den Ursprung und die Hauptgesetze des wirtschaftlichen Werthes, Wien, 1884 (ინგლ. თარგმ., 1893); Der natürliche Werth, Wien, 1884 (ინგლ. თარგმ., 1893); Theorie der gesellschaftlichen Wirschaft. In Grundriss der Sozialökonomik, 1914; Das Gesetz der Macht, 1926; Gesammelte Abhandlungen, Ed.F.A.von Hayek, Tübingen, 1929; რუს. თარგმ. Теория общественного капитала - В кн.: Австрийская школа в политической экономии... М., 1992.

თავი XIV.
ამერიკული სკოლა

1. დოქტრინის სათავეებთან: ჯონ ბეითს კლარკი (1847-1938)

1.1. მარჟინალიზმის გამოჩენა

მარჟინალიზმი შეერთებულ შტატებში ნაწილობრივ ადგილობრივი წარმოშობის, ნაწილობრივ ავსტრიიდან და ინგლისიდან არის იმპორტირებული.

ამერიკის კონტინენტზე მისი გამოჩენა, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ავტორის ჯონ ბეითს კლარკის (Clark) სახელს უკავშირდება. მან დამოუკიდებლად განავითარა ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი და მეტიც, ის წარმოებისა და განაწილების პრობლემების განხილვის პროცესში გამოიყენა.

კლარკი, როგორც როშერისა და კნისის მოწაფე, ჰაილდერბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა, რამაც მის შრომებზე ზეგავლენა მოახდინა. პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას იგი 30 წლის ასაკში შეუდგა და თეორიული ინტერესებიც სწრაფად გამოაელინა.

1.2. სიმდიდრის ფილოსოფია

1886 წელს გამოიცა კლარკის პირველი წიგნი „სიმდიდრის ფილოსოფია“. ეს წიგნი ერთდროულად გვიჩვენებს როგორც მის მიერ ზღვრული სარგებლიანობის პრინციპების ჩამოყალიბებას, ასევე კლასიკური დოქტრინების ზოგიერთი პრინციპისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებას, რაც გერმანელი „ისტორიანელების“ ზეგავლენის შედეგია.

კლარკს კლასიკოსების მიმართ გარკვეული პრეტენზია ჰქონდა. მისი მტკიცებით, ისინი ადამიანთა ქცევის მოტივებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, თუმცა ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. კლასიკური დოქტრინის სხვა ნაკლად მან კონკურენციისადმი უსაზღვრო რწმენა დაასახელა.

კლარკის მიხედვით, კონკურენცია საზოგადოების ზნეობრივი ფასეულობებით მოწმდება და რეგულირდება. აქ გერმანელი „ისტორიანელების“ ზეგავლენა აშკარაა, რადგან იგი საზოგადოებას, როგორც ერთიან ორგანიზმს, ვერ აცნობიერებდა.

ჯ.კლარკის „სიმდიდრის ახალი ფილოსოფია“ კლასიკოსების ხარვეზების აღმოფხვრას ითვალისწინებს. მისი წიგნი, გარკვეული აზრით, ახალი სკოლის მანიფესტია, რომელსაც ავტორი „ძველი პოლიტიკური მტრის საერთო სულისკვეთების“ წინააღმდეგ ფართოდ გაშლილი ამბოხების გამოხმაურებად თვლიდა.

კლარკის აზრით, ხელფასსა და სარგებელს თავთავიანთი წყარო გააჩნიათ; საქონლის სარგებლიანობა ცალ-ცალკე მისი შემადგენელი ელემენტების ზღვრული სარგებლიანობის მიხედვით განისაზღვრება („კლარკის კანონი“). მან განმარტა **ზღვრული სარგებლიანობა**. იგი **ღირებულებას** სარგებლიანობის საზომად თვლიდა, მაგრამ „აბსოლუტურ“ და „ეფექტიან“ სარგებლიანობას ერთმანეთისგან განასხვავებდა. მათგან მეორე ისეთი სუბიექტური პირობების ცვლილებებით იზომება, რომელიც რაიმე საგნის გაქრობას ან დამატებას უკავშირდება.

„სიმდიდრის ფილოსოფიაში“ კლარკმა „**სოციალური ღირებულების**“ ცნება გამოყო, რომელიც ეკონომიკაში საზოგადოების შესახებ შეხედულების დანერგვას ემსახურებოდა. მისი აზრით, **ეფექტიანი სარგებლიანობა** სუბიექტურ-ინდივიდუალური მოვლენაა და საზოგადოებამ სარგებლიანობის შეფასებაში ღირებულება ბაზართან უნდა დააკავშიროს.

კლარკის სოციალური ღირებულების შესახებ ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ მას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობაღა შემორჩა.

ახლა მოკლედ იმ დეტალებს შევეხოთ, რომელიც ზღვრული სარგებლიანობის თეორიის

ადრეულ წარმომადგენლებს აწუხებდათ: **ერთი მხრივ**, ახალი თეორიის ძველთან დაკავშირება, ინდივიდუალური შეფასებების „რაოდენობრივ განსაზღვრასა“ და „განზოგადებას“ მოითხოვდა; **მეორე მხრივ**, ეკონომიკაში ზოგიერთი სოციალ-ეთიკური ელემენტის შენარჩუნების სურვილი არსებობდა, რომლებსაც ისტორიული და სოციალური რეფორმების სკოლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ამ ელემენტებისადმი კლარკის ინტერესი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა მისი კვალი მის ნაშრომებს მაინც შემორჩა; გვიანდელი პერიოდის შრომებში კი მან მისთვის საინტერესო მრავალი პრობლემისადმი აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა განახორციელა.

1.3. სიმდიდრის განაწილება

1889 წელს გამოვიდა კლარკის ამერიკული ახალი ყაიდის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი **„სიმდიდრის განაწილება“**[1]. იგი იმ დროისათვის საყოველთაოდ მიღებულ ზღვრული პრინციპების კვლევის გაღრმავებას მიეძღვნა.

„ზღვრული სარგებლიანობის პრინციპის“ აღწერა კლარკის ნაშრომის უდავოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მაგრამ წიგნის ძირითადი ასპექტებიც ძალზე ფასეულია.

კლარკი ხელახლა აყალიბებს ეკონომიკის ზოგად ამოსავალ დებულებებს, რომლებიც ადამიანის ქცევისა და სოციალური სტრუქტურების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის. ეს კერძო საკუთრებას, პიროვნების თავისუფლებას, მთავრობის საქმიანობის შეზღუდვასა და ბოლოს, ადამიანთა გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სურვილს ეხება.

კლარკმა მათ სხვა განმარტებებიც დაუმატა:

- **პირველი**, საზოგადოება ერთიანი ორგანიზმია;
- **მეორე**, ეკონომიკაში სტატიკურ და დინამიკურ ანალიზებს შორის განსხვავებები უნდა დადგინდეს;
- **მესამე**, ეკონომიკური კანონები დასაბუთებულია, როდესაც მათ საზოგადოებრივი აზრი იწონებს.

პირველი და მესამე განმარტებები „ისტორიული სკოლის“ გაელენას **ასახავს** და ისინი კლარკის ეთიკით დაინტერესებაზე მეტყველებენ. მეორე განმარტება განსხვავებული ხასიათისაა და იგი წმინდა ეკონომიური თეორიის თვალსაზრისით კლარკის მნიშვნელოვანი წვლილია.

ეთიკური ინტერესიდან გამომდინარე, კლარკი ხაზგასმით შეუთითებს განაწილების კანონების საჭიროებაზე, რამეთუ ეთიკურად ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას იღებენ ადამიანები თავიანთი შექმნილიდან, გამართლებულია თუ არა, მაგალითად, კერძო საკუთრების არსებობა და ა.შ[2].

კლარკმა გამოყო წარმოების ოთხი ფაქტორი: 1) ფულადი კაპიტალი; 2) მიწა და წარმოების საშუალებები; 3) შრომა და 4) მეწარმეობრივი უნარი. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტორებიდან შესაბამისად მიიღება შემოსავალი: სარგებელი, რენტა, ხელფასი და მოგება.

მისი აზრით, წარმოების რომელიმე ერთი ფაქტორის ცვლილებისას (სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში) ადგილი აქვს პროდუქტის მოცულობის შემცირებას. ასე მაგალითად, კაპიტალის უცვლელობისას, ყოველგვარი დამატებითი სამუშაო ძალა ნაკლებ პროდუქტს ქმნის. გამოდის, რომ თუ ერთი მუშა 10 დოლარის, მეორე – 5 დოლარის, ბოლო კი 3 დოლარის ღირებულების პროდუქტს ქმნის, მაშინ ხელფასი ზღვრული მწარმოებლურობით – 3 დოლარით განისაზღვრება. ამრიგად, კლარკმა ხელფასი „ზღვრული მუშის“ მიერ წარმოებულ შრომით პროდუქტს გაუტოლა.

მეთოდოლოგიურ საკითხებზე მსჯელობისას კლარკი **ეკონომიკას ორ ნაწილად** ჰყოფს: **პირველი** უნივერსალურ კანონებს იხილავს; **მეორე** – სოციალურ-ეკონომიკურ ფენომენს ეხება. პირველი **სტატიკურია** – იგი ეკონომიკის ძირითად მონაცემებში რაიმე ცვლილებას არ გულისხმობს, მეორე

1 The Philosophy of wealt, Boston, 1886.
2 The Distribution of Wealth, Boston, 1889.

— დინამიკურია — იგი ანალიზის ფუნდამენტურ ვარაუდებში ცვლილებებს უშვებს, რომლებშიც ეკონომიკას დინამიკურს ხდის.

თუმცა, მისი განაწილების ძირითადი ანალიზი სტატიკური მდგომარეობითაა შემოფარგლული. ანალიზისას სულ რამდენიმე ძირითადი დაშვება გაკეთდა. უპირველეს ყოლისა, **დაშვებულია კლებადი სარგებლიანობის პრინციპის მოქმედება** და ეს პრინციპი იმ სახითაა განსაზღვრული, რამაც იგი თითქმის გოსენის „მეორე კანონის" იდენტური გახადა. მეორე, წარმოება მოგების პირობებში ხორციელდება, რომელიც როგორც ნატურალური, ასევე ღირებულებითი ფორმით განისაზღვრება. მან, მართალია, ამ კანონს თავის სისტემაში თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა, მაგრამ მის ჩამოყალიბებაში ანალიტიკური ხასიათის შეცდომები დაუშვა. კერძოდ, საუბარია იმ პირობების აღწერაზე, რომელსაც კონკურენტული წონასწორობის სახელმწიფოში წარმოებრივი რესურსების ოპტიმალური განაწილებისას აქვს ადგილი. კლარკის განსაზღვრება არ ითვალისწინებდა იმის შესაძლებლობას, რომ მზარდ შემოსავალს (ამონაგებს, მოგებას) გარკვეულ დროში შეეძლო ემოქმედა, ვიდრე მოგების შემცირება შესამჩნევი გახდებოდა. გამოსაელად კლარკმა წარმოების ფაქტორთა ერთობლიობის ცვლილებები დაასახელა, რაც მზარდ შემოსავლებს განაპირობებს[1].

შემდეგი მტკიცების მიხედვით, თანამედროვე მოხმარების საქონელი და საქონელი, რომელიც მომავალში სიმდიდრის შესაქმნელადაა განკუთვნილი, ერთმანეთისაგან გამოყენულია. კლარკის თანახმად, კაპიტალი აწმყოში მოხმარებისგან თავშეკავებით, მომავალში სიმდიდრის შექმნის სასარგებლოდ იქმნება.

კლარკის დაშვებით, <u>წარმოებასა და მოხმარებას ზღვრული სარგებლიანობის პრინციპი მართავს</u>; კონკურენცია წარმოების ფაქტორებს მანამ გაანაწილებს, ვიდრე ნებისმიერი შემდგომი მოძრაობით რაიმე უპირატესობის მოპოვება შეუძლებელი გახდება. როცა მცირე ჯგუფების მიმართ ასეთი რეგულირება მიღწეულია, მოგების მიღება შეუძლებელი ხდება; სტაციონარულ მდგომარეობაში კი „ნორმალურ" შემოსავალს მხოლოდ <u>ხელფასი</u> და <u>სარგებელი</u> შეადგენს.

კლარკი რენტის ცალკე შემოსავლის სახით განხილვას განერიდა. კლასიკოსები მიწას განიხილავენ კაპიტალისაგან განსხვავებულად მისი ორი თვისების ხაზგასმით: პირველი, მისი მიწოდება დაფიქსირებულია და მეორე, იგი სხვადასხვა ნაყოფიერებისაა.

კლარკის თანახმად, ისინი მიწის არა განსაკუთრებული მახასიათებლები, არამედ საერთო თვისებებია. სტაციონარულ ეკონომიკაში ადამიანმა შეიძლება იყვარაუდოს, რომ ყველა ძირითადი ფიზიკური კაპიტალი (მიწის ჩათვლით) რაოდენობრივად უნდა დაფიქსირდეს. უფრო მეტიც, მან კონკურენტული წონასწორობის მიღწევის პირობად კაპიტალის მობილურობა დაასახელა, რაც მიწისთვისაც სამართლიანია.

ამგვარად, კლარკის მტკიცებით, მიწის შემთხვევაში ნებისმიერი განმასხვავებელი ელემენტი მხოლოდ მიწისათვის არაა დამახასიათებელი.

ჯ.კლარკის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია ორი „ნორმალური" შემოსავლის — **ხელფასისა და სარგებლის** განსაზღვრა. სწორედ აქ იძენს ფორმას ზღვრული სარგებლიანობის თეორია.

კლარკი მის განსაზღვრაში პირველი არ იყო. მისი ფესვები მის წინამორბედებთან გვხვდება, რომელთა შორის აღსანიშნავია ტიუნენი და მარჟინალიზმის ადრეული პერიოდის სხვა წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი მარშალი, რომელმაც ეს თეორია რამდენადმე განავითარა.

კლარკის შრომებში „<u>ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინამ</u>" <u>ცენტრალური ადგილი დაიკავა</u>. უფრო მეტიც, ამ თეორიამ განსაკუთრებული აღიარება (ან ცუდი რეპუტაცია) ჩამოყალიბებული სტილის გამო მოიპოვა.

კლარკის არგუმენტები შემდეგნაირად შეიძლება შევაჯამოთ: სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში სამეწარმეო საქმიანობა იმ მომენტამდე გაფართოვდება, ვიდრე პროდუქციის შექმნაზე უკანასკნელი ერთეულის დანახარჯი შექმნილი დოლათის ერთეულის ღირებულების ტოლი არ იქნება. სრულყოფილი კონკურენციის ნახსენები პირობის მიხედვით, საწარმომ შემდგომი განაწილებისათვის პროდუქციის ღირებულების ტოლი თანხა უნდა მიიღოს.

ამრიგად, საწარმოს პროდუქტის უკანასკნელ გამოყენებულ ერთეულზე ამონაგები ამ დო-

1 The Distribution of Wealth, გვ. 3,9.

ლათის შემქმნელი დამატებითი დანახარჯების ღირებულებაზე დაბლა არ შეიძლება დაეცეს.

იძლევა თუ არა ეს დოქტრინა შრომის ექსპლუატაციის ახალ დასაბუთებას?

კლარკის პასუხი უარყოფითია: **პირველი**, მისი შრომის მონაცვლეობის დაშვებით ნებისმიერი „მუშის დაკარგვა" ყოველთვის პროდუქტის დანაკარგს ნიშნავს; **მეორე**, არგუმენტს უშუალოდ კაპიტალის თეორიასთან მივყავართ. კლარკის მიხედვით, კაპიტალისათვის სამუშაო ძალის გამოყენება ყოველთვის სასარგებლოა, რომლის შედეგად სამუშაო ძალის ყოველი ერთეული კაპიტალის იგივე რაოდენობას იყენებს როგორც სხვა. ამიტომ სამუშაო ძალის ყოველი ერთეულის მიერ შექმნილი პროდუქტი იგივეა, რაც ყოველი სხვისა.

ამრიგად, სამუშაო ძალის ზღვრული პროდუქტი (რესურსების დამატებითი ერთეულის გამოყენებით წარმოებული დამატებითი პროდუქტი) უფრო **მეტია**, როცა გამოყენებულია ცოტა მუშა და **ნაკლებია**, როცა სამუშაო ძალის მეტი ერთეულია გამოყენებული. ზღვრული პროდუქტის ეს სახეცვლილებები წარმოებრივ კომბინაციაში გამოყენებული კაპიტალის რაოდენობიდან გამომდინარეობს. ამ სპეციფიკური სარგებლიანობის თეორიით, ექსპლუატაციის შესაძლებლობა გამორიცხულია[1].

ჯ.კლარკის აზრით, **სარგებლის** თეორია საერთოდ იგივეა, რაც **ხელფასისა**, მაგრამ ანალიტიკურად იგი უმჯობესია, — ნაწილობრივ, შესაძლებელია იმიტომაც, რომ ეთიკური (მისაღები, მოსაწონი) დასაბუთებისაგან თავისუფალია.

კლარკის მიერ **კაპიტალის არსის** განხილვა, ეკონომიკურ თეორიაში მისი საკმაოდ სპეციფიკური წვლილია. უფრო მეტიც, მას თავისებური ამერიკული სურნელი აქვს. იგი იმ დისკუსიებიდან ამოიზარდა, რომლებიც მე-19 საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა და კლარკიდან დაწყებული ბევრმა ამერიკელმა ეკონომისტმა მის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინა.

ჯერ კიდევ 1887 წელს კლარკმა თავის წიგნში **„კაპიტალი და შემოსავალი"**[2], ხაზგასმით აღნიშნა პოსტკლასიკურ ეკონომიკურ ლიტერატურაში კაპიტალის არსის ორაზროვნება. სოციალური გარემოცვა, რომელშიაც ორი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია, იგივე იყო, რამაც რენტის რიკარდიანული დოქტრინის უარყოფა და მიწის ერთიანი გადასახადის თეორია წარმოშვა და რომლისგანაც კლარკმა თავისი მიწისა და რენტის იდეები შეითვისა.

ამერიკის ახალგაზრდა და მზარდ ეკონომიკაში ძნელი იყო იმ იდეასთან მიმხრობა, რომ მიწა წარმოების ერთი მწირი ფაქტორია, თუმცა ეკონომისტებისათვის ნათელი იყო, რომ მიწა კაპიტალის დაბანდებისა და დაგროვების მნიშვნელოვანი წყაროა.

კლარკი **კაპიტალში** (წარმოების საშუალებების სახით) **კონკურენტულ საქონელსა** და **„წარმოებრივი სიმდიდრის აბსტრაქტულ ნაწილს"** ხედავდა[3]. პირველი ცნება გარკვეულ ტექნიკურ მონაცემებს მოიცავდა, მეორე კი აბსტრაქტული ღირებულების ცნება იყო. ამერიკის კონტინენტზე მიწის შემთხვევაში წარმოების საშუალების კონკრეტულ ფორმასა და შემოსავლის ნაკადის აბსტრაქტულ წყაროს შორის განსხვავება განსაკუთრებით ნათელი იყო.

კაპიტალის ორ ნაწილად დაყოფისას კლარკი, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტულ წარმოების საშუალებებს საქონელთან აიგივებს, ამასთან, წარმოების საშუალებებისა და მომავალი შემოსავლების კაპიტალიზებული ღირებულებების გამოკვნის შემდეგ იგი აცხადებს, რომ კაპიტალის დაგროვება, მატება, ან მოხმარება აბსტრაქტული აზრით ხდება და წარმოების საშუალებები მათი ღირებულების წარმომქმნელი წყაროს გარდაქმნის გარეშე ვერ იარსებებს. მეორე მხრივ, კაპიტალი მუდმივია იმ აზრით, რომ იგი უნდა შენარჩუნდეს, თუ საზოგადოება კატასტროფას არ განიცდის[4].

კლარკსა და ბემ-ბაევრკს კაპიტალისტური წარმოების პრობლემებზე განსხვავებული მიდგომები გააჩნდათ. კლარკის აზრით, ბემ-ბაევრკის თეორია კონკრეტული წარმოების საშუალებათა მიმართ გამართლებულია, მაგრამ კაპიტალის შემთხვევაში მიუღებელია.

წარმოებისა და განაწილების თეორია უფრო კაპიტალს ეხება, ვიდრე წარმოების საშუალებებს. სტაციონარულ ეკონომიკაში მოცემულია წარმოების სტრუქტურა, რომელიც მოხმარებასა და წარმოებას აკავშირებს. თუ „სტრუქტურა" არსებობს, ტექნიკურად მნიშვნელოვანი ფაქტი

1 The Distribution of Wealth, გვ. 164.
2 იქვე, გვ. 324.
3 Capital and its Earnings, 1887.
4 The Distribution of Wealth, გვ. 119.

შეიძლება ის იყოს, რომ წარმოების ზოგიერთმა საშუალებამ წარმოების გარკვეული ციკლი უნდა გაიაროს, ვიდრე შედეგად დასრულებულ მოხმარების საგნებს მივიღებდეთ. წარმოებისა და მოხმარების სინქრონიზაცია გარდაუვალია და კაპიტალისტური წარმოების პროცესში იგი შენარჩუნებულია. სტატიკურ ეკონომიკაში მოხმარების საგნების ნაკადი გარკვეულ დროში უცვლელია. „თავშეკავების" შემთხვევაში კაპიტალი და მოხმარების საგნები იცვლება. კაპიტალის ზრდა საუკუნეების განმავლობაში შესაძლებელია, მაგრამ იმ საუკუნეებზე დამატება შეუძლებელია, რომელთა განმავლობაშიაც კაპიტალი არსებობს[1].

* * *

ამერიკული მარჟინალიზმის ადრეულ ეტაპზე და შემდგომ პერიოდშიც კლარკის ნაშრომები ეკონომიკური აზროვნების მნიშვნელოვანი შენაძენია.

ამასთან, თანამედროვე „ამერიკული შრომები" ეროვნული ნიშნით ნაკლებად გამოირჩევა. მას ძლიერი „ფსიქოლოგიური" ელფერი ახასიათებს. ეს თვისება ირვინგ ფიშერის მათემატიკურ-ეკონომიკურ თეორიებშია აღნიშნული.

2. ამერიკული სკოლის ტრადიციის გაგრძელება: ირვინგ ფიშერი (1867-1947)

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამერიკული კოლეჯდამთავრებული სტუდენტობა პროფესიონალური დახელოვნების მიზნით, იძულებული იყო ევროპაში წასულიყო. ბევრი მათგანი გერმანიაში მიემგზავრებოდა. ეკონომიკის სფეროში დიდი რაოდენობის საინტერესო ლიტერატურა არსებობდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო უმთავრესი შენაძენი ამ დარგში.

ჯონ ბეითს კლარკი პირველი ამერიკელი ეკონომისტი იყო, რომელმაც საერთაშორისო აღიარება დაიმსახურა. ერთ-ერთი პირველი დიდი ამერიკელი ეკონომისტთაგანია ირვინგ ფიშერიც. ფასების, კაპიტალისა და სარგებელის შესახებ თავისი შეხედულებებით იგი ჯერ კიდევ მარჟინალურ ერას მიეკუთვნებოდა, მაგრამ მონეტარულ პრობლემებში შეტანილი წვლილი მას ეკონომიკური მოდელების ეპოქის კარიბჭესთან აყენებს.

2.1. ცხოვრება და ნაშრომები

ირვინგ ფიშერი (Fisher) დაიბადა 1867 წელს საურგერტისში (ნიუ-იორის შტატი) მღვდლის ოჯახში. ჩვიდმეტი წლის ასაკში მას მამა გარდაეცვალა და ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, ირვინგი სასწავლებლად იელის უნივერსიტეტში გააგზავნეს, რის გამოც ოჯახი იძულებული იყო ნიუ-ჰევენში (კონექტიკუტის შტატი) გადასულიყო. დედამ მკერავად დაიწყო მუშაობა, უმცროსი ეაჟი მას ეხმარებოდა, ირვინგი კი რეპეტიტორობას ეწეოდა.

ფიშერი კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა და მასწავლებლის მაღალი ღირსება მისი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდა. მან სახელი გაითქვა მათემატიკაში, მაგრამ ის ასევე ძლიერი იყო ინგლისურსა და მჭერმეტყველებაში. თავის კურსზე იგი ყველაზე მოწინავე სტუდენტი იყო და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის გასაგრძელებლად იელში დარჩა.

ფიშერის ინტერესები მათემატიკიდან თანდათანობით ეკონომიკისაკენ გადაიხარა. მის დისერტაციას „ღირებულების და ფასების თეორიის მათემატიკური გამოკვლევები" (1892)[2] იმდროინდელი წამყვანი მათემატიკური ეკონომისტების მიერ მაღალი შეფასება მიეცა. იგი იელში 1893-1895 წწ. პოლიტეკონომიის კურსს კითხულობდა.

იმედისმომცემი ახალგაზრდა ეკონომისტი მდიდარი მეწარმის ქალიშვილზე დაქორწინდა. ეს

1 The Distribution of Wealth, გვ. 117.

2 იქვე, გვ. 251.

ბედნიერი ქორწინება იყო. საცოლის მამის ერთ-ერთი საქორწინო საჩუქარი ევროპაში ერთწლიანი მოგზაურობა იყო. ამან ფიშერს ბევრ გამოჩენილ ეკონომისტთან შეხვედრის შესაძლებლობა მისცა, ხოლო მისთვის მთის პატარა ტბა შვეიცარიის ალპებში იგივე გახდა, რაც ლეგენდარული ვაშლი ნიუტონისათვის, სახელდობრ, მეცნიერული შთაგონების წყარო. განა მდინარე შემოსავალს არ წაა-გავს, თუ ტბის წყალს ძირითად კაპიტალად წარმოვიდგენთ? ეს ჭეშტა რომ თეორიად გადაექცია, ფიშერს მრავალი წელი დასჭირდა. შემდგომი საქორწინო საჩუქარი ნიუ-ჰევენში მისთვის სიმამრის მიერ აშენებული დიდი სახლი გახდა.

1898 წლისათვის ის უკვე პროფესორი იყო. იგი შესანიშნავი პედაგოგი შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ მას ტუბერკულოზი შეეყარა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ იგი საესებით განიკურნა, თუმცა ექვსი წელი დასჭირდა, რომ თავისი ძალები მთლიანად აღედგინა. ამ გამოცდამ ფიშერი აიძულა ჯანმრთელობის, ავადმყოფობისა და სიკვდილის შესახებ დაფიქრებულიყო. ავადმყო-ფობის გამო იგი ბატიბუტის, არარაფინირებული შაქრის, მუქი პურის, ვიტამინების მომხმარებელი გახდა. მან აგრეთვე ჯანმრთელობის პეროდული ფიზიკური გამოკვლევების პოპულარიზაციისათვის „სიცოცხლის გამახანგრძლივებელი ინსტიტუტი“ დააარსა. მას, ეტყობა, სჯეროდა, რომ ყველანაირი ჟინი ჯანმრთელობის გასახანგრძლივებლად სასარგებლოა. იელის უნივერსიტეტის სტუდენტებში მისი ლექციები ჯანმრთელობაზე არანაკლებ პოპულარული იყო, ვიდრე ეკონომიკაზე.

ფიშერი გამომგონებელიც იყო. მას საზოგადოებრივი სარგებლის პირველი ელექტროსადგურის (1882) აშენებელი, ამერიკელი გამომგონებლის თომას ედისონის (1847-1931) მსგავსი მაღალ-ტექნოლოგიური გამოგონებები არ ჰქონდა, მაგრამ მისი გამოგონებები უფრო გაუმჯობესებული სათაგურის მსგავსი იყო. ისინი ნავებს, პიანინოს მექანიზმებს, სპორტული ღონისძიებებისათვის დასა-კეც სკამებს, რუკის პროექტორს, მზის საათს და საავადმყოფოებისათვის თერმოსტატულ საწოლებს შეეხო. ამ გამოგონებებიდან კომერციულად იღბლიანი მხოლოდ ერთი იყო, კერძოდ, ბარათების ხილული საინდექსაციო სისტემა, რომლის პატენტი 1913 წელსაა მიღებული. მის საფუძველზე ფიშერმა ფირმა დააარსა, რომელმაც ფაქტობრივად თავისი მეტოქეები შთანთქა და ამ კავშირიდან „რემინგტონ-რენდის“ ფირმა წარმოიქმნა. 20-იან წლებში, როდესაც „რემინგტონის“ აქციების კურსი მაღლა იწევდა, ფიშერი აქტიურად თამაშობდა ბირჟაზე და მულტიმილიონერიც გახდა.

ბირჟაზე მოთამაშე ფიშერმა ისეთივე ენთუზიაზმი გამოამუღავნა, როგორც მანამდე სხვა საქმიანობაში. 1929 წლის „ეკონომიკური კრახისას“ „რემინგტონის“ აქციების ფასი განახევრდა, მაგრამ ფიშერმა აქციების შესასყიდად ეს დრო უფრო ხელსაყრელად ჩათვალა და ფული ისესხა, რათა ისინი მეტი რაოდენობით შეესყიდა. ძალიან მალე „რემინგტონის“ აქციები პრაქტიკულად გაუფასურდა – ფიშერი თავისი ოჯახის სარჩენი გახდა, ხოლო მისი დიდი სახლი იელის უნივერ-სიტეტმა შეისყიდა.

მიუხედავად ასეთი მკაცრი გაკვეთილისა, იგი მის ხელში მოხვედრილ მცირე თანხასაც კი კვლავ ახალ-ახალ წამოწყებებში აბანდებდა, რომლებიც მას თავისი იოლი მოგების შესაძლებლობით იტყუებდა.

ცხოვრების პირველ ნახევარში, ფიშერი უპირატესად თეორეტიკოსია, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკიდან კი მას „პრაქტიკულად სასარგებლო ცოდნის“ განვითარებით დიდ ადამიანად გახდომა სურდა. ასეთმა ამბიციამ ფიშერი ხელსაყრელი შემთხვევების „ჯვაროსანი რაინდი“ გახადა.

მისი ყველაზე ადრეული მცდელობა „სტაბილური ფულისაკენ“ იყო მიმართული. მას სჯეროდა, რომ ფულის ყიდვითუნარიანობის ცვალებადობა უმეტესი მაკროეკონომიკური პრობლემების მიზეზია და ამ ცვალებადობის თავიდან აცილება ფულის მიმოქცევის შესაფერისი მართვის მექანიზმებით შეიძლება. თავის მხრივ, „კომპენსირებული დოლარის“ იდეამ იგი სტატისტიკამდე მიიყვანა.

ფიშერი დარწმუნებული იყო, რომ ეკონომიკური მეცნიერების პროგრესი ეკონომიკური თე-ორიის, მათემატიკისა და სტატისტიკის შერწყმას მოითხოვდა. ჯერ კიდევ 1912 წელს ასეთი პროგრამის განხორციელების მიზნით ფიშერმა შესაბამისი საზოგადოების ჩამოყალიბება სცადა, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა. 1928 წელს ნიუ-ჰევენში რაგნარ ფრიშთან და ჩარლზ ფ. რუსთან მისი შეხვედრა უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. ამ შეხვედრის შედეგად 1930 წელს ეკონო-მეტრიკული საზოგადოება დაარსდა. ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტი (1931-1933) თავად ფიშერი იყო.

ირ. ფიშერი ასევე აქტიურად მოღვაწეობდა ერთა ლიგაში, კალენდრის და დაბეგვრის რეფორმის, ესპერანტოს, გარეშეს ღალატის, საზოგადოებრივი ჰიგიენის და მშვიდობის აკრძალვის პრობლემატიკაში. ამ მიზნით მან ოცამდე წიგნი გამოაქვეყნა და ბევრი სტატია წითხა.

ის ომთაშორისო პერიოდის ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელია, რომელიც ცდილობდა გავლენა მოეხდინა პოლიტიკოსებზე და პრეზიდენტებზე. პირადი ფინანსების სიმცირე ხელს არ უშლიდა ფინანსების სფეროში სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში.

იგი გარდაიცვალა კიბოთი 1947 წელს.

2.2. ნაყოფიერი მკვლევარი

ირვინგ ფიშერი ნაყოფიერი მწერალი იყო. იგი უამრავ წიგნს (თითქმის ყოველ წელს) აქვეყნებდა. ბევრი მათგანი ისეთი არაეკონომიკური საკითხებისადმია მიძღვნილი, რომლებიც დღეტის გავლენა ორგანიზმის გამძლეობაზე; როგორ უნდა გავახანგრძლივოთ ადამიანის ხანგრძლივი ჯანსაღი ცხოვრების წესი; ალკოჰოლიანი სასმელების აკრძალვა; მშვიდობა მშობლიურში და ა.შ. სხვა ნაშრომები, მართალია, ეკონომიკის პრობლემატიკას ეძღვნება, მაგრამ მათში ძირითადი ლარული სახითაა გადმოცემული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკური ბუმი და დაბნეულობა, საფონდო ბირჟა და დოლარის კურსის სტაბილიზაცია. ერთ-ერთ მათგანში, მაგალითად, გამოყენებულია ტერმინი „ფულის ილუზია“ იმის დასამტკიცებლად, რომ დოლარის ან ნებისმიერი სხვა ფულადი ერთეულის კურსი იზრდება ან მცირდება, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამბობს გასაკვირობაზე, რომ „დოლარი დოლარია“ (1928)[1]. მისი სხვა ნაშრომი ბანკის დეპოზიტებზე ნაღდი მარაგის სტაბილიზაციისათვის 100%-იანი სარეზერვო ფონდის შექმნის იდეას იცავს (1935)[2].

ფიშერის ძირითადი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში სამ წიგნს ეფუძნება: **„ხარჯების თეორია“** (1907)[3], **„ფულის ყიდვითუნარიანობა“** (1911)[4] და **„ღირებულებისა და ფასების თეორიის მათემატიკური გამოკვლევა“** (1925)[5].

ძირითად წიგნებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ზოგიერთი უფრო ნაკლები მოცულობის გამოცემა. კერძოდ: **„შეფასება და სარგებელი“** (1896)[6] და **„კაპიტალისა და შემოსავლის ბუნება“** (1906)[7].

20-იან წლებში ფიშერის სახელი ძირითადად ფულის თეორიის შესახებ მის ნაშრომებს და სტაბილურად მართვადი ვალუტისათვის ბრძოლას ეფუძნებოდა. **„დოლარის სტაბილიზაციაში“** (1920)[8] მან განავითარა აზრი დოლარის ოქროს შემცველობის ცვლილებების მეშვეობით ფასების საერთო დონის სტაბილიზაციის შესახებ“. ნაშრომში – **„ინდექსური რიცხვების შექმნა“** (1922)[9] – მას შემოაქვს ფასების ინდექსის ფორმულისათვის კრიტერიუმის რიცხვი, რამაც მალევე შეღავება დაიმსახურა.

ნაშრომში – **„შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის გაზომვა“** (1927)[10] – ფიშერი მიკროეკონომიკას უბრუნდება. გარკვეულად, ეს აზრი უკვე მას დისერტაციაში იყო მოცემული. ზემოთხსენებული ნაშრომი იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომლითაც კველა ტესტი მსგავსია, მაგრამ საპრობლის დამოუკიდებელი სარგებლიანობაც არსებობს.

---

1 Prohibition still at its Worst, N.Y., 1928.
2 Stabised Money, A History of the Movement, I.., N.Y., 1935; 100% Money ..., N.Y., 1935.
3 The Rate of Interest..., N.Y., 1907.
4 The Purchasing Power of Money..., N.Y., 1911.
5 Mathematical Investingations in the Theory of value and Prices, New Haven, 1925.
6 Appreciation and Interest..., N.Y., 1896.
7 The Nature of Capital and Income, N.Y., 1906.
8 Stabilizing the Dollar, N.Y., 1920.
9 The Making of Index Numbers , Cambr., 1922.
10 A Statistical Method for Measuring "Marginal Utility"..., N.Y., 1927.

2.3. ფული და სარგებელი

„მათემატიკური გამოკვლევების" შესავალში ი.ფიშერი მოიხსენიებს არა მარტო უილიამ სტენლი ჯევონსს, არამედ რუდოლფ ავშპიტცსა (1837-1906) და რიჩარდ ლიბენსაც (1842-1919), რომლებმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინეს. როდესაც ფიშერმა თავისი ანალიზი მოგვცა, იგი ვალრასისა და ფკუორჯის (1845-1926) შრომებს ჯერ კიდევ არ იცნობდა. ამის შედეგად იგი ზოგიერთ საკითხში სუბიექტურად ორიგინალურია, კერძოდ, მან **ინგლისურენოვან ლიტერატურაში ზოგადი წონასწორობის დოქტრინის პირველი ნათელი სისტემის წარმოდგენა** სცადა.

ფიშერმა, ვილფრედო პარეტოს შემდეგ და მსგავსად, აღმოაჩინა, რომ თვალსაჩინოებისათვის მთავარია სარგებლიანობის განხილვა და იგი იზომება ერთეულებში, რომელსაც მან „**უტილი**"[1] უწოდა.

მისი ყურადღება ძირითადად ურთიერთდამოკიდებულ საქონელს შორის ჯვარედინი კავშირებისკენაა მიმართული. ფიშერმა ნათელყო, რომ კონკრეტული საქონლის რაოდენობის ზრდამ ამ საქონლის ზღვრული სარგებლიანობის გაზრდა ან შემცირება შეუძლია განაპირობოს. პირველ შემთხვევაში ფიშერი საქონელს „**დასრულებადს**", მეორე შემთხვევაში კი „**კონკურირებადს**" უწოდებდა.

1892 წლისათვის ფიშერი უკვე ურთიერთდამოკიდებულ საქონელთათვის წონასწორობის სისტემის ყველა ელემენტს ფლობდა. მან ასევე აგრეთვე ჰიდრავლიკური მანქანა, რომლის საშუალებითაც ამ სისტემის თვალსაჩინოება ხდება.

„შეფასება და სარგებელში" ფიშერი ვალუტის კურსის მოსალოდნელ და გაუთვალისწინებელ ცვლილებებს შორის ძირეულ განსხვავებებს იხილავს. მოსალოდნელი ცვლილებები სარგებლის განაკვეთთანაა დაკავშირებული. ასეთი კავშირის მიხედვით ქონებიდან შემოსავალი სარგებელსა და კაპიტალიდან მოსალოდნელ ამონაგებს ემყარება. ამიტომ ცალკეული ქონებიდან შემოსავალი მის მოსალოდნელ ფასზეა დამოკიდებული.

ფიშერის დასკვნით, ფულის ყიდვითუნარიანობის მოსალოდნელი ცვლილებები ვაჭრობაზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს, ვინაიდან მისი კომპენსირება სარგებლის განაკვეთით რეგულირდება. კერძოდ, ისინი ბუმებისა და დეპრესიების წარმოქმნაზე არ მოქმედებს.

ფიშერმა შეამჩნია, რომ ფასის მიხედვით სარგებლის განაკვეთის რეგულირება არასაკმარისია, განსაკუთრებით კი მოკლე ვადებში. მისი აზრით, ფულის ყიდვითი უნარის ცვლილება მოკლე დროში ხშირად მოულოდნელია. მოლოდინი გამოცდილებას ეგუება, მაგრამ დაგვიანებით. ამ თვალსაზრისით, ფიშერი დროის ინტერვალების მიხედვით სარგებლის განაკვეთის სტატისტიკური ანალიზის პიონერი გახდა, რომელიც უფრო სრულად, მოგვიანებით გააშუქა ნაშრომში – „**სარგებლის თეორია**" (1930)[2]. ეს ნაშრომი 1907 წელს გამოცემული ნაშრომის „სარგებლის თეორია" შევსებული და გადამუშავებული ვარიანტია.

მისი ვარაუდით, მსესხებელ ფირმებს უკეთესი შორსმჭვრეტელური მიდრეკილება აქვთ, ვიდრე გამსესხებლებს, რომლებიც უმეტესწილად ოჯახებია. შედეგად, ინფლაცია ინვესტიციებსა და ვაჭრობას ასტიმულირებს. თუ გამსესხებლებს უკეთესი განჭვრეტის უნარი აქვთ, ვიდრე მსესხებლებს, მაშინ ფიშერის მტკიცებით ინფლაციური ბუმი ნაკლებად მოსალოდნელია.

ფიშერის ზემოაღნიშნული ნაშრომი ინფლაციისა და სარგებლის განაკვეთების შესახებ, დღეისათვის პრიმიტიულად გამოიყურება, ხოლო ბიზნესის მერყეობები, ზოგადად ფირმებისა და ოჯახების მოლოდინის შექმნის სისტემატური განმასხვავებელი ნიშანი არ არის. თუმცა ინფლაციის, სარგებლის განაკვეთისა და მოლოდინის ავტორისეულმა ანალიზმა დასაბამი მისცა კვლევის სფეროს, რომელიც დღესაც საკმაოდ თანამედროვედ გამოიყურება.

ფიშერის სარგებლის თეორიის ზოგად ბუნებას კარგად აღწერს მისი ნაშრომი – „სარგებლის თეორია". ეს წიგნი ფიშერმა ჯონ რეისა (1796-1872) და ბემ-ბავერკის ხსოვნას მიუძღვნა. ეს ნამდვილად შესაფერისი ძღვენია.

რეიმ სწორად აღწერა დროის უპირატესობისა და წარმოების შესაძლებლობების ურთიერთზემოქმედება, მაგრამ ვერ შენიშნა ის, რასაც მოგვიანებით ბემ-ბავერკმა „პირველი მიზეზი (ფაქტორი)" უწოდა, კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულება აწმყოსა და მომავალ შემოსავლებს შორის.

---

1 უტილი (ლათ. utilis) გამოსადეგს ნიშნავს.

2 The Theory of Interest ..., N.Y., 1930.

ბემ-ბაერკმა არასრულყოფილად აღწერა სარგებლის განაკეთის განმსაზღვრელი „სამი მიზეზი (ფაქტორი)“, მაგრამ იგი რეიზე დაბლა დგას, ვინაიდან მის ზოგადი წონასწორობის მოდელში დროის უპირატესობა გამოყენებული არ არის და მის ნაცვლად ძირითადი კაპიტალია საყრდენად აღებული.

ფიშერმა ზოგადი წონასწორობის ანალიზი „სამი ფაქტორის“ ურთიერთზემოქმედების საშუალებით დაასრულა.

„ფულის ყოდვითუნარიანობა“ (1911) რეალურად მცირე სიახლეებს შეიცავს, მაგრამ იგი ფულის რაოდენობრივი თეორიის კლასიკური ტრადიციის აღორძინება იყო. ფასების დონის საკუთარ თეორიას ფიშერმა საფუძვლად ე.წ. გაცვლის განტოლება დაუდო.

ფიშერის ხაზგასმით, გაცვლის განტოლებას მიზეზობრივი შინაარსი არ გააჩნია. მიზეზობრივი შინაარსი ორი თვალსაზრისით არის გამოყენებული: პირველი, სიჩქარე ფულის რაოდენობაზე დამოკიდებული არ არის და მეორე, — ვაჭრობის მოცულობა ფულის მოცულობისაგან დამოუკიდებელია.

შედეგად, **ფულის რაოდენობის ნებისმიერ ცვლილებას ფასების დონის პროპორციული ცვლილება უნდა მოჰყვეს.**

ფიშერმა ფულის რაოდენობრივი თეორია ოქროს საერთაშორისო სტანდარტთან[1] დააკავშირა, ხოლო ფულადი მასის ანალიზისას ყურადღება იმ ფაქტზე გაამახვილა, რომ საქონლის მასის ცვლილება გარე ძალებით შეუძლებელია, ვინაიდან იგი ფულში შინაგანად ოქროს შემცველობით, არამონეტური ოქროს მოხმარებით და ოქროს სამთამადნო წარმოების პირობებითაა განსაზღვრული. ამიტომაც, ფულის მასის ცვლილება არამონეტური ფულის მოხმარების ცვლილების გარეშე შეუძლებელია.

ვალრასის მიერ გაანალიზებული ცდომილების ეს პოტენციური წყარო უკვე ფიშერმაც შეიცნო, მაგრამ იგი მას სტატისტიკური კვლევებისათვის უმნიშვნელოდ თვლიდა. ყოველ შემთხვევაში, ქაღალდის ფულისათვის ეს კვალიფიკაცია თავის ძალას კარგავს.

ფულის რაოდენობრივი თეორია გრძელვადიან პერიოდზე იყო გათვლილი. მოკლე პერიოდში გადახრები (ისევ კლასიკური ტრადიციის მიხედვით) ფიშერის მიერ ბუმისა და დეპრესიის წყაროდაა აღიარებული. „სარგებლის პარიტეტისა და მოლოდინის“ მიხედვით, ეს გადახრები ძირითადად სარგებლის განაკვეთებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ფასებთან შედარებით ნაკლებად ელასტიკურია.

ამგვარად, ფულის მასის ზრდა კრედიტის გაფართოებასა და ინვესტიციების ბუმს, ხოლო ფულის მასის შეზღუდვა (იმის გამო, რომ სარგებელი არ მცირდება) დეპრესიას განაპირობებს.

ეს საოცარ კონტრასტს ქმნის კეინზისა და პოსტ-კეინზელების თვალსაზრისთან, რომლის მიხედვითაც ბიზნესის მერყეობები არსებითად ფასების და ხელფასების სიხისტესთანაა დაკავშირებული.

2.4. „ამშ-ის უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი“

ირვ. ფიშერის წვლილი ჯევონსსა და სამუელსონს შორის პერიოდს მოიცავს. თავის „მათემატიკურ გამოკვლევებში“ მან გადმოგვცა ზოგადი წონასწორობის ანალიზის ძირითადი იდეები ურთიერთდამოკიდებული საქონლისათვის, მანამ, სანამ ვიკსელი და პარეტო ეკონომიკურ თეორიაში თავიანთი ნაშრომების გამოქვეყნებას დაიწყებდნენ. სარგებლის, ინფლაციისა და პროგნოზირების ავტორისეული ანალიზი ყველა თანამედროვე, როგორც თეორიული, ისე ემპირიული ნაშრომის ამოსავალი წერტილი გახდა.

მისმა სარგებლის თეორიამ ნახევარსაუკუნოვან დისკუსიებს არა მარტო შესაფერისი დასკვნა გაუკეთა, არამედ, როგორც სამუელსონმა შენიშნა, ჯ.ჰიკსის გარდამავალი ზოგადი წონასწორობის მოდელის შექმნა წაახალისა და ჯ.მიდის საერთაშორისო ვაჭრობის დოქტრინის ანალიტიკური ელემენტები მოიცვა.

---

1 მე-19 ს. და მე-20 ს-ის დასაწყისში მოქმედი საერთაშორისო სავალუტო სისტემა, რომლის მიხედვითაც ძირითადი საგადასახდელო საშუალება იყო ოქრო, ეროვნული ვალუტის ღირებულება კი ოქროს განსაზღვრული რაოდენობით გამოიხატებოდა.

დაბოლოს, ფულის რაოდენობრივი თეორიის შექმნამ წარმატებით ამოწურა სამოცდათხუთმეტწლიანი მონეტარული დებატები ძირეული გადასინჯვების აუცილებლობის გარეშე.

გოსენის, ჯევონსის, ვალრასის, პარეტოსა და შუმპეტერისაგან განსხვავებით, ირვინგ ფიშერი სოციალური პროცესების მკვლევარი ფილოსოფოსი ეკონომისტი არ იყო. მან წმინდა ინტელექტუალური პრობლემების გადაწყვეტით დაიწყო, მაგრამ მალე პრაქტიკულად გადასაწყვეტი პრობლემებისაკენ შემობრუნდა.

ფიშერს რომ „პრაქტიკულად გამოსაყენებელი ცოდნისათვის" წინააღმდეგობა გაეწია, იგი ალბათ შეძლებდა რიკარდო, ვალრასი ან სამუელსონი „გამხდარიყო".

თუმცა, სწორედ პრაქტიკული ცოდნა დაეხმარა მას დასრულებული „სამშენებლო ბლოკების" სახით თავისი წვლილის ჩამოყალიბებაში, რომლებიც ეკონომიკური თეორიის სტრუქტურაში უცვლელად შეიძლებოდა მოთავსებულიყო.

შუმპეტერის მიხედვით, ირვინგ ფიშერი ისტორიაში შევიდა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტი[1]. ათწლეულების შემდეგ ეს წინასწარმეტყველება მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში გარკვეულწილად გამართლდა. სხვებს შეიძლება უფრო ღრმა აზრები ჰქონდათ, მაგრამ თუ მიღწევა თანამედროვე ეკონომიკაში შეტანილი წვლილით განიზომება, ამ მხრივ ფიშერი ერთ-ერთი პირველთაგანია.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ე.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები, თბ., 2005.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1973.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. ა.სილაგაძე). თბ., 2005.

ა.სილაგაძე: ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Альтер П.Б., Буржуазная политическая экономия США, М., 1971.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Блюмин И.Г., Критика буржуазной политической экономии, т.1, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.3, М., 1989.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Козлова К., **Энтов** Р., Теория цены, М., 1972.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 2-3, Санкт-Петербург, 2004.

Clark John Bates: The Phylosophy of Wealth, Boston, 1886; Capital and its Earnings, 1887; The Distribution of Wealth, Boston, 1889; The Law of Wages and Interest - Annual of the American Academy of Political and Social Science, 1, 1890; Distribution as Determined by a Law of Rent - Quarterly Journal of Economics, 5; The Distribution of Wealth, N.Y., 1899; The Nature of Capital and Income, 1908; The Rate of Interest, 1908; rus. Targm.: Распределение богатства, Пер. с англ., М., 1992.

Fisher Irving: Mathematical Investigations in the Theory of Value and Prices-in: Transactions of the Conecticut Academy of Arts and Sciences, Vol.9, N.Y., 1892; Appreciation and Interest. N.Y., 1896; The Nature of Capital and Income. N.Y., 1906; The Rate of Interest: Its Nature, Determination and Relation to Economic Phenomena. N.Y., 1907; The Purchasing Power of Money: Its Determination and Relation to Credit, Interest, and Crieses, N.Y., 1911; Stabilizing the Dollar: A Plan to Stabilize the Generall Price Level without Fixing Individual Prices. N.Y., 1920; The Making of Index Num-

1 **Шумпетер** Й., История экономического анализа, т. 3, გვ. 1151.

bers. A Study of Their Varieties, Tests, and Reliability. Boston, 1922; Mathematical Investigations in the Theory of value and Prices, New Haven, 1925; A Statistical Method for Measuring „Marginal Utility" and Texting the Justice of a Progresive Income Tax. N.Y., 1927; Prohibition still at its Wortst, N.Y., 1928; The Money Illusion, N.Y., 1928; The Theory of Interest as Determined by Impatience to Spend Income and Opportunity to Interest It. N.Y., 1930; 100% Money: Designed to Keep Checking Banks 100% Liquid; to Prevent Inflation and Deflation; Largely to Cure or Prevent Depressions; and to Wipe Out Much of the National Debt. N.Y., 1935; Stabilised Money, A History of the Movement, L., N.Y., 1935; Income in Theory and Income Texation in Practice. Econometrica 5(1), 1937. რუს. თარგმ.: Краткое введение в исчисление бесконечно малых, М., 1922; Покупательская сила денег, М., 1928.

Keynes J.M., Bibliographical List of The Writings of Alfred Marshall - The Economic Journal, Vol.34, 1925b.

Night, F.H., Risk Uncertainty and Profit, 1921.

თავი XV.
კემბრიჯის სკოლა: ალფრედ მარშალი (1842–1924) – „ეკონომიკის პრინციპები“

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ეკონომიკური თეორია გაპროფესიონალდა – მომრავლდნენ ამ სფეროს პროფესორები, რომლებიც წერდნენ ნაშრომებს და კითხულობდნენ ლექციებს აკადემიური განათლების არმქონე აუდიტორიისათვის. დაარსდა ასპირანტურა, სადაც იმჟამინდელი პროფესორები მომავალ პროფესორებს ასწავლიდნენ. მიუხედავად ამისა, ეკონომისტთა საზოგადოებას გარკვეულწილად კვლავ საყოველთაოდ ცნობილი „ინტელიგენტი არაპროფესიონალები“ წარმოადგენდნენ.

ამ პერიოდში ეკონომიკურ მეცნიერებას „კემბრიჯის სკოლის“ ფუძემდებელი ალფრედ მარშალი წარმოადგენდა. მან განათლება კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო.

1. ალიარებული პროფესორი

ალფრედ **მარშალი** (Marshall) დაიბადა 1842 წელს ლონდონის გარეუბან ბერმონდსეიში. მამამისი, შემდგომში ინგლისის ბანკის მოხელე, ერთ-ერთი „ვიქტორიანული“ შეხედულებების მქონე განათლებული პიროვნება იყო, რომელიც მამაკაცის ქალზე უპირატესობის თვალსაზრისს იზიარებდა. დედამისი, ყასბის ქალიშვილი, მომხიბლელი და სათნო პიროვნება ყოფილა.

ალფრედი კარგ სკოლებში სწავლობდა. ჯონ სტიუარტ მილის მსგავსად, მის ცხოვრებასაც მამა წარმართავდა და ამის გამო, იგი ფერმკრთალი „წიგნის ჭია“ იყო მცირერიცხოვანი ამხანაგებით. მამამისი ვარაუდობდა, რომ მისი შვილი კლასიკურ ლიტერატურას, თეოლოგიას და ძველებრაულ ენას შეისწავლიდა, მაგრამ ალფრედი უფრო მეტად მათემატიკამ მიიზიდა. მან ოქსფორდში განათლების მიღებაზე უარი განაცხადა (რაც მის სახელმწიფო სამსახურს უზრუნველყოფდა) და ბიძისაგან ნასესხები ფულით მათემატიკის შესასწავლად კემბრიჯში გაემგზავრა.

მარშალი თავდაპირველად მოლეკულურ ფიზიკაში აპირებდა მუშაობას, მაგრამ თანდათანობით ფილოსოფიის, მეტაფიზიკისა და ეთიკისაკენ გადაიხარა. მისმა მეუღლემ მოგვიანებით აღწერა, თუ როგორ გაატარა მან შვებულება ალპებში, სადაც ხელში ჯოხითა და კანტის ტომებით დამძიმებული სამგზავრო ჩანთით დასეირნობდა. ალფრედს ინტელექტუალური ინტერესი განსაკუთრებით ფსიქოლოგიისაკენ იზიდავდა, მაგრამ მან საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა, რომ ყველაზე მეტს და სასარგებლოს გააკეთებდა, როგორც პოლიტ-ეკონომისტი.

როგორც ჩანს, მარშალს განსხვავებულ მიმართულებათა ხედვის იშვიათი უნარი ჰქონდა. ჯ.კეინზის მტკიცებით ეს იყო ზუსტად ის ხედვა, რაც ეკონომისტს დიდოსტატად აქცევს. მარშალს შეეძლო ყოფილიყო მათემატიკოსი, ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ფილოსოფოსი და, ამასთან, გამოეცნო სიმბოლოები, გამოეკვლია წარსული აწმყოს თვალთახედვით მომავლის განსაჭვრეტად. როგორც ჩანს, მარშალს „სრულყოფილ ეკონომისტად“ გახდომისათვის ყველა მონაცემი ჰქონდა.

1868 წელს იგი გერმანიაში გაემგზავრა, სადაც გერმანულ ენას სწავლობდა და კანტს ორიგინალში კითხულობდა. აქ მან ორი წელი დაჰყო და ახლოს გაიცნო ჰეგელიანელები.

კემბრიჯში გატარებული წლები ინტელექტუალურად გადამწყვეტი იყო მარშალის ცხოვრებაში. ადამ სმითს, დეივიდ რიკარდოს და, უპირველეს ყოვლისა, ჯონ სტიუარტ მილის ინტერპრეტირების, შესწორებებისა და სახეცვლის გზით, თავისი მათემატიკით, კურნოსა და ტიუნენის საუკეთესოდ გამოყენებითა და შემდგომში ჯევონსის გათავისებით, მარშალმა თანდათანობით **მოთხოვნისა და მიწოდების „ნეოკლასიკურ“ სინთეზს მიაღწია**. იმავე დროს, მან უკვე დაიწყო ეკონომიკის „ჭეშმარიტების“ ძიება, რამაც იგი შორს, შეერთებული შტატების დასავლეთ ნაპირზე გადაისროლა. თუმცა მას 1877 წლისათვის ცოტა რამ ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ კემბრიჯში უკვე გამოჩენილ ეკონომისტად აღიარეს.

1877 წელს მარშალი წარჩინებულ სტუდენტ-ეკონომისტზე მერი პალეიზე დაქორწინდა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქმრის სამსახურს შესწირა. თუმცა იგი მასთან მუშაობდა და ლექტორიც იყო. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყოლიათ.

1877-1881 წწ. იგი ბრისტოლის უნივერსიტეტის პროფესორია, 1883-1884 წწ. კი ლექციებს ოქსფორდის უნივერსიტეტში კითხულობს.

ოქსფორდში გატარებული მოკლე პერიოდის შემდეგ მარშალი 1885 წელს კემბრიჯში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ და პროფესორად ბრუნდება. იმ დროისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მთავარი ნაშრომები გამოქვეყნებული არ ჰქონდა, იგი მაინც ბრიტანული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დასახულ მის მთავარ მიზანს „**ეკონომიკის პრინციპების**“ გამოქვეყნება და მისი თანდათანობითი სრულყოფა შეადგენდა.

მან აგრეთვე სამეფო კომისიებისათვის ოფიციალური ანგარიშების წერას დიდი დრო დაუთმო. მცირე ჯგუფებთან იგი წელიწადში 45 ლექციას ატარებდა. მის ამოცანას სტუდენტობისათვის აზროვნების სწავლება წარმოადგენდა.

ა.მარშალი 1908 წელს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, რათა წიგნების დაწერისათვის მეტი დრო დაეთმო.

იგი 1924 წელს გარდაიცვალა. ამ დროისათვის ბევრი მისი მოწაფე ბრიტანეთის უნივერსიტეტების ეკონომიკური პროფილის კათედრებზე მოღვაწეობდნენ.

2. ძირითადი მრომები

მარშალმა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ერთი წიგნი გამოსცა – „**ეკონომიკის პრინციპები**“[1] (1890). მასში განზოგადებულია ადრეული მარჟინალიზმი და საფუძველი ჩაეყარა ნეოკლასიკური დოქტრინის პრინციპებს. წიგნი გამოიცა როგორც I ტომი, მაგრამ მისი მეორე ტომი აღარ გამოცემულა.

ამ ნაშრომში ავტორმა „**პოლიტიკური ეკონომიის**“ ნაცვლად გამოიყენა ტერმინი „ეკონომიკსი“ („ეკონომიკა“)[2], „კაპიტალის“ ცნება კი მიუსადაგა როგორც კაპიტალიზმს, ასევე მის წინა (მ.შ. პირველყოფილ) ისტორიულ ეპოქებსაც.

მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება დაკავებულია იმის შესწავლით, თუ როგორ არსებობენ, ვითარდებიან ადამიანები და რაზე ფიქრობენ ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში, „მისი კვლევის საგანია უმთავრესად ის წამაქეზებელი მოტივები, რომლებიც ეკონომიკურ სფეროში ადამიანთა ქცევაზე ყველაზე ძლიერად და ყველაზე მყარად ზემოქმედებენ“[3].

წიგნი „ხალხთა სიმდიდრეს“ წააგავს, რამდენადაც მის ანალიტიკურ სტრუქტურაში უხვად გვხვდება ეკონომიკური ცხოვრების, ისტორიისა და ინსტიტუტების შესახებ დიდი რაოდენობით ფაქტები და შეხედულებები. წიგნი, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი მკითხველისათვის იყო განკუთვნილი.

წიგნის აღწერილობა მთლიანად სიტყვიერ ტერმინოლოგიაზეა დამყარებული, ხოლო მცირე რაოდენობის დიაგრამები სტრიქონქვეშა შენიშვნებსა და დანართებშია მოცემული, მათემატიკა კი დამატებით შენიშვნებში ჩნდება.

ამგვარად, მარშალის მათემატიკური ფონი წარმატებითაა შენილბული. ამავე დროს, იქ არის მრავალი ქადაგება ეთიკის, ღირებულებისა და სოციალური პრობლემების შესახებ. მასში მოცემულია აგრეთვე იმ დროის სოციალურ დარვინიზმთან შეთანხმებული ფორმების ბიოლოგიური ანალოგიები მეტოქეობაში გადარჩენილ ორგანიზმებთან.

ისტორიულ პროცესებზე გამახვილებული ყურადღება მარშალს ისტორიული სკოლის ჩარჩოებში აქცევს.

წიგნს საკმაო წარმატება ხვდა წილად. თუმცა მან მომდევნო გამოცემებში შესამჩნევი ცვლილებები განიცადა, მაგრამ მისი ძირითადი შინაარსი უცვლელი დარჩა.

---

1 Principles of economics, L., 1890.

2 **Маршалл А.**, Принципы политической экономии, т.1, Пер. с англ., М., 1983, გვ. 56.

3 იქვე, გვ. 69.

ავტორის გადმოცემით, „პრინციპების" მთავარი იდეა მის გონებაში წიგნის გამოქვეყნებამდე დაახლოებით ოცი წლის წინ დაფიქსირდა, კერძოდ, მაშინ, როდესაც ჯევონსის „პოლიტიკური ეკონომიის თეორია" (1871) გამოჩნდა. შესაძლებელია ეს გაზვიადებაც იყოს, ვინაიდან, არ არსებობს ფაქტები იმის შესახებ, რომ ავტორი სარგებლიანობის პრობლემებზე 1871 წლამდე მუშაობდა.

რაც შეეხება წიგნს – „**მრეწველობის ეკონომიკა**", რომელიც მარშალმა მეუღლესთან ერთად დაწერა (1879)[1], მასში ადრეული პერიოდის ნააზრევის გადმოცემა ნამდვილად შესამჩნევია.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში მარშალმა თავისი ადრეული ნაღვაწის შედეგები საბოლოოდ ორ ტომად ჩამოაყალიბა შემდეგი სახელწოდებებით: „**მრეწველობა და ვაჭრობა**" (1919)[2] და „**ფული, კრედიტი და კომერცია**" (1923)[3].

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ეს წიგნები უკვე გამოცემამდე მოძველდა, რამდენადაც მათში ავტორის ორმოცდაათი წლის წინანდელი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა. თუმცა, მარშალმა თავისი „პრინციპებით" ბრიტანეთის ეკონომიკაზე თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

3. ზოგადიდან ნაწილობრივ წონასწორობამდე

მარშალის შრომის ლაიტმოტივი **ინდივიდუალური და ურთიერთდაკავშირებული ბაზრების ანალიზი** იყო, რის გამოც მან ნაწილობრივი წონასწორობის ანალიზს მიმართა. თავდაპირველად ეს გასაგებიც გახდა, ვინაიდან მარშალი ნაწილობრივ წონასწორობასა და ზოგად წონასწორობას შორის წინააღმდეგობას ვერ ამჩნევდა. თუმცა ამ პრობლემებს, ვალრასთან შედარებით, გულგრილად ეკიდება, რამდენადაც საკუთარი ნაშრომი ზოგადი წონასწორობის სისტემის თვალსაზრისით წარმოადგინა.

მარშალი თავის კვლევებში ერთმანეთთან ახამებს ზღერული სარგებლიანობისა და წარმოების დანახარჯების თეორიას, რითაც საფუძველი ჩაუყარა **მიკროეკონომიკას**. მისი აზრით, საქონლის ფასი მასზე არსებული მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება, ხოლო მოთხოვნის საფუძველია კლებადი სარგებლიანობის პრინციპი.

მისი აზრით, თითოეულ საქონელზე მოთხოვნა მის ფასზეა დამოკიდებული, ხოლო საქონლის ფასი კი დანახარჯებზე, ანუ მოცემული საქონლის წარმოების დანახარჯები მისი წარმოებისათვის აუცილებელი ფაქტორების მიწოდების ფასის ტოლია[4].

მარშალი აღწერს იმას, თუ როგორ დაიწყო რიკარდოსა და მილისაგან ეკონომიკის შესწავლა და როგორ ეშლებოდა ხელი, როცა უცნობთა განსაზღვრისათვის საკმარისი განტოლებები არ გააჩნდა. მისი ხაზგასმით, ეკონომიკა არა ცალმხრივი მიზეზობრივი ჯაჭვის, არამედ ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების სფეროა.

მისი აზრით, „**განაპირა სარგებლიანობამ**" ფასი არ უნდა განსაზღვროს და არც პირიქით, ვინაიდან ისინი ერთდროულად განსაზღვრულია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მარშალმა, თუმცა ზოგადი წონასწორობის არეალიდან დაიწყო, ნაშრომი დეტალებით არ დაამძიმა და ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა მოედნებზე კონცენტრირებული სინათლის გასავრცელებლად ნაწილობრივი ანალიზის მეთოდი გამოიყენა.

4. ურთიერთმოთხოვნის მრუდები

ღირებულების კლასიკური თეორია გაჯერებული იყო ორი განშტოებით „უცვლელმიწოდებიანი საქონლითა" (მაგალითად, მიწა, ძველი ოსტატები, იშვიათი ფული) და „ცვალებადმიწოდებიანი საქონლით" (მაგალითად, მარცვლეული და ტანსაცმელი). პირველ შემთხვევაში საქონლის რაოდენობა მუდმივია და ფასი მხოლოდ მოთხოვნაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში კი ფასი


1 **Marshall** Alfr., and Mary Polcy **Marshall**, The Economics of Industry, L., 1879.
2 Industry and Trade, L., 1919.
3 Money, Credit and Commerce, L., 1923.
4 **Маршалл** А., Принципы политической экономии, Т. II, გვ. 22.

პროდუქციის დანახარჯებითაა განსაზღვრული.

მარშალმა ღირებულების კლასიკური თეორიის განზოგადებაში თავისი მთავარი წვლილი, ორ ზღვრულ შემთხვევას შორის ხარეზის ეკოლუციურ ამოვსებაში დაინახა.

თავისი პირველი „ანალიტიკური" შენაწირი ამ პროგრამაში ურთიერთმოთხოვნის მრუდების შემოღებაა. ამისათვის მარშალმა გრაფიკული აპარატი შემოიღო (ნახ. 1), სადაც სელი და მატყლი, შესაბამისად, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ღერძებზეა გადაზომილი, სათავეზე გამავალი ყველა ხაზი სელის მატყლთან შეფარდებით ფასს გამოხატავს. წერტილოვანი ხაზები ორ ქვეყანაში სელის მატყლთან ფარდობით დანახარჯებს გვიჩვენებს. ის ფაქტი, რომ ეს ხაზი უფრო სასიამოვნოა გერმანიისათვის, ვიდრე ინგლისისათვის, იმას მიანიშნებს, რომ პირველ ქვეყანას შედარებითი უპირატესობა აქვს სელის, ხოლო მეორეს მატყლის მხრივ. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიას მხოლოდ იმის შემჩნევა შეეძლო, რომ საერთაშორისო გაცვლითი წონასწორობა, სადღაც ამ ხაზებს შორის არსებობდა.

ნახ.1.



მარშალმა ურთიერთგაცვლის კოეფიციენტის ზუსტი ადგილსამყოფელი ორი მრუდის ურთიერთგადაკვეთის საშუალებით განსაზღვრა. „ინგლისური მრუდი" გვიჩვენებს, თუ რამდენი სელი უნდა მოითხოვოს ურთიერთგაცვლისათვის, რაც გასაცვლელი მატყლის რაოდენობასაც განსაზღვრავს. მარშალის მტკიცებით, სელზე შემცირებული ფასი მასზე ინგლისის მოთხოვნას ზრდის. გერმანიისათვის შესაბამისი მრუდი გვიჩვენებს, რა რაოდენობის სელია საჭირო მატყლის გარკვეული რაოდენობის შესაძენად. ურთიერთგაცვლის წონასწორობის კოეფიციენტი მრუდების გადაკვეთის წერტილში მიიღწევა.

მარშალი აგრეთვე მრავალგზისი წონასწორობის დამყარების შესაძლებლობასაც გვიჩვენებს, რაც ინგლისისათვის წყვეტილი მრუდითაა ნაჩვენები. ასეთი მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობისათვის იყო გათვალისწინებული, ამასთან, მისი გამოყენება შესაძლებელია საერთოდ გაცვლის პროცესის ანალიზისათვის. ფაქტობრივად, ეს იყო პირველი საჩვენებელი აპარატი ორ ინდივიდს შორის გაცვლაში მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობისათვის. ეს აპარატი სარგებლიანობის გამოყენებით არ შექმნილა. აქ ინდივიდთა ყოფაქცევა მოთხოვნილი და მიწოდებული რაოდენობების თვალსაზრისით იყო აღწერილი. მის საფუძვლად აღებული სარგებლიანობის გამოთვლა შენიძა. ფ.ეჯუორთმა ორმხრივი მოთხოვნის მრუდების ასაგებად ჯევონსის სარგებლიანობის თეორია ათი წლის შემდეგ გამოიყენა.

5. „მარშალის ჯვარი“

თავისი გეგმის შესასრულებლად მარშალს ისეთი ანალიტიკური აპარატი დასჭირდა, სადაც მოთხოვნა და მიწოდება სიმის ტყუპებივით წარმოდგენილი არ იქნებოდა. მან იგი მოთხოვნის მრუდისა და იგივე საქონლის მიწოდების მრუდის „მარშალისეულ ჯვარში“ აღმოაჩინა. მართალია, ასეთი მრუდი წინათ კურნომ გამოიყენა, მაგრამ მარშალმა მიკროეკონომიკური ანალიზის ფუნდამენტალური იდეა შექმნა.

„მარშალის ჯვარი“ საბაზრო სიტუაციაში მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებითი ფასობრივი ფაქტორების მრუდების გრაფიკული თანაფარდობაა.

მოთხოვნა დიდადაა დამოკიდებული სარგებლიანობაზე, ხოლო მიწოდება — ღირებულებაზე. საერთოდ, ორთავე მხარე განსაზღვრავს ფასს.

მარშალის აზრით, საბაზრო ფასების ჩამოყალიბება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედებით განისაზღვრება. ამიტომ ფასწარმოქმნის მექანიზმის შეცნობა ფაქტორების იმ კომპლექსის შეცნობას გულისხმობს, რომლებიც ამა თუ იმ ბაზარზე მოთხოვნას, მიწოდებასა და მათ ურთიერთზემოქმედებას განსაზღვრავს.

მისი აზრით, მიწოდებაზე ან მოთხოვნაზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება, არასწორია: შეგვეძლო თანაბარი საფუძვლით გვედავა იმის შესახებ, რეგულირდება თუ არა ღირებულება სარგებლიანობით ან წარმოების დანახარჯებით ისე, როგორც მაკრატლის რომელი პირი ჭრის ქაღალდის ნაჭერს — ზედა თუ ქვედა[1]. ფასების წონასწორობა იმ წერტილში მყარდება, სადაც მოთხოვნა მიწოდებას უტოლდება.

საერთოდ, კონკურენციაში მოქმედი საბაზრო მექანიზმი ფასების დონესთან მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობას ადგენს; ფასების მოძრაობას მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობა განსაზღვრავს.

6. მოთხოვნის ელასტიკურობა

მარშალმა გამოიყენა ტერმინი **მოთხოვნის ელასტიკურობა**. მისი დასკვნით: ბაზარზე მოთხოვნის ელასტიკურობის (ანუ სწრაფი რეაქციის) ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, რა ზომით იზრდება მისი მოცულობა ფასების მოცემული შემცირებისას ან მცირდება ფასების მოცემული ზრდისას[2].

. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, **მოთხოვნა ელასტიკურია** მაშინ, როდესაც საქონელთა ფასებში 1%-იან გადახრას მოთხოვნაში არანაკლებ 1%-იანი გადახრა მოჰყვება. საქონელზე მოთხოვნა არაელასტიკურად ითვლება, თუკი მათ ფასებში 1%-იან გადახრას მოთხოვნაში 1%-ზე ნაკლები ცვლილება მოჰყვება.

მარშალმა შეამჩნია, რომ საქონელზე ფასის შემცირება არამარტო ცვლის მასზე მოთხოვნას, არამედ რეალური შემოსავლის ზრდითა და მისი ზღვრული სარგებლიანობის შემცირებითაც მთავრდება.

მისი აზრით, **ზღვრული სარგებლიანობა ბაზარზე გამოდის, როგორც მაქსიმალური ფასი, ანუ ე.წ. მოთხოვნის ფასი, რომლის გადაბიჯებაც მომხმარებელი მზადაა**. ამა თუ იმ საქონლის მიწოდების ზრდასთან ერთად მასზე მოთხოვნის ფასი მცირდება და პირიქით.

7. მიწოდების პერიოდული ანალიზი

მიწოდების პერიოდული ანალიზისათვის მარშალმა კონკურენციული ბაზარი გამოიყენა. თევზის მიწოდება ძირითადად ამინდსა და მეთევზის იღბალზეა დამოკიდებული. დაჭერილი თევზი, ფასის მიუხედავად, იმავე დღეს უნდა გაიყიდოს. ამის გამო, მოთხოვნა მიწოდების შესაბამისი ფასების რეგულირებით ჩამოყალიბდება.

---

1 **Маршалл А.**, Принципы политической экономии, Т.II, გვ. 31-32.

2 **Маршалл А.**, Принципы политической экономии, Т.I, გვ. 167.

გარდამავალ პერიოდში თევზის მიწოდება მის ფასზე დადებითად იმოქმედებს, ვინაიდან მუდმივად მაღალი ფასის გამო, მეტი სათევზაო ნავი ამოქმედდება და მეთევზეები უფრო დიდხანს იმუშავებენ.

საბოლოო ანგარიშით, მეთევზეობაში დასაქმება და ინვესტიციები მეტნაკლებად შეიძლება გაფართოვდეს, სანამ თევზჭერის ადგილების ძიება პრობლემას არ წარმოადგენს.

მარშალის დასკვნით, რაც უფრო მოკლეა განსახილველი პერიოდი, მით უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული ანალიზისას ღირებულებაზე მოთხოვნის გავლენა და რაც უფრო ხანგრძლივია ეს პერიოდი, მით მეტ მნიშვნელობას იძენს ღირებულებაზე წარმოების დანახარჯების გავლენა[1].

მოკლედ რომ ვთქვათ, პროდუქტის ხანმოკლე ვარგისიანობა სარგებლიანობითაა განსაზღვრული, ხანგრძლივი ვარგისიანობა კი დანახარჯებით განისაზღვრება. მეთევზის მოგება მარშალმა დროებით რენტასთან გააიგივა.

მარშალმა განაწილების თეორიაში სეის წარმოების სამი ფაქტორის თეორია გაიზიარა და თავის მხრივ, მეოთხე ფაქტორად „ორგანიზაციული ფაქტორი" დაასახელა. აქედან გამომდინარე, რენტის, ხელფასის, სარგებლისა და მოგების დონე მიწოდებისა და მოთხოვნის დონით განისაზღვრა.

გარდამავალი და ხანგრძლივი პერიოდებისათვის მარშალი რეგულირების კლასიკურ მეთოდს იყენებს, რომლის მამოძრავებელი ძალა საბაზრო ფასის, „ნორმალური" ფასიდან გადახრაა. მისი დინამიკური თვისებები ე.წ. ვალრასისეული მექანიზმისაგან საკმაოდ განსხვავდება, რომელშიც აუქციონისტი ფასს ჭარბი მოთხოვნის გამორიცხვის მიზნით ზრდის.

8. დამკვიდრებული აღგილი

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში მარშალის მიერ დაკავებული აღგილი მისი „პრინციპებით" უნდა განისაზღვროს. თუ სიღიადე ანალიტიკურ, ისტორიულ, საზოგადოებრივ ინსტიტუტთა, პოლიტიკურ, ზნეობრივ, კომერციულ და ფილოსოფიურ ჭეშმარიტებათა რაოდენობით იზომება, მაშინ „პრინციპები" ძალზედ მნიშვნელოვანი ნაშრომია „ხალხთა სიმდიდრის" შემდეგ და მან ეკონომიკის მიმართულება ოცდაათზე მეტი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად განსაზღვრა. ავტორის გარდაცვალების დროისათვის ბრიტანული უნივერსიტეტები „სრულიად მარშალიანული" იყვნენ.

მარშალმა რამდენიმე ბრწყინვალე გონება მიიზიდა ეკონომიკაში, მათ შორის იყვნენ არტურ სესილ პიგუ და ჯონ მეინარდ კეინზი.

მის მიერ დაარსებულ კემბრიჯის ეკონომიკურ სკოლას უწინდებურად საკმაოდ თვალსაჩინო პოზიციები ეკავა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში.

მისმა მიდგომამ („ყველაფერი ადამ სმითშია") განსაზღვრა მიდგომა, რომ ყველაფერი „პრინციპებშია".

მას შემდეგ, რაც ოსტატი თეორიულ ანალიზს, როგორც საკუჭნაოში დამალულ ჩონჩხს შეეხო, მისი ძირითადი მიმდევრები თეორიული მოდელის ასაგებად ტექნიკურ აღჭურვილობასა და ინტელექტუალურ მოტივაციას საჭიროებდნენ.

აქედან გამომდინარე, მოდელების ერის ახალი ანალიზური იდეები კემბრიჯში დაიბადა, მისი ხელმძღვანელობა კი სხვაგან გადავიდა.

---

1 **Маршалл А.**, Принципы политической экономии, Т.II, გვ. 33.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ვ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, თბ., 2005.

სპერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1975.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. ა.სილაგაძე). თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, „ნეომარჟინალიზმი" მონოპოლისტური კაპიტალის სამსახურში, ჟ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", №6, 1971.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Альтер П.Б., Буржуазная политическая экономия США, М., 1971.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Блюмин И.Г., Критика буржуазной политической экономии, т.1, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.3, М., 1989.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Козлова К., **Энтов** Р., Теория цены, М., 1972.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 2-3, Санкт-Петербург, 2004.

Keynes J.M., Bibliographical List of The Writings of Alfred Marshall - The Economic Journal, Vol.34, 1925b.

Marshall A.: Principles of Economics, L., 1890; Industry and Trade, L., 1919; Money, Credit and Commerce, L., 1923; The Economics of Industry, L., 1879/1881 (თანაავტ. **მერი პალეი მარშალი**); რუს. თარგმ.: Принципы политической экономии, Пер. с англ., т.1, М., 1983; т.2- т.3, М., 1984.

Marshall Mary Paley, What I Remember, Cambridge, 1947.

Night, F.H., Risk Uncertainty and Profit, 1921.

თავი XVI.
„შვედური (სტოკპოლმის) სკოლის“ სათავეებთან

1. კნუტ ვიკსელი (1851-1926)

1.1. ნეოკლასიკოსი: მათემატიკიდან ეკონომიკაში

შვედური სკოლის წინამორბედი „ნეოკლასიკური“ დოქტრინის წარმომადგენელი კნუტ ვიკსელი (Wiksell) დაიბადა 1851 წელს სტოკპოლმში, წვრილი ვაჭრის ოჯახში.

კნუტს მშობლები ადრე, 15 წლის ასაკამდე გარდაეცვალა და იგი ნათესავების ოჯახში გაიზარდა. სკოლაში კარგი განათლება მიიღო და 1869 წელს სწავლა მათემატიკის, ლათინურის, ლიტერატურის, ისტორიისა და ფილოსოფიის შესასწავლად უპსალას (შვედეთი) უნივერსიტეტში[1] გააგრძელა (აქვე მიიღო სამეცნიერო ხარისხი მათემატიკაში).

უნივერსიტეტში სწავლისას ვიკსელმა სულიერი კრიზისი განიცადა – მანამდე ღრმად რელიგიური პიროვნება ათეისტი გახდა. წერდა ლექსებს და პიესებს (რომლებიც რამდენიმეჯერ დაიდგა). ამავე დროს, მძიმე დეპრესიული მდგომარეობის გამო, იგი „მუდმივი სტუდენტი“ გახდა და თავისი სამეცნიერო ხარისხი მათემატიკაში მხოლოდ ოცდათოთხმეტი წლის ასაკში მიიღო (1885). პარალელურად იგი ჰუმანიტარული დისციპლინებით და სოციალური საკითხებით დაინტერესდა.

ნეომალთუსელობის გაცნობის შემდეგ სოციალ-რადიკალი გახდა. მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას იგი მხოლოდ შობადობაზე კონტროლის დაწესებაში ხედავდა.

ვიკსელის ლექციამ „სოციალური სიღატაკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზის და მისი მკურნალობის შესახებ“ სკანდალი გამოიწვია.

ამის შემდეგ მისი ლექციები მანკიერებას, პროსტიტუციას, თავისუფალ სიყვარულს, შობადობაზე კონტროლს, ქალთა უფლებებს და სხვა მსგავს თემებს ეძღვნებოდა. ის სოციალისტთა მსგავსად რადიკალური, მაგრამ მათგან გამიჯნული იყო, ვინაიდან, როგორც ნეომალთუსელს, სოციალური რეფორმები შობადობაზე კონტროლის გარეშე არაეფექტურად მიაჩნდა.

სოციალურმა რეფორმებმა ვიკსელი ეკონომიკას აზიარა. იგი გაეცნო კლასიკური და მისი თანამედროვე ეკონომისტების ნაშრომებს და ერუდიცია ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიასა და ავსტრიაში ინტენსიური სწავლით გაიღრმავა. ლონდონში ფაბიანელთა საზოგადოების (1884) წევრებს, გერმანიაში კ.კაუცკის (1854-1938), ვენაში ბემ-ბავერკსა და მის თანამოაზრეებს გაეცნო.

ვიკსელის კვლევის მეთოდოლოგია კლასიკური დოქტრინების გავლენით ჩამოყალიბდა.

1889 წელს ვიკსელი დაოჯახდა. ქორწინება იღბლიანი გამოდგა - ვიკსელებს ორი ვაჟი შეეძინათ. იგი თავს ჟურნალისტური მოღვაწეობით ირჩენდა, მაგრამ ანტიმილიტარისტულმა შეხედულებებმა და რუსეთთან ახლო კავშირების მომხრეობამ მისი იზოლაცია განაპირობა.

ვიკსელი ოცდათვრამეტი წლის ასაკში სერიოზულად დაინტერესდა ეკონომიკის შესწავლით. 90-იანი წლები მისთვის მეცნიერულად ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა: სალიცენზიო გამოცდები ჩააბარა და ეკონომიკაში დოქტორის ხარისხი მიიღო. თუმცა ამან აკადემიური კარიერის კარი ვერ გაუღო. საქმე ის არის, რომ მან ხარისხი ფილოსოფიის ფაკულტეტზე მიიღო, ეკონომიკა კი სამართლის ფაკულტეტში შედიოდა. არც ერთ ფაკულტეტს აკადემიური წეს-ჩვეულების დარღვევა არ სურდა. მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა – სამართალი უნდა შეესწავლა, ამან კი წელიწადნახევარი წაართვა. ამის შემდეგ დაბრკოლება აღარ არსებობდა.

1900 წელს ვიკსელი პოლიტიკური ეკონომიისა და ფინანსური სამართლის პროფესორად დაინიშნა. ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტში საშიში რადიკალის თანამდებობაზე დანიშვნა საზოგადოებრივ სენსაციად მოინათლა. აქ მან 16 წელი (1900-16) დაჰყო.

ახალ მდგომარეობას ვიკსელის რადიკალიზმი არ შეუსუსტებია. მონეტარული თეორიის შესახებ მისმა შრომებმა თანდათანობით უფრო პატივსაცემი გახადა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდ-

1 Wicksell, K., Über Wert, Kapital und Rente ... Jena, 1896.

ისათვის იგი საყოველთაოდ აღიარებული ექსპერტი და მონეტარული საქმეების მრჩეველია.

1916 წელს თანამდებობიდან მისი გადადგომის შემდეგ ვიკსელები სტოკჰოლმის მახლობლად მეგობრების დახმარებით აშენებულ აგარაკზე გადასახლდნენ. ეს პერიოდი მის ცხოვრებაში ყველაზე მშვიდობიანი იყო.

ლონდონში შვედეთის ცენტრალური ბანკის მიერ დაფინანსებული მოგზაურობისას, ვიკსელი ახალგაზრდა ჯონ მეინარდ კეინზს შეხვდა, რომელმაც მასზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა.

ახალგაზრდა შვედმა ეკონომისტებმა ვიკსელის გარშემო ჯგუფი შექმნეს, რომელსაც მოგვიანებით „სტოკჰოლმის შვედური სკოლა“ ეწოდა.

ცხოვრების ბოლო წლები კნუტ ვიკსელმა სტოკჰოლმში გაატარა. იგი 1926 წელს გარდაიცვალა.

12. ძირითადი ნაშრომების მოგადი მიმოხილვა

ვიკსელის პირველი წიგნი ეკონომიკაში „**ღირებულება, კაპიტალი და რენტა**“ (1893) იყო. ამ ნაშრომში იგი ზღვრული სარგებლიანობის ავსტრიული სკოლის დოქტრინის მათემატიკური სკოლის იდეებთან შეხამებას შეეცადა. წიგნი „მათემატიკური დამუშავების“ გამო ცივად მიიღეს, მას უარი ეთქვა სადოქტორო დისერტაციაზე. ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით, ეს ნაშრომი ვიკსელის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ვიკსელის შემდგომ უფრო მნიშვნელოვანი გამოკვლევები ფინანსურ სფეროში საბანკო კრედიტის განაკვეთის მერყეობას ეძღვნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი მეორე წიგნი – „**ფინანსურ-თეორიული გამოკვლევები შვედეთის სისტემის კრიტიკის კვალდაკვალ**“ (1896)[1]. მასში გაანალიზებული და გაკრიტიკებულია შვედური საგადასახადო სისტემა.

წიგნის პირველი ნაწილი, რომელიც გადასახადებს ეხება, ამავე დროს სადოქტორო დისერტაციაც იყო. საერთოდ, იგი პროგრესიული გადასახადების დაწესების და მიწის რენტის შემცირების მომხრეა.

წიგნის მეორე ნაწილში ვიკსელი ორნაირ პრინციპს ავითარებს, რომლის მიხედვითაც ყოველი ფისკალური გადაწყვეტილება უნდა ეხებოდეს: 1) მთავრობის დანახარჯებს და 2) საგადასახადო ტვირთს. ამ თვალსაზრისით, შემოსავალი და „ტვირთი“ ისე უნდა შეზავდეს, რომ უმრავლესობისათვის იგი ხელსაყრელი იყოს.

ვიკსელმა ასეთი მიდგომები ძირითად ფისკალურ კრიტერიუმებად ჩათვალა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომის შეცნობა მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ მოხდა, ავტორი თანამედროვე ფისკალური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. იგი სოციალური პოლიტიკის გადამანაწილებელ ღონისძიებებს სიფრთხილით ეკიდებოდა.

ვიკსელის მესამე წიგნმა – „**სარგებელი კაპიტალზე და საქონელთა ფასები**“ (1898)[2] ავტორის საერთაშორისო აღიარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა – ნაწილობრივ იმიტომაც, რომ მასში ახლებურადაა განხილული სარგებლიდან შემოსავალი და აგრეთვე იმიტომ, რომ მან ბევრი კამათი გამოიწვია.

სინამდვილეში, ანალიტიკური თვალსაზრისით, ეს ვიკსელის ყველაზე ძლიერი წიგნი არ არის. სიმპტომატურია, რომ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწინავე მათემატიკოს-ეკონომისტის არგუმენტები სიტყვიერადაა გადმოცემული და ზოგჯერ ბუნდოვანია. ვიკსელის შეხედულებების გაანალიზების შედეგად მაკროდინამიკის „შვედური სკოლა“ წარმოიშვა.

ვიკსელის „**ლექციები პოლიტიკურ ეკონომიაში**“ (ტ. 1, 1901, ტ. 2, 1906)[3] მიკრო-მაკროეკონომიკური ძველი და ახალი იდეების შერწყმის კარგი მაგალითია. ეს ერთ-ერთი ის წიგნია, რომელიც კარგმა პედაგოგმა დამხმარე სახელმძღვანელოს სახით შეიძლება გამოიყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის შესავლის ძირითადი ნაწილი ელემენტარულია, სიზუსტე მის ანალიტიკურ სტრუქტურას თვალსაჩინოს ხდის. თუ მარშალი სიტყვებით ნიღბავდა მათემატიკურ აპარატს, ვიკსელი სიტყვიერად გამოთქმული აზრების გასაგებად მათემატიკას იყენებდა.

---

1 **Wicksell**, K., Finanzentheoretische Untersuchungen, nebst Darstellung und Kritik des Steuerwesens Schwedens, Jena, 1896.

2 **Wicksell**, K., Geldzins und Güterpreise, Jena, 1898.

3 **Wicksell**, K., Lectures on Political Economy, 2 vols, L., 1934-1935.

13. კაპიტალის დაგროვების და ეკონომიკური ციკლის შესახებ

ვიკსელის აზრით: მუშათა კლასის მდგომარეობა განპირობებულია ხალხთმოსახლეობის კანონით; თავისუფალი კონკურენცია წარმოების ფაქტორებს შორის წინააღმდეგობებს ამძაფრებს; წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიების წარმოშობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის დაპირისპირებას ამწვავებს; აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა.

ვიკსელმა გაიზიარა მარჟინალიზმის კონცეფცია და განაწილების ზღვრული სარგებლიანობის კონცეფცია შეიმუშავა. იგი ზოგად პრინციპს ახლებურად, კერძოდ სარგებლიანობის თეორიას წარმოებრივ ფაქტორებზე ავრცელებდა. ამასთან, ყველა ეკონომიკური მოვლენის ანალიზისას მოითხოვდა **დროის ფაქტორის** გავლენის განხილვას. ვიკსელმა ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეების მიმართ შემოიტანა „მოლოდინის“ ცნება, რომელიც საფუძვლად დაედო მის თეორიას კაპიტალის სარგებლისა და ფულის შესახებ.

კაპიტალი განიხილა, როგორც წარმოების მატერიალური პირობა, რომელიც შრომისა და მიწის ფაქტორების ეკონომიის შესაძლებლობას ქმნის. მისი აზრით, წარმოების ეფექტიანობისათვის თითოეული ფაქტორი ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ მათი მცირე დანაკარგიც კი წარმოების მოცულობის შესაბამის შემცირებას უნდა იწვევდეს.

ვიკსელმა განაწილების ზოგადი წონასწორობის თეორიაში შრომასა და კაპიტალთან ერთად მიწაც განიხილა. დოქტრინის მიხედვით წარმოების თითოეულ ფაქტორს შესაბამისი ზღვრული პროდუქტი (რესურსების დამატებითი ერთეულით წარმოებული დამატებითი პროდუქტი) და შემოსავალი (მოგება, ხელფასი, რენტა) უნდა შეესაბამებოდეს.

ვიკსელის მიხედვით, წარმოების ყველა ფაქტორი დასაწყისიდან გამოიყენება, ხოლო წარმოების შედეგი მოგვიანებით მიიღება. ნიმუშად მას ღვინო მოჰყავს, რომლის ხარისხი დაძველების შედეგად უმჯობესდება.

ვიკსელს კარგად ესმოდა, რომ ღვინის ღირებულება სარგებლიანობაზეა დამოკიდებული. მოცემული წარმოებრივი საშუალებების ღირებულებაზე სარგებლიანობის გავლენას ხანდახან „ჯოკსელის ეფექტს“ უწოდებდნენ.

ყურძნის წვენის (რომელიც დროთა განმავლობაში მზარდი ხარისხის მქონე ღვინოდ გადაიქცევა) საბაზრო ღირებულება დაძველების დროზეა დამოკიდებული. ღვინო უნდა გაიყიდოს, მაშინ როდესაც მისი მომავალი ღირებულება მაქსიმუმს მიაღწევს.

დავუშვათ, რომ მეღვინეებმა სტაბილურ წარმოებას მიაღწიეს, სადაც ყოველ წელს ყურძნის ახალი წვენი მიიღება, ხოლო დაღვინებული წვენი კი იყიდება.

რა იქნება მათ სარდაფებში შენახული სხვადასხვა ხარისხის „დაძველებული“ ღვინის ღირებულება?

ღვინის მარაგს იმიტომ ინახავენ, რომ მისი ღირებულება დაძველების გზითაც შესაძლოა გაიზარდოს. მომავალში ასეთი ღვინის ღირებულება უფრო დიდია, ვიდრე ახალი ღვინის საბაზრო ღირებულება.

თუ სრული კონკურენცია დიფერენცირებულ მოგებას გამორიცხავს, ეს ღვინის ამჟამინდელი ღირებულება მოსავლის აღების დროს მიწისა და შრომის საფასურად უნდა იქნეს გადახდილი.

ვიკსელმა დაგროვების თეორიული მოდელი „დახურული ეკონომიკის“ მაგალითზე წარმოადგინა, სადაც ბანკები აწესებენ სარგებლის განაკვეთს და შესაბამისად ფულად სახსრებს გასცემენ. ასეთ „იდეალურ“ საბანკო სისტემაში (როგორც მას ვიკსელმა უწოდა) ყოველი ბანკის ლიკვიდურობის დანაკარგი სხვა ბანკის მოგებას შეადგენს. ამიტომ, თუ ყველა ბანკი შეთანხმებულად იმოქმედებს, მონეტარული გაფართოება-შეკვეცისათვის ზღვარი არ არსებობს.

ასეთ პირობებში ბანკებს სარგებლის საბაზრო ფულადი განაკვეთის დადგენა შეუძლიათ. მაგრამ, ვიკსელის მოსაზრებით, არსებობს ჩვეულებრივად წოდებული მხოლოდ ერთი განაკვეთი, რომელიც ფასების სტაბილიზაციას ხელს უწყობს.

„ჩვეულებრივი განაკვეთი“ მჭიდროდ უკავშირდება წარმოების საშუალებებიდან მიღებულ რეალურ შემოსავალს, რომელსაც ვიკსელი ბუნებრივ განაკვეთს უწოდებს.

ეს ორი განაკვეთი იდენტური არ არის, ვინაიდან ერთი საბანკო სესხებს, ხოლო მეორე წარ-

მოების საშუალებებს ემყარება და ისინი სხვადასხვა რისკებს ექვემდებარებიან.

ვიკსელის ვარაუდით, ფასები სარგებლის საბაზრო ფულად განაკვეთსა და „ბუნებრივ განაკვეთს" შორის სხვაობით რეგულირდება.

ვიკსელი თავის არგუმენტს ელემენტარული მიმოქცევის მოდელის საშუალებით წარმოადგენს. ფირმები, „ოჯახებისაგან" გაწეული მომსახურების საფასურის დასაფარავად ბანკებისაგან კრედიტს საბაზრო განაკვეთით იღებენ. „ოჯახები" შემოსავალს ფირმებისგან გასულ წელს წარმოებული პროდუქტის შესასყიდად მოიხმარენ, ხოლო ფირმები კი ამ ფულს ისევ ბანკში შეიტანენ.

ვიკსელის მიხედვით, სარგებლის „ბუნებრივი განაკვეთისას" მისი საბაზრო განაკვეთის მხოლოდ ერთი დონე არსებობს, რომელიც ფასებს ასტაბილურებს. სანამ სარგებლის საბაზრო ფულადი განაკვეთი „ბუნებრივ განაკვეთზე" მეტია, ფასები განუწყვეტლივ იზრდება და ეკონომიკის განვითარების დონე ეცემა. ასეთ შემთხვევაში წარმოებაში ფულის დაბანდება არახელსაყრელია, წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა (ფასიც) კი ეცემა.

ამგვარად, ფასების დონე სარგებლის განაკვეთისადმი გატარებული პოლიტიკის შედეგია.

ბანკის კრედიტის განაკვეთის მიმართ ეკონომიკა არასტაბილურია, მაგრამ მყარი საბაზრო განაკვეთი ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად არასაკმარისია, ვინაიდან „ბუნებრივ განაკვეთზე" გავლენას მუდმივი მერყეობები (გამოწვეული მაგალითად, ინვესტიციებით, აღმოჩენებით, ან მოლოდინის ცვლილებებით) ახდენს. ეს იმის ახსნაში გვეხმარება, თუ რატომ აკავშირებენ ხშირად სარგებლის საბაზრო განაკვეთებს მზარდ ფასებთან.

ვიკსელისათვის თავსებადია ის გარემოება, რომ ბანკები სარგებლის განაკვეთს თავიანთი პოლიტიკის განსახორციელებლად იყენებენ; ფულის მიწოდება პასიურად არეგულირებს ყველაფერს, რასაც „ოჯახები" და ფირმები პროცესის ნებისმიერ ფაზაში მოითხოვენ; ინფლაციის მოლოდინი (თუმცა მისი მცირე რაოდენობით არსებობა დასაშვებია) ძირითად პროცესში შესამჩნევ როლს არ ასრულებს.

ვიკსელის მტკიცებით, ერთხელ დამკვიდრებული დაგროვების პროცესი სინამდვილეში მუდმივად გრძელდება. მას ესმოდა, რომ რეალურად საბანკო სისტემა „იდეალური" არ არის. როდესაც ბანკებს თავიანთი ლიკვიდურობისა და სარეზერვო დანაკარგების პრობლემები აწუხებთ, ეს მათ, ადრე თუ გვიან „საბაზრო ნორმის" ზრდისაკენ უბიძგებს და ისინი პროცესს აჩერებენ.

ვიკსელის რეკომენდაციით, ცენტრალურ ბანკს უნდა შეენარჩუნებინა ფულის ყიდვითი უნარი, სარგებლის განაკვეთის სიმყარე და ხელი შეეწყო ეკონომიკური აგენტების მოლოდინის სწორად პროგნოზირებისათვის.

ამ რეკომენდაციებს ჰყავდათ კრიტიკოსებიც ავსტრიული სკოლის წარმომადგენლების (ფ.ჰაიეკი) სახით (რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ფულად-საკრედიტო სფეროს რეგულირებას და მომხრეებიც (ე.ლინდალი, გ.მიურდალი).

ვიკსელმა ეკონომიკური კონიუნქტურის ციკლური განვითარების მექანიზმი სარგებლის ორ განაკვეთთან, კაპიტალის დაგროვების პროცესთან დაუკავშირა.

მისი აზრით, ეკონომიკურ ციკლებს „რეალური" რყევები განაპირობებს, მონეტარული პოლიტიკა კი მათ მხოლოდ ასუსტებს; თუ სარგებლის ბუნებრივი განაკვეთი მეტია ფულად განაკვეთზე, ეკონომიკაში აღმავლობაა და პირიქით.

სინამდვილეში, დაგროვების პროცესში სარგებლის ნორმის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებამ ეკონომიკის არასტაბილურობა შეიძლება განაპირობოს. ოქროს სტანდარტის (ფულის ერთეულის ღირებულების დადგენა ოქროს განსაზღვრული რაოდენობით) გაუქმებასთან ერთად ასეთი მიდგომა მეტად მნიშვნელოვანია. ანალიტიკური თვალსაზრისით დაგროვების პროცესი ეკონომიკისა და ინვესტიციის ურთიერთქმედებაზე დაფუძნებული მაკროდინამიკური მოდელის ნათელი მაგალითია.

1.4. აღიარება

ვიკსელი მოგვიანებით აღიარეს. იგი პროფესორი 50 წლის ასაკში გახდა და უკვე თავისი პოსტიდან გადადგომის შემდეგ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

რეტროსპექტულად, ვიკსელი ნეოკლასიკური ეკონომიკის განსახიერება იყო. ამ სფეროში მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ანალიტიკური წვლილი წარმოების ფაქტორების ფასებთან ზღვრული სარგებლიანობის მიახლოება, კაპიტალის, ფულის, სარგებლისა და ფასების მაკროდინამიკური ანალიზია.

ვიკსელი ეკლექტიკოსიც იყო იმ თვალსაზრისით, რომ მეცნიერებაში მისი წვლილი დაგროვილი ცოდნის მარაგიდან განვითარდა. მისი აზრით, მეცნიერული პროგრესი არა „შემოქმედებითი ნგრევა", არამედ ხის ბებერი სხეულიდან ამოზრდილი ახალი ყლორტია.

იგი ახალი მეცნიერული სკოლის დამფუძნებელი არ იყო, არა იმიტომ, რომ აკადემიურ სარბიელზე გვიან გამოჩნდა, ეს არც წარმოადგენდა მის მიზანს. იგი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისი მაკროეკონომიკური იდეების პროგრესული დამუშავება ეჰეკშერის (1879-1952), ბ.ოლინის (1899-1979)[1], გ.მიურდალის (1898-1987)[2] და ლინდალის (1891-1960) მიერ სტოკჰოლმის ეკონომიკური სკოლის ლაიტმოტივი გახდებოდა.

2. ნეოკლასიკური დოქტრინა: გუსტავ კასელი (1866-1945)

2.1. სოციალური ეკონომიკის თეორია

კლასიკური და ზღვრული სარგებლიანობის თეორიების დაკავშირების ნაცვლად, სხვადასხვა მკვლევარმა კლასიკურ დოქტრინას განსხვავებული დატვირთვა მიანიჭა და ზღვრული სარგებლიანობის თეორია უარყო. ეს „ნეოკლასიკური სკოლა" გაზვიადებულად მიიჩნევდა დოქტრინას შრომითი ღირებულების შესახებ და მან ფასის შესახებ თავისი თეორიული სისტემა შემოგვთავაზა.

ამ მიმართულების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია შვედი ეკონომისტი გუსტავ კასელი (Cassel), რომლის სისტემაც წარმოდგენილია მის მთავარ ნაშრომში „**სოციალური ეკონომიკის თეორია**" (1918)[3].

გუსტავ კასელი მუშაობდა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიისა და ფინანსების პროფესორად (1904-1933), პარალელურად 1904-1919 წლებში ფინანსთა სამინისტროს მთავარი ექსპერტია საგადასახადო დაბეგვრის საკითხებში. სამეცნიერო ხარისხი მიიღო მათემატიკაში შვედეთში პირველ (1477) უპსალას უნივერსიტეტში (1895).

გ.კასელმა შრომითი ღირებულების დოქტრინას დღვლათის იშვიათობის პრინციპი დაუპირისპირა და საყოველთაო ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორია უარყო; იდეოლოგიურად ებრძოდა სოციალიზმს; განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ფასწარმოქმნის პრობლემებზე.

2.2. ფასწარმოქმნის საკითხები

კასელის აზრით, ეკონომიკას ახასიათებს დეფიციტი. რადგან მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი საშუალებები დეფიციტურია, მათზე მოთხოვნა იმდენად უნდა შეიზღუდოს, რომ არსებული საშუალებები საკმარისი იყოს.

გაცვლაში დეფიციტის პრინციპი მცირე საქონელმიწოდებასთან მოხმარების შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს. ეს გახლავთ ფასწარმოქმნის ამოცანა. როგორც კი ამა თუ იმ პროდუქტზე ფასი

1 ეჰეკშერისა და ბ.ოლინის შეხედულებები იხ. თავი XVII.
2 იხ. თავი XXI.
3 Cassel G., Theoretische Socialökonomie, Lpz., 1918.

დადგინდება, მხოლოდ ის მოთხოვნა დაკმაყოფილდება, რომელიც ამ ფასის გადახდისუნარიანია. ამ გზით შეზღუდული მოთხოვნა შესაბამისობაში იქნება მიწოდებასთან.

ცალკეული სუბიექტები იძულებულნი არიან სხვადასხვა მიმართულების მიხედვით თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეზღუდონ. როგორც კი მათთვის ყველა ფასი ცნობილი გახდება, ისინი შეიძენენ იმას, რაც მათ სურთ. ამით ისინი ზღვარს ავლებენ ფასის შესაბამისად შეფასებულ მოთხოვნილებას (რომელთა დაკმაყოფილებაც მათ სურთ) და ფასზე უფრო იაფად შეფასებულ მოთხოვნილებას შორის, რომლებიც მათ მიერ იგნორირებულ უნდა იქნას. კონკრეტულ საქონელზე ინდივიდუალური მოთხოვნა ყველა საქონლის ფასზეა დამოკიდებული, ყოველ შემთხვევაში, ყველა იმ საქონლის ფასზე, რომელიც ცალკეული სუბიექტისათვის მნიშვნელოვანია; ამა თუ იმ საქონელზე მოთხოვნა მისი მთლიანი მოხმარების იმ სპეციალური მოწესრიგების შედეგია, რომელსაც ცალკეული სუბიექტი მოცემული ფასების საფუძველზე ახორციელებს.

ფასების თეორიის განვითარებისას კასელი უპირატესობას ფულად ღირებულებას ანიჭებს. მას ღირებულების თეორია გამოუსადეგად მიაჩნია, რადგან ღირებულების ცნება განუსაზღვრელი და გაუგებარია და ყოველივე ამას საქონლის ეკონომიკური მნიშვნელობის არასწორ განსაზღვრამდე მივყავართ. მისი აზრით, ღირებულების შეფასების საერთო მნიშვნელი შეიძლება მოძიებულ იქნეს მხოლოდ ფულში.

ამგვარად ხდება ღირებულების ფასით შეცვლა, რადგან ვაჭრობაში მოთხოვნილების ინტენსიურობა მხოლოდ ფულით შეფასებაში შეიძლება გამოვლინდეს. ღირებულების თეორიის უარყოფის შემდეგ საჭირო გახდა ფასის თეორია, რომლის მიხედვითაც ყველა შეფასება განხორციელდება.

კასელი განიხილავს ძალიან გამარტივებულ თეორიულ შემთხვევას: ის საქონელი, რომელიც მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, გარკვეულ პერიოდში გარკვეული რაოდენობით არსებობს; ეს ნიშნავს, რომ ასეთი საქონელი მოცემული სიდიდეა.

კასელის ვარაუდით, მომხმარებელთა ფულადი შემოსავალი განსაზღვრულია. გარკვეულ საქონელზე მომხმარებლის ყოველი მოთხოვნა მოცემული ფასების შემთხვევაში განსაზღვრულია. ამ დროს საქონლის ფასი აირჩევა როგორც დამოუკიდებელი, ცვალებადი სიდიდე; ამა თუ იმ საქონელზე ინდივიდუალური მომხმარებლის მოთხოვნა განუსაზღვრელია მანამ, სანამ უცნობია ყველა სხვა დანარჩენი პროდუქტის ფასი, რომელიც შეიძლება მისი მოთხოვნის საგანი იყოს; ფასების დაფიქსირების შემდეგ, შესაძლებელია, ყოველ ცალკეულ პროდუქტზე გადაანგარიშდეს არა მარტო ცალკეული მომხმარებლის მოთხოვნა, არამედ მთლიანი მოთხოვნა. იმდენად, რამდენადაც ამგვარად გაანგარიშებული ფასების შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდება, მომხმარებელთა განკარგულებაში არსებული ყველა საქონლის განაწილების პრობლემაც გადაწყდება.

ამგვარად განისაზღვრება საზოგადოების მთლიანი მოთხოვნა მოხმარების ყოველ საგანზე. წონასწორობის პირობებში ეს მოთხოვნა მიწოდების ტოლი უნდა იყოს. მეორე მხრივ კი, თითოეული პროდუქტის მიწოდება, იმდენად, რამდენადაც ეს მიწოდება მოთხოვნის თანატოლია და ეს მოთხოვნა არ არის ფასზე დამოკიდებული, თავის მხრივ დამოკიდებულია ფასებზე.

მათემატიკური ფორმით ფასწარმოქმნის ეს პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იყოს ერთდროული (სინქრონული) გათანაბრების სისტემის საშუალებით. ამგვარი გათანაბრება ყველა ფასის დასადგენად საკმარისია. კასელის აზრით, მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ფასწარმოქმნის შიგა კავშირის ადეკვატურად გადმოცემა.

ფასების თეორიის შემდგომ ანალიზში კასელი არ აღიარებს იმ ვარაუდს, რომ თითქოსდა ყველა საქონლის წარმოებაა შესაძლებელი და რომ მისი წარმოებისათვის საჭირო ელემენტარული წარმოებრივი საშუალებები განსაზღვრული რაოდენობით მაინც არსებობს. ის, რაც ადრე მოხმარების საგნების ნაკლებობად ითვლებოდა, წარმოების ამ ელემენტარული საშუალებების ნაკლებობამ შეცალა. ეს კი მოხმარების საგნებზე, ანუ, საბოლოოდ, წარმოების ფაქტორებზე არაპირდაპირ მოთხოვნას ნიშნავს.

ეკონომიკური პრინციპების მიხედვით, წარმოება ისე უნდა ვმართოთ, რომ მან ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მოთხოვნა ასტიმულირებს დამატებითი წარმოების საშუალებების გამოყენებას, რასაც შესაბამისმა ფასებმა ხელი უნდა შეუწყოს. ამით ფასწარმოქმნა იწვევს იმას, რომ ამ შემთხვევაშიც გადახდისუნარიანი მოთხოვნილება გაითვალისწინება და

მოთხოვნა ფასის ფუნქციად ითვლება. როგორც კი პროდუქტის წარმოების ფაქტორების ფასები (თუ რამდენი სჭირდება სამომხმარებლო საგნების ყოველი ერთეულის წარმოებას) დადგინდება, ე.ი. როგორც კი წარმოების ტექნიკურ პირობებს გაეცნობიან, მოხმარების საგნების ფასებიც შეიძლება გაანგარიშდეს. წარმოების ყოველი ფაქტორისათვის მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის ტოლი იქნება, რომლის დროსაც ფასების ყველა ურთიერთკავშირი ერთდროული (სინქრონული) გათანაბრების სისტემის საშუალებით იქნება წარმოდგენილი. ე.ი. როგორც კი ცნობილი გახდება წარმოების საშუალებათა ფასები, შეიძლება გაანგარიშდეს მზა პროდუქციის ფასები, ასევე ამ პროდუქციაზე მოთხოვნა და ბოლოს წარმოების სხვადასხვა სფეროებში წარმოების საშუალებათა გადანაწილებაც კი.

ამ დროს ის ვარაუდიც უნდა დავიეწყოთ, რომ თითქოსდა მომხმარებელთა ფულადი შემოსავალი მოცემულია. გაცვლით ეკონომიკაში შემოსავლის მქონე ცალკეული პირის შემოსავალი მათ მიერ წარმოების პროცესში მიწოდებული წარმოებრივი ფაქტორების ფასებიდან გამომდინარეობს. გათანაბრების სისტემის საშუალებით განისაზღვრება არა მარტო მოხმარების საგნებისა და წარმოების ფაქტორების ფასები, არამედ ასეთი საზოგადოების ყველა წევრის შემოსავალი და, ამასთანავე, მთელი სოციალური შემოსავლების განაწილება.

ნაკლებობის პრინციპი თანაბრად ვლინდება როგორც წარმოების სტატიკური, ასევე დინამიკური განვითარების პროცესში; ზოგიერთ შემთხვევაში ფასწარმოქმნის დამატებითი პრინციპების საშუალებით ამ პრინციპის სახეცვლილება ხდება; ამ პრინციპს ეს დამატებითი პრინციპები არ ცვლის, რადგან მაშინაც ნაკლებობის პრინციპი ფასის განმსაზღვრელ უკანასკნელ მიზეზად დარჩება.

გასათვალისწინებელია შემდეგი შემთხვევები: (1) ერთი და იგივე პროდუქტი სხვადასხვა საწარმოში მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ წარმოებრივ პირობებში შეიძლება იწარმოოს. მეორე მხრივ, ზოგადი ეკონომიკური პრინციპის შესაბამისად, თითოეული პროდუქტისათვის ის ფასი უნდა დადგინდეს, რომელიც იმ საწარმოს წარმოების ხარჯებს დაფარავს, რომელსაც ყველაზე მაღალი დანახარჯები აქვს. მაშინ მოქმედებს „დიფერენციაციის პრინციპი". ამ შემთხვევაში უფრო „იაფად მომუშავე" საწარმოები იმ ფასს მიიღებენ, რომელიც მათ დანახარჯებს აღემატება და ეს კი ამ საწარმოს დიფერენციალურ მოგებას მოუტანს; (2) თუ დიდი გაყიდვების შემთხვევაში „იაფად წარმოება" შესაძლებელია, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ წარმოების ზრდის შემთხვევაში პროდუქტზე დანახარჯები მცირდება, მაშინ წონასწორობის დასამყარებლად ფასი წარმოების საშუალო დანახარჯებს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ამ პირობას სხვადასხვა ფასი შეასრულებს, მაშინ ამ ფასებიდან ყველაზე დაბალი უნდა იქნეს არჩეული. ეს არის „ფასწარმოქმნის პრინციპი დაღმავალი საშუალო დანახარჯების შემთხვევაში"; (3) თუ წარმოების ერთი მეთოდი მეორეთი შეიცვლება და ამას წარმოების შედეგებში ცვლილებები არ მოყვება, მაშინ ის მეთოდი უნდა იქნეს არჩეული, რომელშიც წარმოების საშუალებათა ფასები მოცემულ პირობებში უფრო იაფია. ეს გახლავთ „სუბსტიტუციის[1] შეცვლის პრინციპი"; (4) „ერთმანეთთან დაკავშირებული პროდუქტების" შემთხვევაში (ეს ნიშნავს ისეთ პროდუქტებს, რომლებიც ერთი და იმავე წარმოების პროცესიდან გამომდინარეობენ, მაგალითად, ბუნებრივი აირი და კოქსი, ან ხორცი, ტყავი და ძვლები, ან მარცვლეული და ჩალა) ამ პროდუქტების მთლიანი ღირებულება დადგენილია, მაგრამ ცალკეული პროდუქტის ღირებულების დადგენა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ერთმანეთთან დაკავშირებული პროდუქტების ფასებმა ყველა პროდუქტის გაყიდვა უნდა უზრუნველყონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პროდუქტებზე მოთხოვნა მისი რეალური რაოდენობის პროპორციული იქნება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთთან დაკავშირებული პროდუქტების ფასების სიდიდე და წარმოების სრული მოცულობაც მიმდინარე ფასწარმოქმნის პროცესთან კავშირში შეიძლება დადგინდეს. ეს გახლავთ ერთმანეთთან დაკავშირებული პროდუქტების ფასწარმოქმნის პრინციპი.

---

1 სუბსტიტუცია (ლათ. subtitutio) – ერთი რისამე შეცვლა მეორით.

2.3. ფასების განსაზღვრის მიზეზები

ფასების პრობლემის კასელისეულმა წარმოდგენამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოხატოს ის, რომ ყველა ფასი ერთდროულად დადგინდეს, რომ სხვადასხვა ჯგუფს შორის მიზეზისა და ქმედების სუბორდინაცია[1] არ არსებობდეს. იგი ასევე გვიჩვენებს, რომ ფასის განსაზღვრის მიზეზთა სამი ძირითადი ჯგუფი არსებობს: (1) ის ფუნქციონალური ფორმები, რომლებიც ფასებზე მოთხოვნის დამოკიდებულებას გამოხატავენ; (2) ის ტექნიკური კოეფიციენტები, რომლებიც ტექნიკური თვალსაზრისით წარმოების დანახარჯებზე მიუთითებენ; (3) წარმოების ფაქტორების მიწოდება.

ამ სამივე განმსაზღვრელ მიზეზს თანაბარი მნიშვნელობა აქვს. ფასის პრობლემის ყველა უცნობი სიდიდე ურთიერთზემოქმედებს, არც ერთი მათგანი არ დომინირებს; ამ ფაქტორებიდან არც ერთს საკმარისი დამოუკიდებლობა არა აქვს იმისათვის, რომ განმსაზღვრელი ზემოქმედების მოხდენა შეძლოს.

გ.კასელის აზრით, წარმოების ღირებულება არის წარმოების ფაქტორების ფასი. ფასი იმიტომ კი არ გადაიხდება, რომ წარმოების ფაქტორების მფლობელები ამ ფასს მოითხოვენ ან მას წარმოებაში მათი მონაწილეობის პირობად ხდიან, არამედ ძირითადად ისინი წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნიდან გამომდინარეობენ. კასელი ამით ფასის ყოველგვარ ზნეობრივ და სოციალურ გამართლებას გამორიცხავს.

მის თეორიას წარმოების ღირებულების შესახებ ობიექტურობაც ახასიათებს და ამით კლასიკოსების შეხედულებისაგან სრულიად განსხვავდება. კლასიკური დოქტრინის მიხედვით, წარმოების ფაქტორებისათვის იხდიან იმიტომ, რომ ისინი გარკვეულ მომსახურებას ეწევიან. კასელის აზრით, წარმოების ფაქტორების ანაზღაურება სხვა არაფერია, თუ არა მის მიერ შეთავაზებული მომსახურების შედეგი. ფასებს მხოლოდ ერთადერთი ამოცანა ეკისრება – მოთხოვნის მიწოდებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ღირებულების კასელისეული ცნება თავისი არსით უახლოვდება ღირებულების შესახებ ბიზნესმენების წარმოდგენებს. ბიზნესმენებისათვის მეორეხარისხოვან როლს თამაშობს ის თეორიული საკითხი, თუ რისთვის იხდიან თანხებს, მიწის ნაკვეთის გამოყენებისა თუ პიროვნული მომსახურებისათვის. მათთვის სულერთია დანახარჯებს შორის თეორიული განსხვავებები. იგი წარმოების პროცესში წარმატების მისაღწევად იხდის ფასს, რომელიც გადასახდელი ხარჯების ერთი ნაწილია. ასევე მიწის გამოყენებისათვის გადასახდელია თანხა, ვინაიდან მისი გამოყენება შეზღუდულია; ამავე დროს კასელი მერეულ საკითხად მიიჩნევს მიწის ნაკვეთის პროდუქტიულობას. მისი აზრით, მიწის ნაკვეთის საკმაო იშვიათობის შედეგია **აბსოლუტური რენტა**. ყოველ შემთხვევაში არსებობს შემთხვევები, როდესაც მიწის გამოყენებაში დიფერენციალური პრინციპია ფასის განმსაზღვრელი. ამიტომ წარმოების ხარჯები სხვადასხვა მიწებზე შეიძლება სხვადასხვა იყოს. საბოლოოდ კი ამოქმედდება დიფერენციაციის პრინციპი, რომლის მიხედვითაც პროდუქტის ფასი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო მიწის უმაღლეს (მაქსიმალურ) ხარჯებს უნდა შეესაბამებოდეს. ნაკლებხარჯიანი მიწები დიფერენციალურ რენტას წარმოშობს. ეს რენტა სხვადასხვა მიწების ხარჯებს ათანაბრებს. კასელის აზრით, დიფერენციაცია და სუბსტიტუციის (შეცვლის) პრინციპები ნაკლებობის პრინციპს ექვემდებარებიან.

სარგებელიც (პროცენტი) ასევე ფასია, რომელსაც წარმოებრივი ფაქტორისათვის – კაპიტალის დაბანდებისათვის იხდიან. კასელი ასევე უარყოფს ჯევონსის განმარტებას სარგებლის შესახებ. ჯევონსის მტკიცებით, სარგებელს იხდიან დაბანდების პრინციპის მიხედვით, რადგან შრომას სწორედ რომ კაპიტალის დაბანდება ცელის.

ამ მოსაზრების საპირისპიროდ კი, კასელის აზრით, სარგებელი, როგორც კაპიტალის დაბანდების ფასი, პირველ რიგში, ამ წარმოების ფაქტორის ნაკლებობით უნდა განისაზღვროს. ეს საფუძვლიანი ახსნა-განმარტება არ შეიძლება დაიბუროს იმ გარემოებით, რომ კაპიტალის განთავსების ნაკლებობამ შეიძლება სახიფათოდ შეცვალოს წარმოების სხვა ფაქტორების შეცვლის შესაძლებლობით. სარგებელი, როგორც კაპიტალის დაბანდების ფასი, ამ უკანასკნელის ნაკლებობის საფუძველზე

1 სუბორდინაცია (ლათ. subordinatio) უფროსებისადმი უმცროსების სამსახურებრივი დაქვემდებარების სისტემას ნიშნავს.

უნდა განისაზღვროს, თუნდაც ყველა ამგვარი დაბანდება გამოირიცხოს.

ასევე შრომის ანაზღაურებაც ფასია, რომელიც შეიძლება აიხსნას მხოლოდ ნაკლებობის პრინციპის საფუძველზე და ამავე მიზეზით, კასელის აზრით, შეიძლება ჩამოყალიბდეს მეწარმის აბსოლუტური მოგება. კასელისათვის სრულიად ბუნებრივია ის მოვლენა, რომ შემოსავალთა განაწილება წარმოების ცალკეული ფაქტორების ფასწარმოქმნის უშუალო შედეგს წარმოადგენს.

დაბოლოს, გ.კასელმა თავისი არგუმენტების დასამტკიცებლად „სოციალური ეკონომიკის თეორიაში" გამოიყენა 1850-1910 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ფასების უცვლელად შენარჩუნებისათვის საჭირო იყო ოქროს მარაგის 3%-ით ზრდა. გარდა ამისა, იგი ოქროს სტანდარტის აღდგენისათვის იბრძოდა.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ჩელაშვილი, ი.მესხია, ე.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი (რედ. ა.სილაგაძე). თბ., 2005.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Блюмин И.Г., Субъективная школа в буржуазной политической экономии, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.3, М., 1989; т.4, М., 1990.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Мюрдаль Г.: Мировая экономика. Проблемы и перспективы, Пер. с англ., М., 1958; Современные проблемы „третьего мира", Пер. с англ., М., 1972.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Шумпетер Й., История экономического анализа, т. 2-3, Санкт-Петербург, 2004.

Cassel G., The Nature and Necessery of the Interest, 1903, N.Y., 1957; Theoretische Sozialökonomie, lpz., 1918 – ინგლ.: The Theory of Social Economy, N.Y., 1923, L., 1932; Recent Monopolistic Tendencies , Gen., 1927; The quantitative thinking in economics, Oxf., 1935; რუს. თარგმ.: Мировая денежная проблема, М., 1922; Основные идеи теоретической экономии, М., 1929.

Gärdlund, Torsten, Artikel «Wicksell, K» - International Encyclopedia of the Social Sciences, Bd.16, N.Y., 1963.

Lindahl, E., Selected Papers on Economic Theory, Cambr., 1958.

Uhr, Carl G., Economic Doctrines of Knut Wicksell, Berkeley, Los Angeles, 1960.

Wicksell, Knut: Über Wert, Kapital und Rente nach der neueren nationalökonomischen Theorien, Jena, Aalen, 1893/1969 - Value, Capital, and Rent... L., 1954; Finanzentheoretische Untersuchungen, nebst Darstellung und Kritik des Steuerwesens Schwedens, Jena, 1896/1969; Geldzins und Gütterpreise, Jena, 1898/1968 - Interest and Prices, L., 1936; Vorlesungen über Nationalökonomie auf Grundlage des Marginalprinzipes, Bd.1-2, Jena, Neudruck Aalen, 1913-1922/1969 - Lectures on Political Economy, 2 vols, L., 1934-35.

Ohlin B., The Course and Phases of the World Economic Depression... Geneva, Cambr., 1931; Interregional and International Trade, Cambr., 1933; The Problem of Economic Stabilization, N.-Y., 1949.

თავი XVII.
არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის დოქტრინები

1. დოქტრინის ჩამოყალიბება

კონკურენტული ურთიერთდამოკიდებულებების თეორიული ანალიზი ნაადრევად დაკავდა დუოპოლიისა[1] და ოლიგოპოლიის[2] პრობლემებით. ა.კურნომ, ფ.ედჯუორთმა, ე.პარეტომ, და კ.ვიკსელმა ამ საკითხების მთელი კომპლექსი თავიანთი კვლევის სფეროში მოაქციეს. თუმცა, მათი შრომები მეტ-ნაკლებად სათანადო ყურადღების გარეშე დარჩა, ვინაიდან ისინი მათემატიკური ფორმით იყო წარმოდგენილი.

მე-20 საუკუნის შუა ხანამდე კონკურენტული დამოკიდებულებები ძირითადად სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლიის ალტერნატივის თვალსაზრისით განიხილებოდა. აქამდე გაბატონებული მიდგომების გადამოწმება განაპირობა პ.სრაფას (1898-1983) მიერ „ეკონომიკურ ჟურნალში" გამოქვეყნებულმა სტატიამ „შემოსავლიანობის კანონები კონკურენციის პირობებში" (1926). ამ სტატიამ შეარყია წარმომადგენლობითი ფირმის შესახებ მარშალის თეორია და მისი დოქტრინის კრიტიკის ლოგიკურმა შედეგმა იმის აუცილებლობა წარმოშვა, რომ უფრო ღრმა თეორიული კვლევა ჩატარებოდა კონკურენციული ურთიერთდამოკიდებულებების მთელ იმ სფეროს, რომელიც აბსოლუტური მონოპოლიისა[3] და სრულყოფილი კონკურენციის ექსტრემალურ შემთხვევებს შორისაა მოქცეული.

ინგლისელი ეკონომისტის პ.სრაფას[4] მტკიცებით, მარშალის თეორიას სრულყოფილ კონკურენციასთან სიახლოვე აკლია და მარშალის მიერ გაანალიზებულ სამეწარმეო ურთიერთობებთან მიმართებაში, „ბაზრის არასრულყოფილების" გამო, თავისუფალი კონკურენციისა და მონოპოლიის თეორიები არ გამოიყენება.

ასეთ პირობებში ბაზრის ერთიანობა დარღვეულია და არც თავისუფალი კონკურენცია არსებობს, რადგან საქონლის ცალკეულ მყიდველებს სხვადასხვა მწარმოებლებისადმი სრულიად ინდეფერენტული დამოკიდებულება აქვთ. თითოეულ სამეწარმეო ფირმას განსაკუთრებული ბაზარი რომ ჰქონდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ამ განსაკუთრებული გრაფიკების კოლექტიური მიწოდება-მოთხოვნის გრაფიკებად შეკამბება. ჩვეულებრივი მონოპოლიის შემთხვევაში, მწარმოებელი იმის მიხედვით ადგენს გასაყიდ ფასს, რომ მისმა შემოსავალმა მაქსიმუმს მიაღწიოს. მაგრამ მაინც თითოეული ფირმისათვის მოთხოვნის ელასტიკურობა (მოქნილობა) არც უსასრულოდ დიდია და არც სრულყოფილად ძლიერი. იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ საქონლის ფასი ცალკეული მყიდველისათვის მაღალია, მაშინ მას შეუძლია ამავე საქონლის სხვა მწარმოებელს მიმართოს ან ისე შეისყიდოს საქონელი, რომ მიუხედავად არსებული შეღავათებისა (პრეფერენციისა), კონკურენცია მაინც არსებობდეს.

სადისკუსიოდ წარმოდგენილი პრობლემის სრაფასეული გადაჭრისადმი მიისწრაფოდა ჯოან **რობინსონი** თავის წიგნში „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკა" (1933).

იგი არასრულყოფილ კონკურენციაში ისეთ ბაზარს გულისხმობს, სადაც ბევრი გამყიდველია

---

1 დუოპოლია (ლათ. duo – ორი და ბერძნ. pōleo – ვყიდი, ვეაჭრობ) ისეთ საბაზრო სტრუქტურას ნიშნავს, რომლის დროსაც არსებობს იდენტური საქონლის მხოლოდ ორი მიმწოდებელი და მათ შორის არ არსებობს მონოპოლისტური შეთანხმება გასაღების ბაზრების, ფასების და სხვ. შესახებ.

2 ოლიგოპოლია (ბერძნ. oligos – ცოტაოდენი და pōleo – ვყიდი, ვეაჭრობ) ნიშნავს ისეთ საბაზრო სტრუქტურას, რომლის დროსაც რამდენიმე მსხვილ ფირმას მონოპოლიზებული აქვს პროდუქციის ძირითადი მასის წარმოება და გასაღება.

3 მწარმოებლის ან მიმწოდებლის მიერ ერთი მოცემული პროდუქტის წარმოებასა და გასაღებაზე სრული კონტროლი.

4 პიერო სრაფა (Sraffa, 1898-1983) მთავარ ნაშრომში 'საქონლის საქონლით წარმოება" (Production of commodities by means of commodities, 1960) გააკრიტიკა განაწილების ნეოკლასიკური დოქტრინა და დ.რიკარდოს შრომითი ღირებულების დოქტრინისაკენ გადაიხარა. მის დოქტრინაში საქონლის ღირებულება მისი წარმოების პროცესში შრომის ფიზიოლოგიური დანახარჯების შედეგია.

და რომელიც ბაზრის არასრულყოფილების იმ ეფექტს ავლენს, სადაც (სრულყოფილი კონკურენციისაგან განსხვავებით) მოთხოვნის გრაფიკი სრულყოფილად ელასტიკური აღარ არის. ყოველ მწარმოებელს მოთხოვნის ინდივიდუალური გრაფიკი აქვს, რომელიც აჩვენებს იმას, თუ როგორ ჩამოყალიბდა გასაღება ერთიდაიმავე ფირმის საქონლის სხვადასხვა ფასებში გაყიდვებისას და, ამასთანავე, ეს ფირმა არ ითვალისწინებს ფასების ცვალებადობაზე კონკურენტი ფირმების რეაგირებას.

რაც უფრო ელასტიკურია მოთხოვნის გრაფიკი, მით უფრო ახლოს არიან კონკურენტული ურთიერთდამოკიდებულებები სრულყოფილ კონკურენციასთან. თითოეულ მწარმოებელს თავისი საკუთარი წარმოების მონოპოლია აქვს, ისე რომ რეალური ეკონომიკა „მსოფლიო მონოპოლიას“ ემსგავსება. იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ყოველი გამყიდველი განსაზღვრული გასაღების წინაშე დგას (რომელიც სხვადასხვა ფასზე მოთხოვნის რეაქციას წარმოაჩენს). რობინსონმა ოლიგოპოლიის პრობლემა აღმოფხვრა.

ჰ.ფ. **შტაკელბერგის** მტკიცებით, რობინსონი თავისი „ინდივიდუალური მოთხოვნის“ განსაზღვრისას ლოგიკურ წრეს ემსხვერპლა. ჯ.რობინსონს მხოლოდ მაშინ შეუძლია მისი „ინდივიდუალური მოთხოვნის“ შექმნა, თუ კონკურენციის რეაქციის სახესხვაობა მოცემულია. ამისათვის კი მაინც ამ კონკურენციის „ინდივიდუალური მოთხოვნის გრაფიკის“ ცოდნაა საჭირო.

არასრულყოფილი კონკურენციის საპირისპიროდ ამერიკელმა მეცნიერმა ედუარდ **ჩემბერლინმა** თავის წიგნში „**კონკურენციის თეორია**“ (1933) მონოპოლისტური კონკურენციის თეორია განავითარა.

ჩემბერლინის აზრით, წმინდა კონკურენციისაგან განსხვავებით (როდესაც მრავალი გამყიდველი მონაწილეობს და ერთი გამყიდველი მეორეზე ზემოქმედებას ვერ ახდენს), მონოპოლისტური კონკურენციისას თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მონოპოლიისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები: 1) გამყიდველთა მცირე რაოდენობა იდენტურ საქონელს ყიდის; 2) სახეზეა უპირატესობათა მინიჭების გზით დიფერენცირებული საქონლის ბევრი გამყიდველი; 3) უპირატესობათა მინიჭების გზით დიფერენცირებული პროდუქტის გამყიდველთა მცირე რაოდენობა არსებობს.

მონოპოლისტური კონკურენცია წარმოიქმნება პროდუქტის დიფერენციაციისაგან – პროდუქტებზე უპირატესობის მინიჭების გზით. ბაზარი არასრულყოფილია, რადგან უპირატესობის მინიჭების შედეგად ერთგვაროვანი საქონლისაგან სხვადასხვა საქონელი წარმოიქმნება. ამგვარი საქონლის ყოველი მწარმოებელი მონოპოლისტია, მაგრამ იგი მაინც კონკურენციას ექვემდებარება, რადგან თითქმის მსგავსი საქონელი სუბსტიტუტად (შემცვლელად) შეიძლება გამოიყენონ. საქმის ამგვარი ვითარების დაკმაყოფილება არც კონკურენციის თეორიას და არც მონოპოლისტურ თეორიას არ შეუძლია, რადგან არც ერთ მათგანს ცალკეულ მონოპოლისტებს შორის არსებული ურთიერთობების გაგება არ შეუძლია.

რობინსონის არასრულყოფილი კონკურენციისაგან ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენცია იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელთან შეთანხმებულია მხოლოდ შეზღუდული და არა თავისუფალი შესვლა და რომ მონოპოლისტური კონკურენციისას მთელი ინდუსტრიისათვის მიწოდების გრაფიკის შექმნა შეუძლებელია, რადგან ყოველი ცალკეული ფირმა თავის საკუთარ დიფერენცირებულ საქონელს აწარმოებს. ამასთანავე, რობინსონთან ყველა მოგება მოქცეულია ხარჯების გრაფიკში და არასრულყოფილ კონკურენციაში მყოფი ინდუსტრიის გრძელვადიანი წონასწორობისას მოთხოვნის გრაფიკი ხარჯების გრაფიკს ტანგენტალურად (შემხებად) კვეთს ისე, რომ არ შეიძლება მიღწეულ იქნას მონოპოლისტური მოგება, იმ დროს, როცა ჩემბერლინთან ტანგენტის (შემხების) ამგვარი სიტუაციის წარმოქმნა შეუძლებელია და ამიტომ მონოპოლისტური მოგების არსებობაც შესაძლებელია. ჩემბერლინს თავისი დოქტრინით მონოპოლისტური კონკურენციის შესახებ რეალური ეკონომიკის თეორიულ ანალიზთან მიახლოება სურდა. ამ დროს მისთვის ნათელი გახდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი შედეგი, რომ რეალური ეკონომიკის ბაზრები ძირითადად არასრულყოფილია და რომ მისი თეორიული გაგებისათვის აუცილებელია ყველა იმ საკითხის ზუსტი ცოდნა, რომელიც მჭიდრო კავშირშია დუოპოლიასა და ოლიგოპოლიასთან.

2. ედუარდ ჩემბერლინის (1899-1967) მონოპოლისტური კონკურენცია

ამერიკელი ეკონომისტის – ე. ჩემბერლინის ძირითადი დამსახურება კაპიტალისტურ ბაზარზე მონოპოლიისა და კონკურენციის თანაფარდობის ანალიზის გაუმჯობესებაა. მისთვის მონოპოლია ბაზრის ერთ-ერთი გამაწონასწორებელი მექანიზმია, რომელიც, ერთი მხრივ, გამყიდველის ან გამყიდველთა ერთი ჯგუფის მიერ რომელიმე პროდუქტის მიწოდებასა და მის ფასზე კონტროლს გულისხმობს, მეორე მხრივ კი, დაქირავებული შრომისა და მომხმარებელთა მოთხოვნილების ექსპლუატაციას გამორიცხავს.

იგი უარყოფითად აფასებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას და თავისუფალ კონკურენციას იცავდა.

ჩემბერლინმა **მონოპოლისტური კონკურენციის თეორიაში** კონკურენციისა და მონოპოლიის სინთეზირების დასაბუთება სცადა. ამან ბაზრების ფუნქციონირების, დანახარჯების, ფასებისა და მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის ახლებური გააზრება მოითხოვა.

ედუარდ ჰასტინგს **ჩემბერლინი** (Chamberlin) დაიბადა 1899 წელს დაკონაში (ვაშინგტონის შტატი). 1921 წელს დაამთავრა აიოვას უნივერსიტეტი და მიჩიგანის უნივერსიტეტში მაგისტრის წოდება მიიღო, დოქტორანტი კი ჰარვარდის უნივერსიტეტში იყო, 1927 წელს აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში მონოპოლისტური კონკურენციის პრობლემებზე. წარმატებამ მას ჰარვარდის უნივერსიტეტში ადგილი მოაპოვებინა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე გამოჩენილი პროფესორის საინტერესო ცხოვრებას ეწეოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს იგი ფლოტში მსახურობდა, 1948-1958 წლებში ყოველკვარტალურ ჟურნალ „ეკონომიკის" რედაქტორია, 1944 წელს კი ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. მისი წვლილი ეკონომიკაში მთელი რიგი საპატიო ჯილდოებით აღინიშნა.

1961 წლიდან მას პროგრესულად განუვითარდა დამბლა და 1967 წელს გარდაიცვალა.

ე.ჩემბერლინი ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნის – **„მონოპოლისტური კონკურენციის თეორია"**[1] – ავტორია. პირველად იგი 1933 წელს გამოქვეყნდა.

ავტორის აზრით, საყოველთაოდ გავრცელებული პროდუქტის დიფერენციაცია ჩვეულებრივ ფირმას მონოპოლისტურად გადააქცევს. ვინაიდან მონოპოლისტური კონკურენციის ცნება მარშალმა და პიგუმ განმარტეს, წიგნის ქვესათაური – **„ღირებულების თეორიის რეორიენტაციის"** სახელწოდებით შემოიფარგლა. წიგნის შემდგომი გამოცემები დამატებითი თავებითა და მასალებით შეივსო. მისი მნიშვნელოვანი სტატიები 1957 წელს გამოქვეყნდა.

ჩემბერლინი ორი ამოცანის გადაწყვეტას ცდილობს: 1) ფასწარმოქმნის ნეოკლასიკური თეორია შეაგუოს მონოპოლიის მხრიდან თავისუფალი კონკურენციის დამაზიანებელ ფაქტებთან და 2) ნეოკლასიკოსებისათვის არატრადიციული არასრული დასაქმების პრობლემა ეკონომიკური ჩაურეველობის კონცეფციის უარყოფის გარეშე.

ჩემბერლინის აზრით, მონოპოლიის საპირისპიროა წმინდა კონკურენცია. ამასთან, რობინსონისაგან განსხვავებით, კონკურენციის უზრუნველსაყოფად საბაზრო პროცესში სახელმწიფოს ჩარევას ზედმეტად მიიჩნევს.

ჩემბერლინის მიხედვით, მონოპოლისტმა საწარმოებს არა მხოლოდ ფასი, არამედ მოგების წილი უნდა გადაუხადოს. მან ეს აღმოჩენა ახალი ანალიზის ერთ-ერთ ქვაკუთხედად მონათლა.

მისი აზრით, კონკურენციისას პროდუქტის დიფერენციაცია[2] მის მაღალ ხარისხსა და რეალიზაციისათვის დამატებით დანახარჯებს (შეფუთვა, გარეგნული ფორმის დახვეწა, თავისებური რეკლამა, განსაკუთრებული სავაჭრო მარკა და სხვ.) მოითხოვს, რაც საბოლოო ჯამში წარმოების დანახარჯებს ზრდის, თუმცა ბაზარზე ფირმები სტაბილურობას მაინც ინარჩუნებენ[3].

---

1 The Theory Monopolistic Competetion, Cambridge (Mass), 1933.

2 სიტუაცია, როდესაც მყიდველები კონკურენტ მწარმოებლების პროდუქტს განიხილავენ არა ურთიერთშემცვლელად, არამედ როგორც მსგავსს.

3 **Чемберлин Э.**, Теория монополистической конкуренции, Пер. с англ. М., 1996, გვ. 111-112.

ჩემბერლინის მიხედვით, ყოველი ფირმა კონკურენტის პროდუქტისაგან საკუთარი პროდუქტის დიფერენცირებას არა ფასების შემცირებით, არამედ მათი გამოშვების შემცირებითა და სარეალიზაციო ფასების ზრდით ცდილობს. გამოდის, რომ მაქსიმალური მოგება ფასების და წარმოების მოცულობების ერთდროული ზრდის პირობებში მიიღწევა.

მონოპოლისტური კონკურენციის თეორიის მიხედვით, **კონკურენციამ და მონოპოლიამ ერთდროულად შეიძლება არსებობს**, რადგან იქ, სადაც პროდუქტი დიფერენცირებულია, ყოველი გამყიდველი იმავდროულად მონოპოლისტიცაა და კონკურენტიც. მონოპოლისტური კონკურენციის კიდევ სხვა თვისება კონკურენტული ნაწარმის გამყიდველთა ჯგუფს ეხებოდა, რომელთა მიმართ ჩემბერლინმა გამოიყენა ტერმინი „დუოპოლია" და „ოლიგოპოლია"[1].

ჩემბერლინის აზრით, ფასი კონკურენციის ერთ-ერთი (და არა გადამწყვეტი) ინსტრუმენტია და თუ გამყიდველები ფასებზე თავიანთ საერთო ზეგავლენას ითვალისწინებენ, მაშინ ფასი მონოპოლიურია, ხოლო თუ ისინი ამ ფაქტორს უგულებელყოფენ, მაშინ შედეგები სხვადასხვაგვარია და ისინი დამატებით გარემოებებზეა დამოკიდებული[2].

დიფერენცირებული პროდუქტის ჩემბერლინისეული ანალიზი მხოლოდ მოთხოვნითა და დანახარჯებით არ შემოფარგლულა და მაინც, ორი მთავარი შედეგი ამ დაშვებაზე დამოკიდებული არ არის. გრძელვადიანი მოგება, უპირველეს ყოვლისა, არა მოთხოვნის, არამედ შემოსავლის შეზღუდვაზეა დამოკიდებული. წმინდა კონკურენციისგან განსხვავებით, მონოპოლიის პირობებში, მოგება არსებითად ერთ დონეზეა. მოთხოვნის შემცირებისას (მაშინაც კი, თუ მოგება ნულოვანია) გამოსაშვები პროდუქცია საშუალო დანახარჯების მინიმუმამდე შემცირებაზე მცირე გავლენას ახდენს. კონკურენციის ორ ფაქტობრივ სახეობაზე, კერძოდ, შემოსავლის თავისუფლებისა და მოთხოვნის მრუდების დახრილობებზე ყურადღების აქცენტირების გამო, ჩემბერლინი ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში შესასვლელად პრეტენზიას აცხადებს.

ჩემბერლინის „რეორიენტაციის" კიდევ ერთი მხარეა მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში პროდუქციის სახეობის ცვლასა და რეკლამირებაზე აქცენტირება. თუმცა, ამ საკითხში მისი მსჯელობა არსებითად აღწერითი ხასიათისაა. კერძოდ, სავაჭრო დანახარჯების ანალიზისას, მისი შესაძლებლობები ფასის ოპტიმიზაციასა და რეკლამირების დანახარჯებზე არ ვრცელდებოდა. გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო რაგნარ ფრიშის, ჰაროლდ ჰოტელინგისა და ჯონ ფონ ნეიმანის დრო. თუმცაღა, პ.სრაფამ, ჰ.შტაკელბერგმა და ჯ.რობინსონმა მონოპოლია საბაზრო მექანიზმის ხელისშემშლელ ფაქტორად დაასახელეს, ჩემბერლინმა პირიქით, – იგი კონკურენციის ნორმალურ პირობად ჩათვალა, რომელიც საბაზრო მექანიზმებში **სახელმწიფოს აუცილებელ ჩარევას არ მოითხოვს**. მისი აზრით, მონოპოლიის თეორია მონოპოლისტური თეორიის შემადგენელი ნაწილია[3].

იოზეფ შუმპეტერმა „მონოპოლისტური კონკურენციის თეორია" 1918 წლის შემდგომ პერიოდში ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდი წარმატების მქონე წიგნად დაასახელა. შუმპეტერის აზრით, ტერმინის „**წმინდა კონკურენცია**" ბრუნვაში პროფესორმა ე.ჩემბერლინმა შემოიტანა.

1963 წელს ამერიკის ეკონომიკურმა ასოციაციამ თავისი ოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად სპეციალურ სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა მონოპოლიური კონკურენციის თეორიის დიდი მნიშვნელობა. კრიტიკოსები ჯორჯ **სტიგლერის** (Stigler, 1911-1991)[4] მეთაურობით ამ თეორიას უარყოფითად აფასებდნენ, რამეთუ იგი სრულყოფილი კონკურენციის გართულებული ვარიანტიაო. თუმცა მათი მსჯელობები მთლად დამაჯერებელი არ იყო. ჩემბერლინის დამსახურება ეჭვს არ იწვევს, თუმცა მან ღირებულების თეორიის რეორიენტაცია ვერ შეძლო. <u>ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ არა რევოლუცია</u>. მეცნიერებაში მისი დამსახურება უკანა პლანზე მდგომის წინ გადმონაცვლებაში მდგომარეობდა.

---

1 **Чемберлин Э.**, Теория монополистической конкуренции, გვ.62.

2 იქვე., გვ. 90.

3 იქვე, გვ. 170.

4 ამერიკელი ეკონომისტი, ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი. იკვლევდა ფულის, დასაქმების, ინდუსტრიის ორგანიზაციის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საკითხებს. მისი მთავარი ნაშრომებია: „წარმოებისა და განაწილების თეორია" (1941), „სარგებლიანობის თეორიის განვითარება" (1951), „ინდუსტრიის ორგანიზაცია" (1983)... 1982 წ. მიენიჭა ეკონომიკაში ნობელის პრემია – სამრეწველო სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების პრობლემების კვლევაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

3. ჯოან ვიოლეტ რობინსონის (1903–1983) არასრულყოფილი კონკურენცია

თუკი ე. ჩემბერლინის წვლილი ეკონომიკურ თეორიაში ძირითადად მონოპოლისტური კონკურენციის სფეროთი შემოიფარგლა, ინგლისელი ეკონომისტი ჯოან რობინსონი, დაწყებული მონოპოლისტური კონკურენციითა და ღირებულების თეორიით, კეინზის მაკროეკონომიკით დამთავრებული, მრავალ საკითხს ეხება. ის უდავოდ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომისტ-თეორეტიკოსი იყო. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს მისი **„არასრულყოფილი კონკურენციის თეორია"**.

ჯოან ვიოლეტ **რობინსონი** (Robinson, ქალიშვილობაში ჯოან ვიოლეტ მორისი) დაიბადა 1903 წელს კემბრილიში (სურეის საგრაფო). მისი მამა და ბაბუა ბრიტანეთის ჯარში გენერალ-მაიორები იყვნენ. მისი ბაბუის ბიოგრაფია „ეროვნული ბიოგრაფიის ლექსიკონში" შევიდა. მამამისი სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ გერმანიის 1918 წლის თავდასხმის შემდეგ, მან საჯაროდ დასდო ბრალი ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობას ძალების სიძლიერის შესახებ პარლამენტისა და ქვეყნის შეცდომაში შეყვანისათვის. ამის შემდეგ იგი აღიარებული განმანათლებელი გახდა. მის შვილებსაც საკუთარი პრინციპით ცხოვრების ოჯახური ტრადიცია გამოჰყვათ.

ჯოან მორისმა განათლება წმინდა პაველს ქალთა სკოლაში (ლონდონში) მიიღო, შემდეგ კი კემბრიჯის უნივერსიტეტში ეკონომიკას სწავლობდა, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. მომდევნო წელს იგი ოსტინ რობინსონზე გათხოვდა, რომელიც აგრეთვე ცნობილი კემბრიჯელი ეკონომისტი გახდა. მათ ორი ქალიშვილი შეეძინათ. ინდოეთში რამდენიმე წლით ყოფნის შემდეგ ისინი კემბრიჯში დაბრუნდნენ.

1931 წელს ჯოან რობინსონი კემბრიჯის უნივერსიტეტში პროფესორის ასისტენტია, 1949 წლიდან დოცენტი, 1965 წლიდან კი ეკონომიკის პროფესორი. 1971 წელს, პენსიაზე გასვლის შემდეგ, იგი აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდა – მრავალ მსმენელს ესაუბრებოდა მთელს მსოფლიოში და ბევრ პუბლიკაციასაც აქვეყნებდა. გარდაიცვალა 1983 წელს.

ჯოანი სტუდენტებისადმი და დაჩაგრულთა მიმართ ერთგულებითა და თავდადებით იყო ცნობილი. იგი მკაცრი ვეგეტარიანელი იყო და სპარტანულ ცხოვრებას ეწეოდა. ზამთარშიაც კი სანდლები ეცვა და ცივ, ღია ქოხში ეძინა. სტალინით, ჩინეთით და ჩრდილო კორეით მისი აღფრთოვანება ხშირად მისი მეგობრებისათვისაც ძნელი გასაგები იყო. იგი ინტელიგენტი, მჭერმეტყველი და უშიშარი, მაგრამ ამავე დროს თავისთავში დარწმუნებული და ამპარტავანიც იყო. თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში მან ბევრი რამ ვერ გააკეთა ეკონომიკაში.

ჯ.რობინსონი 30-იან წლებში „სრულყოფილ კონკურენციას", როგორც კაპიტალისტური ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველმყოფ მექანიზმს ეწინააღმდეგებოდა და მან **არასრულყოფილი კონკურენციის დოქტრინა** წამოაყენა. ამასთან, 50-იან წლებში გაიზიარა კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის კონცეფცია, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია: კაპიტალისტური წინააღმდეგობების აღიარება, მონოპოლიების კრიტიკა, ხელფასის გასაზრდელად პროფკავშირების ბრძოლის გამართლება და სხვ.

როგორც ეკონომისტი, ჯ.რობინსონი მარშალისა და პიგუს ტრადიციების მიმდევარი იყო. მის პირველ წიგნს **„არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკა"**[1] (1933), არსებული ტრადიციების შემდგომ ევოლუციად მოიხსენიებენ.

მისი ანალიტიკური აპარატი ფაქტობრივად ჩემბერლინის მსგავსია და ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება თავმოყრას საჭიროებდა. ეს ნაშრომი ფირმის თეორიაში წამყვან როლს ასრულებდა ათეული წლების მანძილზე. არც ერთ მის სხვა ნაშრომს ასეთი შეფასება არ მიულია.

ეს ნაშრომი ეძღვნება სხვადასხვა საბაზრო სიბრტყეში მონოპოლიზაციას, ფასების ჩამოყალიბების მექანიზმს და არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში მონოპოლიური მოგების რეალიზაციის პრობლემას, აქვე განსაზღვრულია მონოპოლიური ფასი, რომელიც, ავტორის აზრით, წარმოების ზღვრული დანახარჯების და ელასტიკური მოთხოვნის ფუნქციაა.

---

1 **Robinson J. The Economics of Imperfect Competition, L., 1933 - რუს. თარგ.: Экономическая теория несовершенной конкуренции, М., 1986.**

ჯ.რობინსონმა ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებები ცალკეულ ეკონომიკურ კატეგორიებთან, ცნებებთან დაკავშირებით. ასე, მაგალითად: **არასრულყოფილი კონკურენცია** კონკურენტულ ეკონომიკურ სისტემასა და დაქირავებული შრომის ექსპლუატაციას შორის წონასწორობის დარღვევაა, როდესაც გამოშვებული პროდუქტის მოცულობა მცირდება და იზრდება ფასები (ფასების ზრდა სახელმწიფოს საგადასახადო და ბიუჯეტური პოლიტიკით უნდა დარეგულირდეს); **მონოპსონია**[1] ისეთი საბაზრო სტრუქტურაა, როდესაც განსაზღვრულ საქონელზე მხოლოდ ერთი მყიდველი არსებობს; ოლიგოპოლიის პირობებში დარგში იმდენად ცოტა ფირმაა, რომ ფასების პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ერთ-ერთი მათგანი კონკურენტის ქმედებაზე მყისიერად რეაგირებს; **მონოპოლია**[2] საბაზრო გარემოში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მადესტაბილიზებელი ფაქტორია, სრულყოფილი კონკურენციის არსებობისას მეწარმე ნაკლებადაა დაინტერესებული წარმოების მონოპოლიზაციით, ვიდრე არასრულყოფილი ბაზრის პირობებში; ეკონომიკურ თეორიაში შემოიტანა ტერმინი **„ფასების დისკრიმინაცია"**, რაც ნიშნავდა მონოპოლიების მიერ ბაზრის სეგმენტაციას (დანაწევრებას) მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის ფასების მიხედვით.

ჯ.რობინსონის დასკვნით, ფასისმიერი მანევრირების შესაძლებლობები არყევს კლასიკური დოქტრინის მტკიცებულებებს, კერძოდ: ფასწარმოქმნის პროცესის დამოუკიდებლობას, მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის გაიგივებას რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ოპტიმიზაციასთან. ამაშია პრინციპული განსხვავება ჩემბერლინისაგანაც, რომლის შეხედულებითაც მონოპოლისტური კონკურენციის მექანიზმი ეკონომიკურ კეთილდღეობის ინტერესებს ყველაზე უკეთესად ემსახურება.

1931 წელს ჯოან რობინსონი იმ პატარა „წრეს" მიეკუთვნებოდა, რომელიც ჯონ მეინარდ კეინზს „ტრაქტატიდან" - „ზოგად თეორიაში" გადასვლაში დაეხმარა. იგი მგზნებარე **„მეშვრცხენე კეინზელი"** გახდა. მისი **„დასაქმების თეორიის შესავალი"** (1937)[3] ღია ეკონომიკაზე გადასვლის იდეებს შეიცავდა.

რობინსონმა შეამჩნია, რომ კეინზი კაპიტალისტურ „რევოლუციას" არ აპირებდა. იგი ცნობილია არა მარტო როგორც ნეოკლასიკური დოქტრინების კრიტიკოსი, არამედ მარქსიზმისადმი თავისი ინტერესებით. მან კარლ მარქსის ნაშრომების კითხვა დაიწყო. როგორც **„მარქსისტული ეკონომიკის ესედან"** (1942)[4] ირკვევა, ღირებულების თეორიას მასზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ მან იქ სულიერი საზრდო ჰპოვა და, რაც მთავარია, იგი მარქსმა, როგორც იდეოლოგმა მოხიბლა.

ჯ.რობინსონმა მოკლევადიანი კეინზური სისტემის გრძელვადიანზე გადასვლის გეგმა შეიმუშავა. ამ მცდელობის შედეგია **„კაპიტალის დაგროვება"** (1956)[5].

ამ ნაშრომში გამოკვლეულია ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ასპექტი და ეკონომიკის არასტაბილური განვითარების წარმომშობი ფაქტორები. მათემატიკური ცოდნის დეფიციტის პირობებში, მისი ანალიტიკური შესაძლებლობები (მიუხედავად მისი ინტელექტუალური ბრწყინვალებისა), უბრალოდ მიზანს ვერ აღწევდა. ეკონომიკური ზრდის თეორიამ მას გვერდი შეაქცია.

სტატიაში **„წარმოების ფუნქცია და კაპიტალის თეორია"** (1954) ჯოან რობინსონმა ყურადღება მიაქცია პარადოქსს, რომლის მიხედვითაც სარგებლის დაბალ განაკვეთს შეიძლება საწინააღმდეგო ეფექტი მოჰყვეს. ამან პ. სამუელსონის, რ. სოლოუს და სხვ. ყურადღება მიიპყრო.

რობინსონის მრავალრიცხოვანი სტატია, ნარკვევი და ლექციები შეკრებილია **„ეკონომიკური სტატიების კრებულის"** მრავალტომეულში (1951-1980).

ამ ტომებში შესული ნაშრომებიდან, რომლებმაც ფასების თეორიაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს, კერძოდ, **ფირმის თეორია** და მოდელის აგების ეპოქაში **„კაპიტალის პარადოქსი"** (უცნაურობა) გამოირჩევა. ფირმის სტატისტიკისა და სახელმძღვანელოს მსგავს გადმოცემას, რობინსონმა შედარებ-

---

1 **მონოპსონია** (ბერძნ. monos – ერთი + opsōnia – შესყიდვა) ნიშნავს ბაზარზე მყიდველის მონოპოლიას, როცა არის მხოლოდ ერთი მყიდველი და ბევრი გამყიდველი.

2 **მონოპოლია** (ბერძნ. monos – ერთი + pōleo – ვყიდი): ბაზრის სიტუაცია ეროვნაროვანი საქონლის ერთადერთი მიმწოდებლით და მრავალრიცხოვანი მყიდველით.

3 **Robinson** J. Essays in the Theory of Employment, L., 1937.

4 **Robinson** J. An Essays on Marxian Economics, L., 1942.

5 **Robinson** J. The Accumulation of Capital, L., 1956.

ითი სტატისტიკის დეტალური ანალიზი დაუმატა. იგი შეიცავს მითითებებს მოთხოვნის გადახრით გამოწვეული ფასების მოუქნელობის შესახებ. მონოპოლიაში იგი შრომის „ექსპლუატაციას" იხილავს.

„არასრულყოფილი კონკურენციის" უპირველესი წვლილი დისკრიმინაციული მონოპოლისტური ფასების ანალიზში მდგომარეობს. მონოპოლისტი, რომელსაც ბაზრის დაყოფა თავისი პროდუქციის მიხედვით შეუძლია, ფასების დიფერენციაციის მეშვეობით მოგების ზრდას უზრუნველყოფს.

„არასრულყოფილი კონკურენციის თეორიაში" ბაზარზე მსხვილი კომპანიების ფუნქციონირება წარმოების მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება, რომელიც, თავის მხრივ, მსხვილი წარმოების უპირატესობების გამო, მრავალ სექტორში წარმოების მოცულობის ზრდის პირობებში ერთეულ პროდუქციაზე წარმოების დანახარჯებს ამცირებს.

მისი გაგებით, „მონოპოლია" ბაზარზე წარმოების ფაქტორების მოთხოვნაზე კონტროლია. მოთხოვნა-გასაღების რეგულირებაზე ზემოქმედების მთავარ ინსტრუმენტად მან ფასები დაასახელა. ამ მიზნით გამოიყენა ტერმინი „ფასების დისკრიმინაცია", რომელიც სხვადასხვა მყიდველზე (სხვადასხვა ტერიტორიის მიხედვით) ერთი და იმავე საქონლის განსხვავებულ ფასში მიყიდვასა და ფასების მანევრირებას ახდენს. ასეთ შემთხვევაში მონოპოლიები წარმოების მოცულობასა და შესაბამისად მოგებასაც უფრო მეტად ზრდიან, ვიდრე ეს ხდება ისეთ მონოპოლიებში, სადაც ერთიანი ფასების პრინციპები მოქმედებს. მსხვილი, მრავალდარგოვანი და მრავალპროფილიანი კომპანიებისათვის ფასებით მანევრირება ფასისა და დანახარჯების თეორიის არა კერძო, არამედ ცენტრალური საკითხია.

ჯ.რობინსონი საბაზრო მექანიზმების გაფეტიშების წინააღმდეგია და ეჭვის ქვეშ აყენებდა მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორობის შესახებ ნეოკლასიკურ პრინციპს, აბის გამო მას ეჩემბერლინის პოზიციასთან უთანხმოება ჰქონდა, რომლის მიხედვითაც სწორედ „მონოპოლისტური კონკურენციაა" ის გზა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს ყველაზე მეტად შეესატყვისება. თუ რობინსონმა მონოპოლია ფირმის (დარგის) ისეთ მდგომარეობას შეადარა, რომელიც საქონლის მიწოდებას აკონტროლებს, ჩემბერლინმა მონოპოლიის საფუძვლად ფირმის საქონლის დიფერენციაცია დაასახელა.

ჯოან რობინსონმა თავის ცნობილ წიგნში დაწყებული ნეოკლასიკური სისტემის კრიტიკა შემდგომშიც განაგრძო: „არასრულყოფილი კონკურენციის ეკონომიკის" მეორე გამოცემაში (1969) იგი სრულყოფილი კონკურენციის, მიწოდება-მოთხოვნის, მომხმარებლის უფლებების, ზღერული პროდუქტის თეორიების ჯერ კიდევ ორთოდოქსალურ დოქტრინებში ბატონობაზე მიუთითებდა. ამასთან, მკითხველს შეახსენებდა, რომ მან თავის წიგნში ორთოდოქსალური თეორიის ჩარჩოებში, შეძლო დაემტკიცებინა, რომ ხელფასი შრომის ზღერული პროდუქტის (რესურსების დამატებითი ერთეულით წარმოებული დამატებითი პროდუქტი) ღირებულების ეკვივალენტი არ არის.

უფრო გვიანდელ ნაშრომებში იგი ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული სქემების კრიტიკას განაგრძობს და ეკონომიკური მეცნიერების კრიზისზე მიანიშნებს, რომელიც არსებული სახით საუკუნის პრობლემების გადაწყვეტას ვერ შეძლებს.

4. ჰენრიხ ფონ შტაკელბერგი (1895-1946)

4.1. არასრულყოფილი ბაზარი

არასრულყოფილი ბაზრის დოქტრინა სისტემატურად გადამუშავდა ჰენრიხ ფონ შტაკელბერგის (Stackelberg) გამოკვლევებში, რომელიც ბერლინის უნივერსიტეტში ასწავლიდა.

მისი ძირითადი ნაშრომებია[1]: „ბაზრის ფორმები და წონასწორობა" (1934), „ეკონომიკის თეორიული კვლევის საფუძვლები" (1943).

შტაკელბერგმა დოქტრინა საბაზრო ფორმების შესახებ მისსავე თეორიასთან უშუალო კავშირში განავითარა და მან ეს ორი მიდგომა ისე დაუახლოვა ერთმანეთს, რომ არასრულყოფილი ბაზრის თეორია გასაგები შეიძლება გახდეს მხოლოდ საბაზრო ფორმების სისტემის საფუძველზე.

1 Stakelberg H. von: Marktform und Gleichgewicht, Berlin-Iena, 1934; Grundlagen der theoretischen Volkswirtschaftlehre - ინგლ. თარგმ.; The Theory of the Market Economy, L., 1952.

მისი ანალიზის ამოსავალი სრულყოფილი კონკურენციაა, რომელიც როგორც საბაზრო ფორმა ერთმნიშვნელოვნად ფასების დამოუკიდებლობის და თავისუფალი გაცვლის უპირატესობით განისაზღვრება. მისი აზრით,:

- ფასები დამოუკიდებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურენტის არსებობის პირობებში ბაზრის მონაწილეები მასზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ახდენენ. აქედან გამომდინარე, ფასი კონკურენტების ქცევებისაგან დამოუკიდებლად არსებული სიდიდეა;

- **განსხვავებების არარსებობის პრინციპი** (რომელიც ჯევონსმა აღმოაჩინა) მაშინ ხორციელდება, როდესაც ბაზარზე ყველა ერთგვაროვანი საქონლის გაცვლისას მხოლოდ ერთი ფასი მოქმედებს;

- **გაცვლის თავისუფლების პრინციპი** ნიშნავს იმას, რომ ყოველი საქონლის ყიდვა-გაყიდვა თავისუფლად ხორციელდება. იმ დროს, როცა სრულყოფილი კონკურენციისას სამივე პრინციპი ხორციელდება, მონოპოლიის საბაზრო ფორმაში ფასების დამოუკიდებლობის პრინციპი უკვე არ მოქმედებს, რადგან მონოპოლისტი, როგორც ერთადერთი მიმწოდებელი, ერთობლივი მოთხოვნის პირისპირ დგას და გასაღების რაოდენობის ან გაყიდვის ფასის სურვილისამებრ დადგენა შეუძლია. ამ დროს, პირველ რიგში, ფასი, შემდეგ კი გასაღების რაოდენობა, რა თქმა უნდა, მოთხოვნის კანონის შესაბამისად განისაზღვრება.

არასრულყოფილი ბაზარი მოქმედებს მაშინ, თუ ამ პრინციპებიდან ერთ-ერთი, კერძოდ კი გაცვლის თავისუფლება არაუზრუნველყოფილია. ამგვარად, არასრულყოფილ ბაზართან გვაქვს საქმე, თუ ერთგვაროვან საქონელთა გაცვლაში განსხვავებული საქონლის არარსებობის პრინციპი გაუქმებულია. ამ უკანასკნელს ეხედებით მაშინ, თუ ბაზარზე არსებობს ისეთი უპირატესობები, რომლებიც საქონელთა არაერთგვაროვნების ეფექტს ქმნიან.

შტაკელბერგი განასხვავებს **უპირატესობების ოთხ სახეობას: არსებითი** (საგნობრივი, ნივთობრივი) **უპირატესობა** (სხვადასხვაგვარი შეფუთვა და გაფორმება, ფირმის დასახელება, სავაჭრო მარკა, ფირმის დაცვა, მარკის რეკლამა, გასაღების ორგანიზება); **პიროვნული უპირატესობა** (პიროვნული ურთიერთობები მყიდველსა და გამყიდველს შორის, ინდივიდუალური მომსახურება და სხვ.); **სივრცობრივი უპირატესობა** (მეზობლობა და ახლომდებარეობა, ხელსაყრელი სატრანსპორტო საშუალებები) და **დროის დიფერენციაცია** (სწრაფი მომსახურება უფრო მაღალ ფასად).

ამ უპირატესობების შედეგად ეს არასრულყოფილი ბაზარი დაყოფილია მრავალ ცალკეულ ბაზრად. ამ ცალკეულ ბაზრებს **ელემენტარულ ბაზრებს** უწოდებენ, რადგან ასეთ ბაზრებზე (განსაზღვრულ ადგილზე, დროს) ერთგვაროვანი საქონლის მოთხოვნა-მიწოდება ხდება და სრულყოფილი ბაზრის მოთხოვნები სრულდება. ამ შემთხვევაში ფასების დამოუკიდებლობის პრინციპი შეიძლება გამოირიცხოს, მაგრამ ეს არ არის საჭირო არასრულყოფილ ბაზარზე.

თუ ყველა ელემენტარულ ბაზარზე სრულყოფილი კონკურენციის ფორმა დამკვიდრდა, მაშინ არასრულყოფილი ერთიანი ბაზრის ფასწარმოქმნაც ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრება, რადგან იგი **სუბსტიტუციური (შემცვლელი) საქონლის კონკურენტულ-ეკონომიკურ ფასწარმოქმნას** შეესაბამება. მაგრამ ელემენტარულ ბაზრებს შეუძლიათ სხვა, მაგალითად, მონოპოლიის, ან დუოპოლიის, ან ოლიგოპოლიის ფორმების გამოვლენა. თუ თითოეული ელემენტარული ბაზარი მონოპოლიას წარმოადგენს, მაშინ საქმე გვაქვს მონოპოლისტების კონკურენციასთან. თუ ერთი არასრულყოფილი ბაზარი ორი მონოპოლისტური, ელემენტარული ბაზრისაგან შედგება, მაშინ თავს იჩენს **დუოპოლიის** ანალოგიური სიტუაცია.

ერთიან ბაზარზე ფასწარმოქმნა ხორციელდება იმ წესების მიხედვით, რომლებიც დუოპოლიისათვის მოქმედებს. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ელემენტარულ ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტ მონოპოლიას, დუოპოლიასა და ოლიგოპოლიას ერთდროულად ეხედებით, მაშინ ერთიან ბაზარზე არსებობს კონკურენციის ის ფორმა, რომელსაც შტაკელბერგი **არასრულყოფილ კონკურენციას** უწოდებს. თუ არასრულყოფილ ბაზარზე, რომელსაც ბევრი მიმწოდებელი და მომხმარებელი ჰყავს, თითოეული მწარმოებელი გასაღების შესაძლებლობებში თანაბარ კონკურენციას უწევს ბევრ სხვა მწარმოებელს, მაშინ მოცემულია არასრულყოფილი კონკურენციის განსაკუთრებული შემთხვევა, კერძოდ კი **პოლიპოლისტური**[1] **კონკურენცია**.

---

1 პოლიპოლია (ინგლ. polipoli, ბერძნ. poli – ბევრი + pōleō – გაიყიდა) ნიშნავს ისეთ საბაზრო სიტუაციას, რომელშიც არსებობს მსხვილი გამყიდველების ის შეზღუდული რაოდენობა, რომელიც კონკურენციის შესანარჩუნებლად საკმარისია.

4.2. საბაზრო ფორმების სისტემა

სტრუქტურული ფორმით განსხვავებული ელემენტარული ბაზრების ზემოქმედება ერთიან ბაზარზე მთლიანად შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, თუ აღიარებულ იქნება ცალკეულ საბაზრო ფორმებში ფასების ჩამოყალიბების ის პირობები, რომლის დროსაც მოქმედებს განსხვავებების არარსებობის პრინციპი. ამ დროს წარმოქმნილი შესაძლებლობები შტაკელბერგმა საბაზრო ფორმების შესახებ თეორიაში წარმოაჩინა.

ფორმის თვალსაზრისით, ამ დოქტრინის საფუძველია სქემა, რომლის გარეგნული და განსაკუთრებული შემთხვევა სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლიის საბაზრო ფორმას ქმნის. მკაცრად მათემატიკური ფორმის მიხედვით კი სრულყოფილი კონკურენცია წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას იმდენად, რამდენადაც იგი სინამდვილეში არასოდეს არ გვხვდება, რადგან მოთხოვნა და მიწოდება ყოველთვის გარკვეულ შეზღუდულობას ავლენენ. ამავე გაგებით მონოპოლიაც განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელიც (როგორც გამსაღებლის მონოპოლია) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოცემულად, როცა „საქონლის წარმოებაც და გაყიდვაც ერთ ხელშია, რომელსაც არც პოტენციური კონკურენცია და არც სუროგატი (შემცვლელი) საქონლის კონკურენცია არ ემუქრება, ასე რომ გამორიცხულია მოთხოვნის ყოველგვარი დაცემა". ზოგი ამ იდეალურ შემთხვევას **„აბსოლუტურ მონოპოლიას"**[1] უწოდებს.

საბაზრო ფორმების ამ ორ განსაკუთრებულ შემთხვევას შორის, კერძოდ სრულყოფილ კონკურენციასა და აბსოლუტურ მონოპოლიას შორის მთელი რიგი რეალური საბაზრო ფორმა არსებობს, რომლის ფარგლებშიც სინამდვილეში ფასწარმოქმნა ხორციელდება.

ეს საბაზრო ფორმები შტაკელბერგმა თავის კვლევაში **„ბაზრის ფორმები და წონასწორობა"** (1934)[2] დახურულ სისტემაში მოაქცია და დაწვრილებით გააანალიზა. ამასთანავე, იგი იკვლევს, თუ რომელი საბაზრო ფორმები ავლენენ ფასების წონასწორობას.

შტაკელბერგი განასხვავებს ცხრა განსხვავებულ საბაზრო ფორმას: 1) **თავისუფალი** (სრულყოფილი) **კონკურენცია**, 2) **მიწოდების ოლიგოპოლია**, 3) **მოთხოვნის ოლიგოპოლია**, 4) **ბილატერალური** (ორმხრივი) **ოლიგოპოლია**, 5) **მონოპსონია**, 6) **გამყიდველის მონოპოლია**, 7) **გამყიდველის შეზღუდული მონოპოლია**, 8) **შეზღუდული მონოპსონია** და 9) **ბილატერალური მონოპოლია**.

„თავისუფალი (ანუ სრულყოფილი) კონკურენციის" საბაზრო ფორმის ნიშანთვისებაა კონკურენტების ფასების დამოუკიდებლობა. როგორც შტაკელბერგმა აჩვენა, ფასების დამოუკიდებლობა არასრულყოფილი კონკურენციის ფუნქციონირებისათვის საკმარისი პირობა, არამედ ამ საბაზრო ფორმის შედეგი და მისი ძირითადი პრინციპია. მუდმივი კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად არსებული ფასი ზღუდავს მიწოდებასა და მოთხოვნას ყოველი ეკონომიკური ინდივიდისათვის, ისე, რომ ყოველი შეთავაზებული საქონლის რაოდენობა ამ საქონელზე მოთხოვნას შეესაბამება და ამით სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო ფორმის შემთხვევაში წონასწორობის მდგომარეობა წარმოიქმნება. მონოპოლიის შემთხვევაში კი წონასწორობა სხვაგვარად უნდა განხორციელდეს, რადგან მონოპოლისტს ფასის დამოუკიდებლად არსებობის განხილვა არ შეუძლია, მაგრამ მას შეუძლია ფასის სურვილისამებრ დადგენა. ამ შესაძლებლობის გამოყენებით გამსაღებლის მონოპოლიისას მონოპოლისტი განსაზღვრავს ბაზარზე თავის ქმედებას მაქსიმალური სარგებლიანობის პრინციპის მიხედვით, იმ დროს როცა მომხმარებლებმა ფასი თავიანთი ქმედებისაგან დამოუკიდებლად არსებულ სიდიდედ უნდა განიხილონ და ამავე დროს, ისინი იმავე სიტუაციაში არიან, როგორც სრულყოფილი კონკურენციის შემთხვევაში წონასწორობა კი წარმოიქმნება, რადგან მომხმარებლები მიმწოდებლის ფასს ერგებიან და ეს უკანასკნელიც მანამ ცვლის ფასს, სანამ იგი პროდუქტის ფასისა და გასაღების რაოდენობიდან უდიდეს ამონაგებს (მოგებას) არ მიიღებს. წონასწორობისათვის ანალოგიური სიტუაცია მოქმედებს მონოპსონიისას. ამ სიტუაციის საპირისპიროდ კი ბილატერული[3] მონოპოლიისას, რომლის დროსაც ერთმანეთის პირისპირ დგანან მიმწოდებელი და მომხმარებელი,

---

1 მწარმოებლის ან მიმწოდებლის მიერ ერთი მოცემული პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის სრული კონტროლი.

2 Marktform und gleichgewicht, Berlin-Jena, 1934.

3 **ბილატერალურობა** (ბი+ლათ. lateralis – გვერდითი) ორმხრივი სიმეტრია ორგანიზმში, როდესაც ორგანიზმს და მის ორგანოებს ერთნაირ მარჯვენა და მარცხენა ნახევრებად სიმეტრიის ერთი სიბრტყე ყოფს.

წონასწორობის სიტუაცია არ წარმოიქმნება, რადგან არც ერთ მათგანს ფასის, როგორც დამოუკიდებელი სიდიდის, თავის ანგარიშზე ასახვა არ შეუძლია. სინამდვილეში კი რეალიზებადი ფასი ამ შემთხვევაში არა ბაზრის თვითრეგულირების, არამედ საბაზრო ბრძოლის შედეგია.

გაუწონასწორებელი საბაზრო ფორმები ძირითადად ცალმხრივი ოლიგოპოლია და ბილატერალური ოლიგოპოლიაა. მიწოდების ოლიგოპოლიის შემთხვევაში, რომლის დროსაც მხოლოდ რამდენიმე კონკურენტი დგას მოთხოვნის პირისპირ, ცალკეულ კონკურენტებს (მათი კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად) თავიანთი მიწოდების დადგენა შეუძლიათ; ამას შტაკელბერგიც განავრცობს დუოპოლიის (მხოლოდ ორი ოლიგოპოლისტი) მაგალითზე. შემდგომ კი თითოეული კონკურენტი განსაზღვრულ რაოდენობას შემოგვთავაზებს, ისე რომ ფასები ორმხრივად კლებას დაიწყებენ, რომლითაც ორივე კონკურენტი ფასებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებს შეცვლის, ისე რომ მაქსიმალური მოგების პრინციპზე არ იქნებიან ორიენტირებულნი. კონკურენტების ამგვარი ქმედებისას სტაბილური ფასების ჩამოყალიბება გამორიცხულია. ამ შემთხვევას ბოულეიურ დუოპოლიას, შესაბამისად კი ოლიგოპოლიას უწოდებს ინგლისელ-ამერიკელი ეკონომისტი არტურ ლაიონ **ბოული** (Bowley, 1869-1957), რომელმაც ეს შემთხვევა დაწვრილებით პირველმა განიხილა[1].

მიწოდების ოლიგოპოლიისას ორივე ოლიგოპოლისტს ბოულეიური დუოპოლიის სიტუაციისგან დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლია, იმ დროს, როცა თითეული მათგანი კონკურენტის შემოთავაზებას განიხილავს მოცემულ სიდიდედ, გეგმურ თარიღად, ე.ი. კონკურენტის ნებისმიერ შემოთავაზებას იმ საკუთარი შეთავაზების რაოდენობას მიუსადაგებს, რომელსაც შეეძლო მისთვის უდიდესი მოგება მოეტანა (კონკურენტის შემოთავაზების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში). მაშინ თითოეული ამ ორი კონკურენტიდან ერთმანეთის შეთავაზებებზე რეაგირებს არა დამოუკიდებლად, არამედ როგორც „თანამგზავრი". ფასის სტაბილური წონასწორობა ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება დადგინდეს, რადგან თითოეული ამ ორი ოლიგოპოლისტიდან „მოცემულ გარემოებებში" არა დიდი მოგებისაკენ, არამედ ისინი ამ გარემოებების გარკვეული ცვლილებებისაკენ მიილტვიან. შტაკელბერგი ამ შემთხვევას ოლიგოპოლიას უწოდებს.

დაბოლოს, შესაძლებელია მესამე შემთხვევაც, როცა ერთი კონკურენტი თავის შეთავაზებას თავისი კონკურენტისაგან დამოუკიდებლად ადგენს, იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი პირველის შეთავაზებას მოცემულ სიდიდედ მიიჩნევს, რომლის მიხედვით თავის შეთავაზებას ადგენს. თუ ამგვარად ერთი დუოპოლისტი დამოუკიდებელი პოზიციისაკენ მიილტვის, იმ დროს, როცა მეორე შეგნებულად დამოუკიდებელ პოზიციაზეა, მაშინ განხორციელდება ფასების წონასწორობა, რადგან თითოეული მათგანი მისთვის დიდი მოგების მომტან შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და არც ერთი არ ზემოქმედებს ფასწარმოქმნის მოცემული ფორმის შეცვლაზე. ყოველ შემთხვევაში, თითოეულ კონკურენტს ყოველთვის შეუძლია წამოიწყოს ბრძოლა და ამით ხელი შეუშალოს წონასწორობას, ისე, რომ ამ შემთხვევაში, რომელსაც „**ასიმეტრიულ**[2] **დუოპოლიას**" უწოდებენ, სახეზეა მხოლოდ **არამდგრადი წონასწორობა.**

ყველა ეს შესაძლებლობა შეიძლება გავრცელდეს როგორც **მოთხოვნის დუოპოლიაზე,** ასევე **ზოგად დუოპოლიაზე** და რაც უფრო დიდია ოლიგოპოლისტების რიცხვი, მით უფრო ნაკლებია ცალკეული ოლიგოპოლისტის ზემოქმედება ფასზე, ე.ი. ეს საბაზრო ფორმა სრულყოფილ კონკურენციას უფრო უახლოვდება.

ბილატერალური ოლიგოპოლიისას, რომელიც ორივე საბაზრო მხარეზე მხოლოდ ცოტა რაოდენობის კონკურენტს აერთიანებს, ავტომატური წონასწორობა შეიძლება დამყარდეს, რადგან ამ შემთხვევაში საბაზრო ბრძოლები ორივე საბაზრო მხარეს გარდაუვალია, ასევე ყოველ საბაზრო მხარეზე ოლიგოპოლისტებს შორის ეს ბრძოლა იწყება ან შესაბამისად შეიძლება დაიწყოს.

გამყიდველის შეზღუდული ოლიგოპოლიისას, შესაბამისად **შეზღუდული მონოპსონიისას,** როცა ერთ საბაზრო მხარეზე მდგომი მონოპოლისტის პირისპირ დგას მეორე საბაზრო მხარეზე მყოფი ოლიგოპოლისტი, დასაშვებია წონასწორობის წარმოქმნა, რადგან ნაკლებ დასაშვებია ის ფაქტი,

---

1 მისი შეხედულების ჩამოყალიბებაზე მათემატიკური სკოლის წარმომადგენლებმა (ეჯეორთი, ვალრასი, პარეტო, მარშალი) იქონიეს გავლენა. ბოულმა გააანალიზა: ხელფასების სტატისტიკა, წარმოებისა და ფასების მერყეობები დიდი ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობა... მისი ძირითადი ნაშრომებია: „ეკონომიკური მეცნიერების მათემატიკური საფუძვლები" (1924), „ოჯახის ხარჯები" (რ.ალენთან ერთად, 1935) და სხვ.

2 სიმეტრიის (პროპორციულობის) უქონლობა, დარღვევა.

რომ ოლიგოპოლისტის ფასის განმსაზღვრელ მონოპოლისტთან საბაზრო ბრძოლაში ჩაერთვება. ოლიგოპოლისტები მონოპოლისტების მიერ დაფიქსირებულ ფასებს აღიარებენ და თავიანთი მიწოდებით ამ ფასებს მოერგებიან. მონოპოლისტების ამგვარი ბატონობა ბაზარზე, შტაკელბერგის აზრით, არაარსებით წონასწორობას წარმოადგენს, რადგან იგი არამყარი და არამდგრადია, რაც არსებითი წონასწორობის მქონე საბაზრო ფორმებში თავს არ იჩენს.

ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა შტაკელბერგის იმ შეხედულებას, რომ ოლიგოპოლისტურ ბაზარზე, გამონაკლისია შედარებით იშვიათი ასიმეტრიული დუოპოლიები და ოლიგოპოლიები და ორმხრივი მონოპოლიისას ფასწარმოქმნის წონასწორობის წარმოშობა არ მოსდევს. რადგან კონცენტრაციული მოძრაობების შედეგად სწორედ ამგვარი, გაუწონასწორებელი ბაზრები რეალურ ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, შტაკელბერმა წამოაყენა ეკონომიკურ-პოლიტიკური მოთხოვნა, რომ **სწორედ სახელმწიფოებრივი ჩარევით შექმნილი და უზრუნველყოფილი ყოფილიყო ამ ბაზრების წყობა**. სწორედ გაუწონასწორებელი ბაზრები, როგორც ამას შტაკელბერგი წარმოაჩენს, ეჭვქვეშ აყენებს ფასის დახურული, ზოგადი თეორიის იდეას, რადგან ამ ბაზრების მაგალითზე „ლოგიკური დედუქცია მთავრდება საბრძოლო სიტუაციებით". ის, რაც ჯერ კიდევ მოქმედებს როგორც თეორიის აუცილებელი ელემენტი, გარკვეულ პირობებში ცალკეული ეკონომიკური ერთეულების ურთიერთდამოკიდებულებების განსაზღვრით შემოიფარგლება. ამას გარდა, ფასწარმოქმნის თეორია, როგორც შედარებითი საფუძველი და გარკვეული ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობა, პრაქტიკული ცოდნის საკითხებსაც შეიცავს.

4.3. ბაზრებს შორის ურთიერთობები

შტაკელბერგმა ოლიგოპოლიის შესახებ თავის თეორიაში ჩამოყალიბებული შეხედულებების გამოყენებაც მან ასევე არაერთგზაროვანი, მაგრამ მსგავსი საქონლის მიმწოდებლებს შორის კონკურენტული დამოკიდებულებების ანალიზისას სცადა. ამ დროს წამოჭრილი შეკითხვებისათვის პასუხის გაცემას იგი ასევე ოლიგოპოლიის პრობლემის განხილვის ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით შეეცადა. აქედან გამომდინარე, მან მიუთითა, რომ ორი მონოპოლისტური ელემენტარული ბაზრისაგან შემდგარ არასრულყოფილ ბაზარსა და დუოპოლიის მდგომარეობას შორის (მიუხედავად მათი დიდი მსგავსებისა), მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. დუოპოლია არის სრულყოფილი ბაზარი და მხოლოდ გასაღების რაოდენობა წარმოადგენს ორივე დუოპოლისტის დამოუკიდებლად მოქმედების პარამეტრებს. არასრულყოფილ ბაზარზე დასაშვებია სხვადასხვა ფასები ისე, რომ ორი მონოპოლისტის კონკურენციისას მოქმედების პარამეტრები ან გაყიდვის ფასები ან გასაღების რაოდენობა შეიძლება იყოს. ბრძოლა მიმდინარეობს ოთხი სხვადასხვა პოზიციისათვის (და არა მხოლოდ ორი პოზიციისათვის, როგორც ეს დუოპოლიის შემთხვევაში ხდება), კერძოდ, <u>რაოდენობაზე დამოკიდებულება, რაოდენობისაგან დამოუკიდებლობა, ფასზე დამოკიდებულება და ფასისაგან დამოუკიდებლობა</u>. კომბინაციის სხვადასხვა შესაძლებლობებიდან, რომლებიც წარმოიქმნა იმ პოზიციებიდან, რომლისკენაც ორივე კონკურენტი მიილტვის, მხოლოდ **რაოდენობის ასიმეტრიული დუოპოლია და ფასის ასიმეტრიული დუოპოლია** ავლენენ წონასწორობას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბაზრები გაუწონასწორებელია, როცა ძალიან ბევრი მონოპოლისტი მიმწოდებელი ერთმანეთს კონკურენციას უწევს. ამ შემთხვევაში არასრულყოფილი ერთიანი ბაზარი კონკურენციის გარეშეა, რადგან მისი ცალკეული, ოლიგოპოლიის მსგავსი ნაწილობრივი ბაზრები გაუწონასწორებელია. **მონოპოლისტური კონკურენცია** კი ფლობს წონასწორობას, რადგან ცალკეული მიმწოდებლის ქცევას ისეთი ეფექტები მოსდევს, რომლებიც მეტნაკლებად თანაზომიერად ნაწილდება მრავალრიცხოვან კონკურენტებზე, ისე რომ ისინი ცალკეული კონკურენტებისათვის ნაკლებად შესამჩნევია. ცალკეული მიმწოდებელი გასაღების გარკვეული გრაფიკის პირისპირ დგას, რომლის მიმდინარეობაც და აგებულებაც ყველა მიმწოდებლის საბაზრო ქმედებებზეა დამოკიდებული. ცალკეულ მწარმოებელს, რომელსაც მონოპოლისტის პოზიცია უჭირავს, შესაბამისი პოლიტიკით თავისი გასაღების რაოდენობის გაზრდას შეუძლია შეეცადოს.

შტაკელბერგმა ორ და მეტ ბაზარს შორის დასაშვები ურთიერთობის სისტემა შეიმუშავა.

ამასთანავე, შესაძლებელია ამ ურთიერთობების რამდენიმე რეჟიმად დაყოფა მისი დისტანციისდა შესაბამისად. **პირველი რეჟიმის** ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, თუ ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც გეხვდებიან (A) ბაზარზე, მთლიანად ან ნაწილობრივ მონაწილეობენ სხვა (B) ბაზრის მოვლენებში. თუ პირველი (A) ბაზრის ეკონომიკური სუბიექტები მესამე ბაზარზე ხვდებიან მეორე (B) ბაზრის სუბიექტებს, მაშინ პირველ და მეორე ბაზარს შორის **მეორე რეჟიმის** ეკონომიკური ურთიერთობა (დამოკიდებულება) არსებობს.

შტაკელბერგი ძირითადად პირველი რეჟიმის დამოკიდებულებებითაა დაკავებული. იგი განასხვავებს ურთიერთობების სამ ტიპს: მომხმარებელთა პირველი რეჟიმის დამოკიდებულებები (A ბაზრის მომხმარებლები არიან ასევე (B) ბაზრის მომხმარებლებიც), მიმწოდებელთა პირველი რეჟიმის დამოკიდებულებები (A ბაზრის მიმწოდებლები არიან ასევე (B) ბაზრის მიმწოდებლებიც) და პირველი რეჟიმის ვერტიკალური დამოკიდებულება (A ბაზრის მომხმარებლები არიან ასევე (B) ბაზრის მიმწოდებლებიც; (A) ბაზარი არის წინამდებარე, ხოლო (B) ბაზარი კი მოსდევს მას).

ამ სამ ტიპს შორის არსებობს ორი კავშირი: ჰორიზონტალური ორმაგი ურთიერთობები (ეს ნიშნავს, რომ ორ ბაზარს შორის ერთდროულად არსებობს მომხმარებლების ურთიერთობები და მიმწოდებლების ურთიერთობები) და ციკლური ურთიერთობები (A ბაზრის მომხმარებლები არიან (B) ბაზრის მიმწოდებლები და (A) ბაზრის მიმწოდებლები არიან (B) ბაზრის მომხმარებლები).

სხვადასხვა საბაზრო ურთიერთობის ეფექტებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, აღიქმება თუ არა საქონელი სუბსტიტუტად (= უკუმიმართულებით მოძრავი) თუ დამატებად (= იმავე მიმართულებით მოძრავი). თუ მომხმარებელთა პირველი რეჟიმის ურთიერთობა სუბსტიტუციურია, მაშინ იგი ბაზრის არასრულყოფილებაზე ზემოქმედებს. ხოლო თუ ამის საპირისპიროდ საქონელი მომხმარებელთა მხრიდან დამატებად აღიქმება, მაშინ ბაზრის არასრულყოფილებასთან საქმე აღარ გვაქვს, რადგან A საქონლის ფასის აწევა მისი გასაღების კლებას, ისე როგორც B საქონლის გასაღების დაცემას იწვევს.

შტაკელბერგი ცდილობს გასცეს იმ შეკითხვას პასუხი, თუ როგორ იცვლება საბაზრო ფორმების თეორიის შედეგები, როდესაც „მსგავსი ან განსხვავებული საბაზრო ფორმის ორ ან მეტ ბაზარს ერთმანეთთან პირველი რეჟიმის ურთიერთობები აქვს. მთლიანად უნდა გამოვკლიათ 36 კომბინაცია, რომელთაგან თითოეულისათვის ურთიერთობების 5 სხვადასხვა შესაძლებლობა შეიძლება არსებობდეს. მაგრამ ყველა ამგვარი საბაზრო კავშირი მაინც ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩეს, როდესაც ორი ბაზრიდან ერთ-ერთი თავისუფალი კონკურენციის ფორმას ავლენს, რადგან შტაკელბერგის პოზიცია საბაზრო ფორმების პრობლემის განხილვისას იმ ზოგადი თეორიიდან გამომდინარეობს, რომ სხვა „დანარჩენ“ ბაზრებზე თავისუფალი კონკურენცია მოქმედებს. ამ ე.წ. „დანარჩენ“ ბაზრებს მიეკუთვნება აგრეთვე ყველა ის ბაზარი, რომლებთანაც უკვე ზემოთ განხილული ბაზარი პირველი რეჟიმის ურთიერთობითაა დაკავშირებული. ორ მონოპოლისტურ ბაზარს შორის დასაშვებია პირველი რეჟიმის ურთიერთობათა 16 ტიპი: „სამი მარტივი და ორი ორმაგი ურთიერთობა ორ მონოპსონიას შორის, ასევე ორი გამყიდველის მონოპოლიებს შორის და მონოპსონიასა და გამყიდველის მონოპოლიებს შორის მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვერტიკალური ურთიერთობა ორჯერ გვხვდება, ერთხელ წინ მდებარე მონოპსონიასთან, მეორედ კი გამყიდველის წინ მდებარე მონოპოლიასთან“.

ამ 16 კომბინაციიდან 13 შემთხვევაში მონოპოლია არამონოპოლისტური საბაზრო მხარის პირისპირ დგას. ცამეტივე შემთხვევაში წონასწორობა არსებობს. ამის საპირისპიროდ კი ურთიერთობები ორ მონოპსონიას შორის დაკავშირებულ შეთავაზებებთან ერთად, ურთიერთობები გამყიდველის ორ მონოპოლიას შორის დაკავშირებულ მოთხოვნასთან ერთად და შუალედური (ირიბი) ბილატერალური მონოპოლია გაუწონასწორებელია, თუ არ გავითვალისწინებთ საკმაოდ იშვიათ ასიმეტრიულ დუოპოლიებს.

ყველა სხვა, ჯერ კიდევ განუხილავ შემთხვევაში წონასწორობა ვერ წარმოიქმნება, რადგან საქმე ეხება საბაზრო კომბინაციებს ერთი ოლიგოპოლიით (ოლიგოპოლია, ბილატერული ოლიგოპოლია და ოლიგოპოლიით შეზღუდული მონოპოლია) და ბლატერალური მონოპოლიების საბაზრო ურთიერთობებს, რომლებიც თავისთავად გაუწონასწორებლები არიან.

ის დასკვნები, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ორ ბაზარს შორის პირველი რეჟიმის ურთ-

იერთობების შესახებ, შეიძლება აზრობლივად გადატანილ იქნას რამდენიმე ბაზარს შორის პირველი რეჟიმის ურთიერთობებზეც. თუ ყველა ბაზრის შეთავაზების მხარე მონოპოლიზირებულია სოციალურ ეკონომიკაში, მაშინ ზოგადი წონასწორობა ხორციელდება. შტაკელბერგის აზრით კი, ამ შემთხვევაში მხოლოდ მაშინაა წონასწორობა წარმოდგენილი, თუ ამა თუ იმ პროდუქტს ბევრი მომხმარებელი ჰყავს და თუ ამას გარდა, მომხმარებელთა ურთიერთობები რამდენიმე ბაზარს შორის ხორციელდება, ხოლო ურთიერთობები ორ ბაზარს შორის კი ძალიან სუსტია.

რეალურ ეკონომიკაში კი ეზედებით მიწოდების ურთიერთობებს განსაკუთრებით მრავალ გამყიდველთა მონოპოლიებს შორის, რადგან საქონლის მხოლოდ მცირე რაოდენობაა სრულყოფილად სტანდარტიზებული. მრავალ ცალკეულ ბაზარზე მიმწოდებელს მონოპოლიის მსგავსი პოზიცია უკავია, რომელიც მონათესავე ბაზრების მონოპოლიით იზღუდება, ასე რომ, საბაზრო ანალიზისას მონოპოლიებს შორის საბაზრო ურთიერთობების სქემას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება.

შტაკელბერგის შეხედულებები განსხვავდება მისი წინამორბედების შეხედულებებისაგან იმიტომ, რომ შტაკელბერგი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების ქმედებებიდან გამომდინარეობს, რობინსონისა და ჩემბერლინის მსგავსად, პარტიული ანალიზით არ კმაყოფილდება და მუდმივად ცდილობს ეკონომიკაზე ეკონომიკური ქმედებების ეფექტების განსაზღვრას.

5. უმბერტო რიჩის (1879-1946) დოქტრინა სამეურნეო წრისა და განლაგების ადგილის დინამიკა

<u>მწარმოებლურ ძალთა განლაგების შესახებ</u> დოქტრინებმა თავიანთი პრობლემა ძირითადად სტატიკური თვალსაზრისით განიხილეს. პრობლემისადმი ამგვარად მიდგომის საპირისპიროდ იტალიელმა უმბერტო **რიჩმა** (Ricci)[1] მიუთითა იმ საკითხის განხილვის აუცილებლობაზე, თუ ნედლეულისა და მასალების, საწვავისა და დამხმარე მასალების რომელი საწყობები მოხმარების რომელ ადგილებსა და გასაღების რომელ ბაზრებს უკავშირდებიან.

<u>განლაგების ადგილის</u> საკითხის განხილვისას საქმე ეხება არა მარტო სამრეწველო გადამუშავების ადგილებს, არამედ „საწყობების", გასაღების ადგილებისა და სფეროების განსაზღვრას. რიჩს სურს მწარმოებლურ ძალთა განლაგების პრობლემის გამოკვლევა <u>სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციებზე</u> ერთი „სამეურნეო წრის" ფარგლებში განავრცოს. **„სამეურნეო წრეში"** კი იგი დამოუკიდებელი ეკონომიკური მთლიანობის წარმომქმნელ ეკონომიკურ და ცალკეულ სუბიექტთა კავშირებს გულისხმობს, სადაც სამეურნეო წრის ზრდა ტრანსპორტის განვითარებას ეფუძნება და იგი „მკვეთრად შემოფარგლულ სივრცობრივ სფეროდ" - კონკრეტულ ეკონომიკური კავშირების სფეროდ გვევლინება.

სამეურნეო წრის შიგა და გარე განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სატრანსპორტო დანახარჯების შემცირებასა და საქონლის ტრანსპორტუნარიანობას ენიჭება. ეს იმას იწვევს, რომ სულ უფრო მეტი, უფრო დიდი წონისა და მოცულობის, უფრო დიდი სამომხმარებლო და დაბალი ღირებულების მქონე საქონელი ჩნდება; მზარდი სამეურნეო წრის ფარგლებში განლაგების ადგილების მუდმივად გადანაცვლდება ხდება. ამ დროს სამეურნეო წრის ზრდასთან ერთად განლაგების ადგილთა რიცხვი სულ უფრო მცირდება მათი გაერთიანების ხარჯზე; რადგან სამეურნეო წრის ზრდასთან ერთად განლაგების ადგილების კლასიფიკაცია მუდმივ დინამიკაშია, ამიტომ მათი მხოლოდ სტატიკური განხილვა არასაკმარისია. ასეთი სტატიკური განხილვის წესი დინამიკური წესით უნდა შეივსოს. ამ დინამიური თეორიას, მწარმოებლურ ძალთა განლაგების მოძრაობის შესახებ, რიჩი წამინდა და ისტორიულ თეორიებად ყოფს. **„წმინდა თეორიაშ"** ის გადანაცვლებები უნდა დაადგინოს, რომლებსაც ძალთა ცვლილებები იწვევს. ამგვარი დინამიური გადანაცვლებების მიზეზია: სამომხმარებლო საფუძვლებისა (მოხმარების მატება და კლება) და საწყობების თანაფარდობების ცვლილებები; ტვირთის წონითი თანაფარდობების, შრომითი საფუძვლებისა და მი-

1 Ricci U., Dal protezionismo al Sindacalismo, 1926; Elements d'economicye politique pure: theorie de la Valeur, Milano, 1951.

წის რენტის ცვლილებები; გადასახადებისა და სარგებლის განაკეთის ცვლილებები; სპეციალური ტერიტორიული კოეფიციენტებისა და სატრანსპორტო დანახარჯების ცვლილებები.

ისტორიული ცოდნა ადგილმდებარეობის შესახებ თეორიული შედეგების სახეცვლილებას იწვევს. იგი ყველგან სრულ ხარჯთაღრიცხვას არ აღიარებს და ცდილობს ამ შეცვლილი წინაპირობის საშუალებით ისტორიული სტრუქტურა და განლაგების ადგილის კონკრეტული დინამიკა გასაგები გახადოს.

ამასთანავე, რიჩი ეკონომიკური ცხოვრების განვითარების საფეხურების ანალიზში მოძრაობის შესახებ ისტორიულ ცოდნას იშველიებს, რადგან ეკონომიკის განვითარების ფიზიოლოგიურ საფეხურს სამრეწველო და აგრარული პროდუქციის განლაგების ადგილის განაწილებისა და სტრუქტურის განსაზღვრული ფორმა უნდა შეესაბამებოდეს. მისი შეხედულებით, განლაგების ადგილის მოძრაობა და გადანაცვლება ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე გვხვდება.

6. საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის მოძრაობა: ბერთილ გოტჰარდ ოლინი (1899-1979)

6.1. მოღვაწეობა

შვედი ეკონომისტი, სტოკჰოლმის სკოლის წარმომადგენელი ბერთილ გოტჰარდ ოლინი (Ohlin) დაიბადა სოფ. კლიპანეში (შვედეთი) პროფესორის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ლუნდის უნივერსიტეტში განაგრძო, სადაც ბაკალავრის წოდების მიღების შემდეგ (1917) სტოკჰოლმის უნივერსიტეტში შვედი ეკონომისტის, მერკანტილიზმის სპეციალისტის[1] ელი ჰეკშერის (Heckscher, 1879-1952) ხელმძღვანელობით ორ წელში მიიღო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტის წოდება ეკონომიკაში.

სამხედრო სამსახურში მსახურობის შემდეგ სტოკჰოლმის უნივერსიტეტში დაბრუნდა, სადაც დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორის ხარისხი მიიღო (1924). შემდეგ კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

სხვადასხვა პერიოდში იყო: შვედეთის ლიბერალური პარტიის ლიდერი (1944-67); პარლამენტის წევრი (1938-45); კოალიციურ მთავრობაში ვაჭრობის მინისტრი (1944-45); შვედეთის წარმომადგენელი ევროსაბჭოში (1949-60, 1969-75).

ბ.ოლინის ძირითადი ნაშრომები[2]: „ვაჭრობის თეორია“ (1924), „რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა“ (1933) და „ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემა“ (1949).

ოლინის მიერ განახლებული საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის მიხედვით, ვაჭრობაში უპირატესობას ფლობენ ის ქვეყნები, რომელთაც ამა თუ იმ რესურსის (მიწა, შრომა, კაპიტალი) შედარებითი სიჭარბე გააჩნიათ, თუნდაც ამ ქვეყნებს ერთნაირი წარმოებრივი ტექნოლოგიები ჰქონდეთ. ასეთი მიდგომები ჰეკშერ-ოლინის მიერ შექმნილ მოდელში აისახა.

1977 წელს ოლინმა და ინგლისელმა ეკონომისტმა ჯეიმზ მიდმა გაიყვეს ნობელის პრემია ეკონომიკაში „საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის“.

ნობელის ლექციაში ოლინმა შეადარა სერიოზული საერთაშორისო დეპრესიის ორი შემთხვევა საბაზრო ეკონომიკაზე უპირატესი ორიენტაციის ქვეყნებში. მან ასევე მიაპყრო ყურადღება ეკონომიკური ფაქტორების განსხვავებაზე, რომლებიც მოქმედებდა დიდი დეპრესიისა და რეცესიის პერიოდში, რომელმაც 70-იანი წლების შუახანებში მთელი მსოფლიო მოიცვა.

1979 წელს ოლინი გარდაიცვალა შვედეთში.

---

1 **Heckscher** E., Mercantilism, 1931.

2 **Ohlin** B.: Handels theori, Stokholm, 1924; Interregional and International Trade, Cambridge, 1933; The Problem of Economic Stabilization, N.Y., 1949.

62. დოქტრინა განლაგების ადგილისა და რეგიონთშორისი ვაჭრობის შესახებ

უ.რიჩმა სამეურნეო წრის შესახებ დოქტრინაში, განლაგების ადგილის თეორია სივრცობრივი ეკონომიკის თეორიის მიმართულებით განავითარა. რიჩისაგან დამოუკიდებლად, ცოტა უფრო ადრე, მსგავს ცდას მიმართა ბერტილ ოლინმა, მაგრამ მისი საყრდენი წერტილი სხვა იყო, რადგანაც იგი საერთაშორისო ვაჭრობის თეორიიდან გამომდინარეობს და მასში სივრცობრივი შეხედულებები მოქმედებენ

ბ.ოლინი საერთაშორისო ვაჭრობას **ინტერრეგიონალური ვაჭრობის** განსაკუთრებულ შემთხვევად განიხილავს. თეორიული გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცნებას „**რეგიონი**", რომელშიც ოლინი იმ ტერიტორიას გულისხმობს, სადაც წარმოებრივი ფაქტორებისა და ასევე პროდუქტისათვის შეუზღუდავი მოძრაობის შესაძლებლობები იარსებებს.

რეგიონებს შორის (რომლებიც ერთ ადგილზე კონცენტრირებულ ბაზრებად განიხილებიან) საქონელთა მოძრაობის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია, ისე რომ მათ საზღვრებს (არ არის აუცილებელი ისინი პოლიტიკურ საზღვრებს ემთხვეოდნენ) წარმოებრივი ფაქტორებისა და საქონლის წყვეტილი ნაკადები ახასიათებს.

ცალკეულ რეგიონებს შორის ვაჭრობის საფუძველია წარმოების ფაქტორების დეფიციტი. ყოველი რეგიონი საქონლის წარმოებისას ძირითადად წარმოების იმ საშუალებებს იყენებს, რომლითაც იგი საუკეთესოდაა მომარაგებული და, მეორე მხრივ, კი შემოაქვს ის საქონელი, რომელთა წარმოებისათვის საჭირო წარმოებრივი ფაქტორები არასაკმარისია. ცალკეულ რეგიონებს შორის გაცვლისას ადგილობრივ მოთხოვნას ემატება ადგილობრივ წარმოებრივ საშუალებებზე საზღვარგარეთიდან მოთხოვნა და პირიქით - უცხოური წარმოებრივი საშუალებები, როგორც დამატებითი შეთავაზება, ადგილობრივ მოთხოვნას ავსებს.

ამ პირობების გათვალისწინებით რეგიონები უპირატესობას მიანიჭებენ იმ პროდუქტს, რომელთა წარმოების საშუალებებიც უფრო იაფი და ადვილად ხელმისაწვდომია მათთვის, მანამ სანამ რეგიონების პროდუქტებს შორის წონასწორობა არ დამყარდება. ამით ოლინის თეორია საერთაშორისო თუ შესაბამისად ინტერრეგიონალური ვაჭრობის პრობლემების გადაჭრას ძირითადად წონასწორობის თანამედროვე თეორიით ცდილობს. შესაბამისად, ერთი-ბაზრის თეორიის ადგილს „მრავალი-ბაზრის-თეორია" დაიკავებს.

ინტერრეგიონული პროდუქტის დიფერენციაციის დოქტრინიდან გამომდინარე, ოლინი იმ დასკვნამდე მიდის, რომ პატარა რეგიონებს შორის წარმოების ფაქტორებისა და საქონლის მოძრაობის შესაძლებლობა იმდენად მცირეა, რომ ეს გარემოება ხშირად ფასწარმოქმნაზეც ზემოქმედებს. მწარმოებლურ ძალთა ლოკალურ მასშტაბებს იმ აზრამდე მივყავართ, რომ რეგიონები აღქმულ უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მცირე ტერიტორიულ ერთეულებად, შესაბამისად რეგიონებად დაყოფა უნდა შეწყდეს და ტერიტორიასთან დაკავშირებული წარმოების ფაქტორების პრობლემატიკა კვლევის ძირითადი საგანი უნდა გახდეს. ინტერრეგიონალური ვაჭრობის თეორიამ სხვადასხვა ბაზრის ურთიერთდამოკიდებულება უნდა გამოიკვლიოს და აქედან გამომდინარე, ერთი ბაზრისთვის მოქმედ, ზოგადი ფასწარმოქმნის პრობლემატიკა უნდა განაზოგადოს.

ოლინმა თავის უფრო გვიანდელ ნაშრომში „რეგიონთშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა" (1933) ინტერრეგიონალური ვაჭრობის კონცეფცია ორი ან უფრო მეტი ბაზრის შემთხვევებზე განავრცო. ამასთანავე, ოლინმა წამოაყენა **თეორია განლაგების ადგილის შესახებ**, რომელიც მოქმედებს არა მის მიერ აქამდე განხილული „რეგიონებისათვის", არამედ ნებისმიერად შერჩეული რეგიონისათვის, ე.წ. „რაიონისათვის", რომელთა ფარგლებშიც პროდუქტები და წარმოებრივი ფაქტორები ძირითადად უმოძრაოა. ამ ე.წ. „რაიონისათვის" შეიძლება განლაგების ადგილებთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა გამოვლინდეს, კერძოდ, განიხილება ტრანსპორტისა და გადაზიდვის ხარჯების მნიშვნელობა და რიგი სხვა საკითხი.

ოლინი წარმოების განლაგების ადგილს განიხილავს როგორც გეოგრაფიული განაწილების შედეგს, რომელსაც იგი ასევე მიაკუთვნებს მშრომელთა, კაპიტალის, მოხმარების და ასევე სატრანსპორტო საშუალებების მოწყობის ადგილობრივ განაწილებას. ამ განაწილებას იგი ხსნის ადგილო-

ბრიეი ფასების განსხვავებებითა და განლაგების ადგილის არჩევით, რითაც მან ამ პრობლემის განხილვაში დინამიური ელემენტები შეიტანა.

ოლინის თეორიას განლაგების ადგილის შესახებ მისი ინტერრეგიონული თეორიისათვის საფუძველი უნდა შეექმნა. განლაგების ადგილის მისი თეორიული ანალიზი ყოველისმომცველი არ არის. ეს ანალიზი თითქმის მთლიანად განლაგების ადგილის შემთხვევაში ჩერდება, ისე რომ მისი ძირითადი დამოკიდებულება ინტერრეგიონული თეორიისადმი თვალსაჩინო ხდება.

საერთაშორისო ვაჭრობაში გამოვლენილი კონკურენციის შეზღუდულობა, პირველ რიგში, სივრცობრივი ხასიათისაა. შეზღუდული კონკურენცია მოძრაობის სივრცობრივი მოქნილობის (ელასტიკურობის) ნაკლებობას ნიშნავს. სივრცობრივი სტრუქტურის კრიტერიუმები ეკონომიკური ბუნებისაა. ეკონომიკური სივრცის ამგვარი გაგება საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში უნდა ასახოს.

6.3. ჰეკშერ-ოლინის მოდელი

ოლინის დოქტრინაში[1] ცენტრალური ადგილი უჭირავს **ჰეკშერ-ოლინის მოდელს**. შვედი ნეოკლასიკოსი ეკონომისტი, სტოკჰოლმის სკოლის წარმომადგენელი ელი ჰეკშერი (1899-1979) ბ.ოლინის მასწავლებელი, თანამოაზრე და მერკანტილიზმის მკვლევარი იყო.

ოლინის მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობა ჩნდება „შემოსავლის განსხვავებული ფაქტორების" მქონე ქვეყნებს შორის (მიწის, შრომისა და კაპიტალის შეფარდებით მიწოდებაში), ერთნაირი წარმოებრივი ტექნოლოგიების არსებობის შემთხვევაში. შემოსავლების ფაქტორებში განსხვავება შეფარდებით დანახარჯებში განსხვავებას განაპირობებს.

ჰეკშერ-ოლინის მოდელის მიხედვით: საერთაშორისო ვაჭრობაში შედარებით უპირატესობებს ფლობს ის ქვეყანა, სადაც რომელიმე რესურსის სიჭარბე არსებობს; ქვეყნები ისეთი საქონლის ექსპორტს მოახდენენ, რომლის წარმოებისათვის ინტენსიურად გამოიყენება იქ საკმაოდ არსებული წარმოების ფაქტორები და, რომლებიც მათთან ვაჭრობის გარეშე შედარებით იაფი იქნებოდა, ამასთან, მოახდენდნენ ისეთი საქონლის იმპორტს, რომლის წარმოება ამ ქვეყნისათვის იშვიათი რესურსების (ფაქტორების) ინტენსიურ გამოყენებას მოითხოვს, რაც ამ საქონელს ვაჭრობის გარეშე შედარებით აძვირებს. მაგალითად, თუ ავსტრალიაში მიწის შედარებითი სიუხვეა, ხოლო ინგლისში უხვი სამუშაო ძალა, მაშინ ოლინის მიხედვით ავსტრალია „მიწაინტენსიური" საქონლის ექსპორტს მოახდენს [ე.ი. ისეთი საქონლისას, რომლის წარმოებას სჭირდება მიწის დიდი ფართობები (მატყლი)], ინგლისი კი „შრომაინტენსიური" საქონლის ექსპორტს (საფეიქრო ნაწარმი) მოახდენს.

მართლაც, მისმა ნაშრომმა უბიძგა შექმნილიყო ე.წ. „თეორემა ფაქტორები-ფასები შეფარდების გამოთანაბრების შესახებ", რომელიც შეიმუშავეს ვ.სტოლპერმა და პ.სამუელსონმა. ამ დოქტრინის მიხედვით საგარეო ვაჭრობა სხვადასხვა ქვეყანაში წარმოების ფაქტორების ფასების გამოთანაბრების ტენდენციას განსაზღვრავს. თუ გავაგრძელებთ ზემომოყვანილ მაგალითს, მაშინ ავსტრალიური საქონლის გაცვლა ინგლისურზე გაადიდებს მიწის ფართობს ავსტრალიაში და ხელფასს ინგლისში. სავაჭრო ნაკადები გაიზრდება და სულ უფრო ძლიერად იმოქმედებს ფასებზე მანამდე, ვიდრე მიწის ფასი და ხელფასი ავსტრალიასა და ინგლისში არ გათანაბრდება.

ამრიგად, სავაჭრო გაცვლა საქონლით ისეთივე ეფექტს ახდენს ფაქტორულ ფასებზე, როგორიც შეიძლება ჰქონოდა წარმოებრივი ფაქტორების თვით თავისუფალ გადაადგილებას ქვეყნებს შორის, თუ ასეთი რამ შესაძლებელი იქნებოდა.

ოლინის დოქტრინის პრაქტიკული გამოყენებაა დასკვნა იმის შესახებ, რომ ტარიფები და სხვა საგაჭრო შეზღუდვები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე, ვინაიდან ხელს უშლის ფაქტორული შემოსავლების გათანაბრებას.

ოლინის ჰიპოთეზების პირველი ფორმალური შემოწმება მოხდა 20 წლის შემდეგ ვასილი ლეონტიევის შრომებში, რომელმაც აჩვენა, რომ შეერთებული შტატები, მსოფლიოში ყველაზე მაღალი შეფარდებითი ხელფასის ქვეყანა, შრომატევადი პროდუქტების ექსპორტს ახორციელებდა. ამ

---

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005, გვ. 122-127.

მოჩვენებითი პარადოქსის სხვადასხვა ინტერპრეტაციები ასტიმულირებენ საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემების დამატებით ემპირიულ და თეორიულ კვლევებს, ოლინის შრომების პრაქტიკული გამოყენების შემდგომ განვითარებას.

6.4. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

1930 წელს ბ.ოლინი სტოკჰოლმის სკოლაში ეკონომიკური მეცნიერებებისა და ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებაში ე.ჰექშერის მემკვიდრე გახდა.

აქ იგი მუშაობდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დოქტრინის განვითარებაზე, რომელიც ხშირად უკავშირდებოდა ჯ.მ.კეინზის სახელს.

1929 წელს კეინზთან აზრთა გაზიარების დროს გერმანიის საომარი რეპარაციების (გადასახდელების) საკითხზე, ოლინმა პირველად გამოიკვლია ცვლილებათა მნიშვნელობა ეფექტიან მოთხოვნაში (ნაცვლად ძვრებისა შეფარდებით ფასებში), რითაც გამოიცნო კეინზის „ზოგადი თეორიის“ იდეები.

იმ დროს კეინზმა ვერ შეაფასა ოლინის არგუმენტები, თუმცა ერთობლივი მოთხოვნის დამოუკიდებელმა როლმა ეროვნული შემოსავლის განსაზღვრაში ცენტრალური ადგილი დაიკავა კეინზის გვიანდელ შრომებში.

„დიდი დეპრესიის“ წლებში ოლინი კვლავ ხაზს უსვამდა მოთხოვნის მართვისა და სამთავრობო სტაბილიზაციის პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას და შვედეთის მთავრობას არწმუნებდა უმუშევრობის შემცირებისათვის ეკონომიკური აქტიურობისაკენ მიმართული ფისკალური პოლიტიკა გამოეყენებინა.

1938 წელს ოლინმა დაწერა ორი სტატია დანაზოგებისა და კაპიტალდაბანდებების ე.წ. სტოკჰოლმის თეორიის შესახებ, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ოლინის წიგნმა „დასაქმების სტაბილიზაციის პრობლემა“ (1949), გვიჩვენა, რომ ჭარბი მოთხოვნის ზეწოლას (რაც გამოწვეულია ექსპანსიონისტური სამთავრობო პოლიტიკით) შეუძლია ქრონიკული ინფლაცია წარმოშვას.

ოლინის გამოკვლევებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო შვედეთის კეთილდღეობის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელშიც კლასიკური ლიბერალიზმი შეთანაწყობილი იყო სოციალურ-დემოკრატიული პოლიტიკის ელემენტებთან.

50-60-იან წლებში შვედური მოდელი წარმოადგენდა ბალანსს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მომდევნო წლებში შვედეთის სოციალ-დემოკრატები (გ.მიურდალთან, როგორც ლიდერთან, ერთად) მხარს უჭერდნენ გეგმიანი ეკონომიკის ელემენტებს, რომელთა მთავარი ლტონენტი იყო ოლინი. 1948 წელს არჩევნებში ოლინის ლებერალურმა პარტიამ ისეთი გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, რომ სოციალ-დემოკრატები თავის ტრადიციულ პრაგმატიზმს დაუბრუნდნენ, კვლავ გამოთქვეს მზადყოფნა კერძო ბიზნესთან თანამშრომლობაზე.

ბ.ოლინი აგრძელებდა მეგობრულ ურთიერთობას თავის ძველ მეგობარსა და მეტოქესთან გ.მიურდალთან, მიუხედავად აზრთა სერიოზული განსხვავებისა სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ახვლედიანი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

სპერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II. თბ., 1975. თბილისი, 2001.

რ.გოგოხია, საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1986.

ა.გრიშაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

ჯ.კახნაშვილი, მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბ., 1998.
ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.
ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.
მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნაშვილი, თბ., 2009.
Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.
История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.
Bowley A.I.: The mathematical groundwork of economics, L., 1924; Family expenditure, 1935 (რ.ალენთან ერთად).
Chamberlin, Edward Hastings, Duopdy: Value Wehre Sellers Are Few-Quarterly Journ. of Ec-cs, 44(1), 1929; Theory of Monopolistic Competition: A Reorientazion of the Theory of Value, Cambrige (Mass.), 1933/1962; Towards a More General Theory of Value, N.Y., 1957; Теория монополистической конкуренции: Реориентация теории стоймости, Пер. с англ., М., 1996; Пропорциональность, делимость и экономия от масштаба – Вехи эк-ой мысли, т.2, Санкт-Петербург, 2004.
Launyardt, Carl Fridrich Wilhelm, Mathematisehe Begrundung dez Volkswirtschaftsehre, Leipzig, 1985.
Ohlin B:Handelns teori. Stockholm, 1924; The Course and Phases of the World Economic Depression. Report Presented to the Assembly of the League of Nations, Geneva, 1931; Interregional and International Trade, Cambridge, Ma, 1933; The Problem of Economic Stabilization, New York, 1949; Bertil Ohlins Memoarer, Vol. 1-2, Stockholm, 1972/1975; The Market Economy and the Thind World – Is a Liberal Alternative Possible? // Wirmark D. (რედ-რი). The Rich and the Poor. An International Colloquium. Stockholm, 1975; Some Aspects of the Relations between International Movements of Commodities, Factors of Production, and Technology, Nobel Symposium, June 1976; The international Allocation of Economic Activity. Proceedings of a Nobel Symposium. London, 1977; A Bertil Ohlin Symposium. Durham, 1978 - History of Political Economy, 1978, Vol. 10, No. 3, pp. 352-506; 1933 и 1977 – Некоторые проблемы политики роста в случаях несбалансированности внутренних и международных отношений – Мировая экономическая мысль..., т.V, кн.I, М., 2004.
Ricci U., Dal protezionismo al Sindacalismo, 1926. Elements d'economicye politique pure: theorie de la Valeur, Milano, 1951.
Robinson Joan: The Economics of Imperfect Competition, L., 1933/1969; Introduction to the Theory of Employment, L., 1937; Essays in the Theory of Employment, L., 1937; An Essays on Marxian Economics, L., 1942; Collected Economic Papers, 6 vols., Oxf., 1951-1980; The Production Function and the Theory of Capitals - Review of Ec. Studies, 21(2), 1954; The Accumulation of Capital. L., 1956; Essays in the Theory of Economic Growth, L., 1962; A Neo-Classical Theorem - Review of Ec. Studies, 29, 1962; Экономическая теория несовершенной конкуренции, Пер. с англ., М., 1986; Второй кризис экономической теории – ж. "МЭ и МО", №6, 1973; Теорема Эйлера и проблема рождения - Вехи эк-ой мысли. т.3, Санкт-Петербург, 2000.
Schumpeter J., History of Economics Analysis, N.Y., 1954; История экономического анализа, Пер. с англ., т. 1-3, Санкт-Петербург, 2004.
Sraffa Piero, Production of commodities by means of commodities: Prelude to a Critique of Economic Theory, Cambr., 1960.
Stakelberg H. von: Marktform und Gleichgewicht, Berlin-Jena, 1934; Grundlagen der theoretischen Volkswirtschaftlehre - ინგლ. თარგმ.: The Theory of the Market Economy, L., 1952.
Stigler George J.: Production and Distribution Theories, N.Y., 1941; Monopolistic Competition in Retrospect. In his Five Lectures on Economic Problems, L., 1949; The Organization of Industry, Chicago, 1983; რუს. თარგმ.: Совершенная конкуренция: исторический ракурс; - «Теория фирмы», СПБ., 1995 - გვ. 299-338; 371-401.
Heckscher E., Mercantilism, 1931.

ნაწილი მესამე.
ნეოკლასიციზმიდან დღევანდელობამდე

თავი XVIII.
არტურ სესილ პიგუ (1877-1959)

1. ა.მარშალის მემკვიდრე

ფრანგული წარმოშობის მქონე ინგლისელი, კემბრიჯის ნეოკლასიკური სკოლის ერთ-ერთი ლიდერი არტურ სესილ პიგუ (Pigou) დაიბადა 1877 წელს რიდში, განათლება მან კემბრიჯის უნივერსიტეტში მიიღო.

1908 წელს მისმა მასწავლებელმა, ა.მარშალმა, პედაგოგიური მოღვაწეობა დაასრულა და იგი 30 წლის ასაკში მისი მემკვიდრე – ამავე უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1908-43) გახდა.

პიგუ მთელი ცხოვრების მანძილზე მარშალის თაყვანისმცემელი იყო, ტრადიციებს აგრძელებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ინგლისური „ნეოკლასიკოსების" და მარშალის მიერ დაარსებული კემბრიჯის ეკონომიკური სკოლის წამყვანი ფიგურა გახდა.

„მარშალის შემდგომი" თაობის (პ.სრაფა, რ.კანი, ჯ.რობინსონი, ჯ.ჰიკსი) გამოჩენამდე იგი თავისუფალი ვაჭრობის აქტიური მხარდამჭერია. ჯონ მეინარდ კეინზის „ზოგადი თეორიის" გამოქვეყნებამდე (1936) თანამიმდევრულ პოზიციებზე იდგა. პიგუს გამოთქმა – „ყველაფერი მარშალშია" – კემბრიჯის სტუდენტთა მრავალი თაობისათვის ფრთიან გამოთქმად რჩებოდა.

პიგუ ჯ.კეინზს ლექტორობა შესთავაზა და 1909 წელს კეინზი ლექტორთა კორპუსის წევრი გახდა.

იმ დროს, როდესაც პიგუ სტუდენტებს ზუსტ თეორიულ აზროვნებას ასწავლიდა, კეინზი მათში ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებისადმი ინტერესს აღვივებდა. კეინზისაგან განსხვავებით, პიგუს თავის კოლეგებთან ნაკლები კონტაქტები ჰქონდა.

პირველ მსოფლიო ომში იგი, ზნეობრივი რწმენის გამო, მოხალისე სანიტრად მონაწილეობდა, რამაც მეგობრული, მხიარული და გულღია კათედრის გამგე ამ წლებში უცნაური მარტოხელა გახადა.

1919-20 წწ. პიგუ იყო გადასახადების სამეფო კომისიის წევრი, 1924-25 წწ. – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ნევილ ჩემბერლენის (1869-1940) მთავრობის კომისიის წევრი ფულის მიმოქცევის საკითხებში. მისმა რეკომენდაციებმა დიდ ბრიტანეთში მოკლე ხნით ოქროს სტანდარტი[1] აღადგინა, რამაც ინგლისი მნიშვნელოვნად დააზიანა. კეინზი ასეთ მიდგომებს მკაცრად აკრიტიკებდა.

პიგუმ მთელი თავისი ცხოვრება კემბრიჯში გაატარა. 1943 წელს პენსიაზე გავიდა. სტუდენტთა შემდგომი თაობებისათვის იგი ცოცხალ ლეგენდად იქცა. გარდაიცვალა 1954 წელს.

2. კეინზელობისკენ

პიგუ „დიდი დეპრესიის" პერიოდში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკას უჭერდა მხარს, თუმცა, ამ სახის პოლიტიკის კონიუნქტურულ ღონისძიებებს ადრე პროპაგანდას უწევდა ნაშრომში „ინდუსტრიის მერყეობები" (1927)[2]. მიუხედავად ამისა, ცნობილმა კემბრიჯელმა პოლიტეკონომიის

1 ამ დროს ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულება ოფიციალურად დგინდება ოქროთი; ფულს ოქროს მონეტის ან ბანკნოტის ფორმა აქვს, რომელიც ოქროს ოფიციალურად დადგენილი კურსის მიხედვით კონვერტირდება.

2 Industrial Fluctuations, London, 1927, გვ.314.

პროფესორმა, უმუშევრებს ვერაფითარი ქმედითი რეკომენდაციები ვერ მისცა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენით კეინზმა ნეოკლასიკოსებთან ურთიერთობა გაწყვიტა, რამაც პიგუს კვლევით მოღვაწეობაში გარდატეხა მოახდინა. კეინზმა „ზოგად თეორიაში" ძლიერად შეუტია პიგუსა და მარშალის პოზიციებს.

პიგუ, როგორც „ნეოკლასიკური ეკონომიკის" წამყვანი ფიგურა, კეინზური რევოლუციის" შედეგად, ჩრდილში მოექცა. თავის მხრივ, პიგუმ „ზოგადი თეორიისადმი" მიძღვნილ რეცენზიაში[1] ამ „მცდარი ფაქტების კრებულისაკენ" გაილაშქრა და წიგნი განსაკუთრებული დამსახურებების მქონედ არ ჩათვალა. იგი კეინზის პოლემიკური და ამპარტავნული თხრობის სტილს გმობდა: „აინშტაინმა ფაქტობრივად ფიზიკისათვის გააკეთა ის, რაც ბატონ კეინზს, მისი აზრით, ეკონომიკურ მეცნიერებისათვის გაუკეთებია"[2].

მოგვიანებით პიგუმ თავისი შეხედულებების რევიზია მოახდინა. მან მიუთითა, რომ „ზოგადი თეორიის" მნიშვნელობა კარგად ვერ შეიცნო და იგი უდავოდ საინტერესოა, თუმცა რევოლუციასაც არ წარმოადგენს[3].

დრომ ჭრილობებს უმკურნალა. კეინზისა და პიგუს დიდმა ურთიერთყურადღებამ მათ შორის უფსკრული ამოავსო. ისინი უკვე ერთმანეთს არაჩვეულებრივად დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. კეინზსაც კარგად ესმოდა, რომ პიგუზე შეტევით იგი იმ იდეებსაც უტევდა, რომლებსაც სულ რაღაც ორი წლის წინ მხარს უჭერდა.

პიგუმ თავისი მოღვაწეობის პერიოდში 30-მდე წიგნი და 100-მდე სამეცნიერო წერილი დაწერა. მისი ძირითადი ეკონომიკური შრომები ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის განვითარების, სატარიფო პოლიტიკის, სამრეწველო წარმოების ციკლური მერყეობების, დასაქმების და გადასახადების პრობლემების კვლევებს მიეძღვნა.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის პრობლემები გაანალიზებულია პიგუს მონოგრაფიაში „სიმდიდრე და კეთილდღეობა" (1912)[4]. ავტორისეული იდეები უფრო სრულყოფილად აისახა ახალ ნაშრომში „კეთილდღეობის ეკონომიკა" (1920)[5]. იგი მრეწველობისა და უმუშევრობის პრობლემების შესახებ პიგუს ყველაზე განთქმული ნაშრომია, რომელიც შემდგომში რამდენიმეჯერ გამოიცა.

„ეკონომიკსმა" განამტკიცა მისი, როგორც ინგლისის წამყვანი პოლიტეკონომისტის პოზიციები. იგი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის საფუძვლებს წარმოადგენს, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკური თეორიის განვითარებაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა.

სახელმძღვანელოში – „სახელმწიფო ფინანსების კურსი" (1928)[6] – პიგუ საზოგადოებრივი ქველმოქმედების თეორიულ ანალიზს სახელმწიფო ბიუჯეტზე ავრცელებს. „სახელმწიფო ფინანსები" 50-იან წლებამდე ფინანსურ მეცნიერებაზე დიდ გავლენას ახდენდა.

დასაქმების თეორიაში პიგუს უმნიშვნელოვანესი ნაშრომია მიკროეკონომიკისაკენ ორიენტირებული „უმუშევრობის თეორია" (1933)[7]. ეკონომიკის სტაბილურად განვითარების პრობლემებს მიეძღვნა მისი ნაშრომი „სტაციონალური მდგომარეობის ეკონომიკა" (1935)[8].

3. საყოველთაო კეთილდღეობის ეკონომიკა

პიგუმ საფუძველი ჩაუყარა „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" თეორიას. მან „კეთილდღეობის ეკონომიკაში" ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ კეთილდღეობის ადრეული თეორიული იდეები ერთიან დოქტრინად შეკრა.

ახალი ზღვრული ინსტრუმენტების აღმოჩენის შემდეგ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწი-

1 Mr. J.M. Keynes, General Theory of Employment, Interest and Money, in: Economica, Bd.3, 1936.
2 იქვე, გვ.115.
3 Pigou A., Keynes, "General Theory. A Retrospective View",L. – Neudr., 1950-52, გვ. 65.
4 Wealth and welfare, L., 1912.
5 The Economics of welfare, L., 1920.
6 A Study in Public Finance, L., 1928.
7 The Theory of Unemployment, L., 1933.
8 The economics of stationary States, L., 1935.

ლის კვლევის ძირითადი ამოცანა იყო, თეორიულად დაესაბუთებინათ კლასიკოსების რწმენა იმის თაობაზე, რომ თავისუფალი საბაზრო მეურნეობა წონასწორობას ავტომატურად უზრუნველყოფს. ამ სფეროში ძალზე ცნობილი თეორეტიკოსები ლეონ ვალრასი (1834-1910) და კათედრაზე მისი მემკვიდრე ვილფრედო პარეტო (1848-1923) იყვნენ.

პიგუმ კრიტიკულად შეაფასა ასეთი მიდგომა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების პირობად სახელმწიფო ღონისძიებები დაასახელა. ამ საკითხებს ეძღვნება მისი ძირითადი ნაშრომი – „კეთილდღეობის ეკონომიკა".

მარშალის მსგავსად, იგი ეკონომიკური თეორიის ამოცანას ადამიანთა, კერძოდ, „სოციალურად დაუცველთა" ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ხედავდა.

მართალია, ინგლისელმა ნეოკლასიკოსებმა პიგუს შეხედულებები არ გაიზიარეს, მაგრამ იგი, კეინზის მსგავსად, იმდროინდელ საზოგადოებრივ დისკუსიებში ლიდერობდა. „კეთილდღეობის ეკონომიკა" კეთილდღეობისაკენ მიმართული სტანდარტული ნაშრომია, რომლისგანაც ინგლისურ-ამერიკული „კეთილდღეობის ეკონომიკა" წარმოიშვა.

მისი „კეთილდღეობის თეორიის" ამოსავალია: „კეთილდღეობის ახალი ცნება", შემოსავალთა განაწილების როლის ხაზგასმა და იმ ორთოდოქსალური წარმოდგენიდან გამიჯვნა, რომლის მიხედვითაც, რაც კარგია ინდივიდისათვის, საზოგადოებისათვისაც აუცილებლად კარგია.

„სოციალური, პროდუქტი" პიგუსათვის საკვანძო საკითხია და შემთხვევითი როდია, რომ იგი მის თეორიულ და სტატისტიკურ განსაზღვრებებს ძალზე დეტალურად ეხებოდა[1]. პიგუს მიხედვით, ეკონომიკური კეთილდღეობა „სოციალური პროდუქტის" მოცულობაზე, განაწილებასა და სტაბილურობაზეა დამოკიდებული.

ძლიერი მეთოდოლოგიური კრიტიკის საგნად იქცა კეთილდღეობისა და შემოსავლების განაწილების შესახებ მისი მიდგომები. მისი აზრით, „სოციალური პროდუქტის" უცვლელობის პირობებში **მდიდრებიდან ღარიბებზე შემოსავლების გადანაწილება საზოგადოებრივ კეთილდღეობას ამაღლებს.**

პიგუ ინდივიდუალური სარგებლიანობის გაზომვის სირთულეს აღიარებს, მაგრამ ეთანხმება მარშალს იმაში, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ერთნაირ გარემო პირობებში მათი შედარება ანალოგიების, დაკვირვებებისა და აზრთა გაზიარების საფუძველზეა შესაძლებელი. მისი წარმოდგენით, ადამიანებს მთლიანობაში მეტნაკლებად ერთნაირი მოთხოვნილება გააჩნიათ.

პიგუს მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი და დაბეგვრა საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახურება. გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

„სახელმწიფო ფინანსების" ძირითადი ნაწილი დაბეგვრის თეორიას ეთმობა. გადასახადებმა საზოგადოების კეთილდღეობა მინიმალურად უნდა დააზარალოს[2]. ამასთან, პიგუს განსაკუთრებული ღვაწლი იმაში მდგომარეობს, რომ მან სხვადასხვა გადასახადის ეფექტიანობის საკითხი სისტემურად შეისწავლა. მისი აზრით, კონფისკატორული დაბეგვრა არაეფექტიანია და სწორმა საგადასახადო პოლიტიკამ შუალედური გზა უნდა იპოვოს. პიგუ **პროგრესული საგადასახადო სისტემის[3] მომხრეა.**

პიგუს დასაქმების თეორია კლასიკური თეორიისგან განსხვავდება. იგი ყურადღებას ხელფასის ცვალებადობის მნიშვნელობაზე ამახვილებს. მისი აზრით, კონიუნქტურული რყევები ხანმოკლე უმუშევრობაში ვლინდება. ამ საკითხებზე მისი ძირითადი მოსაზრებები ჩამოყალიბებულია ადრინდელ შრომებში: „**სიმდიდრე და კეთილდღეობა**" (1912) და „**უმუშევრობა**" (1913)[4], ხოლო „ეკონომიკაში" კი მან ეკონომიკური კეთილდღეობა ეროვნული შემოსავლის სტაბილურობას დაუკავშირა. მისი შეხედულებით, ფიქსირებული ხელფასების პირობებში, დასაქმება და სოციალური პროდუქტი (კარგ და ცუდ დროსაც) უფრო მცირეა, ვიდრე ცვალებადი ხელფასების შემთხვევაში.

კონიუნქტურული ასპექტების კვლევა პიგუმ „ინდუსტრიის მერყეობებში" (1927) გააღრმავა. აქ მან სცადა დაემტკიცებინა, რომ 1857-1908 წლებში ხანმოკლე რყევების დროს, ხელფასები

---

1 The Economics of Welfare, თავი 3-7.

2 A Study in Public Finance (1928), L., 1956, გვ. 43.

3 პროგრესული გადასახადის პირობებში - გადასახადი დასაბეგრი შემოსავლის სიდიდის ზრდასთან ერთად იზრდება.

4 Unemployment, L., 1913.

დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფისათვის საკმაოდ მობილური იყო. კერძოდ, კონიუნქტურული უმუშევრობის პერიოდში იგი ხელფასების ცვლილების მომხრეა, ამასთან, ექსპანსიონისტურ ფინანსურ-პოლიტიკურ ღონისძიებებს – სახელმწიფო დაკვეთებს და კერძო ინვესტორებისათვის სუბსიდირების სისტემას მხარს უჭერს.

მისი აზრით, რეალური ხელფასი ხანმოკლე პერიოდში ერთობლივ მოთხოვნაზე დამოკიდებული შეიძლება არ იყოს. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება სამუშაო ძალის გამოთავისუფლებას იწვევს; ეკონომიკური ზრდის პოლიტიკა დეპრესიის დროს დასაქმების დონეს ზრდის.

პიგუს ხაზგასმით, მოთხოვნის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისის მიზეზებთან ბრძოლის კარგი ხერხია. მიუხედავად იმისა, რომ ომისშემდგომი ბუმის მომდევნო ათწლეულში გამეფებული მძიმე უმუშევრობა, ვიწრო გაგებით ციკლურ დეპრესიასთან არ იყო დაკავშირებული, არსებობდა იმის საფუძვლები, რომ მოკლევადიანი დაავადებების განსაკურნავად მხოლოდ რამდენიმე მძიმე წელი იქნებოდა საჭირო[1].

ამის საწინააღმდეგოდ, გრძელვადიანი პერიოდისათვის, რეალური ხელფასები საერთო ეკონომიკური მოთხოვნილების განვითარებაზეა დამოკიდებული; რეალური ხელფასების ზრდა სამუშაო ძალაზე მოთხოვნას ამცირებს.

აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი პოლიტიკური ღონისძიებები, რომლებიც განზრახ ან შემთხვევით ხანგრძლივი პერიოდით ზრდის ან ამცირებს შრომაზე მოთხოვნას, არა მხოლოდ უმუშევრობის მიზეზს, არამედ მის საწინააღმდეგო საშუალებასაც წარმოადგენს და როდესაც სახელმწიფო დასაქმებისათვის დამატებითი მილიონების გაცემას გადაწყვეტს, მაშინ მისი დონე გარკვეული დროით ამაღლდება. ამასთან მოსალოდნელია ხელფასების ახალ სიტუაციასთან შეხამება[2].

პიგუს სურდა ეჩვენებინა, რომ საბაზრო მექანიზმი გრძელვადიან პერიოდში მაქსიმალური დასაქმებისაკენ მისწრაფების ტენდენციას ამჟღავნებს. თუმცა, ერთია მისწრაფება, მეორე კი რეალობა. ასე მაგალითად, პიგუს აზრით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სამუშაო ძალის ბაზრის დანაწილების, ხელფასების პროფკავშირული პოლიტიკისა და უმუშევრობის ახალი საკანონმდებლო დაზღვევის შედეგად ხელფასების დონე პრაქტიკულად შენარჩუნდა, უმუშევრობა კი გაიზარდა[3].

კონიუნქტურული უმუშევრობის შეფასებაში პიგუსა და კეინზის პოზიციები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება, თუმცა პიგუს დასრულებული, მწყობრი თეორია არ გააჩნდა. იგი მოკლევადიანი უმუშევრობის პრობლემას ნაკლებად ეხებოდა, მაშინ, როდესაც კეინზის თეორიით „დაუსაქმებლობისას" ზოგადი ეკონომიკური წონასწორობა დასაშვებია და უმუშევრობის მაღალი დონე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება არსებობდეს.

კეინზმა შრომის შეთავაზება ფულად ანაზღაურებას დაუკავშირა. მისი აზრით, მაღალი, ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაშიც კი ანაზღაურებები არ მცირდება და ხელფასის შემცირება დასაქმების დონეს არ ზრდის.

შემდგომ პუბლიკაციებში პიგუ აკრიტიკებდა კეინზის ხელფასის ცვალებადობის ახალ მაკროეკონომიკურ ანალიზს. ინგლისელ ნეოკეინზელ ნიკოლას კალდორთან (1908-86) დებატებში ის აღიარებს, რომ ხელფასის შემცირების ზემოქმედება ძირითადად მონეტარულ პირობებზეა დამოკიდებული[4].

„პიგუს ეფექტის" მიხედვით, ფულადი ანაზღაურებების, ფასებისა და სარგებლის განსაზღვრული შემცირება, როგორც წესი, ასტიმულირებს მოხმარებას, ინვესტიციებს, ზრდის ეკონომიკის ლიკვიდურობას და დასაქმებას.

პიგუ ფულზე მოთხოვნის და ინვესტიციების სარგებლის ელასტიკურობის შესახებ თავისი წარმოდგენებით მონეტარიზმის ერთ-ერთი წინამორბედი გახდა.

---

1 The Theory of Unemployment, გვ. 250.

2 იქვე, გვ. 249.

3 იხ.: Employment and Equilibrium, L., 1941; Lapses from Full Employment, L., 1945.

4 იხ.: Real und Money Wage Rates in Relation to Unemployment - "Ec. Journ.", Bd. 47, 1937; Money Wages in Relation to Unemployment - "Ec. J.", Bd.48, 1938; **Kaldor**, N., Prof. Pigou on Money Wages in Relation to Unemployment - "Ec. J.', 47, 1937.

4. კემბრიჯული განტოლება

კემბრიჯული განტოლება ფულის რაოდენობასა და ფასების საერთო დონეს შორის ურთიერთკავშირების ილუსტრირებას წარმოადგენს.

ეკონომიკური სუბიექტები ნაღდი ფულის სახით მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილის სალაროში ხანმოკლე ვადით შენარჩუნებას ამჯობინებენ. პიგუმ ეს ურთიერთდამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილი **კემბრიჯის განტოლების** სახით გამოხატა[1]:

$$P = KY/M,$$

სადაც P ფასების დონეა, Y – ნომინალური სოციალური პროდუქტი, M – ფულის რაოდენობა. ფორმულა, K-ს მუდმივობის შემთხვევაში, მონეტარულ წონასწორობას აღწერს.

მონეტარული პირობების განსხვავებული შეფასებების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ პიგუ, კეინზთან შედარებით, ფისკალური პოლიტიკის ქმედითობას უფრო ნაკლებ როლს ანიჭებდა. კონიუნქტურული მერყეობების შემცირების მიზნით **სახელმწიფო ხარჯების გაზრდას** იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში „სახელმწიფო ფინანსებში“ უჭერდა მხარს, რითაც გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ აყენებს კეინზის ანტიციკლური პოლიტიკის კონცეფციის ორიგინალობას.

პრაქტიკული თვალსაზრისით იგი კეინზს იმას ედავება, რომ ფულის მოცემული რაოდენობის შემთხვევაში, სახელმწიფო ხარჯების გაზრდა, ყველა შემთხვევაში, სარგებლის ზრდასა და კერძო ინვესტიციების გარკვეულ შეზღუდვას განაპირობებს.

5. სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ

პიგუ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი იდეები მრავალმხრივი აზრების ერთობლიობაა. მისი წარმოდგენები საბაზრო ეკონომიკაში გრძელვადიან სრულ დასაქმებაზე, ეკონომისტთა უმრავლესობისათვის სადავო არ იყო.

პიგუს მიერ საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ გადანაწილების რომელი ფორმაა მისაღები საბაზრო ეკონომიკისათვის – სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნეოკლასიკური კონცეფციისკენ მიგვითითებს, რომლის მიხედვითაც თავისუფალი ბაზრის განვითარება სოციალურ თანასწორობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (მიულერ-არმაკი).

პიგუმ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „კეთილდღეობის ეკონომიკის“, გადასახადების, დასაქმებისა და მაკროეკონომიკის თეორიებში.

1 The Value of Money - Quarterly Journal of Economics, Bd. 32. L., 1917-1918.

თავი XIX.
მაკროეკონომიკური რეგულირება: ჯონ მეინარდ კეინზი (1883–1946)

1. ალიარებული მკვლევარი-პრაქტიკოსი

მე-19 საუკუნის ბოლოს ეკონომიკური მეცნიერება გაპროფესიონალდა. კერძოდ, მომრავლდნენ პროფესორები, რომლებიც ამ სფეროში ნაშრომებს წერდნენ და კითხულობდნენ.

მაკროეკონომიკური რეგულირების დოქტრინის ფუძემდებლის, ჯონ მეინარდ კეინზის გარდაცვალებიდან გასული დრო არც თუ ისე დიდი პერიოდია ისტორიაში, მაგრამ ცხადია, რომ არც ერთ სხვა პოლიტეკონომისტზე (თუ არ ჩავთვლით კარლ მარქსს) იმდენი არ დაწერილა, რამდენიც მასზე და მისი თეორიის შედეგებზე – დიდ ბრიტანეთში იგი თითქმის ლეგენდარულ ფიგურად იქცა.

პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით გასული საუკუნის 30-იანი წლების ისტორია ძირითადად „დიდი დეპრესიის" ზეგავლენით ჩამოყალიბდა. იმდროინდელი რწმენით, მასობრივი უმუშევრობა კაცობრიობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამ გარემოებამ ჯ.კეინზის ფენომენს ისტორიული ფონი შეუქმნა.

სახელგანთქმულ მეცნიერზე მეგობრებისა და ანალიტიკოსების მიერ გამოთქმულია რადიკალურად განსხვავებული აზრები: „საფუძველშივე შემზარავი", „ძალზე მიმზიდველი", „უმოწყალო", „გულკეთილობის და მოწყალების ეგოიზმის ნარევი", „ექსტრემალურად თავაზიანი", „ყველაზე ინტელიგენტური ადამიანი იმათ შორის, ვინც კი ოდესმე შემხვედრია" და სხვ.

ურთიერთგამომრიცხავია მისი შემოქმედების შეფასებებიც: „დოგმებისაგან განმათავისუფლებელი", „მონოკაპიტალიზმის აპოლოგეტი", „მისი რჩევა მსოფლიოსადმი ყოველთვის არის რჩევა ინგლისის საკეთილდღეოდ", „ინდივიდი, რომელმაც ყველაზე მეტად თავისი ქვეყანა დააზიანა" და ა.შ.

1946 წ. გარდაცვლილი ჯ.კეინზი მაინც დღევანდელობის თვალსაჩინო ფიგურად რჩება, რომელსაც მოაზროვნეები დიდ ყურადღებას უთმობენ.

კეინზმა მისი გვარის ისტორია და წინაპრები ნორმანდიელ მეომრებთან დააკავშირა, რომლებიც ინგლისში მე-11 საუკუნეში ჩავიდნენ.

კეინზის ბაბუა მეწარმე, მამა ჯონ ნევილი კეინზი კი კემბრიჯის უნივერსიტეტის ლოგიკისა და ეკონომიკის კათედრის პროფესორი იყო. ამ უკანასკნელმა, პოლიტიკურ ეკონომიასა და ლოგიკაში გამოქვეყნებული სახელმძღვანელოებისდა მიუხედავად, თავისი ცხოვრების ძირითადი ნაწილი შვილების აღზრდას მოახმარა.

კეინზის დედა – ფლორენს ადა კეინზი, ბაპტისტური მოძღვრის ქალიშვილი, ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ქალი იყო კემბრიჯში. იგი შვილების მიმართ კიდევ უფრო მომთხოვნი იყო, ვიდრე მისი მეუღლე და განსაკუთრებულ ყურადღებას მეინარდის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უთმობდა. თავისი სახელგანთქმული შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მან 34 სქელი ალბომი (საგაზეთო წერილებით) დატოვა. თავისი ძლიერი სოციალური რწმენა შვილებს უანდერძა.

როგორც ჩანს, მეინარდის მიერ ნაშრომში „ვერსალის საშვიდობო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები" (1919) გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ინგლისურ საზოგადოებაში საშუალო ფენის წარმომადგენელ ნებისმიერ ადამიანს მაღალ ფენაში გადასვლის უნარი შესწევს, თავისი ფესვებით მშობლიურ სახლში მიღებული აღზრდიდან წარმოიშვა.

მეინარდის უმცროსი ძმა, ჯოფრი განთქმული ქირურგი გახდა, ხოლო და, მარგარეტი ა.ვ. ჰილზე – შემდგომ მედიცინაში ნობელის პრემიის ლაურეატზე გათხოვდა.

ჯონ მეინარდის კარიერამ განსაკუთრებულად მისი მამის იმედები გაამართლა.

ჯ.მ. კეინზი (Keynes) დაიბადა 1883 წლის 5 ივნისს, კემბრიჯში. 1897-1906 წლებში იგი იტონის კოლეჯსა და კემბრიჯის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც ა.მარშალისა და ა.პიგუს

ლექციებს ისმენდა.

1906-08 წწ. ლონდონში ინდოეთის საქმეთა დეპარტამენტში მუშაობდა. 1909 წელს მეინარდი კემბრიჯის უნივერსიტეტის ლექტორი ხდება – ამ დროისათვის მას ნაშრომი ეკონომიკაში ჯერ კიდევ არ გამოუქვეყნებია.

ალბათობის თეორიაში მის ნაშრომს - **„ინდექსური მეთოდი"** ა.სმითის სახელობის პრემია მიენიჭა (1909). **„ტრაქტატი ალბათობის შესახებ"** ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (1921), მასში განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებზე.

1911 წელს კეინზი **„ეკონომიკური ჟურნალის" რედაქტორად მიიწვიეს**, რომელიც მაშინაც კი ინგლისური პოლიტეკონომიის უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ გამოცემებს მიეკუთვნებოდა.

1913 წელს კეინზი ინგლისის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების მდივანია, 1913-14 წწ. სამეფო კომისიის წევრია ინდოეთის ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის საკითხებში. 1913 წელს გამოაქვეყნა წიგნი – **„ინდოეთის ფულის მიმოქცევა და ფინანსები"**.

1915-19 წწ. იგი ფინანსთა სამინისტროში მსახურობს. 1919 წელს კეინზი, როგორც ბრიტანეთის ხაზინის ექსპერტი, პარიზის (ვერსალის) სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობდა. დამარცხებულ გერმანიასთან ვერსალის ხელშეკრულების პირობების პროტესტის ნიშნად მან კონფერენცია დასტოვა.

შემდგომში კეინზმა გამოაქვეყნა ნაშრომი – **„ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების ეკონომიკური შედეგები"** (1922), რომელმაც ავტორს მსოფლიო აღიარება მოუტანა.

წიგნის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულება უსამართლო, სახიფათოა და იგი როგორც ომში დამარცხებულ ცენტრალურ სახელმწიფოებში, ასევე მთელ ევროპაში სიღარიბეს გამოიწვევს. ეს სენსაცია იყო, რომელიც ყოფილი მაღალი ფუნქციონერის წიგნმა განაპირობა.

ავტორიტეტი, რომლითაც ეკონომიკური განაჩენია გამოტანილი და სამწერლო ოსტატობა, რომლითაც დახასიათებულია კონფერენცია და მისი ძირითადი მონაწილეები, კეინზის ომისშემდგომ კარიერას განაპირობებს: დიდი სადაზღვევო საზოგადოებების „საბჭოშია", ხელმძღვანელობს საინვესტიციო ფონდებს, არის პოლიტიკოსებისა და ფინანსური სამყაროს მრჩეველი; ყურადღების ცენტრში მყოფი პუბლიცისტი და, უპირველესად, მაინც მეცნიერია.

მართალია, მრავალ სფეროში აქტიურობა მას ზედმეტად ტვირთავდა, მაგრამ მთელი ენერგია მეცნიერებას და, მათ შორის, ალფრედ მარშალის, თომას მალთუსის და სხვ. ბიოგრაფიების კვლევას დაუთმო. აქვეყნებს ნაშრომებს: **„ხელშეკრულების გადასინჯვა"** (1922), **„ტრაქტატი ფულადი რეფორმის შესახებ"** (1923), **„ბატონ ჩერჩილის[1] საგალუტო პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები"** (1925), **„სწრაფი თვალის გადავლება რუსეთზე"** (1925)[2], **„Laissez faire"-ს დასასრული"** (1929)[3], **„ტრაქტატი ფულის შესახებ"** (ორტომეული, 1930)[4] და სხვ.

1936 წელს გამოქვეყნდა კეინზის მთავარი ნაშრომი – **„დასაქმების, სარგებლის და ფულის ზოგადი თეორია"**[5], რომელშიც ჩამოყალიბებულია კეინზელობის ძირითადი იდეები. წიგნის ავტორი თავისი დროის დიდ ეკონომისტად და ეკონომიკური აზროვნების რევოლუციონერად გახდა ცნობილი.

1920-37 წლებში მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის განხილვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ კეინზმა, ახალგაზრდობიდანვე სუსტი ჯანმრთელობის მქონემ, რამდენიმე სიცოცხლით იცხოვრა. 1937 წელს მან გულის შეტევა გადაიტანა.

ნაშრომით – **„როგორ გავიმარჯვოთ ომი"** (1940), იგი ისევ მთავრობის საქმიანობაში ჩაერთო – სამხედრო ფინანსების სფეროში დიდი ბრიტანეთის ხაზინის მრჩეველი გახდა; 1941 წელს დიდი

---

1 უინსტონ ჩერჩილი (1875-1965) – 1924-1929 წწ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სტენლი ბოლდუინის (1867-1947) კაბინეტის ფინანსთა მინისტრი, რომლის აქტიური მონაწილეობით 1925 წ. ისევ გირავნება სტერლინგის ოქროს სტანდარტი შემოიღეს, რაც ლონდონის, როგორც მსოფლიო ფინანსური ცენტრის როლის აღდგენას ითვალისწინებდა.

2 1925 წელს მან სსრ კავშირში იმოგზაურა, ინგლისის ეკონომიკის შესახებ რამდენიმე ლექცია წაიკითხა, ზემოაღნიშნულ ბროშურაში კი სსრ კავშირის ეკონომიკური მდგომარეობა აღწერა.

3 დაწერილია J.პენდერსენთან ერთად და უმუშევრობის პრობლემებს ეძღვნება.

4 A Treatise of Money, 2 vols, L., 1930.

5 Keynes J.M., The General Theory of Employment, Interest and Money, L., 1936.

ბრიტანეთის მთავრობის კომისიის შემადგენლობაში აშშ მთავრობასთან ლენდ-ლიზისა[1] და სხვ. ფინანსურ პრობლემებზე მოლაპარაკებებში მონაწილეობს. იმავე წელს ინგლისის ბანკის ერთ-ერთი დირექტორი და ლორდთა პალატის წევრი გახდა – მიიღო „ბარონის“[2] წოდება.

1944 წელს იგი ბრეტონ-ვუდსის სავალუტო კონფერენციაში[3] დიდი ბრიტანეთის მთავარი წარმომადგენელია, სადაც „საერთაშორისო სავალუტო ფონდისა“ (1946 - სსფ) და „განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო (მსოფლიო) ბანკის“ (1945) შექმნის გეგმას „კეინზის გეგმა“ დაედო საფუძვლად. კეინზი ამ ფინანსური ორგანიზაციების მმართველობაში, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლად დაინიშნა.

1945 წელს იგი აშშ-ში ინგლისის ფინანსური მისიის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მიავლინეს, „ლენდ-ლიზის“ დასრულებასა და ამერიკისაგან დიდი სესხის მიღების საკითხებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების საწარმოებლად.

იგი იყო ინგლისის (ლონდონის) სამეფო საზოგადოების (დიდი ბრიტანეთის აკადემიის) წევრი.

1946 წლის 21 აპრილს კეინზი გარდაიცვალა, როგორც გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტი.

დიდი წარმატებების მიუხედავად კეინზი არასდროს არ გაამპარტავნებულა. იგი იყო: წიგნის დიდი მოყვარული - მისი იშვიათი წიგნების კოლექცია განაცვიფრებდა მნახველს; მხატვრობაში ცნობილი კოლექციონერი და ბალეტზე ძალზე შეყვარებული. რუსი ლიდია ლოპოკოვა, განთქმული პრიმა-ბალერინა, 1925 წელს მისი მეუღლე გახდა.

კეინზმა კემბრიჯში დააარსა და დააფინანსა თეატრი. იგი ყველაფერს აკეთებდა ხელოვნების მხარდასაჭერად (მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი).

ამასთან, კეთილი, მხიარული კეინზის ხასიათში ღვარძლიან თვისებაზეც მიგვანიშნებენ, როცა ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე იყენებდა თავის ინტელიგენტობას და მახვილი ხუმრობით მოწინააღმდეგეს ჩაგრავდა.

2. ფულის რაოდენობრივი თეორიიდან „ზოგად თეორიამდე“

ჯონ მეინარდ კეინზის მეცნიერული საქმიანობის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები პოლიტიკური ხასიათიც: მისი ეკონომიკური აზროვნება არა მხოლოდ „თეორიული“ მეცნიერული სისტემის, არამედ პრაქტიკული პრობლემების გაწყვეტისაკენაც იყო მიმართული. ეს გასული საუკუნის დასაწყისში თავისუფალი მეწარმეობის კონცეფციების პოზიციების შესუსტებამ და ფულის რაოდენობრივი თეორიის წინა პლანზე წამოწევამ განაპირობა.

ეკონომიკაში ბევრმა მათემატიკოსმა სცადა ბედი, მაგრამ მათგან ძალზედ ცოტაა კეინზის მსგავსი სპეციალისტი. კეინზს მათემატიკური ეკონომიკის „შევიწროებანი“ ნაკლებად იტაცებდა. კარგი ეკონომისტი იშვიათობაა, ვინაიდან ყურადღებიანი დაკვირვების საფუძველზე კარგი მოდელების შექმნაა იშვიათობა.

უკვე „ინდოეთის ფულის მიმოქცევასა და ფინანსებში“ (1913) ცხადი ხდება კეინზის აზრი იმის შესახებ, რომ სათანადოდ რეგულირებულმა ფულადმა პოლიტიკამ, მოქალაქეთა ეკონომიკური კეთილდღეობა შეიძლება ამაღლოს, მაგრამ მას სიღარიბის წარმოქმნაც შეუძლია.

ვერსალის მოლაპარაკებების და სამშვიდობო ხელშეკრულების გამოცდილებამ, ასეთი აზრი გააძლიერა და, იმავდროულად, სათანადო გადაწყვეტილებების მისაღებად კეინზიც გააქტიურდა. „ხელშეკრულების გადასინჯვა“ პირველი ცდაა იმ პრობლემების მოგვარების გზაზე, რომლებიც ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ აქტუალური გახდა.

---

1 ლენდ-ლიზი (ინგლ. lende-leas) მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის მიერ მოკავშირე ქვეყნებისათვის შეიარაღების, საბრძოლო მასალის, სტრატეგიული ნედლეულის, სურსათის და სხვ. სესხად ან იჯარით გადაცემის სისტემა; აშშ-ში კანონი ლენდ-ლიზის შესახებ 1941 წელს შემოიღეს.

2 ბარონი (ფრანგ. – baron) დასაელეთ ევროპის სახელმწიფოებში გრაფზე დაბალი თავადაზნაურული ტიტული.

3 ამ კონფერენციაზე მსოფლიოს ძირითად სარეზერვო ვალუტად აშშ-ის დოლარი და ინგლისური გირვანქა სტერლინგი გამოცხადდა; დაწესდა ოქროზე ოფიციალური ფასი – 35 დოლარი ერთი ტროას უნციაზე (31.1 გ).

წიგნი – **„ტრაქტატი ალბათობის შესახებ“** (1921), როდესაც კეინზმა ნაშრომის ადრინდელი რედაქცია საასპირანტო ჯილდოზე (1908) წარადგინა, იგი ისე ვერ დააფასეს, როგორც ამას ავტორი იმედოვნებდა. 1908-11 წლებში მან თითქმის მთელი თავისი ძალების კონცენტრაცია ამ მეცნიერულ ნაშრომზე მოახდინა. ეს იყო პატივმოყვარე ახალგაზრდა მეცნიერის ცდა, სადისერტაციო ნაშრომის საშუალებით საპატიო ადგილის დასაკავებლად მეცნიერებაში.

კეინზის „ტრაქტატი“ ალბათობის ცნების მათემატიკიდან ფილოსოფიაში გადატანას ითვალისწინებს. გამოცემის წელს წიგნს, მიუხედავად პოზიტიური კრიტიკისა, ისეთ გამოხმაურება არ მოჰყვა, როგორსაც ავტორი მოელოდა. მიუხედავად ამისა, კეინზის წიგნი ალბათობის შესახებ დღესაც სერიოზულ გაგრძელებას მოითხოვს.

„ტრაქტატი“ დღესაც იდეებისა და კამათის წყაროა ალბათობის, როგორც „ნაწილობრივი ცოდნის“ ცნების თაობაზე. კეინზის განწყობას ეკონომიკისადმი და ეკონომეტრიკისადმი, როგორც მეცნიერებისადმი, აგრეთვე სარგებლიანობის პრინციპის მქონე ეთიკის მიმართ, მის ხანგრძლივ დასაქმებას ალბათობის თეორიით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს ზოგადად მიღებულია. მას ესმოდა, რომ ეკონომიკურ თეორიაზე მსჯელობისას, მისი ცოდნა არასრულია.

ნაშრომში – **„ტრაქტატი ფულადი რეფორმის შესახებ“** (1923) კეინზი აანალიზებდა 1920-21 წწ. ფასების შემცირების შედეგებს.

იგი მისი აზროვნების სხვა თავისებურებებსაც შეიცავს: ფულად პოლიტიკაში გარკვეულწილად არსებულ „თეორიებს“ ემხრობა, მაგრამ მოქმედების ალტერნატიულ თვალსაზრისსაც იხილავს.

დევალვაცია[1] თუ დეფლაცია[2]? ფასების შიდა სტაბილურობა თუ ცვალებადი კურსის სტაბილურობა? ოქროს სტანდარტი თუ ფულის მენეჯმენტი?

ამ კითხვებს იგი ემპირიული წინაპირობების გამოყენებით პასუხობს. აქ პრაქტიკულ ემპირიულ წინაპირობას ფულის რაოდენობრივი თეორიის ქმედითობა წარმოადგენს, – იგი ფასების დონის ცვალებადობის (ინფლაცია და დეფლაცია) გაანალიზებულ შედეგებთან ერთად იმ დასკვნას განაპირობებს, რომელიც უპირატესობას შიგა ფასების დონის სტაბილიზაციას მიანიჭებს. სტაბილიზაციის პოლიტიკით სახელმწიფომ (ინგლისის ბანკი) მეწარმეთა რისკი უნდა შეამციროს, რომელიც მათ დასაქმებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში მოსალოდნელი საფრთხისაგან დაიცავს.

ნაშრომებში: **„ბატონ ჩერჩილის სავალუტო პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები“** (1925) დახასიათებულია დიდ ბრიტანეთში მოსალოდნელი საფრთხეების შედეგები; **„Laissez faire“-ს დასასრული“** (1929), პოლიტიკურ-ეკონომიკურ პამფლეტში, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის დეკლარირება ხდება და ამით „ლაისეზ ფარეზის სახელმწიფოს“ დოქტრინის დასასრული ცხადდება.

სახელმწიფოს ეკონომიკური თეორიის პრობლემათა კვლევას მიეძღვნა კეინზის ნაშრომი – **„ტრაქტატი ფულის შესახებ“** (1930, ორტომეული, გამოცემული შვიდ წიგნად). მასში განხილულია: ფულის ბუნება, ფულის არსი, ფასების დონის დინამიკა, მონეტარული ფაქტორები, ინვესტიციები, ფულადი მენეჯმენტი და სხვა საკითხები. იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში კეინზის ხუთწლიანი მუშაობის შედეგი და ერთდროულად ფულის თეორიის სტანდარტული ნაშრომი იყო.

„ტრაქტატში“ კეინზი ჯერ კიდევ ფულის რაოდენობრივი თეორიის „ტყვეობაშია“, რომლის ლოგიკურ განვითარებასაც იგი განტოლებებში ახდენს. ეს განტოლებები პროდუქტის დანახარჯებსა და მის საბაზრო ფასს შორის ურთიერთობებს აანალიზებს.

კეინზი პროდუქტზე დანახარჯებსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობას პროდუქტის წარმოების მოცულობის გაფართოებითა და შემცირებით ხსნის. იგი იწვევს უმუშევრობას, რომელთანაც ბრძოლა ფულადი პოლიტიკის, მათ შორის სარგებლის განაკვეთის შემცირების (ე.წ. ინვესტიციების წახალისების) მეშვეობით უნდა წარიმართოს. მაშინ, როდესაც ინვესტიციები დანაზოგების დონეს მიაღწევს, ისევ წონასწორობა მყარდება და პროდუქტის წარმოების დანახარჯებისა და „ნორმალური მოგების“ ჯამი მის ფასს გაუტოლდება.

---

1 ქვეყნის ვალუტის კურსის შემცირება უცხოურ ვალუტებთან შედარებით; რეალური ოქროს ფულის ერთეულის შემცველობის შემცირება.

2 მიმოქცევიდან ფულის მასის ამოღება ინფლაციის შესამცირებლად, მისი ყიდვითი უნარის ასამაღლებლად.

კეინზის რწმენით, მისი დასკვნები „ფასთა მერყეობების წარმოქმნის“ მიზეზების ამხსნელია, რის გამოც იგი თავის თეორიას გამოყენებით მნიშვნელობას ანიჭებდა.

1931 წელს თავისი ნაშრომის გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში იგი კიდევ უფრო შორს მიდის: მის მიერ ნაკლებად დაფასებული ოქროს ვალუტა პრაქტიკულად მოიშალა და კეინზი სავალუტო კავშირის (დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ ამერიკა, შუა ევროპა, სკანდინავია) და მისი წევრი ქვეყნებისათვის ერთიანი სავალუტო ერთეულითა და მის მიმართ ეროვნული ვალუტების რყევების მყარი ზღვრების იდეებითაა შეპყრობილი.

მისი აზრით, კრედიტს, დანაზოგსა და ინვესტიციებს შორის დამოუკიდებელი კავშირი არ არსებობს. ასეთი მიდგომებით, მან პრაქტიკულად ფულის რაოდენობრივი თეორია უარყო.

კეინზის ნაშრომები იმ რთულ გზას ასაბუთებენ, რომელიც კეინზმა ჯერ კიდევ „ზოგად თეორიამდე“ და მის რეალიზაციამდე დაძლია. ის, რომ „ტრაქტატში“ სარგებლის პოლიტიკა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და მისი შედეგების დაძლევისათვის არასაკმარისი იყო, ცხადია დღეს და ცხადი იყო ბევრი მისი თანამედროვისათვისაც. ამგვარად, დრომ ახალი დოქტრინა მოითხოვა.

3. „ზოგადი თეორია“

კეინზის ნაშრომების მიმოხილვას ეძღვნება აგრეთვე მისი ბიოგრაფიული ჩანაწერებიც, მიუხედავად იმისა, რომ კეინზის „ბიოგრაფიული ესეები“ (1933) უფრო მეტად მისი, როგორც მკვლევარის ხარისხს ასახავს, ვიდრე მისი, როგორც დიდი ეკონომისტის მოღვაწეობას.

ცხადია, დიდი ბიოგრაფიული ესეები მალთუსზე, ჯევონსზე და მარშალზე ისტორიულად საინტერესოა იმის გამოც, რომ ისინი კეინზის, როგორც ეკონომიკის თეორეტიკოსის ორიენტაციას აშუქებენ, მაგრამ, პირველ რიგში, ისინი ამ ჟანრის ოსტატური ნაწარმოებებია და ამავე დროს შინაარსობრივად მიმზიდველები.

მეინარდისა და მასთან სულიერად ახლოს მყოფი ადამიანების პორტრეტების გაცნობით იბადება აზრი, რომ ეს ბიოგრაფიული ცდები, პოლიტიკოსთა მახვილგონიერული დახასიათებებით თვითონ ჯონ მეინარდ კეინზის პატივმოყვარეობას ემსახურებოდნენ.

1936 წელს გამოქვეყნდა კეინზის მთავარი ნაშრომი – **„დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“**. იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნია ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ავტორმა „ზოგადი თეორია“ კლასიკურ თეორიას დაუპირისპირა, რომელიც მისი აზრით, არა ზოგად, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევებშია მისაღები. მისგან განსხვავებით, კეინზი ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემას არა რესურსების მიწოდებაში, არამედ მოთხოვნაში ეძებს.

ჯ.კეინზის მიერ მოთხოვნის თეორიის ანალიზისას ჩამოყალიბებული „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის“ მიხედვით, შემოსავლების ზრდისას მოხმარებისკენ მისწრაფება მცირდება, დანაზოგებისკენ კი იზრდება. ასეთ პირობებში გაზრდილი შემოსავლის დიდი ნაწილი გრძელვადიანი მოხმარების საგნების შესყიდვაზე იხარჯება, რის გამოც თანხები წინასწარ უნდა დაგროვდეს.

კეინზის სისტემაში შემოსავალსა და წარმოების მოცულობას **ეფექტიანი მოთხოვნის პრინციპი** მართავს, რომლის მიხედვითაც წონასწორობის დროს მთლიანი მოთხოვნა მთლიანი მიწოდების ტოლი უნდა იყოს. ამ გზით შესაძლებელი გახდა ეფექტიანი მოთხოვნის პრინციპის დანაზოგისა და ინვესტიციის ეკვივალენტურ პრინციპში გადაყვანა.

მისი აზრით, ეფექტიანი მოთხოვნა მოხმარებისა და ინვესტიციებისაგან შედგება: „შრომის დანახარჯების მოცულობა..., რომელზეც მეწარმეები მოთხოვნას აცხადებენ, დამოკიდებულია მოხმარებაზე საზოგადოების დანახარჯებისაგან და საზოგადოების მოსალოდნელი დანახარჯებისაგან ახალ ინვესტიციებზე ... და არის ის, რაც ჩვენ ადრე განვსაზღვრეთ, როგორც **ეფექტიანი მოთხოვნა**“[1].

კეინზის აზრით, **დასაქმების დონე** მოხმარებისა და ინვესტიციების მოსალოდნელი ხარჯების მოთხოვნის დინამიკით განისაზღვრება და აქედან გამომდინარე, დასაქმების ზრდის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზად დასახელებულია ხელფასების შემცირება („კეინზის ეფექტი“) და ინვესტიციების ზრდა: „მოხმარებისადმი მიდრეკილება და ახალი ინვესტიციების მოცულობა ერთობლივად განსაზ-

1 ჯ.კეინზი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, თარგმ. რუს-დან, ქუთაისი, 1995, გვ. 35.

ღერავს დასაქმების მოცულობას, რომელიც თავის მხრივ, სრულიად განსაზღვრულად დაკავშირებულია რეალური ხელფასის სიდიდესთან"[1].

კეინზის მიერ **მოხმარებისაგან თავშეკავების** 8 ძირითადი სუბიექტური ფაქტორია დასახელებული: 1) **რეზერვების შექმნა;** 2) **დანაზოგების უზრუნველყოფა;** 3) **შემოსავლის მიღება სარგებლის ფორმით;** 4) **მომავალში თავისთავის ხარჯების ზრდის მოლოდინი;** 5) **დამოუკიდებლობის გრძნობა გადაწყვეტილებათა მიღებაში;** 6) **მანევრირებადი ფონდის თავისთვის უზრუნველყოფა;** 7) **საკუთარი მემკვიდრეების ქონებით უზრუნველყოფა** და 8) **„ხელმომჭირნეობა"**[2].

კეინზის აზრით, სარგებლის განაკვეთის ცვლილება მოხმარებაზე დიდ გავლენას არ ახდენს, მაგრამ მისი გავლენის მთლად გამორიცხვაც არ შეიძლება: „პროცენტის ნორმის ცვლილების გავლენა ფაქტობრივად დასაზოგ თანხაზე მეტისმეტად მნიშვნელოვანია; მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ ასეთი ზემოქმედება ჩვეულებრივ ხორციელდება იმის საწინააღმდეგო მიმართულებით, რაც ჩვეულებრივ აქვთ მხედველობაში"[3]. გამოდის, რომ „ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე რამდენად ხელსაყრელია ინვესტიციებისათვის პროცენტის ნორმა"[4].

თავის მხრივ, ინვესტიციები მოსალოდნელი შემოსავლებითა და სარგებლის განაკვეთით განისაზღვრება. პირველი – მოსალოდნელი მოგებით, მეორე კი – ფულადი ნაშთის მოთხოვნა-მიწოდებით: „პროცენტის ნორმა ფულზე... ეს სხვა არაფერია, თუ არა ფულის პროცენტული გადამატება, დაკონტრაქტებული მიწოდების გადაადგილით, მაგალითად, წელიწადით, მასზე, რასაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ამ თანხის „დაუყოვნებლივი" ან საკასო ფასი, დაკონტრაქტებული, მომავალ თარიღზე მიწოდებისათვის"[5].

„ზოგად თეორიაში" კეინზმა მოხმარებას, ინვესტიციასა და ეროვნულ შემოსავალს შორის კავშირი **„მულტიპლიკატორის"**[6] მეშვეობით განსაზღვრა.

კეინზური მულტიპლიკაციური პროცესების მიხედვით: თავდაპირველად ინვესტირებული ფულადი კაპიტალის ერთი ნაწილი **პირველად**, ხოლო სხვა ნაწილი **მეორეულ შემოსავლად იქცევა**, – იმავდროულად, დასაქმება და წარმოებაც იზრდება.

მისი აზრით, „ამ პრობლემის შემდგომი ანალიზი წარმოადგენს დასაქმების ჩვენი თეორიის განუყოფელ ნაწილს, რადგან იმით დგება... ზუსტი თანაფარდობა ერთობლივ დასაქმებასა და შემოსავალს, ერთი მხრივ, და ინვესტიციების მასშტაბებს შორის, მეორე მხრივ"[7].

კეინზი **ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დოქტრინის მამამთავარია**. ამ დოქტრინის მიხედვით, მთავრობამ ბიუჯეტური პოლიტიკით მეწარმეებს მეტი ინვესტიცია უნდა მისცეს, რომლის დაბანდებაც გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას და მათ მიერ პროდუქტზე მოთხოვნას. იგი დასაქმების დონის დადგენაში განსაკუთრებულ როლს ფულზე სარგებლის განაკვეთს ანიჭებს. მისი რეგულირება სახელმწიფოს ჩარევით შესაძლებელია, მაგრამ ჭარბწარმოების კრიზისების დროს მხოლოდ იგი ნაკლებად ეფექტიანია: „კრიზისის უფრო ტიპური და ხშირად მთავარი ახსნაც უნდა ვეძებოთ არა პროცენტის ზრდაში, არამედ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის უეცარ დაცემაში"[8].

<u>სარგებლის განაკვეთის შემცირება, ანუ კრედიტის გაიაფება ხელს უწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებას</u>, მაგრამ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის დაცემა შეიძლება იმდენად ღრმა აღმოჩნდეს, რომ იგი კრიზისის დასაძლევად საკმარისი აღარ იქნება[9].

დანაზოგებისა და ინვესტიციების წონასწორობა მხოლოდ სარგებლის განაკვეთის საშუალებით ვერ მიიღწევა, რამდენადაც სარგებლის განაკვეთი ფულად ბაზარზე გაცილებით უფრო მეტად არსებული ქონების ლიკვიდურობიდან გამომდინარე განისაზღვრება.

ინვესტიციებიდან მოსალოდნელი შემოსავალი ხოფათს უკავშირდება, რომელსაც გაანგარიშებები ვერ

---

1 ჯ.კეინსი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, გვ. 37.

2 იქვე, გვ. 124-125.

3 იქვე, გვ. 128.

4 იქვე, გვ. 129.

5 იქვე, გვ. 248.

6 **მულტიპლიკატორის** (ლათ. multiplikatio – გამამრავლებელი) ცნება პირველად გამოიყენა რ.ფ.კანმა სტატიაში „შიგა ინვესტიციების დამოკიდებულება უმუშევრობისადმი" (1931) – იხ.: ჯ.მ. კეინზის „ზოგადი თეორია", გვ. 130.

7 ჯ.კეინსი, დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, გვ. 130.

8 იქვე, გვ. 347.

9 იქვე, გვ. 248.

აგვაცილებს. ინვესტიციებთან ერთად საფრთხეს განიცდის ეფექტიანი ჯამური მოთხოვნა და დასაქმების დონეც. მცირე ჯამური მოთხოვნის პირობებში უმუშევრების შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად „რეალური ხელფასის შემცირების" შესაძლებლობა ალარ არსებობს. როდესაც პოტენციალური დამქირავებელი ხელფასის დონის საერთო შემცირებებს მოელის, ამან უმუშევრობა შეიძლება გაზარდოს.

„ზოგადმა თეორიამ" ნეოკლასიკური წონასწორობის თეორიის განსაკუთრებული ადგილი მიაკუთვნა, — იგი ინტელექტუალურად შთამბეჭდავი, მაგრამ სინამდვილისათვის ნაკლებმნიშვნელოვანია. ფულად მეურნეობაში უმუშევარი ფულად ანაზღაურებას ისე მოითხოვს, რომ მისი პერსპექტიული დამქირავებელი დამატებითი მოთხოვნის ფორმით ბაზრის „სიგნალებს ვერ იღებს".

კეინზის ფულადი პოლიტიკა სარგებლის დაბალ განაკვეთზე და „დასაქმების დაბალ" დონეზეა გამიზნული, რომელიც „მულტიპლიკატორული პროცესების" შედეგად, სრული დასაქმების დონემდე „სახელმწიფოს" ჯამური მოთხოვნის ზრდას იწვევს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ასეთ დასკვნას თითქმის არავინ ედავებოდა, მაგრამ მას სუსტი „თეორიული" საფუძველი ჰქონდა. ჯ.ჰიკსის განმარტებით, კეინზის მაკროეკონომიკა მთლიანად წონასწორობის სქემაზეა აგებული და იგი სახელმძღვანელოებში კეინზის თეორიის სახელით უნდა შეიიდეს.

ამ ინტერპრეტაციამ კეინზის მაკროეკონომიკას მისთვის დამახასიათებელი და ფუნდამენტური არასაიმედოობის მომენტი წაართვა. კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა და ლიკვიდურობის უპირატესობა გამოყენებით ფუნქციებად გადაიქცა.

ამით „ნეოკლასიკური სინთეზი" წინასწარ დაპროგრამირდა. ეს ეხება არა მხოლოდ „ზოგადი თეორიის" სტატიკურ ანალიზურ აპარატს, არამედ კეინზის ფრთხილ სურვილსაც, — მაქსიმალურად დაეახლოებინა თავისი თეორია ნეოკლასიკურ დოქტრინასთან.

მან უარყო დაშვება, რომლის მიხედვითაც „ხელფასი შრომის ზღვრული პროდუქტის" ტოლია. ამან კეინზი გართულებებამდე მიიყვანა, რომლებიც პირველად მხოლოდ მაშინ შეიცნო, როდესაც დანლოპის, ტარისისი[1] და სხვ. ემპირიულმა შემოწმებებმა დაადასტურა, რომ წარმოების ზრდა და დასაქმების დონის მატება რეალური ხელფასის შემცირების გარეშეც სრულიად შესაძლებელია.

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, — კეინზი „ზოგად თეორიაში" წერს არა იმას, რომ დაბალი ხელფასი იწვევს უფრო მეტ დასაქმებას, არამედ იმას, რომ მაღალი ეფექტიანი მოთხოვნა უფრო მეტ დასაქმებასა და შემცირებულ რეალურ ხელფასებს განაპირობებს. კეინზის ბევრ ინტერპრეტაციებში ამ გარემოებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

შედეგად, კეინზმა „დასაქმების დაბალი წონასწორობის" განმარტების წინაპირობად მყარი რეალური ხელფასები იგულისხმა. ასეთი ინტერპრეტაციით ფულადი ანაზღაურება „ზედმეტად მაღალია", მაგრამ დაქირავებულები ფულის ილუზიით მოჯადოებულნი არიან და ამიტომაც რეალური ხელფასის შემცირება უფრო მეტი დასაქმების უზრუნველყოფის ქმედითი ხერხია.

კეინზმა მის თეორიაში ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები „ჩაკეტილ ეკონომიკას" მიუსადაგა: ინვესტიციების „სოციალიზაცია" მაღალი დასაქმებისათვის შეიძლება გახდეს აუცილებელი, თუ ამას, შესაბამისად მაღალი მოთხოვნის უზრუნველყოფის პოზიციებიდან გამომდინარე, აუცილებელი სახელმწიფო ღონისძიებების (სახელმწიფო ინვესტიციები, სარგებლის პოლიტიკა) სახით წარმოვიდგენთ.

4. კეინზური რევოლუცია

კეინზის გაკვლევის შესაცნობად საჭიროა მისი ეკონომიკური აზროვნების პოლიტიკურ ხასიათში დავრწმუნდეთ. მისთვის უპირველესი საკითხია ის, თუ როგორ მოქმედებს ან იმოქმედებს ეკონომიკური პოლიტიკა იმ ადამიანთა კეთილდღეობაზე, ვისაც იგი ეხება. ამიტომაც კეინზის ნაშრომების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მიმართულება გაკვირვებას არ იწვევს. იგი ფართო პუბლიცისტური მოღვაწეობით, მათ შორის მკითხველთა მრავალი წერილით „ტაიმსში" და პოლიტიკოსებზე უშუალო ზემოქმედებით და ამ ქვეყნების „ძლიერებზე" პირადი კონტაქტებით მისი „თეორიული" ნაშრომების ქმედითობას აძლიერებს.

1 "Economic Journal", 48/49, 1938/1939.

კეინზის პოლიტიკური აზროვნება იმდენად შორს მიდის, რომ იგი გერმანიის კანცლერს (თავისი მეგობრის – მელქიორის დახმარებით) მოქმედების გეგმას სთავაზობს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მიიყვანონ ინგლისის მთავრობა ვერსალის ხელშეკრულების რევიზიამდე და ამისათვის ლონდონში პუბლიცისტურ ნიადაგს ამზადებს.

ნაშრომის – „როგორ გავისტუმროთ ომი“ (1940) რადიკალური გეგმა კეინზის ზუსტი მოქმედებების მაგალითია. იგი პუბლიცისტურად არწმუნებს და აიძულებს მთავრობას, რომ ომის არაინფლაციური დაფინანსება მოახდინოს.

ამავე დროს, „როგორ გავისტუმროთ ომი“ კეინზის შემოსავლების ანალიზის ორბიტაზე ინფლაციის თეორიის საწყისი დასაბუთებაა, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე ინფლაციის თეორიაში მეფობდა.

ასევე იყო **კეინზური რევოლუციაც: „ზოგადი თეორია“** მისი „ასპირანტ-ეკონომისტებისადმი“ მიმართვა იყო. კეინზს მისი თეორიის სჯეროდა, რომელიც ფესვებით სრულიად გარკვეულად თეორიის ისტორიაში დაჰყავდა. მაგრამ იმავდროულად, იმ ცვლილებების ეკონომიკურ პირობებში მას გათვალისწინება სურდა, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მიმართვა მიაღწევდა საზოგადოებამდე, რომელიც მას შეიგნებდა.

ომის გამო ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესება ძალზე სწრაფი და ყოვლისმომცველი იყო. 1944 წელს დიდი ბრიტანეთის მთავრობა „სრული დასაქმების პოლიტიკაში“ „ზოგადი თეორიის“ პრინციპებით ხელმძღვანელობდა, 1946 წელს კი ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც სრული დასაქმების აქტი მიიღო და თვით გაერთიანებული ერების ქარტიამაც მონაწილე ქვეყნებს სრული დასაქმების პოლიტიკა დაუმტკიცა. 1967 წელს მიღებული სტაბილიზაციის და ზრდის კანონი კეინზის თეორიის რეალიზაციად აღიქმება. ამ თეორიამ აკადემიურ სამყაროში თითქმის სრულ გამარჯვებას მიაღწია და იგი ფაქტობრივად ახალ ორთოდოქსულ თეორიად აღიარეს. იმ მრავალ სახელმძღვანელოს შორის, რომელიც ამას ასაბუთებს და ხელს უწყობს, პირველ რიგში პ.სამუელსონის „ეკონომიკსი“ შეიძლება დავასახელოთ. შემდეგში ვითარება შეიცვალა, – მისი თეორია დროის მოთხოვნებს ყოველთვის ვერ პასუხობდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ „კეინზური რევოლუციის“ დასასრულმა გაუხსნა გზა ეკონომიკაში კეინზის წვლილის სწორად გაგებას, როდესაც თეორიული საზღვრებისა და მასზე დაყრდნობილი ეკონომიკური პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ნათელი გახდა. კეინზის მოდელის ვიწრო და ძალზე აგრეგატულმა[1] ხასიათმა გააძლიერა ისეთი შეხედულებები, რომელთა მიხედვითაც ეკონომიკაში „სრული დასაქმების“ მიღწევამდე დიდი ხნით ადრე უკვე წარმოიქმნება მიწოდების ვიწრო ზოლი, მონეტარული პოლიტიკით რომ ვერ წაიშლებოდა. იგი არა მხოლოდ რეალური რესურსებით მომარაგებისა და სპეციალური დონის მქონე წარმოებრივი ძალების კვალიფიკაციას, არამედ საკალუტო ფონდებსაც ეხება.

გარდა ამისა, კეინზის რეცეპტები პოლიტიკურადაც სრულად ვერ განხორციელდა, კერძოდ, დასაქმების დაბალ დონეს თან ახლდა ფისკალური პოლიტიკა, რომელიც დამატებით მოთხოვნასა და სახელმწიფო ფინანსების დეფიციტს წარმოშობდა. აღმავალი ეკონომიკური კონიუნქტურის დროს ისინი ისე ვერ მცირდებოდა, როგორც ამას კეინზის „რეცეპტურა“ ითვალისწინებდა და სახელმწიფო ვალი სწრაფად იზრდებოდა. ამის შედეგს ინფლაციური მოვლენები წარმოადგენდა.

„სრული დასაქმების“ ცნებამ მცდარი დასკვნა განაპირობა, თითქოს ეკონომიკისათვის სრული დასაქმების მაუწყებელი მონეტარული მოთხოვნის დონე განისაზღვრება. სინამდვილეში სამუშაო ძალის მიწოდება, რომელიც შიგა და გარე წყაროებიდან იკვებება, შედარებით ელასტიკური აღმოჩნდა, – შესაბამისად „სრული დასაქმების პოლიტიკისათვის“ მოქმედების არეალიც დიდი იყო.

კეინზმა კარგად შეისწავლა და საკმაოდ ღიად იმსჯელა ინტელიგენციასა და პოლიტიკოსებზე, – და მაინც მას მხედველობაში ტექნიკურად განათლებული, პასუხისმგებელი ეკონომისტი ჰყავდა, რომელსაც პოლიტიკაში ხელმძღვანელ ადგილს აკუთვნებდა. კეინზი არ იყო კეინზელი, ისევე, როგორც მარქსი არ იყო მარქსისტი. ამიტომაც „კეინზის ერის“ დასასრულმა კეინზის თეორიული წვლილისადმი ინტერესი გაალვივა.

---

1 აგრეგატი (ლათ. aggregatus – შეერთებული, მიერთებული) – სხვადასხვა ნაწილაკის ან საგნის მექანიკური შეერთება.

თავი XX.
ჯონ რიჩარდ ჰიქსი (1904-1989)

ფაქტორების ინდივიდუალურ ოპტიმიზაციაზე დაფუძნებული ზოგადი წონასწორობის სისტემა პირველმა ლეონ ვალრასმა შექმნა, ვილფრედო პარეტომ კი ამისათვის სარგებლიანობის რაოდენობრივი გაზომვა აუცილებლად არ ჩათვალა. გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე ამის შესახებ ინგლისურენოვან ეკონომიკურ ლიტერატურაში ცოტა რამ იყო ცნობილი.

ჯონ ჰიქსმა მარშალის ტრადიციები ვალრასის მემკვიდრეობას დაუკავშირა და ამგვარად თანამედროვე ზოგადი წონასწორობის თეორიის ფუძემდებელი გახდა.

1. მათემატიკოსი - გამოყენებითი ეკონომიკისკენ

ინგლისელი ეკონომისტი, კეინზელი ჯონ რიჩარდ **ჰიქსი** (Hicks) დაიბადა 1904 წელს უორიკში (ინგლისი) ბაპტისტურ ოჯახში.

საშუალო სკოლაში მიღებულმა კარგმა განათლებამ მას ოქსფორდის კოლეჯის სტუდენტი-სტიპენდიანტის ადგილი მოუპოვა. ძირითადად მათემატიკას სწავლობდა, მაგრამ 1926 წლიდან ფილოსოფიის, პოლიტიკისა და ეკონომიკის ახალი პროგრამა გაიარა.

თავდაპირველად იგი შრომის ეკონომიკაში სპეციალიზდებოდა, შემდეგ კი ეკონომიკურ თეორიაში, რასაც ხელი შეუწყო მისმა მათემატიკურმა მონაცემებმა. ეკონომიკურ თეორიაში ცოდნა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში დროებითი ლექციების კითხვისას (1926) გაიღრმავა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიქსი პრაქტიკოს ეკონომისტ-სპეციალისტად ითვლებოდა, ჰიუ დალტონმა (რომელიც მოგვიანებით ფინანსთა მინისტრი გახდა) იგი პარეტოს წარუდგინა, რომელმაც, თავის მხრივ, ვალრასთან, მარშალთან და სხვ. დააკავშირა.

სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ჰიქსის განცხადებით, პროფკავშირები არა მხოლოდ თვითდახმარებისათვის შექმნილი კეთილმოსურნე ასოციაციები, არამედ პრივილეგიების დამცავი მონოპოლისტური ორგანიზაციაცაა და იგი მონოპოლისტური თეორიის პოზიციებიდან უნდა შეფასდეს.

1929 წელს ჰიქსი შეუერთდა **ჯგუფს**, რომელშიც შედიოდნენ: აბა ლერნერი, ნიკოლას კალდორი, როი ალენი და მოგვიანებით ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი.

1935 წელს ჰიქსი კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი გახდა. იმავე წელს იგი ეკონომისტ ურსულა ვებზე დაქორწინდა.

მოგვიანებით იგი სახელმწიფო ფინანსების გამოჩენილი მკვლევარი გახდა. ჰიქსის ცხოვრებაში მეცნიერულად ყველაზე უფრო ნაყოფიერი ეს პერიოდია.

კეინზმა მის აზროვნებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. კეინზთან მეგობრობის მიუხედავად, მან პიგუსთანაც კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა.

1938 წელს ჰიქსმა მანჩესტერის უნივერსიტეტში პროფესორობა მიიღო; აქ მან 1946 წლამდე დაჰყო. მომდევნო წლებში (1952-65) ის ოქსფორდის უნივერსიტეტში ნაფილდის კოლეჯის სამეცნიერო საბჭოს წევრი და პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი გახდა. თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ - 1965-71 წწ. ოქსფორდის კოლეჯში მეცნიერ-მუშაკად რჩებოდა

1972 წელს ჯონ ჰიქსს (კენეთ ეროუსთან ერთად) ნაშრომთა ციკლისათვის ეკონომიკაში ზოგადი წონასწორობისა და კეთილდღეობის თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის ეკონომიკაში **ნობელის პრემია** მიენიჭა.

იგი იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა სამეფო, იტალიის ეროვნული, ამერიკის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიების წევრი; 1960-62 წწ. ბრიტანეთის სამეფო ეკონომიკური საზოგადოების პრეზიდენტი.

ჰიქსი ცნობილი იყო, როგორც ფართო ერუდიციის მქონე ლექტორი და აგრეთვე როგორც ენთუზიასტი მებაღე, ციეი აბაზანებისა და ფიზიკური ვარჯიშების მოტრფიალე. უნიერსიტეტში

იგი ხშირად ველოსიპედით მიდიოდა. ეკონომეტრიკა არ უყვარდა და საკუთრივ ეკონომიკის თეორიისათვის არაფერს არ იკლევდა. მისი აზრით, თეორია გამოყენებით ეკონომიკას უნდა ემსახურებოდეს.

მიუხედავად ამისა, ყველა მისი ძირითადი ნაშრომი, არა მიმდინარე ეკონომიკურ საკითხებს, არამედ თეორიულ კონცეფციებს მოიცავს.

გარდაიცვალა 1989 წელს.

2. ნაშრომები: მთავარი - „ღირებულება და კაპიტალი"

ჰიკსი ეკონომიკის სფეროში მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორი და თანაავტორია, მაგრამ მის ძირითად წვლილს ეკონომიკის მეცნიერებაში რამდენიმე ნაშრომი წარმოადგენს.

მისი პირველი წიგნია „**ხელფასის თეორია**" (1932). აქ გადმოცემული იდეები ხელფასის თეორიის „ნეოკლასიკურ" ნიმუშადაა მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ წიგნში მოცემულია წარმოების ფაქტორების ცვალებადობის მათემატიკური ანალიზი და სხვ. საკითხები.

ამ ნაშრომში ავტორმა შემოიტანა „**სუბსტიტუციის (შემცვლელის) ელასტიკურობის**" მაჩვენებელი, რომელიც ზომავს წარმოების ერთი ფაქტორის მეორე ფაქტორით შეცვლის სიიოლეს. აქვე მიუთითა, რომ ელასტიკურობის ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია შემოსავლის განაწილებასა და ეკონომიკურ ზრდასთან[1].

ფაქტორების შენაცვლების ელასტიკურობამ ჰიკსი 1934 წ. რ.ალენთან ერთად დაწერილ სტატიაში – „**ღირებულების თეორიის გადასინჯვა**" – ფასების თეორიამდე მიიყვანა. „დიდი დეპრესიის" ზეგავლენით ჰიკსმა ხელფასების მაკროეკონომიკური თეორიის ნაკლოვანი მხარეები შეამჩნია და ფულის საკითხს კვლავ დაუბრუნდა.

„**წინადადებანი ფულის თეორიის გამარტივებისათვის**" (1935) მონეტარული თეორიისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატია იყო, რომელშიც ფულზე მოთხოვნის საკითხებია გაანალიზებული.

ჰიკსი, როგორც მაკროეკონომისტი, თანდათან კეინზისკენ გადაიხარა. სტატია – „**ბატონი კეინზი და კლასიკოსები**" (1937) – კეინზამდელი და კეინზის თეორიის ანალიტიკურ გააზრებას მიეძღვნა. მასში ავტორმა წარმოადგინა დიაგრამა „დანაზოგები კაპიტალდაბანდებებისათვის - ფულის ბაზარი", რომელიც შემდგომში მაკროეკონომიკის ყველა სახელმძღვანელოში შევიდა[2].

წიგნზე – „**ღირებულება და კაპიტალი**" (1939) – ჰიკსმა მუშაობა კეინზის „ზოგადი თეორიის" გაცნობამდე დაიწყო.

ეს წიგნი მისი მიღწევების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი გახდა. მასში პარეტოს ორდინალური[3] სარგებლიანობა და სლუცკის შედარებით-სტატიკური ეფექტების ანალიზი, პოსტკეინსელიანურ დინამიკასა, კეინზისეულ მაკროსტატისტიკასა და ბემ-ბაევრკისეული კაპიტალის თეორიასთანაა შეხამებული.

„ღირებულება და კაპიტალის" პირველი ნაწილი (სუბიექტური ღირებულების თეორია) მომხმარებლებისა და მწარმოებლების ქცევის ანალიზს ეძღვნება. ავტორის მტკიცებით, საქონლის ფასში ცვლილებებს აქვთ როგორც „სუბსტიტუციური[4] ეფექტი" (ყოველთვის ნეგატიურია), ასევე „შემოსავლის ეფექტი" (არის ნეგატიურიც და პოზიტიურიც).

აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია ეკონომიკური მდგრადობის პრობლემები და შემოტანილია „დროებითი წონასწორობის" ცნება, რაც ფართოდ გამოიყენება მაკროეკონომიკაში[5].

წიგნის მეორე და მესამე ნაწილებია: „**ზოგადი წინასწორობა**" და „**დინამიკური ეკონომიკური თეორიის საფუძვლები**".

ყველა ამ ელემენტის თეორიული კვლევის გაერთიანების შედეგად მომდევნო თაობის ბრწყ-

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერეტუუმ მობილე, გვ. 58-59.

2 იქვე, გვ. 61.

3 ორდინალური (ლათ. ordinalis) რიგითის, რიგობრივის ნიშნავს.

4 სუბსტიტუცია (ლათ. substitutio) - ერთი რისამეს მეორეთი შეცვლა.

5 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, აღნ. წიგნი, გვ. 59-60.

ინვალე თეორეტიკოსებს კარგი სასტარტო საფუძველი შეექმნათ.

მეორე მსოფლიო ომისა და მის წინა პერიოდში ჰიკსი თავის მეუღლესთან ერთად უმეტესად სახელმწიფო ფინანსების პრაქტიკულ პრობლემებზე მუშაობდა. მის კალამს ეკუთვნის „სოციალური საფუძვლები“ (1942), რომელიც მაკროეკონომიკის თეორიის შესავალს წარმოადგენს.

„წესრიგი ვაჭრობის ციკლის თეორიაში“ (1950) მისი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელშიც გაანალიზებულია მოკლევადიანი განვითარების დინამიკური ბუნება.

რაგნარ ფრიში ეკონომიკურ ციკლებს სისტემის ეკონომიკური წონასწორობის ნებისმიერი დარღვევით ხსნიდა, ჰიკსი კი ეკონომიკურ ციკლებს „მულტიპლიკატორისა“ და „აქსელერატორის“ ინტენსიური ურთიერთზემოქმედებით ხსნის, რაც სისტემას მაქსიმალურად სრული დასაქმებისა და მინიმალური ინვესტიციებისაკენ უბიძგებს. თავის მხრივ, თითოეული მათგანის დონე ეკონომიკური განვითარების დროს იზრდება.

50-60-იან წლებში ჰიკსმა დაამუშავა გამოყენებითი ეკონომიკის, საერთაშორისო ვაჭრობის, დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემის, განვითარებადი ქვეყნების პრობლემები.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მისი წიგნი – „კაპიტალი და ზრდა“ (1965), რომელშიც შედარებითი დინამიკის ცნება გამოყენებულია სტაბილური და ოპტიმალური განვითარების გზების შესწავლისათვის, ანალიზს დაექვემდებარა ბაზრების კონცეფცია „ფიქსირებული“ და „მოქნილი“ ფასებით.

წიგნში „მიზეზობრიობა ეკონომიკაში“ (1979) გამოკვლეულია ეკონომიკური პროცესების თანმიმდევრობა; განსხვავებები ეკონომიკურ მარაგსა და ნაკადებს შორის; ეკონომიკურ ცვლილებებს შორის მიზეზობრიული დამოკიდებულებების პრობლემა[1].

ნაშრომებში – „ეკონომიკის ისტორიის თეორია“ (1969) და „კაპიტალი და დრო: ნეოავსტრიული თეორია“ (1973) – ჰიკსმა თავისი დოქტრინა ეკონომიკური ისტორიის ანალიზისათვის, ახალი ტექნოლოგიების გავრცელებისა და ეკონომიკურ ზრდაზე ამ პროცესების ზემოქმედების პოზიციებიდან გამოიყენა.

ჰიკსის შეხედულება ეკონომიკის მეცნიერებაზე (გამოყენებით მეცნიერებაში მუშაობის გაელენით) თანდათანობით შეიცვალა. თავის ადრინდელ ნაშრომებს გამუდმებით იგი თავიდან ხსნიდა, აკრიტიკებდა, იცავდა, უარყოფდა, ასწორებდა და გამოსცემდა.

მისი ნაყოფიერი და ცნობისმოყვარე გონება მუშაობას განაგრძობდა. წიგნებსა და სტატიებს ქმნიდა ღირებულებაზე, კაპიტალზე, ეკონომიკის განვითარებაზე, ისტორიაზე და მიმდინარე პროცესებზე.

ცხოვრების ბოლო წლებში გამოაქვეყნა ნაშრომები: „კეინზიანური ეკონომიკის კრიზისი“ (1974); „ეკონომიკური პერსპექტივები: ფულისა და ზრდის თეორიების გამოკვლევა“ (1977); „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ (1982); „კლასიკოსები და თანამედროვეები“ (1982); „დინამიკური ეკონომიკური მეთოდები“ (1985); „საბაზრო თეორია და ფული“ (1989).

ეს ნაშრომები სიბრძნითა და საინტერესო შეხედულებებით იყო აღსავსე, მაგრამ ეკონომიკის თეორიაში არსებით წვლილს უკვე აღარ წარმოადგენდა.

3. დროებითი წონასწორობა და მოლოდინის თეორიის საფუძვლები

კვლევის სინთეზის გარდა, ეკონომიკის თეორია ჰიკსმა სხვა სიახლეებითაც გაამდიდრა, რომელიც ძირითადად წარმოებას, ეკონომიკური მაჩვენებლების გაერთიანებას, სტაბილურობასა და დროებითი პროცესების სფეროებს ეხებოდა.

ჰიკსმა პირველმა შემოიტანა მეცნიერულ ბრუნვაში ტერმინები: „ნეოკლასიკური სინთეზი“ და „დროებითი წონასწორობა“, საფუძველი ჩაუყარა „მოლოდინის თეორიას“. იგი ეკონომიკური ციკლის კეინზური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია ამერიკელ ა.ჰანსენთან (1887-1976) ერთად.

გარდა ამისა, ჰიკსმა: გააანალიზა საქონლის და ფულადი ბაზრების ურთიერთზემოქმედების მექანიზმები – მოდელი „ინვესტიციები-დანაზოგები-ლიკვიდურობის უპირატესობა-ფული“. ამასთან,

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერეტუუმ მობილე, გვ. 63.

ეკონომიკური ანალიზში შეიტანა „IS-LM მრუდები". შესაბამისად, გადამკვეთი მრუდების სისტემას, რომელიც ბაზარზე ფულისა და საქონლის ერთდროულ წონასწორობას გამოხატავს „ჰიკსის ჯვარი" ეწოდება.

წარმოების თეორიაში ჰიკსის ძირითადი ორიგინალური ნაშრომები წარმოების ფაქტორების ცვალებადობის ელასტიკურობასთან, ინვესტიციების კლასიფიკაციასა და რეგრესიული ფაქტორების აღმოჩენასთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად: „ჰიკსის კრიტერიუმის" მიხედვით, წარმოების ფაქტორების თანაფარდობასთან ერთად, შენაცვლების ელასტიკურობაც იცვლება; თუ წარმოების ფაქტორების თანაფარდობა უცვლელია, მაშინ შენაცვლების ელასტიკურობა მუდმივია. ასეთი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი (მტპ) **ნეიტრალურია** და აღიწერება წარმოებრივ ფუნქციაში შენაცვლების მუდმივი ელასტიკურობით; კაპიტალის დანახარჯების ხარჯზე შრომის შეცვლისას მტპ **შრომის დამზოგველია**. თუ კაპიტალის შენაცვლება იზრდება შრომის დანახარჯების ზრდით, მაშინ მტპ **კაპიტალდამზოგველია**. ასეთ არანეიტრალურ მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესს აფიქსირებს წარმოებრივი ფუნქციები ცვლად ელასტიკურ შენაცვლებასთან.

პიგუს აზრით, წარმოების მოცულობის ზრდამ (იმის გამო, რომ მან წარმოების ფართომასშტაბიანი მეთოდებისაკენ გადანაცვლება შეიძლება გამოიწვიოს) ზოგიერთ ფაქტორზე შესაძლოა მოთხოვნა შეამციროს[1]. ნაშრომში – „ღირებულება და კაპიტალი" ჰიკსმა მიუთითა, რომ ეს შემთხვევა წარმოების თეორიაში დაბალი ხარისხის საქონლის მოხმარების თეორიის ზუსტი ასლია. ასეთ შეფასებას მან **რეგრესული ფაქტორები** უწოდა.

ფაქტორების რეგრესულობა, საქონლის დაბალი ხარისხის მსგავსად, ზოგიერთ საინტერესო მოვლენას განაპირობებს. ამის მაგალითია ნაწარმზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში რეგრესულ ფაქტორზე მოთხოვნის შემცირება.

ეკონომიკურ სივრცეში უამრავი განსხვავებული საქონელია. ეკონომიკური მოდელები, ჩვეულებრივ, მხოლოდ რამდენიმე მათგანით შემოიფარგლება, ხოლო გრაფიკული წარმოდგენისას კი უმთავრესად ორი სახის საქონელს ირჩევენ. ეკონომიკური მეცნიერება ცვლადი სიდიდეების გაერთიანების შესახებ ფუნდამენტურ მიდგომას სწორედ ჰიკსს უნდა უმადლოდეს. თუმცა, ამ საკითხში უფრო ადრე თავისი წვლილი ლეონტიევმა შეიტანა[2].

ამ თეორიის მათემატიკური მტკიცება მოცემულია ჰიკსის ნაშრომში – „ღირებულება და კაპიტალი", სადაც ნათქვამია, რომ „ფიზიკური საგნების ნაკრები ყოველთვის ისე შეიძლება იქნეს განხილული, თითქოს იგი ცალკეული საქონლის ერთეულებად გაყოფადია მანამ, სანამ ამ საქონელთა შედარებითი ფასები უცვლელი იქნება"[3]. სხვანაირად ამ აზრს იგი ასე აყალიბებს: თუ საქონელთა ჯგუფის ფასები ერთნაირი პროპორციით იცვლება, ეს ჯგუფი ზუსტად ისე იქცევა, თითქოს ერთი საქონელი იყოს.

„რთული საქონლის" თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი მაკროეკონომისტებს საკითხებისადმი სწორ მიდგომაში ეხმარება. მაგალითად, ხშირად სხვადასხვა კვალიფიკაციის შრომის „საშუალო შრომამდე" დაყვანა დაკანონებულია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თეორია მაკროეკონომისტებს დამშვიდების საშუალებას არ აძლევს. ამ შემთხვევათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ხანგრძლივობის წარმოებრივი საშუალებების (წარმოებრივი დანიშნულების საქონლის) შემთხვევა. მაკროეკონომისტისათვის, სარგებლის განაკვეთის ასახსნელად ხშირად მათი რთულ (შედგენილ) წარმოებრივ საშუალებებად გაერთიანებაა მოხერხებული. მაგრამ ბაზარზე სარგებლის განაკვეთის ყოველი შემცირება დიდი ხნის განმავლობაში წარმოებრივი საშუალებების გაძვირებას იწვევს, რის შედეგადაც „რთული საქონლის" თეორიის ძირითადი მოთხოვნა არ კმაყოფილდება. სარგებლის ცვალებადი განაკვეთის შემთხვევაში სხვადასხვა წარმოებრივი საშუალებების გაერთიანება შეუძლებელია.

როგორც ცნობილია, ვალრასმა ზოგადი წონასწორობის სისტემა შექმნა, მაგრამ მას წონასწორობის ძირითად პირობებში მოცემული ცვლილებების ეფექტის შესახებ ფაქტობრივად არაფერი უთქვამს – მას შედარებითი სტატიკა აკლდა. მარშალს ბევრი რამ აქვს დაწერილი სტატიკის

1 **Pigou**, Arthur Cecil, The Economics of Welfare, L., 1960, გვ.223.
2 **Leontief**, W., The Future of the World Economy. A United Nations Study, N.Y., 1977.
3 **Hicks**, J., Value and Capital..., Oxf., 1939, გვ. 33.

შესახებ, მაგრამ იგი ზოგადი წონასწორობის გარკვეულ სისტემას არ ეფუძნებოდა.

მათგან განსხვავებით, ჰიკსმა ზოგადი წონასწორობის სისტემის შედარებით-სტატიკური ანალიზი წამოიწყო.

მისი აზრით, **შედარებითი სტატიკა** სტაბილურ სისტემაში მნიშვნელოვანია. არამდგრადი სისტემა, პირობების ცვლილებების შემდეგ, ახალი წონასწორობისაკენ არ მიისწრაფის და ამგვარად შედარებით-სტატიკური განსაზღვრისათვის არაეფექტიანია.

პრინციპში ასეთი მიდგომა მთლად სიახლე არ იყო: ერთიანი ბაზრებისათვის მას ინტენსიურად იყენებდა მარშალი, ხოლო მოგვიანებით ერთობლივი მოთხოვნისათვის იგი კეინზურ მოდელებში იყო გამოყენებული. „ღირებულება და კაპიტალში" ჰიკსმა ეს თვალსაზრისი „რთული" ბაზრების ანალიზისას პირველად გამოიყენა.

ჰიკსმა სისტემის სტაბილურობის ორი სახეობა დაასახელა: პირველი, **არასრული სტაბილურობა**, როდესაც საქონელზე ფასის ზრდის შედეგად ჭარბი მოთხოვნა მცირდება; მეორე, **სტაბილური სისტემა**, როდესაც მოთხოვნის ზრდა ფასის ზრდას განაპირობებს: ბაზარი დაუყოვნებლივ არ რეგულირდება და ამ დროში სისტემა კვლავ შეიძლება „მოიშალოს". ამიტომ ჰიკსმა შემოიღო კრიტერიუმი, რომელსაც **სრული სტაბილურობის კრიტერიუმი** უწოდა. ამ კრიტერიუმის თანახმად, ჭარბი მოთხოვნა უნდა შემცირდეს. თუმცა, ფასის მატების შედეგადაც კი შესაბამის ბაზრებზე ჭარბი მოთხოვნა ვერ გამოირიცხება.

პ.სამუელსონის აზრით, ჰიკსის კრიტერიუმების ძირითადი ნაკლია ის, რომ ის უფრო ინტუიციას ემყარება, ვიდრე ნათელ დინამიკურ ანალიზს[1]. ასეთი ანალიზისას ეს სტაბილურობისათვის არასაკმარისია. მიუხედავად ამისა, **ჰიკსის ინტუიცია** მნიშვნელოვანი იყო.

ლ.მეტცლერმა[2] აჩვენა, რომ ჰიკსის სრული სტაბილურობის პრინციპი დინამიკური სტაბილურობისთვისაა საკმარისი.

„ღირებულება და კაპიტალის" პირველი ნაწილი ვალრასისეული წონასწორობის სტატიკას, მეორე ნაწილი კი დინამიკას ეძღვნება. ჰიკსმა ევოლუციური პროცესები სტატიკურ მეთოდებს დაუმორჩილა. ეს გზა შემდეგში მდგომარეობდა: დრო პერიოდებად, **კვირეებად** დაჰყო. ყველა საქმიანი **გარიგება** მხოლოდ **ორშაბათობით** ხდებოდა, კვირის დარჩენილ დროში კი ბაზრები დახურული იყო.

შინამეურნეობები და ფირმები ორშაბათობით ბაზარში თავიანთი ნაწარმს წარადგენდნენ. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მათ იცოდნენ მომავალ კვირეებში მოსალოდნელი ფასების დონე — ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავიანთი მუშაობის გეგმები.

პირველ ორშაბათს დროებითი წონასწორობა მყარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ბაზარი მოგებიანია, შესაძლოა წინასწარი მოლოდინი არ გამართლდეს და გეგმები შეიცვალოს. მეორე ორშაბათს წარმომადგენლები სხვადასხვა ნაწარმით, მოლოდინებით და გეგმებით ცხადდებიან — მყარდება ახალი დროებითი წონასწორობა და ა.შ.

ამგვარად, ეკონომიკური ცვლილებები დროებითი წონასწორობის ჯაჭვის სახით წარმოგვიდგება. პერიოდების ერთ-ერთი დამაკავშირებელი რგოლი **მომავლის მოლოდინია**.

მიმდინარე ფასის ცვლილებების გათვალისწინებით ჰიკსს ისევ **მოსალოდნელი ფასების ელასტიკურობის**[3] ცნება შემოაქვს:

- თუ ელასტიკურობა ნულის ტოლია, მაშინ მიმდინარე ფასებში ცვლილებები მოსალოდნელ ფასებზე გავლენას არ ახდენს;
- თუ ელასტიკურობა ერთის ტოლია, მაშინ მიმდინარე ფასების ცვლილებების გავლენა მუდმივია;
- თუ მოსალოდნელი ფასების ელასტიკურობა დაბალია, ეკონომიკა სტაბილურობისკენ მიისწრაფის, ხოლო თუ მაღალია, მაშინ იგი ეკონომიკის არასტაბილურობას მოასწავებს.

ჰიკსი მოგვიანებით მისი თეორიის შეზღუდულობას მიხვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ თეორიამ პრობლემის ამოხსნას უდავოდ ხელი შეუწყო.

ასეთმა მიდგომებმა ჰიკსს მაკროდინამიკური პრობლემების ზოგადი წონასწორობის განხილ-

---

1 Samuelson P., Foundations of Economic Analysis, Cambr., 1947.

2 Metzler L., Collected Papers, Cambr., 1973.

3 **ფასების ელასტიკურობა** – ფასებთან მიმართებით მოთხოვნის ან მიწოდების ელასტიკურობა (მოქნილობა); ფასების ცვლილებაში მოთხოვნის (მიწოდების) ცვლილების რეაქცია.

ვის საშუალება მისცა. ერთ-ერთი სპეციფიკური პრობლემა, რომლის მიმართაც მან თავისი მოდელი გამოიყენა, – ვადიან სესხებზე სარგებლის განაკვეთების სტრუქტურაა.

საკითხი ასე იდგა: როგორ კავშირშია ერთმანეთთან ერთდღიანი და სხვადასხვავადიანი სესხები სარგებლის განაკვეთებიდან გამომდინარე.

ფიშერის აზრით, გრძელვადიანი სიდიდეები ძირითადად, შესაბამისი მოკლევადიანი სიდიდეების საშუალოს წარმოადგენს[1].

ჰიკსმა ფიშერის მტკიცება მოკლე დეტალური ანალიზით შეავსო: დავუშვათ, რომ დრო დაყოფილია კვირეებად და, რომ საკრედიტო ბაზარი ყოველი პერიოდის დასაწყისში ღიაა. ნებისმიერ საბაზრო დღეს შეიძლება დაიდოს, როგორც უვადო, ისე ვადიანი საკრედიტო ხელშეკრულება. სესხები რამდენიმე კვირით შეიძლება გაიცეს, მაგრამ სარგებლის განაკვეთი თითოეულ კვირაზე იანგარიშება. ასე რომ, ორკვირიან სესხს დადგენილი სარგებლის გაორმაგებული დონე შეესაბამება.

აქ ჰიკსმა ნათელყო, რომ მოცემული კვირის სარგებლის განაკვეთი დაუყოვნებლივ გადასახდელი სარგებლის განაკვეთის ტოლი არ იქნება. მიუხედავად ამისა, მისი მომავლის მოლოდინის ჰიპოთეზა ამ სფეროს კვლევების საფუძველი გახდა.

4. საუკუნის დიდი ბრიტანელი თეორეტიკოსი

ჰიკსის ადრინდელი ნაშრომების (განსაკუთრებით „ღირებულება და კაპიტალის“) გავლენა მეტად მნიშვნელოვანი იყო. მის გვიანდელ ნაწერებს, მიუხედავად ავტორის მიმართ პატივისცემისა და ინტერესისა, ასეთი დიდი გამოხმაურებები არ მოჰყოლია.

თავის ადრინდელ ნაშრომებში ჰიკსი, როგორც თვითონ მოგვიანებით აღნიშნავს, ისეთ საკითხებს აყენებდა, რომელთაც გადაწყვეტა ხელმისაწვდომი იყო. პრობლემები, რომლებსაც იგი თავის გვიანდელ ნაშრომებში შეეხო, ალბათ, უფრო ღრმა და სასარგებლო იყო, მაგრამ მათი გადაწყვეტა მის ძალებს აღემატებოდა.

ჰიკსი ეკონომიკური აზრის ისტორიაში შევიდა, როგორც საუკუნის დიდიბრიტანელი თეორეტიკოსი. ერთი მხრივ, ამით ის ფაქტი აისახება, რომ მარშალის შემდგომი პერიოდის ინგლისი ეკონომიკის თეორიის ლიდერი აღარ იყო, მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიკსი კეინზთან ერთად მნიშვნელოვანი ფიგურაა.

კეინზის კალმის ძალამ „დიდებული რევოლუცია“, ხოლო ჰიკსის ანალიზის უნარმა კი თანამედროვე ზოგადი წონასწორობის ანალიზი მოგვცა.

ლიტერატურა (თავები XVIII-XX)

ი.ანანიაშვილი, კ.ჩხელაშვილი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

სპერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.ცრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II. თბ., 1975.

ა.გრიშიკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თბ., 1998.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუმ-მობილე, თბილისი, 2005.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

1 Fisher Irving, The Theory of Interest as Determined by Impatience to Spend Income and Opportunity to Invest It., N.Y., 1930, გვ. 70.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, М., 1994.

Блюмин И.Г., Критика буржуазной политической экономии, т.I, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.4, М., 1990.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Жамс Э., История экономической мысли XX века, Пер. с франц., М., 1959.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Мировая экономическая мысль, т.III, М., 2005.

Осадчая И.М.: Кейнс и современная буржуазная политическая экономия, М., 1965; Современное кейнсианство, М., 1971.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Dunlop J.G., The Movement of Real and Money Wage Rates - „Economic Journal", 48/1938.

Fisher Irving, The Theory of Interest as Determined by Impatience to Spend Income and Opportunity to Invest It., N.Y., 1930.

Hansen A. A Guide to Keynes, N.Y., 1953.

Harrod R., The Life of J.M. Keynes, L., 1951.

Hicks John: The Theory of Wages, L., 1932; Mr Keynes and the Classik-Econometrica, №.5, 1937; Value and Capital: An Inquiry into Some Fundamental Principles of Economic Theory, Oxf., 1939; The Social Framework: An Introduction to Economics, Oxf., 1942; A Contribution to the Theory of the Trade Cycle, Oxf., 1950; Capital and Growth, N.Y., 1965; Critical Essays in Monetary Theory, Oxf., 1967; A Theory of Economic history, Oxf., 1969; Capital and Time: A Neo-Austrian Theory, Oxf., 1973; Collected Essays on Economic Theory, Oxf., 1973; The crisis in Keynesian Economics, Oxford, 1974; Economic perspectives: further essays on money and growth, Oxford, 1977; Causality in Economics, 1979; Wealth and interest, and wages, Cambr.-Mass., 1982; Classics and modern, 1983; Methods of dynamic economics, Oxford, 1985; A Market Theory of Money, Oxford, 1989; რუს. თარგმ.: Стоймость и капиталь, Пер. с англ., ред. Р.М. **Энтова**, М., 1993; Господин Кейнс и «классики». Политика интерпретации – Истоки, Вып. 3, М., 1998; Движущая сила экономического роста – Мировая экономическая мысль, М., 2004; Пересмотр теории ценности (რ.გ.დ. ალენთან ერთად) – Реабилитация потребительского анализа – "Вехи экономической мысли", т.1, Санкт-Петербург, 2000; Годовой обзор эк-ой теории: теория монополии – "Вехи экономической мысли", т.2, Санкт-Петербург, 2000.

Keynes John Maynard: Indian Currency and Finance, L., 1913; The Economic Consequences of the Peace, L., 1919; Treatise on Probability, L., 1921; A Revision of the Treaty, beinga sequel of the economic consequences of the peace, L., 1922; A Tract of Monetary Reform, L., 1923; The Economic Consequences of Mr. Churchill., L., 1925; A Short View on Russia, L., 1925; The End of Laisser-Faire, L., 1926; Can Lloyd George do it? L., 1929; A Treatise of Money, 2Vols, L., 1930; Economic Possibilities for our Grandchildren - „Nation Athenaeum", 18.X, 1930; Essays in Biography, L., 1933; The Means to Prosperity, L., 1933; The General Theory of Employment, Interest and Money, L., 1936; Relative Movenments of Real Wages and Output-"Ec.Jorn", 49/1939; How to Pay for the War., L., 1940; Экономические последствия Версальского мирного договора, М., 1922; Трактат о денежной реформе - В кн.: Избранные произведения, Пер. с англ., М., 1993; Общая теория занятности, процента и денег, Пер. с англ., М., 1978; Беглый взгляд на Россию – Социс., 1991, N 7, с. 137-145; დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, თარგმანი რუსულიდან, ქუთაისი, 1995.

Kaldor N., Prof. Pigou on Money Wages in Relation to Unemployment - „Ec. J.", Bd.47, 1937.

Leontief W., The Future of the World Economy. A United Nations Study, N.Y., 1977.

Metzler L., Collected Papers, Cambr., 1973.

Pigou A.C.: Wealth and Welfare, L., 1912/1960; Unemployment, L., 1913; The Value of Money - „Quarterly Journal of Economics", Bd.,32, L., 1917-1918/1952; The Economics of Welfare, L., 1920;

Industrial Fluctuations, L., 1927/1929; A Study in Public Finance, L., N.Y., N., 1928/1956; An Analysis of Supply- „Ec. L.", Bd.,38, 1928; The Theory of Unemployment, L., 1933; The Economics of Stationary States, L., 1935/1960; Mr. J.M. **Keynes**, General Theory of Employment, Interest and Money, in: Economica, Bd.3, 1936; Real und Money Wage Rates in Relation to Unemployment - „Ec. J.", Bd.47, 1937; Real und Money Wages in Relation to Unemployment – "Ec. J.", Bd.48, 1938; Employment and Equilibrium, L., N.Y., 1941 /49/52; Types of War Inflation - „Ec.J.", Bd.,51,1941; Lapses from Full Employment, L., N.Y., 1945/49/52/57; Keynes „General Theory. A Retrospective View", L., N., 1950/51/52; The Economics of Welfare, L., 1960; Экономическая теория благосостояния, В 2-х томах, Пер. с англ., М., 1985.

Samuelson P., Foundations of Economic Analysis, Cambr., 1947.

Robinson A (ხელმძღვ.)., The Collected Writings of J.M., Keynes, Vol.1-30, L.,1971-82.

Tarshis Changes in Real and Money Wages - „Ec. Journal", 44/1939.

თავი XXI.
ინსტიტუციონალური ეკონომიკური დოქტრინები

1. ინსტიტუციონალიზმი და ნეოინსტიტუციონალიზმი

ინსტიტუციონალიზმის დოქტრინა ჩამოყალიბდა მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე. აშშ-ში ტ.ვებლენის, ჯ.კომონსისა და უ.მიტჩელის შრომებში. იგი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მთავარ როლს ინსტიტუტებს ანიჭებდა. ისინი „ინსტიტუციაში“ (ინსტიტუტი) განიხილავდნენ: სახელმწიფოს, კანონმდებლობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ზნე-ჩვეულებებს და ა.შ.

ინსტიტუციონალისტებმა ადამიანთა ქცევებში, პირადი ინტერესების ნაცვლად, უპირატესობა მიანიჭეს საზოგადოებრივ მოტივებს, გააკრიტიკეს საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოდელი. მათ განსაკუთრებული როლი მიანიჭეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას (როგორც კეინზმა და მისმა მიმდევრებმა).

ეს დოქტრინა სახეცვლილი ფორმით ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდშიც ნეოინსტიტუციონალიზმის სახელწოდებით.

ნეოინსტიტუციონალიზმი არის ინსტიტუციონალიზმის თანამედროვე სახესხვაობა. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა კვლევის პროცესში ტექნოლოგიურ სიახლეებზე აქცენტირება, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს განვითარებული და სუსტად განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

2. სოციალურ-ფსიქოლოგიური დოქტრინა: ტორსტეინ ბუნდე ვებლენი (1857-1924)

2.1. ნორვეგიელი ემიგრანტი და მისი ნაშრომები

ამერიკულ ინსტიტუციონალურ სკოლას საფუძველი დაუდო ტ.ვებლენის ნაწერებმა. წარმატების ამერიკული კრიტერიუმების მიხედვით, იგი უმეტესწილად უიღბლო აღმოჩნდა, რადგან ყოველთვის ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა და, მიუხედავად ამისა, თერთმეტი წიგნი გამოსცა (თუმცა პროფესორი არასდროს გამხდარა). იგი ჯერ კიდევ ჩიკაგოს უნივერსიტეტის ინსტრუქტორი იყო, როდესაც ბევრი მისი თანაკურსელი უკვე მაღალ თანამდებობაზე მოღვაწეობდა.

ტორსტეინ ბუნდე **ვებლენი** (Veblen) დაიბადა 1857 წელს ს.კატოში (ვისკონსინის შტატში, აშშ). ის ნორვეგიელი ემიგრანტების თერთმეტშვილიანი ოჯახიდან მეექვსე შვილი იყო.

ცოტა რამ არის ცნობილი მისი ბავშვობის წლების შესახებ, მაგრამ ვებლენის ცხოვრება უცნობ ქვეყანაში ადვილი არ უნდა ყოფილიყო. მამის ხელშეწყობით, რომელმაც ყველა შვილს კოლეჯი დაამთავრებინა, წარმოშობას ხელი არ შეუშლია სწავლისადმი მისი მისწრაფებისათვის.

ჩვიდმეტი წლის ასაკში ის კარლეტონის კოლეჯში (ნორთფილდი) შევიდა, სადაც ჯონ ბეითს კლარკის სტუდენტი იყო.

დამთავრებისთანავე მან კერძო ნორვეგიულ სკოლაში მასწავლებლობა დაიწყო, შემდეგ კი სწავლა ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში (ქ.ბალტიმორი, აშშ) განაგრძო, სადაც ეკონომიკურ ცოდნას ეუფლებოდა. აქ მან სტიპენდია ვერ მიიღო, რამაც დააჩქარა მისი იელის უნივერსიტეტში გადასვლა, სადაც 1884 წ. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო.

ვებლენის ცხოვრებაში პირველი წინააღმდეგობები მაშინ დაიწყო, როცა მან ხარისხის მიუხედავად, მასწავლებლის ადგილი ვერ შეინარჩუნა. შესაძლოა, მისმა აგნოსტიციზმმა იგი არასასურველ პიროვნებად გახადა, მაშინ როდესაც ფილოსოფოსები ზედმეტად რელიგიურებად მიაჩნდათ.

იგი მინესოტაში დაბრუნდა, სადაც მომდევნო წლები ინტელექტუალურ იზოლაციაში გა-

ტარა. ვებლენის ცხოვრებაში ამ პერიოდში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ 1888 წელს მან ცოლად შეირთო თავისი ყოფილი თანაკლასელი. უმეტეს დროს იგი წიგნების კითხვაში ატარებდა.

1891 წელს ვებლენმა გადაწყვიტა ბედი კვლავ მეცნიერებაში ეცადა. მომდევნო წელს მან ჩიკაგოს უნივერსიტეტის მიწვევა მიიღო, სადაც 1906 წლამდე დარჩა – ეს იყო მისი რომელიმე უნივერსიტეტში ყოფნის ყველაზე ხანგრძლივი დრო.

ჩიკაგოში ამ პერიოდში მან ბევრი სტატია და მიმოხილვა დაწერა და თავისი პირველი წიგნი – **„თავისუფალი კლასის თეორია“** (1899) დაამთავრა. ამავე დროს იგი ჟურნალ **„პოლიტიკური ეკონომიის“** რედაქტორია.

მის პირველ წიგნს მოჰყვა სხვებიც: **„მეწარმეობის თეორია“** (1904); **„ოსტატობის ინსტინქტი და წარმოების ტექნოლოგიის განვითარება“** (1914); **„მსხვილი მეწარმეები და უბრალო ადამიანი“** (1919); **„ინჟინრები და ფასების სისტემა“** (1921), **„აბსენტეისტური საკუთრება ახალ დროში“** (1923) და სხვ.

როგორც პედაგოგმა ჩიკაგოში თავი ვერ გამოიჩინა. მისი მეცადინეობების უმეტესობა მოსაწყენ მონოტონურ სტილში მიმდინარეობდა. თავის სტუდენტებს ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, კოლეგებთან თანამშრომლობაში კი უუნარობას ამჟღავნებდა. აქედან გამომდინარე, ძნელი ასახსნელი არაა, თუ რატომ დასჭირდა მას რვა წელი ასისტენტ-პროფესორად გახდომისათვის (მიუხედავად იმისა, რომ მას დოქტორობა კანტის ეთიკის პრობლემებზე იელის უნივერსიტეტში უკვე მიღებული ჰქონდა).

დროთა განმავლობაში მან ქალებთან დაკავშირებული ინციდენტებისა და მეუღლესთან უსიამოვნების გამო ჩიკაგო დატოვა და 1906 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში გადავიდა; იმავე მიზეზებმა და მათ შორის, ქალებისადმი მისმა გახმაურებულმა მიდრეკილებებმა ხუთი წლის შემდეგ იგი აიძულა მისურის (ქ.კოლუმბია) უნივერსიტეტში გადასულიყო. აქ მას დახმარების ხელი მისმა ყოფილმა სტუდენტმა გაუწოდა, რომლის სახლის სარდაფშიც იგი მეორე ქორწინებამდე რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა.

ვებლენს, როგორც მასწავლებელს, არც ამ დაწესებულებაში ჰქონია წარმატება და შემდგომში იგი „ახალ სკოლაში“ გადავიდა, სადაც ფაკულტეტზე მუშაობდა მისი ყოფილი სტუდენტი და მეგობარი უესლი კლეარ მიტჩელი. ეს ვებლენის უკანასკნელი თანამდებობა აღმოჩნდა.

ბოლო რამდენიმე წელი მან კალიფორნიაში, ფაქტობრივად განმარტოებაში გაატარა, სადაც კიდევ ერთმა ყოფილმა სტუდენტმა ფინანსურად ხელი გაუმართა.

პედაგოგობის პერიოდში, 1918 წელს, ის მცირე ხნით ნიუ-იორკის სასურსათო ადმინისტრაციაში და ჟურნალ **„ციფერბლატის“** (“Tbe Dial“) რედაქტორად მუშაობდა.

ერთ-ერთი ნაცნობი კოლეგის შეკითხვას – როგორ გრძნობდა იგი თავს სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ვებლენმა ასე უპასუხა: „როდესაც ჩემსავით ლიმონიევით გამოგწურავენ, მაშინ ყველაფერს მიეჩვევით“-ო. შესაძლოა ამის გამოც მან ზრდილობიანად უარყო **ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტობა 1924 წელს**, როდესაც პოლ დუგლასმა (შემდგომში სენატორმა ილინოისის შტატიდან) თავისი კოლეგები ამ შეთავაზების მიზანშეწონილობაში დაარწმუნა.

2.2. ფსიქოლოგიური ფაქტორები

გარდა ჩვეულებრივი სიძნელეებისა, რომლებიც ვებლენის მსგავს პიროვნებებს ხვდება, მისმა ნაწერებმა მას დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნეს.

როდის იყო ვებლენი სერიოზული და როდის დასცინოდა იგი აუდიტორიას?

ანალიზი დავიწყოთ იქიდან, სადაც ვებლენი ძალიან სერიოზული იყო – <u>ღირებულების კლასიკური და ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინებისადმი მისი კრიტიკით</u>. ღირებულების ადრეული თეორიების უარყოფისას იგი დროდადრო ერთმანეთში ორ სკოლას ურევდა და კლასიკოსი თეორეტიკოსები ზღვრული სარგებლიანობის იდეების მომხრეებად მიაჩნდა.

საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში **პრიმატი** ვებლენმა **ფსიქოლოგიურ ფაქტორებს** მიანიჭა. მისი აზრით, ადამიანები მოქმედებენ, როგორც წეს-ჩვეულებების შემქმნელები; მათ მოქმედებებში

მშობლიური გრძნობის როლი ვებლენის სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ვებლენმა მტკიცედ უარყო ჰედონიზმი .

ვებლენის რწმენით, შრომა სასიამოვნოა და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. მისი მტკიცებით, ადამიანის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძირითადი ინსტინქტი[1] **„ოსტატობის ინსტინქტია“**, რომელიც, წესისა და ჩვეულების მსგავსად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვებლენის აზროვნებაში. ამასთან, მის მიერ **„მშობლიური მიდრეკილება“** და **„ცნობისმოყვარეობისაკენ მიდრეკილება“** ადამიანის ჩვეულებადაა წარმოდგენილი.

ვებლენი **„მშობლიურ მიდრეკილებაში“** ადამიანის ფულთან დაკავშირებულ და ყველა იმ ეგოისტურ თვისებას აერთიანებდა, რომლებსაც ადამიანი იმ ჯგუფის სახით ამეღავნებს, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენს. **„უბრალო ცნობისმოყვარეობა“** ადამიანს ახალი აღმოჩენებისაკენ უბიძგებს, რომლის დროსაც იგი მეცნიერებას უფრო უახლოვდება და ცრუ რწმენაზე ნაკლებ დამოკიდებული ხდება.

ინსტინქტების დეტალურად გამოკვლევა ძალიან შორს წაგვიყვანდა ვებლენის წიგნის მთავარი მიზნიდან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მოტივაციების ხაზგასმით იგი ისეთსავე კრიტიკას იმსახურებს, როგორც მის მიერ გაკრიტიკებული ეკონომისტები.

ვებლენის მიერ ღირებულების კლასიკური თეორიისა და აგრეთვე ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინების უარყოფის უკანასკნელი საფუძველი მათი წარმომადგენლების მიერ საზოგადოების მხოლოდ სტატიკურ მდგომარეობაში განხილვა იყო.

მისი აზრით, მარჟინალისტთა პირველი შეცდომა იმდენად თავიანთ კითხვებზე არასწორ პასუხში არ მდგომარეობდა, რამდენადაც მათი კითხვების უზუსტობაში.

ეკონომისტები, რომლებიც თავს „სტატიკური მიდგომის“ მიმდევრებად თვლიდნენ და ფასებისა და განაწილების პრობლემებს სიამოვნებისა და ტკივილის პოზიციებიდან განიხილავდნენ, უგულებელყოფდნენ იმ ფაქტს, რომ ადამიანებს უფრო მნიშვნელოვანი სხვადასხვა ინსტინქტი და მიდრეკილებები ამოძრავებს. ამიტომ ყველაზე რეალური შესასწავლი საკითხი იყო ის, თუ როგორ ყალიბდებოდა ეს ინსტინქტები საზოგადოებრივი გარემოს მეშვეობით და ამ საზოგადოებაში ცვლილებებს რა ძალები განაპირობებდნენ. ვებლენის აზრით, სწორედ შესწავლილი ეკონომიკა უნდა გამხდარიყო „ევოლუციური მეცნიერების“ საფუძველი, რამდენადაც ეკონომიკის ევოლუციური თეისების უარყოფამ მისი შესწავლა კერძო საკუთრებისა და სტატუს-კვოს[2] დაცვამდე დაიყვანა.

ვებლენის მიხედვით, ეკონომისტების ნაწილი უზუსტო შეკითხვების გამო არასწორ პასუხებს იღებდა, თუმცა ისინი სხვებსაც ანალოგიური მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. მისი აზრით, ზოგჯერ „გვიანდელი“ გერმანული ისტორიული სკოლაც კი (რომელშიც მას ბევრი რამ მოსწონდა) სცოდავდა. ასე თუ ისე, ვებლენის ნაწერების ახსნა ძნელია. უშედეგო იყო კლასიკურ სკოლაზე მისი თავდასხმები, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ეკონომიკური თეორიის რეფორმირების ცდა იყო. თუ იმ შეხედულებებს გავიზიარებთ, რომ ადამიანები ძირითადად კარგები არიან და რომ ზოგი მათგანი შექმნილ ინსტიტუტებს არასწორი მიმართულებით მიჰყავს, შეიძლება ითქვას, რომ ვებლენს ამ ინსტიტუტთაგან ზოგიერთის შეცვლის იმედი ჰქონდა.

2.3. კაპიტალიზმის კრიტიკა

ვებლენმა კაპიტალიზმის განვითარებაში გამოყო ორი: პირველი, მეწარმეობის ბატონობის (მეწარმე ფლობს საკუთრებას და ძალაუფლებას) და მეორე, ფინანსისტების ბატონობის საფეხური.

---

1 **ინსტინქტი** (ბერძნ. a (უარყოფითი ნაწილაკი) და gnōsos ცოდნა, შემეცნება – იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ობიექტური სამყაროს შეცნობა შეუძლებელია.

2 The theory of the Leisure Class, N. Y., 1899.

2.3.1. „თავისუფალი კლასი“

ვებლენის მიერ იმ პერიოდის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება კარგად გამოვლინდა მის საინტერესო წიგნში – **„თავისუფალი კლასის თეორია“**.

ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც „თავისუფალ, ანუ ქონების მქონე, მაგრამ არამწარმოებლურ კლასს“ უჩნდებოდა, მისი ფინანსური უპირატესობის გამოვლენა იყო, რაც ვებლენის მიხედვით „შესამჩნევ მოხმარებაში“ ვლინდებოდა.

„შესამჩნევი მოხმარება“ მდიდრებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სიამოვნების (ტანსაცმლის, მომსახურების,...) სახით სხვადასხვა ფორმას იღებდა. ვებლენისეული ფაქტორების ანალიზი, მომხმარებლებს ზღვრული სარგებლიანობის სკოლისაგან სრულიად განსხვავებულად ამოძრავებენ.

„თავისუფალი კლასის“ ერთ-ერთი ძირითადი მოტივი მფლანგველობაა და ეს პრობლემა ვებლენის გვიანდელ წიგნებშიაც დომინირებს. იგი ტექნოლოგიურ ძალებსა და ბიზნეს-ინტერესებს შორის მკაფიო კონტრასტს ხატავდა: ტექნოლოგია გაზრდილი შემოსავლისა და კეთილდღეობის ხელშემწყობი იყო. ამ გზაზე მას „ბიზნესის საბოტაჟი“ აბრკოლებდა.

ვებლენი ბიზნეს-ინტერესებს, როგორც წარმოების ზრდის პირობას, უარყოფდა. ბიზნესმენებს ასეთი ზრდის ეშინოდათ და მის შესაფერხებლად ყველაფერს აკეთებდნენ.

რატომ მოხდა ეს?

პასუხი მარტივი იყო – წარმოების ზრდა საშიშროებას უქმნიდა მოგებას, რადგან ისინი დაინტერესებულნი იყვნენ არა მხოლოდ სასარგებლო საქონლის დიდი რაოდენობით წარმოებით, არამედ მაქსიმალური მოგებით.

ინსტიტუციონალური სკოლის მეორე მნიშვნელოვანი ფიგურისა და ვებლენის მეგობრის უესლი მიტჩელის აზრით, ვებლენმა ღრმა რწმენის გამო დაასკვნა, რომ ფულը უფრო დიდ როლს ასრულებს ეკონომიკურ საქმიანობაში, ვიდრე ამას კლასიკოსი ეკონომისტები მიიჩნევდნენ. მიტჩელის მიხედვით, ვებლენი ფულს არა როგორც გაცვლის უბრალო საშუალებად, არამედ მნიშვნელოვან მიზნად განიხილავდა.

სიამაყის გრძნობით გაჟღენთილი „ოსტატობის ინსტინქტი“ და მატერიალური დოვლათის წარმოების სურვილი დაიკარგა იმ მესაკუთრეებში, რომლებიც ფულად მოგებას დაბალი ხარისხის საქონლის წარმოებითა და სხვა მრავალნაირი მონოპოლისტური საქმიანობით იღებდნენ.

კაპიტალისტური სისტემის თანმხლები უარყოფითი მოვლენების უმეტესობა ბიზნესმენების უნიათობის ბრალი იყო. ფირმები (რომლებსაც მისი დამფუძნებლები მართავდნენ) მონოპოლიების გამო, არც თუ იშვიათად გაკოტრდნენ.

ადამ სმითის მიერ შემჩნეული ტენდენცია, რომ ბიზნესმენები შეთქმულებებს აწყობდნენ, ვებლენმაც გაიმეორა, რომლის აზრითაც, კონკურენციისაგან თავის არიდების ცდები ხშირად წარმატებით მთავრდებოდა. თანამედროვე მრეწველობაშიც მონოპოლიების გამო საერთოდ ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს წარმატების მქონე საწარმოების არსებობა, რომლებშიც მონოპოლიის ელემენტები მთლიანად გამორიცხულია. გაუმჯობესებული ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქტის მიწოდებამ ბაზრის მოთხოვნებს გაუსწრო და ბიზნესმენები თავიანთი მოგებების დასაცავად კომბინაციებს მიმართავენ. ხშირად მოგების ძიებისათვის თანდაყოლილი თვისება უმუშევრობაა.

2.3.2. ეკონომიკური ციკლები და ტექნოლოგიები

ვებლენმა **აღიარა კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური ციკლების არსებობა** და ის კაპიტალიზმის თავისებური გაგების ინტეგრალურ ნაწილად ჩათვალა, თუმცა, ამ პრობლემის არსი მან კრედიტების ჭარბ გაურცელებასთან დააკავშირა.

ხელსაყრელი სამეწარმეო პერსპექტივების პერიოდში ბიზნესმენებს კრედიტის აღების სურვილი მანამდე აქვთ, სანამ მათი მოგება სარგებლის განაკვეთს გადააჭარბებს. სარგებლის განაკვეთის ზრდისას მოსალოდნელი მოგება მცირდებოდა და ფულის შოვნის ძალასა და ქონების კაპიტალიზაციას შორის წინააღმდეგობა წარმოიშობოდა. წონასწორობა გარკვეულად აღდგებოდა, როდესაც

ქონების ლიკვიდურობის შემთხვევები გახშირდებოდა, მაგრამ მომავლის მიმართ ვებლენი პესიმისტურად განეწყო. სპეკულაცია და არასტაბილური კრედიტი ალბათ წონასწორობის აღდგენის ხელშემწყობი იქნებოდა, მაგრამ ისინი თანდათანობით საქმესაც გაუარესებდნენ.

ვებლენის მიერ **ეკონომიკური ციკლების ჭარბი კრედიტების გაურცელებით ახსნა** უფრო თანამედროვე მიდგომას მოითხოვდა, მაგრამ სხვებისაგან იგი ერთ მნიშვნელოვან საკითხში განსხვავდებოდა. ვებლენს მთლიანობაში კრედიტისათვის (მისი განხილვის დროს) შემოქმედებითი როლის მინიჭება არ სურდა. სარგებელი, რომელსაც ბიზნესმენი კრედიტიდან იღებდა, იფანტებოდა, როდესაც მას კონკურენტები იყენებდნენ. ვებლენი კრედიტის შემოქმედებით როლს არ სცნობდა, რომლის მეშვეობითაც ბიზნესმენი თავის საწარმოს (ფირმას) უფრო ეფექტურად მართავდა. ამ თვალსაზრისით, კაპიტალისტური სისტემის კრიტიკამ მხოლოდ მისი დამოკიდებულება გამოამჟღავნა.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების საშიშროებამ ვებლენი პესიმისტურად განაწყო. დროდადრო იგი აცხადებდა, რომ შესაძლოა უკეთესი მომავლის იმედები „რუსებთანაა“ დაკავშირებული. ეს უიმედობა კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება, რამდენადაც იგი სოციალისტი არასოდეს ყოფილა (თუმცა, სოციალისტური იდეების მიმართ ზოგჯერ სიმპათიებსაც აცხადებდა) და მწყობრ სისტემად არც მარქსის თეორიას თვლიდა.

ვებლენის ნაწერებში შეინიშნება აზრი, რომ **სამხედრო ძალა უხსოვარი დროიდან ადამიანის აზროვნების ნაწილი იყო** და მან ერთ დღეს შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს.

მისი აზრით, საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის გავრცელება, სხვადასხვა ეროვნების ბიზნესმენებს შორის კონფლიქტების წარმოშობა გარდაუვალად სამხედრო ჩარევებს განაპირობებს და შესაძლებელია საზოგადოება სრული ტოტალიტარიზმის ადრეულ სტადიას მიუბრუნდესო.

ტ.ვებლენის „**აბსენტეისტური საკუთრების**“ კონცეფციის მიხედვით, მესაკუთრეებისათვის ფასიან ქაღალდებს დიდი შემოსავალი მოაქვს. ასეთი საკუთრება „თავისუფალი კლასის“ არსებობის საფუძველი და მეწარმეობაში წინააღმდეგობების გამწვავების მიზეზია.

ბრძოლა შემოსავლებსა და ტექნოლოგიურ წესრიგს შორის უკანასკნელის სასარგებლოდ შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო. თუკი ინჟინრები თავიანთი ობლიგაციების (რომლებიც იძულებით იყიდეს და ძალაუფლებას დაეუფლნენ) გამო მოუთმენლები არ იქნებიან, მაშინ შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ისინი წარმოების საშუალებებს დაეუფლებიან და მათ საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენებენ.

შეეხოთ ვებლენის მოსაზრებებს **ტექნოლოგიების სხვა ქვეყნებში გადატანის შესახებ**. მისი რწმენით, ქვეყანა, რომელიც გვიან იწყებს განვითარებას, წარმატებას ბევრად უფრო სწრაფად აღწევს, ვიდრე ამ საქმის პიონერი ქვეყანა. ამის მაგალითად იგი გერმანიასა და იაპონიას ასახელებდა. მისი აზრით, მათი მიმბაძველი ქვეყანა იმ ინსტიტუტების ტექნოლოგიას არ გამოიყენებს, რომლებმაც ერების პროგრესი შეაფერხა.

ვებლენის დაშვებით, ერს შეიძლება ოავიში ინსტიტუტები ჰქონდეს, რომლებიც მის პროგრესს ანელებს და რომ კვალიფიკაციის გარეშე მისი თეორიის გამოყენება ყველა განვითარებად ქვეყანაში არ შეიძლება.

ბიზნესისადმი ვებლენის დამოკიდებულებაში შეიძლება ფერმერი ბიჭის შესამჩნევი კვალი აღმოვაჩინოთ: არსებობს სოფლის ყმაწვილის ტიპი, რომელსაც ფინანსური ოპერაციებისა და დიდი ქალაქის მიმართ ყოველთვის ეჭვი აქვს.

ვებლენის აზროვნებაში **მანქანა გადამწყვეტ როლს ასრულებს**. ადამიანი დროის უმეტეს ნაწილს შრომაში ატარებს და ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი შრომის პირობები მის ჩვევებსა და ცხოვრების წესს უნდა შეეხამებოდეს.

სოციალისტური კრიტიკოსებისაგან განსხვავებით, ვებლენი მანქანა-დანადგარების გამოყენებით გამოწვეულ „უბედურებებს“ ვერ ხედავდა. მისი აზრით, მანქანა მუშის ცხოვრების არასასურველი გზით შეცვლა შეეძლო, თუმცა იგი გამორიცხავდა, რომ მოქმედი მანქანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა ადამიანს.

2.4. შეფასება

ვებლენი ეკონომისტების მიერ გაუკაცალავ ბილიკებზე სელის სურვილმა საკითხების ახლებურ გააზრებამდე მიიყვანა. იგი თითქოს უცხო, სხვა სამყაროს წარმომადგენელია, რომელიც სადაც ცხოვრობდა თავს იმ საზოგადოებიდან გარიყულად თვლიდა. ამით მისი ყველაზე ძლიერი თავდასხმები ისეთი ადამიანების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებმაც მის კარიერას შეუწყვეს ხელი.

ვებლენის შრომების უმეტესობა დღესაც ძველებურად იკითხება. სტუდენტებმა დღესაც შეიძლება მიიღონ სიამოვნება იმის თაობაზე გამართული კამათისაგან, თუ რა როლს ასრულებს ჩვენს ეკონომიკაში „შესამჩნევი მოხმარება“ ან კიდევ, რჩება თუ არა „ფულადი შეჯიბრი“ ამერიკული ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად.

ზოგიერთი მის თვალსაზრისს ნაშრომების დაწერისთანავე უარყოფდა, მისი სხვადასხვა „ინსტინქტი“ (მაგალითად „ოსტატობის ინსტინქტი“), სტუდენტებისა და ფსიქოლოგების თვალში ისეთივე საკამათო იყო, როგორც მის მიერ უარყოფილი სიამოვნება, როგორც ცნობიერების მიზანი.

ვებლენის მიერ ტრადიციული დოქტრინების მკვეთრი კრიტიკა და ეკონომიკის სხვა მიმართულებით წაყვანის ცდები მის ნაშრომებს საინტერესოდ წასაკითხს ხდიდა, თუმცა მისი პომპეზური (ზარ-ზეიმის) სტილი და მაღალფარდოვანი სიტყვები მისი ნაწერების კითხვას ართულებდა. მისმა აზროვნებამ მომდევნო თაობას გარკვეული კვალი დაამჩნია, მაგრამ ეკონომიკის ძირითადი მიმართულება შეუცვლელი დარჩა.

ვებლენსა და მარქსს შორის განსხვავება შესამჩნევია. ვებლენს იმდენი მიმდევარი არასოდეს ჰყოლია, რამდენიც მარქსს. მათი ძირითადი აზრების შედარებისას ძნელი არ არის იმის შემჩნევა თუ რატომ მოხდა ასე. თუ მარქსი შრომის ექსპლუატაციაზე, კლასთა ბრძოლაზე, რევოლუციაზე ქადაგებდა, ამ მხრივ ვებლენის ნაწერებმა ბევრად ნაკლები მოწონება დაიმსახურა.

ვებლენის მთავარი თემა საქონლის წარმოებასა და ფულის კეთებას შორის მონაკვეთში – მფლანგველობა და კონფლიქტი იყო. მას კლასებისათვის არასოდეს არ მიუმართავს და ნაკლებად ჰქონდა მუშების ანკანების იმედი. მისი ეჭვები იმაზე იყო დაფუძნებული, რომ ადამიანების ნაწილის მზარდი სიღარიბე მათი წინააღმდეგობის სურვილს მხოლოდ ამცირებდა და ყველაზე ღარიბი მუშებიც კი კაპიტალისტური ეთიკით გაჟღენთილები იყვნენ.

დაბოლოს, ვებლენი ნაკლებად იმედოვნებდა, რომ მისი საყვარელი ინჟინრები საზოგადოებას გადაურჩებოდნენ. მარქსი მომავალი საზოგადოების დეტალებში ჩვენებას საჭიროდ არ თვლიდა, ვინაიდან მასზე გადასვლა მაინც გარდაუვალი იყო, ვებლენიც ასევე, განსხვავებული მიზეზის გამო, გაურკვეველად მსჯელობდა მომავალზე.

თუ მარქსის ისტორიის სურათს ჰეგელიანელობა ემჩნეოდა, ვებლენი უფრო მეტად დარვინისტი იყო. ინსტიტუტები-დაწესებულებები ბუნებრივი შერჩევის განვითარების გზას გაუგრძელებდნენ, მაგრამ ამ ცვლილებების ხასიათის ზუსტად ასახვის გზა არ არსებობდა. რადგანაც ვებლენი თავის მკითხველებს კეთილდღეობის სტანდარტებს ზუსტად ვერ აწვდიდა, მან ისინი გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა და მათ პროგრესისა და მისი მიმართულების სწორად შეფასების საშუალება არ მიეცათ.

ვებლენის ზეგავლენა თავის მიმდევრებზე 30-იან წლებში „კეინზური ფილოსოფიის“ გამოჩენამ შთანთქა.

3. სტატისტიკური ინსტიტუციონალიზმი: უესლი კლეარ მიტჩელი (1874-1948)

3.1. ვებლენის სტუდენტი და ჰარვარდის ბარომეტრი

განსახილველ კიდევ ორ ეკონომისტს შორის მიტჩელი უფრო ახალგაზრდაა და ზუსტი ქრონოლოგიის მიხედვით, მისი შეხედულებები ბოლოს უნდა განგვეხილა, მაგრამ იგი უფრო ახლოს თავის მასწავლებელთან (ჩიკაგოს უნივერსიტეტში) ვებლენთან იყო, ვიდრე კომონსთან და ამიტომაც მას ვებლენის შემდეგ ვიხილავთ.

სტატისტიკური (ემპირიული) ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებელი, უესლი კლეარ მიტჩელი (Mitchel) დაიბადა 1874 წელს რაშვილში (ილინოისის შტატი). იგი მეორე ბავშვი იყო შვიდშვილიან ოჯახში, რომლის წინაპრებიც ინგლისელები იყვნენ.

ადრეული წლები მან ილინოისის შტატში გაატარა, მამამისი ექიმი იყო, რომელიც სამოქალაქო ომის დროს ჩრდილოელთა არმიაში მსახურობდა. მისი ოჯახი ფინანსურ სიდუხჭირეში ცხოვრობდა და მიუხედავად ამისა, მიტჩელს კოლეჯში სწავლაში ხელი შეუწყეს.

1891 წელს იგი ჩიკაგოს უნივერსიტეტში შევიდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ამავე უნივერსიტეტის ეკონომისტ-ასპირანტი გახდა და სამივლინებო სტიპენდიით დაჯილდოვდა, რომელიც გერმანიასა და ავსტრიაში დახარჯა (1893). ევროპაში მან მოისმინა კ.მენგერის ლექციები, თუმცა ვენის სკოლის დოქტრინას იგი არ ეთანხმებოდა.

მომავალ წელს მიტჩელი ჩიკაგოში დაბრუნდა, ვინაიდან გერმანიისა და ავსტრიის ეკონომიკა მისი გემოვნების შესაფერისად არ ჩათვალა.

მიტჩელის ინტელექტუალური აზროვნების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი რამდენიმე პიროვნებას მიუძღვის, მათ შორისაა მისი სადოქტორო თემის ხელმძღვანელი, პროფესორი ლოგლინი, რომელმაც ვებლენს სამეცნიერო კარიერის დასაწყისში ზღვრული სარგებლიანობის თეორიის მიმართ სკეპტიციზმი შთაუნერგა. მასზე სტუდენტობისას დიდ შტაბეჭდილებას ახდენდა აგრეთვე ვებლენის ორიგინალობა, რომელსაც ჩიკაგოში დაბრუნების შემდეგ ახლოს გაეცნო. იგი დიდად აფასებდა მის აზროვნებას.

სამეცნიერო ხარისხის მიღების (1899) შემდეგ, ცოტა ხანს იგი ვაშინგტონში გადამწერთა ბიუროში მსახურობდა, მაგრამ მისთვის ეს სახელმწიფო სამსახური, როგორც ყველა მომდევნო, ხანმოკლე გამოდგა.

1900 წელს მან პედაგოგობა დაიწყო ჩიკაგოს უნივერსიტეტში. შემდეგ მიტჩელი თავის ერთ-ერთი ყოფილი მასწავლებლის ხელშეწყობით ბერკლის (კალიფორნია) უნივერსიტეტში პროფესორად მუშაობისას (1909-12) ლუსი სპრეიგს (შემდგომში ქალთა კოლეჯის დეკანს) შეხვდა და 1912 წელს მასზე დაქორწინდა.

იმავე წელს მიტჩელი ეკონომიკური კვლევების ბიუროსთან ახლოს ყოფნის მიზნით ნიუ-იორკში გადაიყიდა. მომდევნო წელს მან კოლუმბიის უნივერსიტეტში (ნიუ-იორკი) ჯონ ბეითს კლარკი შეცვალა, სადაც თითქმის სიკვდილამდე დარჩა (1914-1919; 1922-1944).

უნივერსიტეტში მუშაობის პარალელურად მიტჩელი ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროში შემდგომში ნობელის პრემიის (1971) ლაურეატ, საიმონ კუზნეცთან (1901-1985) და სხვა ცნობილ მკვლევარებთან ერთად მუშაობდა. აქ მუშავდებოდა ეროვნული სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით მიტჩელმა შეადგინა ეკონომიკური კრიზისების პროგნოზი (ბარომეტრი). ასე ალმოცენდა ჰარვარდის ცნობილი ბარომეტრი (1917), თუმცა მისი პროგნოზები 1929 წელს დაწყებულ „დიდ დეპრესიასთან" დაკავშირებით არ გამართლდა.

ვებლენისაგან განსხვავებით, უნივერსიტეტებში მიტჩელის ხშირი „გადასვლები" მისი ნიჭიერების დამადასტურებლად უნდა ჩაითვალოს. საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მიტჩელი პოულობდა იმას, რაც სურდა, თუმცა მას უფრო მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოები იტაცებდა. მუშაობდა აგრეთვე ჩიკაგოს გაზეთსა და წითელი ჯვრის საზოგადოებაში, მაგრამ ამ ადგილებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მიბრუნების მიზნით ისევ მალე ტოვებდა.

ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტობის შეთავაზებას მიტჩელი, ვებლენისაგან განსხვავებით, სიამოვნებით დათანხმდა. იგი ამერიკის სტატისტიკური ასოციაციის პრეზიდენტიც იყო. გარდა ამისა, მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ჯილდოები პარიზისა და ამერიკის შეერთებული შტატების რიგი უნივერსიტეტებისაგან.

მიტჩელი ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს ერთ-ერთი დამარსებელი და დირექტორი (1920-1945) იყო. „ბიურო", როგორც ეკონომიკური კვლევების მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, შემდგომშიც განაგრძობდა არსებობას.

მიტჩელის ცხოვრების უმეტესი ნაწილი „ეკონომიკური ციკლის" პრობლემების კვლევას დაეთმო. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მისი შრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სამი

წიგნი: „ეკონომიკური ციკლები“ (1927)[1], „ეკონომიკური ციკლების გაზომვა“ (1946, თანაავტორი ა.ბერნსი)[2] და „რა ხდება ეკონომიკური ციკლების დროს“ (1951)[3].

3.2. განსხვავებული ინსტიტუციონალური მიდგომები

ვებლენთან მჭიდრო ურთიერთობის გამო გასაკვირი როდია, რომ მიტჩელი ეკონომიკური დოქტრინის ჩამოყალიბებაში „ინსტიტუტების“ მნიშვნელობაზე ვებლენის რწმენას იზიარებდა, მაგრამ მისი ინსტიტუციონალური მიდგომები განსხვავებულიც იყო.

მათი იდეების შედარების ფონზე მოკლედ შევეხოთ მიტჩელის შეხედულებებს.

ორ მიდგომას შორის ყველაზე თვალშისაცემი განსხვავება ემპირიულ, კერძოდ, სტატისტიკური კვლევის მნიშვნელობას ეხებოდა. ვებლენის ჩანაწერებიც ემპირიული კვლევის მნიშვნელობას ეხებოდა, მაგრამ მის მიერ გამოყენებული მიდგომები იმ ადამიანების (მაგალითად კლარკის) მსგავსი იყო, რომლებსაც იგი აკრიტიკებდა. ვებლენი ამას ადრე ჩამოყალიბებული თეორიის დასასაბუთებლად იყენებდა.

განსხვავებული მიდგომების მეორე ნაწილი ეკონომიკური ციკლის პრობლემებს ეხება. მხოლოდ ამით არ ამოიწურება მათ შორის არსებული განსხვავება.

ვებლენმა სამეცნიერო ხარისხი ფილოსოფიაში მიიღო და მის კვლევებში ფილოსოფიური მიდგომები სჭარბობდა. მართალია, მიტჩელს ფილოსოფიური პერსპექტივა არ აკლდა, მაგრამ მისი ემპირიული მიდგომები ვებლენისაგან სრულიად განსხვავდებოდა.

ვებლენის ნაშრომები მის დიდ თეორეტიკოსობაზე არ მეტყველებს, მაშინ, როცა მიტჩელი ისე ნიღბავდა თავის თეორიულ სტრუქტურას, თითქოს იგი არ არსებობდა. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა შეცდომაა. მიტჩელის ნაშრომში თეორია გარკვეულ როლს ასრულებს, თუმცა მას ალფრედ მარშალის ან სხვა ადრეული ავტორების სტილში დასრულებული სტრუქტურა არ შეუქმნია. ნათელი თეორიული სტრუქტურის შექმნის შესახებ მიტჩელის ტიპური შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან „ინსტიტუტები“ მნიშვნელოვნად არ ჩათვალა და განსაკუთრებული აქცენტი ფულზე გაამახვილა. მისი აზრით, ფულადი ეკონომიკა საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაციის საუკეთესო ფორმაა.

მიტჩელისა და ვებლენის არაერთგვაროვანი მიდგომები პრობლემებისადმი ამ ორ პიროვნებას შორის შესამჩნევი განსხვავებითაც იყო გამოწვეული. მიტჩელი, ვებლენის მსგავსად, მარტოხელა და გაღიზიანებული კრიტიკოსი არ იყო. სხვათა ნაშრომების შეფასებისას იგი ალფრედ მარშალს ჰგავდა: არასოდეს არ იყო მკაცრი, თუმცა მისი უთანხმოება უფრო საფუძვლიანი შეიძლება ყოფილიყო, ვიდრე მარშალისა. ვებლენის პესიმიზმს არ იზიარებდა. ეკონომიკური ციკლის პრობლემის განხილვა მისი ოპტიმიზმის დასტურია.

ეკონომიკურ ციკლებს მიტჩელი კაპიტალისტური სისტემის გადმონაშთად თვლიდა და მათ სწორ პროგნოზირებაში დარწმუნებული იყო.

ეკონომიკურ საკითხებში ბევრი მსგავსებაცაა, რაც ერთი სკოლის ჩარჩოებში მათ მოთავსებას ამართლებს. ვებლენის მსგავსად ადრეულ თეორეტიკოსებთან მიტჩელმაც ბევრი საკამათო აღმოაჩინა. მიტჩელი მარჟინალიზმის კრიტიკისას იმის მტკიცების წინააღმდეგი იყო, რომ მომხმარებელი, ზღვრული სარგებლიანობის დოქტრინის შესაბამისად, რაციონალური და კარგად ინფორმირებული იყო. ფაქტობრივად, რაც „ოჯახურ მომხმარებელს“ ბიზნესმენისაგან განასხვავებს, ეს თავისი ფულის ეფექტიანად მოხმარების ნაკლებუნარიანობა იყო.

მიტჩელი ვებლენს „ჩაურეველობის ფილოსოფიის“ კრიტიკაში შეუერთდა და ხაზს უსვამდა, რომ იგი ეკონომისტებს განსაკუთრებული სისტემის ბრმა დამცველებად წარმოაჩენდა. მიტჩელი **ეროვნული დაგეგმვის პრინციპების დანერგვას მოითხოვდა** და უარყოფდა, რომ „ჩაურეველობის პოლიტიკა“ ყველაფერს საუკეთესოს წარმოშობდა. აქ კვლავ მიტჩელის ოპტიმიზმი ჩანს, როდესაც

1 Busines cycles, N.Y., 1927.
2 Measuring Businesss Cycles, N.Y., 1946.
3 What happens during Businesss Cycles, N.Y., 1951.

დაგეგმვა ეროვნული მასშტაბით ხდება, პირობების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო. მიტჩელი ნაკლებად ოპტიმისტურად იყო განწყობილი სახელმწიფოს დაბალ რგოლებში ცალკეული ჯგუფების მიერ რეფორმების წარმატებით განხორციელების მიმართ, თუმცა პირად ცხოვრებაში იგი ხშირად ასეთი ცდების მომხრე იყო.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მსგავსება ორი ადამიანის მიერ ეკონომიკისადმი მიდგომებში. მიტჩელი იზიარებდა ვებლენის სურვილს ეკონომიკის სფეროს ისეთი განვრცობის შესახებ, რომ შრომა სოციალურ მეცნიერებებში ჩაერთოთ, — იგი მთლიანად დისციპლინათშორის მიდგომას იზიარებდა.

მიტჩელის პირველი ნაბიჯი უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისას კალიფორნიაში პრიმიტიული კულტურების კურსის შემოტანა იყო, რომელიც ეკონომიკას ანთროპოლოგიასთან[1] აკავშირებდა. თუმცა, თავის იდეებს ფსიქოლოგიური თეორიის რომელიმე სკოლასთან არასოდეს აიგივებდა.

მართალია, იგი ადრინდელი ეკონომისტების უხეში ჰედონისტური ფსიქოლოგიით უკმაყოფილო იყო, მაგრამ ნათელია, რომ მას ვებლენის ხაზის გაყოლა და „ინსტიქტების" მიდგომის გაზიარება არ სურდა.

33. ეკონომიკური ციკლი

მიტჩელის შრომების მიმოხილვა დასრულებულად არ ჩაითვლება თუ არ შევეხებით მის ნაშრომს — „ეკონომიკური ციკლები", რომელმაც მას მსოფლიოში სახელი გაუთქვა.

ჩვენ მოკლედ განვიხილავთ „ეკონომიკური ციკლების" თეორიას, რაც გარკვეულად აძნელებს ამ პრობლემისადმი მიტჩელის მიდგომაში შესამჩნევი ცვლილებების ხაზგასმას. თუმცა, „ეკონომიკური ციკლის" მნიშვნელობის აღიარება შედარებით გვიან მოხდა, მაგრამ როდესაც მან ყურადღება მიიპყრო, ბევრმა თავისი შეცდომის გასწორება სცადა. ამის შედეგად, მრავალი დოქტრინა შეიქმნა, რომელთაგან თითოეული ეკონომიკური ციკლის მიზეზების თავისებურ ახსნას გვთავაზობდა. როდესაც მიტჩელი ამ პრობლემების კვლევას შეუდგა, მისი ახსნის მრავალი ვარიანტი არსებობდა.

მიტჩელი ვებლენს აქებდა იმის გამო, რომ მან ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაში ფულის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი როლი აღიარა, ვიდრე ადრინდელმა ავტორებმა. მიტჩელისათვის „ვებლენის ეკონომიკის" ამ ასპექტში აღიარება ბუნებრივი იყო, ვინაიდან ფულის როლით თავად ადრევე იყო დაინტერესებული. მისი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ბანკნოტების როლს ეხებოდა, ცალკე წიგნად გამოქვეყნდა და ამ საკითხში სტანდარტული ცნობარი გახდა.

ფულის საკითხებში მიტჩელი ფულის რაოდენობრივ თეორიას ეყრდნობოდა. მნიშვნელოვანი გამოკვლევის შემდეგ მიტჩელმა თავის ერთ-ერთ პირველ სტატიაში დაასკვნა, რომ რაოდენობრივი თეორია არადამაჯერებელია, რადგან იგი ემპირიულ მტკიცებებს ეყრდნობოდა.

მოგვიანებით მიტჩელმა ამ თეორიის მნიშვნელობაზე თავისი საწყისი პოზიცია ოდნავ შეცვალა, მაგრამ არასოდეს არ სჯეროდა, რომ იგი ეკონომიკური ციკლის ანალიზის მთავარი საშუალება იყო.

ფულითა და ღირებულებით მისი დაინტერესება ეკონომიკური ციკლების შესწავლისათვის ლოგიკური ნაბიჯი იყო. მიტჩელის ეკონომიკური ციკლით დაინტერესების ზუსტი იმპულსი უცნობია, მაგრამ შესაძლოა ამ მიმართულებით მის სელას იმ რწმენამ შეუწყო ხელი, რომ ეკონომიკის შესწავლას უფრო ემპირიული კვლევა სჭირდებოდა. შესაძლოა, ამის მიზეზი აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1907 წლის პანიკის შემდეგ ეკონომიკური ციკლისადმი გაზრდილი ინტერესი იყო.

თუმცა, მიტჩელი თავისი კვლევის რომელიმე ადრინდელ დოქტრინაზე დაფუძნებას ერიდებოდა, მაგრამ მის საფუძვლად ორი ზოგადი პუნქტი მაინც გამოიყენა. პირველი იყო მისი რწმენა, რომ „ეკონომიკური ციკლი" და ციკლური მერყეობა ნორმალური მოვლენა იყო.

---

1 ანთროპოლოგია (ბერძნ. anthrôpos - ადამიანი და logos - მოძღვრება) ადამიანის წარმოშობისა და ბიოლოგიური ბუნების, რასების შემსწავლელი მეცნიერებაა.

ამით ის შესამჩნევად შორდება მარშალის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ნორმალური სიტუაცია წონასწორობაა და ამ ნორმიდან ყოველი გადახრა განსაკუთრებული პირობებით გამოწვეული გამონაკლისია.

ამასთან, მიტჩელმა გაიზიარა ვებლენის შეხედულება იმის შესახებ, რომ ბიზნესმენის ინტერესი და ტექნოლოგიური წესრიგი კონფლიქტშია. მას სჯეროდა, რომ ეკონომიკური ციკლები მოგებების სხვადასხვაობითა და ბიზნესმენების მაქსიმალური მოგებისაკენ მისწრაფებითაა გამოწვეული.

მიტჩელი ეკონომიკური ციკლების მიზეზთა ახსნის რამდენიმე ვარიანტს იძლეოდა, რომელთა ნაწილი უკვე წამოყენებული იყო ეკონომიკური ციკლის სხვა მკვლევრების მიერ. მისმა დოქტრინებმა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაში მიაღწია წარმატებას. მიტჩელის რწმენით, სწორედ ასეთი ცდებით გახდებოდა ეკონომიკა შემაჯამებელი მეცნიერება, სადაც ერთი მეცნიერის ნაშრომი მისი წინამორბედის შრომებზე თავისუფლად აიგებოდა.

მიტჩელმა ცნობილი მეცნიერების შრომებიც კი გადაამუშავა, რის შედეგად ციკლის შესახებ არა მარტო სტატისტიკური ინფორმაცია, არამედ თვისებრივი ინფორმაცია იქნა მიღებული, რომელიც მომდევნო წლებშიც სასარგებლო აღმოჩნდა.

სტატისტიკური მასალების სიუხვის გამო და იმიტომ, რომ მიტჩელი თავის დასკვნებს მრავალი მიზეზითა და განსხვავებული კვალიფიკაციით აკეთებდა, მისი ეკონომიკური ციკლის დოქტრინის ზუსტი ჩამოყალიბება ძნელდებოდა. ნათელია, რომ მიტჩელი ეკონომიკური ციკლების მიზეზების ახსნაში ეგზოგენურ ფაქტორებს უარყოფდა.

ენდოგენურ ფაქტორებს შორის მიტჩელის მიერ შერჩეული იყო ფასების დონეებში ცვლილებები. აღმავალი ფაქტორის განხილვისას, რომელიც იცილებს მუდმივ ექსპანსიას, როგორც საცდელ ჰიპოთეზას, იგი ნებისმიერი ახსნის, როგორც მიზეზის გამოყენების წინააღმდეგი იყო. გარდა ამისა, ეკონომიკის სხვა დამახასიათებელი თვისებების მსგავსად, ეკონომიკური ციკლები ევოლუციურ პროცესს წარმოადგენდნენ, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი მიზეზი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. მიტჩელის ანალიზის გარკვეული ნაწილი დღესაც ახლებურად ჟღერს.

1929-1933 წწ. „დიდი დეპრესიის" შემდეგ, მიტჩელი „რეგულირებადი კაპიტალიზმის" თეორიულ იდეებს იზიარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიტჩელის მოსაზრებები ეკონომიკის შესახებ ოდნავ განსხვავდებოდა მისი მასწავლებლის, ვებლენის შეხედულებებისაგან, ორი ადამიანის მიდგომაში ბევრი მსგავსებაა იმისათვის, რომ მიტჩელი ინსტიტუციონალისტად ჩაითვალოს.

მიტჩელის მიერ ეკონომიკური ციკლების მრავალმხრივი შესწავლა, რომელსაც ინსტიტუციონალური მიდგომა ახასიათებს, მისი ხანგრძლივი პოპულარობის მიზეზს ხსნის. იგი გასული საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომისტი იყო. შემთხვევით როდი ამბობენ მიტჩელის წიგნზე – „ეკონომიკური ციკლები", რომ „მარშალის „პრინციპებსა" და კეინზის „ზოგად თეორიას" შორის დასავლეთის სამყაროს ეკონომიკურ აზროვნებაზე არც ერთ სხვა ნაშრომს ასეთი დიდი გავლენა არ ჰქონია".

4. სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმი: ჯონ როჯერს კომონსი (1862-1944)

4.1. წინააღმდეგობრივი ცხოვრება და მოღვაწეობა

ამჯერად, ჩვენ ვუბრუნდებით ჯონ კომონსს, ინსტიტუციონალური სკოლის მესამე მთავარ წარმომადგენელს. იგი იყო დაუცხრომელი რეფორმატორი, რომელიც რეფორმების განსახორციელებლად აქტიურად მოღვაწეობდა არა მარტო თავისი ნაწერებით, არამედ ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობითაც.

ისტორია ნაკლებად იცნობს ისეთ ეკონომისტებს, რომლებმაც მთელი ცხოვრება აღიარებისათვის იმუშავეს, იმდენი პიროვნული უსიამოვნება განიცადეს და უფრო მეტ წინააღმდეგობებს წააწყდნენ, ვიდრე ჯონ კომონსი.

ჯონ როჯერს კომონსი (Commons) დაიბადა 1862 წელს, ოჰაიოში, მამამისი ფერმერი იყო, რომელიც დიდი წარმატებების გარეშე ცხენებით ვაჭრობდა და ოჯახი მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობდა. დედის მონდომების შედეგად კომონსი და მათი ორი სხვა შვილიც მოსამზადებელ სკოლაში, შემდეგ კი კოლეჯში აღმოჩნდა.

ერთ-ერთი სავაჭრო გარიგების შედეგად მამამისი გაზეთის მფლობელი გახდა. კომონსმა გაზეთის საგამომცემლო საქმე შეისწავლა, რომელსაც კოლეჯში სწავლის პარალელურად ასრულებდა. ობერლინის კოლეჯი 1888 წლამდე არ დაუმთავრებია. კუჭი და ნერვოზი აწუხებდა, ძნელი აღმოჩნდა მუშაობასთან ერთად სწავლა (1885 წელს მას პირველად დაემართა „ნერვოზი“). და მაინც, ერთ-ერთმა მისმა პროფესორმა ობერლინში იგი აიძულა სწავლა ჯონ ჰოპკინსის სკოლაში (1888-1890 წწ.) გაეგრძელებინა. კვლავ ფინანსური პრობლემები წამოიჭრა, მაგრამ კომონსმა ობერლინის საბჭოს ორი წევრისაგან ფული ისესხა, რომელსაც იგი შემდგომი თოთხმეტი წლის განმავლობაში ისტუმრებდა.

განათლებისაკენ მის სწრაფვას სერიოზული დარტყმა მიაყენა ისტორიის გამოცდაზე ჩაჭრამ, რამაც სტიპენდიის მიღებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მოუსპო.

კარიერის შექმნის კომონსისეულმა ცდებმა მარცხი განიცადა. ამ გზაზე უდიპლომობა უკვე თავისთავად დაბრკოლებას წარმოადგენდა.

სწავლის გაუმჯობესების შემდეგაც მას უსიამოვნებები მაინც არ შორდებოდა. სირაკუზის უნივერსიტეტიდან იგი იმის გამო დაითხოვეს, რომ საკვირაო ბეისბოლის თამაშზე მისმა შეხედულებებმა საბჭოს ზოგიერთი წევრი შეურაცხყო. კომონსი საკვირაო თამაშებში საფასურის გადახდის წინააღმდეგი იყო და თამაშების ჩატარებაში უპირატესობას შაბათს აძლევდა. უფრო ადრე იგი, მოკლე პერიოდით, ვესლეინის, ობერლინის და ინდიანას უნივერსიტეტებში მუშაობდა.

კომონსი 1904-1933 წწ. გადადგომამდე ვისკონსინის უნივერსიტეტში დამკვიდრდა. აქ მან თავისი სტუდენტებისაგან საკანონმდებლო რეფორმის საკითხებში მიმდევრების ჯგუფი შექმნა. 1917 წელს იგი ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

კომონსს ყოველთვის სხვა ადამიანების პრობლემებისადმი თანაგრძნობის და დახმარების სურვილი ამოძრავებდა. გარდა ჯანმრთელობისა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებისა, იგი წლების განმავლობაში სხვა სიძნელეებსაც განიცდიდა. ექვსი შვილიდან მხოლოდ ერთი დარჩა, ოთხი ბავშვობაში გარდაეცვალა, ხოლო უფროსი ვაჟი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობის შემდეგ ავადმყოფობის გამო სახლიდან გაიქცა და გადაიკარგა. ამას გარდა, მეუღლეც ადრევე გარდაეცვალა.

კომონსის ყველაზე ცნობილი პუბლიკაციებია „კაპიტალიზმის სამართლებრივი საფუძვლები“ (1924)[1] და „ინსტიტუციონალური ეკონომიკა“ (1934)[2].

გარდა ამისა, იგი ინტენსიურად წერდა შრომის პრობლემებზე და „ამერიკული ინსტიტუციონალური საზოგადოების დოკუმენტური ისტორიის“ ათტომეულისა და ოთხტომეულის – „შრომის ისტორია შეერთებულ შტატებში“[3] – ერთ-ერთი რედაქტორი იყო.

4.2. კოლექტიური მოქმედება

კომონსი კლასიკურ ეკონომიკურ აზროვნებას ემიჯნებოდა და აქცენტი კოლექტიურ მოქმედებაზე გადაჰქონდა. ბევრი მისი შეხედულება მიტჩელისა და ვებლენის აზრებს ემთხვეოდა.

კომონსი გრძნობდა, რომ ადამიანი ისეთი რაციონალური არ იყო, როგორც ამას კლასიკური და ნეოკლასიკური აზროვნება წარმოსახავდა. იგი მიხვდა, რომ ადამიანის მოქმედებებში საკუთარი ინტერესი გარკვეულ როლს ასრულებს. მან ყურადღება ჩვეულებასა და ადათზე გაამახვილა.

კომონსის აზრით, ჩვეულება ნაკლებად მემკვიდრეობითია და იგი უფრო თავის დაცვის საშუალებაა. ადამიანები, ნაცვლად იმისა, რომ სიამოვნებასა და ტკივილზე მოახდინონ რეაგირება,

1 The legal Foundations of Capitalism, N.Y., 1924.
2 Institutional economics, N.Y., 1934.
3 History of Labour in the United States, V.1-4, N.Y., 1918-1935.

ალტერნატიულ ვარიანტს ირჩევენ. მისი აზრით, წინამორბედი ეკონომისტები ისტორიას არასწორად ანალიზებდნენ ან მას უკვე არსებული თეორიების ანალიზისათვის (და არა ახალი თეორიების ბაზად) იყენებდნენ.

იგი დარწმუნებული იყო, რომ კლასიკოსი და ნეოკლასიკოსი ეკონომისტების ინტერესში საკუთარი პოზიციების დაცვა შედიოდა. მისი აზრით, ეკონომიკური თეორიის აღდგენის მიზნით, მისი „აწყობის“ უბრალო ცდების ნაცვლად, უმჯობესია ისტორიისა და ემპირიული კვლევის გამოყენება.

კომონსის განცხადებით, რიკარდოს შეცდომები არ დაუშვია, მაგრამ ბევრი მისი მიმდევარი მწარმოებლური ძალისა და სავაჭრო ძალის აღრევისათვის პასუხისმგებელია. ბევრი ეკონომისტის ჩანაწერის მიხედვით, ბიზნესმენის მოგება რაიმე პროდუქციის დაბალი ფასით შესყიდვისა და მისი მაღალი ფასებით რეალიზაციის შედეგია. მწარმოებლური ძალა მაშინ ვლინდებოდა, როდესაც ადამიანი საქონლის მიწოდების გასაზრდელად ბუნებრივ რესურსებს ფლობდა, ხოლო შრომის მიწოდებაზე სავაჭრო ძალა ადამიანების კონტროლით ხორციელდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომონსს ბევრი მისი თანამედროვე რადიკალად თვლიდა, იგი მარქსის მიმდევარი არ იყო, პირიქით, — ბევრი მისი შეხედულებაც გააკრიტიკა. მაგალითად, კომონსს **მოულებლად მიაჩნდა** შეერთებული შტატებისათვის **კლასთა სტრუქტურის მარქსისტული ვარიანტის გამოყენება**. მეტიც, მიუხედავად კაპიტალიზმის კრიტიკისა, იგი არასოდეს **არ იყო** მისი **რევოლუციური დამხობის მომხრე**.

კლასიკური ეკონომიკის სხვა პოზიციების კრიტიკისას იგი ხაზს უსვამდა ისეთ მომენტებს, რომელიც ვებლენმა და მიტჩელმა ნაკლად მიიჩნიეს. კერძოდ, **ეკონომიკური დოქტრინა**, მისი აზრით, **გარიგების სამ ელემენტს** შეიცავდა: 1) **კონფლიქტი** (გარიგების მონაწილეთა დაპირისპირება); 2) კონფლიქტში მონაწილეთა **ინტერესების ურთიერთდამოკიდებულება**; 3) **წესრიგი** (კონფლიქტის დასრულება და გარიგების დადება).

წინამორბედმა ეკონომისტებმა თავიანთი დოქტრინა ამ სამიდან იმ გარიგებისაკენ წარმართეს, რომელიც **ბაზარზე** მიმდინარეობდა, მაგრამ, კომონსის აზრით, დანარჩენი ორიც ძალზე მნიშვნელოვანია და მათ გარეშე ეკონომიკური დოქტრინა დაუსრულებელია.

წინამორბედი ეკონომისტების მიერ უგულებელყოფილი იყო ორი ისეთი მომენტი, როგორიცაა — **მენეჯერული გარიგებები** (რომლებიც ზედამხედველებსა და მათდამი დაქვემდებარებულებს შორის გარიგებებს შეიცავდნენ) და **მომარაგების გარიგებები** (კორპორაციების დირექტორთა საბჭოს მიერ დივიდენდების მოცულობის განსაზღვრა და სხვა საკითხები).

კომონსმა თავისი აზროვნება უმეტესად ამ ორ მიმართულებასა და აგრეთვე **„ინსტიტუციებს“**[1] დაუთმო, რომლებმაც მათ დასრულებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. იქ, სადაც საბაზრო სიტუაციები საზოგადოების თვალსაზრისით არასასურველი აღმოჩნდა, კომონსი სახელმწიფოს მოქმედებას სთავაზობდა. მას „ზომიერი ფასების“ დაწესების შესაძლებლობის არ სჯეროდა და თვლიდა, რომ სანამ ინდივიდები ერთმანეთში დაობენ, თუ რა არის „ზომიერი“, შესაძლებელია მართლაც ზომიერი და სასარგებლო კოლექტიური შრომითი სტანდარტის შემუშავება.

ასე მაგალითად, მიემართოთ პროფესიული კავშირების როლის გამოყენებას. ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფითა და საბაზრო პროცესების გართულებასთან ერთად კონკურენციული ძალები უფრო ძნელი ასატანია მუშებისათვის. კაპიტალისტები ცდილობენ კონკურენციული მოთხოვნების შეგუებას, ხელფასებსა და მუშაობის ხარისხს აკონტროლებენ. სწორედ **„კავშირების“ კოლექტიური ძალა, როგორც ინსტიტუტი (დაწესებულება)** შრომის გამოყენებას და „კონკურენციიდან სამუშაოს მიღებას“ აკონტროლებდა.

კომონსი ინგლისში სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების დასაწყისში „კავშირების“ მდგომარეობას ვაჭრებს ადარებდა. ვაჭრის წარმატების მნიშვნელოვანი საშუალება სასამართლოებიც იყო, რომლებიც მათ კანონიერ მოთხოვნებს სცნობდნენ და, შესაბამისად, კანონის ინტერპრეტაციას აფართოებდნენ.

---

1 **„ინსტიტუციებში“** მას ესმოდა სხვადასხვა სახის სოციალური წარმონაქმნი: აქციონერული საზოგადოება, მეწარმეთა კავშირი, სახელმწიფო, ოჯახი, პროფკავშირები და სხვ.

კომონსი „კავშირების" მიმართ არსებული სასამართლოების პოზიციაში შესაბამის გადანაცვლებას ხედავდა და მას, როგორც ეკონომიკური ინსტიტუტების ევოლუციის ილუსტრაციას მიესალმებოდა, რადგან ეს იყო ინსტიტუტებიდან ზეწოლა, რომლებმაც ცვლილებები განაპირობეს. ამ ზეწოლისადმი მისადაგება მოსამართლეთა ინტერესებში შედიოდა, ზოგიერთ პუნქტში კი ისინი ამ ზეწოლას გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდნენ.

კომონსმა ამ „ბრძოლებზე" აქცენტირებით, ჰარმონიის ნაცვლად, ინტერესთა კონფლიქტი განაპირობა, რაც ინსტიტუციონალური ეკონომიკის ავტორისეული ვერსიის ამოსავალი წერტილი იყო.

4.3. ინტერესთა კონფლიქტი

კომონსის ანალიზის უმეტესი ნაწილი იმ დაკვირვებებიდან წარმოიშვა, რომლებსაც ეკონომიკური სამყაროს შესწავლისას იგი და მისი სტუდენტები აწარმოებდნენ. მან კაპიტალიზმის „ლეგალური საფუძვლებისათვის" ბევრი რამ შეიძინა, როდესაც გუბერნატორებს კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში ეხმარებოდა.

„კავშირების" როლით მისი დაინტერესების გამო, გასაკვირი არ არის, რომ მან „თავისი ეკონომიკის ცენტრად" არა ინტერესთა ჰარმონია, არამედ ინტერესთა კონფლიქტი აირჩია. იგი ამ კონფლიქტების გადაწყვეტის გზებს ეძებდა და ადამიანების ჰარმონიულად თანამშრომლობის აუცილებლობას ხაზს უსვამდა.

ამ მიზნით, კომონსი ინსტიტუტების განვითარებას მოითხოვდა, რომლებიც კოლექტიური მოქმედებით ინდივიდების ხელში ძალაუფლების თავმოყრას შეძლებდნენ. მას შესაძლებლად მიაჩნდა „ზომიერი" ფასების ან ხელფასების კოლექტიური მოქმედების გზით დადგენა.

კომონსი გარკვეული გაგებით მოწოდების სიმაღლეზე იყო, როდესაც ისტორიულ და ემპირიულ დასაბუთებას „იძიებდა". მისი სისუსტე იყო ის, რომ თეორიულ კვლევებზე წინ ემპირიულ სამუშაოებს აყენებდა და აქედან გამომდინარე, სასარგებლო განზოგადების დეფიციტს განიცდიდა.

თუმცა თავის დროზე კომონსს, როგორც არაპარაქტიკული იდეების მჭონე რადიკალს, ბევრი აკრიტიკებდა, მაგრამ შემდგომში მის მიერ დაწყებული საკანონმდებლო რეფორმები არცთუ იშვიათად განხორციელდა.

5. ახალი ინდუსტრიული საზოგადოება: ჯონ კენეთ გელბრეითი (1908-2006)

ამერიკელი ეკონომისტი და სოციალისტი ჯონ კენეთ გელბრეითი (Galbraith) დაიბადა ქ.ონტარიოში (კანადა) ფერმერის ოჯახში. დაამთავრა ონტარიოს და კალიფორნიის უნივერსიტეტები „სოფლის მეურნეობის ეკონომიკის" სპეციალობით.

მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა აშშ-ში კალიფორნიის, ჰარვარდისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში. იყო პრეზიდენტ ჯ.კენედის მრჩეველი, ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, აშშ-ის ელჩი ინდოეთში (1961-63).

ჯ.გელბრეითის მეცნიერული დოქტრინა[1] ძირითადად ჩამოყალიბებულია ორ ნაშრომში[2]: „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" (1967) და „ეკონომიკსი და საზოგადოების მიზნები" (1961-73).

წიგნში „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" დაახასიათა ვებლენისეული ნეოინსტიტუციონალური კატეგორიები „ინდუსტრიული სისტემა", ტექნოსტრუქტურა, „კორპორაციაც", „ლრი დონის სისტემის კონვერგენცია"...

„ინდუსტრიული სისტემის" ცნებაში გელბრეითი იმ პერიოდის თანამედროვე საზოგადოებას გულისხმობდა. მისი ხაზგასმით, „ინდუსტრიული სისტემა ფართო და შინაგანად განპირობებული გარდაქმნების პროდუქტად გვევლინება უკანასკნელ 60 წელში. ამ დროის განმავლობაში ცალკეული

1 1989 წ. შესაძლებლობა მქონდა ქ.მოსკოვში მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომესმინა ჯ.გელბრეითის საჯარო ლექციაზე გამოთქმული საინტერესო მოსაზრებები – ა.ს.

2 J. Galbraith: The New Industrial State, 1967; Economics and the Public Purpose, 1973.

კორპორაციების მასშტაბები განსაკუთრებულად გაიზარდა... ტექნოსტრუქტურა განვითარდა და განმტკიცდა"[1].

„ორი დონის სისტემის კონვერგენციაში" გელბრეითი გულისხმობდა დაგეგმვისა და ორგანიზაციის მსგავს სისტემას, რამდენადაც კონვერგენცია თანამედროვე წარმოების დიდ მასშტაბებს უკავშირდება, სხვა სიტყვებით, ბაზარი უნდა შეცვალოს დაგეგმვამ[2].

ჯ.გელბრეითმა გააკრიტიკა ნეოკლასიკოსების დოქტრინა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის მექანიზმი კონკურენტული ბაზარია: ახლა ძნელია გვწამდეს, რომ ეკონომიკურ სისტემას თვითსრულყოფილების ტენდენცია აქვს[3].

საბოლოოდ, ჯ.გელბრეითის მომავლის ძირითადი პროგნოზები საზოგადოების წინააღმდეგობების დაძლევის შესახებ არ გამართლდა.

6. პოსტინდუსტრიული საზოგადოების მომავალი: დენიელ ბელი

პოსტინდუსტრიული საზოგადოების დოქტრინის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ამერიკელმა დენიელ ბელმა (Bell, დაბადებული 1919 წ.) სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ტერმინი „პოსტინდუსტრიული საზოგადოება". იგი საზოგადოებრივ ცვლილებებს ტექნიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში მიმდინარე ცვლილებებთან აკავშირებს.

დ.ბელმა ნაშრომში „პოსტინდუსტრიული საზოგადოების მომავალი" (1973)[4] ამ საზოგადოებაში წინა პერიოდისაგან განმასხვავებელი ხუთი ნიშან-თვისება გამოყო[5]:

1. ეკონომიკურ სფეროში: საქონელთა წარმოებიდან მომსახურების სფეროს გაფართოებაზე გადასვლა;
2. დასაქმების სტრუქტურაში პროფესიულ-ტექნიკური პერსონალის უპირატესობის გამოკვეთა;
3. თეორიული ცოდნა როგორც სიახლეების დანერგვისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების წყარო;
4. ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური შეფასებების განსაკუთრებული როლი;
5. ახალი „ინტელექტუალური ტექნოლოგიის" შექმნა.

დ.ბელის მიერ ბრუნვაში შემოტანილი ტერმინი „ინტელექტუალური ტექნოლოგია" ინტუიციური მსჯელობების შემცველია. პოსტინდუსტრიული საზოგადოების მთავარ ინტელექტუალურ სოციოლოგიურ პრობლემებად დასახელებულია „ორგანიზაციული სირთულეები" - მსხვილმასშტაბიანი სისტემების მართვა[6].

თუ რატომ უწოდა მომავალ საზოგადოებას „პოსტინდუსტრიული საზოგადოება" და არა „ცოდნის" ან „ინფორმაციული" საზოგადოება, დ.ბელი პასუხობს: ჩვენ მოწმენი ვართ დასავლეთის საზოგადოებაში მიმდინარე მასშტაბური ისტორიული პროცესებისა, როდესაც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ბურჟუაზიული კულტურა სწრაფ ეროზიას განიცდიან[7].

დ.ბელის დასკვნით, ინდუსტრიულ საზოგადოებას ძირითადად წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური სივრცეში შემავალი ქვეყნები, აგრეთვე სსრ კავშირი (ყოფილი) და იაპონია, რომლებიც ძირითადად საქონელმწარმოებლებია, პოსტინდუსტრიული საზოგადოება კი მომსახურებას ეფუძნება, რომელიც ადამიანებს შორის თავისუფალი "თამაშის წესია". აქ მთავარია არა ძლიერი კუნთები, არამედ ინფორმაცია[8].

---

1 Гелбрейт Дж, К.,Новое индустриальное общество - «Мировая экономическая мысль», т.IV, М., 2004, გვ. 379.

2 იქვე, გვ. 380.

3 Гэлбреит Дж. К., Экономические теории и цели общества, ზემოაღნიშნ. წიგნში, გვ. 392.

4 Белл Даниел, Грядущее постиндустриальное общество – Мировая экономическая мысль, т. IV, М., 2004.

5 იქვე, გვ. 432.

6 იქვე, გვ. 433.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 433-434.

მისი აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება, აგრეთვე, კომუნალური საზოგადოებაა, სადაც ინდივიდი და შედეგად სოციალური პრობლემები უკეთესად წყდება. თუმცა, ადამიანთა შორის კოოპერაცია (თანამშრომლობა) ნიეთების მართვაზე რთულია.

7. ნეოინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური დოქტრინა: გუნარ მიურდალი (1898-1987)

7.1. ნობელიანტი „სტოკჰოლმის სკოლიდან"

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი (1974) შვედი ეკონომისტი კარლ გუნარ მიურდალი (Myrdal)[1] დაიბადა 1898 წ. გუსტფატში (ცენტრალურ შვედეთი) პატარა სოფელ სოლვარბოში.

1923 წელს დაამთავრა სტოკჰოლმის უნივერსიტეტი და იურისტის დიპლომით მუშაობაც დაიწყო, მაგრამ ამ საქმიანობით უკმაყოფილო, ისევ სტოკჰოლმის უნივერსიტეტში დაბრუნდა, სადაც კნუტ ვიკსელისა და გუსტავ კასელის ხელმძღვანელობით ეკონომიკის შესწავლას შეუდგა. 1927 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი და პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებლად დანიშნეს.

1929 წელს (საბირჟო კრახამდე ერთი დღით ადრე) მიურდალი აშშ-ში ჩავიდა, როგორც როკფელერის ფონდის სტიპენდიატი. 1933 წელს ისევ სტოკჰოლმის უნივერსიტეტში დაბრუნდა, სადაც პოლიტიკური ეკონომიისა და ფინანსების საუნივერსიტეტო კათედრის ხელმძღვანელის პოსტზე გ.კასელი შეცვალა. 1961 წელს აქვე დანიშნეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პროფესორად და უნივერსიტეტში მისი ინიციატივით დააარსებულ მსოფლიო ეკონომიკის გამოკვლევების ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში.

მიურდალი წმინდა თეორიულმა პრობლემებმა გაიტაცა მხოლოდ 1925-33 წლებში. მის სადოქტორო დისერტაციაში „ფასწარმოქმნის პრობლემები ეკონომიკური მერყეობების პირობებში" (1927) განხილულია ფასების დადგენის საკითხები. მან გამოკვლევაში ჩართო ისეთი ფაქტორები, როგორიცაა რისკი და მოლოდინი, რითაც დასწრო ბევრ მკვლევარს.

7.2. ფასწარმოქმნიდან მაკროეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ პრობლემამდე

შვედურ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში „მონეტარული წონასწორობა" (1931) (ინგლ. 1939)[2] მიურდალმა შემდგომ განავითარა სარგებლის განაკვეთისა და ეიკისელის დაგროვებითი პროცესების თეორია. ამ ნაშრომით მან ეკონომიკურ ანალიზში გამოიყენა ცნებები „მოლოდინი" და „განხორციელება". პირველი მიეკუთვნება მოცემული ეკონომიკური ცვლადის მოსალოდნელ სიდიდეს, მეორე – ამ ცვლადის რეალიზებულ (ან ფაქტობრივ) სიდიდეს.

ამ ორ ტერმინს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური დინამიკის თეორიაში, რომელიც შეიმუშავეს სტოკჰოლმში 30-იან წლებში. მომხმარებლები ან ეკონომიკური აგენტები თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებენ „მოლოდინის" ეკონომიკური ცვლადების სიდიდეებზე. ამით ეკონომიკური წონასწორობის დადგენის პროცესში ისინი გაველენას ახდენენ „განხორციელების" ცვლადების (მაგალითად, ფაქტობრივი ფასების) რეალიზაციაზე.

მიურდალის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა მაკროეკონომიკის სტოკჰოლმის სკოლას.

მან დაწერა შრომა „ფისკალური პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები" (1934), რომელშიც მოცემულია წინადადებები იმის თაობაზე, როგორ გავააქტიუროთ ფისკალური პოლიტიკა „დიდი დეპრესიის" დასაძლევად.

ამ შრომაში იგი იცავდა მოსაზრებას, რომ საზოგადოებრივი ნდობის მხარდასაჭერად ბიუ-

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 79-85.

2 Monetary Equilibrium, L., 1939.

ჯეტური დეფიციტი, რომელიც გაჩნდა კრიზისისა და დეპრესიის დროს, დაფარულიყო შესაბამისი ბიუჯეტური სიჭარბით, დეპრესიის მომდევნო პერიოდის აღმავლობის დროს.

სტოკჰოლმის სკოლამ ძირითადად მიურდალის მოღვაწეობით, უფრო ადრე დაამუშავა მაკროეკონომიკის მოდელები, ვიდრე გამოქვეყნდა ჯ.მ.კეინზის „ზოგადი თეორია“ (1936).

1935 წელს მიურდალი აირჩიეს შვედეთის პარლამენტის წევრად, 1945-47 წწ. იყო შვედეთის ვაჭრობის მინისტრი.

იგი მეუღლესთან[1] ერთად მონაწილეობდა შვედეთის დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში. მათ ნაშრომში „კრიზისი და მოსახლეობის პრობლემები“ (1934), გამოკვლეული იყო შობადობის შემცირების მიზეზები შვედეთში და წამოყენებული იყო თავისებური ახალი კურსი, შემოთავაზებული იყო ინტენსიური საბინაო პოლიტიკა და სუბსიდიების გადახდა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

მათი ბევრი რეკომენდაცია რეალიზებული იყო მომდევნო ათწლეულებში.

1938 წელს, როცა მიურდალი კვლავ ჩავიდა ლექციების წასაკითხად ჰარვარდის უნივერსიტეტში, კარნეგის კორპორაციამ სთხოვა, ეხელმძღვანელა მკვლევართა დიდი ჯგუფისათვის, რომელიც სწავლობდა „ზანგების პრობლემას“.

მიურდალმა და მისმა ჯგუფმა მოამზადა გამოკვლევა – **„ამერიკული დილემა: ზანგთა პრობლემა და თანამედროვე დემოკრატია“** – ორ ტომად (1944)[2]. ამ ნაშრომში მიურდალმა გააანალიზა შავკანიანი ამერიკელების მიმართ თეთრკანიანთა ქცევის სოციოლოგიური, პოლიტიკური, ისტორიული, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური საფუძვლები და ასევე შავკანიანთა რეაქცია რასიზმზე. „ამერიკის დილემამ“ ღრმა ზემოქმედება მოახდინა აშშ-ის სახელმწიფო პოლიტიკაზე. მაგ., განათლების სფეროში.

1940 წელს მიურდალი შვედეთში დაბრუნდა. 1943 წელს გაგზავნეს შეერთებულ შტატებში შვედეთის საელჩოს ეკონომიკურ მრჩევლად. 1944 წელს გამოაქვეყნა თავისი ცნობილი წიგნი „გაფრთხილება ომისშემდგომი ოპტიმიზმის წინააღმდეგ“[3], რომელშიც წინასწარმეტყველებდა სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს, განსაკუთრებით აშშ-ში. როგორც სამთავრობო ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარე, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა გაჭიანურებული უძრაობისა და მსოფლიო ბაზრებზე დაუბალანსებლობის საშიშროებას.

ამ გარემოებათა და შვედეთის სამრეწველო სტრუქტურის დაუბალანსებლობის გათვალისწინებით სამთავრობო დაგეგმვის ღრმად გააზრებული სისტემა უნდა შემოეღოთ. მისი პროგნოზით ეკონომიკის სტაბილურობა მოსალოდნელი იყო გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში და საჭირო იყო მათთან ვაჭრობის გაფართოება.

1947 წელს მიურდალმა დატოვა მთავრობა და მიიღო გაეროს ეკონომიკური კომისიის გენერალური მდივნის თანამდებობა ევროპისათვის (ეეკ). მისი მოხსენებები მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა.

1957 წელს მან დაამთავრა მუშაობა ეეკ-ში, ჩავიდა მეუღლესთან, რომელიც მუშაობდა შვედეთის ელჩად ინდოეთში და დაიწყო აზიის სუსტად განვითარებული ქვეყნების პრობლემების ათწლიანი კვლევა (იგი არ სცნობდა ამ ქვეყნების მიმართ ტერმინს – „განვითარებადი“).

ამ გამოკვლევის შედეგად გამოქვეყნდა წიგნი **„აზიური დრამა: ხალხთა სიღარიბის გამოკვლევა“** (1968)[4].

ამ სამტომეულის ცენტრალური თეზისია ის, რომ მხოლოდ ღრმა რეფორმებს მოსახლეობის ზრდის კონტროლის, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების, ჯანდაცვისა და განათლების სფეროში შეუძლია განაპირობოს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის (ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა...) ქვეყნების სწრაფი ეკონომიკური განვითარება. მიურდალის დასკვნით, ამ რეგიონის ქვეყნების „რბილი მთავრობები“ მეტად სუსტნი იყვნენ, რათა დაეძლიათ ის, რასაც იგი „სიღარიბის დამგროვებელ ძალებს“ უწოდებდა.

---

1 მისმა მეუღლემ **ალვა მიურდალმა** (1902-86) 1982 წ. მიიღო ნობელის მშვიდობის პრემია.

2 An American dilemma: the negro problem and mogern democraty, v.1-2, N.Y., 1944.

3 Varning för fredsoptimism, 1944.

4 Asian drama: an Inquiry into the Poverty of Nations, v.1-3, N.Y., 1968 (რუს თარგმ.: Современные проблемы «третьего мира», М., 1972).

მიურდალის აზრით, დასავლეთიდან უცხოურ დახმარებას, მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში, შეეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება, მაგრამ იგი მხოლოდ დამხმარე ფაქტორია ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გარეშე. მისი რეკომენდაციით, აუცილებელი იყო ტრადიციული საზოგადოების გარდაქმნა და აგრარული რეფორმის გატარება ადგილობრივი შრომითი რესურსების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად.

წიგნმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა მიუკერძოებელი მიდგომის გამო.

მიურდალი „**სახელმწიფოს საყოველთაო კეთილდღეობის დოქტრინას**" ქადაგებდა უფრო ადრეც – 1956 წ. გამოცემულ წიგნში „**საერთაშორისო ეკონომიკა: პრობლემები და პერსპექტივები**"[1]. მასში მოცემულია თეორიული რეკომენდაციები სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობაზე ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინებით.

მიურდალმა, რომელიც თავის თავს „ინსტიტუციონალურ ეკონომისტს" უწოდებდა, მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაზე არსებითი ზეგავლენა ვერ მოახდინა. სამაგიეროდ, მას კოლოსალური საერთაშორისო გავლენა ჰქონდა იმიტომ, რომ იგი ერთ-ერთი იშვიათი ეკონომისტი - ნობელის ლაურეატია, რომელიც ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებს ერთობლივად იკვლევდა.

თავის წიგნში „**დინების წინააღმდეგ: ეკონომიკის კრიტიკული ნარკვევები**" (1973)[2] მიურდალის მტკიცებით, იმის რწმენა, რომ კონკურენტულ ბაზრებს (ა.სმიტის „უხილავი ხელი") ახასიათებს „ოპტიმალობა", გამართლებულია მაშინ, თუ იგნორირებულია განაწილების პრობლემები.

ეკონომიკაში ნობელის პრემია 1974 წ. მიენიჭა ფრ. ფონ ჰაიეკთან ერთად „ინოვაციური შრომებისათვის ფულისა და ეკონომიკური რყევების თეორიებში, აგრეთვე ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების ღრმა ანალიზისათვის".

მომდევნო წელს, ნობელის ლექციაში, მიურდალმა არ უღალატა თავის თავს. იგი მკვეთრად აკრიტიკებდა შეერთებულ შტატებს იმისათვის, რომ უცხოური დახმარების პროგრამას უკავშირდება თავის ვიწრო ეროვნულ ინტერესებს. მან ფრიად ნეგატიურად შეაფასა დასავლეთის „გამომწვევი მოხმარება", რასაც იგი განიხილავდა, როგორც „მესამე სამყაროს" ქვეყნების სიღატაკის გაძლიერების ფაქტორს[3].

ინსტიტუციონალური პრობლემების ანალიზს კიდევ ერთხელ მიეძღვნა გ.მიურდალის ნაშრომი „პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ეკონომიკსი" (1979)[4].

1973-75 წლებში მიწვეული იყო კალიფორნიისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში.

გ.მიურდალი იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიისა და შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრი. მინიჭებული ჰქონდა მრავალი უნივერსიტეტის საპატიო სამეცნიერო ხარისხი.

1987 წ. სტოკჰოლმში გარდაიცვალა.

8. ტრანსაქციული დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების დოქტრინა: რონალდ კოუზი

ინგლისელ-ამერიკელი ეკონომისტი, ნეოკლასიკური დოქტრინის თანამედროვე თეორეტიკოსი რონალდ ჰარი კოუზი (Coase)[5] დაიბადა 1910 წ. ლონდონის გარეუბანში.

1929-32 წწ. სწავლობდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში (ლეს). მასზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა პროფესორმა ა.პლანტმა – ბიზნესის მართვის სპეციალისტმა, აგრეთვე, ჩიკაგოს სკოლის დამაარსებლის ფრენკ ნაითის (1885-1974) ნაშრომმა – „რისკი, განუსაზღვრელობა და

1 Against the stream, N.Y., 1973.

2 An international economy: problems and prosnects, L., 1956 (რუს. თარგმ.: Мировая экономика: Проблемы и перспективы, М., 1958).

3 Мюрдаль Г., Проблема развития и ее роль в мировом развитии – Мировая экономическая мысль, т.V, кн. I, М., 2004, გვ. 189-213.

4 Political and institutional economics, Dublin, 1979.

5 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბ., 2005.

მლაგება“ (1921), რამაც გაუღვიძა ინტერესი ეკონომიკური ინსტიტუტების პრობლემისადმი.

კოუზს სულ უფრო მეტად აინტერესებდა სამრეწველო კანონმდებლობა. 1931/32 აკადემიური წელი აშშ-ში გაატარა, სადაც სწავლობდა ამერიკის მრეწველობის სტრუქტურას. ამ პერიოდში შეგროვილი მასალების გაანალიზებით კოუზმა გამოაქვეყნა სტატია „**ფირმის ბუნება**“ (1937)[1]. ამ სტატიაში ავტორი შეეხო ეკონომიკური ორგანიზაციის ფუნდამენტურ პრობლემას. იგი ბიზნეს-ფირმას კონტრაქტული ურთიერთობების ქსელით ბაზრის ალტერნატიულ ორგანიზაციულ სტრუქტურად განიხილავდა. სტატიაში განხილულია ეკონომიკური აგენტების არჩევანის ბუნება და შემოთავაზებულია ფირმის, როგორც საბაზრო ოპერაციების შემცველის ახსნა დანახარჯების შემცირების მიზნით.

თუ ნეოკლასიკოსები ბაზარს სრულყოფილ მექანიზმად განიხილავენ, სადაც აუცილებელი არ არის გარიგებების დანახარჯების გათვალისწინება, კოუზმა, პირიქით, ასეთი დანახარჯების არსებობა გაითვალისწინა, რომელსაც „**საბაზრო მექანიზმის გამოყენების დანახარჯები**“, ანუ **ტრანსაქციური**[2] **დანახარჯები** უწოდა.

კოუზის რეკომენდაციით ტრანსაქციური დანახარჯები ეკონომიკურ ანალიზში უნდა შეეტანათ; ტრანსაქციური დანახარჯების ზრდა, საბოლოო ანგარიშით, ზღუდავს შემდგომი ოპერაციების გადანაცვლებას ბაზრიდან ფირმაში. თუმცა, დღეს საკამათოა კოუზის თეზისი იმის შესახებ, რომ ფირმა ცვლის ბაზარს. საერთოდ, არჩევანი კეთდება ნაკლებდანახარჯებიან შეთანხმებზე.

კოუზი ასწავლიდა ჯერ ეკონომიკისა და სტატისტიკის სკოლაში (ქ.დანდში), ლივერპულის უნივერსიტეტში, ხოლო 1935 წლიდან ლეს-ში, სადაც 1946 წელს დანიშნეს ეკონომიკის ძირითადი კურსის სწავლების კოორდინატორად.

1951-58 წწ. მუშაობდა ქ.ბუფალოს უნივერსიტეტში (ნიუ-იორკის შტატი), ხოლო 1959 წელს მუშაობა დაიწყო ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

ინსტიტუციონალური პრობლემებით დაინტერესებულმა კოუზმა 50-იან წლებში დაწერა რამდენიმე სტატია, მ.შ. ყველაზე ცნობილია „**კავშირგაბმულობის საშუალებათა ფედერალური კომისია**“ (1959)[3], რომელიც „ინსტიტუციონალური ანალიზის“ კლასიკურ მაგალითად ითვლება. ამ სტატიაში გაკრიტიკებულია აშშ-ის კონგრესის მიერ დანიშნული კავშირგაბმულობის საშუალებათა კომისიის საქმიანობა, რომლის ამოცანა გახდა ინფორმაციის საშუალებათა მართვა, მათ შორის ლიცენზიების შერჩევა ეთერით სარგებლობისათვის და რადიომაუწყებლობის პროგრამების შინაარსის რეგულირება.

ამ მიმართულებით, კოუზმა შემდგომშიც განავითარა თავისი დასკვნები სტატიაში „**სოციალური დანახარჯების პრობლემა**“ (1960)[4]. ამ ნაშრომში აგრეთვე ჩამოყალიბებულია ე.წ. **კოუზის თეორემა**, რომლის მიხედვით ინფორმაციის ასიმეტრიის (სიმეტრიის დარღვევა) არარსებობისას გარემოს დაცვის პრობლემები, კერძო მესაკუთრეებს შორის შეთანხმებების საყოველთაო საფუძველზე უფრო ეფექტურად შეიძლება გადაწყდეს.

1964 წელს კოუზი სამუშაოდ გადავიდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. იმავე დროს იგი გახდა „სამართლისა და ეკონომიკის“ ჟურნალის რედაქტორი. ეს სამუშაო დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა. სწორედ ჟურნალის წყალობით, საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებში გაჩნდა ახალი საგანი „კანონმდებლობა და ეკონომიკა“.

1991 წ. ეკონომიკაში **ნობელის პრემია** მიენიჭა „ინსტიტუციონალურ სტრუქტურათა და ეკონომიკის ფუნქციონირებაში ტრანსაქციული დანახარჯებისა და საკუთრების უფლებების ზუსტი არსის ახსნაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის“.

ნობელის კომიტეტის დასკვნაში აღინიშნა, რომ კოუზმა გააღრმავა მიკროეკონომიკური თეორიის ჩარჩოები; მოახდინა გარღვევა ეკონომიკის ინსტიტუციონალური სტრუქტურის გაგებაში. ამჟამად მისი დოქტრინა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გამოკვლევებს, როგორც ეკონომიკის, ისე იურისპრუდენციის სფეროში.

---

1 Couse R., The Nature of Firm-Economica, XI, №4, 1937, გვ. 386-405.

2 **ტრანსაქცია, ტრანზაქცია** (ლათ. transactio -ხელშეკრულება) – საბანკო ოპერაცია, რომლითაც ფულადი სახსრები გადაეგზავნება ერთი ანგარიშიდან მეორეზე.

3 The Federal Communications Commission – J. of Law Economics, №2, 1959, გვ. 1-40.

4 The Problem of Social Cost // Journal of Law and Economics, №3, 1960, გვ. 1-44.

9. საზოგადოებრივი არჩევანის დოქტრინა: ჯეიმზ ბიუკენენი

ამერიკელი ეკონომისტი, ჯეიმზ მაკგილ **ბიუკენენი** (Buchanan)[1] დაიბადა 1919 წელს, ქ.მერფრისბოროში (ტენესის შტატი).

მამამისი ფერმერი, ხოლო ბაბუა ამ შტატის გუბერნატორი იყო.

1941 წ. დაამთავრა ტენესის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. იმავე წლის ზაფხულში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1945 წ. იქორწინა ანნა ბაკეზე. შვილები არ ჰყავთ. ომის შემდეგ 1948 წ. ბიუკენენმა დაამთავრა ჩიკაგოს უნივერსიტეტის ასპირანტურა. შემდგომში მუშაობდა ტენესის შტატის, ფლორიდის, კალიფორნიის უნივერსიტეტებში პროფესორად.

ბიუკენენმა 1955/56 სასწავლო წელი გაატარა რომსა და პერუჯაში, სადაც სწავლობდა იტალიელი ეკონომისტების შრომებს სახელმწიფო ფინანსების თეორიის სფეროში. პარალელურად ინსტიტუციონალურ სტრუქტურებს შორის ურთიერთობათა საკუთარ იდეებს ანვითარებდა.

1957 წ. ამერიკელ ეკონომისტ ჯონ უორენ ნატერთან ერთად დააარსა ფლეტჩერსონის სახელობის გამოკვლევების ცენტრი პოლიტიკური ეკონომიის სფეროში. ისინი ოცნებობდნენ შეენარჩუნებინათ ინდივიდუალურ თავისუფლებაზე დამყარებული სოციალური წყობა. ბიუკენენი 1957-69 წწ. ამ ცენტრის დირექტორია.

ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევების შედეგად, ბიუკენენმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, როგორც წამყვანმა მკვლევარმა იმ სფეროში, რომელსაც ეწოდება **საზოგადოებრივი არჩევანი** და იკვლევს ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას იმ სფეროებში, რომლებიც ტრადიციულად პოლიტოლოგიას ეკუთვნის.

მისი ანალიზის ძირითადი კატეგორიებია ინდივიდუალური (კერძო) პირები, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილებები, რაც სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას მთლიანად.

საზოგადოებრივი არჩევანის დოქტრინა წინასწარჭვრეტს, როგორ გაელენას მოახდენს საზოგადოების მდგომარეობაზე ინდივიდუალური პირების ქცევა, როცა ისინი სხვადასხვა როლში არიან — ამომრჩევლები ან გადასახადის გადამხდელები, პოლიტიკოსები ან სამთავრობო მმართველები და მოსამართლეები. ეკონომიკური კი, პირიქით, ცდილობს ინდივიდუალური პირების ქცევა მყიდველებისა თუ გამყიდველების, მწარმოებლებისა თუ მუშების, ინვესტორებისა ან მეწარმეების ეკონომიკურ როლში დაუკავშიროს იმ შედეგებს, რომლებიც ეკონომიკის დონეზე ვლინდება.

1949 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში **„სახელმწიფო ფინანსების თეორია"**, გადმოცემული იყო ბიუკენენის თავისებური მანიფესტი. მასში დაპირისპირებული იყო სახელმწიფოს ორი კონცეფცია: პირველის მიხედვით, იგი არის ერთადერთი ინსტანცია გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაცია; მეორე კონცეფციის მიხედვით (რომელსაც იზიარებდა ბიუკენენი), საზოგადოება მისი ინდივიდუალური წევრების ჯამია, რომლებიც მოქმედებენ როგორც კოლექტივი, ხოლო „მთავრობა არის ინდივიდების კოლექტიური ნების გამომხატველი და არ შეუძლია მითვისოს რაიმეს მაქსიმიზაციის უფლება".

ბიუკენენი გამოყოფს საზოგადოებრივი არჩევანის ორ განსხვავებულ დონეს — არჩევანის საწყისი კონსტიტუციური (კონსტიტუციის მიღებამდე) და პოსტკონსტიტუციური დონე. პირველი დონის კვლევა გულისხმობს ეკონომიკის დამუშავებას კონსტიტუციის ჩარჩოებში მაშინ, როცა, მეორე ეკონომიკს ამუშავებს პოლიტიკური ინსტიტუტებისათვის. განსხვავება არჩევანის ორ დონეს შორის შეიძლება გამოვლინდეს როგორც არჩევანის ანალოგია, რომელსაც ადამიანები ჯერ ირჩევენ თამაშის წესებს, შემდეგ ამ წესების ფარგლებში თამაშის სტრატეგია განისაზღვრება.

განსხვავება კონსტიტუციურ და პოსტკონსტიტუციურ არჩევანს შორის პირველად იყო გადმოცემული მონოგრაფიაში **„თანხმობის გამოთვლა"** (1962)[2], რომელიც ბიუკენენმა დაწერა გატილოკთან ერთად.

---

1 ა.ილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 184-190.

2 **Buchanan** J. The calculus of concent, 1962.

ნაშრომში „თავისუფლების საზღვრები: ანარქიასა და ლევიათანს[1] შორის“ (1975)[2], ბიუკენენმა გამოკვლა დამცავი სახელმწიფო – გარანტი და მწარმოებელი სახელმწიფო. დამცავი სახელმწიფოს წარმოშობა არის ნახტომი ანარქიიდან პოლიტიკურ ორგანიზაციამდე. ამ ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოებში მოწყობილმა კერძო სახით წარმოებული პროდუქტით ვაჭრობამ და გაცვლამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესის მონაწილეთა ურთიერთსარგებლობას.

ბიუკენენის აზრით, მწარმოებელი სახელმწიფო ასტიმულირებს მოქალაქეთა შორის პოსტკონსტიტუციურ კონტრაქტს პროდუქტის ერთობლივი მოხმარების მოთხოვნაზე. მაგრამ პოლიტიკოსების, მმართველების ან ბიუროკრატების საქმიანობა ხელს უწყობს სახელმწიფოს გაძლიერებას პოსტკონსტიტუციურ სტადიაზე. ეს განაპირობებს ლევიათანის (თომას ჰობზის ცნობილი პოლიტიკური სიმბოლო, რომლითაც იგი აღნიშნავდა ავტოკრატულ სახელმწიფოს) გაჩენის მუქარას.

ბიუკენენისათვის გამოსავალია ის, რომ პოლიტიკოსი და მართვის თანამედროვე დოქტრინები გამოყენებული იყოს იმ ინსტიტუტებისა და წესების შექმნისათვის, რომლებიც ავტოკრატული რეჟიმის პოლიტიკურ განვითარებას დააბრკოლებენ.

უფრო გვიანდელ შრომებში ბიუკენენმა გააანალიზა და შემდგომ განავითარა კონსტიტუციური რეფორმის აუცილებლობა. ნაშრომში „დემოკრატია დეფიციტში“ (1977)[3], რომელიც დაწერა რ.ე. ვაგნერთან ერთად, ბალანსირებული ბიუჯეტის კონსტიტუციური მოთხოვნა დასაბუთებულია პოსტკონსტიტუციური ქცევის მოდელის ანალიზის დახმარებით, როცა ფინანსური დეფიციტი პოლიტიკოსებს ეხმარება პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღონ დიდი რაოდენობის პოლიტიკური სეგმენტებისაგან სახელმწიფო ხარჯების გადიდებით სპეციალურ მიზნებზე, იმავდროულად გადასახადების ზრდის შეჩერებით, რასაც შეეძლო ამ ხარჯების დაფარვა.

ნაშრომში „საგადასახადო დაბეგვრის ძალაუფლება“ (1980)[4], რომელიც დაწერა ჯ.ეფერი ბრენანთან ერთად, კონსტიტუციური შეზღუდვები მთავრობის რწმუნებებზე საგადასახადო დაბეგვრის სფეროში დასაბუთებულია, გამომდინარე პოსტკონსტიტუციური პოლიტიკის მოდელიდან, სადაც მთავრობა განიხილება როგორც ორგანო, რომელიც მოგების მაქსიმიზაციისაკენ მიისწრაფის. ბიუკენენი პირდაპირ და ირიბად მხარს უჭერდა კონსტიტუციური შესწორების სხვადასხვა წინადადებას, რომლებიც ბალანსირებულ ფედერალურ ბიუჯეტს მოითხოვდნენ.

1986 წ. ეკონომიკაში ნობელის პრემია მიენიჭა „ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თეორიის სახელშეკრულებო და კონსტიტუციური საფუძვლების კვლევისათვის“.

არის ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის საპატიო წევრი და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი. ეკავა ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის (1971), „მონ პელერინის“ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტისა (1982-84) და პრეზიდენტის (1984-86) პოსტები.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.არავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II. თბ., 1975.

ა.გრიშინაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბ., 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, თბ., 1962.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

1 ლევიათანი ბიბლიურ გაგებაში – ზღვის უზარმაზარი ურჩხული.

2 The Limits to Liberty: Between Anarchy and Leviathan, 1975.

3 Democraty in Deficit, 1977.

4 The Power to Tax, 1980.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Альтер Л.Б., Буржуазная политическая экономия США, М., 1971.

Белл Даниел, Грядущее постиндустриальное общество – Мировая экономическая мысль, т. IV, М., 2004.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Блюмин И.Г., Очерки современной буржуазной политической экономии США, М., 1956; Критика буржуазной политической экономии, т.2, М., 1962.

Всемирная история экономической мысли, т.4, М., 1989.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996, гл.30.

Мировая экономическая мысль, т. III, М., 2005.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Хансен А., Экономические циклы и национальный доход, М., 1959.

Шумпетер И., История экономического анализа, т.3, Санкт-Петербург, 2004.

Buchanan J.: Prices, Income and Public Policy, N. Y., 1954 (ჩ.ალენთან და მ.კოლბერგთან ერთად); Public principles of public debt, Homewood, 1958; Theory and Political Economy, Chapel Hill, 1960; Fiscal the calculus of concent Ann Arbor., 1962 (გ.ტალოკთან ერთად); The public finances, 2 ed., Homewood, 1965; Public finance in democtratic process Chapel Hill, 1967; Cost and Choice: An Inquiry in Economic Theory, Chicago, 1969; Theory of Public Choice: Political Applications of Economics, Vol 1-2, 1972, 1984 (რედ. რ.ტოლისონთან ერთად); The Limits to Liberty: Between Anarchy and Leviathan, Chicago, 1975; Democraty in Deficit, 1977 (რიჩარდ ე.ვაგნერთან ერთად); Freedom in Constitutional Contract, 1978; What Should Economists Do? Indianopolis, 1979; The Power to Tax, 1980 (ჯეფრი ბრენანთან ერთად); Liberty, Market, and State: Political Economy in the 1980s., Brighton, 1985; The Reason of Rules, N. Y., 1985 (ჯ.ბრენერთან ერთად); The Return to increasing Returns (რედ.), An Arbor: Un. of Michigan Press. 1994; რუს. თარგმ.: Минимальная политика рыночной системы - От плана к рынку: будущее посткоммунистических республик. М., 1993, გვ. 105-116; Извлечение ренты и извлечение прибыли - Политическая рента в рыночной и переходной экономике. М., 1995; Введение в конституциональную экономическую теорию (отрывки) - Адам Смит, Джон М.Кейнс, Джеймс М.Бьюкенен: Учеб. пособие, М.Ю, 1996. გვ. 108-109; Политическая экономия государства благосостояния - "МЭ и МО", 1996, № 5, გვ. 46-52; Конституция экономической политики. Нобелевская лекция – Мировая экономическая мысль, т.V, М., 2004, გვ. 561-573.

Commons J.R.: Distribution of wealth, N.Y.-L., 1893; Labour and administration, N.Y., 1913; History of Labour in the United States, V.1-4, N.Y., 1918-1935 (სხვა ავტორებთან ერთად); The legal Foundations of Capitalism, N.Y., 1924; Evaluating institutions as a factor in economic change special lectures on economics, 02-03, 1930; Institutional economics, N.Y., 1934/1959.

Coase R.: The Nature of Firm // Economica, 1937, № 4, XI, გვ. 386-405; The Postal Monopoly in Great Britain: An Historical Survey // Economic Essays in Commemoration of the Dundee School of Economics, 1931-1955. 1955; The Federal Communications Commission // Journal of Law and Economics, 1959, №. 2, გვ. 1-40; The Problem of Social Cost // Journal of Law and Economics, 1960, №3, გვ. 1-44; Industrial Organization: A Proposal for Research // Policy Issues and Research Opportunities in Industrial Organization / რ.ფუქსის რედ. 1972; The New Institutional Economics // Zeitschrift für die gasemte Staatswissenschaft, 1984, № 140; რუს თარგმ.: Институциональная структура производства. Лекция лауреата Нобелевской премии в области Экономических наук за 1991 год – Мировая экономическая мысль, т.V, кн. I, М., 2004; Фирма, рынок и право, М., 1993; Природа фирмы –Теория фирмы. Вехи экономической мысли, , т.2, СПб., 2000.

Dorfman Joseph: Thorstein Veblen and His America, N.Y., 1934; The Economic Mind in American Civilization, N.Y., 1949.

Galbraith J.: The Affment Society, 1958; The New Industrial State, 1967; Economics and the Public Purpose, 1973; Новое индустриальное общество - : «Мировая экономическая мысль», t. IV, M, 2004; Экономические теории и цели общества. М., 1973; Жизнь в наше время, М., 1986

Lerner Abba P., Essays in Economic Analysis, L., 1953.

Mitchell W.C.: A history of the greenback..., Chi., 1903; Gold, Prices and Wages ander the Greenback Standard, Berk., 1908; Income in the United States, v.1-2, N.Y., 1921-22 (თანაავტორობით); Business Cycles, N.Y., 1913/1927; Wat Weblen taugt, N.Y., 1936; The backward art of spending money and other essays, N.Y., 1937; Measuring Business Cycles (თანაავტორი ა.ბერნსი), N.Y., 1946; What happens during Businesss Cycles, N.Y., 1951; The economic scientist, N.Y., 1952; Types of economic theory. From mercantilism to institutionalism, v.1-2, N.Y., 1967-1969; Экономические цикли. Проблема и ее постановка, Пер. с англ., М., 1930.

Myrdal G.: Monetary Equilibrium, L., 1939; Population: A Problem for Democracy, Caambridge, Ma, 1940; Varning för fredsoptimism, 1944; An American Dilemma: The negro problem and modern democracy, vol.1-2, New York, 1944; The trend towards economic planning - Manchester School of Economic and Social Studies, I, 1951; The political element in the development of economic theory, Harvard Univ. Press, 1953; An international economy, problems and prospects. London, 1956; Economic Theory and Under-Developed Regions. London, 1957; Value in social theory. A selection of essays on methodology, New York, 1958; Beyond the welfare state. Economic Planning in the Welfare States and its International Implications, London, 1960; Challenge to Affluence. New York, 1963; Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations, Vol. 1-3, New York, 1968; Harmondsworth, 1977; Objectivity in Social Research, New York, 1969; The Challenge of World Poverty. A World Anti-Poverty Program in Outline, New York, 1972; The Place of Values in Social Policy. Stockholm, 1972; Growth and Social Justice - World Development, 1973, March-April, 1 (3-4), გვ. 119-120; Againts the Stream: critical essays on economics, New York, 1973; (იტალ. გამოც., Roma, 1975); Political and Institutional Economics, Dublin, 1979; რუს თარგმ.: Мировая экономика: Проблемы и перспективы, М., 1958; Швеция и Западная Европа, М., 1964 (თანაავტ.); Современные проблемы «третьего мира», М., 1972; Возрастающая взаимозависимость государств и неудачи меджународного сотрудничества – Ж. "МЭ и МО", № 5, 1980; Проблема развития и ее роль в мировом развитии – Мировая экономическая мысль, т.V, кн. I, М., 2004.

Veblen T.B.: The Theory of the Leisure Class, N.Y., 1899; The Theory of Business Enterprise, N.Y., 1904; The Instinct of Workmaship. N.Y., 1914; The higher learning in America, N.Y., 1918; The vested interest and the state of the industrial arts, N.Y., 1919; The Place of Science in Modern Civilization, N.Y., 1919; The Engineers and the Price System, N.Y., 1921/1963; Absente Ownership and Businesss Enterprise in Recent Times, N.Y., 1923; Essays in Our Changing Order, N.Y., 1943; Теория праздного класса, Пер. с англ., М., 1984.

თავი XXII.
თავისუფალი მეწარმეობის ნეოლიბერალური დოქტრინები

1. გერმანული ნეოლიბერალიზმი და ორდოლიბერალიზმი

1.1. ნეოლიბერალიზმი

მე-20 საუკუნის ეკონომიკური დოქტრინების ერთ-ერთი მიმართულება ნეოლიბერალიზმი მსოფლიოს მომცველი სულიერი მოძრაობაა. იგი ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული სკოლის, ნეოკლასიკური და ტრადიციული ლიბერალიზმის ბაზაზე. ამ მიმართულების მეთოდოლოგიაში (ნეოკლასიკოსებისგან განსხვავებით) მარჟინალიზმი ცენტრალურ ადგილს არ იკავებს. მას ტრადიციულ ლიბერალიზმთან ინდივიდუალური თავისუფლების იდეა აკავშირებს.

ნეოლიბერალიზმის იდეები, უპირველეს ყოვლისა, ფართოდ გაერცელდა გერმანიაში (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სხვა ქვეყნებშიც) ვ.ოიკენის ხელმძღვანელობით. იგი კეინზელობის პარალელურად ვითარდებოდა, როგორც „დიდ დეპრესიაზე“ რეაქცია.

თუ ჯ.კეინზმა კაპიტალიზმის მანკიერებები მოთხოვნის ქრონიკულ დეფიციტს დაუკავშირა (რომელიც ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით დაიძლევა), ნეოლიბერალები ყველა სენის მიზეზს არასრულყოფილ კონკურენციასთან და ეკონომიკის მონოპოლიზმთან აკავშირებენ.

ნეოლიბერალი ეკონომისტები და სოციალური სფეროს მკვლევარი-მეცნიერები ღიად იცავენ თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობილებას. მისი ორგანიზაციული ფორმა გახლავთ მონტ-პელერინის (Mont pelerin) საზოგადოება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1947) ნეოავსტრიული სკოლის წარმომადგენლების ფ.ა. ფონ **ჰაეკის** (1919-1992), ფ.**მიზესის** (1881-1973) და ვ.**რიოპკეს** ინიციატივით დაარსდა.

ამ საზოგადოებას თავისუფალი, ევროპული აზროვნების ტრადიცია უნდა გაეგრძელებინა, ამასთანავე, მას გერმანელი მეცნიერები სულიერი და პიროვნული იზოლაციიდან უნდა გამოეყვანა - ეს გახლდათ თამამი და შორსმჭვრეტელი ინიციატივა. რადგანაც ამ საზოგადოების დამაარსებლები საზოგადოების სახელწოდებაზე მაშინ (1947 წელს) ვერ შეთანხმდნენ, მას შეკრების ადგილისდა მიხედვით **მონტ-პელერინის საზოგადოება** ეწოდა.

ნეოლიბერალები თვლიან, რომ ისინი იდეურად დაკავშირებულნი არიან ეკონომიკური მეცნიერების მამამთავარ ადამ სმითთან - ამიტომ ბევრი მათგანი მონტ-პელერინის საზოგადოების ყრილობებზე სმითის ჰალსტუხს ატარებს, მაგრამ, პრინციპში, ყველა შეთანხმების დროს რამდენადმე დაკანონებული ნეოლიბერალური დოქტრინა მაინც არ არსებობს. როდესაც 1982 წელს (სექტემბერი, ბერლინი) ამ საზოგადოების ყრილობაზე ერთ-ერთმა გერმანელმა ეკონომისტმა საბაზრო-ეკონომიკურ სისტემასთან სახელმწიფო გადანაწილების სხვადასხვა ფორმების შეთვისების უნარი გადაამოწმა, იგი ფარულ სოციალისტად მონათლეს. ჰაიეკი ცნებაში – „**სოციალური საბაზრო ეკონომიკა**“, ეპითეტს – „სოციალური“ ანტი-საბაზრო-ეკონომიკური ტენდენციების ამსახველად მიიჩნევს.

ნეოლიბერალიზმი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული მრავალმხრივი მიმდინარეობაა მნიშვნელოვანი პუნქტების ნაწილობრივ ურთიერთსაპირისპირო გაგებით.

ამჯერად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას მივაპყრობთ ნეოლიბერალიზმის გერმანულ ნაირსახეობებს, რომელსაც ჩვენ მის ერთ-ერთ მამამთავარ ვალტერ ოიკენის ხელმძღვანელობით „ორდოლიბერალიზმს“ ვუწოდებთ.

ოიკენის მთავარი ეკონომიკური ნაშრომებია : „**ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები**“ (1940) და „**ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**“ (1952).

1.2. ორდოლიბერალიზმი და კლასიკური ლიბერალიზმი

ორდოლიბერალიზმი გერმანული ნეოლიბერალიზმის განშტოებაა, რომელიც აერთიანებს ყოველწლიური ჟურნალი „Ordo"-ს (დაარსდა 1948 წ.) რედაქტორის ვალტერ ოიკენის თანამოაზრეებს.

ორდოლიბერალური მოძრაობის ძირითადი იდეები წარმოიშვა ფრაიბურგის უნივერსიტეტში ვ.ოიკენის ირგვლივ, რომელსაც თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ახალგაზრდა მეცნიერები. ამ ერთობას შეუერთდნენ თანამოაზრეები სხვადასხვა სფეროებიდან, მაგალითად, ფრანც **ბემი** (კორპორაციული სამართლის სპეციალისტი) და **ხ.გროსმან-დიორტი**.

ეს დაჯგუფება ფიქრობდა გერმანიის ეკონომიკური ცხოვრების აღმშენებლობაზე ნაციონალ-სოციალისტების ბატონობის შემდეგ. ორდოლიბერალები ეძიებდნენ დადებით გამოცდილებებს ისეთ სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემებში, როგორიცაა: Laissez-faire-კაპიტალიზმი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერვენციონიზმისა და კოლექტივიზმის ექსპერიმენტები წეს-წყობილების იმ ფორმის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფოებრივი თვითნებობისაგან ცალკეული პიროვნება უნდა დაეცვა.

ორდოლიბერალებმა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყვეს ორი ძირითადი მიმართულება: 1) მონოპოლიისა და კონკურენციის რეგულირება, კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობა, ეკონომიკაში ჩარევის (პირდაპირი, არაპირდაპირი) ღონისძიებები, სამეწარმეო კანონმდებლობის შექმნა; 2) ეკონომიკური ზრდის რეგულირება.

ფრაიბურგის წრისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა თანამოაზრეთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: **ვილჰელმ რიოპკე** (1899-1966), **ალექსანდერ როუსტოვი** (1885-1963), **ლუდვიგ ერჰარდი** (1897-1977) და **ალფრედ მიულერ-არმაკი** (1901-1978). მათ, მართალია, ნაწილობრივ განსხვავებული ბაზისიდან აიღეს გეზი, მაგრამ, საბოლოოდ, ფრაიბურგელთა მსგავსი დასკვნები გააკეთეს. ისინი არც მალავდნენ ფრაიბურგის წრესთან პიროვნულ და მეცნიერულ კავშირს.

ვილჰელმ რიოპკე (Röpke, 1899-1966) დაიბადა ჰანოვერში (გერმანია), ეკონომიკას სწავლობდა გოტინგენის, ტიუბინგენის და მარბურგის უნივერსიტეტებში. მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო მარბურგის უნივერსიტეტში (1921). აქვე მუშაობდა დოცენტად (1922-1924), შემდეგ (1929-1933) პროფესორად. 1924-1928 წწ. - იენის უნივერსიტეტის პროფესორია.

ფაშიზმის იდეოლოგიასთან მისი შეხედულებები წინააღმდეგობაში აღმოჩნდა, რის გამოც თურქეთში ემიგრირება მოუხდა და სტამბოლის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა. შემდეგ (1937 წლიდან) შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ჟენევაში საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის პროფესორი იყო.

ვ.რიოპკე თავდაპირველად „რეგულირებადი კაპიტალიზმის" თეორიის მომხრე იყო, 30-იან წლებში კი ნეოლიბერალიზმის პოზიციები გაიზიარა. იგი ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკაში როგორც ზოგადად, ასევე კაპიტალისტურ და სოციალისტურ აქტიურ ჩარევებს. თუმცა, სხვა ორდოლიბერალების მსგავსად, კონკურენტული წესრიგის დასამყარებლად ძლიერი სახელმწიფოს არსებობის მომხრეა. იგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების „შესამე გზის" კონცეფციის მომხრეა. მისთვის უმნიშვნელოვანესია ინდივიდისა და მეწარმეობის თავისუფლება.

რიოპკე იწონებდა ლ.ერჰარდის ხელმძღვანელობით დასავლეთ გერმანიაში განსახორციელებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელმაც ამ ქვეყანაში „**ეკონომიკური სასწაული**" განაპირობა. ამასთან, მიაჩნდა, რომ ქვეყანაში ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები სრულად უზრუნველყოფილი არ იყო. მისი ძირითადი ნაშრომებია[1]: „**კონიუნქტურა**" (1922), „**ეკონომიკური წესრიგის ძირეული საკითხები**", „**გერმანული ეკონომიკური პოლიტიკა სწორია?**" (1950), „**შეთავაზებიდან დაბლოკვამდე**" (1958) და სხვ.

ალექსანდერ როუსტოვი (Rüstow, 1885-1963) – გერმანელი ნეოლიბერალი. სტამბოლისა (1933-1940) და ჰაიდელბერგის (1950 წლიდან) უნივერსიტეტების პროფესორი. მისი აზრით, laissez-faire-ს პოლიტიკის შედეგია ეკონომიკურ ცხოვრებაში მონოპოლიების დიდად გაბატონება. ასეთი

1 **Röpke** W.: Die Konjunktur, Jena, 1922; Theorie der Kapitalbildung, Tübingen, 1929; Ist die deutsche Wirtschaftspolitik richting?, Stuttg.-Köln, 1950; Sozialpolitik in einer freien Gesellschaft, Zürich, 1950; Jenseits von Angebot und Nachfrage, Bern, 1979; «Коренные вопросы зозяйственного порядка» - «Мировая экономическая мысль», т.IV, М., 2004

შედეგების აღმოფხვრა სახელმწიფოს შეუძლია საკრედიტო-სავალუტო და ანტიმონოპოლიური ღონისძიებებით, საგადასახადო პოლიტიკით და სხვ. ამასთან, მხარს არ უჭერდა მსხვილი მონოპოლიების საქმიანობაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევას[1].

ლუდვიგ ერჰარდი (Erhard, 1897-1977). ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ნეოლიბერალიზმის წარმომადგენელი, ბავარიის ეკონომიკის მინისტრი (1946-1947), გფრ-ის ეკონომიკის მინისტრი (1949-1963) და კანცლერი (1963-1966), დაიბადა ქ.ფიურთში (ბავარია).

1922 წელს დაამთავრა ნიურნმბერგის ვაჭრობის უმაღლესი სკოლა. ორი წლის შემდეგ ფრანკფურტის უნივერსიტეტში დისერტაცია დაიცვა. 1928-1942 წწ. მუშაობდა ნიურნმბერგის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტში, რომლის დირექტორობიდან ნაცისტების ზეწოლის შედეგად გადადგა. 1947 წლიდან მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორია, 1948 წლიდან - დასაელეთის სამი საოკუპაციო ზონის მეურნეობის დირექტორი.

ლ.ერჰარდი სოციალური საბაზრო მეურნეობის დოქტრინის ერთ-ერთი ავტორია.

ძირითადი ნაშრომები[2]: **„კეთილდღეობა ყველასათვის"** (1956), **„გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა"** (1962).

ლუდვიგ ერჰარდის სახელს უკავშირდება გფრ-ის ე.წ. „ეკონომიკური სასწაული" ომისშემდგომ პერიოდში, რომლის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა აღორძინდა. ამ პოლიტიკას კი საფუძვლად დაედო სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნეოლიბერალური მოდელი.

ალფრედ მიულერ-არმაკი (Müller-Armack, 1901-1978). დაიბადა ქ.ესენში. ეკონომიკას სწავლობდა ფრაიბურგის, მიუნჰენის და კიოლნის უნივერსიტეტებში. დისერტაცია დაიცვა კიოლნის უნივერსიტეტში (1933). იყო: კიოლნის (1934-1940), მიუნსტერის (1938 წლიდან) მიუნჰენის (1940-1950) უნივერსიტეტების პროფესორი; ფედერალური ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი (1952-1963); ევროპის საინვესტიციო ბანკის მმართველთა საბჭოს წევრი (1958-1977); ლ.ერჰარდის ფონდის თავმჯდომარე (1977-1978). მან 1960 წელს წამოაყენა წინადადება სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ეტაპის დაწყების შესახებ.

მთავარი ნაშრომები[3]: **„მეურნეობის მართვა და საბაზრო ეკონომიკა"** (1946), **„წინადადებები სოციალური საბაზრო ეკონომიკის განსახორციელებლად"** (1943), **„სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპები"** (1974).

1.2.1. ორდოლიბერალური იდეები - „მესამე გზა"

ორდოლიბერალებისთვის კაპიტალიზმი და სოციალიზმი დრომოჭმული და მსგავსი ანალოგებია. მათი აზრით, დამღუპველია ადამიანის ხელდრი, თუკი მოაზროვნე პოლიტიკოსები იდეოლოგიური აზროვნების ტყვეობაში დარჩებიან.

ზოგიერთი ორდოლიბერალი - მათ შორის განსაკუთრებით გამოკვეთილად ა.რიუსტოვი - ცდილობდა ორდოლიბერალური კონცეფციის გამიჯვნას როგორც laissez-faire-კაპიტალიზმისაგან, ასევე სოციალიზმისაგანაც, რაც გამოხატულებას ჰპოვებს **„მესამე გზის"** ფორმულაში.

ორდოლიბერალები ინგლისელ კლასიკოსებს „პალეოლიბერალებად"[4] მოიხსენიებდნენ. მათ ხშირად საყვედურობდნენ, რომ ისინი ადრეული კაპიტალიზმის პერიოდში სახელმწიფოს მიერ სოციალური საკითხების გადაჭრის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ.

არსებობს განსხვავება „ორდოლიბერალიზმსა" და ინგლისელ კლასიკოსთა „პალეოლიბერალიზმს" შორის. ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელებს სწამდათ, თითქოსდა ესა თუ ის ფასი შრომის

---

1 **Rüstow A.**: Schutzzoll oder Freihandel? Das Für und das Wider der Schutzzollpolitik, Fr.\M., 1925; Zwischen Kapitalismus und Kommunismus, 2 Aufl., Godesberg, 1950; Soziale Markwirtschaft als Gegenprogramm gegen Kommunismus und Bolschewismus in: „Wirtschaft ohne Wunger Erienbach, Z., 1953.

2 **Erhard L**, Wohlstand für alle. Düsseldorf, 1957; Deutsche Wirtschaftspolitik, Düsseld. - W., 1962; Благосостояние для всех, Пер. с нем., М., 1991.

3 **Müller-Armack A.**: Wirltschafsordnung und Wirtschaftspolitik..., Freib., 1966; Предположения по осуществлению социальной рыночной экономики - Мировая экономическая мысль, т.IV, М., 2004; Принципы социального рыночного хозяйства - Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии, СПБ, 1999.

4 პალეო (ძვ. ბერძნ.) ნიშნავს ძველს.

ბუნებრივი ფასის გარშემო ისე მერყეობს, როგორც ნიუტონის გრავიტაციის კანონის თანახმად პლანეტები მზის გარშემო, სინამდვილეს შეეფერება. ამ ხედვაში ბევრი რამ მოიაზრება. ის, თუ ამით კლასიკოსებს რისი თქმაც სურდათ, შემდეგში მდგომარეობს: თავისუფალი ბაზრის პირობებში არსებობს მოგების გათანაბრების იმანენტური (ნიშანდობლივი) ტენდენცია. მაგრამ კლასიკოსებმა ვერ შეძლეს იქიდან სწორი დასკვნების გამოტანა, როგორც არაერთხელ ჰგონიათ ხოლმე, რომ ადამიანის ქმედებას მხოლოდ მოგება ამოძრავებს, ანდა მას მარტო თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. ადამ სმითისათვის საკმარისია, რომ ადამიანის ბუნებრივი ლტოლვა - საუკეთესოდ იზრუნოს საკუთარი თავისა და ოჯახისათვის - მოწესრიგდება და უნდა მოწესრიგდეს კიდეც სხვათა მიმართ სიმპათიის გრძნობით, წეს-ჩვეულებებით და ბოლოსდაბოლოს კანონების საშუალებით.

ინგლისელი კლასიკოსების დოქტრინას ვერ ვუსაყვედურებთ იმისათვის, რაც პოლიტიკოსებმა და პოპულისტებმა მისგან შექმნეს, ისევე როგორც ორდოლიბერალიზმს ან საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას არ შეიძლება დაბრალდეს ომის შემდგომ პერიოდში არაერთი მცდარი განვითარება.

ამდენად, ორდოლიბერალიზმის ხსენებისას საქმე არ გვაქვს „მესამე გზის" რაიმე ნაირსახეობასთან, პრინციპული კავშირის დამყარება ინგლისელი კლასიკოსების დოქტრინასთან ყოველგვარი თუ-სა და მაგრამ-ის გარეშე უნდა მოხდეს.

მაშასადამე, თუ ორდოლიბერალიზმი და კლასიკური ლიბერალიზმი, სამხედრო ენით რომ ვთქვათ, ფრონტის ერთ ხაზზე იმყოფებიან, მაშინ რაში უნდა დავინახოთ სპეციფიური ორდოლიბერალურობა?

ჩვეულებრივ, დისციპლინარულ-პოლიტიკურ დისკუსიებში, არისტოტელეს კვალდაკვალ, წესრიგს, რომელიც სახელმწიფო გადაწყვეტილებებით დამყარდა, განასხვავებენ იმ წესრიგისაგან, რომელიც ბუნებრივ-სამართლებრივ ნორმებს შეესაბამება. ფიზიოკრატია ემყარებოდა ორად დაყოფას და ასკვნიდა, რომ სახელმწიფოებრივად დადგენილ წესრიგს („orde positif") უნდა თანაეგრძნო ბუნებრივი წესრიგისათვის („orde naturele"). ეს წესრიგი აბსოლუტურ მბრძანებელს უნდა დაემყარებინა, რათა შემდეგ თამაშის წესების დაცვის კონტროლით შემოფარგლულიყო, რადგან მაშინ თავისუფალ ინდივიდთა ურთიერთზემოქმედებიდან ბუნებრივი ჰარმონია აღმოცენდებოდა.

ადამ სმითიც იმ აზრის იყო, რომ ადამიანის ქმედების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევა, საერთო კეთილდღეობის გაგებით, შესაძლებელი იყო. თუმცა, იარსებებდა ისეთი წესები და ინსტიტუტები, რომლებიც მათზე ზეგავლენას იქონიებდა, არა კანონიერი კეთილგონიერების შედეგზე ან ბუნებრივი სამართლის გამოხატულებაზე, არამედ განვითარების იმ კულტურული პროცესის პროდუქტზე, რომლის პროცესშიც სხვადასხვაგვარი მცდელობებიდან და აქციებიდან ისეთები გამოიყოფოდნენ, რომლებიც ცალკეულ პირთა თანაცხოვრებისათვის მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა.

მაშასადამე, ინგლისელი კლასიკოსების დიდი აღმოჩენაა ის, რომ საზოგადოებრივ ერთადყოფნიდან გამოკრისტალდებოდა წესები და ინსტიტუტები, რომლებიც თითოეული ადამიანის ინტერესებში თავიანთ მეზობლებთან მშვიდობიანად ცხოვრებას წარმოაჩენდა; მაშასადამე, მას არ ესაჭიროებოდა სახელმწიფოებრივი „ურჩხული" იმისათვის, რომ ადამიანები ერთმანეთს არ დატაკებოდნენ და არც ჭკვიანი კანონმდებელი, რომელიც ადამიანებისთვის ამგვარ წესებს გამოიგონებდა ან ბუნების ძახილს მიჰყვებოდა. ამ შეხედულებაში გამოსჭვივის შედარებითი ჯგუფური ოპტიმიზმი: თუ ცალკეული ადამიანები პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებენ, მაშინ საკუთარი სარგებლისათვის მოქმედი ადამიანების ურთიერთზემოქმედების წესრიგი მაინც აღმოცენდებოდა. შესაძლებელი რომ იყოს საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი განვითარების პროცესის კეთილგონიერული შედეგების განხილვა, მაშინ სახელმწიფოს მარეგულირებელ ხელს ბევრი საქმე აღარ დარჩებოდა. სწორედ ეს გახლავთ გადამწყვეტი სხვაობა ორდოლიბერალიზმთან მიმართებაში.

ორდოლიბერალები არ იზიარებენ იმ ოპტიმიზმს, რომ ადამიანთა ერთადყოფნის და ერთმანეთის საწინააღმდეგო განვითარებისგან, გარკვეულწილად საკუთარი ინიციატივით, გამოკრისტალდება საუკეთესო, ყველა რეალურად შესაძლო სამყაროთაგან: „დამტკიცებულია, რომ თავისუფლების მინიჭება შეიძლება საფრთხედ იქცეს თავისუფლებისათვის, თუ იგი შესაძლებელს გახდის კერძო ძალაუფლების წარმოქმნას იმდაგვარად, რომ მისი საშუალებით არანორმალურმა ენერგიებმა გამოიღვიძოს, მაგრამ არა ისე, რომ ამ ენერგიებს თავისუფალი დროის დამანგრეველი ზემოქმედებაც ჰქონდეთ".

ცალკეული პირები კი განსაკუთრებით ტვირთად დაწოლილი კონკურენციის გათიშვისაკენ მიისწრაფოდნენ. ის, რომ ამგვარი სწრაფვა ბიზნესმენებისათვის უცხო არ არის, სმითისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მაგრამ მას მაინც სწამდა, რომ სახელმწიფოს გარეშე კონკურენციის გამომრიცხავი პრაქტიკა ვერ განხორციელდებოდა. ამის საპირისპიროდ ორდოლიბერალებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფომ წინაპირობა უნდა შექმნას კონკურენციისათვის და ეს უკანასკნელი ანტიმონოპოლიური სამსახურის მეშვეობით მანვე უნდა შეინარჩუნოს.

1.3. ორდოლიბერალური გეგმის ჩამოყალიბება

1.3.1. ძლიერი სახელმწიფო - კონკურენციის გარანტი

ორდოლიბერალური გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს ამოცანაა ეკონომიკური წესრიგის დამყარება. ეს ძლიერი სახელმწიფოს წინაპირობაა, ვინაიდან წესრიგი რომელიც ხელს არ უწყობს პრივილეგიების გაუქმებას, მონოპოლიური ძალაუფლების შეკვეცას და კავშირთა ზეგავლენის შეზღუდვას, მრავალრიცხოვან წინააღმდეგობას იწვევს. სახელმწიფო წამოწყებას, რომელსაც დამოუკიდებელი ეკონომიკური გადაწყვეტილებების შესწორება სურს (მაგ.: შემოსავლის განაწილების შესახებ) არავითარ შემთხვევაში უარი არ ეთქმება. მასზე მოთხოვნაც კი არსებობს, სანამ იგი წესრიგის ძირითად პრინციპს, ფასწარმოქმნის თავისუფლად მოთარეშე პროცესს არ გააუქმებს.

ორდოლიბერალურ ამოცანას ვ.ოიკენი კონკურენციის თამაშის წესების დადგენასა და უზრუნველყოფაში ხედავს, რომლის ფარგლებშიც „აქტიორებმა" უნდა იმოძრაონ; ამასთან ერთად, მათი ეკონომიკური გეგმები სახელმწიფო ან ეკონომიკური თვითნებობისაგან დაცული უნდა იყოს. ოიკენისათვის ზემოთხსენებულით მოლოდინის სტაბილიზაციაც არსებითი მიზანია. ამ მიზნით ოიკენმა ის პრინციპები მოხაზა, რომლებმაც კონკურენციის წესრიგი უნდა დაამყარონ.

მაშასადამე, ვ.ოიკენი არც ისე ცოტას მოელის სახელმწიფოსაგან და მას გარკვეულწილად ენდობა კიდეც. როგორც ჩანს, ორდოლიბერალური მოდელის საფუძველია საყოველთაო კეთილდღეობის ძველი თეორიის მიერაც ფარულად მოთხოვნილი „კეთილგანწყობილი დიქტატორის".

ზოგი „ძლიერი სახელმწიფოს შიშილობაზეც" კი საუბრობდა. ოიკენი ალბათ უფრო ძლიერ კანონმდებელზე ფიქრობდა, რომელიც ძალდატანებითი კავშირების და დაჯგუფებების პროტესტს დაზიანების გარეშე ადგენს და კონკურენტული წესრიგის საფუძვლებს უზრუნველყოფს, რის შემდეგაც ეკონომიკურ სივრცეში პუნქტობრივად ჩარევისაგან თავს იკავებს.

აქ უკვე ფიზიოკრატიის კონტინენტალური მემკვიდრეობა გამოსჭვივის, რომელიც ძლიერ მბრძანებელს ითხოვდა, რათა მას სამყარო ისეთი გეგმის მიხედვით ჩამოეყალიბებინა, რომელიც ბუნებას თანაუგრძნობს და ამის შემდეგ მისი თავი მისთვისვე მიენდო, ან - ორდოლიბერალური ვარიანტი - მხოლოდ ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით ჩარეულიყო.

სახელმწიფოს ამგვარი პოზიცია რეალისტურია? — ეკონომიკური პარადიგმა (ნიშანი, მაგალითი) იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სუბიექტები ინდივიდუალური ქონების შესაძენად ძალღონეს არ იშურებენ, მაგრამ თვითონ კი კოლექტიური პროდუქტის წარმოებაში სხვისი მონდომების იმედზე რჩებიან, გადავიყვანოთ პოლიტიკური ქმედების დონეზე, მაშინ როგორღა დავუშვათ, რომ პოლიტიკოსები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა დაგეგმონ და პოლიტიკურად განახორციელონ წესრიგი, რომელსაც ყველასთვის სარგებელი (ე.ი. კოლექტიური ქონება) მოაქვს. არსებობს მიზეზები, რომლებიც გვაიძულებენ იმედი არ დავკარგოთ. ახალი პოლიტიკური ეკონომიის ფორმალური სკოლაც კი იცნობს როგორც პოლიტიკური ქმედების მამოძრავებელ ძალას „წარმოებრივ სიხარულს"; ამ პოზიციიდან გამორიცხული არ არის, რომ პოლიტიკოსები ისეთ საქმეებს კისრულობენ, რომლებსაც პოლიტიკური უსიამოვნებები მოაქვს, ზოგჯერ კი გადარჩევადაც უჯდებათ, თუ მათ სწამთ, რომ ეს საქმეები საყოველთაო კეთილდღეობიდან გამომდინარე უნდა შესრულდეს. რა თქმა უნდა, ჩვენთვის დაუშვებელია, რომ ამგვარ ძალისხმევასთან დაკავშირებული ქმედებები ნებისმიერ დროს შეიძლება განმეორდეს. ადამ სმითიც („ზნეობრივი გრძნობების თეორია") ამ აზრის გახლდათ: დაემორჩილება რა პოლიტიკოსი, როგორც წესი, პარტიის მოთხოვნებს („man of the

system"), მაშინ იგი შეძლებს ნელ-ნელა მიაღწიოს სახელმწიფო მოღვაწის თანამდებობას („man of the state"), რომელიც პარტიული და პირადი ინტერესებისდა მიუხედავად წამოიწყებს ხოლმე რეფორმებს და ბოლომდე მიჰყავს კიდეც ისინი, რითაც საკუთარი ქვეყნისათვის გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ეს სარდლებს და დიპლომატებს ოდესმე გაუკეთებიათ.

1.3.2. სტატიკურიდან ევოლუციური კონკურენციის პოზიციამდე

თუ კონკურენციის ჩარჩოების ჩამოყალიბებას სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო ფორმის რეალიზება ეწოდება, მაშინ სახელმწიფო მიკროეკონომიკის სფეროშიც უნდა ამოქმედდეს. მართალია, ოიკენი ამ საბაზრო ფენომენს საბაზრო მორფოლოგიად (ფორმად) კი არ მოისაზრებს - ეი. არა ატომისტურ (მატერიალისტურ) კონკურენციად, - არამედ ისეთ სიტუაციად, რომელშიც როგორც მიმწოდებლის, ასევე მომხმარებლის მხარეზეც კონკურენცია სუფევს; თუმცა ოიკენი კონკურენციაზე საკმაოდ მკაცრი შეხედულებისაა: მაგალითისთვის, მიმწოდებელი კონკურენტულ სიტუაციაში იმყოფება, თუ ამა თუ იმ საბაზრო ფასს იგი განიხილავს როგორც თავისუფალს. თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ დამოუკიდებელმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მძიმე არტილერიას უნდა მიმართოს, რათა ოლიგოპოლისტურმა საწარმოებმა თავი ისე დაიჭირონ, ვითომცდა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ყოფილიყვნენ. აქ ოიკენი ჯერ კიდევ იმ დროისათვის გაბატონებული კონკურენციის სტატიკური თეორიის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ვ.ოიკენი გარკვეულწილად ეთანხმებოდა უზენაესი სასამართლოს 1897 წლის გადაწყვეტილებას, რომელიც კონკურენციაზე სახელმწიფოს მეთვალყურეობას აწესებდა. ოიკენის რეკომენდაციები სახელმწიფოს არა მარტო საარბიტრაჟო სასამართლოს, არამედ ფასების კომისრის ფუნქციებსაც ანიჭებდა.

ოიკენის შეხედულება საყოველთაოდ არ გაუზიარებიათ. მაგალითად, მიულერ-არმაკმაც კონკურენციის ოპტიმალურ ფორმაზე გეზის აღება არ ისურვა და წინა პლანზე საინფორმაციო სისტემა „ბაზარი" წამოსწია, რომელიც ფასთა და ღირებულებათა თავის არამყარ სისტემაში სასიგნალო აპარატს ფლობდა.

ოიკენის ძირითადი დამფუძნებელი პრინციპი - სრულყოფილი კონკურენციის ფასების ფუნქციონირებადი სისტემის შექმნა - ყოველგვარი სირთულეების გარეშე „კონკურენციის თავისუფლების" პრინციპით შეიძლება შეიცვალოს. რა თქმა უნდა, ამით კლასიკურ ლიბერალიზმთან სხვაობაც უფრო შემცირდა.

1.3.3. სტაბილურობის მონეტარული ჩარჩოები მოლოდინის გასამყარებლად

მაკროეკონომიკური მართვის მასშტაბი და ხარისხი კერძო სექტორის სტაბილურობის შეფასებაზეა დამოკიდებული. ორდოლიბერალური პოზიციებიდან ყველა კონკრეტული დეპრესია ინდივიდუალური ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, ყველას წინააღმდეგ ერთი საშუალება არ შეიძლება არსებობდეს. თუმცა, ერთ გარკვეულ ნიმუშზე შეიძლება შევთანხმდეთ: საინვესტიციო საქმიანობის შეჩერება ყველა დეპრესიისათვის საერთოა.

კონიუნქტურული ცვლილებები სისტემით განპირობებული დეფიციტის შედეგს მაინც არ წარმოადგენს. ისინი არამყარი ეკონომიკური პოლიტიკით, პროდუქტის და შუამავალ ბაზრებზე არასაკმარისი კონკურენციის წესრიგისადმი შემგუებლობის არარსებობით და არსებული საჭალუტო მდგომარეობების ხარვეზიანი კონსტრუქციით აიხსნება.

ზემოთქმულით ორდოლიბერალური სკოლა წარმოგვიდგენს <u>ფეზას კერძო სექტორის სტაბილურობის შესახებ</u>. ამასთან დაკავშირებით სხვა აზრის გახლავთ <u>მიულერ-არმაკი</u>, რომელიც ეკონომიკური <u>კონიუნქტურის თავშეკავებულ სახელმწიფო</u> პოლიტიკას იცავს.

ეკონომიკური კონიუნქტურის ხელისშემშლელი ცვლილებების გათიშვა, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პირველ რიგში დისციპლინარული პოლიტიკის ამოცანაა. ამოცანის <u>ცენტრშია ფასების სტაბილურობაზე ორიენტირებული მონეტარული ჩარჩოები</u>.

ორდოლიბერალური სკოლისათვის ცხადი იყო, რომ ფულის ემისია (ამ დროს ინფლაციის სავარაუდო ტენდენციის გამო) კერძო ეკონომიკურ სუბიექტების ხელში არ შეიძლება დარჩენილიყო; ფულის ემისია სუვერენულ ამოცანას წარმოადგენდა. მეორეს მხრივ, კარგად იყო ცნობილი, თუ რა ცდუნებებს გადაეყრებოდნენ პოლიტიკოსები, თუ მათთვის ბანკნოტების საბეჭდი დაზგები ხელმისაწვდომი გახდებოდა. სწორედ ამიტომაც დაიგეგმა დამოუკიდებელი საემისიო ბანკის შექმნა, ოღონდ ამ ბანკის ხელმძღვანელობა ვალდებული უნდა ყოფილიყო შეძლებისდაგვარად ავტომატურად ფუნქციონირებად სტანდარტულ ვალდებულებებზე ეშუშავა. დასაბუთება, რომელსაც ოიკენი ამასთან დაკავშირებით იძლევა, მიესადაგება ასევე კეთილშობილურად მიჩნეულ ინსტიტუტებს: გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ვალუტის მდგომარეობა, რომელიც ფულადი პოლიტიკის მმართველებს მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს, ამ უკანასკნელისაგან იმაზე მეტს მოელის, ვიდრე საერთოდ შეიძლება მოელოდეს ვინმე რამეს; უცოდინარობა, სისუსტე დაინტერესებულ პირთა ჯგუფების და საზოგადოებრივი აზრის მიმართ, მცდარი თეორიები - ყველაფერი ეს ძალზედ მოქმედებს ამ მმართველებზე, მათთვის მინდობილი საქმის საზიანოდ.

მეორეხარისხოვანია ის, რომ ოიკენის მიერ უპირატესობამინიჭებული წესი (საქონლურ-სარეზერვო ვალუტა, რომელიც პრინციპში ექსპერიმენტად შეიძლება ჩაითვალოს, ღია-ბაზრის-გარიგებების მეშვეობით ფულის მასის მართვა სტაბილურობაზე გეზის აღებით) თეორიულ მოძიზეზებსაც კი ვერ უძლებს. ნებისმიერ შემთხვევაში, კეთილ ლიბერალურ ტრადიციას მოქმედი პირების კეთილსინდისიერებაზე უფრო მეტად წესებზე დაყრდნობა შეეფერება.

წარმოების სტაბილიზაციის მოლოდინის მიზნით და საინვესტიციო საქმიანობის გასამყარებლად, ეკონომიკური პოლიტიკის უწყვეტელობაზე აქცენტირებით ოიკენი წინასწარ განჭვრეტს ცენტრალურ მოთხოვნას, რომელიც დღესდღეობით სრული დასაქმების სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების და მონეტარული ბანაკის თეორიული მოსაზრებების მიხედვით თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია.

მიზნის (სრული დასაქმება, რომელსაც ორდოლიბერალებიც კი ვერ უარყოფენ თანამედროვე დემოკრატიის პირობებში) განსახორციელებლად ოიკენისათვის მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურმა პოლიტიკამ მეწარმეობრივი კალკულაციისათვის მონაცემთა სანდო ჩარჩოები შექმნას და რომ წარმოების რენტაბელურობის ანგარიშები დამატებითი რისკის ფაქტორებით არ დატვირთოს, რომლებიც ფასების ინფლაციური, ხელისშემშლელი მოძრაობიდან გამომდინარეობენ.

დოგმების ისტორიულ არსზე უეჭველად უფრო მეტია ის, რომ სხვა ბანაკში მყოფი ი.შუმპეტერი თავის უკანასკნელ ნაშრომებში მსგავს მოსაზრებას გამოთქვამდა: „უძრაობის თეორეტიკოსები" არასწორ დიაგნოზს სვამენ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა განეცადა უძრაობა კაპიტალისტურ პროცესებს.

1.3.4. „საბაზრო კონფორმიზმი"

„ეკონომიკური პოლიტიკის უწყვეტობა" სულაც არ გამორიცხავს ეკონომიკურ „სივრცეში" სახელმწიფოს ჩარევას, სანამ ეკონომიკური სუბიექტის მოლოდინი უიმედო არ გახდება და სანამ საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი თავისუფალი ფასწარმოქმნა არ დაზიანდება.

ამგვარი ინტერვენციებისათვის რიუსტოვმა 30-იანი წლების დასაწყისში შემოიტანა ცნება - „ლიბერალური ინტერვენციები". ინტერვენციების (ჩარევების) „ლიბერალურად" ან „დირიჟისტულად" დაყოფის შესაფასებლად რიოპკეს ეკუთვნის ტერმინი - „საბაზრო კონფორმიზმი"[1], რომლის მიხედვითაც კონფორმულია (შემგუებლურია) იმგვარი ინტერვენციები, რომლებიც ფასების მექანიზმს და ბაზარს კი არ ანგრევენ, არამედ მის დაქვემდებარებაში ექცევიან ახალი „მონაცემების სახით" და ასიმილირდებიან მის მიერ.

ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპერიმენტების შემდეგ მივიღეთ იმის გამოცდილება, რომ სახელმწიფო ინტერვენციები, რომლებმაც პოლიტიკურად მიუღებელი საბაზრო შედეგები უნდა გამოას-

1 კონფორმიზმი (ლათ. conformis - მსგავსი, ერთგვაროვნებას, უძრაობას, შემთანხმებლობას, შემგუებლობას ნიშნავს.

წოროს (მაგ.: ბინის ქირის სოციალურად წარმოუდგენელი ზრდის შეჩერება), სხვადასხვა სახის სახელმწიფო-დამცავ ღონისძიებებს უყოყმანოდ იბირებენ. ზოგიერთი „ინტერვენციის სპირალებზე" საუბრობდა.

ამიტომაც სახელმწიფო ღონისძიებებმა ორმაგი გამოცდა უნდა გაიაროს. სასურველი მიზნის გათვალისწინებით ისინი წარმატების მოლოდინს უნდა ქმნიდნენ (**მიზნობრივი კონფორმიზმი**) და ამასთან ერთად საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი (**საბაზრო კონფორმიზმი**) არ უნდა დაარღვიონ. რასაკვირველია, ზოგიერთ ღონისძიებას [მაგ.: ბაჟები ან სუბვენციები (დახმარება)] ერთმნიშვნელოვნად ამა თუ იმ მიმართულებას ვერ მივაკუთვნებთ. მიულერ-არმაკი გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკის შეფასებისას ამიტომაც საუბრობდა ჯერ კიდევ საბაზრო ეკონომიკასთან შეთავსებად შუალედურ ღონისძიებებზე, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად არც მიზნობრივ და არც საბაზრო კონფორმიზმს არ მიეკუთვნებოდნენ.

რასაკვირველია, კრიტერიუმი - „საბაზრო კონფორმიზმი" თავიდანვე ალტერნატივებს გამოყოფს. მაგრამ ძნელია ვისაუბროთ იქიდან გამომდინარე, რომ თითქოსდა ამის გამო პოლიტიკური ქმედებების ასპარეზი უფრო ვიწროვდება. დიდი უფლებების მქონე სახელმწიფო ადვილად ექცევა იმ ინტერესთა ჯგუფის გავლენაში, რომლებიც თავიანთ სპეციფიკურ არგუმენტებს - ფულს და ამომრჩევლის ხმებს - ძალზედ ხშირად და საკმაოდ სიამოვნებით სასწორზე დებენ და, ასევე ხშირად მედიდურ კომპეტენტურობაზეც საუბრობენ. ამ დროს პოლიტიკოსები თავიანთი საკუთარი თავისუფლების ასპარეზის ტყვეები ხდებიან.

პოლიტიკაში, თუ სწრაფი ქმედებაა საჭირო, ყველა დასკვნის გააზრება ვერ ხერხდება; მობეზრებულ გვერდით მოვლენებს უგულისყუროდ ექცევიან ან სულაც უგულებელყოფენ ხოლმე. ჩვენ კი ვიცით, რომ პოლიტიკური ქმედებების მწარე შედეგებს დევიზით „ჩვენს შემდეგ თუნდაც იყოს წარღვნა" - უფრო სწრაფად, ვიდრე ეს პესიმისტებისგანაა მოსალოდნელი, ისევ მოქალაქეები იწვნევენ ხოლმე თავიანთ თავზე. ვინაიდან საწერ მაგიდასთან მსხდომი მოაზროვნეების კეთილმოსურნე რეცეპტები პოლიტიკური პრაქტიკის დინამიკაში შეიძლება საოცრად დამახინჯდეს, იქამდე მივდივართ, რომ პოლიტიკოსები მათივე ქმედების არასასურველი შედეგებისგან დავიცვათ.

კრიტერიუმი - „საბაზრო კონფორმიზმი", როგორც „პოლიტიკური არაჯანსაღი აზრის შემოფარგლის" მცდელობა, ფილტრაციის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

1.4. ორდოლიბერალიზმი და სოციალური საბაზრო ეკონომიკა

ორდოლიბერალები გერმანიაში თავს, როგორც წესი, სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში თანამონაწილეებად აღიარებენ, თუმცა, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ყველას ერთნაირად ესმის. ორდოლიბერალიზმა - მიღებული გამოცდილებიდან და თეორიული შეხედულებებიდან - გარკვეული იდეალი განავითარა, რომლის რეალიზებასაც პოლიტიკოსები კისრულობენ. ამის საპირისპიროდ ალფრედ მიულერ-არმაკს (1966) „სოციალური საბაზრო ეკონომიკა" არა თავის თავში ჩაკეტილ კონცეფციად, არამედ განვითარების მომლოდინე პროგრესულ მიმართულებად მიაჩნდა.

თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოების ზრდა და განსაკუთრებით ომით და ომის შედეგებით დაზარალებულებზე ზრუნვა წინა პლანზე იდგა, მიულერ-არმაკის აზროვნებაში ცენტრალური ადგილი (50-იანი წლების ბოლოს მიღწეულ აღმშენებლობაში) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანებს - უპირველეს ყოვლისა ადამიანის და გარემოს შერწყმას - ეკავათ.

მიულერ-არმაკმა სოციალურ საბაზრო ეკონომიკას „მშვიდობის მოყვარული ფორმულა" უწოდა. სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას იგი უყურებდა როგორც საზოგადოებრივი შემრიგებლობის იდეას, რომელსაც მსოფლიო წესრიგისკენ მიმართული სხვადასხვა მსოფლმხედველობების ერთ კონცეფციაში შეკრება სურს.

საბაზრო ეკონომიკის არჩევანში მიულერ-არმაკის შემრიგებლობის იდეა ორდოლიბერალურ კონცეფციას ხვდება, რადგან ერთის მხრივ საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი ინდივიდს დიდ სოციალურ კავშირში თავისუფლებას ანიჭებს, მეორე მხრივ, ეკონომიკისა და საზოგადოების მაორგან-

იზებელი სოციალისტური თეორია ეკონომიკურ ანალიზს ვერ უძლებს. სოციალიზმის პრაქტიკული ჩამოყალიბებაც სულ სხვა გზას ადგას, ვიდრე ეს ამ წესრიგის დამცველებს წარმოედგინათ.

სოციალისტების შეცდომაა ის, რომ არსებულ ყველა უბედურებას ისინი საბაზრო-ეკონომიკურ წყობას აბრალებენ. სწორედ ასეთ მიდგომებზე მიუთითა სოციალისტებს ჯონ სტიუარტ მილმა, ერთ-ერთმა უკანასკნელმა ინგლისელ კლასიკოსთაგან.

უფრო ვრცლად გავაანალიზოთ გერმანული ნეოლიბერალიზმის მამამთავრის ვ.ოიკენის შეხედულებები.

1.5. მთავარი თეორეტიკოსი: ვალტერ ოიკენი (1891-1950)

1.5.1. ფრაიბურგის სკოლის ლიდერი

ვალტერ ოიკენი (Eucken) დაიბადა 1891 წლის 17 იანვარს, იენაში, ნობელის პრემიის ლაურეატის ფილოსოფოსი რუდოლფ ოიკენის (1846-1926) ებრაული წარმოშობის ოჯახში.

ეკონომიკური განათლება მან კილის, ბონისა და იენის უნივერსიტეტებში მიიღო. 1914-1918 წლებში მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, როგორც ოფიცერი, 1920 წელს იგი დაქორწინდა. ერთი წლის შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტში დოქტორის წოდება მიიღო. 1925 წლამდე ოიკენი აქ პრივატ-დოცენტად მუშაობდა. იმავე წელს სამუშაოდ ტიუბინგენის უნივერსიტეტში პოლიტეკონომიის კათედრაზე მიიწვიეს. ორი წლის შემდეგ ფრაიბურგის უნივერსიტეტში გადადის, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

ფრაიბურგის უნივერსიტეტში (20-იანი წლების ბოლოდან) ჩამოყალიბდა ფრაიბურგის სკოლა ვ.ოიკენის მეთაურობით. ფაშიზმის ბატონობის წლებში ოიკენს მძიმე პირობებში მოუწია ცხოვრება, რამდენადაც მისი შეხედულებები მასთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა.

1950 წლის 20 მარტს იგი ლონდონში (სადაც მიპატიჟებული იყო ლექციების წასაკითხად) გარდაიცვალა.

1.5.2. ფულადი პრობლემებიდან ეკონომიკურ თეორიამდე

ვალტერ ოიკენი არამხოლოდ გამოჩენილი მეცნიერი, არამედ უდიდესი პასუხისმგებლობის პიროვნება იყო. მაღალი მეცნიერული დონით იგი შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენდა სტუდენტებსა და სხვებზე, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგი ორატორობით არ გამოირჩეოდა, მისი მოხსენებები მაინც შთამბეჭდავი იყო და მსმენელებს დისკუსიებში აქტიურად იზიდავდა.

ოიკენის მოღვაწეობა ეკონომიკურ მეცნიერებაში ძალზე წააგავს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იგი მის გარშემომყოფთათვის ადვილად შესაგუებელი ადამიანი ყოფილა. სიმართლისათვის ბრძოლამ მას მრავალი მტერი შესძინა.

ომიდან დაბრუნებულ ოიკენს (1918) გერმანელ მრეწველთა კავშირში საქმიანობამ ვაიმარის რესპუბლიკის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების ღრმად გაცნობის შესაძლებლობა მისცა. იგი მალე მიხვდა, რომ ისტორიული სკოლის იდეებით გამეფებულ გერმანულ პოლიტეკონომიას, ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში სწორი რეკომენდაციების გამომუშავება ხშირად არ ძალუძდა. ამავე დროს, იგი დარწმუნდა, რომ პოლიტეკონომიის სწორად გამოყენება ქვეყანას ქმედით დახმარებას გაუწევდა. ამის წინაპირობა თეორიული კვლევების განახლება უნდა ყოფილიყო.

თუკი მისი დისერტაცია და ადრეული მიდგომები ჯერ კიდევ ისტორიული სკოლის გავლენას განიცდიდა, თეორიისაკენ მისი შემობრუნება მის წიგნში „გერმანული ფულის პრობლემის კრიტიკული განხილვა“ (1923)[1] განხორციელდა.

ისტორიული სკოლის ზეგავლენის გამო, თეორიული კვლევების საჭიროება არსად არ იყო ისე უგულებელყოფილი, როგორც გერმანიაში. გერმანელ პოლიტეკონომისტთა დიდმა ნაწილმა

1 Kritische Betrachtungen zum deutschen Geldproblem, Jena, 1923.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ინფლაციის მიზეზები სწორად ვერ გაიგო. ისინი მას დადებითი საგადასახდელო ბალანსის არსებობით ხსნიდნენ. ოიკენს ასეთი ახსნა არ აკმაყოფილებდა და ამის გამო თეორიას მიმართა, რომელიც მისთვის ეკონომიკური რეალობის არსში ჩაწვდომის საშუალება იყო.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში ოიკენმა საგადასახდელო ბალანსის კონცეფცია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ინფლაციის მიზეზი არა ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული ფულის ემისია, არამედ ბაზარზე ვალუტის გაუფასურების გამო ფულზე გაზრდილი მოთხოვნა იყო.

ამ კონცეფციის მიხედვით, ფულის გაუფასურების მიზეზი საზღვარგარეთის მიმართ გერმანიის დიდი საგადასახდელო ვალდებულებებია. ასეთ პირობებში უცხოელები სწრაფად ცვლიდნენ მიღებულ ქაღალდის ფულს, რაც ხელს უწყობდა მარკის კურსის დაცემას, ამას კი შედეგად პირველ რიგში იმპორტულ საქონელზე (შემდეგ სხვა) ფასების ზრდა მოჰყვებოდა.

ოიკენმა ეჭვქვეშ დააყენა სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაანგარიშების სისწორე, რომელიც საგადასახდელო ბალანსის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. 1922 წელს გერმანიაში ქაღალდის ფულის ექსპორტი ძალზე დიდი არ იყო. მას აქ საზღვარგარეთიდან ფულის ნაკადი სჭარბობდა. ოიკენმა ჯერ ფაქტები შეაფასა, შემდეგ კი ზოგადი თეორიული მოსაზრებები ჩამოაყალიბა. გერმანიის საგადასახდელო ბალანსის თეორიის გაკრიტიკების შემდეგ, მან ინფლაციის თეორიული ანალიზი შემოგვთავაზა.

მისი აზრით, ინფლაციის მიზეზი ბიუჯეტის დეფიციტი და სარგებლის განაკვეთის ხელოვნური შეზღუდვაა. საგადასახდელო ბალანსის თეორეტიკოსები უმართებულოდ იხილავდნენ დეფიციტს, მხოლოდ როგორც შედეგს. ფულის რაოდენობა არამარტო დეფიციტის დაფინანსების, არამედ სტიმულირებული დაბალსარგებლიანი საბანკო კრედიტების გამოც იზრდება. ეს კი საქონლის ბაზარზე ფასებს ზრდის, რაც, თავის მხრივ, ბიუჯეტის დეფიციტს, კრედიტებზე მოთხოვნისა და ინფლაციის გაძლიერებას განაპირობებს.

აქედან, ბიუჯეტის დეფიციტისა და მოთხოვნის შესახებ სულ სხვა დასკვნები გამომდინარეობს, ვიდრე ამას საგადასახდელო ბალანსის თეორია იძლევა. სახელმწიფომ საერთოდ ხელში უნდა აიღოს ძალაუფლება, რათა ფულის რაოდენობის განსაზღვრა შეძლოს. ამასთან, კრედიტებზე მოთხოვნის შესამცირებლად, სარგებლის განაკვეთი უნდა გაიზარდოს[1].

უშუალოდ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინ და ამ კრიზისის დროს, ოიკენმა კონიუნქტურის თეორიის სფეროში რამდენიმე ნაშრომი შექმნა. **„სახელმწიფო სტრუქტურების ცვლილებები და კაპიტალიზმის კრიზისი“** (1932)[2] ეკონომიკური თეორიისაკენ მიმართული ოიკენის პირველი ნაშრომი იყო. იგი გვიჩვენებს, რომ ოიკენის თეორიისაკენ შემობრუნებამ ისტორიისაკენ მისი ინტერესი არ შეანელა. მან „გეგმური ეკონომიკის“ იდეების კრიტიკა შემდეგი სიტყვებით გადმოგვცა: მას აკლია ისტორიული ფაქტების ანალიზი და ზუსტი ეკონომიკური აზროვნება, რის გამოც, რას უნდა მოველოდეთ ისეთი ეკონომიკური იდეებისაგან, რომლებიც ასეთი ნაკლოვანებების დაკავშირებიდან წარმოიქმნა[3].

იგი აანალიზებს საბაზრო ეკონომიკაზე მოქმედ უარყოფით ფაქტორებს, შემდეგ კი საბაზრო სისტემაში ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების გეგმების მიზანშეწონილი კოორდინაციის საქმეში ხაზს უსვამს ფასების ქმედითი სისტემის, კონკურენციის და საზღვარგარეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებში სტაბილური წესრიგის მნიშვნელობას. ამოცანებით გადატვირთული სახელმწიფოს ჩარევები ამ კოორდინაციას სახიფათოდ აზიანებს. ისინი არა პოლიტიკური იდეის განხორციელებას, არამედ ეკონომიკის ცალკეული სექტორებისა და მეწარმეთა მისწრაფებებს ემსახურებიან და უსისტემობით გამოირჩევიანო.

ოიკენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი **„კაპიტალის თეორიის კვლევა“** (1934)[4] იწყება ერცელი შესავლით: „რას ქმნის პოლიტეკონომიის თეორია“. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი ძირითადი ნაშრომის, „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლების“, წინასწარი მონახაზი.

---

1 Kritische Betrachtungen zum deutschen Geldproblem, გვ. 80.

2 Staatliche Strukturwandlungen und die Krise des Kapitalismus -“Weltwirtschafliches Archiv, Bd.36, 1932.

3 იქვე, გვ. 321.

4 Kapitaltheoretische Untersuchungen, Jena, 1934.

1.5.3. ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ვ.ოიკენმა დიდი ყურადღება მიიპყრო თავისი მთავარი ნაშრომით – „ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები“ (1940). ავტორის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ წიგნი მეექვსედ გამოიცა (1950)[1].

ავტორი ახლებურად მიუდგა უმნიშვნელოვანესი პრობლემების ანალიზს[2]. წიგნის შესავალში მითითებულია, რომ მან დაბეჯითებით უარყო ისტორიზმი, გაათავისუფლა მეცნიერება და რომ არსად თეორიის მოქმედება ისტორიულ სინამდვილესა და სოციალური ცხოვრებაზე უკეთესად ჩამოყალიბებული არ არის.

ყოველდღიური გამოცდილებიდან გამომდინარე, ოიკენი წიგნის დასაწყისშივე გამოყოფს ეკონომიკური თეორიისათვის მნიშვნელოვან საკითხებს და მის უპირველეს პრობლემას – როგორ რეგულირდება შრომის დანაწილებაზე დამყარებული ურთიერთდამოკიდებულებების მართვა, რომელზეც ყოველი ადამიანის არსებობაა დამოკიდებული[3].

ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული არსებული პრობლემების გადაწყვეტის ცდები. კლასიკური პოლიტეკონომიის დამსახურებაა ის, რომ აღმოჩენილია ეკონომიკურ პროცესებს შორის ზოგადი ურთიერთდამოკიდებულება და ყოველმხრივ განვითარებულია აზროვნების მეთოდი[4]. ამ სკოლას ისტორიული ცოდნა არ აკლია, მაგრამ პრობლემის გადაწყვეტა მან ვერ შეძლო, რადგან „ერთადერთ ბუნებრივ წესს“[5] ისტორიულ მრავალმხრივობაში ეძებდა. იგი თავისთავს კერძო შემთხვევის ანალიზით ზღუდავდა და ბუნებრივი წესრიგისაკენ ძიებისას ამ შეზღუდვიდან გამომდინარე თეორიასა და ისტორიულ რეალობას შორის არსებული დისტანცია ვერ შეამჩნია, რომელიც მოგვიანებით ნახსენებია, როგორც „დიდი ანტინომია“[6]. „ცნებათა პოლიტეკონომია“ ეკონომიკის არსში გარკვევას ცნებათა ანალიზის მეშვეობით და აქედან გამომდინარე კონკრეტული შედეგების მიღწევას დედუქციის[7] მეთოდის საშუალებით ცდილობდა[8].

1.5.3.1. ეკონომიკური საფეხურები

პოლიტეკონომიის და, პირველ რიგში, გერმანული ისტორიული სკოლის კრიტიკისას, ოიკენი შედარებით მოკლედ მიმოიხილავს შმოლერის პრაქტიკულ მოღვაწეობას, ხოლო გაცილებით უფრო ფართოდ კი მის შეხედულებებს ეკონომიკური საფეხურების შესახებ. შმოლერის პროგრამას ოიკენი მცდარად მიიჩნევს. „შმოლერის მოთხოვნა, – წერდა იგი, – რომლის თანახმადაც მეცნიერებამ ჯერ კიდევ თეორიის დამუშავებამდე უნდა აღწეროს ფაქტების მიზეზები და შედეგები, სრულიად განუხორციელებელია“[9].

ნაშრომის მეორე თავი („ეკონომიკის განვითარების საფეხურები და ეკონომიკის სტილი“[10]) დამუშავებულია ორი სხვადასხვა მიზნიდან გამომდინარე: სწავლულთა ერთი ნაწილი განვითარების საფეხურების ჩამოყალიბებით მხოლოდ დადებით ტენდენციებს გამოყოფდა. მაგალითად, ლისტი, კნისი, როშერი, ჰილდებრანდი, შმოლერი, ზომბარტი ყოველგვარ ეკონომიკურ მოვლენაში განვითარების პროცესს ხედავდნენ[11]. მეორე ნაწილს მხოლოდ განვითარების იდეაზე დათანხმება არ სურდა და ისინი ყურადღებას არა საფეხურების თანმიმდევრულობასა და მათ ურთიერთკავშირზე, არამედ

---

1 Die Grundlagen der Nationalökonomie, 6 Aufl, Berlin, Gött., Haildelb., 1950; რუს. ენაზე თარგმ.: Основы национальной экономики, М.,1996.

2 Основы национальной экономики, გვ. 67.

3 იქვე, გვ. 11.

4 იქვე, გვ. 38.

5 Основы национальной экономики, გვ. 25.

6 **ანტინომია** (ბერძნ. ანტინომია) – წინააღმდეგობა ორ ურთიერთგამომრიცხავ დებულებას შორის, რომლებიც ცალ-ცალკე ჭეშმარიტებად ითვლება.

7 **დედუქცია** (ლათ. deductio გამოყვანა) – ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოყვანა.

8 **Oiken** B., Основы национальной экономики, М., 1996, გვ. 39-41.

9 იქვე, გვ. 53.

10 იქვე, გვ. 55.

11 იქვე, გვ. 55.

ეკონომიკაში მრავალფეროვნების დადგენისაკენ მიმართავდნენ[1].

ოიკენი სვამს საკითხს არა მხოლოდ იმის თაობაზე, რომელი ვარიანტია კარგი ან ცუდი, არამედ მას აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ასეთი მიდგომებით ისტორიული ჭეშმარიტების ასახვა – თუკი არ შეიძლება, მაშინ აუცილებელია ასეთი მიდგომის სრული უარყოფა და ახალი გზის ძიება[2].

პირველი ვარიანტის პასუხად ავტორი მიუთითებს, რომ შეუძლებელია ეკონომიკურ სუბიექტთა ურთიერთზემოქმედებაზე რაიმეს თქმა მაშინ, როდესაც არსებული წყობილება უცნობია. წესრიგი შეგნებულად მხოლოდ იშვიათ ისტორიულ სიტუაციებში (კერძოდ, რაციონალურად გააზრებული პრინციპების გამოყენების შედეგად მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ ევროპაში) შეიძლება დამყარდეს, უმრავლეს შემთხვევაში კი ასეთი პრინციპების გარეშე იგი სპონტანურად მყარდება. პირველ შემთხვევაში ოიკენი ეკონომიკაში მოქმედ კანონებზე მსჯელობს. მისი აზრით, მეცნიერებამ „უნდა გამოიცნოს კონკრეტული ეკონომიკური წესები მათ წყობაში, სტრუქტურაში. ამაშია ზემოხსენებულთან ერთად პოლიტეკონომიის მეორე მთავარი პრობლემა“[3].

„ეკონომიკის საფეხურების“ მომხრეებს, რომლებიც ისტორიული განვითარების ერთი მიმართულებით დადგენას არ ცდილობენ, წესები არ აინტერესებთ და მათი ინტერესები ეკონომიკური სინამდვილის არსის შეცნობისკენაა მიმართული. ეს კი ბევრი მიზეზის გამო გაურკვეველია, რადგან ყოველი თეორია გარკვეული კონიუნქტურის შემთხვევაში აუცილებელი ურთიერთდამოკიდებულებების ასახვაცაა. ოიკენის აზრით, შეუძლებელია „საფეხურებმა“ სინამდვილე ასახონ, რადგან არ შეიძლება სხვადასხვა ეპოქები, მათი სიმრავლის გამო, ერთობლივად დახასიათდეს.

ამ კონცეფციების კრიტიკის შემდეგ, ოიკენი „საფუძვლებში“ მის მიერ არჩეულ გზას მიჰყვება. წარსულისა და აწმყოს მაგალითების ანალიზის საფუძველზე იგი ასკვნის, რომ წესების ფორმათა არსებული შემადგენლობა, მართალია, განსხვავებულია, მაგრამ მათი ელემენტების რაოდენობა შეზღუდულია. მეცნიერებამ აბსტრაქციის მეთოდით შეფასების ის ფორმები უნდა გამოძებნოს, რომლებიდანაც აწმყოსა და წარსულში კონკრეტული ეკონომიკური წესები შედგება და შედგებოდა.

1.5.3.2. ეკონომიკური სისტემები

ოიკენი თავისი წიგნის დაახლოებით მესამედ ნაწილში ეკონომიკურ სისტემებს იხილავს. რადგან ეკონომიკის ყოველი სუბიექტი გეგმის საფუძველზე მოქმედებს, იგი მათ ასეთი გეგმების შედგენის ტიპის მიხედვით განასხვავებს.

იგი კაცობრიობის ისტორიაში მთელ ეკონომიკურ სისტემას ორ „იდეალურ ტიპად“: ცენტრალურ-მართვად და „თავისუფალ (საბაზრო)“ ეკონომიკებად ყოფს. ერთმანეთისაგან ისინი მართვის ფორმებით განსხვავდებიან.

ავტორი ეკონომიკის **პირველ ტიპს** მიაკუთვნებს მონათმფლობელურ, ფეოდალურ, იმდროინდელი გერმანიისა და სოციალისტურ ეკონომიკას, რომლებიც საზოგადოების ყოველდღიური ეკონომიკური ცხოვრების გეგმის ერთი ცენტრიდან რეგულირებით ხასიათდება.

ოიკენის აზრით, ეკონომიკური ორგანიზაციის ერთადერთი რაციონალური ფორმაა მეურნეობის **მეორე ტიპი** „თავისუფალი (საბაზრო) ეკონომიკა“, რომელიც ეკონომიკურ პროცესებს თავისუფალი საბაზრო კონკურენციისა და ფასწარმოქმნის მექანიზმების მეშვეობით არეგულირებს. ასეთ ქვეყნად მას მიაჩნდა გერმანია „სოციალური საბაზრო მეურნეობით“. ეს უკანასკნელი არის განვითარების „მესამე გზა“ და არა სოციალიზმი ან კაპიტალიზმი[4].

ოიკენი უარყოფს ლიბერალების თეზისს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შესახებ და მონოპოლიზმთან ბრძოლისათვის მიზანშეწონილად ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას მიიჩნევს. თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაში საწარმოთა გეგმები (ცენტრალიზებული ეკონომიკის ერთადერთი გეგმისაგან განსხვავებით) არასრულყოფილია და კოორდინირებას საჭიროებს. ასე წარმოიქმნება ახალი პრობლემა, რომელიც ბაზრების მიერ ფასწარმოქმნის სისტემის მეშვეობით

1 **Ойкен В.**, Основы национальной экономики, გვ. 56.
2 იქვე, გვ. 59.
3 იქვე, გვ. 58.
4 იქვე, გვ. 121-240.

გადაწყდება. ამ პრობლემათა მოგვარება ფულად სისტემაზე, ეკონომიკის ცალკეული სუბიექტების და ხელისუფლების პოზიციებზეა დამოკიდებული.

ოიკენი განასხვავებს ღია და დახურულ ბაზრებს. პირველ შემთხვევაში „მიმწოდებლის და მყიდველის სახით ნებისმიერი ადამიანი დაიშვება", ხოლო მეორეში — არა. იგი ბაზრის ფორმებს მონაწილეთა ქცევების მიხედვით ყოფს. მისთვის უმნიშვნელოვანესი და ხშირად ნაკლებად ალიარებული ფორმა „სრულყოფილი კონკურენცია". მან დაასახელა საბაზრო კონკურენციის ზუსტი ფორმა: კონკურენცია, ნაწილობრივი ოლიგოპოლია, ოლიგოპოლია, ნაწილობრივი მონოპოლია და ნაწილობრივი ან კოლექტიური მონოპოლია.

კონკრეტული ეკონომიკა ყოველთვის დინამიკურია, თუმცა მხოლოდ დინამიკური თეორიებით ეკონომიკური განვითარების გაანალიზება შეუძლებელია. კონიუნქტურული მერყეობა ყოველთვის არაერთტიპიურია და კონიუნქტურის ნორმალური ციკლი არ არსებობს[1]. ეს ციკლი, პირიქით, ინდივიდუალური ფენომენია.

„დინამიკურმა თეორიამ", ან კიდევ „კონიუნქტურულმა თეორიამ", რომელიც ეკონომიკურ ცხოვრებაში ვითომდა რეგულარულად განმეორებადი მერყეობების შესახებ უნივერსალურ დასკვნას აკეთებს, ფიასკო უნდა განიცადოს. მხოლოდ ხანგრძლივი მერყეობების განვითარებისათვის მსგავსი რამ სამართლიანია. შესაბამის ინდივიდუალურ მოვლენებში ჩაღრმავება და მათი თეორიულად გამოკვლევა გარკვეულწილად საჭიროა.

მისი აზრით, დინამიკური თეორიების ავტორები (მათ შორის მარქსი და სხვ.) ვარაუდობდნენ, რომ ეკონომიკური ცხოვრება თავის პარამეტრებს ხშირად თვითონ ცვლის. ამიტომ მათი დასკვნით, ე.წ. „სტატიკური თეორია" არასაკმარისია. მაშასადამე, „დინამიკური თეორიის" საგანი ეკონომიკური პროცესების წინასწარი მონაცემების იმ დონით რღვევა უნდა იყოს, რომელშიაც ეს რღვევა მოცემული ფაქტორებითაა განპირობებული. „ვარიაციული მეთოდი", ე.ი. „ჰიპოთეზური მსჯელობები მონაცემთა ცვალებადობის შესახებ" და სტატიკური გამოკვლევები აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ მხოლოდ ეს არასაკმარისია, რადგან შესაბამისი ცვლილებების გზა უფრო მნიშვნელოვანია.

ვ.ოიკენის რეკომენდაციების გათვალისწინებით, დიდი წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია. კერძოდ, ეკონომიკის განვითარება სხვადასხვა დროსა და ადგილას სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობს — იგი ისტორიული მსვლელობის ნაწილია და თავადაც ცვლილებებს განიცდის. ამ თავისებურებებს ახსნა სჭირდება, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობები არა მხოლოდ ფაქტების, არამედ თეორიული ანალიზის მეშვეობითაც შეიძლება გამოვაელინოთ[2].

წიგნის ბოლო ნაწილში ოიკენი მიუთითებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის მიზანი ქმედითი და ადამიანური წყობილების შექმნა უნდა იყოს. ამასთან, იგი არ ეთანხმება მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ასეთი წყობილება სპონტანური განვითარებიდან შეიძლება წარმოიქმნას.

1.5.4. ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები

ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში სისტემატური მუშაობა ოიკენმა უშუალოდ „საფუძვლების" გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო. ეს ამ წიგნის თეორიულმა მსჯელობებმა განაპირობა. ცხადია, იგი ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების კვლევით მანამდეც იყო დაკავებული, რაც არა მარტო მისმა მოწაფეებმა იცოდნენ, არამედ იგი მის მიერ გამოქვეყნებული წერილებიდანაც გამომდინარეობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაზეთებსა და ჟურნალებში ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიძღვნილი მრავალი ნაშრომი გამოჩნდა. „ძირითად პრინციპებზე" მისი ნაშრომების ერთი ნაწილი ოიკენმა 1948 წელს წელიწდეული „ორდოს" („Ordo") I და III ტომებში გამოაქვეყნა. „ძირითად პრინციპებზე" ამ მუშაობის შედეგს წარმოადგენდა აგრეთვე მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ნაშრომები სახელწოდებით „ჩვენი წარუმატებლობის დროება" (1951)[3].

---

1 **Ойкен** В., Основы национальной экономики, გვ. 230.

2 იქვე., გვ. 239-240.

3 "Ordo", Bd.4, 1951.

ვ.ოიკენის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლის კ. პაულ ჰენზელის თაოსნობით 1952 წელს გამოიცა ნაშრომი – **„ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საფუძვლები“**[1], ამ წიგნის წინასიტყვაობაში ედიტ ოიკენ ერდზიკი წერს - ამ წიგნის ავტორს ისეთი წესრიგის შექმნა სურდა, რომელიც ინდივიდს თავისუფალი ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობას მისცემდა, მაგრამ ამ თავისუფლებას სხვები არ უნდა შეეზღუდა.

ვ.ოიკენი თავდაპირველად ცდილობს გაარკვიოს, თუ როგორ შეიძლება თანამედროვე ინდუსტრიული ეკონომიკის ჩამოყალიბება[2]. ამ საკითხის გარკვევაში იგი უდიდეს როლს მეცნიერულ აზროვნებას ანიჭებს, რომელმაც ახალი წყობილების ძიებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს. თუ მეცნიერება ამ ამოცანას გვერდს აუვლის, მაშინ ამ ფუნქციას „პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ჯგუფები და მათი იდეოლოგები შეასრულებენ“[3].

1.5.4.1. ძალდაუტანლობის პოლიტიკა

ვ.ოიკენი საკუთარ პოზიციას მხოლოდ სხვათა კონცეფციების კრიტიკის შემდეგ აყალიბებს. იგი იწყებს „Laissez-faire“ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც დაფუძნებულია იმ მრწამსზე, რომ მიზანშეწონილი ეკონომიკური წყობა ქვემოდან, საზოგადოების სპონტანური ძალებიდან ვითარდება („როდესაც თავისუფლება არსებობს და სამართლებრივი პრინციპები დაცულია... სახელმწიფო ეკონომიკური საქმიანობის მართვის ძირითადი ბერკეტები კერძო სექტორს შეიძლება დაუთმოს“[4]).

„ძალდაუტანლობის“ ეკონომიკური პოლიტიკა, მისი უარყოფითი მხარეების მიუხედავად, წარმატებებს აღწევდა. ოიკენის თანახმად, მას მონოპოლიების წარმოქმნა და დაწყებული ინტერვენციონისტური[5] პოლიტიკა უშლიდა ხელს, რის გამოც მონოპოლიებზე ქმედითი კონტროლის განხორციელების საქმეში სახელმწიფო თავად უძლური ხდება[6]. შრომის ბაზარზე პრობლემას წარმოადგენდა არა ის, რომ მუშას მანქანები არ ეკუთვნის (რაზედაც მარქსმა კრიტიკის სიმძიმის ცენტრი გადაიტანა), არამედ უფრო მეტად ის, რომ შრომაზე მოთხოვნა მონოპოლისტური იყო[7].

1.5.4.2. ექსპერიმენტული პოლიტიკა

„ძალდაუტანებელობის პოლიტიკის“ შემდეგ ოიკენი **„ექსპერიმენტულ ეკონომიკურ პოლიტიკას“** გამოყოფს. ცალკე აღებულ ქვეყნებში ასეთი პოლიტიკა ძალზე განსხვავებულია, მაგრამ მათ საერთო ერთი რამ აქვთ: იგი ყოველდღიური პრობლემებიდან წარმოიშვა და უმეტეს შემთხვევაში კერძო საკითხებში მისი შემდგომი თანმიმდევრული გატარებისათვის ღრმად გააზრებული არ იყო. ეკონომიკური პროცესების ცენტრალური მართვის პოლიტიკა „ძალდაუტანლობის“ საპირისპირო პოლიტიკაა, რადგან ამ დროს ეკონომიკური პროცესები ცენტრალიზებულად (ზემოდან) იგეგმება[8].

ოიკენი „ცენტრალურად მართული ეკონომიკის“ დაგეგმვის პროცესს და პარალელურად მის ინსტიტუციონალურ და სხვ. სუსტ მხარეებს აღწერს. ამ დროს დასაქმების პრობლემები გარკვეულწილად შეიძლება გადაწყდეს, მაგრამ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ძირითადი პრინციპები მაინც ვერ მიიღწევა. ასე მაგალითად, ადამიანები დასაქმებულია, მაგრამ მოსახლეობის სათანადოდ უზრუნველყოფა მაინც ვერ ხერხდება და სხვ.

---

1 Grundsätze der Wirtschaftspolitik, 1952.
2 იქვე, გვ. 14.
3 იქვე, გვ. 341-342.
4 იქვე, გვ.27.
5 ინტერვენცია (ლათ. interventio) – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში.
6 Grundsätze der Wirtschaftspolitik, გვ.172.
7 იქვე, გვ. 45.
8 იქვე, გვ. 56-58.

1.5.4.3. შუალედური პოლიტიკა

„ექსპერიმენტული ეკონომიკური პოლიტიკის“ სხვა საკითხები ოიკენს „შუალედური ეკონომიკური პოლიტიკის“ სახით აქვს განხილული. სრული დასაქმების პოლიტიკა იმავე სენითაა დაავადებული, რითაც ცენტრალიზებულად მართვის პოლიტიკა. მართალია, იგი უზრუნველყოფს დასაქმებას, მაგრამ ეს წარმოების გააზრებული შედეგების გარეშე და ინფლაციის ფასად ხდება – „უმუშევრობის სენი დაბალი უზრუნველყოფის სენით შეიცვალა“[1]. ექსპერიმენტები, შერბილების ნაცვლად, კონიუნქტურულ რყევებს აძლიერებს – „მმართველი მექანიზმების“ მანკიერი მხარეების აღმოფხვრის ნაცვლად, მათი სიმპტომების მკურნალობა ხდება. შემდეგ იგი მიუთითებს, რომ „ცენტრალური მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, ძირითადი მასალების წარმოება ცენტრალიზებულად იგეგმება, მათი შემდგომი გადამუშავება კი არა – კოორდინაციის პრობლემა ამ დროს არ გაითვალისწინება. საქმე ისეთნაირადაა, თითქოს ორი დირიჟორი ორ კაპელასთან ერთ დარბაზში მანამ მუშაობდეს, სანამ ერთი მეორეს არ დაიმორჩილებს[2].

არსებითად, ამით ამოიწურება „ეკონომიკური პოლიტიკის“ კონცეფციის ოიკენისეული კრიტიკა.

1.5.4.4. მართვის პრობლემა

საბაზრო ეკონომიკის ძირითად პრობლემას, კერძოდ, შრომის თვალსაზრისით, თავისუფალ მეწარმეთა კოორდინაციას ოიკენი თავიდანვე „მართვის პრობლემის“ სახელწოდებით იხილავს. „საფუძვლებში“ მან ეს საკითხი თეორიულად უკვე დაამუშავა. ამჯერად კი იგი პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტთა მიერ ამ პრობლემის უგულებელყოფას აკრიტიკებს. იგი განმარტავს, თუ რატომ არ შეუძლია ფასებს მათი მართვის ფუნქციის შესრულება. მართვის სისტემის უმოქმედებას ეკონომიკური პროცესების დარღვევა მოჰყვება. ამასთან დაკავშირებით ოიკენი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და ფულის პრობლემებს იხილავს. თავისუფლების შეზღუდვის საშიშროება ოიკენისათვის ცენტრალური პუნქტია. სოციალური საკითხი თავისი არსით არის საკითხი ადამიანთა თავისუფლების შესახებ, ხოლო პოლიტიკური პრობლემების მოუგვარებლობა მან არასათანადო დონის აზროვნებასთან დაკავშირა[3].

ოიკენის რწმენით, „სრულყოფილი კონკურენცია“ (მისი თავისებურებების გამო) მასტაბილიზებლად ზემოქმედებს და ხელს უწყობს ისეთ წყობილებას, რომელშიც ბაზრის ეს ფორმა ბატონობს. კონკურენციამ ის ძალები, რომლებიც პირადი ინტერესებით მოქმედებენ, საერთო ინტერესებისაკენ უნდა მიმართონ, რათა ადგილი ჰქონდეს „ცალკეულთა“ ინტერესების გააზრებულ კოორდინაციას[4]. ადამ სმითის „უხილავი ხელის“ მეშვეობით სპონტანურად ასე არ მოხდება – იქ, „სადაც სრულყოფილი კონკურენცია შეუძლებელია, აუცილებელი ხდება განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ღონისძიებები“[5]. მისი აზრით, კონკურენციის შემზღუდავი კონცენტრაციის პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია არა საწარმოთა რაოდენობის ზრდა, არამედ საწარმოთა გაერთიანების გზით წარმოების ზრდა.

ოიკენის მოლოდინი იმის თაობაზე, რომ უმრავლეს ბაზრებში სრული კონკურენციის განხორციელება შესაძლებელია, სადღეისოდ სრულად ვერ მართლდება. დღეს შეიკიბრის ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე წარმოებული ახალი პროდუქტით, ბაზრის ფორმის შეცვლად ვიხილავთ. მის მიერ რეკომენდებული წყობილების განხორციელებისათვის, ოიკენი ამ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად მოქმედი ძირითადი. და მარეგულირებელი პრინციპების გამოყენას მოითხოვდა. ძირეულმა პრინციპებმა კონკურენცია უნდა განაპირობოს, ხოლო მარეგულირებელმა პრინციპებმა (სრულყოფილი კონკურენციის გარეშე) ბაზრები უნდა მართოს და „არასრულყოფილების დეფექტები“ დაძლიოს[6].

---

1 Grundsätze der Wirtschaftspolitik, გვ. 142.
2 იქვე, გვ. 144.
3 იქვე, გვ. 193.
4 იქვე, გვ. 360.
5 იქვე, გვ. 246.
6 იქვე, გვ. 253.

ძირითად (მთავარ) პრინციპებს მიეკუთვნება: „სრული კონკურენციის ქმედითუნარიანი ფასების სისტემის შექმნა", სავალუტო პოლიტიკის პრიმატი, „ღია ბაზრები", კერძო საკუთრება, ხელშეკრულებების თავისუფლება, ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობა"[1].

მარეგულირებელ პრინციპებში, უპირველესად, მონოპოლიებზე კონტროლი და „კონკურენტული პოლიტიკა" იგულისხმება. საჭიროა ბაზრების ისეთივე ფუნქციონირების მიღწევა, როგორც სრული კონკურენციის დროს მოქმედებს. ამისათვის მხოლოდ განსახელმწიფოებრიობა არასაკმარისია. სახელმწიფო მონოპოლიები ისეთსავე გეგმაზომიერ მონოპოლისტურ პოლიტიკას ატარებენ, როგორც კერძო. აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო მონოპოლიებზე მეთვალყურე სამსახურებმა მონოპოლიები უნდა დაშალონ და სრული კონკურენციის პრინციპები აამოქმედონ. იგივე ღონისძიებები უნდა გატარდეს ოლიგოპოლისტთა მიმართაც. მარეგულირებელი პრინციპები გარემოს პრობლემების მიმართაც უნდა გამოიყენონ[2].

ძალუძს კი სახელმწიფოს ამგვარი ეკონომიკური მოწყობის უზრუნველყოფა?

ოიკენის აზრით, ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ეკონომიკური მოწყობის ცვლილებასთან ერთად, სახელმწიფო წყობილების შეცვლაც დაიწყება. ამგვარი ცვლილებებისათვის ნიადაგის მომზადება მეცნიერების უპირველესი ამოცანაა.

თავისი ეკონომიკური პოლიტიკის იდეებით ოიკენი განმარტოებით არ იდგა. მსგავს მიზნებს ისახავდნენ ცნობილი დასავლეთგერმანელი ნეოლიბერალები: **ვილჰელმ რიოპკე, ალექსანდრე რიუსტოვი და ალფრედ მიულერ-არმაკი.**

1.5.5. წვლილი

გერმანიაში ეკონომიკის თეორიული კვლევების აღორძინების საქმეში ძალზე დიდია ოიკენის წვლილი. თითქმის ყველა მისი მოწაფე მასწავლებლის მოღვაწეობის სფეროშია დასაქმებული. ოიკენის ინიციატივით ზოგიერთი მათგანი საგარეო ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს ამუშავებდა.

კიდევ უფრო დიდი იყო ეკონომიკურ პოლიტიკაზე ოიკენის ზეგავლენა. იგი, როგორც ერთადერთი გერმანელი, 1947 წელს შვეიცარიაში (ჟენევა) ერთ-ერთი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა, სადაც ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მისმა გამოსვლამ მსმენელებზე შთამბეჭდავი ზეგავლენა მოახდინა.

1948 წლიდან გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა პრაქტიკულად ოიკენის დიდ გავლენას განიცდიდა. ეკონომიკის მართვის საკითხებში თავისი მეცნიერული რჩევებით იგი პოლიტიკოსებზე, მრგვიანებით კი ფედერალური ეკონომიკის სამინისტროზე სერიოზულ ზემოქმედებას ახდენდა. ეკონომიკურ პოლიტიკაში „მსგავსი წარმატების მიღწევა პოლიტეკონომთა მხოლოდ მცირე ნაწილს შეეძლო"[3]. 1950 წელს ვ.რიოპკე წერდა: თუ დღეს დასავლეთი გერმანია ასეთი გამბედაობით და გამიზნულობით, ერთდროულად კი კოლექტიური ქაოსიდან გამოსავალს ასეთი წარმატებით აღწევს, ეს ვალტერ ოიკენის დამსახურებაა.

ცხადია, იგი იმაზე ზრუნავდა, რომ უფრო თანამიმდევრულად განეხორციელებინათ 1948 წლის ივნისში არჩეული გზა, ვიდრე ეს ფაქტობრივად ხდებოდა. ოიკენის დოქტრინას სავალუტო რეფორმა შეესაბამებოდა. მოგვიანებით გატარებული ღონისძიებები, სამწუხაროდ, ხშირად კომპრომისების შედეგებს წარმოადგენდა, რაც ოიკენის დოქტრინას მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდა.

ლუდვიგ ერჰარდის დიდი მონდომების გარეშე (რომელსაც შემდგომში მხარი მიულერ-არმაკმაც დაუჭირა) გერმანულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ 1948 წლის ზაფხულიდან ოიკენის კონცეფციიდან კიდევ უფრო მეტად გადაუხვია.

---

1 Grundsätze der Wirtschaftspolitik, გვ. 288.

2 იქვე, გვ. 293-302.

3 Salin, E. Walter Euken in Memoriam - „Kyklos", v.4,1-4, 1950.

2. გზა თავისუფლებისკენ: ფრიდრიხ ჰაიეკი (1899-1992)

2.1. ავსტრო-ინგლისელი ნობელიანტი

ეკონომიკური თავისუფლებებისა და მოქალაქეობრივი უფლებების დაცვისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ავსტრო-ინგლისელი ეკონომისტი ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი (Hayek)[1] დაიბადა 1899 წ. ვენაში - ვენის უნივერსიტეტის პროფესორის ოჯახში.

1918 წ. შევიდა ვენის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა სამართალს, ეკონომიკას, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სპეციალიზდებოდა იურისპრუდენციასა და ეკონომიკაში. ლუდვიგ ფონ მიზესის (1891-1973)[2] გავლენით მან განაახლა მეცადინეობა ვენის უნივერსიტეტში და 1923 წ. მიიღო დოქტორის ხარისხი ეკონომიკაში. 1929 წლიდან ლექციებს კითხულობდა ვენის უნივერსიტეტში. 1927-31 წწ. სათავეში ჩაუდგა ავსტრიის ეკონომიკური გამოკვლევების ინსტიტუტს. 1931 წ. მუშაობა დაიწყო ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ჯერ მოწვეულ პროფესორად, შემდეგ კი ეკონომიკისა და სტატისტიკის შტატიან პროფესორად, 1950-62 წწ. ჩიკაგოს, ხოლო 1963-68 წწ. ფრაიბურგის (პენსიაზე გასვლამდე) უნივერსიტეტების პროფესორია.

ეკონომიკაში ნობელის პრემია მიიღო (1974) გ.მიურდალთან ერთად „ნოვატორული შრომებისათვის მონეტარულ თეორიასა და ეკონომიკური რყევების თეორიაში, აგრეთვე ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური მოვლენების ღრმა ანალიზისათვის".

ჰაიეკი იყო ბრიტანეთის მეცნიერებათა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე მრავალი საპატიო სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

ფ.ჰაიეკი 1992 წელს ფრაიბურგში გარდაიცვალა.

2.2. გზა თავისუფლებისკენ

ჰაიეკი ემხრობოდა ფიზიოკრატების მტკიცებას, რომ ეკონომიკური პროცესების უკეთ მართვას უზრუნველყოფს თავისუფალი ბაზარი. ამასთან, არ იზიარებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის სარგებლიანობის შესახებ კეინზის შეხედულებას.

ჰაიეკის ადრინდელი შრომები ეძღვნება ეკონომიკის თეორიულ პრობლემებს. 20-იან წლებში მან გამოაქვეყნა ბევრი სტატია ეკონომიკურ ციკლზე, მონეტარულ თეორიასა და ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

ლონდონში ჰაიეკის ინიციატივით დაიწყო 30-იანი წლების ერთი ყველაზე ხანგრძლივი დისკუსია, ჯ.მ. კეინზის ნაშრომის „ტრაქტატი ფულის შესახებ" გარშემო. ჰაიეკმა გააკრიტიკა კეინზი ავსტრიული სკოლის პოზიციებიდან. კეინზმა „ეკონომიკურ ჟურნალში" მწარე რეცენზია მიუძღვნა ჰაიეკის წიგნს „ფასები და წარმოება" (1931)[3].

ჰაიეკის მტკიცებით, ფულად-საკრედიტო სფეროში სახელმწიფოს შეჭრა, კეინზის რეცეპტების საფუძველზე, შეიძლება გახდეს ეკონომიკის ნგრევის მთავარი მიზეზი; სოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს ფართო შეჭრა საბაზრო მექანიზმში აუცილებლად გამოიწვევს არა მარტო საქმის გაუარესებას ეკონომიკაში, არამედ მოქალაქეთა უფლებების დათრგუნვასაც „სახელმწიფო მგეგმავების" აბსტრაქტული იდეების გამო.

მისი მსჯელობით: თანამედროვე ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია უზარმაზარი ინფორმაცია ყველა გამყიდველისა და მყიდველის შესაძლებლობებისა და სურვილების შესახებ. გეგმის შედგენისას ამ ინფორმაციის შეგროვება უბრალოდ შეუძლებელია: ზოგიერთი ინფორმაცია იბადება ყოველწამს – ბაზრის მონაწილეთა პირდაპირი შეჯახების დროს. იმისათვის, რომ აეხსნა, როგორ იყენებს ბაზარი ასეთ ინფორმაციას და როგორ ეხმარება კაცობრიობას მოძებ-

1 ა.ილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუმ-მობილე, გვ. 86-94.

2 ნეოავსტრიული სკოლის მეთაური. მისი აზრით, კერძო საკუთრებაზე დამყარებული თავისუფალი მეწარმეობა უზრუნველყოფს მოთხოვნილების ოპტიმალურ პროპორციულობას [ნაშრომი „სამეურნეო ანგარიში სოციალისტურ ეკონომიკაში" (1920)].

3 Hayek F., Prices and Production, L., 1931.

ნოს ეკონომიკური განვითარების რაციონალური ხაზი, ჰაიეკმა შეიმუშავა „გაფანტული ცოდნის“ თეორია. ამ თეორიამ არსებითად გახსნა ა.სმითის ბაზრის „უხილავი ხელის“ მუშაობის მექანიზმი.

ჰაიეკი წერდა: გეგმიან საზოგადოებაში ყველას ეცოდინება ის, რომ ისინი ცხოვრობენ კარგად ან ცუდად იმიტომ, რომ ასე სურს რომელილაც მმართველ ორგანოს.

თანამედროვე ისტორიამ დაამტკიცა ჰაიეკის ბევრი პროგნოზის სისწორე: ინფლაციის გაძლიერების აუცილებლობა ფულად-საკრედიტო სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის დროს; საბაზრო სოციალიზმის შექმნის უშედეგო ცდა...

ჰაიეკის რწმენით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის ყოველი ცდა აზიანებს საზოგადოებას.

ხანგრძლივი პოლემიკა კომენტარებისა და განცხადებების ფორმით ორი ეკონომიკური სკოლის – „კეინზის სკოლისა“ და „ჰაიეკის სკოლის“ – სრულ შეუსაბამობას მოწმობდა. მართალია, დამკვირვებელთა უმრავლესობა თვლიდა, რომ ეს კამათი კეინზიანელების სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ შემდეგ ჰაიეკის თეორიებმა შეასრულა შუქურას როლი მაკროეკონომიკის განვითარებისათვის. მისი აზრით, ექსპანსიონისტური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა გააფართოებს წარმოებას მოკლევადიან გეგმაში, მაგრამ გაზრდის ფასებს, უმუშევრობას და ინფლაციასაც.

ჰაიეკის უფრო ადრინდელ ნაშრომში – **„ფულადი და კონიუნქტურული თეორიები“** (1929)[1], აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ციკლები დაკავშირებულია ფულის მასის ცვლილებასთან.

ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა კიდევ ერთი შრომა მონეტარულ საკითხებზე – **„მონეტარული ბალანსირება და საერთაშორისო სტაბილურობა“**, რომელშიც დასაბუთებულია საერთაშორისო ფულადი სტანდარტის აუცილებლობა.

„კაპიტალის წმინდა თეორიაში“ (1941)[2] წარმოჩენილია ჰაიეკის არსებითი წვლილი ეკონომიკურ თეორიაში. აქ ავტორმა განიხილა დროის შუალედი, რომელიც საჭიროა ნედლეულის მზა საქონლად გადაქცევისათვის. მისი აზრით: სარგებლის განაკვეთის შემცირება წარმოების ციკლს გახანგრძლივებს, რამდენადაც ფირმები ძვირადღირებული ტექნოლოგიის შესყიდვის შემდეგ დაიწყებენ პროდუქტის დამზადებას; სარგებლის განაკვეთის ზრდა კი წარმოების შუალედურ სტადიებს შეამცირებს და დაიწყება ნაკლებად რთული საქონლის წარმოება-გამოშვება.

წიგნში **„ეკონომიკური თეორია და ცოდნა“** (1937)[3] ჰაიეკმა პირველად ავსტრიული სკოლის ჩარჩოებში მეწარმეთა მოლოდინების ჩამოყალიბების პრობლემა წამოაყენა. იგი იკვლევს იმ ცოდნას, რომელიც აყალიბებს მეწარმის იმ მოლოდინებს, რომლებიც შეესატყვისება სხვა ინდივიდების გეგმებსაც.

ეკონომიკის ციკლური მერყეობების კვლევას მიეძღვნა ჰაიეკის ორი მთავარი ნაშრომი: „მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა“ (1949) და „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“ (1951).

სამტომეულში[4] **„კანონი, კანონმდებლობა და თავისუფლება“**: **„წესები და წესრიგი“** (1973), **„სოციალური სამართლიანობის მირაჟი“** (1976), **„თავისუფალი ადამიანების პოლიტიკური წყობა“** (1979), ჰაიეკი იკვლევს თვით Laissez faire-ს ცნებას. აქ უკვე ლაპარაკია არა მარტო ვაჭრობის ეკონომიკურ თავისუფლებაზე, არამედ უბრალოდ თავისუფლებაზე. ზოგადად, თავისუფლების როლის ხაზგასმით ჰაიეკი დემოკრატიის განუყოფელ თავისებურებაზეც მიუთითებდა: თანხმობა გარკვეული წესებით ცხოვრებაზე.

ჰაიეკის მიერ დამუშავებული „სწორი ქცევის წესების“ პრინციპებით, შესაძლებელია ცალკეული ინდივიდების გეგმების ხორცშესხმა. ამ წესებში იგი ასახელებს ნორმების, ქცევის ტიპების, ტრადიციების, ჩვეულებებისა და პირობით შეთანხმებათა ერთობლიობას. „სწორი ქცევის“ წესები სრულად ვერ სპობენ ბაზრის გაურკვეველობას, მაგრამ ქმნიან გარკვეულ მოწესრიგებულობას სოციალურ სფეროში და უზრუნველყოფენ უკეთესი მოლოდინის გარკვეულ უნარს.

ჰაიეკისათვის სოციალური სამართლიანობის მთავარი კრიტერიუმია ბაზარი.

ჰაიეკის აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების გაფართოება ინტელექტუალურ თავისუფლებასა და კულტურის თავისუფალ განვითარებას ორგუნავს. ჰაიეკის ბრძოლა სახელმწიფო ჩარევების

1 Geldtheorie und Konjunrtheorie, Wien, 1929.
2 The Pure Theory of Capital, L., 1941.
3 Economics and Knowlendge – Economica, II/1937.
4 Law, Legislation, and Liberty..., 1973-79.

ტენდენციების წინააღმდეგ აპოგეას აღწევს წიგნებში „გზა მონობისაკენ" (1944)[1] და „თავისუფლების კონსტიტუცია" (1960)[2], სადაც უარყოფილია „მესამე გზისა" და რეფორმატორული იდეალის კონცეფცია იმ სახით, როგორიც ის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთგერმანულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა.

ჰაიეკის აზრით, ნებისმიერი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც სოციალური მიზნებით შეეცდება თანაბარ განაწილებას ან ფასებზე კონტროლს, აუცილებლად ტოტალიტარულ რეჟიმად გადაიქცევა; მხოლოდ თავისუფალი საბაზრო მექანიზმის დაუბრკოლებელ ფუნქციონირებას შეუძლია ადამიანის ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფა.

„გზა მონობისაკენ" პოპულარული აღმოჩნდა ევროპის ფარგლებს გარეთაც.

ჰაიეკმა თავისი ცხოვრება და სიცოცხლე მთანდომა სოციალიზმთან ბრძოლას და თითქმის სიმბოლური იყო — უკანასკნელი (დროის მიხედვით) ნაშრომით — „დაძლეული თავდაჯერებულობა - სოციალიზმის შეცდომები" (1989)[3] — დაამთავრა ამქვეყნიური მოღვაწეობა. წიგნში შეჯამებულია ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ფიქრები კაცობრიობისათვის უჩვეულო და დამღუპველი სოციალისტური იდეების პოპულარობის ბუნებაზე და ასევე იმ მიზეზებზე, რომლებმაც გარდაუვალი გახადა სოციალიტური საზოგადოების მშენებლობის ყველა პროექტის კრახი.

3. ნეოლიბერალური მონეტარული მაკროეკონომიკა: მილტონ ფრიდმანი (1912-2006)

3.1. „თვითმარეგულირებელი ფულადი სისტემის" მომხრე

„ნეოკლასიკური სინთეზის" დოქტრინის მიმდევარი კეინზელები ეკონომიკურ პოლიტიკას ხშირად წყვეტილი ღონისძიებების მიმდევრობის სახით განიხილავენ, რომელთაგანაც თითოეული მათგანი ისტორიულად უნიკალური იყო. ამ თვალსაზრისით მათ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტად „ფილიპსის მრუდი" (იხ. დანართი 1) მიაჩნდათ. თუ მსგავსი ღონისძიებები შაბლონურადაა გამოყენებული, მსგავს გარემოებებში ისინი პროგნოზირებულ შედეგებს იწვევენ.

60-იან წლებში გარეგნულად არაინფლაციური ეკონომიკური ზრდა სტაგფლაციაში[4] გადაიზარდა; ეს ასპექტი კარგად იყო ცნობილი, თუმცა ისინი კვლავ მაკროეკონომისტების ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ახლად წარმოჩენილი მოვლენები არა მხოლოდ ცალკეული პოლიტიკური ღონისძიებების, არამედ პოლიტიკური წესების ცვლილებების შედეგი იყო.

50-იან წლებში აშშ-ში მონეტარიზმის დოქტრინის გავრცელება ჩიკაგოს უნივერსიტეტის ნეოლიბერალური სკოლის ლიდერთან, მ.ფრიდმანის სახელთანაა დაკავშირებული. აღნიშნული დოქტრინა, გარკვეული გაგებით, ფულის რაოდენობრივი თეორიის მოდერნიზაციაა თანამედროვე პირობებში. მონეტარიზმი კეინზური „რეგულირებადი ვალუტისა" და ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის წინააღმდეგაა მიმართული და „თვითმარეგულირებელი ფულადი სისტემის" ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რომლის დროსაც მიმოქცევაში ფულადი მასის 3-5% ზრდა ნორმალურ მოვლენადაა აღიარებული.

აზრთა სხვადასხვაობის გამო ორმა მეცნიერმა, „დიდი დეპრესიის" მიზეზები სხვადასხვაგვარად ახსნეს. შესაბამისად, განსხვავებულად ხედავდნენ კრიზისიდან გამოსვლის მათი რეკომენდაციებიც. კეინზი მოითხოვდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას: სახელმწიფო სექტორის ზრდას, საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზებას, კერძო მეწარმეობისათვის კრედიტის „გაიაფებას" - მათგან სახელმწიფო შესყიდვებს და ა.შ. მისგან განსხვავებით, ფრიდმანი ეკონომიკის თვითრეგულირებადი სისტემის მომხრეა და მოითხოვს მხოლოდ ფულად სფეროში სახელმწიფო ბერკეტების გამოყენებას.

---

1 The Road to Serfdom, 1944.

2 The Constitution of Liberty, 1960.

3 The Fatal Concert – The Error Socialism, Chicago, 1989.

4 სტაგფლაცია – ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც წარმოების გაყინვა ან დაცემა (სტაგნაცია) შეხამებულია მზარდ უმუშევრობასა და ფასების განუწყვეტელ ზრდასთან – ინფლაციასთან.

3.2. ა.სმითის სულიერი მემკვიდრე - ნობელიანტი

მილტონ ფრიდმანი (Friedman) დაიბადა 1912 წელს ბრუკლინში (ნიუ-იორკი). მისი მშობლები ღარიბი ებრაელი ემიგრანტები იყვნენ.

მილტონი და მისი სამი და ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ რავეიში იზრდებოდნენ, სადაც მათი მშობლები წვრილი ვაჭრობით ირჩენდნენ თავს. მილტონს მამა საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში გარდაეცვალა, მაგრამ სახელმწიფო სტიპენდიამ მას საშუალება მისცა, რატჯერის კოლეჯში შესულიყო, რომელიც მაშინ პატარა კერძო სასწავლებელი იყო.

საშუალო სკოლის მასწავლებელმა მას მათემატიკა შეაყვარა. იგი სადაზღვევო საზოგადოების სტატისტიკოსის კარიერისათვის ემზადებოდა. ამავე დროს, შემდგომში ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარის არტურ ფ.ბარნსის და მომავალში სენტ-ლუისის ფედერალური სარეზერვო ბანკის დირექტორის ჰომერ ჯონსის ლექციებმა მას ეკონომიკის მიმართ ინტერესი გაუღვიძა.

სწავლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს, ნაწილობრივ მასწავლებლების, ნაწილობრივ კი ამ პერიოდის „ეკონომიკური დეპრესიის" ზეგავლენით, ფრიდმანმა ეკონომიკური მეცნიერება აირჩია და ჩიკაგოს უნივერსიტეტში შევიდა. იგი დიდად აფასებდა ეკონომიკაში იაკობ ვინერის ლექციების კურსს, როგორც თავისი ცხოვრების უდიდეს ინტელექტუალურ გამოცდას.

შემდგომში იგი თავის ჯგუფელზე დაქორწინდა, რომლისგანაც ორი შვილი შეეძინა.

1933 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში „მაგისტრის" წოდების მინიჭების შემდეგ, ფრიდმანი კოლუმბიის უნივერსიტეტის სტიპენდიანტი გახდა. აქ იგი ჰაროლდ ჰოტელინგისაგან მათემატიკურ სტატისტიკას სწავლობდა, ხოლო უ.მიტჩელი მას ინსტიტუციონალიზმსა და ეკონომიკური ციკლების ემპირიულ კვლევას აცნობდა. მალე იგი ჩიკაგოს უნივერსიტეტში დაბრუნდა და ასისტენტ-მკვლევარი გახდა.

1935-1943 წლებში მ.ფრიდმანი ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ბუნებრივი რესურსების ეროვნული კომიტეტის, ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროსა და შემდეგში სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ეკონომისტად მუშაობდა; პარალელურად კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექციებსაც კითხულობდა. შემდგომში იგი კოლუმბიის უნივერსიტეტში ომის პრობლემების განყოფილებაში მუშაობდა, ორი წელი გამოყენებით სტატისტიკურ სამუშაოებს ასრულებდა, 1945 წელს კი მინესოტის უნივერსიტეტში პროფესორის თანაშემწე გახდა.

1946 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტმა მას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა. იმავე წელს მ.ფრიდმანი ჩიკაგოს უნივერსიტეტში გადავიდა და 1948 წელს პროფესორი გახდა. მან ჩიკაგოში თავის მეგობარ ჯორჯ სტიგლერთან[1] ერთად ეკონომიკური სკოლა ჩამოაყალიბა; 1951 წელს იგი ჯონ ბეითს კლარკის მედლით დაჯილდოვდა, ხოლო **1976 წელს კი მონეტარულ პრობლემებსა და სტაბილიზაციის პოლიტიკაში მიღწევებისათვის ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკაში.**

1977 წლიდან ფრიდმანი სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებული ჰუვერის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მკვლევარია.

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში მ.ფრიდმანმა თანდათან გაფართოვა თავისი აუდიტორია სასემინარო ოთახიდან საზოგადოებრივ სარბიელამდე. პოპულარულ წიგნებში მას ადამ სმითის სულიერ მემკვიდრედ და ეკონომიკური პროგრამების წამყვან ფიგურად მოიხსენიებენ. ფრიდმანი, ისტორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, „ამ სულს" რადიკალურ ლიბერალიზმს უწოდებდა. მაგრამ ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერმინი „ლიბერალით" ახალი კურსის მიმდევრები (რუზველტის კურსი) იწოდებოდნენ, მისი იდეები, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცვლილებების მომხრე იყო, მაინც კონსერვატორულად ხასიათდებოდა.

რესპუბლიკელი პრეზიდენტები – ნიქსონი, ფორდი და რეიგანი ფრიდმანის რჩევებს ითვალისწინებდნენ. ნიქსონის დროს იგი მოხალისეთა არმიის საპრეზიდენტო კომისიის წევრი იყო. 1966-1984 წლებში „ნიუ-სვიკის" (New-sweek) რეგულარული „სვეტები" და ტელეეზიის ათამდე არხი მის სახელს მთელ მსოფლიოში პოპულარულს ხდიდა. მილიონებისათვის იგი წინასწარმეტყვე-

---

1 ჯ.სტიგლერი (Stigler, 1911-1991) – ამერიკელი ეკონომისტი, 1982 წელს ეკონომიკაში – მრეწველობის სტრუქტურების, ბაზრების ფუნქციონირების, სახელმწიფო რეგულირების მიზეზებისა და შედეგების ნოვატორული გამოკვლევებისათვის – ეკონომიკაში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა.

ლი იყო, მილიონები მის სახელს წყევლა-კრულვით მოიხსენიებდნენ.

მ.ფრიდმანი ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი იყო (1967), დაჯილდოებულია ჯ.ბ. კლარკის მედლით, სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო სამეცნიერო ხარისხებით.

1982 წლიდან მილტონი და მისი მეუღლე სან-ფრანცისკოში დასახლდნენ.

გარდაიცვალა 2006 წელს 94 წლის ასაკში.

3.3. მონეტარული ბერკეტები

მ.ფრიდმანის პროგრამა ეკონომიკაში **სახელმწიფოს ძალაუფლების შესუსტებისაკენ იყო მიმართული**. მისი აზრით, დადგენილმა წესებმა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას უნდა გაუხსნას კარი.

იგი მხარს უჭერდა ინდუსტრიის რეგულირებისა და ბირჟის კონტროლის გაუქმებას, მინიმალურ ხელფასებს, სახელმწიფო სკოლებს, ეროვნულ პარკებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურს, საშემოსავლო გადასახადების პროგრესიულობას, იმპორტზე ბაჟის ზრდას, ფედერალური სარეზერვო სისტემის გაფართოებას, სარგებლის განაკვეთის რეგულირებას, საქმიან საქმის ლიცენზირებას, სოციალურ უსაფრთხოებასა და ა.შ.

ამასთან, ფრიდმანი იცავდა ძლიერ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, განათლებისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერას, მარიხუანასა და ჰეროინის ლეგალიზაციას, ხელფასების ინდექსაციას, საგადასახადო განაკვეთების დონის დადგენას და ფულის მიმოქცევაზე სახელმწიფო კონტროლს.

ბევრი მისი მიდგომა საკამათოა. ოპონენტების უმეტესობა ფრიდმანის თაყვანისმცემლებს ეთანხმება იმაში, რომ იგი საკითხებს გონივრულად ჭვრეტს. შესაძლოა, იგი ადამიანებისა და პოლიტიკური სიტუაციების განსჯაში ყოველთვის მართალი არ იყოს, მაგრამ თავის პრინციპებს ყოველთვის იცავს.

მ.ფრიდმანის ადრინდელი ნაშრომები სტატისტიკაშია შესრულებული. მისი დისერტაცია (შესრულდა საიმონ კუზნეცთან თანამშრომლობით), დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ანალიზს მიეძღვნა. მასში განხილულია შემოსავლის პერმანენტულ და მოკლევადიან კომპონენტებს შორის განსხვავებები, რაც **„მოხმარების ფუნქციის თეორიას“** (1957)[1] დაედო საფუძვლად.

მისმა ადრინდელმა ეკონომეტრიკულმა მცდელობებმა წლიური შემოსავალი წლიურ მოთხოვნასთან დააკავშირა. ფრიდმანის წინადადებით, საჭიროა აიხსნას, თუ რას მიიჩნევენ ადამიანები თავიანთ მუდმივ ხარჯებად, საითკენაც მათი მუდმივი შემოსავალი უნდა მიემართოს. მისი აზრით, ხანმოკლე გარდამავალ და მუდმივ მოვლენებს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს.

მუდმივი შემოსავლის კონცეფცია მომდევნო თაობის რაციონალურ იმედებს უკავშირდებოდა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკო მოდილიანის „ცხოვრების ციკლის“ ჰიპოთეზა დაახლოებით იმავე დროს და გარკვეული მიმართებით სამი წლით ადრეც იქნა შესრულებული.

მ.ფრიდმანის სტატიამ – **„პოზიტიური ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია“**[2] – მძაფრი კამათი განაპირობა, რომელიც ძველი სიბრძნის ჭეშმარიტებას ნათელყოფს. კერძოდ, ეკონომისტები ფასდებიან გაკეთებული საქმით და არა იმით, რასაც ისინი საკუთარ თავზე ამბობენ. თავად ფრიდმანი მართებულად ირწმუნება, რომ ჰიპოთეზები ცხოვრებაში მათი ჩარევით უნდა გამოიცადოს. ისიც მართალია, რომ ჰიპოთეზა, ჩვეულებრივ, იმისდა მიხედვით ფასდება, თუ რის დამტკიცებას გვპირდება – იმ დაშვებით, რომლის საფუძველზეც იგი მიიღება. თუ ჰიპოთეზა ცხოვრებისეულ გამოცდაში იმედის მომცემია, მაშინ იგი მისი დაშვების რეალიზებაზეა დამოკიდებული. თუმცა იმის დაშვება, რომ მთავარე „მწვანე ყველს“ შეიცავს, ალბათ გამოცდის სურვილს არ აღძრავს.

50-იან წლებში ფრიდმანის კვლევები ძირითადად ფულად პრობლემებს მიეძღვნა. მისი შემოქმედების სფერო მონეტარული მაკროეკონომიკით შემოიფარგლა. იგი **ფულის რაოდენობრივი თეორიის**

1 **Friedman** M., A theory of the consumption function, N.Y., 1957.

2 Методология позитивной экономической науки, М., "TESIS", 1994.

„ჩემპიონი" გახდა. მოკლე დროში მისი ფულის რაოდენობრივი თეორია, კეინზის იმავე კონცეფციისაგან უფრო ტერმინოლოგიით განსხვავდება, ვიდრე არსით.

სინამდვილეში, ფულის რაოდენობრივი თეორია ფასების დონის დინამიკის გრძელვადიანი თეორიაა. ფრიდმანი თითქოს ფულზე მოთხოვნის კეინზური თეორიის ახლებურ გააზრებას იძლევა. ორთავე მიმართულებით მისი თეორიული ანალიზი „ნეოკლასიკური სინთეზის" მიერ უკვე მიღწეული შედეგებისაგან დიდად არ განსხვავდება. არაერთგზის მცდელობისდა მიუხედავად, ფრიდმანმა თავისი სპეციფიკური დასკვნების თეორიული მოდელის შექმნა ვერ შეძლო.

ფრიდმანის წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში მონეტარული პოლიტიკის პრაქტიკულ შედეგებს შეეხო. მისი მტკიცებით, მაკროეკონომიკური მერყეობებისათვის „ფულს მნიშვნელობა აქვს" და მშპ-ის დინამიკაზე გავლენა ფულის მეშვეობით უნდა მოხდეს.

ამ მხრივ, „ნეოკლასიკური სინთეზის" ამერიკელ კეინზელებში ეს საკითხი ნაკლებად საკამათოა, ვიდრე ეს ფრიდმანმა წარმოაჩინა. მაგრამ ისიც მართალია, რომ „ლიკვიდური მასის" მომხრე კეინზელებს თითქოსდა დავიწყდათ ფული და მისი გახსენება დღის წესრიგში იდგა.

ფრიდმანის მტკიცებით, მონეტარული პოლიტიკა წარმოების მოცულობასა და ფასებზე არსებით ზეგავლენას ახდენს; მშპ-ის დინამიკაზე ფულით ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ. ეს პოზიცია „ნეოკლასიკურ სინთეზთან" შესაბამისობაშია, თუმცა ფრიდმანის შრომებმა ემპირიული კვლევების გაღრმავებასა და მაკროეკონომიკური მოდელების შექმნას უბიძგა.

ფრიდმანის მონეტარული პოლიტიკის მიხედვით, **მიმოქცევაში არსებული ფულის მასის საშუალოდ 4%-ით ზრდა დასაშვები.** ამ საკითხში მისი პოზიცია წამყვანი კეინზელების აზრს ემთხვევა, რომლებიც მონეტარულ პოლიტიკას სტაბილიზაციის ეფექტიან საშუალებად მიიჩნევენ.

ფრიდმანის რწმენით, „უმართავ" მონეტარულ პოლიტიკას უფრო მეტის გაკეთება შეუძლია ეკონომიკის დესტაბილიზაციისათვის, ვიდრე „მართვადს". მისი აზრით, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებით (1944) შემოღებული ფიქსირებული სავალუტო კურსი კრახს განაპირობებს და უფრო მიზანშეწონილია მცურავი სავალუტო კურსის შემოღება[1]. ამ პრობლემას ეძღვნება მისი ნაშრომი „მცურავი სავალუტო კურსების მაგალითი" (1950)[2].

ამ პრობლემებს მიეძღვნა მისი და ანა შვარცის ერთობლივი ნაშრომი – „შეერთებული შტატების მონეტარული ისტორია 1867-1960 წლებში" (1963)[3], რომელსაც თან ერთვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ვრცელი მონეტარული სტატისტიკური მონაცემები.

ფრიდმანის მტკიცებით, „დიდი დეპრესია" არა ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკის არაეფექტიანობით, არამედ ფულის მასის შემცირების ეფექტიანობით იყო განპირობებული.

მოქმედ საბანკო სისტემას ფრიდმანი პოტენციურად არასტაბილურად თვლიდა, ვინაიდან რისკებისა და მოლოდინების ცვალებადობამ ბანკების მიერ ფულის გამოშვების ექსპანსია და შეზღუდვა შეიძლება გამოიწვიოს. არასტაბილურობის ამ წყაროს გამოსარიცხად მან საბანკო რეზერვების შექმნის წინადადება წამოაყენა. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც მუდმივი ტემპით უნდა გაიზარდოს, არა უბრალოდ ცენტრალური ბანკის მიერ გამოშვებული, არამედ საზოგადოების ხელში მოქცეული ფულია. თუ კომერციული ბანკები საზოგადოებას ფულის მასის მიწოდებას შეუზღუდავენ, მაშინ ცენტრალურმა ბანკმა საკომპენსაციოდ თავისი საკუთარი საკრედიტო რესურსები ავტომატურად უნდა გაზარდოს (ექსპანსია).

რეტროსპექტიულად, მოკლევადიანი პოლიტიკის შესახებ ფრიდმანის ბევრ ნაშრომში კონსენსუსის არე საკმაოდ დიდია, რასაც ინფლაციის მიმართ ვერ ვიტყვით. ფრიდმანის რაოდენობრივი თეორიის მიხედვით **გრძელვადიანი ინფლაცია „ყველგან და ყოველთვის მონეტარული მოვლენაა" და მისი შეწყვეტა მხოლოდ მკაცრი მონეტარული პოლიტიკითაა შესაძლებელი.**

მიუხედავად იმისა, რომ კეინზი ამ ჭეშმარიტებას არასოდეს არ უარყოფდა, „ნეოკლასიკური სინთეზის" მიერ იგი დავიწყებას მიეცა. ფრიდმანი ერთადერთი არ იყო, ვინც ამ პრობლემის კვლევა განაახლა.

---

1 ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე (1944) მიღებული შეთანხმებით, მსოფლიოს ძირითად სარეზერვო ვალუტად დადგინდა აშშ დოლარი და ინგლისური გირვანქა სტერლინგი; დოლარი შეიძლებოდა გადაცვლილიყო ოქროზე საერთაშორისო საგადასახდელო ანგარიშსწორების ბრუნვაში; დაწესდა ოქროზე ოფიციალური ფასი – 35 დოლარი ერთ უნციაზე (31.1 გრამი).

2 The Case for Flexible Exchange Rates, 1950.

3 A Monetary of the United States, 1867-1960, Pringeton, 1963.

მ.ფრიდმანის აზრით, „ფილიპსის მრუდი" უმუშევრობას არა განსაზღვრულ, არამედ მოულოდნელ ინფლაციასთან აკავშირებს. თუ ინფლაცია განსაზღვრულია, მაშინ „დაქირავებულებს" პრობლემები უჩნდებათ. როდესაც ფრიდმანმა 1967 წელს ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციას თავისი ცნობილი „საპრეზიდენტო" მიმართვა გააცნო, იგი სიახლეს არ წარმოადგენდა. თვით ფრიდმანმა იგი უფრო ადრე დაამუშავა, ვიდრე ფილიპსმა ამის შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ფაქტობრივად, იგი ბევრი არაკეინზელი ეკონომისტისათვის ცნობილი იყო. ფრიდმანის დამსახურება ისაა, რომ აღნიშნული პრობლემების შესწავლა მან ისევ ეკონომიკურ მეცნიერებასთან დაკავშირა. აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი მ.ფრიდმანის ნაშრომი „ფულადი პოლიტიკის როლი" (1968)[1].

ოცი წლის შემდეგ ისტორიამ მართლაც დაადასტურა, რომ მონეტარულ შეზღუდვებს დროებითი რეცესიის ფაზიდან „საუკუნეობრივი ინფლაციის" თავიდან აცილება შეუძლია. ფულის რაოდენობრივი თეორიის ტრადიციები აღდგენილ იქნა.

სოციალურ პოლიტიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის ძირითადი პრინციპები ფრიდმანმა ჩამოაყალიბა ნაშრომებში[2]: „კაპიტალიზმი და თავისუფლება" (1962) და „არჩევანის თავისუფლება" (1980).

მისი ბევრი რეკომენდაცია (ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირება, დაქირავებული სამხედრო სამსახურის შემოღება, არასაკმარისი შემოსავლების მქონეთათვის ბიუჯეტური დახმარებების გაცემა, ...) გათვალისწინებულ იქნა. ზოგი (მინიმალური ხელფასის უარყოფა, განათლების მიღება კრედიტის მიცემით, ...) საკამათო გახდა.

ფრიდმანის დასკვნით, კაპიტალიზმის შენარჩუნება და სოციალური პრობლემების მოგვარება სახელმწიფო ინსტიტუტების რადიკალური რეფორმირებით შესაძლებელია.

ფრიდმანის დოქტრინა „მონეტარიზმის" სახელწოდებით გახდა ცნობილი. თუმცა, მას ეს „ეტიკეტი" არ მოსწონდა, ვინაიდან თავის მისიას მხოლოდ ფულით არ შემოსაზღვრავდა.

80-იანი წლებისათვის მონეტარისტების მიერ რეკომენდებული ფულადი მასის გეგმური ციფრები მრავალი ცენტრალური ბანკის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა და ინფლაციის შემცირებაში ისტორიული როლი შეასრულა, შემდეგ კი მეორე პლანზე გადაინაცვლა.

მსგავს შემთხვევებში რაიმეს შეთხზვა (მიუხედავად იმისა, რომ იგი იდეების გაერცელებას უწყობს ხელს) უფრო მეცნიერული პროგრესის დამბრკოლებელი მოვლენაა, ვიდრე იმპულსი.

კეინზის წაბაძვით, რომელმაც თავი „კლასიკური ორთოდოქსალობის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერად" გამოაცხადა, ახლა მონეტარისტები თავს „კეინზური ორთოდოქსალობის წინააღმდეგ მებრძოლ რევოლუციონერებად" აცხადებენ.

ფაქტობრივად, 70-იანი წლების დასაწყისისათვის მეცნიერული ანალიზის დონეზე „ორი ბანაკის" გარჩევა ძალზე გაძნელდა. ორივე მათგანის მიხედვით, გრძელვადიანი ინფლაციის შემთხვევაში ფულის რაოდენობრივი თეორია სამართლიანია. მათი აზრით, ფულს მოკლე დროში მძლავრი ეფექტიანობის უნარი აქვს; რეალური ეფექტიანობა გააჩნია აგრეთვე ფისკალურ პოლიტიკას (თუმცა მათი ძალა და ხანგრძლივობა საკამათო იყო). მიუხედავად ამისა, მათ შორის ცხარე კამათის მიზეზები უფრო აკადემიური და პოლიტიკური ძალისა და გავლენის დონეზე იყო, ვიდრე კვლევისაზე.

3.4. წვლილი

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მ.ფრიდმანის ადგილი ეკონომიკურ მეცნიერებაში რაღაცნაირად ორი საუკუნის წინანდელ ადამ სმითის მდგომარეობას წააგავს. ფრიდმანმა იცის, როგორ გამოიყენოს საქმიანობაში თეორია სახელმძღვანელოდ. იგი არმიის მეთაურივით მტკიცე, მასწავლებელივით ნათელი და მოსამართლესავით გარკვეულია. მას ციფრების მიმართ სტატისტიკოსის დამოკიდებულება, დასკვნების გამოტანაში კი ეკონომეტრიკოსის შესაძლებლობები აქვს: წარსულიდან იგი, როგორც ისტორიკოსი, გაკვეთილებს იღებს, მცირე ბიზნესის ენით ლაპარაკი შეუძლია და საინტერესო სოციალური ხედვა აქვს.

1 Role of Monetary Policy, 1968.

2 Caitalism and Freedom, Chi., 1962; Free to choose, N.Y., 1980.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში უფრო მოკლედ მ.ფრიდმანის შეფასება ძნელია. ხშირად იგი არც მეცნიერ-ნოვატორი და არც თეორიული მოდელების დიდი აღმშენებელია. მისი მთავარი დამსახურება იმის ჩვენებაა, რომ მოკლევადიანი სტაბილიზაციისათვის მონეტარული პოლიტიკის გამოყენება ძნელია, მაგრამ მას გრძელვადიანი ინფლაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შედეგად, მონეტარულ პოლიტიკაზე მსჯელობამ, წყვეტილი ღონისძიებებიდან პოლიტიკის სტრატეგიული წესებისაკენ გადაინაცვლა. ამრიგად, ახალი თეორიული წამოწყების დრო დადგა.

დანართი 1. ფილიპსის მრუდი[1]

ავსტრიელი ეკონომისტი ოლბან ფილიპსი (Philips, 1914-1975) ინგლისში მოღვაწეობდა. მან 1958 წელს დიდი ბრიტანეთის თითქმის ასწლოვანი პერიოდის უმუშევრობასა და ხელფასის განაკვეთს შორის ურთიერთკავშირი დაადგინა.


ფილიპსის მიერ აგებულ მრუდს უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ურთიერთკავშირის შესახებ შემდეგში „ფილიპსის მრუდი" ეწოდა. იგი არის დამოკიდებულების გრაფიკი ქვეყანაში ინფლაციის საშუალო დონესა და უმუშევრობის დონეს შორის.

ფილიპსის მრუდის თანახმად, უმუშევრობის ზრდასთან ერთად ინფლაცია მცირდება.

სტატისტიკური დაკვირვება რ.უ. ფილიპსმა 1958 წ. ჩაატარა. მან გვიჩვენა შებრუნებული დამოკიდებულება ხელფასის განაკვეთის ცვლილების ტემპსა და უმუშევრობას შორის დიდ ბრიტანეთში 1861 წლიდან 1957 წლამდე. აქედან გამომდინარე დაასკვნა, რომ:

- 1948 წლამდე ხელფასი მოქნილი იყო ორივე მიმართულებით (ქვევით და ზევით) და ამიტომ ფილიპსის მრუდი უმუშევრობის ნორმის ჰორიზონტალურ ღერძს გადაკვეთს, რომელიც 6%-ს აჭარბებს;
- ომისშემდგომ პერიოდში ფულის მასა და ხელფასი არ შემცირებულა, ამიტომ მრუდი ამ პერიოდისათვის ჰორიზონტალური ღერძის ზევით მდებარეობს, რომელსაც ფილიპსის მრუდი არ გადაკვეთს.

რაც შეეხება სხვა ღერძს, ცხადია, რომ ყოველთვის იქნება უმუშევრობის რაღაც დონე, ინფლაციის ტემპზე დამოუკიდებლად, რაც გამოწვეულია ხელფასის ზრდით.



1 **Philips** A.W.: The Relation Between Unemployment ans the Rate of Change of Money Wage in the United Kingdom, 1861-1957 – Economica, Vol 25, №100, 1958; ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005; История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

ფილიპსის მრუდის სუსტი მხარე, რომელზეც მიუთითებს მრავალი ეკონომისტი, არის ის, რომ იგი ოპერირებს (ზემოქმედებს) ფულადი ხელფასით. კრიტიკოსების მტკიცებით, კოლექტიური შეთანხმების ნამდვილი საგანია რეალური ხელფასი. ამიტომ არჩევანი ფულად ხელფასსა და უმუშევრობას შორის მხოლოდ ხანმოკლე მოვლენა შეიძლება იყოს, რომელიც ხელფასის თაობაზე მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეების დიდი ძალისხმევის შედეგად, ან ხელფასის მიმღებთა ფულადი ილუზიის ზეგავლენით წარმოიქმნება; გრძელვადიან პერიოდში ფულადი ილუზია ქრება, არავითარი არჩევანი აღარ არსებობს.

ლიტერატურა

რ.ახვლედიანი, ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი, თბ., 2004.

ი.ანანიაშვილი, კ.ჩრელაშვილი, ი.მესხია, ელ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკური მოძღვრების ისტორია, ნაწ. II, თბ., 1975.

რ.გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004.

ა.გრიშიკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

ე.პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 1982.

პ.სამუელსონი, ფ.ნორდჰაუსი, ეკონომიკა, მეთხუთმეტე გამოცემა, ქართ. თარგმ. პროფ. ვ.ღურწკაიას რედ-ით, თბ., 2000.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ.1, თბ., 1962; ნაწ.2, თბ., 1968.

მ.ჭუმბურიძე, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе. Пер. с англ., М., 1994.

Голева А.П., Критика современного неореализма, М., 1976.

Гутник В.П., Политика хозяйственного порядка в Германии. М., 2002.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Котов В.Н., Западногерманский неолиберализм. Критика теории и экономической политики, М., 1961; Западногерманский неолибсрализм, М., 1976.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Папава Â.Ã., Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.**Чикава**, Тб., «Мецниереба», 1987.

Рих А., Хозяйственная этика, Пер. с нем., М., 1976.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Теория хозяйственного порядка «Фрайбургская школа» и немецкий неолиберализм, Пер. с нем., М., 2002.

Усоскин, В.М., Теория денег, М., 1976.

Фридмен и Хайек о свободе, Пер. с англ., М., 2003.

Хайек Ф., Дорога к рабству – ж. «Вопросы философии», №10-12, 1990.

Шумпетер И., История экономического анализа, т.1-3, Санкт-Петербург, 2004.

Erhard L., Wohlstand für alle, Düsseldorf, 1957; Deutsche Wirtschaftspolitik, Düsseld. - W., 1962; Благосостояние для всех, Пер. с нем., М., 1991.

Eucken Walter: Kritische Betrachtungen zum deutschen Geldproblem, Jena, 1923/1963; Staatliche Strukturwandlungen und die Krise des Kapitalismus - „Weltwirtschafliches Archiv, Bd.36, 1932; Kapitaltheorische Untersuchungen, Iena, Tub., Zürich, 1934/1954;. Die Grundlagen der Nationalökonomie, Berlin, Göttingen., Haildelburg, 1940/1950; Grundsätze der Wirtschaftspolitik, Bern, Tüb., 1952; Основные принципы экономической политики, Пер. с нем., М., 1995; Основы национальной экономики, Пер. с нем., М., 1996.

Friedman Milton: The use of ranks to avoid the assumption of normality implicit in the analysis of variance - Journal of the American Statistical Association, 1937; The Case for Flexible Exchange Rates, 1950; A monetary and fiscal framework for economic stability – American Economic Reviev, 1948; Essays in positive economics, Chicago, 1953; A theory of the tonsumption function, N.Y., 1957; A program for monetary stability, N.Y., 1960; Capitalism and freedom, Chicago, 1962; A Monetary of the United States, 1867-1960, Pringeton, 1963; Role of Monetary Policy, 1968; The optimum quantity of money, and other essays, Chicago, 1969; The counter-revolution in monetary theory, L., 1970; An economist's protest, Glen Ridge, N.Y.: Norton, 1975; Free to choose, N.Y., 1980 (თანაავტ. რ.ფრიდმანი); Bright promises, dismal performance: An economist's protest, N.Y., 1983; Income from Indenpendent Professional Practice, N.Y., 1945 (თანაავტ. ს.კუზნეცი); Freedom to Choose: A Personal Statement, N.Y., 1980 (თანაავტ. როზე); The Utility Analysis of Choices Involving Risk - Journal of Political Economy 56(4), 1948 (თანაავტ. ლ.სავაჯი); ანა შვარცთან ერთად: A Monetary History of the United States, 1867-1960, Princeton, 1963; The Great Contraction, 1929-1933; Princeton, 1965; Monetary Statistics of the United States: Estimates, Sources, Methods, N.Y.: National Bureau of Economic Research, 1970; Monetary Trends in the United States and the United Kingdom: Their Relation to Income, Prices, and Interest Rates, 1867-1975, Chicago, 1982; რუს. თარგმ.: Анализ полезности при выборе среди альтернатив, предлогающих риск – В кн.: Теория потребительского поведения и спроса, СПБ,1993 (თანაავტ. ლ.სავაჯი); Методология позитивной экономической науки, М., "TESIS", 1994; Если бы деньги заговорили, М., 1998; Количественная теория денег – В кн.: Классика экономической мысли, М., 2000.

Hayek Fr.A.: Geldtheorie und Konjukturtheorie, Wien, Leipzig, 1929 (თარგმ. ინგლის.: Monetary Theory and the Trade Cycle, London, 1931); Prices and Production, London, 1931; Economics and Knowlendge – Economica, II/1937; The Pure Theory of Capital, London, 1941; The Road to Sefdom, 1944; The Road to Sefdom, London, Chicago, 1944; Industrialism and Economic Order, Chicago, 1948; The Counter-Revolution of Science, Chicago, 1952; The Political Ideal of the Rule of Law. Cairo, 1955; The Constitution of Liberty, London, Chicago, 1960; Studies in Philosophy. Politics and Economics, London, Chicago, 1967; Denationalization of Money, London, 1976; Law, Legislation, and Liberty: A New Statement of the Liberal Principles of Justice and Political Economy, Vol. 1, Rules and Order, Chicago, 1973, Vol. 2, The Mirage of Social Justice, Chicago, 1976, Vol 3; The Political Order of Free People, Chicago, 1979; Wissenschaft und Sozialismus, Tübingen, 1979; Money, Capital, and Fluctuations: Early Essays, Chicago, 1984; The Collected Works of F.A.Hayek // Ed. by W.W.Bartley. Vol. 1. The Fatal Concept. – The Error of Socialism, Chicago, 1989; The Trend of Economic Thinking: Essays on Political Economists and Economic History, London, 1991; The Fortunes of Liberalism: Essays on Austrian Economics and Ideal of Freedom, London, 1992 (Collected Works, Vol. 4); Hayek on Hayek: an Autobiographical Dialogue, London, 1994; The Economics of F.A.Hayek // Ed. by M.Colonna, H.Hayemann, Vol. 1-2, Aldershot, 1994; Contra Keynes and Cambridge: Essays, Correspondence // Ed. by B.Caldwell, London 1995; ქართ. თარგმ.: „გზა ბატონყმობისაკენ" - წიგნში: ლიბერალიზმი და ძალაუფლება", „ახალი ეკ-რი სკოლა", თბ., 2004, წიგნი II; რუს. თარგმ.: Дорога к рабству, М., 1992; Претензии знания (Нобелевская лекция, 11.XII.1974) – Мировая экономическая мысль, т.V, кн.I, М., 2004.

Müller-Armack A.: Wirltschafsordnung und Wirtschaftspolitik..., Freib., 1966; Предположения

по осуществлению социальной рыночной экономики - Мировая экономическая мысль, т.IV, М., 2004; Принципы социального рыночного хозяйства - Социальное рыночное хозяйство. Теория и этика экономического порядка в России и Германии, СПБ, 1999.

Lenel H.O., Wirtschaftspolitik der Experimente - „Ordo", Bd.26, 1951.

Philips A.W.: The Relation Between Unemployment ans the Rate of Change of Money Wage in the United Kingdom, 1861-1957 – Economica, Vol 25, №100, 1958.

Röpke W.: Die Konjunktur, Jena, 1922; Theorie der Kapitalbildung, Tübingen, 1929; Ist die deutsche Wirtschaftspolitik richting?, Stuttg.-Köln, 1950; Sozialpolitik in einer freien Gesellschaft, Zürich, 1950; Jenseits von Angebot und Nachfrage, Bern, 1979; «Коренные вопросы зозяйственного порядка» - «Мировая экономическая мысль», т.IV, М., 2004.

Rüstow A.: Schutzzoll oder Freihandet? Das Für und das Wider der Schutzzollpolitik, Fr.\M., 1925; Zwischen Kapitalismus und Kommunismus, 2 Aufl., Godesberg, 1950; Soziale Markwirtschaft als Gegenprogramm gegen Kommunismus und Bolschewismus in: „Wirtschaft ohne Wunger Erienbach, Z., 1953.

Salin E. Walter Euken in Memoraim - „Kyklos", v.4,1-4, 1950.

თავი XXIII.
ეკონომიკური ზრდის დოქტრინები

ეკონომიკური დოქტრინების ერთ-ერთ ძირითად საკითხს საუკუნეების განმავლობაში გრძელვადიანი განვითარების საკითხები წარმოადგენს.

მერკანტილიზმის წარმომადგენლები პოლიტიკური ძალაუფლების აღზევებასა და დაცემაში მას გადამწყვეტად თვლიდნენ; ადამ სმითმა იგი „ხალხთა სიმდიდრის" შესწავლის საგნად გახადა; კლასიკური მოდელი გამოხატავდა იმას, თუ როგორ აფერხებდა ბუნებრივი რესურსების შეზღუდვა მიწოდების ზრდას ტექნიკური პროგრესის დაწყებამდე; კარლ მარქსის მიხედვით, წარმოებრივი ძალების შეუჩერებელი პროგრესი კაპიტალისტური სისტემის გარდაუვალ დაღუპვას იწვევს; მარშალის ეპოქის თეორეტიკოსები ეკონომიკას ევოლუციურ პროცესად წარმოადგენდნენ.

განვითარების მიმართ ასეთი მუდმივი ინტერესის მიუხედავად, ეკონომიკური თეორია ინდივიდუალური ოპტიმიზაციის ეპოქაში ძირითადად სტაციონალური წონასწორობით შემოსაზღვრული რჩებოდა. ისტორიულმა პერსპექტივამ და ემპირიულმა დაკვირვებებმა გზა გაუკვალეს განვითარების პროცესის ექსპერიმენტალურ ხედვას. „მოდელების აგების ერაში" ეკონომიკური განვითარება თანდათანობით ანალიზისკენ გადაიხარა და ამ პროცესში ისტორიული შინაარსის უმეტესი ნაწილი დაკარგა. მოცემულ თავში აღწერილია ამ ცვლილების (ტრანსფორმაციის) ეტაპები ოთხი ცნობილი თანამონაწილის სახით, კერძოდ, ი.შუმპეტერი, რ.ჰაროდი, ე.დომარი და რ.სოლოუ და ე.წ. კაპიტალის დაგროვების „ოქროს წესი".

1. იოზეფ ალოიზ შუმპეტერი (1883-1950)

1.1. ავსტრიის ფინანსთა მინისტრობიდან ბონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში

იოზეფ ალოიზ **შუმპეტერი** (Schumpeter) დაიბადა 1883 წლის[1] 8 თებერვალს ქ.ტრიშში - მორავიაში (ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ნაწილი), იგი იყო მეწარმე ალოიზ შუმპეტერის და მისი მეუღლის იოანას ერთადერთი შვილი.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1887 წელს იოზეფის დედა საცხოვრებლად ვენაში გადავიდა და 1893 წლის სექტემბერში, გერმანულ-უნგრული გვარის შთამომავალზე, ფელდმარშალ სიგიზმუნდ ფონ კელერზე გათხოვდა.

იოზეფმა 1901 წელს სწავლა ვენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე დაიწყო. ავსტრიაში მაშინ პოლიტიკური ეკონომიის კურსის სწავლება ამ ფაკულტეტის ჩარჩოებში მიმდინარეობდა. მან სწავლის სიმძიმის ცენტრი თავიდანვე ეროვნული პოლიტეკონომიის შესწავლაზე გადაიტანა და ადრეე გაეცნო ავსტრიული სკოლის ცნობილი წარმომადგენლების, კერძოდ, ფრიდრიხ ფონ ვიზერის და ოიგენ ფონ ბემ-ბავერკის (რომელიც, 1904 წელს ფინანსთა მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, ვენის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა) ეკონომიკურ შეხედულებებს.

1905-1906 სასწავლო წელს ბემ-ბავერკს სემინარი მიჰყავდა, რომელშიც შუმპეტერთან ერთად რიგი პერსპექტიული ახალგაზრდა ეკონომისტი (მათ შორის ლუდვიგ ფონ მიზესი, ოტო ბაუერი, რუდოლფ ჰილფერდინგი და სხვ.) მონაწილეობდა.

შუმპეტერის ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი ერცელი ნაშრომი არ არსებობს. ურიგო არ იქნებოდა მისი მოღვაწეობის ადრეული პერიოდის უმნიშვნელოვანესი თარიღების გაშუქება. 1906 წელს იგი სამართლის დოქტორი გახდა და შემდეგ ოქსფორდსა და კემბრიჯს ეწვია. აქ ინგლისელ ქალზე დაქორწინდა.

ი.შუმპეტერი 1907-1908 წწ. კაიროს საერთაშორისო ტრიბუნალში ადვოკატად მოღვაწეობდა. შემდგომში მან ვენის უნივერსიტეტის სამართლის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე

1 ჯ.მ. კეინზის დაბადებისა და კ. მარქსის გარდაცვალების წელი.

დაიწყო მუშაობა: ჯერ პრივატ-დოცენტად, შემდეგ კი პოლიტეკონომიის პროფესორად (1909).

1919-20 წწ. იყო ავსტრიის ფინანსთა მინისტრი, 1921-25 წწ. – ავსტრიაში კომერციული ბანკის პრეზიდენტი.

1925 წელს შუმპეტერმა, ბონის უნივერსიტეტში ფინანსურ მეცნიერებაში პროფესორად გახდომის მიზნით, ვენა დატოვა. მალე, მისი მეუღლეც გარდაიცვალა, რამაც შუმპეტერი ღრმა შემოქმედებით კრიზისში ჩააგდო, – საქმეს მისი მძიმე ფინანსური მდგომარეობაც ართულებდა. მიუხედავად ამისა, ბონში მისი ცხოვრების ფაზა დაუღალავი შრომითი მოღვაწეობით აღინიშნებოდა.

1932-1950 წლებში შუმპეტერი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. 1935 წელს მეხიკოსა და მონრეალის უნივერსიტეტებში ლექციების წაკითხვის მიზნით, მან ამერიკის შეერთებული შტატები ორჯერ დატოვა.

1937 წელს იგი ელისაბედ ბოდზე დაქორწინდა, რომელმაც შუმპეტერის გარდაცვალების შემდეგ პაულ შვიზის (შუმპეტერის ყოფილი ასისტენტის) დახმარებით შუმპეტერის დაუმთავრებელი შრომა – **„ეკონომიკური ანალიზის ისტორია“** (1954)[1] გამოაქვეყნა. იგი ეძღვნება ეკონომიკური მეთოდოლოგიისა და ეკონომიკური დოქტრინების ისტორიულ ანალიზს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შუმპეტერი გარკვეულწილად პირად იზოლაციაში მოექცა, რადგან იგი თავის დამოკიდებულებას მკაფიოდ არ გამოხატავდა გერმანიისა და იაპონიის სასარგებლოდ. 1937-1941 წლებში იგი **„ეკონომეტრიკოსთა საზოგადოების“** პრეზიდენტია, ხოლო 1948 წელს **„ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის“** პრეზიდენტი.

იგი გარდაიცვალა 1950 წლის იანვარში ტაქონიკში (აშშ), საკუთარ აგარაკზე.

1.2. სახელმწიფო რეგულირებით კერძო კაპიტალიზმისკენ

ი.შუმპეტერის **„ეფექტიანი კონკურენციის“** დოქტრინის მიხედვით, „დიდი ბიზნესის“ ეპოქაში სახიფათო მექანიზმი მონოპოლიებისა და კონკურენციის ურთიერთზემოქმედების ნაყოფიერი საშუალებაა.

მან ეკონომიკის ციკლურობა ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებად განიხილა, ეკონომიკური აღმავლობის მამოძრავებელ ძალად კი ძირითად კაპიტალში ინვესტიციების განხორციელება დაასახელა, კრიზისების გარდუვალობა უარყო და ეკონომიკური ციკლების თეორიაში განსაკუთრებული როლი კრედიტს მიანიჭა.

ი.შუმპეტერი საზოგადოების განვითარების გარდუვალ გზად სახელმწიფოს მიერ რეგულირებული კერძო კაპიტალიზმში თანდათანობითი ტრანსფორმაცია დაასახელა.

ეკონომიკური დოქტრინების ისტორია შუმპეტერმა ანალიტიკური აპარატის განვითარების პროცესისა და ეკონომიკურ მოვლენათა კვლევის მეთოდად განიხილა.

1.2.1. ხანგრძლივი დეპრესია

ავსტრიაში ეკონომიკური აღმავლობის წლები 1873 წლიდან ხანგრძლივი დეპრესიის ფაზით შეიცვალა, რომელიც 80-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. ამ წლებში კაპიტალისტურმა ეკონომიკურმა სისტემამ დისკრედიტაცია განიცადა; ქალაქის მოსახლეობისათვის მთავარი პრობლემა მასობრივი უმუშევრობა და ცხოვრების სიძუხჭირე გახდა.

ხანგრძლივი დეპრესია, რომლის ფონზეც ახალი სოციალური ძალები ყალიბდებოდა, 80-იანი წლების დასაწყისში შესამჩნევი ეკონომიკური აღმავლობით შეიცვალა. 1884 წლის ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი კრიზისი წინ უსწრებდა მშვიდ კონიუნქტურულ ამინდს. ეს პერიოდი (ხანმოკლე ჩავარდნების მიუხედავად), პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გრძელდებოდა. სამი ათწლეულის განმავლობაში, ავსტრიის ეკონომიკამ მისი ისტორიის ყველაზე გრძელი და დინამიკური განვითარების ფაზა გაიარა.

---

1 History of Economic Analysis, N.Y., 1954; История экономического анализа, т.1-3, Санкт-Петербург, 2004.

სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შერწყმას (რომელიც მონარქიის უკანასკნელ ათწლეულებში ინდუსტრიალიზაციის პროცესს ახასიათებდა), როგორც ცნობილია, რუდოლფ ჰილფერდინგმა „ფინანსური კაპიტალი" (1910)[1] უწოდა.

ეს პროცესი ძირითადად ორმა მიზეზმა განაპირობა: პირველი, სახელმწიფო დაფინანსება მკვეთრად შემცირდა (რადგან სახელმწიფო ოთხმოციან წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის კონსოლიდაციის ფაზაში შევიდა); მეორე, ბანკებს შორის ინდუსტრიული კრედიტებისათვის შეჯიბრი გაიმართა, რამაც მრეწველობის დიდ წამოწყებებში მათი მონაწილეობა წაახალისა.

1.2.2. ბურჟუაზიის ჩამოყალიბება

სწრაფი ეკონომიკური პროგრესის ათწლეულებში ჩამოყალიბდა ბურჟუაზია, რომელსაც ზოგიერთი სპეციფიური „ავსტრიული" თვისება (მათ შორის, მკაფიოდ გამოკვეთილი კოსმოპოლიტური ანაბეჭდი) გააჩნდა, ვინაიდან მისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანულ, ებრაულ და სლავურ ელემენტებს აერთიანებდა. ჯერ კიდევ ნახევარფეოდალურ გარემოში აღზრდილ ეგრეთწოდებულ „მკვიდრ" ავსტრიელს დაზღვეული კარიერისათვის ზრუნვა უფრო კარგად შეეძლო, ვიდრე „ჩამოსულებს", რომელთა კომერციულ საქმიანობაში წარმატება რისკს უკავშირდებოდა. ამ ახალ ბურჟუაზიას ე.წ. „მეორე საზოგადოება" შეესაბამებოდა, რომელიც არისტოკრატულ „პირველ საზოგადოებასთან" კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა, მაგრამ იგი სულ უფრო აძლიერებდა მისი საკუთარი სულიერი და მატერიალური ცხოვრების პირობების დამკვიდრებისათვის ბრძოლას.

1.2.3. კრედიტი – სამრეწველო განვითარების ძრავა

შუმპეტერმა ნაშრომში – „ეკონომიკური განვითარების თეორია" (1911), ჩამოაყალიბა კრედიტის თეორია, სადაც კაპიტალი განიხილება, როგორც „ყიდვითუნარიანობის ფონდი" ხოლო კრედიტი – როგორც სამრეწველო განვითარების ძრავა[2].

ფაქტობრივად, „ყიდვითუნარიანობის ფონდი" ავსტრიელ მეწარმეებს წარმოების საშუალებების განაწილების საშუალებას აძლევდა.

1.2.4. ზეგავლენა

პოლიტეკონომიის ავსტრიულმა სკოლამ შუმპეტერზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. კარლ მენგერთან მას რამდენიმე პირადი შეხვედრა ჰქონდა, თუმცა მის შემოქმედებაზე უფრო ღრმა კვალი ბემ-ბავერკმა და ვიზერმა დაამჩნიეს. და მაინც, განსაკუთრებული მჭიდრო ინტელექტუალური ურთიერთობა მას ვიზერთან აკავშირებდა, რომლის უმნიშვნელოვანესი თეორიული კონცეფციები შუმპეტერმა საფუძვლიანად შეისწავლა.

ვინც შუმპეტერს პირადად იცნობდა, ყველა ადასტურებს, რომ იგი მე-19 საუკუნის ბოლო წლების ელიტარული თეორიების კარგი მცოდნე იყო. შუმპეტერის სოციალური კლასების დოქტრინაზე განსაკუთრებული გავლენა ვილფრედო პარეტოსა და ვიზერისაგან იგრძნობოდა[3]. მაგრამ არის კიდევ ორი ავტორი – ბემ-ბავერკი და კარლ მარქსი, რომლებმაც მის შემოქმედებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს.

ბემ-ბავერკის გარდაცვალების შემდეგ (1914), შუმპეტერმა დაწერილებით განიხილა მისი თეორიული შემოქმედება და ბემ-ბავერკისა და მარქსის „ნათესაური კავშირი". თავისი მასწავლებლის შემოქმედება მან თითქმის ოლიმპიურ სიმაღლემდე აიყვანა და იგი მარქსის თეორიას შეადარა. ამასთან, მისი აზრით, მარქსის იდეები პოლიტიკური ვნებებითაა განმსჭვალული, რამაც მისი მეცნიერული მნიშვნელობა დააკნინა.

1 Das Finanskapital, Wien, 1910.

2 Theorie der Wirtschaflichen Entwicklung, München-Leipzig, (1911/ 1926), გვ. 70.

3 März E., J.A. Schumpeter - Forscher, Lehren und Politiker, Wien, 1983, გვ. 44.

რა საერთოს ხედავდა შუმპეტერი ამ ორი დიდი თეორეტიკოსის ნაშრომებში?

ბემ-ბავერკი და მარქსი მათი წინამორბედების (შესაბამისად კარლ მენგერი და დეივიდ რიკარდო) საძირკველზე ლოგიკურად გასაგები და პროგნოზისტულად გამოსაყენებელი შრომითი დანაწილების თეორიის აღმართვას ცდილობდნენ. შუმპეტერის თანახმად, ამგვარი ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ღირებულების თეორიაა. ყოველგვარი ეკონომიკური წესრიგის თეორიული გაგების გასაღები ღირებულება, მოგება და სარგებელია[1].

სტატიაში – **„ოტტო ფონ ბემ-ბავერკის მეცნიერული მოღვაწეობა"** (1914), შუმპეტერი თითქოს ბემ-ბავერკის სულიერი მემკვიდრეობის ლოიალური მიმდევრის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ ნაშრომის გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე მისი ძირითადი თეორიული შრომა – „ეკონომიკური განვითარების თეორია" (1911) გამოიცა. იგი ავსტრიულ სკოლასთან და კერძოდ, ბემ-ბავერკთან მხოლოდ შორეულ კავშირშია.

მისი მასწავლებლის „სტატიკური" თეორიის „დინამიზაციის" შუმპეტერისეულმა ცდამ სრულიად ახლებური და ორიგინალური თეორიული სისტემის შექმნა განაპირობა, რამაც ძველ თაობასთან "სამართლიანი შეჯახება" გამოიწვია. გ.ჰაბერლერის აზრით, შუმპეტერი არასდროს ყოფილა „მოწაფე", და ამასთან კავშირში მან გერმანელი ფილოსოფოსის ფ.ნიცშეს (1844-1900) გამოთქმა გამოიყენა: „დახედეთ მას – იგი არავის არ ემორჩილება"[2].

მარქსისადმი შუმპეტერის დამოკიდებულება კიდევ უფრო რთული და წინააღმდეგობრივია. თუმცა, მის მიმართ იგი გარკვეულ სიმპათიებსაც ამჟღავნებდა. მარქსიზმის მრავალი ასპექტიდან (კერძოდ, შრომითი ღირებულების და კაპიტალისტური სისტემის უუნარობის მიმართ) გამიჯვნის მიუხედავად, იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა მისი ზოგადი კონცეფციის გენიალობას. ცნობილია, აგრეთვე მისი კეთილგანწყობა მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის, დაგროვების, კონცენტრაციის, ეკონომიკის ციკლური განვითარების და მოგების თეორიებისადმი[3]. შუმპეტერისა და მარქსის თეორიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს მოგვიანებით კიდევ დაუბრუნდებით.

1.2.5. ეკონომიკური ანალიზის ისტორიის წანამძღვრები

ადრეული პერიოდის ნაშრომებში შუმპეტერი უკვე ღრმა თეორიულ ცოდნას და საკითხების დეტალურად შესწავლისაკენ მიდრეკილებას ავლენს, რისი დასტურიცაა მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ნაშრომი – **„ეკონომიკური ანალიზის ისტორია"** (1954)[4].

ამ ნაშრომის მომზადების გარკვეული წანამძღვარია ნარკვევები – **„დოგმებისა და მეთოდების ისტორიის ეპიზოდები"** (1914)[5]. შუმპეტერმა ადრეულ პერიოდშივე გამოამჟღავნა ინტერესი ეკონომიკურ თეორიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების მიმართ. ამ ფონზე, მან უკვე 1906 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი დიდი ნაშრომი – **„ეკონომიკური თეორიის მათემატიკური მეთოდების შესახებ"**[6].

პირველი მსოფლიო ომის შედეგად გაღვივებული ფინანსურ-პოლიტიკური პრობლემები „შუმპეტერისეულ რეცეპტებს" ითხოვდა. 1918 წელს გამოქვეყნდა მისი მცირემოცულობიანი ნაშრომი – **„სახელმწიფო გადასახადების კრიზისი"**[7]. იგი ყურადღებას იქცევს ორი გარემოების გამო: პირველი, შუმპეტერი მიუთითებს, რომ გაუმართლებელი გადასახადებით სახელმწიფო ისტორიულ ბარიერს შეიძლება შეეჯახოს და დაინგრეს; მეორე, მან ახალ ფინანსურ პოლიტიკურ ლიტერატურაში **„სტრუქტურული კრიზისის"** ცნება დაამკვიდრა.

---

1 Ten Great Economists, from Marx to Keynes, N.Y., 1951.

2 Haberler G., Schumpeter 1883-1950 - "Quarterly Journal of Economics, Cambrt./Mass., 1951, გვ. 30.

3 Capitalism, Socialism and Democracy, N.Y., L.,1942, გვ. 10.

4 History of Economic Analysis, N.Y., 1954.

5 Epochen der Dogmen - und Methodengeschichte - in: Grundriß der Sozialökonomik, t.1, Tüb., 1914.

6 Über die mathematische Methode der theoretischen Ökonomie, in: Zeitschrift für Volkswirtschaft, Sozialpolitik und Verwaltung, Bd., 15, 1906.

7 Die Krise des Steuerstaats, Leipzig, 1918.

1.2.6. ფინანსთა მინისტრი სრული სოციალიზაციის მოწინააღმდეგე — სანაციის პროგრამა

ომის დამთავრების შემდეგ შუმპეტერი ბერლინში გერმანიის სოციალიზაციის კომისიის (რომელსაც გერმანელი სოციალ-დემოკრატების და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი კარლ კაუცკი (1854-1938) ხელმძღვანელობდა) სხდომებში მრჩეველად მიიწვიეს. აქ იგი თავის ძველ ნაცნობ რ.ჰილფერდინგს შეხვდა.

ვენაში დაბრუნების შემდეგ ავსტრიელი სოციალ-დემოკრატებისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერის ოტო **ბაუერის** (1882-1938) დაჟინებული მოთხოვნით, იგი **ფინანსთა მინისტრი** (იმდროინდელი ტერმინოლოგიით, სახელმწიფო ფინანსების მდივანი) გახდა. 1919 წლის 19 მარტს იგი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

იმავე წლის ოქტომბერში შუმპეტერი საზოგადოების წინაშე დიდმოცულობიანი სანაციის[1] პროგრამით წარსდგა, მაგრამ ამ დროისათვის მისი პოლიტიკური კარიერა უკვე გარკვეულია. თანამდებობის დაკავებიდან მოკლე ხანში, თავის ადრინდელ მფარველ — ოტო ბაუერთან პირველი უთანხმება მოუვიდა მრეწველობის ძირითადი დარგების სოციალიზაციის გამო (რომელსაც სოციალ-დემოკრატები 1919 წლის დასაწყისში ითხოვდნენ). კონფლიქტი მეტად რთული აღმოჩნდა.

შუმპეტერი სოციალიზაციის პრინციპული მოწინააღმდეგე არ იყო, მაგრამ (1919 წლის დასაწყისში) ავსტრიის კრიტიკული მდგომარეობის გამო, უფრო ფრთხილ მიდგომას თელიდა მიზანშეწონილად. მისი აზრით, სოციალიზაციის შეზღუდული ღონისძიებების შედეგად, მრეწველობის ზოგიერთი საწარმოს საერთო სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია, მაგრამ დარჩენილმა კერძო საწარმოებმა ფუნქციონირება უნდა განაგრძონ.

საბოლოოდ, შუმპეტერსა და მის სოციალ-დემოკრატ კოლეგებს შორის სკანდალი მოხდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ არჩეულმა საბირჟო მაკლერმა დიდი ავსტრიული მეტალურგიული ქარხანა (ალპინე-მონტანა) იტალიურ ფინანსურ ჯგუფს მიჰყიდა. სოციალ-დემოკრატები მას გარიგების ინიციატორობაში ადანაშაულებდნენ, რომლის შედეგადაც მსხვილი სამრეწველო ობიექტი უცხოელთა ხელში აღმოჩნდა, რაც მათი პროგრამის საბოლოო მარცხს განაპირობებდა[2].

ზოგადად, შუმპეტერის საკმაოდ ხანმოკლე სახელმწიფო მოღვაწეობამ დიდი შედეგები ვერ მოიტანა. მისი ფინანსური სანაციის პროგრამა, რომელიც უშუალოდ გადადგომის წინ შესთავაზა საზოგადოებას, მთელ რიგ რეფორმატორულ წინადადებას (ქონების განსახელმწიფოებრიობა, გადასახადების გამარტივება, უცხოური სესხების მიღება და სხვ.) შეიცავდა, რომლებიც სოციალ-პოლიტიკოსის პოზიციიდან მისაღები თუ არა, ყურადღების ღირსი მაინც იყო.

1.2.7. კომერციული ბანკის პრეზიდენტი და ამ ბანკის საეჭვო გაკოტრება

როგორც უკვე აღინიშნა, მინისტრობიდან გადადგომის შემდეგ, შუმპეტერი 1921 წელს ბიდერმანის კომერციულ-აქციონერული ბანკის (რომელიც ამავე წელს ძველი კერძო ბანკის — „ბიდერმანი და კომპანიის" გარდაქმნის შედეგად შეიქმნა) პრეზიდენტის თანამდებობაზე დაინიშნა. სამი წლის შემდეგ ეს ბანკი ლიკვიდირებულ იქნა. **ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა ავსტრიის ბანკების გაკოტრების ისტორიაში**, რომელმაც მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ეკონომიკურ ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა.

საპარლამენტო საგამომძიებლო კომისიამ (1925 წ.) ბანკის გაკოტრების მიზეზად ბანკის ვიცე-პრეზიდენტსა (კუნვალდი) და კონსერვატიულ პოლიტიკოსებს (ზაიპელსი და მატაია — საგარეო საქმეთა მინისტრი) შორის საიდუმლო საეჭვო ფინანსური კავშირების არსებობა დაასახელა. თუ რა როლს ასრულებდა ამ პროცესებში შუმპეტერი, უცნობია.

---

1 **სანაცია** (ლათ. sanatio – გაჯანსაღება) – გაკოტრების პირას მყოფი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების გადარჩენა.

2 **März** Eduard, Österreichische Bankpolitik in der Zeit der großer Wende 1913-1923, Wien, 1981, გვ. 338-339.

1.3. ეკონომიკური განვითარების თეორია: შემოქმედი მეწარმე

ჯერ კიდევ ახალგაზრდა შუმპეტერი ეკონომიკურ, ისტორიულ და პოლიტიკურ ელემენტებს შორის კავშირებს ეძიებდა, და აქედან გამომდინარე, სტაციონარული წონასწორობის პერიოდულად დარღვევების მიზეზების ახსნას ცდილობდა.

ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1911, შემდგომში „თეორია“) მისთვის, მისი მასწავლებლის ბემ-ბაერკისაგან განსხვავებით, <u>ამოსავალი სტაციონარული ეკონომიკის მოდელია</u>. ამ დროს სარგებლის პარაზიტული ფორმის, აგრეთვე მოგებისა და ზარალის არსებობა დროებით დასაშვებია. თუმცა, ბემ-ბაერკის აზრით, ასეთი მსჯელობებით „სტატიკურ ეკონომიკაში“ კაპიტალიდან სარგებლის მიღება შეუძლებელია[1].

ბემ-ბაერკის კრიტიკის საწინააღმდეგოდ, შუმპეტერმა ერთადერთი, ნაკლებად დამაჯერებელი ცდა ჩაატარა და დაუშვა, რომ სტატიკურ ეკონომიკაში მიწის ნაკვეთების სარგებლობაზე შეთანხმებებს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი. ამის გამო, ბემ-ბაერკი მის მოწაფეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მწვავე შენიშვნას აძლევს: – „ეს არა გამოსავალი, არამედ ჩვეულებრივი ძალადობაა“[2].

შუმპეტერს „თეორიაში“ გამოყენებული სტატიკური მოდელის სახეცვლილება შემდგომ წლებშიაც არ უცდია. მთელი ცხოერების მანძილზე იგი თავის ადრინდელ თეზისს იცავდა. მისი აზრით, <u>სარგებელი</u> განვითარების პროდუქტია, რომელიც <u>მეწარმის მოგებიდან გამომდინარეობს</u>, იგი კონკრეტულ ქონებას არ უკავშირდება და მისი სარგებლის თეორიის ბაზისს წარმოადგენს[3].

რას გულისხმობს შუმპეტერისეული განვითარება, რომელსაც სარგებლის ფენომენის გამომჟღავნება მოჰყვება?

ამ მექანიზმის საფუძველს იგი ეკონომიკურ საქმიანობაზე **შემოქმედი მეწარმის** ზემოქმედებაში ხედავს. თუმცა, აქ ეს ცნება („შემოქმედი მეწარმე“) ზედმეტია, რამდენადაც მეწარმის საქმიანობის კრიტერიუმი ისედაც შემოქმედებითი იმპულსი და მოგებაა.

შუმპეტერის მიხედვით, ხანმოკლე ან ხანგრძლივი შედარებითი სიმშვიდის პერიოდების შემდეგ წარმოშობილი წონასწორობის დარღვევები, ფასებისა და დანახარჯების შედარებითი სიმყარით ხასიათდება, რომელიც ახალი წარმოებრივი კომბინაციებიდან გამომდინარეობს.

„თეორიაში“ კომბინაციების ხუთი სახეა დასახელებული:

– პირველი, ახალი სახეობის დოვლათის დამზადება;
– მეორე, წარმოების ახალი მეთოდებისა და გასაღების ახალი ფორმების დანერგვა;
– მესამე, გასაღების ახალი ბაზრების ათვისება;
– მეოთხე, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მიწოდების ახალი წყაროების აღმოჩენა;
– მეხუთე, შესაბამისი რეორგანიზაციის ჩატარება[4].

შუმპეტერის ნოვატორული აქტით ძველი ახლით იცვლება. <u>„შემოქმედებითი ნგრევა“ მეწარმეობის წარმატების საფუძველია</u> და წონასწორობის დარღვევა გარე „შოკის“ (მაგალითად, ომის) შედეგად არის შესაძლებელი.

მას ხშირად საყვედურობდნენ იმის გამო, რომ „ინოვაციის“[5] თეორიის შექმნა ვერ შეძლო, თუმცა ნაშრომი – „ეკონომიკური ციკლი“[6] ამ ფენომენის განმსაზღვრელ და შემთხვევით ხასიათს ეხება. შემდგომში ვერცერთმა მისმა კრიტიკოსმა „ინოვაციის“ სრულყოფილი, მისაღები თეორიის შექმნა ვერ შეძლო.

წარმატებული ნოვატორული აქტი, როგორც წესი, მიბაძვას იწვევს. წონასწორობის მდგომარეობა არა ერთადერთი, არამედ რამდენიმე ბიძგის შედეგად ირღვევა, რომლებიც ფასებისა და დანახარჯების ცვლილებებს განაპირობებს. ამიტომ შუმპეტერი უკვე თავის „თეორიაში“ მეწარმეთა

1 **Böhm-Bawerk**, Eine „dynamische“ Theorie des Kapitalizinses - Zeitschrift für Volkswirtschaft, Socialpolitik und Verwaltung, Bd.22. 1913, გვ. 9.

2 იქვე, გვ. 50.

3 Theorie der Wirtschaftlichen Entwiklung, გვ. 261; - გერმ. რუს. თარგმ.: Теория экономического развития, М., 1983.

4 **Шумпетер** И. Теория экономического развития - «Мировая экономическая мысль», IV, გვ. 36.

5 ინოვაცია (ლათ. innovatio) – განახლება.

6 Business Cycles, N.Y., 1939.

ჯგუფურ გამოსვლებს კონიუნქტურული აღმავლობის ფაზის ამოსავალ წერტილად ასახელებს. თავდაპირველი მაღალი მოგებები თანდათანობითი ეროზიის პრინციპს ექვემდებარება, – ერთი მხრივ, კონკურენციის და მეორე მხრივ, დანახარჯთა ელემენტების გაძვირების შედეგად „კარგი ეკონომიკური ამინდის ფაზა" სულ უფრო და უფრო სუსტდება. საბოლოოდ მიიღწევა „ზედა გარდატეხის წერტილი", ამას ეკონომიკური შეთანხმებების შეზღუდვა და რეცესიის[1] ფაზაში შესვლა მოჰყვება, რომლის დეპრესიის[2] ფაზით შეცვლა (შუმპეტერის თანახმად) აუცილებელი არ არის. აღმავლობის ფაზას თან ახლავს ინფლაცია, რომელიც მატერიალურ რესურსებზე მზარდ მოთხოვნას ემთხვევა, შემდეგ, რეცესიის ფაზაში, ადგილი აქვს ფასების შემხვედრ მოძრაობას[3].

შუმპეტერი „**ფიდუციარიანობის ფონდს**" „კაპიტალის" სახით იხილავს, რომელსაც მობილური ბანკები ახალი საინვესტიციო პროგრამებისათვის გამოათავისუფლებენ: კაპიტალი ბერკეტია, რომელიც მეწარმემ ისეთ მდგომარეობაში უნდა მოიყვანოს, რომლითაც განკარგულებაში მისთვის საჭირო კონკრეტული სახსრები გაუჩნდება[4].

ასეთი მიდგომა ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა. ასე მაგალითად, რუდოლფ ჰილფერდინგმა თავის ნაშრომში – „ფინანსური კაპიტალი" (1910), კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპი აღნიშნა, სადაც ეკონომიკაში წამყვან პოზიციებს მობილური ბანკები იკავებენ და ფინანსური კაპიტალის ეპოქა დგება[5].

აქვე უნდა ითქვას შუმპეტერისეული „მეწარმის ცნების" შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი **მეწარმეებს „ეკონომიკის რევოლუციონერებს"** და სოციალურ-პოლიტიკური რევოლუციის პიონერებს უწოდებს[6].

1.4. ეკონომიკური ციკლი

შუმპეტერის ნაშრომის – „**ეკონომიკური ციკლი**" (1939) – მიხედვით, კონიუნქტურული მერყეობები კაპიტალიზმის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, რომელთა მექანიზმი, სიხშირე და ხანგრძლივობა ვრცელ ანალიზს მოითხოვს.

„ეკონომიკურ ციკლში" ავტორი სხვადასხვა ხანგრძლივობის სამ – 60-წლიან (გრძელი), 10-წლიან (საშუალო) და ბოლოს 3,5-წლიან (მოკლე) ციკლებს განასხვავებს.

ნიკოლოზ **კონდრატიევის** (1892-1938) „კონიუნქტურის გრძელ ციკლში"[7] წონასწორობის დარღვევის ოცამდე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. შუმპეტერს წონასწორობის დარღვევის ყველა შემთხვევა (მათ შორის, მესამე ვარიანტში) ციკლურ მერყეობამდე დაჰყავს. მისი თეორია სამართლიანი უნდა იყოს, როგორც პირველი – „გრძელი", ასევე მეორე – „საშუალო ციკლის" შემთხვევაშიც, რადგან წარმოებრივ ფუნქციაში რადიკალურ ცვლილებებს (მაგალითად, საფოსტო ეკიპაჟიდან რკინიგზამდე), ფასებისა და დანახარჯების სტრუქტურაში დიდი გადაჯგუფებები მოჰყვება.

თუმცა, ამგვარი განმარტება „მოკლევადიან ციკლს" ვერ მიესადაგებოდა. შუმპეტერთან გარე ზემოქმედების ფაქტორები, მაგალითად, ომები, მოუსავლიანობა ან ოქროს აღმოჩენები კრიზისის გამომწვევ მიზეზებადაა დასახელებული, რაც ეკონომიკურ პროცესებში მერყეობებს განაპირობებს[8].

შუმპეტერმა „ეკონომიკური ციკლი" თავისი ცხოერების „საქმიანობის გვირგვინად" დაასახელა. როდესაც კეინზის წიგნი („ზოგადი თეორია") გამოქვეყნდა (რომელიც ეკონომისტებმა „კეინზურ რევოლუციად" მონათლეს), შუმპეტერმა იგი იმედის გაცრუებად აღიქვა.

თუმცა, მის მიერ კეინზის თეორიის კრიტიკა მხოლოდ პატივმოყვარეობისა და კონკურენტული შურლის გამოვლინება არ იყო. მისთვის დასახელებული ის მექანიზმები, რომლებიც წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას განაპირობებენ, კონიუნქტურისა და ზრდის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

---

1 **რეცესია** (ლათ. recesus - უკან დახევა) - ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება.
2 **დეპრესია** (ლათ. depressio - დათრგუნვა) - წარმოების შენელება, ერთ წერტილზე გაყინვა.
3 Business Cycles, გვ. 158-159.
4 იქვე, გვ. 165.
5 Das Finanzkapital, გვ. 283.
6 **Шумпетер И. Теория экономисеского развития ...**, გვ. 47.
7 **Кондратьев Н.Д., Большие циклы коньюнктуры и теория предвидения - Избранные труды**, М., 2002.
8 Business Cycles, გვ. 185.

1.5. განვითარების პროგნოზირება

ნაშრომში – „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია"[1] – შუმპეტერმა (კარლ მარქსის ნაშრომის „კაპიტალის" გამოქვეყნებიდან 75 წლის შემდეგ) კაპიტალისტური სისტემის განვითარების პროგნოზირება დაისახა მიზნად.

წიგნი კარლ მარქსის თეორიული ნაშრომის ჯეროვანი დაფასებით იწყება, კერძოდ, მარქსისტული საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის დამახასიათებელ მეთოდიკას, „ისტორიულ მატერიალიზმს", იგი ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად მიიჩნევს.

მარქსის იდეოლოგიის (გარკვეული სახით) პრაქტიკული შეფასების შემდეგ, იგი ამერიკის მონოპოლისტურ ეკონომიკას აანალიზებს. მონოპოლისტურ კონცერნებში მომხდარ ცვლილებებს ავტორი კაპიტალისტურ დინამიკას მიაწერს, რომელიც თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმისაგან ისე განსხვავდება, როგორც „ზარბაზნის გასროლა კარზე დაკაკუნებისაგან".

„დოქტრინაში" თავისუფალი მეწარმე კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის მამოძრავებელ ძალადაა აღიარებული. ამჯერად კი მატერიალურ-ტექნიკური **პროგრესის მთავარ წყაროდ გიგანტური კონცერნებია დასახელებული**[2].

კაპიტალიზმის ოქროს ხანის წინასწარმეტყველების შემდეგ, შუმპეტერის აზროვნება დიალექტიკურად შეიცვალა. მისი აზრით, კაპიტალიზმი უნდა დაემხოს და სოციალისტური სისტემით შეიცვალოს, ოღონდ არა მისი ნაკლოვანი მხარეების გამო (მარქსი), არამედ პირიქით, – უზარმაზარი ისტორიული წარმატებების გამო. იგი ამ დაშლის პროცესის ზოგიერთ კერძო შემთხვევას აღწერს.

კაპიტალისტური სისტემის გარდაქმნის უნარს, კარლ მარქსის მსგავსად, შუმპეტერიც გადაჭარბებით აფასებს. კაპიტალიზმის ყველაზე ახალი, მონოპოლისტური ფაზა, რომელიც დიდი კონცერნების მენეჯერული ჯგუფების საქმიანობით ხასიათდება, სისტემის რაიმე არსებითი გარდაქმნის საფუძველს არ იძლევა.

შუმპეტერის ნაშრომებში პროგნოზირებული კაპიტალისტური სისტემის გარდაქმნის იდეა საბოლოოდ არ გამართლდა.

1.7. ისევ მნიშვნელოვანი შიგნით

კეინზური ეკონომიკური პოლიტიკის ჭეშმარიტი ტრიუმფის პერიოდში, შუმპეტერი თითქმის დაივიწყეს. XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო შუმპეტერის რენესანსი, რომელიც მისი დაბადების ასი წლის იუბილეს დაემთხვა. ი.სტარბატუ დასაბუთებულად მიიჩნევს შუმპეტერის შემაჯამებელ დასკვნებს სისტემისათვის, საზოგადოებისათვის, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიის ანალიზისათვის[3].

ბოლო წლებში ეკონომიკურ პოლიტიკაზე შუმპეტერის გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სულ უფრო ძლიერდება კონკურენცია, ეკონომიკური პოლიტიკა მეწარმეობრივ საქმიანობაზე ხელისშეწყობის გაძლიერებას ისახავს მიზნად. ამრიგად, შემთხვევითი როდია, რომ წარსულში თითქმის მივიწყებული შუმპეტერი, უახლოეს პერიოდში ისევ მნიშვნელოვან ფიგურად იქცა.

---

1 Capitalism, Socialism and Democracy, N.Y., L.,1942.

2 **Шумпетер** И. Капитализм, социализм и демократия - Мировая экономическая мысль, т. IV, გვ. 56-59.

3 **Starbaty**, I., Die Staatskonzeption bei Keynes und Schumpeter - Schriften des Vereins für Sozialpolitik, Neue Folge, Bd.115-4, B., 1985, გვ. 95.

2. დინამიკური ეკონომიკისკენ: როი ჰაროდი (1900-1978)

2.1. კეინზური მაკროეკონომიკისა და კლასიკური ტრადიციების შეხამება

1939 წელს, როდესაც შუმპეტერმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „ეკონომიკური ციკლი", როი ჰაროდმა ეკონომიკური განვითარების დოქტრინის დამუშავება დაიწყო.

მის მიერ გამოყენებული ძირითადი იდეები ახალი არ იყო, ნეოკლასიკოსმა გუსტავ კასელმა ნაშრომში „სოციალური ეკონომიკის თეორია" (1918)[1], გარკვევით დაახასიათა ეკონომიკა დაბალანსებული განვითარებით, უცვლელი სტრუქტურით, რომელშიც ყველა მისი კომპონენტი იმავე ტემპით იზრდება, რაც მოსახლეობა, თუმცა, რა თქმა უნდა, ტექნიკურმა პროგრესმა შეიძლება განვითარება დააჩქაროს. კასელი (ბუნებრივი რესურსების დეფიციტის მიუხედავად) უჩვენებს, რომ ეს შეიძლება უცვლელი ტექნოლოგიითაც მოხდეს. კასელის მთავარი იდეა ის იყო, რომ დაბალანსებულ განვითარებას დანაზოგი ესაჭიროება და რომ კაპიტალის დაგროვება შეიძლება უძრაობაში გადასვლის გარეშეც მუდმივად გაგრძელდეს. ეს ახლოს იყო მარქსისტულ კონცეფციასთან „გაფართოებული კვლავწარმოების" შესახებ.

30-იანი წლებისათვის ეკონომიკური ციკლის კვლევამ **რაგნარ ფრიშისა** და **მაიკლ კალეცკის** კარგად დამუშავებული დინამიკის მოდელის სტადიას მიაღწია. განვითარების თეორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა **ერიკ ლუნდბერგის** ნარკვევს **„გამოკვლევები ეკონომიკური ესპანსიის თეორიაში"** (1937)[2]. იგი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს მოკლევადიან ცვლილებებზე, მაგრამ კასელის ბალანსირებულ განვითარების მოდელს მათემატიკურ სიზუსტეს აძლევს. კერძოდ, ლუნდბერგის აზრით, ასეთი ეკონომიკის ყველა კომპონენტი მუდმივი ტემპით უნდა იზრდებოდეს და რომ ზრდის ერთიანი ტემპი ეკონომიკაში დანაზოგების ნორმისა და კაპიტალტევადობის მაჩვენებელთა თანაფარდობის ტოლია. ეს იყო იმის საფუძველი, რასაც მოგვიანებით **ჰაროდ-დომარის მოდელი** უწოდეს. თუმცა, როგორც ირკვევა, ჰაროდი თავისი კოლეგის ნაშრომებს არ იცნობდა.

კეინზის „ზოგადი თეორიის" გავლენით, თეორეტიკოს ეკონომისტების ყურადღებამ განვითარების დინამიკიდან უმუშევრობის სტატიკურობისაკენ გადაინაცვლა. სწორედ ჰაროდმა გააერთიანა კეინზური მაკროეკონომიკა ეკონომიკის განვითარების კლასიკურ ტრადიციასთან. თუ შუმპეტერი ეკონომიკური განვითარების ანალიტიკური ხედვით კმაყოფილდებოდა, ჰაროდმა ეკონომიკური ზრდისა და ციკლების ინტეგრირებული თეორიისათვის საწყისი ანალიტიკური წერტილი მოამზადა.

როი ჰაროდი (Harrod) დაიბადა 1900 წელს ნორფოლკში (ინგლისი). საბავშვო წიგნების ნაცვლად მას ოჯახში შექსპირს აკითხებდნენ. მან ვეტმინსტერის კოლეჯი დაამთავრა (თვრამეტი წლის ასაკში მამა დაკარგა, დედასთან კი სიახლოვე არ დაუკარგავს), შემდეგ კი ოქსფორდის უნივერსიტეტის ფილოსოფია-ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა (1922). აქვე თანამედროვე ისტორიასა და ეკონომიკაში დაიწყო ლექტორობა. ეკონომიკის ღრმად შესწავლის მიზნით ერთი სემესტრი კემბრიჯში მიავლინეს, სადაც კეინზს გაეცნო, რომელმაც ეკონომიკისადმი ინტერესი გაუღვივა. ოქსფორდში უკან დაბრუნებისას იგი ეკონომიკის თეორიის შესასწავლად ასაკოვან ედჯუორთთან მივიდა. 1947-50 წწ. დასაქმებისა და სტაბილური განვითარების საკითხებში გაეროს კომისიის წევრი, 1952-53 წწ. კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური მრჩეველია.

ჰაროდი, ფაქტობრივად, არა წმინდა თეორეტიკოსი, არამედ კეინზური თვალსაზრისისაკენ ძლიერად ორიენტირებული პრაქტიკოსი ეკონომისტი იყო. პოლიტიკური აქტიურობა მან როგორც მგზნებარე ლიბერალმა დაიწყო, შემდეგ ლეიბორისტების, მოგვიანებით კი კონსერვატორებისაკენ გადაიხარა. ომის წლებში იგი ჩერჩილის აპარატში მსახურობდა, შემდეგ კი საზოგადოებრივი საქმიანობა დაიწყო.

მისდა საუბედუროდ, ოქსფორდის უნივერსიტეტს მისთვის პროფესორობა არასოდეს შეუთავაზებია, ის პენსიაზე გასვლამდე რიგით ლექტორად რჩებოდა. 1938 წელს ქორწინების შემდეგ, მას და მის მეუღლეს სტუმართმოყვარე სახლი ჰქონდათ და ორი ვაჟი აღზარდეს.

ჰაროდი 1978 წელს გარდაიცვალა.

---

1 **Cassell** G., Theoretische Sozialökonomie, Lpz., 1918.

2 **Lundberg** E., Studies in the Theory of Economic Expansion, 1937.

2.2. ნაშრომები

ჰაროდის პირველი ნაშრომი ეკონომიკაში იყო მარჟინალური წლიური შემოსავლის კონცეფციის „ხელახალი გამოგონება" (კურნოს გამოგონებიდან დიდი ხნის შემდეგ).

კეინზმა, როგორც „ეკონომიკური ჟურნალის" რედაქტორმა, პირველად სტატია დაიწუნა, რამაც ჰაროდი გაანერვიულა. როდესაც ეს სტატია საბოლოოდ 1930 წელს დაიბეჭდა, მან პრიორიტეტის ყველა შესაძლებლობა დაკარგა. მომდევნო წელს იაკობ ვინერთან თითქმის ერთდროულად „საშუალო ფასის გრძელვადიანი მრუდი" წარადგინა. იგი მჭიდრო კონტაქტში იყო კეინზთან, როდესაც იგი „ზოგად თეორიაზე" მუშაობდა, ჰაროდს პატივი ჰქონდა წიგნში ინვესტიციებისა და დანაზოგების თანაფარდობის ერთადერთი დიაგრამის გაკეთებისა.

ჰაროდმა 30-იან წლებსი გამოაქვეყნა ორი პატარა წიგნი[1] „**საერთაშორისო ეკონომიკა**" (1933) და „**ვაჭრობის ციკლი**" (1936), რომლებმაც განსაზღვრა მისი ეკონომიკური ინტერესის სფერო. მათში „ბიზნეს-ციკლები" კეინზის სტილში იყო ახსნილი, მაგრამ გამოკვეთილი მოდელის გარეშე. ამ ურთიერთობამ ჰაროდი ეკონომიკური ზრდის პრობლემასთან მიიყვანა, რაც მის ძირითად ღვაწლად ითვლება.

ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება ჰაროდის ნაშრომები[2]: „**დინამიკური თეორიის ნარკვევები**" (1939) და „**დინამიკური ეკონომიკისაკენ**" (1948). მისი მნიშვნელოვანი სტატიები თავმოყრილია სტატიათა კრებულში.

კეინზის გარდაცვალების შემდეგ ჰაროდმა კეინზის შესახებ ერცელი ბიოგრაფია დაწერა (1951)[3].

რ.ჰაროდი „**ინდუქციური ლოგიკის საფუძვლებს**" (1956) თავის უდიდეს ნაშრომად მიიჩნევდა. თუმცა, სპეციალისტთა აზრით, მისი მათემატიკური უნარი ლიმიტირებული იყო. ის მრავალი წიგნის, სტატიისა და ჟურნალისტური პუბლიკაციების ავტორია.

2.3. ეკონომიკური განვითარების მოდელი

როდესაც ჰაროდმა ეკონომიკური განვითარების მოდელი შექმნა (მან არაფერი იცოდა ე.ლუნდბერგის შრომაზე), მისი ბუნებრივი გარემო კეინზური მაკროეკონომიკა იყო. „**ვაჭრობის ციკლში**" (1936), მის მიერ გაკეთებული დასკვნით, მხოლოდ დანაზოგებით სახელმწიფო მყარი ვერ იქნება, თუმცა, დანაზოგები კაპიტალდაბანდებას ზრდის, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკის პროდუქტიულობის უნარს ამაღლებს. ჰაროდი აღიარებდა ეკონომიკაში ციკლური რყევების არსებობას, მაგრამ შეესაძლებლად თელიდა მის შერბილებას და არა მის მთლიანად აღმოფხვრას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველივე ათწლეულში კეინზურმა დოქტრინებმა მოდიფიცირება განიცადეს. მათ კეინზისაგან მემკვიდრეობით შეინარჩუნეს: ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის იდეა; კვლევის მაკროეკონომიკური მეთოდი; „მულტიპლიკატორის პრინციპის" გამოყენება საერთო დასაქმების პრობლემისადმი და აქცენტირება ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე. ამასთან, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა კეინზის სტატიკური მოდელი, რომელშიაც ინვესტიციები, დანაზოგები და სხვა ეკონომიკური პარამეტრები ხანმოკლე პერიოდში იყო გაანალიზებული, ვინაიდან „დეპრესიის" პერიოდში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის დინამიკური მოდელის შემუშავება წინა პლანზე არ იყო წამოწეული. თუ კეინზისათვის მთავარი იყო მასობრივი უმუშევრობის, წარმოებრივი სიმძლავრეების დაუტვირთაობისა და საქონელთა ჭარბწარმოების პრობლემათა სწრაფი მოგვარება, **კეინზელებმა წინა პლანზე წამოსწიეს ინვესტიციების, ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის ზრდის დინამიკის საკითხები.**

როგორც აღინიშნა, რ.ჰაროდის მთავარი ნაშრომია „ეკონომიკური დინამიკისაკენ" (1948)[4]. წიგ-

1 Harrod R., International Economics, L., 1933 - Cambr.,1959; The Trade Cycle: An Essay, Oxf., 1936.
2 Essay in Dynamic Theory – Ec. Journ., Vol.49, 1939; Towards A Dinamic Economics, L., 1948.
3 The Life of John Maynard Keynes, L., 1951.
4 Р.Харрод, К теории экономической динамики – Классики кеинсианства, т.1, М., 1997.

ნში გაანალიზებულია ეკონომიკური დინამიკის აუცილებლობა, დანაზოგების მასშტაბები, ანტიციკლური პოლიტიკა და სხვა საკითხები.

რ.ჰაროდი, კეინზის მსგავსად, აანალიზებს ისეთ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა: **ერთობლივი დანაზოგები, ინვესტიციები, ერთობლივი მოთხოვნა და მიწოდება** ...

კეინზი ეკონომიკური ზრდის პროცესს მოკლევადიან სტატიკურ მდგომარეობაში აანალიზებს, ჰაროდი კი ამას გრძელვადიან დინამიკურ პროცესში აკეთებს. მისი აზრით, ადრე თუ გვიან, სტაგნაციის პრობლემას შეეჯახებით და ეკონომისტებს სწორედ მასზე მოუწევს ყურადღების ფოკუსირება, კეინზის „ზოგადი თეორია“ კი სტატიკური ხასიათისაა და იგი არასაკმარისია დინამიკასთან შეხამების გარეშე[1], ეკონომიკური ზრდა კი სამი ძირითადი ელემენტის (სამუშაო ძალა, მოსახლეობის ერთ სულზე გამოშვებული პროდუქცია, კაპიტალის მოცულობა) ექსპანსიის მსვლელობაში წარმოებრივი ურთიერთდამოკიდებულებებიდან[2] უნდა გაანალიზდეს.

რ.ჰაროდის დაგროვების ფორმულის მიხედვით (კეინზის მსგავსად), ინვესტიციები დანაზოგების ტოლია (I=S), მაგრამ მასთან იგი დინამიკურ პროცესშია გაანალიზებული. ამის დასტურია ჰაროდის ზრდის ტემპის ფორმულა[3]:

$$GC=S,$$

სადაც, G (Grows – ზრდა) არის გარკვეულ პერიოდში პროდუქციის საერთო გამოშვების ზრდა;

C – კაპიტალტევადობის კოეფიციენტი;

S – დანაზოგის ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში.

აქედან ზრდის ტემპი

$$G = \frac{S}{C}$$

რ.ჰაროდის მიზანია დანაზოგების ნაკადისა და შემოსავლების თანაფარდობის საკითხის სტატისტიკურად შესწავლა. დანაზოგების მოცულობა განსაზღვრა ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: მოსალოდნელი შემოსავლების ზრდა, მოთხოვნილების ზრდა და ადამიანთა მიერ ცხოვრების ბოლო ფაზაზე გამომუშავების ალბათური უუნარობა[4]. საზოგადოებაში, სადაც მოსახლეობის რიცხოვნობისა და ტექნიკის მდგომარეობა უცვლელია, დანაზოგებიც ნულამდეა დაყვანილი[5]. სარგებლის განაკვეთის შემცირების შემთხვევაში ნებაყოფლობითი დანაზოგების განხორციელება შესაძლებელია[6].

რ.ჰაროდის დასკვნით, მოსახლეობის რიცხოვნობისა და ტექნიკის უცვლელობის პირობებში, აყვავებულ და უზრუნველყოფილ საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში სრულიად შესაძლებელია ზრდის ფაქტორების არსებობა[7], ხოლო გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების ბაზარი კი ახალ კაპიტალზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის მიმდინარე თანაფარდობით დარეგულირდება[8].

რ.ჰაროდი კერძო საკუთრების დამცველია, მაგრამ დიდი ქონებრივი უთანასწორობის მომხრე არ არის. იგი ქრონიკული უმუშევრობის დაძლევისა და დეპრესიული მდგომარეობიდან გამოსავალ ეფექტიან გზად სარგებლის დონის მინიმუმამდე შემცირებას მიიჩნევს, ხოლო სამრეწველო კრიზისების წინააღმდეგ ბრძოლის „რეცეპტად“ კი საქონელთა „სარეზერვო ფონდის“ შექმნას გვთავაზობს, რომელსაც სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. „ფონდმა“ უნდა შეისყიდოს საქონელი არსებული ფასებით, რითაც იგი ხელს შეუწყობს მრეწველობას „ჩავარდნის“ შემთხვევაში, რათა ადამიანები კვლავ დაასაქმოს „სარეზერვო ფონდისათვის“ სტანდარტული საქონლის წარმოებაში[9].

---

1 Р.Харрод, К теории экономической динамики – Классики ксинсианства, т.I, М., 1997. გვ. 51.
2 იქვე, გვ. 60.
3 იქვე, გვ. 112.
4 იქვე, გვ. 82.
5 იქვე.
6 იქვე, გვ. 84.
7 იქვე, გვ. 85.
8 იქვე, გვ. 99.
9 იქვე, გვ. 188.

3. ევსეი დომარი (1914-1997)

3.1. დოქტრინის ერთ-ერთი შუამდებელი

ეკონომიკური ზრდის დოქტრინების ერთ-ერთი შუამდებელი ამერიკელი ნეოკეინზელი ეკონომისტი ნეოკეინზელი ევსეი დევიდ დომარი (Domar) დაიბადა ლოძში (პოლონეთი), დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტი (1936). მუშაობდა: ფედერალურ სარეზერვო სისტემაში (1943-46), 1940 წლიდან – მიჩიგანის, ჩიკაგოსა და ჰარვარდის უნივერსიტეტებში, 1957 წლიდან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (მტი) პროფესორია.

1944 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს, რომლებიც თავმოყრილია წიგნში **„ეკონომიკური ზრდის თეორიის ნარკვევები"**[1]. მისი მიზანია კაპიტალიზმში მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და სრული დასაქმების უზრუნველყოფის გზების ძიება. ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროდ იგი კაპიტალის დაგროვებას ასახელებდა. თუ კეინზი ინვესტიციებს მხოლოდ შემოსავლის მიღების წყაროდ განიხილავდა, დომარი მას იმავდროულად წარმოებრივი სიმძლავრეების ასამოქმედებელ საშუალებად ასახელებდა.

ჰაროდი არ იყო ერთადერთი ეკონომისტი, რომელიც ამ პრობლემებზე ფიქრობდა. ევსეი დომარი 1947 წელს თავის სადოქტორო დისერტაციაში (ჰარვარდის უნივერსიტეტი) სახელმწიფო ვალის პრობლემებს მზარდი ეკონომიკის კონტექსტში განიხილავდა[2]. მისი დასკვნით, სახელმწიფო ვალის სიმძიმე მთავრობის საქმიანობის შედეგია, ეკონომიკური ზრდის ტემპის პროპორციულია.

შემდეგ დომარი შრომის პრობლემებსაც შეეხო. მისი აზრით, სრული დასაქმების პირობებში, ზრდის ტემპების მხარდასაჭერად, შემოსავლების ზრდა წარმოებრივი სიმძლავრეების ზრდას უნდა შეესაბამებოდეს. ჰაროდის 1939 წლის სტატიისა და მის მიერ გამოქვეყნებული წიგნების გაცნობის გარეშე, მან ძირითადად იგივე განტოლება ჩამოაყალიბა. მისი დასკვნით, სრული დასაქმება ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას მოითხოვს და კაპიტალდაბანდებაზეა დამოკიდებული.

3.2. ჰაროდ-დომარის მოდელი

დომარმა შემდგომში იგივე პერსპექტივა მიუსადაგა უცხოურ კაპიტალდაბანდებებსა და ვალუტის დაჩქარებულ გაუფასურებას, მაგრამ როგორც მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (მტი) პროფესორი, თანდათანობით ჩამოსცილდა ზრდის თეორიის სფეროს და ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის სპეციალისტი გახდა.

ეკონომიკური ზრდის მოდელს ჩვეულებრივ **ჰაროდ-დომარის მოდელს** უწოდებენ. ზოგიერთის აზრით, მას ასევე შეიძლება **კაზელ-ლუნდბერგ-ჰაროდ-დომარის** მოდელი ეწოდოს[3].

40-იან წლებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოდგენილი მათი „მოდელი" ეკონომიკური ზრდის პირველი ნეოკეინზური მოდელია. იგი გრძელვადიან პერიოდში შესაძლებლად მიიჩნევს ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპებით განვითარებას. ამავე მოდელებში მოცემულია მშპ-ის მყარი ტემპებით ზრდის უზრუნველმყოფი პირობები.

რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა ისე, რომ ჰაროდ-დომარის მოდელისაგან მიღებული დასკვნები პესიმისტური შეიძლება ყოფილიყო. ეკონომიკური ზრდის თეორიას სხვა განზომილება მიეცა. ამ საკითხის გადახედვა რობერტ სოლოუს დამსახურებაა.

---

1 **Domar** E., Essays in the theory of economic growth, N.Y., 1957.

2 იქვე, თავი 2.

3 Новые явления в современной буржуазной политэкономии, т.2, М., 1963.

4. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური დოქტრინა: რობერტ სოლოუ

4.1. ვ.ლეონტიევის სტუდენტი, ნობელიანტი

ამერიკელი ეკონომისტი რობერტ მერტონ სოლოუ (Solow) დაიბადა 1924 წ. ბრუკლინში. (ნიუ-იორკი). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1940 წ. სწავლა დაიწყო ჰარვარდის უნივერსიტეტში.

1942 წელს უნივერსიტეტი მიატოვა და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში შევიდა. დემობილიზაციის შემდეგ (1945) სოლოუ ჰარვარდის უნივერსიტეტში დაბრუნდა ეკონომიკის შესასწავლად. ამ საქმეში დიდად დაეხმარა ვ.ლეონტიევი. აქვე, 1947 წელს მიიღო ბაკალავრის, მომდევნო წელს კი მაგისტრის ხარისხი. ლეონტიევის ხელმძღვანელობით, როგორც ასისტენტი მკვლევარი, სოლოუ მონაწილეობდა „დანახარჯები – გამოშვება" მოდელის აგებაში. შემდეგ სტატისტიკითა და ალბათური მოდელებით დაინტერესდა.

ამ მიზნით, 1949/50 სასწავლო წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორანტია. დოქტორანტურის დამთავრებისას სოლოუ მტი–ში სტატისტიკის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მიიწვიეს, სადაც ხუთი წელი ასწავლიდა. 1954-73 წლებში იქვე იყო ჯერ ეკონომიკის ასისტენტ-პროფესორი, შემდეგ ასოცირებული პროფესორი, 1973 წლიდან კი სრული პროფესორი.

1961-62 წლებში სოლოუ აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი იყო.

სოლოუ დაჯილდოებულია ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის ჯონ ბეითს კლარკის მედლით. იგი არის ეკონომეტრიკული საზოგადოების (1964 წ. – პრეზიდენტი), ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის (1979 წ. – პრეზიდენტი), ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა და ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი.

1987 წ. ეკონომიკაში **ნობელის პრემია** მიენიჭა „ნოვატორული წვლილისათვის ეკონომიკური ზრდის თეორიაში". ნობელის პრემიისადმი მიძღვნილ ლექციაში (8/XII-1987) სოლოუმ ჩამოაყალიბა ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის პრინციპული დებულებები[1].

4.2. სოლოუს ნეოკლასიკური მოდელი

. რ.სოლოუს ძირითად წვლილს თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის შექმნა.

ეკონომიკური ზრდის მოდელი სოლოუმ პირველად ჩამოაყალიბა 1956 წელს სტატიაში **„წვლილი ეკონომიკური ზრდის თეორიაში"**[2]. ეს იყო მათემატიკური მოდელი, რომელიც გვიჩვენებდა, გაზრდილი ძირითადი კაპიტალი თუ როგორ ზრდის პროდუქციას მოსახლეობის ერთ სულზე. მან ზრდის თეორიაში გამოიყენა მიდგომა – **„შრომის შეცვლა კაპიტალით"**.

სოლოუ ეყრდნობოდა ცნებას **„მიდრეკილება დანაზოგებისაკენ"**. შრომისა და კაპიტალის გამართულად მოქმედ ბაზრებზე დანაზოგები, საბოლოო ანგარიშით, ურთიერთკავშირშია ინვესტიციებთან. სოლოუმ აჩვენა, რომ დროის ხანგრძლივ მონაკვეთში უცვლელი ტექნოლოგიის პირობებში - ე.ი. ტექნიკური პროგრესის არარსებობისას, კაპიტალი, შრომა და წარმოების მოცულობა ერთნაირად იზრდება. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალის სიდიდე, ისე როგორც წარმოებული პროდუქტის მოცულობა ერთ მუშაკზე, მუდმივი იქნება, ამიტომ რეალური ხელფასის ოდენობაც უცვლელი იქნება.

ამრიგად, მტკიცდებოდა, რომ შემოსავლიდან დანაზოგის წილის გადიდება თავისთავად არ შეიძლება იყოს ეკონომიკური ზრდის ტემპის მუდმივი ზრდის წყარო. ეკონომიკას, სადაც დანაზოგების უფრო მაღალი წილია, მოსახლეობის ერთ სულზე წარმოების მეტი მოცულობის და უფრო მაღალი რეალური ხელფასის მიღწევა შეუძლია, მაგრამ ტექნიკური პროგრესის არარსებობისას ზრდის ტემპი უცვლელი რჩება.

---

1 Солоу Р., Теория роста и дискуссии о ней – Мировая экономическая мысль, т.5, кн. I, М., 2004, გვ. 574-592.

2 Solow R., A Contribution to the theory of economic growth – Quartery J., of economics, 02.1956.

სოლოუს დასკვნით, ეკონომიკური ზრდის ტემპები, გრძელვადიან პერიოდში, კაპიტალ-დაბანდებათა ზრდის ტემპებისაგან დამოუკიდებელია. პერსპექტივაში სწორედ ტექნოლოგიური განვითარება ხდება ეკონომიკის ზრდის ფუნდამენტური წანამძღვარი. სოლოუს მოდელში მუდმივი ტექნოლოგიური პროგრესი და რესურსების უფექტიანი გამოყენებაა ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ფაქტორები.

სოლოუს თეორიული მოდელი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ეკონომიკურ ანალიზში. თავდაპირველად იგი უპირატესად, ეკონომიკური ზრდის ანალიზის ინსტრუმენტად გამოიყენებოდა. შემდგომ იგი გაფართოვდა მოდელში წარმოებრივი სხვა ფაქტორის შეტანით.

სოლოუს მიერ შექმნილი ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი საფუძვლად დაედო თანამედროვე მაკროეკონომიკური დოქტრინის დამუშავებას.

მომდევნო შრომებში – **„ტექნიკური ცვლილებები და ერთობლივი წარმოებრივი ფუნქცია“** (1957)[1] და **„ინვესტიციები და ტექნიკური პროგრესი“** (1960)[2] – სოლოუმ ემპირიულად შეაფასა სხვადასხვა წარმოებრივი ფაქტორის როლი ეროვნული პროდუქტის მატებაში. მისმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ტექნიკური სრულყოფა, განხილული ხანგრძლივ დროში, გარკვეული აზრით „ნეიტრალურია“, ვინაიდან ის გავლენას ვერ ახდენს ეროვნული პროდუქტის ნამატის განაწილებაზე. სოლოუს დასკვნით, პროდუქტის მატების მხოლოდ მცირე წილი შეიძლება აიხსნას შრომისა და კაპიტალის გაზრდილი დანახარჯებით. მან დაამტკიცა, რომ 1909-1949 წლებში ამერიკის ეკონომიკის ზრდის 7/8 ნაწილი შეიძლება მივაკუთვნოთ ტექნიკურ პროგრესს და მხოლოდ 1/8 – კაპიტალდაბანდებებს.

სტატიაში – „ინვესტიციები და ტექნიკური პროგრესი“, სოლოუმ ჩამოაყალიბა ძირითადი კაპიტალის მატების ახალი მეთოდი ეკონომიკური ზრდისათვის. მან გვიჩვენა, რომ ტექნიკური პროგრესი უწინარესად ვლინდება კაპიტალდაბანდებებით მანქანებსა და სხვა ძირითად კაპიტალში. დროის ყოველ ცალკეულ მონაკვეთში ახალი ინვესტიციები დაკავშირებულია უპირატესად თანამედროვე ტექნოლოგიასთან და ინვესტირების პროცესის შედეგად წარმოქმნილი კაპიტალი ხარისხობრივად უკვე აღარ იცვლება მისი მოქმედების დარჩენილ დროში. აქედან კეთდებოდა დასკვნა, რომ ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება გარკვეული ზომით ითვალისწინებს მომავალ ტექნოლოგიებს.

უფრო ადრეულ მოდელებთან შედარებით, სოლოუს მიერ მიღებულ შედეგებს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ძირითად კაპიტალში დამატებითი ინვესტიციების როლის გაგებისათვის შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროცესში.

1958 წ. რ.დორფმანთან და პ.სამუელსონთან ერთად სოლოუს ნაშრომში **„წრფივი პროგრამირება და ეკონომიკური ანალიზი“**[3] გამოყენებული იყო ფილიპსის მრუდი აშშ-ის ეკონომიკის მიმართ.

სოლოუს დასკვნები ასტიმულირებს ანალოგიურ კვლევებს სხვა ქვეყნებში. მის მოდელებს იყენებდნენ დანაზოგების ოპტიმალურობის პრობლემის, სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობის ანალიზის კვლევაში, საგადასახადო პოლიტიკაში შესაძლო ცვლილებების შეფასებისათვის. 70-80-იან წლებში ნეოკლასიკური მოდელი წარმატებით გამოიყენეს ეკონომიკის ციკლური მერყეობების შესწავლაში (ზოგადი წონასწორობის თეორიის ჩარჩოებში), აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზისათვის.

სოლოუს ეკონომიკური ზრდის დოქტრინა თავდაპირველად ვარაუდობდა, რომ ეკონომიკური ზრდის ძირითადი მალიმიტირებელი ფაქტორებია **შრომა, კაპიტალი** და **ტექნოლოგია**. მაგრამ, როდესაც ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობის პრობლემა გამწვავდა, სოლოუმ ბუნებრივი რესურსების მოპოვების შესწავლა დაიწყო. სტატიებში **„რესურსების ეკონომიკა და ეკონომიკის რესურსები“** (1974), **„სამართლიანობა თაობათა თვალსაზრისით და შეზღუდული რესურსები“** (1974), **„მომავლები დარგების დანახარჯები შეზღუდული რესურსების თეორიაში“** (1976) სოლოუ ასაბუთებს დასკვნას, რომ ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის პრობლემის გასაღები შეიძლება იყოს ჰიპოთეზა კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების დანახარჯების ურთიერთშეცვლის ელასტიკურობის შესახებ.

სოლოუ იკვლევდა აგრეთვე მაკროეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის დასაქმების პრობლემას და მისი მნიშვნელობის ანალიზს სტაბილიზაციური პოლიტიკისათვის.

---

1 Technical Charge and the Aggrecate Production Function..., 1957.

2 Investment and Technical Progress..., 1960.

3 Linear Programming and Economic Analysis, 1958.

5. „ოქროს წესი"

წინამდებარე წიგნის მთავარი თავების სახელწოდებები ხშირად ცალკეული პიროვნებების სახელებს ატარებს. მოცემული ნაწილი გარკვეული გამონაკლისია. ამის მიზეზია ის, რომ „ოქროს წესის" შესახებ ერთი და იგივე დოქტრინა (60-იანი წლების დასაწყისში) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოაჩინა რამდენიმე ავტორმა (**ტ.სოუნი, ჯ.მიდი, კ.ფ. ვოიცზეკერი, მალე, ჯ.რობინსონი...**).

ეს იყო მრავალრიცხოვანი აღმოჩენის თვალსაჩინო შემთხვევა, თუმცა, მათ შორის პრიორიტეტი **ედმუნდ ფელპსს** ენიჭება.

ზოგადად, „ოქროს წესი" ეკონომიკის ისეთი ოპტიმალური ტრაექტორიაა, რომელიც ერთ ინდივიდზე მოხმარების მაქსიმალურ მყარ დონეს უზრუნველყოფს.

სოლოუმ დაამტკიცა, რომ ეკონომიკა შეიძლება დაბალანსებული ზრდის ხაზს გაყვეს, თუ მისი კაპიტალის შედგენილობა შეხამებულია მისი დანაზოგების ტემპთან. რაც მეტია დანაზოგი, მით მეტია კაპიტალის შედეგიანობა დაბალანსებული ზრდის პირობებში და უფრო მაღალია მისი ხარჯი მოსახლეობის ერთ სულზე.

ამან კი წამოჭრა შემდგომი საკითხი: არის თუ არა დანახარჯები ყოველთვის ეფექტიანი?

ზრდის თეორია ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ცდილობდა და ასეთი პასუხი ძნელი მოსაძებნი არ იყო. გასაოცარია, ზრდის თეორეტიკოსს სოლოუს სტატიის შემდეგ, კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა ამ პრობლემაში სწორად ჩასაწვდომად.

პირველი, რომელმაც პასუხი გამოაქვეყნა, იელის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი **ედმუნდ ფელპსი** (Felips) იყო. ფელპსს სურდა გაერკვია თუ რა სიდიდის კაპიტალის ფლობას მოინდომებდა საზოგადოება ბალანსირებული ზრდის ტრაექტორიის პირობებში, თუ იგი საკმაოდ დიდია. ეს წარმოების მაღალ დონეს განაპირობებს, მაგრამ თუ მისი დიდი ნაწილი არა მოხმარებაზე, არამედ დაგროვებაზე დაიხარჯება – საზოგადოება ვერ ისარგებლებს ზრდის შედეგებით, თუ კაპიტალის მოცულობა ძალიან მცირე იქნება, მაშინ წარმოებული თითქმის ყველაფერი მოიხმარება, მაგრამ წარმოებული იქნება ძალიან ცოტა. ამ უკიდურესობებს შორის სად არის ის ოპტიმალური შუალედური წერტილი, რომელშიც საზოგადოების მოხმარების მოცულობა მაქსიმალური იქნება?

„კაპიტალის დაგროვების ოქროს წესი" მან ახსნა ნაშრომში – „**ზრდის ბალანსით დაკავებულთათვის**" (1961). მისი აზრით, ყოველმა თაობამ მომავალი თაობების სასარგებლოდ უნდა დააბანდოს შემოსავლის ის ნაწილი, რისი დაბანდებაც მათ სასარგებლოდ უფროს თაობებს სურდათ[1]. იგი მოითხოვდა, **სარგებლის განაკვეთის ეკონომიკური ზრდის ტემპთან გათანაბრებას**. ეს პირობა დაედო საფუძვლად ოქროს წესის სტანდარტულ ფორმას.

ფელპსის დაშვებით, „ოქროს წესის" მისაღებად ეკონომიკა დაბალანსებული ზრდის ტემპით უნდა განვითარდეს.

„ოქროს წესი" ძირითადად (თუკი ზრდის ტემპი ცნობილია) დაკავშირებულია წარმოებასა და ტექნოლოგიასთან. ამ „წესის" მიხედვით, დაბალანსებულ ზრდაში მოხმარება იმ შემთხვევაში აღწევს მაქსიმუმს, თუ სარგებლის განაკვეთი ზრდის ტემპის ტოლია.

სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა სარგებლის მაღალი განაკვეთით ხასიათდება. სტაციონარული (უმოძრაო) ეკონომიკა, მეორე მხრივ, სარგებლის განაკვეთს სტაციონარულ დონეზე შეინარჩუნებდა. ზედაპირულად, თითქოს, ეს ამტკიცებს შუმპეტერის ცნებას, რომ სარგებელი ძირითადად დინამიკური მოვლენაა. ფაქტობრივად, შუმპეტერის თვალსაზრისი სრულიად განსხვავებული იყო. მისი მტკიცებით, სარგებელი ტექნოლოგიური ნოვაციის (განახლების) შედეგია, მაგრამ შუმპეტერს „ოქროს წესი" სწორედ ნოვაციის დეფიციტში ეწინააღმდეგება.

„ოქროს წესის" მიხედვით, დანაზოგების ტემპი კაპიტალის დანახარჯების ელასტიკურობის ტოლია. თუ კაპიტალი ანაზღაურებს თავის მარჟინალურ პროდუქტს, ეს იმ წინადადებების ეკვივალენტურია, სადაც დანაზოგები მოგების ტოლი უნდა იყოს. ეს სოუნის, ფელპსის, მიდის და რობინსონის მიერ გამოყენებული ვარიანტია. ყველა მოგება უნდა დაიზოგოს. ნათელია, რომ „წესი" - ყველა მოგება უნდა დაიზოგოს საკმარისი არ იქნებოდა იმისათვის, რომ ეკონომიკა მაქსიმალური მოხმარების გზაზე დაეყენებინა.

---

1 Felips E.S., Fable for Growthmen – American Economic Review, 1961, გვ.642.

ერთმა და იგივე ადამიანებმა შეიძლება მიიღოს ხელფასიც და მოგებაც და ინდივიდუალური დანაზოგები არ უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდუალური კაპიტალის შემოსავლებს. ორსაფეხურიან კალდორისეულ საზოგადოებაში, სადაც მუშები მხოლოდ ხელფასს და კაპიტალისტები მხოლოდ მოგებას იღებენ, „ოქროს წესი“ გულისხმობს, რომ მუშები არ აკეთებენ დანაზოგს და კაპიტალისტები კი არ ხარჯავენ.

„ოქროს წესმა“ იმიტომ მიიპყრო კაპიტალისტთა ყურადღება, რომ ზედაპირულად ის, თითქოს, ეკონომიკური ქმედების შესაფასებლად პირდაპირ კრიტერიუმს გვთავაზობს.

ფაქტობრივად, „ოქროს წესი“ მცირე პრაქტიკულ რჩევებს იძლეოდა. რეალურ ცხოვრებაში არ არსებობენ კეთილმოსურნე „ქალღმერთები“, რომლებიც საჩუქრად კაპიტალს იძლევიან. თუ თავდაპირველი კაპიტალი „ოქროს წესით“ განსაზღვრულ კაპიტალზე ნაკლებია, პირველად იგი დანაზოგების მეშვეობით უნდა გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკონომიამ ვერ მეტისმეტი მოხმარება შეიძლება შემოგვთავაზოს. ორივე შემთხვევაში ოპტიმიზაცია მიმდინარე მოხმარების მომავალ მოხმარებასთან შედარებას მოითხოვს.

მიუხედავად შეზღუდვებისა, როგორც წესი, ეკონომიკაში „ოქროს წესი“ მნიშვნელოვანი წვლილი იყო. მისი მნიშვნელობა ძირითადად იმით გამოიხატება, რომ მან ყურადღება მიაპყრო ახალი ტიპის ურთიერთკავშირს სარგებლის ოდენობასა და ზრდას შორის. კლასიკურ ზრდის მოდელებში მოგების დაცემის ტენდენციას უძრაობამდე მივყავდით, რაც დანაზოგებისადმი მიდრეკილებას აჩერებდა. კაპიტალის თეორიით ნაკრძალის მაგალითზე, სარგებელი იმ ტემპს შეესაბამება, რომელზედაც ხეები იზრდება.

„ოქროს წესმა“ ზრდის თეორია უდავოდ განავითარა. ეს იმიტომ კი არ იყო განსაკუთრებით მაღალი რიგის ინტელექტუალური მიღწევა, არამედ იმიტომ, რომ ის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უკანასკნელი თეორემა იყო, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ეკონომიკის მიმართულებაში.

შუმპეტერის ბიზნეს-ნოვაცია, ჰაროდის „დანის პირი“, სოლოუს ზრდის თვითმარეგულირებელი ძრავა, ფელპსის „ოქროს წესი“, ყველა მათგანით რეალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი იდეები გამოიხატა.

„ოქროს წესის“ შემდეგ, ზრდის თეორია მათემატიკოსი სპეციალისტების დამხმარე საშუალება გახდა მცირედი გამოსაელით იმათთვის, ვინც დამოუკიდებელი ეკონომიკური კვლევებითაა დაინტერესებული. ანალიზმა საბოლოოდ ადგილი დაიმკვიდრა.

ლიტერატურა

რ.აბესაძე, ეკონომიკური განვითარება, თბ., 2006.

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ელ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

ა.გრიშკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ვ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, თბ., 1996.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

ვ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Альтер П.Б., Буржуазная политическая экономия США, М., 1971.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Всемирная история экономической мысли, т.т. IV-V(I), М., 1990.

Гильфердинг Р., Финансовый капитал, М., 1912; Бем-Баверк как критик Маркса, Пер. с нем., М., 1923.

История экономичсских учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Кондратьев Н.Д., Большие цикли конъюнктуры и теория предвидения - Избранные труды, М., 2002.

Мировая экономическая мысль, тт. IV-V (1), М., 2004.

Новые явления в современной буржуазной политэкономии, т.2, М., 1963.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Böhm-Bawerk, Eine „dynamische" Theorie des Kapitalzinses - „Zeitschrift für Volkswirtschaft, Socialpolitik und Verwaltung, Bd.22, 1913.

Cassell G., Theoretische Socialökonomie, Lpz., 1918.

Domar E., Essays in the theory of economic growth, N.Y., 1957.

Fellps E.S., Fable for Growthmen – American Economic Review, 1961.

Haberler G., I.A. Schumpeter 1933-1950 - Quarterly Journal of Economics, Cambrt./Mass., 1951.

Harrod R., International Economics, L., 1933, Cambr.,1959; The Trade Cycle: An Essay, Oxf., 1936; Essay in Dynamic Theory – Ec. Journ., Vol.49, 1939; Towards A Dinamic Economics, L., 1948; The Life of John Maynard Keynes, L., 1951; Новые явления в современной буржуазной политэкономии, т.2, М., 1963; К теории экономической динамики – Классики кейнсианства, т.1, М., 1997.

Hillferding R., Das Finanzkapital, Wien, 1910.

Keynes J.M., The General Theorye of Employment, Interest, and Money, N.Y., 1936 - გერმ. თარგ.: Allgemeine Theorie der Beschäftigung, des Zinses und des Geldes, B., 1952; რუს. თარგმ.: Общая теория занятости, процента и денег, М., 1936/1978.

Lundberg E., Studies in the Theory of Economic Expansion, 1937.

März E., Österreichische Bankpolitik in der Zeit der großer Wende 1913-1923, Wien, 1981; Joseph Alois Schumpeter - Forscher, Lehrer und Politiker, Wien, 1983.

Schumpeter I.A.: Über die mathematische Methode der theoretischen Ökonomie in: Zeitschrift für Volkswirtschaft, Sozialpolitik und Verwaltung, Bd., 15, 1906 - Bd.23/1914; Theorie der wirtschaftlichen Entwicklung... München, Leipzig, 1911/1926; Zeitschrift für Vilkswirtschaft, Socialpolitik und Verwaltung, Bd.: 22/1913, 23/1914; Das Wissenschaftliche Lebenswerk E.v Böhm-Bawerks - in: „Zeitschrift für Volkswirtschaft, Sozialpolitik und Verwaltung, Bd.22, 1914; Grundriβ der Sozialökonomik, Tüb., 1914; Die Krise des Steuerstaats, Leipzig, 1918; Business Cycles, v.1-2, N.Y., L., 1939 - იგივე გერმ. ენაზე - Göttingen, 1962; Capitalism, Socialism and Domocracy, N.Y., L., 1942; Ten Great Economists, from Marx to Keynes, N.Y., 1951; History of Economic Analysis, N.Y., 1954; Теория экономического развития, Пер. с нем., М., 1983; Капитализм, социализм и демократия, Пер. с англ., М., 1995; История экономического анализа, Пер. с англ. т.1-3, Санкт-Петербург, 2004.

Solow R.: A Contribution to the Theory of Economic Growth // Quarterly Journal of Economics, V, 1956; Technical Change and the Aggregate Production Function – Rev. of Ec. and Statistics, VIII, 1957; Linear Programming and Economic Analysis. McGrow-Hill, 1958 (პ.სამუელსონთან და რ.დორფმანთან ერთად); Investment and Economic Growth: Some Comments // Productivity Measurement Review, XI, 1959; Investment and Technical Progress - Mathematical Methods in the Social Sciences, Stanford, 1960; Capital Labor Substitution and Economic Efficiency – Rev. of Ec. and Statistics, VIII, 1961(თანაავტ.); Technical Progress, Capital Formation, and Economic Growth - American Economic Review, May, 1962; Policy for Full Employment - Industrial Relations, XI, 1962; Capital Theory and the Rate of Return. Amsterdam, 1963; The Nature and Sources of Unemployment in the United States, Stockholm, 1964; Price Expectations and the Behavior of the Price Level, Manchester Univ., press, 1968; Growth Theory: An Exposition, Oxford, 1969; The Economics of Resources and the Resources of Economics - American Ec. Rev., Paper and Proceedng, May, 1974; Intergenerational Equity and Exhaustible Recources – Rev. of Ec. Studies, vol. 64, №3, 08, 1974; Exstraction Costs in the Theory of Exhaustible Resources - Bell Journal, Automn, 1976 (ფ.ვანთან ერთად); Conver-

sations with Neo-Keynesian Economists: The 'Older Generation' - Conversations with Economists: New Classical Economists and Opponents Speak out on the Current Controversy in Macroeconomics / Ed. by A.Klamer. [New York], 1984; Economic History and Economics - American Ec. Rev.,. Vol. 75, № 2, 1985; What is a Nice Girl Like You Doing in a Place Like This? Macroeconomics After Fifty Years - Eastern Ec. J., Vol.XII, № 3, 1987; Economic Growth and the Structure of Long-term Development. (რედ.) Macmillan Press, 1994; რუს. თარგმ.: Перспективы теории роста – ж. МЭ и МО, №. 8, 1996,. გვ. 69-77; Экономическая теория ресурсов или ресурсы экономической теории. Лекция, прочитанная в честь Ричарда Т.Эли - Вехи экономической мысли..., Т. 3, СПб., 2000. გვ. 304-311; Теория роста и дискуссии о ней – Мировая экономическая мысль, т.5, кн. I, М., 2004, გვ. 574-592.

Starbaty Ioachim, Die Staatskonzeption bei Keynes und Schumpeter - Schriften des Vereins für Sozialpolitik, Neue Folge, Bd.115-4, B., 1985.

თავი XXIV.
კეთილდღეობის ეკონომიკური დოქტრინები

მარჟინალისტური ხანა „ზღვრული სარგებლიანობის" დოქტრინის „მზის ჩასვენებით" დამთავრდა. იგი ეკონომიკაში წამყვან როლს აღარ ასრულებდა, თუმცა „სარგებლიანობის სული" მთლად არ გამქრალა, მხოლოდ მისი მოქმედების არეალი შეივიწროვდა.

მოდელების აგების ხანაში, ნორმატიული (დადგენილი) ინტერესები არანაკლებ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ვალრასის, მილის ან სმითის დროს.

წამყვანი ეკონომისტების უმეტესობა უკვე ეკონომიკურ კეთილდღეობაში თავისი წვლილის შეტანას ცდილობდა.

1. პრობლემისადმი აქცენტირება: ჯონ ჰობსონი (1858-1940)

„კლასიკოსები" პროდუქტის წარმოებას, მის მიწოდებასა და ღირებულებას განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ. ეკონომიკური პრობლემების შემდგომ გამოკვლევებში, როგორც ეკოლუციური, ასევე რევოლუციური ცვლილებები განხორციელდა; თანამედროვე ეკონომიკური თეორია ხაზს უსვამს დანახარჯები-მოხმარების, მოთხოვნა-საჭიროებისა და გამოსადეგობა-სარგებლიანობის ანალიზს.

კეთილდღეობას, როგორც პირდაპირ მიზანს, უკვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო ეკონომიკსი განიხილება როგორც ხელოვნება და ამავდროულად მეცნიერება.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის სრულყოფა, როგორც მისაწვდომი მიზანი კაპიტალისტური სისტემის მართვაში, ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური ხელოვნების გამოყენებით, სისრულეში მოდის საზოგადოებრივი რეფორმების პერიოდში და ეს სწორედ იმ ადამიანების პროგრამაა, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც **„კეთილდღეობის ეკონომისტები"**.

ზოგიერთი „კეთილდღეობის ეკონომისტი", ჯონ რუსკინის შემთხვევაში, უფრო მეტად ჰგავს საზოგადოებრივ რეფორმატორს, ვიდრე ეკონომისტს. ისინი ხაზგასმით იხრებოდნენ და მიისწრაფოდნენ ეთიკისა და ესთეტიკისაკენ. მათი მიზანია კლასიკური დოქტრინების კრიტიკა და ადამიანთა უთანასწორობისა და ეკონომიკური ჩაგვრის აღმოფხვრა. ისინი დანაზოგებსა და დანახარჯებს შორის სწორი თანაფარდობის არსებობას დაჟინებით მოითხოვენ.

მათი შეხედულებით, საზოგადოების შემოსავლების ნაწილის არასწორი დანაზოგი „არაპროდუქტიულ ნამატს" ქმნის და ვაჭრობის განვითარების ციკლის დასრულებასა და ამავდროულად კრიზისებს იწვევს. თავის მხრივ, მრეწველობის დასუსტება კიდევ უფრო ართულებს შემოსავლების გადანაწილების პრობლემას და ღარიბი ხალხის მდგომარეობას.

„კეთილდღეობის ეკონომისტები" განაწილების არსებულ სისტემას აკრიტიკებენ და ამ სისტემის სრულყოფისათვის მასზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესებას მოითხოვენ.

კეთილდღეობის ფილოსოფიის მიმდევარია ინგლისელი ჯონ ა. ჰობსონი.

1.1. სამუშაო შენის იდეოლოგი

ინგლისელი ეკონომისტი, საზოგადოებრივი რეფორმატორი და ჟურნალისტი **ჯონ ატკინსონ ჰობსონი** (Hobson) წარმოშობით საშუალო დონის კარგი ოჯახიდან იყო. ოქსფორდში მისი განათლების მიღება რიკარდიანული სისტემის შესუსტებასა და ხანგრძლივი თეორიული დისკუსიების დაწყებას დაემთხვა. ინგლისელ ეკონომისტსა და სოციოლოგს **არნოლდ ტოინბის** (Toynbee, 1852-1883)[1] - ოქსფორდის უნივერსიტეტის მაშინდელ ლექტორსა და **ჯონ რუსკინს** (1871 წელს ინგლისელ მუშებთან ერთად ექსპერიმენტის სახით წმინდა ჯორჯის სახელობის გილდიის დამაარსებელს)

1 **Hobson** J.A.: The evolution of modern capitalism, L., 1894; Imperialism: A Study, L., 1902; The Industrial System, L., 1909.

ჰობსონზე ორიენს მყარი ზეგავლენა გააჩნდათ, რომელიც საზოგადოების რეფორმირების და მუშათა კლასის განათლების პრობლემებით იყო დაკავებული.

ოქსფორდის უნივერსიტეტის დამთავრების (1878) შემდეგ, 1880-87 წლებში, ჰობსონი სკოლის დირექტორად მუშაობდა, ხოლო მომდევნო ათი წელი (1887-92) იგი ოქსფორდისა და ლონდონის უნივერსიტეტებში მუშათა კლასის წარმომადგენლებს პოლიტეკონომიაში ლექციებს უკითხავდა.

თავდაპირველად ეს იყო ლიტერატურული ჟანრის ლექციები, თუმცა, ის მალე ეკონომიკურ საკითხებზე დისკუსიებში გადაიზარდა. ეს იყო განმარტებითი ხასიათის ლექციები სამრეწველო ორგანიზაციების სტრუქტურის შესახებ და ამავდროულად, ისინი განიხილავდნენ მუშათა კლასის პრობლემებს მათივე შეხედულებებიდან გამომდინარე.

მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ჰობსონმა 30-ზე მეტი წიგნი და უამრავი სტატია გამოაქვეყნა, რომელთა დიდი ნაწილი სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემებს ეხებოდა.

ჰობსონი დიდ ყურადღებას აქცევს კეთილდღეობას, რომლის ზოგადი მნიშვნელობაც „კარგი ცხოვრების" იდენტურია. იგი ეწეოდა იმ ჯონ რუსკინის იდეალების პროპაგანდას, რომელსაც სძულდა სამრეწველო რევოლუცია და ხელოსნობითა და ოსტატების მუშაობით მანქანური ხანის ჩანაცვლება სურდა. ასეთი სახის ეკონომიკური სისტემის დედაარსი კი ადამიანური ფასეულობაა.

მისი საუკეთესო ნაშრომებია[1]: „თანამედროვე კაპიტალიზმის ევოლუცია" (1894), „იმპერიალიზმი" (1902), „ინდუსტრიული სისტემა" (1909) და სხვ.

მისი „შრომა და სიმდიდრე" (1914) შეიცავს მის მიერ შემოთავაზებულ, ინდუსტრიული საზოგადოების ნაკლოვანებების გამოსწორების გეგმის საუკეთესო მონახაზებს.

ჰობსონი აღიარებულია იმ საშუალო კლასის რეფორმატორთა ეკონომიკურ თეორეტიკოსად, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კეთილდღეობით და არა სიმდიდრით.

1.2. კლასიკოსთა კრიტიკოსი

„კეთილდღეობის ეკონომისტები" კლასიკურ დოქტრინებს აკრიტიკებენ. ეკონომიკური საკითხებისადმი მათი მიდგომები უფრო მეტად თვისებრივია, ვიდრე რაოდენობრივი.

ჰობსონი ედავება კლასიკურ დოქტრინას, პირველი იმიტომ, რომ, მისი აზრით, თავისუფალი კონკურენცია უკვე აღარ არის მყარი, მეორე კი იმის გამო, რომ საბაზრო ფასი აღარ არის ხარისხის მაჩვენებელი.

მის მიერ განხილულ ეკონომიკაში ინდუსტრია შეფასებულია კეთილდღეობის სტანდარტით, ხოლო, თავის მხრივ, კეთილდღეობის მაჩვენებელია ცხოვრების დონე. თუმცა, ეს კრიტერიუმი ყოველთვის ობიექტურ საზომ სისტემას არ წარმოადგენს.

ჰობსონის მტკიცებით, წარმოების მიზანი - მოხმარებით მიღებული სიამოვნებაა. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ნორმალური ურთიერთობების შედეგი ეკონომიკის საზღვრებს სცდება, რაც მნიშვნელოვანია ადამიანთა კეთილდღეობის თვალსაზრისით, რომელიც ამოუწურავი ან, უკეთეს შემთხვევაში, ცუდად გამოკვლეულია.

ჰობსონისეული ეკონომიკური ცხოვრების აღწერით, ბიზნესის ქსელს მიღმა არსებობს იდეები, სურვილები და ურთიერთობები, რაც მის სულიერ სტრუქტურას წარმოადგენს. თუმცა, მისი აზრით, ეკონომიკური მეცნიერება წლიდან წლამდე ცდილობს ნაკლებად მატერიალისტურობას და ყურადღება ინდუსტრიული სისტემისადმი მეტ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას; ეკონომიკისადმი მექანიკური მიდგომისას ფასეულობის და სარგებლის ძირითადი მნიშვნელობა ფულადია. სიმდიდრე ფასდება ფულით; პროდუქტის მოხმარებით მიღებული სარგებელი დაღებითად უნდა შეფასდეს.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ჰობსონმა გამოყო სამი ძირითადი ნაკლი:

პირველი, წარმოების შემდგომი გადაჭარბებული დაძაბულობა, რომელიც მეცნიერულ ტერმინოლოგიასა და მეთოდოლოგიაში ასახულია შესაბამისი ხარჯების უგულებელყოფასთან ერთად;

მეორე, ფასეულობათა სტანდარტი, რომელსაც ადამიანის კეთილდღეობასთან მიმართებით არანაირი თანამიმდევრული ურთიერთობა არ გააჩნია;

1 **Hobson** J.A., Work and Wealth, L., 1914.

მესამე, ეკონომიკური სისტემის მექანიკური კონცეფცია, რომელიც სიმდიდრის წარმოებას მექანიკური საშუალებებით ცდილობს.

1.3. წარმოება და მატერიალური კეთილდღეობა

მატერიალური კეთილდღეობა მრეწველობაში განვითარებულ პროცესებთან ახლო კავშირშია, მაგრამ როდესაც ჰობსონი პასუხობს თავისივე მიერ დასმულ კითხვას „რა სახის საქონელი იწარმოება?" ის გვარწმუნებს, რომ წარმოებული საქონლის დიდი ნაწილი, სათანადო სტანდარტებით შეფასების შემთხვევაში, გამოუსადეგარი და ზარალიანია. ეს **„გამოუსადეგარი მოხმარების საგნები და მომსახურება" „არაპროდუქტიულ ნამატს" ქმნის**. სამრეწველო ენერგიის არასწორად გამოყენებას საზოგადოების ყველა ფენისათვის დამაკმაყოფილებელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად სასარგებლო საქონლით მომარაგების დაბრკოლება მოჰყვება. პროდუქციის წარმოების მეცნიერული პროცესებიდან გამომდინარე, მიღებული „ნამატის" დიდი ნაწილი მოხმარების სფეროებს ხმარდება, რაც ეკონომიკური ზარალიანობის წინაპირობაა. ამ დროს ნამატის არანაირი, თუნდაც უმნიშვნელო თანხაც კი შესამჩნევ მოხმარებაში არ იხარჯება.

1.4. სახელმწიფო სოციალური რეფორმა

ცუდი პროდუქტის და ცუდი მოხმარების არსებობის დაძლევა, ჰობსონის აზრით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევით და ცხოვრებაში უკეთესი განაწილების სისტემის შექმნით შესაძლებელია ავიცილოთ. შემოთავაზებული სოციალური კონტროლის მექანიზმს **„განაწილების სამოქალაქო კანონი"** მოჰყვება, რომლის მიხედვითაც პროდუქტის ღირებულება უნდა განაწილდეს ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით. სოციალური რეფორმით შემოთავაზებული სოციალური ჰარმონია მხოლოდ თანამედროვე სამრეწველო ორგანიზაციის მიერ წარმოებული „ნამატის" სამართლიანი გადანაწილებითაა მისაწვდომი. შემოთავაზებული მეთოდი „ადამიანთა" მიერ სიმდიდრის შეფასების კრიტერიუმებს უნდა დაეფუძნოს. ჰობსონი მრავალგზის იმეორებს, რომ მისი სოციალური რეფორმა ეყრდნობა შემდეგ პრინციპს: **„თითოეულისაგან თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე და თითოეულს, როგორც მოხმარებელს, თავისი საჭიროების მიხედვით"**.

ჰობსონის მიერ შემოთავაზებული სოციალური კონტროლის სქემა პირადი მოგების მიღებასაც არ გამორიცხავს: არც ერთი მხატვრული ჟანრის საქმიანობა არ უნდა იყოს ხელშეშლილი და გაკონტროლებული; ყველა ექსპერიმენტალურ მრეწველობას თავისუფლება უნდა მიენიჭოს; ყველა ახალი ბიზნეს-საქმიანობის დაწყება უნდა წახალისდეს; ის სამრეწველო დარგები, რომლებიც სახალხო მოხმარებისათვის მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ისინი, რომლებიც მონოპოლისტური მდგომარეობის დასამკვიდრებლად ზრუნავენ უნდა განსაზოგადდეს.

საერთოდ, ჰობსონის სოციალური რეფორმები, უპირველეს ყოვლისა, მინიმალური ხელფასის დადგენას, მაღალი პროგრესიული გადასახადის შემოღებას, მონოპოლიებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესებას ითვალისწინებდა.

ჰობსონის ღრმა რწმენით, თავისუფლებისა და კონტროლის კომბინაცია, იმ შემთხვევაში თუ იგი შესაფერისი ხელფასითა და სხვადასხვა სოციალური კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იქნება, კარგი ცხოვრების პირობების ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს. განსაზოგადოებული მრეწველობიდან მიღებული შემოსავალი უფრო მეტად ეფექტურ განათლებას, აგრეთვე, ჯანდაცვის სფეროში ადეკვატურ მომსახურებას, სასარგებლო დასვენებასა და საზოგადოებრივი მომსახურების ბევრ სხვადასხვა სახეობას უზრუნველყოფს.

მრეწველობის დახმარებით, როგორც ამას ჰობსონი წინასწარმეტყველებს, სიმდიდრის გადანაწილების სამოქალაქო კანონთან შესაბამისობაში მოყვანილი სისტემის გამოყენება, ფუფუნებისა და სიღატაკის, მძიმე შრომისა და უმუშევრობის პრობლემების გადაჭრას საკმაოდ ადვილ შესაძლებლობად თვლის.

გარდა უსაფრთხოების მიღწევისა და ეკონომიკური ცხოვრების რაციონალიზაციისა, ადამიანის შესაძლებლობების ყველა რესურსი ბოლომდე უნდა გამოვლინდეს, ხოლო ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტი უკეთესობისკენ უნდა გარდაიქმნას.

1.5. საარსებო ღირებულება

ჰობსონის მტკიცებით, ღირებულებისა და სარგებლიანობის გამოხატვა ადამიანისეული ძალისხმევითა და კმაყოფილების ტერმინოლოგიაში, შესაბამისად სიახლეს არ წარმოადგენს; ვერც ადამიანის კეთილდღეობის სტანდარტის მაგივრობას გაწევს ფულად-საკრედიტო სტანდარტი.

საარსებო ღირებულება ადრე შემოთავაზებული იყო რეფორმატორების მიერ, როგორც სტანდარტ-კრიტერიუმი. ამის მხარდასაჭერად ჰობსონი წერს: იგი საფუძვლად დაედო ორთოდოქსული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკას საზოგადოებრივი რეფორმატორების მიერ.

ასეთ კრიტიკაში ყველაზე ეფექტური ჯონ რუსკინის ვარიანტი აღმოჩნდა, რომელიც საარსებო ღირებულების სახით ჩამოყალიბდა. მისი ცნობილი დეკლარაცია, რომ: „არ არსებობს სიმდიდრე, არსებობს სიცოცხლე“ და მისი დაჟინება, რომ ყველა კონკრეტული სიმდიდრე ან ფულადი შემოსავალი მისი წარმოების ღირებულებისა და მისი მოხმარების სარგებლიანობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს - ადამიანის მიერ წარმოების სწორი შეფასებაა. ეს სასიცოცხლო კრიტერიუმი მან წარმოადგინა დიდი გამოცდილების საჩვენებლად, წარმოებისა და მოხმარების პროცესების მსგავსად, რაც იწვევს უხეშ შეუფარდებლობას ფულის ხარჯვასა და არაფულად ხარჯებს შორის; ფულად-საკრედიტო სიმდიდრესა და საარსებო სიმდიდრეს შორის.

არავის არასოდეს არ გააჩნდა უფრო მეტად ნათელი და არსებითად ორგანული სახის ყოველმხრივი შეხედულება სხვადასხვა მწარმოებლური ქმედების ჰარმონიის შესახებ, რაც თავის მხრივ საჭიროა ჯანსაღი ცხოვრებისათვის და აგრეთვე სამომხმარებლო გამოყენებისა და სამომხმარებლო კმაყოფილების ჰარმონიასთანაა დაკავშირებული.

1.6. კეთილდღეობის კრიტერიუმები

„კეთილდღეობის ეკონომისტები“ ადამიანის საყოფაცხოვრებო და კომუნალურ ხარჯებს შორის დაუბალანსებლობას გეთავაზობენ. <u>ინდუსტრიული სისტემა</u> (რომელიც გადაჭარბებულ აქცენტს აკეთებს მწარმოებლურობაზე) დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანს, როგორც სამუშაო ძალას, მაგრამ მეტისმეტად ნაკლებ ყურადღებას უთმობს ჯანმრთელობისათვის მებრძოლ ადამიანს.

კეთილდღეობის ფილოსოფიის მიხედვით ადამიანი საბაზრო პროდუქტის მწარმოებელია. ადამიანის მიერ გაწეული <u>შრომა</u> პროდუქტის წარმოების პროცესში — ითვლება <u>მსხვერპლად</u>, რომელიც კომუნალური მომსახურებით უნდა დაბალანსდეს.

დანაზოგს, როგორც კაპიტალის წყაროს, თან სდევს „<u>მსხვერპლშეწირვა</u>“. ეს „მსხვერპლი“ ადამიანის მიერ ერთ-ერთი არათანაბარი დანახარჯთაგანია. მაღალი და საშუალო ფენების მიერ გაწეული ეკონომია არანაირ მსხვერპლს არ მოითხოვს. მათი შემოსავალი გაცილებით აღემატება იმ თანხებს, რაც ამ ხალხს კომფორტული ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად სჭირდებათ. ამავდროულად მათი სამუშაო უმეტესწილად არტისტულ-შხატვრული, გამომგონებლური, პროფესიული და მმართველობითი ხასიათისაა და სწორედ ამის გამო ეს სამუშაო მათთვის სასიამოვნო და საინტერესოა. ასეთი პირობები მუშათა კლასს არ გააჩნია. მათთვის კომუნალური მომსახურების ხარჯები მეტისმეტად მძიმეა მით უფრო, რომ ისინი ფიზიკური დატვირთვის ხარჯზე უმძიმეს, არასაინტერესო და ერთფეროვან სამუშაოებს ასრულებენ.

ჰობსონის დასკვნით, მხოლოდ მომჭირნე და მძიმე სამუშაოებში ჩაბმულ ადამიანთა მცირე ნაწილი უძლებს მძიმე საყოფაცხოვრებო ხარჯებს. უმეტეს მუშათა ოჯახებში (მას მერე, რაც ეკონომია გახდა მათი მომავლის უსაფრთხოების გარანტი) საარსებო პირობები მათ მიერ ყველაფერზე (მ.შ. კომფორტი, განათლება, სასიამოვნო კულტურული ცხოვრება) უარის თქმით მიიღწევა.

2. დანაზოგები და შასები: შრენჯ რამსეი (1903-1930)

2.1. ხანმოკლე სიცოცხლე

მათემატიკური მოდელების შექმნისაკენ მკვეთრი ნაბიჯი ინგლისელმა ეკონომისტმა **ფრენკ პლამპტონ რამსეიმ** (Ramsay) გადადგა.

იგი დაიბადა 1903 წელს, კემბრიჯში, სადაც მამამისი მაგდალინას კოლეჯის პრეზიდენტი იყო. ვინჩესტერის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თავისი ხანმოკლე ცხოვრების დარჩენილი ნაწილი მან კემბრიჯში გაატარა, სადაც ჯერ ტრინიტის კოლეჯის სტიპენდიანტი, შემდეგ სამეფო კოლეჯის ასპირანტი, მოგვიანებით კი მათემატიკაში უნივერსიტეტის ლექტორი გახდა.

1930 წელს იგი ოცდაშვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა.

2.2. დანაზოგების წესი

რამსეის ნაშრომების რედაქტორის შენიშვნით, კემბრიჯმა მისი სახით ინტელექტუალური ბრწყინვალება, ხოლო თანამედროვე ფილოსოფიამ ერთ-ერთი უღრმესი მოაზროვნე დაკარგა. ზოგიერთის აზრით, მას რომ ეცოცხლა, მეორე ჯონ ფონ ნეიმანი გახდებოდა.

მისი ბიოგრაფიული ნარკვევები მისმა მეგობარმა ჯ.მ.კეინზმა დაწერა.

საერთო სათაური – **„საფუძვლები: ნარკვევები ფილოსოფიაში, ლოგიკაში, მათემატიკასა და ეკონომიკაში“**, რომელიც ხელახლა დაიბეჭდა 1978 წელს[1] შესანიშნავად გადმოსცემდა რამსეის მისწრაფებების არსს.

ფილოსოფიურ ნაწარმოებებს შორის ეკონომისტებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნარკვევი – **„ჭეშმარიტება და ალბათობა“** (1926), რამდენადაც მან საფუძველი ჩაუყარა სუბიექტურ ალბათობებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების თეორიას.

რამსეიმ მხოლოდ ორი სტატია მიუძღვნა საკუთრივ ეკონომიკურ მეცნიერებას და თითოეული მათგანი კეთილდღეობის თეორიის რთულ პრობლემებს ეხება.

ნაშრომში – **„დანაზოგების მათემატიკური თეორია“** (1928)[2] რამსეი კაპიტალის დაგროვების ოპტიმალურ გზას განსაზღვრავს, რომლის მეშვეობითაც კონკრეტული რაოდენობის მოსახლეობამ მაქსიმალური კეთილდღეობის სტაციონალურ მდგომარეობას, ანუ „ნეტარებას“ უნდა მიაღწიოს.

მისი აზრით, აქციონერულ საზოგადოებაში წარმოების მოცულობა აქციონერულ კაპიტალზეა დამოკიდებული, რომლის მოხმარებაც და დაზოგვაც შესაძლებელია. პირველ შემთხვევაში იგი პირდაპირ სარგებლიანობას იძლევა, მეორე შემთხვევაში კი ძირითადი კაპიტალის მატებით მომავალ სარგებლიანობას უზრუნველყოფს; დიდი დანაზოგების შემთხვევაში „ნეტარება“ სწრაფად მიღწევადია, მცირე დანაზოგებისას კი მცირდება.

რამსეის აზრით, კაპიტალის დაგროვება ოპტიმალურია, თუ მოხმარების ზღვრული სარგებლიანობა სარგებლის განაკვეთის ტოლი სიდიდით კლებულობს. დანაზოგები წარმოების მასშტაბების ზრდით მიღებული ნამატი შემოსავლით უნდა გაწონასწორდეს[3].

რამსეის ზემოაღნიშნული ნაშრომი სწორედ იმითაა ცნობილი, რომ მასში **კაპიტალის დაგროვების ოპტიმალური გზის ერთ-ერთ პირველი მკაფიო განსაზღვრებაა მოცემული.**

კეინზი რამსეის ნაშრომს არა მარტო „ეკონომისტისათვის წასაკითხად საშინლად რთულს“ უწოდებდა, არამედ მათემატიკურ ეკონომიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წვლილადაც თვლიდა.

მიუხედავად ამისა, რამსეის **ინტელექტუალური ღვაწლი – „დანაზოგების წესი“** ეკონომიკის მთავარი მიმართულების ძირითადი შემადგენელი ნაწილი მაინც ვერ გახდა.

კეთილდღეობის ეკონომიკაში რამსეის მეორე სტატიის – **„წვლილი დაბეგვრის თეორიაში“**[4] – ბედი განსხვავებული იყო.

---

1 **Ramsey** F., Foundations: Essays in Philosoophy, Logic, Mathematics and Economics, L., 1978.

2 A Mathematical Theory of Saving - Econ. J., 38/1928.

3 **Ramsey** F., Foundations: Essays in Philosoophy, Logic, Mathematics and Economics, გვ. 542.

4 **Ramsey** F., A Contribution to the Theory of Taxation - Econ. Journ, 37(145), 1927.

პიგუმ რამსეის წინაშე შემდეგი პრობლემა დასვა: დავუშვათ, რომ მთავრობას დამატებითი შემოსავლები სჭირდება, რომელთა მიღება სხვადასხვა გადასახადებით (მაგალითად, საშემოსავლო, მიწის და ა.შ.) შეიძლება. ზოგადად, ასეთ შემთხვევაში კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება და როგორი უნდა იყოს დაბეგვრიდან მინიმალური დანაკარგები?

რამსეის „წესის" მათემატიკური ამოხსნის სიტყვიერი არსი შემდეგია: ქეყანაში ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში მაქსიმალური კეთილდღეობის მიღწევა, მოთხოვნის ელასტიკურობათა მიხედვით შესწავლას მოითხოვს. იქ, სადაც ფასების მიმართ მოთხოვნა მეტისმეტად მგრძნობიარეა, ფასი თვითღირებულებას უახლოვდება, ხოლო იქ, სადაც მოთხოვნა ნაკლებად მგრძნობიარეა, გადახრაც მეტია.

რამსეის „წესი" მონოპოლისტური მოგების მაძიებლისათვის ოპტიმალური ფასის ძიებაზეც მიგვანიშნებს.

აქედან გამომდინარე, დიდი ხნის განმავლობაში მიაჩნდათ, რომ რკინიგზისა და კომუნალური მომსახურების ტარიფების დიფერენცირება იმისდა მიხედვით უნდა მოხდეს, თუ „რას აიტანს ბაზარი".

უფრო ზუსტად: მოგება იზრდება, თუ ფასები თვითღირებულებას თანდათანობით აჭარბებს, რომელიც, თავის მხრივ, მოთხოვნის ელასტიკურობის უკუპროპორციულია.

ამგვარად, კომუნალური მომსახურების ლიბერალური სატარიფო სტრუქტურა მონოპოლისტური სატარიფო სტრუქტურისაგან დიდად არ განსხვავდება.

რამსეის აღნიშვნით, რომელ საქონელზედაც მოთხოვნა არსებობს, გადასახადის მთელი სიმძიმეც მასზე გადადის. თუ მთლიან შემოსავალს გადასახადი მიესადაგება, მაშინ ყველა პროდუქტის რეალიზება მაღალი ფასით უნდა მოხდეს.

რამსეის დამსახურება შეუმჩნეველი არ დარჩენილა, – იგი პიგუს, სამუელსონისა და სხვ. მიერ ფართოდ გაშუქდა.

3. კეთილდღეობის ამაღლების გზები: აბა ლერნერი (1905-1982)

კეთილდღეობის თეორიაში პიგუს ნაშრომები კონკრეტულ ბაზრებს ეხებოდა, აბა ლერნერმა კი მარშალისა და პარეტოს ზოგადი წონასწორობის ტრადიციები გააერთიანა.

3.1. რუსეთიდან ინგლისსა და აშშ-ში

ამერიკელი ეკონომისტი **აბა ლერნერი** (Lerner) დაიბადა რუსეთში (იმდროინდელ ბესარაბიაში), 1905 წელს. მისი მშობლები საცხოვრებლად ინგლისში გადასახლდნენ და პატარა ლერნერი ლონდონში გაიზარდა.

ახალგაზრდობის წლებში იგი ჰებრიუს სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა და მცირე ბიზნესს მისდევდა. ოცდაექვსი წლის ასაკში იგი ლონდონის ეკონომიკურ სასწავლებელშია.

იგი ყველაფერში ფრენკ რამსეის საპირისპირო პოზიციებზე იდგა.

ლერნერი ბრწყინვალე სტუდენტი იყო. რამდენიმე წელიწადში მან მთელი რიგი მნიშვნელოვანი სტატიები გამოაქვეყნა. იგი იყო ჟურნალ „ეკონომიკური სწავლების მიმოხილვის" ("Review of Economic Studies") დამაარსებელი, მთავარი რედაქტორი და კეინზელობის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი.

1937 წელს, მას შემდეგ, რაც რამდენიმე სემესტრი ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში ასწავლიდა, ლერნერი აშშ-ში გადასახლდა. აქ იგი მოკლევადიან პედაგოგიურ თანამდებობებზე მუშაობდა კოლუმბიის, ნიუ-იორკისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში.

1943 წელს ლონდონის ეკონომიკურმა სკოლამ მას ფილოსოფიის დოქტორის წოდება (დისერტაცია ეკონომიკის მართვის პრობლემებს ეხებოდა) მიანიჭა.

გარდაიცვალა ფლორიდაში 1982 წელს.

32. პრაგმატული კოლექტივიზმი

ლერნერი კეთილდღეობის თეორიაზე დამყარებულ დემოკრატიულ საბაზრო სოციალიზმზე ოცნებობდა. 1938 წელს იგი მეხიკოში ტროცკისთან შესახვედრად გაემგზავრა, რათა დაერწმუნებინა იგი, რომ რევოლუცია მარჟინალიზმს უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ ამაოდ.

ლერნერი ყოველთვის გეგმებითა და წინადადებებით იყო აღსავსე, რომლებიც ხშირად განუხორციელებლად ან ბუნდოვნად ეჩვენებოდათ.

ის ერთ-ერთი იმ ეკონომისტთაგანია, რომელიც, მათემატიკის გარეშეც მნიშვნელოვან თეორიულ სამუშაოებს ასრულებდა. ნიჭიერი ხელოვანიც იყო: **შექმნა მათულის** რამდენიმე **მოძრავი ქანდაკება**.

ეკონომიკაში ლერნერის ადრეული პერიოდის ნაშრომები ძირითადად საერთაშორისო ვაჭრობას, მიკროეკონომიკას და კეთილდღეობის ეკონომიკას ეძღვნება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია – „კონტროლირებადი ეკონომიკა“ (1944)[1]. მასში გამოთქმული თეორიული შედეგების მიხედვით ეკონომიკაზე სახელმწიფო კონტროლი დამოკიდებული არ უნდა იყოს წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმაზე, მან უნდა უზრუნველყოს კერძო საწარმოთა საქმიანობა საზოგადოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამისათვის ქვეყანაში უნდა არსებობდეს საკუთრების ისეთი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთესად ემსახურება საზოგადოების ინტერესებს[2]. მისმა მოდელმა „**პრაგმატული**[3] კოლექტივიზმის“ სახელწოდება მიიღო.

მოგვიანებით ლერნერის განსაკუთრებული ყურადღება ინფლაციის პრობლემებმა მიიპყრო. იგი იზიარებდა რიგ კეინზელთა შეხედულებებს იმის შესახებ, რომ სრულმა დასაქმებამ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს და რომ საშემოსავლო პოლიტიკით (კერძოდ, ხელფასების კონტროლით) სტაბილურ ფასებთან მისი შეთავსება შესაძლებელია.

ლერნერის აზრით, ასეთ კონტროლს იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ ხელფასების დონე არსებულ მდგომარეობას ასახავს.

კეინზელობას ლერნერში მარჟინალისტი არ დაუთრგუნავს. უფრო მართებულია იმის აღნიშვნა, რომ კეთილდღეობის შესახებ მისი გვიანდელი ნაშრომები, მისი ადრინდელი ნაშრომების მნიშვნელობასა და თეორიულ სიმაღლეს ვერ აღწევს.

კეთილდღეობის ლერნერისეული ანალიზი მიმართულია იმის გამოკვლევაზე, თუ როგორ უნდა შეძლოს დემოკრატიულმა მთავრობამ თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდა. ამის მიღწევის ერთ-ერთ გზად ავტორი შემოსავლების გათანაბრებას ასახელებს, თუმცა თვლის, რომ შემოსავლების თანაბრად განაწილება შრომის სტიმულირების, სექტორებისა და პროფესიების მიხედვით სამუშაო ძალის რაციონალურ გამოყენებას ვერ უზრუნველყოფსო.

კეთილდღეობის ამაღლების **მეორე გზად** რესურსების განლაგების გაუმჯობესებაა დასახელებული. ეს სწორედ ის თემაა, რომელსაც ლერნერმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

რესურსების განლაგების გაუმჯობესების ძირითადი კრიტერიუმია ის, რომ ადამიანთა ნაწილს უკეთესი მატერიალური მდგომარეობის მიღწევა სხვათა პირობების გაუარესების გარეშეც შეუძლია. რესურსების განლაგება ოპტიმალურია მაშინ, როდესაც ასეთი გაუმჯობესებებისათვის დამატებითი რეზერვების გამონახვა უკვე შეუძლებელია. ამ კრიტერიუმით ლერნერმა ფაქტობრივად პარეტოს ოპტიმალურობა (პარეტოს იგი არ იცნობდა და ეს შეხედულება ინგლისურენოვან ლიტერატურაში წარმოადგინა) აღმოაჩინა.

ლერნერის დამსახურება ისაა, რომ მან რესურსების განლაგების საჭირო პირობები ამომწურავად ჩამოაყალიბა. თუ მანამდე ცალკეული ასპექტები განიხილებოდა, ლერნერმა სისტემა მთლიანობაში აღწერა. ეს სისტემა პირობათა სამ ჯგუფს მოიცავს:

პირველი ჯგუფი პიროვნებათაშორის გარკვეული რაოდენობის სამომხმარებლო საქონლის განაწილებას მართავს, ანუ ნებისმიერი ორი სახის საქონლის შენაცვლების ზღვრული ნორმა ყველა

---

1 The Economics of Control..., N.Y., 1944.

2 Всемирная история экономической мысли, т.4, გვ. 540.

3 **პრაგმატიზმი** (ბერძ. pragmatos) – ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა (და არა ობიექტურ ჭეშმარიტებას).

პიროვნებისათვის ერთნაირი უნდა იყოს. ამ პირობის დაკმაყოფილებამდე (სხვათა კეთილდღეობის შემცირების გარეშეც) შესაძლებელია ზოგიერთის მეტად გაბედნიერება, მათ შორის, საქონლის მარტივი გადანაწილებით: თუ ერთ პიროვნებას სამი თხილის ნაცვლად ერთი ვაშლი სურს, ხოლო მეორეს — ვაშლის ერთ თხილზე გაცვლა, მაშინ ვაშლის ორ თხილზე გაცვლით ორივე კმაყოფილი რჩება.

თავისთავად ასეთი მიდგომა განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოადგენს. იგი საფუძვლად უდევს ინგლისელი ეკონომისტის ფ.უ. ეჯუორთის (1845-1926) ოპტიმალური გარიგებების მრუდს, რომელიც მოგვიანებით პარეტომ გრაფიკულად გამოსახა და „ეჯუორთის ყუთის“ სახელწოდებითაა ცნობილი;

პირობათა მეორე ჯგუფი სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლის წარმოებისას რესურსების განლაგებას მართავს. დავუშვათ, რომ მოცემულ მომენტში მხოლოდ ერთი რესურსი არსებობს. მისი გამოყენება სამომხმარებლო საქონელთა სხვადასხვა კომბინაციის საწარმოებლად შეიძლება. ზუსტად ორი საქონლისათვის ეს კომბინაციები წარმოების შესაძლებლობათა მრუდზე[1] შეიძლება განლაგდეს[2]. მისი დახრილობა ნებისმიერ წერტილში ერთი საქონლის მეორედ გარდაქმნას უჩვენებს. ცხადია, ასეთი გარდაქმნა ორი საქონლის თვითღირებულებათა შეფარდებას შეესაბამება.

პირობათა მეორე ჯგუფის მიხედვით, იმისათვის, რომ საქონლის მიმართ რესურსები განაწილებისათვის ოპტიმალური იყოს, ისინი ისე უნდა განლაგდნენ, მოხმარებაში წარმოების შესაძლებლობისა და საქონლის შენაცვლების ზღვრული ნორმები თანაბარი იყოს. როდესაც ოთხი ცალი თხილის წარმოება ერთი ვაშლითაა შესაძლებელი და მომხმარებლებს ერთი ვაშლის სანაცვლოდ მხოლოდ ორი ცალი თხილი სჭირდებათ, მაშინ ცხადია, არსებული განაწილება ოპტიმალურ დონეს მიაღწევს.

ლერნერი იმ წესების დადგენას ცდილობდა, რომელთა მეშვეობითაც „სოციალისტურ მთავრობას“ ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესება შეეძლო. პირდაპირი დაგეგმვის მეთოდს იგი უპერსპექტივოდ თვლიდა. ამასთან დაკავშირებით ტროცკის იმოწმებდა: უნივერსალური ადამიანი (მეცნიერული ფანტაზიის შესადარისი გონებით), რასაკვირველია, სრულყოფილი ეკონომიური გეგმის შედგენას შეძლებდა. მაგრამ ბიუროკრატია ასეთ გონებას ვერ ფლობს. ეს არის იმის მიზეზი, რომ იგი ბაზრის კონტროლისა და საბჭოთა დემოკრატიისაგან ასე იოლად თავისუფლდება[3].

ლერნერის აზრით, სოციალისტურ მთავრობას დაგეგმვის პრობლემები ფასის მექანიზმის გამოყენებითა და წარმოების ხელმძღვანელთა საკმაოდ მარტივი კანონებისათვის დამორჩილებით შეეძლო გადაეწყვიტა. ყველას მიმართ პირობათა პირველი ჯგუფი, ბაზრის ერთნაირი ფასების გამოყენებითა და ამგვარად ფასების ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და შეღავათების თავიდან აცილებით შეიძლებოდა შესრულებულიყო;

პირობათა მესამე ჯგუფის განხორციელება, საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, ერთიანი ფასების გამოყენებითა და მითითებებით შეიძლებოდა. ამ ჯგუფის მოთხოვნით ფასები ზღვრული თვითღირებულების ტოლი უნდა იყოს. იგი წარმოების ხელმძღვანელებისათვის იმ მითითებით შეიძლება განხორციელდეს, რომ მათ წარმოების მოცულობა ყოველთვის გაეფართოონ, როცა ბაზრის ფასი ზღვრულ თვითღირებულებებს აღემატება და პირიქით.

„სოციალისტი ლერნერის“ აზრით, განაწილებაზე ზემოქმედებისათვის „სოციალისტ-მგეგმავები“ სრულ კონკურენციაზე უკეთესს ვერაფერს გამოიყენებდნენ. რაციონალური ეკონომიკური კონტროლის მიზანი სრული კონკურენციიდან გადახრების გამორიცხვაა, რომელიც, სმითის მტკიცებით, აუცილებლად თავისუფალ მეწარმეობას განაპირობებს. ეს ახალი არგუმენტი არ იყო. რიჩარდ კანტილიონმა იგი ადრე შეიმუშავა. მიუხედავად ამისა, ლერნერის ანალიზი მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენდა.

შესაძლებელია თუ არა ზღვრულ თვითღირებულებებთან ფასების პროპორციულობა?

ამ კითხვაზე ლერნერის პასუხი უარყოფითია, ძირითადად იმ ფაქტორების გამო, რომლებიც არა მარტო წარმოებაში გამოიყენება, არამედ მოიხმარება კიდეც (მაგალითად, შრომის ფაქტორი),

---

1 ასეთივე მრუდები უფრო ადრე ი. ფიშერმა (1925) და გ. ჰაბერლერმა (1930) გამოიყენეს.

2 Selected Economic Writings, N.Y., 1983, გვ.65.

3 The Economics of Control, N.Y., 1944.

ამიტომ ფასებსა და ზღვრულ თვითღირებულებებს შორის „სოლი“ მაშინაც კი, როცა იგი ყველა საქონლისათვის პროპორციულად ტოლია, წარმოებასა და პირად მოხმარებას შორის ფაქტორების განაწილებას ამახინჯებს. ლერნერმა ამ კამათში გაიმარჯვა. ზოგადად, პროპორციულობა არასაკმარისია.

ლერნერის ნაშრომებმა ამ საკითხის კვლევა გააქტიურა. სოციალისტური დაგეგმვის თეორიით დაინტერესებულმა ჰოლანდიელმა ეკონომისტმა **ოსკარ ლანგემ** (1904-1965) ლერნერის პირობებს კომპაქტური მათემატიკური ფორმა მისცა. ნიკოლას კალდორმა და ჯონ ჰიკსმა პარეტოს მკაცრი კრიტერიუმის შერბილების წინადადებები წამოაყენეს. ნაცვლად მოთხოვნისა, ფაქტობრივად არავის მატერიალური მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს. მათი მოთხოვნით, მოგებულებმა წაგებულების საკომპენსაციო სახსრები უნდა შექმნან და თავად იმაზე მეტი უნდა მოიგონ, ვიდრე წაგებულები დაკარგავენ. ასეთი მსჯელობები, მართალია, დანახარჯებისა და შედეგების ანალიზის უმეტესი სპეციფიკური პროექტების საფუძველია, მაგრამ იგი პიროვნებათაშორის მოგებების შედარებას მოკლებულია და ყოველგვარი არაორაზროვანი გაუმჯობესება არა მხოლოდ პოტენციურ, არამედ რეალურ კომპენსაციას მოითხოვს.

ლერნერის ნაშრომი – „**კონტროლირებადი ეკონომიკა**“ (1944) ოპტიმალურობის კრიტერიუმის პირობებს მნიშვნელოვნად დასცილდა, ვინაიდან მასში სრული დასაქმება კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმადაა განხილული. ამან ავტორი „**ფუნქციონალური ფინანსების**“ კონცეფციასთან მიიყვანა. მისი აზრით, ფისკალურმა პოლიტიკამ გზა არა ჯანსაღი ფინანსების (ფინანსური ოპერაციები, რომლებიც დანახარჯებისა და შემოსავლის წონასწორობით ხასიათდებიან) ჩვეულებრივი პრინციპებით, არამედ მათი ეკონომიკური ფუნქციების მეშვეობით უნდა გაიკაფოს.

მისი მტკიცებით, ეკონომიკას მთავრობის დავალიანება არ აუმჯობესებს. მან მთავრობის ექვს ფისკალურ ბერკეტად დაასახელა: დაბეგვრა და დანახარჯი, გასესხება და სესხება, ყიდვა და გაყიდვა. ისინი ერთმანეთს ბიუჯეტური შეზღუდვებით უკავშირდებიან, რომელშიც ფულის ემისია გარკვეულ როლს ასრულებს. ეს თვალსაზრისი განსაკუთრებული კვალიფიციურობით არ გამოირჩევა, მაგრამ „ფუნქციონალური ფინანსები“ „მემარცხენე“ კეინზელების გარკვეულ გამაერთიანებელ ფისკალურ იდეად გადაიქცა.

4. ფასწარმოქმნის პრობლემები: ჰაროლდ ჰოტელინგი (1895-1973)

4.1. ჟურნალისტობიდან ეკონომეტრიკოსობამდე

ჰაროლდ ჰოტელინგი (Hotelling) ფასწარმოქმნის კონკრეტული პრობლემების კვლევით იყო დაკავებული. იგი დაიბადა 1895 წელს, მინესოტას შტატში. იზრდებოდა სიეტლში, ვაშინგტონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვაშინგტონის უნივერსიტეტში შევიდა ჟურნალისტიკის შესასწავლად.

მისი ადრინდელი (გამოუქვეყნებელი) სტატია არჩევნებზე პრესის ზეგავლენას ეხებოდა. ჰოტელინგის ინტერესები ასეთი პრობლემების მათემატიკური გააზრებისკენ იყო მიმართული.

1921 წელს ვაშინგტონის უნივერსიტეტში მან თავისი ორწლიანი სადიპლომო ნაშრომი დაასრულა და მათემატიკაში მაგისტრის წოდება მიიღო. სადოქტორო ნაშრომის შესასრულებლად იგი პრინსტონის უნივერსიტეტში გადავიდა. 1924 წელს მას მათემატიკაში დოქტორის წოდება მიენიჭა.

ჰოტელინგი 1920 წელს დაქორწინდა – მისი ორი შვილის დაბადებას თან მოჰყვა სტატიები მშობიარობის კოეფიციენტებსა და ფეხმძიმობათა ხანგრძლივობებზე. პირველი ცოლი მას 1932 წელს გარდაეცვალა. ორი წლის შემდეგ მეორედ დაქორწინდა; ამ ქორწინებისგან ხუთი ვაჟიშვილი შეეძინა.

სტენფორდში კვების პროდუქტების გამოკვლევის განყოფილებაში რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ, ჰოტელინგი სტენფორდის უნივერსიტეტში მათემატიკის პროფესორის თანაშემწე გახდა.

1931-1946 წწ. იგი კოლუმბიის უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორია.

მათემატიკურ სტატისტიკასა და მათემატიკურ ეკონომიკაში მისი რეპუტაცია სწრაფად იზრდებოდა. იგი ეკონომეტრიკული საზოგადოებისა და მათემატიკური სტატისტიკის ინსტიტუტის პრეზიდენტი და მოგვიანებით რამდენიმე საპატიო წოდების მფლობელი იყო.

ჰოტელინგმა ბევრი რამ გააკეთა ამერიკაში იმიგრირებული ევროპელი მეცნიერების დასაქმებისათვის. ერთ-ერთი მათგანი რუმინელი მათემატიკოსი აბრაჰამ უალდი იყო, რომელიც ჰოტელინგმა კოლუმბიის უნივერსიტეტში პროფესორად მოაწყო.

ჰოტელინგი ენთუზიასტი პედაგოგი იყო. მან სტატისტიკაში ბევრი ახალგაზრდა მათემატიკოსი (მათ შორის, კენეთ ეროუ) მიიზიდა. 1946 წლიდან ჰოტელინგი ჩრდილო კაროლინის უნივერსიტეტის მათემატიკური სტატისტიკის პროფესორია – დაკავებული თანამდებობიდან იგი ოცი წლის შემდეგ გადადგა.

გარდაიცვალა 1973 წელს.

4.2. კონკურენციისა და კლებადი რესურსების შესახებ

ჰოტელინგის ძირითადი ინტერესების სფეროს გამოყენებითი მათემატიკა წარმოადგენდა. იგი როგორც სრულყოფილების მომხრე, თავისი ნაშრომების გამოქვეყნებას ხშირად აყოვნებდა, რის გამოც ზოგიერთი მათგანი გამოუქვეყნებელიც დარჩა.

მისი პირველი მნიშვნელოვანი სტატია ეკონომიკაში პროდუქციის ინდივიდუალიზაციას (პროდუქციისათვის სხვათაგან განმასხვავებელი მახასიათებლების მინიჭება) ეხებოდა.

პ.სრაფას დაშვებით (1926)[1], ყოველი გამყიდველი შემოფარგლულ ფართში სივრცული მონოპოლიით სარგებლობს.

სტატიაში – „კონკურენციის სტაბილურობა" (1929)[2] ჰოტელინგმა პ.სრაფას დაშვებას ანალიტიკური სიზუსტე მიანიჭა. მაგალითისათვის მან ორი გამყიდველი შეარჩია, რომელიც ქუჩის ან რკინიგზის ორ განსხვავებულ პუნქტში მუშაობს. თუ საქონელზე მოთხოვნა ფასებსა და გადაზიდვის ხარჯებზეა დამოკიდებული, მაშინ თითოეული გამყიდველისათვის ცნობილია კონკურენტის ფასი და ისინი თავიანთი მაქსიმალური მოგების მომტან ფასს გამოიანგარიშებენ; სტაბილური საბაზრო წონასწორობა მყარდება მაშინ, როდესაც თითოეული კონკურენტისათვის ფასები ერთდროულად ოპტიმალურია.

ამ ანალიზით, ჰოტელინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მონოპოლისტური კონკურენციის თეორიაში.

ჰოტელინგის მტკიცებით, თუ კონკურენტებს თავიანთი ადგილმდებარეობის არჩევა თავისუფლად შეუძლიათ, მაშინ ისინი აღმოაჩენენ, რომ მათთვის ერთმანეთის მახლობლად, სადღაც გზის შუაგულთან განლაგებაა ხელსაყრელი.

მან მაგალითებით ცხადყო, რომ ოლიგოპოლისტები (ისეთი საბაზრო სიტუაციის მომხრეები, რომელიც მსხვილი ფირმების შეზღუდული რიცხვით ხასიათდება) მსგავსი პროდუქტების მიწოდებისაკენ მიისწრაფვიან. ასეთი მოსაზრება პოპულარული გახდა. ჰოტელინგს გამყიდველთა სტაციონარული მდგომარეობისათვის შესაფერისი განაწილების თეორია არ ჩამოუყალიბებია.

იგი შეეხო აგრეთვე კონკურენტული ფასების საკითხს[3]. ფ.ეჯუორთის[4] აღმოჩენით, მონოპოლიზებული სავაჭრო საგნების დაბეგვრამ, შეიძლება ამ საგნებზე სამომხმარებლო ფასები შეამციროს.

ჰოტელინგის აზრით, ეს პარადოქსი[5] კონკურენტულ ბაზრებზეც დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მოხმარებასა და წარმოებაში ერთმანეთს ორი საქონელი ენაცვლება. მაგალითად, ხორბალზე

1 **Sraffa** P., The laws of returns under competitive conditions – Ec. J., XII, 1926.

2 **Hotteling** H., Stability in competition – Ec. J., 39/1929.

3 **Hotteling** H., Edgeworth's Taxation Paradox and the Nature of Demand and Supply Functions - Journal of Political Economy, 40(5), 1932.

4 **Edgeworth** Francis Ysidro. Papers Relating to Political Economy. vol.1,2, L., 1925.

5 პარადოქსი (ბერძნ. paradoxos) – არაჩვეულებრივს, მოულოდნელს ან უცნაურს ნიშნავს.

აქციზის გადასახადმა შეიძლება სამომხმარებლო ფასები შეამციროს როგორც ხორბალზე, ასევე ჰვაუზეც.

კეთილდღეობის ზოგადი წონასწორობის თეორიის თვალსაზრისით, ჰოტელინგს თითქმის არაფერი დაუმატებია ლერნერის ანალიზისათვის. იგი გაცილებით ეფექტიანი ნაწილობრივი კეთილდღეობის ანალიზის კონტექსტით იყო.

ჰოტელინგის მტკიცებით, მაქსიმალური მოგების მისაღებად საწარმოებმა თავიანთი საქონელი და მომსახურება ზღვრული თვითღირებულების შესაფერის ფასად უნდა გაყიდონ. ბევრ შემთხვევაში ფირმები ზარალობენ — დანახარჯები ვერ ნაზღაურდება და დანაკარგები გადასახადებით უნდა დაფინანსდეს. ჰოტელინგისათვის ეს ფართო მასშტაბური ნაციონალიზაციის სასარგებლო არგუმენტი იყო.

მაღალი დანახარჯების საფუძველზე ფასწარმოქმნის წესი, როგორც ზოგადი მტკიცება, მალე არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. სახელმწიფო დეფიციტის გაუმართლებელი ფინანსირება, როგორც არ უნდა შესრულდეს იგი, საბოლოოდ, მის საკუთარ შედეგებს დაამახინჯებს და სხვადასხვა სახის პოლიტიკურ სირთულეს შეუქმნის მას, რაც განსაკუთრებით ეკონომიკური მოგების საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს.

30-იან წლებში გამოქვეყნდა ჰოტელინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატია — „კლებადი რესურსების ეკონომიკა“ (1931)[1]. თუმცა, იგი სულაც არ არის ეკონომიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი ნაშრომი.

უილიამ სტენლი ჯევონსმა სახელი გაითქვა ქვანახშირის პრობლემათა კვლევით, ხოლო ლევის გრეის სტატია[2] იმის ნიმუშია, რომ „კლებადი რესურსების თეორიამ“ პირველ მსოფლიო ომამდეც ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც შემდეგაც მნიშვნელოვანია.

ეკონომიკური მეცნიერება კლებადი რესურსების პრობლემის განსახილველად 1974-1975 წწ. ნავთობის კრიზისს არ ელოდებოდა.

ჰოტელინგმა თავისი ანალიზი იმ დილემის[3] აღწერით დაიწყო, რომელიც შემდეგაც აქტუალურია. მისი აზრით, წიაღისეულის, ტყეებისა და სხვა „კლებადი შემოსავლის“ წყაროების ამოწურვამ მათი კონსერვაციის მოთხოვნა განაპირობა. ამ თვალსაზრისით, რესურსები ძალიან იაფია და მათი ექსპლუატაცია მეტისმეტად სწრაფად მიმდინარეობს.

მეორე მხრივ, თუ მონოპოლიებმა და მონოპოლისტურმა გაერთიანებებმა წარმოება მაღალი ფასების გამოძალვით შეზღუდეს, ასეთი მიდგომით რესურსები მეტისმეტად ძვირია და მათი ექსპლუატაცია სწრაფად არ მიმდინარეობს.

ჰოტელინგის დასკვნით, ამ დილემის გადაწყვეტას ეკონომიკური ანალიზი სჭირდება. საკითხი ძირითადად საქონლის შეზღუდული მარაგის დროის მიხედვით ეფექტიანად განაწილებას შეეხება. ჩვეულებრივი წარმოებისაგან ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სრული მიწოდება, მონოპოლისტური პრაქტიკიდან გამომდინარე, დაფიქსირებულია — იგი არ იცვლება; იცვლება მხოლოდ დროის მიხედვით მოხმარების განაწილება. დღევანდელ უფრო მაღალ ფასებს მომავალში აუცილებელი ორეული გააჩნია — უფრო დაბალი ფასების სახით და პირიქით.

ამ ძირეულ საკითხებზე კონცენტრირების მიზნით, ჰოტელინგი მოპოვებისა და გასაღების დანახარჯებიდან გამოდიოდა და ყურადღებას მწარმოებლის მისაღებ საბოლოო ფასზე ამახვილებდა. ის ასევე მხედველობაში იღებს მრავალი რესურსის (მაგალითად, თევზი და ტყე) თვითაღდგენის თვისებას და ყურადღებას არააღდგენად რესურსებზე (ქვანახშირი, ნავთობი) ამახვილებს.

მისი აზრით, თუ ასეთი რესურსების ექსპლუატაცია კონკურენტული ბაზრებისთვისაა მინდობილი, მას გარკვეული წესი მართავს. ამ წესის თანახმად, სწორი პროგნოზირებისას ფასი საბაზრო სარგებლის განაკვეთის ტოლი სიდიდით (რისკის შესაძლო განსხვავების მხედველობაში მიღების შემდეგ) უნდა გაიზარდოს.

---

1 Х.Хотеллинг, Экономика исчерпаемых ресурсов - Вехи экономической мысли, т.3, Санкт-Петербург, 2000.

2 Gray Lewis Cecil, The Economic Possibilities of Consertation (1913) - Rent under the Assumption of Exhaustibility (1914) - Ouarterly Journal of Economics, 27-28 (3).

3 დილემა – მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც ერთმანეთის გამომრიცხავ ორ დებულებას შეიცავს, რომელთაგან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა.

ჰოტელინგის შემდგომი ანალიზით, კონკურენციის წესი კლებადი რესურსების **სოციალურ ღირებულებას** მაქსიმალურად ადიდებს. პრინციპში, „უხილავი ხელი“ დროთა განმავლობაში მოქმედებს. თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად იგი განსაზღვრავს, თუ რის გადახდას ისურვებდნენ მომხმარებლები ყოველ წელს ნაეთობის საფასურად. შემდეგ მისი ღირებულება იმ წლიური სარგებლიანობათა მიმდინარე ღირებულებით განისაზღვრა, რომლებიც საბაზრო სარგებლის განაკვეთის ფარგლებში მერყეობდა.

მისი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მარეგულირებელი მექანიზმების საჭიროება, თავისთავად კონკურენციის დამახასიათებელ თვისებას არ წარმოადგენს. ეს მარეგულირებელი ღონისძიებების საერთოდ გამორიცხვას არ ნიშნავს, ვინაიდან რეალობას კონკურენტულ იდეალზე დაშორება მრავალმხრივ შეუძლია.

მონოპოლიზირების შემთხვევაში რესურსების ექსპლუატაცია კონკურენტულ სფეროს ფარგლებს სცილდება. მოცემულ მარაგს მესაკუთრე კვლავინდებურად ხელსაყრელ ფასად შეაფასებს, მაგრამ ეს ფასი მაქსიმალური მოგების მისაღებად არა საბაზრო ფასს, არამედ მონოპოლისტის ზღვრულ შემოსავალს უთანაბრდება. ამის შედეგად დასაწყისში უფრო დაბალ ფასად დამუშავდება რესურსის ნაკლები რაოდენობა.

მონოპოლიის საერთო ეფექტიანობა რესურსის მარაგის ექსპლუატაციის შენელებაშია. ამან კონსერვაციის მომხრეების მოწონება შეიძლება დაიმსახუროს, მაგრამ ჰოტელინგი აჩვენებს, რომ ეს მოვლენა მოგებას ამცირებს.

ჰოტელინგი ამ ზოგად სტრუქტურას მოგების შემცირებით განპირობებული სახეცვლილებების გამოსაკვლევად იყენებს. იგი აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე დაწესებული გადასახადის გავლენასა და წიაღისეულის ამოწურვის გამო გადასახადის შემცირების ეფექტიანობას აანალიზებს.

კლებადი რესურსების შესახებ ჰოტელინგის სტატიას თავის დროზე განსაკუთრებული ყურადღება არ მიუპყრია. ოთხი ათეული წელი იგი თითქმის შეუმჩნეველი დარჩა, სანამ ნაეთობის კრიზისის პრობლემები საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში არ მოექცა. მას ახლა კლებადი რესურსების ანალიზის პიონერულ ნაშრომად მიიჩნევენ.

5. კეთილდღეობის კრიტერიუმები: ჯეიმზ მიდი (1907-1995)

5.1. კეინზელი – ნობელიანტი

ლერნერმა და ჰოტელინგმა რესურსების საუკეთესო განაწილების კრიტერიუმები განიხილეს, მაგრამ მოცემულ პირობებში სრული ეფექტიანობის თითქმის მიუღწეველობა სხვაგვარი, საუკეთესო ამოხსნის პრობლემას წარმოშობს, რომელსაც უკვე პიგუ შეეხო. იგი ჯეიმზ მიდის კვლევების ინტერესთა სფეროში მოექცა.

ინგლისელი ეკონომისტი **ჯეიმზ ედუარდ მიდი** (Meade) 1907 წელს სუონიჯში დაიბადა, სწავლობდა ოქსფორდში მალვერნისა და ორიელის კოლეჯებში. მისი ინტერესები კლასიკური ენების შესწავლიდან თანდათანობით ეკონომიკისკენ გადაიხარა. კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯში მან ერთი წლის შრომა მოანდომა თავის სადიპლომო ნაშრომს ფილოსოფია-პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

კემბრიჯში იგი იმ ვიწრო წრეს (რ.კანი, პ.სრაფა, ჯ.რობინსონი, ...) მიეკუთვნებოდა, რომელიც კეინზის „ზოგადი თეორიის“ ჩამოყალიბების პროცესში მის იდეებზე მსჯელობდა. იგი კეინზის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მიმდევარი იყო და მთელი სიცოცხლე კეინზელად დარჩა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ოქსფორდის ჰერტფორდ-კოლეჯის ლექტორი იყო, შემდეგ აკადემიურ ცხოვრებას ჩამოსცილდა და მუშაობა ჟენევაში – ერთა ლიგის ეკონომიკურ განყოფილებაში დაიწყო. აქ მან ბერთილ ოლინის მიერ დაწყებული კვლევითი პროგრამა გააგრძელა ი.ტინბერგენთან და ტ.კუპმანსთან ერთად.

მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ ადრინდელ პერიოდში ჯ.მიდი ბრიტანეთის მთავ-

რობისათვის მუშაობდა. კეინზის რეკომენდაციით, იგი მთავრობის ეკონომიკურ განყოფილებაში მრჩეველად მიიღეს, რომელსაც საბოლოოდ სათავეში ჩაუდგა. ჯეიმზი დაგეგმვითა და სახელმწიფო საწარმოების პრობლემების შესწავლით იყო დაკავებული.

მთავრობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მას 1947 წელს დიდგვაროვნის („სერ"-ის) წოდება მიენიჭა.

ამავე წელს ჯ.მიდმა პროფესორად მუშაობა დაიწყო ლონდონის უმაღლეს ეკონომიკურ სკოლაში საერთაშორისო ვაჭრობის სპეციალობით. მისთვის ეს პერიოდი მეცნიერებაში ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო. 1957 წელს იგი კემბრიჯის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის პროფესორად გადავიდა. პედაგოგიური მოღვაწეობა მან ადრე – 1969 წელს მიატოვა და 1974 წლამდე კემბრიჯში დარჩა, როგორც ქრისტეს კოლეჯის წევრი.

კემბრიჯის პერიოდშიც ის საგადასახადო რეფორმის მნიშვნელოვან სამთავრობო კომიტეტს ხელმძღვანელობდა (1975-77). იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის საპატიო წევრი. 1977 წელს მან შვედ ბერტილ ოლინთან ერთად ეკონომიკაში საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის **ნობელის პრემია მიიღო.**

5.2. ᲑᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲕᲐᲠᲘ

ჯ.მიდი ბრიტანული გამოყენებითი ეკონომიკის ტრადიციების მიმდევარია.

ფასთა სისტემას იგი რესურსების ეფექტიანი განაწილების გადამწყვეტ ფაქტორად თვლის, მაგრამ ამ სისტემის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მთავრობის რაციონალურ ჩარევას მოითხოვს. ასე მაგალითად, იგი თვლის, რომ სრული დასაქმება მხოლოდ შესაფერისი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის საშუალებით მიიღწევა, ხოლო სამართლიანობის ინტერპრეტაციას ის მძლავრი გადამანაწილებელი ღონისძიებების მოთხოვნამდე მიჰყავს.

საბოლოოდ (მიუხედავად დიდი განსხვავებისა, როგორც წარმოშობის მხრივ, ისე ცხოვრების სტილით), მიდის ეკონომიკური ფილოსოფია ლერნერისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა და მალთუსური პრობლემებით მისი დიდი დაინტერესება ამ გამოყენებითი ფილოსოფიის ბუნებრივი პროდუქტია.

ჯ.მიდი, პიგუს მსგავსად, მსოფლიოს ძირითადად თავისი წიგნებით უკავშირდებოდა. მას ახასიათებდა: ორიგინალური შეხედულებები, გაწონასწორებული მსჯელობა და ნათელი თვალსაზრისი, თავისებური მათემატიკა და მეტისმეტად რთული საკითხავი სტილი.

რამდენიმე გრაფიკული გეგმის გარდა, მიდმა სხვა მკვლევრებისათვის პირდაპირ გამოსაყენებლად ახალი ანალიტიკური მეთოდების მიწოდება ვერ შეძლო.

გარდა ამისა, მის ნაშრომებში ძნელად შესამჩნევია, სად მთავრდება სხვათა სამუშაოების აღწერა და სად იწყება მისი აზრი.

წიგნში – **„დაგეგმვა და ფასწარმოქმნის მექანიზმი"** (1948)[1] დამუშავებულია მიდის „ლიბერალ-სოციალური იდეები". იგი ეძღვნებოდა თავისუფალი ბაზრის სისტემის ეფექტიანობასა და ომისშემდგომი ბრიტანეთის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და კაპიტალისტური შემოსავლების განაწილების სისტემის კრიტიკას.

ნაშრომში – **„საერთაშორისო ვაჭრობის გეომეტრია"** (1952)[2] პირველად ჩნდება **„საერთაშორისო ვაჭრობის პეპელა"**, რომელიც საერთაშორისო წონასწორობის აღწერის საშუალებას წარმოადგენს ორი ქვეყნისა და ორი საქონლის შემთხვევაში.

ეკონომიკურ მეცნიერებაში მიდის მთავარი წიგნია – **„საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის თეორია"**[3]. მისი პირველი ტომი (**„საგადასახდელო ბალანსი"** (1951)) კეინზის მოდელს ღია ეკონომიკაზე განავრცობს.

მიდი, ტინბერგენის მსგავსად, ერთმანეთისგან განასხვავებს ეკონომიკური პოლიტიკის საშუ-

1 Planning and the Price Mechanism... L., 1948.

2 A Geometry of International Trade, L., 1952.

3 The Theory of International Economic Policy: I. The Balance of Payments; II. Trade and Welfare, L., 1951-55.

ალებებსა (ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ხელფასის რეგულირება, დევალვაცია) და მიზნებს (შიგა ბალანსი – სრული დასაქმებით და საგარეო ბალანსი – საგადასახდელო ბალანსის წონასწორობით).

ზემოაღნიშნული წიგნის მეორე ტომი – **„ვაჭრობა და კეთილდღეობა“** (1955) მოსახლეობის სრული დასაქმებისას საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის განაწილების ასპექტებს ეხება.

უფრო ადრინდელ მონოგრაფიებში – **„ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები“** (1953) და **„საბაჟოთა კავშირების თეორია“** (1955) საბაჟოთა კავშირების ანალიზს აღრმავებს.

წიგნში – **„ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორია“** (1962)[1], ავტორი ასკვნის, რომ დაბალანსებული განვითარებისას მოხმარება მაქსიმალურია, თუ წლიური დანაზოგი ეროვნულ შემოსავალში მოგების წილის ტოლია. 1983 წელს გამოიცა ამ წიგნის ახალი შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი.

„შიგა ეკონომიკის შესახებ“ დაგეგმილი ტრაქტატი მიდს დაუწერელი დარჩა, მაგრამ მან **„პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების“** (1965-76) ოთხტომეული გამოაქვეყნა[2].

ამ ტომებში, სტუდენტებისათვის გასაგები ენითაა გადმოცემული მისი შეხედულებები „უძრაჟ“, „მზარდ“, „მართულ“ და „სწორ“ ეკონომიკაზე.

მისი – **„გონიერ რადიკალთა ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო“** (1975) ჩაფიქრებული იყო, როგორც ინფლაციურ ეკონომიკაში საბაზრო სოციალიზმის საპროგრამო მანიფესტი „საჩვენებელი დაგეგმვით“. ამავე პრობლემების კვლევას მიეძღვნა მიდის ნაშრომი **„სტაგფლაცია“** (1982)[3]. მასში შემოთავაზებული ტერმინი „სტაგფლაცია“ სტაგნაციისა[4] და ინფლაციის შეხამებას ნიშნავდა.

მოგვიანებით, ლერნერის მსგავსად, მიდის აზროვნებას უძრაობა დაეუფლა. მისი აზრით, წარმოების დანახარჯების ზრდით განპირობებულ ინფლაციას მძლავრი პროფკავშირები განაპირობებს. ამის კონტრზომად მას ხელფასის განაკვეთი მიაჩნია, მაგრამ ვერ გაერკვა იმაში, თუ როგორ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ეფექტიანი ძლიერი კავშირების წინააღმდეგ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში.

53. კეთილდღეობის ზოგადი საფუძვლები

ჯ.მიდის მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში **კეთილდღეობის პრობლემების ზოგადი საფუძვლების დამუშავებაშია.**

მისი აზრით, ზოგადი წონასწორობის ეკონომიკა ეკონომიკური პოლიტიკისათვის ზოგად-პრაქტიკულ დირექტივებს არ იძლევა, ვინაიდან ყოველი ზღვრული პრობლემა, სხვა ზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშია ძალაში.

ეს ახალი შეხედულება არ იყო და პიგუმ (თუმცა მისი სახელი არ იყო მოხსენიებული მიდის წიგნის მითითებული ლიტერატურის ნუსხაში) იგი მეტად მკაფიოდ ჩამოაყალიბა. მიდს ისღა დარჩენოდა, რომ ამ თვალსაზრისის ღრმა მნიშვნელობისათვის ნათელი მოეფინა.

მიდი განასხვავებს **კეთილდღეობის** უტოპიურ და სხვ. კრიტერიუმებს. **„უტოპიური კრიტერიუმისას“** პოლიტიკა სხვა პოლიტიკის ოპტიმალურობის დაშვებიდან გამომდინარე ფასდება.

სხვა კრიტერიუმების თანახმად, პოლიტიკა ოპტიმალურია, თუ იგი მოცემულ პირობებში საუკეთესოა.

მათ შორის განსხვავება მნიშვნელოვანია, ვინაიდან პოლიტიკა, რომელიც უტოპიური კრიტერიუმისას კეთილდღეობას მოწყვეტილია, სხვა კრიტერიუმისას სავსებით შესაძლებელია მას ამცირებდეს.

თუ ზღვრულ ღირებულებებსა და დანახარჯებს შორის რიგი გადახრა არსებობს, მაშინ ყველა

---

1 A Neo-Classical Theory of Economic Growth, L., 1962.

2 Principles of Political Economy, 4 vols, L., 1965-76.

3 სტაგფლაცია არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთდროულად ხდება წარმოების მოცულობის შეკვეცა, ფასებისა და უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკური კრიზისი.

4 სტაგნაცია (ლათ. stagno, stagnum – დამდგარი წყალი, ვაცერებ, უმოზრაოს ვხდი) არის უძრაობა ეკონომიკაში, რომელიც წინ უძღვის დაცემას ეკონომიკაში.

სხვა გადახრის უცვლელობისას ერთ-ერთი გადახრის შემცირება, ეკონომიკური კეთილდღეობის აუცილებელ ზრდას არ განაპირობებს და საუსბით შესაძლებელია იგი შეამციროს[1].

ამიტომ, თანმიმდევრული პოლიტიკის გამოყენების მაჩვენებლად ზღვრული ღირებულებებისა და ღანახარჯების გათანაბრების დასახელება მთლად გამართლებული არ არის.

მიდის „სხვა მიახლოებას" პოზიტიური მხარეც ჰქონდა, რადგანაც იგი კონსტრუქციული საუკეთესო კრიტერიუმის ძიებისაკენ იყო მიმართული. თუმცა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ კრიტერიუმებს ზოგადი წესების სახე ალბათ არ უნდა ჰქონოდა, რადგან ყველაფერი მდგომარეობის დეტალებზეა დამოკიდებული.

მიუხედავად ამ პრაგმატიზმისა, მიდი ისევე პიგუს ტრადიციის მიხედვით რამდენიმე შესაძლო ვარიანტს წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ცალკეული ნაკლოვანებების შემცირება (სხვათა უცვლელობის პირობებში) შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს.

ასეთი შენაცვლებების არსებობისას ყველა მათგანის თითქმის თანაბარი პროპორციით შემცირების შემთხვევაში კეთილდღეობის გაზრდა შესაძლებელია. გარდა ამისა, ამ ღონისძიებებს მეტი ეფექტიანობა მაშინ ექნება, როდესაც ნაკლოვანებების აღმოფხვრა სწრაფად, თანამიმდევრობით მოხდება.

ჯ.მიდის დასკვნით, საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვების გამორიცხვა მხედველობაშია მისაღები და იგი განსაკუთრებით უმაღლესი ბარიერების შესუსტებისკენ უნდა მიიმართოს.

მან პოლიტიკური ღონისძიებების შედეგებისა და დანახარჯების ანალიზის ზოგადი მეთოდოლოგია შეიმუშავა, რომელიც ძირითადად მოხმარებელსა და მწარმოებელს ეხებოდა. იმპორტზე ბაჟი გარკვეულწილად ექსპორტიორ ქვეყანაში საქონლის ღირებულებასა და იმპორტიორ ქვეყანაში მის ღირებულებას შორის სალდოს წარმოადგენს. ეს სალდო საზღვრის გადაკვეთისას პროდუქციის ერთეულის ზღვრული ღირებულების ზრდას ასახავს.

ამგვარად, კეთილდღეობაზე პოლიტიკური ღონისძიებების ზღვრული ეფექტიანობა რეალიზებული საქონლის ეფექტიანობის ჯამით შეიძლება განისაზღვროს. ეს მეთოდი საერთაშორისო პოლიტიკაში ფართოდ გამოიყენეს და იგი ორმხრივი ვაჭრობის, დისკრიმინაციისა და საბაჟო კავშირების მრავალმხრივ პრობლემებს მოიცავს.

მსგავსი მეთოდი პირველად ფრენკ რამსეიმ წარმოადგინა, რომელიც მიდმა კეთილდღეობის ანალიზში გამოიყენა, რამაც შემდგომ პროტექციონიზმის ცნობილი თეორია განავითარა. მიდის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ იმპორტირებულ ნედლეულზე ტარიფებს სამომხმარებლო საქონელზე ნაწილობრივ საწინააღმდეგო ეფექტი შეიძლება ჰქონდეს, შემდგომში სრულყოფილ იქნა – შედეგად, პროტექციონიზმის ეფექტიანი თანამედროვე თეორია ჩამოყალიბდა[2].

მიდის კვლევები დანახარჯებისა და შედეგების თანამედროვე ანალიზს საფუძვლად დაედო. ის კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის არა ბოლო, არამედ უფრო დასაწყისი ეტაპია.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ჩელაშვილი, ი.მესხია, ელ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. I, თბ., 1973, ნაწ. II, თბ., 1975.

ა.გრიშაკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

გ.ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. I, თბ., 1962.

1 Meade James E., Trade and Welfare and Mathematical Supplement, V.2, L., 1955, გვ. 102.

2 იხ.: Lipsey R., The Theory of Customs Unions..., L., 1970; Corden W., The Theory of Protection, Oxf., 1971.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Всемирная история экономической мысли, т.4., М., 1990.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Шумпетер Й., История экономического анализа, Пер. с англ., т.2-3, Санкт-Петербург, 2004.

Corden W.M., The Theory of Protection, Oxford, 1971.

Edgeworth Frencis Ysidro. Papers Relating to Political Economy, Vol.1-2, L., 1925.

Gray Liwis Cecil, The Economic Possibilities of Conservation (1913) - Rent under the Assumption of Exhaustibility (1914) -Quarterly Journ. of Economics, 27-28(3).

Hickx John R., Collected Essays on Economic Theory, Vol.1, Oxford, 1981-83.

Hobson J.A.: Problems of poverty, L., 1891; The evolution of modern capitalism, L., 1894; The economics of distribution, N.Y., 1900; Imperialism: A Study, L., 1902; The Industrial System, L., 1909; Work and Wealth, L., 1914; Economics of Unemployment, 1922; The conditions of Industrial peace, L., 1927; Rationalism and Unemployment, L., 1930; რუს. თარგმ.: Проблемы бедности и безработицы, СПБ, 1900; Экономика распределения, М., 1903; Империализм, Харк., 1918; Развитие современного капитализма (1898), М.-Л., 1926.

Hotelling Harold.: Stability in Competition - Econ. Journal, 39/1929; The Economics of Exhaustible Resources - Journal of Political Economy, 39/1931 (Экономика исчерпаемых ресурсов - в кн.: Вехи экономической мысли, Санкт-Петербург, 2000, т.3); Edgeworth's Taxation Paradox and the Nature of Demand and Supply Functions - Journ. of Polit. Econ., 40(5)/1932; The General Welfare in Relation to Problems of Taxation and of Railway and Utility Rates – Econometrica, 6/1938; Общее благосостояние в связи с проблемами налогообложения и установления железнодорожных тарифов и тарифов на коммунальные услуги - в кн.: Вехи экономической мысли, т.1, Санкт-Петербург, 2000.

Kaldor Nikolas. Welfare Propositions of Economics and Interpersonal Comparisons of Utility - Economic Journal, 49/195, 1939.

Lange Oscar, The Foundations of Welfare Economics. Econometrica, 10/3/4, Chicago, 1942.

Lerner Abba P.: The Economics of Control: Principles of Welfare Economics, N.Y., 1944; Essays in Economic Analysis, L., 1953; Selected Economic Writings, N.Y., 1983.

Lipsey Richard G., The Theory of Customs Unions: A General Equilibrium Analysis, L., 1970.

Meade James E.: Planning and the Price Mechanism: The Liberal-Socialist Solution, L., 1948; The Balance of Payments and Mathematical Supplement, Vol.1, Of The Theory of International Economic Policy, L., 1951; A Geometry of International Trade, L., 1952; Problems of Economic Union, L., 1953; Trade and Welfare and Mathematical Supplement, Vol.2, L., 1955; The Theory of Customs Unions, Amsterdam, 1955; A Neo-Classical Theory of Economic Growth, L., 1962/1983; The Effect of Savings on Consumption in a State of Steady Growth-Rewiew of Econ. Studies, 29/1962; Principles of Political Economy, 4 vols, L., 1965-76; The Intelligent Radical's Guide to Economic Policy: The Mixed Economy, L., 1975; Смысль «внутреннего баланса» (Нобелевская лекция, 8.12.77) - Мировая экономическая мысль, т.V, ч.1, М., 2004.

Ramsey Frank Plumpton: A Contribution to the Theory of Taxation - Econ. Journ., 37/1927; A Mathematical Theory of Saving - Econ. Journ., 38/1928; Foundations: Essays in Philosophy, Logic, Mathematics and Economics, L., 1978.

Sraffa P., The laws of returns under competitive conditions – Ec. J., XII, 1926.

Toynbee A.: Lectures on the Industrial Revolution in England, L., 1884; A Study of history, v.1-12, L., 1934-1961.

თავი XXV.
„მგეგმაველების“ დოქტრინები

1. „მგეგმაველების ხილული ხელი“

მე-20 საუკუნის 30-იან წლებში წინა პლანზე დაგეგმვის პრობლემებმა წამოიწია. „დიდი დეპრესია“, როგორც ეკონომიკური ჩაურევლობის პოლიტიკის მარცხის დამამტკიცებელი საბუთი, ფართოდ განიხილებოდა. კონკურენციის „უხილავი ხელის“ კონცეფციამ მგეგმაველების „ხილულ ხელს“ ბევრი საქმე გაუჩინა.

მარქსისტული და ფაშისტური დაგეგმვის იდეოლოგიამ დემოკრატიული რწმენის მქონე ინტელექტუალებზეც იმოქმედა. თვით ვერნერ ზომბარტმა და იოზეფ შუმპეტერმაც კი მარქსის მიერ ნაწინასწარმეტყველები კაპიტალიზმის რევოლუციური ნგრევის იდეა „სოციალიზმში მშვიდობიანი გადასვლის“ იდეით შეცვალეს, რომელსაც ეკონომიკის რაციონალური დაგეგმვის ზრდა განაპირობებდა.

მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებამ და მოგვიანებით კი ელექტრონულმა კომპიუტერებმა მართვის მეთოდების პროგრესს შეუწყო ხელი. დაგეგმვის საშუალებით კაცობრიობის გლობალური პრობლემების გადაჭრის კეთილმოსურნე ტრადიციები რაციონალურ ოცნებებში აღორძინდა.

ასეთი ინტელექტუალური გარემოცვის ნიადაგზე რაგნარ ფრიშმა, იან ტინბერგენმა და ვასილი ლეონტიევმა, ბევრ სხვა ეკონომისტთან ერთად, ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში თავიანთი სიტყვა თქვეს. მათი რწმენით, მომავალი დაგეგმვას ეკუთვნის. სამივე მეცნიერმა თავიანთი გამოკვლევები ეკონომიკური ციკლებისა და ეკონომეტრიკის სფეროში დაიწყეს, საიდანაც ისინი ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისა და ეკონომიკური განვითარების პრობლემების შესწავლაზე გადაიდნენ.

2. მაკროეკონომიკა: რაგნარ ფრიში (1895-1973)

2.1. ეკონომეტრიკის „ნათლია“

ნორვეგიელი ეკონომისტი რაგნარ ფრიში (Frisch) 1895 წელს ქ.ოსლოში, იუველირის ოჯახში დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მამის კვალდაკვალ, მან ოქრომჭედლის დიპლომი მიიღო. ეკონომიკის შესასწავლად იგი ოსლოს უნივერსიტეტში შევიდა. 1919 წ. „ბაკალავრის“ ხარისხი მიიღო.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ფრიშმა აკადემიური კარიერა აირჩია. საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიაში იგი მათემატიკასა და სტატისტიკას სწავლობდა. დოქტორობა 1925 წელს ოსლოში მათემატიკურ სტატისტიკაში მიიღო და ლექტორი გახდა.

ფრიშის პროგრამა დასაწყისიდანვე ეკონომიკური მეცნიერების საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მსგავს მეცნიერებად გარდაქმნას ითვალისწინებდა.

მას ეკუთვნის ტერმინი „**ეკონომეტრიკა**“. იგი **ეკონომეტრიკის** ახალი დარგის „ნათლია“ გახდა. ამგვარად, რაც მანამდე ეკონომიკის, მათემატიკისა და სტატისტიკის დისციპლინათშორის ურთიერთგადაკვეთისას კვლევის საგანი იყო, ახალ დისციპლინად ჩამოყალიბდა.

1930 წელს რ.ფრიში ი.ტინბერგენთან ერთად **ეკონომეტრიკული საზოგადოების** ერთ-ერთი დამარსებელია, ორი წლის შემდეგ კი ამავე საზოგადოების პირველი ჟურნალის — **„ეკონომეტრიკის“ პირველი რედაქტორია**, რომელსაც ოცდაერთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

იელიდან დაბრუნების შემდეგ 1931-1955 წწ. იგი გადადგომამდე ოსლოს უნივერსიტეტის სრული პროფესორია. პარალელურად, უნივერსიტეტთან არსებულ ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომის გარკვეულ მონაკვეთში იგი საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდა, ომისშემდგომ პერიოდში კი ჯერ ნაციონალური, შემდეგ ინტერნაციონალური და ბოლოს განვითარებადი ქვეყნების დაგეგმარების საკითხებით იყო დაკავებული. გარკვეულ პერიოდში ეგვიპტისა და ინდოეთის მთავრობების მრჩეველიც იყო. ფრიში კაპიტალობის ხსნის უმნიშვნელოვანეს გზას ეკონომიკის დაგეგმვაში ხედავდა. საზოგადოების გამოძახილის მიმართ იმედგაცრუების გამო, მისი შეხედულებები უფრო რადიკალური გახდა.

1969 წელს რ.ფრიში, ჰოლანდიელ იან ტინბერგენთან ერთად ეკონომიკაში პირველი ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. ისინი ძირითადად მაკროდინამიკასა და დაგეგმვის მოდელებში შეტანილი წვლილის გამო დაჯილდოვდნენ. გარდა ამისა, იგი იყო ნორვეგიის მეცნიერებათა აკადემიის, დიდი ბრიტანეთის სამეფო სტატისტიკური საზოგადოების, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიების წევრი.

რ.ფრიში 1973 წელს გარდაიცვალა.

2.2. მიკრო-მაკრო დინამიკა და დაგეგმვა

რ.ფრიშის ხელნაწერების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული. მან მხოლოდ ორი დასრულებული წიგნი – *„წარმოების თეორია“* (1965) და *„მაქსიმუმი და მინიმუმი“* (1966) გამოაქვეყნა. ორივე მის ლექციებს ეფუძნებოდა. პოპულარული ძირითადად ლექციებით, სტატიებით, წერილებითა და ბროშურებით გახდა.

ფრიშის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი **„პირველადი ინვესტიციებისა და რეინვესტიციების შედარება“** (1927) ეკონომიკური ციკლის პრობლემების ანალიზს მიეძღვნა. ამავე პრობლემების კვლევას ეძღვნება მისი სტატია **„გაურკვევლების პრობლემები და იმპულსის პრობლემები ეკონომიკურ დინამიკაში“** (1933). მასში ერთ-ერთის პირველად გამოიყენა ტერმინი „მიკროეკონომიკა“ და „მაკროეკონომიკა“. ამავე წელს გამოქვეყნდა ფრიშის ბროშურა: **„დანაზოგები და მიმოქცევის დაგეგმვა“**, სადაც იწინასწარმეტყველა დეპრესიის პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა[1].

იდეოლოგიურად, ფრიში სოციალ-დემოკრატი იყო. იგი უნდობლობით ეკიდებოდა „უხილავი ხელის“ იდეას. მისმა ინტერესებმა „დიდი დეპრესიის“ ზეგავლენით დაგეგმვისაკენ გადაინაცვლა. დაგეგმვის მიზნით, მან ეროვნული შემოსავლის გაანგარიშების ერთ-ერთი პირველი სისტემის აქტიურად დანერგვა-განვითარება წამოიწყო.

ფრიში თავდაპირველად სარგებლიანობის პრობლემებსაც შეეხო და ზღვრული სარგებლიანობის გაზომვის მეთოდის შემუშავება სცადა, შემდგომში კი ინდექსების თეორიით დაინტერესდა. მიუხედავად ამისა, ძნელია ითქვას, რომ მისმა წვლილმა ღირებულების თეორიაში თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას ღრმა კვალი დაამჩნია.

სტატისტიკაში ინტენსიურმა მუშაობამ ფრიში იმ პრობლემასთან მიიყვანა, რომელიც ეკონომეტრიკის ახალი დისციპლინის ცენტრალური პრობლემა გახდა. მოგვიანებით მას გაწონასწორების პრობლემა ეწოდა. ლეონტიევის მოთხოვნის მრუდების კრიტიკისას მან ეს პრობლემა ჩამოაყალიბა[2].

საკითხი ასე დგას: ფასებსა და საქონელზე დაკვირვებების მონაცემები, ჩვეულებრივ, მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების ერთობლივი გადაადგილებით მიიღება. ამ შეხედულებებმა სხვების შრომებიც წაახალისა, თუმცა სწრაფად მოძველდა. ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომეტრიკაში ფრიში წამყვანი მეცნიერი აღარ იყო.

ფრიში დინამიკის პრობლემებსაც შეეხო. პირველი მსოფლიო ომის წინ ჰენრი ლუდველ მურმა[3] ეკონომიკური ციკლები ერთმანეთზე გადახლართული მრუდებით წარმოადგინა, რომლებიც მოსავლიანობის ციკლებიდან გამომდინარეობდა.

20-იან წლებში ეკონომისტებმა, ასე ვთქვათ, დიფერენციალი და დიფერენციალური განტოლებები აღმოაჩინეს. ფრიშმა ისინი გამოიყენა. მან 1936 წელს სტატიკური და დინამიკური ტერმი-

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერიპეტიუმ-მობილე, გვ.41-42.

2 Frisch R., Pitfalls in the Stat. Construction of Demand and Supply Curves, L., 1973.

3 Moore H.L., Econ. Cycles..., N.Y., 1914.

ნების გამოყენების წინადადება დასვა. ამ მიდგომით: დამოკიდებულება **სტატიკურია**, თუ ყველა მისი ცვლადი ერთსა და იმავე დროს ეხებოდა, ხოლო იგი **დინამიკურია** მაშინ, როდესაც იგი სხვადასხვა დროსთან ან პერიოდთან დაკავშირებულ ცვლადებს შეიცავდა; თეორია დინამიკური იქნებოდა, თუ იგი ერთ დინამიკურ დამოკიდებულებას მაინც შეიცავდა. ეს ტერმინოლოგია ზოგადად გაიზიარეს.

ფრიშმა ოლიგოპოლიურ თეორიაში დინამიკის ელემენტები შეიტანა.[1] ავგუსტინ კურნოს, ვილჰელმ ლანჰარდტის და ჰაროლდ ჰოტელინგის თეორიების მიხედვით, თითოეული ოლიგოპოლისტი თავისი ოპონენტის მოქმედებაზე არ რეაგირებს.

ფრიშმა „სავარაუდო ვარიაციის (ცვლილების)" ცნება შემოიტანა, რომლის მიხედვითაც ყოველი ოლიგოპოლისტი თავისი კონკურენტისაგან რეაქციას მოელის.

ამრიგად, ფრიშმა წარსულ სტატიკურ ოლიგოპოლიურ თეორიასა და მომავლის დინამიკურ თეორიებს შორის „შემაერთებელი ხიდი გადო".

ფრიშმა **ეკონომიკური ციკლების მაკროეკონომიკური მოდელი შექმნა** (1933)[2]. მისი აზრით, ეკონომიკური ციკლის აქსელერაციის პრინციპი შემობრუნების წერტილის ასახსნელად იზოლირებულად არასაკმარისია[3]. უკიდურეს შემთხვევაში, წარმოებრივი დანიშნულების საქონლის (ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, ან ძირითად კაპიტალზე) ანაზღაურებისათვის მოთხოვნების ჩართვა აუცილებელი იყო. უფრო ზოგადად, სრული ახსნისათვის რამდენიმე დამახასიათებელი დამოკიდებულებით მთლიანად განსაზღვრული მოდელია საჭირო. ფრიშმა პოლონელ ეკონომისტ-სტატისტიკოს მიხეილ **კალეცკისთან** (1899-1970)[4] ერთად პირველი ასეთი მოდელი შექმნა[5].

მ.კალეცკის „ეკონომიკური ციკლების მაკროდინამიკური მოდელი" (1935)[6] ტინბერგენის „გემთმშენებლური" მოდელით იყო შთაგონებული. იგი დიფერენციალური განტოლებების სისტემას შეიცავდა. იმ დროს, როცა მუშები დანაზოგებს ვერ ქმნიან, კაპიტალისტები თავიანთი შემოსავლიდან აბანდებენ იმას, რასაც ვერ მოიხმარენ. შედეგად, კაპიტალისტი რაც მეტს ხარჯავს, მით მეტ შემოსავალსაც იღებს. მოხმარებისა და ინვესტიციის ურთიერთზემოქმედება ეკონომიკის განვითარებაზე ზემოქმედებს, რომელიც ერთფეროვანი ან რხევადი, მილევადი ან ფეთქებადი შეიძლება იყოს.

კალეცკის აზრით, ეკონომიკური ციკლები არც მილევადია და არც ფეთქებადი. მან თავისი შემდგომი ანალიზი მუდმივი ამპლიტუდის ზღვრული შემთხვევით შემოსაზღვრა და ათწლიანი ხანგრძლივობის ციკლი მიიღო.

ფრიშის მოდელი ძირითადად კალეცკის მსგავსია, მაგრამ იგი უფრო შორს წავიდა. მან სამი ერთმანეთზე გადახლართული მკვეთრად კლებადი ციკლი მიიღო, შესაბამისად: 8.6, 3.5 და 2.2 წლების ხანგრძლივობებით.

ფრიშის ეკონომიკური ციკლების დოქტრინა, კალეცკისგან განსხვავებით, ამ ციკლების მექანიზმის არსს გასცდა. ფრიშის დინამიკურ მოდელში აღწერილი მერყეობები გავრცელების თვალსაზრისითაა განხილული. მერყეობების არსებობას ხელს უწყობს მუდმივად ზემოქმედი იმპულსური ბიძგები.

ფრიშის სხვადასხვა სახის იმპულსებს[7] იხილავდა. მათი ერთი ნაწილი შემთხვევითი იმპულ-

---

1 **Frisch** R., Monopole - polypole - The Concept of Force in the Economy. In International Econ. Papers, I, L., 1933.

2 ტერმინი **მაკროდინამიკა** და **მაკროდინამიკა**, აგრეთვე ერთ-ერთმა პირველმა **ფრიშმა** გამოიგონა, მათი განზოგადება კი უფრო გვიანდელ პერიოდში მოხდა.

3 **Frisch** R., The Interrelation between Capital Production and Consumer - Taking - Journ. of Pol. Econ., 39/1931.

4 მ.კალეცკი (Kalecki) დაბ. ლოძში (პოლონეთი), პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1957). 1929-35 წწ. მუშაობდა პოლონეთის ეკონომიკური კონიუნქტურისა და ფასების ინსტიტუტში. 1940 წლიდან ოქსფორდის სტატისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელია – იკვლევდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო ეკონომიკის პრობლემებს. 1946-54 წწ. გაეროს სამდივნოს ეკონომიკურ განყოფილებაში მუშაობდა. 1957-60 წწ. იყო პოლონეთის პერსპექტიული დაგეგმვის მთავარი კომისიის თავმჯდომარე. მის მიერ შექმნილი ეკონომიკური მოდელი - „კალეცკის მოდელი" ახასიათებდა კაპიტალისტური ეკონომიკის ციკლური განვითარების ტენდენციებს.

5 მათი სტატიები 1933 წელს გამოქვეყნდა (კალეცკის – პოლონურად) და ისინი 1933 წლის ოქტომბერში ეკონომეტრიკული საზოგადოების სხდომაზე წარადგინეს.

6 Kalecki M., Próba teori Konjuktury, Warsz., 1033.

7 **იმპულსი** - შიგა მისწრაფება, ბიძგი, რაც რაიმე მოქმედების შესრულებას იწვევს.

სებია. ამასთან დაკავშირებით იგი საბჭოთა ეკონომისტ **ევგენი სლუცკის** (1880-1948) იმოწმებდა, რომელიც ნებისმიერი მიზეზით გამოწვეულ ციკლურ პროცესებს იკვლევდა[1], თუმცა მას მისი გავრცელების განმსაზღვრელი მექანიზმი არ დაუდგენია. ფრიში კი ციკლების არსებობას ნებისმიერი ბიძგის შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევდა, რაც განმსაზღვრელი რეაქციის მჭონე სისტემაზე ზემოქმედებს.

ფრიშის თანახმად, იმპულსების წყარო ტექნოლოგიური და წარმოებრივი სიახლეებიც შეიძლება იყოს. შუმპეტერის აზრით, ფრიშმა გამოგონებათა ფაქტობრივად უწყვეტ ნაკადს მოაფინა ნათელი, რომელსაც დინამიკური კონტროლის მექანიზმი სიახლეთა მსხვილ მეცნიერულ ან ტექნიკურ მიღწევათა მონაცვლეობად გარდაქმნის. შემდგომში ეს ანალიტიკური თვალსაზრისი არც მას და არც ფრიშს აღარ განუვითარებია.

ფრიში (ალბათ გათანაბრების პრობლემათა ზეგავლენით) თავისი მაკრომოდელის ემპირიულ შექმნას შეუდგა და ამ სფეროში წამყვანი პოზიციები ტინბერგენს დაუთმო.

ფაქტობრივად, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისშივე, ფრიშმა თითქმის მიატოვა ეკონომიკის თეორიული კვლევა და გამოყენებით ეკონომიკაში გადაინაცვლა.

ომისშემდგომ პერიოდში ფრიში მთელ ენერგიას დაგეგმვის საკითხებს უთმობს. ამ თემას ეძღვნება მისი ადრინდელი ნაშრომი (სტატია) – „წრებრუნვის დაგეგმვა“ (1934).

მასში ეკონომიკური კრიზისები, წარსულში შეზღუდვებიდან გამომდინარე, მიმდინარე შესყიდვების შეზღუდვითაა ახსნილი, რასაც შემდგომში ეკონომიკური წონასწორობის დარღვევის ადრეული სიმპტომები უწოდა. ამიტომაც მან ფულადი ეკონომიკის, გარანტიებზე დაფუძნებული ბარტერული სისტემით შეცვლა მოითხოვა.

აქ ძალაუნებურად რობერტ ოუენი და მისი 1832 წლის ბედუკულმართი „სამართლიანი გაცვლის“ კონცეფცია გვახსენდება. საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მსგავსი სისტემა მოგვიანებით ფრიშმა შემოგვთავაზა.

მისი ადრინდელი შეხედულებები თანდათანობით დაგეგმვის სისტემაში გადაიზარდა, რომელიც **დახარჯული რესურსების – გამოშვებული პროდუქციისა და წრფივ პროგრამირებაზე** დაფუძნებული და დეტალურად გათვლილი საინვესტიციო სექტორითაა უზრუნველყოფილი.

ფრიშის გამოკვლევები განსაკუთრებით გამოთვლითი ალგორითმების[2] გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი ფუნქციების პრაქტიკული უპირატესობის სპეციფიკაციისკენაა მიმართული, რომლებიც დაგეგმვის შედეგად მაქსიმალური ხდება.

მისი რწმენით, მიზნებს დემოკრატია განსაზღვრავს, მგეგმავებმა კი მათი რეალიზების გზები უნდა მოძებნონ. თუმცა, დემოკრატია ძირითადად არსებული შესაძლებლობებით იფარგლება, რომელიც პიროვნებებს საკუთარი მიზნების განხორციელებაში თავისუფლებას ანიჭებს. სამუშაოთა ამ ფართო სპექტრმა ფრიშის გონების გამჭრიახობა კვლავ დაადასტურა.

საერთოდ, რაგნარ ფრიში გასული საუკუნის 30-იანი წლების წამყვანი ეკონომეტრიკოსია, რომელმაც მაკროდინამიკის თეორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, რამაც კეინზის სტატიკური თეორია გამოქვეყნებამდეც კი მოაძველა.

დიდი ხნის განმავლობაში ფრიში გამოყენებითი ეკონომიკის მედროშე იყო, მაგრამ, როდესაც ფრიში-ეკონომეტრიკოსი, ფრიში-მგეგმავმა დაჯაბნა, მისი ფუნდამენტური ნაშრომები უფრო გაფერმკრთალდა.

---

1 ე.სლუცკი – საბჭოთა ეკონომეტრიკოსი. მუშაობდა: კიევის უნ-ტში; კონიუნქტურულ ინ-ტში (1926 წლიდან) და სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (ცსს); მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (МГУ) არსებულ მათემატიკისა და მექანიკის სკი-ში (1934 წლიდან); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში (1938 წლიდან). იგი მოხმარების მათემატიური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომელიც პარეტოს, ეჯუორთის და სხვ. ნაშრომებს ეფუძნება. მან სარგებლიანობასთან მჭიდროდ დაკავშირა ფასების დინამიკა და მომხმარებელთა შემოსავლები. სლუცკის ნაშრომები შემთხვევითი პროცესების თეორიაში ეკონომიკის ციკლური განვითარების გამოკვლევებს ეყრდნობოდა (Слуцкий Е.: Избр. труды. Теория вероятностей. Математическая статистика, М., 1960).

2 ალგორითმი - რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკური მოქმედებათა ერთობლიობა.

3. მაპროდინამიკური ანალიზი: იან ტინბერგენი (1903-1994)

3.1. ეკონომეტრიკის კიდევ ერთი ნობელიანტი „ნათლია“

რაგნარ ფრიშის მეცნიერულ კარიერას მეტად მსგავსი ორეული გაუჩნდა ჰოლანდიელი იან ტინბერგენის მეცნიერული მოღვაწეობის სახით. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა რამდენიმე წელს შეადგენდა.

იან ტინბერგენი (Tinbergen) დაიბადა 1903 წელს ჰაagაში. მისი ხუთიეე დედმამიშვილი მაღალი ინტელექტით გამოირჩეოდა – იანის **ერთ-ერთმა ძმამ 1973 წელს ნობელის პრემია მიიღო ბიოლოგიაში**, ხოლო მეორე – ზოოლოგიის პროფესორი გახდა.

ი.ტინბერგენი ლეიდენის უნივერსიტეტში ფიზიკას სწავლობდა, მაგრამ მისი ინტერესები თანდათანობით ეკონომიკისკენ გადაიხარა. მისი სადოქტორო დისერტაცია (**„მინიმუმის პრობლემები ფიზიკასა და ეკონომიკაში“**, 1929) ფიზიკისა და ეკონომიკის პრობლემებს შეეხო. იგი ფაქტობრივად მათემატიკოს-ეკონომისტი გახდა და თავის მოდელებში პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას დიდძალი ფაქტობრივი მასალების ანალიზით ცდილობდა.

მან რ.ფრიშთან და ი.ფიშერთან ერთად შექმნა **ახალი ეკონომიკური დისციპლინა - ეკონომეტრიკა**.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი ჰოლანდიის მთავრობის სტატისტიკის ცენტრალურ ბიუროსთან არსებულ ეკონომიკური ციკლების კვლევის იმ ცენტრში მოღვაწეობდა, რომლის სულისჩამდგმელიც 1943 წლამდე თავად იყო. იმავე პერიოდში (1933 წლიდან) იგი როტერდამში ნიდერლანდების ეკონომიკური სკოლის პროფესორია (ამჟამად ერაზმის უნივერსიტეტი) დაგეგმვის განვითარების სფეროში. 1936-48 წწ. ჟენევაში „ერთა ლიგის“[1] ექსპერტად მოღვაწეობს.

მეცნიერული თვალსაზრისით, ეს წლები მისთვის ყველაზე ნაყოფიერია. ეკონომიკური ციკლების პრობლემათა კვლევას მან 40-იანი წლების დასაწყისიდან ახალი ბიძგი მისცა.

1945-55 წწ. ი.ტინბერგენი დანიის მთავრობის ეკონომიკური დაგეგმვის ცენტრალური ბიუროს დირექტორად მუშაობდა. ამ პერიოდში მან ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 1965-72 წწ. გაერო-ს განვითარებისა და დაგეგმვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. იყო ნიდერლანდების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ჰარვარდის უნივერსიტეტში ლექციების ციკლის წაკითხვის შემდეგ, იგი ნიდერლანდების ეკონომიკის ინსტიტუტის პროფესორი გახდა.

1969 წელს მან ნორვეგიელ რაგნარ ფრიშთან ერთად, **პირველად ეკონომიკის სფეროში, ნობელის პრემია გაიყო** – მაკროეკონომიკური პროცესების დინამიკური ანალიზის მოდელების დამუშავებასა და გამოყენებაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

ტინბერგენს იცნობდნენ, როგორც კეთილ ადამიანს – ოპტიმიზმით აღსავსეს, რომელსაც სჯეროდა, რომ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება გონიერებითა და კეთილი სურვილებითაა შესაძლებელი.

იგი გარდაიცვალა ჰაagაში (1994).

3.2. მაპროეკონომიკური მოდელის შესახებ

იან ტინბერგენის ნაშრომები უამრავ სტატიაში, ბროშურასა თუ მცირე ზომის წიგნებშია გაბნეული. **„რჩეული სტატიები“** (1959)[2] ტინბერგენის მნიშვნელოვან ნაშრომთა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს.

30-იან წლებში ტინბერგენის ყურადღება ეკონომიკური ციკლების გამოკვლევაზეა კონცენტრირებული. **„გემთმშენებლობის ციკლების“** შესახებ მისი მოდელი ეკონომიკის სფეროში დიფუზიალური განტოლებების პირველი გამოყენების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. დროის ინდი-

1 ერთა ლიგა – სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანება (1919-1946 წწ.).

2 Selected Papers, 1959.

ვიდუალური მწკრივების მრავალჯერადი კორელაციიდან (შეფარდებიდან) იგი დანიის ეკონომიკის დინამიკური მაკროეკონომეტრიკული მოდელის შექმნაზე გადავიდა, რომელიც ოცდაერთი განტოლებისაგან შედგებოდა.

ტინბერგენი 30-იან წლებში კეინზის იდეებზე დაყრდნობით, მონაწილეობდა 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის" მძიმე შედეგების დაძლევის პროგრამის შემუშავებაში.

მას, როგორც ერთა ლიგის ექსპერტს, ამერიკელი ეკონომისტის გოტფრიდ ჰაბერლერის (1900-1974) ეკონომიკური ციკლების თეორიის ანალიზი დაევალა. ამ დავალების შესრულების ნაცვლად მან მაკროეკონომეტრიკული მოდელის შესახებ პირველი ნარკვევი შექმნა (1939)[1], ხოლო 1942 წელს თავის სტატიაში კობი-დუგლასის წარმოების ფუნქციაზე დაფუძნებული გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური განვითარების „ნეოკლასიკური მოდელი" ააგო.

ერთა ლიგაში ტინბერგენის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიებები თანამედროვე სტანდარტებით შედარებით სუსტია, მაგრამ ეკონომიკური მერყეობების ფართომასშტაბიან მოდელებს სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი.

ამ გამოკვლევების ერთი ნაწილი მრავალჯერადი რეგრესული მიდგომების ახსნა-განმარტებებს ეძღვნება. რამდენიმე ქვეყნისა და პერიოდისათვის ყოველი ინვესტიცია (საერთო, საცხოვრებელი ბინებისა და რკინიგზის მშენებლობებში), რამდენიმე დეტერმინანტის – განმსაზღვრელის (მაგალითად, წარმოებრივ საშუალებათა ფასების, ასორტიმენტის, მოგებისა და წარმოების განვითარების) მიხედვით რეგრესს განიცდის; ყოველი შემთხვევითი ცვლადის გაანგარიშებისათვის უკუპროპორციულობის კოეფიციენტები გამოიყენება, ხოლო „განმარტების" ხარისხი ნიშნების, კოეფიციენტების, ნაშთების სერიალური შეფარდებითა და დაქვეითების კოეფიციენტების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მიხედვით განისაზღვრება.

როგორც ჩანს, ტინბერგენს თავისი მეთოდის გარკვეული შეზღუდულობა ესმოდა და სიტყვათა განმარტებას ხშირად ბრჭყალებში სვამდა. ამერიკის შეერთებული შტატების 1919-1932 წწ. ეკონომიკური ციკლის ახსნა მან ასეთი მიდგომით სცადა.

ტინბერგენის მოდელი, კეინზის „ზოგადი თეორიის" სტატიკურობისაგან განსხვავებით, დინამიკურია. იგი ფრიშის ანალიტიკური მოდელის ემპირიულ განხორციელებად შეიძლება ჩაითვალოს, რომელშიც დინამიკური თვისებების მეშვეობით, გარე ფაქტორების სახით მოქმედი ბიძგები სისტემაზე გარკვეულად ზემოქმედებენ.

ტინბერგენი ამ თვისებების გაანგარიშებას კორპორაციების მოგებებიდან იწყებს. საბოლოოდ, მოგება, როგორც გარე ბიძგების ფუნქცია, „შეკვეცილი სახითაა" წარმოდგენილი.

საფონდო ბირჟაზე, სპეკულაციისა და კაპიტალის დაგროვების აბსტრაქტირებით, ტინბერგენი 4,8-წლიან ციკლს „პოულობს". თუ აქციების კურსი ძლიერად მერყეობს, ეს სისტემის დროებით ფეთქებადობას მოასწავებს და „ბუშტი მალე სკდება".

ტინბერგენის შეხედულებები არაერთგვაროვნად შეფასდა. კეინზმა მისი შეხედულებების ვრცელი და გესლიანი მიმოხილვა „ეკონომიკურ ჟურნალში" გამოაქვეყნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტინბერგენის მოდელს, კეინზის „ზოგადი თეორიიდან" თითქმის არაფერი აუღია – ეკონომეტრიკულ მოდელების შექმნას მაინც თავისი მიმართულება მიეცემოდა, კეინზსაც რომ არაფერი დაეწერა.

ტინბერგენის მოდელის ერთ-ერთი თვისება, რომელმაც მოგვიანებით კეინზის მოდელები უსარგებლო გახადა, საფონდო ბირჟის სპეკულაციის განსაკუთრებული როლის შესწავლაშია.

3.3. ეკონომიკური პოლიტიკა: ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა

ტინბერგენის მუშაობის შემდგომი ეტაპი ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას ეხება. პოლიტიკაზე კამათს, ჩვეულებრივ, მიზნების შესახებ კამათიც ახასიათებს. მაგალითად, სრული დასაქმება შეუთავსებელია ფასის სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობასთან. ასეთ კონფლიქტებს ზოგჯერ „მაგიურ სამკუთხედს" უწოდებენ. ეკონომიკურ მეცნიერებაში ტინბერგენის

1 Business Cycles in the United States of America 1919-1932, Geneva, 1939.

კიდევ ერთი დამსახურება სწორედ ასეთი კონფლიქტების ლოგიკის გამეღავნებაშია. მან, ფაქტობრივად, თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის თეორიას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც მრავალი თვისება ახასიათებს.

აღნიშნული საკითხებისადმია მიძღვნილი ტინბერგერის ნაშრომები[1]: **„ეკონომიკური პოლიტიკის თეორია"** (1952), **„ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია ეკონომიკურ პოლიტიკაში"** (1954) და **„ეკონომიკური პოლიტიკა: პრინციპები და მიზანი"** (1956).

თავისი მოღვაწეობის მესამე ეტაპზე ტინბერგენი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვას შეეხო. იგი მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავებების შესამცირებელ გზებსა და საშუალებებს ეძებდა — განათლებისა და რეგიონული დაგეგმვის მოდელებს ქმნიდა, ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და განვითარებად ქვეყნებს — განსაკუთრებით კი აზიის ქვეყნების მთავრობებს — ეხმარებოდა. გლობალურ დაგეგმვაზე ტინბერგენის შეხედულებები გადმოცემულია ნაშრომებში[2]: **„მეოცე საუკუნის ფონდის მოხსენება"** (1962), **„წარსულის გაკვეთილები"** (1963) და **„საერთაშორისო წესრიგის გადასინჯვა"** (1976).

შესაძლოა, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისადმი იმედგაცრუებითაა განპირობებული მოგვიანებით (მისი მოღვაწეობის მეოთხე ეტაპზე), შემოსავლების განაწილებასა და ინდუსტრიულ ეკონომიკაზე ტინბერგენის ყურადღების აქცენტირება. იგი პირველად აისახა სტატიაში — **„შემოსავლის განაწილების თეორიის შესახებ"** (1959), შემდეგ კი ერთ ნაშრომში — **„შემოსავლის განაწილება, ანალიზი და პოლიტიკა"** (1975)[3].

ამ სფეროს კვლევებში იმ დროისათვის შემოსავლები დომინირებდა, რომელშიც ცხოვრება ლატარიასთანაა შედარებული, სადაც პიროვნებები შემთხვევით რიცხვებს განმეორებით იღებენ. შემოსავლის არსებული განაწილება ამ შემთხვევითი პროცესების შედეგის სახით განიხილებოდა. ამისაგან განსხვავებით ტინბერგენი მაკროეკონომიკურ თეორიაზე დაფუძნებული დეტერმინალური[4] მიახლოების ქომაგი გახდა.

ტინბერგენის მიერ ბაზარზე წარმოდგენილი ყოველი პიროვნება გარკვეული შესაძლებლობების მქონეა. ამ პიროვნებას სამუშაოს, შემოსავლის, თავისუფალი დროის, რისკისა და განსხვავებული პროფესების მიმართ თავისი სუბიექტური მიდგომა გააჩნია. ყოველი პიროვნებისათვის მომსახურების რეალური მიწოდება მის მომავალ შემოსავალზეა დამოკიდებული. მომსახურებაზე ფირმების მოთხოვნა ტექნოლოგიისა და საბაზრო პირობების გათვალისწინებით ყალიბდება. ხელფასი, დასაქმება და, საერთოდ, შემოსავალი, მომსახურების მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული. მაღალშემოსავლიანია ის, ვისი მომსახურების მიწოდებაც მცირეა, ხოლო მასზე მოთხოვნა კი მაღალია და პირიქით — დაბალშემოსავლიანია ის, ვისი მომსახურების მიწოდებაც ჭარბია, ხოლო მასზე მოთხოვნა კი მცირე.

ტინბერგენის დასკვნით, ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციის ინდუსტრიული საზოგადოების უფრო მეტი გათანაბრებისაკენ გაგრძელება, ძირითადად განათლების სფეროში არსებულ კონკურენციაზეა დამოკიდებული. ეს კი ტექნოლოგიურ უთანასწორობას ამცირებს, რომელსაც (მაღალი კვალიფიკაციის შრომაზე მოთხოვნის ზრდის გამო) უთანასწორობისაკენ მიდრეკილება აქვს.

ტინბერგენისათვის ნათელია, რომ შემოსავლის პერსონალური განაწილების სრული ახსნა ყველა ელემენტს გააერთიანებდა, მაგრამ მას უფრო მეტად მიწოდებისა და მოთხოვნის ეკონომიკური ანალიზი სურდა.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ტინბერგენი მსოფლიოში უმეტესად ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის სპეციალისტად გახდა ცნობილი, მაგრამ ეკონომიკურ მეცნიერებაში მისი ძირითადი წვლილი მაინც სხვა სფეროს განეკუთვნება.

---

1 On the Theory of Economic Policy, 1952; Centralization and Decentralization in Economic Policy, 1954; Economic Policy..., 1956.

2 Shaping the World Economy..., 1962; Lessons from the Past, 1963; Reshaping the International Order..., 1976.

3 Income Distribytion..., 1975.

4 **დეტერმინანტი** (ლათ. determinans) - დამხმარე ალგებრული გამოსახულება პირველი ხარისხის რამდენიმეუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად; მსაზღვრელი, განმსაზღვრელი.

ეკონომეტრიკოსად იგი ცნობილი გახდა ეკონომიკური მერყეობების პირველი ემპირიული მოდელის შექმნით და ეს მოდელი გადამწყვეტი მეცნიერული მიღწევა აღმოჩნდა, რასაც ადასტურებს ამერიკელი ეკონომისტის, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის (1980) ლოურენს კლეინის (Klein, დაბ. 1920)[1] „შეერთებული შტატების ეკონომიკის მერყეობები 1921-1941 წწ." (1950)[2].

ტინბერგენის ეკონომიკური პოლიტიკის თეორია, მაკროდინამიკური მოდელის მსგავსად, რაგნარ ფრიშის იდეებითაა შთაგონებული. დაახლოებით იმავე დროს, ინგლისელმა ეკონომისტმა, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატმა (1977) ჯეიმზ მიდმაც (1995) მსგავსი მოსაზრებები წარმოადგინა[3].

მიუხედავად ამისა, ამ იდეების ტინბერგენისეული დამუშავება გარკვეულწილად ორიგინალურ სამუშაოს წარმოადგენდა და იგი ამ დარგში სხვების ინტენსიური მუშაობის ათვლის წერტილი გახდა.

ტინბერგენის შემოსავლების უთანასწორობის კონცეფციამ ცხადყო, რომ საზოგადოებრივი სამართლიანობით ღრმა დაინტერესებას თანამედროვე ეკონომიკის ძირითად მიმართულებებზე უკეთესი ანალიტიკური საშუალებების გამონახვა არ შეუძლია.

4. ვასილი ლეონტიევი (1906-1999): „დანახარჯები-გამოშვება"

4.1. პეტერბურგი – ჰარვარდი – ნობელიანტი

ვასილი ლეონტიევი (Leontief) დაიბადა სანკტ-პეტერბურგში 1906 წელს. მამამისი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი. ვასილი თხუთმეტი წლის ასაკში, სპეციალური ნებართვის საფუძველზე, პეტროგრადის (1924 წლიდან ლენინგრადის) უნივერსიტეტში სასწავლებლად დაუშვეს, რომელიც სამ წელიწადში დაამთავრა.

1925-1928 წწ. ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობს პროფ. ვ.ზომბარტის ხელმძღვანელობით, სადაც 1928 წელს ფილოსოფიის დოქტორის წოდება მიენიჭა.

იგი ჯერ კილში – მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტში ასისტენტად, ხოლო შემდეგ ქ.ნანკინში – ეკონომიკის საკითხებში ჩინეთის მთავრობის მრჩეველად მუშაობდა.

1931 წელს იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური გამოკვლევების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ უ.მიტჩელმა სამუშაოდ მიიწვია, რაზეც ლეონტიევი დათანხმდა.

მალე ლეონტიევი ჰარვარდში ინსტრუქტორი გახდა, სადაც მან პროფესორობის მიღებამდე ყველა საფეხური გაიარა. 1946-1973 წწ. ჰარვარდის უნივერსიტეტში ეკონომიკური გამოკვლევების ცენტრს ხელმძღვანელობდა. ჰარვარდიდან წამოსვლის შემდეგ, იგი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორია, 1970 წელს კი ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

1973 წელს იგი ეკონომიკაში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა „დანახარჯები-გამოშვება" (input-output) მოდელის განვითარებისა და ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მისი გამოყენებისათვის.

ლეონტიევის პიროვნებაში გაერთიანებული იყო ბრწყინვალე ინტელექტი და მეცნიერული ხელმძღვანელის ტალანტი. მას საოცარი ნებისყოფა გააჩნდა - სიცოცხლის უდიდესი ნაწილი კვლევის ერთი მეთოდის დამუშავებისათვის დაეთმო. მათემატიკის შესანიშნავი მცოდნე, შინაგანად ყოველთვის ეკონომისტი იყო.

პრაქტიკული ეკონომიკური შედეგების მისაღებად იგი ეკონომიკურ თეორიას, მათემატიკასა და სტატისტიკას იყენებდა.

მისი რწმენით, კაპიტალიზმის განვითარების შემდგომი ეტაპი დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების გეგმის შესაბამისად ამომწურავ ეროვნულ დაგეგმვას საჭიროებდა.

ვ.ლეონტიევი ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად 1959 წ. ჩავიდა (სანკტ-პეტერბურგში -

1 ა.სოლაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 147-150.

2 Klein L., Economic Fluctuations in the United States, 1921-1941, N.Y., 1950.

3 Meade J. Planning and the Price Mechanism: The Liberal Socialist Solution, L., 1948.

1973 წ.). იგი იყო ამერიკის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომეტრიკული საზოგადოების (1945 წ. – პრეზიდენტი), ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის (1970 წ. – პრეზიდენტი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (1988 წლიდან) წევრი. მის სტუდენტებს შორის იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები პ.სამუელსონი და რ.სოლოუ.

გარდაიცვალა ნიუ-იორკში 1999 წელს.

4.2. დარგთაშორისი მოდელი „დანახარჯები-გამოშვება"

„ლეონტიევის მოდელი" ესაა საქონლის და მომსახურების განაწილების დარგთაშორისი ბალანსის მოდელის შემოკლებული სახელწოდება.

თავისი პირველი სტატია რუსულ ენაზე ლეონტიევმა ცხრამეტი წლის ასაკში გამოაქვეყნა. იგი საბჭოთა კავშირის სტატისტიკური ანგარიშების მოკლე კრიტიკულ მიმოხილვას წარმოადგენდა. უფრო კონკრეტულად, ეს იყო ახალგაზრდა მეცნიერის მიერ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის პ.პოპოვის მოხსენების (1923-1924 წწ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ბალანსის შესახებ) კრიტიკული ანალიზი[1].

ლეონტიევმა საბჭოთა ანგარიშები აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ანგარიშებს შეადარა და აღნიშნა, რომ იგი ცხრილების სახით ეკონომიკის მთლიანი სტრუქტურის მხოლოდ ზოგად სურათს წარმოადგენდა.

„დანახარჯები-გამოშვებული პროდუქციის" მოდელის იდეა მკრთალი კონტურის სახით უკვე ამ სტატიაში იკვეთება. ავტორი მაშინ შეიძლება ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, რომ ამ სტატიაში მან მთელი თავისი ცხოვრების ლაიტმოტივი დააფიქსირა.

მომდევნო წლებში ლეონტიევმა გამოაქვეყნა სტატიები ინდუსტრიის კონცენტრაციის, მიწოდებისა და მოხმარების სტატისტიკური მრუდების, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის და სხვ. შესახებ.

გასული საუკუნის 30-50-იან წლებში დარგთაშორისი კავშირებისა და ბალანსების შესასწავლად დანახარჯები-გამოშვების მეთოდი შეიმუშავა, რომელსაც შემდგომში **„ლეონტიევის მოდელი"** ეწოდა.

ეროვნულ ბიუროში მან **„დანახარჯებისა და გამოშვებული პროდუქციის"** ძირითად მოდელზე დაიწყო მუშაობა, რომელიც პირველი ცხრილების სახით 1936 წელს წარმოადგინა სტატიაში – **„აშშ ეკონომიკურ სისტემაში დანახარჯები-გამოშვების შედარებითი ანალიზი"**[2].

1941 წელს ლეონტიევმა გამოაქვეყნა ნაშრომი **„ამერიკული ეკონომიკის სტრუქტურა 1919-1929 წწ."**[3], რომელშიც ნაჩვენებია, წარმოებრივი დანახარჯის რა ნაწილი უნაზღაურდება წარმოების ყოველ დარგს სხვა დარგების მიერ.

მისი დაშვებით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია ხორბლის, სიმინდის, კვერცხისა და სხვა მსგავსი საქონლის ჯამით განისაზღვრება. დავუშვათ, რომ თითოეული მათგანის ღირებულება 1 მლნ დოლარია. ამ შემთხვევაში ყველა ფასი ავტომატურად ერთთანაა გათანაბრებული, ხოლო დანახარჯებისა და შედეგების საანგარიშო ჩანაწერები კი რაოდენობების სახით შეიძლება გაერთიანდეს. მაშინ, კოეფიციენტები გვიჩვენებს, მაგალითად, წარმოებული ლითონის მოცულობის რამდენი ერთეულია გამოყენებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთი ერთეულის საწარმოებლად.

ამგვარად, შეფარდებების სიდიდე ტექნოლოგიურ დანახარჯებში გამოისახება. ეს მაჩვენებლები ეკონომიური განვითარების პროცესში ცვლადია, მაგრამ, ლეონტიევმა გამოყენებით მოდელში მათი მუდმივ სიდიდეებად განხილვა დაუშვა.

ზემოალნიშნული დაშვებით, ლეონტიევი ფიქსირებული კოეფიციენტების ტექნოლოგიას დაუბრუნდა, რომელიც რიჩარდ კანტილიონიდან ლეონ ვალრასამდე (გარკვეული გამონაკლისებით) წარმოების თეორიაში დომინირებდა. დაშვებით, ნაწარმის ყოველი ერთეული ყოველი დახარჯული რესურსის განსაზღვრულ რაოდენობას მოითხოვს.

---

1 **Леонтьев В. В.**, Экономические эссе...,М.,1990, გვ. 242-249.

2 Quantitative Input and Output Relations in the Economic System of the United States - Review of Economics and Statistics, 18/1936.

3 **Leontief W.W.**, The Structure oof American Economy, 1919-1929, Cambr., 1941.

თავდაპირველად ლეონტიევმა ისეთი ეკონომიკური სისტემა გამოიკვლია, რომელშიც გამოშვებული ნაწარმი დახარჯულ რესურსად განიხილება და მას „ჩაკეტილი მოდელი“ ეწოდა[1].

თუმცა, ბევრ საინტერესო კითხვას ლეონტიევის „ჩაკეტილმა მოდელმა“ ვერ უპასუხა. მაგალითად, მოდელის მიხედვით შეუძლებელია წარმოების სხვადასხვა სფეროს წარმოებრივი სიძლავრეებისა და სამუშაო ძალის ზუსტად იმ რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც მოხმარებისთვის საჭირო ნაწარმის გამოსაშვებად, ინვესტიციებისათვის, შიგა და საგარეო ვაჭრობისათვისაა აუცილებელი.

ომისა და ომისშემდგომ აღდგენით პერიოდში წამოჭრილი პრობლემების ზეგავლენით ლეონტიევმა ნაშრომებში — „ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურა“ (მეორე გამოცემა, 1951) და „ამერიკის ეკონომიკის სტრუქტურის გამოკვლევა“ (1953) „ღია სისტემების“ გამოყენება დაიწყო.

„ღია მოდელი“ ლეონტიევმა აშშ-ის წარმოებაში გამოშვებულ პროდუქციისა და დასაქმებაზე საბოლოო მოთხოვნის (საგარეო ვაჭრობის ჩათვლით) ცვლილებების გავლენის პროგნოზირებისათვის გამოიყენა.

ასეთი პროგნოზირების საიმედოობა, როგორც ჩანს, დიდადაა დამოკიდებული წარმოების დარგთა ერთგვაროვნებაზე. დასაწყისში, წარმოების მხოლოდ ათი დარგისათვის ჩატარებულ გამოკვლევას დიდი ცხრილები მოჰყვა — ამის საშუალებას უკვე კომპიუტერული ტექნოლოგია იძლეოდა. ლეონტიევის აღნიშვნით, წარმოების ათი დარგისათვის დაწყებული გამოთვლები ერთი ადამიანისაგან ორწლიან შრომას მოითხოვდა. იმ დროისათვის კი, როცა მან გამოთვლების გარკვეულ ეტაპს მიაღწია, დრო უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა, ელექტრონული კომპიუტერების დანერგვის შედეგად კი ისინი, ფაქტობრივად, დაბრკოლებას აღარ წარმოადგენდნენ.

ზემოაღნიშნულ გამოკვლევების (1951-1953) შედეგია ე.წ. „ლეონტიევის პარადოქსი“. ავტორმა გააანალიზა აშშ-ის ვაჭრობის სტრუქტურა და ნეოკლასიკური დოქტრინის საწინააღმდეგოდ მიიღო პარადოქსული დასკვნა: ომისშემდგომ პერიოდში აშშ-ის ექსპორტი (იმპორტთან შედარებით) უფრო შრომატევადი და ნაკლებად კაპიტალტევადია.

ლეონტიევის სტატიების ორტომეული (1977)[2] მისი ინტერესების ფართო არეალზე მეტყველებს. მისი ძირითადი გამოკვლევები „დახარჯული რესურსების — გამოშვებული პროდუქციის“ ანალიზს ეძღვნება. ამ ნაშრომთა უმეტესობა 1966 წელს გამოშვებულ ორტომეულშია[3] თავმოყრილი. ზოგიერთი მათგანი, ცალკეული პრობლემის კვლევისას, აშშ-ის მონაცემებს ეყრდნობა (ისეთ საკითხებში, მაგალითად, როგორიცაა: სამუშაო ძალა, საგარეო ვაჭრობა, ხელფასის პრობლემა, განიარაღება და სხვ.), ზოგში კი ეკონომიკის განვითარებაზე, რეგიონთაშორის ურთიერთობებზე, გარემოს დაცვის ეკონომიკასა და ბუნებრივ რესურსებზე დანახარჯებისა და გამოშვების ანალიზია მოცემული.

დაბოლოს, გაერო-მ დააფინანსა პროექტი, რომელშიც ლეონტიევი და მისი კოლეგები საუკუნის ბოლოს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზირებისათვის დანახარჯისა და გამოშვების ანალიზს იყენებდნენ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ლეონტიევის მცდელობას, რათა მის სისტემას დინამიკური განზომილება მიეღო.

დანახარჯებისა და გამოშვების სტატიკური ანალიზი საქონლისა და მომსახურების ნაკადებს აკავშირებს, დინამიკური ანალიზი კი მათ ძირითად კაპიტალს უმატებს.

ლეონტიევის მიერ ნაჩვენებია, რომ ფეხსაცმლის გამოშვების ზრდა ტყავისა და შრომის დამატებით დანახარჯებთან ერთად, მექანიზმებისა და ძირითადი კაპიტალის ზრდასაც მოითხოვს. კაპიტალის ფონდის შექმნის შემდეგ წარმოების ასეთი ზრდა დროებითია და დამატებითი მოთხოვნა ქრება. ეს, პრობლემას დინამიკურს ხდის და ამრიგად, ეკონომიკური განვითარების ანალიზს გზას უხსნის.

ცხადია, ამ დინამიკური ანალიზის ერთ-ერთი პრობლემა წარმოების გაფართოებასა და შეკვეცას შორის სიმეტრიის დარღვევაა. მოჭრილი ხეებით სახლების აშენება შეიძლება, მაგრამ სახლების სიჭარბის შემთხვევაში მათი ხეებად გადაქცევა შეუძლებელია.

---

1 ასეთი სისტემის თეორიული ანალიზი რამდენიმე წლით ადრე (1937) ჯონ ფონ ნეიმანმა დაიწყო.

2 Essays in Economics, N.Y., 1977.

3 Essays in Economics, N.Y., 1966.

ლეონტიევის ადრინდელი ნაშრომები, მართალია, დიდ ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ, როდესაც დანახარჯისა და გამოშვების ანალიზი ბოლომდე დამუშავდა, მას განსაკუთრებული წარმატება მოჰყვა – რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები, გამოცდილების გასაზიარებლად დიდი კონფერენციებიც მოეწყო.

დანახარჯებისა და გამოშვების ანალიზი განვითარებადი ქვეყნებისა და ყოფილი საბჭოთა კავშირისთვისაც კი გარკვეულწილად მისაღები გახდა. თუ კურნო, ტიუნენი და ვალრასი მომავალი თაობებისათვის წერდნენ, ლეონტიევი, ა.სმითისა და ჯ.კეინზის მსგავსად, იმავეს თავისი თანამედროვეებისათვის აკეთებდა.

წარმატებებს სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა. 40-იან წლებში წრფივი სისტემები მომავლის ტალღად გადაიქცა. იმ დროს, როცა ნეიმანის მოდელები ჯერ კიდევ გაუგებარი იყო და ეკონომისტები კვლავ პროგრამირების უმარტივესი პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობდნენ, ლეონტიევმა ეკონომიკას გამზადებული წრფივი მოდელი შესთავაზა.

„დანახარჯებისა და გამოშვების“ კონცეფციის შემუშავება ციფრული კომპიუტერების გამოყენებას დაემთხვა. მისი ანალიზი ომისშემდგომი პერიოდის ეკონომიკის დაგეგმვის ავანგარდში მოექცა. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ყველა დონის მგეგმავმა ბიუროკრატიამ – საერთაშორისომ, ეროვნულმა, რეგიონალურმა და ლოკალურმა, მასში გასაგებად სიადვილე, სამართავად შედარებით სიძლიერე და მოხმარებაში მრავალმხრივობა აღმოაჩინა.

70-იან წლებში ამ სფეროში მეცნიერული აქტივობა შენელდა. რაც ადრე გამოქვეყნებული ინფორმაციის ნაკადად იღვრებოდა, 80-იან წლებში მცირე წვეთებად გადაიქცა. ერთი მხრივ, ეს უბრალოდ, დახვეწილი მეთოდოლოგიიის შაბლონური მოხმარებისათვის მზადყოფნის ნიშანი იყო, მეორე მხრივ კი ეს იმ ფაქტსაც ასახავდა, რომ საქმიანობის ანალიზის მკვეთრად ოპტიმიზირებულმა მეთოდებმა დანახარჯებისა და გამოშვების ანალიზი თეორიულად მოაძველა.

„დანახარჯები-გამოშვება“ თითქოსდა მაგარი ხრახნიანი თვითმფრინავი იყო, მაგრამ მომავალს რეაქტიული ძრავა იკაფავდა. აკადემიურ დონეზე კი იგი მრავალი გენიოსის შთაგონების წყარო აღარ იყო – ისინი არსებულ მტკიცებებს, თეორიებსა და რაციონალურ იმედებს არჩევდნენ.

ვ.ლეონტიევმა, რომელიც 70-იანი წლების შუა პერიოდში გაეროს ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, „თავისი მეთოდის“ გამოყენებით მოამზადა მოხსენება „შრომის ეკონომიკის მომავალი“ (1977)[1].

მართალია, ლეონტიევს ეკონომიკური მეცნიერება განსაკუთრებული ღრმა თეორიული აზრებით არ გაუმდიდრებია, მაგრამ ემპირიული დაგეგმვისათვის პრაქტიკულად ძლიერი გამოყენებითი იარაღი უდავოდ შესძინა მას. ეს ერთდროულად ნაკლებიცაა და იმაზე მეტიც, რასაც რიგმა გამოჩენილმა ეკონომისტმა მიაღწია.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ახვლედიანი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

ა.გრიშიკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

ვლ.პაპავა, საგეგმო გაანგარიშებათა მათემატიკა (დარგთაშორისი ბალანსის მოდელები), თბ., „მეცნიერება“, 1985; Теории продуктивности капитала и модели межотраслевого баланса, Ред. проф. Л.Чикава, Тб., «Мецниереба», 1987.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

1 The Future of the World Economy, N.Y., 1977.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Немчинов В.С., Избранные сочинения, т. 3, М., 1967.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Слуцкий Е.: Избр. труды. Теория вероятностей. Математическая статистика, М., 1960

Хаберлер Г. Процветание и депрессия, пер. с англ., 1960.

Шумпетер Й., История экономического анализа, Пер. с англ., т.2-3, Санкт-Петербург, 2004.

Frisch Ragnar: The Interrelation between Capital Production and Consumer-Taking-Journ. of Polit. Econ., 39(5), 1931; New Methods of Measuring Marginal Utility. Tübingen, 1932; Einige Punkte einer Preistheorie mit Boden und Arbeit als Produktionsfaktoren-Zeitschrift für Nationalökonomie, 3(1), 1932; Monopole - polypole - The Concept of Force in the Economy. In International Econ. Papers, 1, L., 1933; Monopole - polypole - The Concept of Force in the Economy. In International Econ. Papers, 1, L., 1933; Pitfalls in the Statistical Construction of Demand and Supply Curves. Lpz., 1933; Statistical Confluence Analysis by Means of Complete Regression Systems. Oslo, 1934; Curculation Planning: Proposal for a National Organization of a Commodity and Servise Exchange, Ports, 1-2-Econometrica, 2(3)/1934; Annual Survey of General Economic Theory: The Problem of Index Numbers - Econometrica, 4(1)/1936; On the Nation of the Equilibrium and Disequilibrum - Review of Economic Studies, 3(2)/1936; Note on the Term „Econometrics~ - Econometrica, 4(1)/1936; The Dupuit Taxation Theorem - Econometrica, 7/1939; Monopoly - Polipoly - The Concept of Force in the Economy. In International Economic Papers, no.1, L., 1951; Frisch on Wicksell. In the Development of Economic Thought: Creat Economists in Perspective, N.Y., 1952; Sur un probleme d'economie politique pure - Metroeconomica, 9/1957; A Complete Scheme for Computing All Direct and Cross Demand Elasticities in a Model With Many Sectors - Econometrica, 27/1959; Theory of Production, Dordrecht, 1965; Maxima and Minima: Theory and Economic Applications. Dordrecht, 1966; Pitfalls in the Stat. Construction of Demand and Supply Curves, L., 1973; Econimic Planning Studies: A Collection of Essays, Dordrecht, 1976; От утопической теории к практическому приложению: случай эконометрики - Мировая экономическая мысль, т.V, ч.I, М., 2004.

Kalecki M., Próba teori Konjuktury, Warsz., 1033.

Klein Lawrence R., Economic Fluctuations in the United States, 1921-1941, N.Y., 1950.

Leontief Wassily W., Quantitative Input and Output Relations in the Economic System of the United States - Review of Economics and Statistics, 18/1936; The Structure of American Economy, 1919-1929: An Empirical Application of Equilibrium Analysis. Cambr., 1941 - 2d.ed. N.Y., 1951; Studies in the Structure of the American Economy: Theoretical and Empirical Exploratios in Input-Output Analysis. White Plains, N.Y., 1953; Input-Output Economics, N.Y., 1966/1986; Essays in Ecnomics: Theories and Theoriring, vol.1-2, N.Y., 1966/1977; The Future of the World Economy. A United Nations Study, N.Y., 1977 (თანაავტ.: ა.კარტერი და პ.პეტრი.); რუს. თარგმ.: Исследования структуры американской экономики, М., 1958; Экономические эссе. Теории, исследования, факты и политика, М., 1990; Межотраслевая экономика, М., 1997; Структура мировой Экономики. Опит анализа и затраты. выпуск (Нобелевская лекция, 11.12.1973) - Мировая экономическая мысль, т.V, ч.I, М., 2004.

Meade J. Planning and the Price Mechanism: The Liberal Socialist Solution, L., 1948

Moore Henry Ludwell, Economic Cycles: Their Law and Cause, N.Y., 1914.

Slatsky Eugen. The Summation of Random Causes as the Source of Cyclic Proceses - Econometrica, 5, 1937.

Tinbergen, Jan: Annual Survey: Suggestions on Quantitative Business Cycle Theory - Econometrica, 3/1935; An Econometric Approach to Business Cycle Problems, Paris, 1937; Statistical Testing of Business-Cycle Theories: I. A Method and Its Application to Investment Activity; II. Business Cycles in the United States of America 1919-1932, Geneva, 1939; Zur Theorie der langfristigen

Wirtschaftsentwicklung _ Weltwirschaftliches Archiv, 53/1942; The Dinamics of Business Cycles: A Study in Economic Fluctuations. Chicago, 1950; On the Theory of Economic Policy. Amsterdam, 1952; Zentralization and Decentralization in Economic Policy. Amst., 1954; Economic Policy: Principles and Design. Amst., 1956; Selected Papers, Amst., 1959; Optimum Savings and Utility Maximization over Time - Econometrica, 28/1960; Shaping the World Economy: Suggestions for an International Economic Policy, N.Y., 1962; Lessons from the Past. Amst., 1963; Income Distribytion: Analysis and Policies. Amst., 1975; Reshaping the International Order. A Report to the Club of Rome, N.Y., 1976; Warfare and Welfare: Integrating Security Policy into Socio-Economic Policy, Brighton, N.Y., 1987; Математические модели экономического роста, пер. с англ., М., 1967 (ჰ.ბოსის თანაავტ.); Пересмотр международного порядка, М., 1980; Использование моделей в экономике: опыт и перспективы (Нобелевская лекция, 12.12.1969) - «Мировая экономическая мысль», т.V, М., 2004.

თავი XXVI.
ეკონომიკურ-მათემატიკური დოქტრინები

1. კვლევის პერეორიენტაცია

გამოჩენილი მათემატიკოსები თავიანთ აზროვნებას დროდადრო ეკონომიკური პრობლემებისაკენ მიმართავდნენ, მაგრამ მე-20 საუკუნემდე მათი კვლევითი მიღწევები ეკონომიკაში ისეთი არ იყო, როგორც მათემატიკასა თუ ფიზიკაში.

ის, რაც ინგლისელ **ისააკ ნიუტონს** (1643-1727) ან პოლონელ ასტრონომ **ნიკოლაი კოპერნიკს** (1473-1543) ფულის შესახებ შეიძლება კომპეტენტური სიტყვა ეთქვათ, მაგრამ ისინი ამ საქმიანობით არ დაკავებულან. შვეიცარიელმა მათემატიკოსმა **დანიელ ბერნულიმ** (1700-1782) განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღების შესახებ ბრწყინვალე სამუშაო შეასრულა, მაგრამ მან კლებადი ზღვრული სარგებლიანობის უფრო ფართო მნიშვნელობის გამოკვლევა ვერ შეძლო.

ზემოაღნიშნული მდგომარეობა „მარჟინალურ ეპოქაში" შეიცვალა - მოყვარულებმა (იოჰან ფონ თიუნენი, გერმან ჰენრიხ გოსენი, უილიამ სტენლი ჯევონსი და ლეონ ვალრასი) და პროფესიონალმა მათემატიკოსებმაც (ანტუან აუგუსტინ კურნო, ალფრედ მარშალი, ვილფრედო პარეტო, ნუტ ვიკსელი და ირვინგ ფიშერი) ეკონომიკური თეორიის მათემატიკური ანალიზის ჩარჩოებში მოქცევა სცადეს.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკურ თეორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი ცნობილმა მათემატიკოსმა ჯონ ფონ ნეიმანმა შეიტანა.

2. თამაშთა თეორია: ჯონ ფონ ნეიმანი (1903-1957)

2.1. იანოში და ატომური ბომბი

ამერიკელი მათემატიკოსი, ამერიკის ეროვნული აკადემიის წევრი, ჯონ (იანოშ) ფონ **ნეიმანი** დაიბადა 1903 წელს, ბუდაპეშტში (მაშინ ავსტრია-უნგრეთის მონარქიის ნაწილი). იგი ებრაული წარმოშობის მდიდარი ბანკირის სამი ვაჟიდან უფროსი იყო.

იანოშს ჯერ დამოუკიდებლად, შემდეგ გიმნაზიაში ასწავლიდნენ, სადაც მისი არაჩვეულებრივი ნიჭიერება მალე შეამჩნიეს. იგი მათემატიკის გაკვეთილებიდან გაათავისუფლეს და დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის მათემატიკის პროფესორები მიაშგრეს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი პროფესიონალ მათემატიკოსად იყო მიჩნეული და თავის ერთ-ერთ რეპეტიტორთან ერთად პირველი მეცნიერული სტატია გამოაქვეყნა.

ნეიმანი ბუდაპეშტის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამავე დროს ის ციურიხში ტექნოლოგიის ფედერალურ ინსტიტუტში ქიმიის შესასწავლად გაემგზავრა, სადაც იმ დროს რამდენიმე გამოჩენილ მათემატიკოსს შეხვდა.

ბუდაპეშტში მან დოქტორობა მათემატიკაში, ხოლო ციურიხიდან კი ინჟინერ-ქიმიკოსის დიპლომი მიიღო.

ფონ ნეიმანი ბერლინისა (1927-29) და ჰამბურგის (1929-30) უნივერსიტეტებში მათემატიკის პრივატ-დოცენტია. ალგებრასა და კვანტურ თეორიაში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა მას უკვე მსოფლიო აღიარება მოუპოვა – ცნობილი გახდა, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გენიალური მათემატიკოსი.

მიუხედავად ამისა, გერმანიის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით მას ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. ამიტომაც, 1930 წელს პრინსტონის უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ იქ გადასვლის წინადადებას დაეთანხმა და 1931 წელს პრინსტონში პროფესორი გახდა. ორი წლის შემდეგ მან ამ პოსტზე უარი თქვა იმ მიზნით, რომ აქვე ახლად დაარსებული მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ყველაზე ახალგაზრდა, მუდმივი წევრი გამხდარიყო.

1930 წელს ფონ ნეიმანმა უნგრელი მარიეტა კოვესი (მათი ქალიშვილი, მარინა ფონ ნეიმან უოტკინი, მოგვიანებით გამოჩენილი ამერიკელი ეკონომისტი გახდა) ცოლად შეირთო.

ახალგაზრდა პროფესორს, რომელსაც კარგი ხელფასი ჰქონდა და მდიდარი ოჯახიდან იყო, პრინსტონში დიდი სახლი ჰქონდა, სადაც უამრავ სტუმარს მასპინძლობდა და საღამოებსაც ხშირად მართავდა.

იგი ექვს უცხო ენას (ლათინურისა და ბერძნულის ჩათვლით) ფლობდა. ისტორიის კარგ მცოდნეს, პოლიტიკაც აინტერესებდა და იუმორის კარგი გრძნობაც გააჩნდა.

ამავე დროს იგი, ეტყობა, ადამიანურ ურთიერთობებში გარკვეულ მარტოობას განიცდიდა. მისი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა და განქორწინებით დასრულდა.

1938 წელს ზაფხულში ბუდაპეშტში ყოფნისას ფონ ნეიმანმა ცოლად შეირთო კლარა დანი, რომელიც მოგვიანებით გამოთვლითი მანქანების პირველი პროგრამისტი გახდა. მათი სახლი კვლავ მეცნიერთა თავშეყრის ადგილი იყო.

1939 წლის დასაწყისში პრინსტონში ჯ.ფ. ნეიმანი ოსკარ მორგენშტერნს (1902-77) შეხვდა[1]. მორგენშტერნი და ფონ ნეიმანი ახლო მეგობრები გახდნენ: თამაშთა თეორიის შესახებ მორგენშტერნის განმარტებითმა წერილმა, ეტყობა, ნეიმანს თამაშთა თეორიის შესახებ თავისი ადრინდელი მათემატიკური სტატიის განერცობისაკენ და ეკონომიკური ხასიათის ფუნდამენტალური ტრაქტატის შექმნისაკენ უბიძგა.

ომის გაჩაღების პერიოდისათვის ნეიმანი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული მეცნიერი გახდა. ამ წლებში მას საპატიო დოქტორის წოდებებით, აკადემიის წევრობით, პრიზებით, მედლებითა და სხვ. უხვად აჯილდოებდნენ. იგი, აგრეთვე, ბევრი მნიშვნელოვანი კომიტეტისა და მრჩეველთა ჯგუფის წევრი გახდა — მნიშვნელოვანი სამუშაობიც შეასრულა.

მოგვიანებით, ნეიმანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების კომიტეტის თავმჯდომარე იყო. „მეცნიერთა პასუხისმგებლობა“ კაცობრიობის წინაშე მძიმე ტვირთად აწვა მის სინდისსაც. იგი მონაწილეობდა ატომური ბომბის შექმნაში - მტკიცედ იცავდა რობერტ ოპენჰეიმერს[2], მაგრამ მიაჩნდა, რომ ამერიკა ბირთვული იარაღის გარეშე შორს ვერ წავიდოდა. ამიტომაც 1954 წლის ბოლოს თანხმობა განაცხადა ატომური ენერგიის კომისიაში შესვლაზე. იგი განთავისუფლდა პრინსტონიდან და ვაშინგტონში გაემგზავრა. მალე მას ჯანმრთელობა შეერყა — კიბო დაუდგინეს.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1957 წელს ვაშინგტონში გარდაიცვალა.

2.2. ნაშრომები, მ.შ. ოსკარ მორგენშტერნთან (1902-1977) ერთად

ფონ ნეიმანი ბევრს წერდა. მან (მათ შორის თანაავტორებთან ერთად) რამდენიმე წიგნი და რჩეული სტატიების ექვსტომეული გამოაქვეყნა. თანამედროვე მათემატიკაში ნაკლებად განსწავლული ეკონომისტებისათვის მისი ფართო ჰორიზონტის მისანიშნებლად, ალბათ, საკმარისია ჩამოვთვალოთ ამ ტომების სათაურები: ლოგიკა, მწკრივთა თეორია და კვანტური მექანიკა, კომპიუტერების პროექტირება, რიცხვითი ანალიზი, თამაშთა თეორია, ასტროფიზიკა, ჰიდროდინამიკა და მეტეოროლოგია.

ფ.ნეიმანის რწმენით, ემპირიული მეცნიერების ახალი პრობლემების კვლევით მათემატიკა თანდათან გაახალგაზრდავდა. მისი ემპირიული შთაგონების ერთ-ერთი წყარო, ფიზიკის, კომპიუტერებისა და სხვათა გარდა, ეკონომიკაც იყო.

ისევე, როგორც მათემატიკა შთააგონებდა ეკონომიკური მეცნიერებას, ასევე ეკონომიკურმა მეცნიერებამ მათემატიკური შემოქმედებაც შთააგონა.

---

1 ო.მორგენშტერნი გერმანიაში დაიბადა, იზრდებოდა ვენაში და ვენის უნივერსიტეტის პროფესორი და ავსტრიის ეკონომიკური ციკლების კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახდა. ჰიტლერის მიერ ავსტრიის ანექსიის შემდეგ იგი დაითხოვეს, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, რის შემდეგაც მან ადგილი პრინსტონში მიიღო.

2 რობერტ ოპენჰეიმერი (1904-1967) ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი, რომელიც 1943-45 წწ. ამერიკული ატომური ბომბის შექმნას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამოვიდა, რის გამოც საიდუმლო საქმეებს ჩამოაშორეს.

ამის შემდგომ ეკონომიკის მათემატიკური არე მუდამ შეუმჩნევლად ერეოდა მათემატიკურ კვლევა-ძიებაში. იმავე დროს ესთეტიკური „ახლონათესაური გამრავლების" საშიშროება, რომელიც ნეიმანმა ძირითადად მათემატიკის სფეროში შეამჩნია, აგრეთვე ეკონომიკურ-მათემატიკურ მეცნიერებასაც დაემუქრა.

1928 წელს თამაშთა თეორიისადმი მიძღვნილ სტატიაში მათემატიკურ ეკონომიკასთან კავშირი მკრთალად ჩანს, რაც შემდგომში მკაფიოდ გამოიკვეთა და ეკონომიკამ ცენტრალურ ადგილზე გადმოინაცვლა[1].

ამის დასტურია ნეიმანისა და მორგენშტერნის ერთობლივი ნაშრომი – „თამაშთა და ეკონომიკური განვითარების თეორია", რომელიც პირველად 1944 წ. გამოქვეყნდა[2]. იგი მიეძღვნა ქცევების აღწერას იმ პირობებში, როდესაც ერთ-ერთი მათგანის გადაწყვეტილება ყველა დანარჩენზე ზემოქმედებს. ნაშრომში არა მარტო სპეციფიკურ თამაშთა მაგალითების დამოწმებით, არამედ სოციალური და ეკონომიკური მოვლენების ფართო სპექტრითაა გაჯერებული.

ნაშრომის შესავალში აღნიშნულია, რომ თამაშთა თეორია, დაწყებული 1928 წლიდან, ერთერთმა ავტორმა შეიმუშავა (ცხადია, თუ რომელ ავტორს ეხება ეს შენიშვნა), მეორე ავტორის გარეშე კი წიგნი, ალბათ ვერ დაიწერებოდა. ნეიმანი გამომგონებელი იყო, ხოლო მორგენშტერნმა ეს სიახლე წარმოებაში ჩაუშვა. შუმპეტერის აზრით, სიახლის წარმატებისათვის ორივე აუცილებელია.

„თამაშთა თეორიის" შემდეგ ნეიმანმა კიდევ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა, მაგრამ ეს ნაშრომები შეზღუდული და უფრო ტექნიკური ხასიათისა იყო. მისმა ინტერესებმა, გარდა მრჩეველად ინტენსიური მუშაობისა, კომპიუტერებთან დაკავშირებულ პრობლემებზე გადაინაცვლა.

2.3. თამაშთა თეორია

„თამაშთა თეორია" მეცნიერული მიმართულებაა, რომელიც გაურკვეველობის პირობებში, სათამაშო სიტუაციებში უკეთესი ვარიანტის შესარჩევად მათემატიკური მოდელირების აპარატს იყენებს. მისი გამოყენებით ეკონომიკური ზრდის მოდელები შეიქმნა.

„თამაშთა თეორია" ძირითადად მცირე ჯგუფების თეორიაა. მოსავალი დამოკიდებულია ნალექებზე, მაგრამ ნალექები არაა დამოკიდებული მოსავალზე. მსგავსად ამისა, ბაზარზე გასაყიდი ჭვავის რაოდენობა ბაზრის ფასზეა დამოკიდებული, ხოლო ბაზრის ფასი კი რეალიზებულ საქონელზე მნიშვნელოვნად დამოკიდებული არ არის.

ამიტომ მრავალი ეკონომიკური მოსაზრებით (განსაკუთრებით – თუ ისინი მთლიან ეკონომიკასთან ან ფართო ბაზართან არიან დაკავშირებული) სავსებით კანონზომიერია გარემოს ისე განხილვა, თითქოს იგი საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული არ არის. ამასთან, გარემოს რეაქცია პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევაშია მართებული, როცა ეკონომიკური აგენტების რიცხვი მცირეა, როგორც, მაგალითად, ოლიგოპოლიისა და მონოპოლიების დროს. ასეთ შემთხვევაში, ყველა აგენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორ იმოქმედებენ მათი ყოფაქცევის საპასუხოდ სხვა აგენტები.

ასეთი პრობლემები თავის შრომაში ავგუსტინ კურნომ გააანალიზა (1838), მაგრამ მცირე ჯგუფის პრობლემებს პირველად ფუნდამენტალურად ფონ ნეიმანმა შეუტია თავის ადრინდელ სტატიაში (1928) – „თამაშთა თეორიის შესახებ".

ნეიმანის „თამაშებში" მოთამაშის მოგება და წაგება (შემთხვევითობის გარდა) სხვა მოთამაშეთა გადაადგილებებზეც იყო დამოკიდებული. ამის შედეგად, მტკიცდება, რომ ყოველი მოთამაშე შესაძლო საუკეთესო შედეგის მიღწევას ცდილობს. ნეიმანი შეეცადა განესაზღვრა, თუ რა შეიძლება იყოს „შესაძლო საუკეთესო ამ შემთხვევაში".

მიუხედავად იმისა, რომ სტატია მათემატიკოსებისათვისაა განკუთვნილი, შენიშვნაში იგი მიუთითებდა, რომ მისთვის პრობლემის ეკონომიკური ხასიათი ნათელია.

---

1 Neumann J., Zur Theorie der Gesellschaftsspiele. - Mathematische Annalen, 100/1928.

2 Theory of Games and Economic Behavior, 1944.

ნეიმანმა თამაშის ანალიტიკური აღწერა დაიწყო, რომელშიც მოთამაშეთა ყველა შესაძლო მოძრაობის მიმდევრობა შედიოდა. საჭიროა თითოეული მოთამაშის ყოველ ნაბიჯზე ინფორმირება იმ შემთხვევითობის ელემენტების შესახებ, რაც შესაძლებელია გამოჩნდეს. ცხადია, რომ ასეთი სახით (მას შემდეგ ექსტენსიური (ფართო) ფორმა უწოდეს), მხოლოდ უმარტივესი თამაშების აღწერაა შესაძლებელი. უფრო რთული თამაშებისათვის და რეალურ-ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოძრაობათა შესაძლო მიმდევრობები სწრაფად დიდდება; სათამაშო ხეს (მას ექსტენსიური ფორმის გრაფიკს უწოდებენ) ტოტების ძალიან დიდი რაოდენობა აქვს.

მას შემდეგ, რაც „თამაში" ამგვარად აღიწერა, თითოეულ მოთამაშეს, პრინციპში, გადაადგილებათა ყოველი შესაძლო მიმდევრობისათვის თავისი მოგებისა და წაგების გამოანგარიშება შეუძლია. ეს მოთამაშის სტრატეგიის არჩევანის საფუძველს იძლეოდა, რომელიც ყოველი მომენტისათვის მისი გადაადგილების წესების ჯგუფს განსაზღვრავს: ყოველი ალტერნატიული სტრატეგიისას შედეგი სხვა მოთამაშეების მიერ არჩეულ სტრატეგიებზეა დამოკიდებული. ამ გამარტივებულ აღწერას ნეიმანი თამაშის **ნორმალურ** ფორმას უწოდებდა, ხოლო მოგვიანებით მას **სტრატეგიულ** ფორმასაც უწოდებდნენ.

ფონ ნეიმანმა **„უნაგირა წერტილის"** არსებობის უზრუნველყოფით, ე.წ. ფანდის (ხერხის) საშუალებით მიზანს მიაღწია. ეს ფანდი, ე.წ. შერეული სტრატეგიების დაშვებაში მდგომარეობს.

თუ მოთამაშე გამოააშკარავების შედეგად აგებს, შესაძლოა მისთვის საუკეთესო გამოსავალი სტრატეგიის ალალბედზე არჩევაა, ვთქვათ, სტრატეგიული ციფრი ამოიღოს ყუთიდან, რომელშიც ყოველი რიცხვი განსაზღვრული პროპორციითაა წარმოდგენილი; თავად სტრატეგიის ნაცვლად იგი ახლა ყუთში სტრატეგიული რიცხვების პროპორციებს ირჩევს, რაც მათი ალბათობებია. ყოველი მოთამაშე თავის ალბათობებს ისეთნაირად ამოირჩევს, რომ მისი მოსალოდნელი მოგების სიდიდე მაქსიმალური იყოს.

ნეიმანმა აჩვენა, რომ ოპტიმალური შერეული სტრატეგია ხშირად საუკეთესოცაა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, შერეული სტრატეგიისათვის „უნაგირა წერტილი" ყოველთვის არსებობს. ეს წინადადება ნეიმანის სახელგანთქმული **„მინიმაქსის"** **თეორემას** გამოხატავს.

მოგვიანებით, ნულოვანი ჯამის მქონე თამაშობებისათვის „მინიმაქსის" თეორემა, თავისი მათემატიკური სტრუქტურით, წრფივ პროგრამირებაში ორნაირი ალმოჩნდა. ეს ინტუიციით, იმის ჩვენებით შეიძლება გაკეთებულიყო, რომ ერთი მოთამაშისათვის მისი სტრატეგიების მნიშვნელობები მაქსიმალურია, მეორისათვის კი მინიმალური.

1928 წელს ფონ ნეიმანმა თავისი მოდელის ასეთი განმარტების შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ მისი ადრეული სტატია (1937)[1] თამაშების შესახებ მას ზოგადი წონასწორობის იდეებით უზრუნველყოფდა. 1947 წ. დაწერილ სტატიაში ამ იდეებს იგი წრფივ მოდელებში მაქსიმუმის პრობლემების მიმართ იყენებდა. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი კოლექტიურ კრებულში გამოიცა, შესავალ წერილში აღნიშნული იყო წრფივი პროგრამირების ადრინდელ თეორიულ დამუშავებაზე მისი მნიშვნელოვანი გავლენის შესახებ.

ეკონომიკურ ცხოვრებაში სტრატეგიების არჩევანი უფრო ხშირად ორი პიროვნების თამაშს არ წარმოადგენს. 1928 წლის სტატიაში ფონ ნეიმანმა ანალიზი უკვე სამ პიროვნებაზე განავრცო, რამაც იგი კავშირების თეორიასთან მიიყვანა. თამაშის სტრატეგიული ფორმის საფუძველზე, მოთამაშეთა ყოველ შესაძლო ჯგუფს პოტენციური მოგებების გამოანგარიშება შეუძლია, რომელიც მას კავშირის შექმნის შედეგად შეუძლია მიიღოს. ამის შედეგია თამაშის გაერთიანებული ფორმა. ასეთი განვრცობები შემდგომ „თამაშთა თეორიის" სახით ჩამოყალიბდა, სადაც მთავარ თემათა შორის კავშირები დამყარდა.

და კიდევ, ეკონომიკური ცხოვრება ჩვეულებრივ ნულოვანი ჯამის თამაში არაა და იგი ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი საფუძველია, სადაც ყველა მოთამაშემ შეიძლება მოიგოს თამაში ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთმა შეიძლება მოიგოს მეტი, ვიდრე სხვებმა წააგონ.

ამრიგად, ნეიმანი და მორგენშტერნი არანულოვან ჯამიან თამაშობებზე გადავიდნენ. „თამაშ-

1 Über ein Ökonomisches Gleichungssystem und eine Verallgemeinerung des Brouwerschen Fixpunktsatzes - In Ergebnise eines mathematischen Kolloquiums, 1935-36, H.8, Viena, 1937.

თა თეორია“ ეკონომისტებს აგრეთვე ამოზნექილ სიმრავლეთა თეორიას აცნობს და „მინიმაქსის“ თეორემის ულემენტარულ დამტკიცებას იძლევა. ასე რომ, მათემატიკურ ეკონომიკაში სიმრავლეთა თეორიისა და ტოპოლოგიის[1] ერა იწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ჯ. ფონ ნეიმანის 1928 წლის სტატიას დიდი ყურადღება არ მიუპყრია, „თამაშთა თეორიას“, მისი ავტორების გასაკვირად, მაშინვე წარმატება ხვდა წილად და იგი ამ თემაზე დიდი რაოდენობის და მზარდი სირთულის ლიტერატურის ათვლის წერტილი გახდა.

შეიქმნა ახალი მათემატიკური დისციპლინა, რომელიც სტატისტიკაში, ოპერაციულ გამოკვლევებში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, ბიოლოგიაში, კომპიუტერულ მეცნიერებასა და სამხედრო გადაწყვეტილებებში გამოიყენებოდა.

ეკონომიკაში მიმდინარე რევოლუციაზე კიდევ ერთხელ დაიწყო საუბარი. მართლაც, ტრაქტატის სათაური ეკონომიკური ყოფაქცევის თეორიაზე მიანიშნებდა და ისე ჩანდა, თითქოს ოლიგოპოლია, ვაჭრობა და კავშირები შეიძლება უფრო შორსმჭვრეტელურ ანალიზს დამორჩილებოდნენ. თამაშთა თეორიის ამოხსნათა დამოწმება სახელმძღვანელოებშიც კი გაჩნდა.

როდესაც ეკონომისტებმა თავიანთი ყურადღების ცენტრში დიდი ჯგუფების პრობლემები მოაქციეს, ეტყობა, მათ საღი ინტუიცია ამოძრავებდათ. ასეთ პირობებში თამაშთა თეორიის მეთოდი უმეტესად იმ იმპულსის გამოა სასარგებლო, რომელსაც იგი პრობლემების გადაწყვეტას უფრო სრული და ნათელი აღწერისათვის იძლევა. მომავალი მეცნიერულ მიღწევების თვალსაზრისით „თამაშთა თეორია“ შეიძლება კვლავ შეიცვალოს და საკითხი ეკონომიკური ყოფაქცევის ახალი თეორიის დაარსებას შეეხოს.

2.4. წონასწორობისა და სარგებლიანობის შესახებ - „ნეიმანის მოდელი“

ჯონ ფონ ნეიმანი პრინსტონიდან ვენაში კარლ მენგერის (ეკონომისტ კარლ მენგერის შვილის)[2] მათემატიკურ სემინარზე მიიწვიეს.

ვენის ეკონომიკური სკოლა იმ დროისათვის უკვე დაკნინებული იყო, მაგრამ სემინარზე ნეიმანი ისეთ ეკონომისტებს და მათემატიკოსებს შეხვდა, რომლებიც მის მიერ 1928 წ. დაწერილ სტატიაში გამოხატულ აზრებს იზიარებდნენ.

მენგერის ჯგუფის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილი „შეკრების თეორია“ იყო, რომელშიაც ახსნილია ის, თუ როგორ მიიღება პროდუქტის ღირებულებიდან წარმოების ფაქტორთა ღირებულებები.

ჰ.ნესერის (1932) შეხედულებით, კონკურენტული წონასწორობისას პროდუქტის ღირებულება მისი წარმოების ღირებულებას უდრის, რომელიც წარმოებისათვის საჭირო ფაქტორთა რაოდენობებისაგან შედგება, ხოლო ეს რაოდენობები შესაბამისი ფაქტორების ღირებულებების მიხედვითაა შეფასებული.

ამგვარად, ფიქსირებული ტექნიკური კოეფიციენტებისას თითოეული პროდუქტის ღირებულება, ფაქტორთა ღირებულების წრფივი ფუნქციის სახით შეიძლება გამოისახოს.

ნესერის აზრით, მიღებული განტოლებების ერთდროულად ამოხსნა შეიძლებოდა, რის შედეგადაც ფაქტორთა ღირებულებები პროდუქტის ღირებულებით გამოისახებოდა. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ გარდა სპეციალური შემთხვევისა, მას ეტყობა განტოლებათა ან მეტისმეტად დიდი, ან არასაკმარისი რაოდენობა ჰქონდა.

მიწერის პრობლემის ნესერისეული ახსნა არასრულყოფილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან კარლ მენგერის გარშემო შეკრიბა ჯგუფი, რომელიც ეკონომიკურ განტოლებათა სისტემის ლოგიკას არჩევდა.

ვალრასის ზოგადი წონასწორობის თეორიის მეორე ამოსავალი წერტილი გუსტავ კასელისეული (1866-1945 წწ.) გაღარიბებული ვერსია იყო. ჰანს ნესერი (1932) და ჰენრიხ ფონ სტაკელ-

---

1 ტოპოლოგია (ბერძნ. topos ადგილი და logos მოძღვრება) მათემატიკის შემადგენილი ნაწილია და გეომეტრიული ფიგურების უზოგადეს თვისებებს შეისწავლის.

2 მოგვიანებით მენგერი ილინოისის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მათემატიკის პროფესორი გახდა.

ბერგიც (1933) აღნიშნავდნენ, რომ ცვლადებისა და განტოლებების დათვლა არაუარყოფითი ფასებით ამოხსნის გარანტიას ჯერ კიდევ არ იძლევა და თავად სისტემამ უნდა განსაზღვროს, რომელი ფასებია (თუ ასეთები არსებობს) ნულის ტოლი, რაც შესაბამის საქონელს უფასოს ხდის.

ვენელი ბანკირი კარლ შლეზინგერი, რომელიც აგრეთვე ნიჭიერი მოყვარული თეორეტიკოსი იყო, მენგერის სემინარზე განიხილავდა ამ პრობლემას და ამოხსნის მნიშვნელოვან ელემენტებზე მიუთითებდა. ახალგაზრდა რუმინელ მათემატიკოსს აბრაჰამ უალდს[1] მიმართა, მათემატიკაში ესეც ადნებინა იგი. სამ სტატიაში, რომელთაგანაც უკანასკნელი (1936) არატექნიკური შესავლის სახით იყო განკუთვნილი, უალდმა ეკონომიკური წონასწორობის არსებობა დაამტკიცა.

ასე დაიბადა ეკონომიკური წონასწორობის არსებობის თანამედროვე ანალიზი. მაგრამ უალდის მოდელის ეკონომიკა არადამაკმაყოფილებელი, ხოლო მათემატიკა ბუნდოვანი რჩებოდა.

სწორედ ნეიმანმა უზრუნველყო მისი თვალსაჩინოება თავის ნაშრომში, რომელიც პირველად პრინსტონში 1932 წელს წარადგინა, ხოლო საბოლოოდ სტატიის სახით კი 1937 წელს ჩამოყალიბდა. ეს სტატია მენგერმა თავისი სემინარის შრომების ბოლო ტომში გამოაქვეყნა.

ჯონ ფონ ნეიმანმა ეკონომიკის დაბალანსებული (გაწონასწორებული) განვითარება განიხილა, რომლის დროსაც ყველა დახარჯული რესურსი და გამოშვებული პროდუქტი ერთნაირი მუდმივი ტემპით იზრდება. შესაბამისად, მათი ფარდობითი ფასები და შემოსავალიც მუდმივია.

<u>ნეიმანის მოდელი</u> ესაა ეკონომიკის მაქსიმალური ზრდის და მისი შესაბამისი პროპორციებისა და ფასების ძიებისათვის განკუთვნილი მოდელი. ეს მოდელი ძირითადად გ.კასელის მოდელის განვითარებას წარმოადგენს, მაგრამ მასში დახარჯული რესურსისა და გამოშვებული პროდუქტის ერთნაირი ტემპი წინასწარ განუსაზღვრელია (ვთქვათ, მოსახლეობის რაოდენობის ზრდით) და მას თვით მოდელი განსაზღვრავს.

ტექნოლოგიას ნეიმანი წარმოების პროცესში განიხილავს. მოცემული პროცესი მისთვის საჭირო დასახარჯი რესურსებითა და მის მიერ გამოშვებული პროდუქტის მოცულობით ხასიათდება. დახარჯულ რესურსსა და წარმოებულ პროდუქტს შორის შენაცვლების ალბათობები ალტერნატიული პროცესების განსაზღვრითაა მოდელირებული. პროდუქტის მიღება შესაძლებელია დახარჯული რესურსების გამოყენებიდან ერთი ციკლის გაელის შემდეგ. უფრო ხანგრძლივი პროცესები თანამიმდევარ ერთციკლიან პროცესებად იყოფა, რომლებშიც წარმოებრივი საშუალებები და საქონლურ-მატერიალური მარაგი წარმოების პროდუქტის სახით ჩნდება, ისევე როგორც საერთოდ დახარჯული რესურსი. სისტემა ჩაკეტილია იმ თვალსაზრისით, რომ ერთი ციკლის წარმოების ყველა პროდუქტი მომდევნო ციკლში დასახარჯ წარმოებრივ რესურსად გადაიქცევა.

ჯონ ფონ ნეიმანის ანალიზი საქონლისა და პროცესების ნებისმიერი რაოდენობისათვის სამართლიანია.

თითოეული საქონელი მთლიანი პროცესის ერთობლივი შედეგია, რომელიც დახარჯულ რესურსს მოიცავს. ამასთან, წარმოების პროცესში მონაწილე დაუხარჯავი რესურსი წარმოების შემდგომ პროცესში ჩასართველად განახლებას საჭიროებს. ამ პირობების დარღვევისას, ეკონომიკა ვერ განვითარდება — მიწოდება მოთხოვნასთან შეუსაბამობაში იქნება. თუ ეს პირობები სრულდება, მიწოდება მოთხოვნას აღემატება. ამ დროს შესაძლებელია ეკონომიკის ზრდა, მაგრამ ჭარბი საქონელი უფასო საქონლად გადაიქცევა და მისი ფასი ნულს გაუტოლდება.

საბაზრო ეკონომიკაში რესურსების განაწილება არა მხოლოდ მიწოდება-მოთხოვნიდან გამომდინარე, არამედ მოგება-წაგების საშუალებითაც იმართება. წარმოებული პროდუქციიდან სავაჭრო ამონაგები მათი საბაზრო ფასებიდან გამომდინარეობს. თუ დანახარჯისა და შემოსავლის შედარება მოგებას უჩვენებს, პროცესი გაფართოვდება და პირიქით. იმისათვის, რომ პროცესმა დადებითად იმოქმედოს, მან, უპირველეს ყოვლისა, თავისი დანახარჯები უნდა დაფაროს.

საკითხი ასე დგება, შეუძლიათ კი პროცესებს, ზრდის ტემპსა და სარგებლის განაკვეთს ამ პირობების დაკმაყოფილება?

ეს ეკონომიკური წონასწორობის არსებობის ფუნდამენტური პრობლემაა. თუ ზრდის მაქსი-

---

1 აბრაჰამ უალდი სტატისტიკოსად მუშაობდა მორგენშტერნის ინსტიტუტში; იგი აშშ-ში გაიქცა, სადაც მათემატიკურ სტატისტიკაში შესანიშნავი კარიერა გაიკეთა, როგორც თანამიმდევარ გადაწყვეტილებათა ანალიზის დამაარსებელმა. 1950 წელს ინდოეთში თავის ცოლთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

მალური ტემპი სარგებლის მინიმალური დონის ტოლია, მაშინ არსებობს ამოხსნა და მისი გამოთვლა შესაძლებელია. ნეიმანმა შეძლო ეჩვენებინა, რომ მისი დაშვების პირობებში ამოხსნა ყოველთვის შესაძლებელია. ამით წონასწორობის არსებობის შესაძლებლობა დამტკიცდა.

რა იგულისხმება ეკონომიკური განვითარების ტემპის მინიმუმამდე დაყვანაში?

დავუშვათ, გულმოდგინე მგეგმავი ეკონომიკას ისე გეგმავს, რომ იგი მაქსიმალურად განვითარდეს. თუ ის მეტისმეტად მაღალი განვითარების ტემპს აირჩევს, მიწოდების პირობა ზოგიერთი საქონლისათვის დაირღვევა. ზრდის თანდათანობით შემცირებით იგი განვითარების უმაღლეს ტემპს მიაღწევს, რომლის დროსაც ყველა საქონლისათვის მიწოდების პირობა დაკმა-ყოფილებულია. მაშინ, მიწოდების პირობა უნდა დაკმაყოფილდეს, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი საქონლისათვის მაინც.

ინტუიციურად რას უნდა ნიშნავდეს სარგებლის განაკვეთის მინიმუმამდე დაყვანა?

რესურსის არაეფექტიანი გამოყენება გარკვეულად მისი ხელმისაწვდომი რაოდენობის შემცირების ეკვივალენტურია, ამიტომ ამ რესურსის ნაკლებობა და, აქედან გამომდინარე, მისი ფასიც იზრდება. რაც უფრო ეფექტიანია რესურსის გამოყენება, მით უფრო დაბალია მისი ფასიც. ნეიმანის მოდელში რესურსი კაპიტალია. ამდენად, მის ეფექტიან გამოყენებას თან სდევს მისგან მიღებული შემოსავლის მინიმუმამდე შემცირება.

ერთი შეხედვით, პირდაპირი და დუალური პრობლემები სავსებით განსხვავებული ჩანს. ნეიმანმა მათი მჭიდრო ურთიერთკავშირი უჩვენა. ფაქტობრივად, განვითარების მაქსიმალური ტემპი სარგებლის მინიმალური განაკვეთის ტოლია. თვალსაჩინოებისათვის ეკონომიკა შეიძლება უნაგირის ფორმას შევადაროთ: **უზანგებს შორის უმაღლესი წერტილი უნაგირის წინა და უკანა კუთას შორის უმდაბლეს წერტილს თანხვდება.**

წარმოების ოპერატიული მართვის თვალსაზრისით ნეიმანმა პირველი პროგრამების პრობლემა წამოჭრა როგორც პირდაპირი, ისე დუალური ასპექტით.

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ეს ასპექტები კოულსის კომისიაში შემავალმა მეცნიერებმა (მათ შორის დანციგმა და კუპმანსმა) დაამუშავეს. მაშინ აღრიცხვაზე დაფუძნებულ ოპტიმიზაციის[1] მოდელებს, უკეთეს შემთხვევაში, ოპტიმუმის[2] ლოკალური პირობების დადგენა შეეძლო. ნეიმანმა ოპტიმუმის მიღწევა შესაძლებელი გახადა.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან აგრეთვე ეკონომიკური განვითარების თეორიაში იმით, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპსა და სარგებლის განაკვეთს შორის პირველ რიგში ახლო კავშირი აღმოაჩინა – აჩვენა, რომ მოდელს განვითარების სხვადასხვა ტემპის პირობებში გაწონასწორებული განვითარება შეეძლო. მაგრამ ამ ტემპებს შორის მხოლოდ ერთი, კერძოდ, განვითარების მაქსიმალური ტემპია ეფექტიანი და იგი სარგებლის მინიმალური განაკვეთის ტოლია.

მათემატიკური საშუალებებით ნეიმანმა ეკონომიკურ ანალიზში ტოპოლოგიის შესაძლებლობა, ხოლო ზოგიერთი ამოცანის ამოხსნის შემთხვევაში კი მისი გამოყენების აუცილებლობა აჩვენა. აღრიცხვა, რომელიც ეკონომისტებისათვის სიამაყის საგანი იყო, თანდათანობით საწყალი კაცის მათემატიკად იქნა მიჩნეული.

მორგენშტერნის მოგონებით, ნეიმანს უთქვამს, როცა მომავალ საუკუნეში ადამიანები ჰიკსის „ღირებულებისა და კაპიტალის" მსგავს წიგნებს აღმოაჩენენ, ისინი მას დაახლოებით ნიუტონის დროს მიაწერენ, იმდენად პრიმიტიულია ამ წიგნში გამოყენებული მათემატიკაო.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკურ მეცნიერებაში ნაღვილი რევოლუცია მოხდა. საუკეთესო მათემატიკური გონებით დაჯილდოებულმა ადამიანებმა ამ მეცნიერებისაკენ ლტოლვა დაიწყეს, მაგრამ ნეიმანის ზემოთ მოხსენიებული აზრი პრიმიტიული მათემატიკის შესახებ სრულად ვერ გამართლდა, ეკონომიკური მეცნიერების ნაშრომთა ძირითადი ნაკადი ისევ პრიმიტიულ მათემატიკას იყენებდა.

ეკონომისტები (ჯერ კიდევ პარეტომდე) სარგებლიანობას ისე აღწერდნენ ხოლმე, თითქოს იგი რაოდენობრივად ისევე იზომებოდა, როგორც ტემპერატურა ყოველდღიურ ცხოვრებაში. შკალის (სკალის)[3] საწყისი წერტილი, ალბათ, ისევე ნებისმიერი იყო, როგორც წყლისა და ალკოჰოლის

---

1 **ოპტიმიზაცია** - ეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელობის განსაზღვრა, რომლის დროსაც სისტემის ოპტიმუმი, ანუ ოპტიმალური მდგომარეობა მიიღწევა.

2 **ოპტიმუმი** (ლათ. optimum - საუკეთესო) - ყველაზე უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა.

3 **სკალა** (ლათ.) - სხვადასხვა ხელსაწყოში: დანაყოფებიანი სახაზავი ან ციფერბლატი; რიცხვთა სისტემა, რომელიც მიღებულია რაიმე სიდიდეთა შესაფასებლად ან განსასაზღვრავად, მაგ., ხელფასის სკალა.

გაყინვის წერტილებს შორის არჩევანი. მაგრამ სარგებლიანობა, რომელსაც ერთი და იგივე პირონებნა სხვადასხვა საქონლისაგან იღებს, შეიძლება შეიკრიბოს და ითქვას, რომ ვაშლისა და ბანანის სარგებლიანობას შორის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე ბანანსა და ალუბალს შორის.

ეკონომისტების უმეტესობა სარგებლიანობას განმარტებითი მიზნებისათვის იყენებდა და თავს არიდებდა ისეთ მტკიცებებს, რომელთათვისაც რაოდენობას ჰქონდა მნიშვნელობა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ფიშერთან. შემდეგ, რაოდენობის მიმართ პრეტენზიების უგულებელყოფით, პარეტომ გადადგა საბოლოო ნაბიჯი და სარგებლიანობა სავსებით რიგით კონცეფციად აღწერა. სარგებლიანობათა შედარება შესაძლებელია, მაგრამ მათი სხვაობებისა — არა.

ზემოთმოყვანილი მაგალითი ვაშლის, ბანანისა და ალუბლის შესახებ დამოუკიდებელ შემცველობად დაიყო. ამის შედეგად კლებადმა ზღვრულმა სარგებლიანობამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა და იგი საქონლის შენაცვლების კლებადი ზღვრული ნორმით შეიცვალა. მიუხედავად ამისა, ღირებულების თეორიის მთლიანი სტრუქტურა შენარჩუნდა.

ნეიმანმა და მორგენშტერნმა ცხადყვეს, რომ რისკიანობა სარგებლიანობის მისაღებად შეიძლება იქნეს გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების პრობლემათა გადაჭრისას იგი მნიშვნელოვანია, თამაშთა თეორიის კონტექსტში კი იგი უფრო მნიშვნელოვანი გადახვეულა, ვიდრე ძირითადი კომპონენტი. რაოდენობრივი გაზომვის ძირითადი იდეით ყველა ეს მიღებული ჯგუფი ერთმანეთისგან გამომდინარეობს. ამ გზით მიღებულ რაოდენობრივ სარგებლიანობებს, მხოლოდ რისკთან მჭიდრო კავშირის შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა. აუცილებლობის შემთხვევაში, მორგენშტერნის მოლოდინის წინააღმდეგ, სარგებლიანობაც იმართება.

ნეიმანმა და მორგენშტერნმა ფართო მოხმარების საგნების სარგებლიანობები შემოსავლის ან სიმდიდრის რაოდენობის დასადგენად გამოიყენეს. მათი ლოგიკური ანალიზის შედეგად, შესაძლებელია სარგებლიანობის ფუნქით ისე გამოხატვა, რომ პიროვნებას თავისი მოქმედებით მოსალოდნელი მაქსიმალური სარგებლიანობის არჩევა შეუძლია.

შეუძლებელია ასეთი აქსიომატური სისტემა პირდაპირ ემპირიულ გამოცდას ექვემდებარებოდეს. მან თავისი ვარგისიანობა ემპირიული დაკვირვებების ინტერპრეტაციაში უნდა დაამტკიცოს.

ნეიმან-მორგენშტერნის სარგებლიანობის კონცეფციის შემთხვევაში, გარკვეული დაკვირვებები სირთულეებს ქმნის. ერთ-ერთი მათგანია რისკიანი თამაშების პოპულარობა. ეს ის პრობლემაა, რომლის გამოც რისკიანი წამოწყებების მოსალოდნელი შედეგების უმეტესობა უარყოფითია, ხოლო ბერნულის ჰიპოთეზის საფუძველზე ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნას მიღებული, თუ სარგებლიანობის შედეგად X-იდან მიღებული ნამატი იმდენივეა, რამდენადაც X-იდან სარგებლიანობის შედეგად წაგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულის ზღვრული სარგებლიანობა უნდა გაიზარდოს. მსჯელობის ეს მიმართულება შემდგომ განავითარეს მილტონ ფრიდმანმა და ლეონარდ სავაჯმა (1948)[1].

რა გამოვა, როცა რისკის მიმართ სიძულვილი შემოსავლის კლებად ზღვრულ სარგებლიანობადაა განმარტებული? ასე მაგალითად, მეწაღე, რომელმაც აღმოაჩინა, რომ თავისი აურაცხელი სიმდიდრის წაგების შედეგად ბედნიერია, უგონო სულელად გამოდის.

ნეიმანმა და მორგენშტერნმა მკაფიოდ მიუთითეს, რომ ისინი ამ შემთხვევას არა მეწაღის, არამედ უფრო თავიანთი თეორიის ნაკლად განიხილავდნენ და თვლიდნენ, რომ ეს ნაკლი მომავალი, უფრო რთული გამოკვლევების შედეგად უნდა გამოსწორდეს.

ცენტრალური პრობლემა კი ალბათობის ბუნებას ეხება. ნეიმანი და მორგენშტერნი თავიანთი ახსნა-განმარტებებით მოვლენათა განმეორების ობიექტური სიხშირით კმაყოფილდებიან[2]. ამ განმარტების ნაკლი ის არის, რომ ადამიანთა გადაწყვეტილებებს ხშირად მოვლენათა განმეორების ასეთი ობიექტური სიხშირეები არ წარმართავენ.

თუ იმ საზომით ვისარგებლებთ, რომ ყოველი გადაწყვეტილება გარკვეული აზრით უნი-

1 **Friedman** M., **Savage** L., The Utility Analysis of Choises Involving Risk - "J. of Political Economy", 56/4, 1948.

2 Theory of Games and Economic Behavior (1944). 2ed. ed. Princeton, N.Y., 1947.

კალურია, მაშინ ასეთი სიხშირეების მნიშვნელობაც კი გაურკვეველია. ამიტომ ნეიმანმა და მორგენშტერნმა დაუშვეს, რომ სუბიექტურ აზრებად განმარტებული ალბათობები უდავოდ სარგებლიანობას უკავშირდება.

3. „წრფივი პროგრამირება“: ტიალინგ კუპმანსი (1910-1985)

მეორე მსოფლიო ომის ადრეული წლები მათემატიკური ეკონომიკისათვის არაჩვეულებრივად ნაყოფიერი პერიოდი გამოდგა. ეკონომეტრიკაში მრავალპრობლემური მოდელებისათვის პირველი კლასიკური მეთოდები დაამუშავეს.

წარმოების წრფივი მოდელების გამოყენების საქმეში ჯონ ფონ ნეიმანისა და ვასილ ლეონტიევის პიონერულმა მცდელობებმა წრფივი პროგრამირებისა[1] და ეკონომიკური აქტივობის ანალიზისათვის ნიადაგი მოამზადა. ახალმა მათემატიკურმა საშუალებებმა რესურსების განაწილებას ახალი პერსპექტივები გაუხსნა.

ამ შემოქმედებით აქტივობაში ბევრმა შეიტანა წვლილი, მაგრამ ცალკე აღებული ვერც ერთი მათგანის წვლილი ტიალინგ კუპმანსის წვლილს ვერ შეედრება.

3.1. უტრეხტიდან ჩიკაგოსა და იელის უნივერსიტეტებში - ნობელიანტი

ამერიკელი ეკონომეტრიკოსი **ტიალინგ ჩარლზ კუპმანსი** (Koopmans) დაიბადა ჰილვერსამში (ნიდერლანდები) 1910 წელს. იგი განათლებულ ოჯახში აღიზარდა — მამამისი სკოლის დირექტორი იყო, დედა - მასწავლებელი. მისი ერთ-ერთი ძმა მინისტრი გახდა.

კუპმანსი ფიზიკასა და მათემატიკას უტრეხტის უნივერსიტეტში[2] სწავლობდა და 1933 წელს ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი მიიღო.

მომდევნო წელს მიემგზავრება ამსტერდამის უნივერსიტეტში, სადაც ტინბერგენის ხელმძღვანელობით, ზოგადი წონასწორობის დოქტრინის წამყვანი ლიდერების (გ.კასელი, კ.ვიკსელი) ნაშრომებს სწავლობს. 1935 წ. ოსლოში (ოთხი თვე) რ.ფრიშთან მუშაობს.

გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული მისი პირველი ორი ნაშრომი თეორიულ ფიზიკაში მათემატიკურ გამოკვლევებს მიეძღვნა, თუმცა მისი სადიპლომო შრომა მათემატიკურ სტატისტიკაში შესრულდა, ხოლო სადოქტორო დისერტაცია კი 1936 წელს მათემატიკურ სტატისტიკაში დაიცვა. იმავე წელს კუპმანსი დაქორწინდა და სამი შვილი შეეძინა.

1936-1938 წლებში კუპმანსი ნიდერლანდების სასწავლებლებში (მათ შორის როტერდამის ეკონომიკის ინსტიტუტში) ეკონომიკას ასწავლიდა. იქ იგი იან ტინბერგენის კოლეგა იყო.

ფიზიკასა და ეკონომიკაში მის ადრეულ მეცნიერულ მოღვაწეობასა და კუპმანსის კარიერას შორის გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება. ასე მაგალითად, ტინბერგენის შემცვლელად 1938 წელს კუპმანსმა ჟენევაში, ერთა ლიგაში ფულის მიმოქცევის საკითხებში ექსპერტად დაიწყო მუშაობა. აქ იგი დიდი ბრიტანეთისათვის ეკონომიკური ციკლის მოდელზეც მუშაობდა.

1940 წელს კუპმანსი ოჯახთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. აქ დასაწყისში იგი პრინსტონის უნივერსიტეტში მკვლევრად მუშაობდა და პარალელურად ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში ასწავლიდა, შემდეგ კი ფილადელფიაში დაზღვევის კომპანიაში მოღვაწეობდა.

1942-1944 წლებში იგი, როგორც სანაოსნო ტვირთების რეგულირების გაერთიანებული საბჭოს სტატისტიკოსი, ვაშინგტონში ბრიტანეთის სავაჭრო ფლოტის მისიაში მუშაობს, რამაც წრფივ

---

1 **პროგრამირება** - პროგრამის შედგენა მანქანისათვის; **წრფივი პროგრამირება** - მათემატიკური პროგრამირების ერთ-ერთი განყოფილება. მისი მიზანი დაყვანება მიზნობრივი ფუნქციის ექსტრემუმის (უკიდურესი: უდიდესი ან უმცირესი) მოძებნამდე იმ პირობით, რომ დასაშვებ მნიშვნელობათა სფერო აგრეთვე მიეცა (დაეყალა) წრფივი უტოლობებისა და განტოლებათა სისტემის სახით.

2 დაარსდა 1636 წელს (ნიდერლანდები).

პროგრამირებამდე მიიყვანა. 1944 წელს თანამშრომლობას იწყებს კოულზის კომისიაში, 1961-67 წწ. კი კოულზის ფონდის დირექტორია.

1945 წელს ტიალინგი ჩიკაგოში გადავიდა და ორი წლის შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ასისტენტად დაინიშნა.

1955 წლიდან 1981 წლამდე კუპმანსი იელის უნივერსიტეტის პროფესორია ეკონომიკის დარგში.

იგი იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი (1948), ამერიკის მათემატიკური საზოგადოების, მათემატიკური პროგრამირების საზოგადოების და ნიდერლანდების მეცნიერებათა სამეფო აკადემიის წევრი.

1975 წელს ნობელის პრემია მიენიჭა ეკონომიკის დარგში (ლ.კანტოროვიჩთან ერთად) რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

გარდაიცვალა 1985 წელს.

3.2. სამი ნარკვევი

ტიალინგ კუპმანსს ახასიათებდნენ, როგორც წყნარ, უპრეტენზიო და კეთილ კაცს, რომელსაც წინდახედული მსჯელობისა და თითოეული სიტყვის დასაბუთების უნარი გააჩნდა.

ევროპული ტერმინოლოგიის მიხედვით, მისი პოლიტიკური შეხედულებები სოციალ-დემოკრატიული იყო, მაგრამ პოლიტიკური მრწამსი მის გამოკვლევებზე ზეგავლენას არ ახდენდა, თუ არ ჩავთვლით თემის საკითხს, რომელსაც იგი თავისი ინტერესების მიხედვით არჩევდა.

კუპმანსი გაზეთებისათვის არ წერდა, მაგრამ გარე სამყაროსათვის მას სურდა, რომ მეცნიერი და პროფესორი ყოფილიყო.

ტ.კუპმანსმა გამოიკვლია ტექნოლოგიურ პროცესებზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა, დარგთაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციის დინამიკური პრობლემები, ცვლილებები მოთხოვნაში, ეკონომიკური ზრდის და სხვ. საკითხები.

იმ შრომებს შორის, რომლებმაც კუპმანსს სახელი გაუთქვა, სახელდება[1]: **„სტატისტიკური დასკვნა ეკონომიკის დინამიკურ მოდელებში“** (1950), **„პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ანალიზი“** (1951) და **„სამი ნარკვევი ეკონომიკურ მეცნიერების მდგომარეობაზე“** (1957). მათგან პირველი ეკონომეტრიკულ კვლევებს, მეორე კი წრფივ პროგრამირებას ეძღვნება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **„სამი ნარკვევი“**, რომელსაც, ზოგადად, რაიმე ახლის თქმის პრეტენზია არა აქვს. იგი უფრო ერთი კაცის განმარტებებია ეკონომიკურ თეორიაში ზოგიერთი მიღწევის შესახებ. ეს წიგნი კუპმანსის შესაძლებლობების ბრწყინვალე ნიმუშია. იგი, პირველ რიგში, ეკონომიკური პრობლემების ანალიზისაკენ ეკონომისტთა ყურადღებას მიაპყრობს.

კუპმანსის სხვა ძირითადი ნაშრომები ჟურნალებსა და კოლექტიურ კრებულებშია გამოქვეყნებული. მათი უმეტესობა (ზოგიერთი გვიანდელი წერილის გამოკლებით) თავმოყრილია **„ტიალინგ კუპმანსის მეცნიერულ სტატიებში“**[2]. ყველა მათგანი ძირითად თეორიულ იდეებს ეხება და ეკონომეტრიკის მეთოდებში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

წარმოების ანალიზის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ეკონომიკური რესურსების განაწილების ეფექტიანობაა. ამ პრობლემის ბუნებრივმა განზოგადოებამ კუპმანსი რესურსების (დროის მიხედვით) განაწილებამდე მიიყვანა.

მან რესურსების განაწილების ცნება ეკონომიკური ზრდის კონცეფციაზე, კერძოდ, მოსახლეობის პრობლემაზე განაერცო, რისთვისაც განისაზღვრა ის ოპტიმალური გზა, რომლითაც ეკონომიკას, მდგომარეობის მიუხედავად, ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების მაქსიმალურ დონეს შეუძლია მიაღწიოს.

იგი იკვლევდა აგრეთვე იმ გზებს, რომლითაც გაზრდილი მოსახლეობის მომავალი დრო-

1 **Koopmans** T.: Statistical Inference in Dynamic Models, N.Y., 1950; Activity Analysis of Produqtion and Allocation, N.Y., 1951; Three Esssays on the state of Economic Science, N.Y., 1957.

2 Scientific Papers of T.Koopmans, Vol.1-2, N.Y., 1970-1985.

ლათი უნდა განისაზღვროს. ეს სამუშაოები ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ განაწილებას შეეხებოდა.

რესურსების განაწილების თეორიაში კუპმანსი წამყვანი ავტორიტეტული მკვლევარი გახდა. მისი ზემოაღნიშნული ნაშრომები მნიშვნელოვანი იყო ადრინდელი ნაშრომების სინთეზის, ცნებების განმარტებებისა და მათი ურთიერთდაკავშირებისათვის, მაგრამ მათ ეკონომიკური თეორიის შემდგომი განვითარება ვერ შეძლეს.

კუპმანსმა თითქმის ვერაფერი შემატა ისეთ არსებით ეკონომიკურ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, ინფლაცია, შემოსავლების განაწილება, მონოპოლია, რეგულირება ან ვალუტის კურსის პრობლემები. მისი ადრეული ნარკვევი – „ინფლაციის დინამიკის შესახებ“ ადასტურებს, რომ კუპმანსი მართლაც ამ მხრივ ძალიან ძლიერი არ იყო. იგი უხალისოდ იმ სფეროებში მუშაობდა, სადაც მისი მეცნიერული დონე სრულად არ გამოიყენებოდა. ეს ალბათ არა მარტო მის ინტელექტუალურ თვითდისციპლინაზე, არამედ ეკონომიკურ დოქტრინებთან მიმართებაში მისი მეცნიერული ხედვის ერთგვარ შეზღუდულობაზეც მიუთითებს.

3.3. ეკონომეტრიკა

კუპმანსმა ფუნდამენტური წვლილი ეკონომეტრიკაში შეიტანა. კიდევ ერთხელ მოკლედ მიმოვიხილოთ ახალი დისციპლინის ადრეული ისტორია.

ადრეული პერიოდის ეკონომისტები (უ.პეტი, რ.კანტილიონი, ფ.კენე და სხვ.) მათემატიკასა და სტატისტიკას იყენებდნენ. თანამედროვე ეკონომისტებისათვის კი საპროგრამო საკითხი ეკონომიკური თეორიის, მათემატიკის და სტატისტიკის სინთეზი გახდა.

ჯერ კიდევ 1912 წელს ირვინგ ფიშერმა ამ პროგრამის გაერთიანება სცადა, მაგრამ არასრულყოფილად. მან თავისი გეგმა მე-19 საუკუნის 20-იან წლებშიც, თავისი ერთ-ერთი წერილის გამოქვეყნების უშედეგო მცდელობის შემდეგ, განაახლა. საქმე ის იყო, რომ ეკონომიკურ ჟურნალს მისი მხოლოდ ეკონომიკური ნაწილი აინტერესებდა, სტატისტიკურს კი ეკონომიკური თეორიები უმაღლესი მათემატიკის გარეშე სურდა, ხოლო მათემატიკური ჟურნალი ეკონომიკური თეორიით და სტატისტიკით არ დაინტერესებულა. ის, რაც ფიშერის მიერ დისციპლინათშორის კვლევად იყო მიჩნეული, ცალკე დისციპლინად უნდა ჩამოყალიბებულიყო. პარალელურად, ევროპაში ასევე აზროვნებდა რაგნარ ფრიში და ახალ დისციპლინას მანაც **ეკონომეტრიკა** უწოდა[1], თუმცა ეს ტერმინი უფრო ადრეც გამოიყენებოდა.

30-იან წლებში ახალი დისციპლინის ძირითად ამოცანას წრფივი რეგრესიის[2] მეშვეობით ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრა წარმოადგენდა. ზემოთქმულის ილუსტრაციაა მიკროეკონომიკაში ჰენრი შულცის[3] მიერ მოთხოვნის კვლევა და საკითხის შესწავლა, ისევე როგორც ტინბერგენის[4] კვლევა მაკროეკონომიკაში; თუმცა, ეს მეთოდი უფრო ექსპერიმენტულ მეცნიერებებს მიესადაგებოდა, ვიდრე ეკონომიკას. თუ საჭიროა მარცვლეულის მოსავალზე სასუქის გავლენის შეფასება, აუცილებლად ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს, რომლის დროსაც სასუქის რაოდენობა ცვალებადია, მაშინ როცა ყველა სხვა პირობა დიდხანს არ იცვლება. ასეთ კონტროლს დაქვემდებარებული ექსპერიმენტები ეკონომიკურ თეორიებში იშვიათობაა. ამიტომ ეკონომისტები იძულებულნი არიან ისტორიულ მონაცემებს დაეყრდნონ, რომელთა ურთიერთდამაკავშირებელი ცვლილებები რამდენიმე ფაქტორის ერთობლივი შედეგია.

ეკონომეტრიკული კვლევების უმეტესობას ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ გამოკვლევათა „კოულზის კომისია“ ხელმძღვანელობდა. იგი ალფრედ **კოულზ** III-ის – ბანკირის მიერ დაარსდა, რომელიც აგრეთვე ახალ ჟურნალ „ეკონომიკას“ აფინანსებდა. იგი იელში ფიშერის სტუდენტი იყო და თავად გამოქვეყნებული ჰქონდა მნიშვნელოვანი გამოკვლევა საფონდო ბირჟის

1 **Frisch** R., Note on the Term "Econometrics" – "Econometrica", 4(1), 1936.

2 რეგრესია (ლათ. regressio) უკუსვლას ნიშნავს.

3 **Schulz** H., The Theory and Measurement of Demand. Chicago, Univ. of Chicago Press, 1938.

4 **Tinbergen** J., An Econometric Approach to Busines Cycle Problems, P., 1937.

პროგნოზირების საიმედობასთან დაკავშირებით (უამრავი უარყოფითი შედეგით). 1945 წლისათვის კოულზის კომისია რაოდენობრივი ეკონომიკური თეორიის „მექად" იქცა.

ამას ისევ კუპმანსთან მივყავართ, ვინაიდან იგი კოულსის კომისიის მეცნიერ-ხელმძღვანელი გახდა და მის მუშაობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მისი დისერტაცია – **„ეკონომიკური დროითი მწკრივების წრფივი რეგრესიული ანალიზი"** (1937) კვლავ ერთგანტოლებიან რეგრესიებს ეხებოდა, მაგრამ ამჟამად მის ძირითად საგანს ის პრობლემები წარმოადგენდა, რომელიც იმ შესაძლებლობიდან წარმოიშვება, რომლის მიხედვითაც ცვლადებს შორის ფაქტიურად სხვა დამოკიდებულებებიც არსებობს.

კუპმანსის შემდგომი ნაშრომი – **„ტანკერის[1] საფრახტო გადასახადების ნორმირება და ტანკერების მშენებლობა"** (1939) ძირითადად გამოყენებით ეკონომიკაში გამოკვლევას წარმოადგენდა. მას მივყავართ ზოგად დასკვნამდე, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური პრობლემები ჩვეულებისამებრ ერთდროული განტოლებების მწკრივთა სიმრავლითვე უნდა აღვწეროთ.

მომდევნო თოთხმეტი წლის განმავლობაში ეკონომეტრიკული მეთოდების შემუშავება და განვითარება ერთდროული განტოლებების მოდელებისათვის კუპმანსის კვლევის ძირითად თემად იქცა.

ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მონაპოვარია მისი ცნობილი მონოგრაფია – **„სტატისტიკური დასკვნა ეკონომიკის დინამიკურ მოდელებში"** (1950).

ეკონომეტრიკული მოდელების აგებისას კუპმანსი იდენტიფიკაციის (გათანაბრების), შეფასებისა და გამოთვლის პრობლემებს განასხვავებდა. მაშინ, როცა შეფასება და გამოთვლა ეკონომიკური თეორიის ისტორიას არ მიეკუთვნება, ეკონომიკური ურთიერთკავშირების იდენტიფიკაცია მართლაც ეკონომიკასა და სტატისტიკას შორის ფუნდამენტურ კავშირებს ეხება.

სწორედ ამ სფეროში შეიტანა ყველაზე მეტი წვლილი კუპმანსმა (სხვებთან ერთად). ამ ნაშრომების არსი კვლავ მოხმარებისა და მიწოდების ფუნქციების გამოყენებისას აიხსნება. ამის გარეშე მოცემული ცვლილებების პოლიტიკაზე ზეგავლენა შესამჩნევია.

კოულზის კომისიის განსაკუთრებულობა იდენტიფიკაციის საკითხში განპირობებული იყო მათ მიერ პარამეტრების ცალ-ცალკე ამოცნობის უნარით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ეკონომეტრიკას ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარება შეუძლია.

ეკონომეტრიკულმა ნაშრომებმა კუპმანსი ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის შესახებ მკაფიო შეხედულებების ჩამოყალიბებამდე მიიყვანა, რაც აისახა მის 1947 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში – **„ზამთრა თეორიის გარეშე"**.

3.4. წრფივი პროგრამირება

კუპმანსის მოღვაწეობის მეორე მნიშვნელოვანი სფეროა **წრფივი პროგრამირება.**

უმნიშვნელოვანესია კუპმანსის წვლილი წრფივი პროგრამირების მეთოდის დამუშავებაში. იგი მიკროეკონომიკური თეორიასთან დაკავშირა, შედეგად სრულყოფილი კონკურენციის პირობებში რესურსების განაწილების მეთოდი შეიქმნა.

იგი წრფივ პროგრამირებაში ფუნდამენტური ნაშრომის **„წარმოებისა და განაწილების საშუალებების ანალიზი"** (1951)[2] თანაავტორია. ჩვეულებრივ, დიფერენციალური აღრიცხვის ზღვრული ტოლობების სახით ოპტიმალური ამოხსნის საერთო პირობების ცოდნა საკმარისად ითვლებოდა. ახალი პრობლემა ოპტიმუმის რიცხობრივ გამოთვლაში მდგომარეობდა. ოპტიმიზაცია, ეს იყო გარკვეული წრფივი ცვლადების მიზნობრივი ფუნქცია.

ასეთი პრობლემა ლ.კანტოროვიჩმა 1939 წელს გადაწყვიტა, მაგრამ იგი იმ დროისათვის დასავლეთში ცნობილი არ იყო. ფრანკ **ჰიჩკოკმა** 1941 წელს პრობლემა ისეთი შემთხვევისათვის ამოხსნა, როცა პროდუქცია რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან მაქსიმალურად დაბალი სატრანსპორტო

1 **ტანკერი** (ინგლ. tanker) - თხევადი ტვირთის (ნავთობპროდუქტების...) გადასაზიდი გემი.

2 Activity analysis of Production and allocation, N.Y., 1951.

დანახარჯებით მრავალ სხვადასხვა რაიონში ნაწილდება. ამ შემთხვევაში ამოხსნა შედარებით მარტივი იყო, რადგანაც შეზღუდვები ტოლობების სახით ჩნდებოდა[1].

კუპმანსი მის ომისდროინდელ ნაშრომში, რომელიც საზღვაო გადაზიდვებს ეხებოდა (მისთვის ჰიჩკოკის ნაშრომი უცნობი იყო), იმავე ტიპის პრობლემას წააწყდა, რაც უკვე 1942 წლისათვის ცნობილი იყო, მაგრამ სხვადასხვა მარშრუტის ტვირთების ამსახველი მოხსენება მხოლოდ მეცნიერულ ლიტერატურაში გამოქვეყნდა[2].

დაახლოებით იმავე დროს აშშ-ის საჰაერო ძალების პრობლემების საპასუხოდ და ნაწილობრივ კუპმანსის წახალისებით ჯორჯ ბ.დანციგმა წრფივი პროგრამირების პრობლემების ზოგადი ჩამოყალიბება და მისი ამოხსნის სიმპლექსური[3] ალგორითმი[4] მოგვცა. კუპმანსის განსაკუთრებული წვლილი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ე.წ. ჩრდილოვანი ფასების ეკონომიკურ მნიშვნელობას ადრეული ჩასწვდა.

წრფივი პროგრამირება სრულად იყო წარმოდგენილი კუპმანსისა და სტენლი რეიტერის ერთობლივ ნაშრომში – „ტრანსპორტირების მოდელი“ (1951).

3.5. წარმოების ეფექტიანობა

ჩრდილოვანი ფასებით გაანგარიშებული ტვირთების გადაზიდვის ოპტიმალური პროგრამის აღწერით, კუპმანსი ფაქტობრივად, უკვე წრფივი პროგრამირების გამოყენების ფარგლებს გასცდა. ეს მაშინ, როდესაც წრფივი პროგრამირება ისეთ ამოხსნას ეძებს, რომელიც სპეციფიკურ მიზნობრივ ფუნქციას მაქსიმალურს ხდის. კუპმანსი უპირატესად ისეთი ამოხსნებითაა დაინტერესებული, რომლებიც მიზნობრივი ფუნქციის შერჩევის გარეშეა ეფექტიანი. ინდივიდუალური უფლებისა და განაწილების საკითხების განხილვის აქცენტირების გარეშე, იგი თავისი მოქმედების არეს წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობით საზღვრავს.

იმ დრომდე ასეთი პრობლემები წარმოების მასშტაბების მეშვეობით გადმოიცემოდა. წარმოების ფუნქცია გვიჩვენებს, თუ როგორია პროდუქციის ყველაზე დიდი მოცულობა, რომელიც არსებული დანახარჯების პირობებში შეიძლება მივიღოთ. წარმოების ზღვრული მოცულობა გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის პროდუქცია შეიძლება ვაწარმოოთ არსებული წარმოებრივი რესურსებიდან. თითოეული ფუნქცია უკვე ოპტიმიზაციის შედეგია, მაგრამ ეს ქმედება მკაფიოდ არ გაანალიზებულა. კუპმანსს ამ ოპერაციების ნათლად წარმოჩენით წარმოების თეორიის ფუნდამენტური ინფრასტრუქტურის[5] შექმნა სურდა.

ამ საკითხებზე კუპმანსის მთავარი ნაშრომები მის 1951 წლის კრებულშია შესული. 1970 წლის კრებულში საყურადღებო წანამძღვარს წარმოადგენს სტატია – „რესურსების ეფექტიანი განაწილება“, ხოლო მისი ზუსტი განხილვა 1957 წლის კრებულშია მოცემული[6]. კუპმანსი ამას წარმოებრივი პროცესის, როგორც გარკვეული მაჩვენებლების ერთობლიობის განხილვით აღწევს. თითოეული საწარმო (ნეიმანის 1937 წლის მოდელის მიხედვით) წარმოების მუდმივი დანახარჯებითა და პროდუქციის წარმოების გარკვეული მიმართულებით ხასიათდება. როდესაც ეს საწარმო სხვადასხვა დონეზე მუშაობს, ყველა დანახარჯი და პროდუქცია თანაბარი პროპორციით იცვლება. ეს კი შეუსაბამობაშია წარმოებისა და გარდაქმნის ფუნქციების ერთგვაროვან შენაცვლებასთან. მა-

1 **Hitchcock** Fr. L. The Distribution of a Product From Several Sources to Numerous Localities. "Journ. of Mathematic of Physics", 20/1941.

2 **Koopmans**, T., ზემოაღნიშნული სტატიების კრებული, 1970.

3 სიმპლექსი (ლათ. simplex - უბრალო) - ტელეგრაფის ან ტელეფონის ცალმხრივი კავშირი, რომლის დროსაც ერთი სადგური მხოლოდ გადაცემას აწარმოებს, მეორე კი – მიღებას.

4 ალგორითმი – რაიმე ამოცანის ამოსახსნელად საჭირო მათემატიკურ მოქმედებათა ერთობლიობა.

5 ინფრასტრუქტურა (ლათ. infra – ქვე, ქვეშ და structura) არის ეკონომიკის იმ სექტორების კომპლექსი, რომლებიც ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას (გზების, არხების, ნავსადგურების, ხიდების, აეროდრომების, საწყობების მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ელექტრო- და წყალმომარაგება, კანალიზაცია და ა.შ.); ტერმინი ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა მე-20 ს-ის 40-იანი წლების ბოლოს.

6 Three essays on the state of economic science, N.Y., 1957.

ცრამ კუპმანსი სიურთხილით განმარტავს, რომ გლუვი წირით აღრიცხვის მეთოდი, ერთი და იმავე ტიპის დანახარჯისა და პროდუქციის სხვადასხვა მაჩვენებლების დაზუსტების მეშვეობით, ნებისმიერ სასურველ შედეგს შეიძლება მიეუახლოვოთ. ასეთი მიახლოების შედეგი წრფივი მაჩვენებლების ანალიზი იყო.

ასეთი მიდგომით, წარმოების ეფექტიანობას ის ფაქტი განსაზღვრავს, რომ მოცემული რესურსებით შეუძლებელია ერთი სახეობის საბოლოო პროდუქტის ზრდა მეორის შემცირების გარეშე. რასაკვირველია, წარმოების ასეთი ეფექტიანობა ადამიანთა უპირატესობის, სოციალური სამართლიანობის, მათი შეხედულებებისა და ეკონომიკური სისტემის მიუხედავად, ნებისმიერ შემთხვევაში სასურველია.

ეფექტიანობის ასეთმა გააზრებამ კუპმანსი ფასების ახალ, საინტერესო განმარტებამდე მიიყვანა. ნეიმანმა ძირითადი პრობლემა სიდიდეების თვალსაზრისით, უკვე ფასების დუალურ პრობლემას დაუკავშირა. მაგრამ, მისი მოდელი კეთილდღეობის ეკონომიკური დოქტრინის ხერხემლად არ გამოდგებოდა, რადგანაც იგი მოხმარებას საბოლოო პროდუქტად არ განიხილავდა. კუპმანსმა ნეიმანის მსჯელობა საბოლოო პროდუქტის ეფექტიანობის შესახებ წარმატებით გამოიყენა.

წარმოების პროგრამის ეფექტიანობის დაშვების შემთხვევაში კუპმანსი აჩვენებს, რომ წარმოების ყოველ დანახარჯსა და პროდუქციაზე ისეთი ფასი შეიძლება დაწესდეს, როდესაც: პირველი, – არცერთი საწარმო არ არის რენტაბელური და მეორე, – ეფექტიანი პროგრამის მქონე ნებისმიერი საწარმო მაშინვე არც მოგებას და არც წაგებას არ იძლევა; მესამე, – ნებისმიერი არაეფექტიანი საწარმო უნდა დაზარალდეს. გარდა ამისა, მზა პროდუქტს საბოლოო ფასი აქვს, მაგრამ ნახევარფაბრიკატს ფასი შეიძლება, ფაქტობრივად, არც ჰქონდეს. თუმცა, ამ ფასების ეფექტიანობის განსაზღვრა არსებული ბაზრის პირობებში მოთხოვნა-მიწოდებაში არაფერს ცვლის.

კუპმანსმა საწინააღმდეგო თეორემაც დაამტკიცა: ყოველთვის, როდესაც ზემოთ მოხსენიებული თვისებების მქონე ფასების სისტემის მოძებნა შესაძლებელია, წარმოების შესაბამისი პროგრამა ეფექტიანი იქნება. კუპმანსმა აღნიშნა, რომ მან ვერ იპოვა ისეთი ფასები, რომლებიც საწარმოებს ისე ოპტიმალურად განალაგებს, რომ მათ შორის ტრანსპორტირების დანახარჯები დასაშვები იყოს. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ ორი ეფექტიანი ფასის შეფარდება შესაბამისი საქონლის შენაცვლების ზღვრული ნორმის ტოლია.

საერთოდ, ლ.კანტოროვიჩისა და ტ.კუპმანსის ანალიზებმა ცხადყო, რომ ბაზრების არსებობის მიუხედავად, ფასების იდეა ეფექტიანობის ცნებას მჭიდროდ უკავშირდება. უკვე გასაგები ხდება, თუ რატომ მიუძღვით წვლილი სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ეკონომისტებს (დაწყებული ლიბერალიზმით და სოციალიზმით დამთავრებული) ფასების თანამედროვე თეორიაში, მაგრამ კუპმანსის ეფექტიანობის ანალიზი პროდუქციისა და წრფივი მაჩვენებლების ანალიზისათვის ჯერ კიდევ შეზღუდული იყო.

3.6. რეზიუმე

კუპმანსი ფიზიკის მეცნიერებისაგან ეკონომიკისათვის „უფრო დიდი საჩუქარი იყო", ვიდრე ტინბერგენი. მან ეკონომიკას არამარტო ფიზიკის მათემატიკური გამოცდილება, არამედ მისი მეცნიერული კვლევის ალღოც შესძინა. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის ეკონომისტებისათვის სწორედ ეს კომპონენტები აღმოჩნდა მეტად ნაყოფიერი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კუპმანსს სპეციალური ეკონომიკური განათლება არ მიუღია. ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ მიაპყრო მან ყურადღება ფუნდამენტური კონცეპტუალური პრობლემების შედარებით ვიწრო არეს. ამ პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობისას მისმა უკომპრომისო თავდადებამ გაალრმავა თეორიული ანალიზი.

კუპმანსის შრომებში ინდივიდუალური აღმოჩენების ამოცნობა ძნელია. მეცნიერული მიღწევები ხშირად სხვადასხვა ადამიანის მჭიდრო მუშაობის შედეგია. ეს სულ უფრო და უფრო ტიპური გახდა ეკონომიკისათვის, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებისათვის. კუპმანსის განსწავლულობამ ეკონომიკური განვითარება დიდად წაახალისა.

კუპმანსის პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, ეკონომეტრიკაში და წრფივი მაჩვენებლების ანალიზში და ეკონომიკური ზრდის თეორიაში მისი უდიდესი მნიშვნელობის რიგ მეცნიერულ მიღწევებს ეფუძნება. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ამ მიღწევებმა ფართო მასშტაბების ეკონომეტრიკულ მოდელებს დაუდო საფუძველი, რის შედეგადაც დაგეგმილი პრობლემების ამოსახსნელად პრაქტიკულად წრფივი მოდელების გამოყენება შესაძლებელი გახდა, რამაც კეთილდღეობისა და ფასთა სისტემების ახალი განჭვრეტა უზრუნველყო.

კუპმანსის შრომები თითქმის არასოდეს ყოფილა სადავო, არა იმიტომ, რომ უინტერესოა, არამედ იმიტომ, რომ იგი დაუსაბუთებლად არაფერს წერდა. მის მიღწევებს ეკონომიკური კვლევის ძირითადი ნაკადი სწრაფად შთანთქავდა. ალბათ პარადოქსია, მაგრამ ეს ეკონომიკის თეორეტიკოსების წრის გარეთ მისი სახელის პოპულარობას ხელს უფრო უშლიდა, ვიდრე უწყობდა. ეკონომისტთა პოპულარობას კამათი უფრო უწყობს ხელს, რომელიც „მოუმწიფებელ" შრომებს სრულყოფს.

კუპმანსი შესანიშნავი ეკონომისტიც იყო. პროფესიონალ ეკონომისტებში ალბათ ცოტანი იყვნენ ასე დაფასებულნი. ნათელი მსჯელობის უნარმა და სინთეზის ნიჭმა მას სტუდენტებშიც სახელი გაუთქვა. თანამედროვეებისათვის მის მეცნიერულ მოღვაწეობაზე გაცილებით შთამბეჭდავი ზუსტი მეცნიერული მიდგომების მიმართ მისი უკომპრომისო ერთგულება იყო.

4. რესურსების ოპტიმალური განაწილება: ლეონიდ კანტოროვიჩი (1912-1986)

4.1. ნობელიანტი საბჭოთა კავშირიდან

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომეტრიკოსი **ლეონიდ კანტოროვიჩი** (Kantorovich)[1] დაიბადა სანკტ-პეტერბურგში ექიმის ოჯახში.

1926 წ. კანტოროვიჩი 14 წლის ასაკში შევიდა ლენინგრადის უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს და 1934 წლიდან უკვე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკური ანალიზის პროფესორია. 1935 წ. დისერტაციის დაუცველად მიანიჭეს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

4.2. ოპტიმალური დაგეგმვის მოდელები

50-იან წლებში სსრკ-ში პირველად ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკურ და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე კანტოროვიჩის ინიციატივით დაიწყო **ეკონომიკური კიბერნეტიკის** სპეციალისტთა მომზადება.

1958 წ. აირჩიეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1964 წ. ნამდვილ წევრად. 1976 წლიდან კანტოროვიჩი ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემურ გამოკვლევათა ინსტიტუტს.

კანტოროვიჩი დაქორწინდა ნატალია ილინაზე. მათი ვაჟიშვილი და ქალიშვილი ეკონომისტები გახდნენ.

კანტოროვიჩს მინიჭებული ჰქონდა გლაზგოს, გრენობლის, პალეს, კემბრიჯის, მიუნჰენის, ნიცის, პარიზის, პენსილვანიის, ჰელსინკის უნივერსიტეტების საპატიო სამეცნიერო ხარისხები. იყო ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი, იგი დაჯილდოვეს ოპერაციათა გამოკვლევის საზოგადოების დიდი ვერცხლის მედლით (ბირმინჰემი, დიდი ბრიტანეთი) „პირველი გზამკვლევის როლისათვის წრფივი პროგრამირების განვითარებაში".

ეკონომიკური პრობლემებით დაინტერესდა 30-იანი წლების ბოლოს. მას დაევალეს რესურსების განაწილების ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც მოწყობილობის წარმადობის მაქსიმიზებას მოახდენდა.

---

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 95-99.

კანტოროვიჩმა პრობლემა ჩამოაყალიბა მათემატიკის ტერმინების დახმარებით. მართალია, მას არ ჰქონდა აკადემიური ეკონომიკური განათლება, მაგრამ იცოდა, რომ მაქსიმიზაცია გააადვილებს დაგეგმვას წარმოებაში.

შრომაში **„წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის მათემატიკური მეთოდები"** (1939)[1], კანტოროვიჩმა ახსნა, რომ განაწილების ყველა პრობლემა განიხილება მაქსიმიზაციის პრობლემად მრავალრიცხოვანი შეზღუდვებისას და ისინი წრფივი პროგრამირების დახმარებით შეიძლება გადაიჭრას.

კანტოროვიჩის შრომებმა საფუძველი ჩაუყარა სოციალისტური ეკონომიკის ოპტიმალური დაგეგმვის დოქტრინას.

ეკონომიკის დაგეგმვის დოქტრინის ძირითადი იდეები გადმოცემულია მის ყველაზე ცნობილ ნაშრომში – **„რესურსების საუკეთესო გამოყენების ეკონომიკური გაანგარიშება"** (1959)[2].

კანტოროვიჩის კვლევის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა ფასწარმოქმნა დაგეგმიანი ეკონომიკის პირობებში.

კანტოროვიჩმა ორიგინალური წვლილი შეიტანა ერთი და ორპროდუქტიანი მოდელების კვლევაში, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურად მუშავდებოდა საზღვარგარეთ.

ოპტიმალური დაგეგმვის დინამიკურ ამოცანებს მიეძღვნა კანტოროვიჩის ძირითადი ნაშრომი ამ სფეროში – **„ოპტიმალური დაგეგმვის დინამიკური მოდელი"** (1964), რომელიც ხელმეორედ გამოიცა სახელწოდებით **„პერსპექტიული დაგეგმვის ოპტიმალური მოდელები"** (1965)[3].

კანტოროვიჩს 1975 წელს ეკონომიკაში ნობელის პრემია მიენიჭა ტ.კუპმანსთან ერთად – „რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის".

ნობელის ლექციაში – **„მათემატიკა ეკონომიკაში: მიღწევები, სიძნელეები, პერსპექტივები"**, კანტოროვიჩი მსჯელობდა გეგმიან, განსაკუთრებით საბჭოთა ეკონომიკის პრობლემებსა და გამოცდილებაზე"[4].

5. ეროუ-დებრეს წონასწორობა

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკის სფეროში სიმძიმის ცენტრმა მაკროეკონომიკიდან მიკროეკონომიკისკენ გადაინაცვლა. 20-50-იან წლებში კვლევები, უპირატესად წარმოების მოცულობისა და დასაქმების პრობლემებს ეხებოდა. 50-70 წწ. ცენტრალური ადგილი ისევ რესურსების განაწილებამ დაიკავა.

თავდაპირველად ეს ცვლილებები მხოლოდ ადრინდელ კვლევებში შეინიშნებოდა, მოგვიანებით კი იგი სამეცნიერო ლიტერატურაშიც ნათლად გამოიკვეთა. ამ „გადანაცვლებაში" ცალკე აღებულ არცერთ ეკონომისტს არ შეუტანია ისეთი წვლილი, როგორც კენეთ ეროუს.

კ.ეროუმ ეკონომიკის ფაქტობრივი ფუნქციონირების პრობლემები გამოიკვლია, რაც მათემატიკურ პროგრამირებაში მის განსწავლულობას საგრძნობლად შეეფერებოდა. ეს ტრადიციები იწყება ჯერემი ბენთამიდან ჯონ სტიუარტ მილამდე და ალფრედ მარშალამდე, არტურ სესილ პიგუმდე და შემდგომში 30-იანი წლების „კეთილდღეობის ეკონომიკის" დოქტრინებამდე გრძელდება.

ამ ტრადიციების დამახასიათებელია ის, რომ მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებული და ჰუმანური იდეების მქონე ინტელექტუალი „იდეალური ეკონომიკის" რაციონალურ მოდელს აგებს და მას არასრულყოფილ რეალობას უპირისპირებს, შემდეგ კი ამ რეალობათა ნაკლოვანებების გამოსასწორებელ გზებსა და საშუალებებს ეძიებს.

---

1 **Канторович** Л., Математические методы организации и планирования производства, Л., 1932.

2 Экономический расчет наилучшего использования ресурсов, М., 1959.

3 Оптимальные модели перспективного планирования ... , М., 1965.

4 **Канторович** Л., Математика в экономике: достижения, перспективы – Мировая экономическая мысль, т.V, кн.I, М., 2004, გვ. 225-234.

5.1. კენეთ ჯოზეფ ეროუ

5.1.1. პ.ჰოტელინგის სტუდენტი

ამერიკელი ეკონომისტი **კენეთ ეროუ** (Arrow) დაიბადა 1921 წელს ნიუ-იორკში. მისი მშობლები ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში ჩამოიყვანეს თავიანთმა მშობლებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ოციან წლებში ეროუს მამის საქმე კარგად აეწყო და კენეთმა ბავშვობის წლები კომფორტაბელურ სახლში გაატარა, სადაც ბევრი კარგი წიგნი ჰქონდათ. მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები ადრე გამომჟღავნდა – იგი განსაკუთრებით ისტორიით დაინტერესდა.

„დიდი დეპრესიის" პერიოდში კენეთის მამამ თითქმის ყველაფერი დაკარგა და ოჯახი გაღატაკდა, რამაც მის სოციალურ მსოფლმხედველობას ღრმა კვალი დაამჩნია. რისკი და დაზღვევა მისი გვიანდელი ნაშრომების ძირითადი მიმართულება გახდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ნიუ-იორკის სიტი-კოლეჯში შევიდა, რომელიც დაამთავრა 1940 წელს სოციალური ბაკალავრის ხარისხით. განსაკუთრებით მათემატიკა და ლოგიკა აინტერესებდა, მაგრამ სამუშაოს უფრო ადვილად შოვნის მიზნით, მან სტატისტიკა აირჩია. მისმა სადიპლომო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება და მედალი დაიმსახურა. 1940 წლის ზაფხულში მას, როგორც მცირე სადაზღვევო კომპანიის ექსპერტ-სტატისტიკოსს, ფულიც გაუწნდა. რისკისა და არასელსაყრელი არჩევანის კონცეფციებმა მის მოღვაწეობაში დიდი როლი შეასრულა.

ეროუ საშუალო სკოლის მასწავლებლად ვერ მოეწყო და 1940 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში მათემატიკური სტატისტიკის შესასწავლად შევიდა. ამ პერიოდში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჰ.ჰოტელინგი მუშაობდა და მათემატიკურ ეკონომიკაში მისმა ლექციებმა ეროუ ეკონომიკასთან აზიარა. **ჯონ ჰიკსის „ღირებულება და კაპიტალი"** ეროუსათვის მოწოდებად იქცა „ზოგადი წონასწორობის" კონცეფციის დასრულებისა და განერცობისათვის, თუმცა ჯერაც სტატისტიკოსად რჩებოდა. იგი გაეცნო ავრეთვე აბრაჰამ უალდის ადრეულ სტატიებს ეკონომიკური წონასწორობის შესახებ, მაგრამ უალდმა მას ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება გადაათქმევინა.

1941 წელს ეროუმ მათემატიკურ მეცნიერებათა მაგისტრის წოდება მიიღო, მაგრამ ეკონომიკის თეორიით მის დაინტერესებაში უდიდესი როლი კოლუმბიის უნივერსიტეტმა შეასრულა.

ეროუს შემდგომი მუშაობა ომმა რამდენიმე წლით შეაჩერა. მან, როგორც ამინდის პროგნოზირების ბიუროს სამსახურის მუშაკმა, თვითმფრინავების ოპტიმალური ტრაექტორიის განსაზღვრის მეთოდი შეიმუშავა – ბრტყელი და სფერული ზედაპირებისათვის ხელმისაწვდომი ხელსაწყოები გამოიკვლია. ეს მისი არა მარტო პირველი კვლევა, არამედ პირველი კონტაქტიც იყო ოპტიმიზაციის პრობლემასთან, რაც მის შემდგომ ნაშრომებშიც აისახა.

1946-1949 წლებში ეროუ სადოქტორო დისერტაციაზე სამუშაოდ კოლუმბიის უნივერსიტეტში ჰოტელინგთან დაბრუნდა. მომდევნო წლებში იგი ჩიკაგოს უნივერსიტეტში კოულზის კომისიას შეუერთდა, რომელიც იმ დროს თავისი წარმატების ზენიტში იმყოფებოდა.

ეროუ თავისი „ღირებულებით და კაპიტალით" დარწმუნებული არ იყო მისი დისერტაციის პროფესიონალიზმსა და ორიგინალობაში და გარანტირებული სამუშაოთი უზრუნველყოფა სურდა. ამ მიზნით იგი დაზღვევის რეგისტრატორის სპეციალობას ეუფლებოდა, ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ მას სამუშაოც შესთავაზა.

კუპმანსმა იგი დაარწმუნა დაზღვევის სტატისტიკის „ნაკლებად მიმზიდველობაში" და ეროუმ თავისი კვლევა განაგრძო.

1947 წ. ჩიკაგოში იგი ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულზე სელმე შეეცარზე დაქორწინდა - შეეძინათ ორი ვაჟი.

„ბენდის" ახლად ჩამოყალიბებულ კორპორაციასთან თანამშრომლობამ (რომელიც შემდგომში მათემატიკური პროგრამირების და თამაშთა თეორიის ცენტრი გახდა) მას ლოგიკისა და სოციალური არჩევანისადმი ინტერესი გაუღვივა. ამის შედეგია მისი ნაშრომი „სოციალური არჩევანი და ინდივიდუალური შეფასება" (1951), რომელიც კოლუმბიის უნივერსიტეტმა მის სადოქტორო დისერტაციად მიიღო.

1949 წელს ეროუ სტენფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და სტატისტიკის ასისტენტ-

პროფესორი გახდა, ხოლო 1953 წელს (ოცდათორმეტი წლის ასაკში) მას პროფესორის წოდება მიენიჭა.

1957 წელს ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციამ მისი ნაშრომი ჯონ ბეითს კლარკის მედლით დააჯილდოვა. იმავე წელს ეროუ ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოში – მკვლევარად მოღვაწეობს. ამ საბჭოს წევრები იყვნენ: კერმიტ გორდონი და ჯეიმზ ტობინი. კემბრიჯის უნივერსიტეტში, როგორც ჩერჩილის კოლეჯის საბჭოს მოწვეულმა წევრმა – ეროუმ ფრანკ ჰანთან თანამშრომლობა დაიწყო.

1968 წელს ეროუმ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

1972 წელს ბრიტანელ ჯონ ჰიქსთან ერთად იგი ეკონომიკური მეცნიერების დარგში (ზოგადი წონასწორობისა და კეთილდღეობის თეორიებში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის) **ეკონომიკაში ნობელის პრემიით** დაჯილდოვდა. იყო ამერიკის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

1974-79 წწ. ეროუ ჰარვარდში ჯეიმზ ბრაიან კონანტის უნივერსიტეტის პროფესორია. 1980 წლიდან ეროუ სტენფორდის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ოპერაციული გამოკვლევების პროფესორია.

ფაქტობრივად არ არსებობს შესაძლებელი პატივი და ღირსება ამერიკელი ეკონომისტებისათვის, რომელიც ეროუს არ მიელოს: ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი; ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული და დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

უპრეტენზიო ხასიათის, სიკეთისა და თავმდაბლობის გამო უყვარდათ. იგი აღაფრთოვანებდა გარშემომყოფთ თავისი ნათელი გონებით, ფართო ინტერესებით და ერუდიციით, ასევე კვლევაძიების შთაგონებისა და სტიმულირების უნარით.

5.1.2. ძირითადად სამი წიგნი

ეროუს ძირითადი მეცნიერული წვლილი ეკონომიკური ანალიზის ლოგიკურ დასაბუთებაში აქვს შეტანილი, ამასთან იგი, როგორც ინტელექტუალ-ლიბერალი კონკურენციის სისტემით, ეფექტიანობით, სოციალური სამართლიანობით და მათში მთავრობის როლით იყო დაინტერესებული.

ეროუს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის მათემატიკურ პროგრამირებაში.

საკუთრივ ეკონომიკაში მისი წვლილი ძირითადად **სამი წიგნითაა** წარმოდგენილი:

- **პირველი – „სოციალური არჩევანი და ინდივიდუალური შეფასება"** (1951)[1]. მასში დადგენილია პირობები (არსებობის შემთხვევაში), როდესაც ჯგუფური გადაწყვეტილებების მიღება შესაძლებელია ინდივიდუალური უპირატესობებიდან გამომდინარე რაციონალური გზით. ეროუს ინფორმაციით, წიგნის ძირითადი დებულებები რამდენიმე კვირაში დამუშავდა, ხოლო „შეუძლებლობის თეორემა" (რომელმაც ეროუს სახელი გაუთქვა) ფაქტობრივად, ერთ ღამეში დაწერა. ეს თეორემა დაკავშირებულია სოციალურ არჩევანთან დემოკრატიულ საზოგადოებაში და მცირე ჯგუფებში;

- **მეორე წიგნი – „სახელმწიფო ინვესტიციები, მოგების ნორმა და ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკა"** (1970)[2] დაწერილია მორდექაი კურცთან ერთად და ოპტიმალური სახელმწიფო ინვესტიციების ფორმალურ ანალიზს წარმოადგენს;

- ზოგადი წონასწორობის პრობლემების ანალიზი შეჯამებულია ფრენკ ჰანთან ერთად დაწერილ **შემდეგ წიგნში „კონკურენციის ზოგადი ანალიზი"** (1971)[3]. მასში სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ეკონომიკური თეორია ამომწურავადაა აღწერილი.

ეროუს დანარჩენი წიგნები წერილებს ან წერილების კრებულებს წარმოადგენს. მისი **წერილების ნაკრები სტატიების ექსტრემულია** გამოქვეყნებული (1983-85)[4], რომლებიც არა მარტო მეცნიერული ფასეულობით, არამედ რაოდენობითა და მრავალფეროვნებითაც გამოირჩევიან. წერილების ერთი ჯგუფი (ძირითადად, **პირველი** ტომიდან) სოციალურ და სამართლებრივ პრობლემებს ეხება. ისინი ეროუს ფილოსოფიური ზნეობის ძირითადი წყაროა.

1 Social Choice and Individual Values, N.Y., 1951.
2 Public Investment, the Rate of Return, and Optimal Fiscal Policy, Baltimore, 1970.
3 General Comretiti ve Analysis, 1971.
4 Collected Papers of Kenneth J. Arrow, Vol/ 1-6. Cambridge, Mass., 1983-1985.

სხვა ნაწილი (დაწერილი 1952 წ.) „შეუძლებლობის თეორემის" შესავალია;

- სხვა სტატიები (ძირითადად, მეხუთე ტომიდან) კაპიტალის დაგროვების, წარმოებისა და ზრდის პრობლემებს ეხება;

- წერილები ზოგადი წონასწორობის შესახებ (მეორე ტომიდან) ორ შესავალ მიმოხილვას შეიცავს: ერთი სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ენციკლოპედიისათვისაა დაწერილი, მეორე კი ნობელის პრემიისადმი მიძღვნილ ლექციას წარმოადგენს[1];

- მესამე ტომი — ინდივიდუალური არჩევანის შესახებ — „რისკის საკითხებში არჩევანის თეორიისადმი ალტერნატიული მიდგომების" კლასიკურ მიმოხილვას შეიცავს.

კონკურენციის პირობებში, განუსაზღვრელობა (წონასწორობასთან ერთად) ეროუს ნაშრომების ერთ-ერთი ლაიტმოტივი გახდა. ზოგად წონასწორობაში, რისკის ჩართვის ელეგანტური გზის მოძიებაში მას სტატისტიკის ცოდნა დაეხმარა.

მისი ნაშრომები გამოყენებითი პრობლემების ფართო წრეს ეხება, რომლებიც დაზღვევის, ჯანმრთელობის, უშიშროების, ინფორმაციის, გამომგონებლობის, განათლების, დისკრიმინაციის, გარემოს დაზიანების საკითხებს შეიცავს. ამ სტატიებიდან ზოგიერთი უფრო საფუძვლიანი მიმოხილვაა, ვიდრე ორიგინალური ანალიზი, მაგრამ მთლიანობაში მათ ფაქტობრივად რისკისა და ინფორმაციული ეკონომიკა გამოყენებითი მიკროეკონომიკის სფეროში შემოჰქონდათ.

5.1.3. სოციალური არჩევანი

ეროუმ პირველი, დაუმთავრებელი სადისერტაციო გეგმიდან გამომდინარე, ფირმების მესაკუთრეთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გაანალიზა.

მისი შეხედულებით, „კეთილდღეობის დემოკრატიული ფუნქცია", რომელიც ინდივიდუალურ უპირატესობებსა და სოციალურ არჩევანს შორის კავშირს ასახავს, უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ მოთხოვნებს: გარდამავლობას; პარეტოს ეფექტიანობას (კონკრეტულ ალტერნატიულ არჩევანს ვერ გავაკეთებთ, სხვა ისეთი ალტერნატივის არსებობისა, რომელიც უფრო მეტად აუმჯობესებს პიროვნების მდგომარეობას სხვათა მდგომარეობის გაუარესების გარეშე); დიქტატურის არსებობას და სხვა ალტერნატივების დამოუკიდებლობას.

დავუშვათ, რომ კომისიამ სამი საინვესტიციო პროექტიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. თუ პირველი კენჭისყრისას B პროექტმა მიიღო უპირატესი ხმები C-თან შედარებით, ხოლო მეორე კენჭისყრისას A-მ B-თან შედარებით, მაშინ თავმჯდომარე ადგენს, რომ შემდგომ კენჭისყრას აზრი არა აქვს, ვინაიდან აშკარაა, რომ A C-საც აჯობებს.

ეროუს დაშვებით, თავმჯდომარე შეიძლება შეცდეს, რადგანაც კეთილგონიერი წევრებიდან შემდგარ კომისიაში C-მ შეიძლება უპირატესობა მოიპოვოს A-ზე. ასეთი შემთხვევები შესაძლებელია, თუ კომისია სამი წევრისაგან შედგება. X წევრი პროექტებს შემდეგი თანამიმდევრობით ანიჭებს უპირატესობას: A,B,C, ხოლო Y — B,C,A-ს, Z კი — C,A,B თანამიმდევრობას. მესამე კენჭისყრამ A-ს მიმართ C-ს უპირატესობა გამოამჟღავნა. აქ ჩიხი ჩნდება. ეროუსათვის ასეთი პარადოქსი ცნობილი იყო.

ეროუ სვამს კითხვას, — შესაძლებელია თუ არა ისეთი სოციალური არჩევანის გაკეთება, რომელიც ამ პარადოქსს აგვაცილებს?

სხვა დამატებითი მოთხოვნების გარეშე ეს შეუძლებელია. მაგალითი დიქტატორული მოქმედებაა, რომლის დროსაც კომისია თავისი თავმჯდომარის სურვილის მიხედვით მარტივად იღებს გადაწყვეტილებას.

ამგვარად, ეროუ იმ მინიმალურ პირობებს აყალიბებს, რომელიც დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცედურამ უნდა დააკმაყოფილოს:

- პირველი — გადაწყვეტილების მიღების პროცედურა პროექტების ინდივიდუალური თანამიმდევრობისდა მიუხედავად სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს; თუ პროცედურა განსხვავებული აზრის გარეშე წარიმართა, იგი უსარგებლოა;

- მეორე — თუ რომელიმე ინდივიდი ერთი ალტერნატიული პროექტის თანამიმდევრობას

1 Общее экономическое ровновесие -Мировая экономическая мысль, М., 2004, გვ. 139-169.

ზრდის (მაშინ როცა სხვებთან თანამიმდევრობები არ იცვლება), ამ ალტერნატივის სოციალური თანამიმდევრობა არ უნდა გაუარესდეს. ინდივიდუალურ და სოციალურ კლასიფიკაციას შორის ურთიერთკავშირი დადებითი უნდა იყოს;

- მესამე — თუ ალტერნატივების ყოველი ჯგუფისათვის ყოველ ინდივიდს ერთი და იგივე კლასიფიკაცია აქვს, ესეც სოციალური კლასიფიკაციაა. ამგვარად, ალტერნატივების ჯგუფის შიგნით „უადგილო", ჯგუფის გარეთ მყოფ ალტერნატივებისაგან სოციალური კლასიფიკაცია დამოკიდებული არ არის;

- მეოთხე — სოციალური არჩევანი გარედან თავსმოხვეული არ უნდა იყოს, რამდენდაც ის ინდივიდუალური კლასიფიკაციიდან არ გამომდინარეობს.

დაბოლოს, სოციალური არჩევანი დიქტატორული არ უნდა იყოს, რამდენადაც იგი მხოლოდ ერთი ინდივიდის არჩევანზე დამოკიდებული არ არის.

ეროუს დამსახურება იმის ლოგიკურ დასაბუთებაშია, რომ მისაღები გადაწყვეტილების არჩევის პროცედურა ყოველ ინდივიდს არ შეიძლება აკმაყოფილებდეს და იმავდროულად სამი ან მეტი ალტერნატივისათვის სოციალური არჩევანის გარანტიას იძლეოდეს. ეს აზრი ცნობილია, როგორც ეროუს **„შეუძლებლობის თეორემა"**. ამ თეორემის დამტკიცება კონკრეტული დასკვნის ნიმუშს წარმოადგენდა.

ეროუს აზროვნება პარეტოს ოპტიმალურობის პრობლემებისაკენ იყო მიმართული, სადაც კოლექტიურ არჩევანს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სიმრავლეთა თეორიის გამოყენებაზე ეროუს ანალიზები ეკონომიკურ პრობლემებზე ახდენს გავლენას. იგი იწყებს პერიოდით, როცა სიმრავლეთა თეორიამ დიფერენციალური აღრიცხვა, როგორც მათემატიკური ეკონომიკის უპირატესი იარაღი, სწრაფად შეცვალა. შემდეგ აჩვენა, თუ როგორ შეიძლება სოციალური თეორიების განსამტკიცებლად ჯონ ფონ ნეიმანისა და ოსკარ მორგენშტერნის მეთოდების გამოყენება.

5.1.4. კეთილდღეობის დოქტრინა

„კეთილდღეობის თეორიასთან" ეროუს დამოკიდებულება 40-იანი წლების მიჯნაზე პარეტოს ოპტიმალურობის კრიტერიუმის გარშემო გამართულმა კამათმა განაპირობა. ამ დებატებში მნიშვნელოვანი წვლილი ჰოტელინგმა — ეროუს მასწავლებელმა შეიტანა. რენტის შესახებ კამათისას ეროუმ შენიშნა, რომ ადამიანები ხშირად მხოლოდ ერთი ტიპის სახლებს ყიდულობენ, სხვებზე კი მინიმალური მოთხოვნაა.

აშშ-ის მეცნიერულ-კვლევით კორპორაციაში მუშაობისას ეროუ ნეიმანისა და მორგენშტერნის თამაშთა თეორიას და ამგვარად ამოზნექილ სიმრავლეებსა და განმაცალკევებელ ჰიპერსიბრტყეებს გაეცნო.

პ.სამუელსონის შეხედულებები ეროუს იმის წარმოდგენაში დაეხმარა, რომ ამოზნექილი სიმრავლეების თეორიას ზემოთ დასმულ შეკითხვაზე პასუხის უზრუნველყოფის შესაძლებლობა აქვს: წრფივი ანალიზისათვის ნაყოფიერი მათემატიკური კონცეფციები, შესაძლოა ასევე არაწრფივი სისტემებისთვისაც მისაღები იყოს.

ასეთი მოსაზრებების შედეგები აისახა ეროუს სტატიაში — **„კეთილდღეობის კლასიკური თეორიების ძირითადი დებულებების განჭრცობა"** (1951). მასში ლოკალური ოპტიმალურობის კრიტერიუმი გლობალური კრიტერიუმებითაა შეცვლილი. შედეგად, კონკურენციული ფასების ოპტიმალურობის თვისებები მაშინაც კი ძალაშია, როცა დამატებითი პირობები ვერ სრულდება. დაახლოებით იმავე დროისათვის მსგავსი შედეგები ჟერარდ დებრემ დამოუკიდებლად მიიღო და გამოაქვეყნა[1].

5.2. ეროუ-დებრეს წონასწორობა და ჯანდაცვის ეკონომიკა

ეროუმ ამერიკელ ეკონომისტ დებრესთან ერთად კონკურენციული ეკონომიკური წონასწორობის თეორემა და მოდელი შეიმუშავა. თეორემაში მოცემული მტკიცებით, მოთხოვნისა და მიწოდების ტოლობის შემთხვევაში ბაზარზე ეკონომიკური წონასწორობა შეიძლება დამყარდეს.

1 **Debreu** G., Mathematical Economics: Twenty Papers of Gerard Debreu, Cambr., 1983.

ეროუ-დებრეს ზოგადი წონასწორობის მოდელი 1954 წელს გამოქვეყნდა. იგი ყველა მოდელს შორის (დაწყებული კანტილიონის „ეკონომიკური ცხრილიდან", რომელიც მიწას ეხებოდა) უაღრესად კომპაქტური, გაცილებით სრული და განზოგადებული ეკონომიკური მოდელია.

5.3. ჟერარდ დებრე (1921-2004)

5.3.1. ნობელიანტი: საფრანგეთიდან აშშ-ში

ფრანგული წარმოშობის ამერიკელი მათემატიკოს-ეკონომისტი **ჟერარდ დებრე** (Debreu) დაიბადა ქ.კალეში (საფრანგეთი) 1921 წელს, სწავლობდა მათემატიკასა და ფიზიკას. 1944 წელს დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სასწავლებელი. 1945 წ. ფრანსუა ბლედზე დაქორწინდა - შეეძინათ ორი ქალიშვილი. 1946-48 წწ. - იქვე მათემატიკას ასწავლიდა, მუშაობდა საფრანგეთის სამეცნიერო გამოკვლევების ეროვნულ ცენტრში. 1948-50 წწ. პარვარდის, ჩიკაგოს, კალიფორნიის, კოლუმბიის უნივერსიტეტებში სტაჟირება გაიარა.

1950 წელს იგი, როგორც პარიზის მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის ნაშრომების თანამონაწილე და როკფელერის სტიპენდიანტი, მუშაობას ჩიკაგოში კოულზის კომისიაში ასისტენტ-მკვლევარად იწყებს. 1956 წ. პარიზის უნივერსიტეტმა დოქტორის წოდება მიანიჭა.

1955 წლიდან იელის, ხოლო 1962 წლიდან კი სტენდორდის უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორი გახდა. ერთი წლის მუშაობის შემდეგ, კალიფორნიის უნივერსიტეტში გადავიდა, სადაც ჯერ ეკონომიკის, შემდეგ კი მათემატიკის (1975) პროფესორად მუშაობდა.

გარდაიცვალა 2004 წელს.

ჟ.დებრეს კვლევის მთავარი საგანი „ზოგადი წონასწორობის თეორია" იყო. ამ პრობლემებს მიეძღვნა ფრანგი ეკონომისტის, შემდგომში ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის (1988) მორის **ალეს** (Allais, 1911-) ნაშრომები, მ.შ. „ეკონომიკური დისციპლინის ძიებანი" (1943)[1]. 1952 წ. დებრე აქვეყნებს სტატიას ამ თემაზე. ორი წლის შემდეგ კ.ეროუსთან ერთად „ეკონომეტრიკაში" გამოაქვეყნა სტატია „წონასწორობის არსებობა კონკურენტული ეკონომიკისათვის". აქ წარმოდგენილი საბაზრო ეკონომიკის მათემატიკური მოდელით ავტორებმა დაამტკიცეს წონასწორული ფასების არსებობა შეზღუდული პირობების არარსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ დებრეს აბსტრაქტული იდეები მისებრი ლოგიკური აზროვნების მქონე ადამიანებისათვის იყო მისაწვდომი, იგი მაინც შესანიშნავ პედაგოგადაა ცნობილი.

დებრეს სადისერტაციო ნაშრომი „**ღირებულების თეორია**": „**ეკონომიკური წონასწორობის აქსიომატური ანალიზი**", 1959 წელს ცალკე წიგნად გამოიცა[2]. ამ ნაშრომში აღრმავებს თავის მტკიცებას „წონასწორობის" არსებობის შესახებ უმეტესწილად საერთო შემთხვევებისათვის. იგი ტოპოლოგიაზე დაფუძნებული მათემატიკური თეორიების სამაგიდო წიგნად იქცა.

მის **სტატიების კრებულში** (1983)[3] ოცი სტატიაა თავმოყრილი, რომლებსაც ვერნერ ჰილდებრანდის შესავალი აქვს წამძღვარებული. კრებულის მე-19 თავი – „რეგულარული წარმოებადი ეკონომიკა", რომელიც „ამერიკული ეკონომიკის მიმოხილვიდანაა" გადმობეჭდილი (1976), ავტორის ნაშრომთა სტილის ინტუიციურ გამოხატულებას წარმოადგენს. იგი ზოგადი წონასწორობის თეორიას ეხება.

1983 წელს ჟ.დებრეს ზოგადი წონასწორობის თეორიის და მისი განმახორციელებელი პირობების შემუშავებაში შეტანილი წვლილისათვის **ეკონომიკაში ნობელის პრემია** მიენიჭა.

იგი იყო: საფრანგეთის საპატიო ლეგიონის კავალერი (1976), ეკონომეტრიკული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და პრეზიდენტი, ამერიკის ეკონომიკური ასოციაციისა და ამერიკის მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრი, მრავალი უნივერსიტეტის (ბონის, ლოზანის, ტულუზის...) საპატიო სამეცნიერო ხარისხის მფლობელი.

---

1 Allais M., A la Recherche d'une discipline economique, 1943.

2 Theory of Value..., N.Y., 1959.

3 Mathematical Economics: Twenty Papers of Gerard Debreu, Cambr., 1983.

5.3.2. კონკურენტული წონასწორობა

დებრეს ტოპოლოგიური მეთოდის ძირითადი შედეგები კონკურენტული წონასწორობის არსებობასა და ოპტიმალურობასთანაა დაკავშირებული. ისინი ამ სფეროში არსებულ ტრადიციულ თეორემებს სიზუსტესა და ესთეტიკურ სიცხადეს მატებს.

ზოგი, ზოგადი წონასწორობის თეორიას, გოთურ საკათედრო ტაძარს ადარებდა, სადაც არქიტექტორები ლეონ ვალრასი და ვილფრედო პარეტოა, ხოლო დებრე — ოსტატი-მშენებელი. ეს მართლაც საინტერესო შედარებაა, მაგრამ ეკონომისტთა ახალ საზოგადოებას უფრო მეტად წარმოების მექანიზმები აინტერესებდა. ზოგადი წონასწორობის თეორეტიკოსების იმედებით ის, რაც, საკათედრო ტაძრის სახით დღესდღეობით აღგვაფრთოვანებს, საბოლოოდ მაღალეფექტიან წარმოებად შემობრუნდება.

ეროუმ და დებრემ წარმოების სამართლიანობისათვის ოთხი პირობა დაასახელეს:

1. **ფირმები საწარმოს დანახარჯებს ისეთ ტექნოლოგიებში მიმართავენ, რომლებიც ძალზე დიდ მოგებას გამორიცხავს;**

2. **სამუშაო ძალით უზრუნველყოფილი შინამეურნეობები სხვადასხვა საქონლის გარკვეულ რაოდენობას გამოიყენებენ;**

3. **შინამეურნეობების არჩევანს სარგებლიანობის ფუნქცია განაპირობებს;**

4. **შინამეურნეობები ბაზარზე ხელმისაწვდომი საქონლის გარკვეული რაოდენობით უზრუნველყოფილნი არიან და მოგების გარკვეულ წილზე პრეტენზიები გააჩნიათ.**

ზემოაღნიშნული პირობები ძალზე გამარტივებულადაა წარმოდგენილი. ეროუსა და დებრეს ძირითად მიზანს მათი მათემატიკური გააზრება წარმოადგენდა. მეოთხე პირობა არარეალურია და იგი იმ უკიდურესი შემთხვევისათვის შეიძლება გამოდგეს, როდესაც შინამეურნეობა საქონლის მხოლოდ ერთი სახეობით მარაგდება. თუ სხვა საქონელზე მათი გაცვლა გარკვეულ ფასებში შესაძლებელია, შინამეურნეობის მოთხოვნა ალბათ ვერ დაკმაყოფილდება და ჭარბი მოთხოვნა კი არა, მოთხოვნის დეფიციტი შეიქმნება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ბაზარზე ამ საქონლის ფასი მინიმალური იყოს. ამ შემთხვევაში ამ თავისუფალ საქონელზე შინამეურნეობის მოთხოვნამ შესაძლოა იმატოს.

მეოთხე პირობა ფუნქციის ასეთ წყვეტილობას მინიმალური ფასებისათვის გამორიცხავს. ამ პირობის შესაბამისი ეკონომიკური სისტემისათვის ეროუმ და დებრემ **კონკურენტული წონასწორობის** არსებობის დამტკიცება სცადეს. ეს დოქტრინა შემდეგი პირობებით განისაზღვრებოდა:

1. **მოცემული ფასების პირობებში ფირმები მოგებას ზრდიან;**

2. **ფასებისა და მოგების წილის მოცემულ დონეზე შინამეურნეობები რენტაბელობას მაქსიმალურად ზრდიან;**

3. **ნეგატიურ ფასებს ადგილი არა აქვს;**

4. **თუ ადგილი აქვს რომელიმე საქონლის ჭარბ მოწოდებას, მისი ფასი ნულია.**

ამ დაშვებებისა და პირობების მათემატიკური ანალიზის მეშვეობით ეროუმ და დებრემ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც ოთხივე დაშვებას აკმაყოფილებს, კონკურენტული წონასწორობა არსებობს.

ადრეული, 50-იანი წლების წონასწორობის არსებობის მტკიცებები ეკონომიკაში რევოლუციონერობისაგან შორს იყო. ზოგადი წონასწორობის თეორეტიკოსები (ვალრასიდან და პარეტოდან დაწყებული, ჰიკსითა და სამუელსონით დამთავრებული) ფაქტობრივად ინტუიციურ მონაპოვარს განამტკიცებდნენ. მათ წარმოდგენაში მყოფ ეკონომიკურ სისტემებს, მეტ-ნაკლებად მართლაც წონასწორობის გარკვეული ამოხსნები გააჩნია.

ანალიტიკური სიზუსტის თვალსაზრისით, მათი მიდგომები თითქოსდა რევოლუციური იყო. ამ კუთხით მათ აბსოლუტურად ახალი სტანდარტები შექმნეს, რაც მხოლოდ დიდი მათემატიკური ნიჭის მქონე ეკონომისტებს ხელეწიფებოდათ. მანამდე კი მცირე გამონაგარიშებების გამოყენება თითქოსდა მათემატიკოს-ეკონომისტობას ნიშნავდა. აქედან მოყოლებული, მათემატიკური ეკონომიკა კომპეტენტურ-პროფესიონალ მათემატიკოსთა „ნაკრძალი“ გახდა. მრავალი ასპექტით, ეს ნამდვილად დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

თუმცა, მათემატიკური აზროვნებისა და გამოცდილების მქონე ადამიანები სოციალური პრობლემებით, ისტორიული პროცესების გააზრებითა და ნოვატორული ეკონომიკური იდეებით რამდენადმე ნაკლებად არიან დაინტერესებულნი. ამის შედეგად მათემატიკური კომპეტენციის ზრდას ეკონომიკურ აზროვნებაში პროგრესის შესამჩნევ დაჩქარებასთან ყოველთვის არ აკავშირებენ. ახალ წისქვილებს სულ უფრო და უფრო სუფთად შეუძლია მარცვლის დაფქვა, მაგრამ ისინი მეტი ფქვილის წარმოებას ვერ შეძლებენ.

ზოგადი წონასწორობის თეორია (ვალრასიდან პიკსამდე) ჩვენზე დამოკიდებული მომავლის განჭვრეტას უშვებდა. იმავე თეორეტიკოსებმა, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ ადამიანის მომავლის განჭვრეტა მეტნაკლებად შესაძლებელია, მაგრამ ეს ფაქტი მათ თავიანთ მოდელებში ზუსტად ვერ ასახეს. ამ გზას ეროუმ მიმართა.

ეროუმ ექვსი სტატია ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკას მიუძღვნა. მათ შორის იყო მისი ძირითადი სტატია — **„სამედიცინო ზრუნვის არასაიმედოობა და კეთილდღეობის ეკონომიკა“** (1963).

ეკონომისტებს მანამდეც აინტერესებდათ ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკის პრობლემები. მათ შორის იყვნენ **მილტონ ფრიდმანი** და **საიმონ კუზნეცი**[1] (1946), რომლებმაც ექიმთა შემოსავალზე მოქმედი ფაქტორები გამოიკვლიეს. ეროუმ თავისი ნაშრომებით პრობლემის შინაარსი გააფართოვა და იგი არაეკონომისტებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადა.

ეროუს დასკვნით, მრავალი საფრთხე, რომელიც ჯანმრთელობას ემუქრება, დაუზღვეველია, მაშინ, როდესაც დაზღვევა ყველას ინტერესებშია. ჯანმრთელობაზე დანახარჯები ასევე პაციენტისა და ექიმის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. თუ ეს დანახარჯები დაზღვევის საშუალებით მხოლოდ ნაწილობრივ იფარება, მაშინ პაციენტებს დამატებითი დანახარჯები ექნებათ, რასაც ჩვეულებრივ სამედიცინო მომსახურებისადმი დამატებით მოთხოვნას განაპირობებს.

ბაზრის არაეფექტიანობის კიდევ ერთ წყაროდ არათანმიმდევრული ინფორმაციაა დასახელებული. წარმოვიდგინოთ, რომ პაციენტმა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ გაცილებით მეტი იცის, ვიდრე სადაზღვეო კომპანიამ. დაუშვათ, რომ უბედურებაზე დაზღვეულები მეტ დაზღვევას მიღებენ, ვიდრე კეთილდღეობაზე დაზღვეულნი. ეს სადაზღვეო კომპანიებს პრემიების გაზრდისაკენ უბიძგებს, რაც კეთილდღეობაზე დაზღვეულთა საკმაო რაოდენობას შეამცირებს და ა.შ. ამდენად, კეთილდღეობაზე ბევრი დაზღვეული დაუზღვეველი დარჩება.

გარდა ამისა, მან მათემატიკური მექანიზმების გამოყენებით დაასაბუთა, რომ არასწორი საგადასახადო დაბეგვრის პოლიტიკა კეთილდღეობის დონის შემცირებას იწვევს.

საბოლოოდ, ეროუ რაიმე განსაკუთრებულ პოლიტიკურ რეცეპტებს არ იძლევა. მას კონცეპტუალური საფუძვლის შექმნა სურდა, საიდანაც სხვები განაგრძობდნენ კვლევებს. თუმცა ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკის თეორიის შექმნაში მაინც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია.

---

1 ს.კუზნეცი (Kuznets, 1901-1985) — ამერიკელი ეკონომისტი, დაბ. ქ.ხარკოვში, დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი (1923). მუშაობდა: ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროში (1927 წლიდან), აშშ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტში, მ.შ. ჰარვარდის უნივერსიტეტში ეკონომიკის პროფესორად (1960 წლიდან). მთავარი ნაშრომები: „ეროვნული შემოსავალი. გამოკვლევის შედეგები“ ("National income. A Summary of findigs", N.Y.., 1946); „უმაღლესი შემოსავლების მქონე ჯგუფების წილი შემოსავლებსა და დანაზოგებში“ ("Shares of upper income groups in income and savings", N.Y., 1953); „კაპიტალი ამერიკის ეკონომიკაში. მისი შექმნა და დაფინანსება“ ("Capital in the American economy. Its formation and financing", Pringenton, 1961). „კუზნეცის კანონის“ მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში განვითარების პირველ ათ წელიწადში შემოსავლების დიფერენციაცია გაღრმავდება, შემდეგ კი გამოკვეთება გამოთანაბრების ტენდენცია. ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკური ზრდის ემპირიულად დასაბუთებისათვის, რამაც განაპირობა ეკონომიკურ-სოციალური სტრუქტურის და მთლიანად განვითარების პროცესის ახლებური ხედვა. იყო ამერიკის ეკონომისტთა და სტატისტიკის ასოციაციების პრეზიდენტი, ეროვნული სტატისტიკის თანამედროვე სისტემის შემმუშავებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში (1971).

5.3.3. წვლილი

მათთვის, ვისაც მეცნიერების ისტორია კრიზისებისა და რევოლუციების თანმიმდევრობად წარმოუდგენია, ამ ისტორიაში ეროუს როლის ახსნა ძნელი იქნება. მისი მოღვაწეობა წარსულის რევოლუციურ მსხვრევას არ წარმოადგენს. ამ საზომით თუ მივუდგებით, 80-იანი წლების თვალსაწიერიდან არც ერთი მისი ნაშრომი თავის დროს მკვეთრად არ უსწრებს. ისინი გიგანტურ ნახტომებს არ წარმოადგენს. ეროუს გენია ფუნდამენტური კონცეპტუალური პროექტების განვითარებაში გამომჟღავნდა, როდესაც მეცნიერება ამისათვის მომწიფებული აღმოჩნდა.

ეროუ ეკონომიკური აზრის ისტორიაში ახალი ეპოქის განსახიერებაა. დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში, დაწყებული ავგუსტინ კურნოდან (1838 წ.) და ჯონ ჰიკსით დამთავრებული (1939 წ.), ეკონომიკის პროგრესს თან ახლდა დიფერენციალური აღრიცხვის მზარდი გამოყენება. შემდეგ ტოპოლოგიის მეცნიერული პოტენციალი ფონ ნეიმანმა გამოამჟღავნა.

ეროუსა და დებრეს წყალობით, მათემატიკურმა მექანიზმმა (რომელიც შემდგომ ფართოდ გამოიყენეს მათემატიკურ პროგრამირებაში) ეკონომიკური თეორია დაიპყრო. ძველი შეხედულებების განზოგადებამ ახალი თვალსაზრისი დაამკვიდრა. ახალ შეხედულებათა უმეტესობა რაღაცნაირად იდუმალი ბუნებისაა. ცოტა მათგანი ხვდება სახელმძღვანელო წიგნებში და კიდევ უფრო ცოტაა „საქმიანი არასპეციალისტებისათვის" ხელმისაწვდომი.

ეროუ უდაოდ ძლიერი ეკონომისტია, ხოლო დებრიუ კი მათემატიკოს-ეკონომისტი. მათმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინეს ეკონომიკური განათლების სფეროში ტალანტების მოზიდვაზე, ეკონომიკური განათლების ტიპსა და, საერთოდ, ეკონომიკური მეცნიერების იერსახეზე.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II. თბ., 1975.

ა.გრიშიკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ., М., 1994.

Гейл Д., Теория линейных моделей экономики, пер. с англ., М., 1972.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Канторович Л.В.: Математические методы организации и планирования производства, Л., 1939; Экономический расчёт наилучшего использования ресурсов, М., 1960; Оптимальные модели перспективного планирования - Применение математики в экономических исследованиях, т.3, М., 1965; Оптимальные решения в экономике, М., 1972; Математика в экономике: достижения, трудности, перспективы – Мировая экономическая мысль, т.V, кн.1, М., 2004.

Макаров В., Лубинов А., Математическая теория экономической динамики и равновесия, М., 1973.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, М., 1968.

Allais M., A la Recherche d'une Discipline Economique: Premier Partie. L'economie pure, 1943.

Arrow Kenneth J.: Social choice and individual values, N.Y., -L., 1951; Studies in Linearr and Non-Linear Programming, Stanford, Calif., 1958 (თანაავტ.); Studies in the Mathematical Theory of Inventory and Production, Stanford, Calif., 1958; Public Investment, the Rate of Return, and Optimal

Fiscal Policy, Baltimore, 1970 (თანაავტ. ზ.კურცი); General Comretiti ve analysis, 1971 (თანაავტ. ფ.ჰანი); The Limits of organization, N.Y., 1974; Collected Papers of Kenneth J. Arrow, Vol/ 1-6. Cambridge, Mass., 1983-1985; Social Choice and Multicriterien Decision-Making, Cambr., Mass., 1986; Исследования по линейному и нелинейному программированию, пер. с англ., М., 1962; Общее экономическое равновесие - Всемирная экономическая мысль, т.V, кн.I, М., 2004.

Cournot A.A., Recherches sur les principes mathematiques de la theorie des richesses, 1838.

Debreu Gerard: Theory of Value: An Axiomatic Analysis of Economic Equiliberium, N.Y., 1959; Mathematical Economics: Twenty Papers of Gerard Debreu, Cambr., 1983; Экономическая теория в математической форме - Мировая экономическая мысль, т.V, кн.I, М., 2004.

Fridman M. , **Kyznets** S. , Income from Indenpendent Professional Practice, N.Y., 1945.

Friedman M., **Savage** L., The Utility Analysis of Choises Involving Risk - "J. of Political Economy", 56/4, 1948.

Frisch Ragnar: The Interrelazion between Capital Production and Consumer-Taking - „Journal of Political Economy", 39(5), 1931; Note on the Term "Econometrics" – "Econometrica", 4(1). 1936.

Hicks J.R., Value and Capital... Oxford, 1939.

Hitchcock Frank L., The Distribution of a Product from Several Sources to Numerous Localities – „Journ. of Mathematics and Physics", 20/1941.

Koopmans Tyalling C.: Linear Regression Analysis of Economic Time Series. Haarlem: Bohn, 1937; Tanker Freight Rates and Tankhip Building: An Analysis of Cyclical Fluktuations. Haarl: Bohn, 1939; Statistical Inference in Dynamic Economic Models, N.Y., 1950 (ed.); Activity Analysis of Production and Allocation. Proceedings of a Conference. N.Y., 1951 (თანაავტ., რედ-რი); Three Essays on the State of Economic Science. N.Y., 1957 (რედ-რი); Scientific Papers of Tyalling C. Koopmans, N.Y., Vol.1-2, 1970-1985; Concepts of Optimality and Their Uses. „Amer.Ec. Reviev" 67(3), 1977; Идей оптимальности и их применение - Мировая экономическая мысль, т.V, кн.I, М., 2004.

Kuznets S., National income. A Summary of findigs, N.Y.., 1946; Shares of upper income groups in income and savings, N.Y., 1953; Capital in the American economy. Its formation and financing, Pringenton, 1961.

Morgenstern Oskar, Professor Hicks on Value and capital - Journ. of political-Economy, 49/1941; The Collaboration between O.Morgenstern and John V. Neumann on the Theory of Games. Journ. of Economic Literature, 14(3), 1976.

Nesser Hans, Lohnhöhe und Beschäftigungsgrad in Marktgleichgewicht. Weltwirtschaftliches Archiv, 36(2), 1932.

Neumann Jon von: Zur Theorie der Gesellschaftsspiele - Mathematische Annalen 100/1928; Über ein Ökonomisches Gleichungssystem und eine Verallgemeinerung des Brouwerschen Fixpunktsatzes - In Ergebnisse eines mathematischen Kolloquiums, 1935-1936, H.8, Vienna, 1937; Communication on the Borel Notes. Econometrica, 21(1), 1953; Collected Works, 6 vols, Oxford, 1961-1964; რუს. თარგმ.: Математические основы квантовой механики, М., 1964; Теория самовоспроизводящихся автоматов.

Neumann John von, and Oskar **Morgenstern**. Theory of Games and Economic Behavior (1944). 2d ed. Pringeton, 1947; Теория игр и экономическое поведение, М., 1970.

Ramsey Frank Plumpton. A Contribution to the Theory of Texation. Economic Journal, 37(145), 1927.

Schultz Henry, The Theory and Measurement of Demand. Chicago, Uviv. of Chicago Press. 1938.

Stackelberg Heinrich von, Zwei kritische Bemerkungen zur Preistheorie Gustav Cassels. Zeitschrift für Nationalökonomie, 4(4), 1933.

Tinbergen Jan, An Econometric Approach to Business Cycle Problems, Paris, 1937.

Ulam Stanislav M. Jon von **Neumann**, 1903-1957 - Bulletin of the American Mathematical Society, 64(3/2), 1958.

Vald Abraham, Ueber einige Gleichungssysteme der mathematischen Oekonomie. Zeitschrift für Nationalökonomie, 7(5), 1936.

თავი XXVII.
რაციონალური მოლოდინის დოქტრინები
(ჯონ მათი, რობერტ ლუკასი)

მოლოდინი ისეთი სიტუაციაა, რომლის დროსაც საბაზრო მეურნეობის სისტემის სუბიექტების ქმედება დამოკიდებულია არა მარტო წარსულის ან მიმდინარე მოვლენებზე, არამედ მომავლის გონივრულ (რაციონალურ) მოლოდინებზეც. ასე მაგალითად, ინფლაციის მოსალოდნელი, პროგნოზირებული დონე, რომლის გათვალისწინებითაც მწარმოებლები და მომხმარებლები, გამყიდველები და მყიდველები თავიანთ მომავალ ფულად და ფასობრივ პოლიტიკას აგებენ, შემოსავლებს, ხარჯებს, მოგებას, კრედიტებს აფასებენ.

მაკროეკონომიკური მიდგომა იმის შესახებ, რომ ოქროთი უზრუნველყოფილ ქაღალდის ფულს მოკლე დროში მძლავრი ეფექტები გააჩნია, 1970 წლამდე შექმნილ თეორიულ მოდელებში არავის აუხსნია. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პრობლემის ამოხსნის რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. ერთ-ერთი მათგანი 70-იან წლებში დამუშავდა და იგი მოლოდინის თეორიას ეყრდნობოდა. მისი საფუძველია ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მოლოდინი გონებაში მყისიერად ყალიბდება. ეს ჰიპოთეზა ათი წლით ადრე წამოაყენა ჯონ ფ. მათმა.

მონეტარული პოლიტიკის წესების ზუსტი ანალიზისათვის ეს ჰიპოთეზა არა მარტო გასაღები იყო, არამედ მან მონეტარული პოლიტიკის მოკლევადიანი ეფექტიანობის შესახებ შეხედულებები მთლიანობაში შეარყია.

1. ჯონ მათი (1930-2005)

1.1. ნობელიანტთა სტუდენტი

ჯონ მათი (Muth) დაიბადა ჩიკაგოში 1930 წელს. თავისი უფროსი ძმის მსგავსად, ისიც ეკონომისტი გახდა, მაგრამ მაშინ, როცა რიჩარდი (ძმა) ურბანიზაციული[1] პრობლემების კვლევებით გახდა ცნობილი, ჯონი ეკონომიკას ინდუსტრიული ტექნიკის განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე განიხილავდა.

ვაშინგტონის უნივერსიტეტში ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ მან თავისი ნაშრომი კარნეგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შეასრულა. მისი მასწავლებლები იყვნენ: ნობელიანტები **ფრანკო მოდილიანი** და **ჰერბერტ საიმონი** (1916-2001)[2].

1962 წელს მათემატიკურ ეკონომიკაში დოქტორის წოდება მიიღო.

1964 წლამდე ჯ.მათი კარნეგ-მელონის უნივერსიტეტში, შემდეგი რამდენიმე წელიწადი კი მიჩიგანის უნივერსიტეტში ასწავლიდა, 1969 წლიდან კი იგი ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორია წარმოების მართვის მიმართულებით.

1.2. სამი ნარკვევი

ჯ.მათმა ჯერ კიდევ უმაღლეს სასწავლებელში სწავლისას გამოაქვეყნა წერილი ეკონომიკური განვითარების თეორიაზე, თუმცა მისი ნაშრომების უმეტესობა წარმოების პროცესის ანალიზს ეძღვნება. საერთოდ, იგი იმ იშვიათ თანამედროვე ეკონომისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებსაც ბევრი ნაშრომი არ გამოუქვეყნებიათ და ისე გახდნენ ცნობილნი, რომ არ გამოდევნებიან დევიზს „მოკვდი, მაგრამ გამოაქვეყნე“.

---

1 **ურბანიზაცია** (ფრანგ. urbanisation, ლათ. urbs ქალაქი) მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი.

2 ამერიკელი ეკონომისტი, 1978 წ. მიენიჭა ეკონომიკაში ნობელის პრემია „გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ნოვატორული გამოკვლევებისათვის ეკონომიკურ ორგანიზაციებში“.

მან განსაკუთრებულად სახელი გაითქვა ერთი სტატიით – „რაციონალური მოლოდინი და ფასების დინამიკა“ (დაიწერა 1959 წელს, ხოლო გამოქვეყნდა 1961 წელს). ამასთან დაკავშირებული სტატია – „საჭვენებელი პროგნოზირების ოპტიმალური თვისებები“ – 1960 წელს გამოქვეყნდა. იმავე თემაზე 1960 წელს დაწერილი მესამე სტატია 1971 წელს გამოქვეყნდა. ეს სამი ნარკვევი რჩეული სტატიების ორტომეულშია გადაბეჭდილი, რომელიც რაციონალურ მოლოდინებს მიეძღვნა და რომელთა გამომცემლები რ.ლუკასი და თ.სარჯენტი იყვნენ[1].

ეკონომისტებს ყოველთვის მიაჩნდათ, რომ ადამიანის გადაწყვეტილება მოლოდინზეა დამოკიდებული. კერძოდ, ვიკსელისა და ჰიკსის შეხედა მიმდევრებმა დინამიკური ზოგადი წონასწორობის თეორიები შექმნეს, რომლებშიც მოკლევადიანი წონასწორობები ერთმანეთს მოლოდინებით უკავშირდებიან. ასეთი მიდგომით, მოლოდინები მნიშვნელოვანი შედეგების მისაღებად ექსპერიმენტებს უნდა დაუკავშირდნენ.

ჯ.მათის აზრით, გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანთა მოლოდინები არსებითად ისეთივეა, როგორიც ეკონომიკის შესაბამისი პროგნოზირება. შესაბამისი ეკონომიკური თეორია ეკონომიკური პროცესების შესახებ ხელმისაწვდომი, მაგრამ არასრულყოფილია, ჯ.მათის მტკიცებით კი გადაწყვეტილებების მიმღები ადამიანები უკეთესს ვერაფერს გააკეთებენ, თუ არა ამ ცოდნის გამოყენებას.

რაციონალური მოლოდინი მთლიანი მოდელიდან უნდა გამომდინარეობდეს. ეკონომიკური აგენტის პროგნოზირების ფსიქოლოგიური უნარი ზოგჯერ საქმისაგან შორსაა. კელეის შედეგად საკითხი არსებითად შეიძლება შემობრუნდეს, თუ გაეერკვევით, რომელი ეკონომიკური მოდელი (თუ ასეთი არსებობს) ჩამოაყალიბებდა რაციონალურად შეგუებულ მოლოდინებს. ამ საკითხს დაუთმო ჯ.მათმა თავისი ენერგიის დიდი ნაწილი. მისი აზრით, მოდელი შეიძლება როგორც პერმანენტულ, ასევე დროებით დაბრკოლებებს შეიცავდეს.

ჯ.მათს მონეტარული მაკროეკონომიკური ჩარევის წესები არ შეუფასებია, მაგრამ მისთვის ეკონომეტრიკული მეთოდებისათვის მათი ზოგადი მნიშვნელობა ნათელია.

აშშ-ში 50-60-იან წლებში მოქმედ კოულსის კომისიას გაცნობიერებული ჰქონდა ეკონომეტრიკის როლი პოლიტიკის შეფასებაში.

ლუკასი და სარჯენტი ერთობლივ სტატიაში (1981 წ.) მიუთითებდნენ, რომ მათ „სიტყვა-სიტყვით“ რაციონალური მოლოდინის მოდელების ყველა მკვლევარს შემაფასებელი გზების შესახებ მიუთითეს.

70-80-იანი წლების რაციონალური მოლოდინის ეკონომიკა ჯ.მათის ნაყოფიერი საქმიანობის შედეგია. მისი წვლილი იმ შედარებით მცირე დამსახურებათა ნაწილს მიეკუთვნება, რომელზედაც ვერ იტყვი, რომ მის გარეშე ეკონომიკის ისტორიის განვითარება ისეთივე გზით წარიმართებოდა, როგორც მისი არსებობის შემთხვევაში. ეს ახალი და გონებამახვილური იდეა იყო, რომელიც „ჰაერში არ ეკიდა“ და ჯერ მისი მსგავსი სხვა აღმოჩენები ცნობილი არ იყო[2].

ჯ.მათის დამსახურება ეკონომიკური თეორიის მთავარი მიმართულების მნიშვნელოვანი ნაწილის ბრწყინვალე ანალიზია. სხვათა მიერ შესრულებულ სამუშაოთა საშუალებით (მაშინ როცა კურნოსა და ტიუნენის ნაწარმოებები ენის, მათემატიკისა და განმარტებების გამო გარკვეულად მიუწვდომელი იყო), ჯ.მათის მთავარი სტატია თანამედროვე პროფესიონალ ეკონომისტთა უმეტესობისათვის ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნდა.

ეს არის მომავლის აღმშენებლობითი საქმიანობის ის ნაწილი, რომელიც პროფესიონალების მიერ დროებით უგულებელყოფილი იყო, რადგანაც მის შემოქმედს თავისი თანამედროვეების დაჯაბნისათვის აგრესიულობა და ამბიციურობა არ ეყო, მაგრამ ამის გამო მისი დამსახურება სულაც არ კნინდება.

---

1 Rational Expectations and Econometric Practice, 2vds(v.1), 1981.

2 მალთუსი თავის ნაშრომში მოსახლეობის პრინციპების შესახებ მსჯელობდა რაციონალურ მოლოდინზე (საზოგადოების მომავალი გაუმჯობესების მიზნით), მაგრამ კლასიკური (სმითის მსგავსად) და მარჟინალური ეკონომიკა ხაზს უსვამდა მოლოდინების ხშირ გაუმართლებლობას.

2. რობერტ ლუკასი

2.1. ისტორიიდან ეკონომიკაში

ამერიკელი ეკონომისტი რობერტ ემერტონ ლუკასი (Lucas)[1] დაიბადა 1937 წელს ქ.იაკიმაში (ვაშინგტონის შტატი). მისი მშობლების რესტორანი და სასაყინე, მისი დაბადების შემდეგ მალე გაკოტრდა. მამამისმა სიეტლში იშოვა სამუშაო და მოგვიანებით სამაცივრე საქმიანობას ეწეოდა.

მშობლები რუზველტის მთავრობის ახალი ეკონომიკური კურსის მგზნებარე მიმდევრები გახდნენ, ხოლო მათი ოთხი შვილი სოციალურ საკითხებზე (მაგალითად, სოციალიზმის უპირატესობანი) გაუთავებელ დებატებში გამოიწვრთო.

ლუკასი ჩიკაგოს უნივერსიტეტში მათემატიკას და შემდეგ (1959) კალიფორნიის უნივერსიტეტში ბერკლიში ისტორიას სწავლობდა. მალე მას ეკონომიკაში პროფესიული ცოდნის მიღების სურვილი გაუჩნდა, რისთვისაც ისევ ჩიკაგოში დაბრუნდა. მისმა ეკონომიკურმა შეხედულებებმა მ.ფრიდმანის დიდი ზეგავლენა განიცადა. 1964 წ. ჩიკაგოში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „შენაცვლება შრომასა და კაპიტალს შორის აშშ-ის მრეწველობაში 1929-58 წწ." და ფილოსოფიის დოქტორი გახდა..

ანალიტიკური მეთოდების ბრწყინვალე ნიმუშად მას პ.სამუელსონის ნაშრომები მიაჩნდა, ხოლო მის მიერ შესწავლილი მაკროეკონომიკა ძირითადად კეინზური იდეების გავლენას განიცდიდა. შესაბამისად, მისი ადრეული კვლევის ინტერესები ნეოკლასიკური სინთეზის ხაზს გასდევდა.

1963-დან – 1974 წლამდე ლუკასი პიტსბურგში კარნეგი-მელონის უნივერსიტეტში ასწავლიდა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში მისი კოლეგა ჯონ მათი იყო. ლუკასი შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტში გადაიყვანეს, სადაც ეკონომიკის პროფესორი (1980) და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1986-1988) გახდა.

1988 წლიდან აშშ-ში ცნობილი „პოლიტიკური ეკონომიის" ჟურნალის მთავარი რედაქტორია. იგი არის ამერიკის ეროვნული მეცნიერების აკადემიისა და ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის (1987 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი) წევრი.

1995 წელს რ.ლუკასს „რაციონალური მოლოდინების ჰიპოთეზის განვითარებისა და მაკროეკონომიკურ ანალიზში გამოყენებისათვის და ეკონომიკური პოლიტიკის გაგების გაღრმავებაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის" ეკონომიკაში ნობელის პრემია მიენიჭა.

ლუკასის ყველაზე ბრწყინვალე, მაგრამ რთული სტატია იყო **„მოლოდინი და ფულის ნეიტრალობა"** (1972)[2]. ეკონომიკური ციკლების შესახებ მისი სტატიები 1971 წლის კრებულში შევიდა. ლუკასისა და სხვა თანაავტორების სხვა მნიშვნელოვანი სტატიები რაციონალური მოლოდინისა და ეკონომიკური პრაქტიკის შესახებ, ლუკასმა და სარჯენტმა 1981 წელს გამოსცეს[3]. ლუკასის **„ლექციები"** (1985)[4] ეკონომიკური ციკლების შესახებ ზოგად მიმოხილვას წარმოადგენს.

ლუკასი ე.წ. „ახალი სკოლის" აღიარებული ლიდერია. ამ სკოლის განმასხვავებელი ნიშანია რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზის გამოყენება.

2.2. ეკონომიკური ციკლის ანალიზი და მისი კომპონენტები (შემადგენელი ნაწილები)

ლუკასი თავის თავს ეკონომიკური ციკლების დინამიკური კვლევის დიდი ტრადიციის ამღორძინებლად მიიჩნევს. მისი კონცეფცია 30-იანი წლების იმ მოდელებისაგან განსხვავდება, რომლებიც „რეცესიის" ახსნას ძველი მეთოდებით ცდილობდნენ.

ლუკასის კონცეფცია აგრეთვე განსხვავდება კ.მარქსისა და ი.შუმპეტერისაგან, რომლებიც

---

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერეტუუმ-მობილე, გვ. 283-287.

2 Expectitions and the Neutrality of Money – J. Ec. Theory, v.4, 1972.

3 Rational Expetatitions and Econometric Practice, 2Vds., Minneapols, 1981.

4 Models of busines cycles..., Lectures, Oxf., 1985.

ციკლურობას კაპიტალისტური განვითარების თანდაყოლილ თვისებად მიიჩნევდნენ.

ლუკასი ეკონომიკას სტაციონარულ მდგომარეობაში განიხილავს, რომელიც მუდმივად შემთხვევით ბიძგებს განიცდის. მას აინტერესებს ისეთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ზუსტად ასახავს ციკლური მერყეობის (უ.მიტჩელის უხვი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შექმნილ) უამრავ ფაქტს. კერძოდ, ლუკასმა გადაწყვიტა ისეთი მაკროეკონომიკური მოდელის შექმნა, რომელშიც მიმოქცევაში არსებული ფულის მასის უწესრიგო მიმოქცევა წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის ცვლილებებს იწვევს.

2.2.1. ლუკას-რაპინგის მიწოდების ფუნქცია

ლუკასის ეკონომიკური ციკლის თეორია რამდენიმე სპეციფიკურ კომპონენტს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. ლუკასის მიწოდების ფუნქცია. იგი პირველად გამოჩნდა 1969 წელს ლ.რაპინგთან ერთად დაწერილ სტატიაში – „რეალური ხელფასები, დასაქმება და ინფლაცია"[1]. ვინაიდან მისი თანაავტორი ლეონარდ რაპინგი იყო, ამიტომ ლუკასი მას ლუკას-რაპინგის მიწოდების ფუნქციას უწოდებდა. სტატია ნეოკლასიკური სინთეზის პოზიციებიდანაა დაწერილი.

მიწოდების ფუნქციის მიხედვით დასაქმების დონის ცვლილებები შრომის დროდადრო შენაცვლებითაა გამოწვეული. დასაქმება იზრდება, თუ აღმოაჩენენ, რომ შინამეურნეობებში უკეთესია მუშაობა. დროთა განმავლობაში ამ შენაცვლებას ხელფასები მართავს: თუ მოსალოდნელია რეალური ხელფასების ზრდა, მაშინ შრომის მიწოდება იზრდება და პირიქით. შრომის მიწოდება კიდევ ფასების ზრდის ტემპზეა დამოკიდებული. შესაფერისი ჩანაცვლებების შედეგად ლუკასმა და რაპინგმა ერთობლივი მიწოდების ფუნქცია შექმნეს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მზარდი ინფლაცია წარმოების მოცულობის გაფართოებას იწვევს.

მაკროეკონომიკური თეორიის ისტორიაში ლუკას-რაპინგის მიწოდების ფუნქცია ტრადიციებისკენ მიბრუნებას ნიშნავს.

30-იან წლებამდე ჩვეულებრივ მიაჩნდათ, რომ წარმოების მოცულობის ცვლილებებს ფასების ცვლილებები განაპირობებს. ირვინგ ფიშერისათვის სტაბილური ფული სტაბილური წარმოების გასაღები იყო. ეს იყო ჯ.მ. კეინზის თეორიის პერსპექტივაც.

მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, კ.ვიკსელის ზეგავლენით, ფასების კლებამ ნაწილობრივ უკანა პლანზე გადაიწია კეინზის „ზოგად თეორიაში" და იგი მთავარ როლს ნეოკლასიკურ სინთეზშიც აღარ ასრულებს.

ლუკასმა და რაპინგმა ფასების კლება ისევ ცენტრალურ ადგილზე გადმოსწიეს. ეს საკმაოდ ეთავსება ლუკასის მისწრაფებას – ააგოს მის მიერ ე.წ. ეკონომიკური ციკლის წონასწორობის თეორია. ვალრასის „აგენტები" პროდუქტის შესასყიდ-გასაყიდ რაოდენობებს საბაზრო ფასებით წყვეტენ. მათ, ეტყობა გამოცდილებით იციან, რომ ასეთი ქცევა ფართოდაა გავრცელებული.

ლუკასის მოდელის ყველაზე საკამათო საკითხია მასში იმის დაშვება, რომ არსებული ხელფასების პირობებში მუშაობას დასვენებას ამჯობინებენ და ამიტომ არსებობენ უმუშევრები.

ლუკასისათვის საბაზრო კლირინგული (უნაღდო ანგარიშსწორების) ფასები, თითქოს რწმენის საგანია. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მცდარია. ლუკასის აზრით, ვალრასისეული დაშვება, ფაქტობრივად, ანალიტიკური მოხერხებულობის მიზნითაა გამოყენებული, ვინაიდან ზოგადი წონასწორობის ჩარჩოში ჩასასმელად სხვა დაშვებები მისთვის მეტისმეტად ძნელია.

2.2.2. არასრულყოფილი ინფორმაცია

ლუკასის ეკონომიკური ციკლის თეორიის მეორე შემადგენელი ნაწილია არასრულყოფილი ინფორმაცია. ეს სრულად ხაზგასმულია მის ცნობილ სტატიაში (1972).

ლუკასის არასრულყოფილი ინფორმაციის თეორიაში: ცალკეული ბაზრები შედარებულია ზღვაში გაბნეულ კუნძულებთან; ნავარაუდევია, რომ საქონელმწარმოებელს სრული ინფორმაცია არა აქვს სხვა ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ისე როგორც ერთ კუნძულზე მც-

1 **Lucas R., Rapping L.**, Real Wages, Employment and Inflation – J. of Political Economy, 09, 1969.

ხოვრებმა არ იცის თუ რა ხდება სხვა კუნძულებზე; საქონელმწარმოებლისათვის ზუსტად უცნობია საქონელზე ფასის ზრდის მიზეზი მოთხოვნის ზრდაა თუ ფულის ემისიის ზრდა.

ლუკასის აზრით, საქონელმწარმოებელი ფასების ზრდას ლოკალურ ბაზარზე ნაწილობრივ ფასების საერთო ზრდით, ნაწილობრივ კი საქონლის შედარებითი ფასის ცვლილებით ხსნის. რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი ასეთ პირობებშიც უკეთესი მომავლის მოლოდინის გამო წარმოებას აფართოებს. მას სხვა მწარმოებლებიც მიბაძავენ და შედეგად გამოჩნდება ეკონომიკური აღმავლობის ნიშნები.

გარდა ამისა, ლუკასმა დაიწყო სამუელსონის „თაობათა ნაწილობრივი გადაფარვის" მოდელის საკუთარი მიზნისათვის მორგება და ასაკოვანთა უზრუნველყოფის საჭიროებით, გაცვლის საშუალებათა გამოყენების საეჭვო პრაქტიკას ჩაუყარა საფუძველი. ახალგაზრდა თაობა თავისი „ნაწარმის" ნაწილს ძველ თაობაზე ყიდის და მისგან ფულს იღებს. ძველი თაობა კი ახალგაზრდობაში ნაშოვნ და მთავრობისაგან მიღებულ ფულს ხარჯავს.

გაცვლა ორ განცალკევებულ ბაზარზე მიმდინარეობს. თითოეულზე ნაწილი ძველი თაობა, ნაწილი კი ახალგაზრდობაა წარმოდგენილი. მოცემულ მომენტში ეკონომიკის მდგომარეობა მთლიანად სამი ცვლადის საშუალებით აღიწერება, კერძოდ: არსებული ფულის მასით; დამატებითი ფულის მასით, ბაზარში დაკავებული ახალგაზრდობის ნაწილით.

მოდელის მიხედვით, მოცემულ სავაჭრო პერიოდში ორ ბაზარს შორის არავითარი კავშირი არ არის. ასე რომ, მიმდინარე ფასები თითოეულ ბაზარზე ცალ-ცალკე ლოკალური მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისად განისაზღვრება. ისინი ერთად წარმოების მოცულობით, დასაქმებით და მოხმარებით ისეთნაირად განისაზღვრებიან, რომ ნაღდ ფულზე მოთხოვნა და მიწოდება გატოლებულია.

ასეთ ეკონომიკაში საფრთხის ორი წყარო არსებობს: პირველი, მონეტარული (ფულის მასის დაუსაბუთებელი ზრდა); მეორე, რეალური (გამოწვეულია თითოეულ ბაზარზე ახალგაზრდების რაოდენობრივი ცვლილებით).

ლუკასის მიხედვით, თუ საფრთხეები მონეტარულია, მაშინ მიმდინარე ფასი მონეტარული გაცვლების პროპორციულად რეგულირდება და დასაქმება და მოხმარება უცვლელი რჩება. ასეთი მიდგომა გაუთვალისწინებელი მონეტარული გაცვლებისათვისაა სამართლიანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათი სრული მაჩვენებელი ფასებია. ამასთან, თუ საფრთხეები მხოლოდ რეალურია, მათ რეალური ეფექტიანობაც ექნებათ.

ზოგადად, ეკონომიკა, როგორც მონეტარული, ასევე რეალური ძალებისაგან განიცდის საფრთხეებს. ამ შემთხვევაში მხოლოდ მიმდინარე ფასი ბიზნესმენებს საფრთხეების შესახებ სრულ ინფორმაციას არ აწვდის. შედეგად, მონეტარული საფრთხეები, ნაწილობრივ რეალურ საფრთხეებში ერევათ და წარმოების მოცულობის ცვლილებები იმავე მიმართულებით გრძელდება.

2.2.3. რაციონალური მოლოდინი

ლუკასის ეკონომიკური ციკლის თეორიის მესამე კომპონენტია რაციონალური მოლოდინი. ლუკასის ნაშრომში – **„წარმოება-ინფლაციის გაცვლა-გამოცვლის შესახებ"** (1973) – იგი უკვე ანალიზის მთავარ ღერძად გვევლინება.

დავუშვათ, წარმოების მოცულობა მოსალოდნელ ფასზეა დამოკიდებული. მარტივად, იგი ადრინდელი ფასით შეიძლება განისაზღვროს. სპეციფიკურად მონეტარული პოლიტიკის ცვლილება ადრინდელ ფასებზე დამოკიდებულების საკითხზე გავლენას არ ახდენს. მაგრამ, ჩვეულებრივ აღმოჩნდება ხოლმე, რომ არსებული ფასები მოსალოდნელისგან სისტემატურად განსხვავდება. ამასთან, რაციონალური მოლოდინის შემთხვევაში, რეალურ ფასებზე მონეტარული პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება ზემოქმედებს.

შედეგად, პოლიტიკის ყოველი ცვლილება ფასებზე ზეგავლენას ახდენს. ეკონომეტრიკული მოდელი, რომელიც ეკონომიკის მოწესრიგების მონეტარული მცდელობებისათვის გამოსადეგია, მუდმივი მონეტარული ექსპანსიისას შეიძლება უვარგისი აღმოჩნდეს.

ამ არგუმენტმა ლუკასი 50-60-იანი წლების ეკონომეტრიკული მოდელების განსჯამდე მიიყვანა. თუმცა, უფრო ზუსტი იქნებოდა მისთვის ლუკასის კრიტიკის წოდება. მისმა დამცველმა იგი მოკლედ შემდეგი სილოგიზმის[1] საშუალებით გადმოსცა: ის, რომ ეკონომეტრიკული მოდელის სტრუქტურა ეკონომიკური აგენტების ოპტიმალური გადაწყვეტილებისაგან შედგება და ისინი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სისტემატურად იცვლებიან, იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტიკის ნებისმიერი ცვლილება ეკონომეტრიკული მოდელების სტრუქტურას ცვლის[2].

მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის კრიტიკა უპირატესი მნიშვნელობის არ არის; ტრადიციული მოდელები საკმაოდ ადეკვატური შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ალტერნატიული პოლიტიკური წესებისათვის კრიტიკა ფუნდამენტალური ჩანდა; შესაძლებელი იყო, ტრადიციულ მოდელებს უსაფუძვლო შედეგები მოეცა. ამის საუკეთესო მაგალითია „ფილიპსის მრუდი". მიუხედავად იმისა, რომ მონეტარული ექსპანსიის მოკლევადიან შედეგებზე დამაკმაყოფილებელ პროგნოზებს იძლეოდა, იგი საკუნებრივი ინფლაციის ეფექტიანობის წინასწარმეტყველებაში სასტიკად დამარცხდა.

რ.ლუკასის დასკვნით, ცვლადების მიმატება მდგომარეობას ვერ ასწორებს. ერთადერთი გამოსავალია მოლოდინის, როგორც მთლიანი მოდელის განხილვა. ლუკასის კრიტიკისაგან თავისუფალი ეკონომეტრიკული მეთოდების დამუშავება ეკონომეტრიკული კვლევის ფართო ასპარეზად გადაიქცა, რომელმაც ამ დარგში საუკეთესო გონების ადამიანები მიიზიდა.

წინა არგუმენტს შეუძლია ახსნას, რატომ იწვევს ფულის მასის უწესრიგობა ცვლილებებს ფასებში, წარმოების მოცულობისა და დასაქმებაში. აბსოლუტური და შედარებითი ფასების არასრულყოფილი დაყოფა აგენტებს აიძულებს ისე მოიქცნენ, თითქოს ისინი დროებით ფულის ილუზიას განიცდიან. თუმცა ამ ანგარიშიდან ეკონომიკური ციკლის ერთი მახასიათებელი მაინც გამორჩათ, კერძოდ, ექსპანსიური და შემზღუდავი ეფექტიანობის მოუდრეკელობა გაჭიანურებულ პერიოდებში.

ეკონომიკურ მონაცემებს სერიული შედარებისკენ მიდრეკილება აქვს. გამორჩეული იყო აგრეთვე მთლიანი ინვესტირებით განპირობებული ციკლური მერყეობა, რომელიც ეკონომიკური ციკლების ტიპურ მახასიათებლად ითვლებოდა. გამორჩენილი მახასიათებლები ლუკასმა მოგვცა თავის სტატიაში – „ეკონომიკური ციკლის წონასწორობის მოდელი" (1975). გამოსაყალი ინფორმაციის ჩამორჩენის მიზეზების დამატებაში იყო. ამან კარი გაუხსნა ყველა იმ დინამიკური მექანიზმის ამოქმედებას, როგორიცაა, მაგალითად, ჩამორჩენა ალბერტ აფტალიონისეული დანადგარების დამზადებასა და მის გაშვებას შორის, რომელიც ომებს შორის პერიოდში ეკონომიკური ციკლის თეორიის „არსებითი პროდუქტი" იყო. მაგრამ მოდელის თითოეული დამატება რაციონალური მოლოდინის გამართლების ტექნიკურ სიძნელეებს ზრდიდა, ხოლო ანალიზი მკვეთრად რთულდებოდა.

ლუკასმა ცოტა რამ დაწერა ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. მიუხედავად ამისა, მისმა ნაშრომმა თომას სარჯენტსა და სხვებთან ერთად, მძაფრი პოლიტიკური დებატები განაპირობა, თუმცა, რაციონალური მოლოდინის დოქტრინის ბევრი არაფერი შემატებია. ეს კამათი უფრო უცვლელ წესებს ეხებოდა.

განა შეიძლებოდა პროგრამის ჩაფიქრება, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი დაკვირვებები ავტომატურად (ვთქვათ, ფულის მასის) რეაქციას ისე გამოიწვევდა, რომ წარმოების საშუალო მოცულობა გაიზრდებოდა ან მისი უპირატესობები ამოიწურებოდა? განა შესაძლებელია ეკონომიკის ზუსტი რეგულირების ფარგლების დაპროგრამირება?

კითხვებზე რაციონალური მოლოდინის ეკონომიკა ვერ პასუხობს. ფულის ეფექტიანობა მხოლოდ შედარებითი ფასების ცვლილებების წყაროს გაჩნია. როდესაც ფულის მასა დაპროგრამირებულია, იგი ხალხის მოლოდინშია ასახული და ამრიგად, შეცდომებიც ნაკლებმოსალოდნელია.

მიღებული დასკვნით, მონეტარული პოლიტიკა გამოყენებულ უნდა იქნეს ფასების გრძელვადიანი სტაბილიზებისათვის; იგი არაეფექტიანია მზარდი და სტაბილიზაციისაკენ მიმართული წარმოებისათვის.

---

1 სილოგიზმი (ბერძნ. syllogismus) – დედუქციური დასკვნა, რომელშიც ორი მოცემული მსჯელობიდან მესამე გამოდის.

2 Rational Espectations and Econometric Practice, გვ 126.

ამრიგად, ფრიდმანის ინტუიციურმა მოსაზრებამ მკაცრი ანალიტიკური დასაყრდენი ჰპოვა. ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს სასწავლებლებში მონეტარული პოლიტიკის აქტიური დამცველები თავდაცვაზე გადავიდნენ; თავიანთი ინტუიციის მხარდასაჭერად მათ ახალი მოდელები უნდა მოეძებნათ. მაგრამ რეალურ პოლიტიკაზე მათი გავლენა სუსტი იყო. ცენტრალური ბანკები ეკონომიკური მერყეობების შერბილებას ცდილობდნენ.

2.3. წვლილი

ეკონომიკურ მეცნიერებაში რაციონალური მოლოდინის თეორიის მიმდევრები ახალ სკოლად – „ახალი კლასიკოსების" სახელწოდებით ჩამოყალიბება. ამ სკოლის ლიდერი ლუკასი გახდა.

ახალი სკოლა როგორც კეინზელების, ისე მონეტარისტების მიერ ყალიბდებოდა. ლუკასისა და სარჯენტის მიერ კეინზური მაკროეკონომიკის კრიტიკამ ამ სისტემის განვითარებას დამატებითი იმპულსი შესძინა.

„სკოლის" კვლევის სფერო მაკროეკონომიკაა. ახალი სკოლა კლასიკური ტრადიციების მემკვიდრე გახდა.

ლუკასმა თავისი შრომებით არსებითად გადასინჯა ე.წ ფილიპსის მრუდი ინფლაციასა და დასაქმების კავშირის შესახებ. იგი 70-იანი წლების დასაწყისამდე ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ეკონომიკურ მაჩვენებლად ითვლებოდა. ფილიპსის მრუდზე დაყრდნობით, ბევრი ქვეყანა დასაქმების მუდმივი ზრდის მიზნით მიმართავდა ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, რაც იწვევდა ინფლაციის ტემპების ზრდას.

ლუკასმა რაციონალური მოლოდინის კონცეფციის გამოყენებით გვიჩვენა, რომ დასაქმების ზრდა აუცილებლად ინფლაციის განვითარებას არ უნდა იწვევდეს. უფრო მეტიც, მისი აზრით, ფილიპსის მრუდის მონაცემებზე დაყრდნობით, დასაქმების გადიდების ყოველი ცდა ინფლაციის სულ უფრო მაღალი ტემპების გამოყენებით, განწირულია წარუმატებლობისათვის.

ლუკასის გამოკვლევების შედეგებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მაკროეკონომიკური თეორიის განვითარებისა და ეკონომიკური პოლიტიკისათვის. კერძოდ, ამ გამოკვლევებით კეთდება დასკვნა, რომ: საზოგადოება მუდმივად ზიანდება ინფლაციის მაღალი ტემპებით; უმუშევრობის მაღალი დონე და დაბალი დასაქმება, გაცილებით წარმატებით იქნება თავიდან აცილებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების გარეშე, მაგალითად, შრომის ბაზარზე სტრუქტურული ცვლილებების მეშვეობით.

ამრიგად, ლუკასის მოღვაწეობის ჭეშმარიტი მნიშვნელობა არა ეკონომიკური იდეების, არამედ ანალიტიკური მეთოდების დონეზე უნდა განიხილებოდეს. მან ამოიცნო ჯონ მეთის რაციონალური მოლოდინის დოქტრინის პოტენციალი, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულებებისათვის მისაღები ფორმით ჩამოაყალიბა – როგორც თეორიაში, ასევე ეკონომეტრიკაში გამოსაყენებლად და, ამდენად, ეკონომიკური კვლევის მდიდარი და ფართო სფერო აღმოაჩინა.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ.ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II. თბ., 1973.

ა.გრიშაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, ნაწ. I, თბ., 1996; ნაწ. II, თბ., 1997.

პ.სამუელსონი, ვ.ნორდჰაუსი, ეკონომიკა, მეთხუთმეტე გამოცემა, ტ.1-4, ქართ. მთარგმნელი და რედ-რი პროფ. კ.ღურწკაია, თბ., 2000.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ.,М., 1994.

История экономических учений, Под ред. В. **Автономова**, М., 2003.

Майбурд Е.М., Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Мировая экономическая мысль, т. V, кн.I, М., 2004.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Усоскин, В.М., Теория денег, М., 1976.

Lucas R.: Real Wages, Employment and Inflation – J. of Political Economy, 09, 1969 (ლ.რაპინგთან ერთად); Expectations and the Neutrality of Money - Journal of Economic Theory, vol. 4, 1972; Studies in business-cycle theory, Cambr., 1981; Rational Expectations and Econometric Practice, 2 Vds. Minneapolis, 1981 (რედ-რი ტ.სარჯენტთან ერთად); Models of busines cycles, Lectures, Oxford, 1985; Recursive methods in economic dynamics, Cambr., 1989; საბაზრო ეკონომიკა, თარგმანი პოლონურიდან, თბილისი, 1997; Нейтральность денег - "Мировая экономическая мысль", რუს. თარგმ., т. V, кн.II, М., 2005.

Muth, John F. Rational Expectations and the Theory of Price Movements. Econometrica, 29(3), 1961; Rational Expectations and Econometric Practices, 2vds (v.1), 1981 (რედ-ბი: რ.ლუკასი და თ.სარჯენტი).

თავი XXIII.
„ნეოკლასიკური სინთეზი“

როგორც ცნობილია, **მაკროეკონომიკა** ეხება ქვეყნის მთლიან ეკონომიკას და, აქედან გამომდინარე, მსხვილმასშტაბიან ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შეისწავლის. მისი შესწავლის საგანია ეკონომიკის ისეთი განმაზოგადებელი მაჩვენებლები, როგორიცაა: მეპ, მშპ, ეროვნული შემოსავალი, მთლიანი სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები, ფულის რაოდენობა მიმოქცევაში, ინფლაცია, საშუალო ხელფასი, უმუშევრობა, საშუალო შემოსავლები, შრომის მწარმოებლურობა, ზრდის ტემპები და ა.შ.

მონეტარიზმი[1] თანამედროვე ნეოკონსერვატიზმის (ნეოკლასიციზმის განშტოება) ერთ-ერთი მიმართულებაა მე-20 ს-ის 70-80-იან წლების დასაწყისში. იგი საბაზრო ეკონომიკის მთავარ პრობლემებს ფულადი მიმოქცევის სფეროდან გამომდინარე იხილავს. მისი მამამთავარია მ.ფრიდმანი[2].

„ნეოკლასიკური სინთეზი“ კეინზური მაკრო და ნეოკლასიკური მიკრო დოქტრინების ერთიანი თეორიული დოქტრინაა. მისი მამამთავრის, ამერიკელი ეკონომისტის პოლ სამუელსონის მტკიცებით, გასული საუკუნის შუა პერიოდი „ნეოკლასიკური სინთეზის“ პერიოდი იყო. მაკროეკონომიკაში მისი პროგრამის მიზანს კეინზური სისტემის მაკროეკონომიკური ფუნქციების დადგენა შეადგენდა.

ამ პერიოდის დასასრულისათვის, გარეშე დამკვირვებელს ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩენოდა, რომ კლასიკურმა ტრადიციებმა კეინზიანიზმი თითქოსდა უკვალოდ შთანთქა.

„ნეოკლასიკური სინთეზის“ დოქტრინა ერთ-ერთმა პირველმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ ჰიქსმა წამოაყენა (1937)[3], მაგრამ ამ მხრივ გამორჩეული იყო ლ.მეტცლერის წვლილი.

1. ლოიდ მეტცლერი (1913-1980)

1.1. პირველი ნაბიჯები ნეოკლასიკური სინთეზისკენ

ნეოკლასიკურ სინთეზში ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი წვლილი ლოიდ ა.მეტცლერს ეკუთვნის. მან კლასიკური თეორიების რენესანსის მიზეზები შეისწავლა და კეინზურ ელემენტებთან მათი ინტეგრირება სცადა. კერძოდ, საფუძველი ჩაუყარა ფულის საზოგადოებრივი კეთილდღეობის (ფინანსური და სხვა თვალსაზრისითაც) კონტექსტით განხილვას.

ლოიდ მეტცლერი (Metzler) დაიბადა ლოსტ-სპრინგსში (კანზასის შტატი, აშშ) 1913 წელს, 1937 წელს კანზასის უნივერსიტეტიდან ჰარვარდის უნივერსიტეტში გადავიდა. მისი ნიჭიერება მალე შენიშნეს. 1942 წელს პროფესორის თანამდებობის მიღების შემდეგ მეტცლერმა ვაშინგტონში სახელმწიფო სამსახურები თეორიულ კვლევებთან შეათავსა.

1944-1946 წწ. იგი ფედერალური სარეზერვო სისტემის საბჭოში მოღვაწეობს. 1947 წელს იელის, შემდეგ კი ჩიკაგოს უნივერსიტეტებშია, სადაც საერთაშორისო ვაჭრობას და პარალელურად ეკონომიკურ თეორიას ასწავლიდა. იგი გადმოცემის კარგი უნარით იყო დაჯილდოებული.

50-იან წლებში მეტცლერი ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე და იმედისმომცემ თეორეტიკოსად ითვლებოდა. მაღალი შემოქმედებითი მოღვაწეობის ათწლიანი პერიოდის შემდეგ მას ტვინის სიმსივნე აღმოაჩნდა. 1952 წელს ოპერაცია გაუკეთდა და სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

ლოიდი კვლავ წერდა: რამდენიმე ისეთი ნაშრომი დაწერა, რომლებითაც ბევრი ეკონომისტი იამაყებდა. პედაგოგობასაც აგრძელებდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი უნარი უკვე გაფერმკრთალდა. გარდაიცვალა 1980 წელს.

---

1 **მონეტა** (ლათ. moneta) – ლითონის ფულის ნიშანი. სიტყვა „მონეტა“ წარმოიშვა იუნონამონეტას სახელწოდებიდან ძველ რომში, სადაც პირველი ზარაფხანა გაიხსნა.

2 იხ. თავი XXII.

3 Hicks J., Mr Keynes and the Classik - "Econometrica", N5, 1937.

12. სიმდიდრე და დანაზოგები

ლ.მეტცლერის ეკონომიკური სტატიები თავმოყრილია მისი ნაშრომების კრებულში[1]. მან ეკონომიკური ციკლების მომავალი კვლევებისათვის საფუძველი შეამზადა. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში, კეინზური სისტემის კონტექსტით, კლასიკური პრობლემები გადაწყვიტა. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში მისმა მნიშვნელოვანმა გამოკვლევებმა საზოგადოებრიობას სავაჭრო ბალანსის პრობლემები გააცნო.

სტატიების მეორე ჯგუფი ბაზრების სტაბილურობას ეხება. კერძოდ, მეტცლერმა დაამტკიცა, რომ ჰიკსის სტატიკური სტაბილურობის პირობები რეალური დინამიკური სტაბილურობისათვის არასაკმარისია. მან აგრეთვე აჩვენა, რომ ჰიკსის სრულყოფილი სტაბილურობა რეალური სტაბილურობისათვის აუცილებელია. ამ შედეგებმა სტატიკასა და დინამიკას შორის მჭიდრო კავშირი დაამყარეს.

მეტცლერის ყველაზე მნიშვნელოვანი სტატიაა – „**სიმდიდრე, დანაზოგი, სარგებლის განაკვეთი**"[2]. მასში გადმოცემული მახასიათებლები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მოდელი ეხება სრულ დასაქმებას ცვალებადი ფასებით; დანაზოგი და ინვესტიცია სარგებლის ოდენობაზეა დამოკიდებული – რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო დაბალია ხალხის ხელში არსებული ფულადი სახსრებისაგან მიღებული სარგებელი.

რა მოხდება, თუ ფულის მიწოდება წარმოების საშუალებების შეუცვლელად იზრდება? „არაფერი"! ერთადერთი ეფექტიანობა „კულისებში" ნაღდი ფულის ბალანსის ზრდა და ფასების პროპორციული მატება იქნება.

ათწლეულების გადასახედიდან ძნელია იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება ასეთი მცირე ანალიზი ესოდენ მნიშვნელოვანი ყოფილიყო. თუმცა, ზოგიერთი არგუმენტი უფრო დამაბნეველი აღმოჩნდა, ვიდრე ნათელის მომფენი. მეტცლერთან სარგებლის კლასიკური თეორია დოგმატური ისტორიის ინტერპრეტაციას (ახსნას) უკავშირდება და ფულის რაოდენობის ცვლილება სარგებლის განაკვეთზე გავლენას ვერ ახდენს. კეინზურ თეორიაში ფულის მიწოდებაში ცვლილება ყოველთვის სარგებლის განაკვეთზე ახდენს გავლენას. მეტცლერის მოდელი ამ ორ პოლარულ მოდელს შორის შუალედურია, რადგანაც ფულის მიწოდების ცვლილება სარგებლის განაკვეთზე ან ზემოქმედებს ან არა. ეს კი დოგმატური ისტორიის არასწორი აღდგენა იყო, ვინაიდან კლასიკოსი ეკონომისტი იმას არ უარყოფდა, რომ მთავრობის მიერ დამატებით გამოშვებული ფულით შეძენილი წარმოებრივი საშუალებები სარგებლის განაკვეთზე გავლენას მოახდენს.

შეცდომაა ის, რომ მთელ საერთო ეკონომიკური ქცევის განმსაზღვრელ სიმდიდრეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. ქონების ეფექტიანობა, ფულის რეალური ეფექტიანობისათვის, ფაქტობრივად, არასაკმარისია და იგი სტატიკურ მოვლენად განიხილებოდა, მაშინ, როდესაც ისინი გარდამავალი მარეგულირებელი მოვლენებია. აქედან გამომდინარე, სიმდიდრისა და რეალური ბალანსის ეფექტიანობის თაობაზე გაჭიანურებულმა კამათმა ბევრად უფრო მეტი ხმაური განაპირობა, ვიდრე სინათლე.

მეტცლერის ნამდვილი ღვაწლი სხვა სფეროში უნდა ვეძებოთ. ერთ-ერთი მათგანი მაკროეკონომიკის თეორიის მეთოდოლოგიას ეხება. ელეგანტური და ნათელი მოდელის აგების შემდეგ, მისი შედარებითი სტატიკის და დინამიკის სიტყვიერი, გრაფიკული და მათემატიკური ტერმინებით მიღებით, მეტცლერმა ანალიტიკური ხელოვნების ნიმუში შექმნა, რომელიც პოსტკეინზური მაკროეკონომიკისათვის სტანდარტად გამოდგებოდა.

მის შეხედულებებს დიდი გავლენა ჰქონდა მასში წამოჭრილი საკითხის გამო: ეკონომიკაში ფულის ეფექტიანობა მხოლოდ მის რაოდენობასა და იმ საშუალებაზეა დამოკიდებული, რომლითაც იგი ან შეიქმნება, ან არა?

მეტცლერის პასუხით, ფულის გამოშვების მეთოდები განსხვავებულია. ფულის დროებითი დეფიციტი სარგებლის განაკვეთს უცვლელს ტოვებს, მაშინ როდესაც ღია ბაზრის ოპერაციები მის

1 Metzler Lloyd A. Collected Papers, Cambridge, 1973.

2 იქვე, თავი 12.

მუდმივ ცვლილებებს წარმოშობს. შესაძლოა, ეს დასკვნა ნაკლები სიახლე იყო, ვიდრე მეტცლერს სწამდა, ვინაიდან ის უკვე ფულის თეორიის ტრადიციებში ღრმად იყო ჩამჯდარი.

ფულის გამოყენების სხვადასხვა ალტერნატიული მეთოდი ხანგრძლივი დისკუსიების საგანი გახდა. მეტცლერის მიდგომები მაკროეკონომიკური კვლევების ლაიტმოტივი გახდა სამი ათეული წლის განმავლობაში.

2. „დიდი ნეოკლასიკური სინთეზი": პოლ სამუელსონი (1915-2009)

კლასიკურმა ეკონომიკამ ადამ სმითი გამოავლინა, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ მარჟინალიზმის განმასხვავებელმა თვისებებმა განსაზიერება ლეონ ვალრასთან და სხვებთან ჰპოვეს, მოდელების აგების ეპოქამ კი პოლ სამუელსონთან დაისადგურა.

ზოგიერთმა ეკონომისტმა (პოლ სამუელსონის მეთაურობით) მე-20 საუკუნის შუა ხანებში დიდი ძალისხმევით კეინზური მაკროეკონომიკური და ნეოკლასიკური მიკროეკონომიკური ანალიზის შეხამება სცადა. ასეთი მიდგომის შედეგად „დიდი ნეოკლასიკური სინთეზის" დოქტრინა წარმოიშვა.

2.1. ყველაზე იმედისმომცემი ეკონომისტი

პოლ ენტონი სამუელსონი (Samuelson) დაიბადა 1915 წ. ქალაქ გარიშში (ინდიანას შტატი). მშობლებმა თავიანთ ვაჟს ინტელექტუალური უპირატესობების გამოვლენის მიდრეკილება შთაუნერგეს. პოლი სკოლაში მუდამ პირველი მოსწავლე იყო. მან 16 წლის ასაკში ჩიკაგოში ჰარდ პარკის საშუალო სკოლა დაამთავრა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში ბოლო კურსზე სწავლისას სამუელსონი სოციოლოგიამ მიიზიდა, მაგრამ მისი პედაგოგების – იაკობ ვინერის, ფრენკ ნაითის, პოლ დუგლასისა და სხვათა გავლენით მისი არჩევანი ეკონომიკაზე შეჩერდა. უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ (1935) იგი პრესტიჟული ეროვნული სტიპენდიით დაჯილდოვეს, როგორც კურსდამთავრებულთაგან ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ეკონომისტი.

1936 წ. ჰარვარდის უნივერსიტეტში მაგისტრის წოდების მიღების შემდეგ, სამუელსონმა ჰარვარდში მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა. მას ბედმა გაუღიმა, იმ დროს ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ: ი.შუმპეტერი, ა.ჰანსენი, გ.ჰაბერლერი, ახალგაზრდა ვ.ლეონტიევი, ე.ჩემბერლინი და სხვ. ცნობილი მეცნიერები. 1941 წელს მას ეკონომიკაში დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

სამუელსონი ბრწყინვალე ეკონომისტი გახდა. პირველი ნაშრომი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაბეჭდა (კეინზის „ზოგადი თეორიის" გამოცემამდე). კლასიკური ეკონომისტი სამუელსონი კეინზელი გახდა.

ოცდასამი წლის ასაკში სამუელსონმა ცოლად შეირთო რადკოფის კოლეჯის კურსდამთავრებული ეკონომისტი. მათ 6 ბავშვი გაუჩნდათ, მათ შორის სამი ტყუპისცალი ვაჟი. სამუელსონმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 1981 წელს მეორედ დაქორწინდა.

პ.სამუელსონმა ჰარვარდში თავისი ნათელი ჭკუით გაითქვა სახელი. ჰარვარდის უნივერსიტეტში მუშაობის პარალელურად იგი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტშიც (მტი) ასისტენტ-პროფესორად მიიწვიეს. 1949 წ. აქვე სრული პროფესორი გახდა.

მტი-ში სამუელსონი მალე აღიარეს და ეკონომიკის მიიმართულებით წამყვანი ფიგურა გახდა, 1947 წლიდან იგი პროფესორია. ამავე წელს ამერიკის ეკონომიკურმა ასოციაციამ სამუელსონი ჯონ ბეითს კლარკის პირველი მედლით დააჯილდოვა, რომელიც ეკონომიკურ აზროვნებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისათვის 40 წლამდე ეკონომისტს ეძლეოდა. მის ყველა ჯილდოს 1970 წელს ეკონომიკაში მიღებული **ნობელის პრემია** აღემატებოდა (მეცნიერული შრომებისათვის, რომლებმაც ეკონომიკურ მეცნიერებაში სტატიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორიები განავითარა და ანალიზის ზოგადი დონის ამაღლებაში ნოვატორული წვლილი შეიტანა).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სამუელსონი ბევრ სამთავრობო სააგენტოში მუ-

შაობდა მრჩეველად ჯონ კენედის პრეზიდენტობის დროს კი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში წამყვანი თანამდებობა ეკავა, თუმცა მან ეკონომიკურ მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელობაზე უარი განაცხადა.

პ.სამუელსონი იყო ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის, ეკონომეტრიკული საზოგადოების და საერთაშორისო ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის ეროვნული აკადემიის წევრი, მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტის საპატიო ხარისხის მფლობელი.

2.2.1. ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები

მრავალი წლის განმავლობაში სამუელსონი (ფრიდმანის მსგავსად) „ნიუ-სვიკში“ რეგულარულად იბეჭდებოდა. მისი ნაშრომები უფრო მეტად ლიბერალ-კეინზური ხასიათისა იყო, მაგრამ საბაზრო ორიენტაციით. თუ ფრიდმანი თავის აზრს ყოველთვის მკაფიოდ გამოთქვამდა, სამუელსონი ყოველ საკითხზე მსჯელობისას მედლის ორივე მხარეს ეძებდა. სხვა კეინზელთა მსგავსად, სამუელსონისათვის ბევრად ძნელი იყო პოლიტიკის, ვიდრე მოდელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. იგი თეორეტიკოსების წინამძღოლი იყო და არა პოლიტიკოსი.

სამუელსონს დიდებისადმი პრეტენზია, მსგავსად ბევრი დიდი ეკონომისტისა, არასოდეს ჰქონია. კერძოდ, ოდესმე მას გრძელვადიანი კვლევის პროგრამაც კი არ ჰქონდა. იგი ადგენდა მოდელებს, რომლებიც იძლეოდნენ საინტერესო თეორემებს და ამას ის აკეთებდა ისე, როგორც მისი სული მოითხოვდა. ყველაფერი ეს აირეკლა მის მეცნიერულ ნაშრომებში.

თავისი სახელმძღვანელოს („ეკონომიკსი“) წარმატებამ სამუელსონი მულტიმილიონერი გახადა. მეანაბრე და ფინანსისტი გახდა პროფესორი, რომელიც ცნობილია, როგორც დიდი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადო მოღვაწე, ლოიალური კოლეგა და ხელისშემწყობი პიროვნება. მას ბევრის სწამდა და ზოგჯერ სხვათა მხარდასაჭერად საკმაო თანხებს გასცემდა. შემწყნარებელი იყო წარსულის შეცდომების მიმართ და ორაზროვანი საკითხების გარკვევაში.

ბიოგრაფებს უყვართ ცნობილი პიროვნებების ნამუშევრებზე ვინმეს ზეგავლენის მოძიება. თუმცა, სამუელსონის ნაშრომებში ძნელია ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური ან ფილოსოფიური მოტივების ან მეცნიერების რომელიმე დარგის არსებითი ზეგავლენის პოვნა. ამასთან, იგი თავის თეორიულ დასაბუთებებს ხშირად პოლიტიკურ საკითხებთან, როგორც ამხსნელ საშუალებებთან აკავშირებს.

მისი ნაშრომები ნათელი მაგალითია მათთვის, ვისაც სწამს, რომ მეცნიერების პროგრესი ძირითადად მისი საკუთარი ენდოგენური დინამიკით და არა გარე ზემოქმედებით მიმდინარეობს.

მომხმარებელთა „ფარული უპირატესობების“ თეორიას მიუძღვნა სამუელსონმა თავისი პირველი ნაშრომი **„შენიშვნები მომხმარებელთა ქცევის წმინდა თეორიის შესახებ“** (1938). მასში ავტორმა დაამტკიცა, რომ სარგებლიანობის მაქსიმიზების გაზომვის შესაძლებლობა, თუკი შედარდებოდა მომხმარებელთა არჩევანი პროდუქტის ფასების შეცვლამდე და მის შემდეგ.

პ.სამუელსონის ერთ-ერთი ძირითადი – პირველი წიგნია **„ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები“** (1947)[1]. მასში ფართოდაა გამოყენებული დიფერენციალური გამოთვლები და სხვადასხვა განტოლება, რაც იმ დროისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობისა იყო (მაგრამ მისი გავლენით მალე სტანდარტული გახდა). მასში ავტორმა გამოყო სტაციონალური, კუზნალური (მიზეზობრივი) და ისტორიული ეკონომიკური სისტემები. ჩათვალა, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ეკონომიკური წონასწორობის პირობების შემცველი ყველა ფაქტორის გათვალისწინება.

წიგნმა ნათელი მოჰფინა და განავითარა ჯონ ჰიკსის „ღირებულება და კაპიტალის“ ინტუიციური მსჯელობა მათემატიკოსებისათვის გასაგებ ენაზე.

სხვა ფუნდამენტურ აზრებს შორის, „საფუძვლები“, მისი დაწერიდან დაახლოებით ორმოცდაათი წლის შემდეგ, „ღირებულება და კაპიტალთან“ ერთად, ზოგადი წონასწორობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს.

---

1 Foundation of Economic Analysis, Cambr., 1947.

2.2. ეკონომიკსი და წრფივი პროგრამირება

სამუელსონის მეორე უმნიშვნელოვანესი წიგნია – **„ეკონომიკსი: შესავალი ანალიზში“** (1948)[1]. ის მალე გახდა ყველაზე წარმატებული სახელმძღვანელო ამ სფეროში. ორმოცი წლის განმავლობაში თორმეტჯერ გამოიცა, 10 მლნ ცალზე მეტი გაიყიდა და მრავალ ენაზე ითარგმნა. არც ერთ სხვა წიგნს ასეთი წარმატება არ ხვდომია წილად, იგი სტანდარტულ წიგნად ითვლება სწავლების პროცესში. არც ერთი სხვა ასეთი ამომწურავი შესავალი მსოფლიოს ყველაზე თანამედროვე თეორეტიკოსის მიერ არ დაწერილა. გარდა ამისა, ეს თეორეტიკოსი ბრწყინვალე კომენტატორია, რომელმაც კარგად იცის, როგორ წარმოადგინოს თეორია, დისკუსია, ფაქტები და ისტორია ერთობლიობაში.

წიგნის შინაარსი წლების განმავლობაში იცვლებოდა და კიდევ უფრო მეტად ესადაგებოდა მეცნიერების განვითარებას, გამოცდილების ისტორიას, ისე რომ უკანასკნელი გამოცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პირველისაგან, თავისი სიახლეებით და აქტუალურობით.

პ.სამუელსონის მიერ რობერტ დორფმანსა და რობერტ სოლოუსთან ერთად დაწერილი წიგნი – **„წრფივი პროგრამირება და ეკონომიკური ანალიზი“** (1958)[2], ეკონომიკის ბრწყინვალე სინთეზურ ანალიზს წარმოადგენს. მასში ავტორმა ყურადღება გაამახვილა მათემატიკოს **ჯ.დანციგის** და ეკონომისტ **ლ.კანტოროვიჩის** (1912-1985) ანალიტიკურ ტექნიკაზე, რომლის გამოყენებითაც კერძო ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორში რესურსების განაწილების პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებლად მიაჩნდა.

2.3. სტატიების კრებული

სამუელსონის შემოქმედების მნიშვნელოვანი იდეები მის სტატიებშია ასახული, რომლებიც **„მეცნიერულ სტატიათა კრებულის“** ხუთ ტომშია განთავსებული.[3] ისინი მოიცავენ წონასწორობის, ოპტიმიზაციის, სარგებლიანობის, კეთილდღეობის, დინამიკის, კაპიტალის, ზრდის, ვაჭრობის, მაკროეკონომიკის, მოსახლეობის, ფულის, ეკონომიკის ისტორიისა და სხვ. საკითხებს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

სამუელსონის სტატია <u>მოხმარების შესახებ</u> მისი ერთადერთი და შედარებით სუსტი თავდასხმაა ეკონომეტრიკაზე. ჰოლტთან ერთად დაწერილი სამგვერდიანი სტატია გვიჩვენებს, რომ 1946 წელს მოთხოვნის ელასტიკურობის გრაფიკული გამოსახულება გამოქვეყნების ღირსად ითვლებოდა და პოლიტიკური ეკონომიის ჟურნალში სოციალურ კეთილდღეობაზე გამოქვეყნებულმა სტატიებმა ამ სფეროში გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს. რობერტ სოლოუსთან ერთად დაწერილმა სტატიამ გვიჩვენა, რომ <u>კაპიტალის თეორია არ მოითხოვს კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის გაგებას</u>. მეორე ერთობლივ სტატიაში სამუელსონი და სოლოუ <u>მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად იარაღად „ფილიპსის მრუდს“ წარმოადგენენ</u>.

კაპიტალის თეორიის შესახებ „ორ კემბრიჯს“ შორის პოლემიკაში სამუელსონი ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. საბოლოოდ, მისი მრავალრიცხოვანი <u>შრომები ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაში</u> წარმოაჩენენ მას, როგორც ადრინდელი ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთ გამოჩენილ თანამედროვე ინტერპრეტატორს, დაწყებული ფრანსუა კენედან, ადამ სმითიდან, დეივიდ რიკარდოდან, ტუნენიდან და კარლ მარქსიდან – მეოცე საუკუნემდე.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ასეთი ნაყოფიერი კვლევითი მასალა ნახევარი საუკუნის განმავლობაში თითქმის არც ერთ მეცნიერს არ შეუქმნია.

<u>მომხმარებლის მოთხოვნის პრობლემებს ეხებოდა</u> სამუელსონის <u>პირველი სტატია</u>, რომელიც ახალგაზრდობის ასაკში დაბეჭდა[4]. მომხმარებლის მოთხოვნის თეორია ახალგაზრდა სამუელსონის შეხედულებით სარგებლიანობის უკანასკნელი ნაშთებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო.

---

1 Economics: An Introductory Analysis, N.Y., 1948.
2 Linear Programming and Economic Analysis, N.Y., 1958.
3 The Collected Scientific Papers, 5 vols, Cambr., L., 1966-86.
4 The Collected Scientific Papers, v.1.

2.3.1. ფასის გათანაბრების ფაქტორი

სამუელსონის ერთი ყველაზე ცნობილი თეორემა ამტკიცებს, რომ გარკვეული შეზღუდული დაშვებების (მოსაზრებების) პირობებში საქონლის საერთაშორისო გაცვლა ელინდება კომპენსაციის ფაქტორის საერთაშორისო გათანაბრებაში. თეორემა შთაგონებული იყო ბერთილ ოლინის ნაშრომით: „რეგიონთშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა“ (1933). ამ ნაშრომში ოლინმა განავრცო საერთაშორისო ვაჭრობის თეორია ფასების ფაქტორამდე. ყოველთვის მიჩნეული იყო, რომ ფასების ფაქტორი შრომისა და კაპიტალის მიგრაციით გათანაბრდება. თუმცა, დ.რიკარდოს, ჯ.ს. მილისა და ა.მარშალის საერთაშორისო ვაჭრობის თეორია არ იძლეოდა იმის რწმენას, რომ მიგრაციის კომპენსაციები გათანაბრდებოდნენ უბრალო ფაქტორებისთვის, ხელფასებში საერთაშორისო სხვაობები კი მუდმივად იარსებებდა.

ბერთილ ოლინმა განავრცო ელი ჰეკშერის ადრეული ნაშრომი[1] და უჩვენა, რომ საერთაშორისო ვაჭრობას შეეძლო კომპენსაციების უთანაბრობის შემცირება უძრავი ფაქტორებისთვისთვისაც კი. თუ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა თავისუფალია, მაშინ მისი არგუმენტი მოქმედებს: ორივე ეცდება გაიტანოს ის პროდუქტები, რომლებიც წაახალისებენ იმ ფაქტორების ინტენსიურად გამოყენებას, რომლებითაც ეს ქვეყანა შედარებით კარგადაა უზრუნველყოფილი. ეს კი ნიშნავს, რომ ამ ფაქტორებზე მოთხოვნა იზრდება და ვაჭრობის გარეშე ისინი შედარებით იაფი იქნება. მეორე მხრივ, შედარებით ძვირ ფაქტორებზე მოთხოვნა ეცემა. აქედან გამომდინარე, საწყისი ბაზარი კომპენსაციების ფაქტორში ნაწილობრივ ჩაკეტილია. საქონლური ვაჭრობა შეიძლება მოგვეცნოს ფაქტორების მოძრაობის ნაწილობრივ შემცვლელად. აი რას უწოდებდა სამუელსონი ჰეკშერ-ოლინის თეორემას. ფაქტობრივად, ჰეკშერი (რომლის საჭირო და დროული ნაშრომი დროულად არ იყო ინგლისურ ენაზე მისაწვდომი) კმაყოფილდა, თუმცა, არ ამტკიცებდა, რომ ფასის გათანაბრების ფაქტორი დასრულდებოდა.

პირველი, რომელმაც დაამტკიცა ფასის გათანაბრების სრული ფაქტორი იყო აბა ლერნერი. 1933 წ. მან დაწერა ბრწყინვალე მოხსენება სემინარისათვის, რომელსაც სამუელსონმა, როგორც კი აღმოაჩინა ის, უწოდა საკითხის „ზედმიწევნით განსაზღვრული დამუშავება“. სამწუხაროდ, მოხსენება (დავიწყებული მისი ავტორის მიერ), 1953 წლამდე გამოუქვეყნებელი დარჩა[2].

ვოლფლანგ ფ.სტოლპერთან ერთობლივ სტატიაში[3] ნაჩვენები იყო, რომ თავისუფალი ვაჭრობა შედარებით იშვიათი ფაქტორის რეალურ კომპენსაციას ამცირებს. ამ შემთხვევაში სამუელსონი იყენებდა ოლინის არგუმენტს, რომ ფასის გათანაბრების ფაქტორი მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება იყოს. ასეთი დასკვნა მთლად ზუსტი არ აღმოჩნდა. შვიდი წლის შემდეგ სამუელსონმა აღმოაჩინა საინტერესო განსაკუთრებული შემთხვევა, რომელშიც ფასის გათანაბრების ფაქტორი დასრულებულია.

შემთხვევა ოთხი ძირითადი დაშვებით ხასიათდება:

- პირველი, ფაქტორების რაოდენობა საქონელთა რაოდენობის ტოლია (მაგალითად, გამოფენაზეა ორი ქვეყნის ორი სახის საქონელი — ქსოვილი და ღვინო და წარმოების ორი ფაქტორი — შრომა და კაპიტალი);
- მეორე დაშვებით, ყოველი ფაქტორის ზღვრული ნაწარმი უცვლელი რჩება, თუ ორივე ფაქტორი ერთნაირი პროპორციით იზრდება;
- მესამე, ორივე ქვეყანას ყოველი საქონლისათვის ერთნაირი წარმოებრივი ფუნქციები აქვს. თანაბარი ინტენსიურობის ფაქტორი თანაბარ ზღვრულ პროდუქტებს ნიშნავს;
- მეოთხე, ფაქტორის წვლილში საერთაშორისო განსხვავებები იმდენად დიდი არ არის, რომ მათ ერთ ან რომელიმე პროდუქტში ნებისმიერი ქვეყნის დასპეციალიზება განაპირობოს.

ეს დაშვებები სამუელსონის თეორემის მახვილგონიერულ სავარჯიშოებზე მეტყველებს.

იმ ფაქტმა, რომ სამუელსონის დოქტრინა შემზღუდველ დაშვებებზე იყო დაფუძნებული, მრავალრიცხოვანი დებატები გამოიწვია.

---

1 **Heckscher E.**, Mercantilism, 1931.

2 **Lerner A.**, Essays in Economic Analysis, L., 1953.

3 The Collected Scientific Papers, v.2.

2.3.2. ჰეკშერ-ოლინის საერთაშორისო ვაჭრობის დოქტრინის განვითარება

სამუელსონის ნაშრომებმა **საერთაშორისო ვაჭრობის დოქტრინა** ანალიტიკური სიზუსტით განავითარა. კერძოდ, ჰეკშერ-ოლინის საერთაშორისო ვაჭრობის თეორემის (თავი XXVII) განვითარებით წინა პლანზე წამოწია წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების თეორემა. ეს იმას ნიშნავს, რომ: **კაპიტალით და შრომით მდიდარი ქვეყნები, რომლებიც შესაბამისად კაპიტალტევადი და შრომატევადი პროდუქტის წარმოებაზე სპეციალიზდებიან, საბოლოო ჯამში იწვევს კაპიტალზე და შრომაზე მოთხოვნისა და ფასების ზრდას.** აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში წარმოების იაფი ფაქტორების ფასების დაახლოება მოხდება. ეს კი ღარიბი და მდიდარი ქვეყნების ეკონომიკურ გამოთანაბრებას და მსოფლიო მასშტაბით რესურსების ოპტიმალურად განაწილებას ხელს შეუწყობს.

მიკრო და მაკროეკონომიკური კვლევების სინთეზირების უნარმა სამუელსონს საუკუნის განმავლობაში ბუნდოვანი საკითხების გარკვევის საშუალება მისცა. დავიდ იუმის აზრით, ოქროს გადაზიდვა ინგლისიდან პორტუგალიაში აქ (ინგლისის ფასებთან შედარებით) ფასების აწევას გამოიწვევდა. ამავე დროს, იგი მიუთითებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში და ტრანსპორტირების ფასების არარსებობისას ასეთი ფასთა სხვაობები პორტუგალიურ ექსპორტს ვერ დააკმაყოფილებდა. ამის მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობდა, რომ მათზე, გარდა ფასებისა, სხვა ყურადსაღები ფაქტორებიც (მაგალითად, შედარებითი შემოსავლები და სხვ.) მოქმედებენ.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (გერმანიის გადასახდელების გამო) ამ საკითხებზე კამათი კვლავ წინა პლანზე წამოიწია.

ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების კრიტიკისას კეინზი ამტკიცებდა, რომ გარდა ანაზღაურების ძირითადი ტვირთისა, გერმანიას მისი ვაჭრობის პირობების გაუარესების შედეგად წარმოქმნილი მეორეული ტვირთიც უნდა ეზიდა. სამუელსონის დასკვნებით, თუკი ვაჭრობაში რაიმე ცვლილებები იარსებებდა, იგი არა ფასებზე, არამედ მოთხოვნაზე იქნებოდა დამოკიდებული. დავუშვათ, ინგლისი პორტუგალიის ფულად ან საქონლურ სუბსიდირებას ახდენს. პორტუგალიის მოთხოვნა ტანსაცმელსა და ღვინოზე გაიზრდებოდა, ხოლო ინგლისისა კი შემცირდებოდა. აქ მნიშვნელოვანია, თუ როგორი პროპორციებით წარიმართება თითოეული საქონლის ზრდა და შემცირება.

ის, რომ ფასი მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით განისაზღვრება, თავისთავად არასაკმარისია. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ფასებში ცვლილება მოთხოვნასა ან მოწოდებაში ცვლილებითაა განპირობებული. სამუელსონმა „საფუძვლებში" „მნიშვნელოვანი რეკომენდაციების" ორი წყარო განასხვავა: პირველში პიროვნებები და ფირმები თავიანთი საქმიანობის სფეროს გაფართოებას (ან შემცირებას) ცდილობენ. ეს წყარო გამოიყენებოდა „მარჟინალურ ეპოქაში" და „საფუძვლები" ამ მიღწევისა და ცდის გვირგვინს წარმოადგენს. სხვა წყაროს მიხედვით, შედარებითი სტატისტიკა მხოლოდ მყარ სისტემაშია სასარგებლო.

„საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის" პრინციპები პ.სამუელსონმა გვიანდელ სტატიებში ჩამოაყალიბა[1].

2.4. თაობათა ცვლა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეკონომისტების ყურადღება იმ ფაქტზე იყო გამახვილებული, რომ დანაზოგი მოხუცებულობის უზრუნველყოფის საშუალებაა. სამუელსონი ამ საკითხს **„ცხოვრების ციკლის კონცეფციაში"**[2] შეეხო (1939), რომელზე დაყრდნობითაც მილტონ ფრიდმანმა თავისი დანაზოგისა და მოხმარების ეკონომეტრიკული მოდელი შექმნა.

სამუელსონი „ცხოვრების ციკლის" დოქტრინაში კეთილდღეობის პრობლემას მიადგა. საკითხი ორი თაობის შემთხვევას ეყრდნობოდა. დავუშვათ, რომ არ არსებობს არავითარი ისეთი საქონლის მარაგი ან ანაბარი, რომლითაც პიროვნება თავისი ქონების გაყიდვით მოხუცებულობაში უზრუნველყოფილი იქნება. საზოგადოებისათვის, რა თქმა უნდა, სასარგებლოა თუკი „აქტიური თაობა"

1 The Collected Scientific Papers, v. 3.
2 The Collected Scientific Papers, v. 1.

ასაკოვან თაობას „კეებავს". როდესაც „გადამდგარ" თაობას დანაზოგები ჰქონდა, თანამედროვე „აქტიური თაობა" დაბადებული არც იყო. შედეგად, არ არსებობს ისეთი საბაზრო მექანიზმი, რომელიც საზოგადოებას აბსოლუტურად სამართლიან გადაწყვეტილებებამდე მიიყვანს.

პ.სამუელსონის მტკიცებით, „მოხუცების სარჩენი ურთიერთდაკავშირებული დროებითი ტვირთი" ახალგაზრდებისა და ხანშიშესულების დიდ დანაზოგებს ვერ უზრუნველყოფს. იგი შეიძლება „საშუალო ასაკის დიდ დანაზოგებში" გამოვლინდეს, რაც ახალგაზრდებისა და მოხუცების აუცილებელ მოთხოვნებს დააფინანსებს. ეფექტიანობა ორი გზით შეიძლება იქნას მიღწეული. ერთ შემთხვევაში „მომუშავე თაობა", კანონის თანახმად, ვალდებულია ხელი შეუწყოს პენსიონერებს. სამუელსონის აზრით, ფულადი რეზერვების გამოყენებაც იმავე მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში ახალგაზრდაც და ხანში შესულიც ფულს თავისი მოხუცებულობისათვის აგროვებს.

პ.სამუელსონმა **საფუძველი ჩაუყარა თაობათშორისი რესურსების გადანაწილების მნიშვნელოვან სახელმწიფო ღონისძიებებს, შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილებას შორის ურთიერთკავშირის ანალიზს.** მის მოდელში ნაგულისხმევია „ფული", როგორც დაგროვების საშუალება.

2.5. მოსალოდნელი ფასები

ომის პერიოდში თვლიდნენ, რომ ადრინდელი საბირჟო ფასების პრაქტიკა მომავალში მოსალოდნელ ფასებში სარგებლიანი ჩარევის საშუალებას იძლევა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საბაზრო ეკონომიკამ ეს მიდგომა ეჭვქვეშ დააყენა.

60-იანი წლების შუა პერიოდში ფინანსისტ-სტატისტიკოსებმა ამ ფაქტების ასახსნელად რიგი მოდელი შექმნეს და შეამოწმეს. მაგრამ მათ ისეთი თეორია აკლდათ, რომელიც აღწერილობით სტატისტიკას ანალიტიკურ ეკონომიკასთან დააკავშირებდა.

პ.სამუელსონმა 1965 წელს ასეთი თეორია გამოაქვეყნა ნაშრომში – **„დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ სწორად გამოყენებული ფასები ეშვიათად იცვლება"**[1]. თეორიაში ნაგულისხმევი ინტუიციური სიბრძნე დიდი ხანია ცნობილი იყო: თუ სპეკულაციური ფასების ასაწევად მიზეზები ცნობილია, ის აიწევა. სამუელსონმა ასეთი ინტუიცია ანალიზით შეცვალა.

მისი მოდელი საქონლურ ბაზართანაა დაკავშირებული – ფასები ბაზრის საფუძველია. მისი ძირეული არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომავალში მოსალოდნელი ფასების ცვალებადობა შემთხვევით არ ხდება. კერძოდ, სამუელსონმა **დასაბუთა, რომ განსხვავებები მომავალი პერიოდის საქონელთა ფასებში წინა პერიოდის ფასთა სხვაობებს არ შეესაბამება.**

2.6. წვლილი

სამუელსონი, როგორც უკვე აღინიშნა, **„დიდი ნეოკლასიკური სინთეზის" მამამთავარია.** მან, როგორც პრაგმატიკოსმა, თავისი თავი ისეთ პიროვნებად გამოაცხადა, რომელსაც ყველაფრის განხილვა სურს, რაც სასარგებლო შედეგს იძლევა. იგი შემოსავალთა თეორიის მეშვეობით „სინთეზის" ძირითად პრინციპად ფისკალური პოლიტიკის პრობლემების მოგვარებას თელის.

კლასიკური ეკონომიკა უჭკნობი ოცნება ან არსმდე დაყვანილი დასაბუთებული ეკონომიკის მითია. ამ თვალსაზრისით, სამუელსონი კლასიკურ ტრადიციებს აგრძელებს. მე-20 საუკუნის შუა მესამედში იგი ახალი აზრების მიმართ პლურალისტურ დამოკიდებულებაშია.

სამუელსონს არ აღმოუჩენია ეკონომიკური კვლევის ისეთი ახალი დიდი სფეროები, როგორიცაა: ეკონომეტრიკა, შემოსავალ-გასავლის ბალანსი და პროგრამირება. მისი ნაშრომები ეკონომიკური თეორიის ძირითად ბირთვს ეხება და მისი სიძლიერე სხვადასხვა თეორიის ანალიტიკურ სტრუქტურაში ძირითადი ერთიანობის აღმოჩენაში მდგომარეობდა. ისტორიულად, იგი იმ საფეხურს წარმოადგენს, სადაც ზოგადი წონასწორობის ანალიზი საბოლოოდ პრობლემების ფართო სპექტრის მოგვარების მთავარი საშუალება გახდა.

---

1 The Collected Scientific Papers, v.3.

პ.სამუელსონის თვალსაზრისით, ეკონომიკისათვის 1935 წელი ოქროს ხანა იყო, ხოლო ა.მარშალის შემდეგ თეორიამ დეგრადირება განიცადა. თავისი მოღვაწეობით სამუელსონი უდიდესი მასწავლებელი გახდა. მისი ლექციების კურსები დაუღალავი და უკომპრომისო კვლევის შედეგებით მსმენელს იზიდავდა. იგი იმ მცირეთაგანი იყო, რომელმაც ნამდვილი **სკოლა შექმნა.**

სამუელსონის რწმენით, ეკონომიკის თეორია ისტორიული რეალობის წინაშე თავის რაობას დაამტკიცებს. თუმცა, ნაკლებად სწამს იმისა, რომ სინამდვილის დაპყრობის უნარი მხოლოდ ეკონომეტრიკულ მეთოდებს შესწევს. იგი ეკონომეტრიკისათვის „ზედმეტად ისტორიკოსია". პროფესიონალმა ეკონომისტებმა მე-20 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თავიანთი ენერგიის უდიდესი ნაწილი ეკონომეტრიკულ გაზომვებსა და ცდებს მიუძღვნეს და ამით მთლად სამუელსონის ხაზს არ გაჰყვნენ.

მეცნიერების ისტორია ზოგჯერ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს წარსული გიგანტების იყო, ხოლო დღევანდელობა კი ჯუჯების ერაა. სამუელსონი ხელს უწყობს ამ მითოლოგიური ილუზიის გაფანტვას. მან ადამ სმითის სინთეზის უნარი გამოავლინა, მაგრამ იგი უფრო ნოვატორულ ძალასთან გააერთიანა. თუ რიკარდო მოყვარული იყო, რომელმაც ეკონომიკას მხოლოდ რამდენიმე წელი მიუძღვნა, სამუელსონი ძლიერ განსწავლული მეცნიერია, რომელმაც თავისი პროდუქტიული კვლევებს ათწლეულები მიუძღვნა. თუკი მარშალი თავის ანალიტიკურ აპარატს ნიღბავდა, სამუელსონი თავის შესაძლებლობებს დღის სინათლეზე, ყველას სამსჯავროზე წარმოაჩენდა. კეინზი საგნების დამაჯერებელი ხედვით გახდა ცნობილი, მაგრამ როგორც თეორეტიკოსი, იგი ნაკლებ ორიგინალური იყო. კეინზურ „რევოლუციას", როგორც ჩანს, ხანგრძლივობის ეფექტიანობა ნაკლები ჰქონდა, ვიდრე სამუელსონის ევოლუციურ დოქტრინას.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.ჩელაშვილი, ი.მესხია, ელ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ..ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1975.

ა.გრიშაკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, ნაწ. I; თბ., 1996; ნაწ. II, თბ., 1997.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა", თბილისი, 2001.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

მ.ჭუმბურიძე. ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რედ-რი პროფ. ჯ.კახნიაშვილი, თბ., 2009.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი II, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ.,М., 1994.

Майбурд Е.М.. Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Усоскин, В.М., Теория денег, М., 1976.

Шумпетер И., История экономического анализа, т.3, Санкт-Петербург, 2004.

Heckscher E., Mercantilism, 1931.

Hicks J., Mr Keynes and the Classik - "Econometrica", N5, 1937.

Lerner Abbel P., Essays in Economic Analysis, L., 1953.

Metzler Lloid A.: Three Logs in the Circular Flow of Income - "Income Employment and Public Policy: Essays in Honoy of A.H. Hansen", N.Y., 1848; Collected Papers. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1973.

Muth, John F. Rational Expectations and the Theory of Price Movements. Econometrica, 29(3), 1961; Rational Expectations and Econometric Practices, 2vds (v.1), 1971 (რედ-ბი: რ.ლუკასი და თ.სარჯენტი).

Samuelson, Paul, A.: Fondations of Economic Analysis, Cambr., 1947; Economics: An Introductory Analysis, N.Y., 1948; Linear Programming and Economic Analysis, N.Y., 1958 (რ.დორფმანთან და რ.სოლოუსთან ერთად); The Collected Scientific Papers of P.Samuelson, 5 vols, Cambr., 1966-86; Sumpeter as an Economic Theorist. In Schumpeterian Economics, ed. Helmut Frisch, 1-27, N.Y., 1981; Economics from the Heart: A Samuelson Sampler, N.Y.,1983; Yes to Robert Dorfman's Vindication of Thünen's Natural-Wage Derivation-Journal of Economic Literature 24(4); Macroeconometrics (15ed), N.Y., L., 1995 (თანაავტ.); Microeconometrics (15ed), N.Y., L., 1995 (თანაავტ.); ეკონომიკა, ქართ. თარგმ. პროფ. ვ.ლურწკაიას რედ-ით, ტ.1-4, თბ., 2000 (თანაავტ. ფ.ნორდჰაუსი); Принцип максимума в экономическом анализе - "Мировая экономическая мысль", т. V, кн.1, М., 2005.

თავი XXIX.
ფინანსური ბაზრების ანალიზის დოქტრინები

ფინანსური ბაზარი სხვადასხვაგვარი კრედიტების, ინვესტიციების, ფასიანი ქაღალდების, ანაბრების, ... ბაზარია. იგი მოიცავს კაპიტალის (საშუალო და გრძელვადიანი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები) და ფულად (მოკლევადიანი კრედიტები, ფასიანი ქაღალდები) ბაზრებს.

ფინანსური ბაზარი ისეთი საბაზრო ინსტიტუტებისგან (მაგ., საფონდო ბირჟები) შედგება, რომლებიც ფულადი სახსრების გადანაწილების არხებს წარმოადგენენ.

ფინანსური ბაზრების ანალიზით უკანასკნელ პერიოდში დაკავებულნი არიან მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რომელთა ნაწილმაც ამ სფეროში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის ეკონომიკაში ნობელის პრემიები დაიმსახურეს. ასეთი კვლევები კიდევ მეტ აქტუალურობას იძენს. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

1. ჯეიმზ ტობინი (1918-2002)

1.1. ვ.ლეონტიევის სტუდენტი, პ.სამუელსონის თანაკურსელი

ფულსა და ფულად დაბანდებებზე ნეოკლასიკური სინთეზის დოქტრინის განვრცობა **ჯეიმზ ტობინის** (Tobin) მიღწევების შედეგია. იგი 1918 წელს ქალაქ შამპეინში დაიბადა (ილინოისის შტატი, აშშ), ჟურნალისტ-მოსამსახურის ოჯახში. ბრწყინვალე სტუდენტი იყო, კამათი უყვარდა. მისი განსაკუთრებული ყურადღება ჟურნალისტიკამ მიიქცია.

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეორე კურსზე სწავლისას ჯეიმზი კეინზის „ზოგად თეორიას" გაეცნო, რომელმაც მისი ცხოვრების კურსი განსაზღვრა. მიიღო „ბაკალავრის" (1939) და მაგისტრის (1941) წოდებები ეკონომიკაში. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა კეინზის მტკიცება იმის შესახებ, რომ უმუშევრობა სრული წონასწორობის დროსაც შეიძლება არსებობდეს.

40-იანი წლების დასაწყისში მან ჰარვარდის უნივერსიტეტი დატოვა და სამუშაოდ ვაშინგტონში ადმინისტრაციისა და სამოქალაქო მომარაგების ოფისში გადავიდა, კვების პრობლემებზე სამეცნიერო სტატიები გამოაქვეყნა. 1942-1945 წლებში საზღვაო ფლოტში ოფიცრად მსახურობდა.

1946 წელს ტობინი სადისერტაციო ნაშრომის დასაწერად ჰარვარდის უნივერსიტეტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად დაბრუნდა. 1947 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „**მოხმარების ფუნქციის თეორიული და სტატისტიკური გამოკვლევა**". ტობინს ძალიან მოსწონდა ფაკულტეტის მრჩეველი ი.შუმპეტერი და ალვინ ჰანსენი (1887-1976). მისი ლექტორები აგრეთვე იყვნენ ვ.ლეონტიევი, ს.ჰარისი (1897-1976), თანაკურსელები კი - პ.სამუელსონი, ჯ.გელბრეითი...

ამ პერიოდში ჯეიმზი დაქორწინდა და შემდგომში ოთხი შვილის მამა გახდა. 1950 წელს იგი იელის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე დაინიშნა. ინგლისში, კემბრიჯის გამოყენებითი ეკონომიკის რიჩარდ სტოუნის განყოფილებაში მისმა ვიზიტმა და მოგვიანებით მიჩიგანის ჯორჯ კატონას კვლევის ცენტრში მეორე ვიზიტმა მის ეკონომეტრიკულ კვლევებს ახალი იმპულსები შესძინა.

1960 წელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ.კენედიმ ტობინი ქვეყნის ეკონომიკის კვლევის ერთ-ერთ იმ განყოფილებაში მიიწვია, რომელსაც პოლ სამუელსონი ხელმძღვანელობდა. მომდევნო წელს იგი ეკონომიკაში მრჩეველთა საბჭოს წევრი გახდა. „საბჭოში" გატარებულმა ოცმა თვემ აშშ-ის ეკონომიკურ პოლიტიკას კეინზელობის ძლიერი ზეგავლენა დაატყო. ამის დასტურია ეკონომიკური მრჩეველთა საბჭოს 1962 წლის წლიური ანგარიში, რომლითაც ტობინი ყოველთვის ამაყობდა – ეს იყო ოქროს ხანა. საუალუტო და ფინანსურმა ექსპანსიამ ეკონომიკის ზრდა დააჩქარა, ინფლაცია კი კვლავ „მიძინებული" იყო.

სახელმწიფო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ტობინმა კვლევითი სამუშაოები განაახლა,

მაგრამ მისი ენერგიის დიდი ნაწილი ფრიდმანის კრიტიკისაგან კეინზიანიზმის დაცვას მოხმარდა. დროებითი ზრდის ეფექტიანობის შენელებითა და მუდმივი ინფლაციის ეფექტიანობის დომინირების შედეგად მოკლევადიანი სტიმულირების დაცვა ძალიან გართულდა. სხვა კეინზელების მსგავსად, ტობინმა შექმნილი სიტუაციიდან გამოსაყვანად „მწარმოებლურობა-ხელფასის მექანიზმი“ დაასახელა, დარწმუნებული იყო, რომ მცირე ინფლაცია უმუშევართა დასაქმების ზრდის მასტიმულირებელი აღმოჩნდებოდა.

სრული დასაქმების შესახებ ტობინის შეხედულებებს ყოველთვის თან ახლდა თანასწორობისა და სიღარიბის საკმაოდ ძლიერი მოვლენები. იგი იცავდა ე.წ. საშემოსავლო ბეგარას, როგორც შემოსავლის გადანაწილების ეფექტურ საშუალებას. 1972 წლის საარჩევნო კომპანიის დროს მან ასეთი პროექტი წარადგინა, მაგრამ დიდძალმა თანხებმა, რომლებიც აშკარად არ გადადიოდა ღარიბთა ხელში, ბევრის გულისწყრომა გამოიწვია.

50-60-იან წლებში მონეტარული მაკროეკონომიკის სფეროში ტობინმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა. მისი მნიშვნელობა ჯონ ბეითს კლარკის მედლით (1955 წ.) და მრავალი საპატიო ხარისხით აღინიშნა. მისი ნოვატორული წვლილი ფინანსური ბაზრების მდგომარეობის ანალიზში და რამაც გავლენა იქონია ხარჯების, დასაქმების, წარმოების, ფასების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების პოლიტიკაზე, 1981 წელს აღიარებულ იქნა ეკონომიკაში ნობელის პრემიის მინიჭებით.

12. ფინანსური სისტემის ანალიზი

ტობინის ნაშრომები ძირითადად თაემოყრილია სამტომეულში – „ნარკვევები ეკონომიკაში“[1]. სტატიები სახელწოდებით – „ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა – ნარკვევები“[2] უფრო ფართო აუდიტორიისათვის იყო გათვალისწინებული.

ტობინის ადრეული ნაშრომები ძირითადად მოხმარების პრობლემებს შეეხო. მას აინტერესებდა გაეგო, თუ რატომ იძლეოდა ცუდ პროგნოზებს ციკლური გამოცდილებისაგან მიღებული ადრეული მოხმარების ფუნქციები, თუ იგი გრძელვადიან განვითარებაზე იყო გათვლილი? თუმცა. ამ კითხვაზე პასუხი არ გაუცია. მოგვიანებით მან დაასკვნა, რომ „ცხოვრების ციკლის ჰიპოთეზა“ შეერთებული შტატების აქციონერული კაპიტალის მოცულობის შესაბამისად შეიძლება აიხსნას.

ეკონომეტრიკის საკითხებში მას ეკუთვნის რეგრესიული ანალიზის მეთოდი იმ შემთხვევებისათვის, როცა დამოკიდებულ ცვლადზე დაკვირვებების კონცენტრირება ნულს უახლოვდება. ამის მაგალითია ისეთი მოხმარების საგნები, რომელიც მოთხოვნით არ სარგებლობს.

მოგვიანებით ტობინმა (ვილიამ ნორდჰაუსთან ერთად) მიიჩნია, რომ ეროვნული შემოსავლის გამოთვლა ეკონომიკური კეთილდღეობის ყოველგვარ გაზომვაზე გავრცობილიყო. საგალუტო პოლიტიკაში – ეროვნული ავტონომიის გასაძლიერებლად, უცხოური კაპიტალის დიდი შემოდინებისათვის, აგრეთვე უცხოური ვალუტის ოპერაციების დაბეგვრას მოითხოვდა.

თუმცა, ტობინის ღვაწლი უმეტესწილად ქეინსის შიგა ფინანსურ სისტემას შეეხო. მოგვიანებით მან ეს სისტემა ნეოკლასიკურ ეკონომიკასთან შეთავსებითა და ფინანსური პოლიტიკის როლის გააზრებით აღწერა.

ტობინის საწყისი მოტივირება, რა თქმა უნდა, კეინზური იყო. მას მიაჩნდა, რომ სარგებლის განაკვეთთან ფულზე მოთხოვნის მგრძნობიარობა კეინზური პოზიციისათვის ძირითადია, მაშინ, როდესაც ფულის რაოდენობრივი თეორია ფულის მიმოქცევის სიჩქარეს ეფუძნებოდა. ამიტომ მან ფულადი ბალანსის სარგებლის განაკვეთზე დამოკიდებულების ახსნა სცადა. ამის ახსნის პრინციპები ჯონ ჰიკსის მიერ, „ზოგად თეორიამდე“ იყო დასაბუთებული, ტობინმა კი იგი უფრო ანალიტიკურად დაახუსტა.

ჯ.ტობინის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სტატიაა „ლიკვიდურობის უპირატესობა, როგორც რისკის მიმართ ქცევა“[3]. მისი პირველი ნაწილი ეძღვნება ბალანსების თეორიულ დამუშავებას კეინ-

1 Tobin J., Essays in Economics, Vol.1, Chicago, 1971; Vol. 2, N.Y, 1975; Vol.3, Cambr., 1982.
2 Tobin J., National Economic Policy-Essays, New Haven, 1966.
3 Tobin J., Essays in Economics, ტ. 1, 1971, თავი 15.

ზელობის პოზიციებიდან, მეორე ნაწილი კი ფასიანი ქაღალდების გასავლისა და რისკის თვალსაზრისით ბალანსების მოსალოდნელი მდგომარეობის ახსნას იძლევა.

რამდენიმე რისკიან აქტივამდე ანალიზის გაღრმავებით, ტობინი ამტკიცებდა, რომ რისკიან აქტივებს შორის პროპორციები ნაღდი ფულის პროპორციებისაგან დამოუკიდებელია. ამიტომ საუკეთესო ვარიანტის არჩევა ორ ეტაპად მიმდინარეობს, რომელთაგან პირველი ფასიანი ქაღალდების პორტფელის ოპტიმალურ შემადგენლობას, ხოლო მეორე — ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების პროპორციებს განსაზღვრავს.

ტობინის „პორტფელური ინვესტიციების თეორიის" მიხედვით, ფასიანი ქაღალდების ინვესტორები „პორტფელში" დაბალანსების მისაღწევად მაღალ და დაბალ რისკიანი ინვესტიციების შეთანაწყობას ცდილობენ. ნაშრომში „ნეოეკონომიკა" (1934)[1] წამოაყენა ფაქტორ q-კოეფიციენტის კონცეფცია, რომელიც გამოსახავს მატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულების შეფარდებას მათი შეცვლისათვის საჭირო დანახარჯებთან.

თეორიულად საშუალო ცვლილებების მიდგომა შესაძლოა ყველაზე დამაკმაყოფილებელი საშუალება არ იყო, მაგრამ იგი ფულის თეორიაში სასარგებლო აღმოჩნდა. მან ლიკვიდურობის პრივილეგირების ელასტიკურობას მყარი საფუძველი შეუქმნა.

საშუალო ცვლილებების მიდგომა იმ მომენტს ხსნის, თუ როგორ მიჰყავს პორტფელის შემადგენლობა თავის აქტივებს ოპტიმალურ მდგომარეობამდე. შემდგომ ეტაპზე ტობინი და მისი კოლეგები (კერძოდ, უილიამ ბრაინარდი) აქტივებისათვის ამ მიდგომას ბაზარში ინდივიდების ურთიერთქმედებისას იყენებდნენ.

ფინანსური სისტემის გაანალიზების შედეგად საზოგადოებრივი წონასწორობის მოდელი შეიქმნა. ოცი წლის შემდეგ ეს განზოგადება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, მაგრამ მაშინ იგი სიახლე იყო.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან ფულის მიწოდების თეორიაში ავსტრიელი ეკონომისტის ო.ფილიპსის (1914-1975) იდეები დომინირებდა, რომელიც ბანკის რეზერვებსა და მის დეპოზიტებზე მოთხოვნას შორის თანაფარდობებს ადგენდა. მსგავსი თანაფარდობები კერძო სექტორისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაშინ ეს უბრალო ალგებრის საქმე იყო, რათა კერძო სექტორისადმი ფულის მიწოდების საკითხი „დიდძალი ფულის" შემადგენლად ან ცენტრალური ბანკის „ვალუტის ბაზად" წარმოედგინათ. ამ მიდგომის ერთ-ერთი შეზღუდვა, სხვა აქტივებისა და პასიების ხარჯზე, ფულის მიწოდებაზე მისი კონცენტრირება იყო. უფრო მნიშვნელოვანი ნაკლი უცვლელი კოეფიციენტების მიღებაა, რაც ადრეულ თეორიაში უცვლელი ტექნოლოგიური კოეფიციენტების ანალოგიურია, რომელმაც სარგებლის განაკეთისა და სხვა საბაზრო პირობების გავლენა შენიღბა. სიახლე იმაში მდგომარეობდა, რომ უცვლელი კოეფიციენტები ოპტიმალური გამოთვლით, ფილიპსის კოეფიციენტები კი ზოგადი წონასწორობის სისტემის შედარებითი სტატიკით შეეცვალათ.

ტობინს ბანკებისა და სხვა ფინანსური შუამავლების ზუსტი ოპტიმალური მოდელი არ შეუქმნია, მაგრამ იგი აქტივის მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციებს ფინანსურ სექტორში ზოგადი წონასწორობის სისტემის ჩამოსაყალიბებლად იყენებდა. თუმცა, ანალიზურად ეს სისტემა უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომელმაც მნიშვნელოვან ლოგიკურ აზრებამდე მიიყვანა იგი.

ერთ-ერთი მათგანი სახელმწიფო ვალის მაკროეკონომიკურ ეფექტიანობას ეხება. დ.რიკარდოს მიხედვით, სახელმწიფო ვალის ზრდა გარკვეულ პერიოდში კერძო სექტორს უფრო აძლიერებს და მაინც, იგი ვალსა და საგადასახადო დავალიანებას ეკვივალენტურად არ თვლიდა. ტობინის მითითებით, ამ არაეკვივალენტურობის ერთ-ერთი მიზანია ის, რომ სახელმწიფო ვალი კერძო ქონების შემადგენლობას ცვლის და მას უფრო ლიკვიდურად, არსებული ღირებულების შენარჩუნება აქცევს. უფრო ზუსტად, ასეთ შემთხვევაში მთავრობა ფინანსური შუამავლის სახით მოქმედებს.

შემდეგი მიზანი ბანკებს შეეხებოდა. ფინანსურ შუამავლებს შორის მათ განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნა, რადგანაც ფულის გაკეთება შეეძლოთ (შემდეგ ეს სპეციალური კანონმდებლობის გასამართლებლად გამოიყენეს). ტობინი კამათობდა იმაზე, რომ ეს განსაკუთრებულობა ბანკების დეპოზიტებისა და რეზერვებისათვის საბაზრო დეფექტებით გამოწვეული აღმოჩნდა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განსაკუთრებული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა. ამ

1 Tobin J., The New Economics..., N.Y., 1974.

თვალსაზრისით, განსაკუთრებულობა ლეგალური შეზღუდვების შედეგია და არა მათი მიზეზი.

კიდევ ერთი, განსაკუთრებული საკითხი საბაზრო ფასებში საქონლის ინვესტიციას, მონეტარული და ფინანსური პოლიტიკის ძირითად რგოლთან — ფასთან მათ შედარებით გადაადგილებასა და რეალურ საქონლურ კაპიტალზე მოთხოვნას შეეხებოდა. ამ შედარებით ფასს (ღირებულებას) მალე ტობინის სახელი ეწოდა. ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში მისი ღირებულება ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს, ვინაიდან ინვესტირების დაგეგმვა და განხორციელება დროსთანაა დაკავშირებული. ამ ხნის განმავლობაში ის საქონლური კაპიტალის ზრდისა ან შემცირებისათვის პროგრესული სისტემების გასაზომად შეიძლება იქნას გამოყენებული. ასეთი კონცეფცია სიახლე არ იყო. იგი ვალრასმა გამოიყენა და მას კლასიკურ ეკონომიკამდე მიეყავართ. თუმცა, იგი დიდი ხნის დავიწყებული იყო და ტობინმა, შეიძლება ითქვას, საინვესტიციო თეორია უკან, კლასიკურ ტრადიციამდე დააბრუნა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მოხსენიების ღირსია, ღია ბაზარზე შესყიდვებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის ეფექტიანობასთანაა დაკავშირებული. ტობინის აზრით, ეს ეფექტიანობა ძირითადად იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ცენტრალური ბანკის რეზერვებში სარგებლის განაკვეთი უცვლელია — ხშირად ნულის ტოლია, ეს მაშინ, როდესაც ფასიანი ქაღალდების გაყიდვები იცვლება. ფასიანი ქაღალდების გაყიდვები რომ არ შეცვლილიყო (როდესაც ცენტრალური ბანკის დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთი ბაზრითაა განსაზღვრული), მაშინ ღია ბაზრის შესყიდვებს კლებადი ეფექტიანობა ექნებოდა. ტობინს, რა თქმა უნდა, შეეძლო დაემატებინა, რომ ჩვეულებრივ ფულს სარგებლის უცვლელი განაკვეთი (ნული) გააჩნია, ვინაიდან იგი გადახდის საშუალებაა.

ტობინის პროგრამის მესამე სტადია მზარდ ეკონომიკამდე აქტივების წონასწორობის გაფართოება იყო. ამ მიზნისათვის მან კაპიტალისა და შრომის თანაბარი შენაცვლებით მაკროეკონომიკური წარმოების ფუნქცია გამოიყენა და წარმოქმნილს მოგვიანებით ნეოკლასიკური მოდელი უწოდა, თუმცა ტინბერგენმა ის ბევრად ადრე გამოიყენა. იგი ჰაროდისა და დომარის ზრდის მოდელებისაგან ელასტიკურობით განსხვავდებოდა, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა მიდრეკილებების მიმართ კაპიტალის მწარმოებლურობა რეგულირებადი შეიძლება ყოფილიყო.

მომდევნო სტატიებში ტობინმა ფულის როლის საკითხები დაამუშავა[1]. კაპიტალის მწარმოებლურობა და, აქედან გამომდინარე, დანახარჯები არა მარტო დანაზოგებზე, არამედ ქონების განაწილებაზე იქნება დამოკიდებული. თავის მხრივ, ამ უკანასკნელზე გავლენას ინფლაციის ტემპით გაზომილი ნაღდი ფულის რეალური ხარჯი ახდენდა. ფულის დიდი ექსპანსიის მეშვეობით მთავრობის პოლიტიკას შეუძლია რეალური დანახარჯები გაზარდოს. რა თქმა უნდა, ეს ფულის ექსპანსიის კეთილდღეობის ანალიზის დასრულებისაგან შორს იყო, მაგრამ ეს ამ ანალიზის მრავალ კომპონენტთაგან ერთ-ერთი იყო.

ტობინი ცნობილი გახდა, როგორც კეინზის ერთ-ერთი ინტელექტუალური დამცველი. მისმა მძლავრმა პოლიტიკურმა და სოციალურმა თვალსაზრისმა ის აშკარად პოლიტიკაში ჩაითრია. აღსანიშნავია, რომ მისი სავალუტო (ფულის) კვლევის პროგრამის შედეგები კეინზური რწმენისაგან დამოუკიდებელია. მათ იმის ანალიტიკური საფუძველი შეამზადეს, რაც ნებისმიერი პოლიტიკური და დოგმატური რწმენის ეკონომისტების მიერ შეიძლება იქნას გამოყენებული. კერძოდ, ნ.კალდორის[2] განაწილების თეორიის მისი დამანგრეველი სატირა[3] მას ზოგადი წონასწორობის წმინდა თეორეტიკოსად წარმოაჩენს.

ჯ.ტობინი აბსტრაქტული მათემატიკური თეორიით არასოდეს დაინტერესებულა. ის გრძნობდა, რომ საუკეთესო ეკონომისტები თავიანთ საგნებს გარშემო მყოფი სამყაროდან იღებდნენ.

ტობინი, რომელიც ძირითადად კეინზის თეორიის მომხრე, აკრიტიკებდა რეიგანის მთავრობის მკაცრ ფინანსურ პოლიტიკას. რეცესიების დაძლევის გზად იგი ხელფასებსა და ფასებზე მუდმივ

1 Tobin J., Essays in Economics, ტ. 3, 1982.

2 ნიკოლას კალდორი (Kaldor, 1908-1986) — ინგლისელი ეკონომისტი, კეინზელი, ეკონომიკური ზრდის თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ასწავლიდა ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში, კემბრიჯის უნ-ტში... დაამუშავა დასაქმების, ინფლაციის და ეკ-რი ზრდის პრობლემები. მისი „ბალანსირებული ზრდის" მოდელი ტექნოლოგიური ხასიათისაა. ნაშრომები: Wssays on economic stability and Growth, L., 1960; Essays on value and distribution, L., 1960...

3 იხ.: **Tobin** J., Essays in Economics, ტ. 1, 1971, თავი 7.

კონტროლს ასახელებდა. ამ პრობლემების ანალიზი მოცემულია მის ნაშრომში „**ალმავლობის პოლიტიკა კეინზიანელის თვალსაზრისით**“ (1987)[1].

ერთ საკითხში ამერიკელმა კეინზელებმა ნეოკლასიკური სინთეზი დაუსრულებელი დატოვეს. მათი სუსტი წერტილი ინფლაცია იყო. მხედველობიდან გამორჩათ მისი ძირითადი მონეტარული მიზეზი და მას „სტრუქტურული“ ფაქტორებით, „არათანმიმდევრული მოთხოვნებით“ ან „ღირებულების ინფლაციით“ ხსნიდნენ, სწამდათ, რომ დამკმაყოფილებელი დასაქმება მცოცავი ინფლაციის ხარჯზე მიიღწეოდა, დაუშვეს, რომ მცოცავი ინფლაცია (დაბალ დონეზე) მუდმივად უნდა შენარჩუნებულიყო.

ამერიკელი ეკონომისტები პ.სამუელსონი და რ.სოლოუ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად საშუალებად „გაცვლას“ მიიჩნევდნენ. ინფლაციის წამალი არა მხოლოდ მონეტარული, არამედ შემოსავლების პოლიტიკაშიც მოიძებნა. სწორედ აქ გამოჩნდა მ.ფრიდმანის ღვაწლი (იხ. თავი XXII).

2. ფრანკო მოდილიანი და მერტონ მილერი

2.1. ფრანკო მოდილიანი (1918-2003) - იტალიიდან აშშ-მი

მოხმარების საკითხში ნეოკლასიკური სინთეზის მნიშვნელოვანი წვლილი **ფრანკო მოდილიანს** (Modiliani) ეკუთვნის.

იგი დაიბადა რომში 1918 წელს ებრაული წარმოშობის რომაელი პედიატრის ოჯახში. მისი ბედნიერი ახალგაზრდობა მამის უდროო გარდაცვალებითა და ფაშიზმის აღზევებით დაიჩრდილა. 17 წლის ასაკში ფრანკო სამართლის შესასწავლად რომის უნივერსიტეტში შევიდა.

ცდილობდა „დიდი დეპრესიის“ მიზეზებში გარკვევას. უნივერსიტეტის სტუდენტთა კონკურსში მოპოვებულმა პირველმა ჯილდომ („ესე“-ში – „**კამათი ფასების რეგულირებაზე**“) ეკონომიკისადმი მისი ინტერესი გააღვივა.

1939 წელს, რასობრივი კანონის მიღების გამო, მან იტალია დატოვა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა.

ნიუ-იორკში სოციალური გამოკვლევების ახალ სკოლაში მოდილიანი ეკონომიკის შესწავლას შეუდგა. იგი წიგნების გაყიდვით, მოგვიანებით (1942-44) ნიუ-ჯერსის ქალთა კოლეჯში და შემდეგ ჰარდ-კოლეჯში (კოლუმბიის უნივერსიტეტი) მასწავლებლობით ირჩენდა თავს.

1944 წელს მიიღო სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და ჩიკაგოს უნივერსიტეტში მუშაობისას იყო ეკონომიკური გამოკვლევების კოულზის კომისიის მკვლევარი-კონსულტანტი. მსოფლიოს საქმეთა ინსტიტუტში მთავარი სტატისტიკოსი გახდა.

1949-1961 წლებში მას სხვადასხვა დროს ჩიკაგოსა და ილინოისის უნივერსიტეტებში, კარნეგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტსა და ნორთვესტერნის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობა ეკავა. 1962 წლიდან იგი მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორია.

ცნობილი პედაგოგების მსგავსად, მოდილიანიმ ბევრი კარგი სპეციალისტი აღზარდა, მაგრამ საკუთარი სკოლა არ დაუარსებია.

ფ.მოდილიანი იყო ამერიკის ეკონომიკური და ფინანსური ასოციაციების და ეკონომეტრიკული საზოგადოების წევრი, ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს კონსულტანტი (1966), იტალიის ეკონომიკური საზოგადოების წევრი, ჩიკაგოს, ლუფენის (ბელგია) და სხვა უნივერსიტეტების საპატიო სამეცნიერო ხარისხების მფლობელი.

1985 წელს მისი ღვაწლი **ეკონომიკაში ნობელის პრემიით** იქნა აღიარებული (საზოგადოებაში ადამიანთა ქცევების, დანაზოგებისა და ფინანსური ბაზრების ანალიზში შეტანილი წვლილისათვის).

---

1 Politicies for Prosperity: Essays in a Keynesian Mode. Brighton, 1987.

2.1.1. ნეოკლასიკური და კეინზური დოქტრინების ინტეგრირების მცდელობა

ფ.მოდილიანი ნეოკლასიკურ ეკონომიკურ დოქტრინასთან და მათ შორის მონეტარულ ანალიზთან კეინზური თეორიის ინტეგრირებას ცდილობდა. ზოგიერთის აზრით, იგი უფრო მეტად კეინზელია, რადგანაც თავისი მაკროეკონომიკა კეინზის „სამშენებლო ბლოკებისაგან" ააგო. მოკლევადიანი ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილიზაციის შესაძლებლობასა და აუცილებლობაში ყოველთვის ღრმად დარწმუნებული რჩებოდა, თუმცა, 60-იან წლებში ამ პოლიტიკის ინფლაციური შედეგებისათვის ანალიტიკურად მოუმზადებელი იყო. 70-იან წლებში იგი მონაწილეობდა სტოკჰოლმის ეკონომიკურ პროექტში, რომელიც შვედეთის მაკროეკონომიკური მოდელის შექმნას ითვალისწინებდა.

ფ.მოდილიანი არასოდეს არ იყო დოგმატიკოსი ჯენაროსანი. მას ვერაინ ვერ დაადანაშაულებდა ეკონომიკური მერყეობებისას საკალუტო პოლიტიკის მნიშვნელობის გადაფასებაში. გარდა ამისა, ძნელია მისი სოციალური და პოლიტიკური დამოკიდებულებების განსხვავება სწავლულისათვის დამახასიათებელი პუბლიკაციებისაგან. როგორც ბევრ შემთხვევაში, მისი მეცნიერული ღვაწლიც ამ აზრებისა და, ფაქტობრივად მისი კეინზური წარმომავლობისაგან მთლიანად დამოუკიდებელია.

2.1.2. „ცხოვრების ციკლი"

თავისი თაობის ბევრი წამყვანი ამერიკელი ეკონომისტის მსგავსად, მოდილიანი წიგნების ავტორი არ იყო. მისი „სტატიების კრებული"[1] სამი ტომისაგან შედგება. ბევრი მათგანი თანაავტორებთან ერთადაა დაწერილი, რომელთა უმეტესობა მისი ყოფილი სტუდენტებია.

მოდილიანი ადრევე მიხვდა, რომ კეინზურ მოდელში მუდმივი უმუშევრობა ძირითადად ხელფასების სიმყარითაა გამოწვეული. ამ ხედვამ იგი კეინზისა და მისი წინამორბედების ტრადიციებთან დააახლოვა.

მოდილიანი თავის განსაკუთრებულ მოვალეობას კეინზური მოდელების ემპირიული განხორციელების გაუმჯობესებაში — ეკონომიკური აგენტების ოპტიმალური ქცევისაგან მათ გაერთიანებულ ქცევასა და მოქმედებაში ხედავდა.

ფ.მოდილიანის მრავალმხრივ საინტერესო სტატიებიდან განსაკუთრებით სამია უმნიშვნელოვანესი. მათგან ერთი - „ლიკვიდურობის უპირატესობა და სარგებლისა და ფულის თეორია" (1944) სარგებლის განაკვეთის ვადის სტრუქტურას ეხება. ჩვეულებრივ, დაშვებული იყო, რომ თამასუქის მფლობელისათვის ვალის გადახდის ვადამდე რისკი დროსთან ერთად იზრდება. მოდილიანი მიხვდა, რომ ეს მთლად სწორი არ იყო. თუკი მეანაბრეს ნაღდი ფული სამ თვეში ესაჭიროება, რასაკირველია, სამთვიანი სახაზინო თამასუქი ურისკოა, მაშინ როდესაც ასეთ პირობებში ათწლიანი ვალდებულებაა რისკიანი. თუმცა, თუ მეანაბრე თანხას ათი წლის შემდეგ მოითხოვს, მაშინ ათწლიანი ობლიგაცია ურისკოა, ხოლო სამთვიანი სახაზინო თამასუქი მნიშვნელოვან ზარალს გამოიწვევდა.

ამგვარად, რისკის ფასი, როგორც ჩანს, ნაღდი ფულის მიღების შესაფერის დროზეა დამოკიდებული, რომელსაც მოდილიანი მეანაბრეთა პრეფერენციებულ ბუნებრივ გარემოს უწოდებს.

პრეფერენციებული ბუნებრივი გარემოს თეორიის მიხედვით, მიწოდებაში ვადის სტრუქტურის ცვლილებები შესაძლებელია სათამასუქო ვალების გადახდის ვადის სტრუქტურის შეცვლაშიც გამოვლინდეს. ფაქტობრივად, მან თავისი მიდგომა ასეთი ცვლილებების გამოკვლევას მიუძღვნა.

მოდილიანმა დასვა კითხვა: ფასიანი ქაღალდების მოწოდებაში ცვლილებას შეუძლია თუ არა თამასუქების ვადიანობის სტრუქტურაში შესამჩნევი ცვლილებების წარმოშობა?

მისი ემპირიული ანალიზით ეს შეუძლებელია, რადგანაც „მოქმედი ცვლილება" არაეფექტიანი იყო. ასეთი ოპერაციების გარშემო შექმნილი აჟიოტაჟი ამ შედეგით მნიშვნელოვნად შემცირდა.

მოდილიანმა შექმნა „ცხოვრების ციკლის" მოდელი, რომელშიც გააანალიზა პირადი დანაზოგების წარმოქმნის მიზეზები. მისი მტკიცებით: დანაზოგების გაკეთების მოტივი ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაა. ამ პრობლემებს მიეძღვნა მისი ნაშრომები: „დანაზოგები-შემოსავლის მერყეობა" (1949), „სარგებლიანობის ანალიზი და სამომხმარებლო ფუნქცია" (1954), „დანაზოგების

1 Modigliani Franco, Collected Papers, 3 vols, Cambr., 1980.

ჰიპოთეზა ცხოვრების ციკლის პროცესში: აგრეგირებული გამოყენება და ტესტირება" (1963, თანაავტ. ლ.ალდო) და სხვ. ამ ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული საპენსიო პროგრამების შექმნაში. მიღებული დასკვნები მოდილიანიმ გამოიყენა სტატიაში: „**დანაზოგების ჰიპოთეზა ცხოვრების ციკლის პროცესში და ქვეყნებს შორის დანაზოგების კოეფიციენტებში განსხვავებები**" (1970), რათა ეჩვენებინა საერთაშორისო დონეზე დანაზოგების ნორმებში განსხვავებები.

ამ პუბლიკაციებში ავტორი გვიჩვენებს, რომ დანაზოგების ნორმა მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის ზრდის ტემპთან, რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა თაობის ადამიანთა (შრომისუნარიანების, პენსიონერთა) თანაფარდობაზე; ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი ზრდის დასაქმებულთა შემოსავლებს და დანაზოგების ნორმასაც.

მოდილიანის ყველაზე ფუნდამენტალური ნაშრომები „**ცხოვრების ციკლში მოხმარების ჰიპოთეზას**" ეხება. კეინზური ადრეული მოხმარების ფუნქციები, რომელიც მიმდინარე მოხმარებას მიმდინარე შემოსავალთან აკავშირებდა, ომისშემდგომ პერიოდში გაუთვალისწინებელ დიდ მოხმარებაში გამოვლინდა. ნავარაუდევია, რომ პიროვნება მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე მოხმარებას და მემკვიდრეობით მიღებული ქონების სარგებლიანობას მაქსიმალურად ზრდის. მთავარი ის იყო, რომ მოცემული წლის მოხმარება არა იმავე წლის შემოსავალზე, არამედ უშუალოდ მთელი ცხოვრების მოსალოდნელ შემოსავალზეა დამოკიდებული. კერძოდ, კონკრეტული ოჯახის დანაზოგი მაშინ გამოჩნდება, როდესაც მიმდინარე შემოსავალი დაგეგმილ მოხმარებას გადააჭარბებს.

მოდილიანის მოდელში მოხმარების ფუნქცია მიმდინარე მოხმარებაზე, მიმდინარე შემოსავალსა და ფულად „ანაბრებზეა" დამოკიდებული. განვითარებად ეკონომიკაში მოცემული შემოსავლების პირობებში ოჯახის შემოსავლის მატება-კლება და ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურასთან დანაზოგის დაკავშირება ინდივიდუალური ოპტიმიზაციისაგან მიღებული მაკროეკონომიკური ქცევის ფუნქციის პირველსახე გახდა.

2.2. მერტონ მილერი (1923-2003)

ამერიკელი ეკონომისტი **მერტონ მილერი** (Miller) დაიბადა ბოსტონში. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი (1943), დოქტორის ხარისხი მიიღო ბალტიმორის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში (1952), ასწავლიდა ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში (1952-53), შემდეგ კარნეგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. აქ მისი კოლეგა იყო ფ.მოდილიანი. მასთან ერთად დაწერა სტატიები[1] კორპორაციული ფინანსების საკითხებზე: „<u>კაპიტალის ღირებულება, კორპორაციების ფინანსები და ინვესტიციების თეორია</u>" (1958), „<u>დივიდენდების პოლიტიკა და საბაზრო შეფასება</u>" (1963) და სხვ.

მ.მილერის მტკიცებით, სრულყოფილ ბაზრებზე: ფირმის ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი რეალური აქტივებით და არა მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებით; ჩვეულებრივი აქციებიდან შემოსავალი ფირმის მთლიან ვალდებულებებსა და აქციონერულ კაპიტალს შორის თანაფარდობის პროპორციულად იზრდება; ფირმის მიერ დივიდენდების გადახდის პოლიტიკა ბირჟაზე მისი აქციების კურსის შეფასებაზე არ მოქმედებს; სხვადასხვა გადასახადი ფირმის კაპიტალის სტრუქტურასა მის საბაზრო ფასს შორის თანაფარდობაზე გავლენას ახდენს.

მ.მილერი 1976 წ. იყო ამერიკის ფინანსური ასოციაციის პრეზიდენტი. მას 1990 წელს მიენიჭა ეკონომიკაში **ნობელის პრემია** ამერიკელ ეკონომისტებთან გარი **მარკოვიცთან** და უილიამ შარპთან (Sharpe) ერთად კორპორაციული დაფინანსების (მარკოვიცს – პორტფელური ინვესტიციების არჩევანის, შარპს – ფინანსური აქტივების ფასების ჩამოუყალიბებლობის) თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისათვის.

---

1 **Miller** M.: The Cost of Capital, Corporation Finance and the Theory of Investment - American Economic Review, Vol. 48, 1958; Divident Policy and Market Valuation: A Reply - Journal of Business, 1963.

2.3. მოდილიან-მილერის (MM) თეორემა

50-იან წლებში კარნეგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დროს მოდილიანი მილერთან ერთად იკვლევდა წარმოების ოპტიმალურობის პრობლემებს. მათ ერთობლივ ნაშრომში „კაპიტალის ღირებულება, კორპორაციების დაფინანსების და ინვესტიციების თეორია“ (1958)[1] ნაჩვენებია, რომ რაციონალური ინვესტორი მხოლოდ მომავალ მოგებიანობას ითვალისწინებს და არა მისი ვალის მასშტაბებსა და სტრუქტურას.

ასეთმა მიდგომამ 60-70-იან წლებში მაკროეკონომიკურ თეორიაში „რაციონალური მოლოდინის“ სკოლის წარმოშობას დაუდო საფუძველი.

ამ თეორიამ მოდილიანი-მილერის (MM) თეორემის[2] სახელწოდება მიიღო. ფ.მოდილიანიმ და მ.მილერმა ცხადყვეს, რომ აუცილებელია ინვესტორს პორტფელში ჰქონდეს სხვადასხვა ფასიანი ქაღალდი, რომლითაც მოსალოდნელ რისკებს დაბალანსებს და შემოსავლების საიმედოობას უზრუნველყოფს. მათი თეორემა სრულყოფილ ბაზარზე ფირმის მდგომარეობას ეხება და შეიცავს „აქციას“ (ქონების ნაწილს კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ) და ვალს, სადაც ყველას გარკვეული სარგებლით სესხება ან გასესხება შეუძლია. ასეთ ბაზარში, ინდივიდუალურ მეანაბრეებს ვალისა და „აქციის“ ნებისმიერი პროპორციით (ფირმის ფინანსური სტრუქტურის მიუხედავად) სესხების ან გასესხების საშუალებით თავიანთი თავის უზრუნველყოფა შეუძლიათ.

3. პორტფელური ინვესტირების მოდელი: ბარი მარკოვიცი

ნობელის პრემიის ლაურეატი (1990) ამერიკელი ეკონომისტი გარი მაქს მარკოვიცი (Markowitz)[3] 1927 წ. ჩიკაგოში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ შეიდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში ფილოსოფიის შესასწავლად. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ სწავლა ეკონომიკის ფაკულტეტზე გააგრძელა. მის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჯ. ფონ ნეიმანის, ო.მორგენშტერნის და სხვ. იდეები სარგებლიანობის შესახებ. ჩიკაგოს უნივერსიტეტში მას ასწავლიდნენ მ.ფრიდმანი, ტ.კუპმანსი.

გ.მარკოვიცის სადოქტორო დისერტაცია ეძღვნებოდა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მათემატიკის გამოყენების შესაძლებლობებს. მუშაობის პროცესში მას ძირითადად ჩამოუყალიბდა „პორტფელური ინვესტიციების მოდელის იდეები“, რისთვისაც მას საბოლოოდ ნობელის პრემია მიენიჭა.

მისი აზრით, მომავალში აქციების ღირებულებას დივიდენდების მოსალოდნელი სიდიდე განსაზღვრავს. აქედან დასკვნა: თუ ინვესტორს ფასიანი ქაღალდების მხოლოდ მოსალოდნელი ღირებულება აინტერესებს, მაშინ მას „პორტფელში“ მხოლოდ აქციების მოსალოდნელი ღირებულება დააინტერესებს და ამიტომ, პორტფელური ინვესტიციებიდან მაქსიმალური შემოსავლის მისაღებად, თითქოს კაპიტალი მხოლოდ ერთი სახეობის ფასიან ქაღალდში უნდა დაბანდოს.

მარკოვიცი ხედავდა, რომ ეს მტკიცება ეწინააღმდეგებოდა არსებულ პრაქტიკას, როცა ინვესტორები ამჯობინებენ გაამრავალფეროვნონ კაპიტალის დაბანდება, ვინაიდან საქმე აქვთ ასეთივე მასშტაბის რისკთანაც და მოგებასთანაც. ამიტომ, მარკოვიცის ლოგიკით, ინვესტორები არჩევანს აკეთებენ რისკისა და მოგების სიდიდეთა კომბინაციაზე.

ამ საკითხზე მისი პირველი სტატია „პორტფელური ინვესტიციების არჩევა“ (1952)[4] იყო, ხოლო ვრცელი ვარიანტი წარმოადგინა მონოგრაფიაში „პორტფელის არჩევა: ინვესტიციების ეფექტიანი დივერსიფიკაცია“ (1959)[5], რომელიც სულ მალე აღიარეს. წიგნში გადმოცემული თეორიის მიხედვით, სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში კაპიტალის ეფექტიანი ინვესტირება, განუსაზღვრელობის პირობებში დიფერენცირებულია რისკიანობისა და მოსალოდნელი მოგების მიხედვით, რათა რისკი მინიმუმამდე შემცირეს.

---

1 Сколько стоит фирма? Теорема MM, M., 1999.

2 იხ. ზემოაღნ. კრებული, ტ.3, თავი 1-3.

3 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერიპეტუმ-მობილე, გვ. 219-225.

4 Portfolio selection – The J. of Finance, 03/1952.

5 Portfolio selection: efficient diversification of Investments, 1959..

აქედან გამომდინარეობდა, რომ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების რისკიანობისადმი არსებითი მოშენტია არა იზოლირებულად ყოველი აქციის რისკის გათვალისწინება, არამედ ფასიანი ქაღალდების ყოველი სახეობის წილის გაზომვა მთლიანად ინვესტიციური პორტფელის რისკში. თუმცა, რისკი მთლიანად სრულად ვერ გამოირიცხება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ტიპის ფასიანი ქაღალდია წარმოდგენილი „პორტფელში".

გ.მარკოვიცის შრომებმა „პორტფელური ინვესტიციების მოდელში" შესაძლებელი გახადა თანამედროვე ფინანსური ბაზრების მიკროანალიზი.

მარკოვიცი იყო კალიფორნიის (1968-69) და პენსილვანიის (1973-83) უნივერსიტეტებში ფინანსების პროფესორი, ხოლო 1983 წლიდან რუთჯერის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ფინანსების სპატიო პროფესორია.

ნობელის პრემია მიენიჭა მ.მილერთან და უ.შარპთან ერთად „ნოვატორული შრომებისათვის ფინანსურ ეკონომიკაში." მარკოვიცს ეს პრემია მიენიჭა „პორტფელური ინვესტიციების არჩევის თეორიის შექმნისათვის".

გ.მარკოვიცი არის ამერიკის ფინანსური ასოციაციის პრეზიდენტი.

4. ფინანსური აქტივების ფასების ჩამოყალიბება: უილიამ შარპი

ამერიკელი ნობელიანტი-ეკონომისტი უილიამ ფ.შარპი (Sharpe) დაიბადა 1934 წ. ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი). 1951 წელს შევიდა კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გადავიდა საუნივერსიტეტო ქალაქში ლოს-ანჯელესში და მომავალ სპეციალობად ბიზნესის მართვა აირჩია. შარპი გაიტაცა მიკროეკონომიკამ. უნივერსიტეტში მასზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ფინანსების პროფესორმა ჯ.ფ.უესტონმა, რომელმაც შემდგომში გ.მარკოვიცთან ერთად შარპი ჩართო იმ თემაში სამუშაოდ, რომლისთვისაც მომავალში ორივემ ნობელის პრემია მიიღო.

1955 წელს შარპმა მიიღო ბაკალავრის, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი მაგისტრის ხარისხი „ეკონომიკის" სპეციალობაში.

1961 წელს შარპმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია კალიფორნიის უნივერსიტეტში „ტრანსფერული ფასების ეკონომიკა". დისერტაციაში გამოიკვლია ინვესტიციური პორტფელის ასპექტები, რომელიც მარკოვიცის მიერ 1952 წელს შემუშავებულ მოდელს ემყარებოდა. მოგვიანებით მას ეწოდა ერთფაქტორიანი მოდელი.

1961-68 წწ. წელს შარპი მუშაობდა ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულ ბიზნესის სკოლაში (ქ.სიეტლში). იგი ასწავლიდა მიკროეკონომიკას, ფინანსების თეორიას.

შარპმა პირველად გამოაქვეყნა სადისერტაციო შრომის ძირითადი იდეები სტატიაში **„ინვესტიციური პორტფელის ანალიზის გამარტივებული მოდელი"** (1963)[2]. შარპის დასკვნით, ერთფაქტორიანი მოდელის ანალიზის ანალოგიური შედეგები შეიძლება მიღებულ იქნეს მრავალი ფაქტორის გათვალისწინებითაც, რომლებიც გავლენას ახდენენ შემოსავლებზე ფასიანი ქაღალდებიდან.

თავისი ახალი დასკვნა მან გამოაქვეყნა სტატიაში **„კაპიტალური აქტივების ფასი. საბაზრო წონასწორობის თეორია რისკის პირობებში"** (1964)[3].

შარპის მიერ დამუშავებული მოდელის მიხედვით, აქციების ინდივიდუალურმა მფლობელმა შეიძლება თავიდან აიცილოს რისკი ნასესხები კაპიტალისა და რისკიანი ფასიანი ქაღალდების პორტფელის კომბინაციის გზით.

შარპის მოდელის მიხედვით, **რისკიანი ფასიანი ქაღალდების ოპტიმალური პორტფელის სტრუქტურა დამოკიდებულია ინვესტორის მიერ სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდების მომავალი პერსპექტივების შეფასებაზე.**

---

1 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 232-238.

2 A Simplified Model for Portfilio analysis - Management Science, №9, 1963.

3 Capital asset prices – J. of Finance, №9, 1964.

შარპის მოდელი ფინანსურ ბაზრებზე ფასწარმოქმნის თანამედროვე თეორიის საფუძველია. მას ფართოდ იყენებენ პრაქტიკულ გამოკვლევებში, სადაც პრემია რისკისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

გ.მარკოვიცის ინვესტიციური პორტფელის მოდელთან ერთად, კაპიტალური აქტივების ფასწარმოქმნის შარპის მოდელი შეტანილია ფინანსური ეკონომიკის ბევრ სახელმძღვანელოში.

1970 წელს შარპი მიიწვიეს ლექტორად სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებულ ბიზნესის უმაღლეს სკოლაში. ცოტა ხნით ადრე მან გამოსცა წიგნი „**ინვესტიციების პორტფელის თეორია და კაპიტალის ბაზრები**“ (1970)[1], რომელშიც განხილულია ფინანსური ბაზრების თეორიის ძირითადი იდეები.

70-იანი წლების შუახანებიდან შარპმა დაიწყო საინვესტიციო პოლიტიკის როლის შესწავლა საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფონდებისათვის. მის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოში „**ინვესტიციები**“ (1978)[2] განზოგადებულია ამ თემის სხვადასხვაგვარი ემპირიული და თეორიული მასალა. წიგნის შემოკლებული ვარიანტია „**ინვესტირების საფუძვლები**“ (1989)[3].

შარპმა აგრეთვე შეისწავლა დეპოზიტების დაზღვევასა და კრედიტების გადაუხდელობის რისკს შორის კავშირი.

1980 წელს შარპი აირჩიეს ამერიკის ფინანსური ასოციაციის პრეზიდენტად.

1990 წ. ეკონომიკაში ნობელის პრემია მიიღო გ.მარკოვიცსა და მ.მილერთან ერთად „**ფინანსური აქტივების ფასების ჩამოყალიბების თეორიაში წვლილისათვის**“. ნობელიანტი შარპის ლექცია (7.12.1990) საფონდო ბაზრის დოქტრინას მიეძღვნა, რომლის დამუშავებასაც მან მეოთხედ საუკუნეზე მეტი მოანდომა[4].

5. მეორეული ფასიანი ქაღალდების შეფასება და ოფციონების ფასწარმოქმნის საკითხები

5.1. მაირონ სკოულზი

1997 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, ამერიკელი ეკონომისტი მაირონ **სკოულზი** (Scholes) დაიბადა 1941 წ ქ.ტიმინსში (კანადა).

განათლება ჩიკაგოს უნივერსიტეტში მიიღო. მის არჩევანზე (ფინანსების ეკონომიკა, სტატისტიკა და ეკონომიკური თეორია) გავლენა იქონიეს ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორებმა მერტონ მილერმა და ეჟენ ფამმა.

1968-72 წწ. სკოულზი მოღვაწეობდა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (მტი). 1969 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი (ph.d.). 1972 წელს რობერტ მერტონთან ერთად ამუშავებდა საფონდო ბაზრის მათემატიკურ მოდელებს. 1973 წელს სკოულზი დაბრუნდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში. შემდგომში არის ბიზნესის უმაღლეს სკოლაში ფინანსების პროფესორი, სტენფორდის უნივერსიტეტთან არსებული ჰუვერის[5] ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

60-იანი წლების ბოლოდან სკოულზმა ვარანტების[6] (უფლებამოსილების) ფასწარმოქმნის პრობლემების შესწავლა დაიწყო. ასე ეწოდება დოკუმენტებს, რომლებიც მათ მფლობელს უფლებას აძლევს შეიძინოს აქციონერული კაპიტალის წილი. ეს ოპერაცია გრძელვადიანი ოფციონის შეძენის

---

1 Portfolio theory and capital markets, 1970.

2 Инвестиций, რუს. თარგმ., М., 1997.

3 Fundamentals of investments, 1989.

4 Всемирная экономическая мысль, т. V, кн.I, М., 2004, გვ. 649.

5 **ჰუვერი** (Hoover) ჰერბერტ კლარკი (1874-1964) – აშშ-ის 31-ე პრეზიდენტი (1929-33). „დიდი დეპრესიის“ პერიოდში იცავდა მონოპოლიების ინტერესებს. ეხმარებოდა გერმანიას სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენაში.

6 **ვარანტი** (ინგლ. warranty – გარანტია, თავდები) – საქონლის შესანახად მიღებისას (წონის, ხარისხის, რაოდენობის მითითებით) გაცემული მოწმობა.

ანალოგიურია, ოღონდ უკანასკნელისაგან განსხვავებით, კომპანია ვარანტებს უშვებს აქციების ახალ ემისიაზე, მაშინ, როცა ოფციონი მიეკუთვნება საფონდო ბაზრის აქციებს.

1968 წლის ზაფხულში სკოულზი მონაწილეობდა სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი ბანკის კვლევით პროექტში. სწორედ მაშინ შეხვდა იგი ფიშერ ბლეკს, რომელიც მუშაობდა ერთ-ერთი კერძო ფირმის კონსულტანტად ქ.კემბრიჯში (მასაჩუსეტსის შტატი). ბლეკთან საუბარმა გამოაცოცხლინა მათი მეცნიერული ინტერესების თანხვედრა. ამ დროიდან დაიწყო მათი მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა, რაც დამთავრდა ე.წ. „ბლეკ-სკოულზის მოდელის" დამუშავებით.

ახალგაზრდა მეცნიერებმა დაიწყეს ფასწარმოქმნის მოდელის ტესტირება კაპიტალური აქტივებისათვის (რომელიც დაამუშავა უ.შარპმა), რათა გაეგოთ, შეიძლებოდა თუ არა მისი გამოყენება ვარანტის ფასწარმოქმნის მოდელის ასაგებად.

სკოულზის დასკვნით, შეუძლებელია მოდელის გამოყენება ჩვეულებრივ აქციებზე მოსალოდნელი მოგების განსაზღვრისათვის. საეჭვო არ იყო, რომ ვარანტის მოსალოდნელი მოგება არ შეიძლება იყოს მუდმივი სიდიდე, ვინაიდან ვარანტის რისკი კაპიტალის ფასის ცვლილებებსა და დროში ცვლილებებთან ერთად მერყეობს.

პარალელურად ბლეკი კაპიტალური აქტივებისათვის ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენების შესაძლებლობას ანალიზებდა, რათა აღეწერა ურთიერთობა, ერთი მხრივ, ვარანტზე მოსალოდნელ შემოსავალსა და ბაზარს შორის, და ჩვეულებრივ აქციებზე შემოსავალსა და ბაზარს შორის, მეორე მხრივ.

1969 წლის ბოლოს სკოულზმა მეცნიერული კონტაქტები დაამყარა რობერტ მერტონთან, რომელიც მუშაობდა მტი-ში და იკვლევდა ფასწარმოქმნის მოდელის დინამიკურ მოდელებს კაპიტალური აქტივებისათვის. მაგრამ სკოულზი მერტონს ვარანტის პრობლემაზე თავისი და ბლეკის მუშაობის დეტალებს არ უზიარებდა. ამასობაში იმავე წელს გამოქვეყნდა რ.მერტონისა და პ.სამუელსონის ერთობლივი სტატია ვარანტების ღირებულების შეფასების შესახებ — „ვარანტის ფასწარმოქმნის სრული მოდელი, რომელიც სარგებლიანობის მაქსიმიზაციას ახდენს"[1].

სკოულზისა და ბლეკის გამოკვლევების შედეგების პირველი განხილვა შედგა კაპიტალის რისკის თეორიის შესახებ 1970 წელს გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე. თუმცა მერტონმა ვერ შეძლო ამ კონფერენციაში მონაწილეობა, მან დიდი ინტერესი გამოიჩინა ოფციონების „დერივატივების", ანუ მეორეული ფასიანი ქაღალდების რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიისადმი, რომელიც დაამუშავეს ბლეკმა და სკოულზმა და მომდევნო, ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად შესთავაზა ოფციონების ღირებულების განსაზღვრის ფორმულის გამოყვანის საკვანძო იდეა, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „ბლეკ-სკოულზის ფორმულა". ბლეკ-სკოულზის დამუშავების შეთავსებით ოფციონების ფასწარმოქმნის საკუთარ გამოკვლევებთან, მერტონმა ფორმულის საბოლოო ვერსიას უწოდა „ოფციონების ფასწარმოქმნის ბლეკ-სკოულზის მოდელი". ბლეკ-სკოულზისა და მერტონის მეთოდს ეწოდება აგრეთვე „ფასწარმოქმნის თეორია ოფციონების ბაზარზე".

1970 წლის ოქტომბერში, როდესაც სკოულზმა და ბლეკმა სცადეს კვლევის შედეგების ამსახველი სტატია „ოფციონების, ვარანტებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ღირებულების შეფასების თეორიული ფორმულა", არც ერთმა ეკონომიკურმა ჟურნალმა არ გამოიჩინა ინტერესი. მხოლოდ მ.მილერისა და ა.ფამის მხარდაჭერით „პოლიტიკური ეკონომიის ჟურნალმა" 1973 წელს გამოაქვეყნა იგი სახელწოდებით „ოფციონების ფასწარმოქმნა და აქციონერული ვალდებულებები"[2].

ბლეკ-სკოულზის ფორმულით წინასწარ განისაზღვრებოდა ოფციონიდან — კონტრაქტიდან მოსალოდნელი მოგება და მისი დამოკიდებულება გარიგების ყველა პარამეტრზე. ფორმულის მიხედვით, ყიდვაზე ოფციონის ფასის განსაზღვრა შეიძლებოდა აქციის მოსალოდნელი ფასის სიდიდესა და მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობას შორის სხვაობით.

ბლეკ-სკოულზის ფორმულით ოფციონის ფასი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია ამ მომენტში აქციის ფასი და მოსალოდნელი დივიდენდები.

ოფციონების ფასწარმოქმნის ფორმულის „აღმოჩენა", ისე, როგორც მერტონის შრომები

1 Samuelson P., Merton R.,: A Complete Model of Warrant Pricing that Maximized Utility – Industrial Management Reviev, 1969.

2 The Pricing of Options and Corporate Liabllinites – J. of Pol. Ec., №81, 1973.

ოფციონის ფასის განსაზღვრის შესახებ, ასტიმულირებდა ფინანსური დერივატივების თეორიულ და გამოყენებით გამოკვლევებს.

სკოულზის, ბლეკისა და მერტონის შრომების წყალობით, 1973 წელს ჩიკაგოს ორმა საქონლურმა ბირჟამ ფასიანი ქაღალდების ფინანსური ოფციონებისა და ფიუჩერსული კონტრაქტების ბაზრის შექმნის ინიცირება მოაწყო, აქედან დერივატივებით ვაჭრობის ტექნოლოგია გავრცელდა ევროპისა და აზიის ფინანსურ ბაზრებზე.

70-იანი წლების შუახანიდან შეიმჩნეოდა ფინანსური დერივატივების ზრდა, რომლითაც ორგანიზებულ ბირჟებზე ვაჭრობდნენ; 80-იანი წლების შუახანიდან მძაფრად განვითარდა ფასიანი ქაღალდების ე.წ. ბირჟისგარეშე, ანუ არარეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ამ პერიოდის გამოკვლევები გამოქვეყნდა წიგნში: **„გადასახადები და ბიზნესი: დაგეგმვისადმი მიდგომები"** (1991)[1].

აკადემიური მეცნიერების სფეროში უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა გამოკვლევების სერიოზული გაფართოება ამ პრობლემატიკაზე.

სკოულზისა და მისი კოლეგების ბლეკისა და მერტონის მეთოდი განუსაზღვრელობის პირობებში ხელს უწყობდა საკრედიტო-ფინანსური სფეროს მეშვეობით ფინანსური რესურსების მობილიზაციის პრობლემებისადმი უფრო ღრმა მიდგომების დამკვიდრებას.

ნობელის პრემია მიენიჭა **„მეორეული ფასიანი ქაღალდების შეფასების ახალი მეთოდის შემუშავებისათვის"**, რ.მერტონთან ერთად (1997).

5.2. რობერტ მერტონი

ამერიკელი ეკონომისტი რობერტ მერტონი (Merton)[2] დაიბადა 1944 წ. ნიუ-იორკში. ბაკალავრის დიპლომით მათემატიკაში დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი (1966 წ.), ერთი წლის შემდეგ მიიღო კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მაგისტრის დიპლომი „გამოყენებითი მათემატიკის" სპეციალობით.

1970 წელს დისერტაცია მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში (მტი) დაიცვა. მუშაობდა: ეკონომიკის მასწავლებლად, ფინანსებისა და მენეჯმენტის ასისტენტ-პროფესორად, სრულ პროფესორად მტი-ში (1969-80 წწ.). 1979 წლიდან იყო ეკონომიკურ კვლევათა ეროვნული ბიუროს (ეკებ) დირექტორი. 1980 წლიდან მენეჯმენტის პროფესორია მტი-თან არსებულ მენეჯმენტის სკოლაში, შემდგომში ჰარვარდის უნივერსიტეტთან (ბოსტონი) არსებული ბიზნეს-ადმინისტრაციის უმაღლესი სკოლაში მართვის პროფესორად.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში გარიგებების მონაწილეთათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება ფინანსურ ბაზრებზე გარიგების რისკის ხარისხის წინასწარ შეფასებას, კერძოდ, ე.წ. ოფციონების ბაზრებზე (საფონდო ბირჟის ბაზრის ნაირსახეობა, სადაც მიმოიქცევა ე.წ. ოფციონები[3], ანუ რაიმე სახის ფინანსური აქტივების ყიდვის ან გაყიდვის კონტრაქტები გარკვეული დროით).

ოფციონებისა და ე.წ. მეორეული ფასიანი ქაღალდების ბაზრები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თავი დაიზღვიონ ზარალისაგან გარკვეული დონის ზევით. ჩანაფიქრით ოფციონები ცალმხრივი რისკისაგან თავის დაზღვევის საშუალებას და მომავალში მოგების გარკვეულ გარანტიას იძლევა.

ოფციონების ბაზრები თავისი პირვანდელი სახით გამოჩნდა 70-იან წლებში აშშ-ში, ხოლო შემდეგ კი — საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზეც.

ოფციონების საგანი შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა ფინანსური აქტივები: სავალუტო კონტრაქტები, ფასიანი ქაღალდები...

ოფციონი მის მფლობელს საშუალებას აძლევს ნაღდ ანგარიშზე მოახდინოს გარიგება გარკვეულ ფინანსურ აქტივებთან ნებისმიერ მომენტში ოფციონის მოქმედების ვადის გასვლამდე (ე.წ. **ამერიკული ოფციონი**) ან მხოლოდ ამ ვადის გასვლის მომენტში (ე.წ. **ევროპული ოფციონი**).

---

1 Taxes and Busines Strategy: A Planning Approach, 1991 (მ.ჯოლსონთან ერთად).

2 ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, გვ. 296-303.

3 **ოფციონი** (გერმ. Option – არჩევა, შერჩევა) – შეთანხმება ბირჟაზე, როდესაც ერთ-ერთი მონაწილე მეორე მხარეს ხელშეკრულების ალტერნატიული პირობების ამორჩევის შესაძლებლობას აძლევს.

ყიდვის ოფციონი აძლევს უფლებას, მაგრამ ამასთანავე არ აკისრებს აქტივების შეძენის ვალდებულებას ბირჟის ფიქსირებული ფასით, ხოლო გაყიდვის ოფციონი იძლევა მათი გაყიდვის უფლებას.

ოფციონები, როგორც უზრუნველყოფის საშუალებები, ფრიად მოქნილია. ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებსაც დანიშნულ ვადებში შეუძლიათ იყვნენ ფინანსური აქტივების ხან მყიდველები, ხან გამყიდველები, ოფციონები საშუალებას აძლევს მყისიერად გაერკვნენ ყიდვა-გაყიდვის მაქსიმალურ ან მინიმალურ ფასში, ისე, რომ მოსალოდნელი მოგება არ დააზარალონ.

ოფციონების განსაკუთრებული მნიშვნელობა ფინანსური ბაზრებისთვის გარიგებების ლიკვიდურობის უზრუნველყოფაშია, რითაც პოტენციურ გამყიდველებსა და მყიდველებს საშუალებას აძლევს ადვილად მონახონ კონტრაგენტები (პარტნიორები), რომლებიც თანახმანი არიან დაიკავონ საპირისპირო პოზიცია.

ამჟამად, ფინანსური ბაზრების მოდელირება და ფინანსების მათემატიკური თეორია, რომელთა შესწავლის საგანია განუსაზღვრელი გარემოს პირობებში სხვადასხვაგვარი ფორმის ფინანსური რესურსების განაწილება და გამოყენება - თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ყველაზე დინამიკურად განვითარებული განყოფილებაა.

ფინანსების თანამედროვე თეორიის ჩამოყალიბება, დაწყებული 1950-იანი წლებიდან, დაკავშირებულია ამ სფეროში, უწინარეს ყოვლისა, გ.მარკოვიცის, ფ.მოდილიანის, მ.მილერის, პ.სამუელსონისა და უ.შარპის შრომებთან.

მერტონი განუსაზღვრელობისა და ინფორმაციული ეკონომიკის, მათემატიკური ეკონომიკისა და მოდელირების, ფინანსებისა და ინვესტიციების სფეროს სპეციალისტია. მისი ფუნდამენტური წვლილი ფინანსურ ეკონომიკაში ისაა, რომ მან დაამუშავა ე.წ. „ბლეკ-სკოულზის მოდელის" ახსნის ორიგინალური მეთოდი, რომელსაც იყენებენ ოფციონების „დერივატივების"[1] ან მეორეული ფასიანი ქაღალდების შეფასებისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა მისი ფართო გამოყენება.

„ბლეკ-სკოულზის მოდელი" 1973 წ. შეიქმნა. ფ.ბლეკის და მ.სკოულზის მიერ, როგორც ოფციონის შესაფასებელი ტოლობა. იგი გამოიყენება ფასიანი ქაღალდების პორტფელების ბირჟის გარე ვაჭრობაში და საფონდო ბირჟაზე სხვადასხვა ოფციონებთან ვაჭრობის პირობების შესაბამისობის შესაფასებლად.

ამ მოდელის დამუშავებას სათავე დაუდო ფიშერ ბლეკმა, როდესაც ფასწარმოქმნის მოდელი უ.შარპის კაპიტალური აქტივებისათვის გამოიყენა, რათა ინვესტიციები განხორციელებულიყო მცირე ბრუნვის დროში.

ბლეკისა და სკოულზის მოდელი თავიდან თეორიული ხასიათის იყო და ოფციონის ფასის პრაქტიკულ განსაზღვრასთან არავითარ კავშირში არ იყო.

სწორედ მერტონმა, რომელიც იმ დროს პარალელურად ოფციონების ღირებულებითი შეფასების პრობლემაზე მუშაობდა, მოდელის საკვანძო იდეა წამოაყენა.

რ.მერტონის გამოკვლევები უშუალოდ პრაქტიკული ამოცანებით იყო ნაკარნახევი. თუ 60-იან წლებში ფინანსური ბაზრები აშშ-ში (მსოფლიოში) სტაბილურობითა და მდგრადობით ხასიათდებოდა, რაც ინვესტორებისა და ფერმერებისაგან (რომლებიც ემსახურებიან ფინანსურ ბაზრებს) შესაძლო რისკის გაანგარიშებისათვის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას არ მოითხოვდა, 70-იან წლებში ფინანსურ ბაზრებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ეს ცვლილებები გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა: ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახმა და ვალუტის ფიქსირებული კურსიდან მცურავ კურსზე გადასვლამ, დოლარის დევალვაციამ, მსოფლიო ნავთობის ბაზრებზე ფასწარმოქმნის მექანიზმის შეცვლამ OPEK-ის (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) შექმნის შედეგად, აშშ-ში ინფლაციური პროცესების მნიშვნელოვანმა განვითარებამ, დოუ-ჯონსის სამრეწველო ინდექსის დაცემამ – 1973 წლის 1050-დან 1974 წლის 580-მდე და ამასთან დაკავშირებული რეალური მოგების შემცირებამ საფონდო ბაზარზე. ყველაფერმა ამან ცვალებად ეკონომიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ყურადღება მოითხოვა რისკის მართვის პრობლემებისადმი.

---

1 დერივატი (ლათ. derivatys – გამოყოფილი) – ხელშეკრულება (ოფციონი, ფიუჩერსი), რომელიც ეუბნება ფასიანი ქაღალდების, საქონლის კურსებს; მფლობელს ყიდვა-გაყიდვის ხელსაყრელი ფასის დაზუსტების შესაძლებლობას აძლევს.

მერტონმა აჩვენა, რომ დინამიკურ სავაჭრო სტრატეგიას (რასაც ბლეკი და სკოულზი ოფციონის თანმხლები რისკის კომპენსაციისათვის აწესებდნენ), შეეძლო შემოეთავაზებინა რისკისაგან სრულყოფილი დაცვა. იგი შემდეგში მდგომარეობს: თუ ვინმეს დაზღვევის გარეშე მუდმივად ვაჭრობა შეუძლია, შედეგად დინამიკური სავაჭრო სტრატეგია, რომელიც იყენებს ურისკო ძირითად აქტივებსა და პასივებს, ზუსტად გაიმეორებს ოფციონის გადახდას. აქედან დასკვნა: რომ უწყვეტად წარმოებულ ფინანსურ გარემოში სავაჭრო ოპერაციების ოფციონის ფასმა ბლეკ-სკოულზის მოდელი უნდა დააკმაყოფილოს.

მერტონის მეთოდიკა გადმოცემულია მის ადრინდელ სტატიებში[1] „საინვესტიციო პორტფელის არჩევის ხანგრძლივობა განუსაზღვრელობის პირობებში“ (1969) და „სამომხმარებლო ფუნქციის ოპტიმუმი და საინვესტიციო პორტფელის წესები უწყვეტი დროის მოდელში“ (1971). ამ თემაზე თავის საკვანძო შრომაში – სტატიაში „ოფციონების რაციონალური ფასწარმოქმნის თეორია“ (1973).

მერტონმა არსებითად გააფართოვა ბლეკ-სკოულზის მოდელის გამოყენება სტოქასტიკური (შემთხვევითი ცვლილებების) რისკის თვალსაზრისით. სწორედ მერტონმა დაარქვა მოდელის საბოლოო ვერსიას „ბლეკ-სკოულზის ოფციონების ფასწარმოქმნის მოდელი“.

ამ მეთოდიკის დამუშავებამ, რომელსაც ასევე ეწოდება „ოფციონების ფასწარმოქმნის თეორია“, სათავე დაუდო ფინანსური ბაზრების ანალიზის სრულიად ახალი ტიპის ინსტრუმენტებს და იმდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რისკის მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში, რომ შეფასებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ მეცნიერებაში მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში.

მერტონის შრომებმა, ბლეკისა (გარდაიცვალა 1995 წელს და ამის გამო ვერ დასახელდა ლაურეატთა შორის) და სკოულზის გამოკვლევებთან ერთად, საძირკველი დაუდო მეორეული ფასიანი ქაღალდების ბაზრის სწრაფ ზრდას უკანასკნელ წლებში და ფინანსების მათემატიკური თეორიისა და ფინანსური პრაქტიკის გაერთიანებას. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების პრაქტიკულ საქმიანობასა და ფინანსურ ბაზრებზე.

თუ უკანასკნელი ათწლეულების ძირითადი ტენდენცია ფინანსური სისტემის გლობალიზაციაა, მაშინ ცალკეული ქვეყნების სხვადასხვა ფინანსური სისტემის განხილვა დღის წესრიგში აყენებს საკითხს, შეიძლება თუ არა ეფექტიანი ინტეგრაცია, თუ გვერდს ავუვლით გეოპოლიტიკურ ბარიერებს. ეს ტექნოლოგიები არსებით როლს ასრულებენ ევროპის საევალუტო კავშირის ოპერაციებში.

მერტონს, მ.სკოულზთან ერთად ეკონომიკაში 1997 წ. ნობელის პრემია მიენიჭა „მეორეული ფასიანი ქაღალდების შეფასების ახალი მეთოდის შემუშავებისათვის“[2]. იგი იყო ამერიკის ფინანსური ასოციაციის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი.

ლიტერატურა

ი.ანანიაშვილი, კ.აჩელაშვილი, ი.მესხია, ვლ.პაპავა, ა.სილაგაძე, გ.წერეთელი, მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

ს.ბერაძე, გ..ჭანუყვაძე, ი.კრავცოვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. II, თბ., 1975.

ა.გრიშიკაშვილი, თ.კუდავა, ნ.ოდილავაძე, ნობელიანტი ეკონომისტები, თბ., 2005.

ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ა.სილაგაძის რედ-ით, თბ., 2005.

ჯ.კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, ნაწ. I; თბ., 1996, ნაწ. II, თბ., 1997.

პ.სამუელსონი, ვ.ნორდჰაუსი, ეკონომიკა, მეთხუთმეტე გამოცემა, ტ.1-4, ქართ. მთარგმნელი და რედ-რი პროფ. კ.კლურწკია, თბ., 2000.

ა.სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი, 2001.

1 აშშ-ის უმსხვილესი კომპანიების აქციების კურსების საშუალო მაჩვენებელი, რომელსაც დოუ-ჯონსის ფირმა აქვეყნებს ყოველდღიურად ბირჟის დახურვის მომენტისათვის.

2 იხ. ლიტერატურაში.

ა.სილაგაძე, მ.ჭიაბრიშვილი, თ.ჭიაბრიშვილი, მეცნიერების პერპეტუუმ-მობილე, თბილისი, 2005.

ჯ.ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, წიგნი I, თბ., 1997.

Блауг М., Экономическая мысль в ретроспективе, Пер. с англ.,М., 1994.

Майбурд Е.М.. Введение в историю экономической мысли, М., 1996.

Селигмен Б., Основные течения современной экономической мысли, Пер. с англ., М., 1968.

Усоскин, В.М., Теория денег, М., 1976.

Kaldor N.: Wssays on economic stability and Growth, L., 1960; Essays on value and distribution, L., 1960.

Lerner Abbel P., Essays in Economic Analysis, L., 1953.

Lucas R.: Real Wages, Employment and Inflation – J. of Political Economy, 09, 1969 (ლ.რაპინგთან ერთად); Expectations and the Neutrality of Money - Journal of Economic Theory, vol. 4, 1972; Studies in business-cycle theory, Cambr., 1981; Rational Expectations and Econometric Practice, 2 Vds. Minneapolis. 1981 (ტ.სარჯენტთან ერთად); Models of busines cycles. Yrjo Jansen, Lectures, Oxford, England, 1985; Recursive methods in economic dynamics, Cambr., 1989; საბაზრო ეკონომიკა, თარგმანი პოლონურიდან, თბილისი, 1997; რუს. თარგმ.: Нейтральность денег - "Мировая экономическая мысль", т.V, кн.II, М., 2005.

Markowitz G.: Portfolio selection - The Journal of Finance, 03.1952; Portfolio selection: efficient diversification of investments, Wiley, Yale Univ. Press, 1959; Studies in Process Analysis: Economy-Wide Production Capabilities. Wiley and Sons, 1963; Investment for the Long Run, Philadelphia, 1972; Portfolio Analysis with Factors and Scenarios. Boston, 1980 (თანაავტ.); The Simscript II Programming Language, New York, 1981 (თანაავტ.); Mean-Variance Analysis in Portfolio Choice and Capital Markets, New York, 1987; რუს. თარგმ.: Отраслевые экономико-математические модели. Анализ производственных процессов, თარგმ. ინგლ., М., 1967 (ა.ს.მანთან, ტ.ა.მარშაკთან და სხვ. ერთად); Основы «портфельной теории» - Мировая экономическая мысль, т. V, кн.I, М., 2005.

Merton R.: Lifetime Portfolio Selection Under Uncertaintly: The Continuous-Time Case - Review of Economics and Statistics, №. 51, 08, 1969; A Complete Model of Wariant Pricing that Maximized Utility – Industrial Management Reviev, 1969 (პ.სამუელსონთან ერთად); Optimum Consumption and Portfolio Rules in a Continuous-Time Model – J. of Ec. Theory, № 3, XII,1971; Theory of Rational Option Pricing - Bell Journal of Economics and Management Science, № 4, 1973; An Analytic Derivation of the Cost of Deposit Insurance and Loan Guarantees: An Application of Modern Option Pricing Theory – J. of Banking and Finance, № 1, 1977; Financial Economics – Brown E.C., Solow R.M. (რედ.) Paul Samuelson and modern economic theory, N.Y., 1983; Influence of Mathematical Models in Finance on Practice: Past, Present and Future – Philosophical Transactions of the Royal Society of London, 1994, Vol. 347; Cases in financial engineering: applied studies of financial innovation. Prentice-Hall, 1995; The global financial system: A functional perspective, Boston, 1995; Finance, New-Jersey, 1998; Приложения теории оценки опционов двадцать пять лет спустя – "Мировая экономическая мысль", т.V, кн. I.

Metzler, Lloid A., Three Logs in the Circular Flow of Income - "Income Employment and Public Policy: Essays in Honoy of A.H. Hansen", N.Y., 1848; Collected Papers. Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1973.

Miller M.: The Cost of Capital, Corporation Finance and the Theory of Investment - American Economic Review, Vol. 48, 1958; Divident Policy and Market Valuation: A Reply - Journal of Business, 1963; The Theory of Finance, Hinsdale, 1972 (თანაავტ.); Macroeconomics. A Neoclassical introduction, Home wood, 1974 (ე.ფამთან ერთად); Debt and Texes – J. of Finance, №32, 1977; Сколько стоит фирма? Теорема ММ, ინგლ. თარგმ., М., 1999 (ფ.მოდილიანთან ერთად); Эмиссия облигаций для увеличения капитила – Мировая экономическая мысль, т. V, кн. I, М., 2005.

Modigliani Franco: Collected Papers. Ed. A. Abel. 3 vols., Cambridge, Mass.: MIT Press, 1980; Сколько стоит фирма? Теорема ММ, ინგლ. თარგმ., 1999(გ.მილერთან ერთად); Жизненный цикл, личные сбережения и богатство, ინგლ. თარგმ.,- Мировая экономическая мысль, т. V, М., 2005;

Muth John F. Rational Expectations and the Theory of Price Movements. Econometrica, 29(3), 1961; Rational Expectations and Econometric Practices, I, 1971 (რედ-ბი: რ.ლუკასი და თ.სარჯენტი).

Samuelson, Paul, A.: Fondations of Economic Analysis, Cambr., 1947; Economics: An Introductory Analysis, N.Y., 1948; Linear Programming and Economic Analysis, N.Y., 1958; The collected scientific papers of P.samuelson, 5 vols, Cambr., 1966-87; Sumpeter as an Economic Theorist. In Schumpeterian Economics, ed. Helmut Frisch, 1-27, N.Y., 1981; Economics from the Heart: A Samuelson Sampler, N.Y.,1983; Yes to Robert Dorfman's Vindication of Thünen's Natural-Wage Derivation-Journal of Economic Literature 24(4); Macroeconometrics (15ed), N.Y., L., 1995 (თანაავტ.); Microeconometrics (15ed), N.Y., L., 1995 (თანაავტ.); ეკონომიკა, ქართ. თარგმ. პროფ. ე.ლურწკაიას რედ-ით, ტ.1-4, თბ., 2000 (თანაავტ. ფ.ნორდჰაუსი); Принцип максимума в экономическом анализе - "Мировая экономическая мысль", т. V, кн. I, М., 2005.

Scholes M.: The Pricing of Options and Corporate Liabllinites – J. of Pol. Ec., №81. 1973: The Pricing of Options and Corporate Liabilities' - Journal of Political Economy, № 81, 1973 (ფ.ბლეკთან ერთად); Taxes and the Pricing of Options - Journal of Finance, 05/1976, Vol. XXI; How We Came Up with the Option Formula - The Journal of Portfolio Management, 1989; Taxes and Busines Strategy: A Planning Approach, 1991; The Future of Futures - Risk Management Problems & Solutions. Ed. by W.H.Beaver and G.Parker. McGraw-Hill, 1995; Financial Infrastructure and Economic Growth - The Mosaic of Economic Growth, R.Landau (Ed.), Stanford, 1996; Global Financial Markets, Derivative Securities and Systemic Risks - Journal of Risk and Uncertainty, №. 12, 1996.

Sharpe W.: Portfilio analysis based on a simplified model of the relationships among securities. PhD Dissertation, Univ. of California, Los Angeles, 1961; Simplified model for portfilio analysis - Management Science, №9, 1963; Capital asset prices – A theory of market equilibrium under condition of Risk – J. of Finance, No. 9, 1964; Portfolio theory and capital markets, N.Y., 1970; Introduction to managerial economics, N. Y., 1973; Some factors in New York stock exchange security returns. 1931-1979 – J. of Portfolio Managements, Prentice-Hall, 1978; Factor models, CAPMs, and APT – J. of Portfolio Managements, Fall, 1984; Asset Allocation Tools, The scientific press, 1985; An algorithm for portfolio improvement - lawrence, K.D. (რედ...) Advances in mathematical programming and financial planning, JAI Press, Inc., 1987; Fundamentals of investments. Prentice-Hall, 1989 (ფ.გორდონთან ერთად); რუს. თარგმ.: Инвестиции. М., 1997 (გ.ალექსანდერთან და ჯ.ბეილთან ერთად); Цены фиксированных активов при наличии и отсутствии отрицательных позиций – Всемирная экономическая мысль, т.V, кн. I, М., 2004.

Tobin, James: National Economic Policy-Essays, New Haven, 1966; The New Economics: One Decade Older, Pringenton, N.Y., 1974; Essays in Economics: Vol 1, Macroeconomics, Chicago, 1971; vol. 2, N.Y., 1975; Theory and Policy, Cambridge, 1982; Policies for prosperity: Essays in a Keynesian Mode, Bringhton, 1987; Деньги и финансы в макроэкономическом процессе - "Мировая экономическая мысль", т. V, кн. I, М., 2004.

დასკვნა

მეცნიერების ისტორია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი ნათელს ჰფენს მეცნიერული პროგრესის დინამიკას, მის მამოძრავებელ ძალებს, მათ ურთიერთქმედებას, წარმატებისა და მარცხის მიზეზებს და კრიტერიუმებს. რაც ამ წიგნს უნდა ეთქვა ამოუწურავი საკითხის შესახებ, ძირითადად წინა თავებშია გადმოცემული. ამ ეპილოგს მეტი არა შეუძლია რა, გარდა ზოგიერთი ძირითადი კონტურის ჩამოთვლისა, რომელიც განხილული მასალიდან გამოიკვეთა.

მამოძრავებელი ძალები. უმთავრესია იმ მთავარი ძალების გამოყოფა, რომლებიც მართავენ ეკონომიკური დოქტრინების პროგრესს და მათი შედარებითი მნიშვნელობის შეფასება.

ძალთა პირველ ჯგუფად შეიძლება გამოიყოს **გარე პირობები.** ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ეკონომიკის განვითარება და მერყეობები, ნაწილობრივ, ეკონომიკაზე ეგზოგენური ძალების მოქმედებით განისაზღვრება. თუმცა, ეკონომიკური დოქტრინის პროგრესი ძირითადად პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ინტელექტუალური გარემოცვის ისტორიული ცვლილებების შედეგია. საკითხი ისე დგას, თუ რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს ეს ეგზოგენური ძალები.

პოლიტიკურმა მოვლენებმა აშკარა კვალი დაამჩნიეს ეკონომიკურ დოქტრინებს. ფიზიოკრატები საფრანგეთის მონარქიის დროს ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობას გამოეხმაურნენ. 1789-93 და 1848 წწ. საფრანგეთის რევოლუციებმა მარქსი ისეთი გამოცდილებით უზრუნველყო, საიდანაც მან ისტორიის რევოლუციური მოდელი ააგო. ხმის უფლების თანდათან გაფართოებასთან ერთად ეკონომისტებმა იწყეს მოძრაობა ეკონომიკაში ჩაურევლობიდან სოციალური რეფორმებისა და კეთილდღეობის ეკონომიკისკენ, მაგრამ, მთლიანობაში პოლიტიკური განვითარების გაელენა ეკონომიკურ დოქტრინებზე, უმეტესად ხანგრძლივი და სუსტი ზეწოლისათვის შესამჩნევია. მომენტალურ მოვლენებს, როგორიცაა: ნაპოლეონის ომები, იმპერიალისტური ექსპანსია, სამოქალაქო ომები და I და II მსოფლიო ომები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პოლიტიკურ დონეზე, გადამწყვეტი კვალი არ დაუმჩნევიათ ეკონომიკის თეორიაში. პირიქით, განხილული თეორიული შრომებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი იყო დაკავშირებული მყისიერ და სპეციფიკურ პოლიტიკურ ვითარებასთან.

ამ მხრივ, სოციალური პირობების გაელენა უფრო ძლიერია. მოსახლეობის თეორიის შექმნაში მალთუსი აპელირებდა ცხოვრების პირობების გაუარესებით. განაწილების კლასიკური დოქტრინა წარმოების ფაქტორების წილს სოციალურ კლასებს უკავშირებს. ფეოდალიზმის დაშლამ ეკონომისტების ყურადღება ფაქტორთა წილიდან შემოსაელის უთანასწორობაზე მიმართა. ზოგიერთი წამყვანი ეკონომისტისათვის (ვიკსელის, ტობინის, ეროუს...) მთავარია სოციალური მოტივი. მიუხედავად ამისა, სოციალურ ცვლილებას შეუძლია ახსნას დოქტრინის განვითარების მხოლოდ მცირე ნაწილი.

ეკონომიკის სფეროში ვიწრო სპეციალიზაციასთან ერთად ეკონომიკურ დოქტრინებში გაელენებიც უფრო სპეციფიკური გახდა. ფულის რაოდენობრივი თეორია არაკონვერტირებული ქაღალდის ფულის ადრეული ექსპერიმენტების შედეგად წარმოიშვა. ჯონ ლოს „კრახმა“ აჩვენა, რომ ინფლაციის მასტიმულირებელი ეფექტი მხოლოდ დროებითია. საბანკო საქმის კრიზისმა ლითონის ფულის დოქტრინის შექმნა გამოიწვია. დეპრესიამ განაპირობა პოლემიკა ზოგადად საქონლის „ჩაწოლაზე“, ხოლო მე-19 საუკუნის პერიოდულმა კრიზისებმა განაპირობეს აზრი იმის შესახებ, რომ კაპიტალისტურ განვითარებას ციკლურობა ახასიათებს. ისიც მართალია, რომ ე.წ. კეინზური რევოლუცია შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ „დიდ დეპრესიაზე“ რეაქცია. აშკარაა, რომ XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში ნავთობის შოკმა რესურსების ეკონომიკა წააქეზა. მაგრამ, ამ სპეციფიკურ გაელენათა უმეტესობა გამოყენებით სფეროს (განსაკუთრებით მონეტარულ მაკროეკონომიკას) ეკუთვნის. ძირითადი დოქტრინების განვითარებას, დაწყებული „შემოსაელების წრებრუნვის“ ეკონომიკიდან მარჟინალიზმამდე და შემდგომ, თანამედროვე ზოგადი წონასწორობის მოდელებს ეკონომიკის გაელენა არსებითად არ განუცდიათ. მაგრამ შემდგომ, ისტორიული სელექციის ნაწილში, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული გამოცდილება ანალიტიკური ნაწილების დაკანონებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

რაც შეეხება იდეოლოგიებს, ბევრი ეკონომისტი გამოთქვამდა თავის შეხედულებებს. დროის მსვლელობის მიხედვით მათი წვლილი იცვლებოდა. ლიბერალიზმის ტენდენციების გაჩენისას ეკონომისტების უმეტესობა კონკურენციის, თავისუფალი მეწარმეობის და თავისუფალი ვაჭრობის ღირსებებს ხოტბას ასხამდა. სოციალური რეფორმების ხანაში ბევრი ინტერვენციის (ჩარევის) მომხრე გახდა. ახლმა კურსმა ლიბერალი ეკონომისტების ახალი მიდგომები განაპირობა. „დემოკრატიულმა სოციალიზმმა“ ეკონომისტები საბაზრო ეკონომიკაში დაგეგმვისკენ მოაბრუნა.

მარქსის მტკიცებით, ეკონომიკური თეორია მთლიანობაში იდეოლოგიური ზედნაშენის ნაწილია, რომელსაც მმართველი ჯგუფი თავისი უპირატესი მდგომარეობის დასაცავად ირჩევს. ეკონომიური დოქტრინების ისტორიამ მისი ეს მტკიცება არ დაადასტურა. ჯერ ერთი, ღრმა რწმენის მქონე ეკონომისტებიც კი (ვიკსელის მსგავსად) თავიანთი გამოკვლევებიდან შესანიშნავ შედეგებს იღებდნენ (მიუხედავად მათი იდეოლოგიისა); მეორე, ეკონომიკის თეორიაში იდეოლოგიების შესაბამისმა ყველა ტალღამ თავისი ლექი დატოვა, ისე, რომ ეკონომიკის თანამედროვე მიმართულება არ შეიძლება რომელიმე მათგანს დავუკავშიროთ; მესამე, ეკონომიკის თეორიაში, ჩვეულებრივად, მნიშვნელოვანი წვლილი ერთი და იგივე თაობის წარმომადგენელ სხვადასხვა შეხედულების მქონე ეკონომისტებსაც კი შეჰქონდათ. „ვენელებმა“ და „მიწის სოციალისტმა“ ლ.ვალრასმა, რადიკალმა ათეისტმა კ.ვიკსელმა, ლიბერტალიანელმა ვ.პარეტომ ... – ყველამ წვლილი შეიტანა გვიანდელ მარჟინალიზმში.

ეკონომიკაში იდეოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა თანდათან კლებულობს. დრიკარდოს დოქტრინაში ის ნაკლებადაა გამოკვეთილი, ვიდრე ა.სმითში, უ.ჯევონსსა და ლ.ვალრასში. მათ უფრო მეტად გადაინაცვლეს უკანა პლანზე, ხოლო ჰიკსის, სამუელსონის და ეროუს მეცნიეულ შრომებში ისინი ძლივსღა შეიმჩნევა. მ.ფრიდმანი, რასაკვირველია, ძლიერი საპირისპირო მაგალითია და ასეთები სხვებიც იყვნენ. მთლიანობაში, დღეს უფრო იოლია ეკონომიკის განცალკევება იდეოლოგიისგან, ვიდრე უფრო ადრეულ პერიოდებში.

გარე ზეგავლენა შესაძლოა წარმოიქმნას სხვა ინტელექტუალურ და სამეცნიერო სფეროებში მიღწევების შედეგად. მაგრამ შედეგები ისევ უმნიშვნელოა. ბენთამი და ეჯუორთი ფილოსოფოსი-უტილიტარიანელები იყვნენ, მაგრამ მათი წვლილი სარგებლიანობის დოქტრინაში თვისებრივად არ განსხვავდებოდა პარეტოს წვლილისაგან, რომელიც უტილიტარიანელი არ იყო. ფონ ნეიმანამდე მათემატიკის პროგრესს მცირე გავლენა ჰქონდა, უბრალოდ იმიტომ, რომ ეკონომისტები კვლავ ელემენტარული აღრიცხვით იყვნენ დაკავებული, რომელიც ა.სმითის დროსაც იყო ცნობილი. მიღწევები ფიზიკაში, მედიცინასა და ბიოლოგიაში მკვლევარ-ეკონომისტებს ამარაგებდნენ შესაფერი მეტაფორებით წონასწორობის, წრებრუნვის, საკომუნიკაციო მაგისტრალების და ა.შ. შესახებ, მაგრამ შესაბამისი ეფექტი ეკონომიკური დოქტრინების ისტორიაზე უმნიშვნელო იყო. ძალიან დიდ გამონაკლისს კომპიუტერული ტექნიკა წარმოადგენს; შეცვალა რა გამოყენებითი ეკონომიკის ძირითადი კომპლექსი, მან აგრეთვე იმოქმედა მოდელების ტიპებზე, რომლებსაც ეკონომისტები ეძებენ.

მთლიანობაში, გარე პირობების ზეგავლენა, თუმცა აშკარაა, მაგრამ უმეტესად ეკონომიკური დოქტრინების განვითარების მოკლევადიანი დეტალებით შემოიფარგლებოდა. ეკონომიკური დოქტრინების ხანგრძლივი მიმართულებების შეცვლაზე მათ, ეტყობა, ნაკლები გავლენა ჰქონდათ. გრძელვადიანი პროგრესის მიზეზების ასახსნელად საჭიროა სადღაც სხვაგან ძიება.

ეკონომიკური დოქტრინების განვითარება ბოლო სამასი წლის განმავლობაში უბრალოდ მისთვის დახარჯული მზარდი რესურსების შედეგია. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან განსხვავებით, მანქანა-დანადგარები კვლავ მთავარ როლს არ ასრულებენ. მათ, მართალია, იყენებენ მონაცემების შესაგროვებლად და დასამუშავებლად, მაგრამ ეკონომიკური დოქტრინებისათვის ამისგან სარგებელი ცოტაა. საუკეთესი თეორიული შრომები ისევ ქაღალდისა და კალმისტრის საშუალებით იქმნებოდა, კვლავინდებურად მთავარი ადამიანური კაპიტალია.

ეკონომიკური დოქტრინებისათვის მიძღვნილი ადამიანური კაპიტალი შესამჩნევად გაიზარდა. მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა; ევროპელი ეკონომისტები მთელ კონტინენტს მოედნენ; მოსახლეობის მოცემული რაოდენობიდან ეკონომიკა, უკვე ეტყობა, მეცნიერ-ტალანტთა უფრო მეტ რაოდენობას იზიდავდა. ამ რაოდენობრიემა ზრდამ თვისებრივი ცვლილებებიც განაპირობა. მისი

დამლა პროფესიონალიზმია. კლასიკური ეკონომიკა ერთმა პროფესიონალმა, ადამ სმითმა და ბევრმა არაპროფესიონალმა შექმნა. მარჟინალიზმი მოყვარულებმა დაიწყეს, მაგრამ პროფესორებმა შეაჩერეს. მოდელების აგების ხანაში უმაღლესი სასწავლებლები წარმოიქმნა, სადაც უფროსი თაობის პროფესიონალები ახალგაზრდა პროფესიონალებს ასწავლიდნენ.

პროფესიონალიზმს თან სდევდა მათემატიკაში კომპეტენტურობის ზრდა. კურნოს გარდა, მარჟინალიზმის შემქმნელებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფართოდ აერცელებდნენ მათემატიკური ეკონომიკის იდეებს, უჭირდათ აღრიცხვის ყველაზე მარტივი პრობლემის გადაჭრაც კი. გვიანდელ მარჟინალისტებს (პარეტო, ვიკსელი...) სოლიდური მათემატიკური განათლება ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც სიმრავლეთა თეორიამ და ტოპოლოგიამ (მათემატიკის ნაწილი) ტრიუმფალურად შეაბიჯა ეკონომიკურ მეცნიერებაში, მრავალმა წამყვანმა ეკონომისტმა ნაყოფიერ მათემატიკოსად გახდომა შეძლო. ეკონომიკურ დოქტრინებში მეცნიერული პროგრესის მამოძრავებელ ძალთა შორის მათემატიკური განათლების ზრდა ერთ-ერთი უმთავრესია.

მე-19 საუკუნის ბოლოს გარკვეულწილად შემცირდა ისტორიული ცოდნის გამოყენება ეკონომიკურ კვლევებში. იუმისა და რიკარდოს დროს პოლიტეკონომისტებმა კარგად იცოდნენ ფილოსოფია, ისტორია და კლასიკური მწერლობა. ჯონ სტიუარტ მილის ენციკლოპედიური გონებისათვის, ფაქტობრივად, ყველაფერი მისაწვდომი იყო. მარშალიდან ჰიკსამდე ჰუმანიტარული და მათემატიკური საგნები დაახლოებით თანაბარი პროპორციით იყენენ წარმოდგენილი. ამის შემდეგ (ფიშერის მაგალითზე) წამყვანი ეკონომისტები გამორჩეულად მეცნიერებისაკენ ორიენტაციას იღებენ. თუ მათემატიკური საშუალო ნიჭის მქონე ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში მთელ თავის ენერგიას მათემატიკის შესწავლას მოახმარენ, მაშინ ისინი ისტორიის, პოლიტიკის და სოციალური პრობლემების მცოდნენი ვერ იქნებიან.

მეცნიერება წინ მიემართება უმეტესად არსებულ მეცნიერებაში მიმდინარეობების აღმოჩენით. ეს მიმდინარეობები ბუნებით შეიძლება ემპირიული იყოს. ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ პროგრესი იწყება დაკვირვებებით, რაც საყოველთაოდ მიღებულ დოქტრინებზე ძნელი მოსარგებია. ზოგიერთი ასეთი შემთხვევა ეკონომიკურ მეცნიერებაშიც მომხდარა. თანახმად მისი საკუთარი ისტორიისა, მენგერი სუბიექტიზმამდე მივიდა მის მიერ ნასწავლ ფასების თეორიასა და მინიმალურ საბაზრო ფასს შორის განსხვავების გამო. ფასების ცვლილებების შესაბამისად სარგებლის განაკვეთების არასრულყოფილმა რეგულირებამ ფიშერი დროის ინტერვალების მიხედვით სარგებლის განაკვეთის შესწავლამდე მიიყვანა.

კეინზის მოხმარების ფუნქციების შესრულებისგან იმედის გაცრუებამ, მოდილიანი და ფრიდმანი მოდიფიცირებულ ჰიპოთეზამდე მიიყვანა. მაგრამ, საბოლოოდ, შეუთავსებელი დაკვირვებები არ იყო ეკონომიკური დოქტრინების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკური დოქტრინების ბირთვი უმეტესად დაკავშირებულია ყოველდღიურ გამოცდილებასთან, რაც საუკუნეების წინ ჩვეულებრივი მოვლენა იყო; ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალმა დაკვირვებებმა მასში ეჭვი შეიტანოს.

დინებები, რომლებიც ეკონომიკური ანალიზის წინსვლას განაპირობებენ, უპირატესად ლოგიკური ხასიათისაა. ზოგიერთი მათგანი არსებულ თეორიაში სიზუსტის ნაკლებობას ეხება. ადამ სმითის უზუსტობებმა ფასების საკითხებში ბევრი რამ დაუტოვა კურნოს გასაკეთებლად. შედარებითი უპირატესობის რიკარდოსეულ დოქტრინაში ვაჭრობის პირობები ორ ზღვარს შორის განუსაზღვრელი დარჩა, რამაც მილის ყველაზე ორიგინალური შრომა განაპირობა. ბემ-ბავერკმა დროის უპირატესობასა და კაპიტალის ნაყოფიერებას შორის ურთიერთქმედება უწესრიგოდ დატოვა, რაც ფიშერმა მოაწესრიგა. ჰიკსმა თავისი IS/LM მოდელით კეინზის დოქტრინა ანალიტიკურად დააზუსტა. დაზუსტება იყო ისიც, რაც სამუელსონმა ოლინის წარმოებრივი ფაქტორების ანალიზს დაუმატა. ამ განუწყვეტელი სიზუსტის ძიებაში მათემატიკამ უეჭველად დიდი როლი შეასრულა.

ანალიტიკური კვლევის განმაპირობებელი სხვა მიზეზი წინააღმდეგობრიობაა. ლითონის ფულის მიმოქცევის მექანიზმის ახსნაში იუმის აშკარა არათანმიმდევრულობამ ხანგრძლივი დებატები წარმოშვა ფასების როლის შესახებ. იმან, რომ ვალრასის ზოგადი წონასწორობის სისტემაში ზოგიერთი ფასი შეიძლება უარყოფითი აღმოჩენილიყო, წონასწორობის არსებობის თანამედროვე მტკიცებები წარმო'შვა. მარშალისთვის ძნელი აღმოჩნდა მზარდი შემოსავლის შეთავსება მზარდ თვითღირებულებასთან. მან ამოხსნა გარე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკის სარგებლიანობის

დოქტრინაში ნახა, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა იგი არასრულყოფილ კონკურენციაში აღმოაჩინეს. 1930-იანი წლების მაკროეკონომიკაში დანაზოგის და ინვესტიციის ტოლობა გამოყენებული იყო, როგორც იდენტურობა და, აგრეთვე, როგორც წონასწორობის პირობაც. აშკარა წინააღმდეგობების გარკვევას წლობით კამათი დასჭირდა.

ლოგიკური დინების შემდეგი ტიპია ზოგადობის დეფიციტი. კლასიკურ ეკონომიკას ჰქონდა ფასის სხვადასხვა თეორია კონკურენციისათვის და მონოპოლიისათვის. მარჟინალისტური დღის წესრიგის მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა ამ ორი უკიდურესი შემთხვევის შერთება და ზოგადი დოქტრინის შექმნა. ზოგადი წონასწორობის თეორეტიკოსების ენერგიის დიდი ნაწილი დაიხარჯა შეიძლება ამაო მცდელობებზე – შეძლებისდაგვარად მიეახლოებინათ თავიანთი მოდელები სინამდვილისათვის.

ზოგჯერ სხვა, თუმც კი მცირე ზომის ლოგიკური იმპულსი, აშკარად უაზრო პარადოქსებიდან მოდის. წყლის (ალმასის) პარადოქსი, როგორც ღირებულების თეორიის გამოწვევა, დიდი ხნის ამოხსნილი იყო. პარადოქსმა, რომელსაც მარშალი ირლანდიელ ეკონომისტს რ.გიფენს (1837-1910) მიაწერდა, ახალი თეორიული შრომები შექმნა („გიფენის პარადოქსის" მიხედვით, პურზე მოთხოვნისა და შესაბამისად ფასების ზრდის პარალელურად მომხმარებელმა იძულებით უფრო იაფი საქონლის შეძენა დაიწყო). დოქტრინამ, რომ მაღალ გადასახადებს შეუძლიათ ფასების დაწევა, ჰოტელინგი ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვან ნაშრომამდე მიიყვანა. დანაზოგების პარადოქსმა კეინზსა და სმითს შორის განსხვავება წინ წამოსწია.

საბოლოო ანგარიშით, კეთდება ცდა აიხსნას ეკონომიკური დოქტრინების ისტორია, როგორც ენდოგენური დინამიური პროცესი, რომელსაც ლოგიკური მიმდინარეობების აღმოჩენა მართავს და რომელშიც ერთი და იგივე ფუნდამენტური ეკონომიკური თვალსაზრისი გამოისახება ისეთი მოდელებით, რომლებიც თანდათან სულ უფრო ზუსტი, შინაარსიანი, ზოგადი და ჭკუიანურია. ეკონომიკური დოქტრინების ძირითადი ბირთვისათვის ამ ინტერპრეტაციაში ბევრი სიმართლეა. ძირითადი შეხედულებები, რომელსაც იგი გამოხატავს, იყო ჩვეულებრივი გამოცდილების ნაწილი საუკუნეებით ადრე, ვიდრე ეკონომიკა დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა. მისი პროგრესი ძირითადად წარმოადგენს იმის სულ უფრო და უფრო უკეთესად გაგებას, რაც ყოველთვის ცნობილი იყო. მაგრამ გარდა ძირითადი ბირთვისა, ეკონომიკურ მეცნიერებას ბევრი რამ დაემატა ისეთი, რისი ახსნაც მარტო ლოგიკური მიმდინარეობების გამორიცხვით არ შეიძლება.

შემოქმედებითი გონება. გარე გაელენის და ლოგიკური მიმდინარეობების გარდაქმნა მეცნიერულ მიღწევებად შემოქმედებით გონს საჭიროებს. როგორი გონებაა საჭირო ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასიკური წვლილის შესატანად?

თუ თვალს გადავაელებთ წამყვანი თეორეტიკოსების პიროვნულ თვისებებს, გაგვაკვირვებს ბევრი მათგანის ინტელექტუალური ამბიციურობა. როგორც იუმი, ასევე სმითი, ორივე ამბიციური იყო. მალთუსი ბევრს მუშაობდა თავისი მეგობრის რიკარდოს, როგორც თავისი დროის წამყვანი ეკონომისტის, ადგილის დასაკავებლად. გოსენს თავი მთელი სოციალისტური სამყაროს კოპერნიკად მიაჩნდა. ჯეეონსს სურდა მთელი ერისა და მსოფლიოსათვისაც კი „კარგი ყოფილიყო". ფიშერმა ადრეე გადაწყვიტა დიდ ადამიანად გახდომა. ვალრასი, რომელიც ყოველთვის მიისწრაფოდა სახელგანთქმულობისკენ, თავს ნობელის პრემიის ლაურეატობის კანდიდატად ასახელებდა. კეინზისა და შუმპეტერისთვის მოუთმენელი რამ იყო მწვერვალზე არალმოჩენა. სამუელსონი ყოველთვის იღებდა სიამოვნებას თავისი ინტელექტუალური უპირატესობის გამო.

მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ამბიციები არასაკმარისია. მასთან ერთად საჭიროა საინტერესო პრობლემების დანახვის და გადაჭრის ნიჭი. რიკარდო, ვიკსელი, კუპმანსი და ტინბერგენი უფრო ხელმძღვანელობდნენ პრობლემის გადაჭრის თავიანთი უნარით და სოციალური მგრძნობიარობით, ვიდრე ამბიციებით. ეკონომიკური მეცნიერება პროგრესთან ერთად თაობების სულ უფრო მეტ საუკეთესო გონს იზიდავდა, რაც უფრო რთული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას ნიშნავდა. მაგრამ, აქამდე, ეკონომიკას, ეტყობა, ჯერ არ მიუზიდია ბევრი ნიუტონისა და აინშტაინის მსგავსი გენიოსი. მარქსი იდეოლოგიით გამოირჩეოდა, კეინზი – თვითრწმენით, ფონ ნეიმანი კი მათემატიკური ნიჭიერებით, რომელმაც ეკონომიკურ თეორიაშიც ცვლილებები შეიტანა. მათ შორის, ვინც ამ წიგნში განვიხილეთ, ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ ბევრია განსაკუთრებული ნიჭიერებით

გამორჩეული, მათ შორის ა.სმითი და პ.სამუელსონი..

სამუელსონის მიხედვით, ეკონომიკურ თეორიაში კლასიკური მუშაობა მოითხოვს როგორც ხედვას, ასევე ანალიზს. ხედვა ანალიზის გარეშე, თუმცა, მან შეიძლება გამოიწვიოს ინტერესი, ნაკლებად ფასეულია. განსაკუთრებით დაბალი მეცნიერული დონის ლიტერატურა სავსეა ამით და ზოგჯერ მას ფართოდ მიესალმებიან. ვენის ეკონომიკური სკოლის ნაადრევი დაკნინება გამოწვეული იყო მისი ხედვის შესაფერისი ანალიზის შემუშავების უუნარობით. ეტყობა, კაპიტალს და კაპიტალიზმს განსაკუთრებული მიმზიდველობა ახასიათებდა არასაკმარისი ანალიტიკური შესაძლებლობების მქონე დამკვირვებლებისათვის. მარქსი, ვებლენი და შუმპეტერი, თითოეული მათგანი თავისებურად, მაგალითია ტრაგედიებისა, რომლებიც შეიძლება მოხდეს. ჯოან რობინსონმა, ჰაიეკმა და ჰიკსმა კი შეიგნეს, რომ მათი ანალიტიკური შესაძლებლობები ვერ უთანასწორდებოდა ძირითადი კაპიტალის შემადგენლობის დინამიკური ცვლილებების მათ ხედვას.

მეორე მხრივ, ანალიზი ხედვის გარეშე არასრულყოფილი რჩება. სხვა მეცნიერების მსგავსად, ეკონომიკური დოქტრინების პროგრესი სავსეა ამ რანგის აურაცხელი კომპეტენტური სტატიებით. მაგრამ მათი გამოქვეყნების დროს ძნელია წინასწარ თქმა, თუ მომავალში მნიშვნელოვანი რომელი მათგანი აღმოჩნდება. მეცნიერული პროცესი, მსგავსად შთამომავლობის წარმოშობისა, ეტყობა მეტად მფლანგველია: ათასობით სტატია წარმოშობს ერთ კლასიკურ ნაშრომს.

ამას მიეყავართ დასადგენ საკითხთან, თუ როგორი შემოქმედებითი გონი აძლევს მიმართულებას ეკონომიკურ დოქტრინებს. არის თუ არა მოცემული ნაშრომი მართლაც კრიტიკული ეკონომიკურ დოქტრინების კურსის განსაზღვრაში, თუ მისი არარსებობის შემთხვევაში სხვა მსგავსი რამ ნაშრომი შეიქმნებოდა? უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, პასუხს ამ კითხვაზე მრავალჯერადი აღმოჩენა იძლევა. რენტის კლასიკური თეორია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნეს ინგლისელმა ეკონომისტმა ჯეიმზ ანდერსონმა (1739-1808), კენემ და ვალრასმა. სარგებლიანობის რიგითი (ორდინალური) მიახლოება ფიშერმა პარეტოზე ადრე დაამუშავა. ფიშერი აგრეთვე ვალრასის ნაშრომის წაკითხვამდე ზოგადი წონასწორობის მოდელის ყველა შემადგენელ ნაწილს ფლობდა. რობინსონის არასრულყოფილი კონკურენცია და ჩემბერლინის მონოპოლისტური კონკურენცია თითქმის ერთმანეთის შემცველელებია. ზღვრული (დამატებითი) შემოსავლის დოქტრინის შემჩნევა კურნოსთანაც შეიძლება.

სურვილის მიხედვით, ეს მაგალითები შეიძლება კიდევ გამრავლდეს. ფიშერის და კალეცკის (1899-1970) მოდელები ერთნაირად შეიძლებოდა ყოფილიყო მაკროდინამიკის ამოსავალი წერტილი. ფრიდმანის მუდმივი (პერმანენტული) შემოსავალი და მოდილიანის „სიცოცხლის ციკლის“ განმავლობაში შემოსავალი მოხმარების ახსნისას დაახლოებით ეკვივალენტურია. ეროუმ და დებრემ რესურსების ეფექტიან განლაგებას ინტეგრაციული გადაადგილებებით მიაღწიეს. კანტოროვიჩის და კუპმანსის ნაშრომები ერთმანეთისგან დამოკიდებული სტარტი იყო წრფივი პროგრამირებისაკენ.

მრავალჯერადი აღმოჩენების სიხშირე იმაზე მიუთითებს, რომ ეკონომიკური დოქტრინების ზოგადი კურსი ბევრად არ არის დამოკიდებული ცალკეულ ეკონომისტზე, რაც არ უნდა ბრწყინვალე შემოქმედი იყოს იგი. მისი მთავარი მიმართულება, ეტყობა, განისაზღვრება მეცნიერების ენდოგენური დინამიკით და რესურსების განვითარებით. შემოქმედებითი გონება აუცილებელია ეკონომიკური დოქტრინის წინ წასაწევად და მას შეუძლია ძლიერი ბიძგის მიცემა. მაგრამ, ეტყობა, ცალკე აღებულ თითოეულ მათგანს, ძალა არ ეყოფა იმისათვის, რომ ძირეული გარდატეხა შეიტანოს ეკონომიკური დოქტრინების გრძელვადიან ტრაექტორიაში.

რეაქციები. ეკონომიკური დოქტრინების დინამიკური პროცესი მარტო ზოგიერთი მამოძრავებელი ძალის მოქმედებით არ შეიძლება აიხსნას. ბევრი მოსი სპეციფიური მახასიათებელი მეცნიერების რეაქციის შედეგად იქმნება.

ზოგიერთს ამ რეაქციებიდან მაშველი ბუნება აქვს. ეკონომისტებს შეუძლიათ ისინი მრავალჯერად ეფექტებს მიამსგავსონ. პირველადი სამუშაო იწვევს მეორეულ და მესამეულ სამუშაოთა სერიებს და, ამრიგად, სრული ეფექტი შორს სცილდება პირველად იმპულსს. სრული ეფექტის სიძლიერე, მეტაფორულად რომ ვთქვათ, უფრო დამოკიდებულია ახალი შედეგების გამოყენების მიდრეკილებაზე, ვიდრე მათ „შენახვაზე“.

ეკონომიკური დოქტრინების ადრეულ ისტორიაში ეს განმტკიცების ეფექტები შესამჩნევი იყო

უფრო მათი შედარებით სისუსტის გამო, ვიდრე მათი სიძლიერისა. კანტილიონმა შთააგონა კენე, მაგრამ „ეკონომიკურმა ცხრილმა“ ვერ წარმოშვა შემდგომი ანალიტიკური შრომები. „ხალხთა სიმდიდრემ“, მიუხედავად დიდი წარმატებისა, ანალიტიკური აქტივობის აფეთქება ვერ გამოიწვია. რიკარდოსეული ეკონომიკა რიკარდოს შემდეგ დიდად ვერ განვითარდა, ხოლო მარქსის ეკონომიკა ცივილიზებულ სამყაროში ვერ განვითარდა მარქსის შემდეგ. შუმპეტერი ბევრს წერდა, მაგრამ მისი ტექნიკურად პროგრესული მეწარმის ფიგურა ანალიტიკურად ბუნდოვანია. „კემბრიჯის სკოლის“ ზეპირი ტრადიციების წარმატება ნელი იყო მარშალის შემდეგ.

გვიანდელ მარჟინალურ ხანაში განმტკიცების ეფექტები უფრო გაძლიერდა. ბემ-ბავერკისა და ვიზერის შრომებმა გამოიწვია მენგერის „პრინციპების“ მეორეული ეფექტები. ვალრასმა უბიძგა ზოგადი წონასწორობის ანალიზის ჯაჭვურ რეაქციას. კოულსის კომისიის ეკონომეტრიკული მოდელების აგების მეთოდოლოგიამ დაამტკიცა ეკონომეტრიკა, როგორც დისციპლინა. ფონ ნეიმანის ნაყოფიერმა სიახლეებმა ბრწყინვალე თეორეტიკოსების მოზიდვის საშუალებით, ორმოცდაათიან წლებში მიგვიყვანეს ოპტიმიზაციისა და ზოგადი წონასწორობის ახალ მეთოდებამდე. სამუელსონისადმი მიძღვნილ თავში აღწერილი იყო თუ რამდენმა მისმა ნაშრომმა გამოიწვია შემდგომში მკვეთრი განვითარება. აშკარაა, რომ ეკონომიკის პროგრესული პროფესიონალიზაცია და აკადემიური ურთიერთკავშირის გაუმჯობესება ამ მრავალჯერადი ეფექტების გაძლიერების შედეგია.

თეორიულ სამუშაოთა გამოყენების და გაფართოების დაბრკოლებების სახე სხვა რეაქციებს აქვთ. ისინი ეკონომიკის თეორიაში ცნობილი მექანიზმების დამუშავებასა და ამოქმედებას შორის ლაგის (დახანების, ჩამორჩენის) ორეულს წარმოადგენენ. ზუსტად ისევე, როგორც წინასწარ-განკუთვნილ ინვესტიციას შეიძლება წლები დასჭირდეს, რომ შედეგი გამოიღოს დამატებითი წარმოების სახით, ასევე შეიძლება ათეული წლები დასჭირდეს, სანამ გამოქვეყნებულ ნაშრომში ანალიზის ახალი ნაწილი გამოიყენება. ყოველი შუალედი, რიკარდოს შედარებითი ხარჯების დოქტრინის დამუშავებიდან მილის ორმხრივი მოთხოვნილების პრინციპამდე, მარშალის ორმხრივი (ურთიერთ) მოხმარების მრუდებამდე ათწლეულები გრძელდებოდა. კურნოს და ტიუნენს შემდგომ სამუშაოებზე 1870 წლამდე გაელენა არ მოუხდენიათ. ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა მარქსის განვითარების ორსექტორიანმა მოდელმა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ეჯუორთის გაცვლის დოქტრინას სამოცდაათი წელი უნდა მოეცადა, სანამ შემდგომ განვითარდებოდა. პარეტოს ინგლისურ ეკონომიკურ თეორიაზე დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში არავითარი გაველენა არ ჰქონდა.

ეკონომიკური დოქტრინების პროგრესთან ერთად ეს ექსპლოატაციური ლაგები შეკეცისაკენ ესწრაფოდა. სპეციალისტების ზოგიერთ ახლო ურთიერთდამაკავშირებელ ჯგუფებში ის დღეისათვის ძლიერ მცირეა. აღსანიშნავია, თუ რა სწრაფად განვითარდა 1940-იანი წლების დასაწყისში ეკონომეტრიკული მეთოდები და წრფივი პროგრამირების კონცეფციები. ფაქტობრივად, მაგრამ ზოგიერთ სტატიას გავლენა ჰქონდა გამოქვეყნებიდან დიდი ხნის შემდეგ, მაგალითად, ჯ.მათის სახელგანთქმული სტატია (1961) უმოქმედოდ იდო ათეული წელი, ვიდრე რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზა გამოიყენეს. ჰოტელინგის კლებადი რესურსების ანალიზისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ 70-იანი წლების ნავთობის კრიზისამდე.

ახალი ეკონომიკური მოდელი გააძევებს ძველს იმ შემთხვევაში, თუ მისი უპირატესობა საგრძნობლად დიდია მის შექმნაზე დახარჯულ დროსა და მცდელობაზე. მარჟინალიზმის პროგრესი ნელი იყო, ვინაიდან მისი უპირატესობა იმ დროის ეკონომისტებისათვის ნათელი არ იყო. წრფივი პროგრამირებისა და ეკონომეტრიკის პროგრესი სწრაფად მოხდა, ვინაიდან მათგან მიღებული სარგებელი დიდი და ხელშესახები ჩანდა. მეთოდის მცირე, კარგად განსაზღვრული გაუმჯობესებანი (მაგალითად, მოთხოვნილების მარშალისეული ფასის ელასტიკურობა) ძლიერ სწრაფად გავრცელდა; ფართო კონცეპტუალურმა გეზის შეცვლამ, როგორიცაა განსაზღვრულ მოდელების აგებაზე გადასვლა, შეიძლება დიდი დრო მოითხოვოს.

რაც შეეხება სხვა სექტორებში ახალი მოწყობილებების ხარჯებისა და შედეგების აღრიცხვას, იგი მოლოდინს ეფუძნება. მოლოდინი კი, თავის მხრივ, ძლიერადაა დამოკიდებული სიახლეთა შესახებ ნათელ განმარტებებზე. ალბათ, არ შეიძლება ადამ სმითის გაკიცხვა „ეკონომიკური ცხრილის“ გამოუყენებლობის გამო, ვინაიდან ფიზიოკრატებმა ვერასოდეს ვერ შეძლეს მისი მნიშვნელობის

ნათლად წარმოჩენა; ტიუნენის და გოსენის დოქტრინები ძნელი წასაკითხი იყო. ნათელმხილველობა იყო საჭირო ღირებულების საკითხებში ჯევონსის პირველი სტატიის მნიშვნელობის გამოსაცნობად. აუშპიტცისა და ლიბენის დახლართული დიაგრამები სულით დასცემდნენ ყველას, გარდა უძლიერესებისა. მეორე მხრივ, კარგი განმარტება და წერის სტილი ხშირად განაპირობებს ახალი სამუშაოს წარმატებას. ფიშერი და კეინზი ამის შთამბეჭდავი, მაგრამ ძლიერ განსხვავებული მაგალითებია.

საექსპლოატაციო ლაგი შეიძლება გაიჭიმოს აგრეთვე, ისეთი მეთოდების გამოყენების გამო, რომლებიც ნაადრევია მათი პოტენციური გამოყენებისათვის. კურნომ, თუმცა შესანიშნავი ამხსნელი იყო, მაგრამ ვერ იპოვა ეკონომისტები, რომლებიც აღრიცხვას გაიგებდნენ. ფონ ნეიმანის ადრინდელმა სტატიებმა მყისიერი ეფექტი ვერ მოახდინეს, ვინაიდან ეკონომისტები მომზადებული არ იყვნენ სიმრავლეთა თეორიისა და ტოპოლოგიისათვის: მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ყველა ეკონომისტს რომ ელემენტარული აღრიცხვა სცოდნოდა, ეკონომიკის 1933 წლის დროინდელი მდგომარეობა მიღწეულ იქნებოდა 1860 წელს.

მეცნიერული სიახლის ხშირად ნახსენები დაბრკოლება არის არსებული პრივილეგირებული ორთოდოქსიის წინააღმდეგობა. მაგალითად, ჯევონსი განიცდიდა რიკარდოსა და მილის ორთოდოქსულ შემოტევას, ხოლო კეინზი იგივეს — მარშალის მიმდევრებისაგან. ეკონომიკური მეცნიერების მძლავრი პრივილეგირებული საზოგადოება მართლაც ხანდახან ხელს უშლიდა ეკონომიკური დოქტრინების პროგრესს: ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, ალბათ, გუსტავ შმოლერის მიერ გერმანული აკადემიის კარის დახურვა კარლ მენგერის მიმდევრებისათვის. ამან სამოცდაათი წლით უკან დასწია გერმანული ეკონომიკური მეცნიერება და არაპირდაპირ მოქმედებს, ალბათ, დღევანდელ დღემდე. პარიზის ცენტრალიზებული აკადემიური საზოგადოება ვალრასის მიმდევრებს საფრანგეთის აკადემიის სავარძლებს არ ანიჭებდა, რის გამოც საუკუნის განმავლობაში ყველაზე საუკეთესო ფრანგული შრომები უნივერსიტეტების გარედან შემოდიოდნენ. ევნელებმა ვერ გამოიყენეს აუშპიტცი, ლიბენი და სხვა „მათემატიკოსები“. სკოლები, ინტელექტუალური „ლობის“ ან ძალის სტრუქტურების თვალსაზრისით, აკადემიური ცხოვრების ბნელ მხარეს მიეკუთვნება.

მაგრამ, საბოლოოდ, ორთოდოქსალობა არ იყო მთავარი დაბრკოლება. მან ვერ შეუშალა ხელი ჯევონსს დაეკავებინა სავარძელი ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში ორმოცდაერთი წლის ასაკში და იმას, რომ მის წიგნებს ფართოდ კითხულობდნენ. მარჯინალიზმს, თუმცა, ერთი ღამის განმავლობაში არ მოუპოვებია გამარჯვება, მაგრამ იგი მტკიცედ იკრებდა მიმდევრებს. კეინზი შესანიშნავად ამუშავებდა მარშალის წამყვან მიმდევრებს, მაგრამ ძალიან ძნელი წარმოსადგენია გაუბედავი პიგუ ორთოდოქსული დოგმების დამცველად. კეინზის პრობლემა იყო არა მისი გარემოს წინააღმდეგობა, არამედ ის, რომ მას მისგან თავისი თავის გამოცალკევება გაუჭირდა. რობინსონის დროს დიდად ფასობდა ახალი იდეები. ყველანაირი ორიენტაციის ჟურნალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს სტატიების გამოცემაში. ორთოდოქსული პრივილეგირებული საზოგადოებისათვის ნოვატორული იდეების დათრგუნვა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. მოუსვენარ რობინსონს მთელი მსოფლიო უსმენდა.

ეკონომიკური განვითარების პროცესში მამოძრავებელ ძალთა შორის ურთიერთქმედება ხშირად მერყეობებს იწვევს. მე-19 საუკუნეში ეს განმარტებულ იქნა, როგორც ეკონომიკური ციკლი. ეკონომიკური დოქტრინების განვითარების მიმდინარე განმარტებებში ამის მსგავსი შეხედულებანი სჭარბობს. ბევრი ლაპარაკია რევოლუციებზე, რომლებიც გაყოფილია შეთანხმებულობის ვრცელი პერიოდებით, რაც ერთმანეთის მიმდევარი ციკლების შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, ძირითადად ეკონომიკის ისტორიის ციკლური მოდელი უკან, შუმპეტერისაკენ მიდის. იგი კლასიკური ეკონომიკის ციკლს ახალი საქმიანობის დაწყებით აღწერს, რომელიც იღბლიანად ებრძვის ძველს; შემდეგ ყველაფერი დალაგდება და ჩნდება ტიპური კლასიკური სიტუაცია... ამას კი სტაგნაცია მოსდევს. ანალიტიკური ციკლების შუმპეტერისეული დოქტრინა მისი ეკონომიკური ციკლების დოქტრინის აშკარა ანალოგია. მის თანახმად სიახლეების აფეთქება ერთმანეთისგან გამოყოფილია წონასწორობასთან ახლოს ყოფნის პერიოდებით. ამ შეხედულების გენეალოგიას მარქსთან მივყავართ, რომელიც ისტორიას რევოლუციების მიმდევრობის სახით წარმოადგენდა, რომლებიც გამოყოფილი იყო ერთმანეთისგან მმართველი კლასის ხელისუფლების შედარებით წყნარი პერიოდებით.

მითოლოგიიდან ისტორიულ ფაქტებს რომ დავუბრუნდეთ, რევოლუცია არის მმართველის

(ან მმართველი ჯგუფის) ძალმომრეობითი დამხობა მათ მიერ, ვისაც მართავდნენ. სახელმწიფო გადატრიალებისაგან განსხვავებით, გაურკვეველია ოდესმე მომხდარა თუ არა ეკონომიკის თეორიაში მსგავსი გადატრიალება. ცხადია, რომ არაფერი მისი მსგავსი 1870 წლამდე არ ყოფილა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მიუხედავად მარჟინალური რევოლუციის შესახებ ბევრი მსჯელობისა, მეცნიერული რევოლუცია 1870-იან წლებშიც არ მომხდარა. რეალურ მეცნიერულ მიღწევებს ადგილი ჰქონდა 1870 წლამდე ბევრად ადრე, ხოლო 1870-იანი წლების მნიშვნელოვანმა შრომებმა წყნარი ევოლუცია უფრო განაპირობეს, ვიდრე რევოლუცია. თავი არავისთვის არ მოუკვეთიათ და ტირანები არ ჩამოუგდიათ, მილის „პრინციპებიც" კი გამოიყენებოდა როგორც თემა, ათწლეულების განმავლობაში.

არ მომხდარა რევოლუცია 1930-იან წლებშიც, მიუხედავად ბევრი მსჯელობისა კეინზურ რევოლუციაზე. ის, რომ „ზოგადი თეორია" წარმოადგენდა რევოლუციას პიგუს ორთოდოქსობის წინააღმდეგ, უმთავრესად თვით კეინზის მიერ შეთხზული მითი იყო. ფაქტობრივად, კეინზი, მიუხედავად იმისა, რომ მან მეტად სასარგებლო მოკლევადიანი მოდელი შექმნა, მტკიცედ მისდევდა მარშალის ტრადიციებს. ე.ი. ამ ტრადიციის გაგრძელებას შესაბამისი კონტრრევოლუცია არ სჭირდება, სავსებით საკმარისია წყნარი სინთეზი.

ეკონომიკურ დოქტრინებში რევოლუციების არარსებობის მიზეზია ძალაუფლების იერარქიული სტრუქტურის არარსებობა. არ არსებობს იდეოლოგიური ზედაშენი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს სიახლეს. ყოველ მოცემულ დროს ეკონომიკური მეცნიერების მთავარი ხაზი უფრო უწესრიგო საუბარს წააგავს, ვიდრე დოგმატურ სისტემას. ვრცელი ტრაქტატები, რომელთა დაგეგმვა ასე უყვარდათ მარჟინალისტ პროფესორებს (ისევე, როგორც კარლ მარქსს) ფრაგმენტებად რჩებოდა ხოლმე. მარშალისეული ეკონომიკური მეცნიერება, ალბათ, აქ ქმნის ბერძნული ტაძრის სრულყოფილების შთაბეჭდილებას, რომლის უზადო ხაზები უღრუბლო ცის ფონზე იკვეთება, როგორც ამას შუმპეტერი წერდა (1954). იგი უფრო მოხეტიალე ნაგებობას წააგავდა, რომლის ზოგი ნაწილი საცხოვრებლად სავსებით ვარგისი, მაგრამ აშკარად დაუმთავრებელი იყო. მე-20 საუკუნეში ეკონომიკის პროფესიის გარკვეულმა უპატივცემულობამ დოგმატური სისტემატიზაცია პომპეზური გახადა.

ვინაიდან არ არსებობს წინააღმდეგობის კედლები, რომელიც მათში დაწყვდეულმა სიახლეებმა უნდა დაანგრიონ, ეკონომიკის თეორია ციკლურად არ ვითარდება. რასაკვირველია, შედარებითი სტაგნაციის და მკვეთრი პროგრესის პერიოდები არსებობს. ცოტა რამ მოხდა 1776 სა და 1798 წლებს შორის. რიკარდოს შემდგომმა პერიოდმა უძრაობა მოუტანა ინგლისს, მაგრამ ეს აგრეთვე იყო ტიუნენის, კურნოს და გოსენის... ერა. მარშალის შემდგომი პერიოდი, პირველ მსოფლიო ომამდე, უძრაობით ხასიათდებოდა, მაგრამ აშკარად — ანალიტიკურ საქმიანობაში. ხის 1930-იან და 1940-იან წლებში აქტიურობის აფეთქება მოხდა. შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ანალიტიკური სიახლეების ნაკადის არარეგულარობას არ შეიძლება მიეწეროს [illegible] აქტიურობისა და შესუსტების შენაცვლებათა ციკლური მექანიზმი.

ვიკსელმა ეკონომიკური [illegible] ცხრის [illegible], რომელიც უფრო არარეგულარულ დარტყმებს [illegible], ვიდრე ციკლურ [illegible] ითარა თავის [illegible] [illegible] მიახლოება ეკონომიკური [illegible] დოქტრინების ისტორიის [illegible] ისტორიის [illegible], [illegible] ისტორიის [illegible].

[illegible]

მიანის გონების უნარი იმპულსებს წარმოქმნის, რომლებიც უწესრიგო და წინასწარგანუჭვრეტელი ჩანს. ყოველი ასეთი იმპულსის შემდეგ განმტკიცების ეფექტი და დაბრკოლებები დამახასიათებელ დინამიკურ რეაქციებს იწვევს. რევოლუციური მოდელებისაგან განსხვავებით აქ არ ვხვდებით პერიოდულ ციკლებს, სახეზეა მხოლოდ არალეგალური მერყეობები. არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, კერძოდ, ჯერ არ აგვიხსნია თუ რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება თეორიული ნაშრომი ეკონომიკური მეცნიერების მთავარი მიმართულების ნაწილი და რითი განსხვავდება იგი დავიწყებულთაგან. ეს საკითხი მომდევნო ნაწილში განიხილება.

წარმატება და მარცხი. ეს დასკვნითი ნაწილი ეხება ეკონომიკური დოქტრინების მეცნიერული პროგრესის ბუნებას, წარმატებისა და მარცხის ნიშნებსა და საზომს. ამ ფართო თემის განხილვა შემოვიფარგლოთ სამი სპეციფიკური ასპექტით:

1. **ცალკეული ეკონომისტების იღბლიანობით და მარცხით;**

2. **კრიტერიუმებით, რომლის მიხედვითაც თეორიული შრომები ან შეერწყმიან ეკონომიკური მეცნიერების მთავარ მიმართულებას, ან დაივიწყებენ მათ;**

3. **ეკონომიკური დოქტრინების შემაჯამებელი ხასიათით.**

შესავალში ეს წიგნი მეტაფორულად შედარებული იყო ეკონომიკური დოქტრინების პანთეონთან. შესაბამისი თავებით ეს პანთეონი თანდათან ივსებოდა. თითოეული დოქტრინის არჩევანი გულისხმობს იმის გადაწყვეტას, თუ რა ხდის ამა თუ იმ ეკონომისტის წვლილს კლასიკურად და ეკონომისტს დიდად. ახლა ამ გადაწყვეტილებების მიმოხილვისას, ვეცდებით პასუხი ნათელი გავხადოთ.

პირველი მოთხოვნილებაა დიდებისა და შესრულების ნათელი განცალკევება. დიდება ასახავს იმას, რასაც ხალხი ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა მართალია ეს თუ ტყუილი, სამართლიანია თუ უსამართლო. განხორციელება-შესრულება კი კეთილი საქმეებია, რომელიც ფაქტობრივად გაკეთდა, მიუხედავად იმისა, სცნობდნენ მათ თუ უგულებელყოფდნენ. დიდება ეფუძნება გარკვეულ ვოტუმს – ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებას (რაც ნაწილობრივ გამოიხატება ინდექსების მინიჭებით და მსგავსი რამით); ეს არის მასობრივი განსჯა. შესრულება კი ცალკე კრიტიკოსების მიერ ფასდება, რომლებიც საკუთარ საუკეთესო განსჯის უნარს იყენებენ.

თუ დიდებას მივიღებთ კრიტერიუმად, ადამ სმითი და კარლ მარქსი ზეაღიმართებიან მთელ პანთეონზე. ეკონომისტებიდან მხოლოდ ესენი შევიდნენ არა მარტო ეკონომიკის ისტორიაში, არამედ კაცობრიობის ისტორიაშიც. მათ უნდა მოსდევდნენ მალთუსი, კეინზი, ფრიდმანი, რომლებმაც გამოიწვიეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი დებატები და გავლენა მოახდინეს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე. მიდმა, მარშალმა და სამუელსონმა თავიანთი სახელმძღვანელო წიგნების უპირატესობით დაიმკვიდრეს სახელი. ამის შემდეგ მკვეთრი დეგრადაცია შეინიშნება. რიკარდოს, ჯევონსის, ვალრასის, მენგერის, ეიკსელის, ფიშერის (მიუხედავად მისი პოპულარული გალაშქრებებისა), შუმპეტერის, ჰიკსის და სამუელსონის (როგორც თეორეტიკოსის) დიდება პროფესიონალ ეკონომისტების ჯგუფით შემოიფარგლება. კენეთი, ეჯუორთით, ჰოტელინგით, კუპმანსით და ეროუთი აღფრთოვანებული მარტო სპეციალისტები იყვნენ.

ცხადია, დიდება აუცილებლად ეკონომიკის თეორეტიკოსად გახდომის პროპორციული არ არის. სმითმა და მარქსმა შექმნეს, შესაბამისად, ერთმა ლიბერალური ეკონომიკის დისციპლინა, ხოლო მეორემ – სოციალისტური იდეოლოგია. მალთუსმა, კეინზმა და ფრიდმანმა მართალია, შეიტანეს სასარგებლო წვლილი – საამშენებლო ბლოკები ეკონომიკურ დოქტრინებში, მაგრამ მათი დიდება ემყარებოდა უფრო მათი კამათის უნარს და დამაჯერებლობას, ვიდრე თეორეტიკოსობას. მალთუსის, კეინზის, მარქსის შემთხვევაში დიდება ნაწილობრივ გამოწვეული იყო, ფაქტობრივად, ანალიტიკური ხარვეზებით, კერძოდ, უმართებულო ბუნდოვანებებით. გაურკვევლობას ხშირად სიღრმედ მიიჩნევენ, ხოლო გარკვეულობა, პირიქით, შეიძლება ბანალურობად მოეჩვენოთ. რიკარდოს, მენგერის, ბემ-ბავერკის, მარშალის, ჩემბერლინის და რობინსონის შემთხვევებში წვლილი თუმცა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მეტ-ნაკლებად მათ დიდებას არ შეესაბამებოდა. შუმპეტერი სახელგანთქმული იყო კაპიტალიზმის ხედვაში, თუმცა მან ვერ მოგვცა ორიგინალური თეორიული ანალიზი.

მეორე მხრივ, კანტილიონს, რეის, ტიუნენს, კურნო და გოსენს, რომლებმაც განსაკუთრე-

ბული მნიშვნელობის ნაშრომები შემატეს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ძირითად მიმართულებას, მიუხედავად ამისა, დიდად არ აფასებდნენ მცირე გამონაკლისების გარდა. არცერთ მათგანს სულ მცირე გავლენაც კი არ ჰქონდა შემდგომ განვითარებაზე, მათი მთავარი ნაშრომების გამოქვეყნებიდან ოცი წლის განმავლობაში. მათ უფრო დიდების წინამორბედების როლი ერგოთ, ვიდრე საკუთრივ დამსახურებული დიდება.

დაბოლოს, არსებობს იღბლიანი ამბები მათ შესახებ, რომლებმაც მართლაც ბრწყინვალე თეორიული მიღწევებით დიდება მოიპოვეს. მათ შორისაა ჯევონსი, ვალრასი, ვიკსელი, ფიშერი, პარეტო, ჰიკსი, ფონ ნეიმანი, სამუელსონი, ეროუ... მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზია ხედვისა და ანალიზის უნარი. ამას შეესაბამება მათი შესაძლებლობა შემოიფარგლონ ისეთი ანალიტიკური საკითხების გადაწყვეტით, რომელთა ახსნაც მათ ჭეშმარიტად შეეძლოთ. საერთოდ, იღბლიანი მეცნიერები პრობლემებს არა გადაუდებლობის, არამედ მათი ამოხსნადობის მიხედვით ირჩევენ. დიდი და გადაუჭრელი პრობლემის წამოყენებამ შეიძლება დიდება მოიტანოს. თუმცა, მცირე პრობლემების გადაჭრაც მნიშვნელოვანია. ეტყობა, წარმატების ძირითადი პირობაა ისეთი ანალიტიკური პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც შემდგომი სწრაფი წარმატებების გასაღებს იძლევა. განმტკიცების ეფექტები გზაა დიდებისაკენ.

ეკონომიკური დოქტრინები განვითარების სამი საუკუნის განმავლობაში, წმინდა ლოგიკის ნიმუშებს შეიცავს, რომელთა მათემატიკურად ასახვა შესაძლებელია. ერთად აღებული ეს ნიმუშები ეკონომიკური რეალობის სრული გამოსახულება არაა. ეკონომიკური დოქტრინები მსოფლიოს თეორეტიკოსების ერთობლივ შეხედულებას არ წარმოადგენს. ისიც არ არის ნათელი, შეიძლება თუ არა მეცნიერების პროგრესის მოლოდინი ეკონომიკური დოქტრინების რეალობასთან მიახლოებისას, რასაც არ უნდა ნიშნავდეს იგი.

მიუხედავად ამისა, ადამიანთა უფლებების აზრით, ეკონომიკურმა დოქტრინამ რაღაც უნდა გააკეთოს ეკონომიკური რეალობისთვის და კარგი ეკონომისტების უმეტესობას სჯერა, რომ ფაქტობრივად იგი ამას აკეთებს. ბევრი მათგანი ამაყობს იმით, რომ ეკონომიკური მეცნიერება ემპირიული მეცნიერებაა. მაშ რა არის დამაკავშირებელი რგოლი ლოგიკის ამ ნიმუშებს შორის, რომლებსაც ვეძახით ეკონომიკურ თეორიას და დაკვირვებულ რეალობას?

დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ის, რომ ემპირიული დაკვირვება განსაზღვრავს ძირითად კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც ყველა შესაძლო ნიმუშების განუსაზღვრელი რიცხვიდან ვირჩევთ ანალიზის იმ ნიმუშებს, რომლებსაც ეკონომიკური მეცნიერების მთავარ მიმართულებას ვუწოდებთ. ემპირიული დაკვირვება იმ გადარჩევის საშუალებას იძლევა, რომლის შედეგადაც კლასიკური სამუშაოები გამოიყოფა ფორმალიზმისაგან.

სხვადასხვა თაობამ სხვადასხვანაირად გახადა თვალსაჩინო გადარჩევის ეს პროცესი. ისტორიკოსების მიხედვით, ეკონომიკური კანონები ყალიბდება დაგროვებული ფაქტებიდან. „ლოგიკის" შესახებ ჯევონსის ნაშრომი საკმარისი უნდა ყოფილიყო ამ შეხედულების გასაფანტავად. მენგერმა ჩაფუშა იგი, ხოლო კუპმანსმა კვლავ საკამათო გახადა იგი ეკონომეტრიკის ხანაში. ეკონომეტრიკამ თაყვანი იღო მეთოდოლოგიის ის განვითარება, რომლის საშუალებითაც ეკონომიკის თეორია დაექვემდებარებოდა ემპირიულ გამოცდას. ეკონომიკა, ეტყობა, „სხვების მსგავსად", ემპირიული მეცნიერება ხდებოდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოჩნდა, რომ ეს ილუზია იყო – ფაქტობრივად, ძალიან ცოტა ეკონომიკური დავა გადაწყდა ეკონომეტრიკულ მოდელებზე დაყრდნობით; ეკონომეტრიკულმა მუშაობამ ძალიან მცირე წინადადებები შეიმუშავა, რომლებიც შეიძლება რეალურად დადასტურდეს; ეკონომიკურ მეცნიერებაში კლასიკური ნაშრომების შერჩევა, ჩვეულებრივ, მხოლოდ ეკონომეტრიკულ გამოცდას ეყრდნობოდა. ბოლო წლებში თითქოს ქანქარა ისევ უკან – „თეორიის გარეშე გაზომვებისაკენ" გადაიხარა. სხვებს წმინდა თეორიისა და დაკვირვებების დამაკავშირებელი რგოლის მოლოდინი ჰქონდა, ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთ დიდ რეგულირებებსა და პროპორციებში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკური ციკლი, თითქოს, პერმანენტულად განმეორებადი გახდა. შემდეგ კონდრატიევმა და სხვებმა გამოაცხადეს, რომ „გრძელი ტალღები" აღმოაჩინეს. წინ გამსწრები ინდიკატორები (რომლებიც ეკონომიკური ციკლის მორიგი ფაზის დადგომას წინასწარ იტყობინებიან) ეკონომიკური აღმავლობისა და დაცემის წინასწარგანჭვრეტის იმედს იძლეოდნენ. ასე მაგალითად, ფილიპსის მრუდმა

დაადგინა ურთიერთობა ინფლაციასა და დასაქმებას შორის, მაგრამ ამგვარი მიდგომები დღეგრძელი არ ყოფილა.

ფაქტობრივად, ეს კავშირი სხვადასხვა ხასიათისა ჩანს. ისტორია ეკონომისტს სპეციფიკური პრობლემების მუდმივად ცვალებადი დინების წინაშე აყენებს. თითოეული მათგანი ემპირიული ნიშანთვისების თეორიული მოდელით მოწესრიგებით უნდა გადაწყდეს, რაც ზოგჯერ ისეთივე ბუნდოვანია, როგორც პრობლემის ინტუიციური გადაწყვეტა. პრინციპში მოდელი ისევე უნიკალურია, როგორც ისტორიული სიტუაცია, რომლისთვისაც იგი განკუთვნილია, მაგრამ ეკონომისტების სამუშაოები მნიშვნელოვნად გაადვილდება, თუ ისინი წინათ გაანალიზებული მოდელის ანალიზის შესაძლებლობას ფლობენ. მოცემული მომენტისათვის ხელმისაწვდომი ტიპური ანალიზი ამ წიგნში გარკვეულწილად არის ეკონომიკური დოქტრინების მთავარი მიმართულება. ეკონომიკური ლოგიკის ახალი და გამოუცდელი ნიმუში დაემატება ანალიზის ელემენტებს – არსებობს მოლოდინი, რომ იგი სასარგებლო აღმოჩნდება; სხვა შემთხვევაში იგი უგულებელყოფილი იქნება. ანალიზის ძველი ნაწილი, თუ იგი წარსულში წარმატებით გამოიყენებოდა, გაითვალისწინება, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უგულებელყოფილი იქნება.

ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი სინჯები ისტორიული გამოცდილებით მიიღება. ეს განსაკუთრებით მაკროეკონომიკაშია თვალსაჩინო. მაგალითად, 1960-იანი წლების სტაგფლაციამ ფილიპსის მრუდის უარყოფა გამოიწვია.

სხვა შემთხვევებში, განსაკუთრებით მიკროეკონომიკაში, ისტორიული დამტკიცების პროცესი ნაკლებად ხელშესახებია. მიუხედავად ამისა, თუ თეორიები სპეციფიური პრობლემების გაგებაში გვეხმარება, ისინი სასარგებლოა. ამ მიდგომის ილუსტრირება შეიძლება მცირეოდენი მაგალითებით, მარჟინალისტური ოპტიმიზაციით, სარგებლიანობის დოქტრინით, წრფივი პროგრამირებით, ბალანსირებული ფასიანი ქაღალდების პორტფელის დოქტრინით, IS/LM მოდელით და ტინბერგენის ეკონომიკური პოლიტიკის თეორიით, რომლებიც ისევე იღბლიანი იყო, როგორც ეკონომიკური ჟურნალის ნებისმიერი ყურადღებით წაკითხვა. ეკონომიკური თეორიის შედეგების ემპირიული დამტკიცება ზოგადად გამომდინარეობს არა ფორმალური ეკონომიკური ტესტირებით, არამედ ისტორიული სელექციის პროცესით.

ეს წიგნი ჩაფიქრებულია როგორც ისტორია იმისა, რაც 21-ე საუკუნის დასაწყისში მიჩნეულ იქნა ეკონომიკური დოქტრინის ძირითად მიმართულებებად. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, ისტორიას ვხედავთ, როგორც პროგრესული ცოდნის დაგროვების ერთ-ერთ პროცესს. ეს მაინც ასე ჩანს მაშინაც კი, თუ ბოლო პერიოდის ზოგიერთი ეკონომიკური დოქტრინა, ფაქტობრივად, ისეთი დონისა არ არის, როგორც 1930, 1880 ან 1830-იანი წლების ეკონომიკური დოქტრინები. აქ წარმოიშვება კითხვა: ასეთი „დაგროვების პროცესი", ისტორიოგრაფიის გარკვეული კონცეფციით შექმნილი მოჩვენებითობაა, თუ იგი მაინც რეალური მეცნიერული პროგრესის დიდ ნაწილს ასახავს.

თუ „დაგროვების" პროგრესი უბრალო ილუზია იყო, გულმოდგინე ისტორიოგრაფი ადრინდელ ლიტერატურაში შეძლებდა მოენახა იმ ანალიზის ძვირფასი ნიმუშები, რომელიც მოგვიანებით დაივიწყეს, ან შესაძლოა, არასოდეს არ უცვნიათ. ეკონომიკური დოქტრინების ისტორია თანამედროვე ეკონომიკისათვის ოქროს საბადო იქნებოდა. ეკონომიკური დოქტრინები ხელოვნებას დაემსგავსებოდა, რომელშიც დიდებული ხელოვნების – უძველესი ათასწლეულებიდან დაწყებული შთაგონების წყაროდ რჩებიან. სინამდვილეში ეს ყოველთვის ასე არ არის. ადრინდელი საუკუნეების დიდმა ოსტატებმა ზოგჯერ შეწყვიტეს მომდევნო თაობების შთაგონება, კემბრიჯელი ნეორიკარდოელები რიკარდოსაგან „ოქროს მოპოვებას" იმედოვნებდნენ, ხოლო მარქსისტები კლავ „კაპიტალს" ამუშავებენ, მაგრამ თანამედროვე დოქტრინებისათვის ამ მწვერვალებში, ეტყობა, ცოტა ოქრო დარჩა.

დაკვირვების მიხედვით, რეალურად ეკონომიკური ანალიზის ცოტა ნიმუში თუ იკარგება ოდესმე. ძნელია ისეთი დოქტრინების გამონახვა, რომლებიც სასარგებლოდ და დამაჯერებლად იყო მიჩნეული გარკვეულ დროს და მერე კი, სრულიად გადასაგდებად გაწირეს. შეცდომები სწორდება, ორაზროვნება ირკვევა, შეზღუდვები იხსნება, ხოლო ძველი იდეა სიცოცხლეს განაგრძობს. ლითონის ფულის მიმოქცევის მექანიზმი, რაოდენობრივი თეორია, ყიდვითუნარიანობის პარიტეტი, მონეტარული მაკროდინამიკა, კლასიკური მოდელი, შედარებითი უპირატესობა, ხელფასის ფონდი,

ღირებულების დოქტრინა და „ეკონომიკური ცხრილი“ ამის რამდენიმე მაგალითია სხვა უამრავი მაგალითებიდან.

იგივე დაკვირვება გამოიყენება ეკონომიკური დოქტრინების შესაბამის ლაიტმოტივთა მიმართაც. წრებრუნვის ნაკადი — ეკონომიკის ლაიტმოტივი არასოდეს თავის მნიშვნელობას არ კარგავს. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება დღესაც ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ყოველთვის. ეკონომიკის ისტორიკოსები ხშირად აღნიშნავდნენ კლასიკური ეკონომიკის დაკნინებას რიკარდოს შემდეგ, მაგრამ ფაქტობრივად იგი იმდენად არ დაკნინებულა, რამდენადაც მარჟინალიზმის ახალი მეთოდები. შინამეურნეობებისა და ფირმების ეკონომიკური ოპტიმიზაციის ახსნის საშუალებით მარჟინალიზმმა შეავსო ფართო ღრმული, რომელიც კლასიკურ ხანაში ღიად რჩებოდა. მარჟინალიზმი მთლად არ დაკნინებულა და მისი ანალიტიკური შრომები ეკონომისტებისაგან კვლავ ყურადღებას იპყრობს. მოდელების აგების ხანაში ეკონომისტებმა ისწავლეს თავიანთი სპეციფიკური პრობლემების გამოსახვა შემცირებული ზომის ზოგადი მოდელების საშუალებით, სრულად იყენებდნენ რა ოპტიმიზაციის გამოთვლებს, ამან ისევ თეორიული ანალიზი ფართოდ გააძლიერა (ადრინდელი მიღწევების დაკარგვის გარეშე).

დაგროვებული პროგრესის ძირითადი სინჯია, რასაკვირველია, პრაქტიკაში გამოყენება და სარგებლობა. ბოლოდროინდელი დოქტრინების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ სრულად არ ჩაუბარებია ეს გამოცდა; ისინი კვლავ მომავლის ინვესტიციას წარმოადგენენ. მაგრამ მათი დიდი ნაწილი ფართოდ გამოიყენეს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. მართალია, ზოგი ეკონომიკური დოქტრინის გამოყენება ხელოვნებად დარჩება, მაგრამ ზოგის ირგვლივ ისევ გრძელდება უთანხმოება. თუმცა, უეჭველია, რომ ეკონომიკური დოქტრინების პროგრესი შესაძლებლობას მისცემს ეკონომიკური პროგრესის განმგებელთ აურაცხელი პრობლემის გონიერულად მოქმედი გადაწყვეტილებები იპოვონ, რომლებიც ადრინდელ პერიოდებში გადაუჭრელი დარჩებოდა, ან შეიძლება კატასტროფაც გამოეწვიათ.

დაბოლოს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ მიუხედავად დაგროვილი პროგრესის დიდი ოდენობისა, ეკონომიკური დოქტრინები დასახვეწია. ეკონომიკა უფრო არასრულყოფილია, ვიდრე ზოგიერთი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას ნაკლები დრო ჰქონდა მოსამწიფებლად, არამედ იმიტომ, რომ ის უფრო რთული და დინამიკურია. სამყარო ბევრად უფრო უცვლელია და ნაკლებად რთული, ვიდრე ისტორია. ამიტომ, გონიერი ადამიანები ციური სხეულების ურთიერთქმედების შესახებ უფრო იოლად ქმნიან თეორიებს, ვიდრე ადამიანთა ყოფის შესახებ. ეკონომიკური დოქტრინები, მართლაც არასრულყოფილია, მაგრამ იგი წარმოადგენს ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი ადამიანის გონებას შეუქმნია კაცობრიობის ისტორიის ნაწილების მეცნიერული ახსნისათვის.

ეკონომიკური მოსაზრებები, რომლებიც წარსულში ეკონომიკური დოქტრინების კურსს აყალიბებდნენ, ალბათ, მასზე მომავალშიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ. ამბიციური და შემოქმედი მეცნიერები მასში თავის წვლილს შეიტანენ. მათ უმეტესობას დაიკიწყებენ, მაგრამ ზოგი მათგანი კლასიკური გახდება იმ თვალსაზრისით, რომ ეკონომიკური მეცნიერების მთავარ მიმართულებას შეერწყმება. იქნება ისევ კამათი, ხოლო ზოგი დისიდენტი ეკონომიკის მთავარი მიმართულების ალტერნატივებს კვლავ წამოსწევს. თუ მათი შრომა ფასეული იქნება, ადრე თუ გვიან, ეკონომიკის მყარი მიმართულება მას შეისრუტავს. ხოლო თუ ასე არ მოხდება, მაშინ, ალბათ, ის არ იქნება ამის ღირსი. კლასიკური შრომების ტრადიციას ალტერნატივა არა აქვს, როგორი იდეოლოგიური, პოლიტიკური ან სოციალური მიდრეკილებაც არ უნდა ჰქონდეთ ცალკეულ ეკონომისტებს.

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორი: ლევან ბოჭორიშვილი

ოპერატორები: მზია ძაჭარავა
ნონა ჯღარძავა

კორექტორები: გვანცა შანავა
ლელა კვირტია

მისამართი: თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. №22
ტელ: 10-26-28.

Email: inovacia@caucasus.net